საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.)

2017 წელი

რედაქტორი: აკადემიკოსი როინ მეტრეველი

წინასიტყვაობა

XIX საუკუნის დასაწყისში ერთმორწმუნეობის დოგმებზე დამყარებულმა ილუზიებმა სრული კრახი განიცადა. რუსეთის იმპერიამ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები, გააუქმა ქართლ-კახეთის, დაიპყრო იმერეთის სამეფო, შემდეგ ცალკეული სამთავროები...

1810 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით იძულებით გაიწვიეს რუსეთში. 1811 წლის 30 ივლისს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის პროექტი მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის გაუქმებას ნიშნავდა. საქართველოს ეკლესიის მეთაური სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად იქნებოდა საქართველოს ეგზარქოსი, როგორც რუსეთის სინოდის წევრი მისი ნების აღმსრულებელი. 1812 წელს გაუქმდა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსო, მისი ხელმძღვანელები მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი 1820 წელს დააპატიმრეს საეკლესიო ამბოხის მეთაუროზის ბრალდებით, მიუსაჯეს რუსეთში გადასახლება,გზაში მათ უდიერად ექცეოდნენ, ამცირებდნენ, აწამებდნენ, დოსითეოზი გარდაიცვალა, მიტროპოლიტი ექვთიმე გადაასახლეს პეტერბურგის ახლოს სვირის მონასტერში. საქართველოს ეკლესიის პირველი ეგზარქოსი იყო მიტროპოლიტი ვარლამი (ერისთავი), რომელიც 1817 წელს შეცვალა მიტროპოლიტმა თეოფილაქტე რუსანოვმა...

106 წელი გაგრძელდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტყვეობა, რასაც ქართველი ხალხი არ შერიგებია და აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

1917 წლის იანვარ-თებერვალში რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა ღრმა სოციალურ-პოლიტიკურმა კრიზისმა შეიწირა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მმართველობა, შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობა. ამ ვითარებით ისარგებლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა და 1917 წლის 12(25) მარტს, მცხეთაში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ასი წელი შესრულდა ამ ისტორიული დღიდან. წინამდებარე ნაშრომი „ასწლოვანი მატიანე" მოგვითხრობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას 1917-2017 წლებში.

ნაშრომი ეყრდნობა საარქივო მასალებს და სრულად წარმოაჩენს ჩვენი დიდი

პატრიარქების: წმიდა კირიონის, ლეონიდეს, წმიდა ამბროსის, ქრისტეფორეს, წმიდა კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემის, დავითის, ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ნაშრომს ერთვის 1917-2017 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავართა მოკლე ბიოგრაფიები. წიგნი ეძღვნება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 85 და პატრიარქად აღსაყდრების 40 წლისთავს.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

2017 წელი.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II
(1917-1918 წ.წ.)



უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II.

„ჩემთვის მარად საღმრთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივისწრაფოდი. ჩემს სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია, არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო, პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარვყავ... დავიდგი თავზე „ბაბილონის გოდოლი“, შევუდექ საქმეს და საარაკო თავგადასავალი გადამხდა...“
კირიონ II.

გიორგი საძაგლიშვილიდან – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს და უნეტარეს კირიონ II-მდე

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა „ივერიელის, “ „ნიქოზელის“, „ლიხველის“ ფსევდონიმებით საინტერესო წერილები, გამოკვლევები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ხალხური სიტყვიერების ისტორიის, ნუმიზმატიკის საკითხებს. ავტორი გამოირჩეოდა საკვლევი საკითხების ღრმა ცოდნით, სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარულით. ამ წერილების ავტორი იყო გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, ჯერ არქიმანდრიტი, შემდეგ ეპისკოპოსი და ბოლოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, ერში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს გორის მაზრის სოფელ ნიქოზში. მისი მამა, იერონიმე მოსეს ძე საძაგლიშვილი, სასულიერო პირი იყო, მსახურობდა მთიულეთში, დედა, დარია დავითის ასული, განათლებული ქალი იყო და შვილებს სამშობლოს სიყვარულით ზრდიდა. გიორგის წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ და მოღვაწეობდნენ ჩრდილო კავკასიაში ოსების, დიდოელების,ინგუშების ქრისტიანობაზე მოსაქცევად. პატარა გიორგი მამამისმა ანანურის საეკლესიო სკოლაში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ, 1862 წელს, სწავლა გააგრძელებინა გორის სასულიერო სასწავლებელში. ამ დროს უკვე გამოიკვეთა ახალგაზრდა ყმაწვილის მამულიშვილური მისწრაფებანი. როგორც მისი თანაკლასელი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იხსენებდა, გიორგი საძაგლიშვილმა შექმნა სემინარიელების პატარა ჯგუფი,რომელნიც თვეში ოთხჯერ გადიოდნენ შიდა ქართლის ისტორიული ადგილების მოსანახულებლად. არ დარჩენილა არცერთი ეკლესია-მონასტერი, ციხე-სიმაგრე, სადაც ამ ჯგუფის წევრები არ ყოფილან. 1869-1876 წლებში გიორგი საძაგლიშვილი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

თბილისის სასულიერო სემინარია, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების აზრით, ქართველთა გარუსების მძლავრი საყრდენი უნდა ყოფილიყო. სემინარიის სასწავლო გეგმები გამორიცხავდა ეროვნულის მცირე გამოვლინებასაც კი. პედაგოგები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის კოლონიურ ინტერესებს, დევნიდნენ ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდობას. ამ დროს თბილისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ცენტრად იქცა. თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ებრძოდნენ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, ცდილობდნენ „მამული, ენა, სარწმუნოების“ დროშის გარშემო ქართველი ერის გაერთიანებას, დაცემული ეროვნული ღირსების აღდგენას. სემინარიის კედლებს გარეთ არსებული სულისკვეთება აისახებოდა პატრიოტულად განწყობილ სემინარიელ სტუდენტთა აზროვნებაზე. გიორგი საძაგლიშვილი „თერგდალეულთა“ იდეების ერთგული დამცველი გახდა. მან მიზნად დაისახა,ყველაფერი გაეკეთებინა თავისი დაჩაგრული სამშობლოსა და დამონებული ეკლესიის ინტერესების დასაცავად. ყველაფერი გაეკეთებინა. ამ სულისკვეთებით გაემგზავრა იგი კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1880 წელს და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის

ინსპექტორის თანაშემწედ. ამ დროს მას უკვე ჰქონდა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში თანამდებობრივი წინსვლისათვის ყველა პირობა ჰქონდა, მას გული მაინც საქართველოსკენ მოუწევდა. 1883 წელს გიორგი საძაგლიშვილი დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. 1883 წელსვე დაინიშნა თელავის სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველის თანაშემწედ. 1885 წელს გადავიდა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1885-1891 წლებში მუშაობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1891 წლიდან კი თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია, სადაც ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, საღმრთო ისტორიას, გეოგრაფიას. ამ დროს ის უკვე მღვდელი იყო.

1896 წელს მას ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს – გარდაეცვალა ცოლი და შვილები. ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ბერად აღკვეცის შესახებ. 1896 წლის 6 ნოემბერს იგი ეგზარქოსმა ვლადიმერმა აღკვეცა ბერად. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა სახელად კირიონი და დაინიშნა ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად. 1897 წელს მამა კირიონი დაინიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და საქართველოს მონასტრების კეთილმოწესედ. მისი მზრუნველობითა და ხელშეწყობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაარსდა 19 სამრევლო სკოლა. მან ყველა სკოლას შეუქმნა ბიბლიოთეკები. პარალელურად ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა პუბლიკაციებს საქართველოს ისტორიაზე, ეკლესიის ისტორიაზე, ქართულ ფოლკლორზე. ქვათახევის მონასტერში მოღვაწეობის დროს იღუმენმა კირიონმა დაიწყო ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვება, მონასტრის ახლო-მახლო სოფლებში ეცნობოდა ეკლესიებში დაცულ სიძველეებს. „მან განადგურებას გადაარჩინა არაერთი ისტორიული ღირებულების საბუთი ხელნაწერი. შეგროვილი 96 ხელნაწერი,მათ შორის XI საუკუნის სახარება, 1494 წელს გადაწერილი „დავითნი“ და სხვა დოკუმენტები ჩამოიტანა თბილისში და გადასცა საეკლესიო მუზეუმს.“[1] არქიმანდრიტმა კირიონმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა მუზეუმის ისტორიული საბუთებით გამდიდრების საქმეში. იგი მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან, საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ მასალებს ყოველწლიურად უანგაროდ სწირავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. „მარტო 1891 წელს საზოგადოებას გადასცა ტრიოდიონი (მარხვანი), საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, ხუცური ასოებით ნაწერი სადღესასწაულო, ღვთისმშობელი ერთხრობით სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ეწოდების „გვირგვინი“, საღვთო მარგალიტი ძველი საეკლესიო წიგნი ხუცური ეტრატზე ნაწერი, აპოკრიფი ყოველადწმიდა მარიამის სახარებასა და იოსებზე, XVIII საუკუნის ხელნაწერი ლიტურგია ოქროპირისა რუსული ასამაღლებელი ქართული ასოებით, სხვა და სხვა ხელნაწერი წიგნების ფურცლები, ისტორია გინა მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახლისა – ნაპოვნი თელავში, ოთხი ძველი ვერცხლის მონეტა. მან მეცნიერულად შეისწავლა ძველი ქართული აპოკრიფების უცნობი ხელნაწერი,რომელიც დაცული ყოფილა გორის თავადაზნაურობის წინამძღოლის ივანე რატიშვილის ოჯახში.“[2]

1898 წლის 10 მაისს იღუმენი კირიონი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. იმავე წლის 22 აგვისტოს არქიმანდრიტი კირიონი გამორჩეულ იქნა ალაევერდის ეპისკოპოსად. 23 აგვისტოს სიონის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდოცკი) გურია-ოდიშის ეპისკოპოსის ალექსანდრეს (ოქროპირიძე), იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის (დადიანი), გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს (ოქროპირიძე) თანამწირველობით შეასრულა კირიონის ეპისკოპოსად კურთხევის წესი. ეპისკოპოსად სახელდებისას არქიმანდრიტმა კირიონმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: - „მე სრულებითაც არ წარმოვიდგენდი ამ თერამეტი წლის წინათ, როცა კიევის სასულიერო აკადემიის კურსი დავასრულე, თუ ჩემთვის ასეთი ბედნიერი და დიდმნიშვნელოვანი დღე დადგებოდა... კურსის შესრულების შემდეგ დავიწყე სამსახური სასულიერო

სასწავლებელში ახალი თაობის აღმზრდელის ასპარეზზედ. მძიმე ზნეობრივი საოჯახო განსაცდელი მომეულინა მე, და უფალმან ღმერთმან, რომელსაც თავისს მარჯვენაში უპყრია კაცის სვე-ბედის ხვედრი, არა მცირე განსაცდელთა საშუალებით მიმიყვანა მე წმიდა ტრაპეზის წინ, რომელსაც ორას წელზე მეტს ემსახურებოდნენ ჩემი წინაპრები. მას უკან ბევრ რასმეს ვფიქრობდი, ბევრ გეგმას ვაწყობდი ჩემი მომავლის მოღვაწეობისას, ბევრს ადგილს ვარჩევდი სამსახურისას, მაგრამ უფლის განგებულებამ დღეს ნაჩვენებ გზაზე დამაყენა: სხვებსავით მეც ვფიქრობდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა აქაც მიმუხლთა, და ამის გამო სამსახური ეკლესიის მიმართ მონაზონის წოდებაში ჩემთვის აუცილებელ აუშორებელი შეიქმნა. სწორედ ოცი თვის წინათ ამაღე ადგილას, სადაც ახლა ვდგევარ, ვიდექი მონაზონის უბრალო ტანსაცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზვნური ცხოვრებისას... ამის გამო ახალი უმაღლესი დანიშნულება ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. არა რომელთამე ქველმოქმედებათა, არა გონების და ზნეობის თვისებათა და ამით უმეტეს არა მრავალმხრიმა და ნაყოფიერმა მოქმედებამ სამსახურის ასპარეზზედ ღირს-ჰყო სიგლახაკე ჩემი უმაღლესი სამღვდელო მსახურებისა, არა, არამედ „უძლურთა მკურნალმან და ნაკლულევანთა აღმავსებელმა“ ფრიად უხვმან საღმრთო მადლმან. მაგრამ, ვინაიდან გამოცდილებამ და სამსახურში ყოფნამ შემასწავლა მორჩილება და ქედ-მოდრეკა საღმრთო განგების წინაშე, რომელიც ყველაფერს შეიქმს არაფისგან, კეთილმოწიწებითის ძრწოლით და სიმდაბლით ვემორჩილები საღმრთო განგებულებას, ჩემს შესახებ გამოუთქმელს ზრუნვას და დადუმებული ჩემს თავს მიეანდობ უფლის ნებას. დიდი მადლობელი ვარ იმ ჩემი მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტ გზაზე დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტვირთო მძიმე მოვალეობანი მწყემსთაერისა და ვიქნე ალავერდის ეპისკოპოსად — იმ ალავერდისა, სადაც მოღვაწეობდა, სადაც ქადაგებდა და სადაც განისვენებს წმიდა მამა იოსებ ალავერდელი. ალავერდის კათედრაზე მოღვაწეობდა მრავალი ღირსი მღვდელმთავარი, რომელთაც მის წიაღში იგემეს საუკუნო განსასვენებელი. ალავერდის ტაძარი ისეთი სიწმიდეა, რომელსაც დიდ პატივს სცემენ არათუ მხოლოდ მართლმადიდებელნი, არამედ არამართლმადიდებელნიც და თვით მთიანი დაღესტანის მკვიდრნიც — ლეკები და სხვა მაჰმადიანებიც კი, რომელთაც ჩვენი წინაპრები ხმლით ხელში ეომებოდნენ თვისთა სარწმუნოებრივ სიწმიდეთა დასაცავად და ბოლოს ქედი მოადრეკინეს თვისი სიწინდის წინაშე. საღმრთო განგებამ მარგუნა ამ სიწმიდეთა სამსახური. ვმადლობ საღმრთო განგებულებას ამ ხვედრისათვის მით უმეტეს რომ ხელმძღვანელად მეყოლება ეკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობის საქმეში გამოცდილი მღვდელმთავარი მეუფე ფლაბიანე. დასასრულ გთხოვთ წმინდანნო მღვდელმთავარნო, წარმომადგენელნო იერიის ეკლესიისანო, ილოცეთ ჩემთვის, რათა ქვეყნის მწყემსთაერულის ლოცვის მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალა და სიბრძნე მისის ეკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისა.“[3]

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა არქიმანდრიტ კირიონის ეპისკოპოსად კურთხევას. მათ დიდი იმედი ჩაესახათ, რადგან კარგად იცოდნენ ახალი მღვდელმთავრის განათლების და ეროვნული სულისკვეთების შესახებ. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „იერია“ წერდა: „22 აგვისტოს, შაბათს, შუადღისას საქართველოს ეგზარქოსის დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტ კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად. სრული იმედია, ყოვლადსამღვდელო კირიონი, კარგად ცნობილი საქართველოში, როგორც განმაახლებელი მრავალთა ნაშთთა ჩვენის ძველის ხუროთმოძღვრებისა და სასულიერო განათლების თანამგრძნობელი, შეძლებისდაგვარად იმოღვაწებს კახეთის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ასპარეზზედ.“[4] ალავერდის ეპარქიაში ჩასვლისთანავე კირიონმა განაგრძო დაუცხრომელი საქმიანობა. ალავერდის დიდებული ტაძარი მოუელელობისგან განადგურების პირას იყო მისული, სახურავი გამოსაცელელი, გალავანი შესაკეთებელი. ეპისკოპოსმა კირიონმა შეადგენინა

პროექტი და თავისი ხარჯებით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია. ამავე დროს მან დაიწყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლა-შეგროვება. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს გადასცა 68 ხელნაწერი, მათ შორის 1089 წელს გადაწერილი სახარება. ამ აღმოჩენით აღფრთოვანებული ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: „მასში მრავალი საყურადღებო ცნობებია დაცული სახარების ქართულად თარგმნის, თეიმურაზ I-ის და სხვათა შესახებ. სახარების ბოლოს კი ასეთი წარწერაა: „ქ. ადიდენ ღმერთმან ძლიერსა და უძლეველსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოველისა აღმოსავლეთის ნოელისიმოსმან.“[5] ამ აღმოჩენამდე ქართულმა მეცნიერებამ არაფერი იცოდა ბაგრატ IV-ის დროინდელი სახარების შესახებ. ეპისკოპოს კირიონის სახით ქართულ ეკლესია-მონასტრებს და იქ დაცულ ძვირფას ხელნაწერებს ღირსეული დამცველი და პატრონი გამოუჩნდა. „ამავე დროს კირიონმა ყურადღება მიაქცია XIX საუკუნის საქართველოში გაერცელებულ ერთ სამწუხარო ტენდენციას. 1811 წლის შემდეგ, როცა რუსეთის მთავრობამ საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და რუსული წირვა-ლოცვა დააწესა, ხალხი პროტესტის ნიშნად ეკლესიებს სტოვებდა. ამით სარგებლობდნენ სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის მესვეურნი და უკანონოდ იკავებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს. მათ ხელში ჩაიგდეს ქართული ეკლესიები თბილისში, გორში, თელავში, დუშეთში. ეპისკოპოსმა კირიონმა ამ საკითხთან დაკავშირებით ერცელი დასაბუთებული მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა სომხებისაგან უკანონოდ მიტაცებული ქართული ეკლესიების დაბრუნება.“[6] სომხური ნაციონალისტური ბურჟუაზია,რომელსაც დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი გააჩნდა, ქართული ეკლესიების მიტაცებას ჩვეულებრივ მოელენად მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ცდილობდა მოეძებნა დასაბუთება ამ უკანონობისა. ეპისკოპოსი კირიონი ი. ჭავჭავაძესთან და დ. ბაქრაძესთან ერთად აქტიურად ჩაება სომხებთან პოლემიკაში. სომხურმა გაზეთმა „ნორდარმა“ გამოაქვეყნა წერილები, რომელშიც თავისი ერი ქებით ცაზე აიყვანა, ხოლო ქართველები კი უსაქმურ, მკეხარა ხალხად მიიჩნია, რომელიც მხოლოდ სომეხთა მოსამსახურეებად გამოდგებოდა თანაც საბუთად ქართული წყაროები მოიშველია. ეპისკოპოსმა კირიონმა თვით სომხური საისტორიო წყაროების მოშველიებით სომხის ერის ასეთი სურათი დაგვიხატა: „ერი ზავი,გაუგონარი, დიდმეთქავი, უსამართლონი, ტრაბახანი, ზარმაცნი,მძარცველნი,მატყუარანი,მექრთამენი, ცრუმედიდურნი. და იქვე დასძინა,რომ საისტორიო წყაროებს ადამიანური თვალით უნდა შეეხედოთ და არ უნდა ეცადოთ მათ საფუძველზე სხვის დამცირებას!“[7]

1900 წელს ეპისკოპოსი კირიონი გორის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს,მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი ჯერ კამენეც-პოდოლსკის, 1903 წელს — ხერსონესის, 1904 წელს — ორიოლის ეპარქიის, 1906 წელს — სოხუმის, 1907 წელს კოენოს ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. მაინც რა იყო მიზეზი მისთვის ეპარქიების ასეთი ხშირი ცვლისა? რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ გააცნობიერა ის საფრთხე, რომელიც ეპისკოპოს კირიონისგან შეიძლებოდა ჰქონოდა. ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ქართველი სამღვდელოების აღიარებული წინამძღოლი გახდა.

1905 წლის მაისში თბილისში ეერის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ იმსჯელა რა საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობაზე, ერთხმად დაადგინა, გაიგზავნოს პეტიცია იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სახელზე და კატეგორიულად მოითხოვონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 31 მაისის კრების მონაწილე სასულიერო პირები გოლოვინის პროსპექტზე გამოვიდნენ და მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის სასახლისაკენ გაემართნენ. მათ სურდათ იმპერატორისადმი გასაგზავნი წერილი მიერთმიათ მეფისნაცვლისათვის, მაგრამ გოლოვინის გამზირზე საქართველოს ეგზარქოს ალექსის (ოპოცკი) ლოცვა-კურთხევით გამოსულმა „სამართალდამცველებმა“ (რუსმა

პოლიციელებმა ს.ვ.) სასულიერო პირებს მათრახები დაუშინეს, დაუხიეს საეკლესიო დროშები და გაფანტეს ისინი. ამ აღმაშფოთებელი ინციდენტის შესახებ გულისტკივილით წერდა ჟურნალი „მწყემსი“. კავკასიის საერო ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყარდა, სასულიერო პირების დარბევამ არა თუ ჩაცხრო არსებული კრიზისი, არამედ კიდევ უფრო გაამძაფრა იგი. ხელისუფლებას პროტესტი გამოუცხადეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერები გროვდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. გაზეთი „ივერია“ 1906 წელს საგანგებოდ აღნიშნავდა: „აღარ არის დარჩენილი არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომლის სამღვდელოება ავტოკეფალიის მოთხოვნას არ მიჰკედლებოდეს.“ ახლადდანიშნულმა მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა დაარწმუნა პეტერბურგის მთავრობა, რომ აუცილებელი იყო პეტერბურგში რუსეთის ეკლესიის სინოდის სხდომებზე განეხილათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხი.

სინოდის წინარე სხდომის დანიშვნამდე საინტერესოა შექმნილი ვითარების შესახებ ეპისკოპოს კირიონის ჩანაწერები. 1905 წლის 30 ნოემბერს იგი წერდა: „გუშინ მიტროპოლიტმა ფლადიმერმა სადილად არ გამომიშვა, დღეს ენახე ფლაბიანე რომელმაც ბევრი ილაპარაკა ჩვენს ეკლესიურ საქმეებზეც. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უნდა დაუბრუნდეს მეთქი. იმან სთქვა: თუ ეგზარქოსად ქართველს დაუნიშავენ, ქართველები უნდა დაშოშმინდნენ და დასჯერდნენო. პროფესორი სოკოლოვი ენახე, რომელსაც მოუხსენებია მიტროპოლიტ ანტონისათვის, რომ უტყუარი და შეურყეველი საბუთებია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისაო. 1905 წლის 3 დეკემბერს დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს წერს: „კარგი იქნება ივან ვასილიჩ სოკოლოვს მადლობის წერილი მისწეროთ და მით გაამხნეოთ იგი მომავალ მძიმე შრომისათვის. მას მიტროპოლიტ ანტონის კომისიისათვის მოუხსენებია ბერძნული წყაროების მოწმობით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეჭეგარეშეაო.“[8] როდესაც გადაწყდა ქართველი ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის მიწვევა პეტერბურგში, კირიონი წერდა: „კარგა უნდა აიწონ-დაიწონოს საქმე, თორემ შეიძლება იგი სამუდამოდ გავაფუჭოთ. „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა.“[9] „ქართველი ეგზარქოსის დანიშვნით უნდა დაგვაკმაყოფილონ, მაგრამ ვერ მიეართვი.“[10]

1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში მუშაობა დაიწყო საეკლესიო კრების წინარე თათბირმა. მის სხდომებში მონაწილეობას იღებდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 10 მღვდელმთავარი, რუსეთის წამყვანი უნიეერსიტეტებისა და სასულიერო სასწავლებლების 21 დოქტორი-პროფესორი. სხდომებს ხშირად ესწრებოდა რუსეთის სინოდის ობერპროკურორი ა. ობოლენსკი. წინარე თათბირზე შეიქმნა 7 სამუშაო განყოფილება, რომელთაგან მეორეს უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის მომავალი სტატუსი. საქართველოს ეკლესიის ინტერესებს იცავდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, პროფესორები: ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი. რუსების მხრიდან სხდომებს ესწრებოდნენ: მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზები: ტ. ბუტკევიჩი, თ. ტიტოვი, პროფესორები: ი. ბერდნიკოვი, მ. ოსტროუმოვი, ა. ალმაზოვი, ვ. ზაიცნევიჩი, ნ. გლუბოკოვსკი, ი. სოკოლოვი, ა. ბრილიანტოვი, პ. მანსუროვი. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ დეკანოზი ივანე ეოსტორგოვი და რენეგატი ქართველი ეპისკოპოსები დიმიტრი აბაშიძე, და ექვთიმე ელიაშვილი (გორის ეპისკოპოსი — ს. ვ.), რომელსაც კირიონი გულისწყრომით მელიაშვილს უწოდებდა. ეპისკოპოსმა კირიონმა თავის მოხსენებებში ნათლად აჩვენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განელილი დიდი გზა და დაასაბუთა ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა. მისი პირველი მოხსენება, როგორც იგი აღნიშნავდა, იყო „საქართველოს ეკლესიის საკითხი“, რომელიც ძირითადად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დასაბუთების საკითხს დაეთმო. „ქართულ, ბერძნულ, სირიულ (ასურულ) და არაბულ ენოვანი ისტორიული საბუთები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ქართველებმა ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღეს, ხოლო იერარქია და

საეკლესიო-ადმინისტრაციული დაწესებულებები ბიზანტიისაგან გადმოიღეს. შემდეგში საქართველოს ეკლესია შეეიდა ანტიოქიის საყდრის იურისდიქციაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესია ყოველთვის ცდილობდა გათავისუფლებულიყო მეტროპოლიის საეკლესიო ზედამხედველობისაგან და ორგანიზაციულად ჩამოეყალიბებინა დამოუკიდებელი, ეროვნული ეკლესია კათოლიკოსით სათავეში. ქართველების ასეთი, სრულიად ბუნებრივი, თავისთავადი მისწრაფება განხორციელებადი იყო იმიტომ, რომ ქართველები უკვე სრულიად განიმსჭვალნენ ქრისტიანული რელიგიის მაცხოვნებელი სწავლებით. ერთის მხრივ, იერიაში გამოჩნდა ეროვნული საეკლესიო-რელიგიური ცენტრები, სასულიერო-საგანმანათლებლო წიგნები. მეორეს მხრივ, საქართველოს სამეფოს თანდათანობითი გაძლიერება, განსაკუთრებით არაბების მიერ ანტიოქიის აღების შემდეგ 638 წელს, ქართველებში იწვევდა მისწრაფებას,რომ თავისი მშობლიური ეკლესია ექცეოათ ანტიოქიის პატრიარქისაგან სრულიად დამოუკიდებლად. ქართველების ეს წმიდა სურვილი თანდათანობით აღსრულდა. საქართველოს ეკლესიამ გაიარა განვითარების ყველა საფეხური მანამ, სანამ არ მოხდა სადღესასწაულო უწყება: VIII საუკუნის შუახანებში (751 წელს) ანტიოქიის საპატრიარქოს კათედრის (საყდრის) კრების განწესებით, ცნობილი იქნა იერიის ეკლესიის სრული ავტოკეფალია. მცხეთის ეკლესიას ამ დროიდან აღიარებენ და მოიხსენებენ ავტოკეფალურ და საკათოლიკოსო კათედრად, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესიები და საეკლესიო კანონისტები თუ ისტორიკოსები. ასე, რომ VIII საუკუნის შუახანებიდან 1811 წლამდე საქართველოს ეკლესია სრულიად თავისუფალი იყო. კათოლიკოსები განაგებდნენ ეკლესიას რომელიმე გარე სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, უფლის სიტყვის საფუძველზე, მოციქულთა კანონებისა და საეკლესიო კანონების გათვალისწინებით. საკუთარი ინიციატივით იწვევდნენ ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, სადაც ხდებოდა საეკლესიო გადაწყვეტილებების მიღება. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს 1801 წელს, რუსეთის წმიდა სინოდი ვერ შეეგუა იმას, რომ საქართველოს ეკლესიას ჰყავდა დამოუკიდებელი კათოლიკოსი. თუმცა მანამდე გამოცემულ იმპერატორ პავლე I-ის რესკრიპტში კი ეწერა: „არ შეეხოთ საქართველოს ეკლესიის პრივილეგიას.“ დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის იერარქიული დამორჩილებისათვის. სულ მალე წმიდა სინოდის განზრახვა წარმატებით დასრულდა. საქართველოში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის, სამხედრო გენერლის ტორმასოვის მეოხებით კათოლიკოსი ანტონ II 1810 წელს გამოძახებული იქნა წმიდა სინოდში საქართველოს ეკლესიის საქმეების მოწესრიგების მიზნით. უკვე 1811 წლის 30 ივნისს,იგივე გენერალ ტორმასოვის სურვილისამებრ, მის ადგილზე, წმინდა მოციქულების 30-ე და 35-ე კანონებისა და ანტიოქიის კრების 22-ე კანონის საწინააღმდეგოდ, საქართველოს ეგზარქოსად და მცხეთის მიტროპოლიტად დანიშნულ იქნა ვარლაამი (ერისთავი). მხოლოდ დიდსა და უძველეს ეკლესიას ძალუძს შეცვალოს მცირე ხელისუფლების განჩინება. ასე რომ დარღვეულია საეკლესიო კანონები. ჩადენილი იქნა ჯერ არ გაგონილი უსამართლობა, რომლის ანალოგი ეკლესიის ისტორიაში არ მოიძებნება. ისმის კითხვა: ჰქონდა კი კანონიკური უფლება წმიდა სინოდს ასე მოქცეოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას?“ აღნიშნული საკითხის გასარკვევად ქართველმა მღვდელმთავარმა საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან არაერთი მოვლენა გაიხსენა, რაც რუსეთის წმინდა სინოდის მიერ ჩადენილ არაკანონიერ ქმედებას ასაბუთებდა. ეპისკოპოსმა კირიონმა მოხსენებაში ჩამოთვალა ის აუცილებელი პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მომხდარიყო საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება. პირველი. ავტოკეფალიის გაუქმებისათვის აუცილებელი იყო მოქმედი სამღვდელოების ნებაყოფლობითი სურვილი, სხვა მხრივ კი, რომელიმე ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება უნდა მომხდარიყო საეკლესიო კრების სანქციით. მსგავსი რამ საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში სინოდს არ გაუკეთებია. მეორე, თუკი იარსებებდა საქართველოს ეკლესიის მხრიდან თავისი ავტოკეფალური უფლებების

ნებაყოფლობით უარყოფის რაიმე სახის აქტი, მაშინ უკვე რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების თაობაზე ექნებოდა გამართლება. მაგრამ არანაირი მსგავსი აქტი არ ყოფილა. ეპისკოპოსმა კირიონმა დაასახელა მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ მიღებული ის კანონები, რომლებიც იცავდნენ ცალკეული ეკლესიების დამოუკიდებლობას და მათ იურისდიქციას. რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ხელაღებით უარყო მსოფლიო საეკლესიო კრებების ეს დადგენილებები, რომლებიც მას სხვა ეკლესიის თვითმწყემსობის შელახვას უკრძალავდა. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ეს გადაწყვეტილება თავისთავად ეწინააღმეგებოდა კონსტანტინეპოლის კრების მე-2 კანონს, ეფესოს კრების მე-8 კანონს, მოციქულთა კრების 35-ე კანონს და ა. შ."[11]

ამ ერთი შეხედვით მცირე ნაშრომში ქართველმა მღვდელმთავარმა დაასაბუთა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება და ამავე დროს რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ მისი უკანონოდ გაუქმების ფაქტი. ეპისკოპოსი კირიონი თითოეული მოხსენების დასასრულს ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას, რაც თავისთავად გულისხმობდა საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენას. ეპისკოპოს კირიონის მეორე მოხსენება იყო: „რა აიძულებს ქართველებს მიაღწიონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიას?" ამ კითხვაზე ქართველი მღვდელმთავრის პასუხი ძალიან მარტივი იყო: საქართველოს ეკლესიას ჰქონდა ისტორიული და კანონიკური უფლება, მოეთხოვა ავტოკეფალიის აღდგენა; მით უფრო, ამ სურვილს ამძაფრებდა საქართველოს ეკლესიის მაშინდელი სავალალო მდგომარეობა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე რუსი საერო და სასულიერო პირების მხრიდან არაერთხელ გაჟღერდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად, და რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს რევოლუციურმა მოძრაობამ ჩაუყარა საფუძველი. მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფი რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლების აზრით, 1906 წლამდე ქართველ საერო და სასულიერო პირებს არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება საქართველოში სინოდალური მმართველობის არსებობის გამო. სწორედ ეს მოსაზრებები გახდა საფუძველი უსამღვდელოესი კირიონისათვის დაეწერა მეორე მოხსენება სადაც მთლიანად აბათილებდა ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს.

ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნავდა: „ჯერ კიდევ 1801 წლის აპრილის ნოტაში, რომელიც გადმოგვცეს ქართველმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, მოცემული იყო ქართველი ხალხის სურვილი, რომ შენარჩუნებულიყო კათოლიკოსის წოდება და მოვალეობა. საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ერთი წლის შემდეგ, 1802 წელს კახეთის თავადაზნაურობამ განაცხადა: როცა მტრები ჩვენ გვიპყრობდნენ, არც მაშინ და არც შემდეგ, მათ ჩვენთვის არასოდეს გაუუქმებიათ სამეფო წოდება და არ გაუუქმებიათ მღვდელმთავრობა-პატრიარქობა. 1810 წლის 1 მარტს ურბნისის ეპარქიის მრევლმა იშუამდგომლა ა. პ. ტორმასოვთან, რათა აღდგენილიყო ურბნისის სამღვდელმთავრო კათედრა, მაგრამ რატომღაც ეს თხოვნა უადგილოდ იქნა მიჩნეული. 1817 წლისათვის, თელავის მაზრის თავად-აზნაურობამ მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რათა კახეთში გაუქმებული ექვსი ეპარქიის ნაცვლად დაენიშნათ ქორეპისკოპოსი მაინც, რომელიც კახეთში იცხოვრებდა. ეს სრულებით კანონიერი თხოვნა უგულებელყოფილი იქნა. შემდეგ იყო 1820 წლის დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების პროტესტი, რომელსაც ოფიციალურად საეკლესიო „ბუნტი" უწოდეს. იმერეთიდან გადასახლებული ორი უხუცესი მიტროპოლიტი, რომელთაც არ სურდათ წმიდა სინოდს დამორჩილებოდნენ, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ მშობლიური ეკლესიის უფლებებს. გურიის თავადები და აზნაურები 1841 წელს ეგზარქოს ევგენისადმი მიმართულ თხოვნაში იტყობინებოდნენ, რომ გურიის პროვინციაში სამღვდელმთავრო კათედრის დახურვამ გამოიწვია რწმენის დაცემა და გურულებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ მაჰმადიანური თურქეთის საზღვარზე, უშუალო სამღვდელმთავრო დარიგებას, შეგონებასა და მართლმადიდებლურ რწმენაში

სიმტკიცეს საჭიროებდნენ. სწორედ ამიტომ ითხოვდნენ სასულიერო პირის დანიშვნას გურიაში. ისინი მზად იყვნენ გურიაში მივლენილი სასულიერო პირის შენახვისათვის გაეღოთ საკუთარი სახსრები, თუკი მას ხაზინიდან ჯამაგირს არ დაუნიშნავდნენ. ეს შუამდგომლობაც არ შეიწყნარეს... ეს განა, პროტესტი არ არის, განა ეს არ არის შედეგები საქართველოს საკათოლიკოსო კათედრის ასწლოვანი, მწარე ქვრივობისა?“[12] ეპისკოპოსი კირიონის ეს გამოსვლაც კი საკმარისი უნდა ყოფილიყო სიმართლის გასარკვევად. ქართველმა მღვდელმთავარმა ამავე ნაშრომში მიმოიხილა არამართლმადიდებელი აღმსარებლობის მქონე პირთა მოღვაწეობა საქართველოში. ეპისკოპოსმა კირიონმა ისაუბრა 1905 წლის 14 აპრილს მიღებულ დადგენილებაზე, რომლითაც რწმენის შემწყნარებლობა ცხადდებოდა და ამით ხელ-ფეხი ეხსნებოდათ საქართველოში ისედაც აქტიურად მოღვაწე სექტებს. ეპისკოპოსი კირიონის მოხსენება კიდევ ერთხელ ასაბუთებდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა უნდა მომხდარიყო თავად სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, და რომ ეს არ გულისხმობდა რაიმე ფარული პოლიტიკური მიზნების არსებობას. „დასასრულს უნდა ითქვას, რომ საქმის ნახევრად გაკეთება ვერ გვიშველის, აუცილებელია ერთიანი საქართველოს ეკლესია. ვიმედოვნებთ, რომ საეკლესიო სამყარო დაეხმარება ქართველებს ამ გადაუდებელი საკითხის კეთილად გადაწყვეტაში,“[13] – ამ სიტყვებით დაასრულა ეპისკოპოსმა კირიონმა თავისი მეორე მოხსენება.

მესამე მოხსენება – „რომელ ივერიას ებოძა ავტოკეფალია XI საუკუნეში?“, რომლითაც უსამღვდელოესი კირიონი წარსდგა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. „სანამ პირდაპირ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მართებული იქნება, თუ ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმაზე, თუ როდის და როგორ მიენიჭა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია,– დაიწყო თავისი გამოსვლა მან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობაზე საუკუნეთა მანძილზე გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრებები. ერთი თვალსაზრისის თანახმად, საქართველოს ეკლესია დაარსდა იერუსალიმიდან ჩამოსულმა ანდრია პირველწოდებულმა და ამიტომაც ის ავტოკეფალური იყო დაფუძნებისთანავე (I საუკუნიდანვე), ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიები. აღნიშნულმა თვალსაზრისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა გიორგი მთაწმინდელის პასუხში ანტიოქიის პატრიარქთან კამათის დროს (1054-1056). მეორე თვალსაზრისის თანახმად, საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა ვახტანგ გორგასლის დროს, ე. ი. V საუკუნის მეორე ნახევარში. ცნობილი კანონისტის თეოდორე ბალსამონის (1186-1203) ცნობით, საქართველოს ეკლესიამ თავისი ავტოკეფალურობის დასტური მიიღო XI საუკუნეში ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილებით პატრიარქ პეტრეს (1053-1057) დროს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალური იყო V საუკუნეში, მაშინ რატომ გახდა საჭირო მისი თვითმწყემსობის დადასტურება ხელმეორედ XI საუკუნეში? ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, როგორც ქართველ მეცნიერებში (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი), ასევე რუს საერო და სასულიერო პირთა შორისაც. საბოლოოდ ივერიის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის ორჯერ მიღების გამო, ვერავინ ვერ მისცა ახსნა-განმარტება.

ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ორგზის მინიჭების ფაქტს ადასტურებს მ. ბრეკის ცნობებიც. ეპისკოპოსმა კირიონმა სიღრმისეულად შეისწავლა მ. ბრეკის მოწმობა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ვინც მ. ბრეკის მოყვანილ დამოწმებულ მასალებს დაკვირვებით გაუკეთებს ანალიზს იგი დარწმუნდება, რომ ეს მოსაზრება ეკუთვნის არა მცხეთის საკათოლიკოსო კათედრას, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში უწყვეტად ჰყავდა თავისი კათოლიკოსები, არამედ რომელიღაცა სხვა ივერიას. თვითონ ეს ფრაზაც: „როგორც ეს გააკეთა პირველმა კათოლიკოსმა, ხელდასხმულმა სხვა ივერიელებისათვის“ ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ საუბარია სხვა და არა ჩვენს ივერიაზე. მ.

ბრეკის სიტყვებით XI საუკუნეში ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ხელმეორედ მინიჭების ფაქტს ადასტურებდა ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრინიც. საქმე იმაშია, რომ გარდა უძველესი ივერიის სამეფოსი (ქართლი), სადაც ხან მცხეთა იყო დედაქალაქი და ხან თბილისი, იყო მეორე ივერიაც, რომელიც შედარებით გვიან – VII-VIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ეს ახალგაზრდა სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა VIII საუკუნეში, არტანუჯელი ქართველი ბაგრატიონის აშოტ კუროპალატის (787-826) პოლიტიკური ტაქტიანობისა და ბრძნული მმართველობის შედეგად. თავისი ადგილმდებარეობისა და კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრის წყალობით, ქალაქი არტანუჯი სწრაფად გაძლიერდა და გამდიდრდა. ამ ადგილებში დღესაც მრავლად არის ქართული საეკლესიო ძეგლები, რაც აქ მართლმადიდებლობის ზეობას ადასტურებს. X საუკუნეში არტანუჯელი ბაგრატიონების სამეფომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, რაზეც ერთხმად მეტყველებენ ქართული, ბერძნული და სომხური წყაროები. ამ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ ზემო ივერიის ოლქები: კლარჯეთი და ტაო. აი, ზუსტად ძირითადად ქართული ტომებით დასახლებულს ამ ივერიას, მიეკუთვნება მეორე ავტოკეფალია."[4] ქართველმა მღვდელმთავარმა ამ ერთი მცირე ზომის ნაშრომით პასუხი გასცა უკვე დიდი ხნის მანიძილზე არსებულ საკამათო საკითხს. მეოთხე მოხსენება – „ეროვნულობის პრინციპი ეკლესიაში" მთლიანად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობის კანონიკური არგუმენტების მიმოხილვას დაეთმო. ეს საკითხის სრულიად გამორკვეისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. უსამღვდელოესი კირიონი თავის მოხსენებაში მთლიანად დაეყრდნო მოციქულთა 34-ე კანონის მიმოხილვას და მისი მნიშვნელობის განმარტებას. მოციქულთა 34-ე კანონში ეროვნულ თავისთავად ეკლესიებზე და „თითოეული ნათესავის" ეპისკოპოსებზეა საუბარი. 34-ე კანონი ამ ეპისკოპოსების თანატომელებს ავალდებულებს „თავად შერაცხონ ეპისკოპოსი თვისი" და მისი ნებართვის გარეშე არაფერი მოიმოქმედონ. მოციქულთა 34-ე კანონიდან ჩანს, რომ: 1. სანამ მთელი ეკლესია მოციქულთა სწავლების ერთგული რჩებოდა, საერთო მიწიერი ცენტრი, რომელსაც დაექვემდებარებოდნენ ადგილობრივი ეკლესიები, არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. არც ახალ აღთქმაში და არც მოციქულთა კანონებში არ არსებობს მცირეოდენი მინიშნებაც კი ამის შესახებ. 34-ე კანონი ამბობს, რომ ადგილობრივი ეკლესიის ყოველი საქმე საბოლოოდ წყდება მის ეპისკოპოსთა მიერ, მათი პირველი ეპისკოპოსის მეთაურობით; 2. მოციქულებმა არა მარტო დააარსეს ავტოკეფალური ეკლესიები, არამედ მათი ავტოკეფალიის დაცვაზეც იზრუნეს. მითითებული კანონიდან ჩანს, რომ ადგილობრივი ეკლესიის ყოველგვარი საქმე წყდება სხვა ეკლესიის მხრიდან ჩარევის გარეშე, თვით ადგილობრივი ეკლესიის მიერ პირველი ეპისკოპოსის მეთაურობით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეპისკოპოსი კირიონი თვლიდა, რომ მოციქულთა 34-ე კანონის პირდაპირი გაგებით, ყველა ეროვნებას თავისი უმაღლესი სასულიერო ხარისხის წინამძღოლი უნდა ჰყოლოდა: „ქრისტიანულ ეკლესიაში ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია და ამიტომაც მათ შორის არავის არ უნდა ჰქონდეს პრეტენდენტობის, განსაკუთრებული პრივილეგიების ქონის სურვილი. ეკლესიის და ხალხის ერთობა, თანასწორობის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული...

ლათინურმა ერებმა (კათოლიკეებმა) თავისთან ჩამოაყალიბეს მკაცრი საეკლესიო ორგანიზაცია და შექმნეს მაღალმხატვრული ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა); ბერძნებმა, გამოცდილებმა დიალექტურ ზედმიწევნულობაში გამოიმუშავეს რთული და მკაცრი დოგმატიკა. რუსებმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ძირითადი ყურადღება მიაქციეს საეკლესიო წესდებასა და დისციპლინას. გარეგნული მხარე აიყვანეს უმაღლეს საფეხურზე. ქართველებმა კი, თავისი საუკუნოვანი ეროვნული რწმენა გააქრისტიანეს და ქრისტიანული სულით აღივსენ მთლიანად. იგი შეაესეს თავისი ხასიათის თვისებებით: თავმდაბლობით, უბრალოებით გულისხმიერებით, თავგამოდებით, უწყინარობით (უბოროტებით) და სიმტკიცით. ასე მხატვრულად ახასიათებს ქართველებს და მათ ეროვნულ ეკლესიას, ქართველი სწავლული, კათოლიკოსი ნიკოლოზ პირველი (1149-

1160). უსამღვდელესი კირიონის აზრით, კანონიკურად დადგენილი წესები, მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები და მოციქულთა 34-ე კანონი, მას სრულიად სამართლიანად აძლევდა უფლებას მოეთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ძველი საეკლესიო საზღვრების გათვალისწინებითა და კათოლიკოს-პატრიარქით სათავეში."[15] ეპისკოპოსი კირიონი საქართველოში მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილ წერილებში დაწვრილებით აღწერდა პეტერბურგის ამბებს. „1906 წლის 4 იანვარს ვიყავი ობოლენსკისთან, მაგრამ მითხრეს, რომ 12 საათზე მიგიღებთო. ავდექი და ოსტორუმოვთან წავედი. ვნახე, დავიწყეთ საუბარი. თავიდანვე დაიწყო აბდაუბდა ლაპარაკი. ჩემს სიტყვებზედ შესახებ საქართველოს სამღვდელოების უკიდურესს სიღარიბისა, დაიწყო ხმამაღლა გულმოსულმა, გაცხარებით ლაპარაკი: ამოდენა ზღვა ფული ვგზავნეთ საეგზარქოსოში, ზოგ მღვდელს 800-900 მანეთი აქვს ჯამაგირიო, თქვენ კი ჩივით, რომ გაღატაკდა ქართველი სამღვდელოებაო, თქვენ სიბნელეში იყავით, ჩვენ გაგიხსენით სასწავლებლები, დაუნახავები ხართ, ჩვენ დაგიხსენით მონობისაგან, თქვენ კი მხოლოდ ცუდ მხარესა ჰხედავთ რუსების მმართველობაშიო. მე დინჯათ შემდეგი პასუხი მივეცი: ჭეშმარიტება გულმოსულად და გაცხარებით არ წარმოითქმება, არამედ აუღელვებლად მეთქი და წყნარად გელაპარაკებით და არც იმისათვის მოვსულვარ, შეურაცხყოფა მივიღო მეთქი. ამის თქმა იყო და წახდა კაცი, უცნაურად დაეკარგა მედიდურობა, მოიკაკცა, ხმა დაუდაბლდა. მე ცოტათი ავიმაღლე ხმა და ვუთხარი, მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ ქართულ ეპარქიებში ამ ზომის კი არა, 500 მანეთს ჯამაგირს იღებდეს ქართველი მღვდელი წელიწადში. დიდი ჯამაგირები რუსის მღვდლებისათვის და მათის სამრეველოებისათვის არის მეთქი. რაც შეეხება სწავლა-განათლების შემოტანას, რუსეთთან შეერთებამდის, 1802 წლამდის ქართველები მაღლა თუ არა, დაბლა არ იდგნენ რუსებზედ მეთქი. ორი სემინარია გვქონდა, ერთი თბილისში და მეორე თელავში, თქვენ კი ორივე დახურეთ და 17 წლის შემდეგ ძლივს-ძლივობით ერთი სემინარია გახსენით მეთქი და არა ქართული. მიკვირს ეგრე გაბედულად რომ მელაპარაკებით ჩემი სამშობლოს შესახებ და არავითარი ცოდნა არ გაქვთ საქართველოს ეკლესიის წარსულზედ... საუბრის დასასრულს არ იცოდა როგორის პატივისცემითა და მოწიწებით გამოეცილებინე კარებამდის. იქიდან წავედი ობოლენსკისთან, რომელსაც დედა ქართველი ჰყოლია. ძალიან კარგად მიმიღო მეტად დარბაისელი კაცია. მან მითხრა, თქვენ როგორც მცოდნემ თქვენი სამშობლოსი, უნდა გვიშველოთ, როგორ უნდა მოვაწესრიგოთ საეკლესიო საქმე საქართველოშიო. ხელმწიფესთან თქვენ მე დაგასახელეთ და ხელმწიფე იმპერატორმაც მოისურვა თქვენი მოწვევაო. იმის აზრით ქართველი ეგზარქოსი დაინიშნება, კანტორა ძირიანად შეიცვლება, ყველა საქმე მანდვე გასწორდება."[16] ეპისკოპოს კირიონის წერილიდან ეს ერცელი ამონარიდი კიდევ უფრო ამტკიცებს იმ აზრს, რომ საეკლესიო საკითხებზე მსჯელობა არა მარტო ოფიციალურ სხდომებზე ხდებოდა, არამედ სერიოზული კულუარული მუშაობაც იყო გაჩაღებული. მეუფე კირიონს დიდი იმედი ჰქონდა საქართველოდან მხარდაჭერისაც. აი, რას წერდა იგი იოსებ ჩიჯავაძეს: „ძალიან გაგეიჭირდა საქმე. კრებებს ახდენენ ანტონი მიტროპოლიტის სახლში და ჩვენ კი ჯერ-ჯერობით არაფერს გვაგებინებენ. ვეცადე კერძოდ გამეგო, მაგრამ ვერც ამ მხრით გავხდი რასმეს. ეხლა აქ გვირჩიეს მანდიდან დავაჩქარებინოთ საქმე, თორემ აქ როგორღაც ყურებს არ იბერტყამენ. უნდა შეიკრიბოთ, მოიწვიოთ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ დიასამიძე და სხვები გააცნოთ აქაური საქმის მდგომარეობა, შეადგინოთ დეპუტაცია ეორონცოვ-დაშკოვთან და სთხოვოთ მას საქართველოს ბედკრულ ეკლესიას უშველოს რამე. ეჭვი არ არის, რომ როგორც კეთილი კაცი, რომელმაც სომხებს დიდი საქმეები გაუკეთა, ეცდება ამ ბოლო დროს ჩვენთვისაც, რათა საქართველოს ეკლესიური კითხვა სასურველად დააბოლოოს. ეს კითხვა მაგისგან, ვგონებ, აღძრული უნდა იყოს, ეხლა კიდევ საჭიროა მოაგონოს მთავრობას, რომ დაბეჩავებულ ქართველთათვის ერთადერთი ხსნა მხოლოდ მათი ეკლესიის ავტოკეფალიაა. ამგვარად მაგის წყალობით ჩვენი ეკლესია მიიღებს სრულ

თავისუფლებას და აღმოაჩენს სახსარს, ჩვენი დაცემული ხალხი ფეხზედ დააყენოს და გამოიყვანოს ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან. გვიყოს ეს სიკეთე და მაგის სახელს უკვდავ ჰყოფს ჩვენი შთამომავლობა. სასურველია ეორონცოვ-დაშკოვის მიერ აღძრული შუამდგომლობის პირი იშოვნოთ და გამომიგზავნოთ. ამ გვარსავე წერილს წერს ყოველად სამღვდელო ლეონიდი დეკ. მ. ტყემალაძეს, მაგრამ ვშიშობთ, რომ ამ საქმეში სიმხდლობა არ გამოიჩინოს. შენი იმედი კი გვაქვს. აბა, ვინძლო საქმე გაჩარხოთ, სანამ ეორონცოვ-დაშკოვი მანდიდან არ წამოსულა, ვინძლო იერიში კარგად მიიტანოთ. ჩვენ აქ თაეი გადადებული გვაქვს, მანდ თქვენი უნარი უნდა გამოიჩინოთ.“[17]

ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისათვის ეპისკოპოს კირიონის სახელი ძვირფასი იყო და გაიგივებული ავტოკეფალურ მოძრაობასთან. ასეთად აღიქვამდნენ მას პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მეცნიერები: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი. ამ მხრივ საინტერესოა ეპისკოპოს კირიონის ერთი ჩანაწერი (1906 წ. 3 იანვარი) „დღეს ღამის 10 საათზე ცაგარელისგან მივიღე წერილი, რომელშიც იწერებოდა, ეს არის ახლა გაეიგე თქვენი აქ მობრძანებაო. დღეს სადილად ჩემთან უნდა იყვნენ ი. ჭავჭავაძე და გ. ჟურული. ხვალ მიდიან და თუ არ დაიზარებთ აქ მობრძანებას, ძალიან გვასიამოვნებთო. თუმცა გვიანი იყო, მაგრამ ღამის თერთმეტის ნახევარზედ გავაღვიძებინე მეეტლე და გავემგზავრე. ჩემი მისვლა ძალიან ესიამოვნათ. ილიას და გიორგი ჟურულს ენახათ ობერპროკურორი ობოლენსკი, რომელსაც ეთქვა მათთვის, რომ ერთ სამეფოში ორი ავტოკეფალური ეკლესია მოუხერხებელიაო... ხვალ ილია და გიორგი ჟურული საქართველოში მიემგზავრებიან.“[18]

თავიდანვე ცხადი იყო, რომ პეტერბურგში მოწვეულ რუსეთის სინოდის წინარე სხდომების მონაწილეებს რეალურად არ აინტერესებდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ხელისუფლებას სურდა ქართველი ავტოკეფალისტების დაშოშმინება. ამიტომ მათთვის ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების არგუმენტები მიუღებელი იყო. სამაგიეროდ უსმენდნენ და უწონებდნენ პათოსს ცნობილ შავრაზმელ დეკანოზ ივანე ეოსტორგოვს, რომელმაც „დაასაბუთა“, რატომ არ შეიძლებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. აი, რა „არგუმენტებს“ იშველიებდა იგი: „ვამტკიცებ და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში საეკლესიო საქმე ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ დაიღუპება. სპარსეთში საეკლესიო საქმე სრულ გაპარტახებამდე მივიდა მას შემდეგ, რაც საეკლესიო დისციპლინა სრულიად დაეცა და ეპისკოპოსს სამღვდელოებამ აშკარა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა... დაბეჯითებით ვამბობ, რომ საქართველოს საკათოლიკოსოში მღვდლები შეწყვეტენ ეპისკოპოსისადმი მორჩილებას, ყველაფერი უთანხმოებაში გადაიზრდება. ასე რომ, ჩვენი ავტოკეფალიით მოვამზადებთ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების რღვევას, დასაბამს მივცემთ ოპოზიციას, შიდაეკლესიას ეკლესიაში, რაც არ შეწყდება რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგაც. ამის შეჩერება შეუძლებელი იქნება. ეს კი დაქუცმაცებას გამოიწვევს. ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი დღემდე საიდუმლოდ შენახული, მაგრამ მეტად ცნობილი ფაქტი: კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა ეორონცოვ-დაშკომა ზუსტად ნახევარი წლის წინ უწმიდეს სინოდს ტელეგრამით აცნობა, რომ იმერეთის სასულიერო დასმა, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა დახმარებას, ეპისკოპოს ლეონიდს მორჩილებაზე უარი განუცხადა. მე კარგად ვიცნობ იმერეთის სამღვდელოების ყრილობის დადგენილებებს, რომლებშიც წარმოდგენილია პროექტი ეპისკოპოსების შემდგომ უფლებებზე. იმერეთის სამღვდელოებას სურს ეპისკოპოს ლეონიდის უფლებების შეკვეცა, რომ მას მხოლოდ ხელდასხმა შეეძლოს. აღსანიშნავია, რომ ამ კრების მუშაობაში სამღვდელო დასის გვერდით მრეველიც იღებდა მონაწილეობას. ეს ყველაფერი კი ავტოკეფალიის მინიჭებამდე ხდებოდა... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ეიმეორებ, საქართველოში საეკლესიო ცხოვრების დაღუპვას გამოიწვევს. რაც შეეხება ავტოკეფალიის პოლიტიკურ მხარეებსა და მოტივებს (სხვა

მოტივები, ჩემი შეხედულებით, ამ საქმეში სრულებით არ არის), მათ შეფასებას ამჯერად არ დავიწყებ.“[19] „აქ, როგორც ვატყობ, საქმე საბოლოოდ ვერ გარიგდება“ – წერდა ეპისკოპოსი კირიონი, „საქართველო უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილა და უბედურადაც მიდის ჩვენი საქმე“ – ასეთი ჩანაწერები კირიონის წამიერი სისუსტის გამოვლენა იყო, შემდეგ კი ისევ ოპტიმიზმით იწერებოდა იგი – „ჩვენი ხანა შესანიშნავი მომენტია ჩვენს ისტორიაში. ახლა ჩვენ ამის აწონ-დაწონა არ შეგვიძლია. მომავალი თაობა შურის თვალით შემოგვხედავს ჩვენ, რომ ამისთანა დიდებული ჟამის მოწმენი ვართ. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, ხოლო ნამოქმედარის აღწერა მემატიანის საქმეა.“[20] ეპისკოპოსი კირიონი განსაკუთრებით განიცდიდა რენეგატი ქართველების მოღალატეობას და გაუგონარ ნიჰილიზმს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ პეტერბურგში სინოდის წინარე სხდომა და იქ ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის გამოსვლა, რომელმაც ეპისკოპოს კირიონსა და ლეონიდეს სეპარატისტები უწოდა და დასძინა – დაიჭირეთ კირიონი და ლეონიდე, საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია აღარავის გაახსენდებაო. ასევე დასაგმობი იყო ეპისკოპოს ექვთიმე ელიაშვილის მოქმედება. ეპისკოპოსი კირიონი მასზე წერდა: „ელიევი (ელიაშვილი) ღმერთმა დასწყევლოს აქაც და იქაც, რომ მოგწერე, უარი თქვა ავტოკეფალიაზე... ელიაშვილი აქ არის და დაიარება ეგზარქოსთან. ეს ისეთი ყაიდის კაცია, რომ სამოთხეშიც არ დასტოვებს თავის ვერაგობას... ძაან შევთათხე, პირდაპირ გამოვუცხადე, თქვენისთანა ქვეყნის გამყიდველი ადამიანი სამშობლოს არ უნდა მეთქი.“[21] ეპისკოპოს კირიონის დევიზი იყო სამშობლოს მსახურება, ამიტომ ფიქრობდა იგი – სამშობლოს სიყვარული უდიდესი ნეტარებაა, მიწა-წყლის გამყიდველი თავის თავს აძევებს სამშობლოდან, თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგეზარდა ჩვენ და კაცად გეაქცია. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. თავისუფლება ღვთიური ნიჭია, სამშობლოზედ მზრუნველი მამულიშვილი უშიშრად ეგებება სიკვდილს. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი ყველგან ქრისტიანულ სათნოებას და მამულის სიყვარულს ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება მის დევნა-შევიწროებასა და მასზე ცილისწამებას ორგანიზებულ ხასიათს აძლევდა, შაერაზმელი დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი კი მის ჩამოხრჩობას ნატრობდა. ეპისკოპოსმა კირიონმა გაზეთ „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ ვოსტორგოვის წერილს უპასუხა და იგი სიცრუესა და ტენდენციურობაში ამხილა. ვოსტორგოვი გამოხატავდა რა ხელისუფლების პოზიციას, მეგრელებსა და სვანებს არაქართველებად მიიჩნევდა და იქაური სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის გაძევებას მოითხოვდა. ვოსტორგოვი ეპისკოპოს კირიონს აბრალებდა სოხუმის ეპარქიაში რუსების დევნას, სამსახურიდან განთავისუფლებას და მათ ადგილზე გაუნათლებელი, უბირი ქართველების დანიშვნას, გრიგორიევის სახელმძღვანელოს უგულებელყოფას და მის ნაცვლად მისი მეგობრის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს გამოყენებას, აფხაზებისა და ბერძნების დევნას, აფხაზების გაქართველებას. ამ ბრალდების პასუხად ეპისკოპოსი კირიონი წერდა: „ბრალმდებელმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზები თითქმის ორი ათასი წელია, რაც ქართველთა კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებიან და, საკუთარი დამწერლობის უქონლობის გამო თითქმის ათასი წელია ქართულ ენაზე უხდებათ ღვთისმსახურება. ისინი ამდენი ხნის განმავლობაში არ გაქართველებულან და როგორ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თითქოს მე შემეძლო ერთ წელიწადში მათი გაქართველება?.. ნამდვილი ქართველი მოვალეა გაუფრთხილდეს აფხაზურ ენას და აფხაზი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს.“[22] ეპისკოპოსი კირიონი ყურადღებას იჩენდა საქართველოში მცხოვრები ოსების მიმართ. მან შეკრიბა და ჟურნალ „მწყემსში“ გამოაქვეყნა ოსური ლეგენდები. მასვე ეკუთვნის საგანგებო წერილები იალღუზიძე-გაბარათის მიერ შედგენილ ანბანზე, ოსურ ენაზე საღმრთო წიგნების გადათარგმნაზე. აქედან კარგად ჩანს, რა პროვოკაციული მიზნები ჰქონდა დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს, როდესაც ეპისკოპოს კირიონს ბრალს სდებდა სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსებისა და ბერძნების სიძულვილში. კირიონის ავტორიტეტის ზრდა, ხალხის ნდობა

და სიყვარული მიუღებელი იყო, ამიტომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ცილისწამებასთან ერთად გააძლიერა ქართველი ავტოკეფალისტების სასტიკი დევნა. ამის გამოხატულება იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ კირიონისათვის ეპისკოპოსის ხარისხის ჩამორთმევა და სანაქსარის უდაბნოში გადასახლება. ამ დევნა-შეურწროებამ მას მოწამებრიები გვირგვინი დაადგა. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ საქართველოს ეგზარქოსად ავტოკეფალისტებისადმი უკიდურესად უარყოფითად განწყობილი ნიკონ სოფისკის გამოგზავნით დაადასტურა, რომ არ აპირებდა ქართველი ავტოკეფალისტებისათვის რაიმეს დათმობას. ხელისუფლებამ არ იღო ყურად ილია ჭავჭავაძის წინადადება – ნიკონის თბილისში გამოგზავნა უკიდურესად გაამწვავებს ვითარებას და კიდევ უფრო დიდ უსკრულს წარმოშობს ეკლესიასა და საზოგადოებას შორისო. ეგზარქოს ნიკონს თბილისში რკინიგზის სადგურზე პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავდნენ, ასე გრძელდებოდა 1908 წლის 28 მაისამდე, მაგრამ ამ დღეს სიონში წირვის დამთავრების შემდეგ ეგზარქოსის კანცელარიასთან ეტლიდან გადმოსული ეგზარქოსი ააფეთქეს. ეს ტერორისტული აქტი ჩაიდინა ტერორისტმა ნიკო კასრაძემ, მეტსახელად „პატარა ნიკო“ ნიკოლოზ ნამორაძის დაკვეთით მაგრამ ეგზარქოსის მკვლელობაც ქართველ ავტოკეფალისტებს და მათ მეთაურს ეპისკოპოს კირიონს დააბრალეს. ამგვარმა ცილისწამებამ, როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი აღაშფოთა. როდესაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი ეგნატე გეგეჭკორს, მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს შეეკითხნენ, მან უპასუხა: ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა, ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს, მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგავენ. ეპისკოპოს კირიონის დევნის ამბავი რუსეთიდან უცხოეთში გაიტანა ოლივერ უორდროპმა, რომელსაც 1909 წლის 2 აპრილს წერილი გაუგზავნა ალექსანდრე ცაგარელმა: „კირიონი გაგზავნეს ხარკოვიდან ერთ მონასტერში ტამბოვის გუბერნიაში საცხოვრებლად, ცოტა ავად არის, მაგრამ მოსკოვში საავადმყოფოში არ დაარჩინეს, ძალით წაიყვანა პოლიციამ რკინიგზით მონასტერში.“[23] ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც შექმნეს, რომელმაც დაიწყო ხელმოწერების შეგროვება კირიონის განთავისუფლების მოთხოვნით. ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა 1909 წლის 20 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოს სთხოვა დაეცვა ეპისკოპოსი კირიონი დევნა-შეურწროებისაგან. აკაკი წერეთელი იოსებ ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა!.. რაც იმედები მქონდა სულ გამიქარწყლა, მაგრამ ახლა ამაზე გლოვის დრო აღარ არის, თავს არ დავზოგავ. წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დაბრუნდები და მტრებს კი აღარ გავახარებ.“[24] ეპისკოპოსი კირიონი სულიერად ვერ გატეხეს, უარი ვერ ათქმევინეს სამშობლოსა და დედა ეკლესიის სიყვარულზე.

„ტანჯვას კაცი ადვილად იტანს, როდესაც დარწმუნებულია, რომ მისი ტანჯვა თანამემამულეებს ბედნიერებას მიანიჭებს, “ იგი თანამემამულეებს, ავტოკეფალური მოძრაობის მიმდევრებს ამხნევებდა: „ჩემი აქ ყოფნა მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამძიმდება, როდესაც გულსაკლავი და არასანუგეშო ამბები მომივა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამაგვირგვინებელი... წინ ფიანდაზის მაგიერად მართალია ეკლიანი გზა გვიდევს, მაგრამ ეარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია,ძალა ტანჯვაშია.“[25] სანაქსარის უდაბნოში გადასახლებულ კირიონს საგანგებო მეთვალყურედ ჰყავდა იღუმენი ავგუსტინი, რომელიც გაუტეხელი მღვდელმთავრის ყოველ ნაბიჯს გაფაციცებით აკვირდებოდა და ანგარიშს პეტერბურგში აგზავნიდა. ეპისკოპოსმა კირიონმა განმარტოებაში ყოფნისას კიდევ უფრო დიდი სულიერი და შემოქმედებითი ძალა იგრძნო – განმარტოება მასწავლებელია სიბრძნისა, – წერდა იგი – განმარტოება მშობელია გმირთა, განმარტოება კაეშანს აქარვებს, განმარტოება

აკეანია მამულიშვილობისა, განმარტოება მყუდრო ნაეთსაყუდელია, განმარტოება სამკურნალოა გულისა, განმარტოება კრავს, ალომებს, განმარტოება მიზნის მიღწევას აადვილებს". ეპისკოპოსი კირიონი ქართველი ხალხისათვის სამშობლოსა და საქართველოს ეკლესიისათვის წამებულ რაინდად იქცა. რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტების თანადგომა კარგად ჩანს ხარკოვის ქართველ სტუდენტთა მიერ მისადმი გაგზავნილი წერილიდან – „უფალო კირიონ! თქვენ ხართ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებული, ყოველი თქვენი მოქმედება აღბეჭდილია ხალხისადმი განუზომელ მზრუნველობით, თქვენი განუშორებელი ფიქრია საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობა, რომლისთვისაც არ ზოგავთ ძალ-ღონეს, მზად ხართ შესწიროთ თეით სიცოცხლეც კი... სამშობლოს ტკივილი თქვენ ტკივილად გაქვთ მიჩნეული, მისი ნეტარება თქვენ ნეტარებად, ყოველ თქვენ მოქმედებაში, სურვილში თუ ლტოლვილებაში მუდამ ის გამოსჭვივის თუ რა წელილი შეიტანოთ ჩაგრულთა სანუგეშებლად და რა იღონოთ დამჩაგვრელთა დასამხობად, ხალხისადმი ამნაირ განუსაზღვრელ სიყვარულითა და მზრუნველობით აღჭურვილი დაშორდით ამქვეყნიურ ყველანაირ სიამოვნებას და აღიკვეცეთ ბერად, იმიტომ რომ უფრო მეტი დრო გქონოდათ ნაყოფიერი მუშაობისათვის, როდესაც რევოლუციამ იფეთქა და ჩაგრულთა ხმა დაუმალავად შეიქმნა, მაშინ თქვენ უაღრესად აღიმაღლეთ ხმა და თავისუფლების მოძრაობისაკენ სიხარულით გამოეშურეთ, რადგან მასში ხედავდით საერთოდ ჩაგრულ ხალხთა აღდგენას და კერძოდ თქვენი ქვეყნის მძიმე მონობის უღლიდან განთავისუფლებას, მაგრამ რა ჩანელდა რევოლუცია, თქვენ როგორც ერთი საუკეთესო მფარველი ქართველი ერისა, გახდით მსხვერპლი გამძვინვარებულ რეაქციისა. გაძლეეთ პირობას, რომ თქვენი მიწა-წყლის ახალგაზრდა შვილები, თქვენი უმ ცროსი ძმები, თქვენთან ერთად გაილაშქრებენ საერთო მტერზედ და მტრის შემუსვრით ააყვავებენ გათელილ კუთხეს და ჩაგრულ ერს, ვინატროთ, რომ მალე, სულ მალე, მტერი შემუსვრილიყოს, ჩაგრული ერი განთავისუფლებულიყვეს და ჩვენ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მინიჭებოდეს, თქვენ კი მის პირველ მმართველ კათოლიკოსად გვევნახოთ."[26]

1914 წლის 23 მაისს კირიონმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ვრცელი წერილით მიმართა, რომელშიც აღწერა თავისი საქმიანობა. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს მისი ინიციატივით შეგროვილ იქნა 67 000 მანეთი ფრონტის დასახმარებლად, ჩამოაყალიბა საავადმყოფო-ლაზარეთი დაჭრილი მეომრების სარეაბილიტაციოდ, მისი ძალისხმევით დახურვას გადაურჩა ორლოვის სასულიერო სასულიერო სემინარია. წერილში იგი კატეგორიულად უარყოფდა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან რაიმე კავშირს. კირიონი იმპერატორს სთხოვდა მოეხსნათ მისთვის პოლიციის მეთვალყურეობა, აღედგინათ ეპისკოპოსის ხარისხი და საქართველოში დაბრუნების ნება დაერთოთ. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1915 წელს კირიონი აღადგინა ეპისკოპოსის ხარისხში, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჩააბარეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია, წმინდა ანას ორდენითაც დააჯილდოვეს.

1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განსამუხტავად იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. შეიქმნა დროებითი მთავრობა ჯერ როძიანკოს, ხოლო შემდეგ თავად ლვოვის თავმჯდომარეობით. ამ ცვლილებებით კარგად ისარგებლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა და 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ათასობით მორწმუნის თანდასწრებითა და ხელმოწერით მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელიც წაიკითხა გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). „1 ამ დღიდან, ე. ი. 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია,

2. დროებით კათოლიკოსის ამორჩევამდე ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე3. საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება ამმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები". მცხეთაში

მომხდარ ისტორიულ მოვლენას ვიტებსკიდან მიესალმა ავტოკეფალური მოძრაობის სულისჩამდგმელი ეპისკოპოსი კირიონი, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველობას ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა. „გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აეხსნა იველიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, იგი ტანჯვის ცრემლს ღვრიდა, ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას."[27] საქართველოში მოვლენები სწრაფად იცვლებოდა, ავტოკეფალისტები, რომლებიც ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომებში მონაწილეობდნენ, მრავალ საკითხს იხილავდნენ. ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს მათ უკვე აღარ ახსოვდა ეპისკოპოსი კირიონი. თუმცა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ეპისკოპოსი კირიონი ავტოკეფალური მოძრაობის მეთაურად და სამშობლოსათვის წამებულ გმირად იყო მიჩნეული, ამიტომ მორწმუნეთა ჯგუფმა, რომელსაც ქრისტეფორე კაპანაძე ხელმძღვანელობდა, ვიტებსკში ინახულა იგი, და მოუწოდა მას დაბრუნებულიყო სამშობლოში და ჩაბმულიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამსახურში. როგორც იოსებ იმედაშვილი იხსენებდა: „კირიონმა ყურადღებისათვის დიდი მადლობა გადაიხადა მაგრამ მან მტკიცე უარი შემოთვალა კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობაზე. ლეონიდი და მისი მომხრენი მოსვენებას არ მომცემენო."[28] ბოლოს ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. მანამდე პეტერბურგში ჩავიდა, შეხვდა სინოდის ობერპროკურორს და ესაუბრა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მისმა არაკეთილმოსურნეებმა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში საქმის ვითარება ისე დახატეს, თითქოს ეპისკოპოსი კირიონი რუსეთის ეკლესიის ობერპროკურორს გაურიგდა საქართველოს ეკლესიის საზიანოდ. სამშობლოში მომავალ კირიონს არაგვის ხეობაში შეეგება ასოცი ცხენოსანი გიგო ყარანგოზიშვილის ხელმძღვანელობით, იგი დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე, თბილისში კი ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს. როგორც დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე წერდა: „კირიონის მოწინააღმდეგე ბანაკი ცდილობდა მისი რეპუტაციის მოკვლას საზოგადოების თვალში. მას „რუსეთის მთავრობის აგენტს" უწოდებდნენ... საქართველოში დაბრუნებული კირიონი მცირე ხნით დაბრუნდა რუსეთში, იქ ლიკვიდაცია უყო თავის სამსახურს, ჩამობრუნდა ისევ საქართველოში და ითხოვა სამმართველოში ერთ-ერთი მონასტერი კახეთში, მგონი „შუამთა". დროებითმა სამმართველომ უარი უყო კირიონს ამ მონასტერში დაბინავებაზე – ეპისკოპოს პიროსის ეპარქიაშია ეგ მონასტერი და მას ეწყინებაო. ამ სახით იგი ჰაერში დარჩა გამოკიდებული! და დაბინავდა ნავთლულის მღვდლის იოსებ ჩიჯავაძის ოჯახში."[29] დროებითი მმართველობის სხდომებზე მის გამოსვლებს ირონიულად უყურებდნენ. ჰოი საოცრებავ, ავტოკეფალიისათვის ნატანჯი მღვდელმთავარი არა თუ დააფასეს თბილისში, არამედ გაინაპირეს იგი. ამ საეალალო ვითარებამ ათქმევინა მას შემდეგი სიტყვები: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, შორითგან თვალყურს გადევნებდით, ეფიქრობდი, ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგენით საქვეყნო მოვალეობები, მაგრამ როგორც ახლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებული ხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია."[30]

1917 წლის 3 აგვისტოს ეპისკოპოსი კირიონი დაესწრო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თათბირს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 14 აგვისტოს განსაკუთრებული სხდომის მოწვევის შესახებ. 13 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო ს. გორგაძის მოხსენების „საქართველოს ეკლესია და თანამედროვე მომენტი" განხილვაში. 14 აგვისტოს სხდომაზე მოისმინეს ეპისკოპოს ანტონ გიორგაძისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ინფორმაციები პეტროგრადში ქართული ეკლესიის დელეგაციის საქმიანობაზე. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი დახმარება გაუწიეს ირაკლი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ, პროფ. ზურაბ ავალიშვილმა. ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრების 8 სექტემბერს გახსნის შესახებ.

16 აგვისტოს ეპისკოპოს კირიონის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე მოსმენილ იქნა დროებითი მმართველობის კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. ამავე დღეს მიიღეს გადაწყვეტილება დაარსდეს იურიდიული კომისია სამართლის პროექტის შესამუშავებლად.

1917 წლის 8 სექტემბერს თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძარში მუშაობას შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი კრება, რომელსაც ესწრებოდა 448 დელეგატი. კრება გახსნა თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). კრების მუშაობის დასაწყისშივე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კრების თავმჯდომარის კანდიდატურამ. კამათის შემდეგ არჩეულ იქნა კრების პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, რომელშიც შევიდნენ როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები. პრეზიდიუმიდან კრებას თავმჯდომარეობდნენ: სპირიდონ კუდია, ტრიფონ ჯაფარიძე, გიორგი ჟურული. კრებას დეპეშით მიესალმნენ ბერძნები, რუსები, ბაქოს მაჰმადიანები.

9 სექტემბრის სხდომაზე წაკითხულ იქნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მილოცვა საქართველოს საეკლესიო კრების მიმართ. საეკლესიო კრებას საგანგებო დეპეშით მიესალმა რუსეთის სინოდის ობერპროკურორი კარტაშევი, რომელიც, როგორც ფაქტს, აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ ამავე დროს ქართველ ავტოკეფალისტებს შეახსენებდა, რომ ქონებრივი დავის საკითხები, რომელნიც წარმოიშობოდა ქართულ და რუსულ მხარეებს შორის, უნდა გადაეწყვიტა პეტერბურგში საგანგებო კომისიას. საეკლესიო კრებამ მოისმინა სინოდის ობერპროკურორის დეპეშის ტექსტი და შექმნა ჯგუფი, რომელსაც უნდა ემუშავა კარტაშევისათვის გასაგზავნ პასუხზე. 10 სექტემბრის სხდომაზე დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობა, აგრეთვე საერო და სასულიერო განათლების კომისია. ცხარე დისკუსია გაიმართა ავტოკეფალია აღდგენილ ეკლესიაში სამღვდელმთავრო ხარისხების შესახებ. დეკანოზ პოლიევექტოს კარბელაშვილის აზრით ისტორიულად ქართულ ეკლესიას ჰყავდა ეპისკოპოსები და მთავარეპისკოპოსები, მიტროპოლიტები კი ბერძნული და რუსული ეკლესიების მიბაძვით იყენენ. მიუხედავად მისი არგუმენტების სიმყარისა, მაინც არ გავიდა დეკანოზ პოლიევექტოს კარბელაშვილის ეს წინადადება. საეკლესიო კრებაზე ასევე განიხილეს სოხუმის ეპარქიის პრობლემები, რომელთაც ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ იქ ქმნიდნენ რუსი სამღვდელოება და მათი მხარდამჭერნი. მათ სურდათ სოხუმის ეპარქია ჩამოეშორებინათ საქართველოსათვის. ამ საკითხზე საეკლესიო კრების პოზიციას ამაგრებდა ერთი წლის წინ, 1916 წელს, აფხაზთა შუამდგომლობის ტექსტი, რომლითაც მათ მიმართეს რუსეთის სინოდს: „ამჟამად დადის ხმა, რომ სინოდში პროექტია სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა საქართველოდან, რაც სამუდამოდ დააბრკოლებს საეკლესიო ინტერესებს აფხაზეთში. ქრისტიანობის აღდგენისათვის, რომელიც გაჭირობის გზას ადგია და რომელიც მოხდა ზოგიერთ ეკლესიასთან სრულიად დაუკავშირებელ მიზეზთა გამო, საჭიროა ხალხისა და მოძღვართა დაახლოება, შექმნა ისეთი პირობებისა, რაც ხელს შეუწყობს ხალხის და სასულიერო მმართველობის დაახლოებას. სარწმუნოებრივ საკითხებში პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი... სარწმუნოებრივ ინტერესთა დაცვის გამო გთხოვთ არ გამოგეთიშოთ და არ გამოგვყოთ ძველადვე არსებული წყობილებიდან, რომლებიც შექმნილია საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და აფხაზების ისტორიული და კულტურული ცხოვრების მიერ.“[31] საეკლესიო კრებამ გაითვალისწინა აფხაზეთის დელეგატების თვალსაზრისი კერძოდ, შექმნილიყო აფხაზეთის ეპარქია, რომლის მღვდელმთავარს ეწოდებოდა ბედიელ-ცხუმელი. ეპარქიის მღვდელმთავარს უნდა სცოდნოდა ქართული, რუსული, აფხაზური.

11-16 სექტემბერს საეკლესიო კრების სხდომებზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტი. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 13 ეპარქიის შექმნის შესახებ. მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, საქართველოს ეკლესია

იყოფოდა ეპარქიებად, ეპარქიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო იყო საეპარქიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, იქმნებოდა საეკლესიო სასამართლო, რომელიც იყოფოდა საკათოლიკოსო, საოლქო და საეპარქიო სასამართლოებად. საეკლესიო კრებაზე ცხარე დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, აუცილებელი იყო თუ არა საკათოლიკოსო საბჭოს წევრისათვის უმაღლესი განათლება, დისკუსიის შემდეგ დაადგინეს, რომ შესაძლებელი იყო უმაღლესი განათლების გარეშეც საკათოლიკოსო საბჭოს წევრობა. საეკლესიო კრებამ მოისმინა დეკანოზ კორნელი კეკელიძის მოხსენება — „ღვთისმსახურება და სამღვდელოება“ საეკლესიო კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა სასკოლო კომისიის მოხსენება და დაადგინა, საქართველოში არსებული ქალთა და ვაჟთა სასულიერო სასწავლებლები გადაკეთებულ იყო გიმნაზიებად. ამ სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლებას.

საეკლესიო კრებაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში მღვდელმთავრებად დაადგინეს: ქუთათელ-გაენათელად მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე),ჭყონდიდელად — მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია),ურბნელად — ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ალავერდელად — ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), თბილელად — მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე).

„17 სექტემბერს, საეკლესიო კრების ბოლო დღეს გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობდა ორი კანდიდატი: მიტროპოლიტი ლეონიდი და ეპისკოპოსი კირიონი.

განმარტება: სანამ არჩევნებს შეუდგებოდა კრება, დეპუტაცია გაიგზავნა ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდთან პართენ გოთუას მეთაურობით: დეპუტაციამ სთხოვა ლეონიდს — „მოხსენით თქვენი კანდიდატურა კათალიკოსობაზე უყაროთ კენჭი მხოლოდ ერთ კანდიდატს — ეპ. კირიონსო! არ გვსურს კენჭისყრით გაშაედეთ ან თქვენ, ან კირიონიო!“

ტფ. მიტროპ. ლეონიდს ეგონა, რომ ვინაიდან ის უკვე „ტფილელად“ გაეიდა, მორჩა, გამარჯვებული ვარ! წინ ეელარ გაბედავს დამიდგეს კირიონი. დეპუტაციას თავხედად მიეგება „ტფილელი“ — „არა, არ მოეიხსნი ჩემს კანდიდატურას! მარწმუნებენ, შენ გახვალო!“ ალბად არწმუნებდა „ჩვენი დათიკო“! (დავით დავიდოვი — ს. ე.) და მართლაც კინაღამ გაეიდა! 12 ხმით ნაკლები მიიღო კირიონზე! ეგ 12 ხმა დავუკარგე ლეონიდს, როგორც სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ! გავაბათილე მცხეთისა და საგურამოს ოლქების დელეგატთა მანდატები, როგორც არაკანონიერად ამორჩეულებისა — სწორედ 12 დელეგატისა! ეს, რასაკვირველია, მოხდა, შემთხვევით და კანონიერად! არავითარი თაღლითობა მე არ გამიწევია, არც აგიტაციაში მიმიღია მონაწილეობა. კენჭი ორთავე კანდიდატს უყარეს ცალ-ცალკე, რომ არც ერთი არ გაშაეებულიყო! მართლაც, ცალ-ცალკე კენჭის ყრით არც ერთი არ გაშაეებულა კრების მიერ, მხოლოდ კირიონმა მიიღო 12 ხმით მეტი! არჩევნების დროს კირიონიცა და ლეონიდიც სიონის ეზოში იყვნენ, ცალ-ცალკე ოთახში. რო გამოირკვა კენჭის ყრის შედეგები, შემოიყვანეს ჯერ ლეონიდი, რომელიც უნდა მიჰგებებოდა კარი-ბჭეში კირიონს! სულ მთელი ტანით ცახცახებდა ლეონიდი! ხელებიც უკანკალებდა. შეიმოსა და მიეგება კირიონს, რომელიც შემოიყვანა ტაძარში არქიმანდრიტებმა. ლეონიდმა მოკლე სიტყვით მიმართა კირიონს, არწმუნებდა თავის ერთგულებას მისდამი და ჰპირდებოდა გულწრფელ თანამშრომლობას! კირიონმა დინჯად, აუღელვებლად დაიჭირა ამბიონი და იქიდან კრებას მიმართა სიტყვით, მოკლედ, გარკვევით, თავისი ღირსების დაცვით და აღთქმით თავდადებულ სამსახურისათვის. მადლობა შესწირა კრებას და ორივე ხელით ჯვარი გარდასახა. იგრგვინა კრებამ „აქსიოს“! „აქსიოს“! „აქსიოს“! შემდეგ ვიგალობეთ „დღეს სამღვთომან მადლმან“... სიონიდან კათოლიკოსი ამ გალობით და ლიტანიობით, მთელმა კრებამ და ქუჩაში შემოერთებულმა ზღვა ხალხმა, ლეონიდთან ერთად, წაიყვანეს და დაეაბინაეეს „საკათალიკოსო სასახლეში“ (ექსარხოსის ყოფილ სასახლეში). აქ. გრ.

დიასამიძემ სიტყვით მიმართა კირიონსა და ლეონიდს. მოუწოდებდა მათ მწყემსმთავრულ თავ-დადებულ მოღვაწეობისათვის თავიანთ პოსტებზე. შემდეგ მეც ორიოდე სიტყვით მივმართე ორთაველს უსურვე დღეგრძელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა! იმდენი საქმეა დღეს საკეთებელი აოხრებულ საქ. ეკლესიაში, რომ ორთაველს ძალ-ღონეს აღემატება ამ საქმეების დამუშავება თქო! ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ დროც კი არ გექნებათ საკუთარ თავზე თუ თავ-მოყვარეობაზე ფიქრისათვის, თქვენ უნდა მოგვიწესრიგოთ, ორთავემ, ხელიხელ ჩაკიდებულებმა, სინოდისა და მისი აგენტ ექსარხოსების ხელში აოხრებული ივერიის ეკლესია თქო! თქვენ არავისგნით არა გესწავლებათ რა, თქვენ იყავით იმთავიდანვე ჩვენი საეკლესიო საკითხის მესვეურები და ასეთებად გიცნო ჩვენი ერის საეკლესიო კრებამაც თქო! თქვენ ორთავენი არჩეულნი ბრძანდებით კრების მიერ, ორთავენი ერთნაირად ნდობით მოსილნი! გიხაროდენ! გილოცავთ თქვენი დიდი ხნის სურვილის და მისწრაფების აგრე სახელოვანად დაგვირგვინებას, თქვენ უკეე ავტოკეფალური ივერიის ეკლესიის მესვეურნი ბრძანდებით! ისპოლაიეტი-დესპოტა! – გადავეხვიე და ორთაველს ვეამბორე...

ამით გულწრფელად მსურდა ამათი ერთმანეთთან დაკავშირება. მართლაც, რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი. ეყოფოდა ეგ „საქმე“ ათ კირიონსა და ოც ლეონიდსაც!“ - წერდა დეკანოზი ნ. თალაკვაძე. საეკლესიო კრებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც არ გააუქმა თბილელი მიტროპოლიტის კათედრა და თბილისის ეპარქია არ შეუთავსა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. ამის გამო დაირღვა საეკლესიო კანონები და ნიკეის კრების მე-8, ხოლო ანტიოქიის მე-18 მუხლი, რომელთა მიხედვით ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსის მოღვაწეობა დაუშვებელია. საეკლესიო კრებამ შეიმუშავა „ძეგლისწერაი წმიდისა და ღვთივ განბრძობილისა კრებისაი“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჩვენ მღვდელმთავარნი, მღვდელნი და დიაკონნი ქართველთა სანათსაეოისანი და ჩვენივე წარმომაელინებელნიცა, სურვილისამებრ და აღრჩეისა ქართველისა ერისა, ვაცხადებთ თაესა ჩუენს, მწყემსად და მწედ წმინდისა ივერიის ეკლესიისა. აღვთქვამთ და ფიცს ვსდებთ მსახურებად მისდა ყოველთა სულითა, ყოველთა აღმოფშეინვამდე ჩუენდა, ამინ.“[2]

საეკლესიო კრების შემდეგ 1 (14) ოქტომბერს მცხეთაში სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში მოხდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ინტრონიზაცია (აღსაყდრება). სახალხი დღესასწაული იყო სვეტიცხოველში. ტაძრის გალავანში სასწრაფოდ დადგეს მშვენიერად მორთული კვარცხლბეკი. ეკლესიიდან გამობრძანების შემდეგ იქ ადგილი დაიკავა უწმიდესმა კათოლიკოსმა მთელი კრებულით. აქ მან მოისმინა მრავალი მისალმება. უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს მიესალმენ: ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი, ქართული ჯარის სახელით კაპიტანი ირაკლი ცაგურია, საზოგადოების სახელით აქვსენტი აბესაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ირაკლი ამირეჯიბი, ამის შემდეგ კათოლიკოსი კირიონი სტუმრებთან ერთად გაემგზავრნენ სამთავროს მონასტერში, სადაც მას მიესალმნენ: სომეხთა კათოლიკოს გეორქ V-ის სახელით ეპისკოპოსები: ხორენი და მხითარი, დეპუტატი ხარლამოვი. მცხეთობის დღესასწაულს დაესწრო 11000 კაცი. სპეციალურად ამ დღისათვის დაბეჭდილი მოსაწვევი იტყობინებოდა: „მოწყალეო ხელმწიფევე! სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ 17 სექტემბრს ჩვენი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად აღირჩია მისი უწმიდესობა კირიონ II. პირველ ოქტომბერს, მცხეთას, სვეტიცხოველის ტაძარში მოხდება კურთხევა და საყდრად აყვანება მისი უწმიდესობისა. იმედია ყველა, ვისთვისაც ცხოვრების განახლებისა და თავისუფლების პრინციპს მნიშვნელობა აქვს, სიხარულით შეხვდება ამ დღესა, რითაც საქართველოში იწყება ახალი ხანა საეკლესიო ცხოვრებისა.“ ქართველი ხალხის აღფრთოვანება და სიხარული კარგად ჩანს მოქალაქე კონსტანტინე სიმონიშვილის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს, „დღეს, როდესაც ყველა ქართველი, ვისაც კი უდუღს ქართული სისხლი და ხარობს, მეც მათ შორის ერთი, ნებას ვითხოვ სულითა და გულით მოგილოცოთ ეკლესიის ავტოკეფალიის

აღდგენა და მერე თქვენი უწმიდესობის არჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. აგრეთვე გადმოგცეთ მილოცვა მთელი დაობლებული ბორჩალოს მაზრის ქართველი ერისაგან. აქაური ქართველები არ კარგაენ იმედს, ახლა მაინც ამოვა მზე იმათი და იქაურ მრავალ გაპარტახებულ ეკლესიისა, რომელნიც უპატრონობის გამო სხვა ერებისაგან დაჩემებულ იქნა და ზოგიც ძალით წართმეული.“[33] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მეცნიერის კირიონ II-ის არჩევით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, მამულიშვილი და მეცნიერი

„საქართველოს წარსულზე თუ გინდა დაწერო, კალამი სისხლში უნდა ჩააწო და თვალი იალბუზს მიაპყრო" – ამ სულისკვეთებითა და გატაცებით დაიწყო ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლემ გიორგი საძაგლიშვილმა, ხოლო შემდეგ არქიმანდრიტმა, ეპისკოპოსმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ საქართველოს წარსულის მეცნიერული კვლევა-ძიება. მისი საინტერესო წერილები, გამოკვლევები იბეჭდებოდა, „მწყემსში", „ივერიაში" „დროებაში", „კვალში", „ნოვოე ობოზრენიეში", „ტიფლისკი ლისტოკში", „ზაკავკაზკი ვესტნიკში". სამშობლოს სიყვარულმა, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლამ მას უკარნახა პირადულის უარყოფა და სამშობლოსათვის ყველაფრის შეწირვა. ამ სულისკვეთებამ ათქმევინა მას შემდეგი სიტყვები: „მე ქვეყანა და მასზე ზრუნვა ფეხებზედ როდი მკიდია... ჩემთვის მარად საღმრთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივესწრაფოდი. ჩემს სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარვყავ"[33]. კირიონისათვის ძვირფასი იყო საქართველოს ისტორია, საეკლესიო ისტორია .ძველი ქართული ხელნაწერები, ნუმიზმატიკა, სამონასტრო ცხოვრების ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ფოლკლორისტიკა, . საეკლესიო ხუროთმოძღვრება., , საქართველოს ძველი ტაძრები, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვენი წარსული ცხოვრების უტყუარ და ცოცხალ მატიანეს, ამ ნაშთების თვალით გვიცქერს ჩვენ წარსული დიდება ჩვენი სამშობლოსი. სწორედ ეს ძველი ტაძრები არიან გამომხატველი ჩვენი სამშობლოსი. სწორედ ეს ძველი ტაძრები არიან გამომხატველი ჩვენი ძველი დიდებისა და აწინდელი ჩვენი უბადრუკობისა... ჩვენი დაუდევრობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ჯერეთ კიდევ ვერ შეგვიგნია მათი მნიშვნელობა... როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოადგენენ სარკეს, რომელშიც ცხადად ვხედავთ წარსულის დროს, როდესაც საქართველო წარმოადგენდა ერთ დიდ სამსხვერპლოს, რომლებზედაც საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს: „თუ რა სანიმუშო იყო ეპისკოპოს კირიონის დამოკიდებულება ქართულ სამონასტრო ცენტრებისადმი, რომელთაც თავისებური წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურის განვითარებაში. სანიმუშოდ მოვიტანთ მის ნაშრომს„ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი". ეპისკოპოსი კირიონი არსებული საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე საინტერესოდ გადმოგვცემს მონასტრის ისტორიას. „ღირსი სტეფანე იყო მოწაფე ამბა იოანე ზედაზნელისა. თავისი მრავალჭირნახული ღვაწლისათვის მან შეარჩია ცივგომბორის ქედზე მცირე ფერდო, რომელიც იმ დროს დაფარული იყო უსიერი ტყით. აქ მან აღაშენა თავისი ზეციური მფარველის წმ. პირველმოწამე სტეფანეს სახელზე მცირე ეკლესია, რომელიც, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, კახეთის მეფე კვირიკე I-ის შრომით შეცვლილა იმავე პირველმოწამის, რომლის ხსენებაც 27 დეკემბერსაა, სახელზე აგებული საკმაოდ მოზრდილი ტაძრით.

ჩვენ, არც თუ უსაფუძვლოდ, მზად ვიყავით ეს ტაძარი აგებულების მიხედვით მიგვეკუთვნებინა კვირიკეს მეფობის წინა დროისათვის, რომ არა მონასტრის გუმბათის საკმაოდ მოზრდილი კონუსი, რომელიც აშენებასთან შედარებით გვიანდელ ხანაზე მიგვანიშნებს, თუმცა, საგულისხმოა, რომ კახეთის გვირგვინოსანი კვირიკე იყო მხოლოდ ერთ–ერთი აღმდგენელი, რომელმაც მონასტერს მაღალი გუმბათი დაადგა თავისი ეპოქის გემოვნებასთან შესაბამისად. უკანასკნელი რესტავრაციის დროსაც (XIX ს.), როდესაც გუმბათი დახურეს თუნუქით, ალბათ საკმაოდ ამაღლდა მისი კონუსიც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით რესტაურაციები ხანდახან მთლიანად ცვლიან ტაძრების პირვანდელ სტილს, რაც აიძულებს მრავალ ცნობისმოყვარე, მაგრამ არა მთლად კომპეტენტურ მეცნიერს ქართული ტაძრების ხუროთმოძღვრების შესახებ მსჯელობისას

მიაკუთვნონ ისინი უფრო გვიანდელ ხანას, ვიდრე სინამდვილეში ეკუთვნიან.

ჩვენმა მონასტერმა მიიღო სახელი ხირსისა, ხოლო თვით მისი დამაარსებელი ღირსი სტეფანე იწოდებოდა ხირსელად. რომელი სიტყვიდან წარმოდგა ეს სახელი — უცნობია. მას ახსნა არც ქართულ მატიანეებში აქვს. თუმცა, ზოგს სახელი „ხირსა" გამოჰყავს ქართული სიტყვიდან „ღირსი", რომელიც, ვითომდა, გარდაქმნილია ხირსად. ზოგნი კი მას უკავშირებენ მონასტრის ახლოს გამომავალ მდინარე ხირსას, რომელიც, იმ დროს, როდესაც გარშემო მთები დაფარული იყო ხშირი ტყით, საკმოდ წყალუხვი ყოფილა. დღესაც მასზე თავისუფლად მუშაობს ორღარიანი წისქვილი, აღარას ვამბობთ იმაზე, რომ აქედან გაედინება ბევრი წყალი ბაღების, მინდვრებისა და მდელოების მოსარწყავად.

ჩვენი ფიქრით, მეორე ახსნა სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, თუმცა ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მდინარეს შეეძლო მიეღო სახელი მონასტრისაგან. მაგრამ ამ სახელის ასახსნელად არის სხვა გზაც — შესაბამისი სიტყვა ვეძიოთ მცირეაზიურ პროვინციებში, ძველად საკმაოდ დიდხანს რომ ბინადრობდნენ ჩვენი წინაპრები, საიდანაც სესხების მაგალითები ჩვენში ცოტა როდია. ასე მაგალითად, ქართლის ადგილის, „სურამის" მნიშვნელობა უცნობია ქართულში, მაგრამ უეჭველია, რომ იგი ჩვენში შემოტანილია მცირე აზიიდან. ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც ეგვიპტის ფარაონმა შიშოკმა სძლია იუდეველთა სამეფოს და დაიპყრო 133 ქალაქი, ერთ-ერთი მათგანი იწოდებოდა „სურამად".

თუ მივყვებით ამ გზას, ენახავთ, რომ მსგავსი სიტყვა მართლაც მოიპოვება სამარიაში, რომელიც ძველად პალესტინის ნაწილს წარმოადგენდა იქვე მიანიშნებს მდინარე ხერსიზე პტოლემეოსი თავის გეოგრაფიაში. ვითვალისწინებთ რა სამარიის ახლო მეზობლობას სირიასთან, საიდანაც მოვიდა ჩვენთან ათცამეტი კაბადოკიელი მამა, მეტ-ნაკლები უეჭველობით შეიძლება ვთქვათ, რომ თვით ღირს სტეფანეს შეეძლო გადმოეტანა ეს დასახელება სამარიიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი განმარტოებული მოსაგრეობის ადგილისათვის. ვიმეორებთ, რომ სესხების მსგავსი მაგალითი ჩვენში ბევრია და, მაშასადამე, შესაბამისად სიტყვა „ხირსა" ადვილად შეიძლებოდა შემოსულიყო ჩვენთან მცირე აზიიდან.

ალბათ დასახელება ხირსიდან წარმოდგა სათავადო გვარი ხირსელი, რომელიც შემდეგ გადაკეთებულა „ხირსელოვად".

ხირსის მონასტერი აგებულია ქართული სტილით, მაგრამ იგი სამამულო არქიტექტურის აყვავების ხანის მსგავსი ვერ არის. ადრე მას ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამისიონერო-სარწმუნოებრივ საქმეში, იყო ერთ-ერთი საუკეთესო სამისიონერო ბანაკი. ამ სავანის მკვიდრნი დაულალავად და ენერგიულად იღვწოდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად პირქუშ ლეკთა შორის, რომლებიც იყვნენ იმ დროისათვის მიუდგომელი დაღესტნის ველური და თავისუფალი შვილები. ამ მონასტრის წინამძღვართაგან სამისიონერო სარბიელზე განსაკუთრებით იღვაწა XVIII საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში კარგად ცნობილმა წმ. იოანე მანგლელმა ეპისკოპოსმა, გვარად საააკაძემ († 28 მარტი, 1751 წ.), რომლის წმიდა ნაწილები განისვენებენ ტიფლისის სიონის საკათედრო ტაძარში სიონის ღვთისმშობლის თითქმის პირდაპირ (ცოტა მარჯვნივ). ეს ცნობილი და უშიშარი მისიონერი, რომელმაც საღვთისმეტყველო განათლება მიიღო დავით გარეჯის სკოლაში, ბერთუბნის უდაბნოში, მოციქულებრივი სულისკვეთებით მოღვაწეობდა ქალაქებში: დერბენტში, ასტრახანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მრავალ ალაგას აარსებდა მონასტრებს, სკოლებსა და ეკლესიებს და ყველგან უხვად აერცელებდა ქრისტიანული სიბრძნის სხივებს. განსაკუთრებით ბევრი იღვაწა მან ოსეთსა და ინგუშეთის მოსაქცევად, რის გამოც, სრულიად სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ იგი მათ ახალ განმანათლებლად. მცირე ხატი ამ მღვდელმთავრის ნაწილებით შემკული, რომელსაც ატარებდა გულზე უკანასკნელი კათოლიკოსი ქართველი ბატონიშვილი ანტონ II, ამჟამად ინახება ტიფლისის ანჩისხატის ტაძრის საკურთხეველში.

მონასტრის ტაძარს, რომელიც გეირგვინდება მაღალი კონუსის მსგავსი გუნბათით მაღალდასჯდომლიდან დასავლეთის კარიბჭემდე აქვს სიგრძე 41 ადლი, 6 გოჯი, სიგანე – 23 ადლი, 10 გოჯი, ხოლო სიმაღლე ლაევგარდანამდე – 15 ადლი, 1 გოჯი. შემოსასვლელი კარი ორი აქვს – დასავლეთიდან და სამხრეთიდან, რომელიც ჯერ ნიკოლოზის ეკვდერისაკენ მიემართება, ხოლო იქიდან – მთავარ ტაძარში. მთავარ საკურთხეველში არის ქვისაგან ნაგები ტრაპეზე, სიგრძით 21 გოჯი, სიგანით კი 21 გოჯი. მისგან მარჯვნივ, სამხრეთით, არის კამარიანი ეკვდერი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე (აღინიშნება აღდგომის მეორე დღეს), მარცხნივ კი, ჩრდილოეთით, აგრეთვე ქვის საკურთხეველიანი ეკვდერია, რომელიც ახლა გადაუქცევიათ ჭურჭლის საცავად, რომლის შესასვლელშიც არის სამარხი ღირსი სტეფანე ხირსელისა, გაკეთებული მონასტრის ყოფილი წინამძღვრის არქიმანდრიტ ლეონიდეს, აწ იმერეთის ეპისკოპოსის, მიერ მარმარილოს ქვეშ დაგებული ხით, რომელზეც ამ წმინდანის სრული გამოსახულებაა. ხირსის მონასტრის სამრეკლო სამსართულიანია. იგი მდებარეობს დასავლეთით, დახურულია თეთრი თუნუქითა და აუგია იღუმენ ალექსანდრეს (საყვარელიძე), ძირითადად საკუთარი სახსრებით. მონასტრის შენობათა ირგვლივ გალავანი საკმაოდ ფართოა, მოიცავს დაახლოებით მეოთხედ დესეტინას. ძველად გალავანს უკვეთელად ჰქონდა კუთხეებში სიმაგრეები, ახლა კი ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გადარჩენილია ერთი მრგვალი ერთიარუსიანი კოშკი, რომელიც მონასტრის გალავანზე მაღალი არ არის. მონასტრის ტაძარს ადრე ჰქონია თავისი გალავანი, რომლისგანაც ამჟამად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაშთებიღაა დარჩენილი, სიმაღლით მონასტრის მოედნის დონემდე. მონასტრის ეზოში, ტაძრის წინ, ყოფილა მშვენიერი წყაროს წყალი, იგი გადმოდიოდა მონასტრიდან ორ ვერსზე აქამდე არსებული წყაროდან, რომელიც ატარებს კოდის წყაროს სახელს. სამწუხაროდ, ბერებმა ვერ შეძლეს თავის დროზე დაეცვათ დანაგვიანებისაგან თიხის მილები, რომელშიც მოედინებოდა ციცი და გემრიელი წყალი. მონასტრის ეზოში წყალი შეწყდა, სარწყავი წყლის უქონლობის გამო მონასტრის ტერიტორიაზე ყველა მცენარე ზაფხულის პირველივე ცხელ დღეებში ხმება და მნახველზე საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მონასტრის ეზოში მოთავსებულია განსაკუთრებული ფლიგელი საეკლესიო-სამრევლო სკოლისათვის და მარანი, რომელიც აუშენებია ყოფილ წინამძღვარს არქინამდრიტ ლეონიდეს. აქვეა ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართულზე მოთავსებულია წინამძღვრის განსასვენებელი, ხოლო ქვედა სართულზე ცხოვრობს ძმობა. გალავანს სამხრეთით აქვს ჭიშკარი, ხოლო ჩრდილოეთით მცირე კარი, გამავალი ერთი დესეტინის ფართობის მქონე ვენახში, რომელიც გაუშენებია მონასტრის ბერს გიორგის (შაინშვილი). იგი დაკრძალულია ეზოში, ნიკოლოზის ეკვდერის წინ. მონასტერი ქიზიყის მოსახელობაში დიდი პატივით სარგებლობს. სავანის ტაძრის დღესასწაული, როგორც ზემოთ ვთქვით, 27 დეკემბერს არის და შემოიკრებს მრავალ ქართველ, სომეხსა და თვით ლეკ-მაჰმადიან მლოცველს. მაგრამ, ტაძრის დღესასწაულის გარდა, გარშემო ბინადარნი გულმოდგინედ დადიან მონასტერში კვირა დღეს, განსაკუთრებით კი ათორმეტ დღესასწაულზე.

აქვე საჭიროა აღინიშნოს თავისი სიძველით განსაკუთრებით შესანიშნავი ერთი ჩვეულება, რომელიც ქართველთა შორის ქიზიყშია შემონახული (სიღნაღის მაზრა). აღთქმის მიხედვით, ირგვლივ მოსახლე მამაკაცები მონასტერს სწირავენ თავის ფიზიკურ შრომას, ე. ი. მოდიან მონასტერში და მუშაობენ უსასყიდლოდ რამდენიმე თვე, საკუთარი აღთქმის პირობაზე. მონასტერი კი მხოლოდ კვებავს ამ უფასო მუშებს და აძლევს ქალამნებს. მონასტრისათვის თავისი შრომის უსასყიდლოდ შემწირველ მუშას ეწოდება კურატი. როდესაც კურატი დროს გაასრულებს, სთხოვს მღვდელმონაზონს, გადაუხადოს პარაკლისი და ბრუნდება შინ. ჩვენ ამ ჩვეულებას აღსანიშნავი იმად ვუწოდეთ, რომ მსგავსი სიტყვა ჰქონდათ ჩვენს თანატომელ ხეთებს, მათთან შესაწირ საქონელს ერქვა კურატი. ქართლში შესაწირ საქონელს, ხბოს,

დღემდე შემორჩა სახელი კურატი."[34] ეპისკოპოსი კირიონი გატაცებით იკვლევდა საქართველოს მატერიალურ და სულიერი კულტურის ისტორიის პრობლემებს. იგი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი წიგნი და 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია. მისი ნაშრომების უმრავლესობა რუსულ ენაზეა. იგი იკვლევდა ანტიკური, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საქართველოს ისტორიას, საეკლესიო ისტორიას, სამონასტრო ცხოვრებას საქართველოსა და რუსეთში, ხალხურ სიტყვიერების ისტორიას, ნუმიზმატიკას, წყართმცოდნეობას. მას საგანგებოდ უძებნია საისტორიო მასალები რუსეთსა და საქართველოს არქივებში. საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა წყაროთა მონაცემებს. მისი თხრობა იყო ლაღი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს ეპისკოპოსი კირიონის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებულ „წმიდა მოწამე აბო ტფილელიდან:" „წამებულ საქართველოს საეკლესიო ისტორია შებღალულია წმ. მოწამეთა და ქრისტეს აღმსარებელთა სისხლითა, იმ ყოველად ქებულ ზეციურის მოძღვრებით მოსილთა კაცთა და ქრისტესათვის თაედადებულთა მებრძოლთა ყოელად აღმატებულთა თავიანთ თანამედროვეთა შორის. მაგალითი და ცხოერება ბევრად უფრო ძლიერად ჰმოქმედობს ჩვენზედა, ვიდრე სიტყვა, რადგან რა არის მართალთა ცხოერება წმინდანთა, თუ არა მაჩვენებელი კეთილმსახურების ღვაწლსა და მით მწვრთნელი ჩვენი? ცხოერება წმინდანთა ძვირფასი სალაროა, საიდანაც ყველას შეუძლიან ამოიღოს, რაც-კი საჭიროა მის წარმატებისათვის სულიერს ცხოერებაში, შესაფერისად მის ძალ-ღონისა, წლოვანებისა, წოდებისა და შეძლებისა... ღვაწლმოსილება მათი ამაღლებს სულს, აღანთებს სარწმუნოებას და ქრისტეს მიმართ სიყვარულს, აღძრავს კეთილ-მსახურებით აღსავსე მეშურნეობის და წამბაძველობის სურვილს, ამხნევებს ადამიანებს, ნუგეშს სცემს, ძალას აძლევს ცხოერებას უკუღმართობის ასატანად, ავსებს გონებას ქრისტიანობის მაღალისა და დიდებულის მოძღერების ფიქრითა". საინტერესოა მისი კომენტარი ტექსტის ისტორიულ ნაწილთან მიმართებაში. მაგალითად, , , ზოგიერთი ძველნი წმ. აბოს სხეულისა გადარჩა დაწვას, ამბობს აღმწერი მისის ცხოერებისა, წყლიდან ამოიღეს იგინი და დაჰკრძალეს იმ ადგილას, სადაც მოწამებრივ განუტევა სული ნეტარმა, აქედან მერე, როგორც ამბობს ვახუშტი, ნეშტი წმინდანისა გადატანილ იქნა გორის მაზრაში, სოფ. არბოს, სადაც დაკძალეულს ადგილას აშენებულა ეკლესია წმ. აბოს სახელობაზედო, (იხ. გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი ვახუშტისა, გვ. 250), მაგრამ ეს აზრი ჩვენის ისტორიკოსისა და გეოგრაფოსისა დამყარებულია მარტო ოდენ იმ მსგავსობაზედ, რომელიც არსებობს მოწამეს სახელს აბოსა და სოფელ არბოს შორის, არბოს შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა არბოობა ჰნიშნავს ბაზრობას და მაშასადამე სოფლის სახელწოდება არ არის წარმომდგარი მოწამის აბოს სახელისაგან. თვით არბოს ეკლესია აბოს სახელობაზედ არ არის აშენებული, არამედ წმ. მთავარმოწამისა და ძლევა-შემოსილის გიორგი სახელობაზედ".[35]

ეპისკოპოსი კირიონისათვის წმ. მეფე დავით აღმაშენებელი იყო პოლიტიკოსისა და მეფის იდეალი, რომელმაც „რაკი გაათავისუფლა სამეფო თურქთა მონობისაგან, შეუდგა ახლა ეკლესიისა და ერის მდგომარეობის გამართვას და განკარგებასა... ახლა, რაკი ცუდად თუ ბევრად აღამაღლა და განსპეტაკა ზნეობა თვისთა ქვეშევრდომათა, დაცემული მაჰმადის თაყვანისმცემელთა გაელენით, შეუდგა ეკლესიების განახლებასა და შემკობასა... ამ აზრით, ნიშნაედა ყველგან ღვთისნიერ ეპისკოპოსებს, ამრაელებდა რიცხვს საკურთხეველის მსახურთა და მფარველობდა სასულიერო განათლებას... თუმცა, ასეთს გამუდმებულს ზრუნვასა და ფიქრში იყო დავით მეფე და ცდილობდა ღვთისა და ეკლესიისა და ქვეყნის კეთილდღეობასა, მაინც იმდენ დროს კიდევ ჰპოვებდა, რომ ესაზრდოებინა თავისი სული საღმრთო წიგნებისა და მამათა ნაწერების კითხვითა... საღმრთო წიგნების კითხვაც უყვარდა და თვითონაც თხზაედა საგალობლებს. ერთი ამისთანა საგალობელი შედგენილია დავითის მიერ წმ. ანდრია კრიტელის შენანების საგალობელის მსგავსად. ამ საგალობელში სულ ცხრა მუხლია და თითოეულს მუხლს ზედ დართული აქვს: „მიწყალე მე, ღმერთო მიწყალე მე". ცხრა მუხლის საგალობლისას

ცხრა სძლის პირიც ზედ მოსდევს. აღფრთოვანებული პიეტური და ყვავილდასმული ენა საგალობლისა, ღრმა ცოდნა საღმრთო წერილისა, შიგ გამოხატული ჭეშმარიტი საქრისტიანო გრძნობა სიმდაბლისა საესებით ახასიათებს დიდბუნებოვანს მის შემოქმედს დავით აღმაშენებელს და ვითარებას მისის სულისას".[36] ეხება რა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ცალკეულ პროვინციულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას, ერის სულიერ დაკნინებას, აღნიშნავს: „როცა ქვეყანა დაშლილია, მტერი ადვილად იპყრობს მას, ხოლო დაპყრობილი ქვეყნის თანამგზაურია გადაგვარებულ ადამიანთა მხრიდან მუდმივი ღალატი, გაუტანლობა, უკანონობა და ბიწიერება." ეპისკოპოსი კირიონი არასოდეს არ ცდილობდა საქართველოს ისტორიულ წარსულს ადვოკატურ-გამოსარჩლებით პრინციპებით შეხებოდა, პირიქით, იგი არ ფარავდა ჩვენს ნაკლოვანებას, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, რომელთა უმრავლესობამ „მოწამებრივი გვირგვინი" დაიდგა. ეპისკოპოს კირიონზე, როგორც მკვლევარზე, სრულ წარმოდგენას გვიქმნის მისი კაპიტალური ნაშრომი, „იერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში". 1907 წელს იგი ფიქრობდა დაებეჭდა 140-გვერდიანი წერილი სათაურით: „საქართველოს კულტურული დამსახურებანი რუსეთის ისტორიაში", მაგრამ მუშაობის პროცესში იმდენი საინტერესო მასალა დაუგროვდა, რომ გადაწყვიტა უკვე სხვა სათაურით გამოეცა. ამ წიგნზე კირიონი განსაკუთრებული სიყვარულითა და მონდომებით მუშაობდა„ „თუმცა სუსტად ვარ," წერს 1908 წლის 16 დეკემბერს ის დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს, მაგრამ ყოველდღე არანაკლებ 8 საათს ვმუშაობ. ჩემი თხზულება ძაან იზრდება. არცერთ ჩემ თხზულებაზედ იმდენი არ მიშრომია და არც ასე კმაყოფილი ვყოფილვარ შრომით."[37] ამ წიგნზე მუშაობა მას განსაკუთრებულად რთულ ვითარებაში უხდებოდა. კირიონს როგორც მგზნებარე მამულიშვილს და ავტოკეფალისტს დააბრალეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ სანაქსარის უდაბნოში გადაასახლეს, სადაც ზამთარში საშინელი სუსხი და ყინვა, გაზაფხულზე და ზაფხულში ჭაობების აშმორებული და მყრალი სუნი, გაუთავებელი წვიმები და აუარებელი კოღო იყო. ამას თან ერთვოდა საკვების ნაკლებობა, მაგრამ კირიონმა ამ ნაშრომზე მუშაობით ყველას დაუმტკიცა, რომ მისი სულიერად გატეხვა შეუძლებელი იყო„ „მეტად დიდი ჯაფა მოუნდა ამ ჩემს უკანასკნელ თხზულებას," წერდა იგი ტარასი კანდელაკს, — რომელსაც ბენიამენი ეუწოდე სახელად, რადგან ეს ჩემი ნაბოლარა შვილია".[38] კირიონმა წიგნის რედაქტორობა და დაბეჭდვა სთხოვა თავის ძველ მეგობარს ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელიც ჩვეული გულისხმიერებით მიუდგა ამ საქმეს და 1910 წლის სექტემბერში წიგნმა დღის სინათლე იხილა. წიგნი იმთავითვე შეირაცხა როგორც გამორჩეული მეცნიერული ნაშრომი, რომელიც სწრაფად გავრცელდა როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. როგორც ტარასი კანდელაკი ეპისკოპოს კირიონს 1910 წლის 2 ოქტომბერს აცნობებდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ვიკითხე: იყიდება თუ არა მეთქი და მითხრეს იყიდებაო. რუსეთში უფრო იწერენო. ძალიან დაინტერესებული არიან ყველანი ამ წიგნით და უკვირთ სად შეკრიბა ამოდენა მასალებიო."[39] ამ წიგნის გაცნობა მკითხველს არწმუნებს ავტორის ფრიად განსწავლულობაში, იმაში, რომ მას ზედმიწევნით შეუსწავლია მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვის, კიევის, კამენიც-პოდოლსკის, ხერსონის, ორიოლის, კონევოს მონასტრების, მუზეუმების და სახელმწიფო არქივის მასალები, აღარას ვამბობთ ქართულ საარქივო და სამუზეუმო მასალებზე. ამ ნაშრომით იგი წარმოჩინდება როგორც თავისი ტანჯული სამშობლოს ჭეშმარიტი მოამაგე და მოყვარული ადამიანი „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს," — წერდა ეპისკოპოსი კირიონი, — და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია — ისევე როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნის და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩაწვედე წარსულს, გაიგო აწმყო და

შეგნებულად იმუშაო მომაყალი დიადი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის".[40] ნაშრომის წინასიტყვაობაში ეპისკოპოსი კირიონი ბრძანებს:, , საკითხი, რომელსაც შეეხე სრულიად ახალია ეკლესიის ისტორიის მეცნიერებაში. წინამორბედი არ მყოლია, გაუკვალაე გზით მიედიოდი და ამიტომაც ეს ნაშრომი პირველი ცდაა ამ საქმეში. ვინაიდან რიგი ქართული წერილობითი ძეგლებისა (რომელთა უმრავლესობას საბეჭდი დაზგა არასოდეს უხილავს) ნაკლებადაა გამოკვლეული, ცხადია ამგვარი მოცულობის საქმე ერთი ადამიანის ძალებს აღემატება და მრავალთა მუშაკობას მოითხოვს". ნაშრომი თავდაპირველად ქართულად იყო შედგენილი, მაგრამ უმრავლესობის რჩევით ავტორმა მისი რუსული ვარიანტი შეადგინა და გამოსცა.

ნაშრომის დასაწყისში ეპისკოპოსი კირიონი სინანულით აღნიშნავდა: „საოცარია, მაგრამ რუსები დღეს ნახევრადეელურ ვოგულებსა და ლოასრებს უფრო იცნობენ, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებსა და მათ ისტორიას და ეს მაშინ, როცა ქართველები თავიანთი ქრისტიანული ღვაწლით, მაღალი ეროენული კულტურით იმსახურებენ უფრო დიდსა და რაც მთავარია სერიოზულ ყურადღებასა და შესწავლას... რუსულ ენაზე არ არსებობს კეთილსინდისიერი და საფუძვლიანი ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ".[41] ეპისკოპოსი კირიონი მიმოიხილავს რა VIII-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიას, მის ოქროს ხანას როგორც პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო სფეროში, გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა რუსულ კულტურაზე., , ქართველობის სასულიერო განათლება რუსეთში ორი გზით შევიდა: შაეზღვისპირეთიდან და ორი განთქმული მონასტრიდან — ათონის ივირონიდან და პეტრიწონიდან... ივერია ანუ საქართველო, რუსებისათვის უცნობი ქეყანა არ იყო, ის კარგად იცნობდა ყოველდწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ მართლმადიდებელ საქართველოს, მართლმადიდებლობისათვის თავდადებულს და მამაც ჯვართმპყრობელ ქართველებს, რომელთაც ქრისტესა და მისი წმ. ეკლესიისათვის მუსლიმურ სამყაროსთან გამუდმებული ბრძოლით გაითქვეს სახელი".[42] ეპისკოპოსი კირიონი ერცლად მიმოიხილავდა იმ ქართველების ღვაწლს, რომელთაც V-XII საუკუნეებში სახელი გაითქვეს ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კირიონის აზრით, საქართველო რაც უფრო იკრებდა ძალას პოლიტიკურად და წარმატებით და სწრაფად ფართოვდებოდა, მით უფრო იზრდებოდა მისი სულიერ-საგანმანათლებლო გავლენა სომხებზე, მრავალეროვან კავკასიის მთიელებსა და სლაევებზე... 1453 წელს კონსტანტინოპოლი, ერთ დროს ქრისტიანობის ბურჯი და საყდარი დაეცა, რამაც, ბუნებრივია წარმოშვა კითხვა — „ვინ უნდა ყოფილიყო მისი მემკვიდრე მართლმადიდებლობის დამცველის როლში?" კირიონი რუსული წყაროების და რუს მკვლევართა ნაშრომების ღრმა ანალიზის საფუძველზე აკეთებდა იმ დროისათვის მეტად გაბედულ დასკვნას. ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ რუსეთის გამოცხადება, , XV საუკუნის ბოლოს უსაქმურ მჯღაბნელთა მიერ მოხდა. ამ მიზანს ემსახურებოდა თხზულება ნოვგოროდული „თეთრი ბარტყულას" შესახებ იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინათ „წაერთმევა რომს მადლი, დიდება და პატივი, ასევე აგარიანთა უღელს ქვეშ მყოფ ქალაქ კონსტანტინოპოლს სიწმინდის მადლი და ყოველი სიწმინდე ღვთისაგან რუსეთის მიწას მოემადლება. ამ დროიდან რუსეთში ამოძრავდა ყველა ცოტათი თუ ბევრად წერა-კითხვის მცოდნე. ყოველი მხრიდან გაისმა კალმის წრიპინი. გაცხოველებული მიმოწერა გაჩაღდა, რათა მოეძებნათ საფუძველი იმ დიდი როლის გასამართლებლად, რუსეთს რომ მიაწერეს."[43] თუ წარმოვიდგენთ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის დიდ იმპერიულ ამბიციებს, რუსული საზოგადოების აზრის ამ ამბიციების რეალიზაციისათვის მზადყოფნას. ამ დროს გადასახლებაში მყოფი ეპისკოპოს კირიონისაგან ასეთი თამამი მხილება იმპერიული ამბიციებისა, რაც ნიღაბს ხდიდა რუსეთის ცრუ მესიანიზმს, გმირობის ტოლფასი იყო. ეპისკოპოსი კირიონის აზრით, ისტორიული მონაცემები და თანამედროვეთა გადმოცემები ერთხმად ადასტურებს, რომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე და შემდეგაც ქართველები და მათი მეფეები იყვნენ ქრისტიანული აღმოსავლეთის,მისი სიწმინდეების მთავარი დამცველები.

იგი გამოთქვამდა იმედს, რომ თავის დროზე უეჭველად დაიწერებოდა ჭეშმარიტი ისტორია აღმოსავლეთში ქართველთა თავდადებული მოღვაწეობის შესახებ და მაშინ ქრისტიანული სამყაროსათვის განმაცვიფრებელი იქნება ის მძიმე ისტორიული როლი, რომელიც ღვთის განგებამ ქართველებს მიაკუთვნა ქრისტიანთა და აღმოსავლეთ საქრისტიანოს წმინდა ადგილების მფარველობის საქმეში, საოცარია, როგორ შეძლო პატარა საქართველომ ამხელა მსხვერპლის მიტანა ღვთის საკურთხეველზე. ქართულმა ეკლესიამ მაღალი და წმინდა მისია შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ეპისკოპოსმა კირიონმა ამ ნაშრომით დაუმტკიცა რუსულ სამეცნიერო საზოგადოებას, რომ იგი ანგარიშგასაწევი მეცნიერი იყო და ასწორებდა იმ ხარვეზებს, რომელიც რუს და ევროპელ მეცნიერებს ჰქონდათ, რომელნიც სათანადოდ ვერ ითვალისწინებდნენ ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში ქართველების, ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის როლსა და მნიშვნელობას.

ეპისკოპოს კირიონს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის სიძველეთა გადარჩენის საქმეში. სადაც არ უნდა ელვაწა მას, ყველგან იწყებდა ძველი ხელნაწერების, საისტორიო საბუთების, სამონასტრო არქივების, ძველი ფულების შეგროვებას და მათ მეცნიერულ დამუშავებას. იგი 1897 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური საზოგადოების წევრია. კირიონი გატაცებით სწავლობდა საოჯახო არქივებში დაცულ ხელნაწერებს. მან გამოიკვლია ქართველ წარჩინებულ გვართა: თარხან-მოურავების, ფალავანდიშვილების, ჩოლოყაშვილების, ანდრონიკაშვილების, ამილახერების, თუმანიშვილების, ერისთავების, ამირეჯიბების საოჯახო არქივებში დაცული მასალები. იგი საკუთარი სახსრებით იძენდა ძვირფას ხელნაწერებს და გადასცემდა საქართველოს საეკლესიო მუზეუმებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას.„ , ერეკლე მეფის ნაწერი პატარა ჩარხოში გააკეთე და ისე გადაეცი მუზეუმს, — წერდა იგი ტარასი კანდელაკს, — გარდა ჩემი საშინაო სურათების ალბომისა, ძველი სურათები, ხატები, ხელნაწერები და საზოგადოდ,რაც სამუზეუმო აღმოჩნდეს, ყველა წამოიღე მუზეუმისათვის გადასაცემად, მუზეუმს გადაეცი აგრეთვე ეგზარქოსის სახლისა და კანტორის შენობის კუპიები, იულონ ბატონიშვილის მარჯნის ტარიანი კოზები... სტუდენტებს რომ გადაეაწერინე ხელნაწერები პეტერბურგში ეგენიც გადაეცი".

ეპისკოპოს კირიონს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ღირებული გამოკვლევის შექმნა საარქივო მასალების გარეშე შეუძლებელი იყო. „არქივის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულის მხრივ, ამას ჩვენ დროში არავინ არ უარყოფს. არქივი არის მართალი მატიანე მოღვაწეებზედ და მათ მოქმედებაზედ. მისი პირით თვით ჭეშმარიტება ლაღადებს. ის მუზაა ისტორიისა, ნამდვილი ძალით წერს თავის განაჩენს საზოგადოებაზედ და მათ წარსულ მოღვაწეებზედ. არქივის თვალით გვიცქერიან ჩვენ ჩვენნი წინაპარნი და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავაელოთ ჩვენ მათ მოქმედებას და ღვაწლს."[44] ეპისკოპოს კირიონის მრავალმხრივი ინტერესი კარგად ჩანს მის ნაშრომებში:„ანანურის ტაძრის აღწერა", „ბჭობა ისნის სასახლეში განდგომილების აღმოჩენის გამო 1492 წ."„1334 წელს გიორგი ბრწყინვალის დარბაზობა ციხეზედ", „ბაგრატ III-ის მეფობა" „ლიპარიტ ორბელიანის განდგომა", „ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის ღალატი ჯალალ-ედ-დინის შემოსევის დროს", „ქართველი მთიელები და გიორგი ბრწყინვალე დადგენილებათა განმარტებით".

კირიონი დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ენის, ლიტერატურის, ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი. კირიონის პირად ფონდში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (საქმე №171) მრავალი საყურადღებო მასალაა. მისი ლოცვა-კურთხევით საგანგებო ჯგუფს (გრიგოლ ყიფშიძე, დავით კარიჭაშვილი, გრიგოლ დიასამიძე,ტარასი კანდელაკი) დაუწყია მუშაობა,რათა შეეკრიბა ის ქართული სიტყვები, რომელნიც ლექსიკონებში არ იყო დაფიქსირებული და მეტყველებაში იყენებდნენ. ყველა პირი, ვინც უცნობ სიტყვებს აღმოაჩენდა, მატერიალურად წახალისდებოდა.

ეპისკოპოს კირიონის მიერ შეკრებილი მანამდე უცნობი ქართული სიტყვები დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის,,ძველი საქართველოს" მეორე ტომში. მას გამოსაცემად ჰქონდა მომზადებული „ქართული ანდაზები და გამოცემები", „ბრძნული აზრები". წერილები ხატობაზე, სტუმარ-მასპინძლობაზე. ამ სფეროში მისი კონსულტანტი იყო მისი მეგობარი ვაჟა-ფშაველა. 1909 წელს იგი ტარასი კანდელაკს წერდა:, , თუ ვაჟა-ფშაველა მანდ იყოს, ჰკითხე კოპალობა როდის მოდის? სად არის უმთაერესი მისი სადღესასწაულო ნაგებობა? როგორ დღესასწაულობენ? კოპალას სახით რომელ წმინდანს სცემენ თაყვანს? მისი სალოცავები სად და რა ადგილას არიან? ხალხში რა გადმოცემაა კოპალაზედ? როდის შემოულიათ ეს დღეობა საქართველოში? ლეგენდა თუ რამ არის ამ ხატის შესახებ ხალხში დარჩენილი?"[45] თუმცა ეპისკოპოსი კირიონი უკრიტიკოდ არ იღებდა ვაჟა-ფშაველას მოსაზრებებს,ზოგჯერ მისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობდა. 1913 წელს იგი ვაჟას წერილს „წაწლობაზე" გამოეხმაურა და აღნიშნა: „წაწლობაზე სწორე არა მგონია აზრი ვაჟა-ფშაველასი. წაწლობას არავითარი საერთო არა აქვს რაინდობასთან. წაწლობა ლაშა გიორგიზე ადრე უნდა ყოფილიყო ფშაველებში. სახელწოდება ლაშარის ჯვარი რომ მართლა იყოს წარმომდგარი ლაშასაგან, მაშინ ჩვენი ერის კანონით, ლაშას ჯვარი იქნებოდა და არა ლაშარის ჯვარი. ლაშარის ჯვარი, ჩემი აზრით, სწარმოებს სიტყვიდან „ლაშქარი". აქედან ლაშქარის ანუ ლაშარის ჯვარი, რომელიც ომიანობის წინ ლაშქარს წინ მიჰქონდათ და მშვიდობიანობის დროს იმ სალოცავში ესვენა,რომელსაც ხალხი უწოდებს ლაშარის ჯვრად. ქართლშიც არის სალოცავები: მცხეთის ჯვარი, გორის ჯვარი, გარეჯვარი".[46] ეპისკოპოსი კირიონი მოხიბლული იყო ქართული პოეზიით, რომელსაც ანკარა მთის წყაროს უწოდებდა, ხოლო „ეეფხისტყაოსანს" ქართული პოეზიის იალბუზს. მან 1904 წლის ჟურნალ „მოამბეში" გამოაქვეყნა საინტერესო ტექსტოლოგიური დაკვირვება „ეეფხისტყაოსნის" შესახებ. ეპისკოპოსი კირიონი მეცნიერულად სწავლობდა ქართულ აგიოგრაფიას, საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს და მათ ისტორიას, ბიბლიის ქართულ თარგმანებს. მისთვის „ქართული ენა — დედაენა არის უფლის კურთხეით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმიდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი, დანგრევა მათი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა,რომელიც მუდამ იცავს თავის ერს, ზნეს და ჩვეულს".[47] ამ აზრს იცავს იგი იმ დროს, როდესაც ერთის მხრივ გადაგვარებული ქართველები კოსმოპოლიტურ ჭურჭში გახვეულნი „მცირე ერთა ენების" შესახებ გამოთქვამენ ვარაუდს ქართული ენის უპერსპექტივობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ,ქართველი სოციალ-დემოკრატები გაშმაგებით ებრძვიან ყოველივე ქართულს. ამ მძიმე ვითარებამ ათქმევინა აკაკი წერეთელს — „მტერი იძახის ვინ გაიგონა ეხლანდელ დროში ეროვნებაო, მხოლოდ ერთია მუშათ საკითხი, გულს დაიჭედეთ მარქსის მცნებაო. ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის სულ სხვანაირად გაიყურება, ცდილობს კისერი მოგვატეხინოს და მით თავის ერს ემსახურება".

ქართული ღირებულებების, ქართული მეობის უპირველესი დამცველი კირიონის აზრით ქართული ოჯახი და მისი ბურჯი — ქართველი ქალი იყო.,, ძველად ქართველი ქალი დედაც იყო, დიასახლისიც და მასწავლებელიც — წერდა იგი. ქმარი მხედრობდა, ლაშქრობდა, ომობდა სარწმუნოების და მამულის დასაცავად. ცოლი შრომობდა შინ, უვლიდა სახლს, კარ-მიდამოს და ქმრის შინ არყოფნის დროს, ავაზაკად და საძარცვაოდ მოსულ აკაცს, მტერს გმირულად უხვდებოდა, არ აკლებინდებოდა სახლკარს... ამგვარი ქალები არ აკლდა სოფელს, იგინი იბადებოდნენ გლეხის სახლშიაც, კეთილშობილთა დარბაზშიც და მეფეთა სასახლეშიც".[48] ეპისკოპოსი კირიონი გმირ ქართველ დედას „ქალთა მეფეს" უწოდებდა, ხოლო ქვეყნიერ სამოთხეს ბედნიერ ოჯახში ხედავდა. ეპისკოპოსი კირიონი ქართული გალობის, ქართული ხალხური მუსიკის დამცველი და პატივისმცემელი იყო. „მუსიკა წარმოადგენს სარკეს, როგორც ხალხის მხატვრული ისტორიის ცოცხალი მატიანე, — წერდა იგი, — რომელშიც

რელიეფურადაა ასახული მისი შემქმნელი ერის განელილი ცხოვრება, მისი ისტორიის სასიამოვნო და სამწუხარო ფურცლები, მისი მიღწევები და ჩამორჩენები. სიმღერა მოუსყიდველი მოსამართლე და მუდმივი თანამგზავრია სიმართლისა, მასში დაცულია ხალხის მთელი წარსული დროის თავდადება, მისი სურვილები, ტრადიცია, რომელშიც ერთ მთლიან თხრობადაა გადმოცემული ქართველი ხალხის უძველესი თაობებისა და მოვლენების დაუწერელი ისტორია, მშობლიური ხალხის თავგადასავალი".[49]

ეპისკოპოსმა კირიონმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად შეადგინა „ქართული სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო". „ჩვენი მუშაობა,წერდა იგი,– დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დარი დაუდგება საზოგადოდ ქართულ ენას ჩვენს საშუალო სკოლაში. და კერძოდ ამ სახელმძღვანელოს. საჭიროა სკოლამ მტკიცე ეროვნული ხასიათი მიიღოს და სწავლა საგნებისა ქართულად წარმოებდეს. ხოლო ეს მაშინ მოხდება, როდესაც მთლიანად საქართველოს ცხოვრება ეროვნულ საფუძველზე მოეწყობა და ქართული ენა უალრესად საჭირო შეიქმნება ყოველ დაწესებულებაში. ამას კი ვინ იცის როდის მოვასწრებთ და მოვესწრებით კი როდესმე... 1918 წელს გამოვიდა წიგნი, სადაც უწმიდესი კირიონის ტრაგიკული აღსასრულით შეწუხებული გრიგოლ ყიფშიძე წერდა: „მოვესწარით ჩვენი ნატვრის აღსრულებას, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოესწრო ის, ვინც პირველმა ითავა ამ სახელმძღვანელოს შედგენა."[50] ეპისკოპოს კირიონის სახელს უკავშირდება 1904 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის გახსნა, რომელსაც 97 ბიბლიოგრაფიული იშვიათი წიგნი გადასცა. თუ რა რთული და წინააღმდეგობრივი იყო პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფლების პოზიცია საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის გახსნასთან დაკავშირებით ამის შესახებ ეპისკოპოს კირიონს მოეუსმინოთ: „1900 წლის დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსომ წმ. სინოდის წინაშე შუამდგომლობა დააყენა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ. ქართული ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარემ კომიტეტის გადაწყვეტილებით წმ. სინოდის წევრებს, აგრეთვე ობერპროკურორს, სასულიერო აკადემიის რექტორსა და მეცნიერებს 15 მარტს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: „1901 წლის 12 სექტემბერს 100 წელი შესრულდა რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ მოვლენის სათანადოდ აღსანიშნავად სახელმწიფო დაწესებულებებში შესაფერისი პროექტები მზადდება. მინდა ჩვენი მხრიდანაც ღირსეული საქმით ავღნიშნოთ ის დღე. საქართველოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსებმა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ფლავიანეს-საქართველოს ეგზარქოსს - წერილობითი თხოვნით მიმართეს. მათ ეგზარქოსს სთხოვეს, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის ჩამოყალიბება. ეს მიზნად ისახავს, დამუშავებულ იქნას სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო საზოგადოებრივ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები. აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში ქართული ეკლესიის,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მონასტრებში დაცული ხელნაწერები. ეჭვი არ გეეპარება, რომ იველრიის ეკლესიის ისტორიის შესწავლა, მოყოლებული V საუკუნიდან, უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. იველრია ხომ თითქმის 16 საუკუნე იდგა მართლმადიდებლობის სადარაჯოზე. რადგანაც თქვენთვის უმაღლესი საღვთისმეტყველო მეცნიერების გასაჭირი და ინტერესები კარგადაა ცნობილი. ქართული ეკლესიის მუზეუმი გთხოვთ თქვენს ქრისტიანულ განმანათლებლურ ხელშეწყობას, რათა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც უამრავი ხელნაწერი და ნაბეჭდი საუნჯეა, დაარსდეს საქართველოს ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა. ამასთანავე დავსძენთ, რომ თანდართულ ბროშურაში საკმაოდ დაწერილებითაა საუბარი ქართული ეკლესიის წერილობითი ძეგლების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. წმ. სინოდის 1900 წ. 30 აპრილის №2665 ბრძანებით სანკტპეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოს დაევალა აღნიშნულ საკითხზე დასკვნა წარედგინა. საკითხის გარშემო მსჯელობისას, 1900 წ.

22 მაისის №1 მინაწერით შედგა კომისია ტ. ვ. ბარსოვის თავჯდომარეობით, რომელშიც შედიოდნენ: პროფესორი პოკროვსკი და დოცენტი ბრილიანტოვი.

საბჭოს სხდომის ჟურნალი № 9, 1902 წლის 18 მარტი. მოისმინეს: სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ კომისიის შემდეგი აზრი: აკადემიის საბჭოს დავალებით კომისიამ იმსჯელა ქართული მუზეუმის კომიტეტის მიერ აღძრულ საკითხზე, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების გამო და შემდეგ წინადადებაზე შეჩერდა:

1. დღესდღეობით, როცა აკადემიაში არ ისწავლება საქართველოს ეკლესიის ისტორია, ზოგიერთი ცნობა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ბედს, მისი ღვთისმსახურების წესსა და ადმინისტრაციულ წყობას შეეხება, გადმოიცემა მწირად, საერთო საეკლესიო და რუსეთის ისტორიის მეცნიერებათა ზღვა მასალების განხილვისას, მაგრამ დასახელებული მეცნიერებების პედაგოგებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი და ღირსშესანიშნავი მოვლენების დეტალური განხილვა და გადმოცემა არ ძალუძთ. ამიტომაც იმსახურებს ყურადღებას საქართველოს ეკლესიის მუზეუმის შუამდგომლობა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაფუძნების თაობაზე; განსაკუთრებით მხედველობაში თუ მივიღებთ იმ ნივთიერ, წერილობით, ისტორიულ, არქეოლოგიურ, სამართლებრივ ძეგლთა სიმდიდრეს, რომლებიც სხვადასხვა ბიბლეოთეკებს, მუზეუმებსა და არქივებში ინახება, აკადემიაში ასეთი კათედრის დაარსება უდავოდ შეუწყობდა ხელს აკადემიური კურსის მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასა და, კერძოდ, მართლმადიდებლურ ეკლესიათაგან ერთერთი უძველესი ისტორიის შესწავლას.

2. საქართველოს ეკლესიის ისტორიული ბედი, ისევე როგორც ბედი ქართველი ხალხისა, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სხვა ქრისტიანული ეკლესიების — სომხურის, სირიულ-ქალდეურისა, და საერთოდ, აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების ისტორიასთან. ეს გარემოება გვავალდებულებს, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწორად გაგება, შესწავლა და აღქმა მხოლოდ მთლიანობაშია შესაძლებელი. ამიტომაც, აღნიშნული კათედრის გამართული და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია მეზობელი ქვეყნების ეკლესიების ისტორიის და არა მხოლოდ ეკლესიის ისტორიისადმი ყურადღების მიქცევა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის ამ სახით ჩამოყალიბება, რომელიც ტომობრივი სეპარატიზმით არ შემოიზღუდებოდა, გაგვაცნობდა აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიულ ცნობებს, რაც დღეს აკადემიაში სწავლების შესამჩნევი ხარვეზია.

3. მიუხედავად ამ ცნობის ღირებულებისა, აღნიშნული მასალა საკმაოდ სპეციფიკურია. არ შეიძლება აკადემიის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოდ ჩაითვალოს ამ კათედრის ლექციების მოსმენა. ამას მსურველთა ნება უნდა განაპირობებდეს. ამიტომაც აღნიშნული კათედრის გახსნა უნდა მოხდეს პირობითად, ექსპერიმენტის სახით, რათა ერთის მხრივ, დავრწმუნდეთ მისი არსებობის აუცილებლობაში; მეორეს მხრივ კი იმაში, რომ კათედრის მასალა სასარგებლოა და აკმაყოფილებს მსმენელთა ცნობისწადილს.

4. გარკვეულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს შემოთავაზებულ კათედრაზე საიმედო, მომზადებული და უნარიანი პედაგოგების დანიშვნა. უეჭველია, რომ ამ კათედრის მასწავლებლისათვის უცხო უნდა იყოს ნებისმიერი ნაციონალური სეპარატიზმის სულისკვეთება. ასეთი კათედრის საუკეთესო ხელმძღვანელი შეიძლება ყოფილიყო სასულიერო აკადემიის აღზრდილი, რომელსაც ღვთისმეტყველებასთან ერთად ეცოდინებოდა საჭირო ენები ძეგლების დამოუკიდებლად შესწავლისა და დამუშავებისათვის. ასეთი მასწავლებლების მიღება კი შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებული მომზადებით და მის მიერ უნიეერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულის, სომხურისა და სირიული ენების შესწავლითა და კავკასიასა და აღმოსავლეთში მოგზაურობით; სათანადო ხალხის ენების, ძეგლებისა და

ლიტერატურის ადგილზე გასაცნობად. ამიტომ შემოთავაზებული კათედრის გახსნისას ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნია წინასწარ დაეიწყოთ სასურველი ხელმძღვანელის მომზადება აკადემიის აღზრდილთა წრიდან.

კომისიას პატივი აქვს, ზემომოყვანილი მოსაზრებები, მათგან გამომდინარე ვარაუდებით, განსახილველად წარუდგინოს აკადემიის საბჭოს, მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. დაადგინეს: განცხადების მიხედვით, სასურველია დაისვას საკითხი, დაარსდეს კათედრა არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიის, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანული თემებისა, ასევე, როგორც ბიზანტიის ეკლესიის ისტორიისა. ამ მიზნით შეიქმნას კომისია დამსახურებული ორდინარული პროფესორის ნ. ა. სკაბალანოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა საბჭოს წარუდგინოს თავის მოსაზრებები. განხილული იქნა აღნიშნული საკითხი და ამავე დროს მხედველობაში იქნა მიღებული როგორც საქართველოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსთა მოხსენებითი ბარათი სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ, ასევე ამ საკითხის გამო ადრე შექმნილი კომისიის აზრი. კომისიას აქვს პატივი აკადემიის საბჭოს წარუდგინოს შემდეგი მოსაზრებები, დაფუძნებული აკადემიური მეცნიერების ფაქტობრივი მდგომარეობის განხილვაზე, მის მოთხოვნებსა და აკადემიის განაწესის მითითებებზე. ქართული ეკლესიის ისტორიის სპეციალური დამუშაევების სურვილი თავისთავად საკამათო არ არის, ისევე, როგორც საერთოდ შეუძლებელია უარყოფა ყოველგვარი სპეციალიზაციის სარგებლიანობისა სამეცნიერო მუშაობის სფეროში. მაგრამ რადგანაც მოცემულ შემთხვევაში აკადემიაში ახალი კათედრის დაარსების საკითხია წამოწეული. აუცილებელია ანგარიში გაეწიოს, ერთის მხრივ, საეკლესიო ისტორიული მეცნიერების ნამდვილ მოთხოვნილებას იმ სახით, როგორც ის მუშავდება და ისწავლება სასულიერო აკადემიებში ამჟამად; მეორეს მხრივ, საერთოდ აკადემიური სწავლების არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ რომელიმე ახალი საგნის შემოღების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას, რისთვისაც დამოუკიდებელ კათედრის გახსნაა მიზნად დასახული.

ამ თვალსაზრისით საკითხის განხილვამ კომისია მიიყვანა დასკვნამდე, რომ აკადემიური მეცნიერების თანამედროვე მოთ ხოვნილებების ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელ და პრაქტიკულად ერთადერთ განხორციელებად უნდა მივიჩნიოთ არა სპეციალურად მხოლოდ საქართველოს ისტორიის კათედრის გახსნა, არამედ საერთოდ ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის ისტორიისა, მისგან IX ს. დასავლეთის ეკლესიის გამოყოფის შემდეგ, ამ საგნის პროგრამაში, პირველ ყოვლისა, უნდა შევიდეს საბერძნეთის ეკლესიის ისტორია, დაწყებული მითითებული მომენტიდან, შემდეგ კი უკვე ქართული ეკლესიის ისტორია და აღმოსავლეთის სხვა თემებისა, რომლებ საც თავიანთ ისტორიულ წარსულში ბიზანტიასთან ჰქონდათ შეხება.

ა) თუნდაც ერთ აკადემიაში განსაკუთრებული კათედრის დაარსება სწორედ ისეთი პროგრამებით, სადაც პირველ რიგში დადგებოდა ბიზანტიური და საერთოდ გვიანბიზანტიური ისტორია, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ქართული ისტორიის დამუშავების საკითხის გარეშეც. თავისთავად საყურადღებოა ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის მნიშვნელობა აღმოსავლურ მართმადიდებლების თვალსაზრისით და ნაწილობრივ ის მნიშვნელობა, რომელიც ბიზანტიურ ეკლესიასა და კულტურას ჰქონდა რუსული ეკლესიისა და რუსი ხალხის ისტორიაში, რუსულ მეცნიერებას როგორც სასულიერო, ისე საეროს, ავალდებულებს ყურადღებით და ყოველმხრივ შეისწავლოს ბიზანტია, მისი ეკლესია, ერის ისტორია და კულტურა. ამჟამად ბიზანტიის ეკლესიის გვიანდელი პერიოდის ისტორიის, ისევე, როგორც თურქთა ბატონობის ქვეშ მართლმადიდებელი ეკლესიის შემდგომი ისტორიის, შესწავლა აკადემიებში მიკუთვნებული აქვს ეკლესიის საერთო ისტორიის კათედრას. სინამდვილეში, ეკლესიების გაყოფამდე ქრისტიანობის ისტორიის პერიოდის მასალათა სიუხვე ამ კათედრის მმართველისათვის შეუძლებელს ხდის რეგულარულად წაიკითხოს და

დაამუშაოს აღმოსავლეთის ეკლესიის გვიანი ისტორიის დაწერილებითი კურსი, უფრო ადრეული პერიოდის ისტორიისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ეკლესიის საერთო ისტორიიდან ქართული ეკლესიის გამოყოფისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლობას წარმოადგენს მისგან გამიჯნულ იქნას თვით ბერძნული ეკლესიის ისტორია, ამ უკანასკნელის საგანგებო დამუშავების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში ზღვრად შეიძლება მიჩნეულ იქნას სწორედ IX საუკუნის აღმოსავლეთის ეკლესიისგან დასავლეთის ეკლესიის გამოყოფის დრო; ამასთან ერთად, ბიზანტიის რუსეთთან პირველი ურთიერთობისა და ამ უკანასკნელებთან ქრისტიანობის პირველი ნიშნების გაჩენის დრო; ასევე,სამხრეთ სლაავების ქრისტიანულად მოქცევის ხანა. ამავე დროს,რაც შეეხება სხვებს – არაბერძნულ ეკლესიებსა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს, აუცილებელია IX საუკუნემდე მათი ისტორიული ბედის შესახებ ნარკვევის შეტანა, რაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც პედაგოგების ყურადღება უპირატესად გამახვილებული იქნება მათ უგვიანეს ისტორიაზე, რომლისთვისაც მეტ-ნაკლებათ საკმარისი მასალა არსებობს.

ბ) მსგავსი კათედრის გახსნისთვის საფუძველი შეიძლება მოძიებულ იქნას თვით აკადემიის ამჟამად მოქმედ 1884 წლის წესდებაში და წესდების გამოცემამდე არსებულ პრაქტიკაში. წესდებაში, აკადემიის სასწავლო მეცნიერებების ჩამონათვალში (§10). ეკლესიების გაყოფამდე მსოფლიო ეკლესიისა და რუსული ეკლესიის ისტორიებთან ერთად წარმოდგენილია "აღმოსავლურ-მართმადიდებლური" (ეკლესიათა გაყოფის შემდგომი) ან ბერძნულ-აღმოსავლური" (იხ. განმარტებითი ბარათი წესდების პროექტთან) ეკლესიის ისტორია. პედაგოგთა შორის აკადემიური კურსის დანაწილებისას (§107. დანართი) მოიხსენებიან მხოლოდ რუსული ეკლესიის ისტორიისა და საერთო საეკლესიო ისტორიის პედაგოგები. აშკარაა,მხოლოდ განსაკუთრებული მასწავლებლის არყოლა ეკლესიათა გაყოფის შემდგომ აღმოსავლურ-ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის სწავლებისათვის აიძულებთ, ამჟამად ეს ისტორია შეურთდეს ეკლესიის საერთო ისტორიას. ასეთი შეფასების ზემოთ მითითებული უხერხულობის მიუხედავად, ადრე, 1884 წლამდე, მას ჰყავდა განსაკუთრებული წარმომადგენელი, რომელიც მთლიანად ასწავლიდა დასავლეთის ეკლესიის ისტორიასაც, რომელიც ამჟამად დასავლურ აღმსარებლობათა განხილვასთანაა მიერთებული. ამჟამინდელი საქმის ვითარება მას აყენებს ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე არის არასლაური დასავლეთის ისტორია.

გ) ბიზანტიის ეკლესიის ისტორიის განსაკუთრებულ საგნად გამოყოფა აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის წარმატებით სწავლებისა და დამუშავებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამ ისტორიის შესწავლისას ბიზანტინოლოგიასთან მის მჭიდრო კავშირზე კეთდება მითითება ბროშურაში: „მომწიფებული საკითხი" (საქართველოს რუსეთთან შეერთების დღესთან დაკავშირებით). ტფილისი,1901"რომელიც ახლავს საქართველოს ეკლესიის მუზეუმის კომიტეტის შუამდგომლობას ქართული ეკლესიის ისტორი ის კათედრის დაფუძნების შესახებ. ბროშურის სიტყვები,„სწორედ რუსული ბიზანტიოლოგიის ღირსება მოითხოვს, რომ მას ეკუთვნოდეს ინიციატივა და ხელმძღვანელი როლი ქართულ სიძველეთა შესწავლასა და დამუშავებაში". მაგრამ რუსული ბიზანტიოლოგიის ღირსება მოითხოვს, პირველყოვლისა, აკადემიურ სწავლებაში განსაკუთრებული დისციპლინის სახით თვით ბიზანტიოლოგიის შეყვანას; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ვილაპარაკოთ მის ინიციატივასა და ხელმძღვანელ როლზე ქართული სიძველეების შესწავლის საქმეში.

საერთოდ ბერძნული აღმოსავლეთის გვიანდელი ისტორიის განსაკუთრებულ საგნად გამოყოფა, მასთან საქართველოს ეკლესიისა და სხვა არაბერძნული აღმოსავლეთის ქრისტიანული თემების ისტორიის შეერთება იქნებოდა პირველი, საკმაოდ ბუნებრივი სტადია ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის თანამიმდევრულ სპეციალიზაციაში, რომელიც შექმნის შემდგომი წინსვლის საშუალებას ამ მიმართებით, როცა ამისთვის შეიქმნება აუცილებელი პირობები,ამჟამად კი სწრაფვა უკიდურესი სპეციალიზაციისაკენ,

მაშინ როცა არ არის გავლილი შუალედური საფეხურები და დამაკმაყოფილებელი არ არის აკადემიური სწავლების უფრო არსებითი მოთხოვნილებები, არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ქართულ ეკლესიას შეუძლია წარმოაჩინოს ზოგიერთი განსაკუთრებული უფლება რუსეთის საღვთისმეტყველო მეცნიერების მიერ მისი ბედის შესწავლაზე, მართლმადიდებლობისადმი მუდმივი ერთგულებისა და რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის გამო, ამავე დროს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით უდავო ფაქტად რჩება ისეც, რომ ქართული საეკლესიო ლიტერატურა, მეცნიერული თვალსაზრისით, მთლიანობაში ნაკლები ღირებულების ფასეულობას წამოროადგენს, ვიდრე შესაბამისი ლიტერატურა, მაგ. სირიულ და სომხურ ენებზე, და მცირე გამონაკლისის გარდა, ბერძნულ-ბიზანტიური და სირიული ნაწარმოებების თარგმნისაგან შედგება; ყოველ შემთხვევაში, მისი ფასეულობის დამტკიცება მომავლის საქმეა. არ შეიძლება ეს ვითარება უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ, სწორედ ქართული ეკლესიის ის ტორიის შემსწავლელი განსაკუთრებული კათედრის გახსნის აუცილებლობის საკითხის გადაწყვეტისას.

დ) საქმის ისე წარმართვა, რაზეც ზემოთ მივუთითეთ, აკადემიური მეცნიერების მოთხოვნებთან მისი ნამდვილი შესაბამისობის გარეშეც უნდა იქნას აღიარებული ამჟამად მისი განხორციელების თვალსაზრისით. საქმის სხვაგვარი დაყენება, მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის ცალკე განსაკუთრებულ საგნად გამოყოფა, ან საერთოდ არაბერძნული ქრისტიანული აღმოსავლეთის საერთო ისტორიისა (განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით მხოლოდ ქართულ ეკლესიაზე) ნაადრევი იქნებოდა, რადგან პრაქტიკულად გადაულახავი სიძნელეები შეხვდებოდა იმიტომ,რომ აკადემიაში ამჟამად არ არსებობს ფილოლოგიურად მეტ-ნაკლებად მომზადებული მსმენელი, რომელიც შეძლებდა არათუ დამოუკიდებელ მეცადინეობას აღნიშნულ საგანში, არამედ ამ ლექციების საკმაო ინტერესით მოსმენასაც კი. ყურადღების გამახვილება მხოლოდ არაბერძნული აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიასა და მუდმივი მიმართვა აღმოსავლურ ენებზე დაწერილი ძეგლებისადმი ამ ენების ცოდნას მოითხოვდა არა მხოლოდ მსმენელთა მხრიდან. მაგრამ თუ ასეთი მოთხოვნები განხორციელებადია მასწავლებელთან მიმართებაში, აკადემიის მსმენელები მოკლებულები არიან საშუალებას, შეიძინონ მათთვის საჭირო მსგავსი მომზადება. ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი აღმოსავლური ენები, ნაწილობრივ ქართული და სომხური, აკადემიაში არ ისწავლება და მხოლოდ ხანდახან (არაყოველწლიურად) აწვდიან ცნობებს სიტყვიერების განყოფილების სტუდენტებს ებრაული ენის ლექციებზე სირიული ენის გაცნობისას. ასეთ პირობებში ახალი კათედრისათვის შეიქმნებოდა მსმენელთა გარეშე დარჩენის რისკი, რადგანაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია იმედის დამყარება სტუდენტებზე, განსაკუთრებით მოყვარულ ლინგვისტებზე. ამ სიძნელის დაძლევაში შესაძლებელია ხელი შეეწყო აკადემიაში ყოველწლიურად ქართველთა ჩარიცხვას. სხვებისათვის არასაჭირო და ნაკლებმისაწვდომი საგნის მსმენელთა მუდმივი კონტიგენტის შექმნის ამგვარი ხერხი (მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის საგანი), როგორც ჩანს, დამოკიდებულია აკადემიაში ყოველწლიურად მისაღებ პირთა მაქსიმალურ რაოდენობაზე და ასეთი მსმენელების შენახვისათვის განსაკუთრებული თანხების დაფინანსებაზე და თავისთავად მას ძნელად თუ შეუძლია სავსებით ნაყოფიერი შედეგების შეპირება, სანამ აღმოსავლური ენების სწავლება შეტანილი არ არის აკადემიაში და არაბერძნული ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორია, როგორც სწავლების საგანი, აქ შეიძლება არსებობდეს, როგორც ბერძნული აღმოსავლეთის ისტორიის დამატება." ხსენებული კომისიის წევრის, დამსახურებული ორდინარული პროფესორის ნ. ვ. პოკროვსკის განსაკუთრებული თვალსაზრისი: „სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის დაფუძნების საკითხის შესახებ და მე ერჩები წინანდელ მოსაზრებაზე, რაც გამოვთქვი ამ საგნის შესახებ პირველი კომისიის მოხსენებაში. ჩემი აზრი აღნიშნული საგნის დამოუკიდებელ არსებობაზე ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:

I. საკითხი ამ კათედრის შესახებ წარმოიშვა ადგილზე, საქართველოში, საეკლესიო-ისტორიული ცოდნის წარმომადგენელთა ადგილობრივ საზოგადოებაში და საკმაოდ მოტივიერებულია, როგორც „მომწიფებული საკითხი", რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. ამისთვის სწორედ ახლა დადგა ხელსაყრელი მომენტი. ეგზარქოსობის ერთმორწმუნე საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის ახლახან აღნიშნულ დღესასწაულს. ქართული ეკლესიის ისტორიის განსაკუთრებული აკადემიური კათედრის დაარსება დიდებული პატრიოტული საქმე იქნებოდა როგორც მრავალტანჯული საქართველოს ბედისა და მისი ეკლესიური აზროვნების მაჩვენებლისა. პირველმა აკადემიურმა კომისიამ პირდაპირ შეუწყო ხელი ამ მომწიფებულ მოთხოვნილებას და მოსაწონ მოძრაობას ადგილობრივ საზოგადოებაში. და სწორედაც, განსახილველად შეთავაზებული საკითხი დადებითად გადაწყდა.

II. ამ საკითხის ორჭოფული გადაწყვეტა იმ აზრით, რომ აკადემიაში დაფუძნდეს ახალი კათედრა, „ბერძნული ეკლესიის ისტორიისა ეკლესიების განყოფიდან უახლეს პერიოდამდე", მასთან, როგორც განსაკუთრებული ეკლესიურ-ისტორიული განშტოება — ქართული ეკლესიის ისტორიის მიერთებით, არ შეესაბამება საზოგადოების და დროის მოთხოვნებს და ქართულ ისტორიას ძალდატანებით ათავსებს ვიწრო ჩარჩოებში. საკითხის ასე დაყენებით ქართული ისტორია კარგავს თავის სისავსესა და ღირებულებებს, რადგანაც მისი კავშირი ბერძნული ეკლესიის ისტორიასთან მოცემულ საზღვრებში ძალზე ხანმოკლე და ცალმხრივია. ამასთან, სასურველი მიზანი მიუღწეველი იქნება; სწავლებაში გარდაუვალი გაორება მოხდება და პროფესორიც იძულებით გაფანტული იქნება; საუკეთესო შემთხვევაში სპეციალისტ-პროფესორი თავისი ყურადღების უპირატეს საკითხზე, ანუ ბერძნული ეკლესიის ისტორიაზე გამახვილებით ყოველგვარი ყურადღების მიღმა დატოვებს საქართველოს ისტორიას, ვინაიდან საქმისადმი სხვაგვარად დამოკიდებულება ვერ იქნება იმ მოთხოვნების შესაბამისი, რომელსაც ამჟამად აყენებს ისტორიის სპეციალური სამეცნიერო კელევა. მე ალარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ქართული და ბერძნული ეკლესიების ისტორიების სპეციალისტთა მომზადება ერთნაირად ვერ წარიმართება. თუ ჩვენ გვესაჭიროება ბერძნული ეკლესიის კათედრა, მაშინ მასზე ცალკე უნდა ვილაპარაკოთ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრისაგან დამოუკიდებლად. მაგ. აკადემიის წესდების მუხლზე დაფუძნებული რომელიმე ფორმალური ან პრაქტიკული მოსაზრებით თუ მიჩნეული იქნებოდა ბერძნული ეკლესიის ისტორიის სხვა რომელიმესთან დაკავშირება, უფრო ახლოს დგას და უფრო ბუნებრივიც იქნება და არა ქართული, არამედ სლავური ეკლესიის ისტორიის შეერთება. მაგრამ არც ამგვარი შეერთებაა გამოწვეული საქმის ვითარებით ან ისტორიის მეცნიერული დამუშავებით; ამჟამად ამ შეერთებაზე მსჯელობისათვის არავითარი საფუძველი არ გვაქვს. მისი ძებნა აკადემიის წესდებაში, ამ უკანასკნელის მუხლზე დაყრდნობით, ზედმეტია. ჩვენ იმას კი არ გვეკითხებიან, გათვალისწინებულია თუ არა აკადემიის წესდებაში ქართული ეკლესიის ისტორია, არამედ იმას, თუ რამდენად თანადროულია და საჭირო აკადემიაში ასეთი კათედრის დაარსება. ამ პირდაპირ კითხვაზე, ჩემი აზრით, გაცემულ უნდა იქნას გულწრფელი დადებითი პასუხი. კერძოდ — დიახ.

III. კავკასიაში და ნაწილობრივ საქართველოშიც, ჩვენს დრომდე შემონახულია ძეგლთა ისეთი სიმდიდრე, როგორიც იშვიათად გეხვედება სხვა ქვეყნებში. ეს ძეგლები მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. მათმა გამოკვლევამ შუქი უნდა მოჰფინოს არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიის, არამედ მთლიანად აღმოსავლური ეკლესიის ისტორიას. ჩვენ გვერდს ვუვლით კავკასიის პირველყოფილ კულტურას (რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია ხალხთა პირველყოფილი ისტორიის შესწავლისათვის, მათ შორის ევროპელი ხალხისაც), ჯერ კიდევ იმ ეპოქას რომ განეკუთვნებიან, როცა არ იყო მატიანეები და ისტორიული წერილობითი ძეგლები და განვიხილავთ მხოლოდ ქრისტიანულ ძეგლებს, იქნება ეს წერილობითი, მატერიალური თუ ხელოვნების ძეგლები).

1) უკანასკნელ დრომდე ქართული წერილობითი ძეგლები მივიწყებული იყო და მათგან მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებით გეიანდელი ეპოქისა (აქტები) თუ იპყრობდა სიძველის მოყვარულთა ყურადღებას.

XI საუკუნის 80-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მათ სისტემატურ შეგროვებას და უკვე საკმაოდ ბევრია თავმოყრილი. თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში ამჟამად უკვე 1200-ზე მეტი ხელნაწერია დაცული. სიონის ტაძართან არსებული საეკლესიო არქეოლოგიურ მუზეუმში ასევე 500-მდე ხელნაწერი ინახება. დიდი რაოდენობით ქართული ხელნაწერია გაბნეული სინას, ათონის, პალესტინის ბიბლიოთეკაში, საქართველოს მონასტრებსა და ძველ ტაძრებში, სიგელების მოყვარულთა ოჯახებში. ათობით ათასი საეკლესიო აქტია ქართულ არქივებში. ეს ხელნაწერები XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. მათი შინაარსი იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, რომ საეკლესიო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა უმთავრეს საკითხს ეხება. ამაში შედის: ძველი და ახალი აღთქმის თარგმანები, ლიტურგიული ხელნაწერები, წმინდა მამათა თხზულებების თარგმანები, რომელთა ორიგინალები ხშირად დაკარგულია და რომელთა სხვა თარგმანებიც, გარდა ქართულისა, არ არსებობს. ქრისტიანული აპოკრიფები, წმინდანთა ცხოვრება, პოლემიკური თხზულებები,ადგილობრივი ქართული კრებების კანონები, ძველ ბერძნულ თუ აღმოსავლელ პოეტთა და სხვა საერო მწერალთა ფილოსოფიური ნაწარმოებების თარგმანები. თხზულებები მედიცინის, ენათმეცნიერების, გეოგრაფიის, ასტროლოგიის დარგში, მაჰმადიანობის შესახებ და სხვ. რომ არაფერი ეთქვათ იმ ათეულობით ათასი აქტის შესახებ, რომლებიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას უკავშირდება XVII საუკუნიდან მოყოლებული. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ცნობილ ხელნაწერებთან ერთად დროთა განმავლობაში ნაპოვნი იქნება მრავალი სხვაც. მთელი ეს სიმდიდრე მკვდარ კაპიტალს წარმოადგენს, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში არ გამოიყენება მაშინ, როცა სწორედ მათ საფუძველზე უნდა აიგოს უპირატესად ქართული ეკლესიის ისტორია. ეს ძეგლები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპოქებს გააშუქებს, გააცოცხლებს მეცნიერებისა და განათლების დაცემისა თუ აღმავლობის პერიოდებს, საქართველოს ურყევ ერთგულებას მართლმადიდებელი ეკლესიის გადმოცემებისადმი, მის ბრძოლას უცხო სწავლებებთან, წარმოჩნდება მისი საეკლესიო მმართველობის სახე. ერთი სიტყვით, ის მყარი საფუძველი ურომლისოდაც წარმოუდგენელია ზუსტი ისტორია. საქართველოს ეკლესიის ამგვარი ისტორია ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ ის უაღრესად სასურველი და აუცილებელია, ხოლო მისი დამუშავება ჩვენს გადაუდებელ მოვალეობას წარმოადგენს.

2) ძეგლთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება მატერიალური ძეგლები, ანუ საეკლესიო ხელოვნების ნიმუშები. მათ შორისაა საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები, კედლის მხატვრობა, ხარები, ლითონისა და მინანქრის ნაკეთობები, წიგნის მხატვრობა თუ მინიატურები. ძველი ხელსაქმის ნიმუშები, ნაქარგობანი, ეპიგრაფიკული ძეგლები. ამგვარი ძეგლები კავკასიაში ძალზე ბევრია და ისინი დროის ვრცელ მონაკვეთს მოიცავენ – X-დან XVII საუკუნემდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიჭვინთის ტაძარსა და ნეკრესის კედლის მოხატულობას,რომლებიც უფრო ადრინდელად მიიჩნევა. ამ ძეგლების უძველესი ნაწილი მოწმობს საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობას, მეორე ნაწილი – ადგილობრივი საეკლესიო ხელოვნების თვითმყოფადობას. ამ მხრივ საქართველოში ხელოვნების განვითარების ისეთივე ისტორიული პროგრესის მოწმენი ვხდებით, რასაც რუსეთში. ბიზანტიურ-ქართული ხელოვნების ბევრი ძეგლი უკვე გამოცემული და აღწერილია, ზოგი მეცნიერულად გამოკვლეულია, მაგრამ ეს ნაწყვეტი სამუშაოები (ბაქრაძის, კონდაკოვის, პომიალოვის, გრაფ უვაროვის და სხვათა), რომლებიც ისტორიულ მოვლენათა საერთო ჯაჭვში არაა ჩათვლილი, ჯერ მხოლოდ ძვირფას მასალად რჩება, რომელიც დროთა განმავლობაში შემადგენელი ნაწილის სახით უნდა შევიდეს ქართული ეკლესიის მთლიან ისტორიაში. ამ მასალის რაოდენობა გაიზრდება, მისი შეფასება უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება

ბიზანტიის, საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის ხელოვნების ისტორიის საკითხებზე მეცნიერული შეხედულების ჰორიზონტები. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსება. ამ ზღვა მასალა მეცნიერული ღირებულებებისადმი სათანადო პატივის მისაგებად ის საგაგებო კათედრას, სახელდობრ, ქართული საეკლესიო ისტორიის კათედრას უნდა მიებაროს და არა გვიანდელი ბერძნული ისტორიისას, სადაც ის სათანადო შეფასებას ვერ ჰპოვებს.

IV. დაუშვებელია ამ საკითხის საეკლესიო-პრაქტიკული მხარის უგულვებელყოფა. თუკი გამართლებულია დებულება, რომ ჭეშმარიტი სამეცნიერო ცოდნა არასოდესაა ენების მომტანი და პირიქით, მას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს, მაშინ ზემოაღნიშნული კათედრაც, როგორც წყარო ამგვარი ცოდნისა, თავის სარგებელს აუცილებლად გამოიღებს. ივერიის მართლმადიდებელი ეკლესიის ბედის შეცნობა ესეოდენ მნიშვნელოვანია როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის ისტორიაში საერთოდ და კერძოდ კი, ივერიის ხალხთა ისტორიის შესწავლისათვის; ხალხთა ხასიათის, თვისებებისა და ტრადიციების გაცნობა არა მხოლოდ თანამედროვე ეთნოგრაფიული დაკვირვების გზით ხდება, არამედ – ისტორიული კვლევებითაც. ეს ყოველივე კი აამაღლებს მისიონერულსა და რელიგიურ-განმანათლებლურ მოღვაწეობას კავკასიაში და რაც მთავარია, სასულიერო ხელისუფლებას მიეცემა საშუალება, დაარეგულიროს საეკლესიო საქმეები საქართველოში, რაც უფროდაუფრო ძნელდება. ეს კი ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ნაკლებადაა ცნობილი ადგილობრივი რესურსები და მისი ისტორია, დამყარებული ცოდნაზე, მშვიდობასა და სიყვარულზე. ივერია მუდამჟამ მტკიცე მართლმადიდებლობაში, 400 წლის განმავლობაში აგრძელებს ურთიერთობას ერთმორწმუნე რუსეთთან. სწორედ მართლმადიდებლობაში სიმყარემ მიიყვანა ის რუსეთთან პოლიტიკურ და საეკლესიო ერთობაში და ამით რუსეთის მართლმადიდებლობისაგან მიიღო საფასური სხვადასხვაგვარი რწმენის მქონე აზიის შემოტევებისაგან – ამისი განსაზღვრა, გარკვეული წარსულის გათვალისწინებით, სწორედ დღეს წარმოშობს თანამედროვეთა ინტერესს, როცა გაძლიერებულია პოლიტიკური და რელიგიური მოძრაობები, დასავლეთ ევროპიდან წინა აზიაში მიმართული.

V. ზემოგანხილული საგნის კათედრა აუცილებლად სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიამ უნდა დაამტკიცოს, განლაგდეს თვით დედაქალაქში და აღიჭურვოს კარგი სამეცნიერო საშუალებებით.

VI. საგანს შეიძლება ასე ეწოდოს: ივერიის საეკლესიო ისტორია და სიძველენი.

შენიშვნა: თავისთავად ამ ისტორიის სომხური და სირიულ-ქალდეური, ბიზანტიურსა და რუსულ ისტორიებთან თანხვედრა გათვალისწინებული იქნება: ეს სამეცნიერო მეთოდიკის საქმეა.

VII. ამ ახალი და რთული საგნის სპეციალისტის არჩევისას მოთხოვნა უნდა იყოს აღმოსავლეთის ისტორიისა და სიძველეების და ნაწილობრივ, ენების ცოდნაზე. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და ეს უნდა იყოს აკადემიის საგანგებო ზრუნვის საგანი: ამ შემთხვევაში აკადემიის დახმარებით მოვა საუნივერსიტეტო მეცნიერება და მოგზაურობის სწავლება. თუმცა, დაწერილებით ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევად მიგვაჩნია".

ცნობა. წმ. სინოდის 1900წ. 30 აპრილის №2665 განჩინების თანახმად, აკადემიის საბჭოს მოეთხოვოს დასკვნის გამოტანა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ; აღნიშნული საკითხი მოგვარდეს 1901 წ. 18 იანვრისათვის, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ამ საკითხის განხილვისათვის საბჭოს გადაწყვეტილებით, 1900 წ. 22 მაისს (№1) შედგა კომისია დამსახურებული ორდინალური პროფესორი ტ. ბ. ბარსოვის ხელმძღვანელობით და ბატონ ნ.ვ. პოკროვსკისა და დოც. ა. ი. ბრილიანტოვის შემადგენლობით. კომისიამ მარტისთვის აკადემიის საბჭოს

ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება წარუდგინა. აკადემიის საბჭომ 18 მარტს განსაზღვრა: განაცხადი კათედრის მოწყობის შესახებ ითვალისწინებას არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას, არამედ აღმოსავლეთ ქრისტიანულ ერთობას, რომელიც თანასწორია ასევე ბიზანტიის ეკლესიის ისტორიისა. ამ მიზნის განხორციელებისათვის შეიქმნას კომისია დამსახურებული ორდინალური პროფესორის ნ. ა. სკაბალანოვიჩის ხელმძღვანელობითა და პროფ. ნ. ვ. პოკროვსკის, ნ.კ. ნიკოლსკის, ი.გ. ტოიცკისა და ა. ი. ბრილიანტოვის შემადგენლობით, რომელიც საბჭოს წარუდგენს თავის მოსაზრებას.

დაადგინეს: არ უარვყოფთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალური სამეცნიერო კელეის სურვილს, თუმცა კომისიის ანგარიშის საფუძველზე უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აკადემიაში სასულიერო-ისტორიული მეცნიერებების დაფუძნება – საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსებამდე გაძლიერდეს ქრისტიანული აღმოსავლეთის საერთო საეკლესიო ისტორიის შესწავლა და ეთხოვოს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას შეამდგომლობა წმ. სინოდის წინაშე, რათა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში რუსული ისტორიისა და წესჩვეულებების და სლავურ ეკლესიათა ისტორიის კათედრების პარალელურად გაიხსნას დამოუკიდებელი კათედრა ბერძნულ-აღმოსავლეთის ეკლესიისა, რომელიც მოიცავს ეკლესიის გაყოფიდან დღემდე პერიოდს და რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს ეკლესიის ისტორიაც, როგორც ერთი შემადგენელი ნაწილი.

ჟურნალზე მაშინვე გაჩნდა მისი მაღალყოლადუსამღვდელოესობის რეზოლუცია:, , თანახმა ვარ. 3. მაისი. 1902", ამგვარად, საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და საჭიროდ არ იქნა მიჩნეული მიუხედავად ბროშურაში, , წამოჭრილი საკითხის" საკმაო მოტივაციისა და შესაფერისი მომენტის შერჩევისა – საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისა. მოთხოვნილი კათედრის ნაცვლად გაიხსნა კათედრა ბერძნულ-აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიისა ეკლესიის გაყოფიდან დღემდე, ხოლო საქართველოს ეკლესიის ისტორია მასში საკმაოდ მცირე მოცულობით განისაზღვრა, რის შედეგადაც დაირღვა მისი მთლიანობაც და ღირებულებაც."[51] ეპისკოპოს კირიონს დიდი ღვაწლი მიუძღვის, , ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოების" და„საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების" წინაშე. მან საისტორიო საზოგადოებას შესწირა, , ვეფხისტყაოსნის" უცნობი ხელნაწერი, „პაელენის" ერთი ძველი რედაქცია. იგი სისტემატურად ეხმარებოდა საზოგადოებას ფინანსურად. როგორც ამ საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ კიდევ ექსორიაში (გადასახლებაში) ყოფნის დროს საზოგადოებას შემოსწირა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, მრავალი საარქეოლოგო ნივთი, ალბომები, სურათები და დიდი ნუმიზმატიკური კოლექცია. წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე ნივთი, ხელნაწერი თუ ფული არ გამოეგზავნა ახალი საზოგადოებისათვის".[52] 1911 წლის 5 დეკემბერს საისტორიო საზოგადოებამ მადლობის წერილი გაუგზავნა ეპისკოპოს კირიონს, ხოლო 1913 წლის 2 იელისის საისტორიო საზოგადოების წლიური კრების №74 ოქმის თანახმად – საბჭოს წინადადებით საზოგადოების კრებამ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად ერთხმად აირჩია ყოველადსამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი.

მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II თავისი სასულიერო მოღვაწეობისას დიდი ქართველი წინაპრების ტრადიციებისა და ღირებულებების ერთგული გამგრძელებელი იყო. მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო საკუთარი სამშობლო, მისი დიდებული წარსული, სამოციქულო ეკლესია, რომელიც უსამართლოდ იყო დამონებული ერთმორწმუნე რუსეთისაგან. კირიონმა უარყო ყოველგვარი პირადული და, როგორც თვითონ ბრძანებდა, „დაეიდგი თავზედ „ბაბილონის გოდოლი", შეეუდექ საქმესა და საარაკო თავგადასავალი გადამხდა". სამშობლოს ინტერესით იყო ნაკარნახევი მისი დაპირისპირება დეკანოზ ივანე ეოსტორგოვთან. დეკანოზი ეოსტორგოვი იყო შოვინისტი რუსი სასულიერო პირი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ჯერ თბილისის ქალთა გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო, შემდეგ ქართული სამრეკლო სკოლების კანტორის წევრი, საქართველოს საეგზარქოსოს მოამბის რედაქტორი. მან გათამამებულმა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წაქეზებით მოახერხა ეგზარქოს ალექსი ოპოცკის ნდობის მოპოვება, გალაღდა და დაიწყო ქართველების დევნა-შევიწროება, განსაკუთრებულად ცდილობდა სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ეროვნული სულისკვეთების პედაგოგების გაძევებას, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას, სძულდა საქართველოს ეკლესიის აეტოკეფალიისათვის მებრძოლი სასულიერო პირები. ეოსტორგოვის ხელით რუსეთის ხელისუფლება მოქმედებდა, მაგრამ მას დაუპირისპირდა სრულიად საქართველო. 1903 წელს სამეგრელოში ჩასულ ეგზარქოს ალექსის შეხვედა ადგილობრივი დეპუტაცია, რომელსაც ბერი ალექსი (შუშანია) ხელმძღვანელობდა და კატეგორიულად მოსთხოვა მას, შეეწყვიტა ქართული ენის დევნა სამეგრელოს სკოლებში. ეოსტორგოვი იმდენად სძულდათ საქართველოში, რომ ადეილი შესაძლებელი იყო მას ფიზიკურად გასწორებოდნენ, ამიტომ იგი გაიქცა საქართველოდან, მაგრამ რუსეთში გააგრძელა საშინელი ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნება. ეოსტორგოვის ცილისწამება ამხილა ეპისკოპოსმა კირიონმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა სახიფათო და სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება ყოფილიყო ეოსტორგოვისნაირ რუს სასულიერო პირთა და ჩინოვნიკთა აგდებული დამოკიდებულება პატარა ერის წარმომადგენლებისადმი, მათი ისტორიისა და კულტურისადმი, მისი აზროვნება შეურაცხყოფდა არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთსაც. მეუფე კირიონის დასკვნით, ეოსტორგოვისნაირი რუსი მოხელეები, რომლებიც საქართველოში მოდიოდნენ პირადი გამდიდრებისა და რუსეთის იმპერიული ინტერესების დასაცავად, აღვივებდნენ ხალხთა შორის რელიგიურ და პოლიტიკურ შუღლს. ეოსტორგოვი კირიონს აფხაზთა შეეიწროებაშიც სდებდა ბრალს. არადა, პირიქით იყო. მხოლოდ ერთი წელი (1906 წ.) ედგა კირიონი სოხუმის ეპარქიას სათავეში და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი იოსებ ჩიჯავაძისადმი გაგზავნილი 1906 წ. 12 სექტემბერს:

„ამ თვის ექვსს გავემგზავრე მოსახილეელად აფხაზეთისა, იმ ღამეს დრანდის (ძველი დანდარი) მონასტერში დაერჩი, რომლის წინამძღვრადაც მე ვითვლები. მეორე დღეს გზა და გზა აფხაზეთის სამრეველოები ვნახე, მომეტებული ნაწილი ეკლესიებისა და სკოლებისა უბედურ მდგომარეობაშია. რელიგიური რყევის წყალობით ქრისტიანობა აქ ძვალ-რბილში ვერ გასჯდომიათ, ვერ ქცეულა იგი მაღალი ზნეობის საჭიროებათ, — აფხაზების გულში ვერ გაუდგამს მას ფესვები. ზოგი მათგანი მხოლოდ სახელით ითვლებიან ქრისტიანებად, ნამდვილად კი მაჰმადიანობას აღიარებენ, რადგან ეს სარწმუნოება უფრო აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს და ზნე-ჩვეულებათა. მათთან მაჰმადიანობა უფრო შეესაბამება მათ აწინდელ შეხედულებას და დაბალ კულტურას. აქაური ეპისკოპოსები რევიზიაზედ რომ მოეიდოდნენ რომელიმე საზოგადოებაში, მაშინვე ადმინისტრაცია და ადგილობრივი თავადაზნაურობა სხვა ცერემონიათა შორის შეაგროვებდნენ ნებით თუ ძალით 1000-2000 აფხაზს და ეპისკოპოსის თანდასწრებით

მოჰნათლავდნენ. ამას დიდი წვალება არ უნდოდა. ხალხს შეაგროვებდნენ დიდ-პატარას, წყალში შერეკავდნენ და მონათლავდნენ, ამის შემდეგ ელვის სისწრაფით მიფრინავდნენ დეპეშები პეტერბურგს, თბილისს. ჩემთვისაც სურდათ ეს უსაჭიროესი ნაწილი მიმოხილვისა გაემართათ,,,ათასამდე კაცს მოგანათლინებთო",მითხრეს,მაგრამ ამნაირ მონათვლაზედ უარი განვაცხადე და ეურჩიე ჯერ რიგიანად შეემზადებინათ იგინი და მერე, როდესაც დარწმუნდებოდნენ მათ გულწრფელ გადაწყვეტილებაზედ, მოენათლათ. არსენ ეპიკოპოსს ქართული საეკლესიო წიგნები აფხაზეთში თურმე სულ დაუგლეჯია და ბარბაროსული წესით გაუწყვია, იგი თურმე დიდის ზიზღით ექცეოდა ყველა ქართველს და ქართულს.

იმ ღამეს (7-ს) ახლად დაფუძნებული მოქვის დედათა მონასტერში ვიყავი, შევემზადე და მეორე დღეს ვსწირე. წირვაზედ ხალხი საკმარისი დაესწრო. ღრმად მოხუცებულებს აქ არ ახსომთ, რომ მღვდელმთავარს აქ ეწიროს როდესმე. წირვა ქართულ-რუსული იყო. წირვის შემდეგ სიტყვა ვსთქვი ზნეობაზედ და მორჩილებაზედ. ჩემი სიტყვა გამოიწვია მოლოზნების ერთმანეთში მტრობამ და საჩივრებმა, მოლოზნები ერთმანეთსა სჭამენ. მოქვის მონასტერი მთლად თლილი ქვისაგან არის აშენებული მაღლობზედ მდინარის ნაპირას და მშვენიერიცაა. შინაგანი მისი გეგმა წააგავს ალავერდს, მხოლოდ უფრო მომცროა და გუმბათი დაბალი აქვს. ამ სამი წლის წინათ უძალადნიათ, ჩამოურთმევიათ მრევლისათვის და დედათა მონასტრად გადაუქცევიათ. მოლოზნებს შეწირულობით შიგნით გაუთეთრებიათ, ნთუნუქა გადაუხურნიათ, ხატები, შესამოსი და ზარები შემწირველისაგან შეუგროვებიათ, რუსულ ენაზედ წირვა-ლოცვა შემოუღიათ და მთლად დაჰპატრონებიან ამ დიდებულ ტაძარს, რომელშიაც 114 მოლოზონი ითელება. ესეთიენ საქმე დაუმართნიათ დრანდის მონასტრისათვის, რომელიც სამრეველო ეკლესიათ ყოფილია, მრევლისათვის ჩამოურთმევიათ, დიდი მამული მიუზომიათ, მთელი ეკლესიებიც ზედ მიუწერიათ და მამათა მონასტრად გადაუქცევიათ. სადილად მონასტერში აბხაზების თავადაზნაურები იყვნენ, — მე მათ მოვაგონე ძველებური ქართველ-აფხაზთ ძმური განწყობილება და კავშირი,დავასახელე მრავალი შესანიშნავი ტაძარი ქართველთაგან მათთვის აშენებული და ამასთან — ეუჩვენე ის სამწუხარო მოვლენა, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა ამ ორ მეზობელ და ერთ მიწაწყლის ერთა შორის. იმათ თქვეს: ეგ სულ მტრების ხრიკები იყოვო; მითხრეს თქვენს აქ დანიშვნას დიდის სიხარულით მივეგებეთო, რადგანაც თქვენ, როგორც აქაური ქვეყნის შვილმა, ჩვენი ზნეჩვეულება, ხასიათი და საჭიროება კარგად იცითო და ყველას ადვილად მოუნახავთ წამალსო. მე ვუამბე მათ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის (რექტორ თანაშემწის) ა. ი. ალმაზოვის მიერ თქმული სიტყვები, რომელმაც, როგორც ჩემმა ძველმა ნაცნობმა და მეგობარმა, გადმომცა შემდეგი:, , სოხუმიდან ორი წერილი მომივიდა ჩემი ნაცნობისგანო (ნაცნობის სახელი ვერ ვათქმევინე,მე კი მგონია არსენი ეპისკოპოსის მეგობრის პროფესორი ოსტოუმოვისაგან უნდა მიეღო), რომლებშიც მატყობინებდა, რომ როგორც კი მოვა კირიონი, აფხაზები მას მაშინვე მოჰკლავენო". ამის პასუხად მითხრეს: ეგ ენაა მტრისაო, მათ ალბათ უნდოდათ შეეშინებინათ. აკი არც დავიჯერე და ვერც შემაშინეს მეთქი,ამის დასამტკიცებლად პირველი მიმოხილვა ჩემი ახალი ეპარქიისა აფხაზეთიდან დავიწყე და აი ეხლა თქვენთან ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში.

წირვის შემდეგ სადილად მონასტრის დამფუძნებელთან ვიყავი. დავლიე აფხაზთა ერის სადღეგრძელო და ესთხოვე აფხაზურად ემღერათ. ორი სიმღერა თქვეს. კილო ძალიან წააგავს ოსურ სიმღერებს, თვით სიმღერებში ჩასართავად ვარდოსაც ხმარობენ. საზოგადოდ კილო ამათ სიმღერებისა ნაღვლიანია. ლექსები თითქმის არა ჰქონიათ. ძალიან დაქვეითებული ხალხია, — მდიდარ ბუნებას ესენი გაუზარმაცებია. მეგრელები რომ არ იყვნენ აფხაზეთში, ესენი შიმშილით დაიხოცებიან, რადგანაც მათ მამულებში საიხელიოთ მეგრელები მუშაობენ. მთელი აფხაზეთი მეგრელებით არის სავსე. მღვდელი, დიაკონი, სოფლის მწერალი, მასწავლებელი, ვაჭარი, მუშაკი — სულ მეგრელები არიან. ზოგ სოფლებში აფხაზებს თავისი ენა დავიწყებიათ,მეგრულად

ლაპარაკობენ და მეგრელებად სთელიან თავის თავს. ოჩამჩირეს ბლაღოჩინმა დ. მარღანიამ, რომელიც დაბადებით აფხაზია და ქართველებს მოყვარულად არ უცქერის, სთქვა:, , ბატონო, როგორც ევროპაში ფრანგულია გავრცელებული და მიღებული, ისე ჩვენს აფხაზეთში მეგრული". მართლაც აფხაზების ფაილები დიდი ხანია რაც დახსნილია. ახლო მომავალი აქ მეგრელებისაა, ამათ დარჩებათ შავი ზღვის ნაპირი და როგორც კოლონიზატორები ჩვენ ტომში, განსაკუთრებით კაეკასიაში ამათ ბადალი არა ჰყამთ. რაც ინგლისელებისათვის ინდოეთია, ის მეგრელებისათვის აბხაზეთია.

9-ს ოჩამჩირეში მიეედი და საღამოს ლოცვაზე ვიყავი. საყდარში ტარასი ქართულ წიგნებს კითხულობდა და განაცვიფრა ჩვენებურმა კითხვის კილომ აქაურები. ადგილობრივმა საზოგადოებამ მთხოვა მეორე დღეს, კვირას, მეწირა, მაგრამ მთაერები და შესამოსები წინ გასტუმრებული მყავდა და არც მგალობლები ჰყოლიათ ოჩამჩირეში. წირვას დიდი საზოგადოება დაესწრო, გამოსვლისას სიტყვით მიემართე მათ ქართველების მნიშვნელობაზედ მისიონერულ და განათლების ასპარეზზედ, განუმარტე აგრეთვე მნიშნელობა წირვალოცვისა სამშობლო ენაზედ, რომელმაც მომილოცა მშვიდობით მოსვლა, – პურ-მარილით მოსვლისას მომეგებნენ. აბხაზების სოფლებშიაც ყველგან პურ-მარილით მხედებოდნენ. ოჩამჩირლების დეპუტაციამ მთხოვა დახმარება, რომ მუდამ ქართული წირვა-ლოცვა ჰქონდეთ, – მე ვურჩიე ქართული ხორო გაეწყოთ და სკოლა გაეხსნათ ქართული ენის სასწავლებლად. საზოგადოებამ სიტყვა მომცა, რომ აასრულებდნენ ჩემს რჩევას, ხოროსათვის გადასწყვიტეს წელიწადში 300 მანეთი გადაიხადონ. 100 მანეთიც მე ვუთხარი ეკლესიის შემოსავლიდან მიეცით. ოჩამჩირეში 97% მცხოვრებლისა ყოფილა ქართველები (მარგალები). თუმცა აქ წირვა-ლოცვა ქართულის ენაზედ ოფიციალურად დაშლილი ყოფილა, მაგრამ ძალა დაუტანებია საზოგადოებას მღედელ-დიაკვნისათვის და ქართული წირვა-ლოცვა გაუჩაღებიათ.

10-ს ღამე გავატარე ჩემს მონასტერში – დარდანში. მეორე დღეს დილით ვნახე დრანდის მთაში გეირაბები, ძველად გამოკეთილი მდინარის პირამდის. მერე წავედი ახლომდებარე ქილის სანახავად. ქილა წარმოადგენს პატარა მონასტერს, რომელშიაც ოცამდე ბერია და კარგა დიდი ეენახია გაშენებული მის გარშემო. ამ ქილის ახლო სახლობენ ესტონები და მეგრელები. მეორე ქილის ნახვა ეეღარ მოვასწარი. მონასტრის წიგნთსაცავში ექვსი ხელნაწერი ვნახე ქართული, რომლებიც დრანდის მონასტერს დარჩენია მღედელმონაზონ კალისტატესაგან. ორი მათგანი ტყავზეა ნაწერი და დანარჩენი ქაღალდზე. ერთი უფრო უძველესი ხელითნაწერი ეკუთვნის მეათე-მეთერთმეტე საუკუნეს. 11-ს საღამოზედ ჩამოვედი ცხუმში. აბხაზებს ძაან უკეირდათ ჩემი ცხენზედ ჯდომა. გზა კოდორი უჩესტკაში მეტად გაფუჭებული იყო ნიაღვრისაგან და ხშირად მიხდებოდა ცხენით მოგზაურობა".[52] როგორც ვხედავთ ეოსტორგოვის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ეპისკოპოს კირიონს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა აფხაზებთან. ეოსტორგოვის მხილება იყო რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მხილება. კირიონი პატივს სცემდა რუსეთის ისტორიას, რუსულ კულტურას, რუს ხალხს. იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი და მღვდელმთავარი, ყველგან სიკეთეს სთესდა. მის მიერ ორიოლში დაარსებულ მოხუცთა თავშესაფარს კირიონოვსკი დაარქვეს. მან მოახერხა მანამდე მტრულად განწყობილი ნიკოსკისა და პეტრე-პავლოვსკის ძმობის შეკავშირება. კირიონი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, პატივს სცემდა სხვა მეცნიერების მოსაზრებებს, მაგრამ თუ იგი სუბიექტური იყო, აუცილებლად ამხელდა მას. ასე მოხდა რუსეთის ისტორიის აღიარებული მკვლევარის პროფესორ ე. ბოლოტოვის მიმართ, რომელმაც გაიზიარა სომეხი მეცნიერის ქ. პატკანოვის მოსაზრება ქართველის ცხოვრების სომხური წარმომავლობის შესახებ. მან ერცლად მიმოიხილა ბოლოტოვის არგუმენტები და დასძინა, , ქედს ვიხრი პროფესორ ბოლოტოვის, როგორც მეცნიერის, ავტორიტეტის, მაგრამ არა მისი ქართულ მატიანეზე მოსაზრებების წინაშე. ქართული საეკლესიო ისტორიის საკითხებში ის არ არის ავტორიტეტი".

კირიონს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მაჰმადიანებთან, იშველიებდა ჩვენი დიდი წინაპრის დავით IV აღმაშენებლის მაგალითს, რომელიც იყო სჯულშემწყნარებელი მეფე. მაჰმადიანებს მიეძღვნა მისი შრომები, , მუჰამედი როგორც რეფორმატორი"

და, , მართლმადიდებელი საქართველოს თოთხმეტსაუკუნოვანი ბრძოლა ისლამთან". კირიონი პატიჳს სცემდა სომხებს, სომხურ კულტურას, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ემხილა სომეხ მეცნიერთა სუბიექტური შეხედულებები საქართველოს ისტორიაზე. ერთერთ კერძო წერილში იგი ხარკოვიდან იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ ხშირად სტუმრობდნენ ქართველი სტუდენტები და მათ შორის თბილისელი სომეხი სტუდენტი ლეონ მელიქსეთბეგი, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და მასაც ისევე ეხმარებადა მატერიალურად როგორც ქართველებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-ემ საგანგებო ეპისტოლეთი მიმართა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოს გევორქ V-ს და მოქალაქეობრივი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა სომხურ ეკლესიასთან. აი, რას სწერდა იგი სომეხთა კათოლიკოსს: უწმიდესო მეუფეო! საქართველოჲს საკათალიკოზო საყდარი, ასის წლის წინედ დაქურივებული, განგებითა ღმრთისაჲთა, კუალაე თავდადგმულ იქმნა და საყდარსა ამას ზედა, აღრჩევითა კეთილმორწმუნისა ერისაჲთა, აღყვანილ იქმნა უღირსებაჲ ჩემი, შესრული სტადიონისა სულთა მოღუაწეობისა და მწყემსმთავრობითი საჭეთმპყრობელობისასა, მიმოვიხილავე გარემოჲს ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისას– ძმური ნათესაობაჲ ქართლოსიან-ჰაოსიანთაჲ, მსელელობასა საუკუნეთასა განმტკიცებული, განბრწყინებულ იქმნა ემბაზსა შინა იერუსალმის ქრისტიანობისასა და ძმანი ესე ახოვანნი უხვად ჰფენდეს კედართა აღმოსავლისათა შარავანდთა ღვთივ-მეცნიერებასა და კეთილმსახურებისათა. გარნა მანქანებითა კაცთმოძულისა ეშმაკისაჲთა დაითესა ჩუენ შორის ღუარძლი სარწმუნეობითი ლალვისაჲ და დასაწყისსა მეშუდისა საუკუნისასა იქმნა განწუალებაჲ ერთმორწმუნეთა ძმათაჲ. განწვალებამა ჩუენმან წარმოშვა დაკნინებაჲ ჩუენი, ხოლო დაკნინებითა ამითა მტერმან სასტიკმან განამტკიცა ქედსა ზედა ჩუენისა საყდარი ბატონისა თჳსისაჲ. აღსრული საყდართა უწმიდესთა ჩემთა წინამოადგილეთა, მოგიკითხავ უწმიდესო მეუფეო და ვლოცავ უფალსა რათა სრაფითა,და ღვაწლითა ჩუენითა აღდგენილი იქმნეს ერთობაჲ ჩუენდამი რწმუნებულთა ერთაჲ; ერთობასა ვიტყჳ არა სარწმუნოებრივ-დოღმატურისა, არამედ მოქალაქეობრივი-განმანათლებლობითსა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაჲ და ურთიერთას გულისხმისყოფაჲ და რათა სამშობლოსა შინა ჩუენსა განსახიერდეს სასუფეველი ღმრთისაჲ.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, სიყვარული ღმრთისა მამისა და ზიარებაჲ სულისა წმინდისაჲ იყავენ ჩუენ შორის". უმდაბლესი და უღირსი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოზ-პატრიარქი. ქ. ტფილისი 14 ნოემბრის 1917 წ.

პატრიარქმა კირიონმა ასევე თანამშრომლობისა და ეექარისტიული კავშირის აღდგენისაკენ მოუწოდა აღმოსავლეთის მართლადიდებლურ ეკლესიებს. „უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო! ემბაზსა შინა ბერძენთასა შობილი და სძითა მართლისა სარწმუნოებისაჲთა აღორძინებული საქართველოჲს ავტოკეფალური ეკლესიაჲ დასაწყისსა მეათცხრამეტისა საუკუნოისასა განსაცდელსა დიდსა შთავარდა: ბრძანებითა და განგებითა რუსეთის იმპერატორისაჲთა თავი ამა ეკლესიისაჲ, უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონი მეორე, დამხობილ იქმნა საყდრისაგან თჳსისა და იძულებით წარიგზავნა კედართა ჩრდილოეთისათა, ხოლო მოსაყდრედ კათოლიკოზისა დაიდგინეს ექსარხოსნი რუსეთის ეკლესიისანი, რომელნი ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ეკლესიასა ჩვენსა. ახლად დამყარებულმან რუსეთსა შინა დროებითმან მთავარობამან გულისხმაყო არაკანონიერი საქმე იგი იმპერატორისაჲ და ნებასაცა ქურიეობასა შინა მყოფსა ეკლესიასა აღრჩევად თავისა თჳსისა და აღდგენად ძველთა საეკლესიოთა წესთა. ამა პირისათვის ქალაქს ტფილისს შემოკრიბა ღვთივგაბრძნობილი კრებაჲ მორწმუნისა ერისაჲ და სამღვდელოჲსა დასისაჲ, რომელმან ათშუდმეტსა სექტემბერსა მიმდინარისა წლისასა აღირჩია უღირსოებაჲ ჩემიდა სახელმდვა მე „მთავარეპისკოპოზად მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოზ-პატრიარქს", ვითარცა იყო წესი ჩუენისა ეკლესიისაჲ. აღსრული საყდარსა ზედა უწმიდესთა და უნეტარესთა ჩემთა წინამოადგილეთა, გულისხმა-ვჰყოფ ბრძანებასა მოციქულისასა „დამარხებად ერთობასა მას სულისასა საკჳირველ- მოგიკითხო, უნეტარესო მამაო,და წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩუენ შორის". ღვაწლ ჩემდა იქმნების დაცვაჲ დოღმატთა მართლმადიდებლისათაჲ, რომელთა არცა განმცემე ყოფილ არს ეკლესიაჲ ჩუენი; გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაჲ კეთილად-დგომისათჳს წმინდანთა ღმრთისა ეკლესიათა და კეთილწარმატებისათჳს

ერისა ჩემისა; ზღუდედ ჩემდა იქმნების კანონნი მსოფლიოთა და ადგილობრითთა კრებათანი,ხოლო კუერთხად დასაყრდნობელად – ლოცვანი თქუენისა უწმიდესობისანი. აღემართა საყდარი ქართველთაჲ შერყეული და ვენახსა მართლმადიდებლობისითა ეკლესიისასა განუცხოველდა რტოჲ ნაყოფიერი,მანქანებითა კაცთაჲთა დაჩრდილული. აღენთო ლამპარი იერთაჲ დაშრეტილი და სარწმუნოებასა მართალსა აღმოსაველით კერძო აღედგინა ებგური, ამაოებითა სოფლისაჲთა ძალა მიხდილი. ესასოებ, ვითარმედ „არა შეიწრებულ იქმნების" ეკლესიაჲ საქართველოჲსაჲ და მასთანვე უღირსებაჲცა ჩემი „გულსა შინა თქუენსა", რამეთუ, , ერთ არს უფალი, ერთ არს სარწმუნოება, ერთ არს ნათლისღება,ერთ არს ღმერთი და მამაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩენ ყოველთა შორის (ეფეს. IV. 5-6) ამინ!

უმდაბლესი და უღირსი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოზ-პატრიარქი. ქ. ტფილისი.

27 სექტემბრის 1917 წ. ასეე საინტერესოა იყო უწმიდესი კირიონის წერილი რომის პაპისადმი.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

უძუელესსა საყდარსა საქართველოჲსა საკათალიკოზოჲსასა რომელსა 1811 წელთაგან ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ექსარხოსნი რუსეთის ეკლესიისანი, ათშეიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარისა წლისასა, მოვიხსენებ დღეთა პირველთა და ვიწურთ ყოველთა მიმართ საქმეთა (ფსალ. 14, 25) უნეტარესთა მწყემს-მთავართა ჰრომისათა. განგებამან ღმრთისამან არა უცხო ქმნა ეკლესიაჲ ჩუენი ჰრომისათჳს დიდისა. პეტრე და ანდრია, პირველწოდებულთა მათ მოწაფეთა ქრისტესთა, რომელთა თესლი უბიწოჲ განაბნიეს მართლისა სარწმუნოებისაჲ ორნატთა ჰრომქართველთა გულისათა ძმობითა თჳსითა წინაისწარ მოასწავეს სიყუარული და თჳსობაჲ ორთა ამათ ეკლესიათაჲ. ჟამთა მოციქულთა სწორის ნინოჲსა და მეფისა მირიანისათა წიგნმან წმიდისა სილიბისტრო ჰრომისამან, ვითარცა ვარდი, აღაყუავილა ნაყოფი მართლმორწმუნოებისაჲ ქუეყანასა ქართლისასა, ხოლო წვალებითა უშჯულოჲსა ნესტორისაჲთა შეიწრებულმან ახალმა ნერგმან ამან ქრისტესმან ლხინებაჲ ჰპოვა ეპისტოლესა შინა გრიგოლ დიოლოღონისასა, რომელი მან ჰრომით წარმოუძღვნა უწმიდესსა და უნეტარესსა სეხნასახ ჩემსა, კირიონ მცხეთის კათალიკოზსა. შემდგომითი შემდგომად მოღვაწეობამან წმიდისა ილარიონ ქართველისამან, რომელი წელ ორ სხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კულაე აუწყა მკჳდრთა ჰრომისათა დიდებაჲ საქართველოჲს ეკლესიისაჲ და განამტკიცა ერთობაჲ ჰრომთა და ქართველთაჲ. გარდახდეს წელნი მრავალნი და შურითა ეშმაკისაჲთა განიხეთქა ძოწეული შუენიერი ერთმორწმუნეობისაჲ, რომელი ემოსა უბიწოსა მას სძალსა ქრისტესსა, ეკლესიასა აღმოსაველისა და დასავლისასა. გარნა საქმითა ამით არა გულარძნილ იქმნა ეკლესიაჲ ჩუენი: მოციქულნი და ქადაგნი ჰრომის საყდრისანი, რომელნი მეათსამმეტე საუკუნითაგან მოეკლინნეს ქუეყანასა ჩუენსა, შეუორგულებლად იღუწოდეს საფარველსა ქუეშე ქართველთ მეფეთასა, ეითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მომფენელნი ჩუენდა სწავლა-განათლებისანი. მათ აღაშენეს ქუეყანასა ჩუენსა ეკლესიანი თჳსნი და დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არამცირედნი ქართველნი, რომელნი მოაქამომდე ადიდებენ ღმერთსა წესისაებრ ჰრომთა ეკლესიისა და პატივსა სცემენ სახელსა დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა,გულსხმის მყოფელი წარსულისა ჩუენისა, მოწილედ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქმუასა ესდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი, , არა შეიწროებულ იქმნებიან გულსა შინა" ჩემსა და ქართველთა ერისასა. ესასოებ, ვითარმედ უწმიდესობაჲ შენი არა უგულებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკეთა და მრავალფერთა მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, სიყუარული ღმრთისა მამისა და ზიარებაჲ სულისა წმინდისაჲ იყავნ ჩუენ შორის".

უმდაბლესი და უღირსი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოზ-პატრიარქი. ქ. ტფილისი. 2 ნოემბრის 1917 წ.[3]

ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის შესახებ

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის შეუპოვარი მებრძოლი საძაგლიშვილის – ეპისკოპოსი კირიონის ცხოვრების დევიზი იყო: „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია, ხალხის სიყვარული უანგარო მოღვაწეობით დაიმსახურება.“[54] იგი უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს და უანგარო იყო იმ ახალგაზრდების მატერიალურ მხარდაჭერაშიც, რომელთა განათლებასაც საქართველოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შემწეობით 400-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთისა და ევროპის საგანმანათლებლო ცენტრებში. იგი ხელმძღვანელობდა ნესტორ ლეჟავას, სამუელ ცომაიას, ალექსი გორგაძის, კორნელი კეკელიძის სამეცნიერო კვლევა-ძიების სამუშაოებს. აი, რას წერდა მადლიერი კორნელი კეკელიძე 1902 წლის 28 ოქტომბერს კიევიდან ეპისკოპოს კირიონს: „მე გახლავარ ის ადამიანი, რომელიც დღეს თქვენი მოწყალებით კიევის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობ. არ დამავიწყდება ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებოდი მე სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ. სურვილი მქონდა და სემინარიის მხრით საშუალებაც, სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ ამ ჩემს სურვილს წინ ეღობებოდა ოჯახური გარემოებანი, სწორედ ამ დროს მოემართე თქვენს მეუფებას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებისათვის, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დღეს, კიდევ ვიმეორებ, უმაღლეს სასწავლებელში ვარ“. კორნელი კეკელიძემ ეპისკოპოს კირიონის რჩევით შეარჩია თავისი საკანდიდატო დისერტაციის თემა. „ძველ ებრაელებს ჩვეულებათ ჰქონდათ, ყოველნაირ ახალს ანუ პირველ ნაყოფს მადლობის ნიშნად სწირავდნენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამის და მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით,“[55] – წერდა კორნელი კეკელიძე ეპისკოპოს კირიონს. სამწუხაროდ, 1917-1918 წლებში დეკანოზი კორნელი კეკელიძე კირიონის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა, მაგრამ მან ყველაზე უკეთ იცოდა, ვინ იყო კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი და რა დამსახურება ჰქონდა მას საქართველოს ეკლესიის, ქართველი ერის წინაშე. კირიონს, როგორც მეცნიერს და დიდ საეკლესიო მოღვაწეს, განსაკუთრებულად აფასებდა პროფესორი ნიკო მარი, რომელიც აღფრთოვანებული იყო მისი გამოსვლებით 1906 წელს პეტერბურგში სინოდის წინარე სხდომებზე. ასევე გამორჩეული იყო მისი დამოკიდებულება ეპისკოპოს კირიონის პოლემიკური ნაშრომის „ქართველების კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ მიმართ. კირიონის მეცნიერულ ღვაწლს დიდად აფასებდნენ ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, მოსე ჯანაშვილი. ივანე ჯავახიშვილმა 1918 წლის 26 იანვარს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, როდესაც თბილისის უნივერსიტეტი გახსნა, საგანგებო პარაკლისი გადაახდევინა უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს, რომელმაც ბრძანა: „მომეც ჩვენ უფალო გული ბრძენი და გონიერი (მესამე მეფეთა, 3.12). ცოდნისა და მეცნიერების მიმდევარნო! დღეს შეეკრიბენით ამ წმიდა ტაძარში, რათა გამოვითხოვოთ ღვთისაგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამ ძვრა-რყევისა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ, საძირკველი ჩაგუყაროთ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ენერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში, ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ეხსნით– ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტმა

სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი – ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ, ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო, და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან, იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა."[56]

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II აფასებდა მიხეილ თამარაშვილის გამოკვლევებს, მაგრამ საგანგებოდ მიუთითებდა ავტორის თავისებურ მიდგომაზე იმ წყაროების მიმართ, რომელიც კათოლიკობას ეხებოდა. კირიონი მეგობრობდა ცნობილ რუს სლავოფილ ნიკოლოზ დურნოვოსთან, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. როგორც მეუფე კირიონი აღნიშნავდა, თავდაპირველად დურნოვოს ფსევდონიმს ამოფარებული კირიონი ეგონათ, როდესაც მის წერილებს კითხულობდნენ, რომლებშიც მხილებული იყო რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების უკანონობანი საქართველოს ეკლესიის მიმართ. განსაკუთრებით მკაცრად იყო მხილებული რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ნ. დურნოვოს წიგნში „ქართული ეკლესიის ბედი." ეპისკოპოსი კირიონი დიდ პატივს სცემდა ნ. დურნოვოს, მის არქივში ინახება აკაკი წერეთლის ნაკლებცნობილი ლექსი ნ. დურნოვოსადმი, რომელიც რუსული თარგმანითურთ უნდა გადაეცა მისთვის კირიონს მოსკოვში.

ნ. დურნოვოს

„ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს
და მეც რუსეთში დავჭალარავდი,
მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს კი
აღვიარებდი, ვერა ეფარავდი.
ეუქებდი წარსულს, მაგრამ აწყმოში
მძულდა მთავრობა ბიუროკრატი
და მე რომ რუსად წარმოვიდგენდი,
სხვაგვარი იყო იმისი ხატი.
ქრისტეს მოყვარე, სულით მაღალი,
გაჭირვებულთა ხელის შემწყობი,
უსამართლოთა და უკუღმართთა
აღვირამსხმელი და დამამხობი.
ვით ჩვენ წინაპრებს, მეც ისე მყავდა
მაშინ რუსობა წარმოდგენილი –
მთელ საქართველოს დამხსნელ-მფარველად
და სასოებით მიცემდა გული.
მაგრამ რა ვნახე, ჩემ სამშობლოში
როცა დავბრუნდი, ღმერთო ძლიერო!
ერთგულების და სიყვარულისთვის
გადასახადი სამაგიერო!
ზიზღი და მტრობა! სხვა არაფერი
დევნა სასტიკი ხორცის და სულის,
ვითომ მტკუანი იყოს ქართველი
და მართალი კი სულ ის და სულ ის.
რუსებს ეჭირათ სუყოველგვარი
ჩვენი ცხოვრების ასპარეზები,
გვაჯდენ კისერზედ, როგორც სახედრებს

და გეერდებს გეჭრიდა მათი დეზები.
სამღვდელოებას და მის ეგზარხოსს
აებნათ ქრისტეს ნამოძღერი კვალი,
შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება,
საქრისტიანო უარჰყვეს ვალი.
გარეგნად მღვდლები, შინაგნად მგლები
თავს არ იტეხდნენ ქრისტეს მცნებაზე
და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ
როგორც ჟანდრები, გარუსებაზე.
სამსჯავროებში აღარსად იყო
აღარც კანონი, არც სამართალი
და თვითოეულ მსაჯულთაგანსაც
გარუსებისკენ ეჭირა თვალი.
აღმზრდელებიცა ჩვენი შვილების
მხოლოდ ჰფიქრობდნენ გარუსებაზე
და არა მათის მოწაფეების
გრძნობა-გონების ამაღლებაზე.
მე კი ვამბობდი, რომ მოვლინება
ეს დროებითი მხოლოდ მეხია...
მომავლისაგან ველოდი სულ სხვას
და მაინც გული არ გამტეხია.
ვფიქრობდი, მოვა აწ ახალი დრო,
ის გაგვინათლებს დღევანდელ ბნელსა
და მოველოდი მე გაზაფხულის
წინამორბედს და მახარობელსა.
და აი, მართლაც დღეს გამოგვიჩნდი...
კურთხეულ იყოს შენი ჭაღარა!..
და შენთან ერთად ძმობა-ერთობას
უმღერს, უგალობს ჩემი ნაღარა.“

ეპისკოპოს კირიონს, როგორც აღიარებულ მეცნიერს და თეოლოგს, დიდ პატივს სცემდნენ როგორც რუსეთში, ასევე უცხოეთში. საკმარისია ჩამოვთვალოთ ისინი, რომ ნათელი გახდეს, თუ რა მასშტაბის პიროვნებასთან გვქონდა საქმე. კირიონთან მეცნიერული მიმოწერა ჰქონდათ ნოეროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ალაზოვს, ხერსონის მუზეუმის დირექტორს ვიქტორ გოშკევიჩს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ლეონიდ დიმიტრიევს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორს ნიკოლოზ პალმოვს, ივანე სოკოლოვს. პროფ. ივ. სოკოლოვი ღიად უჭერდა მხარს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მას 1914 წელს საქართველოში უმოგზაურია და აღტაცებული დარჩენილა მრავალრიცხოვანი უნიკალური ქართული ხელნაწერებით. არქიმანდრიტ ტარასისათვის გამოგზავნილ წერილში კირიონი წერს: „წუხელ ვიყავი პროფ. ი. სოკოლოვთან მიწვეული, ბევრი მელაპარაკა შესახებ ჩვენი საეკლესიო ისტორიისა, ბევრი ახალი ცნობა აღმოუჩენია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზე.“[57] ეპისკოპოსი კირიონი სადაც არ უნდა ყოფილიყო ყველგან შემოქმედებით და სულიერ ატმოსფეროს ქმნიდა. ამას გრძნობდა ყველა, ვინც მას იცნობდა. როდესაც 1903 წელს იგი კამენეც-პოდოლსკიდან გადაიყვანეს, იქაური მრევლი გულისტკივილით წერდა: „ღრმა მწუხარებით გაცილებთ ჩვენ კამენეციდან და დღევანდლამდე არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენგან გაფრინდა ერთადერთი იმედი, გვეცხოერა გააზრებული და იდეური ცხოერებით.“[58] ეპისკოპოს კირიონს დიდ პატივს სცემდა პროფესორი ნიკოლოზ პალმოვი, რომელიც მუშაობდა ასტრახანის მთავარეპისკოპოს გაიოზისა და ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა

კათოლიკოსის მაქსიმე აბაშიძის ბიოგრაფიებზე, კირიონი მას კონსულტაციებს უწევდა. 1917 წლის 17 თებერვალს ნიკოლოზ პალმოვი კირიონს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის: „გთხოვთ, შემიერთოთ მეც თქვენს სიხარულს, რადგან ვმუშაობდი რა კავკასიის სიძველეებზე, მე თვით თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ საქართველოს სრული ავტოკეფალიის უფლება ჰქონდა და ეუმტკიცებდი ამას მრავალ სხვა გავლენიან პირს.“[59] პალმოვი იმედს გამოთქვამდა, რომ უწმიდესი კირიონი თავის გარშემო შემოიკრებდა ყველა ენთუზიასტ ახალგაზრდას,რომელნიც მოისურვებდნენ მეცნიერულ მუშაობას და საქართველოს ეკლესიაში სულიერი ცხოვრების გასპეტაკებასთან ერთად ინტელექტუალური მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე ავიდოდა. ეპისკოპოსი კირიონი უანგაროდ ეხმარებოდა ყველას, ვინც დაინტერესებას გამოხატავდა საქართველოს ისტორიით, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემებით. მის არქივში რუსი და ევროპელი მეცნიერების მიერ გამოგზავნილი მრავალი სამადლობელი წერილია დაცული. სანიმუშოდ მოვიყვანთ პროფესორ ლ. დმიტრიევის 1912 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ წერილს: – „უღრმესი და გულითადი მადლობა თქვენ, დიდად პატივცემულო მეუფეო, თქვენი თავაზიანი, მოწყალე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მამური დამოკიდებულებისათვის ჩემს მიმართ. თქვენი ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის მით უფრო ძვირფასია, რომ გამოტეხით უნდა ეთქვა, არაფრით არ დამიმსახურებია ეს თქვენს წინაშე, იმის ბედნიერებაც კი არ მაქვს, რომ პირადად მიცნობდეთ, მიუხედავად ამისა, თქვენ მეუფეო, არ მტოვებთ ყურადღების გარეშე და დროდადრო მასაჩუქრებთ მეცნიერული ღირებულებით ძალზე ძვირფასი ცნობებით“. ეპისკოპოს კირიონს დიდი დახმარება გაუწევია თბილისში მცხოვრები გერმანელი ლუთერანული ეკლესიის ბერის გუსტავ ბერმანისათვის მეცნიერებაში მანამდე ნაკლებად ცნობილი ბერძნული სახარების ხელნაწერის დამუშავებაში. მისი ზეგავლენით მეორე გერმანელ პროფესორს გრეგორს დაუწყია „კორიდეთის ოთხთავზე“ მუშაობა. გუსტავ ბერმანი კირიონს წერდა: „ხელნაწერი უკვე ცნობილია რუსეთსა და საზღვარგარეთის მეცნიერებს შორის და ყველა მონაწილეობს მის დამუშავებაში.“[60]

ეპისკოპოსი კირიონი ასევე ეხმარებოდა იტალიელ კათოლიკე ბერს აურელიო პალმიერს საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლაში. მისთვის გაუგზავნია როგორც თავისი, ასევე სხვა მეცნიერთა შრომებიც. მას იოსებ ჩიჯავაძისათვის ასეთი წერილი გამოუგზავნია: „წერა-კითხვის წიგნების მაღაზიაში გამოართვი ჩემ ანგარიშში შემდეგი წიგნები: 1. Вестник Кавказа, 2. ქართლის ცხოვრება – ჯიჯნაძის გამოცემა, 3. ტიმოთეს მოგზაურობა, 4. ქართული გრამატიკა ჟორდანიასი და ბენაშვილისა, 5. ქართული გრამატიკა მოსე ჯანაშვილისა, 6. ბაქრაძის ისტორია.“ ყველა ეს წიგნები გაუგზავნე პროფესორ პალმიერს.61 პალმიერი გაეცნო რა ეპისკოპოს კირიონის ნაშრომებს, აღტაცებული ასეთ წერილს უგზავნის მას: „თქვენი ეკლესიის ისტორია იმდენად შესანიშნავია, რომ ჩემთვის დიდ სიამოვნებას წარმოადგენს მისი შესწავლა. ჩქარა გაეუკეთებ რეზიუმეს თქვენს საუცხოო თხზულებას,რომელიც შეეხება ქართული ეკლესიის ისტორიას XIX საუკუნეში და დაეიწყებ შრომის წერას ბიბლიის ქართული ვერსიების შესახებ.“[62] აურელიო პალმიერი აღფრთოვანებული იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიით, ეპისკოპოს კირიონის პიროვნებით და მიმართავდა მას: „გთხოვთ დამეხმაროთ ჩემს განზრახვაში: გაეხადო ცნობილი საზღვარგარეთ საქართველოს დიდება, ქართული ეკლესიის ისტორია, რომელიც არანაკლებადაა დიდების ღირსი.“[63] იგი მეუფე კირიონს წერს: „თაყვანს გცემთ, როგორც ქართული ეკლესიის ყველაზე უფრო სახელოვან და სწავლულ წარმომადგენელს და მწამს,რომ თქვენ მუდამ კეთილად იქნებით განწყობილი ჩემს მიმართ.“64 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი მღვდელმთავრის ბედით დაინტერესებული იყვნენ ცნობილი ინგლისელი მოღვაწეები და-ჰმა ოლივერ და მარჯორი უორდროპები. როგორც შორენა შტოიენის წერილი „ჯეშმარიტების მაძიებელი!“ გვამცნობს: მარჯორი უორდროპს უთარგმნია ეპისკოპოს კირიონის ის წერილები და გამოკვლევები, რომელნიც შეეხებოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებას. მან ევროპის განათლებულ

საზოგადოებას გააცნო ეპისკოპოს კირიონის პიროვნება, რომელიც უსამართლოდ იყო დევნილი რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან. მარჯორიმ ინგლისურად თარგმნა კირიონის თანაშემწის გიორგი მოუსეენარაძის (შესაძლოა ტარასი კანდელაკის) წერილი „კირიონ ეპისკოპოსი.“ აი ისიც: „გაზეთებიდან უკვე იცით კირიონ ეპისკოპოსის ხელახალი და ხარკოვის გუბერნიიდან ერთ მიყრუებულ და მივარდნილ მონასტერში გადასახლება. წარმოუდგენელია ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მოხუცმა ეპისკოპოსმა ამ დროს განიცადა. მერე არ იკითხეთ, რაზედ აწამებენ და სდევნიან ამ კაცს? კირიონ ეპისკოპოსი ჭეშმარიტი გულშემატკივარია თავისი ერისა. იგი გულწრფელის სიყვარულით არის განმსჭვალული, ამასთან იგი ნამდვილი ქრისტიანია, ჭეშმარიტი მოსარჩლე ტანჯულ-წამებულისა, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდნენ ეს ტანჯულწამებულნი. აი, სწორედ ამისთვის განიცდის უწყალო დევნა-რბევას, ამიტომაცაა, რომ შეუმჩნეველად იტანს ყველაფერს.

პირველად კირიონ ეპისკოპოსი იმით დასაჯეს, რომ რუსეთში უმნიშვნელო ადგილზე დანიშნეს. რამდენიმე წლის შემდეგ საქმის ვითარება გამოიცვალა და იგი პირველხარისხოვან ორლოვის ეპარქიაში გაამწესეს. პატარა ხანს უკან ორლოვის ეპარქია კირიონმა სოხუმისაში გაუცვალა ეპ. დიმიტრის. აქედან ეპ. კირიონი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამო სინოდში გაიწვიეს, სადაც იგი მედგრად იცავდა ავტოკეფალიას და დიდი ცოდნაც გამოიჩინა ისტორიაში როგორც ეს შემდეგში, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ბუტკევიჩმა გადმოგვცა; პროფ. ბუტკევიჩიც იმ დროს ეპ. კირიონის საწინააღმდეგო პოზიციაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამის შემდეგ სოხუმიდან ეპ. კირიონი ისევ მცირე ადგილზე გაამწესეს, კოენოში. არც აქ დაჰყო დიდხანს: შეატყო, რომ უმაღლეს სასულიერო წრეებში ცუდი თვალით უყურებდნენ, თვითონვე თავი გაანება სამსახურს და ძველ ათონზე ცხოვრების ნება ითხოვა. ამაზე ცნობილ ეოსტორგოვს ეთქვა: „მაგას იმიტომ უნდა ძველ ათონზე ცხოვრება, რომ ოსმალებთან დაიჭიროს კავშირი და საქართველო რუსეთს ჩამოაშოროსო.“ სინოდმა მართლა აუკრძალა ძველ ათონზე ცხოვრება. ხარკოვის მახლობლად, კურიაჟის მონასტერში გამოგზავნა საცხოვრებლად, სადაც შარშან 25 აპრილს დაბინავდა. დიდად ანუგეშა კირიონ ეპისკოპოსი ხარკოვის ქართველ სტუდენტების დეპუტაციამ, რომელიც ამ მონასტერში მივიდა მის სანახავად და რომელსაც ეპისკოპოსმა მშვენიერის სიტყვით მიმართა და მადლობა უძღვნა თანაგრძნობისათვის.

აქ ეპისკოპოს კირიონის სადგომს შეადგენდა სამი ძირის ოთახი, რომელთაც ნესტისაგან კედლებიდან წყალი გამოსდიოდათ. პენსია არა ჰქონდა დანიშნული და მონასტრის უბრალო ბერის ხარჯით კმაყოფილდებოდა. მიუხედავად ამნაირი გაჭირვებისა, კირიონ ეპისკოპოსი მაინც სულით არ ეცემოდა და მხოლოდ იმითღა ინუგეშებდა თავს, რომ ახლოს იყო საუნივერსიტეტო ქალაქთან და თავის ბიბლიოთეკის გარდა, რომელიც 5000 წიგნს შეიცავდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ისარგებლებდა. აქ მან შვიდი თვის განმავლობაში განაგრძო და კიდეც დაამთავრა თავისი ახალი თხზულება რუსულ ენაზე ამ სათაურით „Культурная роль Иверии въ исторіи Руси“. აქვე გაიცნო რამოდენიმე პროფესორი, რომელნიც ძალიან დაინტერესა თავისი ახალი თხზულებით. პროფესორები აჩქარებდნენ, მალე გამოეცა ეს თხზულება...

ამნაირად გაატარა ეპისკოპოსმა კირიონმა სრული შვიდი თვე კურიაჟის მონასტერში, მხოლოდ მერვე თვის დეკემბრის 10-ს, როგორც ვიცით, დეპ. პურიშკევიჩმა სახელმწიფო სათათბიროში საჯაროდ გამოაცხადა ცრუ ამბავი, ვითომ ეპისკოპოსი კირიონი დასწრებოდეს მღვდელ ჩოჯავაძესთან მომხდარ კრებებს 22 თებერვალს და 18 მაისს და ვითომ ამ მოგონილ კრებებს მოჰყოლოდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა და სხვა. არ გაგიკვირდება მკითხველო, ამნაირი უცნაური ტყუილი?! ჯერ ეს კრებების ამბავი ვისა სმენია და მერე ეპისკოპოს კირიონს რა უნდოდა ტფილისში 22 თებერვალს, როდესაც იგი მხოლოდ 9 მარტს გამოემშვიდობა თავის კოენოს ეპარქიას და 18 მაისს კი, მე თვითონ მოწამე ვარ, კურიაჟის მონასტერში მწირველი იყო და კიდეც ვიღაცა აკურთხა იღუმენად!!! მაშ საიდან შეხანხლა ასეთი სიცრუე პურიშკევიჩმა?!

მაგრამ პურიშკევიჩის სიცრუემ მაინც გასჭრა და მისი სიტყვის სწორედ ორი კვირის შემდეგ, 26 ქრისტეშობისთვეს, მოვიდა სინოდიდან ბრძანება, ეპისკოპოს კირიონის კურიაჟის მონასტრიდან ტამბოვის ეპარქიის სანაქსარის მონასტერში გადასახლების შესახებ. „რისთვის, რა მიზეზია, რომ ამ ცივ ზამთარში უფრო ცივ, ყინვიან, უდაბურ მონასტერში მასახლებენ, რომელსაც რკინის გზაც არ უდგება და 80 ვერსი ეტლით არის გასაველელიო“, – ჰკვირობდა კირიონი. კირიონმა გაუგზავნა სინოდს საპასუხო დეპეშა. სთხოვა, ნება მიეცათ პეტერბურგში მისვლისა, რომ გაეგო რაში იყო საქმე. ხელმეორედ მოვიდა დეპეშა: „სინოდს საჭიროდ მიაჩნია, რომ დაუყონებლივ გაემგზავროთ სანაქსარის მონასტერში“. პეტერბურგში მისვლის ნება არ მისცეს. ამ დეპეშის მიღების მეორე დღესვე ჩააყენეს სტრაჟნიკი

საყარაულოდ, ირგვლივაც ეტყობოდა, რომ პოლიცია თვალყურს ადევნებდა ყველაფერს. მამან ცუდად იმოქმედა კირიონის გატეხილ ჯანზე და ძალიან დასუსტდა. სტუდენტების რჩევით, ხელმეორედ გაუგზავნა დეპეშა სინოდს, სთხოვდა: „რადგან ამ ჟამად შეუძლოდა ეგრძნობ თავს, მაისამდე მაცალეთ დანიშნულ ადგილას წასვლა ან არა და რომელიმე სამხრეთის მონასტერში მომეცით ბინაო.“ ამაზე უფრო მკაცრი პასუხი მოუვიდა: „ნაბრძანებია, დაუყონებლივ წახვიდეთ დანიშნულ მონასტერშიო.“ მეტი ჯანი აღარ იყო, დამორჩილდა ბედს და 10 იანვარს გაუდგა გზას. რადგან სუსტადა გრძნობდა თავს, გაყვეკი მეც მოსკოვამდის გასაცილებლად. ვამჩნევდი, რომ ყველგან, საცა კი წავიდოდით, უცხო პირები თვალს გვადევნებდნენ და კატორღელებსავით უკან დაგვდევდნენ.

მოსკოვში ვნახეთ პროფესორი ხახანაშვილი, რომელსაც ეპისკოპოსმა კირიონმა გააცნო თავისი ნაწარმოები. პროფესორი ხახანაშვილი კიდეც შეჰპირდა მის გამოცემას. ვინახულეთ აგრეთვე ცნობილი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც ძალიან სწუხდა იმის უდანაშაულოდ დასჯას და სხვადასხვა რჩევას აძლევდა. რაც დრო გადიოდა, კირიონი მით უფრო სუსტდებოდა, რისთვისაც 16 იანვარს, ნაშუადღევს, პირველ საათზე იგი გოლიცინის საავადმყოფოში დაწვა. 17 იანვარს საავადმყოფოში მისვლისთანავე შემატყობინეს, რომ ეპისკოპოსი წაიყვანესო. „ვინ,რად, სად?“ განცვიფრებულმა ზედიზედ მიეყარე კითხვები მორიგე ექიმს, რომელმაც გადმომცა შემდეგი: „წუხელის, ღამის ორ საათზე, უნდოდათ წაეყვანათ ეპისკოპოსი პოლიციელებს, მაგრამ სამკურნალოს სამმართველომ არ შემოუშვა, ამიტომ დღეს, დილის რვა საათზე, მოვიდა ბოქაული თავისი ამალით და შეეკითხა ექიმს: შეუძლიან თუ არა ეპისკოპოსს გამგზავრებაო. ამაზე ექიმმა მიუგო, თუმცა ძალიან სუსტად არის, მაგრამ იქნებ შესძლოს მგზავრობაო“. ამის შემდეგ ბოქაულმა უბრძანა ეპისკოპოსს, საჩქაროდ ჩაიცვით ტანისამოსი და ჩემთან ერთად წამოდითო. ჩასვეს კარეტაში და სად წაიყვანეს ან რისთვის, ჩვენ თვითონაც არ ვიცითო“. ჯერ პროფესორ ხახანაშვილს შევატყობინე ეს ამბავი და შემდეგ ნ. ნ. დურნოვოს, რომელიც მაშინვე გაექანა ამბის გასაგებად. პატარა ხანს უკან გაიგეთ, რომ სამკურნალოდან კირიონი პირდაპირ სადგურზე წაეყვანათ და ორი დარაჯით გაესტუმრებინათ სანაქსარის მონასტერში.


მესამე დღეს ხელმეორედ მივედით ნ. ნ. დურნოვოსთან. მოხუცი თითქმის სტიროდა ეპისკოპოს კირიონის ამნაირი სასტიკი მოპყრობის გამო, ამტყუნებდა ქართულ საზოგადოებას, რომ იგი არა ზრუნავს და რამე საშუალებას არა ხმარობს მის დასახსნელადაო. საჭიროა, ამბობდა ნ. ნ. დურნოვო, რომ ყველა ქართველი ეპისკოპოსი შეეკითხოს უმაღლეს მთავრობას, რათა სჯიან ასე სასტიკად ეპისკოპოს კირიონს და ან როდის მოელება ბოლო ამ დევნასაო. აქვე გადმომცა, რომ დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის ინსპექტორის თანაშემწეს ბოგოიავლენსკის ელაპარაკა ეოსტორგოვთან კირიონის უსაფუძვლო დევნაზე, და ეოსტორგოვს პასუხად უთქვამს: „я его утоплю и всю Грузию кровью залю“. ამაზე მოსკოვის გაზეთის რომელიღაც თანამშრომელს ბ-ნ ბალაშოვს, რომელიც იმ დროს იქა ყოფილა, ეთქვა: „ეპისკოპოსმა კირიონმა ამ სიტყვებზე უნიელოს ეოსტორგოვს და მე მოწმედ დამნიშნოსო“.


ამის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, კურსკის სადგურზედ ჟანდარმებმა მეც დამიჭირეს,

აქ პოლიციის მოხელემ ჩამომითვალა ჩვენი მგზავრობა და თან მუქარით მკითხა – „სთქვი, სადა და სად იყავით, თორემ დაგიჭერთო. სულ ერთია ჩვენ ყველაფერი ვიციო“. თუ იცით, მე მიეუბეგ, მაშ რაღა საჭიროა ჩემი თქმა მეთქი. ჩვენება ჩამომართვეს და ბოლოს როგორც იყო გამიშვეს. ასე და ამნაირად დაბოლოედა ეპისკოპოს კირიონის მგზავრობა.[65]

კირიონის დასაცავად აქტიურად იბრძოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა. ეპისკოპოს კირიონის სანაქსარის უდაბნოში გადასახლების გამო აკაკი წერეთელი გულისტკივილით აღნიშნავდა: „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა! რაც იმედები მქონდა, სულ გამიქარწყლდა, მაგრამ ახლა ამაზედ გლოვის დრო არ არის! კაცმა უნდა წამხდარი საქმე კიდევ უკეთ მოაგვაროს. მაგ საქმის მოგვარება სასიკეთოდ ადვილად შეიძლება, მხოლოდ ცდა უნდა და ცოტაოდენი გამჭრიახობა. თავს არ დავზოგავ, წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტრებს კი არ გავახარებ. მე ვიცი, როგორც უნდა გამოტრიალება საქმის. აქ საჭიროა მარჯვე კაცი“.[66] აკაკი წერეთელმა თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა კირიონისა და გრ. ყიფშიძის ავტორობით გამოქვეყნებულ ქართული სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელოს. „ეს სახელმძღვანელო წიგნი შესანიშნავი მოვლენაა და ქართულ ოჯახებში აუცილებლად განძად შესატანი. ამის შემდგენებს არ ჰკლებიათ არც ცოდნა და არც ბეჯითობა, არც სხეა რამ, რაც კი საჭიროა ამგვარი სახელმძღვანელოს შესადგენად“.[67] საყურადღებოა ალექსანდრე ხახანაშვილის წერილი კირიონი სადმი. „არ ვიცი, როგორ მოგმართო: ძველებურად, თუ იმ სახელით, რომელიც დაირქვი, ძმაო გიორგი და მამაო კირილე! წმინდა საქმეა ბერობა და მორწმუნე კაცის გულს სასოებით ავსებს. მე ამ შენს სარწმუნოებრივ საქციელს ვუყურებ ქვეყნიური თვალსაზრისითაც. მე მწამს, რომ შენ, როგორც მამულის მოყვარეს, გაგიძრახავს თავი შესწირო სასულიერო სამსახურს ქართველი ტომის სადიდებლად და შეიმოსე ბერად იმ დროს, როდესაც შენი ასაკის კაცი კიდევ ღელავს და სწყურის სიამოვნება, ტრფიალება, თავისუფლება. თაყვანს ვსცემ ყოველ ნაბიჯს ჩემი თანამემამულისას, რომელიც გამსჭვალულია სამსახურის აზრით სამშობლო ნიადაგზედ და ამიტომ გილოცავ ახალს ასპარეზზედ გამოსვლას და გისურვებ პირნათლად ღვთისა და კაცთა წინაშე შეგესრულებინოს შენი მოვალეობა“.[68] მართლაც პირნათლად შეასრულა მან თავისი მოვალეობა.

ეპისკოპოს კირიონს, უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს თავისი თავგანწირული მოღვაწეობის გამო ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა როგორც რუსეთში, ევროპაში, ისე თავის მშობლიურ საქართველოში, მაგრამ არც მტრები აკლდა...





1917 წლის 12 (25) მარტს
სვეტიცხოველში მიღებული დამოუკიდებლობის აქტი.



1917 წლის 8 სექტემბერი, თბილისი.
პირველი საეკლესიო კრების მონაწილეთა ჯგუფი.

ტრაგიკული 1918

1917 წლის იანვარ-თებერვალში რუსეთის იმპერიაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა იმპერატორი ნიკოლოზ II აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო. ამ ვითარებით ყველაზე კარგად ქართველმა ავტოკეფალისტებმა ისარგებლეს - 1917 წლის 12 მარტს სეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში მიიღეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, საეკლესიო კრების მოწვევამდე შექმნეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ დანიშნეს გურიაოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე. ქართველ მორწმუნეთა ჯგუფი ქრისტეფორე კაპანაძის ხელმძღვანელობით ჩავიდა კამენცკ-პოდოლსკში, ინახულა ეპისკოპოსი კირიონი და მოახსენა, რომ აუცილებელი იყო მისი სამშობლოში დაბრუნება და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მეუფე კირიონმა მადლობა მოახსენა მათ, მაგრამ განაცხადა: "ლეონიდი და მისი მომხრეები მოსყიდვას არ მომცემენო." ბოლოს იგი მაინც დაითანხმეს. 1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომების მუშაობაში (იხ. ოქმი №49, 51, 55, 56, 57). დროებითი მმართველობის სხდომების (1917 წლის 13 მარტიდან 9 სექტემბრამდე) უცვლელი მდივანი იყო დავით დავიდოვი (დავითაშვილი), რომელიც მტრობდა ეპისკოპოს კირიონს. მის მიერ შედგენილ ოქმებში ისეა საქმის ვითარება წარმოდგენილი, თითქოს კირიონი ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას და ამის გამო უპირისპირდებოდა დროებითი მმართველობის წევრებს. დეკანოზი ნიკიფორე თალაკვაძე წერდა: "დროებითი მმართველობის დროინდელი სხდომის ოქმები არცერთი არ წაკითხულა და შესწორებულა კრების მიერ. ოქმი იწერებოდა ტენდენციურად, ოსტატურად ამცირებდნენ კირიონს, უღობაედნენ გზას საქართველოში ჩამოსასვლელად." დაიწყო გაუთავებელი ინტრიგები და ცილისწამებანი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალ იისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ეპისკოპოსი კირიონი მიუღებელი აღმოჩნდა თბილისური სასულიერო ელიტის დიდი ნაწილისათვის. მათ საფუძვლიანი შიში ჰქონდათ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მომავალ არჩევნებში ვაითუ ეპისკოპოსმა კირიონმა გაიმარჯვოსო, ამიტომ თავის დაზღვევის მიზნით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების პროექტში, რომელიც 1917 წლის პირველ საეკლესიო კრებაზე დაამტკიცეს, შექმნეს საკათოლიკოსო საბჭო, რომლის წევრების უმრავლესობა კირიონის მოწინააღმდეგე იყო, აგრეთვე მცხეთა-თბილისის ეპარქია დაანაწევრეს. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 აგვისტოს თბილელ მიტროპოლიტად გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე გამოაცხადეს. მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, თბილელი მიტროპოლიტი ცხადდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, პატრიარქის ავადმყოფობის ან არყოფნის დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლად. რაოდენ სამწუხარო იყო, რომ გამართლდა დეკანოზ ივანე ვოსტორგოვის სიტყვები: "რად გინდათ ქართველებს ავტოკეფალია, ხომ დასჭამთ ერთმანეთსო." ქართველ საზოგადოებას, მორწმუნე მრევლს ფრიად აწუხებდა ორ დიდ საეკლესიო მოღვაწეს – კირიონსა და ლეონიდეს შორის წარმოშობილი უთანხმოება, მორწმუნეთა დაყოფა "კირიონისტებად" და "ლეონიდისტებად". 1917 წლის 9-17 სექტემბერს ამ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა პირველი საეკლესიო კრების სხდომები. დაძაბულობამ პიკს მიაღწია 17 სექტემბერს, როდესაც საეკლესიო კრებას უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი – მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი.

დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე წარმოდგენილი მიტროპოლიტ ლეონიდესა და ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურებზე კენჭისყრა. ხმის

დამთვლელ კომისიას ხელმძღვანელობდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. 13 საათზე საეკლესიო კრების მონაწილე 448 დელეგატმა დაასრულა ხმის მიცემა. 16 საათზე დასრულდა ხმების დათვლა. გაირკვა, რომ 12 ხმით მეტი მოაგროვა ეპისკოპოსმა კირიონმა და იგი გამოცხადდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთის მთავარეპისკოპოსად. მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი არჩევნებს არ ესწრებოდნენ. როდესაც მათ არჩევნების შედეგები მოახსენეს, მიტროპოლიტი ლეონიდე ძალიან აღელდა, ბოლოს მოერია თავს და სიონის საპატრიარქო ტაძარში შეეგება ახლადარჩეულ კათოლიკოს-პატრიარქს – უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს და შემდეგი სიტყვებით მიმართა: "მე მიორკეცდება ძალღონე, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ, მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში."[7] უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ამ სიტყვებით მიმართა მრევლს: "არღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ."

1917 წლის 1 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში, ათასობით მორწმუნე შეიკრიბა, ისინი ორ დიდ დღესასწაულს აღნიშნავდნენ – სვეტიცხოველობას და ასწლოვანი მონობისგან განთავისუფლებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევას. საოცარი იყო, ამდენი გულშემატკივრის მიუხედავად კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი მაინც მარტო იყო. დასრულდა წირვა, პატრიარქი მღვდელმთავრებთან და სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად ტაძრიდან გასასვლელად მოემზადა, დალოცა მრევლი და ამ დროს ხელში რაღაც ფურცელი შეაჩეჩეს, რომელზედაც შავით თეთრზე ეწერა: "თქვენო უწმიდესობავ! როგორც კი სვეტიცხოველიდან გახვალთ, ხალხში გარეული მკვლელი რეეოლვერიდან გესვრით".[7] პატრიარქი კირიონი დინჯად გაემართა გასასვლელისაკენ, ატყდა ჩოჩქოლი. ამ დროს პატრიარქთან გაჩნდა ყარამან კიკნაველიძე, რომელმაც თავისი ხალხით პატრიარქი კირიონი სამშვიდობოზე გაიყვანა. ეს ინციდენტი ფრიად დამაფიქრებელი იყო.

1917 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს საკათოლიკოსო სასახლეში შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა. საეკლესიო კრებაზე დამტკიცებული მართვა-გამგეობის დე ბულების თანახმად, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორ განო იყო საეკლესიო კრება, კრებებს შორის პერიოდში – საკათოლიკოსო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ეპარქიათა მღვდელმთავრები და საერო პირები, სულ 12 კაცი. საკათოლიკოსო საბჭოს თავმჯდომარე იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს ჰქონდათ თითო ხმა, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – 2. პირველსავე სხდომაზე ნათელი გახდა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II უმცირესობაში აღმოჩნდა. სხდომაზე წამოიჭრა საკათოლიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველის საკითხი. დეკანოზებმა კორნელი კეკელიძემ და კალისტრატე ციხაძემ ამ თანამდებობაზე წამოაყენეს დავით დავიდოვის (დავითაშვილი) კანდიდატურა. ქრისტეფორე კაპანაძემ დაასახელა ალექსანდრე ნიკიტინის კანდიდატურა. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II დავით დავითაშვილის ხსენებაზე ცუდად გახდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. როდესაც შეატყო, რომ საკათალიკოსო საბჭოს წევრების უმრავლესობა დავით დავიდოვისათვის აპირებდა ხმის მიცემას, ეველარ მოითმინა და განაცხადა – თუ თქვენ საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად დავით დავიდოვს აირჩევთ, მე კათოლიკოსის ხარისხს ავიყრიო. დავიდოვის მომხრეებმა ხმა ვერ ამოიღეს, ამ დროს წამოდგა საქართველოს ეკლესიის ობერპროკურორი ქრისტეფორე (ჩიტო) კაპანაძე და სხდომას მიმართა: – გასაოცარია ზოგიერთის განწყობილება, როგორ შეიძლება თავისუფალი საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს მმართველად იმ კაცის არჩევა, რომელიც მუდამ რუსი ეგზარქოსების ჯაჭვში იყო. ამ სხდომაზე დავით დავიდოვის კანდიდატურა ჩაეარდა და საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს მდივნად ალექსანდრე

ნიკიტინი აირჩიეს. (მან იცოდა კარგი ქართული წერა-კითხვა და იყო საქართველოს პატრიოტი - ს. ვ.).

ამ უსიამოვნო ამბავს, ასევე უსიამოვნო გაგრძელება ჰქონდა. მეორე დღეს საკათოლიკოსო საბჭოს სხდომის დროს დარბაზში შეიჭრა დავით დაიდოვი, ცივად მიესალმა სხდომას და მერე მიეჭრა ქრისტეფორე (ჩიტო) კაპანაძეს – თქვენ რა სთქვით ჩემზე? – ის, რაც ვიცოდი და საჭიროდ მივიჩნიე, უკან დაიწიეთ და თქვენი ადგილი დაიჭირეთ, – უპასუხა ჩიტო კაპანაძემ. გაიმეორეთ,რა სთქვით, – დაიღრიალა დავიდოვმა. – მე ისა ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ვინც რუსის ეგზარქოსების ჯგაშუში იყო,თავისუფალი საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად ვერ იქნება, – გაიმეორა ჩიტო კაპანაძემ. ამ სიტყვის თქმა და დავით დავიდოვის სილის მოქნევა ერთი იყო. ჩიტო კაპანაძემ თავი დაბლა დახარა, მაგრამ სილა მაინც მოხვდა. დავიდოვმა რევოლვერი იძრო, დავით ჩიქოვანი მიეარდა დავიდოვს და შებოჭა, შეიქმნა ჩოჩქოლი. დავიდოვი მილიციას გადასცეს. ეს ყველაფერი ხდებოდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის თანდასწრებით. ჩიტო კაპანაძემ მეორე დღეს მთავრობის თავმჯდომარეს (ამიერკავკასიის კომისარიატს, ს.ვ.) წერილობითი განცხადებით მიმართა, რომ ასეთი სამწუხარო შემთხვევის გამო ობერ-პროკურორად ველარ დავრჩებიო, იგივე აცნობა საკათოლიკოსო საბჭოს. საკათოლიკოსო საბჭოს წევრთა იმ ნაწილმა,რომელნიც მხარს უჭერდნენ უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს, კათოლიკოსის მიერ ბეჭედდასმული ადრესით მიმართა ჩიტო კაპანაძეს, ერის ინტერესებისათვის უარესი შეურაცხყოფა უნდა ავიტანოთ,ამიტომ გთხოვთ თქვენს თანამდებობას დაუბრუნდეთო. ჩიტო კაპანაძემ თხოვნა გაითვალისწინა და სამსახურს დაუბრუნდა. დავიდოვის საქმის შესწავლა დაიწყო პროკურორმა გიორგი შატბერაშვილმა,რომელმაც დიდძალი მასალა დააგროვა და დავით დავიდოვის გასამართლებას აპირებდნენ კიდეც,მაგრამ გავლენიანი ხალხის ჩარევის შემდეგ გიორგი შატბერაშვილს საქმე ჩამოართვეს და დავიდოვი დაჭერას გადაურჩა.“[72] სეედიანად ასრულებს ამ თხრობას იოსებ იმედაშვილი, რომელმაც ეს ინფორმაცია ჩიტო კაპანაძისგან მიიღო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის საპატრიარქო სასახლეში დაბინავება არ მოსწონდათ თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს მომხრეებს, რომელნიც ასევე დაბინავებულნი იყვნენ საკათოლიკოსო სასახლეში. თბილელი წირავდა სიონში, კა თოლიკოს-პატრიარქი კი მწირველი იყო ანჩისხატის ეკლესიაში. არ იყო გამიჯნული თბილისის და მცხეთის ეპარქიის საზღვრები. თბილელი ლეონიდე მცხეთის ჯვრის მონასტერსაც ედავებოდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს. საკათოლიკოსო საბჭოს სხდომებზე დაიწყო დაპირისპირებანი. თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ისაგან დაწუნებული დაით დავიდოვ-დავითაშვილი თბილელის კანცელარიის გამგედ დანიშნა. ეს უკანასკნელი აქედან უფრო გაშმაგებით უტევდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს. 1918 წლის 10 მარტს საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა კირიონ II, კათოლიკოსმა წამოაყენა წინადადება მცხეთის ჯვრის მონასტრის მღვდელმონაზონ მირიანის (ბექაური) არქიმანდრიტის, ხოლო დიაკონ ტიმოთე ბაკურაძის მღვდლის ხარისხში აღყვანის შესახებ. უწმიდესისა და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გამოსელის შემდეგ სიტყვა ითხოვა თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ, რომელმაც განაცხადა: “მცხეთის ჯვარი თბილისის ეპარქიაში შედის, ხოლო მირიანის არქიმანდრიტობა და ტიმოთეს მღვდლობა ნაადრევიაო.”[73] ატყდა კამათი. განრისხებულმა კათოლიკოსმა მირიანის არქიმანდრიტად და დიაკონი ტიმოთეს მღვდლად კურთხევის დადგენილებას თვითონ მოაწერა ხელი. 23 მარტს უწმიდესი კირიონი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საკათოლიკოსო საბჭოს სხდომას, 1917 წელს დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, კათოლიკოს-პატრიარქის არყოფნის შემთხვევაში

საკათოლიკოსო საბჭოს თაემჯდომარე იყო თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, რომელმაც საბჭოს 8 წევრის მხარდაჭერით გააუქმა უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის გადაწყვეტილება, უფრო მეტიც მამა მირიანს და ტიმოთეს მღვდელმსახურობა აუკრძალა.

28 მარტს,როდესაც კვლავ შეიკრიბა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ არქიმანდრიტ მირიანს და მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს აღუდგინა მღვდელმსახურების უფლება. მაინც რას უწუნებდნენ მათ? მღვდელმონაზონი მირიანი იყო უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის ერთგული მხარდამჭერი, ხოლო დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების წინ ეპისკოპოს კირიონის შტაბს ხელმძღვანელობდა პროვინციებში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II სულ რაღაც ათი თვე იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ეს ათი თვე ჯოჯოხეთად უქციეს მისმა მოწინააღმდეგეებმა. საკათოლიკოსო საბჭოს სხდომები მუდმივი დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ამას დაემატა ისიც,რომ 1918 წელს თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს ფინანსური მხარდაჭერით გამოვიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ IIის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალი "ახალი სიტყვა", რომლის რედაქტორი იყო დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი. ჟურნალმა "ახალმა სიტყვამ" დაუნდობელი ომი გამოუცხადა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს. დეკანოზი ქრისტეფორე 1918 წლის თებერვალში ჟურნალ "ახალ სიტყვაში" წერდა: "არ კმარა საქართველოს საეგზარქოსოს საქართველოს საკათოლიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველი საკათოლიკოსო შესამოსელის გამომზიურება, საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედ ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულად დარაზმვისა, ნაკლები "მეობა" და მეტი "ჩვენობა", საქმე ბევრია,ეკლესიური ცხოვრება,როგორც ყოველიეე ამქვეყნად,ცვალებადობას განიცდის, იგი თანდათან უნდა ახლდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამ ცხოველი განახლების გზაზე მტკიცე სიარული არის დანიშნულება ქართული თავისუფალი ეკლესიისა."[74] უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს ბრალს სდებდნენ ძალაუფლების გადამეტებაში, უმოქმედობაში. ეს ხომ დიდი უსამართლობა იყო. "თუ ეინმესათვის ცხადი არ არის ჩვენი მიზანი, ვიტყვით კიდეე, – წერდა დეკანოზი ქრისტეფორე, – ჩვენ მანამ არ მოეისვენებთ, სანამ ჩვენი უფროსები არ იწამებენ წმიდა კოლეგიურ გამგეობას, სანამ იგინი არ მიეჩვევიან პატივით მოეპყრონ უმრავლესობის აზრს."[75] უმრავლესობის აზრში იგულისხმებოდა უწმიდესისა და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მოწინააღმდეგე საკათოლიკოსო საბჭოს წევრები. 1918 წლის 23 მაისს საკათოლიკოსო საბჭოს 8 წევრმა მიტროპოლიტ ლეონიდეს ხელმძღვანელობით გააკეთა საპროტესტო წერილი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სახელზე, რომელშიც ავტორები პატრიარქს ბრალს სდებდნენ საეკლესიო მართვა-გამგეობაში აბსოლუტიზმისა და მონარქიზმის დამყარებაში. მათი აზრით, კათოლიკოს-პატრიარქს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო სასულიერო სასწავლებლების ავტონომიაში, საბჭოს წევრებისათვის საყვედურების გამოცხადებაც მისი უფლების გადამეტება იყო. ვერ პატიობდნენ ეკლესიისათვის „თავდადებული ადამიანის" – დავით დავიდოვის საკათოლიკოსო კანცელარიის უფროსად არ დანიშვნას. ეს "თავდადებული ადამიანი", როგორც ისინი უწოდებდნენ მას, 1918 წლის მაისში რევოლვერით მოსაკლავად შეუვარდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს, მაგრამ არქიმანდრიტმა მირიანმა და მორჩილმა გერმოგენმა კინწისკვრით გამოაგდეს საკათოლიკოსო სასახლიდან. როგორც ეპისკოპოს სტეფანეს (ვასილ კარბელაშვილის) ჩანაწერებიდან ირკვევა, ჟურნ. „ახალი სიტყვის" რედაქტორი დეკანოზი ქრისტეფორეც "შეუვარდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს და ემუქრებოდა ცემით, მაგრამ კირიონმა ყურად არ იღო და არ აკურთხა ეპისკოპოსად ასევე შეუვარდა დავით დავითაშვილიც,მაგრამ ვერ შეაშინეს ეს ბუმბერაზი კაცი."[76]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში ჟურნალ "ახალ სიტყვაში" დაბეჭდილი სტატიის

ავტორი აგდებულად წერდა: "ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაგვირგვინდა იმით, რომ ეგზარქოსის კარეტით იმის მაგივრად კათოლიკოსი დასვირნობს თბილისის ქუჩებში."[7] ყველაზე გასაოცარი თავხედობა ის იყო, რომ უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II "ახალი სიტყვის" წერილების მიხედვით იყო უწიგნური და გაუნათლებელი ადამიანი. "შირონის კურთხევას დავესწარი დიდ ხუთშაბათს,– წერდა ვინმე გრიგოლ ხერხეულიძე ჟურ. "ახალ სიტყვაში", – მწირველი ბრძანდებოდა კათოლიკოსი. თავის დროზე მოართვეს წიგნი, რომ წაეკითხა შესაფერისი, მირონის საკურთხი ლოცვები. ჩემს ყურებს არ ეუჯერებდი,რომ ეხედავდი და მესმოდა,თუ როგორ ბორძიკობდა ყოველ სიტყვაზე კათოლიკოს-პატრიარქი, როგორ ჩერდებოდა სიტყვების ამოსაკითხავად. და ბოლოს მრავალს მათგანს მაინც გადამახინჯებულ, გადასხვაფერებულ ამბობდა."[8] 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 30-ზე მეტი წიგნის ავტორი მეცნიერი, რომლის მეცნიერულ მემკვიდრეობას დიდ პატივს სცემდნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე შახმატოვი, იეანე სოკოლოვი, გრიგოლ ბერგმანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, უნამუსო ცილისმწამებელმა კალმოსანმა უწიგნურად წარმოაჩინა.ცილისწამების, უზნეობისა და უღმერთობის კულმინაცია იყო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, "კირიონ კათალიკოზის წირვა და სიონის წაბილწვა." მიაქციეთ ყურადღება, უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს ჯერ სიონში წირვის ჩატარების უფლებას არ აძლევდნენ – სიონი თბილელი მიტროპოლიტის საკათედრო ტაძარიაო. ხოლო როდესაც მან ჩაატარა სიონში წირვა, სიონი წაიბილწაო. "ჯაჭვაძის" ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი კატეგორიული ტონით მოუწოდებდა საზოგადოებას, გადაეყენებინათ კათოლიკოსი. "დრო არის, კათოლიკოსის თეითნებობას და თავგასულობას ბოლო მოეღოს, მან საკმარისად შეგვარცხვინა მთელ ქვეყანაზეო."[9] უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ასეთი წინააღმდეგობებისა და სირთულეების ეითარებაშიც თავისი ათთვიანი პატრიარქობის ხანაში ბევრი რამ გააკეთა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1917 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება. საზეიმო წირვის დასასრულს მან ერცელი სიტყვით მიმართა სამწყსოს და ჩამოაყალიბა ის მთავარი ამოცანები, რომელნიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე იდგა: "განმტკიცება ახლადაღდგენილი ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, აი, პირველი საზრუნავი ჩემი. ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული, დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია კელავ უნდა დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ეიყვნეთ ყოველნი ერთი გვამ და ერთი ორად ვიღწვოდეთ საერთო წარმატებისათვის. ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, ის იყო ერთგვარი დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა სოლიდარობის იდეისა. თუ ასე იყო ძველად, დღესაც ეალად ადეეს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს ამაეე იდეას და მედგრად აუწყოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენ ვიპოეოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი. ჩვენი ეკლესია არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების იარაღად და ფანატიზმის დამყარების მიზეზად. პირიქით მისი მიზანი იყო ერთა შორის სოლიდარობის დამყარება და განმტკიცება კაეკასიაში, სადაც ამ სოლიდარობას ხელოვნურად არღვევდნენ. ეხლა თვალი გადავაელოთ ჩვენს, ქართველი ერის შინაურ ცხოვრებას, რას დავინახავთ? ხალხს, ჯეროვან სწავლა-განათლებას მოკლებულს და ამის გამო ეკონომიურად გაღატაკებულს და სოციალურად დაბეჩავებულს. ჩვენი ძველი კულტურა და სწავლა-განათლება ეკლესიათა კედელს შუა აღმოცენდა. აქ პოულობდნენ ჩვენი წინაპარნი სულიერ საზრდოს და ქვეყნიური კეთილდღეობის საზომს. ნუეინ იტყვის,რომ ეკლესიამ თავისი დრო მოჭამა,რომ ის ახლა

არა კულტურული, არამედ ანტიკულტურული ძალაა. მას შესწევს ძალა, რომ ხალხს ემსახუროს და გაუნათოს გზა უმჯობესი ცხოვრებისა. ჭეშმარიტად, როგორც ხედავთ, "ფრიად არს სამკალი." ვსასოებ, რომ მე უძლურმან, მაგრამ ღვთისა კურთხევითა და თქვენის დახმარების და თანაგრძნობის იმედით განძლიერებულმან კეთილად განველო მოღვაწეობა ჩემი და სიცოცხლის დადებამდე ვემსახურო ურცხვენელითა სამსახურითა ჩემს მომწოდებელ ერს."[80] უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II ენერგიულად შეუდგა თავისსავე სიტყვაში ჩამოყალიბებული ამოცანების განხორციელებას. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ეგზარქოსობის დროინდელ ეკლესიასა და საზოგადოებას შორის არსებული გაუცხოების კედლის დამსხვრევა და ქართველი ერის სარწმუნოებრივ და საერო ცხოვრების სფეროში აქტიური მონაწილეობა. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში მთელი სიმწვავით დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, უფრო თანმიმდევრული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იყო. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II სპეციალური გუჯარით მიესალმა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გამართულ საქართველოს ეროვნულ ყრილობას და შეახსენა ის საშიშროება, რაც ბოლშევიკური რუსეთიდან იყო მოსალოდნელი. "ღელაეს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოისა, სანაპიროთა თვისთაგან გადმოხეთქილი, და წარღენასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება იქნება წინდი იმისა, რომ საქართველო განცხოველდება."81 უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის უპირველესი საზრუნაი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება. რუსეთის ეკლესიას ამის გაგონებაც არ სურდა. პირიქით, 1917 წლის აგვისტოში პატრიარქად არჩეულმა ტიხონმა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-სადმი გამოგზავნილ წერილში ქართველ იერარქებს მოუწოდა, გაეუქმებინათ 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოველში მიღებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი და სინანულით წარსმდგარიყვნენ რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თავის საგარეო ურთიერთობებში დღემდე ერთგულია იმ პრინციპებისა და სულისკვეთებისა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე აქტიურად შეუდგა სასულიერო სასწავლებლების გაეროვნულებას. მან დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძესა და დეკანოზ კორნელი კეკელიძეს დაავალა მოემზადებინათ პროექტი თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის ბაზაზე ქართული სასულიერო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამოუკიდებელი ეკლესიისათვის აუცილებელი წმიდა მირონის მომზადებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის დოკუმენტი, რომელიც დაცული იყო შუშანიების სავანეში. დოკუმენტი შეუდგენია ბერ გობრონს (შემდგომში ეპისკოპოსი გობრონ წკრიალაშვილი. ს.ვ.), რომელიც აღნიშნავს: "მირონის მოხარშვის ადგილად არჩეულ იქნა ყოფილი საკათოლიკოსო სასახლის კარის ეკლესია (ანჩისხატი), თვით ეკლესიაში გამზადებულ იქმნა ქართულ სტილზე აგებული ქურა. ქურა აშენებული იყო ეკლესიის შუა ნაწილში, მარცხნივ, ივერიის წმიდა ღვთისმშობლის, ჯვარცმის და წმიდა პანტელეიმონის ხატების პირისპირ. ქურაზე იდგა ზედადგარი, რომელზეც სპილენძის დიდი ქვაბი იყო შემოდგმული. წმიდა მირონის მოხარშვისათვის მოწვეულ იყო განსვენებული პროვიზორი ახვლედიანი, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული უშუალო ხელმძღვანელობა და სრული პასუხისმგებლობა საქმისათვის. ენების კვირეულის ორშაბათ დილით ბ-მა

ახელედიანმა ქვაბში ჩაუშვა ყველა ხარშვისათვის განკუთვნილი მასალები. დღის 12 საათისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდესთან და თბილისის სამღვდელოებასთან ერთად გადაიხადა ღვთისმშობლის პარაკლისი, რის შემდგომშიც საკუთარი ხელით აიაზმის სხურებით ჩაუშვა ქვაბში ჯვარის სახით სპეციალურად პინაკებზედ და სასმისებში კანდელაკის მიერ გამზადებული მირონის მასალების ნაწილი. შემდგომ ამისა, კანდელაკმა მის უწმიდესობას მიართვა ანთებული კვარი, რომელმაც საკუთარის ხელით მოუკიდა წინასწარ ქურაში გამზადებულს და სპირტდასხმულ რამდენიმე ნახშირის ნატეხს ცეცხლი. შემდგომ ამისა კათოლიკოს-პატრიარქი აბრძანდა კათედრაზე და იწყო წმიდა სახარების კითხვა: იოანე, თავი I – "პირველიდან იყო სიტყვა." მას ცვლის ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, შემდგომ ხარისხის მიხედვით ერთი მეორეს მონაწილენი (თითოეული მათგანი წმიდა სახარების წაკითხვის შემდეგ სტოვებს მირონის ქვაბს, შედის საკურთხეველში და სამოსელს იხდის). მირონის ქვაბთან იქმნენ მორიგენი მუდმივად – მთავარ-დიაკონნი, რომელთაც ეევალებოდათ მთელი დღეღამის განმავლობაში ქვაბის მორევა განუწყვეტლივ, ხოლო სამღვდელოებას ეევალებოდათ ორ-ორი საათი სახარების კითხვა. ესე წესი სრულდებოდა დიდ ოთხშაბათს მწუხრამდე. დიდ ხუთშაბათს დილით ადრე გაწურულ იქმნა ნახარში და შეზავებული ნაირ-ნაირი სურნელეთეროვანი სითხეებით და ეს სურნელოვანი მასსა სახელწოდებულად მირონი, ჩაუშვეს სპეციალურ თუნუქის ჭურჭელში,რომელსა უწოდების სამირონე – ალაბასტრი, რომელიც იქვე იქმნა მოკრძალებით დალუქული საკათოლიკოსო ბეჭდით. წირვის დაწყებამდე ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე თანამწირეველებითურთ და მორწმუნე ერით გაემგზავრა სიონის ტაძრიდან საკათოლიკოსო სასახლის კარის ეკლესიაში, სადაც შეხვდნენ მის უწმიდესობას კირიონ II-ს. ურთიერთმისალმების შემდეგ პროცესია დაბრუნდა სიონის ტაძრისაკენ, მოაბრძანებდნენ წმიდა მირონს, მათ უკან მოჰყვებოდა მანტიაწამოსხმული კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. პროცესიას ამკობდა ქართული გუნდი და მქუხარე ზარები როგორც დედა სიონის, აგრეთვე მეზობელ ტაძართა. სიონის ტაძარში ალაბასტრნი მირონით შესვენებულ იქმნა სამკეთლოში, ხოლო "სერობასა საიდუმლოსა შენისასა"-ს დროს სამეუფოსა სელით გარდასვენებულ იქმნა საკურთხეველად ტრაპეზსა ზედა, ხოლო დიდი ალაბასტრი იქმნა გარდამოსვენებულ სამღვდელოთა მიერ და დასვენებული წმიდა ტრაპეზის მარცხნივ, ქიმში საგანგებოდ მომზადებულ კვარცხლბეკზედ. პატარა ალაბასტრი კი წმიდა მირონით გადმოასვენა ტფილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა სამეუფო ბჭესთან და იგი ჩამოართვა მას, რომელიც დაასვენა წმიდა ტრაპეზსა ზედა მარცხნით ფეშხუმისა. შემდგომათ მათ მიერ იქმნა მიღებული ჩვეულებისამებრ სიწმინდენი."[82]

1918 წლის 2 იენისს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ თავისუფლების მოედანზე გადახდილ იქნა პარაკლისი საქართველოს სახელმწიფოებრიეი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ხალხს: "მადლობა ღმერთს. ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს 5 საათზე გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში. როგორც მკვდრეთით აღდგომილმა ქრისტემ თავისი საფლავის კარიდან გადააგორა ლოდი, ისე დღეევანდელმა საქართველომ მოიხსნა მონობა,ასი წლის განმავლობაში ლოდად რომ აწვა მკერდზე. ახლად შეძენილ თავისუფლებას,ჩვენი ერის სოციალურ-პოლიტიკური არსებობისათვის ყურძნის მტევანივით ლამაზად შეკრულ-აწყობილ სახელმწიფოს და დამოუკიდებლობასაც ჩვენდა სავალალოდ, ახლაეე აედეენენ შავი ღრუბლები და ნისლი, ახლაეე გამოუჩნდნენ შიგნით და გარეთ მტრები და შურითა და უსამართლობით აღვსილი პირები."[83]

ამის მეტი რა უნდა გაეკეთებინა ათი თვის განმავლობაში 106 წლოვანი მონობისაგან განთავისუფლებულ ეკლესიას და მის მეთაურს. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სიძულვილით დაბრმავებულებს არაფერი არ აინტერესებდათ გარდა იმისა,

რომ როგორმე იგი ან ნერვიულობას გადაჰყოლოდა ან სხვა გზა უნდა მოენახათ მისი თავიდან მოშორების. ქართული საზოგადოება თითქოს გულგრილი გახდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II შეატოვეს ამ გაბოროტებულ, ანგარებიან ადამიანებს, იგი მარტო დარჩა. განა ასე არ მოხდა 1907 წელს, როდესაც 9-წლიანი იდეოლოგიური, ცილისმწამებლური ბრძოლა ილია ჭავჭავაძესთან 30 აგვისტოს წიწამურთან მისი მკვლელობით დასრულდა? უწმიდესისა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს უთვალთვალებდნენ, შინაურებიდან გამოჰქონდათ ინფორმაციები პატრიარქის გადაადგილების მარშრუტის შესახებ. 1918 წლის 26 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკთან და ვასილ კბილაშვილთან ერთად დილის 5 საათზე ეტლით გაემგზავრა მარტყოფის მონასტერში, პატრიარქს თან ახლდა ჩიტო (ქრისტეფორე) კაპანაძე, მაგრამ გზაში გაირკვა, რომ პატრიარქს დარჩა წიგნები, რომლებიც სამუშაოდ სჭირდებოდა, ამიტომ ჩიტო კაპანაძე დარჩა წიგნების წამოსაღებად. პატრიარქი კირიონი მარტყოფის მონასტერში 11 საათზე მივიდა, ლოცვის შემდეგ მუშაობას შეუდგა. გვიან ღამით, 1 საათზე დაიძინა. წინა ოთახში ეძინა არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკს. პატრიარქი დილის 5 საათზე დგებოდა. გახდა 5,6,7 საათი, პატრიარქის ოთახის კარი არ იღებოდა. ბოლოს გადაწყვიტეს და შეაღეს კარები. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II სისხლში ცურავდა, გარდაცვლილის გვერდით ეგდო მისივე დაკეტილი ბრაუნინგი. არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი სასწრაფოდ გამოუშურა თბილისში, გაიმართა საკათოლიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც "მოისმინა ტარასი კანდელაკის ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის გარდაცვალების შესახებ და განაჩინა: ეს სამწუხარო ამბავი ეცნობოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს სათანადო განკარგულებისათვის და აგრეთვე ყოველადსამღვდელო მღვდელმთავრებს. ეთხოვოს თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისი უწმიდესობის გვამის დასაკრძალავად. ოქმს ხელს აწერენ: მიტროპოლიტი ლეონიდე, ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, რაფიელ ივანიცკი, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, პეტრე ბარათაშვილი."[84]

იმავე დღეს თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სახელით პატივისცემით გაცნობებთ, რომ ამა თვის 27-ს (ივნისი), დილის 7 საათზე, მარტყოფის წმიდა ანტონის მონასტერში უეცრად გარდაიცვალა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II."[85] საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ შექმნა უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის დამკრძალავი კომისია ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) თავმჯდომარეობით, მისი მოადგილე იყო გიორგი ჟორდანია, წევრებად დეკანოზები ანტონ თოთიბაძე და ნიკიტა თალაკვაძე. დამკრძალავ კომისიაში დაიწყო მსჯელობა, სად დაეკრძალათ უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. იყო საუბარი იმის შესახებაც, რომ პატრიარქმა თავი მოიკლა და იქნებ სჯობდეს, რომ უხმაუროდ დაიკრძალოს მარტყოფის მონასტერშიო, მაგრამ ახლა კი აღარ დათმო საზოგადოებამ, გამოფხიზლდა მისი ნაწილი და კატეგორიულად მოითხოვა კირიონ II-ის ნეშტის თბილისში გადმოსვენება. გადაწყდა, პანაშვიდები გამართულიყო ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო 7 ივლისს განსვენებული დაიკრძალებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის მუხანათურმა მკვლელობამ ფრიად დაამწუხრა საქართველო. გაზეთი "საქართველო" 1918 წლის 30 ივნისს მწუხარებით იტყობინებოდა: "სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II 26 ივნისს დილით გაემგზავრა მარტყოფში. ივნისის 27-ს კი იგი იპოვეს მიცვალებული მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო ბინაზე, მის საწოლ ოთახში." მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდები გაიმართა საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოთქვეს: სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ მიტროპოლიტმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე), ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია),დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ. უწმიდესი კირიონი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში 18 საათზე. დაკრძალვის დღეს დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ ამ სიტყვებით გააცილა მისი უწმიდესობა:

"მშვიდობით, თქვენო უწმიდესობავ! ეს ერთი კეთრაა შენი ანჩისხატი, მთელი მორწმუნე ერი თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაგვითინებდა ტყვიით განგმირულ თავის მამამთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოზღვავებულა მთელი საქართველო – შენი სამწყსო, რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ სავანემდე. დაობლებული შენი სამწყსო, ისევ დაქერივებული იერარიის ეკლესია დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თავის ვაებასა, თავის უბედურებასა, თავის ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლო ქვეყნის გარეშეთაგან გაჭირვებას. ეს შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენში. არ ვიცი შენი ასეთი მოულოდნელი და უეცარი სიკედილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსო, – სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშეებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმა შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ღირსება, ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დააფასეს შენი გონებრიები და ზნეობრივი ღვაწლი სამშობლოსათვის, ჩვენ კი ვერა. ვერ გამიგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგდარ, დამაშვრალ, მხცოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბერის ჟამს დაუტკბობენ, განვლილ ტანჯვა-წამებას დაუამებენ და თუ კიდევ სამოღვაწეოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე-გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოგექცით. ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათალიკოზპატრიარქად აგირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმპყრობელი გიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდან გამოგტაცეთ! ქედმაღლობა, გამძვინვარებული შუღლი, საარაკო თავხედობა და გულფიცხობა ვაწარმოეთ თავის მამამთავრის გარშემო, უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩავუმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი ამოვუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ. განა მხოლოდ კირიონ კათოლიკოზს მოეექეცით ასე? უფრო მეტის სისასტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწამურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა,ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდება-კინკლაობამ შეამზადა. მტრებმა დაგეჭსაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯაშუშები გაგვიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება თვით ქართველების ხელით გააკეთეს. რაღა გვეთქმის ამ შავბნელ ბოროტებაზე? – შური, ერთმანეთის მძულვარება და გაუტანლობა დაესადგურა ჩვენს შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენს სამარეს ჩვენივე ხელით როდესაც ილიას და კირიონს ყიჟინას სცემდნენ უგუნურნი,ჩვენში არ აღმოჩნდა ვინმე, რომ დამაშვრალთათვის ნუგეში ეცათ, მათთვის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ ილიასა და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნო!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის, დღეს ისევ საქვეყნო სირცხვილში ჩავცივდით. ქართველნო, ეტყობა ისტორიის გაკეთილები ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ ღრმად გეწამს საქართველოს ჭირისუფლის,ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი:

"ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის,
ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო, ჩემო, მაინც დარჩება."

დიახ, "გზა უვალი", კირიონისაგან "თელილი" უსათუოდ დარჩება. ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსვენებულმა. პირველმა მან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905 და 1917 წლებში, როდესაც

ქვანიც კი ღაღადებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსხიანი ცარიზმისაგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე ჩვენში გაყინულ-გათოშილი იყო; კირიონი კი მაინც თესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. ის შეესწრო კიდეც ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებასა, მაგრამ თვით კი ვერ იგემა თავისი ნამუშაკარი. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ვერც კირიონი ასცდა თავის ხვედრს არ შეიძლება არ გამცნოთ საყვარელნო კირიონისაგან ერთ საეკლესიო წრეში უკანასკნელი წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთგანწყობილებაზე: "ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, – ბრძანა განსვენებულმა, – შორიდგან თვალყურს ვადევნებდი, ვფიქრობდი, ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგენით საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია". ასე ნაღვლიანად დაასრულა მან თავისი მწყემსმთავრული მხილება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ "ხელახლა დავიბადებით,"

როგორც განსვენებულმა გვამცნო, ახალ საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შეეძლებთ უკუუგდოთ აწ დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრწნილი ზნე-ჩვეულებანი და შეერთებულ ძალით სამშობლოს ვემსახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ საყვარელნო, რომ მხოლოდ წმინდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი. ამ რწმენით მიგაცილებთ ტანჯულო მამამთავარო, საფლავის პირზე. აქ, ჭაღარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე დამაშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები "განმარტოებული", აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დაეაფრქვევთ შენს წმინდა საფლავს. შენც, უწმინდესო მეუფეო, აქედან თვალყური გვადევნე, გაგვამხნევე, არ დაგვივიწყო. შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთისმშობელს, წმინდა ნინოსა და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ შეგცოდეთ – შეგვინდე და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამამთავარო, ღმერთი იყოს შენი მოწყალე, ამინ."[86]

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მუხანათური მკვლელობის შემდეგ მოკლეს მირიან ბერი, მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე, ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე. რა ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში? ნუთუ მართალი გამოდგა შაერაზმელ ეოსტორგოვის სიტყვები? „ვინ მოჰკლა ბრწყინვალე მწყემსმთავარი და მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II? ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა გული იმით დაიმშვიდა, რომ მკვლელის ძებნა ჩრდილოეთში, რუსეთში დაიწყო. ეს ხომ თავის მართლების უმწეო ცდა იყო. ხმამაღლა უნდა ვთქვათ სიმართლე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მკვლელები ქართველებშია საძებნი. დიახ, კირიონი ქართველთა ხელითაა მკვდარი. მარტყოფის ტრაგედიაში ზნეობრივი ბრალი მიუძღვით ყველა იმათ, ვინც კირიონ II ეროვნული მიმართულების გამო შეიძულეს და მის დევნა-შევიწროებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. კონკრეტული დამნაშაეენი კი, სამწუხაროდ, დაუსჯელნი აღმოჩნდნენ."

უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა პოლონელი ხალხის წარმომადგენელმა ვალკომირსკიმ.

"ქართველო ხალხო! – სულ ნახეკარი წელიწადია, რაც, ასი წლის ობლობის შემდეგ, დიდი ზეიმით დააგვირგვინე შენი სულიერი მამა და ეხლა, ასე მოულოდნელად, მიწას აბარებ მის ნეშტს! სხვა რომელ ხალხს შეუძლია უფრო მწვავედ იგრძნოს შენი დანაკლისი, ვიდრე იმას, რომლის ისტორია ასე ჰგავს შენსას; ვისი გამოჩენილი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწენი განიცდიდნენ იმასვეარასაც შენი წინამძღოლები. პოლონელებსა და ქართველებს ყოველთვის ესმოდათ ერთმანეთის გულის პასუხი, ყოველთვის უწვდიდნენ ერთმანეთს ხელს ჭირსა და ლხინში, რის მოწმენი არა

ერთხელ ვყოფილვართ ჩვენ აქ, თბილისშიაც, საქართველოს დედაქალაქში.

კავკასიის პოლონელთა საბჭომ დაგვაეალა ჩემს ამხანაგსა და მე დავსწრებოდით ქართველთა კათალიკოსის დაკრძალვას და აქაური პოლონელების ახალშენის სახელით გამოგვეცხადებინა გულწრფელი თანაგრძნობა ქართველი ერისათვის; გადაგვეცა მისთვის, რომ პოლონელები საესებით იზიარებენ ქართველთა მწუხარებას და იმავე დროს მოუწოდებენ მათ სულიერი სიმტკიცისაკენ.

საუკუნო ნათელი დაედგას საქართველოს ამ ერთგულ შვილს, ქართული ეკლესიის თავადს. განისვენოს მისმა სულმა, სადაც მართალნი განისვენებენ ხოლო ჩვენ ნუ მიეცემით სასოწარკვეთილობას, იმიტომ, რომ ცოცხალია ქართველი ერი, რომელიც მრავალად წარმოშობს ისეთ ძეთ, რომელნიც უზრუნველყოფენ ქართველი ხალხის საუკეთესო ისტორიულ მომავალს..."[87]

ტანჯული ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოწამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჭირისუფლად იქცა გაზეთი "საქართველო", რომელიც წერდა: "ცეცხლისა და წამების ალში გაწმინდა კათოლიკოსმა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის ტანჯვით და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას. მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია. რა მოხდა წმიდა ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის. საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათოლიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მის სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს ულრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც."[88] საერო გაზეთებში ასეთი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა, ხოლო სასულიერო ჟურნალ "ახალ სიტყვაში" მხოლოდ ორი აბზაცი იტყობინებოდა კათოლიკოს-პატრიარქის უეცარ გარდაცვალებას. ახალგაზრდა ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის მუშაობაში, კარგად იცნობდა მის უწმიდესობას კირიონ II-ს, მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას და ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია თავის წიგნებში: "კირიონ კათოლიკოსის სიკვდილით საქართველოს ეკლესიამ შეიძლება ითქვას, დაამთავრა თავისი ერთ-ნახევარ ათასწლოვანი ისტორია..."[89] იოსებ იმედაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის კირიონ II-ის გარდაცვალებით "ჩაქრა ლამპარი, რომლის მსგავსი იშვიათად აინთება საუკუნიდან საუკუნემდე! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი მღვდელმთავარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი."

მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო დეპეშებიდან, რომელ-ნიც საქართველოს სხვადასხვა პროვინციებიდან მოდიოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს სახელზე, მოვიტანთ რამდენიმეს – ჩოხატაურიდან თომა მეგრელიშვილი წერდა: "უწმიდე სი კათოლიკოსი კირიონის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო ვიმედოვნებ, რომ თქვენი ენერგიული მოთხოვნით მთავრობა ნათელს მოჰფენს ამ საზარელ მოქმედებას, რომელიც მახვილს სცემს გულში ახალ საქართველოს." "ცხინვალის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მრევლი მწუხარებას გამოთქვამს დიდებული მოღვაწის, კათოლიკოს კირიონ II-ის გარდაცვალების გამო. საუკუნო განსვენება მას, ხოლო დამნაშავეთ რისხვა უფლის." დეპეშას აქვს მიტროპოლიტ ლეონიდეს მინაწერი "ვაი ჩვენს ეკლესიას ამისთანა მღვდლები რომ ჰყავს"?!

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ტრაგიკული გარდაცვალება იყო XX საუკუნის I მეოთხედის საქართველოს სირცხვილი და უბედურება. მაგრამ, სამწუხაროდ, იყვნენ ადამიანები, რომელნიც ასე არ ფიქრობდნენ. დეკანოზ ქრისტეფორეს იმხანად მღვდელ ვასილ კარბელაშვილისათვის უთქვამს: "ძაღლი იყო და ძაღლური სიკვდილი ხედა მას წილადო". მანვე გამოსაქვეყნებლად მოამზადა, თუმცა კირიონის გარდაცვალების

გამო თავის არქივში შეინახა ეს წერილი. "კათოლიკოსი კირიონი და მისი ღვაწლი-მოღვაწეობა" ნიკოლოზ II-ის წინააღმდეგ წერა, ეიცით, არ შეიძლებოდა აშკარად. არამც თუ მის წინააღმდეგ, უბრალო ბოქაულის მოქმედებას თუ შეეხებოდით და კრიტიკას გაუკეთებდით, მოღალატედ გამოგაცხადებდნენ. ასეთივე სენი სჭირთ ყოველ თვითმპყრობელობის სენით შეპყრობილ ადამიანებს. ასეთ ადამიანებს, მათის აზრით, ნება აქვთ ქმნა ყოველივე ცუდისა და სხვას კი არა აქვს ნება თქმა მათ მიერ ჩადენილ სიცუდისა. მაგრამ ნიკოლოზის თვითნებობასაც მოელო ბოლო, რადგან ვერ შეიგნო დროზე გამაფრთხილებელი რჩევა, რომელსაც აძლევდნენ მას მისი კეთილის მყოფელნი.

თვითმპყრობელობის სენით შეპყრობილ ადამიანთა ჯგუფს უდაოდ ეკუთვნის კათოლიკოსი კირიონი. ამის საბუთი ბევრი იქმნა გამოქვეყნებული, მაგრამ ყველაზე უფრო დამამტკიცებელი საბუთია ჟურნ. "ახ. სიტყვის" მერვე ნომერში გამოქვეყნებული პროტესტი, წარმოდგენილი საკათ. საბჭოს წევრებისაგან კათოლიკოსისადმი მის მოქმედებისა გამო. ვინც იცნობს კათოლიკოს კირიონის წარსულ მოღვაწეობას, იმას არ გაუკვირდება დღევანდელი მისი ქცევა. გადავაველოთ თვალი მის წარსულს ღვაწლს, რომ ყოველივე ნათელი იქმნეს.

კათოლიკოსი კირიონ II გვარად საძაგლიშვილია. პირ-ველი მისი მოღვაწეობა დაიწყო თელავისა და გორის სასულიერო სასწავლებლებში, სადაც დღესაც არის დარჩენილი კვალი ამ მოღვაწეობისა, მაგრამ ამაზე ეკითხოს თელაველებსა და გორელებს. გ. საძაგლიშვილმა 1896 წლის მიწურულში მიიღო ბერობა. კურთხეულ იქმნა ეგზარქოს ვლადიმირის, შემდეგში კიევის მიტროპოლიტის მიერ, რომელსაც იღუმენმა კირიონმა 1897 წელში შეასხა ქება. "Духовнии Вестники грузинского экзархат" – ის ნომრებში, ქართლში მოციქულებრივი მოგზაურობისათვის. ჩვენ ვიცით ეგზარქოსმა ვლადიმერმა რა სიკეთეც უყო ქართულ ეკლესიას თავის აქ, თუ პეტროგრად – კიევში მიტროპოლიტად ყოფნის დროს.

შემდეგ მომავალმა კათოლიკოსმა მიიღო გორის ეპისკოპოსობა. ამ დროს იმერეთის კათედრა იყო დაჭერილი ლეონიდესა და გურია-სამეგრელოსი ალექსანდრეს მიერ. არც ერთი არ აპირებდა იმ ხანად სიკვდილს და კირიონს კი ესაჭიროებოდა ფრთების გაშლა. ამისთვის ითხოვა თავისი რუსეთში გადაყვანა. მამულის მოყვარული ადამიანი ამჯობინებდა თავისს სამშობლოში სამსახურს უცხო ქვეყანაში აღმატების სურვილს, მაგრამ კაცია და ბუნებაო.

პირველ ხანად იმედი არ გაუმართლდა კირიონს. მისცეს მხოლოდ ქორეპისკოპოსობა რუსეთში, მაგრამ მერე "დაიმსახურა" ქ. ორიოლის კათედრა. დადგა 1905 წელი. იაპონიამ რიგიანად შებერტყა ფუჟი-ბუმბერაზი-რუსეთი. რუსეთის თვითმპყრობელობა შეირყა. სხვა და სხვა ხალხებმა წარუდგინა რუსეთის მთავრობას მოთხოვნილებანი. საქართველოს სამღვდელოებამაც წამოაყენა მოთხოვნილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ჯერ იმერეთის სამღვდელოებამ, ეპისკოპოსი ლეონიდის მეთაურობით გამოიტანა თავის საეპარქიო კრებაზე დადგენილება ამის შესახებ მარტში და მერე ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ 1905 წლის მაისის კრებაზე, როდესაც მოხდა ყველასაგან სამახსოვრო ამბები. ეპ. კირიონს ამ მოთხოვნილებათა შექმნაში არავი თარი მონაწილეობა არ მიუღია არც სიტყვით, არც საქმით. ესმა კი რა ორიოლში, საქართველომ ავტოკეფალიის საკითხი წამოაყენაო, ითხოვა მაშინდელისათვის დაცლილი სოხუმის კათედრა, რაიცა სინოდმა მისცა, რომ ამით ქართველების გული მოეგო და ავტოკეფალიის მოთხოვნილების სურვილი გაენელებია. ამრიგად, კირიონი გამოეშურა საქართველოში, სხვამ არავინ დამასწროს კათოლიკოსობის მიღებაო. 1906 წელში კირიონი და ლეონიდი გაწვეული იქმნენ სინოდში ჩვენი ეკლესიის საქმეზე. არ ვიცით როგორ, რის და ვის საშუალებით, ეპისკოპოსმა კირიონმა მიიღო დაპირება მაშინდელი ობერ-პროკურორისაგან, რომ, თუ საქართველოს სამღვდელოება დაკმაყოფილდება ამით, შენ ეპისკოპოს კირიონს დაგნიშნავთ ეგზარხოსად. ამ წინადადებით მოევლინა ეპისკოპოსი კირიონი თბილისში საქართველოს სამღვდელოების

დელეგატებს, რომელთაგანაც კატეგორიული უარი მიიღო ამ კომბინაციაზე. ეს უარი გამომდინარეობდა იმ დავალებისაგან, რომელიც დაეკისრა ორთავე ეპისკოპოსს, კირიონს და ლეონიდს, მოეთხოვათ ავტოკეფალია და არ გაემართათ სინოდთან რაიმე ეჭვრობა. სინოდის ობერ-პროკურორს ეგონა, რომ კირიონი დაითანხმებდა ქართველ სამღვდელოებას და საზოგადოებას დაკმაყოფილებულ იყვნენ რუს ეგზარხოსის ქართველით შეცვლით და როდესაც დაინახა, რომ კირიონმა ეს ვერ შეძლო, აიღო და სოხუმითგან სადღაც ქორეპისკოპოსად გადაიყვანა რუსეთში. ამ თანამდებობას კირიონმა თავი დაანება თავისით და სინოდმა მისცა საცხოვრებლად რომელიღაც მონასტერი.

ამასობაში საქართველოში მოკლეს ეგზარხოსი ნიკონი. ამ მკვლელობაში მონაწილეობა უსაბუთოდ და განუკითხავად დააბრალა სინოდმა, სხვათა შორის, ეპისკოპოს კირიონს და არქიმანდრიტ ამბროსის. ამის გამო ამბროსი უეცრად გაგზავნეს სანაქსარის მონასტერში (მგონია რიაზანის გუბერნიაში) და დაუმორჩილეს სასტიკ რეჟიმს. ასეთსავე მდგომარეობაში, როგორსაც განიცდიდა ყოველად-პატივცემული და სპეტაკი ადამიანი არქიმანდრიტი ამბროსი, დღევანდელი ღირსეული მოადგილე ჭყონდიდელ მიტროპოლიტთა, ჩააყენეს ეპისკოპოსი კირიონიც. შემდეგში კირიონმა მოახერხა ეპისკოპოსობის მიღება პოლოცკში. ხოლო მხცოვანი და ფრიად განათლებული არქიმანდრიტი ამბროსი არ აღირსა სინოდმა ეპისკოპოსობის ხარისხს. რამდენადაც ეიცით, სინოდის წარმომადგენლებთან არქიმანდრიტ ამბროსის ყოველთვის ღირსეულად ეჭირა თავი და ამიტომაც ვერ დაიმსახურა უფროსთა ყურადღება. მოხდა 1917 წლის 27 თებერვლის რევოლუცია რუსეთში. 12 მარტისათვის გადაწყდა გამოცხადებულიყო მცხეთაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამ დღისათვის გამოიწვიეს პოლოცკიდან ეპისკოპოსი კირიონი, რომელმაც პასუხი გამოაგზავნა: შემატყობინებთ რაზე მიბარებთო, და არ მოვიდა. შემდეგ როცა გაიგო ავტოკეფალიის გამოცხადება, გასწია სინოდში და იქითგან მოციქულად მოგვეელინა სინოდისა და ობერ-პროკურორისაგან (გზის ხარჯიც მიიღო მათგან). ობერ-პროკურორის დავალებით საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას წინადადება მისცა, მიეღო ნაციონალური ავტოკეფალია, ეს ჯობია ტერიტორიულსა. როდესაც აგრძნობინეს, რომ არ ეწარმოებია ობერპროკურორთან არავითარი შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიის დროებითის მმართველობის დაუკითხავად, ეპისკოპოსმა კირიონმა მთელს კრებულის მმართველობას მიახალა პირში, თქვენ ვინა ხართ, ან რა მნიშვნელობა აქვს 12 მარტის თქვენს ნამოქმედარსაო. გაიბუტა და გაიქცა ჯერ პეტერბურგში და იქითგან პოლოცკში. რომ შეატყო ავტოკეფალიის საქმე აღარც ისე უიმედოაო, აგვისტოში ისევ მოვიდა ტფილისში. შემდეგ კი მედავითნე-დიაკონთა წყალობით მიიღო კათოლიკოსობა. აი, მოკლედ, მოწამებრივი ღვაწლი კირიონ II-ისა. ეპარქიების ძებნა რუსეთის სივრცეზე, სინოდთან და ობერ-პროკურორებთან ეჭვრობა, მათ მიერ მოციქულად მოვლინება საქართველოში, აქ მტკიცება, რომ სინოდსა და ობერ-პროკურორებს დიდად ჰყავთ მიჩნეული იგი, ხოლო იქ, სინოდში რწმუნება, რომ აქ საქართველოში დიდად მიღებული ჰყავს ყველასა, – აი, ტაქტიკა კირიონისა. ამისი საბუთი, მგონია, საკმარისად არის წარმოდგენილი ზემოთ.

როგორი ყალბიც არის მოწამებრივი შარაჟანდედი კირიონ II-ისა, ისეთივეა მისი მეცნიერული შარავანდედიც. საზოგადოე ბაში გაერცელებულია ყალბი აზრი, როგორც მისი მოწამეო ბრიობისა, ისე მეცნიერობისა. ბრბო ბრიყვია. საკმარისია გაიგონოს ამა და ამ კაცმა რაღაც სქელი წიგნი დაწერაო, რომ მეცნიერების სიგელი მისთავაზოს. თუ რა შინაარსისაა ეს "მეცნიერული" ნაშთი, არავინ უკვირდება."[90]

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის პიროვნების დამფარებელნიც მრაელად იყვნენ. თბილისის სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე ჟურნალ "ახალი სიტყვის" გარშემო შემოკრებულთ "კალმის ყაჩაღები" და „კათოლიკოს კირიონ II-ის ზნეობრივი მკვლელები უწოდა."

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი

კირიონ II-ის ვერაგულმა მკვლელობამ დაპირისპირება გააღრმავა ახლად ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში, საკათალიკოსო საბჭოში. ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ IIის დაკრძალვის შემდეგ 11 იელისს, სასწრაფოდ მოიწვია საეპარქიო კრება, სადაც მიიღეს "განსაკუთრებული საკითხები კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო."

1. წინადადება იქნას შეტანილი იმერეთის საეპარქიო სახლის სახელით საკათალიკოსო საბჭოში, რათა ეს უკანასკნელი მთელი თავისი შემადგენლობით და კათოლიკოსის მოსაყდრით დაუყოვნებლივ გადადგეს სამსახურიდან, როგორც ეს არის მიღებული აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში, მითუმეტეს, საკათალიკოსო საბჭო მორალურად თანამოაზრეა განსვენებულ კათოლიკოსის ტრაგიკულად და საიდუმლოებით მოცულ გარდაცვალებაში. 2. კათოლიკოსის ამ სახით გარდაცვალების გამო მისი კაბინეტის, ანუ ორგანოს საკათალიკოსო სახლის გადადგომის შემდეგ, შესდგეს საეპარქიო საბჭოებისაგან დასახელებულ პირთა შემადგენლობით დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ ეპარქიულ მღვდელმთავრის მოსაყდრეობით. 3. დროებითი მმართველობა განიხილავს შექმნილ ვითარებას კათოლიკოს კირიონ II-ის გარდაცვალების გამო. მანამდე კი, საჭიროა, გამოირკვეს, რა ატმოსფერო იყო შექმნილი კათოლიკოს კირიონ II-ის პიროვნების გარშემო. ამას მოითხოვს ჩვენგან მოქალაქობრივი მოვალეობების შეგნება განსვენებულის წინაშე. საამისოდ მდიდარ მასალას წარმოადგენს "ახალი სიტყვის" უკვე გამოქვეყნებული 7 ნომერი. გაისინჯოს ამ ორგანოს შესახებ საკათალიკოსო საბჭოში ქრისტეფორე კაპანაძის და დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მოხსენებები. გაისინჯოს საკათალიკოსო საბჭოს ჟურნალები №103, №109. განხილულ იქნას 144 საბრალდებო მუხლები, რომლებიც მის მოწინააღმდეგეებს ჩაუბარებიათ კათოლიკოს კირიონისათვის. 1918 წლის 23 მაისს, როგორც ეს გვამცნო საბჭოს წევრმა რაფიელ ივანიცკიმ, კათოლიკოს კირიონ II-ის დასაფლავების დღეს, გაზ. "საქართველოში" მოთავსებულ წერილში. განხილულ იქნას ეს განცხადება და მასზე განსვენებული კათოლიკოსის ჯერ არ ცნობილი პასუხი, რომელიც უკვე შედგენილი ყოფილა საეკლესიო კრებისათვის წარსადგენად. შეფასებულ იქნას რ. ივანიცკის წერილი, რამდენად ობიექტური და გულწრფელია იგი და შეესაბამება თუ არა ჭეშმარიტებას. ეს წერილი "ახალი სიტყვის" ცუღლუტური გამოხმაურებაა მის მონათესავე გაზ. "საქართველოში". პროტესტი გამოეცხადოს რ. ივანიცკის ამ თავხედობისათვის. 4. დაუყოვნებლივ მოისპოს ჟურნალ "ახალი სიტყვის" გამოცემა, როგორც პასკვილანტურ-პროვოკაციული ორგანოსი. საეკლესიო კრების წინაშე პასუხისგებაში იქნენ მიცემული ამ ორგანოს სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული ქრისტეფორე ციცქიშვილი, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე,მღვდელი ილია შუბლაძე. ასეთი ბილწი და ასეთი საზიზღარი ორგანო არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, რომელიც გამოდიოდა კათოლიკოს კირიონისა და მისი მომხრეების მოსაშხამავად. ამ დროს კი საკათოლიკოსო საბჭოს ოფიციალური ორგანო "სვეტიცხოველი" უსახსრობის გამო შეაჩერეს. ჟურ. "ახალი სიტყვის" გარშემო შემოკრებილთ უნდა ეწოდოთ კათოლიკოს კირიონ II-ის მორალური მკვლელნი და განიდევნონ თბილისიდან. 5. განხილულ იქნას უმთავრესი საბედისწერო შემთხვევა, რომელმაც უცნაურად იმსხვერპლა კათოლიკოსი კირიონი. რამდენად მიზანშეწონილი აღმოჩნდა თბილელი მიტროპოლიტის კათ ედრის აღდგენა და ერთ ქალაქში კათოლიკოსის და მიტრო პოლიტის მოთავსება? ამ მოკლე დროის დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ვინც უნდა ყოფილიყო კათოლიკოს კირიონ II-ის ადგილზე, მას ისეთივე მარცხი მოუვიდოდა, როგორც მოუვიდა კირიონს ძლიერი თბილელი მიტროპოლიტის გვერდით. საეკლესიო დებულებით, კათოლიკოსი იყო სრულიად უმწეო და უუფლებო, ამიტომ სანამ კათოლიკოსის კანდიდატზე იბჭობდეთ, უნდა გაუქმდეს თბილელის კათედრა და აისახოს იგი კათოლიკოსის ტიტულში. უნდა ამოვირჩიოთ მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და მიტროპოლიტი თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. მას მიეცემა ერთი ქორეპისკოპოსი სრულ

განკარგულებაში და მით დაცხრება უმთავრესი წყარო იმ ქიშპობისა, რომელშიც ამოაღჩევეს მხცოვანი კათოლიკოსი კირიონი. 6. საჭიროა შესწავლილ იქნას 1917 წლების დროებითი მმართველობის საქმეები, განსაკუთრებით ჟურნალები №18, 19, 44, აგრეთვე საკათოლიკოსო საბჭოს დროისა, აქ დაინახავს მომხდარი ტრაგედიის სურათს, ვისაც სურს იხილოს იგი."[91]

დოკუმენტს ხელს აწერდა ქუთაისელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე). 1918 წლის 18 სექტემბერს მიტროპოლიტი ანტონი მოულოდნელად გარდაიცვალა. იმთავითვე გაერცელდა ხმები, რომ იგი მოწამლეს, პათანატომიურმა გამოკვლევამ დაადასტურა ეს ვარაუდი. ამ ბოროტების ჩამდენი აღმოჩნდა მისი სიძე, გვარად რედიგერი, რომელმაც მეუფე ანტონს საჭმელში ვერცხლისწყალი შეურია აშკარა იყო, ამ საქმის დამკვეთნი იგიეე ხალხი იყო, ვინც მარტყოფის მონასტერში მოკლა უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. მიტროპოლიტი ანტონი დაიკრძალა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რომელიც 1924 წელს ბოლშევიკებმა დაანგრიეს. მიტროპოლიტ ანტონის საფლავი დაიკარგა. 1918 წლის 15 ოქტომბერს საუთარი სახლის წინ უცნობმა მკელელმა სიცოცხლეს გამოასალმა მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე, რომელიც თავის დროზე იყო კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის საარჩევნო ჯგუფის ხელმძღვანელი პროვინციებში. 1919 წლის 6 ივნისს არმაზის მონასტერში მოკლეს ბერმონაზვნები მირიანი (ბექაური) და გერმოგენი. იმავე წლის 23 ივნისს პოლიციამ დააპატიმრა მკელელობის შემსრულებელნი – სოფელ ძეგვის მცხოვრებნი ბაგდასარ აღდაჯანოვი, ნიკო თუმანიანი, მიშა კვახაძე. დამკვეთთა ვინაობა კი უცნობი დარჩა. ამ სამწუხარო ამბებმა ათქმევინა ცნობილ ისტორიკოსს სარგის კაკაბაძეს შემდეგი სიტყვები: "საქართველოს ეკლესიის მაღალ სასულიერო წრეებში დამკვიდრდა ერთმანეთის გაუტანლობა და შურისძიება." საინტერესოა, როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში.

1918 წლის 28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: თბილელი მიტროპოლიტი და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე (ოქროპირიძე), ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია), ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზები: ნიკოტა თალაკვაძე, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე. საერონი: პ. ბარათაშვილი, გ. გვაზავა, პ. გოთუა, პ. ინგოროყვა, ქ. კაპანაძე, მ. მაჩაბელი. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საკათოლიკოსო საბჭომ გამოიტანა განჩინება: "1. დაუყოვნებლივ, რამდენადაც შეიძლება მოკლე დროში, არჩეულ იქნას კათოლიკოს-პატრიარქი, ვინაიდან ამას მოითხოვს როგორც საეკლესიო ინტერესები, ისე საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და მისი საერთაშორისო მდგომარეობა. 2. უარყოფილ იქნას აზრი კათოლიკოსის ასარჩევად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვეისა. 3. ვინაიდან კათოლიკოსი დაუყოვნებლივ უნდა იქნას არჩეული, საკათოლიკოსო საბჭოს კანონიერად მიაჩნია მიტროპოლიტ ლეონიდეს არჩევა კათოლიკოსად."[92] ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ეპარქიებიდან მიტროპოლიტ ლეონიდეს მხარდასაჭერი წერილები. თუმცა, იყო განსხვავებული მოსაზრებებიც. საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილება გააპროტესტეს დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, მათე გორდეზიანმა, ქრისტეფორე კაპანაძემ, ზუგდიდიდან მღვდელმა ტროფიმე ხუნდაძემ. სასულიერო პირთა ნაწილმა მოითხოვა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა გადაეტანათ მეორე საეკლესიო კრებაზე. ამასთან დაკავშირებით გაერცელდა წერილი "მეორე საეკლესიო კრების საყურადღებოდ," რომელშიც ეკითხულობთ: "მეორე საეკლესიო კრებამ რომ კიდევ შეცდომები არ დაუშვას და სამუდამოდ არ დაიკრძალოს ჩვენი ეკლესია და სარწმუნოება, როგორც ეს მოხდა პირველ საეკლესიო კრებაზე და არასასურველმა პირებმა მოიყარეს თავი ჩვენს ნორჩ ეკლესიაში და მოიტანეს დიდი არასაპატიებელი ზიანი, რომლის მოსპობა-აცილება ამ მეორე საეკლესიო კრებას შეუძლიან და მით გამოიყვანს ეკლესიას სამშვიდობოს. ეს პირები არიან: ეგზარქოსის ნააგენტარი გათახსირებული დაეით დავიდოვი, ნაჯაშუშარი და დღესაც ჯაშუში შუბლაძე,

მარჯვენა ხელად წოდებული, იუდას როლის შემსრულებელი ცქიტიშვილი, ივანე რატიშვილი. მათ დასახასიათებლად სანიმუშოდ გაგახსენებთ იმ ამბებს, რაც მათ ჩაიდინეს ავტოკეფალიის გამოცხადების დღეებში და შემდეგ ვიდრე დღეევანდლამდის. დღიდან ავტოკეფალიის გამოცხადებისა, ლეონიდმა დავიდოვ-დავითაშვილის დახმარებით და მეცადინეობით ნაწამებ-ნატანჯ კირიონს, რომლის სამშობლოში დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა ქართველი ერი, დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს დროებითი მმართველობის კრებაზედ. ეს იმისთვის, რომ მით გამოეწვიათ მღელვარება და დაეცათ ხალხში მისი პრესტიჟი, მოეხსნათ კათოლიკოსობაზე მისი კანდიდატურა. კირიონის კათოლიკოსად არჩევის შემდეგ მოაწყეს პარტია ზემოხსენებულ პირთაგან და მოსვენებას არ აძლევდნენ ისედაც ტანჯულ კირიონს. მათი თავხედობა-თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ 24 ოქტომბერს 1917 წ. დ. დავიდოვი შეუვარდა კირიონს მოსაკლავად, მაგრამ რადგან იქ კირიონის მხლებლები იყვნენ, ეს ვერ მოახერხა. ლანძღვა-გინებით და გამობრუნდა და შეიჭრა საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიაში და იქ მყოფს საკათოლიკოსო საბჭოს წევრს ქრისტეფორე კაპანაძეს იმ ზომამდე სცემა, რომ ექიმის დახმარებით ძლივსღა მოაბრუნეს, მის მოწმენი შეიქმნენ მთელი საკათოლიკოსო სახლის მოსამსახურენი. აი, ამის ჩამდენი კაცი "გმირობისათვის" ლეონიდმა დაასაჩუქრა და თავისი სამწერლო კანცელარია ჩააბარა. 12 სექტემბერს, კათოლიკოსის არჩევის წინ, ლეონიდის დაეალებით ბ. ბარათაშვილი გაგზავნილ იქნა დიაკონ-მედავითნეთა წარმომადგენლებთან, რომ ლეონიდის პრესტიჟი აემაღლებინათ და კირიონის საწინააღმდეგო აგიტაცია გაეწიათ; რომ კირიონი გაეშავებინათ და სთხოვდა, რომ კენჭები ლეონიდისათვის მიეცათ. კირიონის არჩევის შემდეგ ლეონიდმა გამოაცემინა თბილისში თავის დამქაშებს კირიონის სალანძღავად გაზეთი "ახალი სიტყვა" და ჩააბარა ცნობილის ვოსტორგოვის გაწერთნილ ჯაშუშ შუბლაძეს, იუდა ციცქიშვილს და სხვებს, სადაც თვით ლეონიდიც სხვა და სხვა ფსევდონიმებით მხურვალე მონაწილეობას იღებდა. აქ ისინი არ ჰზოგავდნენ ძალასა და ენერგიას და კათოლიკოს კირიონს ლანძღავდნენ უშვერის სიტყვით. დასარწმუნებლად ამისა, გადაათვალიერეთ ყველა "ახალი სიტყვის" ნომრები და დარწმუნდებით, რომ არცერთი ნომერი არ გამოსულა, სადაც კირიონი არ იყო გალანძღული. იყო დრო, როდესაც ფული შემოაკლდათ გაზეთის გამოსაცემლად და 28 მაისს, 1918 წ. ლეონიდის თანდასწრებით მოხდა თბილისის ზოგიერთი სამღვდელოების კრება და, ლეონიდის თხოვნით, თბილისის ეკლესიებიდან ამ გაზეთს გაუჩინეს სუბსიდია, რომ არ შეჩერებულიყო გაზეთის გამოცემა და ლანძღვა-გინება კირიონისა. შუბლაძე ეს ის მღვდელია, რომელმაც ვოსტორგოვის დროს მას თხოვნით მიმართა: მე სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დამაყენეთ, ჯამაგირს მე მოვანდომებ ხშირად მაზრაში სიარულს მცხოვრებთა გაჩუმებისათვის და, მართლაც, როცა მიიღო ეს თანამდებობა, 1903 წელს, სამშობლო ენაზე სწავლა აუკრძალა ქართველებსა და ბერძნებს. ეს ის მღვდელია, რომელიც ვოსტორგოვის ორგანოში აქებდა რუსულ ენას, ამტკიცებდა, რომ ქართველი, როდესაც ქართულად წერს, ფიქრობს რუსულად და ისე სწერს, ამას შერება არა ერთი,არამედ მომეტებული ნაწილი მწერლობისა. ნუთუ ამას ადგილი აქვს ჩვენში? ივ. რატიევმა (რატიშვილი) ანჩისხატის ტაძარში, როდესაც კირიონი მწირეველი იყო, თვით წირვის დროს კირიონს, მის ამომრჩევლებს და ნაკურთხებს უწოდა "კინტოები" და სხვა უცენზურო სახელები, ეს ყოველივე ერთმა მოძღვარმა ლეონიდის თავმჯდომარეობის დროს მოახსენა საკათალიკოზო საბჭოს და სთხოვდა, რომ ასეთის საქციელისთვის ი. რატიევი ჩამოეშორებინათ საეკლესიო საქმეებისგან, მაგრამ ლეონიდმა ეს არ ინება, რადგან ივ. რატიევი მისი აგენტი იყო. ლეონიდი კირიონის ნაკურთხს მოძღვრებასაც არ ასვენებდა და თუ შეიტყობდა, მათ მღვდელ მოქმედებას უკრძალავდა.

1918 წ. 27 მარტის ოქმიდან ჩანს, რომ რუსებმა ქართველებს გადასცეს სას. სემინარიის მთელი ქონება, ვინ გაფლანგა იგი? კრებამ უნდა გამოიკვლიოს.

ლეონიდმა საკათოლიკოზო და საეპარქიო სახლები გაწმინდა ოპოზიციონერებისაგან,

იქ დარჩნენ მარტო მისი და დავიდოვის მოაზრენი; თუ ვინმე სხვა დარჩა, მათ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. გალობის საკითხიც ხომ პირად ინტერესს ანაცვალეს და სრულებით მოსპეს, სადაც კი მისი ჩანასახი სჩანდა.

დასასრულს ჩვენი მთავრობის საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მას, რომელსაც დღეევანდელ რთულ მომენტში არ აქვს ფიზიკური საშუალება, გაეცნოს ამ ბრძოლას და ძიებას, რომელსაც ადგილი აქვს საეკლესიო ცხოვრების სფეროში, მიემართავთ თხოვნით, რათა მან ხელი არ შეუწყოს იმ საშინელს რეაქციონურ და მონარქისტულ ელემენტებს, რომლებიც სასტიკად გვებრძვიან ჩვენ. მაშ, გაუმარჯოს იმ დეპუტატებს, რომელნიც გაგვიკაფავენ ჩვენს ეკლიან გზას, მოგვაშორებენ იმ ნაგავ ბრბოს, რომელსაც მოუკალათია ეკლესიის სათავეში თავისის თავით და პირად საქმეს ანაცვალეს მთელი სარწმუნოება. ვაშა, თქვენს ერთსულოვნებას, სულით და გულით გამოძახილს, რომელიც მოაშორებს ამ ბინძურ ჭორს და გამოიყვანს ჩვენს ეკლესიას სამშვიდობოს. გაუმარჯოს ახალს ეკლესიის თავს, ახალს მართვა-გამგეობას და მღვდელმორწმუნეთა შეერთება სიყვარულით მუშაობას.

მხოლოდ ეს იხსნის ჩვენს ეკლესიას ნგრევისაგან. "განახლების ჯგუფი."[93] ამ დაპირისპირებისა და ურთიერთბრალდების ვითარებაში 1919 წლის 23 თებერვალს მცხეთის სვეტიცხოვლის ათორმეტი მოციქულის სახ. საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მიტროპოლიტ ლეონიდეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევის ცერემონია. დავით დავიდოვ-დავითაშვილი გახდა საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველი - მდივანი.

განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის საფლავზე დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და ქრისტეფორე კაპანაძემ ცნობილ ქვისმთლელ ნ. აღლაძეს დაამზადებინეს საფლავის ქვა ასეთი შინაარსის წარწერით: "სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ მეორე, დაიბადა 1855 წლის 11 ან 14 იანვარს მამამთავრად არჩეულ იქმნა საეკლესიო კრების მიერ 1917 წლის 17 ენკენისთვეს. ღვთივ განისვენა 1918 წ. 26 ივნისს." საფლავის ქვა დაიდგა 1919 წლის 10 ივნისს. მაინც რა მოხდა მარტყოფის მონასტერში, ვინ მოკლა დიდი საეკლესიო მოღვაწე უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II? განვიხილოთ ყველა შესაძლო ვერსია.

1. ოფიციალური დასკვნა კათოლიკოსის შესაძლო თვითმკელელობის შესახებ, რომელიც მოსამართლე-გამომძიებელმა ი. კობიაშვილმა დადო, არ იყო ექსპერტიზის მონაცემებით გამყარებული. დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ იმთავითვე უნდობლობა გამოუცხადა მოსამართლე კობიაშვილის დასკვნას. „ხმა დაუყარეს თავი მოიკლაო, 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლის გამო (დამბლა დაეცა 1918 წლის დასაწყისში ამდენი ნერვიულობის და ცილისწამების გამო ს.ვ.) პირთან ჭიქა ვერ მიჰქონდა დასალევად, ასეთი ხელით მწოლარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერი იქვე ეგდო ცხედართან, რევოლვერი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა? გვერდზე დაიგდო?! ასეთი დასკვნა გამოიტანა "გამომძიებამ," ამის გამო მჭონდა პირადი შეტაკება შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილთან. 1918 წლის ივლისში, როდესაც ანჩისხატის ტაძარში მესვენა მარტყოფის მონასტერში უცნაურად ტყვიით განგმირული კათოლიკოზი კირიონი, დიდძალი ხალხის თანდასწრებით გადავიხადე პანაშვიდი, წარმოვთქვი მეტად აღგზნებული სიტყვა იმის თაობაზე, რომ მოწმე ვიყავი იმ არაადამიანური მეფისტოფელური დევნა-შევიწროებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათოლიკოზს." საყურადღებოა ისიც, რომ ტყვიები, რომელნიც კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სხეულიდან ამოიღეს, იმ რევოლვერისა არ იყო, რომელიც განსვენებულის გვერდით დაკეტილი ეგდო. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვქონდა ორგანიზებულ დანაშაულთან, ხოლო დამკვეთებისა და შემსრულებლების ვინაობის გაურკვეველობისათვის დამნაშავეებმა გააერცელეს ბინძური ჭორი, კათოლიკოსმა თავი მოიკლაო. ამ ჭორით ის მეორედ მოკლეს". ამ

ვერსიას ავრცელებდნენ მისი ოპონენტები.

2. ცნობილი ქართველი მოღვაწე, მწერალი და გამომცემელი იოსებ იმედაშვილი პირადად იცნობდა კათოლიკოს კირიონს, მარტყოფში დატრიალებული ტრაგედიით გულ–შეძრული და გამომძიებელ კობიაშვილის დასკვნით აღშფოთებული შეხედა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და მიიღო მისგან უფლება შეეკრიბა და გასცნობოდა კათოლიკოს კირიონ II-ის მკვლელობის ყველა მასალას. ამის საფუძველზე დაასკვნა, რომ მკვლელობა იყო კარგად ორგანიზებული. "ხმა გავრცელდა, ვითომ თვითონ მოიკლა თავიო, მაგრამ ეს აზრი სასწრაფოდ უარყოფილ იქნა, რადგან კირიონს სამუშაო წიგნები, მასალები და საწერი ქაღალდი წაეღო. შემდეგ მისი მკვლელობა დაბრალდა ტარასი არქიმანდრიტს, რომელიც კირიონის შინაკაცი იყო, მაგრამ იგი მოისყიდა დავით დავიდოვმა. ტარასის ბოლოს 500 თუმანი მისცეს, რომლითაც მან კავკაზში ძროხები იყიდა და თბილისში ფერმა გაიხინა. ამავე ტარასიმ მიითვისა კირიონის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები, რომლებიც ბოლოს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა, როგორც თავისაგან შეკრებილი." ერთ რამეში ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ იოსებ იმედაშვილს – არქიმანდრიტმა ტარასიმ იცოდა კათოლიკოს კირიონის მკვლელების ვინაობა. მკვლელი კათოლიკოსის ოთახში ვერ შევიდოდა, თუ არ გაიელიდა იმ ოთახს, სადაც მას ეძინა, ამავე დროს გასათვალისწინებელია ბრაუნინგის ხმა, როგორ ვერ გაიგონა? იოსებ იმედაშვილი განაგრძობს: "კირიონის მოკვლის შემდეგ მოკლულ იქნა კირიონის ბერები მირიანი, გერმოგენი, ყოველივე ამას დაბეჯითებით მიაწერდნენ დავით დავიდოვს და დავით დავიდოვი საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ განაგებდა სიძველეთა საქმეს, თუ კომიტეტში მუშაობდა. იყო გადასახლებული. იქ პატიმრებმა მარჯვენა მოაჭრეს: „ეგ სულ ცოდვით მოუვიდაო" – იტყოდნენ ხოლმე."[4]

უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის დავით დავიდოვისაგან მოკვლის ვერსიას მხარს უჭერდა ცნობილი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, რომელიც აღნიშნავდა: "მიტროპოლიტ ლეონიდეს მომხრემ მოკლა კათოლიკოსი კირიონი." დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე პირდაპირ ხელს ადებდა დავით დავიდოვ-დავითაშვილს, რომელსაც "ეგზარქოსების ჯაშუშს, „გარყვნილ კაცს" უწოდებდა, რომლისაც კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესაც ეშინოდა. „ჩემთანაც ჰქონდა შეტაკება ამ დავიდოვს. დამხვდა ქუჩაში (დავით დავიდოვი ცხოვრობდა ანჩისხატის ქუჩის მოპირდაპირე სახლში, იქვე, ანჩისხატის ეზოში, ცხოვრობდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, ს.ვ.). დამიწყო უშეერი სიტყვებით ლანძღვა-გინება და საცემრად იწია, გამოვარდნენ სახლიდან მისი ქალები და იმათ შეიყვანეს თავიანთი მამა სახლში და გადამარჩინეს სირცხვილს, როგორც კი მომიახლოვდებოდა, ჯოხი უნდა დამეკრა თავში ამან იმსხვერპლა ჩვენი ეკლესიის განახლების საქმე."[5] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის მკვლელი დავით დავიდოვ-დავითაშვილი იყო, მაგრამ ამ საქმეში ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან მისი ის ოპონენტები, რომლებიც შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალ "ახალი სიტყვის" გარშემო. ისინი უშეერი სიტყვებით ლანძღაედნენ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონს, ცდილობდნენ ქართული საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ კირიონი არ იყო პატრიარქობის ღირსი. სამწუხაროდ, მიტროპოლიტმა ლეონიდმა ვერ დაიკავა პრინციპული პოზიცია. ამან წარმოშვა ჭორები კირიონ კათოლიკოსის მკვლელობასთან მისი შესაძლო კავშირის შესახებ. სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ახალი ერა, რაც ავტოკეფალიის აღდგენით დაიწყო, იმთავითვე ტრაგიკული და სისხლიანი ფურცლებით ჩაიწერა.

1921 წელს ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა საქართველოში. ბოლშევიკები აგრესიული ათეიზმის მიმდევრები იყვნენ. მათი ბელადი ვ. ი. ლენინი წერდა: "მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა მივცეთ ყველაზე გადამწყვეტი, დაუნდობელი ბრძოლა შაერაზმულ სასულიერო ფენას და ჩახშობილ იქნას მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივიწყონ რამდენიმე

ასეული წლის განმავლობაში." დაიწყო ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა, სასულიერო პირების იძულებით განმოსვა, დაპატიმრება-დახვრეტები. შექმნილ ვითარებას ეხმიანება დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ჩანაწერი: "წითელ არმიას საქართველოდან გააქვს აუარებელი სიმდიდრე, არც ჩვენი "კომუნისტები" აკლებენ ხელს სამშობლოს ძარცვაგლეჯას. 50 მილიარდი კონტრიბუცია დაადეს საქართველოს გადასახდელად. ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს – ზოგს 10 მილიონი, ზოგს 20 მილიონი შეაწერეს, ვინც ვერ იხდის, მიჰყავთ "ჩეკაში", იჭერენ. თვითონ "კომუნისტები" კი, გუშინდელი მშივრები, კარგად ჩაცმულ-დახურულები, მშვენიერ სასახლეებში გამოჭიმულები, ყოველ დღე – ღამე ლხინში ატარებენ დროს. ჩიტის რძეც არ აკლიათ მათ, ხალხი კი შიმშილობს."

წამებული პატრიარქის სახელი თანდათან მიეცა დავიწყებას. 2002 წლის 16 ოქტომბერს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის დაბალებით საპატრიარქოში წმიდა სინოდის რამდენიმე წევრთან ერთად იხილებოდა მასალები წმინდანად შესარაცხი დიდი საეკლესიო მოღვაწის შესახებ. სხდომაზე ბრძანდებოდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II, რომელმაც მომმართა, რა დოკუმენტური მასალა არსებობს, რომელიც აბათილებს მის უწმიდესობა კირიონ II-ზე გაერცელებულ დაუჯერებელ თეითმკვლელობის ვერსიასო. დაეიწყე დრო-ჟამს გადარჩენილი მასალების მოხმობა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყურადღებით მისმენდა– შემდეგ წამოდგა, დაგელოცა და მივხვდითრომ გადაწყვეტილება მიღებული იყო. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, გამოჩენილი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწე, მკვლევარი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დევნილი, მოწამებრივად აღსრულებული კირიონ II შერაცხა წმინდანთა დასში და უწოდა მღვდელმოწამე კირიონი. მისი ხსენების დღედ დაწესდა ძვ. სტ. 27 იენისი (9 იელისი). წმიდა მღვდელმოწამე კირიონი, XX საუკუნის დასაწყისის უდროოდ ჩამქრალი მოკაშკაშე ვარსკვლავი ჩვენი ეკლესიისა, დაუბრუნდა სრულიად საქართველოს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გაზეთი „ივერია“, 1898 წ. №179;
2. გაზეთი „ივერია“, 1892 წ. №166;
3. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 8-9;
4. გაზეთი „ივერია“, 1898 წ. №81;
5. ვახტანგ გურგენიძე. „კირიონ II“. იხ. „სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კრებული“, №5, თბილისი, 1981 წ. გვ. 90;
6. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 11;
7. გაზეთი „ივერია“, 1903 წ. №38;
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №1318;
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №248;
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №248;
11. გვანცა ბურდული. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე“, თბილისი, 2012 წ. გვ. 392-395;
12. იქვე, გვ. 398-399;
13. იქვე, გვ. 399;
14. იქვე, გვ. 413-415;
15. იქვე, გვ. 416;
16. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №244;
17. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №264;
18. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №57;
19. გვანცა ბურდული. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე“, თბილისი, 2012 წ. გვ. 310;
20. ჯემალ გამახარია. „წმიდა ამბროსი აღმსარებელი და აფხაზეთი“, თბილისი, 2006 წ. გვ. 135;
21. კირიონ II. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, „წერილები, სტატიები“, თბილისი, 2006, გვ. 37;
22. ვახტანგ გურგენიძე. „კირიონ II“. იხ. „სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კრებული“, № 5, თბილისი, 1981 წ. გვ. 110-111;
23. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 15;
24. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №1533;
25. ელისო აბრამიშვილი. „კირიონის პირადი საარქივო ფონდი“, კრებული „მრავალთავი“, ტ. I, თბილისი, 1971 წ. გვ. 367;
26. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1458, საქმე №153;
27. სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ.“ თბილისი, 2001, გვ. 13-14;
28. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 19;
29. ნიკიტა თალაკვაძე. „მოქალაქე-მღედლის დღიურიდან“, თბილისი, 2013 წ. გვ. 46-47;
30. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 28;
31. სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ.“ თბილისი, 2001, გვ.
24-25;
32. ნიკიტა თალაკვაძე. „მოქალაქე-მღედლის დღიურიდან“, თ ბილისი, 2013 წ. გვ. 50-51;
33. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი“ №57, საქმე №246;
34. ეპისკოპოსი კირიონი. „ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული მონასტერი“, თბილისი, 2008, გვ. 14-18;
35. ეპისკოპოსი კირიონი. „წმიდა მოწამე აბო ტფილელი“, თბილისი, 1899 წ. გვ. 7-12;
36. ეპისკოპოსი კირიონი. „წმიდა დავით II აღმაშენებელი მეფე ქართველთა“, თბილისი, 1898 წ.
37. ელისო აბრამიშვილი. „კირიონის პირადი საარქივო
ფონდი“, კრებული „მრავალთაეი“, ტ. I, თბილისი, 1971 წ. გვ. 361;
38. იქვე. გვ. 361;
39. იქვე, გვ. 369;
40. იქვე, გვ. 362;
41. ეპისკოპოსი კირიონი. „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, თბილისი, 2009 წ. გვ. 20;
42. იქვე. გვ. 25;
43. იქვე. გვ. 69;
44. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1458, საქმე №19, გვ. 1;
45. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „კირიონ საძაგლიშვილის ფონდი №97;
46. იქვე. ფონდი №97;
47. გაზეთი „ივერია“, 1904 წ. №35;
48. გაზეთი „ივერია“, 1902 წ. №259;
49. ჟურნალი „მოამბე“, 1904 წ. №5;
50. ეპისკოპოსი კირიონი. გრიგოლ ყიფშიძე. „ქართული სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო“, თბილისი, 1918 წ. გვ. 2;
51. ეპისკოპოსი კირიონი. „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, თბილისი, 2009 წ. გვ. 293-310;
52. „წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი“. კრებულის შემდგენელი ჯემალ გამახარია, თბილისი, 2006 წ. გვ. 184-189;
53. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №2783;
54. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994წ.გვ. 17;

55. დასახელებული ნაშრომი, გვ. 16;

56. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, სერგო გიორგაძის ფონდი №27-830;

57. გიორგი ტიგინაშვილი. „უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II და ქართული საზოგადოება“, თბილისი, 2011, გვ. 68;

58. საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კრებული. 1987 წ. №5, გვ. 107;

59. გიორგი ტიგინაშვილი. „უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II და ქართული საზოგადოება“, თბილისი, 2011, გვ. 71;

60. იქვე, გვ. 64; 61. იქვე, გვ. 65;

62. იქვე, გვ. 66; 63. იქვე, გვ. 66;

64. იქვე, გვ. 66;

65. იქვე, გვ. 75-77;

66. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. საქმე №1535;

67. სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ.“ თბილისი, 2001, გვ. 219;

68. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონ საძაგლიშვილის ფონდი №1312;

69. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011 წ. გვ. 9;

70. იქვე, გვ. 11;

71. იქვე, გვ. 11;

72. იქვე, გვ. 12-13;

73. იქვე, გვ. 14;

74. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III“, თბილისი, 2009 წ. გვ. 33;

75. იქვე, გვ. 33;

76. იქვე, გვ. 16;

77. იქვე, გვ. 16;

78. იქვე, გვ. 17;

79. იქვე, გვ. 17;

80. იქვე, გვ. 18;

81. იქვე, გვ. 19;

82. იქვე, გვ. 21-23;

83. იქვე, გვ. 23;

84. იქვე, გვ. 24;

85. იქვე, გვ. 25;

86. სერგო ვარდოსანიძე. „კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, თბილისი, 1994 წ. გვ. 25-28;

87. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011 წ. გვ. 29-30;

88. იქვე, გვ. 30;

89. სარგის კაკაბაძე. „ქართველი ხალხის ისტორია 17831921 წწ.“, თბილისი, 1997 წ. გვ. 248;

90. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III“, თბილისი, 2009 წ. გვ. 35-36;

91. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011 წ. გვ. 35-37;

92. იქვე, გვ. 38;

93. იქვე, გვ. 39-41;

94. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011 წ. გვ. 42-44;

95. იქვე, გვ. 44-45;

სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.)



უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე, ერში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე დაიბადა 1861 წლის 15 თებერვალს გორის მაზრის სოფელ დისევში. ეს სოფელი ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიული მნიშვნელობის სოფელია შიდა ქართლში, სადაც 35-ზე მეტი სალოცავი-ნიში და ეკლესიაა შემორჩენილი. სოფლის მშვენებაა IX საუკუნის ძელიცხოველის და XI საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები. სოფლის სიახლოვეს ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ისტორიული ციხე-კოშკი, რომლის აშენების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. პატარა ლონგინოზი ბავშვობიდან იზრდებოდა თავისი სახელოვანი ბიძის, ეპისკოპოს ალექსანდრეს მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც ზრუნავდა, რათა ყმაწვილს მიეღო საფუძვლიანი განათლება. ეპისკოპოს ალექსანდრეს ხშირად სტუმრობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი. ახალგაზრდა ლონგინოზი ისმენდა ამ დიდი ადამიანების ნააზრევს, ფიქრობდა თავის სამშობლოს რთულ აწყმოზე და იმედით უყურებდა მის მომავალს. 1867 წელს ლონგინოზი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც ბიძის რეკომენდაციით სწავლა განაგრძო სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1884-1888 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. ახალგაზრდა ლონგინოზი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს. მეუფე ალექსანდრესადმი გაგზავნილ წერილში გულახდილად აღიარებდა, რომ „ქართველი სამღვდელოების დიდი ნაწილი გაუნათლებელი და უცოდინარი იყო, რომელთაც რიგიანად უბრალო წირვის შესრულებაც კი არ შეუძლიათო“. კიევის სასულიერო აკადემიაში არსებული ვითარების შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს ახალგაზრდა ლონგინოზი 1885 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოს ალექსანდრესადმი გაგზავნილ წერილში:

მოწყალეო ბიძავ ბატონო!

თქვენს სიცოცხლეს და მშვიდობას ვისურვებ და ვსთხოვ უფალსა. თქვენი წერილი მივიღე და იმის პასუხსაც გწერთ. მე, როგორც თქვენც გეხსომებათ, გამოველ თბილისიდამ ორს სექტემბერსა; ამაღე დღეს ღამის ათს საათზედ ჩავედი ბათუმშიდ და მეორე დღემდინ იქ დავრჩი, მეორე დღეს ე.ი. სამს სექტემბერს, პარახოდი გავიდა ოთხ საათზედ; მართალია თავშივე ქარი ქროდა, მაგრამ პატარა იყო და საშიშათ არ ჩათვალეს, მაგრამ მერე როდესაც გავედით ტრიალ ზღვაში, დაუბერა საშინელმა ქარიშხალმა, აღელდა ზღვა და ჩვენმა პარახოდმა დაიწყო საშინელი რყევა. რასაკვირველია ყველას აგვერია გული და დაუწყეთ ლიმონებს წუწნა, მაგრამ ყველაფერი ტყუილი ყოფილა. ვისაც ზღვა აწყენს იმას წამალი აღარა აქვს რა; ჩემ თავზე ასე გამოვცადე და სხვებისა კი არ ვიცი. ზღვამ ყველაზე ძლიერ მე მაწყინა და პირველათ მე მასაქმა. ჩემი მტერიც ჩავარდნილა იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც მე ვიყავი, ისე შემაშინა ზღვამ, რომ ღმერთს აღთქმა მივეც, ჩემ დღეში ზღვაზე აღარ ვიმგზავრო. წყეელით ამოვაგდე ვინც ხალხს ასწავლა პირველათ არამც თუ ზღვაზედ, უბრალო მდინარეზედაც კი ცურაობა. კიდევ ღმერთმა მიბრალა და ქარი მალე ჩადგა, თორემ თქვენი მტერი, რომ ჩემი საქმე იქნებოდა. ზღვაზე დავრჩი ხუთი დღედაღამე ე.ი. ოდესაში მივედი მეშვიდეს. რადგანაც პოეზდი ოდესიდამ კიევში გადიოდა ღამის ცხრა საათზედ და ჩვენ კი მივედით დილის რვა საათზედ, ამისთვის საღამომდინ იქ დავრჩი და ქალაქი დავათვალიერე, რადგანაც სემინარიასთან ახლო მომიხდა ყოფნა, შევედი და ვიკითხე კაკაბაძე, მაგრამ მითხრეს, რომ შინ წავიდაო. მერე ვიკითხე სხვა ქართველები და მიჩვენეს ორი კაცი, რომელთაგანი ერთი ჩემი ამხანაგი იყო უჩილიშჩის მესამეში, მეოთხეშიდ და სემინარიის პირველშიდ. იმას გამოვკითხე კაკაბაძეს ამბავი და მითხრა, რომ ბერძნულ ენაში პერეგზემენოვკა ჰქონდაო, მაგრამ ვერ დაიჭირაო; მერე უთხრესო, რომ ამ სემინარიიდამ თუ გადახვალ სხვაგანო, კაი ბალლს დაგისვამთო, ისიც დათანხმებულიყო და ისევ თბილისის სემინარიაშიდ წამოსულა. შვიდიდამ გამოსული კიევში მოვედი ცხრას დილით. მაშინვე აკადემიაში მივედი და გამოვეცხადე მთავრობას, რომელმაც არაფერი შენიშვნა არ მომცა დაგვიანებისათვის. ჩიკვაიძის ამბავსა კითხულობთ, მაგრამ ჯერჯერობით

არაფერი კეთილის თქმა არ შემიძლიან. სემინარიაში მიეედი და ვსთხოვე რეკტორს, რომ ეგზემენიები დაეჭირებინათ, მაგრამ იმან მითხრა, რომ არაფრით არ შემი ძლიან აგისრულო თხოვნაო, რადგანაც ეგზემენიები წელიწად'ში ერთხელ გვაქვსო ხოლმეო და ეხლა დაგვიანებულიაო. შემდეგში წაეედი ტეხნიკის შკოლაში, მაგრამ იქაც ის მითხრეს, რომ სწავლის დაწყების შემდეგ არავის არ ვიღებთო. დარჩა ახლა უმანის შკოლა და ახლა პროგრამა გამოეწერე; რა გამოვა ბოლოს ღმერთმა უწყის. დალოცვილები, დააგვიანებენ, საქმეს წაახდენენ და მერე ყვირიან გეი'შველე, გეი'შველეო. მერე ამის კვარტირის შოვნამ გააჭირა საქმე, დაბოლოდროს ძლივს ძლივობით ვუშოვნე. სხვა აქ ახალი არა არის რა გარდა იმისა, რომ მეოთხე კურსის სტუდენტი ქართველისთვის ქართული ისტორიიდამ დისერტაციის დაწერის ნება არ მისცეს, რადგანაც მასალები, რომლებითაც შენ ისარგებლებო ჩვენთვის უცნობი არიანო და არ შეგვეძლება გავიგოთ, თუ როგორ ისარგებლეთ იმითიო. ამის შემდეგ მე მგონი, ქართველთაგანს ნება აღარ მისცენ არავის ქართული ისტორიიდან თემის აღებისა. დავშთები თქვენი მორჩილი ძმისწული ლონგინოზი"[1].

1887 წლის იენისში ლონგინოზი ბერად უნდა აღკვეცილიყო. ამასთან დაკავშირებით იგი საქმის კურსში აყენებს მეუფე ალექსანდრეს.

სანატრელო, ბიძაჟ ბატონო!

თქვენი წერილი გამოგზავნილი ამ თვის 23 სექტემბერს, მივიღე 28 სექტემბერს საღამოთი და დღეს 29 სექტემბერს, პეტრე-პაელობა რომ არის, სამაგიერო პასუხს გწერთ.

თქვენ იწერებით, რომ მანდაური მიტროპოლიტი იოანნიკე ამ თვის 12-ს თავის იუბილეს დღესასწაულობდა და რატომ არ ნახე და არ მიულოცეო? თუ არ გინახავს, უეჭველათ ნახე და გეცინო. ნეტარება თქვენ, რომ აგრეთი უმანკო, უცბიერო და სოფლისაგან გაუჭუჭყიანებელი ბრძანდებით და ყოელისფერს თქვენი უმანკო თვალით უმზერთ; ნეტარება იმასა, ვინც აგრე წმინდათ და უვნებლათ დაიცავს თავს ამ ცრუ და ცბიერ წუთისოფელში, როგორც დაგიცავთ და შეგინახავთ თქვენ თქვენი თავი. თქვენ ეპისკოპოზი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი სახლის კარები მუდამ ღიაა ყველასათვის: ღედელია თუ ერი, მაღალი თუ მდაბალი, ხარისხოვანი თუ უხარისხო, გლახა თუ გამოჩენილი მდიდარი. თქვენ არ გახვეეიათ მთელი ჯარი მოსამსახურეებისა, არ აცდეეინებთ სტუმრებს რამდენიმე საათობით გარეთ, არ ეჩვენებით მრისხანეთ და ამაყათ თქვენ სტუმრებს, თავმდაბლურად და მამობრივის გრძნობით ელაპარაკებით დიდს და პატარას, განათლებულს და გაუნათლებელს და გგონიათ, რომ ყველა ეპისკოპოსები ასე იქცევიანო, ამისთანა შეხედულება თქვენ ხარისხზედ, მართლა რომ მაღალი, კეთილშობილური, ეკლესიური და მოციქულებრივი შეხედულობაა, ამგრამ მაგარი ესაა, რომ ამ მეცხრამეტე საუკუნემ ბევრი რამ შეცვალა ქვეყანაზედ და სხვათა შორის არც სამღვდელოება, მეტადრე უმაღლესი დარჩენილა ხელთუხლებელი, თუმცა კი, ნამდვილი უნდა ვთქვათ, უმეტესი ნაწილი ამ ცვლილებათაგანი არა სანატრელი, სამწუხარო და საეალალონი არიან. როდესაც დავფიქრდები ხოლმე, ურუანტელი გამიელის ტანში: როგორ ვბედავ მე უსუსური შეხებას იმისთანა წმინდა და მაღალი ხარისხისას, როგორც არის საზოგადოთ სამღვდელოება და განსაკუთრებით ეპისკოპოზობა, რატომ ენა არ მიმახმება სახეზედ, როდესაც ამისთანა უკადრისი აზრები გამიელიან ხოლმე მეთქი თავში და სხვა. მაგრამ მეორეს მხრით ვიხსენებ, რომ მაცხოვარი მუდამ ჭეშმარიტებას ქადაგებდა, არასფერს ბოროტს არ ჰფარავდა და არ თმენილობდა, არასდროს არ უთქვამს თავის მოწაფეებისათვის, რომ კაცის ბოროტ ქცევაზედ თვალები დახუჭეთო და შაეს თეთრი დაარქვითო. გარდა ამისა ჭეშმარიტებისათვის არ არსებობს არც წლოვანება, არც უმაღლესი განათლებულობა, არც სიმდიდრე და არც ხარისხი. მეფე და მენახირე, მღვდელმთავარი და პონომარი, მათხოვარი და მილიონერი, მოხუცი და ჩვილი, ფილოსოფოსი და რეგვენი სუყველანი ერთნი არიან ჭეშმარიტების წინ და ჭეშმარიტებაც ერთია ყველასათვის. როგორც თვით მაცხოვარი იწმიდება ჭეშმარიტებათ, აგრეთვე კაცობრიობის უპირატეს და

აუცილებელ ვალათ გახდა ჭეშმარიტების სიყვარული და მეც ხომ კაცი ვარ, მეც ჭეშმარიტება უნდა მიყვარდეს და ამიტომაცაა რომ მე უღირსი ეეხები წმინდა და ფრიად მაღალ ხარისხს.

საზოგადოთ რუსის ეპისკოპოზები ძალიან მედიდურობენ და სიტყვით გამოუთქმელ განსცხრომითი ცხოერებას ატარებენ. ისინი სცხოერობენ მეფურათ სასახლეებში, მათი სასახლის კარები თუ არ გამოჩენილ პირს არავის გაელება; ეპისკოპოზის მოსამსახურე იმნაირ ფრაკშია გამოკვანწული, რომ უბრალო კაცს ნება-უნებლიეთ რცხვება და წითლდება თავის უბრალო, თუმც კი საკადრის ტანისამოსზედ: შემდეგ, თუ კელენიკმა ინება და პირეელი სიტყვიდანვე უარი არ უთხრა, ეპისკოპოზის ნახვის მსურველმა უნდა პერედნიაში იცადოს სრული ორი-სამი საათი; შემდეგში თუ თვით ყოელადსამღვდელომაც ინება და მთხოვნელი შეუშვეს ზალაში, კაცი სრულებით ფრთხება, შიშობს და იკარგება. ის ხედავს პარკეტის პოლს, ოქროთ მოვარაყებულ შპალერს, ხავერდის მებელს, მდიდარ მხატერობას, ათასნაირ მორთულობას ასე რომ ამოდენა სიმდიდრე კაცს თვალებს უჭრელებს და ნება უნებლიეთ კრთება; ახლა გამობრძანდა თვით ყოელადსამღვდელო სახეშეჭმუხვნილი, ანაფორის შრიალით და წივილით მორთული ყველა თავის ლენტებით და ჯვრებით. აქ ხომ კაცს სულ დაავიწყდება თავი და გული წაუვა შიშისაგან, დაინახავს რა მედიდურს და შეჭმუხვნილ პირსახეს, რომელიც ცხადათ ეუბნება მას: „როგორ გაბედე შე მატლო, აქ შემოძრომა და ჩემი შეწუხებაო.“ ასე მედიდურათ სცხოერობენ ყველა არქიელები საზოგადოთ და რა ლაპარაკი უნდა, რომ ეპისკოპოზების ცხოერებას რამდენიმე წილათ აღემატება მიტროპოლიტების ცხოერება. ყველა რუსს, ვინც კი სარწმუნოებას არ გადასდგომია, სწამს მხოლოთ ღმერთი, ხელმწიფე და მიტროპოლიტი, ესაა მათი სამება და თუ გინდ დაიჯერეთ-თუ გინდ არა, ამათ შორის განრჩეევა არ სდებენ. მიტროპოლიტი აქ სცხოერობს კრემლში, მეფის სასახლის გეერდით; მასთან მისვლა აგრე ადვილი არაა და თუ რუსული ანდაზა ამბობს რომ: „До царя далеко“ მოეა დრო როდესაც შეავსებს ამ ანდაზას: „и до митрополита не близко“. თქვენ რომ ბრძანებთ, რომ იუბილე უნდა მიგელოცათ, რატომ არ იკითხავთ ჩემისთანაებს იღებდნენ? და ვთქვათ, რომ მიეელე კიდეც ცარიელი სიტყვით მიმელოცნაა!?

ეხლა დაჩაზეა და როდესაც ჩამობრძანდება და შემთხვევა მექნება უეჭველათ ეცდები რომ ვნახო. თუ მიტროპოლიტის ნახვას ეერ ეელირსე, ეცდები ვნახო მისი ძმისწული, რომელმაც კაზანში და მე კი თბილისში გავიცანი. შარშან თქვენთან რომ გახლდით და მერე თბილისში წაველ თქვენ წერილი მიმიწერეთ ეგზარქოსთან, როგორც უბრალო მიზეზი გაცნობისა, და მიბრძანეთ, რომ მოვსულიყავ. მივედი და უთხარ კელენიკს, რომ ყოელადსამღვდელო თუ შინ ბრძანდება მოახსენე, რომ მათი ნახეა მსურს მეთქი და უთხარ ჩემი სახელი და გვარი. მაგრამ ციეი უარი მითხრა: დღეს ძალიან დაღალული ბრძანდება და არავის არ იღებსო. შემდეგში ეუთხარი, რომ ეპისკოპოზის ძმისწული ვარ მეთქი და მაშინ კი შეეიდა და მიმიღეს კიდეცა. აბა მანდ რომ ამაებს სჩადიან, აქ რა უნდა ქნან! ჭკეიანობაა თუ უჭკუობა, ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს კი ყველასათეის თვალსაჩინოა, რომ ჩვენი ხალხი უმაღლეს სამღვდელოებას მაგრე რიგათ მოწიწებით, შიშით და კრძალვით არ ეკიდება. ამას თვითონ ეგზარხებიც კარგათ ამჩნეეენ და თუმცა ცოტა ეჩოთირებათ და არ მოსწონთ, მაგრამ მაინც საზოგადოებას მორჩილდებიან და ცოტა არ იყვეს მედიდურობას და ბატონობას უკლებენ. აქ კი, რადგანაც ხალხს, ვიხმარ ერთი ჩვენებური მწერლის სიტყვებს „მათი სლოკინი, ხელთა ფოტინი, ღვთისადმი ლოცვათ მიაჩნიათ.“ გრძნობენ თავიანთ ღონეს და სრულებით იცელებიან: მაპატიეთ ამ გვარი გაბედულობა, მაგრამ იცოდეთ კი, რომ აქ არაფერია მომატებული, ან მოგონილი და გაზვიადებული. საზოგადოდ სამღვდელოებაზედ მე თქვენთან ერთხელ და ორჯერ არა მჭონია ბაასი და როგორც ვსცან თქვენი ლაპარაკიდამ, უკაცრავათ კი გახლავართ, ახლანდელ ღვდლობას, მათს ცხოერებას, გარემოებას, ზნე-ჩეეულებას, მოქმედებას და მიმართულებას არ იცნობთ და უმზერთ თქვენი უმანკო და თითქმის უბიწო თვალით.

ეს თქვენი აწინდელი მღვდლობის უცოდინარობა მე საძრახისად კი არა წმინდა საქმეთ და ნეტარებათ მომაჩნია. მორწმუნე კაცმა რომ დაწერილებით გაიგოს ის სოდომ-გომორი, რომელშიდაც სცხოვრობს და რომლითაც ემსახურება ეხლა მღვდლობა, სწორე რომ გითხრათ, ჯკუაზე შეიშლება, მე რასაკვირველია მესამედიც არ ვიცი ახლანდელი მღვდლობის სენი, მაგრამ რაც ვიცი ესეც სამყოფათ მაფიქრებს ხოლმე. წმინდა გულით ვფიცავ ღმერთს, რომ არასდროს მღვდლობაზე ცუდი ლაპარაკი არ მყვარებია და ძალიან სამწუხაროთ მომაჩნია ის გარემოებანი, რომლებიც მაძლევენ ხოლმე შემთხვევას ამისთანა წერილის მოწერისას: მე ვიცი, რომ თქვენი წმინდა, კეთილშობილური და გაურყვნელი გული აღშფოთდება ამოდენა უწმინდურობის და ტალახისაგან; თქვენ არ იცით ახლანდელი ღვდლობის ცხოვრება და მისი აწერა თქვენ არ შეგიძლიათ გულის სიმშვიდით მოისმინოთ, მე არ მესიამოვნება თქვენი გულის აღშფოთება; მაგრამ ნება უნებლიეთ უნდა მეთქვა რაც ვთქვი და დამტუქსავთ თუ არას მეტყვით, ეს თქვენი სრული ნებაა. მე კი კიდევ ამას ვამბობ, რომ არაფერი ჩემგნით მოგონილი და გაზვიადებული არა არის რა.

2. იწერებით, რომ მამაშენმა მონასტერს თავი დანება და კასპში დაეყნდოო. ღვთის მადლმა, არ ვიცი რა ეშველება და რა რიგათ მოეველება საქმეს. ღმერთს გეფიცებით, ისე შემძულდა ამოდენა შფოთი, აყალ-მაყალი და არეულობა, რომ ვეღარა მომიგონია რა. თავის ქვრქში რომ დასდგებოდეს და არავის შფოთს და ხიფათს არ აუტეხდეს, გადაუწყდეს და გადაჰქვეს, რაც უნდა ისა ქნას და საითაც უნდა იქით წავიდეს, მაგრამ საფიქრებელი ისაა, რომ კიდევ ასტეხოს რამე და კიდევ აურ-დაურიოს სახლი.

3. კიევში თქვენგნიე გამოგზავნილი ფული და წიგნები მივიღე და დიდად უკაცრავად გახლავართ, რომ თავის დროზედ ვერ შეგატყობინეთ, რაც შეეხება იოსების ადრესს და სხვა თქვენ წერილებს, ესენი კი არ მიმიღია და ალბათ აკადემიაში იქნებიან შენახული ჩემ მისველამდინ. Нумизматические факты, საქართველოს ისტორია რუსულ ენაზედ და გამრეკლოვის ორი ბროშურა დიდი ხანია მივიღე და კიდეც წავიკითხე. ამ წიგნებშიდ ყველაზე უფრო მომეწონა Нум. ф. ბარათოვისა და ბევრ ახალ აზრებსაც შეეხედი მეტადრე ქართულ წერაზედ ანუ ანბანზედ, მაგრამ რადგანაც წერილი ძალიან გაჭიანურდა და ადგილი ნებას არ მაძლევს, თავს ვანებებ და როცა აკადემიაში მივალ, მაშინ ამ საგანზე მოგწერთ კარგა ერცელ და ფართო წერილს. რაც შეეხება გამრეკლოვის ბროშურებსა, მათზე ლაპარაკი არა ღირს და მიკვირს, რატომ სინდისი არ აწუხებს ამოდენა უთავბოლოდ ბლაჯნაზედ და ღობე ყორეს დებაზედ. აქაურობაზედ მაინც კიდევ ვერა ვთქვა რა და შემდგომში მოვიწერები.“ ბერად აღკვეცის წინ იმავე ადრესატს ლეონიდი წერდა:

„ძვირფასო ბიძაჟ ბატონო! ვეშურები მოგილოცოთ თქვენთვის ფრიად გასახარელი და სასიამოვნო ამბაჲი: მე ბერათ ედგები; რექტორს უკვე მოველაპარაკე და დიდის სიამოვნებით დამთანხმდა; ფორმის გულისთვის თხოვნა შემომიტანეო და მივართვი კიდეც; ახლა საქმე მხოლოდ იმაზეა, მიტროპოლიტი რა დღეს დანიშნავს საკურთხეველათ. მე ლავრაში ახლა თითქმის ყოველდღე დავიარები; ლავრის ნამესტნიკი გავიცან, იმის რეკომენდაციით, ერთი წმინდა განდეგილი ბერი ვიშოვნე, რომელიც დარიგებას მაძლევს, თუ როგორ უნდა მოვიქცე და რა გვარ უნდა ვიცხოვრო. ეს ჩემი მამა ანუ მოძღვარი ფრიად შესანიშნავი და წმინდა კაცია, მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგში როდისმე მოგწერთ. ახლა ბატონო, თქვენ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ თუ რაც დამჭირდებოდა, კაბა, ანაფორა, კუნკულა, მანტია, პარამანი, სარტყელი, კრიალოსანი, სანდალი და სხვა. ადრევე თქვენ ხუთი თუმანი გამომიგზავნეთ, ე.ი. ლექციების და წიგნების. ჩემი ახალი ტანისამოსისათვის ფული არა მქონდა, მაგრამ ღმერთმა უშველოს ჩვენ ეკონომს: ვთხოვე ამა და ამ საქმისთვის მჭირს ფული მეთქი და თუ შეიძლება უნდა ერთი თვის ეადით მასესხო იმდენი, რამდენიც მომინდება მეთქი. იმან თვითონ წამიყვანა მაღაზიაში და კაბა საანაფორე თავისი ფულით მაყიდინა, შესაკერათ კი ლავრაში გამამგზავნა, იქ ბერი ჰკერავს და იაფად გაგიკეთებსო. ლავრაშიეე შეეუკეთე კუნკული. კაბა ანაფორა სარჩულით და შეკერვით ჯდება 3

თუმანი, კუნკული ჩვიდმეტი მანეთი, მანტია ძალიან ძვირათ ჯდება და ამიტომ ვერ გაებედე მისი ყიდვა; ისევ ჩემ მოძღვარს ვთხოე და იქნება მათხოვოს. ახლა იქნება ბრძანოთ, რატომ ჯერ მე არ შემატყობინე და მერე ისე არ იყიდე სატანისამოსოო? იმიტომ ბატონო, რომ ვაჩქარებ ყველაფერი ამ ყუდროობაში გავათაეო, თორემ შემდეგში, როდესაც ამხანაგები ჩამოველენ სოფლებიდამ (ამ წელში ჩემი ამხანაგები ძალიამ მალე ჩამოველენ,რადგან თემებს მოგვცემენ) მაშინ ძალიან გასაჭირი და სამძიმო შეიქნება ჩემთვის, ეგონებ თქვენც თავდაპირველად, იმავე მდგომარეობაში იქნებოდით, როგორშიდაც მე ვარ: ასე მგონია, ქვებიც კი მე მომჩერებიან მეთქი და სირცხვილით ვიწვი. ღმერთმა უშველოთ კიდევ ამ ქართველ სტუდენტობას: როგორც აკადემიელს, ისე უნივერსიტეტელებს: ისინი ძალიან მოხარულნი არიან და გულს მიმაგრებენ... ახლა, ბატონო, უმორჩილესად გთხოვთ წერილის უმალვე ფული გამომიგზავნოთ, რომ ვალი გადავიხადო და იმ კაცთან (ეკონომთან) პირნათლად გამოვიდე. ბევრ ხარჯს გაძლევთ, მაგრამ ახლა იმგვარი საქმისათვის გთხოვთ ფულს, რომ, მე მგონი, მტერმაც არ დამიჭიროს. დათიკოს უკვე გაუგზავნე წერილი და შეუცხადე ჩემი აზრი. ახლა თქვენც შეგიძლიანთ ყველას აცნობოთ ეს გარემოება. სახელით მე ლეონტს დავირქმევ, თუ მიტროპოლიტმა არ გამოცვალა, გამკრეჭენ ლავრაში მღვიმეში. იქნება სანამ წერილი მოგვიდეთ კიდეც ბერი ვიქნე. მინდოდა ტელეღრამა გამომეგზავნა, მაგრამ ვიცი ტელეღრამა არ გიყვართ და ვერ გაებედე, ფულს ველი".[2]

სამშობლოში დაბრუნებული მღვდელმონაზონი ლეონიდე თავდაპირველებით ჩაება ქართველი ერის სამსახურში. 1888 წელს საქართველოს ეგზარქოსმა პალლადიმ (რაევსკი) დანიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. მისი აქტიური მხარდაჭერით სკოლები გაიხსნა ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, საინგილოში. 1888 წლის ივნისში როგორც ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ლეონიდე დათანხმდა წინადადებას და მისიონერული საქმიანობისათვის გაემგზავრა საინგილოსა და აჭარა-ქობულეთში, სადაც ამ დროს ქრისტიანობას ყველაზე მეტად უჭირდა. თუ როგორ წარმოედგინა მისიონერული საქმიანობა ამის შესახებ დაწერილებით აცნობებდა ბიძას: თქვენი წერილი, ამ თვის 17-ს გამოგზავნილი,მივიღე დღეს 24 კვირას ეკკლესიაში წირვის დროს და ყოველიფერი ვსცან. თქვენ იწერებით: „მისიონერობას გექადიან საინგილოში, ქობულეთ-აჭარაში და შავი ზღვის ნაპირებს და აბა რას იტყვი ამაზედო?" მისიონერობა ანუ ქრისტიანობის გავრცელება სხვა და სხვა გაუნათლებელ ხალხთა-შუა არის იმისთანა წმინდა საქმე, რომელსაც არ უნდა ჰკიდებდეს ხელს ყოველი უბრალო მომაკედავი; სიწმიდე და სიდიდე ამ საქმის ყოველ კაცს უნდა მსჭვალავდნენ შიშით და ყოველი უნდა იხსენებდეს მას კრძალვით, სასოებით და მოწიწებით. მისსიონერობა ანუ მოციქულობა არის ხვედრი ღვთისაგან რჩეულთა და არის ისეთი დიდი, მაღალი და წმინდა მოვალეობა, რომელსაც არა გვარი სოფლიური მოვალეობა არ ეთანაბრება. ამისათვის არც ამ სოფლის სწავლა-განათლება, არც თავისი ნიჭი, შრომა და ღვაწლი თავის დღეში არ შეჰქმნიან კაცს ამ მაღალი საქმის ღირსეულად; იგი არს მადლი ღვთისა, რომელიც ეძლევა კაცს დაუმსახურებლად. პაელეობას, პეტრეობას, იოანობას კაცი თავის დღეში ვერ დაიმსახურებს და გულშიაც არ უნდა ედოს ამ ხარისხის სიმაღლის შეწდომა თავისი შეძლებით. მე, იქნება წინათ, როდესაც ჯერ არ მესმოდა სრულებით ამ საქმის სიდიდე, დიდის სიხარულით მიმეღო იგი და მეფიქრა კიდეც, რომ ღირსი ვარ მეთქი, მაგრამ ეხლა, როდესაც ნამდვილათ შეგნებული მაქვს ჭკუითაც და საქმითაც ამ გვარი საქმეების სიმაღლე, სიდიდე და სიწმინდე, მათი სიძნელე, სიმძიმე და დიდი მნიშვნელობა, როდესაც წარმოდგენილი მაქვს რას მოითხოვს ეს საქმე ჩემგან, ეხლა თქვენი კითხვა აღმავსებს, შიშით, კრძალვით და კანკალით. მაგრამ იდიდოს ღმერთი! ვერ აღეუდგები ღვთის განგებას. ყოველისფერში ჩემ სიცოცხლეში ხელსა ღვთისასა ვხედავ და აქაც ჭეშმარიტათ ხელი ღვთისაა. მე ვიზრდებოდი სემინარიაში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხარჯით და მაშასადამე ჩემი ზნეობითი

მოვალეობაა, რომ არ უმტყუნო მაგ საზოგადოებას, მისიონერობა, ღვთის განგებამ ჯერ ისეე ბავშვობაში მაქონია სახსოვარში; შემდეგში ამავე ღვთის განგებამ მიჩვენა თვით ადგილიც ჩემი ღვაწლისათვის. ეინ არ მიხვდება, რომ ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ მე თქვენთან ერთად ვიყავ ქობულეთში, ამ საგანზე მქონდა ლაპარაკი და თქვენთან ერთად ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევი „თეთროსანი“!! ის დრო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება და არის კიდეც. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი, მაშინვე ვიგრძნე ქობულეთელების სიახლოვე და გეფიცებით ღმერთსა, მასუკან ჩემი გული და სული იქ დარჩა... ღვთის განგებულობის საქმეა ჩემი ბერობაც. მისიონერობა, ანუ სამსახური იესო ქრისტესი ითხოვს კაცი ყოველისაგან თავისუფალი იყვეს, რომ კაცს არ უყვარდეს ქრისტეს უმაღლეს არც ცოლი, არც დედა, არც მამა, არც ქალი და არც შვილი. ამიტომ ღვთის განგებამ ჩაიბარა დედ-მამა ჩემი, დააბედნიერა და-ძმანი და თუმცა კიდევ დარჩნენ, მაინც იმათაც ესეე ღვთის განგება უპატრონებს... ახლა როდესაც სწავლას ვათავებ, როდესაც ცხოვრებას უნდა შეუდგე, უფრო გარკვეით იმოქმედა ღვთის განგებამ და მიჩვენა ის საქმე, რისთვისაც მამზადებდა ამდენ ხანს. წირვის დროს მიეიღე თქვენი წერილი და არც ეს არის უმნიშვნელო. თავის დღეში ჩემი წერილი რეკტორთან არ მიუტანიათ, მაგრამ ეს წერილი საღამოთი რექტორის სახლში შეეტანა მეფოშტეს და კვირა დღეს წირვაზე რექტორის კელენიკმა გადმომცა. ალბათ წმინდა საქმე წმინდა ადგილზე უნდა შემეტყო. წერილი მაშინვე წავიკითხე და ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ არაფერზე ფიქრი არ შემეძლო. რადგანაც მწირეველი არ ვიყავ, დავდექი ერთ ყუდრო კუნჭულში და მთელი წირვა ცრემლის ღვრით და ლოცვით გავატარე; ელოცულობდი იმაზე, რომ ღმერთს ჩაეგონებინა ჩემთვის, როგორ მოქცეულიყავ: უარი მეთქვა თქვენ კითხვაზე თუ თანახმა გაგხდომოდით, პირველმა ღელვამ გაიარა, გული ცოტ-ცოტად დამიშოშმინდა, აზრებით შემოვიკრიბე და თითქო რაღაც ლოდი მომშორდა გულიდამ, თითქო რაღაც დონემ გამინათლა გონება. თქვენი წერილი აღარ მეუცხოვა მთელის არსებით დავრწმუნდი, რომ აქ ყოველი წერილმანიც ღვთის განგების საქმეა მეთქი და ამიტომ ყოველგვარი უარი ჩემგნივ ღვთის გმობა და წყენა იქნება. ღმერთია ჩემი მფარველი, ღმერთზე ვარ მინდობილი და რაც მას სურდს ის მოხდეს, არც განათლება არც ნიჭი არა მაქვს შესაფერი, მაგრამ ღმერთს ყოელიფერი შეუძლიან და თუ მისი სურვილია რომ მისი მონა ვიქნა, რომ შეევაგონო მისი სიტყვა სხვათაცა, უეჭველად ყოელისფერს მომანიჭებს.

თანახმად თქვენი რჩევისა ჩემი სურვილიც ისაა, რომ საინგილო და ქობულეთში მოვყვე. პირველათ იმიტომ რომ, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ხელი უფლისა პირველად ეცან ქობულეთში და ჩემი გული მას უკან იქ არის; მეორეთ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ქართული ენაა და ქართულათ შეიძლება სწავლა-ქადაგება. თუ ენა არ იცის კაცმა სულ ტყუილათ ჩაუვლის შრომა და მაშ აბა რა იქნება, რომ მე ან ოსეთში ან აფხაზეთ-სვანეთში დამნიშნონ? თუ ვინიცობაა როდესმე ეგზარხმა გკითხოთ რამე ეს გარემოება უეჭველად მოახსენეთ და ვფიქრობ, რომ პატივსაცემად იცნოს. მაგრამ აი ერთი გარემოება, რომელიც არ მესმის. საინგილოში ხომ დიმიტრი ჯანაშვილი იყო მისიონერათ და რას უპირობენ მას? დავიჯერო ართმევენ? გარდა ამისა ძალიან საინტერესოა ჩემთვის ვიცოდე ეს სამი მისიონერები ქართველები უნდა იყვნენ თუ რუსებიც? უეჭველათ ბერები უნდა იყვნენ თუ ღვდლებიც? აკადემიელები თუ სემინარიელებიც? ამ კითხვების გაგება საინტერესოა ჩემთვის იმიტომ, რომ ქრისტიანობის გავრცელება მართლა წმინდა საქმეა და არ მინდა, რომ სათამაშოთ შეიქმნას იგი. რუსებს არა ერთხელ განუზრახავთ კაეკასიაში ქრისტიანობის აღდგენა, არა ერთხელ გამოუგზავნიათ მქადაგებელნი და არა ერთხელ დაუხარჯავთ დიდძალი ფული, მაგრამ სუყველა ცდას ტყუილუბრალოდ ჩაუვლია. ვისაც სურს ამ სიტყვაში დარწმუნება, წაიკითხოს წარსული და აწყმო საუკუნის რუსული ეკლესიის ისტორია და საღათ დაინახავს ამ საქმის უნაყოფობას. რა იყო მიზეზი საქმის უნაყოფობისა? მარტო ისა, რომ მქადაგებელნი რუსები იყვნენ. რუსებმა არც ერთი კაეკასიური ენა არ იციან და არც შეუძლიანთ შეისწავლონ და ამისთვის კაეკასიაში მქადაგებლობა

არ შეუძლიანთ. მეორეც ესა, რომ რუსი და სალდათი კაეკასიაში ყველა ხალხის შეხედულებით ერთი და იგივეა, ამიტომ ვერა მისსიონერი რუსი ვერ დააჯერებს კავკასიის გაუნათლებელ ხალხებს, რომ მონათლის შემდეგ, იგინი ან მათი შვილები, სალდათებათ არ შეიქმნებიან და რუსეთში არ იქნებიან გადასახლებულნი ყველა მთიულს ფანატიკურათ უყვარს თავისი არემარე და ყველა მძლავრ კაცს ეჭვიანი თვალით უყურებენ. რუსი მარტო თავისი რუსობით აფრთხობს ხალხს და ამიტომ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ რუსმა მოახერხოს რამე. ყველა მთიულები გრძნობენ თავიანთ სიახლოვეს ქართველებთან, ყველა მათგანს უნახამს ქართველი ღვდელი, ყველა მათგანმა კარგა იცის, რომ ქართველი არსად არ გადაასახლებს და ამიტომ მქადაგებლებათ მთელ კაეკასიაში უეჭველათ, თუ ეს საქმე ნამდვილათ ვისმე გულს ერჩის და ისტორიის მსვლელობისთვის თვალყური უდევნებია, ქართველები უნდა იყვნენ. კავკასიაში თითქმის ყველა ერმა იცის ქართული და სადაც არ იციან იქ თითონ მქადაგებელს ადვილათ შეუძლიან შეისწავლოს ადგილობრივი ენა. მქადაგებელნი უნდა იყვნენ უეჭველათ მაღალ-ზნეობის ხალხი. უწინ უბრალო წიგნის გადაწერასაც არ მიანდობდნენ ხოლმე დაბალი ყოფაქცევის კაცს და აბა სახარების გავრცელება როგორ უნდა ჩაჰბარდეს უღირს გვამს?! მხოლოთ ნამდვილი კეთილი ყოფაქცევის კაცი უეჭველათ მაღალი სწავლითაც არის აღჭურვილი და აი, თუ სურთ ნამდვილად საქმის გაკეთება, ყველა ეს გარემოებანი უნდა იქონიონ მხედველობაში.

თუ ოსეთში რუსი ვინმე არ სურთ, მე ვეცდები როგორმე შევაგონო ჩემ მახანაგ-ტყემალაძეს ღვდლათ წასვლა და ოსეთში მისიონერობა. ჩემი დიდი ხათრი აქვს და თუ გულით ვთხოვე არ მაწყენინებს და უეჭველათ გამიგონებს. ეს არის ძალიან სინდისიანი, მხურვალე მორწმუნე და ნიჭიერი კაცი. ამისთანას შანდ ვერსად ვერ ნახამენ. მაგრამ მე შემიძლია ამას გაუცხადო მისიონერობა მხოლოთ ოსეთში, რადგანაც ოსებზე ახლოა და მათი ზნეჩვეულობა იცის; სხვაგან არსათ არ დათანხმდება, აი ბატონო მეორე მისიონერიც! მხოლოდ გთხოვთ ეს მარტო თქვენ იქონიოთ მხედველობაში და თუ ოდესმე ეგზარხმა ქართველთა შორის ვისმე ძებნა დაუწყოს მოახსენეთ, რომ მეორე პირსაც მე ვიპოვნითქო და შემატყობინეთ. იმედი მაქვს, რომ ღმერთი შემაძლებინებს ამ ჩემი ამხანაგის მისსიონერობის გზაზე დაყენებას... აფხაზეთისთვის თქვენ იპოვნეთ ვინმე. ეს დიდი საქმეა და კარგა მომზადება ესაჭიროება, მაგრამ ჯერ თხზულება არ გამითავებია და ეს მაღონებს".[3]

მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ 1888 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შემოიარა საქართველოს მთიანეთი და შეამოწმა სკოლების საქმიანობა. აი რას წერდა თავის დღიურში: „აი შემოვიარე ოსეთი და ახლა ჩამოვედი გორში ახალციხეში გასამგზავრებლად. მაგრამ ვაი იმ შემოვლას, როგორც მე შემოვიარე. როგორც მოგეხსენებათ ვანათში გეახელით ორშაბათ დღეს 31-სა ოქტომბერს. ამ დღეს ისეთი ავი დარი იყო, რომ კარგი სახლის პატრონი ოთხფეხსაც არ გამოუშვებდა კარზედ. მე მეგონა შკოლამდინ როგორც იქნება გავძლებ მეთქი და იქ კი გავშრები და გავთბები. მაგრამ, „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო" სწორეთ ასე დამემართა. შკოლაში რომ მივედი აღარც სწავლა იყო სადმე და არც ბოლი ამოდიოდა ბუხრიდამ. საწყალი მასწავლებელი გამოხვეული იყო საბანში და საცოდავათ აძაგძაგებდა. ჩემ კითხვაზე, რა დაგმართვია, ავათ ხომ არა ხარ? იმან ძროხასავით შემამბღავლა: „შენი ჭირიმე მიშველე რამე, ამ უღმერთოებმა ლამისაა სიცივით გამაყინჩხონო". არ გაუხარნია თქვენ მტერს, როგორც მე ეს ამბავი არ გამეხარდა. მაშინვე შევყარე ხალხი და ვთხოვე, რომ შეშა მოეტანათ, მაგრამ იმათაც ვერაფერი შევასმინე. დიდის გაჭირვებით და შეწუხებით გავატარეთ ის ღამე, მეორე დღეს საცოდაობით შეაგროვა ექვსი მოწაფე. დაუწყე იმათ კითხვა, მაგრამ იმათშიაც სანუგეშო ვერა ვნახე რა: მთელ იმათ სწავლას შეადგენდა მხოლოდ ქართული კითხვა-წერის ცოდნა. ასე გულდაწყვეტილი, დაღალული, გაციებული, დასვენებული შევკუნტდი ცხენზე და გავემგზავრე ჯავას. თქვენ მტერსაც ნუ შეასწროს ის დარი, რომელიც მე შემესწრო — საშინელი, თოვლი, წვიმა, ქარი მთელი დღე გეაწუხებდა. საცოდავი ცხენები მუხლამდინ თოვლ-ჭყაპში

ცვივოდნენ. ახლა ზედ შუა გზაზედ დაგვიღამდა. რას იზამთ, სად ან ვისთან მიხვალთ? ღმერთმა უშველოს იქ ახლო დათიკოს ნათლიმამა ჰყოლია მღვდელი დიმიტრი კასრაძე. იმ ღამე იმასთან მივედით და კარგათაც დაგვიხვდა ქართულის ბუხრით. მეორე დღეს თითონ ის ღვდელიც გამომყვა შკოლამდინ. ისე დავიღალე ცხენზე, რომ შკოლის კარებზე ხელით გადმომიღეს ცხენიდამ.

იმ შკოლაში დავრჩი ერთი დღე და ღამე. იქ ყველაფერი მოსაწონი იყო. მეორე ღამე ისევ კასრაძესთან გავატარე, მაგრამ, ვაი თქვენს მტერს, რაც მე დამემართა, ამიტყდა იმ ღამეს საშინელი პირსაქმობა, შემაყარა რაღაც ტანზე და ძალიან გამაციება. მე ძალიან შემეშინდა და გადავწყვიტე შინ დაბრუნება, მაგრამ მიწყალა ღმერთმა და ჩქარა გადამიარა გამოვკეთდი თუ არა, მაშინვე შევაკაზმინე ცხენები და გაუდექი ყორნისის შკოლის გზას. ყორნის'ში მივედი ღამის ცხრა საათზედ. იმ ღამესვე მითხრეს, რომ მასწავლებელი აქ არ არისო. ეს მე ძალიან მეწყინა. მეორე დღეს შეუდექ რევიზიას და გავათავე შუადღის სამ საათზედ. ერთი საათი დავისვენე და ისევ უკანვე დავბრუნდი ცხინვალ'ში. ცხინვალ'ში ერთი ნაცნობი სახლობა მყავს და იმასთან დავდექით იმ ღამეს. მე მსურდა მეორე დღესვე გორ'ში წამოსვლა, მაგრამ იმ ღამესაც ძალიან ავათ გავხდი, ასე რომ მხოლოთ ორ საათზედ შევიძელ ლოგინიდამ ადგომა და ამისთვის ერთი დღე ცხინვალ'ში დავრჩი, ახლა გორ'ში ვარ, მაგრამ აქაც მაციებს, რაღაცას მაყრის ტანზედ და პირს ვასაქმებ: შევძლებ გზის გაგრძელებას და მშვიდობით გადავრჩები თუ არა, — უფალმა უწყის"[4].

დიდი იყო ღვაწლი ახალგაზრდა ლეონიდისა საქართველოს მთიანეთში სწავლა-განათლების, სარწმუნოების სიყვარულის განმტკიცების თვალსაზრისით. ამიტომ ერთგვარი სიამაყით აღნიშნავდა იგი: „ჩემმა ხანგრძლიემა სიცოცხლემ განელო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესელის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე განუწყვეტლივ დავდივარ საქართველოს მთასა და ბარში სახარების სიტყვის, ჰუმანიტარული სწავლა-განათლების და ეროვნული შეგნების ხელგაშლით სათესად ქართველი ერის მაშვრალთა კლასის ფართო წრეებში. პირველად მე წავაკითხე „დედა ენა" მთის შვილებს და პირველად მე ავამღერე ჰანგზე დაბეჭდებული ჩემი მოძმენი." ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ასეთი თავგანწირული სასულიერო და საგანმანათლებლო სამსახურისათვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა არა მარტო ქართველ მთიელებში, არამედ ოსებშიც. მან სკოლები დაარსა ოსურ სოფლებში: როკში, ეთისში, ხუმალაგაში, გალიათში. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია" წერდა: „ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა, ეითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც აქაური სკოლების ინსპექტორად დაინიშნა მღვდელმონაზონი ლეონიდი. მობრძანდებოდა თუ არა იგი აქაურ სკოლებში მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა. თუ სწავლა განათლებას რა მნიშვნელობა აქვს... კეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გამოიღო".[5] ლეონიდმა საინგილოში მოღვაწეობის დროს ყურადღება მიაქცია ადგილობრივი მოსახლეობის უმძიმეს მდგომარეობას. XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ კახეთის ეს თვალწარმტაცი კუთხე ირანის შაჰების აგრესიული პოლიტიკის წყალობით დაღესტანელ მთიელთა სათარეშო ასპარეზად იქცა. ლეკიანობამ იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილის გამაჰმადიანება გამოიწვია. მაჰმადიანური რელიგიის განმტკიცებას ემსახურებოდნენ ადგილობრივი მოლები, რომელნიც პირდაპირ თუ ფარულად დევნიდნენ ქრისტიანული აღმსარებლობის ქართველობას. დაბეჩავებული მოსახლეობა წინააღმდეგობას ვერ უწევდა ამ სამწუხარო ტენდენციებს. ლეონიდი ხელისუფლების წინაშე აყენებდა საკითხს: „-საინგილოს მოლები ცდილობენ, რომ ინგილოთა ახალთაობამ არა გაიგოს რა თავისის მამა-პაპების, ეროვნების და დედა-ენის შესახებ ფრიად საჭიროა, რომ მეჩეთებთან დაარსებული სკოლები მთავრობამ დაუმორჩილოს საერო განათლების სამინისტროს უწყებას და რუსული ენა გახადოს მათში სავალდებულოდ. აგრეთვე საჭიროა საინგილოში — მოლები საქართველოს ტომისადმი იყვნენ და კაზის და ეფენდთის მსაჯულთა უფლება ჩამოერთვათ".[6]

რუსული ენისადმი ლეონიდის აქცენტი გასაგებია. იმხანად ქართულ განათლებას რუსეთის ხელისუფლება არ დააფინანსებდა, მაგრამ ინგილოთა მიერ ქრისტიანობის კვლავ მიღების შემთხვევაში მათში კვლავ განმტკიცდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება. ინგილოთა კვლავ გაქრისტიანების იდეას, როგორც ჩანს ხელისუფლებაც მხარს უჭერდა ამიტომ ლეონიდის გამოსვლა კიდევ უფრო მძაფრი გახდა საინგილოს მაჰმადიანიზაციის მომხრეთა წინააღმდეგ. „ინგილოები – წერდა იგი – საკმაოდ დაიტანჯნენ მაჰმადიანთა სასულიერო წოდების სიავერაგის გამო. ჩვენს დროში ისინი სდგანან უეჭველის დაღუპვის უფსკრულის პირსა და ამის გამო ჩვენი ზნეობრივი ვალია, თუ არ გვსურს პასუხისმგებელნი ვიყვნეთ. ღვთისა, ჭეშმარიტების სამსჯავროისა, საკუთარის სვინდისისა და, ბოლოს ამაღე ერისვე წმიდა მოწამე – წინაპართა წინაშე ვუშველოთ მას, დავიფაროთ იგი, ხელი შევუშალოთ მაჰმადიანობას იმის განადგურების საქმეში“.[7] ლეონიდის დამსახურებაა ფშავ-ხევსურეთსა და ქისტეთში სკოლების გახსნა. მისი თაოსნობით შეგროვდა შეწირულებანი თიღვის, მცხეთის, საფარის, სამების, ქურმუხის, ყორნისის ტაძრების შესაკეთებლად. მღვდელმონაზონმა ლეონიდმა დიდი ღვაწლი დასდო იოანე ზედაზნელის და სტეფანე ხირსელის მონასტერს. რთული იყო მისი მოღვაწეობა საინგილოში, სადაც კეთილმოწესე (ბლაღოჩინი) და ზოგიერთი ახლომხედველი ადგილობრივი მცხოვრები ეჭვის თვალით უყურებდნენ მის საქმიანობას. ამიტომ წერდა: „აქ ყოველთვის საქმე მეტადრე კეთილი დეენული ყოფილა და ეხლაც ისეა. ჯავრითა სკდებიან როგორ თუ ამ გუშინდელმა ღლაპმა გვაჯობა და ჩვენ ჭაღარა შერეულებს თავს დაგვაჯდაო... ჯიბრისგან აღარ იციან რა ქნან რეენ და მიბუნტებენ ხალხს მათში ავრცელებენ ჩემზედ ცუდ ხმებს და მამცირებენ ხალხის თვალში“. ამის მიუხედავად იგი თავდადებით შრომობდა საინგილოში. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მაჰმადიანი ინგილოები ინათლებოდნენ, ხოლო შემდეგ კვლავ გადადიოდნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე. მიუხედავად სიძნელეებისა ახალგაზრდა იღუმენი მაინც ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს და ქრისტიანული სარწმუნოების მადლს უქადაგებდა გამაჰმადიანებულ ინგილოებს. 1892 წლის 31 მარტს იგი სიამაყით აცნობებდა ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე): „ღვთის შეწევნით ჩემმა აქ ყოფნამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. მე შემოვუერთე მუსლიმანობიდან მართლმადიდებელ ეკლესიას ორმოცდაორი სული ქალი და კაცი, იმედი მაქვს რასაკვირველია ღვთის ძალით რომ შემდეგშიც ბევრი შემოუერთდება“.8 1892 წელს მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დადგენილ იქნა ზედაზნის მონასტრის იღუმენად, 1893 წელს გადაიყვანეს ხირსის მონასტრის არქიმანდრიტად. ხირსის მონასტერში ჩასვლისთანავე ენერგიულად შეუდგა საქმიანობას, მაგრამ ფაქტიურად მარტო იყო. როგორც მისი წერილიდან ირკვევა თუ ასე გაგრძელდა „ეს უბედური მონასტერი აუცილებლად დაიკეტება ჩვენთვის და რუსებს ჩაუვარდებათ ხელში, როდესაც ქართველები ასე უგულოდ ეკიდებიან ამ მონასტერს რუსები ძალიან გულმოდგინობენ, რომ როგორმე ხელში იგდონ და სამუდამოდ გამოაცალონ ქართველებს არა მარტო ეს მონასტერი, არამედ მთელი სიღნაღის მაზრა. ამ აზრის განხორციელებაში მათ ხელს უწყობს ბოდბის წმიდა ნინოს ეკლესიის იღუმენიაც... მე ქართველი ვარ, არ მინდა ჩემი მამა-პაპათ სასაფლაო უცხო ტომის ხალხს ჩაეგდო ხელში, ამაზე მეწვის გული... ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ ვეცადო რამდენიც კი შემიძლიან, რომ ჩემ დროს არ მოხდეს ამ მონასტრის დამხობა და თუ შესაძლოა შემდეგისთვისაც ზურგი გავუმაგრო“.[9]

1896 წლის 24 სექტემბერს არქიმანდრიტი ლეონიდე დაინიშნა ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და საღვთო წიგნების გამსწორებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1897 წლიდან დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარია. 1898 წლის 19 აპრილს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ არქიმანდრიტი ლეონიდი აკურთხა გორის ეპისკოპოსად. „სიყრმიდანვე მწამდა და მტკიცედ მჯეროდა, აღნიშნა მან ეპისკოპოსად კურთხევის დროს, რომ პირისაგან უფლისა გამოვალს ბედი კაცისა და წარიმართების სავალნი მისნი. ღვთის მადლით ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს არც ერთი დღე, რომ არ მეგრძნოს სინამდვილე ამ

მაცხოვნებელი ჭეშმარიტებისა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება უფრო ცხოველ და მოქმედ არს ჩემში აწინდელს, უშესანიშნაესს ჩემთვის დღესა, მე, ჭაბუკი ხორციელის ასაკობის მხრით და ჯერ გამოუცდელი საეკლესიო მსახურებაში, აღყვანილ ვიქმნე უმაღლესსა ხარისხსა მღვდელმთავრისასა. ვაკვირდები რა ჩემის ცხოვრების წარსულსა და აწყმოს, კელავ ერწმუნდები, რომ გამოთქმული ჭეშმარიტება უტყუარია, და სრულის სიცხადით ჩემს თავზე ეხედავ ღვთის მზრუნველსა მარჯვენასა, რომელიც მიჩვენებს აწინდელსა მაღალსა ხვედრსა".[10] ახალგაზრდა ეპისკოპოსი ლეონიდე დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსის პირველ ვიკარიუსად (ქორეპისკოპოსად). ამ ფაქტს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია". წმიდა გრძნობით მოხარულნი ვართ — წერდა „ივერია" — რომ ღვაწლი, შრომა, ნიჭი და განათლება ყოველად სამღვდელო ლეონიდისა ღირ სეულად დაფასებულ იქმნა. მით უფრო გვიხარის, რომ მას ჰხედა წილად სამსახურისათვის ის ქრისტიანობის უძველესი აკვანი, რომელსაც შეადგენს შიდა ქართლი".[11]

1898-1900 წლებში ხელმძღვანელობდა გორის, 1900-1907 წ.წ. იმერეთის, ხოლო 1908-1917 წლებში გურია-ოდიშის ეპარქიას. მეუფე ლეონიდე სრულიად იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულგანმათავისუფლებელ იდეებს. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. განრისხებულმა ეგზარქოსმა ინოკენტიმ გადაწყვიტა შეეეიწროებინა ავტოკეფალისტი მღვდელმთაერები და იერიში იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეზე მიიტანა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად მის დასაცავად ხმა აღიმაღლა ეპისკოპოსმა დავითმა (აჯახიძე), რომელიც ისე უშიშრად შეება ეგზარქოს ინოკენტის, რომ თვით ლეონიდეც კი განაცვიფრა. მეუფე დავითმა ეგზარქოს ინოკენტის პროექტები ქართული ეკლესიის დამცირების მიზნით გაკეთებულ ოინბაზობად მონათლა. 1905 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ (როდესაც ქართველ სასულიერო პირებს გოლოვინის გამზირზე ცემა-ტყეპა გაუმართეს ეგზარქოს ალექსი ოპოცკის მიერ წაქეზებულმა რუსმა კაზაკებმა — ს. ვ.) ეპისკოპოსი ლეონიდე ეპისკოპოს კირიონთან ერთად გაწვეულ იქნა პეტერბურგში სინოდის წინარე სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. სინოდის წინარე სხდომებზე მეუფე ლეონიდე მედგრად იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეას. მან სინოდის სხდომაზე უშიშრად განაცხადა: „დღეს ქრისტიანობა საქართველოში განიცდის საშინელ კრიზისს, ხალხი არ დადის ეკლესიებში, სრულიად აჰყარა პატივისცემა სამღვდელოებას, მღვდლების მოქმედებას და სწაელა-დარიგებას აღარ აქვს გაელენა მრეელზედ, როგორც სამღვდელოება ისე მორწმუნე ნაწილი ქართველი ერისა, ერთადერთ საშუალებად იმისა, რომ არ მოისპოს საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში და სამღვდელოებამ მოიპოეოს კელავინდელი ნდობა სამწყოსი, თელის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არჩეენებითი სისტემით, ეს დასკვნა ერისა და სამღვდელოებისა საბოლოოა, მეტად მტკიცეა და ვერავითარი მოსაზრება ვერ შეაცელეევინებს მათ ამ რწმენას".[12] მეუფე ლეონიდეს სინოდის ობერ-პროკურორმა სიტყვა შეაწყვეტინა: „თქვენ ვერ დაგვარწმუნეთ როგორ აპირებს ქართველი სამღვდელოება სარწმუნოების გაუმჯობესებას საქართველოში ავტოკეფალიის მიღების შემთხვეევაშიო, რაზედაც მეუფე ლეონიდემ უპასუხა: „ეკლესიის სათავეში იქნება ისეთი კაცი, რომელსაც ეცოდინება თავისი სამწყსოს ენა, ჩვეულება, ფსიქოლოგია, და განა ეს არ გააუმჯობესებს საქმესო".[13] როგორც ეპისკოპოსი კირიონი იხსენებდა — ერთერთი სხდომის დაწყების წინ რაღაც საკითხზე ედავებოდა ეგზარქოსს როგორც გაირკვა მან გადაჭრით უთხრა ეგზარქოსს — ქართველი სამღვდელოებას და ერს მტკიცედ აქვს შეგნებული ავტოკეფალიის აღდგენის საჭიროება და თუ მხარი არ დავუჭირეთ იმ კითხვას, თვითონ აასრულებენ თავიანთ განზრახვას, ჩვენც შერცხვენილნი დავრჩებით და ისტორია ჩვენ დაგვდებს ეკლესიური განხეთქილების ბრალს. რუსეთის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ქართველი საზოგადოების აზრი გამოთქმული ეპისკოპოს კირიონისა და ლეონიდეს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ და დაიწყო ავტოკეფალისტების

დევნა-შევიწროება... ეპისკოპოსი ლეონიდე სულიერად ვერ გატეხეს. მან რუსებისაგან წაქეზებულ ქართველ კოსმოპოლიტთა გასაგონად განაცხადა: „სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარეშესი და არა შინაურისა ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი და გადაბრუნებული ტანისამოსით პამპულობას, ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამ გვარის მანკიერ შვილთაგან და სამგზის კურთხეულ იყოს მშობელი ერისა და მამულისათვის თავდადებით მოსიყვარულე ქართველი".[14]

ეპისკოპოსი ლეონიდი მეგობრობდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან: ნ. ლომოურთან, ს. მგალობლიშვილთან, დ. კლდიაშვილთან. ნ. ლომოურისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „თქვენი პიროვნება მუდამ გაცისკროვნებული იყო ჩემს წარმოდგენაში მადლიანი და საყვარელი ადამიანის შარავანდედით, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ამ უკანასკნელ დღეებში ერთმა გარემოებამ დიდად გამიცხოველა ესეთი ჩემი წარმოდგენა. დავით კლდიაშვილმა. მიამბო, რომ ქართული ენა შემაყვარა და ხელში კალამი ამაღებინა ნიკო ლომოურმა. ისეთი თანაგრძნობით იხსენებდა თქვენს სახელს, რომ მეტი სიამოვნებისაგან გული ამიჩუყდა".[15]

ეპისკოპოსი ლეონიდი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში. მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის აზრით ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ 25 წელიწადი ეკლიანი გზით იარა. მისი პირდაპირობა, სიმართლისმოყვარეობა,ტრფიალი სამშობლო ეკლესიისა არაების ეპრიანებოდა და ამიტომ მის სავალ გზას ეკლით უფენდნენ, მაგრამ იგი უდრეკად მისდევს თვის ვარსკვლავს. ეპისკოპოსი ლეონიდი თავის ქადაგებებში ეხებოდა საქართველოს წარსულს, აწყმოსა და მომავალს. „სარწმუნოების ერთგულებამ იხსნა საქართველო ისტორიაში – წერდა იგი – იშვიათია იმისთანა მაგალითები, როცა კაცობრიობის რომელიმე ნაწილს თავს დასტეხოდეს სარწმუნოების გულისათვის იმდენი ძარცვა-რბევა, იმდენი დევნა-ულტა, რამდენიც დაითმინა საქართველომ და იგი კუთხე არ გამხდარიყოს უდაბნოდ და გარეულ მხეცთა საცხოვრებელ ალაგად იგი არ გამქრალიყოს სრულიად. საქართველო კი, როგორც ეხედავთ, დღესაც მოჭედილია ცის მსგავსი საოცნებო სვეტიცხოველით, ალავერდით, გელათით".[16] მისთვის სრულიად მიუღებელი იყო საზოგადოების ერთ ნაწილში დამკვიდრებული აზრი – წარსული ჩხრეკა მომავალს არაფერს შესძენსო. იგი ცდილობდა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის, წმიდა მეფე თამარის ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით განემტკიცებინა ქართველობაში ქრისტიანობის რწმენა და სამშობლო სიყვარული. თუ თქვენთვის ღირებულებას მოკლებული არ არის თქვენი სამშობლოს აღდგენა-გაძლიერება, თქვენი მშობელი ერის განათლება და ბედნიერება მოსვენებას არ უნდა გაძლევდეთ თამარ დედოფლის აჩრდილი – მიმართავდა თავის თანამემამულეებს. მისი აზრით განათლებული ქართველი არ უნდა ურიგდებოდეს სამშობლოს ჩაგვრას. თერგდალეულთა იდეებზე აღზრდილი მღვდელმთავრისათვის სრულიად მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატის მიერ ფართოდ რეკლამირებული ულმერთობა, ათეისტობა და უსამშობლობა, რაც უბედურებას მოუტანდა ჩვენ ქვეყანას.

ეპისკოპოსი ლეონიდი ფრიად შეშფოთებული იყო XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დამკვიდრებული სამწუხარო ტენდენციით, რაც კუთხურობისაკენ მიდრეკილებაში გამოიხატებოდა, როცა ხალხს არ ემჩნეოდა სულიერი მთლიანობა, ზნეობრივი ერთიანობა და გონებრივი განუყოფელობა. – ნაღველი მისივდება და გული შუაზე მეპობა, როდესაც ვუკვირდები დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და მოქმედებას,– აღნიშნავდა იგი.

„იმ დღევანდელობის" მსხვერპლი გახდა ქართველი სასიქადულო შვილი ილია ჭავჭავაძე, რომლის დაკრძალვაზე ეპისკოპოსმა ლეონიდმა ამ სიტყვებით მიმართა თანამემამულეებს: „გლოვით შეპყრობილნო,საყვარელნო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა მკერდზე იკიდებს მძიმე

ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისანი ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე,ჩვენი პირადი ნებითი თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ საესებით მისგან ანდერძად დატოვებულ მოძღვრებას“.[17]

1908 წლიდან ეპისკოპოსი ლეონიდე და მკაცრად ილაშქრებდა რუსეთის ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ გურია-ოდიშის ეპარქიაში, რომლის მიზანი იყო სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. იგი თელიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ერთადერთი გზა იყო ეროვნული ცნობიერებისა და ღირებულებების გადარჩენისათვის. 1914 წლის 13 თებერვალს მეუფე ლეონიდემ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა აკაკი წერეთელს: „ციური დიდების შარავანდედით მოსილო ბატონო აკაკი!

მოგმართავთ უგულითადესი თხოვნით, ვედრებით და ხვეწნა-მუდარით:

ჩვენი სამშობლო ეკლესია მიექანება თავდაღმა, უფსკრულში ჩასახლეწ-ჩასამსხვრევად. რაც დრო გადის, უფრო და უფრო უარესდება და საშიში ხდება მისი მდგომარეობა, თუ სიჩქარით არ გამოიძებნა მის გადასარჩენად უეჭველი საშუალება, ხელიდან წაგვიცა და დაგვეკარგება მამა-პაპაითაგან ნაჭირნახული ოდესმე ქებული ივერიის ეკლესია. სულთმებრძოლი ეკლესიის გამოსაბრუნებელ ნამდვილ წამლად შეგნებული ქართველობის სულ პატარა ჯგუფმა სცნო ამ ეკლესიის ცხოვრებაში ავტოკეფალიის აღდგენა და მართლაც ესაა ერთადერთი უტყუარი საშუალება. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დღევანდლამდე ნათქვამი, ნაფიქრი, დაწერილი და გამოკვლეული ავტოკეფალიის შესახებ დარჩომილია მარტო წიგნებში და ჟურნალ გაზეთებში. არამც თუ გულამდე ხალხის ყურამდენაც ვერ მიაღწიეს ამ წიგნებმა და ჟურნალგაზეთებმა, ხალხმა, სოფლების და ქალაქების მცხოვრებთა მთელმა სიმრავლემ არ იცის, რა ნათელი ძალა იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში ეკლესიის ავტოკეფალობა, როდის გაქრა ეს სინათლე და რა უგნურობის წყვდიადში ჩავცვივდით ამის გამო. უამისოთ კი ე.ი. თუ ხალხმა არ გაითვალისწინა ვინ უკარგაეს ჩვენს ეკლესიას ამ სიცოცხლის ჩამდგმელ სინათლეს და ამით აღელვებული თუ ერთი კაციეით არ შესძახებს მტერს: „ჩამომეცალე გზიდან მეყო ამდენ ხანს შენი ბანგით გაბრუებულს ძილი, ამიერიდან გადაეწყვიტე შვილობა თავისუფალი სამშობლო ეკლესიისა და ამ გადაწყვეტილებას უმსხვერპლებ ჩემს სიცოცხლესო,“ სულ ტყუილი წყლის ნაყვა და ბზის ნიავება იქნება სამღვდელოების მეცადინეობა და გაზეთების მოთქმა-ტირილი. ეკლესია — ხალხია, ეკლესიის შემადგენლობა — ერია, ერს ხმა ღვთის ხმის ტოლია და აი სწორეთ ეს ღვთის ხმა უნდა გაიგონოს ჩვენი ეკლესიის დამჩაგვრელებმა, ერის ხმამ უნდა აგრძნობინოს ჩვენს მოპირდაპირეს, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას ერის პირით თხოულობს თეით ღმერთი დიდი...

ძველად, ამისთანა დიდი საქმეების შესაგნებად და განსახორციელებლად, ღმერთი უგზავნიდა ხოლმე ქვეყნიერებას წინასწარმეტყველებს, რომლებიც თავიანთი მძლავრი მეტყველებით ცეცხლით ანთებდნენ მსმენელების გულს და გმირებად ჰქმნიდნენ მოხუცსა და ჭაბუკს, სოფლელს და ქალაქელს, დიასახლისსა და მამაკაცს. დღეს ამ გვარი წინასწარმეტყველებრივი საღმრთო ცეცხლის მფრქვეევი ჩვენში მარტო თქვენა ხართ, ბატონო აკაკი, მარტო თქვენი სიტყვა მოედება ალად დიდსა და პატარას, არა მარტო თქვენი სიტყვა აამოძრავებს ერთსულოვნობით ერის ტალღებს, მარტო თქვენი მსუბუქფრთიანი ლექსი ჩაუძვრება სულში ქართველ ერს და აამღერებს თავთავის კილოზე ვენახის მსხვლელებს და მბარავებს, გუთნის მეხრეებს, მეშაირე-მესტვირეებს, მოსწავლე ქალ-ვაჟობას, ქალაქის სამრეწველოებში მოფუსფუსე მუშებს, ვაჭარ-მეწვრილმანეებს, ლაქია-მოსამსახურეებს და სხვა. თქვენი ლექსი გაუშუქებს მთელ ერს ავტოკეფალიის საკითხს, ყველას შეაყვარებს მას გულით და შეთანხმებულად აღძრავს დიდსა და პატარას ამ ხელიდან წაგლეჯილი საუნჯის დასაბრუნებლად, ე.ი. თქვენი პატარა გრძნეული ლექსი განახორციელებს მას, რასაც მსგავსი საესებით ეერასოდეს

ვერ მიაღწევენ ვერც მღვდელთმთავრის ლმობიერი მოძღვრება-დარიგებანი, ვერც პროფესორთა მეცნიერული გამოკვლევანი და ვერც პუბლიცისტების ცხარე წერილები. ლექსის საშუალებით შესულა ყოველთვის სიმრავლის შეგნებაში სასურველი აზრების მიღება-განხორციელების აუცილებლობა და ლექსისავე საშუალებით უნდა მოუპოვოთ ჩვენი ერის სული და გული ჩვენი ეკლესიის გამოცოცხლებულ აეტოკეფალიას.

ასეთი ლექსის, ასეთი ჰიმნის შექმნას მოითხოვს თქვენგან თქვენი დედა ეკლესია, დიდებულო მგოსანო და იცოდეთ, რომ ასეთი ჰიმნის გალობით ახმაურებულ საქართველოს ველარ გაუმაგრდებიან ჩვენი ეკლესიის მონობით შემბოჭავი ძალები. დიდი ხანია ამ აზრს ფარულად ვატარებდი გულში, მაგრამ აქამდე ვერ გიბედავდით მომართვას, დღეიდან შეუძლებელი გახდა ჩემთვის ამის დაფარვა, გიზიარებთ გულის ნადებს სრული სიწრფელით და თქვენი ნებაა, სისულელედ ჩასთვლით მას, თუ ხელჩასაკიდებელ გონიერ მოსაზრებას.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი მდაბალი ეპისკოპოსი ლეონიდი."[18] ლეონიდმა დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილი მისწერა დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძესაც.

„მამაო მელიტონ

უფალმა გიკურთხოთ მარჯვენა და კალამი. კმარა თქვენი ამდონს ხანს სიჩუმე, უნდა უსათუოდ აარაკრაკოთ ყოველდღიურ პრესაში აღებული საგნის შესახებ წყარო და მთელი წლის განმავლობაში არ შეწყვეტოთ მისი საამო წანწკარი. დღეს გაზეთს შეაქვს ბრბოში ცოდნა და გაცნობა საჭირბოროტო კითხვებთან, თქვენც ამ გზას უნდა მიმართოთ, ამ საშუალებით უნდა გააცნოთ ერს ჩვენი ეკლესიის საკითხი, ამ გზით უნდა შეაჩვიოთ ჩვენი საერო საზოგადოების ყურს ეკლესიური კითხვა, თორემ მეცნიერულ გამოკვლევებს მარტო რჩეულები თუ კითხულობენ. რაც მეტ ნახნავს სთესავს და ფარცხავს მუშაკი, მით მეტი მოსავლის იმედი აქვს, იქნება თქვენგან შორს ნაყოფი თესლი იქ გასკდეს ზღვაზედ, სადაც თქვენ სრულებით არ მოელით! ასეთი წერილების ბეჭდვა უნდა ნარდად აიღოთ უსათუოდ მთელი წლის განმავლობაში და ამას შესაფერი შედეგიც მოჰყვება, თორემ ორი და სამი წერილით არა გარიგდება რა. წინასიტყვაობა მშვენიერია, კილო დარბაისლური და წესიერია, პირველ გვერდზე ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად, სჯობია ეიხმაროთ: 1) ამოსაგლეჯი, 2) ეჯავჯგურებიან, 3) ჩაუგდეს, 4) გაუსკდათ. მე-12 გვერდის ბოლო და მეცამეტის დასაწყისში ეიკადნიერე და რამდენიმე პწკარი წაეშალე; გთხოეთ ის სიტყვები გამოსტოვოთ, თორემ ზოგიერთ ტაკიმასხარებს მასალას მისცემს დაცინვისას და საქმე კი იქ ნაჩვენები განმარტებით არა შეუქდება. აეტონომიის განმარტებაში იქნება მეტი არ იყოს ილიასგან მოყვანილი მოხუცეს თქმულების ხმარება: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდესო." მეთვრამეტე გვერდზე, სადაც ნაჩვენებია რასაც მოითხოვს ჩვენი ეკლესია ავტოკეფალიის სახელით, უსათუოდ უნდა იყოს ცხადად და ხაზგასმით ნაჩვენები საეკლესიო მამულების დაბრუნება, ან მისი ნამდვილი, აწინდელი დროის მიხედვის კვალობით, ღირებულობის გადადება საქართველოს ეკლესიის სახელობაზე.

მაშ, ღვთის სახელით შეუდექით ამ საქმეს. ეხლა თქვენ აღარაფრისა აღარ უნდა გეშინოდეთ: მოცემით არსებითად არაფერს მოგცემენ და წართმევით ველარაფერს წაგართმევენ, ხოლო სამშობლო საუკეთესო და საყვარელ შვილად აღგიარებს. თქვენი პოზიციაც ხელს გიწყობთ: მთავრობასთან ახლო დოგმა არ გზღუდავთ და სიშორე მთავრობის თვალში მეტს მნიშვნელობას გაძლევთ–

დიდად დამავალებთ თუ მოიფიქრებთ რამეს: ჩვენს მომავალ საეპარქიო კრებაზე, ამ კითხვას რა სახე მივცეთ. თქვენი პატივისმცემელი მდაბალი ეპისკოპოსი ლეონიდე".[19] მოვლენები რუსეთის იმპერიაში ალვისებურად იცვლებოდა. 1917 წლის 25 თებერვალს იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა... შეიქმნა დროებითი მთავრობა. 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში სამშვიდობო პარაკლისის შემდეგ გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ გაშალა გასანთლული ეტრატი და დაიწყო კითხვა „1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოვკრბით

ჩვენ სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელონი კრებულნი და ერისგანთა წარმომადგენელნი და შემდგომად ლიტურღიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებელის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა. რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა სავედრებელის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებათ. ამასთანავე განვებჭვეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალური არსებობაი რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალუედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალური მართვა-გამგებობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოის მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისათვის უცილობლად ვსცანით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ:

ა) ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მმართველობაი, ხოლო, ვიდრე კანონიკურად აღირჩეოდეს კათოლიკოსი საქართველოჲს ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისსა დაინიშნოს ყოელადსამღვდელო ლეონიდე, გურია-ოდიშის ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მმართველობაი საქართველოჲს ეკლესიისაი, სასულიეროთა და საერო პირთაგან შემდგარი.

ბ) ვინაითგან საქართველო ქვაკუთხედად თვისსა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობისა რუსეთსა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თაეადს ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს თბილისში".[20] დაასრულა კითხვა და ეპისკოპოსმა ლეონიდემ ჯვარი გარდასახა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ათასობით მორწმუნეს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი კომიტეტის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: დროებითი მმართველობის თავმჯდომარე გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე),წევრები: ეპისკოპოსები ანტონი (გიორგაძე),პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზები: კორნელი კეკელიძე, ნიკიტა თალაკვაძე, პოლიექტოს და ვასილ კარბელაშვილები, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, გაბრიელ ყუბანეიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე, საერო პირნი: ვასილ ბარნოვი, ანტონ. ნატროშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე, პაველე ინგოროყვა, გენერალი გიორგი ყაზბეგი, მწერალი შიო დედაბრიშვილი, პართენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი. დროებით მმართველობას უნდა შეემუშავებინა რუსეთის დროებითი მთავრობის სახელზე გასაგზავნი დოკუმენტების ტექსტები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მოემზადებინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კრება,რომელიც დაადასტურებდა 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში მიღებულ დამოუკიდებლობის აქტს და აირჩევდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება შეეცადა ქართველი ერის ნების აღმსრულებელი 12 (25) მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას.

1917 წლის 13 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ეპისკოპოსი ლეონიდე დროებითი მმართველობის მდივნის დავით დავიდოვის (დავითაშვილის) თანხლებით გაემართა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, სადაც იმყოფებოდა რუსეთის დროებითი მთავრობის ფილიალი – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი") და გადასცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი. სასახლეში ეპისკოპოს ლეონიდს

დახვდა კომიტეტის ერთი წევრი ბ. ხატისოვი, რომელმაც პასუხად მოსაყდრის განცხადებისა თქვა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება იქონიოს; რადგან კომიტეტი იცავს მხოლოდ არსებულ წესწყობილებას და მცხეთაში მომხდარს კი ახალი ფორმა შემოაქვს ეკლესიის ცხოვრებაში. ასეთი პასუხის გამო ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტი სასწრაფოდ შეიკრიბა, რათა გამოემუშავებინა თავისი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ხელისუფლების ახალი უმაღლესი ორგანოს მიმართ.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდე, ანტონი, პიროსი მიეიდნენ საქართველოს ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან.

ეგზარქოსმა ყურადღებით მოისმინა ქართველი იერარქების წინადადება და უპასუხა — მე ყველაფერს ამას შევატყობინებ პეტერბურგში წმინდა სინოდს დეპეშით, რასაც 3-4 დღე დასჭირდება და შემდეგ განკარგულების თანახმად მოვიქცეთო. ამაღე დროს გთხოვთ, ძალას ნუ დამატანთ, ეს თქვენი საქმისათვის კარგი არ იქნება, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც უმწეო არა ვარ. რუსის ჯარისკაცებიც და მთავრობაც მომხრედ მყავსო.

თბილისში ფრიად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

23 მარტს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის საგანგებო კომისიამ ინახულა „ოზაკომ“-ის კომისიის წევრი, რომელსაც წარუდგინა დეკლარაცია. ამ დეკლარაციით:

„1. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას უნდა ემორჩილებოდეს მართლმადიდებელი მოსახლეობა ძველი საკათალიკოზოს საზღვრებში: ქუთაისისა და თბილისის გუბერნია, ზაქათალა-ბათომის ოლქი, ბამბაკი, აბოცი, თორთუმი, კისკიმი, გიშის წყალამდე, კახეთის მონაპირე მტკვრის მარჯვენა ნაწილი განჯის გუბერნიისა და სოჭის ოლქის ნაწილი.

2. საქართველოს ეკლესიის თავს ეწოდება მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, რომელიც ამოირჩევა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორ დაფარულ ხმათა ხმის მიცემით (5 წლის ვადით).

3. რომ კრედიტები ყოფილ დაწესებულებათა შესანახად გადადებული, რომელნიც იმყოფებიან საკათალიკოზოს საზღვრებში კელავ უნდა განგრძობილ იქნას, ხოლო ამიერიდან საქართველოს ეკლესიის თავს უფლება ჰქონდეს ხარჯთაღრიცხვის შედგენისა ამ კრედიტის ფარგლებში“.[21]

ოზაკომის წარმომადგენელი დაეთანხმა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის წინადადებებს. მან აღნიშნა, რომ პეტერბურგში დააყენებდა საკითხს მთავარეპისკოპოს პლატონის, სინოდალური კანტორის პროკურორის პოპოვისა და დეკანოზ ორეხოვის გაწვევის შესახებ. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ პეტერბურგში ასე არ ფიქრობდნენ. ჯერ იყო და მთავარეპისკოპოსი პლატონი ამიერკავკასიისა და თბილისის მიტროპოლიტად გამოაცხადეს, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა არაქართველი მართლმადიდებელი მრევლი, ამაღე დროს მითითება მიეცა ამიერკავკასიის დროებით მმართველობას მხარი დაეჭირა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიისათვის და გამოაქვეყნა დეკლარაცია.

ეგზარქოსყოფილმა პლატონმა დეპეშით აცნობა მომხდარის შესახებ პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფლებას. ამის გარდა მან სცადა შფოთისა და განხეთქილების ჩამოგდება ქართველ სამღვდელოებაში. იგი არ თმობდა სასახლეს, ატარებდა სხდომებს, მაგრამ ქართველი სამღვდელოებიდან თითქმის არავინ ესწრებოდა, როცა საქართველოს ეკლესიის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიტყო ყოფილი ეგზარქოსის თათბირებში იმერეთის ეპისკოპოსის გიორგი ალადაშვილის მონაწილეობა, მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოს გიორგის იმერეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

1917 წლის 27 მარტის სხდომაზე საქართველოს საეგზარქოსოს რუსულმა სამღვდელოებამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საეგზარქოსოს დაარსების შესახებ და რუსეთის წმინდა სინოდს მოსთხოვა ახლადშექმნილ საეგზარქოსოს უშუალოდ წმინდა სინოდის იურისდიქციაში გადაყვანა. მათი აზრით, ამიერკავკასიის საეგზარქოსოს უნდა დაქვემდებარებოდა არაქართველი ქრისტიანები. ამ გადაწყვეტილებიდან ჩანდა, რომ პეტერბურგის მმართველობა თუ ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენაში ხელს ვერ შეუშლიდა ეროვნულ ავტოკეფალიას დათანხმდებოდა საქართველოში, რაც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა და მომავალი შფოთისა და ურთიერთშეჯახების საფუძველი გახდებოდა, სერიოზულ პრობლემებს მაინც შეუქმნიდა.

29 მარტს სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი კომიტეტი, რომელმაც ოფიციალურად პროტესტი გამოუცხადა მთავრობის გადაწყვეტილებას. შედეგმაც არ დააყოვნა. 4 აპრილს სასახლეში დაიბარეს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, ეპისკოპოსი ლეონიდე, ეპისკოპოსი ანტონი, სადაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის „ოზაკომის“ თავმჯდომარემ ხარლამოვმა გამოუცხადა, რომ ჯარში დიდი აღელვება და უკმაყოფილება სუფევს რუს-ქართველთა შორის საეკლესიო საკითხებით გამოწვეული უთანხმოების გამო, დადის ხმები იმის შესახებ, რომ თქვენ რუსებს აეწროვებთ. ეპისკოპოსმა ლეონიდემ და ეპისკოპოსმა ანტონმა უარყვეს ეს ბრალდება. რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად გამოეგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ელადიმერ ბენეშევიჩი, რომელსაც თბილისში წამოსვლამდე შეხვედრები და კონსულტაციები გაუმართავს ზურაბ ავალიშვილთან და ივანე ჯავახიშვილთან. ეს უკანასკნელი თბილისში გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს მოუწოდებდა ეთანამშრომლათ ვლ. ბენეშევიჩთან. 9 აპრილს თბილისში ჩამოვიდა ელადიმერ ბენეშევიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერს ობიექტურად შეისწავლიდა და ისე მიაწოდებდა ინფორმაციას მთავრობას. საქართველოს ეკლესიის დროებითი კომიტეტის დავალებით პროფ. ელადიმერ ბენეშევიჩთან მუშაობდნენ დეკანოზები კორნელი კეკელიძე და ნიკოლა თალაკვაძე. სულ მალე ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ ბენეშევიჩი რუსული იმპერიული ინტერესების დამცველი იყო და ეგზარქოსყოფილის პლატონიც კონსულტაციებით სარგებლობდა. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტოკეფალიას, რის გამოც ქართველი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის დავალებით პეტერბურგში დროებით მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრნენ ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე). დელეგაცია 9 ივნისს გაემგზავრა თბილისიდან და 16 ივნისს უკვე პეტერბურგში ჩავიდა. აქ მათ შეუერთდა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული მასალები დაწერილებით მოგვითხრობს პეტერბურგში დელეგაციის საქმიანობის შესახებ. ქართველ სამღვდელოებას პეტერბურგის ქართველობის დიდი იმედი ჰქონდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მ. ჩიჯავაძე, ზ. ავალიშვილი, ნ. გელოვანი, ა. ჩერქეზიშვილი, ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე.

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ქართველობა რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, ისინი ერთსულოვანნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში და განაცხადეს, ყველაფერს იღონებდნენ, რათა რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.

17 ივნისს დელეგაცია ზურაბ ავალიშვილისა და ნ. გელოვანის თანხლებით წარსდგა სინოდის ობერ-პროკურორის ლვოვის წინაშე, რომელსაც სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე). მან აუხსნა ობერ-პროკურორს შექმნილი ვითარების შესახებ. თავდაპირველად ლვოვმა უპასუხა: „ჩვენ თანახმანი ვიქნებით

თქვენი საკითხის განხილვისა და დადებითად გადაწყვეტაზე, ოღონდ განმარტეთ, რა უფლებრივი მდგომარეობა ექნება ეკლესიას სახელმწიფოში, ან ვინ უნდა აწარმოოს დაბადების, ქორწინების და განქორწინების მოწმობები".[22] ქართული დელეგაციის აზრით, საქართველოს ეკლესიის დებულების დამტკიცებამდე ამ ფუნქციას შეასრულებდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, შემდეგ კი სრულიად საქართველოს კათალიკოზი და საკათალიკოზო საბჭო. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, თვით ობერპროკურორიც არ იყო აღფრთოვანებული საეკლესიო სკოლების განათლების სამინისტროსათვის გადაცემით და არაოფიციალურად ქართული დელეგაციის წევრებსაც აგრძნობინა, რომ ადგილებზე წინააღმდეგობა გაუწიეთ ამ გადაწყვეტილებას და იქნებ საეკლესიო სკოლები კვლავ დაინარჩუნოთო. ზურაბ ავალიშვილს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა სინოდის ობერპროკურორი. ამიტომ მან დააყენა საკითხი რუსეთის დროებით მთავრობას ეცნო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. სინოდის ობერპროკურორის აზრით, საქართველოს ეკლესიის „ტერიტორიალური ავტოკეფალია ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდან ვერ შეეთანხმდებით. რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ თქვენს კათალიკოზს, ბერძნები ავტონომიურ ეპისკოპოსს ითხოვენ, აფხაზები უეპისკოპოსო ავტოკეფალიას, რომლებიც ზოგი თქვენსკენ იწევს, ზოგიც რუსებისკენ. სულ სხვა საქმეა კულტურულ-ნაციონალური ავტოკეფალიაო".[23]

19 ივნისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია შეხვდა რუსეთის სარწმუნოების მინისტრს კარტაშევს, რომელმაც გულახდილად განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება გაჭიანურდება, ვინაიდან რუსეთში უმრავლესობას ვერ წარმოუდგენია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, ქართველების საწინააღმდეგოდ იმოქმედებდნენ, როგორც ესერები, მენშევიკები, ასევე ბოლშევიკებიც.

ქართულმა დელეგაციამ სცადა პეტერბურგში რუსეთის სინოდის წევრებთანაც მოესინჯა ნიადაგი. ამ მიზნით 20 ივნისს მათ ინახულეს ეპისკოპოსი ანდრია უფელი, რომელმაც, მართალია ქართველებს განუცხადა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ ამავე დროს უსაყვედურა მოსკოვში რუსეთის ეკლესიის ყრილობაზე ჩაუსელელობა, რაზედაც ეპისკოპოსმა ანტონმა უპასუხა: „არ ვიყავით იმიტომ, რომ თქვენმა საქციელმა გვაფიქრებინა, თუ თბილისში მისალმების ღირსადაც არ ჩაგვთვალეს, მოსკოვში კრების დარბაზშიც არ შეგვიშვებენთქო. როცა დროებითი მთავრობა დებულებას დაგვიმტკიცებს, მაშინ ვაცნობებთ სინოდს თავისუფალ ქართულ ეკლესიას სურს ძმური და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთის სინოდთანთქო. რუსეთის ეკლესიის სინოდის ზოგიერთი წევრი თავს ისე იჭერდა, თითქოს ქართველების მომხრე იყო. მან სთხოვა ქართული დელეგაციის წევრებს, ოფიციალური თხოვნით მიემართათ სინოდისათვის. ეპისკოპოს ანტონის აზრით, სინოდისათვის მიმართვას შედეგი არ ექნება, ისინი არასოდეს არ სცნობენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას. ეპისკოპოსმა ანდრია უფელმა ქართულ დელეგაციებს დაუხატა მომავალი უიმედო მდგომარეობის სურათი, „რა გეშველებათ თქვენს ეკლესიას ჩაგვრა მოელის ურწმუნოებისგან, ახლა საეკლესიო სკოლები წაგართვეს, არსებობის საშუალებას არც ხაზინა მოგცემთ, თქვენ კიდევ არაფერი გაქვთ, რომ თავი შეინახოთ." ქართულმა დელეგაციამ ღირსეული პასუხი გასცა ეპისკოპოს ანდრია უფელს. მას შეახსენეს ქართული ეკლესიის ქონება რუსმა ეგზარქოსებმა გაძარცვეს, მაგრამ ჩვენ გაჭირვების არ გვეშინიაო.[24]

სინოდის წევრებს აინტერესებდათ, რა ღონისძიებებს მიმართა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითმა კომიტეტმა აღმოსავლეთის პატრიარქებისაგან საქართველოს ეკლესიის ცნობისათვის და რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ყოველად სამღვდელო კირიონის ჟენევაში გამგზავრების ამბავი, რატომ სინოდისაგან არ ითხოვეთ დებულების დამტკიცებასო...

ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პეტერბურგში პროფ. ელ. ბენეშევიჩის აზრებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სინოდის წევრების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ქართველები აგრესიულები არიან, რომ ისინი რუსებს დევნიან, რომ მათი მსხვერპლი გახდა არაერთი რუსი პატრიოტი. ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრიდა სინოდის სხდომაზე პროფ. ელ. ბენეშევიჩის მოხსენება, რომელმაც თბილისში თავისი მივლინების შედეგები ტენდენციურად წარმოაჩინა. მისი აზრი განაურცო პროფესორმა ვერხოვსკიმ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რევოლუციურ აქტად მონათლა. უფრო მეტიც, მან ქართველებს „სქიზმაში“ (განხეთქილებაში) დასდო ბრალი. სინოდი გრძობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ხელს ვერ შეუშლიდა, ამიტომ იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ეს ეროვნულ ავტოკეფალიას არ უნდა გასცილებოდა. ქართველი პატრიარქი სეეტიცხოველში უნდა ყოფილიყო, ხოლო თბილისში რუსი მიტროპოლიტი. ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ირაკლი წერეთელს მიმართა „რა გამოდის, ქართველებმა ხელი უნდა აიღონ დედაქალაქზე და დედა ეკლესიაზე, სიონზე, ამას ჩვენ ვერ დავთმობთ და უეჭველად ატყდება სისხლისღვრა, რაც თქვენთვისაც სამწუხარო იქნება“.[25] საქართველოს ეკლესიის პოზიცია აქტიურად დაიცვა კარლო ჩხეიძემ, რომელსაც პეტროგრადში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდეს, ჩვენს სიონში უცხოს რა ხელი აქვს. ჩვენი ეკლესიისათვის სულერთი არ არის თბილელი ერქმევა რუსის მღედელმთავარს, თუ სხვა სახელი“[26] აღნიშნავდა იგი. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიღო დროებითი მთავრობის მეთაურმა კერენსკიმ, სულ მალე დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება. მან დაადგინა: „1). შეიმუშაოს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთში; 2). მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენს მთავრობა, შემუშავება იმ საკითხებისა, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარქოსოს საკათალიკოზოსათვის გადასაცემად. ამასთანავე, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და ეს კომისიის დადგენილება უნდა წარედგინოს დროებით მთავრობას განსახილველად; 3). საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერპროკურორს ქართული ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართ“.[27]

2 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა.

1917 წლის 13 აგვისტოს ქართველმა სამღვდელოებამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის ეპარქიის აღდგენის შესახებ. თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში მოხდა საჯარო არჩევნები თბილელი მიტროპოლიტისა. კრებამ ერთხმად დაადგინა ეპისკოპოს ლეონიდის თბილელ მიტროპოლიტად არჩევა. 15 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში საეკლესიო წესით მოხდა თბილელ მიტროპოლიტის გამოცხადება. უამრავი ხალხის თანდასწრებით მთავარდიაკონმა დავით სალარიძემ შემდეგი აქტი გამოაცხადა: „განბჭობითა და გამოჭვილვითა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და სამღვდელოთა და საეროთა დასთა თბილისისა და სხვათა საქართველოს ქალაქთაითა თავდადებულ იქმნა უძველესი საყდარი თბილელ მიტროპოლიტთაი, რომელი ერთი საუკუნე განიცდიდა ქვრივნობასა, ხოლო საყდარსა ამის ზედა შთაგონებითა სულისაწმიდისა და შემოკრებილთა ერთსულოვან თანხმობითა აღრჩევითა აღიყვანების სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე, ვილოცოთ მისთვის და ვთქვათ აქსიოს“.[28] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმხანად არსებულ მრავალრიცხოვან პარტიებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა, ბოლშევიკების გარდა ყველა მიესალმებოდა ქართული ეკლესიის აეტოკეფალიას. მაგრამ ამ მხრივ ეროვნულ-დემოკრატები და

სოციალ-ფედერალისტები გამორჩეულნი იყვნენ.

1917 წლის 23 აგვისტოს ეგზარქოსყოფილმა პლატონმა თბილისი დატოვა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დავით ვაჩნაძე გადმოგვცემს მას შეუკრებია სამოცამდე შეიარაღებული კაცი და დაუკავებია ყოფილი ეგზარქოსის სასახლე. სიონის ეზოში პატარა ოთახში შეკედლებული ქართული ეკლესიის აღმასრულებელი კომიტეტი კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის ლეონიდეს ხელმძღვანელობით გადავიდა ეგზარქოსის სასახლეში. „ლეონიდემ ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება ეგზარქოსების სურათების ჩამოხსნის შესახებ. ლეონიდემ პირჯვარი გადაიწერა და წარმოთქვა: აღსრულდა... უფალო შეგვიწყალე და დაგვიფარე".[29] ყოფილმა ეგზარქოსმა რუსეთის წმინდა სინოდის სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველო თითქოსდა განუდგა მართლმადიდებლობას, რომ ქართველ სამღვდელოებას არ ჰქონდა უფლება დაეკავებინა ეგზარქოსის რეზიდენცია თბილისში. რუსეთის დროებითი მთავრობის სარწმუნოების მინისტრის მოადგილემ კოტლიარსკიმ დეპეშით მიმართა ქართველ სამღვდელოებას, იგი ერთის მხრივ ულოცავდა ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენას და ამავე დროს აფრთხილებდა თუ რა განუჭვრეტელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ძალადობას რუსი სამღვდელოების მიმართ.

ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დააჩქარა საეკლესიო კრების მოწვევისა და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოები.

1917 წლის 3 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის მოწვევის შესახებ.

14 აგვისტოს გაიმართა თათბირი, რომელზედაც მოისმინეს ეპისკოპოს ანტონ გიორგაძისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ინფორმაციები პეტროგრადში ქართული ეკლესიის დელეგაციის საქმიანობაზე. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი დახმარება გაუწიეს ირაკლი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ და პროფ. ზურაბ ავალიშვილმა, ამავე თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება საეკლესიო კრების 8 სექტემბერს გახსნის შესახებ.

მიტროპოლიტმა ლეონიდემ უდიდესი როლი შეასრულა 1917 წლის 12 (25) მარტიდან 1917 წლის სექტემბრამდე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობდა დროებითი მმართველობის სხდომებს, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, სასულიერო და საერო პირები. დროებითი მმართველობის სხდომებზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის, სახელმწიფოსა და ეკლესიისს საეკლესიო ქონების, ყოფილ საეგზარქოსოსთან დამოკიდებულების საკითხები.

1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში გამართულმა პირველმა საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი კირიონი, რომელსაც ეწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და თბილელ მიტროპოლიტად დამტკიცდა ლეონიდე. მიტროპოლიტი ლეონიდე აქტიურად ჩაერთო ეკლესიისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან მოწოდებით მიმართა თბილისის მორწმუნე მოქალაქეებს რათა ხელი შეეწყო მათ თბილისში აბო ტფილელის სახელზე ეკლესიის ასაშენებლად...

მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა და მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესი, ღვთივ სათნო ჩემო სულიერნო ძენო და ასულნო თბილისის მოქალაქენო!

პირველ მორწმუნე, რომელიც ჩვენს დედა ქალაქ თბილისში საღმრთო მსხვერპლად შეეწირა ქრისტეს და მის სახარებას, იყო „თვალი მოწამეთა" აბო. აბო საკუთარი წმინდანი, საკუთარი მცველი და მეოხია თბილისისა. წმ. აბოს ხსენება გამეფებული უნდა იყოს თბილისელთა შორის. თბილისის მორწმუნე მოქალაქე ქალია იგი თუ ვაჟი, ვაჭარი თუ ხელოსანი, მხედარი, სწავლული, უეიცი, მდიდარი თუ ღარიბი, უნდა

განსაკუთრებით პატივს სცემდეს წმ. აბოს სახელს და განუშორებლად ატარებდეს მის ხსოვნას. თბილისელ ქრისტიანებს თავი უნდა მოჰქონდეთ, რომ განგებისაგან დასაჩუქრებულები არიან საკუთარი ციური მეოხით და ამ უპირატესობას, ამ მაღალ თავიანთ წარჩინებას თვალსაჩინოდ უნდა გამოსთქვამდნენ და გამოხატავდნენ კიდეც. სამწუხაროდ, ვერავითარს ამის მსგავსს თბილისელ მორწმუნეთა ცხოვრებაში ვერ ვამჩნევთ. თბილისს დღევანდელამდე არ მოეპოვება ეკლესია თავის საკუთარი მეოხის სახელობაზე! კმარა დაუდევრობა, დროა გამოვისყიდოთ მძიმე დანაშაული და შეერთებული ძალღონით ახლა მაინც აღვმართოთ ეკლესია იმ ადგილზე, სადაც წმ. აბოს სისხლი მირონად ეცხო თბილისის ნიადაგს! დაიმედებული, რომ ყოველი მორწმუნე თბილისელი განსაკუთრებული სიხარულით გაიღებს ხვედრ წილილს ასეთი წმიდა საქმისათვის, ამ თავითვე მიუძღვნი ყველას მღვდელმთავრულ ლოცვა-კურთხევას და ვაუწყებ შემომწირველთ,რომ წმ. აბოს სახელზე ეკლესიის აშენებისათვის შემოწირულობათა მიღება დავალებული აქვთ ჩემგან დაროს მონასტრის ხაზინადარს მღვდელ-მონაზონს სერაფიმეს და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს გრიგოლ ფერაძეს, გაბრიელ ჩაჩანიძეს და ალექსანდრე დათუკაშვილს.

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი“.[30]

მანვე 1918 წლის 12 (25) მარტს შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ავტოკეფალიის აღდგენის წლისთავისადმი: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ადამიანთა საბედნიეროთ არსებობს საღმრთო და ძვირფასი სიტყვა – თავისუფლება,რომლის მარტო გაგონება სიხარულის ფრთებს ასხავს და საამო ოცნებათა ფიანდაზად ეფინება გაგებული კაცის სულსა და გონებას. დედამიწა არ იძლევა მეორე ღირებულებას, მეორე ისეთ საუნჯეს, რომ გვერდით ამოუდგეს,დაედაროს და შეეფარდოს თავისი მნიშ ვნელობით თავისუფლებას. ძვირფასია მაგალითად, სწავლაგანათლება, დიდი ბედნიერებაა ჯანსაღობა-დღეგრძელობა, საგრძნობელი სიკეთეა სიმდიდრე, მაგრამ თუ კაცი მოკლებულია თავისუფლებას, თუ მისი არსებობა დაფუძნებული არ არის თავისუფლების საღმრთო ნიჭზე, უქმი, გამოუსადეგარი და ყოველგვარი მნიშვნელობა-ღირსებას მოკლებულია მისთვის სწავლაც, სიმდიდრეც და ჯანსაღობა-დღეგრძელობაც.

„შეექმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“-ო, ბრძანა ღმერთმა კაცის შექმნის წინ და აი სწორედ ეს ღვთისადმი მსგავსება და ხატებაა ის თავისუფლება,რომლითაც კაცი კაცობს, ის მადლიანი ძალა, რომელიც ადამიანს განაცდევინებს ქვეყანაზე მეფობას, აზიარებს უკვდავებას და მიაფენს განუსაზღვრელი წინსვლის, გონება-ზნეობრივი განვითარების სისრულისაკენ. ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია, რომ კაცის გულსა და გონებას ასე ძალუმად სწყურია თავისუფლება და იმ ნათელ წამს, როდესაც იგი ხელთ გდებულობს ამქვეყნიურ საუნჯეთა შორის უძვირფასეს საღირალს, უბრწყინვალეს და უსათნოეს დღესასწაულად ისახავს თავისთვის და თავისი მოდგმა-ჩამომავლობისათვის. წელიწადი შესრულდა, ძვირფასნო, რომ სამშობლო ეკლესიის თავისუფლებას ვეზიარენით. წელიწადი გავიდა, რაც ამ დიდებული ტაძრის თაღების ქვეშ პირველად ჩავისუნთქეთ თავისუფალი ეკლესიის ჰაერი. შარშან ამ დროს იყო, რომ მორწმუნე ქართველობა, საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოზღვაებული ამ მამა-პაპათა თავმოსაწონი სამლოცველოს ფართო გალავანში მხიარულებით აფრიალებდა თავისუფლების სანატრელ დროშას. შარშან ამ დროს იყო, რომ ქართველმა სამღვდელოებამ პირველად შესწირა ამ ტაძარში სამშობლოსა და ერისათვის უსისხლო მსხვერპლი რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლად!

რა მოგვიტანა, რა შეგვძინა, რა გვაპოვნინა ახალი ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ, იკითხავს ვინმე თქვენთაგანი.

...თუ წარსული წლის მარტის თორმეტამდე უცხოთა ძალადობითი ბრძანებლობის გამო ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში თითქმის არაეითარი უფლებრივი ალაგი არ ჰქონდა დათმობილი ეკლესიის სხეულის უდიდეს და უძლიერეს ნაწილს – ერს, თუ მრევლს ეკლესიის მეუფროსენი შესცქეროდნენ ისე, როგორც მარტო საკრეჭ ფარას და არაფერს

ეკითხებოდნენ მას გარდა ხარჯების გაწევისა, ნაჩვენები დროიდან ძირი გამოეთხარა და ბოლო მოელო ასეთ უკულმართობას და ეკლესიის მართვა-გამგებლობაში მთავარი ალაგი დაეთმო ერის სურვილს, ერის ნებისყოფას. აქ, სვეტიცხოველში, წარსული წლის მარტის თორმეტს იმას დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა, რომ ამ დღიდან იგი დადგინდა და გამოცხადდაეროვნული ეკლესიის სრულუფლებიან პატრონბატონად და მის დაუკითხავად შეუძლებელი გახდა ეკლესიის ცხოერებაში რაიმე ცვლილებისა და ბრძანების გატარება. აი, რა შესძინა და რა აპოვნინა ახალი ჩვენს ერს მშობლიური ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ! დიდია ასეთი შეძენა და თავისი ვითარებით იგი უდრის ფრინველის კვერცხის ბეჭედს, რომელიც უცდომელი ნიშანია თავის დროს კვერცხიდან საღი ცოცხალი არსების გამოჩეკისა. რა შედეგები მოჰყვა ცხოერებაში ამ შეძენასო, რითი გააუკეთესა მან ჩვენი მოქალაქობაო, იკითხავს ვინმე.

ჩემდა სავალალოდ, ჩემდა სამწუხაროდ და ჩემდა გულის დასაწყვეტად, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერაფერ სანუგეშოს ვერ ეპოვებ სათქმელად დასმულ კითხვებზე საპასუხოდ. ეკლესიის განთავისუფლებიდან არამც თუ არ ამაღლებულა და არ გაუმჯობესებულა ჩვენი მოქალაქეობა, პირიქით, ამ დიდებული ისტორიული ფაქტის შემდეგ ისეთ ბოროტ მოვლენათა ჰქონდათ ალაგი, რომლებიც ამოურეცხელ ლაქად დარჩებიან ჩვენი ზნეობის მატეანეში. ასეთია, სხვათა შორის, ის უღეთო აწიოკება, ის განუკითხავი ძარცვა-რბევა, უმანკო ბავშვების, ჭაღარამოსილი მანდილოსნებისა და მამაკაცების ის შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ჯერაც არ შეწერებულა გორის მაზრაში და რომელიც საშიშარი ცეცხლის ენასავით ამოხეთქავს ხოლმე ხან კახეთში, ხან დუშეთის მაზრაში და ხან იმერეთში. ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი საბრალო სამშობლო მოძმეთაგან დახოცილ ქართველთა სისხლის ტბადაა ქცეული და ყველანი მოძმეთა სისხლის გუბეებში დაეტოპავთ! სად არის აქ ქრისტიანობა, სად არის თავისუფლება, შეგნება და გონიერება, ან ღვთის მსგავსება და ხატება კაცთა შორის? არა, ზეიმი და დღესასწაული კი არა, უფრო შესაფერი და მართებული იქნებოდა, რომ დიდსა და პატარას ფერფლი და ნაცარი გადაგებნია თავზე და ძაძაშემოსილებს, ნიშნად ღრმად მწუხარებისა მოძმეთა ამოჟლეტის გამო, საქვეყნო გლოვა-ტირილი გაგეემართა ამ ჩვენი ერის ჭირისა და ლხინის ჭაღარა მოწამის სამლოცველოს ეზოში.

მაგრამ რა ვიცით, საყვარელნო, რომ აქ მოსულებს სწორედ ერთი გრძნობები არ მოუტანიათ გულით ამ ღვთივბრწყინვალე სვეტიცხოველის წინ ფარულად განსაცხადებლად? ვინ დაგვაჯერებს რომ აქ მოსულ ქუდოსან-მანდილოსნებში ზოგიერთი მწარე ცრემლების ღვრით აღთქმას არ სდებს სვეტიცხოველის ქვეშ დამარხულ საუფლო კვართის წინ იმაზე, რომ დღეიდან მათი არსებობის საგნად გახდება მხოლოდ მოყვასისადმი თავდადებული სამსახური. ვინ დაგვარწმუნებს, რომ სვეტიცხოველის წინ მდგომ მლოცველთა სიმრავლისაგან ოცი-ოცდაათი კაცის გულს მაინც არ ეცხობა ამ წამს საღმრთო მირონი დღეიდან ღვთის სათნო და მოძმეთა სასიკეთო ცხოერების კვალზე დადგომისა და ეს ხომ სრულებით საკმარისია ჩვენთვის, ეს ხომ მართლა სადღესასწაულო და სასიხარულოა ყველასთვის, ეს ხომ ხელახლა მოგვიბრუნებს ზეციერი მამის მოწყალე გულს, ეს ხომ უტყუარი ნიშანია იმისა, რომ გაის ამ დროს მოძმეთა მოსიყვარულეებისა რიცხვი გაორკეცდება ჩვენს შორის, მესამე წელს გაათკეცდება და ასე ამგვარად მარად წინ ვიევლით ზნეობრივ განვითარებაში, სანამ არ მიეაღწევთ ყველანი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა_

უცბად და შებერვით არა რიგდება-რა. ღმერთი ღმერთია, მაგრამ ქვეყნის შექმნას იმანაც ექვსი დღე მოანდომა. ას ჩვიდმეტი წლის მანძილზე დღე და ღამ განუწყეტლად გვთიშავდა, გვდულრავდა, ძვლებს გვიდნობდა, გვფიჩხავდა, გვძრავდა და გვყინავდა ჩრდილოეთის ქვის მტეხი ზამთარი და რა საფიქრებელია, რომ ერთი წლის გაზაფხულის მზის ნაზ სხივებს გაელღვოთ და გაედნოთ სრულებით ის წარმოუდგენელი სისქის ყინული, რომლითაც შებორკილ-გადაგრეხილია მთელი ჩვენი სულიერი არსება.

ყველას გინახავთ, რა უმწეოდ და უაზროდ აწყდება ხოლმე მიდამოს გაზაფხულის

პირზე მზის პირველი სხივებით სკიდან გამოტყუებული, სიცივისაგან მობუზული ფუტკარი, მაგრამ გადის დრო, დგება ზაფხული და მადლიანი „ღვთის მუშაკიც“ დღითიდღე ფრთებს შლის, ღონიერდება, სიცოცხლის ძალით იცხება და ბოლოს ჯარასაით ტრიალებს ყვავილებით დაფენილ ველ-მონდერებში სკაში წასაღები თაფლის ამოსაწუწნად.

რაკი წარსული წლის მარტის თორმეტიდან აღგვეძრა თავისუფლების სიყვარული, ჩვენთვისაც ყოველიე მიზეზს გარეშე დადგება სანატრელი ზაფხული, ჩვენც აუცილებლად გავაჩაღებთ შემოქმედებით მუშაობას. მომავალ წლებში აქ მოსულები ჩვენც გაღონიერებული ფუტკრებივით ზნეობრივად დატვირთულები ვიქნებით თაფლისა და ცვილის მსგავსი ძვირფასი, საამო, სასარგებლო და სასახელო საქმეებით, გრძნობებით, მიმართულებებით და სულის განწყობილებით.

ახლა კი ამ ჩვენი ეროვნული შარავანდედისა და სიამაყის სათაყვანებელი ერეკლეს კუბოს წინ ფიცი დავდოთ, რადგანაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს გარეშე მტრები მოსდგომიან კარზე და აკლება-დამონებით ემუქრებიან. ლუკმას პირიდან გამოვიცლით, უკანასკნელ პერანგს გავყიდით, სულიდან დაწყებული ხმარებისგან გაცვეთილ ცოცხამდე ყველაფერს სამშობლოს სამსხვერპლოზე დავდებთ და ქალი და კაცი, ხნიერი და ახალგაზრდა, ჯანსაღი და უძლური დედასამშობლოს წინაშე იმითი გამოვისყიდით სამოქალაქო ბრძოლის წარმოებით ჩადენილ შეცოდებას, რომ მტერედ დაეედებით, სამსხვერპლო ფთილებად შეეწირებით მას და ისე გულადად შევებრძოლებით სამშობლოს დასამონებლად გამზადებულ მტრის რაზმებს, როგორც ერეკლეს დროის საბასახელო ასპინძის ომის ქართველი გმირები! დედაო ღვთისაო, გვისმინე და გაგვიმარჯვე, ამინ“!

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი გამოჩენილი სასულიერო პირი იყო, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ეპისკოპოს კირიონის არჩევის შემდეგ ვერ მოერია საკუთარ თავს, რითიც ისარგებლა ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა და ცეცხლზე ნავთი დაასხეს...

შედეგად მივიღეთ ახლად აღორძინებულ დამოუკიდებელ ქართულ ეკლესიაში დაპირისპირება, დაყოფა კირიონისტებად და ლეონიდისტებად, რამაც დააზარალა საქართველოს ეკლესია, საზოგადოება, დააზარალა თვით უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II და მიტროპოლიტი ლეონიდე. საზოგადოებას სურდა ამ ორი დიდი სასულიერო პირის შეთანხმებული საქმიანობა. როგორც დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე წერდა: „კირიონის კათალიკოსად არჩევის შემდეგ გრიგოლ დიასამიძესთან ერთად მეც სიტყვით მივმართე მათ (კირიონს და ლეონიდს – ს. ვ.), ვუსურვე დღეგრძელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა. იმდენი საქმეა დღეს საკეთებელი აოხრებულ საქართველოს ეკლესიაში, რომ ორივეს ძალღონეს აღემატება ამ საქმეების დამუშავება თქო. ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ დროც არ გექნებათ საკუთარ თავზე თავმოყვარეობაზე ფიქრისათვის, თქვენ უნდა მოგვიწესრიგოთ ორთავემ ხელიხელჩაკიდებულებმა სინოდისა და მისი აგენტ ეგზარქოსების ხელში აოხრებული იევრიის ეკლესიათქო“ – წერდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა...

1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოკლეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 1917 წელს მიღებული დებულების თანახმად ახალი პატრიარქის არჩევნებამდე ეკლესიის მეთაურის მოვალეობის შესრულებას შეუდგა თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე).

1918 წლის 28 ნოემბერს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: თბილელი მიტროპოლიტი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, ალავერდელი ეპისკოპოსი

პიროსი, დეკანოზები: ნიკიტა თალაკვაძე, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, პეტრე ბარათაშვილი, საერო პირნი: გიორგი გეგაზავა, პართენ გოთუა, პავლე ინგოროყვა, ქრისტეფორე კაპანაძე, მიხეილ მაჩაბელი. სხდომამ გამოიტანა განჩინება:

„1. დაუყოვნებლივ, რამდენადაც შეიძლება მოკლე დროში, არჩეულ იქმნას კათალიკოზ-პატრიარქი, ვინაიდან ამას მოითხოვს, როგორც საეკლესიო ინტერესები, ისე საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და მისი საერთაშორისო მდგომარეობა; 2. უარყოფილ იქნას აზრი კათალიკოზის ასარჩევად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისა; 3. ვინაიდან კათალიკოზი დაუყოვნებლივ უნდა იქმნას არჩეული, საკათოლიკოზო საბჭოს კანონიერად მიაჩნია მიტროპოლიტ ლეონიდის არჩევა კათალიკოზად“.32 საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე აღნიშნული დადგენილების წინააღმდეგ გამოვიდნენ დეკ. ნიკიტა თალაკვაძე და ქრ. კაპანაძე. საკათალიკოზო საბჭოს უმრავლესობა თვლიდა, რომ მიტროპოლიტმა ლეონიდმა უკვე საჭირო ხმების რაოდენობა ჯერ კიდევ 1917 წლის 17 სექტემბერს I საეკლესიო კრებაზე მიიღო. საკათალიკოზო საბჭოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეპარქიების პოზიციას. მან №4479 მიწერილობით ეპარქიების საბჭოებს მოსთხოვა წერილობით დაედასტურებინათ საკათალიკოზო საბჭოს 1918 წლის 28 ნოემბრის განჩინების სამართლიანობა. საეპარქიო საბჭოების უმრავლესობამ წერილობითი დასტური მისცა, საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებას. საინტერესოა ამ მხრივ ეპარქიებიდან მოსული წერილების შინაარსი. ფოთის ტაძრის სამრეკლო კრების თათბირს, რომელიც 1918 წლის 30 ივნისს გამართულა ი. ბობოხიძის მოხსენების საფუძველზე დაუდგენია: 1. მართალია საეკლესიო წესების მიხედვით დაქვრივებული ეკლესია 40 დღის განმავლობაში არ უნდა ეძიებდეს ახალ მღვდელმთავარს, მაგრამ ვინაიდან რუსეთის ბოლშევიკების მხრიდან მოსალოდნელი შემოსევის გამო დღეს საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა და მისი ავტოკეფალური ეკლესია დიდ საფრთხეში არიან ჩავარდნილი, ამისათვის პოლიტიკური მოსაზრება და დიპლომატიური სიბრძნე თხოულობენ, რომ საქართველოს ეკლესიას ერთი საათითაც არ უნდა მოშორდეს მისი ნამდვილი თავი, მოჭირნახულე მამამთავარი“.33 თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგენიც, მაგ. ზუგდიდიდან მღვდ. ტროფიმე ჯოხთაბერიძე შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში აცხადებდა პროტესტს. ეს არის კათალიკოზის არჩევის არაკანონიერი, არადემოკრატიული გზაო. ანონიმი ავტორი კი მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში საკითხს ასე სვამდა – „ვინ მისცა საკათალიკოზო საბჭოს განუსაზღვრელი უფლება, რომ ხალხის დაუკითხავად წყვეტს საქართველოს ეკლესიის ბედს? ჩვენ გვყავდა ღირსეული კაცი, მაგრამ მას შურით მაცქერალმა კაცმა არ აცალა სიცოცხლე და თავისი ბინძური ხელი შეურია მის წმინდა სისხლში“.34 აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც მოხდა მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად კურთხევა. გაზეთმა „საქართველომ“ 1919 წლის 23 თებერვალს ერცელი სტატიები მიუძღვნა მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აღსაყდრებას. დღეს საქართველოს ეკლესიაში უდიდესი აქტი შესრულდება – წერდა გაზეთი „საქართველო“ - მცხეთის საისტორიო დღის – 12 მარტის – სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი, უშიშარი და დამსახურებული მებრძოლი ჩვენი ქვეყნის ეკლესიის განთავისუფლებისათვის, ერისათვის თავდადებული მღვდელ-მთავარი აღიყვანეს სამოციქულო ეკლესიის უძველეს აღმოსავლეთის ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქად!

მთელი მორწმუნე საქართველო უაღრესის აღტაცებით შეეხვედება ამ სასიხარულო ამბავს...

ვინ უნდა იყოს იერარიის ეკლესიის საჭეთმპყრობელი, თუ არა ის, ვინც მთელი ძალა და ენერგია, უხვი ნიჭი და გამოცდილება ამ ეკლესიის აყვავებასა და განმტკიცებას შეალია?! ვის უნდა ეკუთვნოდეს მცხეთის კათედრა, თუ არა იმას, ვისი წინასწარმეტყველური და გამამხნევებელი ხმა ორი წლის წინად გაბედულად გაისმოდა ხაეს-მოკიდებულ ათორმეტთა ტაძარში?! საქართველოს თავისუფალ ეკლესიას ვინ უნდა ჰმეთაურობდეს და წინაუძღოდეს, თუ არა ის ადამიანი, რომელმაც სინოდის დარბაზში ჯერ ისევ

შაებნელ დროს რუსის არმიელებს დაუმტკიცა მათი უზურპატორული და ყოველად უსამართლო მოპყრობა ტანჯულ და გაძარცულ ეკლესიისადმი?! აღმშენებლობით პროცესსში მყოფ ეკლესიას ვინ უნდა განაგებდეს,თუ არა ის დაულალავი მოღვაწე,ვინც ურყევი საფუძველი ჩაუყარა სინოდისაგან არარად ქცეულ ეკლესიას და ქართველი ხალხი მოიხმო მის აღსადგენად?! საქართველოს ეკლესიებს ვინ უნდა ჰპატრონობდეს, თუ არა ის,ვისაც მოვლილი აქვს მთელი საქართველო კიდით-კიდემდე,და ვისი ამაგით ჰსულდგმულობდა ყოველი ტაძარი, მონასტერი, თუ საეკლესიო სხვა დაწესებულება?!.

კათალიკოზ ლეონიდის ღვაწლის დაფასება მომავალს ეკუთვნის; საგაზეთო წერილში შეუძლებელია აღნუსხვა ყველა იმ სიკეთისა, რაც მას მიუძღვის სამშობლო ეკლესიის წინაშე, მისი საეკლესიო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარსულშიაც დაფასებულა: ილია ჭავჭავაძემ იმ თავითვე იგრძნო, როგორი სამაგალითო მოღვაწე ელენიბა საქართველოს ეკლესიას და თავის მიმართვაში განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოზისადმი ხაზგასმით აღნიშნა, რომ უპირველესი ღვაწლი მისი იმაშიაც გამოიხატება, რომ მან აღზარდა „განძი, რომელსაც ჩვენ შეეხარით სასოებითა და იმედით... ეს იმედი ჩვენმა კათოლიკოზმა სავსებით გაამართლა: დღევანდელი წინამძღოლი საქართველოს ეკლესიისა ეუთვნის ქართველ მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომელნიც მოქალაქეობრივ თვისებით იყვნენ შემკულნი განსაკუთრებით! რა უფრო სჯარბობს კათალიკოზ-ლეონიდში: საეკლესიო მოღვაწე მღვდელ მთავარი, თუ მოქალაქე — შემნატრი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისა და სევდით აღსავსე დღევანდელი მისი დაეგლახაებულ მდგომარეობით!? საკმარისია მოისმინოთ უნეტარესის საუცხოო და მჭერმეტყველური ქადაგებანი, რომ დარწმუნდეთ მის მორალ-ინტელექტუალურ ძალაში: ტაძრის ამბიონზე სდგას ეკლესიის მოჭირნახულე, ხოლო ის ერთს წამსაც არ ივიწყებს სამშობლოსა და ერს! მღვდელ-მთავარი ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებს ხალხს და ამავე დროს მას უნერგავს საქართველოსადმი ერთგულებასა და სიყვარულს და მოქალაქეობრივ მოვალეობის აღსრულებისაკენ მოუწოდებს მას!

ქართველი საეკლესიო რიტუალის შესრულებაში მეტად განირჩევა რუსობისაგან: ქართველი საეკლესიო წესს უფრო სახლში ასრულებს, ვიდრე ტაძარში: ტაძრად ქართველი მიდის მხოლოდ დიდ უქმეებში, მაგრამ კათალიკოზ-ლეონიდის ღვთის-მსახურებისას ეკლესია ხალხით სავსეა: ლოცულობს მღვდელ-მთავარი — მოქალაქე და მის მამობრივ დარიგებასა და გამხნევებას ხალხი სიამით ისმენს და ითვისებს...

ეკლესიის თავად დღეს იკურთხება მისი განმათავისუფლებელი: ეს ისეთი ბუნებრივი მოვლენაა, რომ უნებლიედ იბადება კითხვა რატომ უფრო ადრე არ მოხდა ეს?

ეკლესიის მოდუნებული მაჯისცემა,ჩვენ გვჯერა, გაცხოველდება! ახლად კურთხეულ კათალიკოზის წარსული და აწმყო,ამისი უეჭველი თავდებია.“ კათოლიკოზ ლეონიდის მწყემს-მთავრობის ქვეშ ჩვენი ეკლესიის მომავალი უზრუნველყოფილია.

როგორც გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა: დღეს, 23 თებერვალს, მცხეთის საკათედრო ტაძარში მოხდება ხელდასხმა ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად. პირველი საგანგებო მატარებელი თბილისიდან მცხეთამდის წავა დილის 9 საათზე. შემდეგ იქნება ჩვეულებრივი მატარებლები.

მცხეთის ტაძარში წირვა დაიწყება 10 ნახ. საათზე.

მილოცვები იქნება მცხეთის სადგურზე ტაძრის გალავანში და ეკლესიაში.

წირვის შემდეგ კათალიკოზის სტუმართათვის წმ. ნინოს მონასტერში ტრაპეზზე გაიმართება.

მილოცვა

ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა მთავარ კომიტეტმა სრ-დ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ლეონიდეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„საქართველოს კათალიკოსს ლეონიდეს, ეროვნულდემოკრატ ახალგაზრდების მთავარი კომიტეტი გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ ბრწყინვალე დღეს

კათალიკოსად არჩევისას და გისურვებთ ჩვეულებრივ მხნეობას ეროვნულ სიწმინდის დასაცავად. ვწუხვართ რომ მძიმე დაბრკოლებანი გვაიძულებენ ზეიმში საჭირო აქტიურობა ვერ გამოვიჩინოთ.

სრულიად საქ. საკათ. სასამართლოს წევრთა 1919 წ. თებ.

16-ის თათბირის რეზოლიუცია რადგან გაზეთებში მოთავსებული ცნობა სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს თებერვლის 16-ის თათბირის შესახებ საუსებით არ გამოხატავს სასამართლოს წევრთა აზრს კათალიკოზის მომხდარ არჩევნების შესახებ, სასამართლოს წევრნი გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ სასამართლოს წევრთა ხსენებულ თათბირის სრული რეზოლიუცია. აი რეზოლუციაც. სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სასამართლოს წევრთა თათბირმა, მოისმინა რა ცნობა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევისა საკათალიკოზო საბჭოს მიერ საეპარქიო საბჭოთა თანხმობით და მისის უწმინდესობის ინტრონიზაციის დანიშნისა თებერვლის 23 და გაუწია რა ანგარიში შექმნილს მდგომარეობას — საჭიროდა სცნო თავისი დამოკიდებულება ამ აქტთან გამოხატოს შემდეგში:

1. მიესალმოს მის უწმინდესობას, როგორც ღირსეულ მამამთავარს.
2. დაესწროს სრულის შემადგენლობით მისის უწმინდესობის ინტრონიზაციას. ესალმება რა არჩევას მისის უწმინდესობისას, როგორც ღირსეულ მამათმთავრისას და საქართველოს ეკლესიის თავდადებულ მოამაგისას, ამასთან ერთად თათბირი საჭიროდა სცნობს აღიაროს, რომ თვით წესი კათალიკოზის არჩევისა არ ეთანხმება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებულს დებულებას და ვერც გამართლდება თუნდაც არსებულ პოლიტიკურ პირობებში და გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში დებულების მოთხოვნილებანი საესებით დაცულ იქნება.

ახალი კათოლიკოსის კურთხევა დაწერილებითაა აღწერილი: დილის ათ საათზე მარტს უწმინდესობას საზოგადოება ფიანდაზით მორთულ მცხეთის სადგურზე შეეგება. აქ სიტყვით მიესალმა კათალიკოზს საეპარქიო საბჭოს წევრი ბ-ნი ივ. რატიშვილი. მცხეთის გალავნის კარიბჭე მორთული იყო გირლიანდებით. აქვე იდგა ქართული რაზმი. გალავანში შესვლისას არმაზის მონასტრის ბერი მირიანი გულმხურვალე სიტყვით შეეგება. წირვას დაესწრნენ: იუსტიციის მინისტრი შ. მესხიშვილი, საგარეო საქმეთა მინ. ამხანაგი ძ. საბახტარიშვილი, პარლამენტის წევრი ექ. თაყაიშვილი, ინგლისის მისიის წევრები. მათმა უწმინდესობამ ლიტურგიის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, რის შემდეგ მიესალმა გურია-სამეგრელოს სამღვდელოების წარმომადგენელი. შემდეგ ტაძრის კარიბჭეში მიულოცეს საქართველოს პარლამენტის სახელით — ექვთიმე თაყაიშვილმა, საქართველოს მთავრობისაგან შალვა მესხიშვილმა, მერე ბრიტანიის, საფრანგეთის, მთიელთა რესპუბლიკის, პოლონეთის და სხ. წარმომადგენლებმა. მიულოცეს აგრეთვე, ელინთა ეროვნულ საბჭოს, ლიტვის საბჭოს და სამხრეთ სლავიანთა სახელით. საქართველოს რკინის გზათა ეკლესიებმა მიულოცეს კვერთხით, ხოლო ბოდბის წმ. ნინოს მონასტერმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი.

კათალიკოზ-პატრიარქმა სიტყვით მიმართა ქართველ ჯარისკაცებს, რომელთაც სთხოვა საქართველო გულიდან არ ამოეშალათ. სიტყვის შემდეგ გაისმოდა ქართული ეროვნული ჰიმნი. ჯარს ჩამოუარა ინგლისის გენერალ ბიჩმა. მას მიესალმა გენ. გაბაშვილი. ნაშუადღევის 3 საათზე სტუმრები მიწვეულ იქმნენ არქიელის ბინაზედ.

თამადად არჩეულ იქმნა საკათალიკოსო საბჭოს წევრი რ. ინგილო (ივანიცკი), მის უწმინდესობას კათალიკოს-ლეონიდეს, სანადიმო სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრმა მესხიშვილმა.

სიტყვები წარმოსთქვეს ყველა უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა— „საფრანგეთის კონსულმა ბ-ნმა შარდინიმ, სხვათა-შორის სთქვა: „საფრანგეთი ამ ომში იბრძოდა მხოლოდ თავისუფლებისათვის. ეხლა მან განამტკიცა ეს, თავისუფლება აქვს პატარა ერებს და ის ერები, რომელიც ამ ომში იბრძოდნენ მოკავშირეებთან ერთად, როგორც ყოფილ რუსეთის შემადგენელნი ნაწილნი, მათ შორის, რასაკვირველია საქართველოც, უსათუოდ მიიღებენ თავისუფლებას და საფრანგეთი მხარს დაუჭერს მას".

გიორგი გვაზავამ ფრანგულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა: „ბატონებო! საფრანგეთის და დიდი ბრიტანიის წარმომადგენელნო! ხომ ხედავთ,რა სიხარულით და ენთუზიაზმით ჰხვდება ყველა, თამადის სიტყვას, მიმართულს კათალიკოს-პატრიარქისადმი. გარდა სარწმუნოებრივ გრძნობისა აქ ჰმოქმედებს კიდევ სხვა ძალა. უნდა მოგახსენოთ, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოსი მატარებელია აგრედვე ეროვნული იდეოლოგიისა, იგი გამომხატველია საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა. სწორედ ეს იდეა ტრიალებს ეხლა საქართველოში და აღელვებს ყველას გულს. საქართველო თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ებრძოდა გმირულად სხვა და სხვა მტრებს და მხოლოდ ერთი საუკუნის წინათ ხელ შეკრულებით შემოუერთდა რუსეთს. ამისთანა ხალხის გულში თავისუფლების სიყვარული აღმოუფხვრელია. ქართველი ერიც იმედით შეჰყურებდა მომავალს, იბრძოდა თავგანწირულად, სანამდე იყო რუსეთის მფლობელობა,და მერე,როცა დაინგრა რუსეთი და მის სამხედრო ძალამ დასცალა კავკასია, იგი განაგრძობდა ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ. ეხლა იგი სრულის იმედით და რწმენით შეჰყურებს საფრანგეთს და ინგლისს. ჩვენ ყველანი ვართ შვილნი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთმა პირველად გამოაცხადა ერთა თავისუფლება და ამ იდეისათვის გაიღო დიდი მსხვერპლი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. იგი ხელს ვერ აიღებს თავის დიად წარსულზე და არ შეიძლება მხარი არ დაუჭიროს პატარა საქართველოს მის პოლიტიკურ მისწრაფებაში. ჩვენთვის აგრეთვე ძვირფასია დიდი ბრიტანეთი, თავისუფლება იქ ჩაისახა პირველად, იქ დაიბადა; საფრანგეთმა იგი აღზარდა, იბრძოლა იმისთვის, რომ მოეფინა მისი სიცოცხლის მყოფელი ძალა მთელს ქვეყნიერებაზე. ეხლა ქვეყნიერებასაც თქვენკენ უჭირავს თვალი,თქვენგან მოელიან ხსნასა და განახლებას. თუ თქვენ თქვენის გმირობით და შემოქმედებით ქმნით თავისუფლებას იქაც-კი, სადაც იგი არასოდეს არ ყოფილა, ნუთუ დაიეიწყებთ საქართველოს, რომელსაც აქვს თავისი შეურყეველი უფლებანი და სრული კულტურული მომზადება ამ თავისუფლების განსახორციელებლად?!

ბატონებო! მე ესვამ თქვენს სადღეგრძელოს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში! გაუმარჯოს თავისუფლების მებრძოლს, მშვენიერს და გმირულ საფრანგეთს! გაუმარჯოს დიდ ბრიტანეთს, თავისუფლების სამშობლოს!

— გაუმარჯოს! იყვირა საზოგადოებამ და დიდის აღტაცებით მიუძღვნეს სადღეგრძელო ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს. ელლინთა წარმომადგენელმა აღნიშნა ის დიდი ამაგი, რომელიც საქართველოს დაუდევს ბერძენ გადმოხვეწილთათვის და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოსა და საბერძნეთს შორის ისეთივე მტკიცე იქნება კავშირი, როგორათაც საუკუნოებში იყოო. ილაპარაკა აგრეთვე პოლონეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა ოსტროვსკიმ და პარლამენტის წევრმა ბ. შალვა ქარუმიძემ.

აღორძინებაა იგი, საპატრიარქო საყდრის აღდგენა, მწერლობის წარმატება თუ კიდევ სხვა საქმე,ყველგან ლეონიდს უკვე დაუმჩნევია, შეძლებისამებრ თავისი სასიკეთო კვალი. ეს ცოტაა კიდევ. ნეტარხსენებულ გაბრიელის შემდეგ იგი ერთად-ერთი მჭევრმეტყველი მქადაგებელია. არ დარჩა არც ერთი დიდი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მას არ გაეშუქებინა იგი ადამიანურის,და არა კლერიკალურის,თვალსაზრისით. კრწანისი 1795 წლისა,მცხეთა კირიონის პატრიარქად კურთხევას, 26 მაისი 1918 წლისა და მრავალი სხვა თემებია მის გულის საიდუმლოთა-საიდუმლოს აღმოფრქვევისა, მოსიყვარულე გულის აღმოკვნესისა სამშობლოს სიხარულისა და მწუხარებისაგან გამოწვეული. ამგვარივე ხასიათისაა მისსიე „სიტყვანი და მოძღვრებანი“, რომელიც დაიბეჭდა ფოთში 1914 წელს. ამასთანავე ახალი პატრიარქი არის მეტის-მეტად გულკეთილი და ჩვეულებრივ ქართველურ მიამიტობით დამსდო. ეს დიდი სათნოებაა, მაგრამ არა ყოველთვის: ხშირად დიდი ადამიანი ენდობა ხოლმე ისეთ უღირს კაცს, რომელიც ადვილად ითრევს მას მდუღარე მორევში. მრავალწლოვანი მისი გამოცდილება თავმდებია, რომ იგი მოერიდება ასეთებს, მით უმეტეს, რომ მის გარშემო ტრიალებენ ისეთი პირები, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, იროდიონ ოქროპირიძე და სხვ. სახელოვანი მოღვაწეები.

პატრიარქი კირიონი უფრო მეცნიერებაზე თავს სდებდა და ვერ შეჰქმნა თავის გარშემო სააღმშენებლო წრე, ლეონიდი კი უმეტესად პრაქტიკის, საქმის კაცია და, არ ვეჯავრებთ, სახელოვნად გაუძღვება ამიერიდან მისდა მიბარებულ მშვენიერ სამწყსოს. გაუმარჯოს!"

მეტად რთული იყო უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდეს პერიოდის საქართველოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობა. 1919 წლის ოქტომბერში უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე მიტროპოლიტ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის თანხლებით სოხუმში ჩავიდა. ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი, რომელთაც მიესალმა და აღნიშნა, რომ ბედნიერება ხედათ წილად, რომ ემსახურონ თავიანთ სამშობლოს. 21 ოქტომბერს მისი უწმიდესობა ესტუმრა ახალი ათონის მონასტერს, სადაც პარაკლისი გადაიხადა. 22 ოქტომბერს სოხუმში გაიმართა ეპარქიის კრება, რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენელნი. კრებაზე გაიმართა დისკუსია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემებზე. უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდემ საკათოლიკოსო საბჭოსა და თავისი სახელით განაცხადა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყველაფერს გააკეთებდა ეპარქიის აღორძინებისათვის. უწმიდესი ლეონიდესათვის ნათელი იყო, თუ რა რთულ პირობებში მოუწევდა საქმიანობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ათეისტური იყო და დედა ეკლესიისადმი მისი დამოკიდებულება ოფიციალური და ცივი იყო. ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ პრობლემებს კარგად ასახავს უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილი წერილები.

„ძვირფასო მამულიშვილო, ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ, ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი უცილებელი მოვალეობა მაიძულებს წაგართვათ რამდენიმე წამი ძვირფასი დროისა, რომელიც თქვენ ჩვეულებრივად ანდომებთ საქვეყნო დიადი საქმეების მოწყობა-მოგვარებას. მე მაინც ნებას არ მივცემდი ჩემს თავს შემეწუხებინეთ, რომ ჩემ მიერ წამოსაყენებელი საკითხების მართებულ გადასაწყვეტ გზას ვხედავდე გარეშე თქვენი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა- სიბრძნისა...

1. პირველი რაზედაც თქვენს ყურადღებას მივიქცევ, არის სასულიერო წოდების ყოფილი სასწავლებლების ქონება შენობები, რომელიც გადაეცა სახალხო განათლების მინისტრის გამგეობაში, მაგრამ ჩვენ ვარაუდობდით, რომ არავინ შეავიწროებდა სასულიერო წოდებას. ახლა განათლების სამინისტრომ ხელი ჩაჰკიდა ყველაფერს და ჩვენ სასულიერო უწყების როგორც კანონიერ მფლობელებს გვაგზავნის სასამართლოში, იქ დაგვიმტკიცეთ ოფიციალური საბუთების წამოყენებით რისი პატრონებიცა ხართო. სამწუხაროა, რომ სამინისტროს პატრონობის ჟამს დაიკარგა სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის პანსიონატის ქონება. დასასრული აღარ აქვს სამინისტროს უსამართლო მიწერ-მოწერას ჩვენს უწყებასთან პროვინციის რწმუნებულის თაობაზე. აუტანელი ხდება ასეთი ძალმომრეობის დათმენა. სამღვდელოება უსათუოდ შეებრძოლება სამინისტროს იმ წარმომადგენლებს, რომელნიც მის დაჩაგვრას მოინდომებს. ეს კი ხალხის თვალში სახელს გაუტეხავს როგორც სამინისტროს, ისე მთლად საერო მმართველობას.

2. ამგვარსავე უსამართლობას ითმენს სასულიერო უწყება მიწათმოქმედების სამინისტროსაგან, რომელმაც ეკლესიებს ჩამოართვა მიწები, გლეხები, სათიბები, წისქვილები, ტყეები... ვერ გაგვიგია, რათ დაგვაყენეს კანონის გარეშე? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ თუ მიწა არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავით-გარეჯას, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას? რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს ჩვენი ბერების შიმშილისაგან გაწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით? უსამართლობაა

რკინიგზაზე მღვდლის თანამდებობის გაუქმება,ჩვენ მთავრობას თავის ბოლოდროინდელ დეკლარაციაში შეუტანია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. შეიძლება ეს კარგიც იყოს, თუ დაცული იქნება სამართლიანობა. საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰფრიალებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება.

საქართველოს ეკლესიას მოეპოვება კეთილი შენაძენი საკუთრება, რომელსაც ხელს უპოტინებდნენ რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობანი... დღეს დამოუკიდებელნი ვართ, რუსეთისაგან,მაშასადამე მარჯვე დრო გვაქვს აღვადგინოთ მშობელი ეკლესიის ქონობრივი უფლებების აღდგენა-ხელშეუხებლობისა. ახლა თვითონ ჩვენმა მთავრობამ უნდა საქმით დაუმტკიცოს კაცობრიობას სრული სამართლიანობა, ღირებული ფასის გაღებით შეისყიდოს ეკლესიისაგან მისი უძრავი ქონება და სრული მშვიდობიანობით განცალკეედეს მისგან.

ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც, საჭიროა სამართლიანობა და ჩვენს მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან და სხვა არაფერს.

ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ განვლო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე განუწყვეტლივ დავდიეარ საქართველოს მთა და ბარში სახარების სიტყვისა, ჰუმანიტარული სწავლა-განათლებისა და ეროვნული შეგნების ხელგაშლით საფრად ქართველი ერის მაშერალთა კლასის ფართო წრეებში. პირველად მე წავაკითხე„„დედა ენა" მთის შვილებს და პირველად მე ავამღერე მშობლიურ ჰანგზე დაბეჭდილები ჩემი მოძმენი. დღევანდლამდე ვცხოვრობ მხოლოდ იმისათვის, რომ შევიძინო და რამე შევმატო სათაყვანო სამშობლოს. ეს იყო და არის ჩემი სუნთქვა, ჩემი განუშორებელი ზრახვა, ჩემი ერთადერთი ლხინი და უაღრესი ბედნიერება. სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურს ვანაცვალე ყველა ის, რითაც კი საამო და საინტერესოა სხვისთვის წუთისოფელი. მომძმეთა გარდამეტებული სამსახურის გამო სავსებით დაეიწყებული მქონდა და მაქვს ჩემს პირად არსებობაზე ზრუნვა.

დღესაც ამ კერძო წერილს გწერთ. მხოლოდ სამშობლოს ერთგულებას ექნება რაიმე შედეგი ჩემს ნაწერს თუ არა დამოკიდებულია თქვენზე. მე კი ამით თავისუფალი ვიქნები მომაეალში როგორც საზოგადოებისაც თქვენს წინაშე ყოველი პასუხისმგებლობისაგან. სამწუხაროდ მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხოდ დატოვა პატრიარქის თხოვნა, ამიტომ უწმიდესმა ლეონიდემ განმეორებითი წერილით მიმართა მას.

1919 წ. 5 მაისი

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ!

განელილი მაისის ნახევარში ვიკადნიერე თქვენი შეწუხება ჩემთვის აუდიენციის მიღებით თქვენთან პირადად და სხვადასხვა საეკლესიო საკითხებზე სათათბიროდ. როგორც მოსალოდნელი იყო პატივი დამდეთ, მიღების საათი დამინიშნეთ და გულმოდგინებითაც მოისმინეთ ჩემი სიტყვიერი ერცელი მოხსენება.

მომახსენეს, რომ სულ ახლობელ მომავალში ისმინება საკითხი მონასტრებისათვის მიწების დატოვებისა კერძო მესაკუთრეთათვის მიღებული ნორმითაო და ჩემთანვე უბრძანეთ თქვენს მდივანს ამის თაობაზე შესაფერისი ქაღალდის გამზადება.

მას უკან აგერ თვე გადის და დღევანდელობამდე ამ საკითხისა არა ვიცი რა, მონასტრების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება: ბერები ზოგნი შიმშილისგან იხოცებიან და ზოგნიც რაკი არაფერს საიმედოს აღარა ხედავენ გარშემო, გარბიან მონასტრებიდან და ამის გამო საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებულნი, ხდებიან მგლების და ტურების საცხოერებელ ბუნაგებად. მორწმუნენი აღარაფერს სიკეთეს აღარ გამოელიან მთავრობისაგან და გამწარებულნი ტოვებენ მონასტრებს.

ამის გამო, რადგანაც საქმე აღარ ითმენს გაგრძელება-გადადებას და მეტად რთულდება, უმორჩილესად გთხოვთ შესაძლო სიჩქარით ინებოთ ბრძანების მიცემა, ვისდამიც ჯერ არს, რათა მიწის მიმღებმა კომისიებმა... ვსასოებ, რომ ამ თვის 16-მეტს მისცეთ სასურველი მიმართულება ჩემს შუამდგომლობას.

1919 წ. 9 იუნისი".[35]

უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდემ გულთან ახლოს მიიტანა 1920 წელს გორში დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული ტრაგედია და მიმართა სრულიად საქართველოს.

„კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, მონა და მსახური უფლისა იესო ქრისტესი, ღვთივკრძალულთა მღვდელმთავართა, მღვდელთა და მორწმუნეთა ძეთა და ასულთა საქართველოს წმინდა ეკლესიისათა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მდგომარე წლის თებერვლის ოცი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დარჩება საუკუნეთა განმავლობაში წაუშლელ ნიშნად უღრმესი ეროვნული უბედურებისა და საშინელი ღვთის რისხვისა! ამ დღეს ჩვენში არ-გაგონილი სიმძლავრის მიწისძვრისაგან მოისპო და საკუთარ ნანგრევებში ჩაიმარხა ქართლის გული ქ. გორი და მისი მაზრის ჩვიდმეტი სოფელი. მე ვინახულე ეს საშინელების ალაგი. დავრწმუნდი, რომ სინამდვილე ბევრად აღემატება გაზეთებში აღწერილ სურათს. ხალხის თავზე დატეხილ უბედურების გამოთქმა შეუძლებელია ჩვენი ენითა და ცრემლით. უძლეველ სტიქიურ ძალას მტერად უქცევია ყველაფერი, რის შექმნისა და მოპოვება შეძენისათვის შეულევია თვითოეული ოჯახის წევრს თაეისი მხნეობა, ცოდნა და გამოცდილება. ესეც ცოტაა: ნანგრევებს ქვეშ მოუქცევია და უფსკრულის ძირში ჩაუნთქავს ოჯახების ამშენებელნი, მარჩენელნი, მომავლის იმედნი: ვაჟკაცნი, ყრმანი და მოხუცნი! ზოგიერთი ოჯახი მთლად მოსპობილა, ზოგიდან ერთიღა დარჩომილა, ზოგნი თუ სასწაულებრივი ძალით ცოცხლები გადარჩენილან, ნამეტანი შიშისაგან ჭკუაშეშლილად გამოიყურებიან და დედას შვილი ვერ უცვნია.

უჭეროდ და უკერძოდ დარჩომილებს თაეი შეუფარებიათ მთავრობისაგან მიწოდებულ ტილოს კარვების ქვეშ. რომელ კარავთანაც კი მიეედი ნუგეშის-მისაცემად, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ყველამ ხელების აპყრობით, ერთხმად, ცეცხლის ცრემლების ფრქვეეით შემომტირა: „მამაო, გეიშვეელე, შეგეიბრალე, შეგეავედრე უფალს, ნუღარ დაგესჯის, ნუღარ გეკითხავს ცოდვებს, აღარა ვართ ღირსნი მისი შვილობისა, მაგრამ შემოაბრუნებიე მას ჩვენზე მამობრივი გულიო!"

თანაძმანო და თანამსახურნო, მწყემსმთავარნო და მწყემსნო" სულიერნო ძენო და ასულნო! ბეჯითად და გულმოდგინედ შეუსრულოთ უბედურებაში ჩაცვენილ ჩვენს ძმებს და შვილებს მათი პირველი და მდუღარე ცრემლებით ჩვენდამი მომართული ვედრება: ყველა ქალაქში და დაბა-სოფელში გადავიხადოთ სასინანულო სავედრებელი, შემუსვრილი გულით შევაეედროთ ზეციერ მამას მიწისძერისაგან გაჭირეებაში მყოფნი და შვილებრივი კადნიერებით გამოეთხოეოთ მას მთელი ჩვენი ერისათვის მშვიდობა, სიმრთელე და ხსნა სიმშილისაგან, ძერისა და სერისა! ამ ტეხა-სიცივის დროს ტილოს კარვების ქვეშ მყოფთ ესაჭიროებათ საზრდოც და შესამოსიც. ღმერთმაც უწყის და ქვეყანამაც, რა ხელმოკლეობას და ნაკლუვანებასაც განიცდის ჩვენი სამღვდელოება, მაგრამ მიწისძერისაგან დასჯილები სულ უსახსრონი არიან, ამიტომ გთხოეთ და გევედრებით მღვდელმთავრებს და მღვდლებს, მშიერებს ლუკმა გაუყოთ, თავზედ მეხდატეხილ ჩვენს ძმებს გაცრეცილი ანაფორებით შეუმოსოთ ყინვისაგან გათოშილი სხეული და ჩვენი ხელით მოეწმინდოთ მწუხარების ცრემლი. ეკლესიებში, ოჯახებში, გზებზე და ყველგან გვახსოვდეს გაჭირეებულთა მდგომარეობა, თვალწინ გვედგას მათი მწუხარება და ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა სულისა და გულისა, მიმართული გვქონდეს მათ ტანჯვათა შესამსუბუქებლად, ნუ დავზოგავთ და ნუ დავიშურებთ მათ მისაწედენად ნურაფერს, რაც კი მოგვეპოვება.

სულიერნო ძენო და ასულნო! დღეს დიდმარხეის პირეელი კეირიაკეა. ყველანი

ემზადებით, რომ ეზიაროთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ქრისტე კი, მიწისძერისაგან უბედურებაში ჩაცვინულთა სახით, მწვაევე ცრემლებით გეევდრებათ ქალსა და კაცს შებრალება-გაკითხვას. მაშ, ეზიარეთ, ძვირფასნო, ნამდვილად თქვენი მაცხოვრის სისხლასა და ხორცს, გაიკითხეთ, რითაც კი შეგიძლიათ უბედურობაში ჩავინულნი თქვენი მოყვასნი, მიეცით მათ საზრდო და საკევები, აუშენეთ განადგურებელი ბინები, მოჰბანეთ მათ მწუხარების ცრემლები და ამით თქვენც ჩამოგეხდებათ ზეციერი მამისაგან თქვენი ცოდვების მძიმე ტვირთი.

ჩვენი ქეყნის დიდო იმედო, ქართველო ახალგაზრდობავ! სიყვარული, თანაგრძნობა და სიკეთისათვის თავდადება შენი ბუნებაა. შენ უნდა შენი გმირული მკერდით შეიჭრა იმ უბედურების ზღვაში, რომელმაც წალეკა გორი და მისი მიდამო, შენ უნდა შენი უთვალავი გუნდებით ტარბისებრ მოედო სტიქიისაგან აოხრებულ კუთხეს და შენი მადლიანი მკლავით ისევ აამოძრავო ყველგან სიცოცხლე, აანთო გამქრალი კერა და ისევ აამღერო საზარელი მოვლენისაგან თავზარდაცემული შენი თანამძმები. იცოდე, ეხლა შენკენ აქვს მოპყრობილი თვალი დანგრეულ გორს და მის მიდამოს!

შვილნო! დაუმტკიცეთ კაცობრიობას, რომ ეიცით თანამძმათა უბედურების გაზიარება და ღირსეულად ეატარებთ ღეთის ხატებასა და მსგავსებას.

შეწირულება გროვდება საკათოლიკოსო საბჭოში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე".[36]

კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მმართველობის პერიოდში მოხდა მეტად შემაშფოთებელი ფაქტი: გელათისა და ჯრუჭის მონასტრის განძეულობის ჩამორთმევა და მათი სახელმწიფოს ხაზინაში გადატანა. გაზეთმა „საქართველომ" 1920 წლის №169-ში გამოაქვეყნა გელათის მონასტერში მომხდარი ამბები, რითაც საზიოგადოება გაეცნო საქმის ეითარებას: „ნოემბრის 24-ს, მისმა უწმინდესობამ კათოლიკოსმა ლეონიდემ ასეთი ხასიათის მოულოდნელი დეპეშა მიიღო ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისაგან: „23 ნოემბერს, თბილისიდან ჩამოსულმა მთავრობის წარმომადგენელმა ნ. ჟორდანიას პირადმა მდივანმა გ. ცინცაძემ, ადგილობრივი პროკურორის, ერობის თავმჯდომარის და მილიციის უფროსის თანხლებით, ჩემდა ნებადაურთველად და დაუკითხავად წაიღო გელა თის მონასტრიდან ძვირფასი ხატები და განძეულობა ამა მონასტრისა და ჯრუჭისა, გაენათის მონასტერში დაცული, დაწერილებითი მოხსენება იგზავნება."[37] ამ ცნობის მიღებისთანავე მისმა უწმინდესობამ მთავრობის თავმჯდომარეს დაუყონებლივ გაუგზავნა შემდეგი ტელეგრამა: „მოწყალეო ბატონო, ნოე ნიკოლოზის ძევ! – ქუთათელ მიტროპოლიტისგან მომივიდა შემაძრწუნებელი დეპეშა (მოყვანილია ზემოთ მოყვანილი ცნობა). გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, პატივისცემით გთხოვთ, მოწყალეო ბატონო, გასცეთ განკარგულება ნივთების გელათშიეე დატოვებისათვის."[38]

ამ მიმართვაზედ მისმა უწმინდესობამ მთავრობის თავმჯდომარის სამმართველოდან შემდეგი პასუხი მიიღო: „პასუხად თქვენი ტელეფონოგრამისა, მთავრობის თავმჯდომარის დავალებით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება საგანგებო რწმუნებული, რის შემდეგ დაწერილებით გეცნობება ყველაფერი გელათის მონასტრის განძეულობის შესახებ – მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე."[39]

აღნიშნული სახით, კათოლიკოს-პატრიარქმა მთავრობის თავმჯდომარისაგან მიიღო დაპირება, რომ თავის დროზე ყველაფერს აცნობებდნენ. მიუხედავად ამისა, არაფერი აცნობეს. როდესაც ამ რწმუნებულმა მთელი განძეულობა გამოიტანა მონასტრიდან და დაბრუნდა თბილისში, კათოლიკოს-პატრიარქმა მიწერა წერილი მთავრობის თავმჯდომარეს:

დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ბატონმა ჯაფარიძემ ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და მაშინ დაწერილებით გეცოდინებათ გელათის ამბებიო". დღეს დეკემბრის 5-ს, თქვენი რწმუნებული, კარგა ხანია, დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გაეხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა! დღეიდან

ეს ცნობები აღარ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულათ თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად და ვერ გამიგია, ვერ მივხვედრილვარ, ვერ გამოვკრეულვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი. უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალდემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთები არ გამოგადებათ, რადგანაც დღეს ჩვენში სამი წლის ბავშვმაც კი კარგად იცის, რა ღირებულების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში. დავანებოთ ამას თავი, წარმოვიდგინოთ შეუძლებელი, დავიჯეროთ, რომ სოციალისტების გაზეთში მოყვანილი შემთხვევები გელათის გაძარცვის შესახებ და ქუთაისის მილიციის უფროსის მოხსენებაც ვითომდა ნაქურდალის აღმოჩენაზე სინამდვილეა, მერე ეს გარემოება გიკარნახებდათ იმ სახიფათო ნაბიჯის გადადგმას, რომელიც თქვენ გადაგიდგამთ? განა თქვენ გჭონდათ უფლება, თუ თქვენს გარდა უფლებას სხვებსაც არგუნებთ, რომ მონასტრის გაძარცვის ამბავი იმაზე დღეს არ შეგეტყობინებინათ საკათოლიკოსო საბჭოსათვის ბეჯითი მოთხოვნით, რომ მას დაუყოვნებლივ მიეღო ფიცხელი ზომები ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოსარკვევად და შედეგები ძიებისა ეცნობებია თქვენთვის!

საკათოლიკოსო საბჭო ხომ ჩვენი რესპუბლიკისაგან ჯერჯერობით ცნობილი და შეწყნარებული უზენაესი საეკლესიო ორგანოა და რომელი უფლებამოსილებით ამ ორგანოს გაუსვით განადგურების ხაზი?

მეორე, ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამათმთავრისა და დროული ხაზოგადო მოღვაწისა, საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარიეთ მთელოთ და ჩემდა სრულებით დაუკითხავად ზიდოთ ტომრებიდან თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში ვითომდა დასაცველად სასწაულთმოქმედი ხარები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსლები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა. არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არა დამიკარგავს, და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა ასეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ეხებიან მათ, მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვამოწიწებითი ამბორისყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით. მესამე, განა თქვენ გჭონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხავად ქუთაისის ეპარქიარული მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობადაკარგულ, საეჭვო პირად! მეოთხე, თქვენ შეუფერხებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სვინდისი, იმ ხალხისა რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალო საინების მსგავსად, თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს თქვენის მხრით სხვისი სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს?! სასტიკად სცდებით.

გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც თუ ეხლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭიაკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არემარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე

ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი სჯულის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებს და ყურანს?

თქვენ გაგეცინათ ამაზე, მაგრამ მოგახსენებთ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარსა და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მეწურება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო საეალალო შედეგებს და სამშობლოს სახელით გემუდარებით, ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო განძეულობის გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავისთავად მიჩუმდება, თორემ იცოდეთ, საესებით გამომჟღავნდება ხალხში თქვენი განკარგულებისა – ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდება მისი საკუთრება, ვერც მე შემიძლია გაჩუმება და იმ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას.

თქვენთვის უცნობი არ არის წმინდა წყლის ქართლური დიდი მოთმინება და მოკრძალება, არასოდეს ამ ენითა და კილოთი არ მილაპარაკნია თქვენთან. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა ღალატი, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე.

თქვენგან უსამართლოდ უფლებააყრილი, შეურაცხყოფილი კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე.“

ბატონმა ნოე ჟორდანიამ არც ამ წერილს გაუწია არავითარი ანგარიში და მაშინ, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე საკათოლიკოსო საბჭოს და მცხეთა-თბილისი-ურბნისის საეპარქიო დელეგატთა თანხლებით თვით გაემართა მთავრობის თავმჯდომარესთან. ამ დარბაზობის დროს ადგილი ჰქონდა ასეთ დიალოგს, რომელიც ჩვენ სტენოგრაფიული სისწორით მოგვყავს: მისი უწმინდესობა: ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ!

თქვენს წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღმრთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინედ დასრულებული მცხეთა-თბილისი-ურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ განგიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში, ვითომდა დასაცველად, ჯვრები, ხატები, წმინდა ნაწილები და სხვა. 25 ნოემბერს ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის, თქვენ აღმითქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ. მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული დიდი ხანია დაბრუნდა თბილისში. ამის გამო მე გიცხადებთ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას.

მთავრობის თავმჯდომარე: მე ვსწყვეტ ამ სხდომას, ამ კილოთი ლაპარაკს და გულისწყრომას მე, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ვერ მოვისმენ. ამას მე ვაუწყებ მთავრობას.

მისი უწმინდესობა: ჩვენ სწორედ იმისათვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკან დაბრუნება. მთავრობის თავმჯდომარე: საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსაგან გამოუყოფელია, ვერც შეექმნით სახელმწიფოს სახელმწიფოში. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... უნდა იცოდეთ, ვისთან მიდიხართ...

მისი უწმინდესობა: თქვენ უფლება გაქვთ, ციხეშიდაც ჩამსვათ, მე ვასრულებ ჩემს საღრმთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სთვლით სახელმწიფო საკუთრებად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მთავრობის

თავმჯდომარე: კარგად ბრძანდებოდეთ"[40] ყოველივე ამის შემდეგ მთავრობამ ქუთაისში გაგზავნა საგანგებო რწმუნებული, რომელთაც დაავალა დაუყოვნებლივ ჩამოიტანონ თბილისში გელათის და ჯრუჭის მონასტერთა მთელი განძეულობა.

როგორც კი საზოგადოებაში ხმა გავრცელდა ამ აღმაშფოთებელი ამბავის შესახებ, კათოლიკოს-პატრიარქი ინახულეს მრავალმა საზოგადო მოღვაწემ და აღშფოთება განუცხადეს მას მთავრობის მოქმედების გამო.

„ეკლესიას ყველაფერი ჩამოართვეს, რაც რუსეთის სასულიერო მთავრობამ დააკლო ჩვენს უბედურ ეკლესიას,ის საერო მთავრობამ შეუსრულა,ფეხქვეშ გათელეს ნაამაგარი ქართველი ერისა და კულტურის აღმზრდელი დედა ეკლესია" — წერდა დანანებით დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. ასეთი რთული ურთიერთობის მიუხედავად როდესაც ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები მოუახლოვდნენ დედაქალაქს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური უყოყმანოდ დადგა ხელისუფლების მხარეზე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე".[41]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა და რელიგიის შესახებ მიღებული კანონით იგი გაუთანაბრა საქართველოს მომქმედ სხვადასხვა კონფესიების „ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან,რადგან მან კარგად უწყოდა ეკლესიის დიდი ისტორიული ავტორიტეტი ქართველ მოსახლეობაში, რომლის ძირითადი ნაწილი ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფოში გატარებული რეფორმის წინააღმდეგი შეიძლებოდა გამოსულიყო". ერთადერთი დადებითი რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა ეს იყო 1920 წლის 17 თებერვლის მთავრობის დადგენილება კაეკასიის სინოდალური. კანტორის გაუქმების შესახებ, ხოლო 7 აგვისტოს დადგენილებით რუსული, ბერძნული და ოსური სამრეველოები დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიას. ამით დასრულდა სამწლიანი გაურკვეველობა, ურთიერთდაპირისპირება და ინტრიგები, რომელსაც მიმართავდა რუსეთის სინოდი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ,როცა მათ დაარსეს ამიერკაეკასიის საეგზარქოსო და მასში გააერთიანეს არაქართული მრეველი. ისინი ედავებოდნენ საქართველოს საკათალიკოზოს ქონებას, ეკლესია-მონასტრებს. მართალია ოფიციალურად 1920 წლიდან ისინი იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზპატრიარქს, მაგრამ 1921 წლის თებერვლის შემდეგ როცა საქართველო კვლავ რუსეთის საოკუპაციო ჯარებით აივსო რუსული სამრეველოები კვლავ დაუპირისპირდნენ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს და აღარ ემორჩილებოდნენ მას. რა თქმა უნდა მათ უკან ისევ რუსეთის ეკლესია იდგა.

1921 წლის 11-12 თებერვალს ვითომც „აჯანყებული მშრომელების" დასახმარებლად საქართველოს საზღვრები გადმოლახა ბოლშევიკური რუსეთის XI არმიამ. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამშობლოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დადგა. 1921 წლის 21 თებერვალს თბილისში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე და სპეციალური წერილით მიმართა მცხეთა-თბილისის,ურბნისის,ქუთაის-გაენათის, ჭყონდიდისა და ცხუმ-ბედიის ეპარქიებს: „1. ეკლესიებში დაუყოვნებლივ გადახდილ იქნას პარაკლისები მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის; 2. ეკლესიებში წინამძღვრების მიერ განმარტებულ იქნას დღევანდელი ომის მნიშვნელობა; 3. სამრეველო საბჭოების მიერ გადადებულ იქნას ეკლესიის ქონებისგან შეწირულებანი ომისაგან გამოწვეული საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 4. მათ მიერ მიღებულ იქნას ზომები ტაძართა განძეულობისა და სიწმინდეთა დასაცავად; 5. იმავე საჭიროებისათვის წირვა-ლოცვის დროს შეკრებილ იქნას ნებაყოფილობითი შეწირულობა; 6. კრებულის წევრთა მიერ მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ჯარში გაწვეულთა ოჯახების სულიერ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად".[42]

საკათალიკოზო საბჭოს წერილით მიმართა უწმიდესმა ლეონიდემ 1921 წლის 22

თებერვალს, სადაც უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: 1. სად და როგორ იქნას დაცული ომისაგან მოსალოდნელ საშიშროებისაგან სოფლებისა და ქალაქის ეკლესიების განძეულობა და სიწმინდე? 2. სად იქნას დაცული საკათალიკოზო საბჭოს ქონება და არქივი? 3. როგორ შეიცვალოს ეკლესიის მართვა-გამგეობის წესები ამ შიშიანობის ჟამს? 4. როგორ მოვიქცე პირადად მე, ვინიცობაა ჩვენმა მთავრობამ მოახდინოს ქალაქის ევაკუაცია? 5. რა ზომების მიღებაა საჭირო საკათალიკოზოში ომისაგან შექმნილი არაჩვეულებრივი პირობების გამო".[43]

საქართველოს ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საკითხს, როცა მთავრობამ მიიღო თბილისის დატოვების გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის, ძვირფასი ხატების თბილისის ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანისა და ქუთაისში ევაკუაციის შესახებ. ამავე დროს მან თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო დაცვა რკინიგზაზე განძეულობის უსაფრთხოდ გადატანისათვის. საკათალიკოზო საბჭოს სპეციალური რწმუნებით აღიჭურვა ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) და არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), რომელნიც პასუხს აგებდნენ განძის უსაფრთხოებაზე. უწმენდისმა ლეონიდმა ასეთი წერილით მიმართა დიმიტრი ლაზარიშვილს: „მამაო დიმიტრი, მთავრობა მზად არის მოგვცეს მცენელები და გადავიტანოთ რკინიგზით ჩვენი განძეულობა ქუთაისში. თუ ჩვენ ყველა ამას მივიტანთ ვაგზლამდე. აბა დატრიალდი იშოვე რამდენიმე ურემი და ჩაბარე რკინიგზაზე. რაც შეიძლება ჩქარა".[44] 24 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდმაც დატოვა თბილისი და ქუთაისში წავიდა, ხოლო საკათალიკოზო საბჭოს დროებითი თავმჯდომარის მოვალეობას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ასრულებდა. როცა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის და ამავე დროს საქართველოს ეროვნული სიწმინდეების, განძის წაღების შესახებ, ეს იყო თავზარდამცემი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდისათვის. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 11 მარტს, განძეულობით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი" ბათუმიდან გაიდა. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნატარესი ლეონიდი 13 აპრილს თბილისში დაბრუნდა... აღარც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარც საეკლესიო სიწმინდენი, პატრიარქი თითქოს უცხო ქალაქში დაბრუნდა გაპარტახებული ქუჩები, დაღვრემილ-გატანჯული ქართველობა და გახარებული უცხო ტომელნი. ასეთი გამხდარიყო ქართველთა დედაქალაქი... „ახალმა ხელისუფლებამ პირველი სიურპრიზი დაახვედრა მას. საპატრიარქოს ჩამოართვა ერთადერთი ავტომობილი... წინ კიდევ ბევრი უსიამოვნებანი იყო მოსალოდნელი".[45]

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ". დადგენილების მუხლებში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ თითოეული პიროვნების საქმეა იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია, რომ სარწმუნოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა არავის, სკოლა გამოყოფილია ეკლესიისგან, საერო სასწავლებლებში იკრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება. განსაკუთრებით საგანგაშო იყო დადგენილების მე-14 და მე15 მუხლები. „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად". ამ დეკრეტით ფაქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ ცხადდებოდა. ბოლშევიკები არ მალავდნენ ეკლესიისადმი თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, ისინი რელიგიას „ხალხის ოპიუმს" უწოდებდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ: საზოგადოება რაც მალე გათავისუფლდებოდა ამ „სენისაგან", მით უკეთესი. თბილისში გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა, ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. მისი მსხვერპლი გახდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი (ოქროპირიძე), რომელიც იყო თვალსაჩინო

საეკლესიო მოღვაწე. იგი სამართლიანად აღნიშნავდა: „ჩემმა ხანგრძლიემა სიცოცხლემ განვლო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე... სამშობლოს კეთილდღეობას ვანაცვალე ყველა ის, რითაც კი საამო და სანეტაროა სხვისთვის წუთისოფელი“. 11 ივნისს გარდაცვლილი პატრიარქის ნეშტი 17 ივნისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. რა დრო მოვიდა, სწორედ ის ხალხი იყო ხელისუფლების სათავეში, რომელთა შესახებაც უწმიდესი ლეონიდი ბრძანებდა: „სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარეშესი და არა შინაურისა ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას.

ეპისკოპოსმა პიროსმა საქართველოს რევკომს ასეთი დეპეშა გაუგზავნა: საკათალიკოზო საბჭო გაცნობებთ, რომ მიმდინარე თვის 11 ნაშუადღევს, 5 საათზე ღვთივმიიცვალა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი. დაკრძალვა მისი გვამისა დანიშნულია კვირას 17 ივლისს სიონში“.[46] მისი დაკრძალვა არ მომხდარა დიდი ამბით,ვერავინ ვერ გაბედა ღირსეული სიტყვით უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა მამულისათვის დამაშვრალი. ზაქარია ჭიჭინაძეს მოუმზადებია გამოსათხოვარი სიტყვა, მაგრამ წაკითხვა ვერ მოუხერხებია, მისი აზრით „ლეონიდი იყო საქართველოს ეკლესიის მამამთავარი და თავი, იგი იყო ღირსეული მამულიშვილი, ქართველი პატრიოტი და ყველა ამასთან უღრმესი მოქალაქე და გულშემატკივარი საქართველოსი... კირიონი და ლეონიდი ქართულ ეკლესიას ანათებდნენ ცხოველსმყოფელი შუქით“. უწმინდესი ლეონიდის დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს დამკრძალავ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ასათიანი და ნიკიტა თალაკვაძე, მიმართა თხოვნით დავით ოქროპირიძემ და მარიამ კარიჭაშვილმა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ უწმიდესი ლეონიდის ნეშტი დაეკრძალათ შიო მღვიმის მონასტერში, მაგრამ კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, ფ. 715;
2. იქვე, ფ. 175;
3. იქვე, ფ. 1202;
4. იქვე, ფ. 1209;
5. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის ქართველი მღვდელმთავრები", თბილისი, 2010 წ. გვ. 53;
6. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.)", თბილისი, 2000 წ. გვ. 4; 7. იქვე, გვ. 5;
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი 54, დოკუმენტი 1213;
9. იქვე, დოკუმენტი 1222;
10. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის ქართველი მღვდელმთავრები", თბილისი, 2010 წ. გვ. 55;
11. იქვე, გვ. 55;
12. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.)", თბილისი, 2000 წ. გვ. 9;
13. იქვე, გვ. 10;
14. იქვე, გვ. 11; 15. იქვე, გვ. 11;
16. იქვე, გვ. 11;
17. იქვე, გვ. 10;
18. სერგო ვარდოსანიძე. „XX საუკუნის ქართველი მღვდელმთავრები", თბილისი, 2010 წ. გვ. 57;
19. იქვე, გვ. 58-59;
20. გაზეთი „საქართველო", 1917 წ. №61;
21. სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ." თბილისი, 2001 წ. გვ. 16;
22. იქვე, გვ. 19;
23. იქვე, გვ. 20;
24. იქვე, გვ. 21;
25. იქვე, გვ. 21;
26. იქვე, გვ. 22;
27. იქვე, გვ. 22;
28. ჟურნალი „სვეტიცხოველი", 1917 წ. №1;
29. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.)", თბილისი, 2000 წ. გვ. 14;
30. საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტრ ოპოლიტ ლეონიდეს ფონდი №25, საქმე 5;
31. გაზეთი „საქართველო", 1918 წ. №28;
32. საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, საქმე 6468;
33. სერგო ვარდოსანიძე. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.)", თბილისი, 2000 წ. გვ. 15;
34. საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, საქმე 6468;
35. საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი 6443, გვ. 1-3;
36. იქვე, გვ. 4-2;

37. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2009 წ. გვ. 100;
38. იქვე, გვ. 101;
39. იქვე, გვ. 103;
40. იქვე, 102-103;
41. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013 წ. გვ. 48;
42. სერგო ვარდოსანიძე. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ." თბილისი, 2001 წ. გვ. 44;
43. იქვე, გვ. 45; 44. იქვე, გვ. 45;
45. იქვე, გვ. 45; 46. იქვე, გვ. 46. გვ. 44;
43. იქვე, გვ. 45; 44. იქვე, გვ. 45;
45. იქვე, გვ. 45;
46. იქვე, გვ. 46.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი
(1921-1927 წ.წ.)



უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი.

საერო ცხოვრებიდან სასულიერო იერარქიამდე

XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორი რთული წინააღმდეგობრივიც იყო გასული საუკუნის პირველი მეოთხედი საქართველოსათვის, ასეთივე მძიმე იყო იგი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსისათვის. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ წლებში, როცა ბოლშევიკების მიერ ოკუპირებულ და საშინელი რეპრესიების დროს ღვთის განგებამ მას არგუნა ყოფილიყო სულიერი წინამძღოლი ქართველი ხალხის, ქართული ინტელიგენციის, არისტოკრატიისა. მან უშიშრად იტვირთა ქართველი ერის სულიერი გაძლიერების მისია და თავისი თავის მსხვერპლად მიტანით გაადაარჩინა საქართველოს თავისუფლების იდეა, მისმა თავდადებამ თვით ურწმუნო ადამიანებშიც კი დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმკვიდრა.

უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია დაიბადა 1861 წლის 7 ოქტომბერს მარტვილში.

1871-1873 წლებში სწავლობდა ოჩამჩირის პირველდაწყებით სკოლაში, ხოლო 1873-1879 წლებში მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. ეს იყო დრო, როდესაც რუსეთის ხელისუფლება აქტიურად შეუდგა თავისი ვერაგული ზრახვის, ქართველთა დენაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას, ეს ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობოდა აფხაზეთში. ჭაბუკმა ბესარიონ ხელაიამ თავის თავზე იწვნია რუსეთის ველიკოდერჟავული პოლიტიკის ვერაგობა. უკვე იკვეთებოდა ქართველთა და აფხაზთა შორის გაუცხოების ტენდენცია, ქართველობა საკუთარ სამშობლოშივე დევნილი იყო. შედარებით უკეთესი ვითარება იყო მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იყვნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომელნიც მოსწაელეებს გატაცებით უამბობდნენ საზოგადოებაში უკვე დავიწყებულ ქართველ მეფეებზე, ქართველ გმირებზე, ქართველ წმინდანებზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძის მიერ დაწყებული ქართველი ერის დიდი გამოღვიძების სიო პროვინციებშიც იგრძნობოდა.

1879 წელს ჭაბუკი ბესარიონ ხელაია ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. საქართველოს ყოფილ დედაქალაქ XIX საუკუნეში ამიერკავკასიის ცენტრად წოდებულ თბილისს უჭირდა ქართული ქალაქის სახის შენარჩუნება. თბილისში 11 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოერობდა, მათ შორის 21% ქართველი, 37%-სომეხი, 30%-რუსი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები (1,29). 1866 წელს ქალაქში შემოღებულ იქნა თვითმმართველობა ქალაქის თავად არჩეულ იქნა გენერალი არწრუნი, მაგრამ თბილისში მოღვაწეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი. აქვე ფუნქციონირებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება," გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის „იეერია", სერგეი მესხის „დროება", მიმდინარეობდა პოლემიკა ქართული ბანკის გამო. ქართველი სამღვდელოების მოწინავე ნაწილი უკვე აღარ ერიდებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე საუბარს. თვით სასულიერო სემინარიაში კი სულისშემხუთველი, შოვინისტური ატმოსფერო იყო გამეფებული. ქართველი პედაგოგები განიცდიდნენ დევნას, შეურაცხყოფას, სემინარიელებს ქართულად ფიქრსაც უკრძალავდნენ, მიუხედავად ამისა ბესარიონ ხელაიამ მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავისი ცხოვრება ქართველი ხალხისათვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების მიეძღვნა.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „ბესარიონ ხელაია იყო უღრმესად მოყვარე თავის სამშობლო ქეყნის, თავის ერის, ქართული მწერლობის და საქართველოს ისტორიის... ყოველთვის გულ-ნაკლული იყო ქართველი ერის ასე დაცემასა და დაქვეითებაზედ. სძულდა სასტიკად უგულო ამხანაგები, ნამეტურ ისინი, რომელნიც ხშირად საქართველოსაც წარამარად უარჰყოფდნენ."(2,5). 1887 წელს იგი აკურთხეს

სოხუმის ეპარქიის სოჭის ეკლესიის მღვდლად, 1892 წლიდან სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკია, 1890 წლის 30 აპრილს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ გამოქვეყნდა მამა ბესარიონ ხელაიას წერილი გუდაუთის უბანში მისიონერ ამბროსი კაკაკასიძის სტუმრობის შესახებ. მისიონერი ამბროსი კაკაკასიძე კაკაკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი იყო და გამოირჩეოდა გულისხმიერებითა და მჭერმეტყველებით ეხებოდა რა მის ქადაგებას გუდაუთის თემის ლიხნის ეკლესიაში მამა ბესარიონ ხელაია დასძენდა: „შემდგომ წირვისა არქიმანდრიტმა ხალხს უთხრა ქადაგება, სწორედ რომ ვთქვათ, უფრო დარიგება იყო მისი სიტყვა, ვიდრე საეკლესიო ქადაგება და ხალხზე ამიტომაც დიდად იმოქმედა მისმა მდაბიო, გასაგონის ენით წარმოთქმულმა სიტყვამ. შემდგომად ასეთის სწავლა-მოძღვრებისა აუხსნა ხალხს შვილების სწავლების სარგებლობა და უთხრა, რომ თქვენს საზოგადოებაშიც სკოლა გამართეთო... წირვის შემდეგ ხალხმა ერთხმად გადაწყვიტა იქონიონ სკოლა, შეადგინა განაჩენი, რომ მოამზადონ სახლი სკოლისა და მასწავლებლებისათვის. არქიმანდრიტი დაჰპირდა, როდესაც სკოლის შენობა მზად იქნება, მასწავლებელსაც გამოგიგზავნით, სკოლის საჭირო წიგნებსაც და ნივთებსაცო, მასწავლებელსაც ჯამაგირს ჩვენ მივცემთო. ასეთმა მამობრივმა დარიგებამ და შემწეობის აღმოჩენამ და დახმარებამ ძალიან ასიამოვნა ხალხი, თითქოს გულიო მოულბაო ყველას და თბილი სხივი ჩაუფინა. ვიდრე არქიმანდრიტი ცოტას დაისვენებდა და ისადილებდა, საზოგადოებამ ნიშნად პატივისცემისა ფეხი აღარ მოიცვალა იმ ადგილიდან. მერე ყველა წარმომადგენელნი საზოგადოებისა გამოეთხოვნენ, დიდი მადლობა გადაუხადეს ასეთის თანაგრძნობისათვის და გაისტუმრეს... ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა კაცები ხშირად დაჰხედავდნენ ხოლმე ჩვენს მივიწყებულს მხარეს და ათასში ერთხელ მაინც გაგვაგონებდნენ კაცობრიულსა და კეთილს სიტყვა-პასუხსა.“ (20, 1890, 30 IV) დასძენდა მამა ბესარიონი. სოხუმში მოღვაწეობამ კიდევ უფრო განუმტკიცა აზრი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავლისათვის ბრძოლაში სასულიერო პირისათვის აუცილებელი იყო მრავალმხრივი განათლება, ამიტომ იგი 1897 წელს სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა. მამა ბესარიონის სოხუმის საკათედრო ტაძრიდან ყაზანში სწავლის გასაგრძელებლად წასვლას ასე გამოეხმაურა გაზეთი ცნობის ფურცელი „კეთილი მოძღვრის წასვლა.“

„მამა ბესარიონ ხელაიას მრევლის განუსაზღვრელი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისი მამაშვილურისა და სათნო ქცევით. ყველას გული დაწყვიტა საყვარელის მოძღვრის მოშორებამ.“

1897 წლის 30 დეკემბერს სერგი გორგაძემ ჟურნალი „მწყემსის“ რედაქტორს დეკანოზ დავით ღამბაშიძეს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა „ვიცი, თუ რა დიდათ სასიამოვნოა ჩვენი შეგნებული საზოგადოებისათვის უმაღლესი სწავლა-განათლების მქონე სასულიერო პირთა შემომატება, ვიცი აგრეთვე როგორი სიხარულით ეგებებოდით თქვენ და თქვენი პირით მთელი ჩვენი სამღვდელოება ლეონიდის, დიმიტრის, კირიონის, ექვთიმეს ბერად აღკვეცას. ამისათვის ვესწრაფი ვაცნობო პატივცემულ „მწყემსის“ მკითხველებს ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი, რომელიც ჭეშმარიტად ამართლებს იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელი ათი წელი საქართველოს ეკლესიის ცხოერებაში შავი სამღვდელოების განახლების ხანად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართველებს მტკიცე სარწმუნოება ქრისტესი და მართლმადიდებელი ეკლესიის პატივისცემა არც ისე გაქრობიათ გულში, როგორც ეს ზოგიერთ ერებს ეგონათ – ამის უტყუარ მაგალითს, ზემოთაღნიშნული პირთა გარდა, წარმოგვიდგება კიდევ მამა ბესარიონ ხელაია, რომელიც წელს ჩვენთან ერთად მიიღეს ყაზანის სასულიერო აკადემიაში. ამის გადაწყვეტილება სინოდისაგან 31 ოქტომბერს მოგვივიდა. მამა ბესარიონს თბილისის სასულიერო სემინარია დაუმთავრებია... ამ ოთხი წლის წინათ დაქვრივებულა და ხელზე დარჩენია ობლად სამი შვილი. საბედოდ მამა ბესარიონის მამა (მღვდელი – ზოსიმე) ცოცხალი ჰყავს და სწორედ ამ გარემოებას შეუწყვია მისთვის ხელი, თორემ შეიძლება ვერც კი გაებედნა ყმაწვილების დატოვება... ვისურვებთ სხვა ახალგაზრდა

მღვდლებსაც მიებაძოთ მამა ბესარიონის მაგალითისათვის და არ დაზარებოდეთ უმაღლესი სწავლის მიღება სამშობლო ეკლესიის სამსახურად და სასახელოდ“ (22, 1897,30 XII). ამ დროს ყაზანის სასულიერო აკადემიაში არაერთი ქართველი სწავლობდა, მათ შორის გამოირჩეოდნენ: ექვთიმე კაჭახიძე (შემდგომში მიტროპოლიტი დავითი), მიხეილ ფხალაძე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III), სერგი გორგაძე (ისტორიკოსი), იპოლიტე ვართაგავა (მწერალი, კრიტიკოსი). როგორც ეს უკანასკნელი გადმოგვცემს: „ვინც ბესარიონს ახლოს გაეცნობოდა, დარწმუნდებოდა, რომ ის უსათუოდ ნიჭიერი, განვითარებული, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო, უერთგულესი ამხანაგი და ადამიანი იყო... აღმოჩნდა, რომ არამც თუ ჩვენზე ნაკლებ, უმეტესად ყოფილა ქართული ეროვნული და საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებული,ისიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა სამშობლოში წარმოებულ პოლიტიკურ ლიტერატურულ-კულტურული ბრძოლის მსვლელობას,ჩვენი ისტორიის პირველწყაროებზე მუშაობდა და დაემზადებინა რამდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევი. რუსი სტუდენტებიც მალე დარწმუნდნენ,რომ ბესარიონი იყო დიდად მომზადებული და განვითარებული პიროვნება: ორ სასემესტრო თხზულებებში მან სასტიკ პროფესორთა უაღრესად საპატიო დაფასება მიიღო.“(3,63)

1900 წლის 11 თებერვალს ბესარიონი ბერად აღიკვეცა და სახელად ეწოდა ამბროსი. 1900 წლის 11 თებერვალს საღამოს 6 საათზე ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ათამდე ქართველი შეიკრიბა დანიშნული იყო მღვდელი ბესარიონ ხელაიას ბერად აღკვეცა. წესი რექტორმა,ეპისკოპოსმა ანტონმა შეასრულა და გულშიჩამწდომი სიტყვა წარმოსთქვა. იგი ღმერთს ბესარიონის სახელით შეავედრა, აიღო ხელში მაკრატელი შეიკვეცა თმის ღერი და ამის მერე „ბესარიონი“ აღარაფის გაუგონია: მას უწოდეს ამბროსი.“ მღვდელმთავარს უთქვამს: „საბერო სათნოებათა შორის სიმდაბლე ყველაზე უფრო მაღალი და ძნელი სათნოებაა. იგი შეელის კაცს,მოთმინებით აიტანოს ყოველგვარი გაჭირვება... ჭეშმარიტი სიმდაბლით აღჭურვილი მოძღვარი თვით გულქვა და ამპარტავან ადამიანებზეც კი ძლიერ ზნეობრივ გაელენას იქონიებს ხოლმე... სიმდაბლის მქონე კაცი იმითაა კიდევ ძლიერი,რომ მას თვით სიკვდილის მოახლოებაც კი ვერ შეაშფოთებს,იმ სიკვდილისა,რომლის წინაშეც ასე ხშირად თრთიან ხოლმე თვით უძლეველი და გულმაგარი გმირები. ასეთია სიმდაბლის უაღრესობა,მაგრამ რამდენადაც ძლიერია იგი,იმდენად უფრო ძნელია მისი მოპოვება; განსაკუთრებით ძლიერ უჭირთ ეს ახალგაზრდა და გამოუცდელ ბერებს.“ (9,25-26). აკადემიის დამთავრების შემდეგ მამა ამბროსი დაბრუნდა საქართველოში. 1901 წელს მცირე ხნით მოღვაწეობდა სოხუმში, მაგრამ მისი იქ ყოფნა ხელს არ აძლევდათ ანტიქართულ ძალებს, იგი მოურიდებლად ამხელდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების შოვინისტურ პოლიტიკას. ამიტომ 1902 წელს იგი გადმოყვანილ იქნა რაჭაში,ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად. აქ მან თავისი თავდადებული საქმიანობით მოსახლეობის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1903 წელს მარიამობის დღესასწაულზე ჩასულ ცნობილ ქართველ მწიგნობარს სოსიკო მერკვილაძეს წირვის შემდეგ მოუსმენია მისი ქადაგება,იგი იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა,რომ მსმენელთა უმრავლესობას სიხარულის ცრემლები ჰქონდა. „მამა ამბროსი სულ წელიწადი არ არის,რაც წინამძღვრად გამოამწესეს,მაგრამ ღვთისა და კაცის მოყვარე ადამიანისათვის ეს მოკლე დროც საკმარისი ყოფილა, რომ წრფელის გულით შეყვარებია ხალხს. ახლო მახლო სოფლებში ჩვენ იმისთანა კაცს არ შევხვედრივართ, რომელიც წრფელის გულით არ იყოს განმსჭვალული მამა ამბროსისადმი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით. სოსიკო მერკვილაძე არქიმანდრიტ ამბროსის გულთაზრიან ღვთისიმსახურს უწოდებდა.“(2,11) მამა ამბროსიმ თითქმის გაუკაცრიელებული მონასტერი კელავ აღორძინა. მან დაწერილებით შეისწავლა რაჭა-ლეჩხუმის სიძველენი. საქართველოს ისტორიის, ქართული ხელნაწერების შესწავლის ინტერესი ჯერ კიდევ ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს გამოაელინა. მან სასულიერო აკადემიაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „Борьба Христианства с Исламом в Грузии“. ამის შესახებ 1901 წლის 14 ივლისს გაზ.

„იერია“ აუწყებდა საზოგადოებას. ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით საქმიანობა. არქიმანდრიტმა ამბროსიმ ჟურნ. „განთიადსა“ და „ცხოვრებაში“ 1915-1917 წ.წ. „ამბერის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ მან საინტერესოდ აღწერა ჭელიშის მონასტრის ხელნაწერების ისტორია. „უმრავლესობა ჭელიშის მონასტერში დაცულ ხელნაწერებისა გადმოუტანიათ სხვაგიდან, სხვაჲის, ან ეელტყეეის უდაბნოს გაუქმების შემდეგ, მაგრამ ახლა ძნელია დანამდვილებით ითქვას, რომელი, ან რამდენი მათგანი ეკუთვნოდა სხვაჲის უდაბნოს. ამის მიზეზი იყო დაუდევრობა, ან უკეთ ვთქვათ, შეუგნებლობა მონასტრის მმართველობისა, რომელნიც ამ ხელნაწერებს არ აძლევდნენ არავითარ მნიშვნელობას და ამის გამო, ეკლესიის ქონებათა აღწერილობაში არ შეუტანიათ... ბევრი ძვირფასი ხელნაწერი სამუდამოდ დაკარგულთა მეცნიერებისათჲის. ხოლო დანარჩენი მიუყრიათ ეკლესიის კუთხეში სხვა უხმარ და უვარგის ნივთებთან, რომელთაც მონასტერი არ საჭიროებდა, ამის გამო ხელნაწერები იმდენად დამპალ-დანესტიანებული აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქმნა მათი გამომზეურება და თითო ფურცლობით შრომა, რასაც მოუნდა მთელი ერთი თვე. გაშრობა-გამომზეურების შემდეგ შეძლებისდაგვარად გადავათვალიერეთ ხელნაწერები და ამის შედეგია მათი მოკლე აღწერა.“(2,5-6). არქიმანდრიტმა ამბროსიმ აღმოაჩინა ქართული მეცნიერებისათჲის მანამდე უცნობი „ქართლის მოქცეეის“ ჭელიშური ვარიანტი, რომელიც მისივე გამოკვლეეით შეეიდა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული „ძველი საქართველოს“ პირველ ტომში, ხოლო ცალკე გამოიცა 1911 წელს.

არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1907 წლის 28 დეკემბერს საისტორიო საზოგადოებაში წაიკითხა სპეციალური გამოკვლეეა „ქართლის მოქცეეის“ ჭელიშური ვარიანტის შესახებ მისი აზრით „ხელნაწერის პირველი ნაწილი უნდა ეკუთვნოდეს XIII-XIV საუკუნეს. ჩვენ შესაძლებლად ვთვლით – განაგრძობდა იგი – ამ ხელნაწერის დედნის გადაწერა დავსდოთ არა უგვიანეს XI საუკუნისა და თუ ეს უკანასკნელი აზრი მიეიღეთ, მაშინ უთუოდ იმაშიც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ვარიანტი ქართლის მოქცეეისა უძველესი დედნიდან უცვლელად არის გადაწერილი“(22,3) – არქიმანდრიტი ამბროსი კარგად იცნობდა წმ. ნინოს ცხოვრების სხვადასხვა ხელნაწერ ვარიანტებს. ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე აკეთებდა სერიოზულ მეცნიერულ დასკვნებს, თუმცა ქრისტიანული თავმდაბლობით შენიშნავდა: „ჩვენ, როგორც არასპეციალისტს ისტორიულ კითხვებში,არ შეგვეძლო უფრო საბუთიანად შეგვედგინა ეს ჩვენი მოხსენება და ამისათჲის შეიძლება ეერ დავაკმაყოფილეთ საზოგადოების ცნობისმოყვარეობაო.“(22,4). არქიმანდრიტ ამბროსის ამ აღმოჩენას მაღალ შეფასებას აძლეევდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პაველ ინგოროყვა.

არქიმანდრიტი ამბროსი სიამაყით აღნიშნავდა: „საქართველოს ეკლესია მდიდარი იყო სარწმუნოებრივი რელიქვიებით, არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ძვირფასი ნივთებით, რომელთაც სამღვდელოება და ხალხი დიდი მზრუნველობით ინახავდნენ. ისინი გადაურჩა განადგურებას და მხოლოდ, მშვიდობიანობის დროს, XIX საუკუნის განმავლობაში დაიკარგა იმდენი საეკლესიო სიმდიდრე, რამდენიც მთელი შეიდი საუკუნის განმავლობაში მაჰმადიანთა მძლავრობის დროს არ დაკარგულა.“(2,23).

XIX საუკუნის ბოლოს ქართველმა თარგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მოახერხეს ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება და გამთლიანება. სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისუფლება ეს იყო ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის იდეალი, ამ იდეალის ერთგული იყო არქიმანდრიტი ამბროსი ხელაიაც. რუსეთის ხელისუფლება გრძნობდა მოსალოდნელ უსიამოვნებას და თვითონაც ემზადებოდა ღირსეულ მამულიშვილთა თვალთვალისა და დევნისათვის ამის დასტურია ქუთაისის გუნერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისა და ეპისკოპოს არსენის საიდუმლო მიმოწერა სოხუმის ოლქში ბესარიონ ხელაიას და სხვათა მონაწილეობით არსებული ქართული მოძრაობის შესახებ.

„ვიძიებ რა საქმეს სოხუმის ოლქის ქართველების შესახებ,რომელთაც თაეის მიზნად

დაუსახაეთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სრულიად გაქართველება ქართულის სკოლების დახმარებით და წირვა-ლოცვის და ყოველივე მღვდელმსახურების ქართულს ენაზედ შესრულებით,რაიც სრულიად უცნობია აფხაზთათვის. ამიტომ გთხოვთ კეთილი ინებოთ და შემდეგი დამატებითი ცნობები მომაწოდოთ.

1) იცნობთ თუ არა,რომ სოხუმის ოლქში არსებობს მკვიდრი ორგანიზაცია ქართველთა, რომელთაც დაუსახაეთ აფხაზთა გაქართველება და მით რუსეთის ინტერესებს მათი ჩამოშორება; 2) სდევნის თუ არა ქართველთა პარტია იმ მღვდლებსა და მასწავლებლებს, რომელნიც თქვენს განკარგულებას ასრულებენ და მათ არ თანაუგრძნობენ და არ ემორჩილებიან მათ უკანონო მოქმედებას,ე.ი. ქართული ენის სწავლებას სკოლებში და ჩუმათ მაინც წირვა-ლოცვის აღსრულებას ქართულად;

3) სცდილობენ თუ არა აფხაზეთის გაქართველებას შემდეგნი პირნი: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, მღვდელნი: მაჭავარიანი, კერესელიძე, ჩხენკელი და ხელაია ვისარიონი;

4) გჯერათ და უწყით, რომ ქ. სოხუმის მცხოვრები თედო სახოკია პრესაში და საზოგადოებაში კრიტიკას იწვევს და მასხრად იგდებს ყოველივე თქვენს განკარგულებას;

5) მართალია,რომ მღვდელმა მაჭავარიანმა პანაშვიდი გადაიხადა ქართულს ენაზედ გარდაცვალებულის მწერლის წერეთლის გამო და ქართულადვე სიტყვა წარმოსთქვა თედო სახოკიასა და ანთ. ჯუღელის თხოვნით;

6) მართალია თუ არა, რომ მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ,რომელიც ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა, განგიცხადათ, რომ აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომ წირვაც ქართულად უნდა იყვესო;

7) მართალია თუ არა, რომ მღვდელი კერესელიძე წინააღმდეგობას უწევდა თქვენს განკარგულებას და როცა მოინდომეთ მისი გაძევება, სინოდალურის კანტორამ წინააღმდეგობა გაგიწიათ;

8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არასაიმედო და წარმართი მიმართულების ხალხთან (აფხაზებთან) თედო სახოკიას, მღვდლებს — ჩხენკელს, კერესელიძეს, მაჭავარიანს და ბესარიონ ხელაიას, ამიტომ გთხოვთ აღნიშნულნი პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრივ თითო მათგანი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობა;

9) მართალია,რომ კორესპონდენტი თედო სახოკია განგებ,წინდაწინვე განზრახულის მიზნით ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბ სტატისტიკურ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში მეგრელებისა და ქართველების შესახებ,რათა დაემტკიცებინა აუცილებელი საჭიროება ქართული ენისა სასწავლებლებში;

10) რით აიხსნება სინოდალური კანტორისაგან მხარის დაჭერა მღვდელ კერესელიძისა და სრულიად უდანაშაულო მღვდელის კავკასიძის გაძევება;

11) სცნობთ თუ არა, რომ მღვდელნი: მაჭავარიანი, ჩხენკელი,კერესელიძე და ხელაია მაენებელნი და საშიშნი არიან იმპერიის ინტერესებისათვის;

12) მართლმადიდებელ ეკლესიისათვის მაენებელნი არის თუ არა მოღვაწეობა თედო სახოკიასი და ჯუღელისა.

პასუხს გთხოვთ გამოაყოლოთ დედანი იმ განცხადებისა,რომელიც სამურზაყანოელებმა მიართვეს თქვენს მაღალკურთხეულს, რათა მათის შვილებისათვის არ ესწავლებინათ ქართული ენა. ამ წერილობით მათს გაცხადებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეპარქიალურ საბჭოს ვითომ 1895 წელს მღვდელის მაჭავარიანის და პოლკოვნიკის ქორქაშვილის ძალდატანებით გაუგზავნია მოწოდება სამურზაყანოელებისათვის, გინდათ თუ არა ქართული ენის სწავლება,რაის შედეგიც ყოფილა ზემოხსენებული განცხადება, რომელშიც სამურზაყანოელები აშკარად ამბობენ,არა გვსურს ქართული ენის სწავლებაო—

საიდუმლო შეკითხვებზედ, რომელიც 12 მუხლისაგან შესდგება და რომელიც ქართველთა მოძრაობას შეეხება ოლქში, შემიძლიან შემდეგი გიპასუხოთ:

1) პირველივე დღეებიდან ჩემის სოხუმის ოლქში დანიშვნისა,შევნიშნე, რომ ეპარქიაში მცხოვრებნი ქართველები ყოველის ღონისძიებით სცდილობენ დანერგვას

სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობას, რაშიაც სრულ დახმარებას უწევს მას სამღვდელოება, რომელნიც განსაკუთრებით ქართველთა და მეგრელთაგან შედგება. ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალი მომეპოვება. 1895 წელს სამასწავლებლო საბჭოში ქართველებმა აღძრეს შუამდგომლობა ქართულის ენის სწავლებისა აფხაზეთსამურზაყანოში და წარმოადგინეს განჩინებაც სოფლების საზოგადოებითგან, რომელნიც ითხოვდნენ ქართულის სწავლებას სკოლებში. მე წინ აღვუდექი ამას, რის გამოც ჟურნალ „Русский Труд“-ში მოათავსეს წერილი, რითაც უკმაყოფილებას მიცხადებდნენ, როცა 14 იანვარს წმ. ნინოობას ნება არ მიეცი ქართულს ენაზე წირვისა სოხუმის საკრებულო ტაძარში,მაშინ ხომ მათი უკმაყოფილება აშკარა იყო და ნათლად დაერწმუნდი,რომ ქართველები აღარა ხუმრობდნენ აფხაზეთის გაქართველებას. ქართველების მოძრაობა დიდათ აბრკოლებს აფხაზების გარუსების და გადაგვარების საქმეს.

2) რაც შეეხება ქართველთაგან დევნას რუსეთისათვის თავდადებულ სამღვდელოებისა და მასწავლებლებისას,დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლიან, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ოქუმის მღვდელის მამა ქავჭარაძისას, რომელიც მარჯვე დამცველი იყო და გამტარებელი ცხოვრებაში რუსულის მოქალაქეობრიობისა და რომელსაც ათასი ცოდო დასწამეს, რათა გაეძევებინათ ის სამურზაყანოდგან, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი დევნა არსებობს.

3) რამე დადებითი საბუთები თედო სახოკიასა ან ჯულელისა,მღვდლების — მაჭავარიანისა, კერესელიძისა და ხელაიას მოქმედებისა და მეცადინეობის შესახებ ქართული ენის გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად აფხაზეთში არ მომეძებნება, მხოლოდ პირველის შესახებ შემიძლიან ვთქვა, რომ თუ ის ავტორია გაზეთებში მოთავსებულ ყალბ ცნობებისა, მაშასადამე, იგი ყოფილა გამავრცელებელი და დამამკვიდრებელი ქართული ენისა და მოქალაქეობისა აფხაზეთში,ხოლო რაც შეეხება მღვდელს კერესელიძეს, თვით დირექტორიც კი სახალხო სკოლებისა, სთვლის მას არაკეთილსაიმედო პირათ, რომელსაც შეუძლიან ცუდი გავლენა იქონიოს მოსწავლე ახალგაზრდობაზედ, როგორც სამღთოს სჯულის მასწავლებელს ოჩამჩირეში.

4) დეკანოზმა მაჭავარიანმა მართლა გადაიხადა პანაშვიდი გარდაცვალებულის მწერლის წერეთლის სულის მოსახსენებლად და ქართულადვე სთქვა სიტყვა ჩემ ნებადაურთველად, მაგრამ ვის ჩაგონებითა და განძრახვებით ჩაიდინა ეს საქმე, არ ვუწყი.

5) მღვდელმა ხელაიამ კერძო ლაპარაკში, როდესაც მიმტკიცებდა და მთხოვდა ქართული წირვა-ლოცვის შემოღებას, მითხრა, რომ „აქ საქართველოა და არა რუსეთი და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყვესო“.

6) მღვდელის — კერესელიძის სხვა მრევლში გადაყვანა ჩემისგანკარგულებით მოხდა, რადგანაც თავის უხასიათობის გამო ვერა რიგდებოდა მრევლთან და უვარგისი იყო მასწავლებელი საღმრთო სჯულისა.

7) რაც შეეხება მღვდლებს — ჩხენკელსა და მაჭავარიანს, არაფერს ცუდ საქმეში შემჩნეულნი არა ყოლიან და არც მათს მიმართულებაში შეიმჩნევია სამარცხვინო რამ, რაც შეეხება მღვდელს ბესარიონ ხელაიას, აკადემიაში შესელამდის არაფერი ცუდი არ შემიმჩნევია და რაც შეეხება მის მიმართულებას, ეს ხომ უკვე ზემონათქვამიდამ მის შესახებ ნათლად სჩანს.

8) თედო სახოკია განგებ ყალბ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში ქართველთა და მეგრელთა სოხუმის ოლქში მოსახლეობის შესახებ, რადგანაც მას როგორც სოხუმის ოლქში მცხოვრებს, კარგად უნდა სცოდნოდა ნამდვილი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ იგი წინად განზრახვით ამახინჯებდა ყოველივე ცნობას.

9) მღვდლის კერესელიძის გამოქომაგება სინოდალურ კანტორისაგან და ჩემის გადაწყვეტილების გაბათილება ამის სხვა მრევლში გადაყვანის გამო, აიხსნება იმ გარემოებებით, რომ მისი საქმე გაარჩია კანტორამ მაშინ, როდესაც ეგზარქოსი არ იყო თბილისში და მის მაგიერობას ასრულებდა ქართველთ ეპისკოპოსი ალექსანდრე.

მისი, ე. ი. კერესელიძის, მოშორებას მოითხოვდა დაჟინებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. დარწმუნებული ვარ, კერესელიძის საქმე რომ გაერჩია ეგზარქოსს და არა ქართველ ეპისკოპოსს, ჩემს გადაწყვეტილებას კერესელიძის გადაყვანის შესახებ დაადასტურებდა.

10) თუ რომ მღვდლები მაჭავარიანი, კერესელიძე და ხელაია მოქმედებენ აფხაზეთ-სამურზაყანოს გასაქართველებლად, მაშინ, რასაკვირველია, მავნეთ უნდა ჩაითვალოს მათი მოღვაწეობა, რადგანაც ამით ისინი წინააღუდგებიან რუსეთის იმპერიის მიზანსა და მისწრაფებასა.

11) მოქმედება თედო სახოკიასა და ჯუღელისა მავნებლად უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, რადგანაც გაქართველებული მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდება რუსეთის ეკლესიას, რომელიც სულ სხვა მიზნით მოქმედებს აფხაზეთში. ამასთანავე ვადგენ განცხადების პირს სამურზაყანოელებისას, რომლითაც ისინი უარყოფენ ქართული ენის საჭიროებას თავიანთს სკოლებში და დასძენენ, რომ თუმცა ამ განცხადების წინედ წარმოდგენილი იყო რამდენიმე განჩინება სამურზაყანოელებისა ვითომ ქართულის ენის სწავლება შემდეგის საჭიროების შესახებ, მაგრამ ყველა ესენი განზრახ შედგენილი იყო სამღვდელოებისაგან და მრეველი აქ არაფერს მონაწილეობას არ იღებდა. (10, 144,150).

მამა ამბროსი ხელაია, რომელმაც შესანიშნავად იცოდა რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკის მიზნები აფხაზეთში ამხელდა ამ პოლიტიკის რეაქციულობას და ქართველ პატრიოტებთან ერთად მედგრად იცავდა ქართულ პოზიციებს. იგი სიხარულით შეხვდა ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) სოხუმის ეპარქიის მმართველად დანიშვნას. კირიონისადმი გაგზავნილ წერილებში ეხება როგორც სოხუმის ეპარქიის, ასევე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის პრობლემებს. 1906 წლის 14 თებერვალს მამა ამბროსი ეპისკოპოს კირიონს ატყობინებს: „ღმერთს ვთხოვ თქვენს მშვიდობით დაბრუნებას სამშობლო მხარეში და გამარჯვებას იმ საქმეში, რომლის გადასაწყვეტადაც თქვენ ხართ მიწვეული ჩრდილოეთის სატახტო ქალაქში. მართალია, ცუდად დატრიალებულია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის ბედ-იღბალი, მაგრამ რა ექნათ, როდის ვიყავით ბედნიერნი, რომ ახლა ვიქმნეთ. მაგრამ ვიქონიოთ მომავლის იმედი... ჩემი და რამდენიმე აქაური მღვდლის აზრი უკეთუ საინტერესოა თქვენთვის, ეს არის: დათმობა არაფრისა და რასაც ძალით მოგვცემენ, ვემორჩილებით მხოლოდ დროებით; როდესაც მოხერხებულ დროს ვნახავთ, ვეცდებით განვახორციელოთ, რაც პეტიციებშია ნათხოვნი. მომავალი კრება, ჩემის აზრით, ჩვენ არას მოგვცემს და არც უნდა დავთანხმდეთ ჩვენი საქმის იქ გადაცემაზე. კრებას არ წაურთმევია ჩვენთვის ავტოკეფალური წეს-წყობილება ჩვენი ეკლესიისა და არც შეუძლია იმის მოცემა, რაც „დე იურე“ უკვე გვაქვს, მხოლოდ ფაქტიურად ძალმომრეობამ წაგვართვა. ამიტომ წართმეულის დაბრუნება შეუძლია წამრთმეველს. ან ჩვენ თვითონ რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოსპობით... საზოგადოება ძალიან დაინტერესებულია ამ საქმის (ავტოკეფალიის) მსვლელობით, მთხოვენ, თქვენი რეზოლუცია გამოაქვეყნოთ. ხალხის გამოსაღვიძებლად საჭიროდ მიაჩნიათ ეს“ (24, 92-93). 1906 წლის 8 მარტს არქიმანდრიტი ამბროსი ეპისკოპოს კირიონს წერდა: „თქვენი სოხუმში დაბრუნებამ სოხუმის სამღვდელოება და მთლად ქართველობა მეტად გახარა, მაგრამ არა ქართველებს, პოლიტიკანებს, როგორც ეტყობა, ლახვრად დაესო გულში. ეტყობა ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ ბოლო მოეღება სოხუმის ეპარქიაში იმ უსამართლობას, რომელიც მეფობდა იქ ქართველების შესახებ. თქვენ, დარწმუნებული ვარ, უსამართლოდ არც ერთი ერის წარმომადგენელს არ მოექცევით. ამის თავდებია თქვენი წარსული მოღვაწეობა რუსეთში. მაგრამ ამას ბნელი ძალების წარმომადგენელნი ვერ შეიგნებენ და აკი კიდეც „ხულიგნურად“ გამოილაშქრეს თქვენს წინააღმდეგ გაზეთ „კოლოკოლში“. იმედია ღირსეულ პასუხს გასცემთ. შეიძლება, თქვენს შემდეგ მეც რამე მოვახსენო ამ ხულიგნური წერილის ავტორს... სწერონ რაც უნდათ, სიმართლემ უნდა გაიტანოს თავისი. ჩვენი ხსნა ეკლესიის თავისუფლებაშია, რომელსაც თქვენ მედგრად იცავთ.“

(25, 1319). ამის შემდეგ არქიმანდრიტმა ამბროსიმ უპასუხა „კოლოკოლში“ ფსეედონიმს ამოფარებულ დეკანოზ ივანე ეოსტორგოვს. „ხმა სოხუმიდან“. ეს არ იყო უბრალო პასუხი შაორაზმელი მჯღაბნელის გამოხდომაზე, ამ წერილში კარგად ჩანდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ. არქიმანდრიტი ამბროსი აღნიშნავდა: „ყველას ემახსოვნება შეუწყნარებლობა და სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი... ამითგან დასნებოვნებულნი იყვნენ ცნობილი მოღვაწენი კავკასიაში: ეპისკოპოსი არსენი, დეკანოზები: ეოსტორგოვი, იასტრებოვი და სხვანი... საკუთარი ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისაკენ სწრაფვის გაძლიერება, ამ მიმართულებით ხალხის გამოღვიძება არის ზემოხსენებულთა და მათ მსგავს კაცთა მოღვაწეობის შედეგი და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ აზრით მათ ხალხს დიდი სამსახური გაუწიეს... აღნიშნეულ პირთა მოღვაწეობის მიზანი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის რუსებთან დაახლოება... მაგრამ ისინი ამით როდი შემოიფარგლნენ, მათ მეტი მოინდომეს მხარის რაც შეიძლება სწრაფი გარუსება, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. არქიმანდრიტი ამბროსი ამხელდა იმ სასულიერო პირთა საქმიანობას, რომელნიც ჩართულნი იყვნენ დაუნდობელ რუსიფიკაციის პოლიტიკაში, რომელნიც ქართულ ენას „ძაღლების ენას“, ქართულ საეკლესიო გალობას „ძაღლების ყეფას“ უწოდებდნენ, ცდილობდნენ აფხაზეთის ქართველობის შეურაცხყოფას, უკრძალავდნენ მათ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვებს. იგი კონკრეტული მაგალითებით აჩვენებდა თუ რამდენად უარყოფითია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში და როგორ უწყობდა იგი ხელს ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ მაჰმადიანობის გაერცელებას, იხსენებდა ეპისკოპოს გაბრიელს (ქიქოძე), რომელიც ცდილობდა აფხაზებს მშობლიურ ენაზე შეესწავლათ ქრისტიანული სარწმუნოების არსი, ჰქონდათ ღვთისმსახურება. წერილის დასასრულს არქიმანდრიტი ამბროსი აღნიშნავდა: „დარწმუნებული ვართ, რომ ყოველადსამღვდელო კირიონი თავისი მოღვაწეობით სოხუმის ეპარქიაში აღდგენას ძმობას და ერთობას ყველა ეროვნებათა შორის, ხოლო ამიერკავკასიიდან გაქცეული ანაფორიანებისა და ზოგადად ბ. „რუსიის“ მსგავსი ქართველოფობების ღვარძლითა და კაცთსიძულვილით საესე სიტყვები ვერ გამოიღებენ იმ შედეგს, კერძოდ აფხაზეთში ძმათმძულვარებისა და ძმათამკელელ სისხლის ღვრას, რასაც ლამობენ.“ (9, 121122).

1905-1907 წლების რევოლუციური გამოსვლებისათვის ალიხანოვ-ავარსკის რაზმებმა ცეცხლის ალში გაახვიეს დასავლეთ საქართველოს სოფლები და დაბები. საქართველოს ეგზარქოსის წინადადებით იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) გადააყენა თანამდებობიდან საყვედურის გამოცხადებით. ხელისუფლების აზრით, ეპისკოპოსი ალექსანდრე ხელს უშლიდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის გეგმის განხორციელებას. ეს ამოცანა დააკისრეს რენეგატ ქართველს, ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძეს, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა თავისი მისიის შესრულებას.

ამავე დროს სოციალურ-დემოკრატების ბოლშევიკურმა ფრთამ გააძლიერა ცილისწამება და შეურაცხყოფა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებზე. კოსმოპოლიტიზმი თუ პატრიოტიზმი?“ „კლასობრივი და სოციალური საკითხები,“ აი ყველაზე აქტუალური თემები, რომელმაც გადაფარა ყველა და ყველაფერი. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ გაჰკიოდა დიდი და პატარა. ასეთ ეგზალტირებას თან ახლდა ეერაგული შურისძიებაც 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მოკლეს ილია ჭავჭავაძე, მოხდა გადაგვარებული ქართველი სოციალ-დემოკრატების და რუსეთის რეაქციული ძალების ინტერესთა თანხვედრა, ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების იდეების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. 1907 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ქართველი ხალხისათვის. მეუფე ალექსანდრე გარდაცვალება ძლიერ განიცადა არქიმანდრიტმა ამბროსიმ, რომელმაც 1907 წლის 16 ნოემბერს შიომღვიმის მონასტერში თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაიწყო:

„ესრეთ ჰბრწყინეედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა,რათა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათეს სახ. თ. 5, 16).

ესეც კიდევ ერთი მსხვერპლი ამ მოკლე დროში. გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა სიკვდილმა საქართველოს მოსტაცა ყოველად სამღვდელო ალექსანდრე. თუმცა კაცი ღვთისაგან დაწესებულ კანონს ვერ გადაუვა და ყოველად სამღვდელო ალექსანდრემ კიდევაც გარდააცილა თავის ხანგრძლივ სიცოცხლით იმ ზომას,რომელიც დადებულია რჩეულთათვის (ფსალმ. 89,10). მაგრამ ამ ნაირ ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანთა მიცვალებას კაცის გული მაინც ვერ ურიგდება, მას უნდა ყოველთვის ჰყავდეს იგი სამშობლო მხარის ნუგეშად.

ყოველად სამღვდელო ალექსანდრეს თავდადებული მოღვაწეობა მშობლიურ ეკლესიის და სამშობლო მხარის აღორძინებისათვის უდიდესი მისაბაძი მაგალითია ჩვენ ქართველთათვის, მისი სხეულისანი სათნოებიანი სახე მუდმივი საუკეთესო გზის მაჩვენებელია.

„ესრეთ ბრწყინაედინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა,რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“-ო. გვიბრძანებს ქრისტეს წმიდა მოძღვრება და გვითითებს ამ ღირსეულ ცხედარზე, – განსვენებულის ხანგრძლივ, სათნოებიან და სახელოვან მოღვაწეობაზე.

რომელი ერთი განსვენებულის სათნოებით საესე ხანგრძლივ,ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრების მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება?! ჩვენ არ ძალგვიძს ამ მოკლე სიტყვაში საესებით დავახასიათოთ მისი ღირსაღსანიშნავი ცხოვრების ყველა მხარეები, ამისათვის საჭიროა მეტი დრო და მეტი ნიჭი და მჭევრმეტყველება.

განსვენებულმა ყოელად სამღვდელომ გვასწავლა ჩვენ, რამდენათ შეიძლება ამ უკუღმართ დროშიაც ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანენი, – ქრისტიანული იდეალების მატარებელნი, როგორც მატარებელი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულისა, – იმ სიყვარულისა, რომელიც ყველას ერთ რიგათ უნდა ეფინებოდეს, – არ არჩევდეს ახლობელს არა ახლობელისაგან,– რომელიც უნდა აეიწყებინებდეს პირად ინტერესებს და აბედვინებდეს სიცოცხლის შეწირვას მოყვასისათვის, – როგორც მატარებელი ამნაირი სიყვარულისა, ის თავის ცხოვრებით გვიმტკიცებს, რომ ეს ქრისტესაგან მის მიმდევართათვის დახატული იდეალი ამ ქვეყნად შესაძლებელია განხორციელდეს. ჯერ ისევ სტუდენტობის დროს, როდესაც ყაზანის მხარეში ხოლერა მძვინვარებდა, განსვენებული უშიშრად და თავგანწირულად ემსახურებოდა ამ საშინელი სენით შეპყრობილთ განურჩეველად მათი ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა, მისი თავგანწირულობა მოძმეთათვის,მისი მოურიდებლობა ამ საშინელი და მეტადრე მაშინ თავზარდამცემ სენისა ანცეიფურებდა ყველას, რაც ხაზგასმით აღნიშნულია თვით ყაზანის აკადემიის ისტორიაში. ეს ერთი ფაქტიც მშვენიერად ახასიათებს ყოველად სამღვდელო ალექსანდრე ქრისტიანულს ცხოვრებას. ასეთივე დარჩა განსვენებული უკანასკნელ წუთამდის. ის თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ამ ქვეყნად მრავალფერად ასრულებდა ამ დიად მცნებას,– მცნებას მოძმეთა სიყვარულისათვისას.

მისი ქველმოქმედება, მისგან აღდგენილნი ქართველთა კულტურის მაჩვენებელი ნაშთები, მისგან გამოცემული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ჩვენ წინაპართა ნაწარმოებნი, მისის საფასით აღდგენილნი, მშობლიური გალობა, მისი შრომა და სიქველე მამულის შეილთა აღზრდაში და მრავალი სხვა მისი ამნაირი ღვაწლი ყველასაგან ცნობილია. მისი ღრმა სარწმუნოება ცხოვრებაში განხორციელებული, სიყვარული სამშობლო ქვეყნისა თვით მისი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მჭიდროდ შეკავშირებული,– მისი პირუთვნელობა,უშიშრობა ამ სოფლის უფალთა და ძლიერთა მხილებაში და მრავალი სხეა მისი სათნოებიანი სულის თვისებანი ხდიდა მას ნამდვილ წარმომადგენელად იმ ძველი ჩვენი წმიდა მამათა,რომელთა მრავალმხრივმა ღვაწლმა დაიცვა ჩვენი სარწმუნოება, ენა და ეროვნება მოზვავებულ-აუარებელი მტერთაგან. ყველა ამაებზე უკვე ბევრი თქმულა და დაწერილა და მეც აქ არას ვიტყვი.

ვიტყვი ორიოდე სიტყვას მხოლოდ იმაზე, რაც აქ არ თქმულა, – განსვენებულის მოციქულებრივ მოღვაწეობაზე აფხაზეთში. ღმერთმა პირველ ხანებში მას არგუნა სამსახური და მოღვაწეობა ამ საქართველოს განაპირა მხარეში, ჯერ როგორც

აფხაზთა შვილების აღმზრდელს, შემდეგ როგორც მისიონერ-მქადაგებელს და ბოლოს როგორც მწყემსთ-მთავარს. ის მუდამ თავგანწირულად ემსახურებოდა აფხაზთა მოქცევის საქმეს, — არ ზოგავდა საკუთარ საშუალებას სკოლათ დაარსებისათვის, — თავის ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ, — მედგრად იცავდა სამღვდელოების და სამწყსოს ინტერესებს, უხვად ეწეოდა ქერივ-ობოლთა, მის და სამწყსოს შორის არსებობდა მამაშვილური კავშირი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულზე. მას არ უყვარდა მდიდრული ცხოვრება, ცხოვრობდა თითქმის ეგრეთვე სადათ, როგორც ერთი უკანასკნელი ღარიბი მის სამწყსოთაგანი. ეს სადა ცხოვრება, ეს ხალხთან სიახლოვე ხდიდა მას ნამდვილ ძველ მშობლიურ ეკლესიის მწყემსთ-მთავართა მსგავსად.

მოვიყვან ერთს მაგალითს იმისას, თუ რანაირი გაელენა ჰქონდა განსვენებულის ამნაირ ცხოვრებას ხალხზედ, რანაირი უზომო ნდობა ჰქონდა დამსახურებული თვით მაჰმადიან აფხაზთა შორის. 1866 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ აფხაზების უმრავლესობა იძულებული გახდა გადასახლებულიყო ოსმალეთში.

ამ უბედურ დროს, როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტიანის სახელის მატარებელი საზიზღარი იყო, მხოლოდ ყოველად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდნენ.

აი, ამ ხანებში მწყემსთ-მთავართან შემოდის ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავისის თორმეტი წლის შვილით. როდესაც ყოველად სამღვდელომ ჩვეულებრივი ალერსიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსვლის მიზეზი, უკანასკნელმა მოახსენა შემდეგი: „შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ეაჟი დავსტოვო შენთან, მეტი არა გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი“–ო.

თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს, რომელიც განსვენებულის მეთხებითა და საფასით აღიზარდა და მღვდელობაში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში.

ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია. ამნაირ განწყობილებას სამწყსოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა. იწყეს აფხაზთა ქრისტიანობის მიღება, რომელიც კიდეც დამთავრდა თითქმის 80-იან წლებში ნეტარ ხსენებული აფხაზეთის მეორე მოციქულის ეპ. გაბრიელის დროს. ამის შემდეგ განელო საკმარისმა დრომ, ქრისტიანული საქმე პროგრესულად დენის ნაცვლად რეგრესიულად მიმდინარეობს. უკანასკნელი ცნობებით, რამდენიმე სოფელმა უკვე უარყო ქრისტიანობა. მიზეზი ცხადია: არ არიან ალექსანდრე-გაბრიელისებრი მოციქულნი.

ნეტარხსენებულო მწყემსთ-მთავარო, სხვა შენი მრავალ მხრივ ღვაწლთან ერთად ამასაც არ დაივიწყებს ქართველი ერი, აფხაზეთის ქრისტიანი ნაწილი და იქაური სამღვდელოება.

განისვენე, ქართველთა მამაო და კეთილო მწყემსთმთავარო, ზეგარდმო მადლით ცხებულო მოღვაწევ, აღმაშენებლად წოდებულო, — განისვენე ამ შენგან განახლებულ-გამშვენებულ ტაძარში. ეს წმ. ტაძარი იქნება საუკუნო შენგანვე შექმნილი ნივთიერი ძეგლი შენს საფლავზე და ყოველ ქართველის გულში კი გედგმება სამუდამო უხილავი ძეგლი.

ილოცე, ჩვენო ახალო ღვთის წინაშე შუამდგომელო, — ილოცე სხვა ჩვენ წმ. მამებთან ერთად სამშობლო მხარის ქრისტიანულად და კულტურულად აღყვავებისათვის. ამინ.“ (26, 9-13).

ბრძოლა საქართველოს ეკლესიური და ეროვნული ინტერესების დასაცავად

არქიმანდრიტი ამბროსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ერთ-ერთი დაუცხრომელი მებრძოლი სასულიერო პირი იყო. 1811 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით გამოსცა ბრძანებულება საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ.სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის სახელო გააუქმეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის ეკლესიის ნაწილად გამოაცხადეს, რომელსაც სათავეში რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი ჩაუყენეს. რუსი ეგზარქოსები გახდნენ რუსული ეკლიკოდერჟავული და შოვინისტური იდეოლოგიის მთავარი დასაყრდენნი საქართველოში. რუსი ეგზარქოსების ანტიქართული, ანტიქრისტიანული საქმიანობის შესახებ არაერთი საყურადღებო ნაშრომი თუ მოგონებაა გამოქვეყნებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი რუსი სლავოფილის ნ. დურნოვოს, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ჩანაწერები.

ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია სახელმწიფოებრივი დასაეკლესიო დამოკიდებულების დაკარგვას.

XIX საუკუნის I ნახევარში, 1802 წლის კახეთის აჯანყებით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1819-20 წლების იმერეთის საეკლესიო ამბოხი მიმართული იყო საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის პოლიტიკის წინააღმდეგ.

იმერეთის აჯანყების მოთავეთა, დოსითეოზ ქუთათელის და ექვთიმე გენათელის რუსეთის ხელისუფალთაგან სამაგალითოდ დასჯამ საქართველოში საბოლოოდ დამსხვრია ერთმორწმუნეობის დოგმებზე აღმოცენებული რომანტიკული მეგობრობისა და ქრისტიანული სათნოების ილუზიები.

ქართველი ერი მკაცრი რეალობის წინაშე აღმოჩნდა,ან უნდა დაევიწყებინა ყოველიეე ქართული და გარუსებულიყო, ან ებრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა არჩევანი მეორის სასარგებლოდ გააკეთა.

XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძის თაობა. პირველი ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისაკენ, ამას მოჰყვა აღმსარებლობით და ცნობიერებით დაქუცმაცებული ქართველობის გამთლიანობის რთული პროცესი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დღის წესრიგში დააყენეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა. საზოგადოების ინფორმირებისა და მომზადების მიზნით ქართულ და რუსულ პრესაში,სამეცნიერო ჟურნალებში დაიწყო პოლემიკური სტატიების ბეჭდვა, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მის ავტოკეფალიას, რუსი ეგზარქოსების ანტიქართული საქმიანობის მხილებას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა თუ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში სალონური შეკრებების მთავარი თემა იყო, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში უკვე თამამ, პოლემიკურ ხასიათს ატარებდა. ამ მოძრაობის მესვეურთ „ავტოკეფალისტებს“ უწოდებდნენ. ავტოკეფალურ მოძრაობას მხარს უჭერდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, პროფ. ალ. ცაგარელი, პროფ. ალ. ხახანაშვილი, პროფ. ი. ჯავახიშვილი, პროფ. ზ. ავალიშვილი, ს. გორგაძე, ნ. მარი. სასულიერო პირებიდან: ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, ლეონიდე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, ანტონ გიორგაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, დეკანოზები: ნიკიტა თალაკვაძე, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი და სხვები.

რუსეთის ხელისუფლება პირველ ხანებში არასერიოზულად აღიქვამდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას და ფიქრობდა, ეს მოძრაობა მეცნიერულ პოლემიკას არ გასცდებოდა, მაგრამ, როდესაც 1905 წელს თბილისში ქართველი სამღვდელოების საგანგებო ყრილობაზე მიღებულ იქნა შემდეგი პეტიცია: „ქართველმა სამღვდელოებამ მხედველობაში მიიღო ზემოთქმული, აგრეთვე ის, რომ ჯერერთი, იერიის ეკლესია კანონიკურად გახლაეთ ავტოკეფალური, ვინაიდან არ ყოფილა კრების დადგენილება მისი ავტოკეფალიის გაუქმებისა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო: მეორეც, მხოლოდ ეკლესიას, რომელსაც თავისუფლად შეუძლია თვითშეგნების სრულიად აღსარება, თავისუფალი შინაგანი წყობილებით, თავისუფლად ძალუძს თავისი სიტყვითმსახურება, ყველა თავისი საქმისა და მისადმი რწმუნებული ყოველივეს თავისუფლად მართვა, მხოლოდ თავისუფლად თვითმმართველ ეკლესიას შესწევს უნარი დაიცვას თავისი სრული დიდებული წმიდა რწმენა და სავსებით ფლობდეს ღვთაებრივი მოწოდების განსახორციელებლად აუცილებელ ხმას, რომელიც ადამიანის გულს აღანთებს; და ბოლოს ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობისათვის მეტად საჭიროა მატერიალური საშუალებები. ამიტომ ითხოვს: I იერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-იერიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში.

II. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ.

III. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი, ხოლო ეპარქი-ის მღვდელმთავრებთან საბჭოები; შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

IV. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექც-ეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლოსასულიერო დაწესებულების და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

V. იერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადა-ცემული საეკლესიო მამული.“ (27, 81-82). პეტიციას ხელი მოაწერა 412 ღვთისმსახურმა. მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა საქართველოს ეგზარქოსი ალექსი, რომელმაც საერო მთავრობის ჯარი მოსთხოვა „მეამბოხე“ და „ურჩი“ სამღვდელოების დასაშლელად. რუსმა ჯარისკაცებმა სიამოვნებით შეასრულეს ხელისუფლების სურვილი და მათრახებით სცემეს გოლოვინის გამზირზე საეკლესიო დროშებით, ხატებით გამოსულ ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებს. რუსეთის ხელისუფლების ასეთმა ქმედებამ არათუ შეანელა, არამედ კიდევ უფრო გაამძაფრა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა. რეპრესიების მსხვერპლი გახდა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, როგორც იგი წერდა: „1908 წლის დამლევს უწმიდესი სინოდის განკარგულებით სასტიკად ვიქენი დასჯილი: აღმეხადა მღვდელ-მსახურების უფლება და გაგზავნილ ვიქენი რიაზანის სამების მონასტერში, სადაც გავატარე ერთ წელიწადზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ. 1910 წელს დამიბრუნეს მღვდელმსახურების უფლება და მომცეს წინამძღვრის ადგილი. ჩემი გადმოსახლების შემდეგ გადის თითქმის რეა წელიწადი, მაგრამ ყოველ ჩემ თხოვნას სამშობლოში დაბრუნებაზე უწმიდესი სინოდი უყურადღებოდ ტოვებდა. უკანასკნელი პირადადაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ძველი ცოდვები, მაგრამ როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდისმეო. სჩანს მათ არა აქვთ კონკრეტული ფაქტები ჩემს წინააღმდეგ და მხოლოდ მათი პოლიტიკა უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარე ყოფნას, როგორც მათი შეხედულებით, არასაიმედო პირისას. ამის გამო ახლაც, როდესაც სხვა გადმოსახლებულებს აჰხადეს არასაიმედო პირების სახელი, როდესაც, როგორც გაზეთებმაც გვამცნეს, მოხდა მათი რეაბილიტაცია, ჩემს მდგომარეობას არ ეშველა რა და ახლაც სიტყვიერად მაგებინებენ, რომ ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესება მოუხერხებელია, რადგან ძველი ცოდვები ამის წინააღმდეგს გვიკარნახებსო, მაგრამ მწამს, რომ დრო მალე გამოიცვლება. საზოგადოდ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი

და ვიქნები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მიატოვოს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას მოელოდეს პირადი წარმატება და ბედნიერება."(2,30).

არქიმანდრიტი ამბროსი 1909 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის დეკემბრამდე რიაზანის ეპარქიის სამების მონასტრის პატიმარი იყო,აკრძალული ჰქონდა ღვთისმსახურება,მასაც ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა დააბრალეს. რადგან წარმოდგენილი აბსურდული ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, აღუდგინეს ღვთისმსახურების უფლება და ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. მისი სამშობლოში დაბრუნების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა...

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არქიმანდრიტ ამბროსის საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო. იგი აქტიურად ჩაერთო ავტოკეფალურ მოძრაობაში. 1917 წლის 12(25) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა. არქიმანდრიტი ამბროსი აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. მოსაგვარებელი იყო რუსეთის დროებით მთავრობასთან და საქართველოში მის ფილიალ – ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან ურთიერთობა,საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფოში სამართლებრივი ურთიერთობის, რუსეთის ეკლესიის სინოდთან დამოკიდებულების საკითხები. ასევე რთული იყო ქონებრივი დაეის საკითხების მოგვარება.

რუსეთის სასულიერო იერარქებს გაგონებაც არ სურდათ იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან რაიმე ურთიერთობა დაემყარებინათ. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო არაკანონიკური, რევოლუციური აქტი და უარს ამბობდნენ ქართველ სასულიერო პირებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე,რაც შეეხებოდა რუსეთის დროებით მთავრობას, დიდი სიხარულით არც ისინი შეხვედრიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ მაინც თანახმანი იყვნენ ეწარმოებინათ მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე რუსეთის სახელმწიფოში.

1917 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე პეტროგრადში რუსეთისდროებით მთავრობასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. ქართველ სასულიერო პირებს იმედი ჰქონდათ იმხანად პეტროგრადში მოღვაწე ქართველების დახმარებისა და არც შემცდარან,კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ნინო გელოვანი, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ რევოლუციურ პეტროგრადში ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას. ქართველი სასულიერო პირები შეხვდნენ რუსეთის სინოდის ობერ-პროკურორ ლეოვს, სარწმუნოების მინისტრ კარტაშევს, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს კერენსკის. დაძაბული მოლაპარაკების დროს გამოიკვეთა რუსეთის მთავრობის პოზიცია, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამტკიცებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას, თუ საუბარი იქნებოდა არა ტერიტორიალურ, არამედ ეროვნულ ავტოკეფალიაზე.

ასეთ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ მიიღო გადაწყვეტილება სამშობლოში გამომგზავრების შესახებ.

1917 წლის 14 აგვისტოს თბილისში საეკლესიო კრების წინასწარ სხდომაზე მოისმინეს ეპისკოპოს ანტონის,არქიმანდრიტ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატეს ინფორმაციები პეტროგრადში გამართული მოლაპარაკებების შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება ემოქმედათ საკუთარი სინდისისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების შესაბამისად.

1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში

მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი კრება,რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება,დაამტკიცა 13 ეპარქია, გამოარჩია მმართველი მღვდელმთავრები. აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირველად ეს პატივი წილად ხვდა ეპისკოპოს კირიონს, რომელსაც ეწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი და უწმიდესი კირიონ II. საეკლესიო კრებაზე არქიმანდრიტმა ამბროსიმ წაიკითხა სამურზაყანოდან თავად მიხეილ ანჩაბაძის მისალმება — აფხაზეთის საზოგადოება ძმური სალმით მიესალმება მოძმე ერს, ულოცავს დღესასწაულს და აუწყებს აფხაზეთის საქართველოსთან შეერთებას. სწორედ ის ფაქტი, რომ ბაგრატ III იწოდებოდა მეფედ აფხაზთა და ქართველთა, დასაფლავებულია ბედიის მონასტერში, მაჩვენებელია იმ სულიერი კავშირისა,რომელიც არსებობს აფხაზეთსა და საქართველოს შორის საეკლესიო კრებამ ჭყონდიდელ ეპისკოპოსად დაამტკიცა ამბროსი ხელაია, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა იმავე დღეს მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. მეუფე ამბროსიმ ჩაიბარა ჭყონდიდის ეპარქია და შეუდგა საქმიანობას. 1917 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II იმსჯელეს ცხუმ-ბედიელის კათედრის აღდგენის აუცილებლობაზე. საკათალიკოსო საბჭომ მიტროპოლიტ ამბროსის ასეთი შინაარსის მიმართვა გაუგზავნა: სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ ამა წლის 2 გიორგობისთვეს თავის სხდომაზე იქონია მსჯელობა ცხუმის (აფხაზეთის) კათედრის აღდგენის და მის ხელმძღვანელად გადაყვანის შესახებ.

ეს კათედრა ძველად იყო ცხუმ-ბედიის ეპარქიებისა (ტერიტორია ძველი ეპარქიების: დრანდის — იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა) — ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით, კათედრა მღვდელმთავრისა იყო ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია იქვე.

ცხუმის კათედრას ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სარწმუნოებრივი-საეკლესიო კავშირი აერთებდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ერს აფხაზებთან ძმურის კავშირით.

სამწუხაროდ,მრავალ მიზეზებისა გამო,ეს კავშირი ქართველთა და აფხაზთა შორის, ცოტა არ იყოს, შესუსტდა.

საკათალიკოზო საბჭოს აზრით, საქართველოს ეკლესიის აღდგენა და მომავალი უეჭველი აღორძინება მისი თავდებია,რომ შესაძლებელი უნდა იყოს კელავ გაძლიერება ქართველთა და აფხაზთა შორის ძმური კავშირისა და სარწმუნოებრივ-საეკლესიო ერთობისა“ (12, 463).

ვინაიდგან დღეს აფხაზეთი არის მიწერილი ჭყონდიდის ეპარქიაზე, საკათალიკოზო საბჭო მოგმართავთ თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას და გთხოვთ მიმოვლიოთ ეს მხარე (აფხაზეთის) და გააცნოთ ადგილობრივნი მკვიდრნი თუ რაოდენად მოუცილებელი საჭიროება არის, როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზთათვის განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს.

1917 წლის 12 დეკემბერს სამურზაყანოს სამღვდელოებამ ასეთი შინაარსის ოქმი გაუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს კირიონს და მიტროპოლიტ ამბროსის.

1917 წელსა დეკემბრის 12 დღესა. ამ რიცხვს შედგა დაბა გალში სამურზაყანოს ნაწილის და სოფელ ილორის, სამღვდელოების და სამრევლოთა წარმომადგენლების შეერთებული კრება. თავმჯდომარედ იქმნა ამორჩეული მღვდელი სამსონი სვანიძე,ხოლო მდივნად მღვდელი ბართლომე ხარებავა, ამის შემდეგ კრება შეუდგა დღევანდელი მომენტის მიერ გამოწვეული სხვადასხვა საკითხების გარჩევას, საკითხების,რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას. ვინაიდან სამურზაყანო შესულია საქართველოს საკათალიკოსოში კრებამ ერთხმად დაადგინა:

1) სანამდე გამოირკვეოდეს, სამურზაყანო-აფხაზთა ურთიერთშორის დამოკიდებულება ეკლესიური ცხოვრების მხრივ, დროებით მიეკედლოს ჭყონდიდელის სამიტროპოლიტოს და დღეის რიცხვიდან მოსპოს ყოველივე დამოკიდებულება სოხუმის ეპისკოპოზი სერგის და მის კანცელარიასთან.

2) კრებამ დაადგინა დაარსდეს სამურზაყანოში სამი საეკლესიო საოლქო საბჭო: ა) დ. გალში, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) პირველი და მეორე გალი, ბ) ხუმუშქური, გ) რებჩხი, დ) პაპიჩონი, ე) რეფი, ვ) შეშელეთი, ზ) ბარღები, თ) ქვემო ბარღები, ი) ნაბაკევი, ი) თაგილონი პირველი და მეორე, იბ) ოტობაია პირველი და მეორე, იგ) ნაჭკადუ და იე) ზემო ცხირი; ბ) დ. აჩიგეარში, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) ილორი, ბ) ბედია პირველი და მეორე, დ) სანავარდო, ე) მუხური, ზ) წარჩე, ც) გუდავა პირველი და მეორე, ი) ოქუმი, ია) ღუმურიში და იბ) ჩხორთოლი; გ) ს. ჭუბურხინჯი, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) ფახულანი, ბ) საბერიო პირველი, მეორე და მესამე, ე) დიხაზურგა, ვ) ჭუბურხინჯი პირველი და მეორე და ზ) ცხირი.

3) დაარსდეს ყოველივე ეკლესიასთან სამრევლო საბჭო.

4) საოლქო საბჭოსი წევრებად ამოირჩეს დ. გალში მღვდელნისამსონი სვანიძე, ალექსანდრე რურუა და აბელი ჩეხერია, მთავარი დიაკონი ნიკანდრე ანჯაფარიძე, მედავითნე დიმიტრი კაკუბავა და აქესენტი ჭანტურია, ხოლო ერის კაცთაგან ზოსიმე ქეცბაია და სოსრანი ქორქია. დ. აჩიგეარაში მღვდელნი კონსტანტინე მაჯგანაძე, ბართლომე ხარებავა და ხარიტონი შელია, მედავითნენი ანტონი შარანგია, ალექსანდრე ხოჭავა და კონსტანტინე გეგეჭკორი, ხოლო ერის კაცისაგან მიხა თარბაია, თედორე გეილავა და ნიკო ბენია.

ს. ჭუბურხინჯში — მღვდელნი ნიკოლოზი ჭედია, აქესენტი რურუა და სამსონი მაჯგანაძე, დიაკონი ეგნატე შონია, მედავითნე მელიტონი ანჯაფარიძე, ერის კაცთაგან — გიორგი ჯახია და კოსტა პატარაია და 5) ოქმის დედანი დარჩეს დ. გალში, ხოლო ასლი გაუგზავნოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორეს და ჭყონდიდელი მიტროპოლიტ ამბროსის. თავმჯდომარე მღვდელი სამსონ სვანიძე. მდივანი მღვდელი ბართლომე ხარებავა.“ (12, 689).

ეპარქიაში დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რათა მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ ეკლესიისაკენ შემობრუნებულიყო. ეკონომიკური სიდუხჭირე, ნაკლებ მორწმუნეობა, რთული პოლიტიკური ვითარება, ყოველივე ეს თავის დაღს ასვამდა საეპარქიო ცხოვრებას. ამას დაემატა ყოლად მახინჯი მოვლენა ე.წ. კუთხურობის მომენტების წინ წამოწევა ეკლესიაში. დაპირისპირებანი, ინტრიგები ყველაზე მეტად მედროვეებს აწყობდათ. დაპირისპირებისა და მუხანათობის მსხვერპლი გახდა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. ასეთ რთულ ვითარებაში დიდი სულიერი სიმტკიცე და მშობელი ეკლესიის სიყვარული იყო ის ძალა, რამაც გააძლებინა მეუფე ამბროსის, იგი კვლავ ჩვეული გულმოდგინებით ემსახურებოდა თავის საქმეს.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას დიდი წინააღმდეგობები ხვდებოდა თავისი იურისდიქციის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განვრცობისას, განსაკუთრებით დიდი სირთულეები იყო აფხაზეთში. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ XIX საუკუნის II ნახევრიდან სერიოზული სამუშაოები ჩაატარა აფხაზებში, რომელთა მუსლიმანური ნაწილი სწორედ რუსების მიერ იქნა გასახლებული XIX საუკუნის 7080-იან წლებში მათ უნერგავდნენ იმ აზრს, რომ თითქოს მათი ერთადერთი მტრები ქართველები იყვნენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ვითარების შეცვლის მიზნით რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ასახლებდნენ ათასობით რუსს, ხოლო საქართველოს სხვადასხვა პროვინციებიდან ქართველებს იქ ჩასახლების უფლება არ ჰქონდათ. რუსეთის ხელისუფლებამ სცადა XX საუკუნის დასაწყისში სოხუმის ეპარქიის საქართველოდან ჩამოშორებაც, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა,

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წაქეზებით აფხაზმა ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორება. რუსი ეპისკოპოსი სერგი ამ დროს სოხუმში იმყოფებოდა და რუსულენოვან მრევლს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. აფხაზმა ბოლშევიკებმა შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, ჩამოაყალიბეს წითელი რაზმები, დაიკავეს სოხუმი და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს მთავრობას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა შეიარაღებული ჩარევისა, რათა დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. „1918 წლის ივნისში სახალხო გვარდიამ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით დაამარცხა აფხაზ სეპარატისტთა და მათ დასახმარებლად ყუბანიდან შემოსული კაზაკთა წითელი რაზმები, დაიკავა სოხუმი. 22 ივნისს სახალხო გვარდია შეიდა გაგრაში, 2 ივლისს აღებულ იქნა ადლერი, 6 ივლისს სოჭი, 26 ივლისს ტუაფსე.“(6, 67). საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის აღდგენის შემდეგ საეკლესიო სეპარატიზმის სულისჩამდგმელებსაც ფრთები შეეკვეცათ. 1919 წლის ოქტომბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი ლეონიდი, ჰყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის თანხლებით სოხუმს ესტუმრა, შეხვდა მოსახლეობას და წარუდგინა ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია. მიტროპოლიტი ამბროსი თავის მოღვაწეობას შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე რთულ ეპარქიაში. საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი ტაქტი, ქრისტიანული შემწყნარებლობა, ადგილობრივი პირობების კარგად ცოდნა, პატრიოტიზმი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა სოხუმის ქართველობა. თავადმა ვ. შერვაშიძემ სოხუმში უკანონოდ მყოფ რუს ეპისკოპოსს სერგის ასეთი წერილი გაუგზავნა „საკათალიკოსო საბჭოს მიერ სოხუმის ეპარქიის კანონიერ მმართველად დანიშნულია მიტროპოლიტი ამბროსი. თქვენი ადგილი აქ აღარ არის.“(3, 164). მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაიწყო ეპარქიაში ქართული წირვა-ლოცვების აღდგენა. ქადაგებებში აფხაზეთის მცხოვრებთ მოუწოდებდა ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და ქრისტიანული სათნოებისაკენ.

1918 წლის 1 სექტემბერს მიტროპოლიტმა ამბროსიმ სოხუმის საკათალიკოსო ტაძარში შეკრებილ ქართველ მორწმუნეებს ამ სიტყვებით მიმართა

„მადლი თქვენდა მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა“ (გალატ. 1,3)

მოციქულის ამ სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, მართლმადიდებელნო ქართველნო, წეერნო საქართველოს ეკლესიისანო! სიყვარულით მოგესალმებით.

მე დიდი ხანია ვეძებდი შემთხვევას, მენახა ამ ღვთივდაცულ ქალაქის ქართველობა, მინდოდა გამეგო აქაური მდგომარეობა, თქვენი ქრისტიანული მისწრაფებანი, თქვენი მშობლიური, აწ უკვე თავისუფალი ეკლესიის ინტერესების დაცვის სურვილი, ამ მისწრაფებისა და სურვილის სიღრმე-სიდიადის რაოდენობა. ჰქონდა სხვა საბუთიც ამ ჩემს სურვილს. სოხუმი ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია. აქ აღმეხილა მე პირველად გონების თვალი, აქ ემსახურობდი როგორც მოძღვარი და, კიდეც თქვენშიც ეხედავ ნაცნობ პირებს, რომელთანაც მჭონია სულიერი კეთილი განწყობილება. აქ გავიგე და შევიგნე ჩვენი ეკლესიის მონობაში ყოფნის აუტანლობა, მდგომარეობის სიმწვავე, – ის, რომ მორწმუნე ერი გამეფებული არაქრისტიანული რეჟიმის გამო ჩაჭარის ნაბიჯით მიექანებოდა გაურწმუნოების გზაზე. აქ გადაგვარება-გარუსების პოლიტიკა უკიდურესად იყო გამეფებული. აქ ჩამესახა პროტესტის გამოცხადების აუცილებლობა. აქიდან – სოხუმიდან იწყება ჩემი ეკლიანი გზით სიარული, აქ იყო დასაბამი ჩემი ტანჯვა-დევნულობა-ვაება-უბედურებისა. მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ სოხუმი იყო აგრეთვე დასაბამი ჩემის ახლანდელის შედარებით ბედნიერებისა, ვინაიდან მე ბედნიერათ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ვიხილე ის, რასაც ელტვოდნენ ბევრნი მამულიშვილნი, მაგრამ ვერ იხილეს, ე.ი. მაქვს საშვალება თქვენთან ერთად გავიზიარო ბედნიერება ეკლესიურად და ეროვნულად თავისუფლებაში ყოფნისა. მაშ, ჩემთვის

ყოველთვის სასიხარულო იყო და იქნება ნახვა, თქვენთან ყოფნა, რომ დავრწმუნდე თქვენს სარწმუნოებრივად და ეროვნულად განმტკიცების გზაზე დადგომაში.

დიახ, ჩვენი ეროვნული ეკლესია ახლა თავისუფალია, მისი ბედ-იღბალი ახლა ჩვენს ხელშია და ვისაც აინტერესებს სარწმუნოებრივი კითხვები, ვინც მის აუცილებელ საჭიროებაში დარწმუნებულია, მისი გამაგრებას ხელი უნდა შეუწყოს. ვისაც სწამს ჩვენი ეკლესიის ამაგი წარსულში, — ის, რომ მან — დედა ეკლესიამ — მრავალ საუკუნეების განმავლობაში დაიცვა ჩვენი ეროვნება, შეგვანახვია ჩვენი ვინაობა, გვეიხსნა გადაგვარება-განადგურებისაგან, — რომ მის შვილთა და მის წიაღში შექმნეს მდიდარი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, მოგვცა ის მდიდარი საგანძური ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომლის მცირე ნეშტი, რაც ბარბაროს მტერთა ხელს გადაურჩა, — შენახულია ჩვენს და სხვა ქვეყნების მუზეუმებში და რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავთ უცხო ქვეყნების მეცნიერები, — ვისაც სწამს ყველა ეს და შეგნებული აქვს, უსათუოდ ისიც უნდა იწამოს, რომ ამნაირი ეკლესია პატივსაცემია, ის სამომავლოშიაც შეძლებს მოუტანოს სარგებლობა მშობლიურ ერს.

ამ ერთწელიწად ნახევრის წინ ჩვენმა ეკლესიამ მიიღო თავისუფლება, დაიღწია თავი ასი წლის მონობას, აიყარა მონობის ბორკილები. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ყველამ ხელი უნდა მოვუმართოთ ეროვნულ ეკლესიას, გავამაგროთ მისი თავისუფლება, რადგან ეს მოპოვებული თავისუფლება ჩვენ მიგვაჩნდა ეროვნულ თავისუფლების საფუძვლად, ქვაკუთხედად. აკი მართალიც გამოდგა. ამ ორი-სამი თვის წინათ ჩვენ ვეღირსეთ პოლიტიკურ-ეროვნულ თავისუფლებასაც. ეკლესიის მოღვაწენი და თვით ეკლესიაც გამოდგნენ პიონერებად ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლების საქმისათვის. მაშ, ღირსია ჩვენი ეკლესია ყურადღებისა.

ჩვენი ეკლესია წააგავს ახლადგანკურნებულ ავადმყოფს, რომელსაც ფეხები იმდენად არ გამაგრებია, რომ მას საშიშროება არ მოელოდეს დაუხმარებლად სიარულის დროს. საჭიროა მხარში ამოდგომა-დახმარება, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში სიმდაბლეში მყოფი და ახლადგანკურნებულ და ფეხადგმული ეკლესიამ შეიძლოს გამოიჩინოს ის ცხოველმყოფელი ძალა და უნარი მოქმედებისა, რომლითაც ის განთქმული იყო ძველად. იოანე კესარიელი იტყვის თავის „ფიზიოლოგიაში“ იმ ერთნაირ ხელიკზე, რომელიც დაბერდება და კბილებ ჩაცვინული ხდება და მღვიმეში სძინავს. ასი წლის შემდეგ ის გამოდის მზეზე, მისი ყვითელი კანი ლურჯად აბრწყინდება, კბილები ამოუდის და ახალგაზრდავდება. საქართველოს ეკლესიაც ასი წელიწადი დამწყვდეული იყო მოუძლურებული, მოქმედების უნარისაგან გაძარცული, მაგრამ ახლა მას მოხვდა მზის სხივები და ისიც გადახალისდება გაბრწყინდება, ეს მოხდება მხოლოდ ჩვენის მეოხებით და ხელშეწყობით.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არსებული რთული ვითარების სრული სურათია მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენებაში, რომლითაც მან მიმართა საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს 1918 წლის 26 დეკემბერს სოხუმის ეპარქიის 56 ეკლესიის კრებულთა ჯამაგირები გადმორიცხულ იქმნა მთაეროპისაგან ჩემს განკარგულებაში. ამასთან 36 კრებულისათვის ჩემ მიერ გახსნილი იქმნა კრედიტი სენაკის და ფოთის ხაზინებში, ხოლო ხუთი ეკლესიის კრებულთათვის — სოხუმის ხაზინაში. დანარჩენთათვის არ გამიხსნია კრედიტი, რადგან ისინი არ გადმორიცხულან ჯერაც ჩემს ეპარქიაში. ამ უკანასკნელთაგან ათი კრებულისათვის, არ ვიცი რა უფლებით, კრედიტი გაუხსნია სოხუმის რუს ეპისკოპოსს.

რაც შეეხება სოხუმის სობორის კრებულს, მისთვის უკანასკნელად (გაუციათ) ჯამაგირი ჩემდა დაუკითხავად და ამისთვის შევაჯერე. ეს კრედიტი გადმორიცხულია ჩემს განკარგულებაში იქაურ ქართველთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა რუსთათვის, რადგან ქართველთა რიცხვი ქ. სოხუმში თითქმის თერამეტი ათასამდეა, რუსების კი არ აღემატება შვიდი-რვა ათასს, ხოლო საკრებულო ტაძარში წირვა-ლოცვა სრულდება მხოლოდ რუსულ ენაზე, რადგანაც ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა სოხუმის ქართველთათვის ქართველი მღვდლის დანიშვნა

და წელიწადიც თავდება. მე შემეძლო გამეხსნა ეს კრედიტი სოხუმის ეპისკოპოსის განკარგულებაში,მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის გარემოება,რომ სოხუმის საკრებულო-ტაძარში ქართველთათვის წირვა-ლოცვა არ სრულდება დრო გამოშვებით მაინც და ჩემს მიმართვას სოხუმის ეპისკოპოსმა სერგიმ ერთხელაც არ ინება ჩემთვის პასუხი გაეცა. როგორც ჩემთვის შემდეგში ცხად იქმნა,ამისი მიზეზი ის იყო,რომ იგი ჩვენს ეკლესიას და მის იერარქიას არ სთვლის მართლმადიდებლურ ეკლესიათ და კანონიერ იერარქიად. ამის გარდა ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ სოხუმის ეპისკოპოსი არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას და სოხუმის საკრებულო ტაძარში მისი ბრძანებით აღავლენენ ღვთისადმი ვედრებას არა საქართველოს,არამედ რუსეთის მეუფებისათვის. ეპისკოპოსის სერგის რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობის მომხრეობაზე საკათალიკოზო საბჭომ უკვე იცის ჩემის მოხსენებიდან. მე არ მიმაჩნია სამართლიანად ჩვენი რესპუბლიკის ხაზინამ აძლიოს კრედიტი იმ ეკლესიას,რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მყოფი, არ იწყნარებს მის ქვეშევრდომობას.

ეპ. სერგი განაგებს ეკლესიურად შავი ზღვის სანაპიროების იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ანაპიდან საქართველოს საზღვრამდის. მაშასადამე,ის უნდა ითვლებოდეს ეპისკოპოსად რუსეთის ტერიტორიის მცხოვრებთათვის და არა საქართველოს რესპუბლიკის ნაწილის მცხოვრებთათვისაც და, თუ ითვლება ორ სახელმწიფოში მოსამსახურეთ,ცხადია,რომ ეს ხდება არა კანონიერად,და საქართველოს რესპუბლიკის ხაზინამ არც უნდა აძლიოს ამნაირი მღვდელმთავრის საკათედრო ტაძრის კრებულს ჯამაგირები, მით უმეტეს, რომ ამ ტაძარში ქართველთათვის არ სრულდება წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

ამისთვის, ჩემის აზრით, როგორც სოხუმის, ისე აფხაზეთის იმ მრევლების კრედიტები, რომელიც გახსნილია ჩემს განკარგულებაში იქაური ქართველების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შემდეგშიაც უნდა დარჩეს ჩემს განკარგულებაში და ამის თაობაზე ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს მოახდინოს სათანადო განკარგულება მიტროპოლიტი ამბროსი.“ (12, 463).

ცხუმ-ბედიელმა მეუფე ამბროსიმ 1918 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში დააყენა საკითხი სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შემოღების აუცილებლობის შესახებ.

ქალაქ სოხუმში ქართველ მცხოვრებთა რიცხვი აღწევს თვრამეტ ათასამდე და ამდენი მართლმადიდებელი ხალხი დარჩენილია უეკლესიოდ და უწირვა-ლოცვოდ მშობლიურ ენაზე. სოხუმის საკათედრო ტაძრის კრებულში არის ერთი ქართველი მღვდელი,მაგრამ მას უფლება არა აქვს ამ ტაძარში შეასრულოს წირვალოცვა ამ ენაზე. სამართლიანობა მოითხოვს,რომ საქართველოს ფარგალში მყოფ ქალაქში საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებაც იქმნეს დაკმაყოფილებული და სოხუმის ქართველობაც მოითხოვს, რომ მისი უფლებებიც აღდგენილ იქმნეს და იმ საკრებულო ტაძარში, რომელშიც მასაც უდევს წილი, სრულდებოდეს მორიგეობით ქართულ-რუსულ ენებზე წირვა-ლოცვა.

ამისთვის ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, მიეწეროს სოხუმის ეპისკოპოს სერგისს,დაკმაყოფილებულ იქმნას სოხუმელ ქართველების ეს კანონიერი სურვილი და ქართველ მღვდელს და წიგნის მკითხველმგალობლებს, რომელნიც სოხუმის ტაძარში შეასრულებენ წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე, ჯამაგირი მიეცეს იმ კრედიტიდან, რომელიც გახსნილია ჩემს განკარგულებაში სოხუმელ ქართველთათვის.“ (12, 463).

ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენება საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსადმი 1919 წ. 21 მაისს გაგზავნილი წერილის გამო 30 აპრილიდან №2106, პატივი მაქვს მოვახსენო ზემოხსენებულ საბჭოს შემდეგი: სოხუმის ქართველობა შუამდგომლობდა, რომ საკათალიკოზო საბჭოს გაეგზავნა სოხუმში ვინმე წევრთაგანი იქაური საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად. ამ

გადაწყვეტილებამდის მიეიდნენ სოხუმელები იმ მოსაზრებისა გამო, რომ ჩემი, როგორც მღვდელმთავრის, გარეგა იმნაირ საქმეში, სადაც საჭირო იყო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, არ მიაჩნიათ სასურველად. ამავე აზრის იყო თვით საკათალიკოზო საბჭოც სოხუმელთა შუამდგომლობის გარჩევის დროს, რის გამო სოხუმში წასვლა და საქმის მოგვარება დაეკისრა ერთ თავის წევრთაგანს. ახლა კი ზემოხსენებული წერილით მეცნობა, რომ დანიშნულ წევრს სოხუმში გამგზავრებაზე უარი განუცხადებია და ამ მიზეზისა გამო საბჭო იძულებული გამხდარა თავისი უწინდელი დადგენილება და შეხედულება გამოეცვალა და დაედგინა, რომ სოხუმის საეკლესიო საქმეები მოწესრიგდნენ ჩემი ხელმძღვანელობით და, რომ ჩემდა დასახმარებლად თავის წევრს გაგზავნის სოხუმში მხოლოდ მაშინ, როდესაც მე იქ გავემგზავრები. ამის გამო პატივი მაქვს მოვახსენო საკათალიკოზო საბჭოს, რომ თუ მას სასურველად მიაჩნია ჩემი ამ საქმეში გარევა და თუ ეს არ გამოიწვევს რაიმე უხერხულობას, მაშინ მე თვითონ სხვის დაუხმარებლად ეიტვირთებ საქმის მოწესრიგებას აქტიურ ნაბიჯების გადაუდგმელად, რადგან ეს არ უნდა შეეფერებოდეს მღვდელ-მთავრის ხარისხს, და რადგან სხვისგან გადადგმული მოსალოდნელი აქტიური ნაბიჯებში მე თანაზიარი და პასუხისმგებელი არ შემიძლია ვიყო.

დამოუკიდებლად ამისა, მოვახსენებ საკათალიკოზო საბჭოს, რომ ზემოხსენებული წერილის მიღების შემდეგ ამ თვის პირველ ნახევარში გავემგზავრე სოხუმში და უკვე გავმართე მოლაპარაკება სოხუმელ ქართველობასთან და აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე და წევრებთან ამ საკითხის გამო, აგრეთვე მოვამზადე ნიადაგი სოხუმის ეპისკოპოსთან ამ საქმეზე მშვიდობიან მოლაპარაკებისათვის, რომლის გამართვა გადაიდო სხვა დროისათვის, რადგანაც ეპისკოპოსი სერგი ამ ხანად სოხუმში არა იმყოფება . ამ დღეებში მივემგზავრები სარევიზიოდ სამურზაყანო და აფხაზეთში — სოხუმში ჩავაღწევ, ალბათ, ერთი თვის შემდეგ და მაშინ მოვახსენებ საკათალიკოსო საბჭოს, რა შედეგი ექნება ჩემს იქ ყოფნას.“ (12, 463). ასევე მნიშვნელოვანი იყო მისი ქადაგება სოხუმის საკათედრო ტაძარში 1919 წლის 5 ოქტომბერს.

ძმანო, ქრისტიანენო! დღეს წაკითხული სახარება ღირსია გაწაფული ყურადღებისა, ის გვასწავლის რამდენად მიიზიდავს ის ჩვენზე ღვთის მადლს.

დიდია ძალა სარწმუნოების. სარწმუნოებამ განკურნა განრღვეული, დიდი იყო სარწმუნოება რომაელის ასისთავისა, რომელზედაც ბრძანა ქრისტემ, მთელ ურიასტანში არ მიხილავს ამნაირი სარწმუნოებაო. და განიკურნა მონა მისი, რომელზედაც სთხოვდა ქრისტე-მაცხოვარს. სარწმუნოებამ განკურნა ის დედაკაცი, რომელიც 12 წელი იტანჯებოდა უკურნებელის სნეულებით და რომელმაც ფარულად შეახო ხელი ქრისტეს კალთებს და განიკურნა. სარწმუნოებამ ჰქმნა ის, რომ ქრისტესთან ჯვარცმული ავაზაკი გახდა სამოთხის მკვიდრი. რა არ ჰქმნა შესაძლებელად მოციქულების სარწმუნოებამ? ისინი გაუნათლებელნი, ღარიბნი, ფეხშიშველნი მიმოივლიან მთელ მაშინ ცნობილ ქვეყნიერებას, სძლევენ მეფეთა, დიდებულთა, მეცნიერთა და სწავლულთა, სძლევენ წარმართობას, ურწმუნოებას და ქრისტეს სახარებას მოჰფენენ დედამიწას, ყველას დაუმორჩილებენ მას.

განა კერძო ცხოვრებაში და კერძო საქმეებშიაც არა აქეს მნიშვნელობა სარწმუნოებას? ვინ არ იცის, რომ რწმენა ანიჭებს კაცს გამარჯვებას? თუ კაცს სწამს დაწყებული საქმე, მაშინ ის დაწყებისთანავე ის ნახევრად გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ ადამიანს დაწყებული საქმის შესაძლებლობა თვითონ არა სწამს, არა აქვს რწმენა, რომ ღმერთი მისცემს მას გამარჯვებას, მაშინ ძალიან, ძალიან საეჭვოა ის სისრულეში მოიყვანო მასში გაიმარჯვოს. რა მეომარი იქნება ის, რომელსაც ომის დროს არა სწამს, რომ გაიმარჯვებს, რომელთაც არა სწამთ, რომ მათ ღმერთი შეეწევა? ამნაირიე მხედრობა გაჭირვების დროს თვით გარბის ბრძოლის ველიდან, რის მაგალითები მოგვცა წარმართული წლების უმაგალითო ომებმა.

როდესაც ჯარში შეიტანეს ურწმუნოება, მას წაერთვა სიმტკიცე, წაერთვა უნარი და სურვილი სამშობლოს დაცვისა.

მორწმუნე ოჯახის ცხოვრება ტკბილი და სათნოებიანია, ოჯახის წევრთა შორის სუფევს სიყვარული, თანხმობა, შრომისმოყვარეობა, ზომიერება, სმა-ჭამა-სიმხიარულეში, — ერთი სიტყვით, ის, რაც ანიჭებს კაცს ბედნიერებას.

მორწმუნე დედ-მამანი სასარგებლონი არიან სამშობლოსათვის, რადგან ზნეობა-სარწმუნოებით აღსავსე შვილებს უზრდიან მას; იმნაირ შვილებს, რომელთაც შეუძლიათ თავის მოღვაწეობით მოუტანონ სამშობლოს სარგებლობა. ხოლო ურწმუნოება ოჯახის დამრღვევია, ზნეობრივი ნიადაგის გამომცლელი ცხოვრებაში. რა შვილები უნდა აღუზარდონ ეკლესიას და სამშობლოს იმ დედ-მამამ, რომელთაც თვითონ არა აქვთ სარწმუნოება, არ იზიარებენ სახარების იდეალებს, არ მისდევენ მის ზნეობრივ სწავლას? ამნაირი ოჯახი უნდა ჩაითვალოს ავადმყოფ ოჯახად და უბედურია ის ხალხი, ის სახელმწიფო, ის ერი, რომელიც შედგება ამნაირის ერთეულებისაგან, მაშინ თვით ერიც დაავადებული და სუსტი იქნება და ამნაირი ერი მიექანება გადაგეარება-განადგურებისაკენ.

. სარწმუნოება ანიჭებს კაცს ბედნიერებას, სულის სიმშვიდეს სიკეთილის ჟამსაც კი, ის ნუგეშისმცემელია, რადგან მას სწამს, რომ სიკვდილი მხოლოდ მიცვალებაა, გარდასვლაა მომავალ სანეტარო ცხოვრებაში. ურწმუნოთა უკანასკნელი ჟამი ცხოვრებისა ვოლტერისებურად აღშფოთებული და აუტანელია.

მოვიხსენიებ იმასაც, რომ უსაფუძვლოა ის აზრი, რომელიც გაერცელებულია ჩვენს ახალგაზრდობაში. ვითომ სარწმუნოება იყოს მტერი თავისუფლებისა. ეს აზრი აშენებულია გაუგებრობაზე. ან თუ შეგნებულად ამბობენ და იმეორებენ ამას, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირი მქადაგებელნი არიან მტერნი ნამდვილის თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლების დამყარება, მისი გამაგრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხში განვამტკიცებთ სარწმუნოებას. თავისუფლება უნდა ემყარებოდეს ქრისტეს ზნეობრივ იდეალებზე, მისი მცნებების აღსრულებაზე. უამისოდ თავისუფლება გარდაიქმნება თვითნებობად, როგორც ამას ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს ჩვენში ადგილი, და ხალხს მოუტანს სარგებლობას წილ მაუნებლობას.

ამის დასაბუთება ახლა შორს წაგვიყვანს და ამისთვის, რომ მეტად არ დაეღალო თქვენი ყურადღება, სხვა დროისთვის გადავდებ. აქ ვიტყვი მხოლოდ, რომ მოციქული პავლეც დღეს წაკითხული სამოციქულოში გვეუბნება ამ ზნეობრივი ცხოვრების საჭიროებაზე ხალხის კეთილდღეობისათვის, ხოლო თავისუფლებაც საჭიროა მხოლოდ ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის და სულიერად ამაღლებისათვის. მაშასადამე, სარწმუნოება საჭიროა თავისუფლების გამაგრება-გაფართოებისათვის.

მაშ, მივხედოთ, მორწმუნენო, ქანაველის ღრმა სარწმუნოებას და მაშინ ჩვენი ცხოვრება იქნება მშვიდი, მყუდრო, ზნეობრივათ ამაღლებული, და მაშინ იქნება ნამდვილი ახლად მოპოვებული ჩვენი თავისუფლება; მხოლოდ მაშინ ჩვენი ცხოვრება გადიქნება იმ სასუფეველად, რომელზედაც გვითხრა ქრისტემ, რომ ის ჩვენ შიგან არისო“ (28, 38).

მიტროპოლიტმა ამბროსიმ 1919 წლის 12 დეკემბერს ასე გაამხნევა სახალხო გვარდიის ჯარისკაცები...

„მახვილო, ვიდრემდის არა დასცხრები, კვლავ ეგე ქარქაშსა შენსა, განისვენე და დასცხერ“ (იერემია, 47, 6).

ასე კვნესოდა გამუდმებული ომებისაგან გულდათუთქული წინასწარმეტყველი იერემია, როდესაც იგი ხედავდა თავისი სამშობლოს უბედურებას. არ სცხრება ახლაც მახვილი, არ ისვენებს და ძალაუნებურად ეურიგდებით იმას, რომ ღმერთს შეესთხოვოთ მოანიჭოს ჩვენს მხედრობას მტრებზე გამარჯვება, ეურიგდებით აუცილებლობას, ვიდღესასწაულოთ არა მშვიდობიანი მუშაობა, არამედ მებრძოლთა ინსტიტუტის დაარსების წლისთავი, — იმ მებრძოლთა რომელნიც აუცილებლობას მოუშორებია თავიანთ ოჯახებში შრომა-მუშაობისათვის.

ბრძოლა და სისხლისღვრა, საუბედუროდ, ჯერკიდევ საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისათვის და იმისათვის გულის სიღრმიდან გილოცავთ, მამულისშვილნო, ამ დღესასწაულს, ორი წლისთავს საქართველოს სახელოვანი სახალხო გვარდიის

არსებობის და მოღვაწეობისას. დიდმნიშნელოვანია ეს დღე პირად ჩვენს ცხოერებაში და საზოგადოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ისტორიაში. დიდია ღვაწლი საქართველოს გვარდიისა ჩვენი თავისუფლების განმტკიცების საქმეში. ბევრი მტერი აღმოუჩნდა ჩვენს თავისუფლებას, ხოლო ამ მტერთა შორის განსაკუთრებით საშიშროებას წარმოადგენს შაე რეაქციის მოტრფიალე მოხალისენი. ყველანი დასცხენ, ხოლო ესენი არა სცხრებიან. მიუხედავად იმისა,რომ მათ უკანასკნელ დროს წითელი ლაშქარი ძალზე ერეკება,მიუხედავად იმისა,რომ ყველა ფრონტებში მათი მდგომარეობა კრიტიკულია, ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ეწევა. ყაჩაღურათ წაიყვანა ჩვენი გემი ჭოროხი, მათი სამხედრო გემები ფირალობენ ჩვენს საზღერებში, ფოთში სროლაც აუტეხიათ. თავისუფლების მტრები არ სცხრებიან.

ბევრი სისხლი დაღვარა სახალხო გვარდიამ, კერძოთ და საზოგადოთ ჩვენმა ჯარმა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მის დასაცავად გარემომდგარ მტერთაგან ყველგან სახელოვნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. მაშ, იმედია, შავრაზმელ მოხალისეებსაც ჩვენი მხედრობა აჩვენებს თავის სიმამაცეს და დაარწმუნებს, რომ საქართველო აბუჩად ასაგდები არ არის,რომ საქართველო ისტორიულად გამოცდილია თავის სამშობლოს დაცვაში და არავის არ შეალახვინებს სისხლით და ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას.

ჩვენი მთავრობა არ თანაუგრძნობს სისხლისღერას,ამაში ის ეთანხმება ქრისტიანულ მოძღვრების მისწრაფებას. სახარება წინააღმდეგია სისხლისღერისა. ომების მოსპობას შეჰხარიდნენ წინასწარმეტყველნი; ისინი მწარე სინამდვილით დაღონებულნი მწუხარებით მოსთქვამდნენ „მახვილო,ვიდრემდის არა დასცხრები...“,ისინი სიხარულით ელოდნენ შორეულ მომავალში მაინც იმ დროს, ოდეს შესაძლებელი იქნება თხა და მგელმა ერთად იძოვონ და საომარი იარაღები გადაკეთდეს მიწის სამუშაო იარაღებად. მაგრამ ახლო მომავალში ამისი მოლოდინი შეცდომა იქნება. ისტორიული მსელელობა იძულებული ჰყოფს ჩვენს ერს შეურიგდეს მწარე სინამდვილეს. ისტორია მეორდება. მუდამ ამნაირი იყო ჩვენი ხალხის ცხოერება-მდგომარეობა. ვინ არ მტრობდა მას? სპარსელები, ოსმალება, მონღოლები, სელჩუკები, რომაელები, ბიზანტიელები, მთიელები, გადამთიელები და მრავალნი სხვანი სცდილობდნენ მოესპოთ ჩვენი ერისთვის თავისუფლება, დაპატრონებოდნენ ჩვენს სამოთხესებურ ქვეყანას, მაგრამ პატარა საქართველო,როგორც ბიბლიური პატარა დავითი,წინაღუდგებოდა ხოლმე გოლიათებს და ხმლით იცავდა თავის სამშობლოს.

რა აძლევდა მას ძალას მრავალ საუკუნეების განმავლობაში წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში იმ აუარებელ და მძლავრ მტრებთან, რომელნიც რკინის რკალივით გარსშემორტყმოდნენ ჩვენს სამშობლოს? ამაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარწმუნოებას, რომელიც თუ ხალხში განმტკიცდა, ჭეშმარიტად სასწაულმოქმედია. ამისთვის არ შემიძლია არ გამოვსთქვა ჩემი სიხარული იმის შესახებ, რომ თქვენ, სამშობლოს შეილნო და მამულის იმედნო, ეს თქვენი და მთლად ქართველობის დღესასწაული დაუკავშირეთ ეკლესიას,ღვთის მოგონებას,მისდამი ვედრებას. ამისთვის დარწმუნებული ვარ,რომ თქვენი მცველი,მფარველი და შემწე მტერთაგან სამშობლოს დაცვაში იქნება თვით ღმერთი.

ძველად ქართველობა უძლეველი იყო სარწმუნოებით და მამულის სიყვარულით. ეს აძლევდა მას სიმხნეს. ტკბილი იყო მისთვის სარწმუნოების და მამულისათვის სიკვდილი, რადგან ეკლესია სარწმუნოებასთან ერთად უნერგავდა მას მამულის სიყვარულსაც. მარაბდის ომში საბრძოლველად გამოეიდა მრეველი მიტროპოლიტი დიმიტრი, აზიარა ხალხი ბრძოლის წინ და თვითონ თავის მაგალითით ამხნევებდა მებრძოლთ და კიდეეაც შეეწირა სამშობლოს, მოკლული იქმნა ბრძოლის ველზე. ამნაირი მაგალითები ჩვენს ისტორიაში ბევრია.

ძველად მორწმუნე ქართველს საბრძოლველად მიმავალს, თან მიჰქონდა ჯიბით მშობლიური მიწა და მით ეზიარებოდა ბრძოლის ველზე სიკვდილის წინ და იტყოდა: „მექმნეს მშობლიური მიწა ზიარებადო.“ ამდენათ დიდი იყო მასში სარწმუნოება და

სამშობლოსადმი სიყვარული.

თქვენც გიღვიეით გულში ის გრძნობა მამულის სიყვარულისა და, როდესაც მას გააორკეცებს სარწმუნოება და ეკლესიისადმი სიყვარული, მაშინ უძლეველი იქნებით, მაშინ სირცხვილეულ იქნებიან მტერნი ჩვენის თავისუფლების.

მაშ, განიხარე ტკბილო სამშობლოვ, შენი საუკეთესო შვილნი შემოკრებილან დღეს სადღესასწაულოდ, რომ ამით მტკიცედ შეკავშირდნენ ჩვენის თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად.

განიხარე შენც, დედა ეკლესიავ, შენნი შვილნი შენ გიგონებენ, შენს ლოცვა-კურთხევას წარიმძღვარებენ თავის სამშობლოს დასაცველად მოღვაწეობაში.

ღმერთო, მიეცი ამათ ძალა საქართველოს მტერთაგან ხსნაში, რომ სამშობლომ შეიძლოს თავისუფლების განმტკიცება და კულტურის გზაზე ჩვენი ერის ჩქარის ნაბიჯით სიარული." (10, 283286).

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის რეაქციული ძალები საეკლესიო ეითარებას ხელოვნურად ართულებდნენ მეუფე ამბროსი 1919 წლის 19 დეკემბერს. ამის შესახებ მოახსენებდა მის უწმიდესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს. „თქვენო უწმიდესობავ, მოწყალეო მამამთავარო!

სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით საეკლესიო მართველობამ, უკაზით 21 ამა წლის ივნისიდან № 31-ი წინადადება მისცა ცხუმის ყოფილ ეპისკოპოზს სერგის, რომ მას დამოკიდებულება არ ქონოდა ჩემთან, რადგან მე ვარ წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიისა, რომელიც „ჩამოშორდა რუსეთის ეკლესიას". ეს განკარგულება ცხუმის ყოფილა საეპარქიო მთავრობის მიერ გაეგზავნა შესასრულებლად სოხუმის ოლქის რუსთ მონასტრების და ეკლესიების წინამძღვრებს.

თუმცა ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი და ძმანი სათანადო პატივით დახვდნენ თქვენს უწმიდესობას, მაგრამ, როგორც ბოლო დროს აღნიშნული მონასტრის წარმომადგენლობამ განმიცხადა, წინამძღვარი და ძმანი მონასტრისა ცნობენ თავის თავს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიონ რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველობის განკარგულებას; მასთან კი მათ არ სურთ საქართველოს ეკლესიასთან შეწყვიტონ კავშირი. სხვა მონასტრები კი ჩემთან უარეს დამოკიდებულებაში არიან, ხოლო სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილმა რუსთა კრებულმა პირდაპირ განმიცხადა, რომ მას არ შეუძლია დაემორჩილოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს, რადგან ეს მას, კრებულს, აკრძალული აქვს რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ. ასევე მოიქცა გაგრის ეკლესიის კრებული.

ყოველივე ზემოხსენებულს ბოლო მოეღოს და ამიერკავკასიის ყველა ნაწილებში აღდგენილ იქნას საქართველოს ტერიტორიალური ეკლესია, როგორც ამას მოითხოვს საეკლესიო კანონები, ამისათვის საჭიროა, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ცნობილი იქმნას აღმოსავლეთის პატრიარქიებს მიერ, ხოლო ეს რომ მოხდეს, აუცილებელი საჭიროა გაიგზავნოს აღმოსავლეთში საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც, ჩემის აზრით, უნდა შევიდეს ერთი მღვდელმთავარი, ერთი მღვდელი და ერთი ერის კაცი. ამ საქმეში უსათუოდ დაგვეხმარება საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში.

ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება დაჩქარებით, რადგან, როგორც საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოს ცნობაა საჭირო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ისე საჭიროა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცნობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ.

თუ სოხუმის ეპარქიის რუსების მონასტრები ჩამოგვშორდა, ეს საქართველოს ეკლესიისათვის არამც თუ სასურველი არ არის, არამედ სხვადასხვა მხრით ძლიერი საზიანოც იქნება. ამასთანავე ვუდგენ თქვენს უწმინდესობას სამხრეთ-აღმოსაელეთ რუსეთის ეკლესიის დროებითი მართველობის 21 ივნისის უკაზის პირის პირს.

თქვენის უწმინდესობის მსასოებელი და მორჩილი, ამბროსი, მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა." (10, 288-290).

1920 წლის 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით მიტროპოლიტმა ამბროსიმ შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „თქვენ აზნაურებისა (თავისუფლებისა) ჩვენებულ ხართ, ძმანო, განა ხოლო აზნაურობა ნუ მიზეზად ხორცთა, არამედ სიყვარულისა, მისთვის ჰმონებდით ურთიერთარს“ (გალატ. 5, 13).

ამ სიტყვებით მოგვმართავს მოციქული პაველ და ამით გვიმტკიცებს,რომ თავისუფლება არის ნიჭი ღვთისა. ეს სიტყვები საუკეთესოდ შეეფერება დღევანდელ დღესასწაულს, წლისთავს ამ თავისუფლების დაბრუნებისა. ვამბობთ „დაბრუნებისა“, ვინაითგან ეს ნიჭი ღვთისა წაგვერთვა ამქვეყნიურის უსამართლობით და ძალმომრეობით. 28 თებერვლის აქტმა დაგვიბრუნა ეს თავისუფლება და,რასაკვირველია,ეს დღე მათთვის, ვინც მოტრფიალეა თავისუფლებისა, ვინ მას მოელოდა და მისთვის იბრძოდა, არის დიდი სიხარულის დღე.

დიახ, ახლა დამყარდა იმნაირი წესწყობილება,როდესაც ხალხის სინდისმა თვალ-ყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას,ვისაც ცხოვრება აყენებს მართვა-გამგეობის სათავეში. ახლა პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს უფლებამოსილთა თვითნებობისაგან, ვინაითგან დაიმსხვრა ბორკილები, რომლითაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში შებოჭილი ვიყავით,თვითეული ჩვენგანი პასუხისმგებელია მხოლოდ ღვთის და სინდისის წინაშე, წინაშე მართლმსაჯულებისა და კანონისა. საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს დღე, როგორც დღე დამფუძნებელი კრების მოწვევის და ამ გზით თავისუფლების გამაგრებისა და კანონიერების გზაზე დადგომისა. დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამისთვის, მამულიშვილნო, წრფელის გულით გილოცავთ ყველა ამას. ეკლესია და ქრისტეს სწავლა დამცველია თავისუფლებისა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთი რუსეთის მეცნიერი, რომელმაც შესწირა თავი თავისუფლებისათვის ბრძოლას, ამბობს: „ქრისტიანობას სწამს შეერთება იესო ქრისტეს პიროვნებაში ღვთისა და კაცისა, შეერთება მიწიერის და ზეციერისა, ღვთაებრივის და კაცობრიულისა და მოითხოვს ამნაირსაე შეერთებას, ამნაირსავე ღმერთკაცობას ყველა მორწმუნისაგან, ყველა ჩვენგანმა უნდა თაეის არსებაში განასახიეროს ღმერთი სიტყვით და საქმით.“ ჩვენ უნდა ჩვენს ცხოვრებაში განეახორციელოთ ზნეობრივი მხარე, რომელიც აძლევს სიმაგრეს და ძალას ჩვენს მოქმედებას. თავისუფლება უნდა გამოიხატოს მოძმეთადმი სიყვარულში,პატივისცემაში მოძმის პიროვნებისა,მისი რწმენისა და მისწრაფებისა. თუ ჩვენ სიტყვით ვქადაგებთ თავისუფლებას და საქმით მას ვარღვევთ და ვსცდილობთ მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, მაშინ ეს იქნება არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა.

რას ვხედავთ ახლა? არის განხორციელებული ჩვენში პიროვნების დაფასება? საუბედუროთ,არა. პიროვნების დაფასება გარეშე პარტიული თვალსაზრისისა არ არსებობს.

ჩვენში ძველ წესწყობილების დროს ზიზღს იწვევდა დიდების მოყვარეობა იმათი, ვინც მთავრობის მაღალ საფეხურებზე მსახურობდა, მაგრამ ახლაც არ ვხედავთ ამ დიდებისმოყვარეობას დემოკრატიულ არისტოკრატიის, ახალ მოდის თავადობას? მექრთამეობა უწინდელის მოხელეებისა განსაცეიფრებლად მიგეაჩნდა, მაგრამ ამაში ახლა ჩამოვრჩებით ძველ მოხელეებს?

უწინ გეეჯავრებოდა სისხლისღერა, ახლაც განა კაცი კაცისათვის მგელი არ არის? განა ერთმანეთის შეუბრალებლობა ახლაც იმნაირად არ მეფობს, როგორც ძველად?

რა არის ამის მიზეზი? რისთვის არ განგეკურნა ჩვენ თავისუფლებამ? მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ მოღვაწეობაში და მოქმედებაში ნამეტანათ შევამცირეთ ზნეობრივი ელემენტი. განვდევნეთ შკოლიდან და ცხოვრებიდან ქრისტეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა, ურომლისოდ ჩვენი მოღვაწეობა ცალმხრივია, მას არ ასულიერებს ღვთის სასოება ჩვენში, ერთმანეთის სიყვარული, ურომლისოდ თავისუფლება იღებს არასასურველ მიმართულებას... უამისოდ თავისუფლება ორივე გვერდით მჭრელი მახვილია, რომელმაც შეიძლება მოგვეტანოს სარგებლობის წილ მავნებლობა,

გაამეფოს ანარქია,ამისთვის თავისუფლება,პეტრე მოციქულის თქმით,არა საფარველად უკეთურებისა უნდა გექონდეს, არამედ ძმათა სიყვარულისათვის (პეტრე, I, 2, 1-7), ხოლო ასვლებით „არა მიზეზად ხორცთა," არამედ სიყვარულით ურთიერთარს მორჩილებისათვის (გალატ. 5, 13), მშვიდობა და ძმურის სიყვარულის დაბრუნებისათვის ამქვეყნად. „უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ და შეიჭმებოდეთ იხილეთნეე უკეე ურთიერთარს განილინეთ." ვიმეორებ, დაუდვათ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქრისტეს ზნეობრივი სწავლა,მისი იდეალების ცხოერებაში განხორციელება და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგეიძლია ვიყოთ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი. შეეეედროთ უფალს მოგეცეს მან ამნაირი მიმართულება და მაშინ გეექნება ნამდვილი თავისუფლება, მაშინ გაიფურჩქნება ჩვენი სამშობლო მხარე და ვიქნებით ბედნიერნი" (10, 297-300).

1920 წლის 26 მაისს სოხუმში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ წარმოსთქვა სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად:

„მოგილოცავთ ამ დიდ და დიდმნიშენელოვან დღეს საქართველოს განთავისუფლება-გათვითცნობიერებისას, მის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისას. ეს დღე სასიხარულოა ყველა ერთგული მამულისშვილისათვის; მათთან ერთად მშობლიური დედაეკლესიაც ხარობს, ვინაითგან ის მომხრეა თავისუფლებისა, მანაც ბრძოლით მოიპოვა ეს თავისუფლება ერის თავისუფლებაზე ადრე; ხარობს, რომ ეკლესიური თავისუფლება დაედგა საფუძვლად სახელმწიფოებრიეი თავისუფლებას. ეს გარემოება გვეუბნება,რომ ჩვენი ეკლესია არ არის ღირსი დეენისა,რომ ის არ არის კლერიკალობის მიმდეეარი და რომ უსამართლობა და მაენებელია ტრაფარეტულად მივსდიოთ საფრანგეთის მაგალითს ეკლესიასთან ურთიერთობის დამყარების საქმეში. ჩვენში ეკლესიის თავისუფლებას მოყვა ერის თავისუფლება და დედა-ეკლესიაც თავის შვილთ უგზავნის ლოცვა-კურთხევას, ულოცავს თავისუფალ განვითარების გზას.

საქართველოს ისტორია გვიმტკიცებს, რომ ეკლესიამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს სამშობლოს, იხსნა ის გადაგეარება-განადგურებისაგან; მრავალი საუკუნოების განმავლობაში აუარებელ მძლავრ მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სარწმუნოება ამაგრებდა და აძლევდა სიმხნეს ქართველ ერს და ეს მრავალმოწამე ერი, ეს იობი ხალხთა შორის, გამოვიდა გამარჯეებული და შეინახა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ეროვნული ელფერი. ესეც ცოტაა,აი,აუარებელი სიმრავლე მონუმენტალურ ნაშთებისა, რომელთა გარეგნული ხუროთმოძეერული მოხაზულობა, მეცნიერთა სიტყვით, მისულა უმწეერვალეს განვითარებამდის. აი, სიმრავლე ხელთნაწერებისა, გონების ნაწარმოებებისა, რომელთა მეოხებით ჩვენ გვიცნობენ საზღვარგარეთ კულტურულ წინაპართა შვილებად. აი,დღეს წმ. ეკლესია იხსენიებს ექვთიმე ათონელს – მთარგმნელს და მწერალს XI საუკუნისას, რომლის ნაწარმოებთა სიმრავლე განსაცვიფრებელია. ყველა ამას აზის ბეჭედი სარწმუნოებრივ-ეკლესიური.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი ქეყანა ღეთისმშობლის წილხვდომილია და მუდამჟამ იფარავდა მას. მაგრამ თქვენ იტყვით, რისთვის ახლა არ გეეხმარება დედა ღეთისა ძველებურადო? რისთვის მოგვაკლდა მისი მფარველობაო?

არა, ახლაც არა ვართ მოკლებული ღეთისმშობლის მფარველობას და ღეთის მოწყალებას, მაგრამ ჩვენ ჩვენის მცირე მორწმუნეობისა გამო არ ეხედავთ მას, არ გეინდა დაეინახოთ. მოიგონეთ უკანასკნელი სამი წელიწადი. რა საშიშროება არ მოელოდა ჩვენს სამშობლოს? ფრონტიდან დაბრუნებული ჯარი გეემუქრება წალეკით, მაგრამ აგეცდა, გადავრჩით უვნებლად. ანარქია და სამოქალაქო ომმა მოიცვა მთელი რუსეთი,ჩვენში კი,თუმცა იყო ნიადაგი,ცდილობდნენ შინაური და გარეული მტრები,მან ეერ მოიკიდა ფეხი; ამხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ მეზობლები: ოსმალენი, სომხები და რუსის მოხალისენი, მაგრამ მოგეეცა ძალა, მოგვადგა დიდი გრიგალი ბოლშეევიზმისა, მაგრამ ესეც აგეცდა; ბოლოს ახლაც გეეომება სხვისგან ზურგმომაგრებული ყოფილი ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო (ადერბაიჯანი), მაგრამ სირცხვილეულ იქმნება ეს მოღალატეც... ეისი ხელი მოქმედებს ამ შემთხვეევაში? ვინ გეიფარავს?

თვით სათავეში მყოფნი და პასუხისმგებელნი პოლიტიკაში გეეუბნებიან „გარემოება

ხელს გვიწყობსო", მაგრამ რაა ეს გარემოება? განა ეს ყველა ბრმა შემთხვევაა? განა მასში არ არის აზრი და წესრიგს არ ექვემდებარება? ვინ არის ამ მიზანშეწონილობის, კანონიერების მიზეზი? ვინ აძლევს ამ შემთხვევა-გარემოებებს აზრს, თუ არა ღმერთი. ამ დასკვნამდე მიდის მორწმუნე ადამიანი და მართალიცაა ის.

იესო ქრისტეს მოწაფენი ერთხელ გენისარეთის ზღვაზე ნავით მიდიოდნენ; იყო შუა ღამეს გადაცილებული. ამოვარდა ქარი, დაიწყო ღელვა, მათ საშიშროება მოელისთ, შეშინებულნი არიან. ამ დროს ხედავენ ზღვის ზედაპირზე მოდის ქრისტე, მათ მიიღეს მოჩვენებათ და უფრო შეშინდნენ. ქრისტე მაცხოვარმა უთხრა მათ: „ნუ გეშინისთ, მე ვარო" და დამშვიდდა ბუნება. ახლაც ჩვენთანაა ქრისტე.

როდესაც პეტრე იხრჩობოდა, ზღვაში მომავალ ქრისტეს შესთხოვა: „უფალო, მიხსენ მეო", მან გაუწოდა ხელი და უთხრა: „ნუ გეშინის, მე შენთანა ვარო." მაშ, თავისუფალო სამშობლოვ, ნუ შეგეშინდება ცხოერების ტალღების. ჩვენთან არს ღმერთი და როდესაც პეტრესაებრ შევესთხოვთ მას „უფალო, გვიხსენ ჩვენო," ის გვეტყვის: „გამხნევდით, ნუ გეშინისთ, მე თქვენთანა ვარო." მაშინ ჩვენ მარტონი არ ვიქნებით: ჩვენი შემწე იქნება ღვთისმშობელი და ქრისტე მაცხოვარი.

მაშ, მოვიკრიბოთ, აღვიჭურნეთ სარწმუნოებით და ღვთისადმი სასოებით და ამას შეუერთოთ თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი. მაშინ მტრები სირცხვილეულ იქმნებიან და ჩვენი ერის თავისუფლებაც განმტკიცდება. მაშინ ჩვენი სიხარულიც იქნება სრული და სამარადისო.

„უკეთუ ღმერთი ჩვენი კერძო არს, ვინა არს ძვირის მყოფელ ჩვენდა" (რომ. 8, 31). (28, 46).

უჭირდა ეპარქიას, უჭირდა ეპარქიის წინამძღოლს ამას ადასტურებდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს ეპარქიის გადარჩენის მიზნით დაფინანსების საჩქაროდ აღდგენის აუცილებლობის შესახებ გაგზავნილი 1920 წ. 26 ოქტომბერს.

„აგერ მეშვიდე თვეა ჩვენი კრედიტი არ გახსნილა. უსახსრობის გამო იძულებული შევიქენი კანცელარიის მოხელენი დამეთხოვა. მე გავხდი მდივანი, რეგისტრატორი და გადამწერიც. ამას ეუნდები და ეოარქიაში სიარულზე ლაპარაკიც მეტია, თუ საკათალიკოსო საბჭოს ნებავს იარსებოს სოხუმის ეპარქიამ და რამე კეთდებოდეს აფხაზეთში, საჭიროა მეტი ყურადღება და მზრუნველობა ამ სამისიონერო ეპარქიისათვის.

ამისთვის ხელახლა და უკანასკნელად ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს მიიღოს ზომები, აღგვიდგეს ყველა თვეების კრედიტები და დაჩქარებით. მიტროპოლიტი ამბროსი." (12, 463).

1921 წლის 14 იანვარს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი სიტყვით გამოვიდა სოხუმის სამხედრო რაზმის მესამე წლისთავთან დაკავშირებით:

„1. მამულისშვილნო! გილოცავთ სამი წლის თავს თქვენის რაზმის არსებობისას. ამ სამი წლის წინ ის იყო ჯერ კიდევ სუსტი, როგორც ახალშობილი ჩვენი მხედრობა იყო ჩვილი, გამოუცდელი, მაგრამ ის მოინათლა ომების ქარცეცხლში, გაიზარდა, დავაჟკაცდა, გაძლიერდა. ის გახდა მამულის იმედი, მისი მედგარი მცველი, მტერთა მძლე.

2. მის გაძლიერებას, მის ძლევამოსილებას ხელს უწყობდასარწმუნოება. ყოველ საქმეში დიდია მნიშვნელობა რწმენისა. ის საქმე, რომლის დაძლევა სწამს კაცს, დაწყებისთანავე ნახევრად გათავებულია გამარჯვებით. ხოლო როდესაც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ჩვენი დამხმარეა, მაშინ მხედრობაც უძლეველია. როდესაც მამულის დაცვას ვუკავშირებთ სარწმუნოების დაცვასაც, მაშინ მხედრობა გალომებულია. ამ სარწმუნოების და მამულის დაცვის მისწრაფებით ძლიერ იყო ძველად ჩვენი სამშობლო, ამით ლომგულობდა ქართველი მხედარი. ეს იყო მიზეზი, რომ ის ადვილად იგერიებდა უთვალავ მტრებს, რომელნიც პატარა საქართველოს რკინის რკალივით გარს შემორტყმოდა და იყო მათთვის საშიში; ამით შეინახა მან თავისი ეინაობა, თავისი ელფერი, ნაციონალური ზნე-ჩვეულება.

3. დიდი თემური, რომელიც ამბობდა, რომ ქვეყნების დაპყრობა ჩემთვის არის

გართობა აგეთიეე, როგორც ჭადრაკის თამაში, თემური, რომლის ომებს ადარებდნენ ქარიშხალს ყოელის გამანადგურებელს, ჩააფიქრა საქართველომ. და ათქმევინა, მან მიიპყრო მთელი მისი ყურადღება. მეორე არაუნაკლულესი აღმოსავლეთის საშიშროება — შაჰაბასი — მარტყოფში...

4. მე დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენი რაზმის თუ ათასეულის არსებობის სამი წლისთავი დაუკავშირეთ სარწმუნოებას, რომ გაიხსენეთ ღმერთი, მას სწირავეთ მადლობას. ეს ჩვენი მხედრობის ზრდაში დიდი სანუგეშო მოვლენაა.

5. რამ იხსნა საქართველო იმ ქარიშხალებისაგან, რომლებმაცმას უვნებლად თავს გადაუარეს ან, უკეთ ვსთქვათ, მოულოდნელად განზე გაუარეს. ამ სამი წლის განმავლობაში, თუ არა ღვთის განგებულებამ, რომელიც ჩვენ გვეწევა. მისი შემწეობით ჩვენ, ვით პატარა დავითმა, ვსძლიეთ გოლიათები (ფსალმუნნი, 151, 1-7 — ჯ. გ.).

6. გისურვებთ თქვენ დღეგრძელობას, ღვთის მფარველობას, სიმხნეეეს და მტერთა ზედა ძლეევას." (28, 48).

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში ბოლშეეიკური საოკუპაციო ჯარები შემოვიდნენ, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა ფეხქვეშ გათელეს, ბოლშეეიკებმა შექმნეს საოკუპაციო მმართველობა საქართველოს რეეოლუციური კომიტეტის — რეეკომის სახით. მათთვის სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. რეეკომის 1921 წლის 15 აპრილის №22 დეკრეტის მე-14, მე-15 მუხლებში ნათქვამი იყო: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქეთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად."(13, 13). საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჩამოართვეს იურიდიული პირის სტატუსი. დაიწყო საეკლესიო ქონების მიტაცება. კიდეე უფრო გაუსაძლისი გახდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში საეპარქიო ცხოვრება. ადგილობრივი სეპარატისტული ძალები ახლა უკვე ბოლშეეიკური იდეოლოგიით შეფერილნი კიდეე უფრო გააფთრებით უტეედნენ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ქართული ორიენტაციის ძალებს. მეუფე ამბროსი ამ რთულ ვითარებაშიც ახერხებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ინტერესების ღირსეულ დაცვას.

1921 წლის 11 იელისს თბილისში გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე. პატრიარქი 17 იელისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. საგანგებოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსები: პიროსი, დავითი, დეკანოზები: კალისტრატე, ეპიფანე, ნაუმი. საკათალიკოზო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ აერჩიათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი. 19 იელისს საგანგებო დეპეშა გაიგზავნა სოხუმში მიტროპოლიტ ამბროსის სახელზე, რომელშიც აღნიშნული იყო საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილება და მესამე საეკლესიო კრების ჩატარების საეარაუდო თარიღი. მეუფე ამბროსიმ საპასუხო დეპეშით მადლობა გადაუხადა საკათალიკოზო საბჭოს ნდობისათვის და დასძინა, ეპარქიაში შექმნილი ურთულესი ვითარების გამო იმხანად ვერ ახერხებდა თბილისში ჩამოსვლას. „რადგანაც, როგორც მეცნობა საქართველოს საკათალიკოსოს კანცელარიისაგან (19 იელისი 1921 წ. №1578) მორიგი კრება დანიშნულია გელათის მონასტერში 1 სექტემბრისათვის ახალი სტილით, მე ამჟამად არ მიმაჩნია მიზანშეუწონილად ახლავე ჩამოსვლა თბილისში, ვინაიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც საქმეები მოსაწესრიგებელია. ამისათვის აგვისტოს თვის მეორე ნახევარში გავემგზავრები ქალაქ ქუთაისში საეკლესიო კრებაზე დასასწრებად, რასაც პატივისცემით ვაცნობებ საკათალიკოსო საბჭოს." (3,61).

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება ჩატარდა 1921 წლის 1-5 სექტემბერს, გელათში. კრებას ესწრებოდა 212

დელეგატი. კრების პრეზიდიუმი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით, თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსი დავითი, მოქალაქენი: დაეით ნიჟარაძე, რაფიელ ივანიცკი (ინგილო).

სამდივნო: დეკანოზები ერასტი თუთბერიძე, გიორგი ინაშვილი, ეპიფანე ჯაოშვილი, ნაუმ შაეიანიძე.

მესამე საეკლესიო კრება გაიმართა ქართველი ერისათვის უდიდესი განსაცდელის ჟამს, შვიდი თვე იყო გასული ბოლშეევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრებას ან დუმილით უნდა აეცლო გვერდი იმ ურთულესი პოლიტიკური და ეროვნული პრობლემებისათვის, რომელიც ახალი საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში შეიქმნა, ან უნდა ემხილებინა მისი ანტიეროვნული და ანტიხალხური ხასიათი. საეკლესიო კრებაზე გულისტკივილით აღინიშნა, თუ ოფიციალური ხელისუფლება არ გადახედავდა თავისსავე დეკრეტს, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციაა, მაშინ იძულებულნი გახდებიან გამოაცხადონ მართლმადიდებელი ეკლესია დევნილად. საეკლესიო კრებამ მოუწოდა სასულიერო პირებს წინ აღდგომოდნენ საერო ხელისუფლების წარმომადგენლების იმ ზრახვებს, რომელიც მიზნად ისახავდა საეკლესიო განძის ხელყოფას. საეკლესიო კრებამ აღნიშნა საქართველოში შექმნილი ურთულესი ვითარების ჟამს მხოლოდ მკაცრი დისციპლინით, მართლმადიდებლობის დაცვით და ერთიანობით შესაძლებელი იყო ეკლესიის და ერის ინტერესების დაცვა.

კრებამ რეკომენდაცია მისცა გრიგოლ ფერაძესრათა იგი უცხოეთში გამგზავრებულიყო სწავლის გასაგრძელებლად.

საეკლესიო კრებამ იმსჯელა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატების – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისა და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ ნაზარის შესახებ. ფარული კენჭისყრით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი.

„მე ავდივარ გოლგოთაზე“

1921 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველობას მცხეთაში შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის აღსაყდრება. ეს საზეიმო დღე არ იყო მაშტაბური, ხალხი უკვე დათრგუნულიყო საოკუპაციო ხელისუფლების მიერ, არც ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ მრავლად, სამაგიეროდ სვეტიცხოვლის ეზოში იგრძნობოდა ბოლშევიკური მილიციის რაზმების სიმრავლე, აღარც უცხო სახელმწიფოთა მისიის წარმომადგენლები, არც სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, ერთადერთი ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის გევორქ V წარმომადგენელი მღვდელი ხუციევი მოსულიყო. დაიწყო საზეიმო წირვა. მწირველნი იყვნენ: მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსები: პიროსი და დავითი. შესრულდა პატრიარქის აღსაყდრება, უწმიდეს ამბროსის სიტყვით მიმართეს: მიტროპოლიტმა ნაზარმა, ეპისკოპოსმა პიროსმა.

მრევლს, სრულიად საქართველოს მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, რომელმაც აღნიშნა: „საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნო, ქართველ ერის მოძღვარნო სამღვდელო და სამონაზნო პირნო და აქ შეკრებილნო მორწმუნენო!

ულრმესი გულწრფელობით აღსავსე მადლობას გწირავთ, რომ მიიღეთ შრომა და ამ საღმრთო წირვაზე აღაელინეთ მხურვალე ვედრება ყოველად მოწყალე ღვთისადმი სული წმიდის მადლის შემწეობის გამოსათხოვათ ჩემი უღირსებისათვის!

რა უნდა ვსთქვა ამ ჩემთვის დიდმნიშვნელოვან წამებში დიდებული სვეტიცხოველის ამბიონიდან, საიდანაც გაისმოდა მრავალ მჭევრმეტყველ მამადმთავართა მკვეთრი სიტყვა. მეკარგება გაბედულობა, როდესაც ამ ისტორიულ ამბიონზე ვდგევარ და როდესაც წარმოვიდგენ ჩემს უღირსებას. მეხატება წარსული ჩემი ცხოვრება, რომელშიც მე ნათლად ვხედავ ღვთის ჩემს ულირსებაზე განგებულებას, მზრუნველობას, ვხედავდ, რომ ხელი უფლისა იყო ჩემ ზედა მარონინებდა იმ გზით, რომელიც არა სთნდა სულსა ჩემსა და რომელიც კაცობრიულ წარმოდგენით უნდა ამეცილებია თავიდან, რომელიც არ მინდოდა სოფლიურ მიდრეკილებათა და ქედიც ხელობისა გამო ჩემისა. ახლაც მწამს, მომიწოდა უფალმა ამ დიდი და მძიმე მსახურებისათვის, მაგრამ რა მეთქმის მორჩილების მეტი და ამ წამებშიაც რა შემფერის თუ არ დუმილი.

მოციქულებს მოუწოდა უფალმა და ისინი არა სიტყვებით მიმართავენ მას, არა იმას სცდილობენ, რომ თავისი მჭევრმეტყველობით მოაწონონ ვისმეს თავი, არამედ მორჩილება-დუმილით სტოვებენ ყველაფერ და მისდევენ მომწოდებელს. გენისარეთის ტბაზე მესათხეველნი ითვალისწინებდნენ არა აწმყოს, არამედ იმას, რომ გახდებოდნენ „მესათხეველად კაცთა“ (მათე, 4. 10), შემოიელიდნენ მთელ ქვეყნიერებას, სძლევდნენ მეცნიერთა, მეფეთა და დიდებულთა ამა ქვეყნისათა, დაამხობდნენ წარმართობას და ქრისტეს სახარებას მიანიჭებდნენ გამარჯვებას. მიუხედავად ამნაირი დიდი მომავლის წინაგრძნობისა, მათ ირჩიეს დუმილით და სიტყვის მიუგებლად მისდიონ ქრისტეს მოწოდებას. მით უმეტეს მე არა მეთქმის რა, როდესაც მომავალშიც ვერას ვხედავ, არა ვხედავ, რომ შეეიძლო რისიმე საყურადღებოს გაკეთება.

ან მართლაც რა უნდა ვსთქვა ჩემს ულირსებაზე? მაგრამ ამის შესახებ უკვე მაქვს ნათქვამი სხვა დროს და სხვა ადგილას და არ გავიმეორებ. მხოლოდ ვიტყვი პაულე მოციქულთან ერთად – „მე უძლურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა“ გავიყოფდი თქვენს შორის (I კორინთ. 2,3).

მამათმთავრობის ტვირთის სიმძიმეზე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა, მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მეოფნი სიძულვილით და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამოაშკარავება. მაგრამ ვიცი ჭეშმარიტება მოციქულის სიტყვებისა, რომ მომწოდებელი ღმერთია, ვინაითგან „არავინ თავით თვისით მიიღოს პატივი, არამედ რომელნი წოდებულ არიან ღვთისა მიერ“ (ებრ., 5,4) და რომ „ყოველი მღვდელმთავარი,

კაცთაგან მოყვანებული, კაცთათვის დადგეს იგი ღვთისა მიერ“ (იბიდ, 5.1). მაშასადამე, ჩემი უღირსებაც, ვიმეორებ, ღვთისაგან მოწოდებულია ამ დიდ თანამდებობაზე და ის მომცემს ძალას ხალხისათვის მსახურებას, ვინაითგან მოციქული პავლესთან ერთად მეც მეუბნება უფალი „ძალა ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო“ (2 კორინთ. 12,6).

გამოვთქვა წუხილი სარწმუნოების დაცემის შესახებ ჩვენში? მაგრამ ესეც არ უნდა იყოს საჭირო. მახსოვს, რომ ჩემ წინამოადგილემ განსვენებულმა ლეონიდემ ამ ამბიონიდან კათოლიკოზობაზე აყვანის დღეს ბრძანა, რომ საქართველოს ეკლესია ოთხივე კუთხივ შავი ღრუბლით არის მოცული და სწუხდა, ვაი თუ ვერ გაეფანტო ეს საბედისწერო ღრუბლებიო. მდგომარეობის უნუგეშობის დასამტკიცებლად მან მსმენელებს მიუთითა ამ დიდებულ ტაძრის აწინდელ მდგომარეობაზე და ბრძანებდა, რომ სვეტიცხოველის ტაძარი არ არის ამ შემთხვევაში გამონაკლისი. „ღვთისა სახლი დღეს თითქმის ყველგან პატივაყრილია, დარბეულია, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროვებულია. სამღვდელოება და მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხებას, ქრისტიანობა მრავალთ დაუსახავთ მოსჰობათ, მოკლედ, დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ და მისი მდგომარეობა მოგეგონებს „ქედელსა მიდრეკილსა და ღობესა დასწუნებულსაო.“ ამნაირად ახასიათებდა განსვენებული მამათმთავარი ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას 1919 წელს და დასძენდა, რომ ვაი თუ ვერ გავაკეთო რამეო. გადავხედოთ ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას. რას ეხედავთ ახლა? ეხედავთ, რომ ეკლესიის მდგომარეობა არამც თუ არ გამოკეთებულა, არამედ ბევრად უფრო გაუარესებულა, მის გარშემო შავი ღრუბლები უფრო და უფრო საბედისწეროთ გამხდარა. რისთვის ვერ შესძლო ეკლესიურ საქმის განახლება-გამოკეთება ამ დიდად ნიჭიერმა და მჭევრმეტყველ — პატრიოტ მღვდელმთავარმა? მისთვის, რომ მას გარემოება ხელს არ უწყობდა, მის გარშემო მჭიდროთ ვერ შეკავშირდნენ ეკლესიის კეთილდღეობისათვის თავდადებულნი მორწმუნენი. ეს ნათლად ამტკიცებს ჩემი სიტყვების სინამდვილეს, იმ სიტყვებისას, რომელიც წარმოვსთქვი სიონის ტაძარში პირველად შესვლის დროს, რომ თუნდაც გენიოსი გეყაედეს ეკლესიურ ცხოვრების სათავეში, ვერას გაარიგებს თუ თვით შეგნებულ მორწმუნეთა არ გაუწიეს მას დახმარება.

მაგრამ შორს ჩვენგან უიმედობა, ვინაითგან წარსულ იენის-იელისის სოფლების შემოვლამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში დამარწმუნა, რომ ხალხმა პირი იბრუნა სარწმუნოებისაკენ, რომ მას სწყურია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრების მოსმენა, რომ მას ეს სადღეისო აუცილებელ მისწრაფება-მოთხოვნილებად გახდომია, რასაც უწინ ადგილი არ ჰქონდა. ხალხის ამ გარდაქმნაში, სარწმუნოებისაკენ პირის დაბრუნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ნუ გაგიკვირდებათ სოციალისტ-პროპაგანდისტებს, მათი სარწმუნოების საწინააღმდეგო ქადაგებას, მათგან ხალხის წმიდათა წმიდის შეგინება-შელახვას. დიახ ხალხში არის სარწმუნოება, ის აქამდის დაფერფლილი იყო, ახლა კი თანდათან ღვივდება. განა ამასვე არ გვიმტკიცებს დღევანდელი დღესასწაული, ეს სვეტიცხოველის თაყვანისსაცემად მოსულ მორწმუნეთა სიმრავლე და განა ყველა ეს არ გვარწმუნებს, რომ შორს უნდა იყოს ჩვენგან უიმედობა.

ჩვენს უიმედობაზე ღმერთი მოგვიგებს იმაზე მეტს, გვანუგეშებს უფრო მეტად და საგრძნობელად, ეინემ ანუგეშა წინასწარმეტყველი ილია, როდესაც ის ისრაელთა ურწმუნოებისა გამო აქაბის დროს სასოწარკვეთილებაში შთავარდა. „დამიტევებიეს ისრაელისა შვიდი ათასი მამაკაცი, რომელთა არა მოუდრიკნეს მუხლნი მათნი ბაალს“ (3 მეფეთა, 19,18). თუ ღმერთმა მაშინ ილიას უთხრა ეს სიტყვები, რომ არიან კიდევ შვიდი ათასი მორწმუნენიო, ახლა ის მიგვითითებს ამ სვეტიცხოველის და სხვა ტაძრების დღეობების დროს ზღვა მლოცველებზე, რომელთაც ქედი არ მოუხარეს ახლანდელ ურწმუნოებას და უღმერთობის ქადაგებას.

მაშასადამე, ნუ შეძრწუნდებიან გულნი ჩვენნი, ვესაოდეთ უფალსა. დადგება და მოახლოებულიც უნდა იყოს ის დრო, როდესაც ამ მორწმუნე ხალხიდან გამოვლენ ჩვენი ეკლესიის განახლებააღორძინების საქმეში დამხმარენი და ჩვენ ეკლესიურ

ცხოვრების სათაეში მყოფნი არ ვიქნებით მარტონი. ამის საბუთს გვაძლევს არა ამერეთი მარტო, არამედ იმერეთიც, სადაც ხალხი სარწმუნოებრივი საქმეში კიდევ უფრო გათვითცნობიერებულია. სარწმუნოებრივ საქმეში ამერ-იმერნი ერთმანეთში შეთანხმებულ-შეკავშირებულნი არიან. ამ მხრივ დიდებულია დღევანდელი დღესასწაული სვეტიცხოველობა. ეს არის არა მარტო დღესასწაული ტაძრისა, არამედ ამერ-იმერთა გამოხმაურება, მათი მჭიდროდ შეკავშირება ეროვნულად და ეკლესიურად, ვინაითგან ჩემი უღირსება, არჩეული ცათამობაძავ გელათის თაღებქვეშ, ამ ხახულის, აწყურის, გელათის და ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების სავანეში, საქართველოს ემბაზმა – სვეტიცხოველმა, დღეს ლოცვა-კურთხევით მიმიღო. ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ იმერამერის კავშირი სიმბოლურად გამოიხატა ჩემს არჩევა-კურთხევაში.

დღევანდელი ჩვენი ერის მდგომარეობა იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ცვალებადია, არ იცვლება მხოლოდ მისი სარწმუნოებრივი განცდა. ამისთვის საუკეთესო მატარებელი და დამცველი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია. ერის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა არ მოასწავებს ეროვნული სარწმუნოების შეცვლას. პოლიტიკურ რწმენაში და ცხოვრების ცვალებადობაში, სადაც ხშირათ ეროვნული იდეალებიც დავიწყებას მიეცემიან, უცვლელია მხოლოდ სარწმუნოებრივი ცხოვრების ნორმები, რის გამოც ეკლესიაში ეროვნული იდეაც სამარადისო და შეურყეველია.

ხალხი მჭიდროთ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიას და სამშობლოს, ვინაითგან ეს მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარწმუნოების, სამშობლოს დაცვისათვის, მაგრამ სარწმუნოების დაცვაში ხედავდა უსათუოდ მამულის დაცვასაც. ეს მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და აუცილებელ მოთხოვნილებათ. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიქოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან. მრავალ საუკუნოების განმავლობაში ამ მისი (ცხოვრების) ღრმად ჩაყრილ საძირკველზე მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შემეცნებისა და როგორ გნებავთ ახლა ის საძირკველი გამოუცვალოთ ამ დიად შენობას და ჩაუყაროთ ახალი ამავე სიღრმეში? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა, საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვით შენობას? თუ ეს მოსახერხებელია და საშიშარიც არ არის, მაშინ გკითხავთ, ამ ახალ საძირკველის გამაგრებისათვის რამდენი საუკუნის განუწყვეტელი მედგარი შრომის განმეორებაა საჭირო ხალხისათვის? ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო, სასურველი? ასე იტყვიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდათ გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია და ჩაუყარონ ახალი – ინტერნაციონალიზმის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა. ერთადერთი შედეგი ამისა შესაძლებელია მხოლოდ ის იქმნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის ეროვნულ განვითარებას.

აი, რას უნდა ჩაუფიქრდეს არა მარტო ეკლესიის მორწმუნე წევრი, არამედ ყველა, ვისაც თავის მოღვაწეობის მიზნად დაუსახავს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მისთვის სამსახური. მაშ, მორწმუნენო მამულიშვილნო, ორიენ – ეკლესიაც და სამშობლოც, ტკბილია, ორიენ წმიდათა წმიდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიქოლოგია და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოეკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო. პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ის მოგვცემს ძალას შევანახვიოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.

აი, ამნაირად არა ხალხის საზოგადოდ, რომელსაც ინსტინკტად გახდომია ამის

შეგნება, არამედ ინტელიგენციის გადაქმნის მოლოდინი მომცემს მე ძალას ჩემი ცხოვრების მიწურული საღამო შევსწირო ჩვენი ეკლესიის და ერის კეთილდღეობას, მათ სამსახურს. მხოლოდ ამ იმედით ვიტვირთე ეს დიდი ჯვარი მამამთავრობისა და ჩვენი მრავალტანჯულ ეკლესიის საჭეთმპყრობელისა." (28, 53).

1921 წლის 14 ოქტომბერს ასეთი შინაარსის სიტყვით მიმართავ ქართველი ხალხისადმი გმირობის ტოლფასი იყო. რა შეიცვალა ბოლო ორი წლის განმავლობაში? 1921 წლის 24 მარტს საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ, რეკომმა მიიღო გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. საოკუპაციო ხელისუფლებამ, თავის თავს მიანიჭა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქცია. 1922 წლის 2 მარტს მიღებულ იქნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია". 1921-1922 წლებში „ოკუპირებულ საქართველოში რუსეთის მსგავსად ჩამოყალიბდა მმართველობის ტოტალიტარული სისტემა. ოფიციალურად იგი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო სისტემად იწოდებოდა. თუმცა ცხადი იყო, რომ პროლეტარიატის დიქტატურით ინიღბებოდა ბოლშევიკების დიქტატურა."(112, 6). საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველო დაჰყო ავტონომიებად, მისი ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი გაასხვისეს სომხეთზე, აზერბაიჯანზე, რუსეთზე, თურქეთზე. რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების ადგილობრივი მარიონეტები უმტკიცებდნენ ქართველ ხალხს, საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანება, ხოლო შემდეგ ახალი მოდერნიზებული რუსული იმპერიის —სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლა. ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ გააფთრებით შეუტია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რბევა. საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია გამოცხადდა მავნე საგნებად. ახალი იდეოლოგიური დოგმები ფეხს ვერ მოიკიდებდნენ თუ არ გააძევებდნენ უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, გიორგი ჩუბინიშვილს, გრიგოლ წერეთელს. ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო აკადემიური, კლასიკური განათლება. მას „ახალი იდეების" მატარებელი ახალგაზრდობა და წითელი პროფესურა სჭირდებოდა. ივანე ჯავახიშვილი „წითელი პროფესორის" გიორგი საჭაპურიძის (პერაშკოეის) შეფასებით — ქართველ ნაციონალისტ ისტორიკოსთა ხროვის ხელმძღვანელი იყო. ქართული ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი აგიოგრაფია, სარაინდო ლიტერატურა, დიდი გურამიშვილი, XIX საუკუნის ქართული მწერლობა ბოლშევიკური ხელისუფლების ადგილობრივი ლიდერის ფილიპე მახარაძის აზრით სრულიად მიუღებელი იყო. მრავალმხრივ საყურადღებოა მისი წერილი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო", სადაც ავტორისათვის მიუღებელი იყო, როგორც კლასიკური ქართული მწერლობა, ასევე XX საუკუნის ის მწერლები, რომელნიც „ნაციონალისტური სულისკვეთების" იყვნენ. მაინც ვინ იყვნენ ისინი?: კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი, გ. ტაბიძე, ცისფერყანწელები. სამაგიეროდ ვის ენდობოდა ახალი ხელისუფლება? ფრიდონ ნაროუშვილს, ვალია ბახტაძეს, სანდრო ეულს, შაქრო ნათლუღელს, სეკრეტი თალაკვაძეს. საქართველოს ისტორიის ნაცვლად სკოლებში შემოღებულ იქნა სამოქალაქო განათლება, კლასთა ბრძოლის ისტორიის სწავლება. ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის ნაცვლად მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ კლასთა ბრძოლის ისტორიის ფაქტებს. ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, სასულიერო პირები, საეკლესიო დაწესებულებები. საოცარი სიზუსტით იყო აღწერილი შექმნილი ვითარება დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ჩანაწერებში: „ღირსშესანიშნაი მოვლენა იყო 1921 წლის 9 მარტს კოჯრის გმირები (ქართველი იუნკრების) გვამთა გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან მთელი თბილისის სამღვდელოების მონაწილეობით. გამოვასვენეთ 33 კუბო, გალობდა სამი გუნდი, წინ მიგვიძღოდა ჯვარი შაავი დროშით, დაგვესწრო მთელი თბილისი განურჩეველად ეროვნებისა. გაიმართა ისეთი პროცესია, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჭაღარა თბილისს, მოვდიოდით შესანიშნაი დისციპლინით სამხედრო ტაძარში, (იქ სადაც დღევანდელი

პარლამენტის შენობაა ს.ე.). სადაც მათთვის მომზადებული იყო საფლავები, იქ ჯერ კიდევ მენშევიკების ქალაქიდან გასვლამდე დავასაფლავეთ ისევე ამ ბრძოლაში დახოცილი ოფიცრები, იუნკრები და ჯარისკაცები – 15 კუბო. ამათ მაშინ წირვა გადაუხადა კათოლიკოსმა ლეონიდმა. იქვე აუგეთ წესი კურთხევანს მე ეკითხულობდი. ნოე ჟორდანიაც დაგვესწრო მაშინ თავისი მინისტრებით, ახლა კი ანდერძი ავუგეთ ეზოში, საფლავის პირზე, ზღვა ხალხით გარშემორტყმული, გრანდიოზული სურათი იყო, ანდერძის კურთხევანს ისევ მე ეკითხულობდი, ხმამაღლა, მკაფიოდ და მწუხარებით. ხალხს ჟრუანტელი უელიდა ტანში, სიტყვები არ წარმოთქმულა განგებ „უსიტყვოდ" უფრო ბევრი ითქვა. ბოლოს საუკუნოდ ხსენებაზე დაიწოქა სამღვდელოებამ, მთელმა ხალხმა, როგორც ეზოში მდგომმა, ისე გალავნის ნაპირზე. თუ სახლების სახურავებზე. გამოვიდა დიდი დემონსტრაცია ჩვენი დედაქალაქის ასე ვერაგულად და მუხანათურად რუსი არმიის მიერ დაჭერისა გამო ჩვენი უბედური-უგუნური ქართველი ბოლშევიკების წინამძღოლობით. ეს საცოდაველი ჯერაც ვერა გრძნობენ თუ რა უმაგალითო ღალატში მიიღეს მონაწილეობა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ისტორიას, ბოლშევიკებმა გაყვლიფეს ყველაფერი, საქართველოს 50 მილიარდიანი კონტრიბუცია დაადეს... დიდძალი ხალხი იხვრიტება ყოველ ღამე. ბოლშევიკები კარგად ჩაცმული-დახურულნი მშვენიერ სასახლეებში გამოჭიმულნი ყოველ დღე-ღამე ლხინში ატარებენ დროს. ჩიტის რძეც კი არ აკლიათ მათ და მათ ოჯახებს... ხალხს ეგონა, ვინაიდან რუსის ჯარი შემოდის წინა დროს სიიაფე და წესრიგი იქნებაო, მაგრამ როდესაც რუსები შეესივნენ მათ სარჩო-საბადებელს, ცოლშვილს ვანდალური სიმხეცით, ახლა თავში ხელებს იცემენ... დღეს ჩვენს წინააღმდეგ შეერთდნენ ოსები, რუსები, სომხები. სომხებთან საზღვარი ლამის ნავთლუღამდე მოვიდეს! ალავერდის ქარხნები და თვით ახტალის მონასტერი დღეს სომხეთის საზღვრებშია, ხაქათალა ბოლშევიკებს აზერბაიჯანისათვის გადაუცია თ... ქალაქი აივსო სომხებით, რუსებით... საქართველოს იღუპება, საჭიროა სალი, გაერთიანებული სოციალ-პოლიტიკური მოღვაწეობა." (14, 025995).

ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ანგარიშგასაწევ ძალად რჩებოდა. მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 25 მონასტერი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600-ზე მეტი კაცი. როგორ უნდა მოქცეულიყო შექმნილ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი მმართველი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი? გულგრილად ეცქირათ საქართველოს ნგრევისათვის თუ ემხილებინათ ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიხალხური ხასიათი? ამ საკითხზე არაერთხელ ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სხდომა. უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი გრძნობდა, რომ დუმილი, წაყრუება ბოლშევიკური ხელისუფლების მოქმედებებზე დანაშაულის ტოლფასი იყო. ამიტომ მან იტვირთა რა ერის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას მიმართა საგანგებო მემორანდუმით. მემორანდუმის ტექსტი ასე იწყებოდა: „კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს." შემდეგ პატრიარქი კონფერენციის მონაწილეებს მოკლედ მოუთხრობდა საქართველოს შესახებ, მის როლზე ქრისტიანულ აღმოსავლეთში, რომელმაც 1918 წელს აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ მცირე ერთა მრაგვრელმა რუსეთმა ხელმეორედ დაადგა კისერზე მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი. „ოკუპანტები, მართალია ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად თავს გრძნობს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება." (16, 5167). პატრიარქი სინანულით აღნიშნავდა, რომ ის შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც

ახლა სოციალიზმის დროშით ნათლავენ, ქართველ ერს ფიზიკურ გადაშენებამდე და გახრწნამდე მიიყვანდა, რომ იდევნებოდა ჩვენი დიდებული წარსული, ეკლესია, სამღვდელოება უკიდურესად დევნილი და უფლებააყრილი იყო. უწმიდესი ამბროსი საერთაშორისო საზოგადოებისაგან მოითხოვდა დახმარებოდნენ საქართველოს, რათა მოეხდინათ ზეგაელენა რუსეთზე, რათა მას დაუყოვნებლივ გაეყვანა საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და დაცულ ყოფილიყო მისი მიწა-წყალი უცხოელ მოძალადეთა თარეშისაგან. „საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ,სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ნორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.“(16, 5167).

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ჩიჩერინს სურდა საერთასორისო საზოგადოება დაერწმუნებინა იმაში, რომ თითქოს საქართველოს მშრომელებმა სახალხო რევოლუციის გზით დაამხეს მენშევიკური მთავრობა, რომ საქართველო სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკა იყო და ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მისი „დელეგატი“ ბუდუ მდივანი აქ იმყოფება და ჰკითხეთ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა განწყობის შესახებო, მაგრამ ჩიჩერინს არავინ დაუჯერა. უწმიდესი ამბროსის მამხილებელმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. საქართველოს ოკუპაციის თემა გააგრძელა დევნილი მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელმაც განაცხადა: „მე მივიღე დეპეშა, რომელიც მაცნობებს, რომ საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარები აწარმოებენ საომარ მოქმედებებს საქართველოს პროვინციებში სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭაში. ამ დროს მე-9 არმია იგზავნება ქუთაისიდან იმ მხარეში, რომელმაც 1921 წლის მიწურულში გარკვა ბოლშევიკები და აღადგინა დემოკრატიული წეს-წყობილება. დასაელეთ საქართველოს დიდ ნაწილში სისხლი იღვრება, ქვეყნის სხვა ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება, მოსალოდნელია უსაშინლესი კატასტროფა.“ (8, 71). ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გულდასმით მოისმინეს საქართველოს დიდი სატკივარი გაცხადებული მისი სულიერი წინამძღოლისა და ემიგრაციაში გაძევებული მთავრობის თავმჯდომარის მიერ, სიტყვიერი პასუხი მოსთხოვეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაციას, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გააკეთეს საქართველოსათვის რეალური დახმარების აღმოჩენის მიზნით და პირისპირ მარტოდმარტო დატოვეს ქართველი ხალხი ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინაშე.

ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიწყო დამოუკიდებლობის იდეის მატარებელი ადამიანების მასობრივი დაპატიმრება-დახვრეტები. 1922 წელს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ზეიმით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი, მაგრამ მოზეიმე სტუდენტთა რიგებში რუსი ჯარისკაცები შეიჭრნენ და დაიწყო პატრიოტი ახალგაზრდების დაპატიმრება. საოკუპაციო ხელისუფლებამ იერიში მიიტანა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე, სტუდენტებზე, ევროპული განათლების ადამიანებზე, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე. პატრიოტობა, სამშობლოს სიყვარული პროვინციულ ჩამორჩენილობად მოინათლა. ახალი იდეოლოგია ვერ დამკვიდრდებოდა, თუ ძველის მიმდევრებს ფიზიკურად არ გაანადგურებდნენ. ქართველი პატრიოტების ბენია ჩხიკვიშვილის, ვალიკო ჯუღელის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კოტე აბხაზის, გიორგი ხიმშიაშვილის, გოგიტა ფაღავას, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, ნიკოლოზ ქარცივაძის, ვარდენ წულუკიძის, გრიგოლ ლორთქიფანიძის სახით მტრის ხატს ქმნიდნენ, ხოლო პატრიოტებად, რეჟოლუციური იდეებისათვის წამებულ ადამიანებად ასაღებდნენ ი. სტალინს, ფ. მახარაძეს, მ. ორახელაშვილს, ბ. მდივანს და სხვებს. საქართველოს ყველა კუთხეში სისხლის გუბეები დაადგნენ, ქვეყანაში შიშმა დაისადგურა. უწმიდესმა ამბროსიმ ჯერ კიდევ 1921 წლის 18 სექტემბერს გარდაცვლილ ქართველ პატრიოტთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდზე აღნიშნა: „მართლმადიდებელნო ძმანო და დანო!

პირველი მღვდელმსახურება ჩემს მიერ სამწყსოში შემხვდა ამ წმ. ტაძარში, შემხვდა დღეს, როდესაც სრულდება ხსენება იმათი, რომელნიც შეიწირნენ მსხვერპლად ჩვენთა ცოდვათათვის. ეს არის მიზეზი, რომ ჩემს პირველ წირვას დაესწრო ამდენი საზოგადოება. ღმერთს ენება, რომ სამსახური დამეწყო მოწყეტილ მამულიშვილთათვის ლოცვა-ვედრების ღვთისადმი აღვლენით.

დიახ, ჩვენ ვიხსენებთ დღეს იმათ, ვინც ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარეს. ეს ჩვენი ქრისტიანული მოვალეობაა, მაგრამ ვიკითხოთ, რისთვის დაიხოცნენ? რა იყო მიზეზი მათი უდროოდ ამ წუთისოფლის გამოსალმებისა? ვიტყვი გაბედულად, რომ ისინი იყვნენ მსხვერპლნი ჩვენის უსჯულოებისა, ჩვენის ცოდვებისა და შეცდომებისა წინაშე ღვთისა და მამულისა. ეს სინამდვილეა, ვინაითგან აწმყო არის შედეგი სულისა. ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი, სარწმუნოება, სახარების უკვდავი იდეალები, მოძმეთა სიყვარული, კაცი კაცისათვის შეიქმნა მგელი. ვიძახით ერთობა, სიყვარული და თანასწორობაზე და ყველა ეს, თუმა მშვენიერი, სანატრელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. არ არსებობს ნამდვილი ძმობა და თანასწორობა. ამის მაგიერ გამეფებულია ჩვენში შური, მტრობა და სიძულვილი. თუ გვინდა, რომ არ მეორდებოდეს ამნაირიმოვლენანი, ერთი რომელთაგანის მოსაგონებლად აქ ვართ შეკრებილნი, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ სარწმუნოებას, გავატაროთ, განვახორციელოთ ჩვენს ცხოვრებაში ქრისტეს იდეალები თანასწორობის, ძმობისა და სიყვარულისა.

ერთგულნი მამულიშვილნი იცავენ თავის სამშობლოს და არავის შეუძლია, არავის აქვს უფლება, სთქვას, რომ ისინი, ვის ხსენებასაც დღეს ვასრულებთ, არ ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი მამულის სიყვარულით, მისთვის არ დაეღვარათ სისხლი, ვინაითგან, უეჭველია, მათ ამოძრავებდათ მამულის დაცვის სურვილი. შეიძლება ბევრმა ეს არ გაიზიაროს, მაგრამ მათ ანგარიში უნდა გაუწიონ დახოცილთა სულის ეედრებას, მათ ფსიქოლოგიას, მათს რწმენას.

როგორც გინდა არ ვიფიქროთ, რა აზრისანი არ უნდა ვიყოთ, მაინც უნდა ვიწამოთ, რომ მათი სისხლი სამშობლოს მიწაზე დანთხეული არის წმიდა, ვინაითგან მას ამნაირათ ჰქმნის არა მარტო ის, რასაც ჩვენ მათზე ვფიქრობთ, არამედ თვით მათი სულისკვეთება, რომელმაც მათ მისცა ძალა თავი გაეწირათ.

ქართველთა ერის ისტორია სისხლით არის დაწერილი. ამ ისტორიაში ბევრი რამ არის ჩამაფიქრებელი, ცრემლების მომგვრელი, მაგრამ მასში პოეზიაც ბევრია. მართალია, სამშობლოს თავგადასავალს ქართველი თვალცრემლიანი იგონებს, მაგრამ ამ ცრემლებში იხარება მომავლის იმედიც, პოეტური აღმაფრენა. ეს არის სამწუხარო, მაგრამ სიხარულის მომგვრელი ცრემლები.

როდესაც ჩვენი ისტორია გვეუბნება, რომ წარსულში ქართველი ერის ცხოვრება იყო სავსე ტრაგიზმით, რომ მას რკინის რკალიეით გარშემორტყმოდნენ აუარებელნი მტერნი, მას ემუქრებოდნენ გადაგვარება-ჩანთქმით, რომ ამის საშუალებად მიაჩნდათ ქრისტიანულ სარწმუნოების მოსპობა, და მაჰმადის სჯულის ძალით გაერცელება, რომ სცდილობდნენ შეეგინებიათ მათი წმიდათა წმიდა, რასაკვირველია, გული გვიწუხს. მაგრამ როდესაც წარმოვიდგენთ ჩვენი წინაპართა სიმხნე-სიმამაცეს, მათს ეკლესიის და სამშობლოს სიყვარულს, მათთვის თავდადებას, როდესაც ისტორია გვეუბნება, რომ ქართველი მიდიოდა მტრის მოსაგერიებლად და ჯიბით თან მიჰქონდა მშობლიური მიწა, სიკვდილის წინ მით ეზიარებოდა და იტყოდა: „მექმნეს მე ზიარებად სამშობლოს მტვერიო,“ რომ მისთვის ტკბილი იყო სარწმუნოებისა და მამულისათვის სიკვდილი, რომ ქართლის დედა არა იმაზე სწუხდა, რომ მამულს და ეკლესიას შვილი შესწირა, არამედ იმაზე, რომ მეტის შეწირვა ვერ შეიძლო, როდესაც ყველა ამას წარმოვიდგენთ, გული სიხარულით გვევსება, ვამაყობთ, გვებადება მომავლის იმედი, რომ ის ხალხი, რომელსაც ასე უყვარს სამშობლო, არ მოკვდება, მას აქვს მომავალი.

აი, ის სისხლიც, რომელსაც დღეს ჩვენ ვიგონებთ, ამნაირს მნიშვნელობისაა; ის არის თავდები მომავალი თაობის სიმხნემამაცობისა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ წინაპართა სული მამულის სიყვარულისა, მისთვის თავდადებისა, არ გამქრალა ჩვენს

ხალხში და, მაშასადამე, შეგვიძლია იმედით ვუყუროთ მომავალს.

დაე, მათი ხსენება იყოს საუკუნო ქართველი მამულისშვილების გულში, რომ ამით მათში ინერგებოდეს ის სულისკვეთება, რომელმაც მომავალშიაც არაერთხელ უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო, შეანახვინოს მას თავისუფლება და სარწმუნოება." (28, 52).

ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ არ აპატია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდეს ამბროსის, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ქართველი ერის კანონიერი უფლებების დასაცავად ხმის ამოღება და დაიწყო შეტევა მის წინააღმდეგ. ჯერ საზოგადოების დამუშავება ბოლშევიკურმა პრესამ დაიწყო, „ბნელეთის მოციქულები," „საბჭოთა ხელისუფლების შეუნიღბავი მტრები," „ბურჟუაზიის ლაქიები," ასეთი სათაურებით გამოქვეყნებულ წერილებში რას არ აბრალებდნენ ქართველ სამღვდელოებას. გენუის კონფერენციიდან ჩამოსულმა ბუდუ მდივანმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პირდაპირ განაცხადა – კათოლიკოსის სიტყვამ დიდი ზიანი მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი „ჩეკა" რატომ არ აპატიმრებს მას?" ეს იყო ერთგვარი დირექტივა და „ჩეკაც" სიამოვნებით შეუდგა მასალების შეგროვებას, ფარულ თვალთვალს. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე მოგონებებში საოცარი სიზუსტით აღწერს 1922 წლის მოვლენებს: 13 ივნისს „ჩეკას" თანამშრომლები საპატრიარქო რეზიდენციაში გამოცხადდნენ და იკითხეს – სად არის კათოლიკოსი? კოტე ცინცაძე („ჩეკას" თავმჯდომარე) იბარებსო. უწმიდესი ამბროსი გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და წაიყვანეს, კათოლიკოსის „ჩეკაში" წაყვანის ამბავი გახმიანდა, სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო, სადაც მსჯელობდნენ როგორ მოქცეულიყვნენ შექმნილ ვითარებაში. დრო გადიოდა და კათოლიკოსის შესახებ ვერაფერი გაიგეს. ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება სადილის გაგზავნის შესახებ, მაგრამ სადილი არ მიიღეს და მიმტანს გამოუცხადეს, კათოლიკოსი მესამე განყოფილებაში იმყოფებოდა დაკითხვაზე, რომელიც საღამოს 20 საათამდე გაგრძელდებოდა. გვიან საღამოს კათოლიკოს-პატრიარქი დააბრუნეს.

14 ივნისს კვლავ შეიკრიბა საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ – სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ ერთ დღეში დიდი სულიერი ტანჯვა გამოეელო. როგორც მან საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს უამბო „ჩეკაში" მისი დაკითხვა „ჩეკას" თავმჯდომარეს კოტე ცინცაძეს უწარმოებია, დაკითხვას ესწრებოდა მდივანი ქალბატონი, რომელიც იწერდა კათოლიკოს-პატრიარქის პასუხებს. ეცნობი ამ ამაღელვებელ ისტორიას და გული სიამაყით გეესება, როგორ სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს იჩენდა ერის სულიერი წინამძღოლი. ჩეკას აინტერესებდა პატრიარქის გარდა ვინ იღებდა მონაწილეობას გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შედგენაში, „ვინ ამოგირჩიათ თქვენ საქართველოს ოპეკუნად?" უწმიდესი ამბროსის პასუხი ასეთი იყო: „ამომირჩია გელათში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა, მე მოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამამთავარი აღვიმაღლო ხმა, როდესაც ისეთი ვითარება იქმნება, რომელშიც შეუძლებელი ხდება ერის რელიგიურზნეობრივი აზრის შენარჩუნება, როდესაც ერს ერთმევა საშუალება თავისუფალი მოქალაქეობისა." კოტე ცინცაძემ პატრიარქს განუცხადა, რატომ მენშევიკების დროს არ იმაღლებდით ხმას, რატომ მათ არ ეწინააღმდეგებოდითო. უწმიდესმა ამბროსიმ უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ურწმუნონი იყვნენ, მაინც უფრო ეროვნულად იქცეოდნენ და იცავდნენ იმას, რაზეც ახლა ეკლესიას მოუხდა ხმის ამაღლება. უწმიდესმა ამბროსიმ საბჭოთა ხელისუფლება დაადანაშაულა საქართველოს ხელახალ ოკუპაციაში, რომ თქვენი მცდელობის მიუხედავად, თითქოს საქართველოს დამოუკიდებელია, აშკარაა, მთელი ძალაუფლება „ოსობაოა კავკასკაია არმიის" ხელშია. უწმიდესი ამბროსის ამ სიტყვებმა „ჩეკას" თავმჯდომარეს კოტე ცინცაძეს წონასწორობა დააკარგვინა, მან აღელვებით დაიწყო იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში ჩაატარა დემოკრატიული არჩევნები, რომ შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი

ფედერაციული რესპუბლიკა, რომ საქართველოში მყოფი რუსი ჯარი ქართველებს არაფერს უშლის, პირიქით იცავსო. უწმიდესმა ამბროსიმ ბოლშევიკურ მარიონეტულ ქართულ ხელისუფლებას ბრალი დასდო საქართველოში უცხო ელემენტების მომრავლებაში, ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფაში, როცა ქვეყანაში იდევნება განსხვავებული აზრი, იდევნება ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთები, რომ უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. „ჩეკას“ თავმჯდომარემ გულახდილად უთხრა უწმიდეს ამბროსის „ჩვენ რევოლუციას ვაწარმოებთ, პროლეტარიატის დიქტატურა გამოვაცხადეთ, წარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგეებისადმი, ყველა თაეისუფლებანი, რაც კი არის, ეს მხოლოდ ჩვენთვის გვინდა, თქვენ და თქვენი დრომოჭმული მიმდევრები ცხოვრებიდან გარიყული ხართ. თქვენ ვინ მოგცემთ თაეისუფლებას. კოტე ცინცაძემ შეახსენა უწმიდეს ამბროსის თქვენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის გამოც ყოფილხართ გადასახლებული, მართალია ეს მინუსად არ ჩაგეთვლებათ, უმაღლესი განათლებაც გქონიათ მიღებული, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ახლა სხვა დროა? კოტე ცინცაძემ უწმიდეს ამბროსის მოსთხოვა პასუხები კითხვებზე: 1. როდის და რამდენი ქონება გაზიდეს რუსებმა საქართველოდან. 2. რაში გამოიხატება ბოლშევიკების მიერ საქართველოში სარწმუნოების დევნა? 3. რა ვნება მოაქვს რუსის ჯარის ყოფნას საქართველოში? დაკითხვის დროს „ჩეკას“ თავმჯდომარე კორექტულად იქცეოდა, როცა დაკითხვა დაამთავრა, წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, მდივანს გადაულაპარაკა – მანქანით მიაცილეთ შინამდეო.“ (14, 94-95).

უწმიდესი ამბროსი დაბრუნდა რა საპატრიარქო რეზიდენციაში, შეუდგა იმ მასალების მოძიებას, რომელშიც აღნუსხული იქნებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების უკანონო ქმედებანი. ხელისუფლებას აინტერესებდა რა მასალებს წარუდგენდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ბოლშევიკურ ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა ახალ საკავშირო სახელმწიფოში საქართველოს შესვლის საკითხზე. ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის ჯგუფი მიიჩნევდა, რომ საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით უნდა შესულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რაც ისედაც შეზღუდული სუვერენიტეტის კიდევ უფრო შეზღუდვას ნიშნავდა, ხოლო მეორე ჯგუფი: ბ. მდივანი, კ. ცინცაძე და სხვები თვლიდნენ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებლად უნდა შესულიყო საბჭოთა კავშირის შემდგენლობაში. ეს ჯგუფი „ნაციონალ-უკლონისტებად“ მოინათლა და დაიწყეს მათი დევნა „ჩეკას“ თავმჯდომარე კოტე ცინცაძე, როგორც ნაციონალ-უკლონისტი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. ახალმა ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო შეურიგებელი პოზიცია დაიკავა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართ. 1922 წლის 2 ივნისს საპატრიარქო რეზიდენციაში გამოცხადდნენ ჩეკისტები, რომელთაც პირადად ინახულეს კათოლიკოს-პატრიარქი და ჩააბარეს საბრალდებო ოქმი, რომელშიც აღნიშნული იყო. ხელისუფლება კათოლიკოსს ბრალს სდებდა სამ დანაშაულში: „პროვოკაცია, კონტრრევოლუციონერობა, მთავრობის გაბრიაბრუება.“ ისინი იმდენად უპატივცემულოდ ექცეოდნენ პატრიარქს, რომ უწმიდესმა ამბროსიმ ელემენტარული ზრდილობისა და ეთიკის დაცვისაკენ მოუწოდა მათ.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკლესიის დიდი დევნა. 1922 წლის 17 ნოემბერს მთავრობის დადგენილებით საქართველოს საპატრიარქოს ჩამოართვეს რეზიდენცია. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში აღნიშნავდა, რომ საპატრიარქო სასახლე იყო საქართველოს ეკლესიის საკუთრება. ამავე დროს მოაგონებდა მთავრობას, რომ 1922 წლის №3137 დადგენილებით, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არსებული შენობები ეკლესიის განკარგულებაში გადასცა, ამის მიუხედავად, „ამისთვის 17 ნოემბერს, ჩემს ბინაში მოვიდნენ თბილისის საბინაო განყოფილების

წარმომადგენლები, გაზომეს იგი, შეეიდნენ ეკლესიაში და თეით საკურთხეელშიც ქუდებით, მიუხედავად ჩემი წარმომადგენლის პროტესტისა, დაიწყეს თავის მართლება იმით, რომ სინდისის თავისუფლებაა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნოემბრის 18, თქვენ გაახელით დელეგაცია, სამი საპატიო პირისაგან შემდგარი და გთხოვეთ დაგეცაეით მოსალოდნელი შეურაცხყოფისა და უსამართლობისაგან.“(12, 539). ხელისუფლების წარმომადგენლებმა არც კი მოუსმინეს საკათალიკოსო საბჭოს დელეგაციას, კათოლიკოსის სასახლის დასაკაებლად გაზავნილ იქნა 15 შეიარაღებული ახალგაზრდა, მათ დაეალებული ჰქონდათ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის რეზიდენციიდან გაძეება. ერთ-ერთი უცხო ტომის ახალგაზრდა კადნიერად მიიჭრა კათოლიკოსთან და მიმართა, თქვენ ხართ უფლებააყრილი პიროვნება, თქვენ არ გაქვთ ნება გეჭიროთ ეს ბინა, იგი ჩვენ გეჭირდება კომკაეშირლებისათვის, რომელთა ხუთი წლისთავი აქ უნდა გადაეიხადოთ.“(12, 539). კომკაეშირელი ახალგაზრდები თავხედურად აცხადებდნენ, რომ სასახლის აეეჯი, ქონება რეკვიზიციის ძალით უნდა წაეღოთ, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქს დაუტოეებდნენ იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნეედნენ. უწმიდესმა ამბროსიმ მტკიცედ განაცხადა, რომ იგი თავისი ნებით არ დატოეებდა შენობას. ამასეე აცნობებდა მთაერობის თავმჯდომარეს: „გთხოვთ მხედეელობაში მიიღოთ, რომ ბინა, რომელიც მე მიჭირავს არის საქართველოს მორწმუნე ერისგან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის მიჩენილი ბინა, რომლიდანაც გასელა ჩემის ნებით მეკრძალება, რომ ეს ბინა დაკავშირებულია ეკლესიასთან, აქ მოთავსებულია თბილისის საეპარქიო კანცელარია, რომ ამ ბინიდან კათოლიკოს-პატრიარქის გაძეება, ეკლესიის მოშლა და კანცელარიის გატანა გამოიწვეეს ქართველ ერში უკმაყოფილებას, რასაც უნდა ეერიდოთ მეც, როგორც ქართველი ერის მამამთაეარი და უმაღლესი მოძღვარი და თქვენც, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთაერობის თავმჯდომარე. ერი დიდია ჩემზეც და თქვენზეც და ამის გამო თქვენც და მეც უნდა ხელს ეუწყობდეთ მის ბედნიერებას, კეთილდღეობას და მყუდროებას.“ (12, 539). ბოლშეეიკურ ხელისუფლებას პატრიარქის შეგონება არაფრად ულირდა. პირიქით, კიდეე უფრო გააძლიერა ანტირელიგიური პროპაგანდა. პრესაში ქვეყნდებოდა „მუშათა მოწოდებანი“ გაესამართლებინათ „ანაფორიანი ინტრიგები“, „ბნელეთის მოციქულები,“ „მენშეეიკური საქართველოს იდეალისტები.“ მართალია ხელისუფლება საჯაროდ აღიარებდა სინდისის თავისუფლებას, მაგრამ პროეინციებში, დიდ ქალაქებში ადგილობრივი ბოლშეეიკური მმართველობის დეკრეტებით აუქმებდნენ მოქმედ ეკლესიებს, აღწერდნენ საეკლესიო ქონებას და ახდენდნენ მის კონფისკაციას. იმდენად გაუსაძლისი ეითარება შეიქმნა ქუთაისში, რომ მიტროპოლიტი ნაზარი ერთხანს იძულებული გახდა ეპარქია დაეტოეებინა. სასულიერო პირებზე ნადირობა გამოცხადდა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი აცხადებდა: „მე არ ეეწინააღმდეგები არამორწმუნეთა მიერ მორწმუნეებთან იდეურ ბრძოლას, მაგრამ ჩემი არსება ეერ შეურიგდება იმას, რომ რელიგიის წინააღმდეგი არასრულწლოვანმა ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლები.“(12, 539). 1923 წელს საქართველოში დაიხურა 600-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი. 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული დადგენილებით. 1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება გადადიოდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში. 2. ამ ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშენელობა აქვთ, დაცულ იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებაში. 3. დანარჩენი საეკლესიო განძეულობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გლეხების საჭიროებისათვის.“(7, 41).

ამ დადგენილებამ პროეინციელ უეიც ბოლშეეიკ აქტივისტებს ხელფეხი გაუხსნა საეკლესიო სიწმინდეთა დატაცებისა და განადგურებისაკენ. ისინი ოქრო-ვერცხლით მოჭედილ ხატებს, ბარძიმ-ფეშხუმებს „ეკლესიებში ტყუილ-უბრალოდ დაყრილ ოქრო-

ვერცხლს“ უწოდებდნენ. ანადგურებდნენ ეკლესია-მონასტრებში დაცულ უნიკალურ ხელნაწერებს, წიგნებს. საეკლესიო მეტრიკულ ჩანაწერებს. იმისათვის, რომ მიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან ხალხის ყურადღება გადაეტანათ ყველა უბედურების მიზეზად ეკლესიამონასტრები, სასულიერო პირები გამოჰყავდათ.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აქტივისტები აწყობდნენ ანტირელიგიურ ღონისძიებებს. მაგალითად, ქუთაისში საჯარო სასამართლო გაუმართეს 735-738 წლებში მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპულ წმ. დავით და წმ. კონსტანტინეს ნეშტებს. ორი კვირის მანძილზე მათ ლანძღავდნენ,რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ და ხალხს ატყუებდნენ. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი წმიდა დავით და კონსტანტინეს ნეშტები რიონში უნდა გადაეყარათ,. საბედნიეროდ ეს ვერ აღასრულეს.სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები გრძნობდნენ,რომ ახლოვდებოდა მათი დაპატიმრების დრო. 1923 წლის 11 იანვარს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი კვლავ წაიყვანეს „ჩეკაში“ დაკითხვაზე. წასვლის წინ უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ხელი მოაწერა განკარგულებას მისი დაპატიმრების შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი). რეპრესიების, შიშის მიუხედავად ათასობით მორწმუნე შეიკრიბა სიონის საპატრიარქო ტაძართან, რათა გაემხნევებინათ მისი უწმიდესობა. მორწმუნე ხალხს შეხვდა ეპისკოპოსი ქრისტეფორე. უწმიდესი ამბროსი შინაპატიმრობაში შეხვდა წმიდა ნინოს დღესასწაულს. ქრისტიანობის უდიდესი დღესასწაული აღდგომაც შინაპატიმრობაში გაატარა. 1922 წლის 2 ივლისს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი იძულების წესით გამოასახლეს საპატრიარქო რეზიდენციიდან. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „მე ახლა განვიცდი პატიმრობას და როგორც პატიმარი, შეუძლიათ წამიყვანონ იქ, სადაც საჭიროთ დაინახავენ, მაგრამ, როცა ერთმევა ბინა საკათალიკოსოს, ეს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმებას უდრის, ამით პერიფერიებიდან დაწყებული, საქართველოს ეკლესიის ნგრევა დამთავრდება ეკლესიის ცენტრალური მთავარი სასიცოცხლო ნერვის გადაჭრით, რაც თუმცა რასაკვირველია, ეკლესიას და სარწმუნოებას არ მოსპობს, რამდენადმე მაინც შეაფერხებს მისი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. ეს კი ვფიქრობ, მთავრობის წინაგანზრახულებაში არ უნდა შედიოდეს, რადგან, ჩემი აზრით, ეს იქნებოდა მიზანშეწონილი და სარგებლობას მოკლებული რადგანაც ჯერჯერობით მე არავისგან არ ვარ თანამდებობიდან გადაყენებული და მხოლოდ დროებით, ჩემი ტყვეობის ასე თუ ისე დასრულებამდე ჩემი მოვალეობის აღსრულება გადაცემული მაქვს სხვა მღვდელმთავრისათვის ვალდებულად მიმაჩნია ჩემი თავი მოგმართოთ თხოვნით, სახლი, რომლიდანაც გამომასახლეს, დარჩეს საქართველოს ეკლესიის განკარგულებაში კათოლიკოსის და საკათალიკოსო დაწესებულებათა მოსათავსებლად, ხოლო ის ეკლესია, რომელიც ამ შენობაშია (იგულისხმებოდა ღვთისმშობლის ეკლესია ს.ვ.). მოთავსებული და რომელიც მშვენივრად არის მოწყობილი მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არ იქნეს დანგრეული ანუ სხვა რაიმე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეუფერებელი დანიშნულებისათვის მოხმარებული.“ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა წერილი გადაგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ კახიანმა ასეთი რეზოლუცია დაადო „უარი ეთქვას, საერთოდ კი ვფიქრობ, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სრულებით არც უნდა მიიღოს განცხადებანი ისეთ პირთაგან, როგორც არის კათალიკოსი ამბროსი.“ (12, 166)

ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ სურდა. ჯერ კიდევ 1922 წლის 23 ივლისს დალუქეს საპატრიარქო რეზიდენცია, კათოლიკოსის სამუშაო ოთახები. 6 ივლისს შედგენილი აქტი იტყობინებოდა: „მე ქვემორე ხელის მომწერმა. ნ. გოგიშვილმა, ქ. თბილისის აღმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეეზორმა საბინაო

განყოფილების გამგე დ. დოლიძისა და სახლების სამმართველოს თანამშრომლის ა. გალამიანის თანდასწრებით გაეხსენით კათოლიკოს ამბროსის კუთვნილი სალარო, სადაც აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ვერცხლი, ჯვრები, ყელსაკიდი, პანაღიები, რაც წონით 1 გირვანქა და 83 მისხალია.“(12, 1519). საპატრიარქოდან წაიღეს როგორც საეკლესიო, ასევე საერო დანიშნულების ნივთები. გადაარჩიეს ისინი, ზოგი დაიტაცეს, ზოგიც გაყიდეს. ხმა გაავრცელეს თითქოს პატრიარქმა ამბროსიმ გადამალა ნივთებიო.

საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია აღარ ჰქონდა პატრიარქს, მას ყოველდღე „ჩეკაში“ დაკითხვებზე იბარებდნენ და ბრალს სდებდნენ ქართველი ერის ინტერესების ღალატში.

1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ „ჩეკამ“ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე),დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი),ქაშუეთის ეკლესიის დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი), მცხეთის სვეტიცხოველის წინამძღვარი არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), ვერის ეკლესიის წინამძღვარი ანტონი (თოთიბაძე), სიონის ეკლესიის წინამძღვარი მარკოზი (ტყემალაძე), ნიკოლოზ არჯევანიძე, ნიკოლოზ თაედგირიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება დაიწყო. მას სურდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრული მოსპობა. თბილისში მეტეხის ციხეში უმძიმეს პირობებში, ვითარცა ავაზაკნი ისე შეჰყარეს ერის სულიერი წინამძღოლები, ის ადამიანები, რომელთაც ხმა აღიმაღლეს ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკანონობათა წინააღმდეგ. როგორი მძიმე წლები არ გადაუტანია ქართველობას საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ის რაც 1921-1924 წლებში ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა, ამის მსგავსი არ ახსოვდა ისტორიას. ქართველ პატრიოტებს დაუნდობლად ანადგურებდნენ, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ინტერნაციონალიზმის დროშით ამცრობდნენ და აქუცმაცებდნენ საქართველოს. საქართველოში ქართველის გარდა ყველა კარგად გრძნობდა თავს. ქართველ ბოლშევიკებს მოსკოველი ბატონების წინაშე რომ თავი მოეწონებინათ თავიანთ მოქმედებებში შეუბრალებლობა, სისასტიკე და არაეროვნულობის დემონსტრირება უნდა მოეხდინათ და ასეც იქცეოდნენ.

„მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“

ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საკათალიკოზო საბჭოს წევრების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაპატიმრებით ნიშანი მისცა საქართველოს სხვადასხვა პროვინციების პარტიულ აქტივისტებს გაეძლიერებინათ ანტირელიგიური ბრძოლა. 1924 წელს თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისის მაზრაში 160, შორაპნის მაზრაში, 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭა-ლეჩხუმში 255, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია-მონასტერი. მაზრებში დიდი ზარ-ზეიმით ტარდებოდა ანტირელიგიური კონფერენციები, სადაც სასულიერო პირებს აიძულებდნენ დაეგმოთ ქრისტიანული სარწმუნოება, საჯაროდ მოენანიებინათ თავიანთი „შეცდომები“. მოძღვრის გარეშე დარჩენილ ეკლესიებში დაცული ხელნაწერები, ხატები, საეკლესიო სიწმინდეები იძარცვებოდა. საარქიო მასალებიდან ირკვევა რა ბარბაროსული მეთოდებით ტარდებოდა ანტირელიგიური ღონისძიებანი. 1923 წელს ხონის წმიდა გიორგის ხატი დაამტვრიეს აღმასკომის თავმჯდომარემ ნადარეიშვილმა, პარტკომის ინსტრუქტორმა ხუბუამ. სენაკის რაიონ სოფ. სალხინოში ტრადიციული ქრისტიანული წესით დაკრძალული მიცვალებულები ამოასვენეს და წითელი დროშებისა და რევოლუციური სიმღერების სასულე ორკესტრის თანხლებით გადაასვენეს კომუნისტურ სასაფლაოზე. ეკლესიებიდან გამოჰქონდათ წმინდა ნაწილები და აგიზგიზებულ კოცონზე წვაედნენ.

ასეთი გაუგონარი მკრეხელობანი მოსახლეობის დიდი ნაწილის აღშფოთებას იწვევდა. ამ ვითარებაში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ტაქტიკური მოსაზრებით უკან დაიხია, მიიღო საგანგებო დადგენილება „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ,“ რომლის თანახმადაც,თუ 300-მდე ხელმოწერა შეგროვდებოდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესია კვლავ გაიხსნებოდა. 1924 წლისათვის 1000-მდე ეკლესია იყო დახურული. ერთი ორი დახურული ეკლესიის კვლავ გაღება საერთო უმძიმეს სურათს ვერ ცვლიდა. 1924წლის 10 მარტიდან 19მარტის ჩათვლით ნაძალადევის მუშათა თეატრში (ამჟამად იმ ადგილზე კინოთეატრი „საქართველოა ს.ვ.) მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. უკიდურესი ცინიზმი შეიძლება უწოდო იმას, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ სასულიერო პირებს, როგორც „სამშობლოს მოღალატეებს“ ასე ასამართლებდა. დარბაზში მობილიზებულ იქნა ეგზალტირებული მუშები, პროლეტკულტელები რომელნიც სკანდირებდნენ „ძირს კონტრრევოლუცია,“ „სამშობლოს მოღალატეები,“ ანაფორიანი აგენტები.“ ბოლშევიკურ გაზეთებში: „მუშაში“, „კომუნისტში“, პირველ გვერდებზე იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის, დაპატიმრებული საკათალიკოსო საბჭოს წევრების კარიკატურები. სამშობლოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიოტებს სასამართლოს დარბაზში არ უშვებდნენ. ისტორიამ შემოგვინახა ამ სამარცხვინო სასამართლო პროცესის მონაწილეთა ვინაობა. სასამართლოს თავმჯდომარე გ. ჩხეიძე, წევრები: გ. რთველიძე, ვ. წიფწიავაძე, საზოგადოებრივი ბრალმდებლები: ორზუმელიანი, გუმბრიევი, ოქოიანი, ვარლამიანი. სახელმწიფო ბრალმდებელი: ალ. ერქომაიშვილი, მდივანი, აბაკელია, წინასწარ გადაწყვეტილი განაჩენის მიუხედავად უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების დაცვა მაინც იკისრეს ადვოკატებმა კ. ნინიძემ, ა. გუნცაძემ, დ. დადიანმა, ვ. ყანჩელმა, ქ. ქავთარაძემ. ბოლშევიკურ პრესაში, შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე მიღებული ასეთი შინაარსის რეზოლუციები იბეჭდებოდა. „ჩვენ მთავარი სახელოსნოს მუშები მოვითხოვთ,რათა შავი ყორნები კონრრევოლუციისა დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით და ის მენშევიკ-სოციალისტები, რომლებიც მათ იცავენ, მოთავსებულ იქნან საბრალმდებლო სკამზე.“(17). სასამართლოს სხდომის ყოველი დღე იწყებოდა „განასასჯელთა“ ადვოკატების შანტაჟითა და ლანძღვით, როგორ ბედავთ ამ ავაზაკი,

მოღალატე მღვდლების დაცვას? საბჭოთა წყობილებას არც თქვენ სჭირდებით და არც თქვენი მოღალატე მღვდლები. ქართველი ხალხის სახელით უწმიდეს კათოლიკოსს ბრალს სდებდნენ ოქოიანი, ორზუმიანი, ვარლამიანი. ამაზე მეტი უბედურება რა შეიძლება მომხდარიყო?მაინც რას ამტკიცებდნენ ისინი? „მაშინ, როცა საბჭოთა კაეშირი შიმშილის ბრჭყალებში გამომწყვდეული სულს ღაფავდა. სამღვდელოება ქვებითა და კეტებით უძალიანდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც დაეალებული ჰქონდათ ეკლესიებში თავმოყრილი საგანძურის გამოტანა. სამღვდელოებას არ სურდა, რომ ტყუილუბრალოდ ეკლესიებში დაყრილი ოქრო-ვერცხლის მაგივრად მშიერი ხალხისათვის პური ეყიდათ.“(17). საეკლესიო სიწმინდენი, წმიდა ხატები ამ უტიფარი, უმეცარი გადამთიელებისათვის „უბრალო ოქრო-ვერცხლი იყო.“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არ ჰქონდა თურმე იმის უფლება, რომ ქართველი ხალხის სახელით ელაპარაკა, და ეს შეეძლოთ მათ, პატრიარქის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დასჯას მოითხოვდნენ: საპონ-ზეთის, საფეიქრო, ხე-ტყის, რკინიგზის მე-ნ სალანდაგო დეპოს მუშები. მიუხედავად ყოველივე ამისა ხელისუფლებამ სულიერად ვერ გატეხა ქართული ეკლესიის მესაჭე და საკათალიკოსო საბჭოს წევრები. სასამართლოს სხდომების პარალელურად ბოლშევიკური პრესაში შაქრო ნავთლუღელი, გიგო ხეჩუაშვილი დასცინოდნენ უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის, საკათალიკოზო საბჭოს დაპატიმრებულ წევრებს.

„აქ ზის ავტორი მემორანდუმის,გენუის კრების შემქედრებელი,რომ „კრება“ ერთხმად დახმარებოდა და „წამებისაგან“ დაეხსნა ერი“... გიგო ხეჩუაშვილი კი დაცინვით ამბობდა.

„ესე არიან „სულის მამანი“ ბრალდებულების სკამზე მსხდომელნი,მოღალატეთაგან პასუხს მოითხოვს დღეს ბრალმდებელი ხალხი მშობელი.“

მომავალი თაობებისათვის სულიერი სიმტკიცისა და თავდადების საუკეთესო მაგალითია სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის უწმიდესი და უნეტარესის ამბროსი ხელაიას საბოლოო სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სასამართლო პროცესზე. მისი აზრით, ბრალდება, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა წაუყენეს არასწორი იყო. ხელისუფლება საკათალიკოსო საბჭოს ედავება საეკლესიო ქონების დამალვის, გენუის კონფერენციაზე კათოლიკოს-პატრიარქის სახელით გაგზავნილ მემორანდუმზე „კონტრრევოლუციონერობაზე.“ უწმიდესი ამბროსის აზრით, ხელისუფლების რომელი ფორმა იქნება საქართველოში ამის განხილვა ეკლესიის საქმე რ არის, მაგრამ მას სასურველად მიაჩნია მართვა-გამგეობა ქვეყნისა დამყარებულ იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე.“(19, 1988). მისი აზრით, ქართველ კომუნისტებს „რევოლუციური ინტერესებიდან“ გამომდინარე, საქართველოს თავისუფლება არ მიაჩნდათ საჭიროდ. მის უწმიდესობას მოჰყავდა. გაზ. „მუშაში“ გამოქვეყნებული ბოლშევიკების დაცინვა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. „თავისუფალი დამოუკიდებელი, ნეიტრალური ზურნა.“ მისი უწმიდესობის აზრით, თუ ქართველი კომუნისტები საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი არიან,მაშინ მას ასამართლებს რუსეთის ხელისუფლება, რადგან მემორანდუმის თანახმად იგი იცავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ თავისუფლებას, თუმცა რომელ თავისუფლებაზე შეიძლება საუბარი,როცა იდევნება ქართული ენა,როცა საქართველო დააქუცმაცეს ავტონომიებად, როცა დევნა-შევიწროებას განიცდიან ქართველი პატრიოტები, დევნილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, სასულიერო პირები. „ისტორია გვიმტკიცებს – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა – რომ დევნილობა უძლურია მოსპოს სარწმუნოება... იგი არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნილობა ამ მოთხოვნილებებს კიდევ უფრო აძლიერებს, ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებულის ძალით.“(19, 1988). უწმიდესმა ამბროსიმ უპასუხა ორზუმელიანების, ოქოევებისა და ვარლამიანების „ბრალდებას.“ თითქოს გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნით, საკათალიკოსო საბჭომ, უწმიდესმა კათოლიკოსმა გადაიმტერეს ქართველი ერი. მისი აზრით, ქართველი ხალხისათვის,

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, არ შეიძლება სულერთი იყო მისი მომავალი. „თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, ამის უფლებას მაძლევდა ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება — აცხადებდა უწმიდესი ამბროსი — თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდმპყრობელობის საწინააღმდეგოდ, დიდმპყრობელობის, ანომალიის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევს ერთი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალთაგანი. (იგულისხმება ვ. ლენინი). თუ ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვა, დიდმპყრობელობის დასაგმობად ხმის ამოღება... მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალით შეხედავს უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება... ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვრისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთელი ჩემ თავს, როგორც მორწმუნე ვიტყვი, იყოს ნება ღვთისა და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა.“(19, 162). უწმიდესი ამბროსი გრძნობდა, რომ მისი ეს სიტყვები ურწმუნო სასამართლოს წევრებისათვის არაფერს არ ნიშნავდა, მაგრამ იგი იყო გამხნევება ათასობით პატრიოტი ქართველისა, რომელთა ეროვნული სულის ჩაკვლას ცდილობდნენ ბოლშევიკები.

1924 წლის 19 მარტს საღამოს 8 საათზე ბოლშევიკურმა სასამართლომ გამოიტანა სამარცხვინო განაჩენი: „კათოლიკოს ამბროსის — იგივე ბესარიონ ხელაიას — დაპატიმრება 7 წლით და 9 თვით, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით, იასონ კაპანაძეს დაუსწრებლად (რადგან გაქცეული იყო საზღვარგარეთ ს. ვ.) 9 წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით. კალისტრატე ცინცაძეს — 3 წლით და 9 თვით, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით, მარკოზ ტყემალაძეს 9 თვით, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით, იოსებ მირიანაშვილს 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით.

სამშობლოსა და სარწმუნოების თავისუფლებისათვის მებრძოლნი მეტეხის ციხეში გაგზავნეს. ბოლშევიკური ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად წარმოეჩინათ როგორც მოღალატენი, ქართველი სასულიერო პირები სამშობლოსათვის წამებულ გმირებად შერაცხეს. 1924 წლის ეროვნული აჯანყების მონაწილე ელიზბარ მაყაშვილი წერდა: „ოჰ, მეტეხო, როგორ დამავიწყდები! ეს მძიმე, მოღუშული და დარდიანი ციხე დღეს საქართველოს დედაქალაქად გადაქცეულა, ქართველ მამულიშვილთ აქ მოუყრიათ თავი. პროფესორები და ექიმები, მკვლევარნი და ვექილნი, ქართველი სტუდენტობა, სამღვდელოება — ჩვენი სპეტაკი და წამებული მოხუცი კათალიკოსის, ამბროსის მეთაურობით.“ შაქრო ნავთლუღელისა და მისი მსგავსი არამზადებისაგან განსხვავებით დავით კოპალეიშვილს ასეთი სტრიქონები მიუძღვნია ტანჯული ქვეყნის ტანჯული პატრიარქისათვის: „მძიმედ გაიღო ციხის კარები, ვით ქანდაკება მარმარილოსი შემოაბრძანეს ციხე მეტეხში ტანჯულ ქართლოსის კათალიკოსი. ვერ შეეგებნენ ჩაკეტილ იყვნენ: პოეტი, მუშა, ექიმი, დენდი, ვერცა მოხუცი, თეთრი ნაზარი, ვერც პარიტეტის ტყვე პრეზიდენტი. ჩეკას დახუთულ ბნელ-ცივ სარდაფში, სადაც ბუდეა გველ-ბაყაყ-ხვლიკის, იტანჯებოდა მტარვალთა ხელში. ერის მინისტრი, იქ, ხომერიკი, კაცსა გულადსა, კაცსა ფოლადსა, ტანჯვა ენახა ნოეს, მრავალი, უცდიდა თვის ბედს შეუდრეკელი, ორთქმავალისა ქვეშე მავალი. ტანჯვისა გვირგვინს თავზე

ატარებს ჩვენი მცხოვანი მამა ამბროსი მეტეხის კარებს ერთად გაგვიღებს ხომერიკი და კათალიკოსი.“

ემიგრანტმა ქართველმა პოეტმა გიორგი ყიფიანმა „ლევილის მზეს“ სამშობლოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ასე მიმართა:

„ეფიცავ ლოდზე ნაგრეხ სუროს, ლევილის მზეს თვალცრემლიანს, სადაც ჯვრები გარდასულთა, ცოცხლებივით გვიცქერიან... ეფიცავ დროშას სამჯერ კოცნით, საქართველოს დიდების დღეს, სამთაფერის ცაში ფრიალს, ოცდაექვსი მაისის მზეს. პრეზიდენტის მოხუც სახეს, დამარცხებულ ქართლოსის ჯარს, ყელგამოჭრილ პატრიარქებს, კათალიკოს ამბროსის ჯვარს. ეფიცავ-ეფიცავ აქაც-იქაც. გულს შიგნით და სულის ძირას, საფლავშიაც რომ დაეიცავ ხალხის სისხლით ნაკურთხ მიწას!(2, 60-41).

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. 1924 წლის აგვისტოში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მიერ მოწყობილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით უპასუხა. საქართველოს ყველა კუთხეში სისხლის წვიმები დააყენა. გაუსამართლებლად ხოცავდნენ ყველა ეჭვმიტანილს. კოტე აფხაზის უკანასკნელი სიტყვები იყო ჯალათებისადმი მიმართული: „გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე, მე ეკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად სიცოცლის მიტანისა.“ (ბაბო დადიანი).

გაანადგურეს ქართული ინტელიგენცია, საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილი, 1924 წლის აგვისტოში ე.წ. „სამეულის“ გადაწყვეტილებით ქუთაისში დახვრიტეს: მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი იორეთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. ბოლშევიკური ხელისუფლების ეს სისასტიკე ახსნილ იქნა იმით,რომ თითქოს ხსენებული სასულიერო პირნი ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. სინამდვილეში ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი სასულიერო პირებთან ერთად ჩაეიდა ქუთაისის მაზრის სოფ. როდინოულში ეკლესიის კურთხევაზე, მაგრამ ისინი დაპატიმრებულ იქნენ ადგილობრივი თემსაბჭოს თავმჯდომარის მიერ.

„1924 წელს, აგვისტოს 3 დღესა, მე, სვირის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამბერკი ჯულელმა, შეგადგინე ოქმი ესე შემდეგ ზედ:

2 ამა აგვისტოს ღამით ვიღაც უცნობი პირის მიერ გადმომეცა „ბარათი“, სადაც იგულისხმებოდა,რომ ამავე რაიონის სოფელ როდინაულშიდ კერძო ოჯახში მოეყარათ თავი მღვდლებს და რაღაც შემჩნევითი მოქმედებას ეწეოდნენ ფართო აგიტაციური სახით, რისთვისაც საჭიროთ ვსცანი, გამეგზავნა მილიცია და მომეყვანა აღნიშნული პირები მათი მოვალეობისა და ვინაობის გამოსარკვევათ, რაც იმ წამსვე იქნა შესრულებული და აღნიშნული მღვდლები იქნა ჩემს წინაშე წარმოდგენილი კრების შინაარსის და მღვდლების მოქმედების მცოდნე პირებთან ერთად 3 აგვისტოს,რაზედაც საჭიროთ მიმაჩნია იქნას დაკითხული შინაარსის მცოდნე პირები და შედგეს ოქმი ესე ზემოთ ნაჩვენებ მღვდლებზედ.

ამავე რიცხვს საქმის დასკვნამდი მისაღწევად დაკითხულ იქნა ჩემს მიერ დავალებით გაგზავნილი რაიმილიციის უმფროსი თანამშრომელი ამხ. ბარნაბა გედევანის ძე მაღლაკელიძე, მცხოვრები სოფელ როდინოულში, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

პირველ ყოვლისად, რომ მე გამეგო, თუ სად იყო ასეთი და რომ გზას არ ავცდომოდი, მივმართე ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ვნახე თავის სამართველოში, რომელსაც ეს გარემოება უკვე გაეგო და ალაგიც მიჩვენა, თუ სად იყვნენ მღვდლები თავ შეყრილი, რომელიც იმ წამსვე ჩემთან ერთად წამოვიდა და მღვდლები აღმოჩნდნენ როდინაულის თემის მცხოვრების მათე ჩუბინიძისას. ჩვენ რომ ერთად დავრწმუნებულიყავით მათ საერთო სჯაბაასშიდ და გაგვეგო, თუ ვინ ან და რა პირები იყვნენ თავ მოყრილნი, ამისათვის წინასწარ განვიზრახეთ ჩუმათ მისვლა,რაც მართლაც შევსძელით და დაუგდეთ ყური მათ მსჯელობას. სრულებითაც

გამოურკვეველი იყო ჩვენთვის, თუ ვინ იყვნენ ეს უკანასკნელები და როცა მივაყურეთ, გავიგონეთ შემდეგი: კომუნისტური პარტია არის მასის დამღუპველი, რომელიც უკარგავს მთელ კაცობრიობას სარწმუნოებას და აბრმავებს მათო. უმეტეს ნაწილათ მოიხსენიებდნენ პარტიის ლიდერებს ზიზღით. ამ საერთო კამათთან იყო ირგვლივ შემორტყმული თემის მომწიფებული მასა. ბევრი რაიმე საწინააღმდეგოს ქონდა ალაგი მათი ლაპარაკით და ბევრიც შეიძლებიყო იქვე აეწერა კაცს, მაგრამ ჩვენც ვეღარ ვიქონიეთ მოთმინება, რისთვისაც მოვსთხოვეთ ოჯახის უფროს კარების გაღება, რაც იქნა შესრულებული. ჩვენი შესვლის დროს ნაწილი ხალხისა და ერთიც, სვირის თემის მცხოვრები მღვდელი კირილე ბოჭორიშვილი გაიპარა და ნაწილი კი დარჩა. ყველანი ისხდნენ მაგიდის ირგვლივ. ჩვენ მისვლას დარჩენილ პირებზედ არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, პირიქით, დაგვიწყეს შეკითხვა, თუ რაზედ მოსულხართო, რისთვისაც მე მათ განუმცხადე ჩემი თანა მსახურება და ამავე დროს მოვსთხოვე მათ დავალების და პირადობის მანდატები, რომლებმაც ეს ირონიით მიიღეს და მომთხოვეს მე, პირიქით, მანდატი. მე ამ დროს მათ წავაკითხე, თუ ვისი დავალებით და ან რა საქმისთვის ვიყავი წასული. პირველ რიგშიდ გამომიცხადეს კატეგორიული უარი და როცა მე მათ კვლავ მივმართე, დამმორჩილებოდენ, ამ დროს ნაწილი მღვდლებისა გახთა თანახმა, ნაწილმა კი უარი სთქვეს, მაგრამ ასეთი მათ ერთმანეთშიდ თვითონვე გამოასწორეს. როცა მე გარეთ გამოვედი, იქვე ვნახე ოჯახის მანდილოსანი, რომელმაც ჩემი შეკითხის შემდეგ, თუ რათ ან და რა საჭიროებას წარმოადგენდა ეს მღვდლები, მან მიპასუხა: მაგათ ახლავთ კიდევ მიტროპოლიტი, რომელიც ამ წამსვე დასწვა კერძო ოთახშიდო. მე ამ დროს ვსთხოვე მღვდლებს, გამოეყვანათ ასეთი, მაგრამ მათ კატეგორიული უარით მიპასუხეს. თვით ოჯახის დედა კაცსაც ვსთხოვე, გამოეყვანა, მაგრამ მანაც უარი მითხრა. შემდეგ მე უთხარი მილიციონერს, რომელიც მე მახთა, გამოეყვანათ ეს უკანასკნელი, მაგრამ არავითარი დამორჩილება არ იქონია მიტროპოლიტმა, რის შემდეგ ისევე მე მომმართეს და შემდეგ მე წავედი. საბჭოს თავმჯდომარის თანდასწრებით როცა შევედი ოთახშიდ, მიტროპოლიტმა მოგვსთხოვა მანდატი. მეც ასეთი სურვილი მისი ავასრულე და უჩვენე მანდატიც და ის დავალებაც, რომლის ძალითაც მე ვიყავი წასული, მაგრამ მასზედ ჩემმა საბუთებმა არავითარი გავლენა არ იქონია და, პირიქით, მომსთხოვა, გამეთავისუფლებია მისი ოთახი და განიზრახა ისეთი მოქცევა უშვერის ენით და არსებული მთავრობის საწინააღმდეგოთ, რომელსაც თვითონ გრძნობდა, ვითომც ჩვენ შევეცდებოდით და ხელით შევეხებოდით, მაგრამ ჩვენ ასეთშიდ თავი შევიკავეთ და ისევ ხვერწნით მოვსთხოვეთ მათ, ამდგარიყო და ჩვენთან წამოსულიყვნენ მათი ვინაობის გამოსარკვევათ. ასეთმა ჩვენმა ლმობიერმა მოქცევამ მას აამაღლებია ხმა და დაგვიწყო კვლავ შემდეგი სიტყვების ძახილი: თქვენ, კომუნისტებო, ქვეყნის დამაქცევარი ხართ, თქვენ დააქციეთ სარწმუნოება და საქართველო. თქვენი ჭუჭყიანი ხელი არ მომაკაროთ, თქვენ ხართ განდევნილი კაცობრიობისაგანო და ასეთი საზიზღარი სიტყვებით განაგრძობდა თავისას, რამაც გამოგვიყვანა საერთო მოთმინებიდან და თანაც უფრო გაამწვავა ჩვენშიდ მასზედ მიტანილი ეჭვიანობა, რისთვისაც მე მივმართე ჩემთან მხლებ მილიციონერს, რათა აეყვანა ხელით და გამოეყვანა გარეთ. ეს შესრულებულ იქნა. მაგრამ გამოყვანის დროს მთელი მღვდლები, რიცხვით 9 კაცი, ამხედრდენ ჩემს საწინააღმდეგ. ამ დროს მე მას თავი დავანებე და ეს მღვდლები წამოვიყვანე საბჭოს სამმართველოშიდ. ამ დროს მე მოვიწვიე ასისთაევები და ოცისთავები, რისთვისაც მე მინდოდა ეს მღვდლები მათთვის გამომეტანებია და ერთი მილიციონერთაგანი სვირის სადგურზედ აღმასკომის სამმართველოშიდ. ამ დროს მთელი მღვდლები აბუნტდენ და შექმნეს ხმაური საერთო „პანიკის“ გამოსაწვევათ და ნაწილი გლეხებსაც მოუწოდებდენ, ამხედრებულიყვნენ ჩვენს საწინააღმდეგოთ. ხალხი მართლაც მოგროვდა, მაგრამ რამოდენიმე შეგნებული გლეხების საშვალებით შევსძელით მათი დამშვიდება, ე. ი. მოსული გლეხების და იქიდან წასვლაც. და რადგან მღვდლებმაც დარწმუნდენ, რომ მოსული გლეხობა მათ არავითარ შველასა და დახმარებას არ უწევდენ, შემდეგ ამისად დამთანხმდენ და წამომყვენ სამმართველოშიდ. როცა ესენი გამოვეზაენე, მე და

საბჭოს თავმჯდომარემ კელაე მიემართეთ დარჩენილ მღვდელს. რაც შეეხება, ჩვენ არ ვიცოდით, თუ ვინ იყო ის, მღვდელი იყო, თუ სხვა ვინმე, რადგან თვითონ არ გვაცნობდა ასეთს. ჩვენმა მასთან მისელამ უფრო ფართოთ მლანძღველი ხასიათი მიიღო, როგორც ჩვენზედ პირადათ, უმეტესად არსებული მთავრობის საწინააღმდეგოთ, რის შემდეგ იქნა სახლიდან გამოყვანილი წესიერად და იქვე მდგომ ურემზედ დავსვით, მაგრამ მან არას დიდებით არ გაჩერდა ურემზედ, რისთვისაც კელაე გაიძახოდა — მე ვარ იესო ქრისტე ნაზარეთელი და უნდა ტანჯული შევიქნე ჭუჭყიანი მთავრობის ხელითო. იმდენათ იქნა ხმა ამაღლებული, რომ მოითხოვდა შველას, მაგრამ ჩვენის იქიდან მისი წამოყვანის საშუალებათ გახთა ურემი, რომლითაც ჩამოვიყვანეთ სამმართველოშიდ. გზაშიდ დიდ ძალი ლანძღვა განაგრძო, მაგრამ ჩვენ მას ეაგონებდით, რომ ჩვენ ვიყავით საბჭოთა მოსამსახურეები და არა ჯალათები, ის მაინც თავისას განაგრძონდა." (32, 7-12).

19 აგვისტოს ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს პასუხისმგებელი რწმუნებულის თანაშემწეს შონიას ასეთი დადგენილება გამოუტანია: „მე ქუთაისის მაზრის პ/ბ პასუხისმგებელმა თანაშემწემ შონიამ, განვიხილე რა საქმე № 590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზირ ლეჟავასი, დიაკონ ბესარიონ კუხიანიძის, მღვდელ გერმანე ჯაჯანიძის, სიმონ მჭედლიძის, ნიკოლაძის, პოლიეკტოს ვარდოსანიძის, ეს უკანასკნელი დახერეტას გადაარჩინა თავისმა ყოფილმა ნათლულმა (ე.წ. ტროიკას ერთ-ერთმა წევრმას.ვ.). სეირის თემის როდინოულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დავადგინე: ისინი ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ." ასეთი შეთითხნილი ბრალდების მსხვერპლი გახდა სასულიერო პირთა ეს ჯგუფი. შთამომავლობისათვის დაიკარგა მათი საფლავებიც. სიმბოლურად ეს შეიძლება საღორიის თუ საფიჩხიის მიდამოებში ვეძიოთ, სინამდვილეში სად განისვენებენ წამებულთა ნეშტები ჩვენთვის უცნობია.

ბოლშევიკურ პრესაში არ წყდებოდა დაქირავებულ კალმოსანთა ცილისმწამებლური წერილების ბეჭდვა. აი მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერთა აზროვნების ნიმუშები:

„წაიღეს განძეულობა, რაც იყო ეკლესიაში, ჩააწყვეს იაშჩიკებში და გადამალეს მიწაში, გენუას კაცი აფრინეს თან გაატანეს უსტარი.

საბჭოთა წყობა არ მოგეწონს, სულ დაგვიბნია დაეთარი." ან „მწუხარებით შეიცვალა წმინდა მამათა სიხარული სიმწრისაგან იღრიალეს როს იხილეს ხიშტი მტრული." ვინმეს ახსოვს, ვინ იყვნენ შაქრო ნავთლუღელი? ვალია ბახტაძე? ფრიდონ ნაროუშვილი? სილიბისტრო თორდია? არაქელა ოქრუაშვილი? ისინი იყვნენ იმ ავადსახსენებელი ბოლშევიკური სისტემის მეხოტბენი, რომელთათვისაც სამშობლო, სარწმუნოება, ქართველობა სალანძღავად, ჩამორჩენილობად ქცეულიყო. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართველმა ხალხმა სილიბისტრო თოდრიას, სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს მათი სახით ბოლშევიკურ იდეოლოგიას საკადრისი მიუზღო. მაგრამ მანამდე კიდევ ბევრი ტანჯვა-წამება დამცირება და შეურაცხყოფა აიტანეს სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულმა სასულიერო და საერო პირებმა. აუტანელ პირობებში უხდებოდათ მეტეხის ციხეში ყოფნა ქართველ სასულიერო იერარქებს. უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე. ხელისუფლებისათვის თანდათან არასასურველი ხდებოდა სინდისის თავისუფლების დეკლარირების პირობებში საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა და პატრიარქის ციხეში ყოფნა. ცდილობდა მათ გატეხვას, რათა დაეწერათ ბოლშევიკური მთავრობის სახელზე პატიების თხოვნა. უწმიდესსა და უნეტარესი ამბროსის არქივში ასეთი ჩანაწერია: „შეიძლება მეც მომეთხოვოს იგივე სინანული, როგორიც ჩამოურთმევიათ რუსეთის პატრიარქ ტიხონისათვის და ამის გამო ჩემი განცხადების პროექტი ამნაირად იქნება მე ჩემი თავი არ მიმაჩნია დამნაშავედ... მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ ინტერვენციას საქართველოს რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებაში მოჰყვებოდა ეკლესიური თავისუფლების დაკარგვა, რაც მე უბედურებად

მიმაჩნდა ჩვენი მშობლიური ეკლესიისათვის ჩემი შიშები სავსებით გამართლდა და ეკლესიას კიდევაც დაატყდა დიდი უბედურება.“(12, 895).

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ მიაღწია უწმიდესი პატრიარქისა და დაპატიმრებული სასულიერო პირებისაგან პატიების, მონანიების თხოვნის მიღებას, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველებს დააწერინეს თხოვნა დაპატიმრებულთა შეწყალებისა და დიდსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება 1925 წლის 10 მარტს მათი განთავისუფლების შესახებ. 11 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვა აღაელინა, დიდი შიშიანობის მიუხედავად მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო მას. პატრიარქმა სიტყვით მიმართა მათ: „სავსებისაგან გულისა ბაგენი იტყვიან“ – ამბობს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და ამით გვითითებს ადამიანის ბუნების იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც თვითოეულ ჩვენგანს კარგად მოეხსენება, რომლის დასაკმაყოფილებლად ვცდილობთ გულზე მოწოლილი გრძნობანი სხვას გავუზიაროთ. ამ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას ვგრძნობ მე ახლა, როდესაც ორი წლის და ორი თვის დაშორების შემდეგ ვდგევარ ამ წმიდა ტაძარში თქვენ წინაშე,მაგრამ,სამწუხაროდ, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ეს წადილი გულში უნდა ჩავიკლა და დავკმაყოფილდე მხოლოდ თქვენდამი მადლობის გამოცხადებით იმისთვის,რასაც მე დღეს აქ ვხედავ. მე ციხეშიაც მესმოდა თქვენი გულისწუხილი ჩემი მდგომარეობის შესახებ. მესმოდა და ვგრძნობდი თქვენს თანაგრძნობას და ეს მამხნევებდა და ამატანია ის,რაც ამ საბჭოს დროს მე ავიტანე. ეს იყო შედეგი არა ჩემი ღირსებისა, არამედ იმისი, რომ თქვენ გიყვართ დედა ეკლესია და ატარებთ იმ ხარისხს,რომლის სატარებლად აირჩიეთ ჩემი უღირსება. აქ იხატება თქვენი ღრმა სარწმუნოება. რწმენის საქმეებში არ ემსგავსებით ლერწამს, რომელიც მუდამ ქანაობს და გადიხრება იქითკენ, საითკენაც ქრის ქარი, არამედ ხართ მტკიცენი და ურყევნი. ეს არის ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო. მე ჯერ არ შევედგომიეარ ჩემი მოვალეობის შესრულებას, საჭიროა გაეცნო ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას,იმას,თუ რა გაკეთებულა ორი წლის განმავლობაში. შეიძლება ბევრს კიდევაც გაუკვირდეს ამნაირი ჩემი განცხადება და გულში გაიფიქროს, რა საჭიროა ეკლესიის მდგომარეობის გაცნობა,ვინ არ იცის და არ ხედავს,ჩვენი ტაძრები დაკეტილია, ზოგი მთლად დანგრეულია საძირკვლამდის, საეკლესიო სამკაულები, ხატები, ჯვრები და ძვირფასეულობა გადატანილია და სხვაო, მაგრამ მე საქმეს ცოტა სხვანაირად ვუყურებ: ნამდვილ ეკლესიას ვგულისხმობ თქვენში – მორწმუნეებში და არა შენობებში, სამკაულებში და ძვირფასეულებაში. კარგია ეკლესია მაშინ, როდესაც ის გამშვენიერებულია სარწმუნოების სიმტკიცით, მისი გაღრმავებით. ამ მხრივ, მე მწამს, რომ ეკლესია ახლა უფრო განმტკიცებული და გამდიდრებულია, ვინემ იყო უწინ. გარეგნულ ხელქმნილ ტაძრების სიღარიბეში ხელთუქმნელი ეკლესია უფრო გალამაზდა. ამას ნათლად ამტკიცებს მორწმუნეთა შემოკრება ამ წმიდა ტაძარში. ეს მეტად სანუგეშოა. მალე ნებითა ღვთისათა შეეუდგები მოვალეობის შესრულებას. უნდა განვაცხადო,რომ ჩემი სამსახურის დროს სწავლა-მოძღვრების საგანი იქნება მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოება და ზნეობა, ეკლესიური ცხოვრების აღდგენა. მაგრამ რომ ჩემი სამსახური იყოს ნაყოფიერი, ამისთავის მარტო ჩემი ძალა არ არის საკმარისი. მე ამაში მეჭირება თქვენი – სამღვდელოებისა და მორწმუნეთა დახმარება. იმედი მაქვს,მიიღებთ მხედველობაში ჩემს მოხუცებულობას,უძლურებას და შემაწევთ თქვენს გამოცდილებას და მუშაობის უნარს,ხოლო ეს მოსახერხებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველანი განვამსჭვალებით ჩვენი დედა ეკლესიის სიყვარულით, ერთმანეთის ძმურად გატანით,როდესაც პირად ინტერესებს ვანაცვალებთ საზოგადო – ეკლესიურს. კათოლიკოსობა თავისთავად არ არის. როდესაც კათოლიკოსობაზე არჩევის შემდეგ ამ ამბიონზე ავდიოდი განვაცხადე,რომ მე ავდივარ გოლგოთაზე,რომ მე მიტვირთავს დიდი ჯვარი,რომლის სიმძიმის ქვეშ შესაძლებელია,დავეცე თუ თქვენი – მორწმუნეების და თანაშემწეობის დახმარება არ მექნება – მეთქი. ეს წინასწარმეტყველება გამოდგა, თუმცა ჩემი ნათქვამი თავისთავად არ იყო არავითარი წინასწარმეტყველება. ეს იყო

დამყარებული გამოცდილებაზე,ახალ აღდგენილი ავტოკეფალური ჩვენი ეკლესიის სამი თუ ოთხი წლის ისტორიაზე. მე ვარ საქართველოს ეკლესიის მესამე საჭეთმპყრობელი. რაც მოუვიდათ კირიონს და ლეონიდს ყველამ იცის, რაც მომივიდა პირადად მე, ეს უკვე ცხადად ყველამ დაინახა. თუ კირიონსა და ლეონიდს სახელს უტეხდნენ სიტყვით თუ წერით, ეს მეც განვიცადე, თუ მათ გადაყენებას ცდილობდნენ, მეც არ დამკლებია ეს მოწყალება. მე უფრო მედგრად მომეთხოვა გადადგომა უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებიდან. რა იყო ამის მიზეზი? ამის მიზეზი იყო ჩვენი შეუგნებლობა, ჩვენი უდისციპლინობა... ჩვენ არ გვესმოდა,რომ ეკლესიის თავის სახელის გატეხა,არის იმავე დროს სახელის გატეხა ეკლესიისა, სახელის გატეხა თვით იმ მორწმუნეთა, იმ ერისა, რომელმაც აირჩია უვარგისი თავი და საჭეთმპყრობელი. იმ ქვეყნებში, სადაც მორწმუნე ხალხი მომწიფებულია საზოგადო ეკლესიურ მოღვაწეობისთვის, სხვანაირად იქცევიან, ირჩევენ ხშირად იმდენად მოხუცებულებს,ანუ ხანში შესულებს,რომელნიც მოკლებულნი არიან მუშაობის უნარს, მაგრამ მისი სახელით და მის მაგივრად აკეთებენ ეკლესიურ საქმეებს. როგორ სარგებლობენ მტრები ჩვენი უდისციპლინობით და შეუგნებლობით, მისი მაგალითი ბევრია, მაგრამ აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს. რუსეთის ეკლესიას არ მოეწონა ჩვენი ავტოკეფალიის გამოცხადება, რუსეთის ეკლესიიდან ყოველთვის გეიმზადებდნენ სხვადასხვა დაბრკოლებას..." (12, 539). აქ შეწყდა მისი სიტყვა, ცუდად გახდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ცრემლი მოერია, გადახედა აქვითინებულ მრევლს და ჯვარი გარდასახა მათ... პატრიარქთან მიდიოდნენ ადამიანები და ულოცავდნენ ციხიდან გათავისუფლებას. იყო წერილობითი ადრესებიც. „უწმიდესო მეუფეო, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი განმსჭვალულია შენდამი დიდი სიყვარულით, დღე დღეზე ელოდა ციხიდან განთავისუფლებას და ხილვას. მრავალჟამიერ დიდო მეუფეო ჩვენი ერის საკეთილდღეოდ."(3, 96).უწმიდესმა და უნეტარესმა საგანგებო პარაკლისი გადაიხადა კოჯრის მისადგომებთან ბოლშევიკურ საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლაში დაღუპული ქართველი იუნკერებისათვის... პატრიარქი ვერ გატეხეს, ვერც პოზიცია შეაცვლევინეს ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ. 1921-1927 წლებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით მღვდელმთავრის ხარისხში აიყვანეს 1. დეკანოზი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) ურბნელად 1922 წელს, 2. დეკანოზი სვიმეონი (ჭელიძე) ჭყონდიდელად 1923 წელს. 3. არქიმანდრიტი ნესტორი (ყუბანეიშვილი) ბათუმ-შემოქმედელად 1924 წელს, 4. დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე) მანგლელად 1925 წელს. 5. დეკანოზი სტეფანე (კარბელაშვილი) ბოდბელად 1925 წელს. 6. არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე) წილკნელად 1925 წელს. 7. დეკანოზი მიხეილი (ფხალაძე) ალავერდელად 1925 წელს. 8. დეკანოზი ალექსი (გერსამია) ცაგარელად 1925 წელს. 9. დეკანოზი ვარლაამი (მახარაძე) 1926 წელს. 10. არქიმანდრიტი ეფრემი (სიდამონიძე) მანგლელად 1927 წელს. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებას უნდა შეეცვალა ეკლესიასთან ბრძოლის ტაქტიკა. საჭირო იყო ეკლესიაში ხელისუფლების დასაყრდენის შექმნა შიდა დაპირისპირების პროვოცირება და ეკლესიის შიგნიდან აფეთქება.

„განახლებისა და რეფორმების“ დროშით უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის დამხობის მზაკვრული გეგმა.

ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია. მან თავისი პოზიცია დაუფარავად დააფიქსირა 1921 წლის 15 აპრილს რეეკომის დეკრეტით, რომლის თანახმადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშე გამოცხადდა. ბოლშევიკები ათეისტები იყვნენ და მიზნად ისახავდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის საერთოდ მოსპობას,მაგრამ იმასაც გრძნობდნენ,რომ თავიანთი შავბნელი საქმიანობის პირველ ეტაპზე ეს გაუჭირდებოდათ. ამიტომ ასეთი გეგმა შეიმუშავეს ერთის მხრივ ადმინისტრაციული, ძალმომრეობითი, ტერორის გზით ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, მეორეს მხრივ თვით ეკლესიის წიაღში ჩაენერგათ ბოლშევიკური ხელისუფლების მხარდამჭერი სასულიერო პირებად მოვლენილი ლიბერალები. ხელისუფლებამ სამშობლოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებისათვის მებრძოლთ „მოღალატის, ჩამორჩენილი, კონსერვატორების, რეაქციონერების და უცხოეთის დაქირავებული აგენტების“ იარლიყი მიაკერა, ხოლო ბოლშევიკური ექსპერიმენტებისა და უზნეობისადმი ლოიალურად განწყობილ სასულიერო პირებს „პროგრესული სამღვდელოება“ უწოდა.

1922-1925 წლებში ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღწერეს მოქმედ ეკლესია-მონასტრებში დაცული ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო სიწმინდენი, შემდეგ გამოზიდეს ეკლესია-მონასტრებიდან და „მშრომელთა საჭიროების“ საბაბით გაყიდეს. 1922-1924 წლებში პოპულარული გახდა სასამართლო პროცესები. 1923 წლის 9 თებერვალს ონში „მშრომელთა საჩივრის საფუძველზე ჩატარდა სასამართლო სხდომა, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება ქრისტიანული სარწმუნოების, როგორც ხალხის მტრის დაგმობის და რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი ეკლესიების გაუქმებისა და დანგრევის შესახებ. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირელი აქტივისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უფრო მეტ ეკლესიას დაარბევდა, ვინ უფრო შეურაცხყოფდა სასულიერო პირებს.

ბოლშევიკური ხელისუფლება საზოგადოების წინაშე თავის მართლების მიზნით, რომ ქვეყანაში სინდისის თავისუფლება იყო იღებდა ისეთ კანონებს, რომელშიც ადასტურებდა,რომ კანონის ფარგლებში მოქმედებდა. მაგალითად 1924 წლის 21 ნოემბრის დეკრეტით „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“ მითითებული იყო, რომ მორწმუნეებს თავისუფლად შეეძლოთ ეკლესიის გახსნა ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად ხელისუფლება სასტიკად დევნიდა მორწმუნეებს, სასულიერო პირებს. ბოლშევიკურ ხელისუფლებას მოსვენებას უკარგავდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის, საკათალიკოსო საბჭოს შეურიგებელი პოზიცია საოკუპაციო ხელისუფლებისადმი. ამიტომ „ჩეკამ“ შეიმუშავა საიდუმლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა „ანტისაბჭოელი კათოლიკოსის ეკლესიის მესაჭეობიდან ჩამოშორებას, „რეაქციული“ საკათალიკოსო საბჭოს გარეკვას და მის ნაცვლად საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სასულიერო პირების, „პროგრესული სამღვდელოებისათვის“ ავტორიტეტის მოპოვებას. ე.წ. „პროგრესული, რეფორმატორი“ სასულიერო პირები, რომ მზად იყვნენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის, ეს კარგად გამოჩნდა 1924 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით გაკეთებულ განცხადების შინაარსიდან. სადაც ნათქვამი იყო: „ვაღიარებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ

აღორძინებას, ეგმობთ 1924 წლის აგვისტოს ავანტურას."(12, 539). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით ასეთი განცხადების გაკეთება იმ დროს, როცა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს წევრები მეტეხის ციხეში იტანჯებოდნენ, ხოლო ათასობით პატრიოტი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლნი დაუნდობლად გაანადგურეს, გამაოგნებელი იყო ქართველი ხალხის იმ ნაწილისათვის, ვისთვისაც ძვირფასი იყო სამშობლოს თავისუფლების იდეა. ხელისუფლების წაქეზებით ეკლესიის დროებითი მმართველობა გაიტაცა „განახლებისა და რეფორმების" იდეებმა. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვერ აუწყო ფეხი რეეოლუციური დროის მოთხოვნებს, პატრიარქი კვლავ მართლმადიდებლურ, კონსერვატორულ მიმართულებას იცავდა ეკლესიაში, ამიტომ აუცილებელი იყო სიახლეები. „განახლებისა და რეფორმების" ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსები: ქრისტეფორე და დავითი. ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) დაუფარავად აცხადებდა: „დრო არის განახლება შეტანილ იქნას ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში თანახმად თანამედროვე კულტურის, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისა."(3, 115).

საეკლესიო სფეროში „რეფორმებისა და განახლების" ჯგუფის საქმიანობა, რომ ინსპირირებული იყო ხელისუფლებისაგან ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მათი სხდომების ოქმებიგანცხადებები დაუბრკოლებრივ ვრცელდებოდა ბოლშევიკური პრესის მეშვეობით. მაგალითად 1923 წლის 2 სექტემბერს ქუთაისში სამღვდელოების შეკრებას ესწრებოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ვალია ბახტაძე, რომელმაც სასულიერო პირებს მიმართა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო განახლებული ეკლესია და რა შემთხვევაში ითანამშრომლებდა ხელისუფლება მასთან. ქუთათელმა ეპისკოპოსმა დავითმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი ერთგულება „განახლებისა და რეფორმების" მიმართ და განაცხადა: „დადგა დრო, ეკლესიაში განხორციელდეს ცვლილებები თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. ამ გზით გადადგმული იქნას პროგრესული ნაბიჯები ეკლესიურ ცხოვრებაში"... გენუის კონფერენციაზე ქართველი სამღვდელოების სახელით გაგზავნილმა მემორანდუმმა, კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოს ეკლესია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი თავის მტრად მიიჩნია და ამიტომ დაარბია ეკლესიები, დაიქსაქსა სამღვდელოება, მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ეკლესიას პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს, თუ ამას დავამტკიცებთ ნორმალურ პირობებში, მაშინ ხელისუფლება შეწყვეტს ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას. ამიტომ მოვითხოვთ ჩვენს ეპარქიაში შეჩერებულ იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა, აღდგენილ იქნას ტაძრები. თუ მაინც ვინმე შეინიშნა ანტისამთავრობო გამოსვლებში ისინი სასტიკად იქნან დასჯილნი."(13, 1523). ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ „სარეფორმო ჯგუფის" წევრებისათვის ხალხში ავტორიტეტი შეექმნა მათი მოთხოვნები შეასრულა, ქუთაისის ეპარქიაში გახსნა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიები, გაათავისუფლა დაპატიმრებული სასულიერო პირები.

„განახლებისა და რეფორმების" ჯგუფის წევრებმა ახალი განცხადება გააკეთეს: „დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მორწმუნეს მხარი დაუჭირონ მას. ვაცხადებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გამოსვლას შემცდარად და არაკანონიერად. საჭიროდ მიგვაჩნია იგი გადაყენებულ იქნას კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობიდან."(3, 116). ეს იყო ხელისუფლებისა და „რეფორმატორ" სასულიერო პირთა ნამდვილი სურვილის გულახდილი აღიარება. უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი იყო დიდი ავტორიტეტი ქართველი ხალხისათვის თუ მას გადააყენებდნენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში მართულ სასულიერო პირს დასვამდნენ კათოლიკოს-პატრიარქად ამაზე უკეთესი ანტირელიგიური ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განეიტრალება ხომ შეუძლებელი იყო. თუ მართული სასულიერო პირები სამშობლოს

და ეკლესიის თავისუფლებას აევანტურად მონათლავდნენ ვის სჭირდებოდა ასეთი ეკლესია? რა თქმა უნდა ხელისუფლებას, რომელიც მოახერხებდა ხალხის საბოლოო დამონებას და ანტირელიგიური ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას.

„განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფმა მიიღო ყოველად უზნეო გადაწყვეტილება, თბილისში, მეტეხის ციხეში უწმიდეს ამროსთან გაეგზავნა დელეგაცია ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) და მღვდელ პლატონ ცქიტიშვილის შემადგენლობით, რომელთაც უწმიდეს ამბროსის ასეთი შინაარსის წერილი მიართვეს: „საქართველოს ეკლესიის დღეგანდელი მდგომარეობა მძიმეა, პატრიარქი, მიტროპოლიტი, არქიმანდრიტი, ზოგიერთი დეკანოზი დაპატიმრებულნი არიან, ეპარქიების მართვა-გამგეობა შეჩერებულია. ტაძრები გამონაკლისის გარდა დაკეტილია, სამღვდელოება დაქსაქსულია, მორწმუნე ერი შეწუხებულია. ყოველივე ეს ეკლესიის და ხელისუფლების შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგიაო და გამოიწვია თქვენ მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა. ამიტომ გთხოვთ უარყოთ მემორანდუმი, რომლის შინაარსიც მთავრობის დღევანდელ სახელმწიფოებრივ მოქმედებას არ შეესაბამება და არ შესწიროთ მას ეკლესიის კეთილდღეობა,“(13, 1523). მათ არაორაზროვნად მიანიშნეს პატრიარქს, რომ აჯობებდა თუ თავისი ნებით გადადგებოდა. ე. ი. ჯერ უნდა მოენანიებინა გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო, ბოდიში მოეხადა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და გადამდგარიყო პატრიარქის თანამდებობიდან. უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ გულისყურით მოუსმინა მათ და მტკიცედ განუცხადა: რომ იგი თავისი ნებით არ გადადგებოდა: თუ საჭიროა ჩვენი ეკლესიისათვის, მე იძულებით უნდა ვიქნე გადაყენებული.“ ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისათვის, სამღვდელოების უმრავლესობისათვის სრულიად მიუღებელი იყო „განახლებისა და რეფორმების“ მიმდევართა სურვილები, მიზნები. ბოლშევიკური ხელისუფლებისა და ეკლესიის რეფორმატორთა ნამდვილი სახე კარგად წარმოჩნდა მათ მიერ შემუშავებულ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სარეფორმო პროექტში.“ პროექტის თანახმად უქმდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა, სამაგიეროდ საქართველოს ეკლესიას განაგებდა თბილისის მთავარეპისკოპოსის ტიტულით თბილისის მღვდელმთავარი, რომელსაც ასევე დაექვემდებარებოდა ქართლ-კახეთის ეპარქიის კათედრა, მისი რეზიდენცია იყო თბილისში. თბილისის მღვდელმთავარს თანაშემწედ ეყოლებოდა ქორეპისკოპოსი. პროექტის მიხედვით იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას მართავდა ქუთაისის მღვდელმთავარი, რომელსაც კათედრა ექნებოდა ქუთაისში, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ეპარქიას მართავდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა ექნებოდა სოხუმში. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს ეხმარებოდნენ მთავარხუცესები, რომელთაც ეპარქიები დაყოფილი აქვთ ოლქებად და ცხოვრობენ, სადაც მოუხდებათ. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებისათვის სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია როგორც ერთიანი, ძლიერი ცენტრალიზებული ორგანიზაციის მატარებელი ორგანო. მათი პროექტით ცვლილებები უნდა შეხებოდა თვით ეკლესიასაც. საკურთხეველს კანკელის ნაცვლად მოაჯირი შეცვლიდა. ეკლესიიდან მაცხოვრის ხატის გარდა სხვა ხატები უნდა გაეტანათ (?!) ტაძარში იკრძალებოდა საცეცხლურისა და საკმეველის გამოყენება (?!) ზარი შეიძლებოდა წირვის დაწყების წინ მხოლოდ ერთხელ დაერეკათ. რეფორმატორები უარყოფდნენ სასწაულმოქმედი ხატის არსებობას (?!) მათი აზრით დროის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გამარტივებულიყო ღვთისმსახურება, წირვის დროს არ იყო სავალდებულო სამოციქულოს წაკითხვა. შვიდი საიდუმლოდან სავალდებულო არ იყო სინანული და ზეთის კურთხევა. „ჰიგიენური მოსაზრების გამო ზიარების დროს სავალდებულო არ იყო ერთი ბარძიმიდან ზიარება. საეკლესიო წიგნები ასომთავრულ-ხუცურისა და ძველი ქართულის ნაცვლად უნდა გათანედროვებულიყო. არასავალდებულოდ ცხადდებოდა სასულიერო პირების მიერ სამღვდელმთავრო და სამღვდელო შესამოსელით სიარული. კატეგორიულად იკრძალებოდა ბერ-მონაზვნობა.

ეისაც უნდოდა შეეძლო განდეგილად ეცხოვრა. ეს მას არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა. საეპისკოპოსო კანდიდატი შეიძლება ყოფილიყო ცოლიანი, ან ქვრივი. შესაძლებლად იყო მიჩნეული დაქვრივებული მღვდლის მეორედ დაქორწინება. „განახლების და რეფორმების“ ჯგუფის პროექტი კრძალავდა მარხვას, ამცირებდა საეკლესიო დღესასწაულებს. მოითხოვდა საეკლესიო დღესასწაულების ახალი სტილით აღნიშვნას, მრავალსაუკუნოვანი ქართული საგალობლების გათანამედროვებას. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი ნათელი იყო: „ეკლესიის საქმიანობის გამოცოცხლება და პროგრესის გზაზე დამყარება, კარჩაკეტილობისა და ცალმხრიობის მოსპობა, მისი გამოცოცხლება და გაერცელება ყველა იმ საქმეებზე, რომელნიც ემსახურებიან, როგორც კერძო პიროვნებას, ისე საზოგადოებრიივი განვითარებისა და პროგრესის საქმეს.“(13, 1523).

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, დევნილობას დაემატა ე.წ. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო მართლმადიდებლური დოგმებისა და მრავალსაუკუნოვანი კანონიკური ტრადიციების განადგურებისაკენ. ქართველი „რეფორმატორები“ რუსეთში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. „ცოცხალი ეკლესიის“ იდეოლოგიას იზიარებდნენ. ბოლშევიკური ხელისუფლება დადებითად აფასებდა ქართველ რეფორმატორთა მიერ შედგენილ ეკლესიის განახლების პროექტს. ბოლშევიკური გაზეთები „კომუნისტი,“ ზარია ვოსტოკა,“ „მუშა და გლეხი“ იწონებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განახლების (სინამდვილეში მოსპობის) პროექტს. გაზ. „მუშა და გლეხში“ 1923 წლის №23 სარედაქციო მინაწერში „პირველი ნაბიჯი“ აღნიშნული იყო: „ჩვენ ვფიქრობთ – პირველი ნაბიჯი ქუთაისის სამღვდელოების წარმომადგენლობისა მოკლე ხანში უფრო და უფრო რადიკალურ გამოძახილს პოვებს სამღვდელოების დაბალ ფენებში, ყოველგვარი ახალი პროგრესული ნაბიჯის გადადგმა როგორც დადებითი მოვლენა კიდევ უფრო დააფიქრებს მათ, ვისაც ეკლესია სწამს, ამ ეკლესიის საფუძვლების შესახებ. დაფიქრება კი ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს იმას, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით ეკლესიის საკითხში, მის სრულ მოსპობას.“ ამაზე გულახდილად რაღა უნდა ეთქვათ ხელისუფლებისა და ეკლესიის წიაღში აღმოცენებულ განახლებისა და რეფორმების ჯგუფის წევრებს. ისტორია მარტო წარსული არ არის იგი აწმყოსა და მომავალშიც დაფიქრებისა და სწორად განსჯის საუკეთესო საშუალებაა. წარსულით მომავლის წინასწარმეტყველებაა, გადახედავ მას და რწმუნდები ზოგჯერ ფაქტები და მოვლენები როგორ ჰგავს ერთმანეთს...

1925 წლის 10 მარტს, როდესაც საპატიმროდან გაათავისუფლეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი,საკათალიკოსო საბჭოს წევრები, ისინი სასწრაფოდ შეიკრიბნენ და სერიოზული მსჯელობა ჰქონდათ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილი ურთულესი ვითარების გამო. უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საგანგებო ბრძანებით გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა და დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქის და საკათალიკოსო საბჭოს ძალაუფლების განმტკიცება. იგი გრძნობდა ჯანმრთელობის გაუარესებას, ამიტომ გეერდით უნდა ჰყოლოდა ერთგული და ჭკვიანი სასულიერო პირები. მან 1925 წლის 30 ოქტომბერს დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ეპისკოპოსად აკურთხა, ამავე დღეს მიტროპოლიტობა მიანიჭა, დააჯილდოვა ბარტყულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით, გამოაცხადა უპირატეს მღვდელმთავრად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ. ამავე დროს უწმიდესი ამბროსის ბრძანებით შეიქმნა საგანგებო კომისია ეპისკოპოსის მელქისედეკ ალავერდელის და დეკანოზ ეპიფანე ჯაოშვილის შემადგენლობით, რომელთაც დაწერილებით უნდა შეესწავლათ „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის საქმიანობა. ქუთაელ ეპისკოპოს დავითს მოწინააღმდეგენი თავის ეპარქიაშიც გამოუჩნდნენ, მაგრამ საკათალიკოსო საბჭოში მას მხარი ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ დაუჭირა,უფრო მეტიც,მოითხოვა მისთვის მიტროპოლიტობა.

საკათალიკოსო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოს დავითის სხვა ეპარქიაში გადაყვანის შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას იგი არ დაემორჩილა. ბოლშევიკური ხელისუფლება კმაყოფილებითა და სიხარულით ადევნებდა თვალყურს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ უმძიმეს ვითარებას, კიდევ უფრო აძლიერებდა ანტირელიგიურ პროპაგანდას და ღიად მხარს უჭერდა „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებს. ამ კრიტიკულ ვითარებაში უწმიდეს და უნეტარეს ამბროსის გეერდით ურყევად იდგნენ: მიტროპოლიტი კალისტრატე, ეპისკოპოსები: მელქისედეკი, პაველ, ალექსი, დეკანოზები: ივანე მირიანაშვილი, გიორგი გამრეკელი, საკათალიკოსო საბჭოს წევრები: ივანე რატიშვილი, გიორგი იმნაიშვილი. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებმა ეპისკოპოს დავითის სახელით საქართველოს საპატრიარქოში ასეთი შინაარსის წერილი გამოაგზავნეს: „ეწყვეტთ ყოველგვარ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, საკათალიკოსო საბჭოსთან.“(13, 1523). მათ თვითნებურად გამოაცხადეს ეპისკოპოს დავითის მიტროპოლიტის ხარისხში აყვანა, ხოლო 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში ასევე თვითნებურად მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის, საკათალიკოსო საბჭოს მოწინააღმდეგე სამღვდელოება – სულ 77 დელეგატი, მათ შორის თვითნებურად გამიტროპოლიტებული ქრისტეფორე და დავითი, ეპისკოპოსები იოანე, სიმეონი, ნესტორი. საეკლესიო კრებაზე მოწვეულ იყვნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, მაგრამ ისინი არ წამოეგენ ამ ავანტურას და უარი განაცხადეს უკანონო კრების მუშაობაში მონაწილეობაზე.

მეამბოხეებმა ქუთაისის საეკლესიო კრების დღის წესრიგი ასე განსაზღვრეს: 1. დროებითი საეკლესიო მმართველობის დაარსება. 2. საქართველოს მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტის მიღება. 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს მოქმედებისა და მისის დღევანდელი შემადგენლობის გადაყენების შესახებ. 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრების მოწვევის დროის განსაზღვრა. 5. მიმდინარე საკითხები.

„რეფორმატორებმა“ ჯერ კიდევ 1926 წლის მარტში ასეთი განჩინება გამოიტანეს, „დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს შეუდგეს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შესრულებას“(15, 102). საეკლესიო ძალაუფლების ხელში ჩაგდების ასეთი დაუოკებელი სურვილის მიუხედავად „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრები გრძნობდნენ მორწმუნე საზოგადოებაში როგორ უარყოფითად შეფასდებოდა ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან ნაწამები კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გადაყენება. ამიტომ მათ ამჯობინეს უფრო შემოქლითი გზებით მოქმედება. 1. გადაყენებულად გამოაცხადეს საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობა, 2. საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად საეკლესიო კრების მოწვევამდე თბილისში დაარსეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს თავმჯდომარეობით. 3. სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას ევალება ჩაიბაროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს ყველა საბუთი, თანხა, ინვენტარი. კანცელარიის ბეჭედი. 4. ყველა ის სასულიერო პირი, ვინც არ დაემორჩილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის გადაწყვეტილებას დათხოვნილად ითვლებიან. კრების მონაწილეებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი გაგზავნილ წერილში ქუთაისის კრების გადაწყვეტილებები საქართველოს ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობით ახსნეს. „ჩვენი მიზანია – წერდნენ ისინი – საქართველოს ეკლესიის ერთიანობის, სიმშვიდის და სიმტკიცის შენარჩუნება. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს უადგილო და უდროო რეფორმები შემოვიღოთ ეკლესიაში, ვარწმუნებთ თქვენ უწმიდესობას, რომ თქვენდამი პატივისცემა უაღრესად გაღვივდება, როგორც ჩვენი, ისე მთელი მორწმუნე ერის გულში, უკეთუ გაიზიარებთ ჩვენს თქვენთან თანამშრომლობას, თანახმად წარმოდგენილი დადგენილებისა, რომელიც არ არის მიმართული თქვენი უწმიდესობის პიროვნების წინააღმდეგ, არამედ გამოწვეულია

მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სიყვარულით.“ (13,1651). ქუთაისის საეკლესიო კრების ინიციატორებმა შესანიშნავად გამოიყენეს ბოლშევიკური მთავრობის გადაწყვეტილება, რელიგიურ ორგანიზაციათა ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ. 1926 წლის 28 დეკემბერს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის გვერდის ავლით რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა, სადაც სათანამშრომლოდ უფლებააყრილი. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსიც მიიწვიეს.

რას აკეთებდა შექმნილ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი? მან სასწრაფოდ მოიწვია საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, სადაც ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა: „მივიღე ინფორმაცია, რომ ქუთაისში ეპისკოპოს დავითის მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე მოწვეულია საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ეპარქიებიდან ზოგიერთი მღვდელმთავარი და სასულიერო პირი. საკათალიკოსო საბჭომ მიიღო მხედველობაში, რომ ამნაირი კრება არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკლესიის დებულებით, განაჩინა: ქუთაისში ჩატარებული კრება გამოცხადდეს უკანონოდ.“(13, 1651). ეგრეთწოდებული „რეფორმატორები“ კიდევ უფრო შორს წავიდნენ 1926 წლის 30 დეკემბერს აიძულეს მიტროპოლიტი კალისტრატე გადამდგარიყო მოსაყდრის თანამდებობიდან, ხოლო შემდეგ შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია, საქმის წარმოება. აღშფოთებული და განრისხებული კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი აცხადებდა: „ვიდრე მე ვარ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია იმყოფება ჩემს განკარგულებაში და ის არავის არ გადაეცემა. არსებულ საეკლესიო კანონთა გარეშე ქუთაისში მომხდარი ყრილობის მიერ არჩეულ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის მიუხედავად მის პირად შემადგენლობას მე ვერ ვცნობ.“ (12, 539). ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ რეფორმატორების ზრახვებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წამოეშველა. 1927 წლის 4 იანვარს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს ამბროსის ჩამოართვეს საკათალიკოსო და საეპარქიო კანცელარია, რომელიც გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველობას. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1927 წლის 12 იანვარს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „ქუთაისის საეკლესიო ყრილობა საეკლესიო კანონების მიხედვით ოდნავადაც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ კრებად, ვინაიდან კანონიერად ითვლება მხოლოდ ის კრება, რომელიც მოწვეულია ეკლესიის პირველ მღვდელმთავრისაგან, კათოლიკოს-პატრიარქისაგან. ხსენებული ყრილობა არამც არ ყოფილა მოწვეული ჩემს მიერ,არამედ პირდაპირ გამოცხადებული იყო ჩემგან და საკათალიკოსო საბჭოსგან უკანონოდ.“ (12, 539). ასეთ ვითარებაში მათთვის საპატრიარქო კანცელარიის ჩაბარება დაუშვებელი იყო. მაგრამ ხელისუფლების წამომადგენლებისათვის საეკლესიო კანონები არ არსებობდა. მათთვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი მიუღებელი იყო. მართალია 1925 წელს იგი საპყრობილედან გაათავისუფლეს, მაგრამ მათი აზრით იგი მაინც არ იშლიდა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას, არ სცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას როგორც კანონიერს,კელაე იხდიდა პანაშვიდებს 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურ საოკუპაციო ჯარებთან დაღუპული ქართველი პატრიოტებისათვის, 1924 წლის აჯანყების მონაწილე დაღუპულთათვის, წინააღმდეგობა გაუწია მათ სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის გამო. ამ დროს „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფი, რომელნიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველობაში იყვნენ არაერთ განცხადებაში აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას,აღიარებდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, როგორც ქართველი ხალხის ერთადერთი კანონიერი ინტერესების

გამომხატველ ხელისუფლებას. ოფიციალური ხელისუფლების წაქეზებით დროებითი მმართველობის წევრებმა 1927 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ფაქტიურად ჩამოაშორეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობას. ამ ნერვიულობამ, შფოთმა და ცილისწამებამ, კიდევ უფრო გააუარესა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ჯანმრთელობა. 1927 წლის 22 მარტს დროებითი მმართველობის წევრები შეიდნენ უწმიდესი ამბროსისთან და გამოუცხადეს, რომ იგი განთავისუფლებული იყო საქმის წარმოებისაგან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელობიდან. „ამის გამოცხადების მეორე დღეს 23 მარტს უწმიდესმა ამბროსიმ დაკარგა მეტყველების უნარი, 27 მარტს გონება, 29 მარტს დილის 3 საათზე იგი გარდაიცვალა...“(15, 102).

ასეთი არაადამიანური, გაუსაძლისი ტერორის ვითარებაში, რომელშიც ამყოფებდნენ მის უწმიდესობას, დაასრულა თავისი სიცოცხლე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდმა მწყემსმთავარმა, რომელიც სიცოცხლეში თავისუფლების სიმბოლოდ, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისაბაძ გმირად იქცა პატრიოტი ქართველობისათვის.

1927 წლის 29 მარტს შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელმაც მოისმინა მიტროპოლიტ კალისტრატეს სიტყვიერი განცხადება. მან გაახმოვანა განსვენებული პატრიარქის სურვილი მისი დაკრძალვის დროს არ იქნას წარმოთქმული სიტყვები. უწმიდესი ამბროსი ყველაფერს ითვალისწინებდა, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად მიცვალებულზე ან კარგი უნდა ეთქვათ, არ არაფერი. ვინ გაბედავდა მასზე კარგი თქმას? თუ გაბედავდა ამით ხომ საფრთხეს შეუქმნიდა თავის თავსაც და ეკლესიასაც. ამ „უხერხულობისაგან“ გაათავისუფლა განსვენებულმა სასულიერო იერარქები. დამკრძალავ კომისიას ხელმძღვანელობდა ალავერდის ეპისკოპოსი მელქისედეკი, შიშიანობის, ტერორის მიუხედავად სიონის საპატრიარქო ტაძარში პანაშვიდებზე მრავალრიცხოვანი საზოგადოება იკრიბებოდა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ხელისუფლებისათვის ზედმეტად მიჩნეული სახელოვანი ქართველი ინტელიგენცია, რეპრესიების გადარჩენილნი ეთხოვებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიამაყეს. 3 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში სახელოვანი პატრიარქების უწმიდესი კირონ II და ლეონიდს გვერდით დაკრძალეს საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის წამებული გმირი სულიერი წინამძღოლი...

წმინდანთა დასში

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში სამეცნიერო პუბლიკაციებში XX საუკუნის 30-80-იან წლებში მოიხსენებოდა როგორც შეურიგებელი ანტისაბჭოელი და „დიდი საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის“ მოწინააღმდეგე. სამწუხაროდ სასულიერო წრეებშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც გაუმართლებლად მიიჩნევდნენ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მის შეურიგებელ დამოკიდებულებას. საბჭოური იდეოლოგიური დოგმებით დამუშავებული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უცნობი იყო უწმიდესი ამბროსის საქმიანობა. დიდი მოთმინება და მუშაობა იყო საჭირო საზოგადოების მოსამზადებლად. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ წარმოჩინდა რუსეთის საოკუპაციო ჯარების, იმ საოკუპაციო ჯარების შთამომავალთა მხეცობანი, რომელთაც თავის დროზე ებრძოდა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საქართველოში შეიცვალა აზროვნების წესი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეამ გააცოცხლა ის მიეიწყებული გმირები, რომელნიც თავის დროზე ამ იდეას შეეწირნენ. უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის სახელი თავისი ჩვეული ბრწყინვალებით დაუბრუნდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ქართულ სინამდვილეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სინოდის სხდომაზე დააყენა საკითხი მოემზადებინათ ყველა საჭირო მასალა უწმიდესი ამბროსის წმინდანად შერაცხვისათვის.

1995 წლის 18-19 სექტემბერს სეეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნას წმინდანთა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი. როცა ამ გადაწყვეტილებას აცხადებდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II ხმა აუთრთოლდა და ცრემლები მოერია, ეს იყო ღირსეული წინამორბედისადმი შთამომავლობის სახელით გამოთქმული უდიდესი სინანულისა და სიყვარულის გამოხატულება.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა კურთხევით შეიქმნა წმ. ამბროსი აღმსარებლის ხატები... აშენდა წმინდანის სახელზე ახალი ტაძრები.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს იმ საოცარი გმირობისა და სულიერი გაუტეხლობის მაგალითს,რომელიც წმიდა ამბროსი აღმსარებელმა გამოიჩინა. მისი ლოცვა და მფარველობა იქნება შემწე ბეწვის ხიდზე მყოფ საქართველოსათვის, იმ საქართველოსათვის, რომლის წინაშე კვლავ მწვავედ დგას ეროვნული თავისთავადობისა და სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების საკითხი.

გვჯერა, ჩვენი გადარჩენის და გამთლიანების, იმისა, რომ ქართველ ერს სხვათა კარნახის გარეშე შეეძლება გადაწყვიტოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებანი, ასევე პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. დაე ბოლო ოცი წლის მანძილზე დაღვრილი სისხლი იყოს ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერების სიმტკიცისათვის უკანასკნელად გაღებული მსხვერპლი. როგორც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: მწუხარებას სიხარული მოსდევს... თუ გადავხედავთ ჩვენს წარსულს,

ჩვენს ისტორიას, დაეინახავთ, რომ ხშირად ყოფილა საქართველო გაძარცვული და შეურაცხყოფილი, ყოფილა პერიოდები, როცა მტერს ეგონა, რომ დააჩოქა და ხერხემალში გატეხა ჩვენი ქვეყანა,ამგრამ საქართველო კვლავაც ფეხზე წამომდგარა, რადგან ღმერთი უგზავნიდა დიდ მოღვაწეებს, სულიერ მამებს, რომელთა ლოცვა და შრომა ეწეოდა ერს.“ (29, 362).

დამოწმებული ლიტერატურა

1. შ. კაკურია „ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში. თბილისი, 1975.
2. კათოლიკოსი ამბროსი, თბილისი. 1994.
3. ს. ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბილისი, 2001.
4. არქიმანდრიტი ამბროსი „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“. თბილისი, 1911.
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე(ცინცაძე) „ჩემი მოგონებებიდან“. თბილისი, 2001.
6. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე პროფ. ე. გურულისრედაქციით, თბილისი, 2003.
7. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებათა ქრონოლოგიური კრებული 1921-1940 წლებში. თბილისი, 1959.
8. გ. ცხოვრებაძე „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დასაქართველოს დამოუკიდებლობის საკითხები 1921-1924 წლებში. თბილისი, 1996.
9. ნ. პაპუაშვილი „ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიოპოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. თბილისი, 2005.
10. ჯ. გამახარია, „წმიდა ამბროსი აღმსარებელი და აფხაზეთი.“ თბილისი, 2006.
11. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის უწყებათა კრებული,ტფილისი. 1927.
12. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ფონდი. №539.
13. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოს დავით კაჭახიძის საქმე №1523.
14. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი. №025995.
15. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი №102.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი №5167
17. გაზეთი „მუშა“ 1924 წ. 15 მარტი.
18. გაზეთი „კომუნისტი“. 1924 წ. 12 მარტი.
19. ჟურნ. „მნათობი“ 1988 წ. №10.
20. „ივერია“ 1890 წ. 30 აპრილი.
21. „ცნობის ფურცელი“ 1897, 30/XI.
22. „მწყემსი“ 1897 წ. 30 დეკემბერი.
23. ამბერი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ჟურნ. „განთიადი“,1916.
24. გ. საითიძე „წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის.“ „ისტორიანი“. თბილისი, 2000.
25. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, საქმე1319.
26. სიტყვები და წერილები ყოელად სამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებული და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან. თბილისი, 1908.
27. კალისტრატე ცინცაძე „ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესია“. თბილისი, 1994.
28. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ამბროსიხელაიას ფონდი №38.
29. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II„ეპისტოლენი,სიტყვანი, ქადაგებანი“ ტ. III. თბილისი, 2008.
30. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის უწყებათა კრებული. ტფილისი. 1927.
31. ჟურნ. „საყდარი“ 1999 №2,3.
32. ე. გურული „მიტროპოლიტ ნაზარის საქმე.“ თბილისი,2009.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III
(1927-1932)



უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III.

ბიოგრაფიული მატიანე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III, ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი დაიბადა 1873 წლის 15 მარტს შორაპნის მაზრის სოფელ ვერტყვიჭალაში, მის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „ჩემი გენიალოგია პაპა ჩემის მამის, მოსე მღვდლის იქით ჩემთვის უცნობია. მოსე მღვდელი იყო ნიქოზელის ნაკურთხი (რადგან ჩვენი სოფელი რუსეთთან შეერთებამდე ეკუთვნოდა ქართლის, ხოლო ეკლესიურად XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ქართლს ეპარქიას) დადიოდა ჩოხა ახალოხით და, თუ ვინმე მისცემდა წესების ასრულებაში სიმინდს, პურს ან ღვინოს, მოიდებდა ზურგზე და გაუყენებდა სახლისაკენ. ჰყავდა ოთხი ვაჟი, რომელთაგანაც მესამე, ხოსია (ქაიხოსრო) იყო პაპაჩემი ერისკაცი, და მეოთხე – დავით მღვდელი, საქართველოს ეგზარქოს ისიდორესაგან ნაკურთხი. მამაჩემი მურმანი იყო წიგნისმკითხველად ხეფინისხევის სოფელ ლირში, საეკლესიო წიგნების კარგი მცოდნე, ექვსი წლის ვიქნებოდი, მამამ რომ ლოცვები დამაწყებინა ზეპირად, მოასწრო ესწავლებინა ჩემთვის ლოცვანი და „მრწამსის“ დასაწყისი. შვიდი წლისას გარდამეცვალა მამა, დავრჩით ოთხი ძმა და ორი და პაპის ამარა სიღარიბეში. მამის გასვენებას დაესწრო ჩემი ბიძა, საყვარელა გაჩეჩილაძე, დედის ძმა, რომელმაც შემისვა ცხენზე წამიყვანა სოფელ წეეაში და მიმბარა იქაურს სამრეველო სკოლაში, რომელიც იყო გახსნილი რომანოზ გორგაძისაგან, იმასთან დავიწყე ანბანი, მაგრამ მალე გადაიყვანეს მღვდლად სხვაგან. მისი ადგილი, წევის სამრეველო სკოლის მასწავლებლად დაიჭირა მაკარ გაჩეჩილაძემ. ეს სამრეველო სკოლა და მისნი მსგავსნი დასავლეთ საქართველოში გახსნილნი იყვნენ ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსის ინიციატივით. მან შემოიღო წესად ვინც ათ წელიწადს იმასწავლებლებდა იმათ აკურთხებდა მღვდლად. მან დიდი ამაგი დასდო ქართული წერა-კითხვის გავრცელების საქმეს იმერეთში, რითაც დაიმსახურა გულისწყრომა იანოვსკის და მადლობა შეგნებული ქართველობისა. 1882 წელს ჩამიყვანა პაპაჩემმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მიმიღეს მესამე განყოფილებაში. ერთ წელიწადს ძლივს შემინახა პაპაჩემმა თავისი ხარჯით მგონია მაშინ ისესხა რეა თუმანი სურამელ სომხისაგან, რაშიაც თორმეტი წლის განმავლობაში ვაძლეედით სარგებელს, ოცდაოთხ ჩაფ ღვინოს ტკბილობაზე. ითხოვა ჩემი სახელმწიფო ხარჯზე მიღება, მოსთხოვეს ობლობისა და სიღარიბის მოწმობა. პაპაჩემმა მიართვა კეთილმოწესეს მიერ გაცემული მოწმობა და მიმიღეს სახელმწიფო ხარჯზე. ასე რომ არ მომხდარიყო, უნდა ამეკრიფა ქუთაისიდან გუდანაბადი და ამეღო ხელი სწავლაზე. ყველა კლასებში პირველ მოწაფედ მივდიოდი და წყალობა შევინარჩუნე.[1]

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში იდევნებოდა ყოველივე ქართული, მაგრამ იყვნენ ისეთი პედაგოგებიც, რომელნიც ახერხებდნენ მოქალაქეობრივ და ეროვნული ღირსების შენარჩუნებას და მოსწავლეებს კარგ მაგალითს აძლევდნენ. უწმიდესი ქრისტეფორე სიყვარულით იხსენებდა: ნიკო მაღრაძეს, პოლიევქტოს კვიცარიძეს, ქართულის მასწავლებელს ანდრო ბენაშვილს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ერთგვარი პოპულარობით სარგებლობდა სალიტერატურო წრეები, რომელნიც შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად გადაკეთდა. ქრისტეფორე ციცქიშვილი ჩაერთო ნოე ჟორდანიას ლიტერატურული წრის საქმიანობაში, მაგრამ როგორც აღნიშნავდა: „მას შემდეგ, რაც ამ წრეში ჩაერთნენ მიხა ცხაკაია, ეგნატე ნინოშვილი წრემ პოლიტიკური ხასიათი მიიღო, ფრთხილად ვიქცეოდი, მაგრამ ერთხელ სპენსერის „აღზრდის“ კითხვაში დამიჭირეს და მეორედ „სეევრნი ვესტნიკის“, ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის ყოფა-ქცევაში დამისვეს „სამი“ და ერთ წელიწადს გამინახევრეს „სახელმწიფო ხარჯი“.[2] სემინარიის დამთავრების შემდეგ ოცი წლის ქრისტეფორე ციცქიშვილი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელთან მივიდა და მღვდლად კურთხევა ითხოვა. მეუფე გაბრიელმა უპასუხა, ჯერ მასწავლებლად იმუშავე და მღვდლად კურთხევაზე შემდეგ იფიქრეო, როგორც ჩანს მას ეს წინადადება

არ მოეწონა და განცხადებით მიმართა საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირს, რომელმაც 1895 წლის 9 აპრილს ქრისტეფორე აურთხა მღვდლად და გაგზავნა კასპიის ოლქში წელიწადნახევრის შემდეგ მან თხოვნით მიმართა ეგზარქოსს გადმოეყვანა საქართველოში. 1897 წელს ჯერ გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში, ხოლო 1898 წლიდან სოფელ იტრიის ეკლესიის წინამძღვრად იქნა გადაყვანილი. ახალგაზრდა განათლებულმა სასულიერო პირმა იტრიაში თავისი საქმიანობა სამრევლო სკოლის გახსნით დაიწყო. პირველ ხანებში სკოლას არ ჰქონდა შენობა, მაგრამ 1900-1901 წლებში მისი ღვაწლით აშენდა კაპიტალური შენობა 5 ოთახით. სკოლაში მრავლად მოვიდნენ ბავშვები მეზობელი სოფლებიდან. მამა ქრისტეფორე საღვთო სჯულთან ერთად ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას. ამავდროულად იგი იყო სკოლის გამგეც. ამავე პერიოდში იგი ბევრს მოგზაურობდა ქართლის სოფლებში, იწერდა ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებს. მამა ქრისტეფორე ფრთხილ.მაგრამ ცხოველ ინტერესს იჩენდა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისადმი. ამ მხრივ საინტერესოა მისი უბნის წიგნაკის პირადი ხასიათის ჩანაწერები, პატარ-პატარა შენიშვნები. 1899 წლის თებერვალში თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ისიდორე გადაყვანილ იქნა რუსეთში, იგი გამორჩეული იყო თავისი ანტიქართული პოლიტიკით, ლანძღავდა ქართველ ხალხს და ეელურებს უწოდებდა მათ. სემინარიის ქართველი სტუდენტები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ მის გამოსაშვიდობებელ სადამოს და სწორადაც მოიქცნენო — შენიშნავს მამა ქრისტეფორე. საინტერესოა მამა ქრისტეფორეს ჩანაწერები „ეკლესიასტე“, „ტბეთობა“, „ლეგენდა თამარ ედ“, „ჩვენი ახლანდელი მოღვაწენი“ — ჩანაწერები დათარიღებულია 1893-1900 წლებით. „პატრიოტიზმი — აღნიშნავდა იგი — ჯანსაღი გრძნობაა, ამშვიდებს ადამიანს და ხელს უწყობს ობიექტური წარმოდგენის შექმნას, იგი განსხვავდება ფსევდოპატრიოტიზმისაგან, პატრიოტიზმი საბავშვო ასაკიდან ყალიბდება და ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მის აღზრდას, გარემოს, რომელიც მასზე გავლენას ახდენს და რომელიც სათანეს იღებს მშობლების, ნათესავების, მეგობრების, კუთხის, სოფლის, ქალაქის სიყვარულიდან და შემდეგ მასში ნივთდება სამშობლოს სიყვარული, მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი ნამდვილად პატრიოტად ჩამოყალიბდეს საჭიროა ბავშობიდანვე მიეჩვიოს კარგისა და ცუდის გარჩევას, რადგან ბავშვს თავდაპირველად ყველაფერი დადებითად ეჩვენება. პატრიოტულ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ერების პატივისცემის ჩანერგვას“[3]. წერილში „ტბეთობა“ საუბარია შორაპნის მაზრის სოფელ — ტბეთის წმიდა გიორგის ეკლესიაზე — ავტორი ცდილობდა იმის გარკვევას, თუ რატომ უნდა დარქმეოდა შაეშეთში მდებარე ტბეთის სახელი ამ ადგილს, იგი იქიდან გადმოსახლებული ხალხის მიერ არის დაარსებული, თუ ეკლესიის ახლოს მდებარე პატარა ტბის გამო დაერქვა ეს სახელი. ხალხური გადმოცემით ეკლესია თამარ მეფეს აუშენებია. მშენებლობის პროცესში ეკლესია თამარის თვალწინ რამდენჯერმე დანგრეულა... სიზმარი უნახავთ, რომ საძირკვლის ქვები ურმებზე უნდა გადაეტანათ და იმდენ ხანს ეტარებინათ სანამ მიწაზე არ დაეცემოდნენ და ბოლოს ასე შეურჩევიათ ეს ადგილი, სადაც აუგიათ კიდეც ეს ეკლესია. მამა ქრისტეფორეს დაკვირვებით წმიდა გიორგის დღესასწაულზე მრავალრიცხოვანი მრევლის მოსვლა და წმიდა თამარ მეფის თქმულების ასეთი სახით გადმოცემა ხალხში ეროვნულ სულისკვეთებას ამტკიცებსო. საინტერესოა მამა ქრისტეფორეს მიერ იმერეთში ჩაწერილი „ლეგენდა თამარზედ“, გადმოცემის თანახმად თამარი იყო ულამაზესი და უწმიდესი, რომელიც სარკმელში მზის სხივებზე კიდებდა ტანსაცმელს, თუ სხივი ტანსაცმელს არ დაეცემოდა ქვეყანაში რთული ვითარება იქნებოდა ეს იყო ღვთიური ნიშანი“.[4]

საყურადღებოა მამა ქრისტეფორე ციცქიშვილის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „დღეობები და ხატობები ხეფნისხევში“. ავტორი დაწვრილებით აღწერს სურამის ახლოს მდებარე ხეფნისხევის გეოგრაფიულ მდებარეობას ამ ხეობაში გაშენებულ სოფლებს: წაქვა, ხევისჯვარი, გრიგალათი, ხუნევი. ყურადღებას აქცევს აქაურთა ჩაცმულობას — შარვალი, ჩოხა, პაიჭები, მოკლე ახალუხი, რომელიც ქართლის

სხვა კუთხეთა ჩაცმულობიდან თითქმის არ განსხვავდება. მეტყველებაში დიდია ზემო იმერული კილოს გავლენა, რაც განპირობებულია იმერეთიდან მოსახლეობის ამ ადგილებში გადმოსელის გამო. ქრისტეფორე ციცქიშვილის დაკვირვებით აქ გავრცელებულ დღესასწაულები „კვირაცხოველობა“, „ოქონობა“, „ხალარჯობა“, „ტბეთობა“, „ვარდობა“ იმავე დროს აღინიშნება იმერეთში. მისი აზრით ზოგიერთი დღეობა წინაქრისტიანულ პერიოდში იღებს სათავეს. ის ფაქტი, რომ უქმედ ცხადდება არა კვირადღე, არამედ ორშაბათი, ამაში წარმართობის დროინდელი კვალი უნდა იკითხებოდეს. გარდა ამისა თვით რიტუალური მხარეც შეიცავს წინაქრისტიანული პერიოდის ქცევის ფორმებს, მაგალითად „ვარდობა“, სადღაც ბუნების ზეიმისა და ღვთისმშობლობის ნარევს მოგვაგონებს. „ალბათ ვარდობა, ვარდის დღე წარმართობის დროინდელი დღეობაა და შემდგომში მისცემია მას ცოტაოდენი ქრისტიანული ელფერი.“[5] ნარკვევში აღწერილია ამ დღესასწაულების ჩატარების წესები, სუფრა, ლხინი, რომელნიც თითოეულს თან სდევდა.

ამ ჩანაწერებიდან კარგად ჩანდა ქრისტეფორე ციცქიშვილის ინტერესთა სფერო, ქართული ზნე-ჩვეულებათა, ტრადიციათა შესწავლის და ღრმად გააზრების სურვილი.

ქრისტეფორე ციცქიშვილის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. იმ დროს საქართველო იყო რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ. ერთის მხრივ საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობდა ქართული ეროვნული ცნობიერების მოსპობას და ამისათვის არ იშურებდა არც ფულს, არც ძალას და რუსულ საგანმანათლებლო სასწავლო სისტემას, რომელიც განათლების მინისტრ გრაფ ტოლსტოის მიერ იყო შემუშავებული და ქართველი ხალხის დაჩქარებულ ასიმილაციას გულისხმობდა, მეორეს მხრივ ესაა პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ყველაფერს აკეთებდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების გრძნობის ასამაღლებლად, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დასაცავად. XIX საუკუნის 90-იან წლებში ნოე ჟორდანიას ლიტერატურულ წრეში მონაწილეობა თავის გავლენას მოახდენდა ახალგაზრდა ქრისტეფორე ციცქიშვილზე. იგი არ აჰყვა ახალგაზრდა მარქსისტების კოსმოპოლიტიზმს. წერილში „ცივილიზაცია“, საუბრობდა რა ახალგაზრდა მარქსისტების მიერ მოწონებულ ო. რეკტის მოსაზრებაზე ძველის უარყოფა ცივილიზაციის ნიშანიაო, აღნიშნავდა – ცივილიზაცია და ის მასშტაბები, რომელსაც მან სადღეისოდ მიაღწია საფუძველს იღებს წინა კულტურებიდან და არ გულისხმობს მის უარყოფას, განადგურებას. კაცობრიობის განვითარება ხდება მიღებული მემკვიდრეობის ათვისების გზით და თავის თავში მოიცავს ახალი სოციალური, ეკონომიკური კულტურული ფორმების შექმნას“.[6]

მამა ქრისტეფორე ციცქიშვილისათვის მიუღებელი იყო თეორიული პატრიოტიზმი, თუ იგი საქმით არ არის განმტკიცებული. იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმ ქართველებს, რომელნიც რუსეთში ყოფნის დროს სამშობლოზე წუწუნებდნენ სიტყვით, ხანდახან პოეზიითაც, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულებს დიდი არაფერი გაუკეთებიათ. მას საინტერესო ჩანაწერები აქვს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შესახებ. იგი ვრცლად ეხებოდა „სოციალ-დემოკრატების“ საქმიანობას და ამ მოძრაობაში მწერალ გიორგი წერეთლის როლს. თერგდალეული გიორგი წერეთელი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მკაცრად დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძეს და თავმომწონედ განაცხადა „ოთარაანთ ქვრივისა“ და „ლუარსაბ თათქარიძის“ აზროვნება წარსულს უნდა ჩაბარდეს და მარქსიზმის მიხედვით უნდა ავაწყოთ ჩვენი ცხოვრებაო. მან ჟურნალი „კვალი“ დაუთმო ახალგაზრდა მარქსისტებს. ილია ჭავჭავაძემ გიორგი წერეთელი საახალწლო, სალაღობო ლექსში ასე დაახასიათა: „ბებერსა სარძლოთ მორთულსა, უფრთხილდით განერიდეთო“. გიორგი წერეთელს დაუპირისპირდნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა. ქრისტეფორე ციცქიშვილი მათ პოზიციას იზიარებდა და კრიტიკულად აფასებდა გიორგი წერეთლის შემოქმედებას. მისი აზრით – გიორგი წერეთლის ნაწერებში არ იგრძნობოდა

დიდი შემოქმედებითი ნიჭი, ასევე გაზვიადებულად ეჩვენებოდა მის ისტორიკოსობაზე საუბარი. ქრისტეფორე ციცქიშვილის აზრით გიორგი წერეთლს პიროვნული ამბიცია ამოძრავებდა, როდესაც გაუცნობიერებლად ახალი მოძრაობის (სოციალისტურის) სათაეში მოქცევას და მისი საჭიროების მიუხედავად პოპულარიზაციას უწევდა სოციალისტურ იდეებს. ქრისტეფორე ციცქიშვილი თვლიდა, რომ სოციალიზმი შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს დიდს, მნიშვნელოვანს მოძღვრებას, მან შეიძლება მართლაც არამცირედი როლი შეიტანოს ევროპის სახელმწიფოთა განვითარებაში, მაგრამ მისი გავრცელებისათვის საქართველოში არ არსებობდა აუცილებელი პირობები. მისთვის მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატთა მომხრეების მიერ ეროვნული იდეების უარყოფა. მისი მტკიცებით სოციალიზმის იდეა იმ ქვეყნებისათვისაა განკუთვნილი, სადაც მრეწველობა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი საზოგადოებრივ-სოციალური ინფრასტრუქტურაა შექმნილი, აქედან გამომდინარე მისი გავრცელება ევროპის ქვეყნებში შესაძლებელია, მაგრამ საქართველოში, სადაც არც მრეწველობაა ფეხზე დაყენებული და თვით საზოგადოებაშიც ეკონომიკურ დიფერენცირებას მძაფრი ხასიათი არ მიუღია, სოციალიზმის იდეები ხელოვნურია და არა ბუნებრივი. გამოუქვეყნებულ წერილში „ქართველი ხალხის ნაციონალიზმი“ კიდევ ერთხელ უბრუნდება XIX საუკუნის 90-იანი წლების კოსმოპოლიტთა კრიტიკას და აღნიშნავს – ბოლო დროს ღირსების მტკიცებად იქცა, იმის აღნიშვნა, რომ ქართველი ერი ნაციონალური გრძნობებისაგან თავისუფალიაო, სინამდვილეში ნაციონალური გრძნობების დეფიციტი სამწუხარო ფაქტია, ვინაიდან შეგნებული ნაციონალიზმი კულტურას ნიშნავს, მართალია ეს გრძნობა ქართველობაში მოკოჭლობს, მაგრამ არც მთლად განდეგილ-უარყოფილია. ქრისტეფორე ციცქიშვილი მკაცრად აკრიტიკებდა „მესამე დასის“ პროგრამის იმ დებულებებს, რომელნიც ეროვნულ საკითხს ეხებოდა, მესამე დასელთა მტკიცებით მშრომელი ხალხი მტრულად ეკიდება ეროვნულ საკითხს და მისი მოწუსრიგება არ წარმოადგენს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. სოციალ-დემოკრატთა აზრის საწინააღმდეგოდ მას მოჰყავდა ერთი მაგალითი, რომლის შემსწრეც თვითონ ყოფილა. 1905 წელს თბილისში გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე ორატორს ეროვნული პრობლემების წინ წამოწევისათვის მკაცრად გაუკრიტიკებია სოციალფედერალისტების პარტია, მაგრამ შეკრებილ ხალხს არ მიუღია სოციალდემოკრატის სიტყვები და „გაუმარჯოს საქართველოს“ სკანდირება დაუწყიათ, ორატორი ძირს ჩამოუგდიათ. „ტყუილად ასავსავებდა უმწეოდ ხელებს ბატონი ორატორი ხალხის გასაჩუმებლად, ხალხს იმის აღარ ესმოდა და რამდენიმე ათასი კაცი თითქოს ერთი კაციაო გაიძახოდა: „გაუმარჯოს საქართველოსო“.[7] ქრისტეფორე ციცქიშვილი არ იზიარებდა სოციალ-დემოკრატების იდეებს, იგი უფრო ხალხისნური სოციალიზმის გავლენის ქვეშ იყო. ამის დასტურია მისი წერილები: „გლეხკაცის ხვედრი ტურგენევისა და ნეკრასოვის ნაწარმოებების მიხედვით“, „ნეკროლოგი ანთიმოზ ჯულელის გარდაცვალების გამო“, „ექიმის სიზმარი“. მისი აზრით ტურგენევისა და ნეკრასოვის ნაწარმოებების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულია ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში. მათ ნაწარმოებებში დიდი მხატვრული ძალით აისახა ბატონყმობის მთელი სისასტიკე, რომელიც რუსეთის სინამდვილეში ელინდება და უმძაფრესი ხასიათით უკიდურესად ზღუდავდა, ავიწროებდა გლეხობას. ქრისტეფორე ციცქიშვილის აზრით ტურგენევი და ნეკრასოვი საკუთარი მსოფლმედველობრივი პოზიციიდან გამომდინარე მძაფრად უპირისპირდებოდნენ ბატონყმობას და მიიჩნევდნენ მას როგორც ბოროტებას. ბატონყმობის კრიტიკა მათ შემოქმედებაში უკავშირდება რუსეთის იმპერიის მმართველობით სისტემას, საერთოდ გამეფებული რეჟიმის გმობას. ბატონყმობა და თვითმპყრობელობა ერთმანეთისაგანვე გამომდინარეობენ. ქრისტეფორე ციცქიშვილის აზრით, საგლეხო რეფორმას, ბატონყმობის გაუქმებას არ მოუტანია რუსეთის სინამდვილეში სოციალური პრობლემატიკის სიმძაფრის შესუსტება. საიმპერატორო ხელისუფლებამ და გაბატონებულმა ფენებმა ხელიდან არ გაუშვეს გლეხობის უკიდურესი ექსპლოატაციის ბერკეტები. მისი წერილი „ექიმის სიზმარი“ ეძღვნებოდა

ივანე გომართელის პიესას და აღნიშნულია პიესა თავისი შინაარსით სოციალური ხასიათისაა. მასში მოქმედი გმირები არიან ღარიბი ხალხის წარმომადგენლები, რომელთაც არ შესწევთ მკურნალობის საფასურის დაფარვა. ახალგაზრდა ექიმს დამრიგებლად დედა გამოუჩნდა, რომელიც შვილს ურჩევს ანგარიში არ გაუწიოს ხალხის მძიმე მდგომარეობას. ექიმის პოზიცია უფრო კეთილშობილურია, უმტკიცებს დედას, რომ ექიმის მოვალეობა მას უფლებას არ მისცემს არ უმკურნალოს ღარიბს, ამავე დროს იაფი ფასის გამო ხალხიც უფრო მიაკითხავს. ქრისტეფორე ციცქიშვილი მიიჩნევდა, რომ წარმოდგენელი პიესა ხელოვნური იყო და აეტორის უნიჭობაზე მეტყველებდა.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილება

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროებისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ერთმორწმუნე კეთილი მოკავშირე – მფარველის იმიჯი დაიმსხვრა. ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის გაუქმებას. ამის დასტური იყო 1802,1804,1812,1819-20,1832,1841 წლის აჯანყებები. მართალია ისინი მარცხით დამთავრდა, მაგრამ ქართველი ხალხი არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას და დამარცხებასთან შეგუებას. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება თავიანთი გამომწვევი ქმედებებით კიდევ უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას. XIX საუკუნის 20-იან წლებში მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია. „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!

ქართველი ხალხი არ არის თქვენი ქვეშემდგომის ღირსი, თუ კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებს ადამიანობაზე პრეტენზია არ აქვთ და ბედნიერებად მიიჩნევენ რუსეთის იმპერატორის ქვეშემდგომობას, ქართველები, როგორც თანასწორებს ისე გვიყურებენ და არ მიაჩნიათ ბედნიერებად რუსეთის იმპერატორის ქვეშემდგომობა. არ იქნება ქართველი, არ იქნება კავკასიის პრობლემა“ – ამიტომ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებაში შეიმუშაეს ქართველთა გარუსების უფრო დახვეწილი პროექტები და მისი განხორციელება დაავალეს ცბიერ, მოქნილ და დაუნდობელ კოლონიზატორს მიხეილ ეორონცოვს...

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გაერთიანდა „მამული, ენა, სარწმუნოების“ დროშის გარშემო. ეს მოძრაობა მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიეი და ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენას. ქართველი სამღვდელოების ინტელექტუალური ნაწილი აქტიურად ჩაერთო ამ მოძრაობაში და მძაფრად დაუპირისპირდა რუსეთის ხელისუფლების საეკლესიო და საგანმანათლებლო პოლიტიკას. მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი, როგორც ქართველი პატრიოტი აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში. მის ფონდში დაცულია საინტერესო წერილები,რომელიც ეძღვნება საეკლესიო სკოლაში ქართული ენის დევნა-შევიწროების პრობლემებს. იგი სინანულით შენიშნავდა: „საქართველოს ეგზარქოსების მთავარი და ერთადერთი მიზანი იყო შეექმნათ ისეთი სასულიერო სასწავლებელი, სადაც ქართველი მოსწავლეები არა ღვთისმეტყველებასა და სასულიერო განათლებას დაეუფლებოდნენ, არამედ მოხდებოდა მათი გარუსება. XX საუკუნის ათიან წლებში ხელისუფლებამ მოახერხა საეკლესიო სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. თვით ქართულ სასულიერო ნაშრომებიც, რომელთა გაცნობა სემინარიაში ფრაგმენტულად ხდებოდა რუსულად უნდა ესწავლათ. სწავლების ასეთმა მანკიერმა პრაქტიკამ ქართველ ახალგაზრდებს გული აუცრუა სასულიერო სასწავლებლებისადმი, ამან საზოგადოებაში ვერ დაბადა შესაბამისი, ეკლესიასთან, სასულიერო პირებთან უფრო დაახლოების სურვილი, პირიქით მოხდა მათი გაუცხოება.“[8] ქრისტეფორე ციცქიშვილმა მხარი დაუჭირა ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის პოზიციას და დაუპირისპირდა კავკასიის განათლების ოლქის მზრუნველს კირილე იანოვსკის პედაგოგიური თეორიებს. კირილე იანოვსკი უტიფრად აცხადებდა, რომ ქართველი ერი როგორც ერთიანი არ არსებობს და ქართული ენაც არ წარმოადგენს საერთო ენასო, ამიტომ აუცილებელი აღარ არის ქართულ ენაზე სწავლებაო. ქრისტეფორე ციცქიშვილი შენიშნავდა – იანოვსკის ასეთი „არგუმენტები“ გარდა იმისა, რომ აბსურდულია, სახიფათოა იმ მხრივაც, რომ ქართველი ერის დაშლის, ეროვნული შეგნების დანაწევრებას, კუთხურობის ზრდას ემსახურებაო. სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის მცდელობას დაუპირისპირდა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებით 1903

წელს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და მისი ადგილი დაიკავა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (აბაშიძე), როგორც ქრისტეფორე ციცქიშვილი შენიშნავდა ოფიციალური ხელისუფლება ეპისკოპოსებს მხოლოდ იმ ნიშნით არჩევდა, თუ რამდენად სანდონი იყვნენ ისინი ხელისუფლებისათვის და რუსული ეკლესიისათვის. ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას და გამოირჩეოდა თავისი ანტიქართული საქმიანობით. იგი საიდუმლო წერილებში, რომელსაც პეტერბურგში იმპერატორის სახელზე აგზავნიდა, ხელისუფლებას ურჩევდა უფრო მკაცრად მოქცეოდნენ ეროვნული იდეების დამცველებს და დაეჩქარებინათ მხარის რუსიფიკაცია.

მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი შენიშნავდა, ქართველ მოსახლეობასა და ეგზარქოსებს შორის დაპირისპირების მიზეზი იყო მათი ანტიქართული პოლიტიკა,ისინი არ ერიდებოდნენ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა თუ თანამედროვეობის ფალსიფიკაციას და საქმის ვითარებას ცენტრალურ ხელისუფლებას ისე უხატავდნენ, თითქოს მათი სამსახური ურთულესი იყო ველურ, მოურჯულებელ ქართველებში. ქრისტეფორე ციცქიშვილი წერილში „მგზებარე რუსი პატრიოტი“ ეხებოდა დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის საქმიანობას. მისი დასკვნით ვოსტორგოვი იყო ვ. ველიჩკოს მოსწავლე, რომელიც ქართველი ხალხის მეგობრად ითვლებოდა, სინამდვილეში ეს იყო ყალბი მეგობრობა.ველიჩკომ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მოწინავე ქართველი საზოგადოების წადილს თბილისში დაარსებულიყო უნივერსიტეტი, ასევე წინააღმდეგი იყო თავის საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების რეფორმებით გათვალისწინებული საერობო და სასამართლო სისტემის განახლებისა. ველიჩკო ქადაგებდა ქართველი ხალხის უპერსპექტივობას, სულიერებისაგან მის დაცლას, მისი მეგობრობა კი იმაში იხატებოდა, რომ ძველ ქართველებს მოიხსენიებდა გმირებად. დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი თავის მასწავლებლების საქმეთა ღირსეულ გამაგრძელებლად იქცა. მას სძულდა ქართველები და სურდა საეკლესიო სკოლებიდან ქართული ენის სრული განდევნა. ქრისტეფორე ციცქიშვილის დაკვირვებით ვოსტორგოვი საკმაოდ ფრთხილი კაცი იყო. 1901 წელს იგი თვლიდა, რომ სკოლებში მშობლიური ლიტერატურის სწავლებას 6 კვირეული საათი უნდა დათმობოდა, მაგრამ როდესაც პოზიციები გაიმყარა 1904 წელს იმ მოტივით, რომ ქართული ენა არ იძლეოდა საშუალებას ღეთისმეტყველების შესწავლისათვის საერთოდ აკრძალა ქართულ ენაზე სწავლება. ვოსტორგოვის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმების ვერაგობა იმაშიც ჩანდა, რომ ის ქართველები, რომლებსაც დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა ვალდებულნი იყვნენ ესწავლათ რუსულად და მათთვის გასაგებ ენაზე. ქრისტეფორე ციცქიშვილი საფუძვლიანად ეჭვობდა, რომ ეს გეგმა მიმართული იყო ქართული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ,განსაკუთრებით ახლადშემოერთებულ აჭარის პროვინციაში, სადაც სასწავლო გეგმის თანახმად უნდა ესწავლათ თურქულ და რუსულ ენებზე. იქმნებოდა იმის საშიშროებაც, ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ქართულ ენაზე მოლაპარაკეებად არ ჩაეთვალათ მეგრელები, სვანები. ეს ყველაფერი რუსეთის შოვინისტური წრეებიდან მოდიოდა და მას თეორიულად ამაგრებდნენ იმპერიული პრესის ფურცლებზე – დასძენდა ქრისტეფორე ციცქიშვილი. მისი აზრით იოანე ვოსტორგოვის საქმიანობა იყო უკიდურესად რეაქციული და მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გადაგვარებას. მამა ქრისტეფორე ციცქიშვილი ქართველი სასულიერო წრის ერთერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო და მკაცრად უპირისპირდებოდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ანტიქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკას. იგი მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული და რელიგიური ინტერესების დაცვა შესაძლებელი იქნებოდა თუ აღსდგებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით გაუქმებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტო-კეფალიის გაუქმება. მათი არგუმენტით დაუშვებელი იყო ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში რამდენიმე ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა. სინამდვილეში რუსეთის ხელისუფლებისათვის ახლადდაპყრობილი ქვეყნის რუსულ სახელმწიფო სივრცეში ინტეგრაციისათვის ხელისშემშლელი იქნებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია,რომელიც ისტორიულად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიეი და ეროვნული ცნობიერების საყრდენი იყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II 1811 წელს რუსეთში გადაასახლეს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა და საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის წმიდა სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი, 1811-1817 წლებში პირველი ეგზარქოსი იყო ქსნის ერისთავი შთამომავალი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, 1817 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს ეკლესიას მართავდნენ რუსი ეგზარქოსები, რომელნიც გამოხატავდნენ რა ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას, იბრძოდნენ ქართული ტრადიციების, ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. 1819-1820 წლებში დასაელეთ საქართველოში ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის პოლიტიკის გამო დაიწყო აჯანყება. ხელისუფლებამ აჯანყების მოთავეებად გამოაცხადა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი (წერეთელი) და გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარავაშიძე), რომელნიც დააპატიმრა. ხელფეხშეკრული მოხუცი მღვდელმთავრები რუსეთში უნდა გადაესახლებინათ, დოსითეოზი სურამთან გარდაიცვალა, ექვთიმე პეტერბურგის მახლობლად სვირის მონასტერში გამოკეტეს. დაიწყო ქართველი სამღვდელოების, ქართული წირვა-ლოცვის, ქართული გალობის დევნა. ქართველი ხალხისათვის მოუთმენელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. მოწინავე ქართველობა მტკიცედ დაუპირისპირდა რუსი ეგზარქოსების რეაქციულ პოლიტიკას. XIX საუკუნის 60-90-იან წლებში თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას. ქართულ და რუსულ პრესაში გამოჩნდა მეცნიერულად არგუმენტირებული წერილები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე. წერილების ავტორები იყვნენ: ნიკოლოზ დურნოვი, ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, დეკანოზები: კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი. მამა ქრისტეფორეს ჩანაწერებში დიდი ადგილი ეთმობა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვისა და გალობის აღდგენის აუცილებლობას. იგი უპირისპირდებოდა მათ, ვინც თელიდა რომ ქართული გალობა მოსაწყენი და დამღლელია, რომ იგი უფრო წარმართულია, ვიდრე ქრისტიანული, მას მიაჩნდა ასეთი დამოკიდებულება მიმართული იყო არა მარტო ქართული წირვა-ლოცვის,არამედ საერთოდ ქართველობის წინააღმდეგ. ქრისტეფორე ციცქიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის წარმოებულ ბრძოლაში. საინტერესოა მისი შენიშვნები „ქართული საეკლესიო საქმეების გამო“. ამ შენიშვნებში ჩამოყალიბებულია შემდეგი მოთხოვნები: 1. დამოუკიდებლობა ეკლესიისა კათოლიკოსის მეთაურობით. 2. ძირითადი რეფორმა სკოლისა, რომელიც იქნება ქართულენოვანი და სადაც აღარ იქნება წოდებრივი პრინციპი. 3. სასულიერო პირთა მომზადებისათვის აუცილებელია ორწლიანი კურსები. 4. სიტყვის, კრების, ბეჭდვის თავისუფლება. 5. სასულიერო პირთათვის სრული სამოქალაქო უფლებების მინიჭება.“[3]

1905 წელს გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მანიფესტი, რომელშიც მრავალ დაპირებასთან ერთად საუბარი იყო იმაზე, რომ იმპერიის მცხოვრებთ

თავისუფლად შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და წარმოედგინათ ამ პრობლემათა გადაჭრის გზები. ქართველმა სამღვდელოებამ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და გადაწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე თბილისში სამღვდელოების ყრილობის მოწვევა. გადაუჭარბებლად შეიძლება აღინიშნოს, ამ ყრილობის მოწვევის მთავარი ორგანიზატორი დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი იყო, რომელმაც ეპარქიებში დაგზავნა შეტყობინებები გამოეგზავნათ დელეგაციები თბილისში, სადაც 28 მაისს ჩატარდებოდა ყრილობა. როდესაც ეს ამბავი საქართველოს ეგზარქოს ალექსის (ოპოცკი) შეატყობინეს,თავზარდაცემულმა სასწრაფოდ რკინიგზის სადგურის უფროსებს მიწერილობები დაუგზავნა 26-დან 30-მაისამდე არცერთი ქართველი მღვდლისათვის თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთი არ მიეცათ, მაგრამ თუ ისინი უბილეთოდ მატარებელში ჩასხდომას მოინდომებდნენ პოლიციას ძალით ჩამოესვათ. თბილისის პოლიციას ებრძანა 27-30 მაისს თბილისში ჩამოსული მღვდლების დაპატიმრება... ასეთი უკიდურესი ღონისძიებანი კიდევ უფრო დაძაბავდა ვითარებას და ახლადდანიშნულმა მთავარმართებელმა გრაფმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა ეგზარქოსს აგრძნობინა არ სურდა სერიოზულ სკანდალში გახვეულიყო. ეგზარქოსი ალექსი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი სამღვდელოება შეიკრიბა ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი მდივნებად მღვდლები: ი. ჯაში და ა. მიქელაძე. თავმჯდომარემ გამოიტანა ავტოკეფალიის საკითხი, წერილობით ტექსტი რომელიც უნდა გაეგზავნათ რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, სინოდის ობერპროკურორისათვის, კავკასიის მეფის ნაცვლისა და უწმიდესი სინოდის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ანტონისათვის. მიღებული ტექსტის შინაარსი ასეთი იყო: „IV საუკუნეში დაფუძნებულ ივერიის ეკლესიას სათავეში ედგა მთავარეპისკოპოსი, რომელიც დამოკიდებული იყო ანტიოქიის პატრიარქზე. ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა შესუსტდა და V საუკუნეში ივერიის ეკლესიის მღვდელმთავრებმა, რომელთაც სრულიად ივერიის კათოლიკოსთა წოდება მიიღეს,თანდათან დაიმკვიდრეს უფლება თავიანთი ეკლესიის დამოუკიდებლად მართვისა. მცხეთა-ივერიის სამთავარეპისკოპოსომ,რომელისაც კათოლიკოს-პატრიარქის ხარისხი მიენიჭა, სრულიად დამოუკიდებლად დაიწყო მართვა, სათავეში კი ედგნენ კათოლიკოს-პატრიარქები, წოდებულნი უწმიდესად და უნეტარესად.

უძველესი დროიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე ივერიის ავტოკეფალური ეკლესია არასდროს ყოფილა ქვრივ-ობერი, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც კი ათი წლის განმავლობაში იგი დამოუკიდებლად განაგრძობდა მართვას კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მოთაეობით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. როდესაც ერეკლე მეორემ, ქართლ-კახეთის მეფემ რუსთა იმპერატორის უსენაესი ხელისუფლება და მფარველობა სცნო (1783 წლის 24 ივნისს) ხელშეკრულების VIII-ე მუხლში დათქმული იყო, რომ „საქართველოს ეკლესიის მართვისა და რუსეთის სინოდისადმი მის დამოკიდებულებაზე უნდა შედგეს განსაკუთრებული მუხლი“,მაგრამ არ შედგენილა. შედგენას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ,რომ ძველთაგან დადგენილი წეს-ჩვეულებით ქართველი მეფეები ეკლესიის საქმეებში არ ერეოდნენ, თუ ეკლესია თვითონ არ სთხოვდა მათ შემწეობას.

იმპერატორი პავლე I,რომელმაც იცოდა ეს და ვერ პოულობდა გზას,საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია რუსეთის სინოდს როგორ დამორჩილებოდა, გენერალ-ლეიტენატ კნორინგის სახელზე დაწერილ 1801 წლის 20 იანვრის რესკრიპტში სხვათა შორის ამბობდა, ხელს არ ვახლებ საქართველოს ეკლესიის პრივილეგიებსო, მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი,მიუხედავად ქართველი ხალხის სურვილისა შენარჩუნებულიყო კათოლიკოსის თანამდებობა და წოდება,რაც 1801 წლის აპრილში ქართველი ელჩების მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილ ნოტაში გამოითქვა, აგრეთვე მიუხედავად კათოლიკოს ანტონ II-ის ხელშეკრულებისა,რომელმაც დაამტკიცა,რომ ივერიის ეკლესია ავტოკეფალურია და არ შეიძლება რუსეთის სინოდს დაემორჩილოს,

რუსეთის მთავრობამ კათოლიკოსი ანტონ II აიძულა 1810 წლის 3 ნოემბერს რუსეთში წასულიყო, ხოლო იერიის ეკლესია რუსეთის ეკლესიას შეუერთა. რუსეთის მთავრობამ სინოდთან ერთად მიუხედავად III მსოფლიო კრებისა 8-ე წესისა და IV მსოფლიო კრების 39-ე წესისა, იერიის ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და საქართველოში ისე დაიწყო ეგზარქოსების დანიშვნა, თანხმობა არ ჰქონდა აღმოსავლეთის პატრიარქებისა და ადგილობრივი მღვდელმთავრებისაც კი. რუსეთის მთავრობამ, როცა იერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა გააუქმა და იგი სინოდს დაუმორჩილა, სამღვდელოებას საეკლესიო მამულების უშუალო გამგებლობა ჩამოართვა და მის მიერ დანიშნულ სამმართველოს გადასცა. ამ განკარგულებით დაირღვა საქართველოს ეკლესიის ძველისძველი უფლებები, რომელთა მიხედვით საქართველოს ყველა მეფე საერთოდ და კერძოდ უკანასკნელნი მეფენი – ერეკლე II და გიორგი XII იცავდნენ იმ წესს, რომ მეფე საეკლესიო მიწებს არათუ წაართმევდა, ხელსაც ვერ დააკარებდა მათ. მოსალოდნელი იყო, საეკლესიო მამულების სახელმწიფოს ხელში გადასვლის შემდეგ მთავრობას თვითონ ეკისრა სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა და მღვდელმსახურები ამ მხრივ პირდაპირ არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი მრევლზე. მაგრამ ასე არ მოხდა. საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალური და ქონებრივი უფლებების ჩამორთმევას, ქვეყანაში, მხარეში ხალხის სულიერებისათვის უცხო საეკლესიო მმართველობის შემოღების ქართველი ხალხის საეკლესიო რელიგიური ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია მოჰყვა. ქართველმა ხალხმა, რომელსაც აღარ ჰყავდა კათოლიკოსი – ქვეყნის „სულიერი მეფე“ და მოზიარე მეფის წინაშე, მისი სახით მეოხი და მფარველი დაჰკარგა. გაუქმდა მრავალსაუკუნოვანი კათედრები, დაინგრა არქიტექტურული თვალსაზრისით შესანიშნავი ტაძრები, დაცარიელდა მონასტრები, დაიხურა მათთან არსებული სკოლები, ხოლო სანაცვლოდ გახსნილი წმინდა რუსული სასულიეროსასწავლო დაწესებულებანი მღვდლობის ისეთ კანდიდატებს გეთავაზობენ, რომლებიც ქართული მრევლისათვის სრულიად მოუმზადებელნი არიან, მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილ და ბიუროკრატიული სულისკვეთებით აღზრდილ მღვდლებს, ხალხში პოლიტიკური ტენდენციების გამავრცელებლებს საქართველოს ადრინდელ მწყემსთა ხიბლი არ აქვთ. ყოველივე ამის შემდეგ ოდითგან მართლმადიდებელ და ჯვარმოსილ ქართველ ხალხში, რომელიც ცხოვრებას ლოცვასა და ისლამთან ბრძოლაში ატარებდა, არის შემთხვევები ღვთისმსახურთა შეურაცყოფისა, მათი მკვლელობისა, თავისი წრიდან არა მარტო მწყემსთა, არამედ მწყემსმთავრის გაძევებისა, ძველისძველი სალოცავების წაბილწვისა, გაძარცვისა, გადაწვისა და ა.შ.

ქართველმა სამღვდელოებამ მხედველობაში მიიღო ზემოთქმული, აგრეთვე ის, რომ ჯერ ერთი, იერიის ეკლესია კანონიკურად გახლავთ ავტოკეფალური, ვინაიდან არ ყოფილა კრების დადგენილება მისი ავტოკეფალიის გაუქმებისა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო: მეორედ, მხოლოდ ეკლესიას, რომელსაც თავისუფლად შეუძლია თვითშეგნების სრულად აღიარება, თავისუფალია შინაგანი წყობილებით, თავისუფლად ძალუძს თავისი სიტყვით მსახურება, ყველა თავისი საქმისა და მისადმი რწმენებული ყოველთვის თავისუფლად მართვა, მხოლოდ თავისუფლად თვითმმართველ ეკლესიას შესწევს უნარი, დაიცვას თავისი სრული დიდებული წმიდა რწმენა და სავსებით ფლობდეს მისი ღვთაებრივი მოწოდების განსახორციელებლად აუცილებელ ხმას, რომელიც ადამიანის გულს აღანთებს; და ბოლოს, ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობისათვის მეტად საჭიროა მატერიალური საშუალებანი, ამიტომ ითხოვს:

1) იერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღსდგეს მცხეთა-იერიის საკათოლიკოსო. ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისი, ქუთაისის, ბათუმისა, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, ზაქათალის ოლქი).

2. აღსდგეს წესი, როდესაც ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებენ.

შენიშვნა ა: კრებულის წევრთ ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს.

უფლებაუნარიან კანდიდატებს. ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენელნი, — კათოლიკოსსა და მღვდელმთავრებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათოლიკოსს უზენაესი საერო ხელისუფლება.

შენიშვნა ბ: მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე სასულიერო პირთა კანდიდატების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ არსებულს ამტკიცებენ და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა.

3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თაემჯდომარე კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან — საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული"[10] პეტიციას ხელი მოაწერა 412 კაცმა. იმისათვის,რომ დაემსხვრიათ რუსეთის ხელისუფლების მტკიცება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ერთი მუჭა ავანტიურისტები მოითხოვენო,ყრილობის მონაწილეები,რომელთაც მრეველიც შეუერთდა დაახლოებით ათასამდე კაცი საეკლესიო დროშებით, ჯვარ-ხატებითა და გალობით ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიიდან გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე გამოვიდა და მეფისნაცვლის სასახლისაკენ დაიძრა. როდესაც ამის შესახებ საქართველოს ეგზარქოს ალექსის შეატყობინეს მან თბილისის პოლიციის უფროსს სთხოვა ჯანდარმებს მეამბოხე სამღვდელოება დარბევა. მოხდა დაპირისპირება და პოლიციამ სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მსელელობის მონაწილენი, მათრახებით სცემა სამღვდელოება. საქართველოს ეგზარქოს ალექსისა და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გართულდა. ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ შეხვდა მეფისნაცვალ ი. ვორონცოვ-დაშკოვს და ესაუბრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე. ამ ამბების შემდეგ, როგორც ქრისტეფორე ციცქიშვილი აღნიშნავდა: „ეგზარქოსმა ალექსიმ დამიბარა თავის სახლში, მე მღვდელ მარკოზ ტყემალაძის, დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილის და დეკანოზ ავდაშკევიჩის თანდასწრებით განეუცხადე. მას, რომ ყაზახების სიმხეცე სულ შენი ბრალია მეთქი, შენ ჩვენთან არაეითარი კავშირი არა გაქვს, რომ შენ ხარ დეკანოზ ი. ეოსტორგოვის ყმა, რასაც ის ჩაგძახებდა იმასვე ამოიძახებდი, ისიც გაგექცა და დავრჩით ახლა უეგზარქოსოდ, რადგან ი. ეოსტორგოვი იყო ნამდვილი ეგზარქოსი მეთქი".[11]

ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე ემსჯელა 1906 წელს პეტერბურგში სინოდის საგანგებო სხდომაზე. ქართველი საზოგადოება კარგად აცნობიერებდა, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება საკითხს დადებითად არ გადაწყვეტდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება,რომ საკითხი გაცდა სამეცნიერო კამათის სფეროს, მან საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. პეტერბურგში სინოდის სხდომაზე დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეას მხარს უჭერდნენ ეპისკოპოსები: კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), პროფესორები: ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი. ქართველი ავტოკეფალისტების წინააღმდეგ გამოვიდა ჩვენი თანამემამულე, მოღალატე ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე)... რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი ავტოკეფალისტების დისკრედიტაციისათვის გააერცელა ჭორები მათი ტერორისტობის შესახებ და დაიწყო რეპრესიები. პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობით გადაასახლეს ეპისკოპოსი კირიონი, სდევნიდნენ ლეონიდეს, არქიმანდრიტ ამბროსის. ქრისტეფორე ციცქიშვილი იხსენებდა: „გენერალმა ამილახვარმა დამიბარა ქართლში მოგზაურობის

დროს და სხვათა შორის მკითხა რატომ ესა და ეს ქალაქელი მღვდელი არ აირჩიეს კრებაზე თავმჯდომარედ და შენ აგირჩიესო. მე ვუპასუხე, ქალაქელებს (იმისაგან დასახელებულებს) შედარებით კარგი ადგილები უჭირავთ, ეგზარქოსთანაც ახლო არიან და არ უნდოდათ ეწყენინებინათ მისთვის მეთქი, მე კი ვფიქრობდი, რომ სათქმელი უნდა თქმულიყო. ვინმეს უნდა გაეწია თავმჯდომარეობა, რომ ყრილობა არ ჩაშლილიყო, არ ეფიქრობდი, რომ ადგილიდან გადავეყენებინე მთავრობას და, თუ გადამაყენებდა მაინც და მაინც, ნათქვამია „გადმომიგდე იტრია, ეითომც ერთი კიტრია“,[12] ქართველმა სამღვდელოებამ რეპრესიების, დევნა-შეურაცხყოფის მიუხედავად უარი არ თქვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეაზე და როდესაც რუსეთის იმპერიაში კიდევ უფრო გამწვავდა სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი, (1917 წლის თებერვალში იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა ს.ვ.) ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. ამ ბრძოლაში თვალსაჩინო იყო დეკანოზ ქრისტეფორე ციცქიშვილის დამსახურება.

1905 წლის შემოდგომაზე თბილისში აელაბარში გაიხსნა ქალაქის პროგიმნაზია, სადაც ქალაქის თავის ჩერქეზიშვილის დახმარებით ქრისტეფორე ციცქიშვილი დაინიშნა საღეთო სჯულის მასწავლებლად 1911 წლის 23 აპრილს მას გარდაეცვალა მეუღლე და შვილების, ოჯახის პრობლემები მთლიანად თავის თავზე აიღო.

დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს ჩატარებულ პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე მხარს უჭერდა თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს კანდიდატურას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად ეპისკოპოსის კირიონის არჩევის შემდეგ ოპოზიციაში ჩაუდგა უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II-ს. მისი განწყობა კარგად სჩანს 1918 წლის თებერვალში მის მიერვე დაარსებულ სასულიერო ჟურნალ „ახალ სიტყვაში“. „საქართველოს პოლიტიკურ თაეისუფლებას ქართველმა ერმა წაუმძღვარა წინ თავისუფლებამ ეკლესიისა — აღნიშნავდა იგი — ვინც რა უნდა თქვას ჩვენ კი ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ხალხი თვინიერ სარწმუნოებისა, წარმოადგენს ცხოველთა ჯოგს, რომელსაც ვერავითარი ძალა, ვერავითარი ადამიანის ავტორიტეტი ვერ მიაღებინებს ზნეობრივ ვალდებულებათა საჭიროებას. ამას მოწმობს ისტორიაც და დღევანდელი რუსეთის არეულობაც, სადაც ურწმუნოების ხაზგასმით ქადაგებამ ხალხის მასას ცხოველური ინსტიქტები უმწვერვალესად აღუგზნა, რის შედეგებსაც ჩვენი თვალით ვხედავთ: ადამიანის ღირებულების დაცემას, დაუნდობლობას, შეუბრალებლობას, თვითგასამართლებას და სხვ. ეკლესია და რელიგია, ხალხის ამამაღლებელი, ზნეობრივად განმასპეტაკებელი საშუალებაა და ასეთი დანიშნულება რომ შეასრულოს ეკლესიამ თავისუფალი უნდა იყოს. ეს თავისუფლება ჩვენმა ეკლესიამ მოიპოვა, მაგრამ არ კმარა საქართველოს საეგზარქოსოს, საქართველოს საკათალიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველი საკათალიკოსო შესამოსელის გამომზიურება, საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედ ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულად დარაზმვისა, ნაკლები „მეობა“ და მეტი „ჩვენობა“ საქმე ბევრია, ეკლესიური ცხოერება როგორც ყოველიეე ამ ქვეყნად, ცვალებადობას განიცდის, იგი თანდათან უნდა ახლდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამ ცხოველი განახლების გზაზე მტკიცე სიარული არის დანიშნულება ქართული თავისუფალი ეკლესიისა.“[13] ქრისტეფორე ციცქიშვილი იყო საქართველოს საკათალიკოსოს ოფიციალური ჟურნალ „სვეტიცხოველის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მაგრამ ჟურნალის არასასურველი მიმართულების გამო, როგორც იგი აღნიშნავდა დატოვა სარედაქციო კოლეგიის წევრობა. იგი დაუფარავად აკრიტიკებდა უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II-ს. აცხადებდა „თუ ვინმესათვის ცხადი არ არის ჩვენი მიზანი, ვიტყვით კიდევ. ჩვენ არ მოვისვენებთ სანამ ჩვენი უფროსები არ იწამებენ წმიდა კოლეგიურ გამგეობას, სანამ იგინი არ მიეჩვევიან პატიეით მოპყრან

უმრავლესობის აზრს".[14] ეფიქრობ უსამართლო იყო კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II დადანაშაულება არაკოლეგიალურ მმართველობაში. იმ დროისათვის საკათალიკოსო საბჭო კოლეგიალური მმართველობის საუკეთესო ფორმა იყო. სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო ქრისტეფორე ციციქიშვილის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II-სადმი ასეთი დამოკიდებულება. მამა ქრისტეფორე კირიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადმოცემისას უშეცბს სერიოზულ უზუსტობებს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში არაერთი მეცნიერული წერილი გამოაქვეყნა ეპისკოპოსმა კირიონმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემებზე. რუსეთის ხელისუფლება თელიდა, რომ ეპისკოპოსი კირიონი იყო ავტოკეფალური მოძრაობის ხელმძღვანელი და ამიტომ დევნიდა მას. იგი თავისი სურვილით არ წასულა რუსეთში, აიძულეს დაეტოვებინა სამშობლო, ხშირად უცელიდნენ ეპარქიებს, ბოლოს კი სანაქსარის უდაბნოში გადაასახლეს პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ჩამოართვეს ეპისკოპოსის ხარისხიც. ი. ჩიჯავამისადმი გამოგზავნილ წერილში იგი წერდა: „ჩემი აქ ყოფნა ხომ მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამიმძიმდა, როდესაც გულსაკლავი და არასანუგეშო ამბები მომივა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამაგვირგვინებელი წინ ფიანდაზის მაგივრად, მართალია, ეკლიანი გზა გავიდეს, მაგრამ ვარდი უეჭლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია."[16] რაც შეეხებოდა ეპისკოპოს კირიონის მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას, ეფიქრობ, მამა ქრისტეფორე აქაც სუბიექტურია, კირიონის მეცნიერული საქმიანობას აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ: პროფ. ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე შახმატოვი, ალექსანდრე ცაგარელი, გრიგოლ ყიფშიძე, თედო ურუდანია და სხვ. კირიონთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი. არასწორია კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყალბი დიდების შარავანდედით მოხსენიება.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, მაგრამ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა არა ეროვნული მიმართულების სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, რომელნიც აცხადებდნენ, რომ აშენებდნენ დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს. მათთვის უცხო იყო რელიგიურობა. ისინი ისეთ დადგენილებებს იღებდნენ, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. სოციალ-დემოკრატებმა ეკლესია სახელმწიფოსაგან, სკოლა ეკლესიისაგან გამოჰყვეს. 1918 წლის 1 დეკემბერს მეხუთე გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობიდან სასულიერო პირობის გამო გაათავისუფლეს დეკანოზი ქრისტეფორე ციციქიშვილი. იგი ამ დროს იყო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი, შემდეგ ჩაირიცხა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს. 1918 წლის ივნისიდან 1920 წლის 1 სექტემბრამდე ღვთისმსახურებას ეწეოდა ქართულ ჯარში. 1921 წლის 1 ივლისიდან 30 ოქტომბრამდე საკათოლიკოსო საბჭოს დავალებით მსახურობდა გორის მაზრის სოფელ ნაბახტევის დროებით მღვდლად. დეკანოზი ქრისტეფორე ციციქიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში გამართული III საეკლესიო კრების მუშაობაში. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ქართველ სამღვდელოებას არ მისცა უფლება თბილისში საეკლესიო კრების ჩატარების და ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევისა, ამიტომ გადაწყდა გელათში კრების გამართვა. კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმბედიელი მიტროპოლიტი ამბროსი. კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაემტკიცებინათ ურბნისის ეპარქიის სამღვდელოების მიერ გამორჩეული დეკანოზი ქრისტეფორე ურბნელ ეპისკოპოსად, ამავე დროს მიუთითა, რომ ამიერიდან საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების გამორჩევა მოხდებოდა მხოლოდ საკათალიკოსო საბჭოსა და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ.

ურბნელ ეპისკოპოსად დეკანოზ ქრისტეფორე ციციშვილის გამორჩევა გააპროტესტეს დეკანოზებმა ნიკიტა თალაკვაძემ, იოსებ ჩიჯავაძემ, ვასილ კარბელაშვილმა...

1922 წლის 18 მარტს სვეტიცხოველში შესრულდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. წირვის დამთავრების შემდეგ ამ სიტყვებით მიმართა მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს, საზოგადოებას.

„უწმიდესო მეუფეო, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალენო ხელმწიფენო!

ღვთის განგებით, ნებითა სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო (გელათის) კრებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მღვდელმთავართა, მე მოწოდებულ ვარ უმაღლეს სამღვდელო ხარისხის, ეპისკოპოსობის მისაღებად. ვმადლობ პირველ ყოვლისა ღმერთსა და ზეციერ მღვდელმთავარსა, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რომელმაც ღირს-მყო ასეთსა დიდსა პატივსა, გმადლობთ თქვენ, უწმიდესო მეუფეო, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსო კეთილო, ვმადლობ მესამე საეკლესიო კრების წევრთმღვდელმთავართა, სხვათა სასულიერო და საერო, პირთა, რომ არ მიჰხედეთ ჩემს უღირსებას და მიცანით ღირსად ეპისკოპოსის ხარისხის მიღებისა: ცხადია ჩემთვის – თქვენმა ლმობიერებამ დაჰფარა აურაცხელნი ნაკლოვანებანი ჩემნი.

„არა არს უფლება, გარნა ღმრთისაგან“ (რომ. 13.1), – ამბობს მოციქული პაველე, მაგრამ არა ყოველი უფლებით მოსილი არის საამო ღვთისათვის, არიან უფლება მოსილნი, ღვთისაგან რისხვად მოვლენილნი, როგორც ფარაონი მოსეს დროს, იროდი, ანნა და კაიაფა და სხვანი მრავალნი ძველად და დღეინდელსა დღესაც, მაგრამ მე ვსასოებ, რომ თქვენს არჩევანში ჩემს შესახებ, უფალს ჰნებავს გამოაღებიოს კეთილი ნაყოფი ჩემს მოღვაწეობას ერისათვის.

თქვენ ნუ გეუცხოვებათ, მე ვიტყვი, რომ მე ამ ბოლო დრომდე ფიქრადაც არ მომსვლია ეპისკოპოსობის ხარისხის მიღება, არც არავინ შემიწუხებია ამისათვის. ვიცოდი, რომ არ შემიძლია ღირსეულად ვატარო ეს მძიმე ტვირთი. მართალია, სიყრმითვე მჭონდა ჩანერგილი გულში ღვთისა და ერის სამსახური, მაგრამ მე ჩემის ცხოერებით ვგავდი უფრო სახარების იგავის იმ შვილს, რომელმაც მამის ბრძანებას, რომ წასულიყო და ემუშავნა ვენახში, ხალისით უპასუხა, ახლავე წავალო, მაგრამ დაპირება არ შეასრულა.

და სრულიად ბუნებრივად ვეკითხები ჩემს თავს, ვარ ღირსი ეპისკოპოსობის ხარისხის მიღებისა, თუ არა? მოსეს სიტყვები რომ გავიმეორო: „უფალო, მიაელინე სხვა იგი, რომლისა მიელინება ძალგიძს,“ თუ ისაიასი: „აჰა, უფალო, მიმაველინე მე!“ უკეთუ გავიხსენებ პაველე მოციქულის სიტყვებს: „ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფაჲ (ტიტეს მიმ. 1.7) და სხვა, უკეთუ წარმოვიდგენ გონებით, თუ ვითარ შეაძრწუნებდა წმიდათა მამათა: ბასილი დიდსა, გრიგოლ ღვთისმეტყველსა, იოანე ოქროპირსა, ამბროსი მედიოლანელსა და სხვათა მრავალთა ეპისკოპოსის ხარისხის მიღება, უნებლიეთ დავეთანხმები მათ, ვისაც უღირსად მივაჩნივარ ეპისკოპოსის ხარისხის მიღებისათვის. მაგრამ ვსასოებ ყოველად შემძლებელი ღმერთი განკურნებს სულიერთა და ხორციელთა უძლურებათა ჩემთა და მომცემს შეძლებას გავამართლო მათი იმედი, ვინც არ დაჰხედა ჩემს უძლურებას და მომიწოდა ამ დიდ თანამდებობისათვის.

ძნელია დღეს ღვთისა და ერის სამსახური. მსოფლიო ომმა სრულიად გადაატრიალა ტრადიციული შეხედულებანი. ძლიერნი ტახტნი მეფეთანი დაიმსხვრენ. ძველი ტირანია მოისპო, მაგრამ „შეკრებასა ღვარძლისასა აღმოჰფხვრეს იფქლიცა.“ (მთ. 13,29) და იფქლი უფროს, ვიდრე ღვარძლი. განსაკუთრებით ეკეთნენ სარწმუნოებას. დღეს, სარწმუნოება მიაჩნია ნასწაელსა და უსწაელელს, ადამიანის დამამცირებელ და უკან ჩამომრჩენ ფაქტორად. ასეთი გარემოება გვაძლევს ჩვენ, სასულიერო მოღვაწეთ, შესაფერისად აღვიჭურვოდ და ისე ვიმოქმედოთ. მართალია, ეკლესია ქრისტესი ურყეევია თავის საფუძვლებით, მაგრამ ეკლესიის მოქმედება, ხან მარტივდება, ხან კი რთულდება და ფართოვდება, ცხოერებისდა გვარად. გონებრივი, ზნეობრივი, პოლიტიკური,

ეკონომიური და სოციალური ცვალებადობა აღიბეჭდების ეკლესიის ცხოვრებაზეც. ასეთი საზოგადოებრივი ცვლილებანი მოითხოვენ ეკლესიისა და მის მსახურთაგან ცხოვრებასთან შეფარდებულ მოქმედებას, ერთგვარ შეგუებას და ალღოს აღებას. ერთ წერტილზე გაჩერება ნიშნავს უკან ჩამორჩენას და ერთგვარ სიკვდილს.

თუ დავაკვირდებით ახლა ჩვენს გარშემო ცხოვრების დუღილს, შევნიშნავთ, რომ საზოგადოების სხვა და სხვა წრეებმა თავისებურად, მაგრამ ყველამ უარყოფითად განიცადეს განვლილი ამბები. ჩვენი ინტელიგენცია სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ამ უკანასკნელ საუკუნებში არ ყოფილა პატივისმცემელი ეკლესიისა, ამ ბოლო დროს კი ამ ინტელიგენციაში გაიმარჯვა და სათავეში მოექცა ცხოვრებას ის ნაწილი, რომელიც ეკლესიისადმი გულგრილობას კი აღარ სჯერდება, არამედ ეკლესიას სასტიკ ომს უცხადებს. მართალია, ხალხის დახმარებით მან დაამხო ტირანია თვითმპყრობელობისა, მაგრამ თვით უიმედოდ დასნეულდა უტოპიზმით. საიქიო სამოთხის უარისმყოფელებმა მოინდომეს ღვთისა და სარწმუნოების გმობით სააქაო სამოთხის დამყარება. მაგრამ ცხადი შეიქნა, ურელიგიოთ ზნეობის დამყარება ფუჭი ოცნებაა. სარწმუნოების დამცირებას მოჰყვება ამ ქვეყნადვე ჯოჯოხეთი. ადამიანი – ადამიანისთვის მგელიაო, იტყოდნენ რომაელები. ეს სიტყვები დღეს ალეგორიას კი აღარ შეიცავენ. ალაგ-ალაგ ადამიანი ისე დაეცა, რომ კაცის მჭამელად იქცა. ინტელიგენციის ასეთმა ქადაგებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მდაბიო ხალხი, ზნეობრივად დაეცა, ეერც უფლებრივად მოიპოვა რამე: ასეთივე დაბეჩავებულია, როგორც უწინ. ეერც ეკონომიურად გაღონიერდა, პირიქით, მისი კეთილდღეობა დიდს განსაცდელშია.

როგორ შეხვდა ახალ ცვლილებებს სამღვდელოება? მღვდლები არიან ეპისკოპოსის თანამშრომელნი და მის განზრახვათა აღმასრულებელნი. სამწუხაროდ სამღვდელოების უმრავლესობას დავიწყებული აქვს სახარება ქრისტესი, იმას შემუშაებული აქვს თავისი სახარება და მორალი. არამც თუ უნაკლულოდ არ ასრულებს იგი თავის მოვალეობას, არამედ მრავალი მღვდელი თვეში ერთხელაც არ შეიხედავს ეკლესიაში. ლოთობა, გარყვნილება, გაუტანლობა, უმცროს თანამოძმის დაჩაგვრა, მის კუთვნილ შემოსავლის მითვისებით – ძალიან ხშირი მოვლენაა სამღვდელოებაში, კერძოთ ქართლში. საჭიროა ულირს მწყემსთა გასწორება, ჯიუტთა ჩამოშორება ეკლესიისაგან და საერთოდ - სამღვდელოებაში შეტანა თავის ღირსების შეგნების და დაცვისა, საჭიროა მისი მოდუნებული ენერგიის ამოძრავება.

როდესაც ჩვენის ეკლესიის ჩამოთვლილ წყლულებს გავითვალისწინებ, უნებლიეთ შემიპყრობს შიში და სასოწარკვეთილება წინამდებარე სარბიელზე გამოსვლის ჟამს. მაგრამ დიდ არს უფალი და განუზომელია მოწყალება მისი ჩვენდა მიმართ! მე მრწამს: თვინიერ სარწმუნოებისა არ არის ერის კეთილდღეობა და ხსნა. ყოველი სასიცოცხლო ნიშნების მატარებელი ერი უნდა ეყრდნობოდეს სარწმუნოებას. ჩვენთვის, ქართველებისათვის ხომ ქრისტიანული სარწმუნოება არის ცხოველსმყოფელი სვეტი, რომელსაც ეყრდნობა მისი საიქიო და სააქაო ბედნიერება. ქრისტიანების შესუსტებამ დააუძლურა საქართველო. დროთა უკუღმა ტრიალმა გაამაჰმადიანა მესამედზე მეტი ქართველობა. ეერავითარმა პროპაგანდამ ეეღარ მოაქცია მათი გული საქართველოსკენ. ამის მოწამენია საინგილო, აფხაზეთი, მესხეთი, ტაო-კლარჯეთი, ბორჩალო. მაინც ქრისტიანული სარწმუნოება არის ცხოველი სვეტი ქართველი ერის არსებობისა. ამიტომაც უწოდა ქართველმა ერმა თავის ქრისტიანობის აკვანს, ემბაზს, პირველსა და უმთავრეს საყდარს მცხეთაში „სვეტიცხოველი“. ეს „სვეტი ცხოველი“ უძღოდა ჩვენს მამა-პაპათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წინ, როგორც ღრუბლის სვეტი უძღოდა და უნათებდა გზას უდაბნოში ეგვიპტის მონობისაგან თავდაღწეულ ისრაელს. დღეს ეს სვეტი ისე ეეღარ ბრწყინავს, როგორც დავით აღმაშენებლის და თამარის დროს, მას ნისლი გადაეფარა და ეეღარ სწვდება მისი სხივები საქართველოს ყოველ კუთხეს. ამ სვეტს ებრძოდა სპარსეთის და შემდეგ ოსმალეთის მუსულმანობა, მას ებრძოდა და დღესაც ებრძვის ვითომდა ქრისტიანულ რუსეთის უხეში ძალა, ძველი და ახალი, მაგრამ ძალუმია ქართველ ერის ძველი კულტურა, რომელიც გაღვიძებული იყო, ჯერ

კიდეე X ს-ის უწინარეს ქრისტეს მოსვლისა და გაკეთილშობილდა ქრისტიანობის ზედგაელენით. დღესაც მაგრადა სდგას ჩვენი სასოება „სვეტიცხოველი“ – ეკლესია ქრისტესი. „სვეტი-ცხოველი“ მიაფენს თაეის შარავანდედს საქართველოს ყოველ კუთხეს და შეჰკრებს მთლიან საქართველოს. ისევ „სვეტმაცხოველმა“ უნდა ადინოს და აწვეთოს ქართველთა გულში მირონი დაუშრეტელი და მისცეს მას ძალი და სიმხნე ღეთისა და სამშობლოს სიყვარულისა და სამსახურისა.

ამ რწმენით და სასოებით მივიღებ მღვდელმთავრობის ხარისხს. მივანდობ უფალს ჩემს თავს და შეეთხოე მას,მომცეს ძალი და სიმხნე ურცხვენელად ვიღვაწო სადიდებლად მისდა და სასარგებლოდ ერისა ჩვენისა. ესასოებ,რომ მადლი სულისა წმიდისა,რომელიც მოელინებულ იქნება ჩემზედა,უწმიდესო მეუფეო და თქვენო ყოველადუსამღვდელოესობაე, ლოცვითა და ხელდასხმითა თქვენისათა, შეავსებს ნაკლოვანებათა ჩემთა. ილოცეთ ჩემთვის თქვენცა, მამანო და ძმანო, რათა განამტკიცოს უფალმა ძალნი ჩემნი, რათა წარემათებოდნენ სულიერითა ჰასაკითა ჩემ მიერ ძღვანებულნი პირმეტყველნი ცხოვარნი და მწყემსნი, რათა არა წარვიწყმიდო სული ჩემი და არცა წარვსწყმიდო სულნი სულიერთა შვილთა ჩემთანი.“17 მეუფე ქრისტეფორეს ეს სიტყვა ზუსტად ასახავდა XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების სურათს. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება როგორი ნათელი ფერებითაც არ უნდა შეფუთულიყო გონიერი ადამიანებს ვერ მოატყუებდა. მოდიოდა ნგრევისა და წარსულის უარყოფის მძიმე პერიოდი... სასულიერო წოდება უნდა მომზადებული შეხვედროდა მოსალოდნელ განსაცდელს...

მღვდელმთავრობის ხანა

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოვიდნენ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში გადავიდა, საიდანაც ემიგრაციაში წავიდა. ევროპის სახელმწიფოებმა მხოლოდ დიპლომატიურ დონეზე გააპროტესტეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა. ახალმა საოკუპაციო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ „რევკომმა“ გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებანი, პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუცია, ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ დაიწყო ტერორი. აპატიმრებდნენ და გაუსამართლებლად ხოცავდნენ ქართველს პატრიოტებს, საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში სისხლის გუბეები დადგა. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მთავარი სამიზნედ იქცნენ ქართული ეროვნული ცნობიერების მატარებელი ინტელიგენცია და არისტოკრატია. მათთვის მიუღებელი იყო სამშობლოს, ეროვნების ცნება. – საქართველო ძალიან გათავხედდა და იგი უნდა გადაიხნას. – ამ სიტყვების ავტორმა იოსებ სტალინმა ყველაფერი გააკეთა თავისი სამშობლოს გადასახნავად. 1921-1922 წლებში საქართველოს ჩამოაშორეს ერთა ლიგის მიერ საქართველოს სახელმწიფოს კანონიერ საზღვრებში მოქცეული შემდეგი ტერიტორიები: ისტორიული ტაო-კლარჯეთი, ლორე-ტაშირის ოლქი, საინგილო, სოჭის რაიონი. გარდა ამისა დარჩენილი ტერიტორია დააქუცმაცეს ავტონომიებად (აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი). საქართველო თავისი აეტონომიებით შეიყვანეს ამიერკავკასიის ფედერაციაში და მისი მეშვეობით ახალ მოდერნიზებულ რუსულ იმპერიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწოდეს. ბოლშევიკური ხელისუფლება იყო ურწმუნო ფანატიკოსების ჯგუფი, რომელთაც სძულდათ ტრადიციული რელიგიები და სწამდათ ახლად შექმნილი კერპები მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი. საოკუპაციო ხელისუფლება შიშობდა მათი ბოდვითი იდეები ხალხში ფეხს ვერ მოიკიდებდა, თუ არ მოსპობდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებას. 1921 წლისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას 1450 მოქმედი ეკლესია, 25 მონასტერი, 1600 სასულიერო პირი ჰყავდა. ეს მნიშვნელოვანი ძალა იყო და ბოლშევიკების მტკიცებით საჭირო იყო მათი განადგურება. საოკუპაციო ხელისუფლების რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დადგენილებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გამოცხადდა იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად და მთელი მისი ქონება ბოლშევიკური ხელისუფლების საკუთრებად. ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ დაიწყო აგრესიული ათეიზმის უმძიმესი ხანა, ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა, საეკლესიო სიწმიდეთა შეურაცხყოფა – დატაცება, ეკლესიათა ნგრევა, სასულიერო პირთა დაპატიმრება – დახვრეტა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას თავს დაატყდა საშინელი ტერორი და ცილისწამება. ასეთ რთულ ეპოქაში მოუხდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე საქმიანობის დაწყება ცხუმ-ბედიელ მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ გელათის საეკლესიო კრებაზე მკაცრად გააპროტესტა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიღებული 1921 წლის 15 აპრილის დადგენილება და მოითხოვა მისი გაუქმება, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სინდისის თავისუფლების დეკრეტს. „ხელისუფლების მიერ ამ სამართლიანი მოთხოვნის უარყოფა მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია გამოცხადებულია დევნილ სარწმუნოებად და ეს გარემოება ეცნობება ყველა მორწმუნეთ.“[18] საოკუპაციო ხელისუფლებამ არა თუ გააუქმა აღნიშნული დადგენილება, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. ასეთ რთულ ვითარებაში დაიწყო თავისი სამღვდელმთავრო მოვალეობის შესრულება ეპისკოპოსმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, რომელიც აკურთხეს მანგლელ-ურბნელად. ამ დროს აღნიშნული ეპარქიები, იქ მყოფი სამღვდელოება ხელისუფლებისგან

განიცდიდა სასტიკ ზეწოლას. მდგომარეობა იმდენად საგანგაშო იყო, რომ შექმნილი ვითარება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე არაერთხელ იქნა განხილული. 1922 წლის აპრილში კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საგანგებო წერილით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს და მოითხოვა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებისგან დაეცვათ საქართველო,ქართველი ერი,რომელიც საოკუპაციო ხელისუფლების წყალობით სისხლისაგან იცლებოდა. სამწუხაროდ დასაელეთის სახელმწიფოების მხარდაჭერა სიტყვიერ თანაგრძნობას არ გასცილებია. საოკუპაციო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი დაკითხვაზე გამოეძახებინათ „ჩეკაში“. 1922 წლის 13 ივნისს საპატრიარქო სასახლეში მიმდინარეობდა საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, სადაც მივიდნენ „ჩეკას“ წარმომადგენლები და გამოაცხადეს „კათოლიკოსი დაკითხვაზე უნდა წამოვიდეს „ჩეკას“ თავმჯდომარესთან კოტე ცინცაძესთანო.“ კათოლიკოს-პატრიარქმა ითხოვა ათი წუთი,განაგრძო სხდომა და გამოაცხადა მისი შესაძლო დაპატიმრების შემთხვევაში აუცილებელი იყო რომელიმე მღვდელმთავარს მისი მოვალეობა შეესრულებინა,ამიტომ იგი ქმნიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველობას და მის თავმჯდომარედ მანგლელ-ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორე ციცქიშვილს ნიშნავდა. დროებითი მმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კანონიერი იქნებოდა მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქის დაპატიმრების ან ავადმყოფობის შემთხვევაში. კათოლიკოსის დაკითხვა „ჩეკას“ შენობაში გვიან ღამემდე გაგრძელდა. ხელისუფლებამ უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის ბრალი დასდო: „ცილისწამებაში“, საბჭოთა ხელისუფლების გაბრიაბრურებაში,“ „კონტრევოლუციონერებაში.“ 1922 წლის 17 ნოემბერს საოკუპაციო ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის ჩამოერთმია საპატრიარქო სასახლე. პატრიარქი ამბროსი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. 1923 წლის 13 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ჩეკას) გადაწყვეტილებით დაპატიმრებულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობა გადავიდა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ხელში,რომელსაც მეთაურობდა მანგლელურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი). რა უნდა გაეკეთებინა ასეთ რთულ ვითარებაში მეუფე ქრისტეფორეს? იგი პირველ ყოვლისა შეეცადა ხელისუფლებასთან დიალოგზე წასვლას და აღნიშნა,რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში ყველა არ იზიარებდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შინაარსს. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლებისათვის ეს განცხადება სასურველი მესიჯი იყო. ხელისუფლება შეეცადა და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შიგნით დაპირისპირების პროვოცირებას. სასულიერო პირთა ნაწილმა გულუბრყვილოდ დაიჯერა, თუ არა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მემორანდუმი საბჭოთა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ასეთი დაპირისპირება არ იქნებოდაო. ბოლშევიკური პრესა, უშიშროების აგენტურა, აქტიურად ცდილობდა მოსახლეობაში ამ აზრის განმტკიცებას. ბოლშევიკები შეეცადნენ ეკლესიის შიგნით დასაყრდენის მოპოვებას,მათთვის სარწმუნოების,საეკლესიო კანონიკისა და სამშობლოს ინტერესების დამცველი სასულიერო პირები მიუღებელნი იყვნენ, ამიტომ სასულიერო წოდება ორ ჯგუფად გაჰყვეს. პირველი მიმართულების წევრები, რომელნიც შეურიგებელნი იყვნენ საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ მოინათლენ როგორც „პირწავარდნილი რეაქციონერი ანტისაბჭოელები“ და გააგრძელეს მათი დევნა-შევიწროება, მეორე მიმართულების წევრებს, რომელნიც მოსურნე იყვნენ საოკუპაციო ხელისუფლებასთან დიალოგის და თანამშრომლობისა „პროგრესიული სამღვდელოება“ ეწოდა. ეპისკოპოსი

ქრისტეფორე (ციცქიშვილი) ქართველი სამღვდელოების იმ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ვინც თვლიდა, რომ ეკლესიის გადასარჩენად აუცილებელი იყო ხელისუფლებასთან დიალოგი, ამაეე დროს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში საჭირო იყო განახლება და რეფორმები. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ამ „რეფორმებში“ მისთვის სასურველი პოზიცია დაინახა. 1923 წლის 10 სექტემბერს მეტეხის ციხეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველის, ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორესა და ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსის დავითისაგან (კაჭახიძე) ასეთი შინაარსის მიმართვა მიიღო „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭომ 1923 წლის 9 სექტემბერს სხდომაზე დაადგინა: საკათალიკოსო საბჭო სცნობს, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში ამჟამად ვნებას აყენებს ეკლესიას და ამისათვის განაჩინებს: ეთხოვოს მის უწმიდესობას თავისი ადგილი დათმოს სხვა პირს.“[19] მსგავსი შინაარსის განცხადება უფრო მწვავე შეფასებებით განმეორდა 1924 წლის 16 ოქტომბერს „ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერთ გავითვალისწინეთ რა საქართველოს ეკლესიის დღევანდელი უნუგეშო მდგომარეობა ტაძრების ნგრევა, მღვდელთაგან ნაძალადევად სამსახურისათვის თავის დანებება, დაჭერა და ციხეში ჩაგდება და ბოლოს დახვრეტაც კი, მორწმუნე ერის წუხილი და გოდება ეკლესიების გაუქმების გამო, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამის მიზეზია მემორანდუმი. კათოლიკოსპატრიარქმა ამბროსიმ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა როგორც მთლიანად ქართველ ერს, ისე განსაკუთრებულად საქართველოს ეკლესიას, ამისათვის მოვითხოვთ, რომ ამბროსიმ საჯაროდ აღიაროს თავისი შეცდომა. თუ არ აღიარებს შეცდომას მოწვეულ იქნას კრება მის გადასაყენებლად.“ მიმართვას ხელს აწერდნენ ეპისკოპოსები: ქრისტეფორე (ციცქიშვილი), დავითი (კაჭახიძე), სვიმეონი (ჭელიძე), ნესტორი (ყუბანეიშვილი). ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია სახეზე იყო ეკლესიის შიგნით დაპირისპირება. ამას ადასტურებდა 1925 წლის 6 იანვრის გაზეთი „კომუნისტის“ ინფორმაცია, რომელიც იუწყებოდა: „1925 წლის 2 იანვარს რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლობის კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ: თ. სახოკია, ი. მირიანაშვილი, დ. ლაზარიშვილი. ანტ. თოთიბაძე, დ. გარსიაშვილი, მ. ფხალაძე, ი. რატიშვილი, ნ. მაჭარაშვილი დაადგინა: ეპისკოპოს ქრისტეფორეს გამოუცხადოს უნდობლობა.“[20] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მისი გადადგომის მოსურნეთ შემოუთვალა, რომ იგი თავისი ნებით არ გადადგებოდა, თუ სურდათ, ოფიციალურად გადაეყენებინათ. საზოგადოების უმრავლესობისათვის ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება მიუღებელი იყო, უწმიდესი ამბროსი საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირისათვის სასულიერო პირთა ნაწილისგან გადადგომის და მონანიების მოთხოვნა ხელისუფლებისაგან დაკვეთად აღიქმებოდა. ოფიციალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და დიალოგის სურვილმა ეკლესიაში განახლებისა და რეფორმების მოსურნენი კიდევ უფრო შორს წაიყვანა. 1923 წლის 2 სექტემბერს ქუთაისში ჩატარებულ სამღვდელოების კრებას დაესწრო პროეინციელი ბოლშევიკების ლიდერი ვალია ბახტაძე, რომელმაც სასულიერო პირებს მიმართა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განახლებული ეკლესია და რა შემთხვევაში ითანამშრომლებდა ხელისუფლება მასთან. ეპისკოპოსმა დავითმა გულახდილად განაცხადა: „დადგა დრო, ეკლესიაში განხორციელდეს ცვლილებები თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. ამ გზით გადადგმულ იქნას პროგრესული ნაბიჯები ეკლესიურ ცხოვრებაშიკენენის კონფერენციაზე გაგზავნილმა მემორანდუმმაკონფერენციოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოს ეკლესია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, საბჭოთა ხელისუფლებამ იგი თავის მტრად მიაჩნია და ამიტომ დაარბია ეკლესიები, დაიქაქსა სამღვდელოება, მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ეკლესიას პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს, თუ ამას დავამტკიცებთ ნორმალურ პირობებში, მაშინ ალბათ ხელისუფლება შეწყვეტს ეკლესიის საწინააღმდეგოდ კამპანიას.“[21] ნუთუ მართლა

სჯეროდათ მათ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების ეკლესიისადმი მტრული დამოკიდებულების მიზეზი მხოლოდ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი იყო? რა თქმა უნდა არა. ხელისუფლებას უფრო დიდი გეგმები ჰქონდა. იგი ახალ რელიგიას „სოციალიზმს და კომუნიზმს“ სთავაზობდა საზოგადოებას და იქ ჭეშმარიტი რელიგიის ადგილი აღარ რჩებოდა. მაინც რა რეფორმებს და სიახლეებს გულისხმობდნენ ეკლესიაში ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მოსურნენი? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მათ მიერ შედგენილი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სარეფორმო პროექტი,“ რომლის თანახმადაც უქმდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო (სინოდი),სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა. საქართველოს ეკლესიის მეთაური იქნებოდა თბილისის მთავარეპისკოპოსი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა ქართლ-კახეთის ეპარქიის კათედრებიმისი რეზიდენცია იქნებოდა თბილისში. თბილისის მღვდელმთავარს თანაშემწედ ეყოლებოდა ქორეპისკოპოსი. იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას მართავდა ქუთაისის მღვდელმთავარი, რომელსაც კათედრა ექნებოდა ქუთაისში, აფხაზეთსა და სამურზაყანოს ეპარქიას მართავდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა ექნებოდა სოხუმში. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს ეხმარებოდნენ მთავარეპისკოპოსები, რომელთაც ეპარქიები დაყოფილი აქვთ ოლქებად და ცხოვრობენ იქ, სადაც მოესურვებოდათ. პროექტის თანახმად ცვლილებები უნდა შეხებოდა თვით ეკლესიასაც. საკურთხევლის კანკელს მოაჯირი ცვლიდა, ეკლესიიდან უნდა გამოეტანათ ყველა ხატი (მაცხოვრის ხატის გარდა), ტაძარში იკრძალებოდა საკმეველისა და საცეცხლურის გამოყენება, სამრეკლოდან ზარის დარეკვა შეიძლებოდა მხოლოდ ერთხელ წირვის დაწყების წინ, რეფორმატორთა აზრით დროის მოთხოვნის შესაბამისად უნდა გამარტივებულიყო ღვთისმსახურება წირვის დროს არასავალდებულოდ ცხადდებოდა სამოციქულოს წაკითხვა, შვიდი საიდუმლოდან სავალდებულო არ იყო სინანული,ჰიგიენური მოსაზრებით ზიარების დროს საჭმელად სავალდებულო არ იყო ბარძიმიდან ზიარება. საეკლესიო წიგნები ძველი ქართულისა და ასომთავრულხუცურის ნაცვლად უნდა გათანამედროვებულიყო. უნდა შემცირებულიყო საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა, კატეგორიულად იკრძალებოდა ბერ-მონაზვნობა, ეისაც უნდოდა შეეძლო განდეგილად ეცხოვრა, ეს მას არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა. საეპისკოპოსო კანდიდატი შეიძლება ყოფილიყო ცოლიანი, ან ქვრივი. შეიძლებოდა დაქვრივებული მღვდლის მეორედ დაქორწინება. იკრძალებოდა მარხვა, აუცილებლად იყო მიჩნეული საეკლესიო დღესასწაულების ახალი სტილით აღნიშვნა,მრავალსაუკუნოვანი ქართული საგალობლების გათანამედროვება. ისინი მიიჩნევდნენ, თუ ეს რეფორმა საეკლესიო ცხოვრების სფეროში გატარდებოდა, ამას მოჰყვებოდა ეკლესიის საქმიანობის გამოცოცხლება და პროგრესის გზაზე დამყარება,კარჩაკეტილობისა და ცალმხრივობის მოსპობა, მისი გამოცოცხლება და გაერცელება ყველა იმ საქმეზე, რომელნიც ემსახურებიან, როგორც კერძო პიროვნებას, ისე საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის საქმეს.“[22] ეცნობი ამ პროექტს და უსიამოვნო განწყობა გეუფლება,ეკლესია, საეკლესიო კანონიკა,რომელიც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა და შეუცვლელად მოაღწია XX საუკუნემდე დადგა უდიდესი განსაცდელის წინაშე. საზოგადოებაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება არ უნდა აისახოს ეკლესიაზე, სამწუხაროდ მათ ეს არ ესმოდათ და ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სრულ განადგურებას გამოიწვევდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლის შესახებ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავართა, სამღვდელოებისა და ყოველთა მორწმუნეთა სახელმძღვანელოდ ახალი სტილის კალენდარის შემოღების შესახებ ასეთი დადგენილება გაავრცელა:

„1. 1923 წლის 24 ოქტომბრისა შემოღებულ იქმნეს ამა წლის პირველ ნოემბრიდან საქართველოს ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი. დღესასწაულები, წმიდათა ხსენებანი და მარხვანი ამა წლის 1 ნოემბრიდან დაწესებულია ახალი სტილის

კალენდრის თანახმად. 1924 წელს ბრწყინვალე აღდგომა გადახდილ იქმნეს ახალი სტილით. გამოეცხადოს საკათალიკოსო საბჭოს მადლობა – პროფესორ დიდებულიძეს და ბენაშვილს, პასქალიონის შედგენისათვის ახალის სტილის კალენდრის თანახმად.

დადგენილებას ხელს აწერდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებითი მოადგილე-ეპისკოპოსი ქრისტეფორე ურბნელი-დეკანოზი გიორგი გამრეკელი, დეკ. ბენიამინ კანდელაკი, ივანე რატიშვილი, გერასიმე იმნაიშვილი.

2. 1924 წლის 11 აპრილს: „საკათ. საბჭომ“ მოისმინა განცხადება ეპისკოპოს სვიმონ ჭყონდიდელისა, შუამდგომლობა სხვადასხვა ადგილებიდან მორწმუნეთაგან და დადგენილება ტფილისის სამღვდელოების კრებისა, რომ პასექის უქმობა 1924 წელში, მხოლოდ ამ წელში, გამონაკლისის სახით, მოხდეს ძველი სტილით, დაადგინა: „საკათ. საბჭო ადასტურებს თავის დადგენილებებს, შესახებ ახალის სტილის შემოღებისა საქართველოს ეკლესიაში, მხოლოდ ამა 1924 წლის პასექის უქმობას აცხადებს ძველი სტილით.“

ხელს აწერენ: საკათალიკოსო საბჭოს დროებითი თავჯდომარე ეპ. ქრისტეფორე ურბნელი, მიტრ. ნაზარი, ეპ. სვიმონ ჭყონდიდელი, დეკანოზი გიორგი გამრეკელი, დეკ. ბენ. კანდელაკი, ივანე რატიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გერასიმე იმნაიშვილი.

3. 1924 წლის 16 ოქტომბრის: „თანახმად საკათ. საბჭოს დადგენილებათა 1923 წლის 24 ოქტომბრიდან და 1924 წლის 11 აპრილიდან, შემოღება ახალი სტილის კალენდრისა საქართველოს ეკლესიაში დადასტურებულ იქმნეს.“

ხელს აწერენ: კათოლიკოს-პატრიარქის დროებითი მოადგილე ეპ. ქრისტეფორე ურბნელი, ეპ. დაითი, ეპ. სვიმონ ჭყონდიდელი, ეპ. ნესტორი, დეკ. გიორგი გამრეკელი, დეკ. ბენიამენ კანდელაკი, გერასიმე იმნაიშვილი.

თანახმად ზემო მოყვანილ სრ. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებათა, მე,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებითმა მოადგილემ,ურბნელმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ,ამა 1925 წლის 14 იანვარს,წმიდისა მოციქულთა სწორისა, ქართველთა განმანათლებელის ნინოს ხსენების დღეს, ტფილისის სიონის საკათედრო ტაძარში გამოვაცხადე საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის მღვდელმთავართა, სამღვდელოებისა და ყოველთა მორწმუნეთა საცნობელად და სახელმძღვანელოდ.

ახალი სტილის კალენდარი მიღებულია საქართველოს ეკლესიის მიერ მთლიანად და ყველა დღესასწაულები, როგორც უძრავნი, ისე მოძრავნი, მარხვანი და წმიდათა ხსენებანი უნდა გადახდილ იქმნეს ახალის სტილის კალენდრის მიხედვით. 1925 წელში იქმნება:

1) ბრწყინვალე აღდგომა 12 აპრილს; 2) მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე პირველ თებერვალს; 3) ხორცთა აკრება 15 თებერვალს; 4) ყველიერის აღება 22 თებერვალს; 5) ბზობა 5 აპრილს; 6) ამაღლება 21 მაისს; 7) სულის წმიდის მოფენა 31 მაისს; 8) პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისი 8 ივნისს.

ახალი სტილის კალენდრის შესახები საკათ. საბჭოს დადგენილებანი ეთანხმებიან მეცნიერულ დებულებებს, დადასტურებულია საკათ. საბჭოს გაძლიერებულ შემა-დგენლობისაგან, ე.ი. ეპისკოპოსთა თანადასწრებით, რამდენჯერმე. ამის გამო საკითხი ახალის სტილის კალენდრის შესახებ საკათ. საბჭოში აღარ დაისმის.

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებითი მოადგილე: მიტრ. ქრისტეფორე ურბნელი.

1925 წ. 14 იანვარი“[23]

იმ დროს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა დაპატიმრებული იყო კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მეთაურობით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ახალ სტილზე გადაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ერთობ სარისკო, გაუმართლებელი ნაბიჯი იყო. მართალია, დროებითი მმართველობა იშველიებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მაგალითს, უწმიდესი ბასილ II წერილის, მაგრამ მორწმუნე

მრეელმა ამ დადგენილების ინსპირატორად ბოლშევიკური ხელისუფლება მიიჩნია და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ახალი სტილის მოსურნეთ. ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ სცადა მხარდაჭერა მიეღო ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან. პროფესორმა კორნელი კეკელიძემ დროებითი მმართველობის ამ გადაწყვეტილებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა: „მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი ცხოვრებაში გატარება – წერდა იგი – ცხადია მორწმუნენი საუკუნეთა განმავლობაში შეჩვეულნი ძველ ტრადიციებს, უცბათ ერთი ხელის დაკვრით ეერ შეითვისებენ ახალ წესს, მაგრამ სამღვდელოების ვალია თანდათან მიზანშეწონილი ხელმძღვანელობათა და ახსნა-განმარტებით შეაჩვიოს ისინი ამას“[24] ახალ სტილს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ.

საინტერესოა ეპისკოპოსის ქრისტეფორეს წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი. ამ წერილში აეტორი ცდილობს თავისი პოზიციის გამართლებას „მის გამო მე მნათლაეენ რუსეთის ცოცხალი ეკლესიის („ობნავლენ“-ების) მომხრეთ“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში რთული ვითარება შეიქმნა. მრეელის უმრავლესობამ უარი განაცხადა ახალი სტილით დღესასწაულების აღნიშვნაზე. მართალია IV საეკლესიო კრებამ დაადასტურა (1927 წლის 24 ივნისს) ახალი სტილის კანონიერება, მაგრამ 1928 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო სინოდი იძულებული გახდა ასეთი შინაარსის განცხადება გაეერცელებინა: „ეპარქიებში შეუძლებელი გამოდგა ახალი სტილის კალენდრის გატარება,რისი მიზეზიც მორწმუნეთა მოუმზადებლობა და შეუგნებლობაა ამ საკითხში. მათი აზრით, ახალი კალენდრის შემოღება უაღრესად ძნელია იქ, სადაც საეკლესიო დღესასწაულები სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს არ მიაჩნიათ დასასეენებელ დღეებად. ამიტომ სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდმა განაჩინა: 1928 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში დღესასწაულნი, უძრავ-მოძრავნი და მარხვანი სრულდებოდეს იულიუსის კალენდრით.“[25]

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში საგანგებო ვითარება შეიქმნა. ერთ მხარეზე იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს დაპატიმრებული წევრები, რომელნიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას უწოდებდნენ საოკუპაციო ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებდნენ. უწმიდესი ამბროსი სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა: „მქონდა თუ არა უფლება მე, როგორც სასულიერო პირს, შევხებოდი იმნაირ კითხვებს, რომელნიც წამოყენებულნი არიან ჩემს წერილში? როდესაც ეხედავთ უსამართლობას,გარეშე მტრების მოძალებას,ხალხის შევიწროებას, ერისთვის საზიანო შეცდომებს,ასეთ დროს ცუდია არ ვიტვირთოთ მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი არ ვამცნოთ ქვეყანას“[26]. მეორე მხარეზე იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრები ეპისკოპოსის ქრისტეფორეს მეთაურობით, რომელნიც თელიდნენ, თუ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე არ წავიდოდნენ საქართველოს ეკლესიას სრული კატასტროფა მოელოდა. ეპისკოპოსი ქრისტეფორე ივანე ჯავახიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „აბა თქვენ გაგეგზავნათ მემორანდუმი ეეროპაში, რა მოუვიდოდა ქართულ უნივერსიტეტს, მას სრულიად გაანადგურებდნენ, თქვენ ფრთხილობთ, ჩვენ ეს სიფრთხილე ეერ გამოვიჩინეთ და საქართველოს ეკლესია განადგურდა.“[27] უნივერსიტეტს პროფესურის სიფრთხილის მიუხედავად მაინც შეესივნენ ბოლშევიკები ჯერ აეტონომია წაართვეს მას, რექტორობას ჩამოაშორეს ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები ნაციონალისტობის ბრალდებით უნივერსიტეტიდან გააძევეს,ბევრი მათგანი დააპატიმრეს,მათ ჩაენაცვლნენ ახალი დროის გამეცნიერებული პროფანები, რომელთაც ისტორიამ „წითელი პროფესურა,“ ხელისუფლების ნების უსიტყვო აღმასრულებელნი, მისი ნასუფრალით აღზევებულნი უწოდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დაგმო

1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყება და მას პოლიტიკური ავანტურა უწოდა,ასევე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღიარებდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას როგორც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას. თუმცა ეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის შექმნილ უმძიმეს ვითარებას ოდნავაც არ ცვლიდა. საქართველოს სახკომსაბჭოს 1923 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით კლავ გრძელდებოდა მოქმედი ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა, საეკლესიო ქონების ჩამორთმევა წმიდა ხატების, ჯვრების ვანდალური განადგურება, სასულიერო პირთა დაპატიმრება და დახვრეტა. 1924 წლის 19 აგვისტოს ქუთაისის მაზრის პასუხისმგებელი რწმუნებულის ვინმე შონიას განკარგულებით ანტისაბჭოთა, აგიტაციას ბრალდებით დახვრიტეს ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე,მღვდლები: გერმანე ჯაჯანიძე,სიმონ მჭედლიძე,იეროთოზ ნიკოლაძე. ტერორი და რეპრესიები მძვინვარებდა მთელ ქვეყანაში. საოკუპაციო ხელისუფლება აცხადებდა, რომ სინდისის თავისუფლებას იცავდა, არ ავიწროებდა ეკლესიებს, მაგრამ მისი ხელმძღვანელები საიდუმლო წერილებში მოითხოვდნენ საეკლესიო ქონების ექსპროპრიაციის (ჩამორთმევის) დაჩქარებას. ამას ადასტურებდა 1925 წლის საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი №20. „განსახილველი საგანი: საეკლესიო განძეულობის შესახებ (მომხ. ფილიპე მახარაძე) დადგენილება: წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისფინსახკომის რწმუნებულს საქართველოში სასწრაფოდ წარმოადგინონ საქართველოს ცაკში დაწვრილებით ცნობები თუ რომელი ეკლესიებიდან რამდენი განძეულობა იყო გამოტანილი, სად იმყოფება დღეს ეს განძეულობა, თუ გაუკეთდა ამ განძეულობას რეალიზაცია, რა დანიშნულებას მოსწმარდა რეალიზაციიდან მიღებული თანხები.“[28] ასეთ ვითარებაში დაიმსხვრა იმის ილუზია, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ეკლესიას მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. ეპისკოპოს დავით კაჭახიძის ბოლშევიკების ერთერთი ლიდერისმიხა ცხაკაიასადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს როგორ ილუზიებში იყო იგი „კომუნიზმის გაძლიერებისათვის უმჯობესია, საბჭოთა ხელისუფლებამ უმაღლესი საერო მთავრობის №25 დეკრეტი სარწმუნოების შესახებ დაიცვას. ხოლო თუ საეკლესიო წესებში და სამღვდელოებაში რაიმეა დასაგმობი, მიზეზი თვით რელიგიაში – ქრისტიანობაში კი არ უნდა ეეძიოთ, არამედ თავად სამღვდელოებაა გასაჩოთქი“[29] სამღვდელოება არა თუ „გაჩოთქეს“ დაატერორეს და საერთოდ მოქალაქეობრივი უფლებებიც ჩამოართვეს.

1924 წლის 15 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველი, ეპისკოპოსი ქრისტეფორე იძულებული გახდა საგანგებო წერილით გამოხმაურებოდა შექმნილ რთულ ვითარებას. იგი მთავრობის თავმჯდომარეს ატყობინებდა: „მიუხედავად 1923 წლის ხელისუფლების ინსტრუქციებისა და რელიგიურ საზოგადოებათა დაარსების ორგანიზაციისა და თავისუფლად მოქმედების შესახებ ცხოვრებაში არ ტარდება, ფაქტიურად ხალხს აკრძალული აქვს სარწმუნოებაზე ხმის ამოღება. საქართველოში,დაკეტილია 1000-ზე მეტი ეკლესია (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 10 მაისი). ეს გარემოება ვერ აიხსნება ვერც ჩვენი ხალხის ვითომდა დაწინაურებით, ვითომც სარწმუნოებისადმი გულგრილობით... არსად საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე არ წარმოებს სარწმუნოების ისე შევიწროება,როგორც საქართველოში... საჭიროა ყველა ერებმა, რომელნიც საბჭოთა ფედერაციაში შედიან იგრძნონ თავი არა როგორც გერებმა, როგორც ეს იყო 1917 წლის რევოლუციამდე, არამედ საკავშირო სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს რესპუბლიკების ღვიძლ შვილებად ჭირსა და ლხინში. ქართველი ხალხი სარწმუნოების საკითხში დაჩაგრულად გრძნობს თავს... ნებას მივცემ ჩემ თავს გულახდილად ავღნიშნოთ ერთი გარემოება. მიმდინარეობს დაცინვა,გამასხარავება სასულიერო პირებისა, საზოგადოდ და ნამეტნავად ქუჩებში,ეს უფრო ამცირებს მათ,ვინც დაცინვას აწარმოებს,ხოლო სამღვდელოებას მოსახლეობის თვალში მოსავს შარავანდედითა და მოწამებრივი გვირგვინით. ასეთ დაცინვას აწარმოებდნენ ახალგაზრდები, ასე იქცევიან განსაკუთრებით რუსები, სომხები და ებრაელები. შეგიძლიათ მთლიანად დაკეტოთ ეკლესიები სარწმუნოება ისევ დარჩება

უმრავლესობის გულში. განა სამღვდელოებამ არ იცის, რომ საეკლესიო ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ ხმას ვერავინ იღებს, ჩვენ გვიხდება ეკლესიის განახლებაზე ფიქრი, როცა მთავრობა წმინდად ათეისტურია.

აუცილებლად მიგვაჩნია – სასულიერო პირები მოქალაქეობრივი უფლებით გაუსწორდნენ სხვებს. ქალაქად და სოფლად სასულიერო პირთ ჰქონდეთ გარკვეული ქონება, სახლები, მრევლისგან აშენებული და მათთვის დანიშნული, ეს სახლები მათ ჩამოართვეს... გაპარტახების პირზეა მონასტრები იქნებ მიგვეცა უფლება მონასტრებში მცხოვრები ბერებისათვის მიწის ნორმის ქონებისა, რომ თავისი შრომით ირჩინონ თავი.

ეპისკოპოსი ქრისტეფორე მთავრობისაგან მოითხოვდა: 1. გაღებული იქნას ეკლესიები ყველგან საქართველოში, სადაც კი მრევლი, თუნდაც უმცირესობაც ამას მოითხოვს, 2. გამარტივებულ და გაადვილებულ იქნას რელიგიურ საზოგადოებათა გახსნის და მოწყობის საქმე. 3. დაუბრუნდეს სასულიერო პირთ საერო ტანისამოსით სამოქალაქო სამსახურში შესვლის ნება, 5. დაუბრუნდეს ეკლესიებს ჩამორთმეული ქონება, რომელიც აუცილებელია ღვთისმსახურებისათვის. სინდისის თავისუფლების რეალურად ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს ქართველი ერის მორწმუნეთა სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას... საქართველოს ეკლესია საჯაროდ აცხადებს, რომ იგი სცნობს დღევანდელ საბჭოთა მთავრობას, დგას პოლიტიკის და პოლიტიკურ პროცესის გარეშე და არავის თავის წევრთაგან არ მისცემს უფლებას ამის წინააღმდეგ წაიდეს."[39] ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები საჯაროდ გმობდნენ ადმინისტრაციული წესით ეკლესიების დახურვას, სასულიერო პირთა დევნაშევიწროებას და ამას პროვინციელი ბოლშევიკების თავდადებას მიაწერდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს არ ხდებოდა მათი საიდუმლო მითითებების გარეშე.

1924 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს – „ვაღიარებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებაში. ეგმობთ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურას. ამაღე დროს პროტესტს გამოვთქვამთ საქართველოში რელიგიური დევნის გამო, სასულიერო პირს დღეს თავისუფლად მოგზაურობა არ შეუძლიათ საქართველოში... მაგალითად მღვდლები, ძმები ნესტორ და სვიმონ დააპატიმრეს გზაში (სურამში მიდიოდნენ). სვიმონი გაგიჟდა, ნესტორი მეტეხის ციხეში ზის, ციხეებში ჩაყარეს მღვდლები მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთისმსახურებას ასრულებდნენ. გთხოვთ, 1. გაადვილებულ იქნას რელიგიურ საზოგადოებათა შექმნის პირობები, ცნობილ იქნას საკმარისად საზოგადოების არსებობისათვის 50 წევრის ყოლა, ნაცვლად 1500-სა, შეჩერებულ იქნას ეკლესიების დახურვა. 2. შეწყვეტილ იქნას სასულიერო პირთა შეეწროებადევნა, 3. დაუბრუნდეთ სამუშაო მიწის ნორმა სასულიერო პირთ, რომელნიც თავის შრომით აწარმოებენ მეურნეობას. 4. დატოვებულნი იქნან თავიანთ ბინებზე თბილისში მცხოვრები სასულიერო პირები. 5. სასწრაფოდ გამოძიებულ იქნას საქმე იმ სასულიერო პირთა, რომელნიც ციხეში სხედან და თუ ისინი არ იქნებიან დამნაშავენი გაათავისუფლონ. დასასრულ სინდისის თავისუფლების დეკრეტის რეალურად ცხოვრებაში გატარება სრულად დაამშვიდებს ქართველ მორწმუნეთ, რომელნიც შეადგენენ ქართველი ერის უდიდეს ნაწილს და წაართმევს საბჭოთა ხელისუფლების მტერთ უკანასკნელ საშუალებას, რაიმე გავლენა იქონიონ ქართველ ერზე."31 მიმართვას ხელს აწერდნენ: ეპისკოპოსი ქრისტეფორე, ეპისკოპოსი დავითი, ეპისკოპოსი სვიმეონი, ეპისკოპოსი ნესტორი. ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ ბოლშევიკურ ხელისუფლებას საგანგებო წერილობითი განცხადებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვა. საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს „როგორც თბილისის სამღვდელოებამ თავის საოლქო კრების დადგენილებით, ისე საქართველოს ეკლესიის ყველა ეპისკოპოსმა მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში 1924 წლის 20 ოქტომბერს განუცხადეს მთავრობას, რომ სამღვდელოება სცნობს საბჭოთა მთავრობას,

გმობს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს,რომელიც მოწყობილი იყო 1924 წლის აგვისტოში,მაგრამ ამავე დროს საქართველოს ეკლესია სცნობს კათოლიკოსპატრიარქად ამბროსის, რომელიც მის მიერ გაგზავნილ მემორანდუმისათვის არის დასჯილი და ზის ციხეში. გასამართლებულთაგან გაათავისუფლეს: დეკანოზები მ. ტყემალაძე, ა. თოთიბაძე, ა. მირიანაშვილი, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე.

ეფიქრობ პატრიარქ ამბროსიც და დეკანოზი კალისტრატეც უნდა გათავისუფლდნენ... ეს პირნი სრულიად უვნებელნი იქნებიან გათავისუფლების შემდეგ მთავრობისათვის, ჩემთვის სრულიად ცხადია, ამის თავდებობის ტვირთვა შემიძლია მთელის ჩემის პასუხისმგებლობით.“ქრისტეფორე ურბნელი. 1925 წ. იანვარი.

მიუხედავად ამისა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა მიუღებელი იყო. 1924 წლის 6 ივლისს მორწმუნეთა ჯგუფმა სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვაზე არ შეუშვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველი და მისი მომხრე ეპისკოპოსები. 1925 წლის 10 მარტს საპატიმროდან გაათავისუფლეს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს წევრები. მორწმუნე საზოგადოება დიდი სიხარულით შეეგება წამებულ სასულიერო პირთ, რომელთაც დიდი სულიერი ტანჯვა-წამება გადაიტანეს საპყრობილეში. უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის მიაჩნდა, რომ კურსი, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა ატარებდა იყო მიუღებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავლისათვის, მორწმუნე მრევლისათვის. იგი შეუდგა რა საქართველოს ეკლესიის მართვას პირველ ყოელისა ახსნა-განმარტება მოსთხოვა ქუთათელ ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს საქართველოს ეკლესიის რეფორმის პროექტის გამო. ამავე დროს თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა კალისტრატე (ცინცაძე), მელქისედეკი (ფხალაძე), ვარლაამი (მახარაძე), სტეფანე (კარბელაშვილი). მის პოზიციას მხარს უჭერდა ეპისკოპოსი პავლე (ჯაფარიძე). უწმიდესი ამბროსის განკარგულებით ეპისკოპოს კალისტრატეს მიებოძა მიტროპოლიტობა და დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ (30. X. 1925 წ.) ეპისკოპოსი ქრისტეფორე გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად (7. IV. 1925 წ.). უწმიდესი ამბროსის ეს გადაწყვეტილებანი მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს ქრისტეფორეს, ეპისკოპოსის დავითის, ეპისკოპოსის სიმეონის, ეპისკოპოსის ნესტორისათვის. იმ დროს, როდესაც ბოლშევიკური ხელისუფლება ახორციელებდა აგრესიული ათეიზმის პოლიტიკის, სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში როგორც მაღალი იერარქიები, ასევე რიგითი სასულიერო პირები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს... იყო ურთიერთბრალდებები... დაპირისპირებების კულმინაცია იყო 1926 წლის 26-27 დეკემბერი,როდესაც უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსისთან,საკათოლიკოსო საბჭოსთან დაპირისპირებულმა სასულიერო პირებმა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხეის გარეშე ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მიტროპოლიტები: ქრისტეფორე, დავითი, ეპისკოპოსები სიმეონი, ნესტორი. სამღვდელოებიდან დეკანოზები: ალექსი თევზაძე, ბენიამინ კანდელაკი,რაფიელ ივანიცკი,ნესტორ მაჭარაშვილი,იოანე ლუკაშვილი,იოსებ ჩიჯავაძე, დავით ხახუტაშვილი, ზაქარია ლუკაშვილი — თბილისიდან, ელიზბარ ანჩაბაძე, სიმონ გიგინეიშვილი — სოხუმიდან, დეკანოზი ალექსი გულისაშვილი გარე კახეთიდან, არქიმანდრიტი გრიგოლ სიდამონიძე — ბორჩალოდან, დეკანოზები — კონსტანტინე შანიძე,ამბროსი ფოფხაძე,სილოვან შუბლაძე,დავით მუსერიძე — ქუთაისიდან,დეკანოზი არსენ თოხაძე — აჭარიდან,დეკანოზი სიმონ სალარიძე — გორიდან,იოანე სარალიძე — ბორჯომიდან, გრიგოლ მაჭავარიანი — სიღნაღიდან, დეკანოზები ლავრენტი დეკიძე, კოტე ანთაძე — შორაპნიდან, იოანე ბობოხიძე — ფოთიდან, ევგენი შენგელია — ზუგდიდიდან, დეკანოზი ლევან ვარდიაშვილი — თელავიდან, დეკანოზი ვასილ კოპტონაშვილი — ახალციხიდან,ვასილი ხიდაშელი — ცხინვალიდან,დავით ჯორბენაძე

– ოზურგეთიდან. ყრილობის ინიციატორებმა სცადეს ქართული ინტელიგენციის მხარდაჭერის მოპოვება ამ მიზნით ყრილობაზე მიიწვიეს: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, სერგი გორგაძე, აკაკი შანიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, მელიტონ კელენჯერიძე, მაგრამ ისინი საეკლესიო კრებას არ დასწრებიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა შემთხვევაში სასულიერო პირებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის გამოც აპატიმრებდნენ ქუთაისის საეკლესიო კრება მუშაობას ვერ შეუდგებოდა თუ მას ოფიციალური ხელისუფლებისგან მხარდაჭერა არ ექნებოდა. ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის მიუღებელნი იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს ის შემადგენლობა, რომელმაც ქართველი ერის ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლების დასაცავად ხმა აღიმაღლა და ამის გამო საპატიმროშიც მოხვდნენ,მაგრამ სულიერად არ გატყდნენ. უწმიდესი ამბროსი წამებულის შარავანდედით იყო შემოსილი,რაც საოკუპაციო ხელისუფლებას კიდევ უფრო აღიზიანებდა. ქუთაისის კრების მონაწილეთა უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას,საეკლესიო ცხოვრების სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობას აღიარებდა. ქუთაისის საეკლესიო კრების დღის წესრიგი ასე განისაზღვრა: 1. „დროებითი საეკლესიო მმართველობის დაარსება; 2. საქართველოს მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტის მიღება; 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს მოქმედებისა და მისი დღევანდელი შემადგენლობის გადაყენების შესახებ; 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრების მოწვევის დროის განსაზღვრა; 5. მიმდინარე საკითხები.“32 კრებაზე იმსჯელეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილი ვითარების შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს გაუქმებისა და მისი წევრების საეკლესიო თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. მაინც რა იყო საკათოლიკოსო საბჭოსადმი ასეთი მტრული დამოკიდებულების მიზეზი? მხოლოდ პიროვნული შეუთავსებლობა, ამით მათ სურდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისათვის დასაყრდენი გამოეცალათ. ჯერ კიდევ 1925 წლის შემოდგომაზე ფიზიკურად დასუსტებულმა უწმიდესმა ამბროსიმ საკათალიკოსო საბჭოს დაამტკიცებინა მის მიერ წარდგენილი წინადადება კათოლიკოს-პატრიარქის ავადმყოფობის შემთხვევაში მოსაყდრე მიტროპოლიტი კალისტრატე შეასრულებდა კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობას. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებს საკათოლიკოსო საბჭოს ამ დადგენილებამ წონასწორობა დააკარგვინა და გამოატანინა სრულიად უკანონო განჩინება 1926 წლის მარტში „დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს შეუდგეს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის აღსრულებას, როგორც საკათოლიკოსო საქმეების, ისე მცხეთა-თბილისის საეპარქიო საქმეთა წარმოებაში.“33 ეს გადაწყვეტილება უკვე აშკარად მიანიშნებდა ორხელისუფლებიანობის არსობას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში. ქუთაისის საეკლესიო კრებამ დაადგინა: „1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს შემადგენლობა გადაყენებულ იქნას; 2. საკათოლიკოსო საბჭოს ნაცვლად საეკლესიო კრების მოწვევამდე დაარსდეს საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა. შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მიტროპოლიტი ქრისტეფორე, თანაშემწე ეპისკოპოსი სტეფანე. წევრები: ეპისკოპოსები ალავერდელი მელქისედეკი, ურბნელი სვიმონი (ამ დროს ქრისტეფორე უკვე იყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი ს.ვ.). დეკანოზები: დ. ხახუტაიშვილი,ნ. მაჭარაშვილი,ბ. კანდელაკი, სამოქალაქო პირნი: კ. სვიმონიშვილი, გ. გაჩეჩილაძე. 3. დროებით გამგეობას უფლება ეძლევა კოოპტაციით მოიწვიოს თავისი შემადგენლობის შესავსებად ეკლესიისათვის სასარგებლო პირები. 4. საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას ევალება ჩაიბაროს საკათოლიკოსო საბჭოს ყოველივე საბუთები, თანხები, ინვენტარი საკათოლიკოსო კანცელარიისა. 5. ყველა ის სასულიერო თანამდებობაზე მყოფნი პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას დათხოვნილად ითვლებიან; 6. ეპისკოპოსი დავითი დატოვეულ იქნას ქუთაისის

კათედრაზე მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით. დროებითმა გამგეობამ უნდა მოიწვიოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრება. 7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი რჩება თავის თანამდებობაზე."34 დროებითი გამგეობის მიერ საეკლესიო მართვა-გამგეობის ხელში აღების შემთხვევაში რა ფუნქცია დარჩებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს ამბროსის? ალბათ ფორმალური. ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილეებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსისადმი გაგზავნილ წერილში თავიანთი მოქმედებანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავლის გამო გადადგმულ აუცილებელ ნაბიჯად გამოაცხადეს?! „ჩვენი მიზანია საქართველოს ეკლესიის ერთიანობის, სიმშვიდისა და სიმტკიცის შენარჩუნება. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს უადგილო და უდროო რეფორმები შემოვიღოთ ეკლესიაში, ვარწმუნებთ თქვენს უწმიდესობას, რომ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა უაღრესად გაღვივდება როგორც ჩვენი, ისე მთელი მორწმუნე ერის გულში უკეთუ გაიზიარებთ ჩვენს თქვენთან თანამშრომლობას, თანახმად წარმოდგენილი დადგენილებისა, რომელნიც არ არიან მომართული თქვენი უწმიდესობის პიროვნების წინააღმდეგ, არამედ გამოწვეულია მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სიყვარულით."36 ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ წერილის შემდგენელთა აზრს, რომ თითქოს მათ არავითარი პირადული ზრახვები არ ამოძრავებდათ და მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სიყვარულით მოქმედებდნენ. ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილეობამ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ გამოაქვეყნეს საგანგებო მიმართვა: „ყოველი მორწმუნე ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს თუ როგორ სატირალ მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესია და ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები ჩვენი ეკლესია მთლიანად განადგურდება... ყოველივე ამის მიზეზია საკათოლიკოსო საბჭოს უტაქტო მოქმედება, საეკლესიო კანონების უგულებელყოფა დროისა და გარემოებისათვის ანგარიშის გაუწევლობა. საკათალიკოსო საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებებია: ა) უსამართლო დასჯა საქართველოს ეკლესიის ყველაზე უხუცესი მღვდელმთაერის ეპისკოპოს დავითისა ქუთათელის კათედრიდან მაწყვერელ ეპისკოპოსად გადაყვანით, სადაც არც ბინა არის და არც საშუალება იმის შესანახად. (სულ 15-20 ღარიბი ეკლესიაა) მას ბრალი წაუყენეს ვითომც ერეტიკოსობაში, კათოლიკოს ამბროსის მიერ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ეპისკოპოს დავითის თავმჯდომარეობით შედგენილი პროექტო საეკლესიო რეფორმებისა არამც თუ სცილდება ამ ფართეთ დასახულ პროგრამას, საკათოლიკოსო საბჭოს მოწოდებებს. დავითს ამ პროექტის გამო მწვალებელი შეერქვა. ბ). ეპისკოპოსი დავითი მეტეხის ციხეში იყო უწმიდეს ამბროსთან და მოსთხოვა გადადგომა. ეს არა თუ დანაშაული, არამედ მოვალეობის შესრულება იყო, რომელიც გამოხატავდა სამღვდელოების სურვილს არ ჩარეულიყვნენ პოლიტიკაში... ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება არის ყველაზე ჰუმანური ხელისუფლება, რომლის მოქმედება მიმართულია ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური წარმატებებისაკენ... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭო 1924 წლიდან იყო ვადაგასული, ქუთაისის კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა კანონიერია, ვინაიდან მის შექმნას ხელს აწერს 6 ეპისკოპოსი. გ) საკათოლიკოსო საბჭოს დანაშაული იყო 1924 წლის იელისში მიღებული ბრძანება კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე ქრისტეფორეს თბილისიდან გორში გადაყვანის და მის მაგიერად ეპისკოპოსის პავლეს დანიშვნისა. ეპისკოპოსთა კრებულში თავის სასარგებლოდ ხმების უფლების შესაქმნელად 1925 წლის შემოდგომაზე აცურთხეს 5 ეპისკოპოსი: მელქისედეკი, სტეფანე, კალისტრატე, ალექსი, ვარლამი... საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით კალისტრატე უცებ გაამიტროპოლიტეს... საკათოლიკოსო საბჭოს უკანონობას მოჰყვა ფრიად სამწუხარო განხეთქილებანი ეკლესიაში. ამიტომ საკათოლიკოსო საბჭო დათხოვნილია."37 მიმართვას ხელს აწერდნენ: საქართველოს

ეკლესიის დროებითი გამგეობის თავმჯდომარე (ქუთაისის კრებამ შექმნა ეს ორგანო ს.ვ.) მიტროპოლიტი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი დავითი (ქუთაისის კრებამ გაამიტროპოლიტა ს.ვ.), ეპისკოპოსები: იოანე (მარღიშვილი), ნესტორი (ყუბანეიშვილი), სტეფანე (კარბელაშვილი), სიმეონი (ჭელიძე), დეკანოზები: დ. ხახუტაშვილი, ი. აბესაძე, თ. დგებუაძე, პ. კარბელაშვილი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი გრძნობდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ინსპირირებული დაპირისპირებების სერიოზულობას. მისი განკარგულებით 1926 წლის 25 დეკემბერს სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა,რომელმაც მოისმინა მისი უწმიდესობის მიერ განსაკუთრებული ოფიციალური განცხადების ტექსტი: „მიეიღე ინფორმაცია,რომ ქუთაისში ეპისკოპოს დავითის მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე მოწვეული იყო საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ეპარქიებიდან ზოგიერთი მღვდელმთავარი და საეკლესიო პირი. საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო რა მხედველობაში, რომ ამნაირი კრება არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკლესიის დებულებით. განაჩინა: ქუთაისში ჩატარებული საეკლესიო კრება გამოცხადდეს უკანონოდ.“38 ქუთაისის საეკლესიო კრების მიერ საკათოლიკოსო საბჭოს და კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსისადმი წამოყენებულ ბრალდებებზე დასაბუთებული პასუხებია გაცემული მიტროპოლიტ კალისტრატეს მიერ, მოეუსმინოთ მის არგუმენტებს: „შემთხვევით გაეცანი ერთს რემენგტინის მანქანაზე დაბეჭდილ რვა გვერდიან საბუთს შემდეგის სათაურით: „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ.“ ამ საბუთის ბოლოში მოთავსებულია — „სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ქ. ტფილისი 1927 წ. 6 იანვარს.“ ეს საბუთი (უმჯობესია ეუწოდოთ „ეპისტოლე“) დროებითი მმართველობის მიერ გაცემულ საბუთების სიაში არ არის აღნიშნული,– არ უზის №, არც ტფილისის მთავარხუცესს მიუღია მისდამი რწმუნებულ ოლქისადმი გამოსაცხადებლად. მაშასადამე, ეპისტოლე იგი ოფიციალური ხასიათის არ არის. ეპისტოლე ბლომად გაუგზავნიათ პროვინციაში, ტფილისშიც მრავალი მიუღიათ თვით დროებითი მმართველობის წევრებიდანაც:

ცხადია, ეპისტოლე ოფოციალური ხასიათის წერილად მაინც უნდა ჩაითვალოს.

რას შეიცავს ეპისტოლე? საკათოლიკოზო საბჭოს „უკანონო“ მოქმედებათა აღნუსხვას და ამის გამო 1926 წლის დეკემბერ 26-27 ქუთაისში მომხდარ „კრების“ მიერ „საკათოლიკოსო საბჭოს შემადგენლობის“ „გადაყენების“ აუცილებლობას.

სანამ ეპისტოლეს არსებითად განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა განვმარტოთ, რომელ საკათალიკოზო საბჭოზეა ლაპარაკი ეპისტოლეში. 1921 წლის სექტემბერში საეკლესიო გელათის კრებამ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია), ხოლო საკათოლიკოსო საბჭოს წევრად (სამღვდელოთაგან) ი. მირიანაშვილი,მ. ტყემალაძე და კ. ცინცაძე (და საეროთაგან) ნ. თავდგირიძე,ვ. ივანიცკი და კ. კეკელიძე. ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ,რომ ჩვენი ეკლესიის „დებულებით“ (60) საკათოლიკოსო საბჭოს მუდმივ ან პასუხიმგებელ წევრებად ითვლებიან საქართველოს „ყველა მმართველი მღვდელმთავრები. 1922 წლისგანმაელობაში საბჭოს ჩამოშორდნენ რ. ივანიცკი და კ. კეკელიძე. მათ მაგივრად მიწვეულ იქმნენ გელათის კრებისაგან არჩეული კანდიდატები ნ. არჯევანიძე და ი. რატიშვილი. 1923 წლის იანვარში,დაპატიმრებულ იქმნენ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საბჭოს წევრები ნ. თავდგირიძე, ი. მირიანაშვილი და კ. ცინცაძეც. თუმცა ზემოაღნიშნულსა გამო 1923 წლის იანვარში საკათოლიკოსო საბჭოს მუშაობა შეწყდა, მაგრამ იმავე წლის სექტემბრის 7 იგი განახლდა. ამ საბჭოში შედიოდნენ ყოველადსამღვდელო ქრისტეფორე (ციცქიშვილი) რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის პატიმრობაში მყოფობის დროს მისი უწმიდესობის ნებართვით ეწოდა კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილეობას. დეკ. გ. გამრეკელი, ი. რატიშვილი, გ. იმნაიშვილი (სამივე კანდიდათაგანი) და მათ მიერ კოომპტაციის წესით მიწვეულნი დეკ. ბ. კანდელაკი და ს. მგალობლიშვილი (დეკ.

მ. ტყემალაძემ და ნ. არჯევანიძემ აღარ მოისურვეს საბჭოში მუშაობა). 1924 წლის მეორე ნახევარში განთავისუფლებულ იქმნენ (სხვა და სხვა დროს) ი. მირიანაშვილი, ნ. თავდგირიძე და ტყემალაძე. 1925 წ. იანვრის 12 ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორეს მიერ სამიევე მიწვეულ იქმნენ საბჭოში სამუშაოდ. ამის შემდეგ საბჭოდან გავიდნენ ბ. კანდელაკი და ს. მგალობლიშვილი. 1925 წ. მარტის 8 განათავისუფლეს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და დეკანოზი კ. ცინცაძე. მისი უწმიდესობა შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას,ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორე კი მიიქცა თავის ეპარქიაში (ჯერ ურბნისისაში და შემდეგ სოხუმისაში) დეკანოზი კ. ცინცაძე, მიუხედავად მისი მარტის 25 დათარიღებულ № 6414 განსხვავებისა („მე 1924 წლის სექტემბრამდე მქონდა უფლება წევრად ყოფნისა.") მაინც მიწვეულ იქმნა საბჭოში იმ მოსაზრებით, რომ წევრები ვალდებულნი არიან დარჩენ სანამ ახლები არ იქნებიან არჩეულნიო. ამრიგად 1921 წლიდან 1926 წლის დასასრულამდე საკათ. საბჭო მუშაობდა ორი შემადგენლობით, რომელთაგან №1 მეთაურობდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, ხოლო №2-ში კი დეკანოზი კანდელაკი, დანარჩენები (მეტნაკლები ხანგრძლივობით) მუშაობდნენ ორთავეში.

დროებითი მმართველობის მოქმედი წევრები არიან №2 საკათოლიკოსოს საბჭოს მთავარი მოქმედნი ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორე და დეკ. ბ. კანდელაკი, ამის გამო, როცა ეპისტოლეში ლაპარაკობენ საბჭოზე უნდა ეიგულისხმოთ №1 საბჭო, ანუ (სისწორით რომ ვთქვათ) კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და დეკანოზი კ. ცინცაძე. ნათქვამის შემდეგ გასაგებია, თუ რა მაბედვინებს, ავიღო ხელში კალამი მეტად დიდი ადგილი უჭირავს ჩემს პიროვნებას ეპისტოლეში...

I) ა) პირველ და უმთავრეს „ნაკლად" ეპისტოლე აღიარებს დებულებას,– საკათოლიკოსო საბჭოს მიერ „სიბრძნისა და წინდახედულობის" უქონლობის გამო საქართველოს ეკლესიასა და „საერო მთავრობის" შორის არაკეთილმშვიდობიანი დამოკიდებულება „დამყარდაო..." მართლა ფაქტია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს „საერო მთავრობის" შორის არსებობდა „არაკეთილმშვიდობიანი დამოკიდებულება"? 1926 წლის დეკემბრის 28 კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ განაცხადა საკათოლიკოსო საბჭოში შემდეგი: „მიეიღე ცნობა, რომ ზოგიერთნი პირნი ავრცელებენ ქართველ მორწმუნეთა საზოგადოებაში ხმას, ვითომც საკათოლიკოსო საბჭოს უკანონო მოქმედებათა და მთავრობისადმი ურჩობის გამო, საკათოლიკოსო საბჭოსა და საქართველოს ს.ს.ს. რესპუბლიკის მთავრობის შორის არ არსებობდეს მშვიდობიანი ურთიერთობა, რაც ვითომ შედეგად მოჰყოლოდეს ეკლესიისადმი მთავრობის განსაკუთრებული სიმკაცრე და შეიწროება." იქონია რა აღნიშნულ განცხადებისა გამო მსჯელობა, საკათოლიკოსო საბჭომ (სხდომას დაესწრო ექვსი მმართველი მღვდელმთავარიც) ერთხმად დაადასტურა, რომ „საკათოლიკოსო საბჭოს არ აქვს საფუძველი თქვას (და არც უთქვამს), ვითომც საქართველოს ს.ს. რეს.პუბლიკის მთავრობა სხვაგვარად ეპყრობოდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვინმე სხვა რომელიმე აღსარების, ან სარწმუნოების რელიგიურ საზოგადოებას."

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეპისტოლე ამცნობს „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთ," „საკათოლიკოსო საბჭოს (იგულისხმება №1)... უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოციქულთა პავლესი (რომ. 13,1-2) და პეტრესი (1.2.13) სიტყვების დაეიწყება, რომ ქრისტიანეთ კეთილმშვიდობიანი დამოკიდებულება იქონიონ საერო მთავრობასთან. არ იქნებოდა სახეირო ეკლესიისათვის (გე. 3). მართლადაც, ნაჩვენებ ალაგას მოციქული პავლე სწერს: „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ... რომელი ადგებოდეს ხელმწიფებასა, ღვთისა ბრძანებასა ადგების." ხოლო მოციქული პეტრე კი ბრძანებს: „დაემორჩილენით უკეე ყოველსავე კაცობრივსა ხელმწიფებასა"-ო. ე.ი. მთავრობას დაემორჩილეთ და ნუ აღდგებით მის წინააღმდეგო. ამიტომ, როცა დროებითი მმართველობა ამხილებს საკათოლიკოსო №1 საბჭოს მოციქულთა პეტრესა და პავლეს სიტყვები დაგვიწყებიათო და ისიც „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ" ეპისტოლეში, მოვალე იყო როგორც

იურიდიულად ისე ზნეობრივად დაესახელებია ანუ აღენიშნა თუნდაც ერთი ფაქტი, „რომელიც ცხადყოფდა, რომ საკათოლიკოსო №1 საბჭო „აღუდგა“ „ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა“ და არ „დაემორჩილა“ მას. ამგვარ ფაქტს დროებითი მმართველობა არ უჩვენებს (და ვერც უჩვენებს), ვინაიდან საკათოლიკოსო №1 საბჭო ყოველთვის იდგა კანონიერების ნიადაგზე: ჰქონდა მთავრობასთან „კეთილმშვიდობიანი“ დამოკიდებულება, – მიმართავდა მას თავის საჭიროებათა გამო, ემორჩილებოდა მის ბრძანება-განკარგულებებს და „დაჟინებით მოითხოვდა სამღვდელოებისაგან ეკლესიის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებით (1) საესებით და აღსრულებას“ (1926 წ. XII. 28 ოქმი) ამის გამო დროებითი მმართველობის ზემოაღნიშნული მხილება (ნამდვილათ კი ბრალდება) საკათოლიკოსო №1 საბჭოს მიმართ ძლიერ ენათესაება ცილისწამება-დასმენა-დაბეზღებას.“ ამის შემდეგ გასაგებია საკათოლიკოსო საბჭოს 1926 წლის დეკემბრის 28 ოქმის შემდეგი ამონაწერი: „კ. პატრიარქის მიერ მიღებული ცნობა უნდა ჩაითვალოს პირადი და ბოროტი მიზნით გამსჭვალულ ადამიანთა მიერ გავრცელებულ ცილისწამებად, რომელიც გამოწვეულია საკათტოლიკოსო საბჭოს კანონიერ და კანონიკურ ნიადაგზე მტკიცედ დგომისა გამო უკმაყოფილებით.“

ბ) ეპისტოლეს მკითხველმა შეიძლება იფიქროს, საკათოლიკოსო საბჭოს მიმართ წამოყენებული ბრალდება საბუთდება სიტყვებით: „საკათოლიკოსო საბჭოს უნდა მიეღო ზომები (კათოლიკოს-პატრიარქის), მემურანდუმი არ გაგზავნილიყო (გენუაში, გვ. 3) მაგრამ, ჯერ ერთი: საიდან იციან ეპისტოლეს ავტორებმა, რომ საკათოლიკოსო საბჭოს შეეძლო „მიეღო ზომები მემორანდუმი არ გაგზავნილიყო“? მემორანდუმის შედგენა-გაგზავნის საქმეში საკათოლიკოსო-საბჭოს წევრები იღებენ მონაწილეობას იმდანადვე, რამდენადაც მონაწილეობდა ამ საქმეში დღევანდელი დროებითი მმართველობის მეთაური, ხოლო მაშინდელი საკათოლიკოსო საბჭოს მუდმივი წევრი – ყოველადსამღვდელო ქრისტეფორე: არც მეტად არც ნაკლებად. და თუ მისი მეუფება ბრძანებს, – „ვიღებდით მონაწილეობასა,“ მაშინ ან ერთად უნდა მიგვეღო ზომები მემორანდუმის გაუგზავნელობისათვის, ან მის ყოელადუსამღვდელოესობას უნდა მოგონებოდა ცოტნე დადიანი და მსგავსად ამ კეთილშობილი მამულიშვილისა, მობრძანებულიყო ჩვენთან და გაეზიარებინა ჩვენი ბედი... ეპისტოლეს ავტორებმა კარგად იციან, რომ მემორანდუმი დაწერა და გაგზავნა საბჭოს მონაწილეობის გარეშე კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, და თუ მის გამო მოთავსებულ იქმნენ საგანგებო კომისიაში და გამასწორებელ სახლში ნ. თაყდგირიძე, ი. მირიანაშვილი, მ. ტყემალაძე და კ. ცინცაძე (რომელმაც გაატარა იქ 26 თვე, კ. პატრიარქმა კი 16) უნდა გულწრფელად აღიაროო, რომ ჩვენ გვეწვია ისეთი ხვედრი, როგორიც წილად ხვდა კაცსა კეირინელსა, სახელით სეიმონს, რომელი წარიქციეს, რათა აღიღოს ჯვარი იესოსი (მათ. 27,32) ცხადია, საკათოლიკოსო საბჭოს მემორანდუმის გაუგზავნელობისათვის ზომებს ვერ მიიღებდა: კათოლიკოზ-პატრიარქი მეტად დიდი პიროვნებაა, რომ მის სულსა და გულს ვინმე დაეპატრონოს...

ბ) ადამიანის ყოველსავე მოქმედებას აქვს დასასრული: მემორანდუმის „შემადგენელნი და გამგზავნელნი“ ფრიად კომპეტენტურ ორგანოს მიერ არამც თუ დაისაჯნენ არამედ შეწყნარებულ და განთავისუფლებულნიც იქმნენ „დანარჩენ სასჯელისაგან.“ ამით სავსებით ამოიწურა „მემორანდუმის გაგზავნის“ საკითხი მათ მიერ, ვისაც ეს საქმე ეკითხებოდა და ვიზედაც იგი დამოკიდებული იყო მთლიანად ჩანს, ოფიციალურად ღვთისუარისმყოფელნი და ქრისტიანობასთან მებრძოლნი ადამიანები, მეტის ქრისტიანული ლმობიერებით და კაცთმოყვარებით ყოფილან განმსჭვალულნი, ვინემ ქრისტეს მოძღვრების ოფიციალურად მქადაგებელნი და მისი მადლით „შემოსილნი“ ეპისტოლეს ავტორები, რომელთაც ვერ შეუგნიათ ვერც საღვთო წერილის სტყვები (ხომ. 1,9) და ვერც მოციქულთა (25) კანონი: „არა შური იძიო ორგზის ერთბამად“, ე.ი. ერთი დანაშაულისათვის ორჯერ დასჯა არ შეიძლებაო... „მამაო მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკ. 23,24), ანუ რასა იტყვიან!

გ) ეპისტოლეს ავტორები მოძღვრავენ თავიანთ მკითხველებს: „საკათოლიკოსო

საბჭო მემორანდუმის გაგზავნის შემდეგ მაინც უნდა ცდილიყო მის გასაბათილებლად“ (გვ. 3) აქ ადგილი უნდა ქონდეს ან გულმავიწყობას, ან ცბიერებას. საკათოლიკოსო საბჭო არამც თუ შეეცადა, არამედ მიიღო კიდეც რადიკალური ზომები „მემორანდუმის გასაბათილებლად.“ თვით ეპისტოლე გვამცნობს რომ 1923 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში კათოლიკოს-პატრიარქს წარსდგომია ქუთაისიდან გამოგზავნილი დელეგაცია (ეპისკოპოზი დავითი, დეკ. პლატონ ცქიტიშვილი და ტრიფონ ჯაფარიძე) თხოვნით, — „მემორანდუმის გაგზავნის გამო შეეტანა საბჭოთა მთავრობის წინაშე განცხადება, რომ მემორანდუმის გაგზავნა იყო შეცდომა,“ ხოლო იმავე წლის ენკენისთვის 9. საკათოლიკოსო საბჭოს №2 ს (1 ამ დროს მეტეხში იმყოფებოდა კათოლიკოს-პატრიარქი) სიონის გალავანში განუჩენია: „ეთხოვოს მის უწმიდესობას თავისი ადგილი დაუთმოს სხვა პირს.“ ურნალს ხელს აწერენ ეპ. ქრისტეფორე, ეპ. დავითი, დეკ. ბ. კანდელაკი და ს. მგალობლიშვილი. ჩანს ეპისტოლეს ავტორთა და საკათოლიკოსო №2 საბჭოს (აგრეთვე ქუთაითურ დელეგაციის) აზრით, „მემორანდუმის გასაბათილებლად“ საჭირო ყოფილა კათოლიკოზის მიერ, ან „მემორანდუმის გაგზავნის შეცდომად აღიარება,“ ან „სხვა პირისათვის თავისი ადგილის დათმობა.“ კათოლიკოზ-პატრიარქს იმ ჟამად არ უნებებია არც ერთისა და არც მეორე წინადადების შესრულება, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგი 1924 წლის მარტში, მისმა უწმიდესობამ უზენაეს სასამართლოს წინაშე „თავის გენუის კონფერენციისადმი მიმართვა შეცდომათ აღიარა“ (იხ. 1924 წ. მარტის 21 №65 „კომუნისტში“ მოთავსებული უზენაესი სასამართლოს რეზოლუცია) გამასწორებელი სახლიდან გამოსვლის შემდეგ კი 1925 წლის ივნისის 10, საკათოლიკოსო საბჭოში შეუტანია წინადადება, — „საკათოლიკოსო საბჭომ ინებოს განკარგულება, რათა სამღვდელოება არ ერეოდეს პოლიტიკურ საქმეებში“. ამ წინადადების გამო საკათოლიკოსო საბჭოს იმავე დღეს გამოუტანია შესაფერისი (№35) განჩინება და დაუგზავნია ეპარქიათა მმართველ მღვდელმთავრობისათვის სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. ადამიანს რომელმაც პოლიტიკურ საქმეებში (მემორანდუმი პოლიტიკურ აქტად არის ცნობილი) ჩარევისათვის ორ წელზედ მეტი პატიმრობაში გაატარა (მისჯილი ქონდა 9 წელი-ნახევარი), თავის მოქმედება საქვეყნოდ შეცდომად აღიარა, ხელქვეითი ორგანოები გააფრთხილა, — პოლიტიკურ საქმეებში სამღვდელოება არ გაერიოსო, და ყოველივე ამით საკათოლიკოსო №2 საბჭოს და ქუთათურ დელეგატების მოთხოვნილება სავსებით შეასრულა, ვფიქრობ, მეტი არ მოეთხოვება რა...

დ) გარნა ეპისტოლეს ავტორები ამით არ კმაყოფილდებიან, ისინი თხოულობენ კათოლიკოზს და „მისთანათა“ ასეთი განცხადება უეჭველად 1923 წლის სექტემბერში უნდა შეეტანათო: „შემდგომში კათოლიკოზ-პატრიარქმა და მისთანათა შეიტანეს ასეთი განცხადება მთავრობის წინაშე, მაგრამ გვიან და იყო“ (გვ. 2) თუ რისთვის არ ინება მისმა უწმიდესობამ ზემო ხსენებული განცხადების შეტანა საცა ჯერ არს 1923 წლის ენკენისთვეში, მე არ ვიცი, მაგრამ „მისთანათა“, რომ არავითარი განცხადება არ შეუტანიათ „მემორანდუმის გაგზავნის შეცდომად აღიარების შესახებ, — ეს ძალიან კარგად ვიცი. ან რა უფლება ჰქონდათ „მისთანათა“ მემორანდუმის შესახებ რაიმე განცხადება? მემორანდუმის შედგენა-გაგზავნაში „მისთანათა“ მონაწილეობა არ მიუღიათ, და ვერც კათოლიკოზ-პატრიარქის მსაჯულად გამოდგებოდნენ: 1921 წლის აპრილის 15 №21 დეკრეტით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და ამის შემდეგ არცერთ სასულიერო პირს არ აქვს უფლება დასდოს მსჯავრი ვისიმე პოლიტიკურ მოღვაწეობას, — დადებითი იქნება ეს მოვლენა თუ უარყოფითი, ყოველი მოქალაქე (თუნდაც სამღვდელო) პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის პასუხისმგებელია საერო სასამართლოს წინაშე. სისხლის სამართლის კოდექსიც გარკვეით ღაღადებს (მუხ. 126): „მითვისება რელიგიურ ან საერო ორგანიზაციის მიერ საადმინისტრაციო, სასამართლო, ან საქვეყნო სამართლის ხასიათის სხვა ფუნქციისა გამოიწვევს... ეს კარგად მოეხსენებათ ეპისტოლეს ავტორებს, მაგრამ მათ მაინც სურთ „მისთანათა“ მოახვიონ თავს რაღაც განცხადება... არ მიკვირს!...

ე) ეპისტოლეს ავტორები განაგრძობენ: „კათოლიკოზს და მისთანათა ასეთი

განცხადება მთაერობის წინაშე რომ შეეტანათ (მისთანათა",რომ არავითარი განცხადება არ შეუტანიათ ის უკეე ვიცით) 1923 წლის ენკენისთვეში, საქართველოს ეკლესიას ასცდებოდა ის ზიანი, რომელიც მას მოელოდა მომავალ შიო: მემორანდუმის გაგზავნამ „დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას და კიდევ მეტს უქადისო (უთქვამთ კათოლიკოზისათვის ქუთათელ დელეგატებს და ამას საესებით იზიარებენ ეპისტოლეს ავტორები) რაიცა 1924 წლის უგუნურ გამოსვლების დროს გამართლდა კიდეცო" და რომ სამღვდელოებამ საზოგადოდ და „განსაკუთრებით სოფლის სამღვდელოებამ ფრიად მწვავედ განიცადა თავის თავზედ შედეგები მემორანდუმის გაგზავნისაო." (გე. 2) გამოდის, რომ ზოგიერთა სამღვდელო პირთა მონაწილეობა ჭეშმარიტად უგუნურ გამოსვლებში და მათ მიერ ამის გამო „მწვავე შედეგების განცდა" გამომდინარეობს „მემორანდუმისაგან". ენახოთ".

„მემორანდუმის" ავტორი და „მისთანანი" უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა 1924 წლის მარტში და მიუსაჯა: პირველს „თავისუფლების აღკეეთა ცხრა წლით, სასტიკი იზოლაციით და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით," დანარჩენთ იგივე სასჯელი 2-5 წლამდე და ეს განჩინება გამოქვეყნებული იყო კელავ ადგილობრივ გაზეთებში. დარწმუნებული ვარ,რომ საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი სამღვდელო პირი,რომ ეს არ გაეგოს. 1924 წლის გამოსვლებს კი ადგილი ქონდათ ხუთი თვის შემდეგ აგვისტოში. ნუ თუ შესაძლებელია ვიფიქროთ. სამღვდელოებამ, თუნდაც, ვერ გაითვალისწინა, რომ, თუ კათოლიკოზი პოლიტიკაში ჩარევისათვის გადარჩა სიკვდილით დასჯას, (ეს მოხდა უმთავრესად მისთვის, რომ „შეცდომად აღიარა მემორანდუმის გაგზავნა") - მის უწმიდესობაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ სამღვდელოებას არ ჩაუთვლიდნენ დამსახურებად გამოსვლებში მონაწილეობის მიღებას?! მაგრამ დავეთანხმებით ერთი წუთით ეპისტოლეს ავტორებს, რომ სამღვდელოებამ აგვისტოს გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა მემორანდუმის გაელენით. ეს ხომ სცოდნიათ ეპისტოლეს ავტორებს (იგივე საკათ. №2 საბჭოს წევრებს) ჯერ კიდევ 1923 წლის ენკენისთვეში (ე.ი. ერთი წლით ადრე), როდესაც აფრთხილებდნენ კათოლიკოზს, მემორანდუმი მეტად დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს ეკლესიასო, რატომ კათოლიკოზის და „მისთანათა" გასამართლების შემდეგ (1924 წ. მარტი) არ დაუგზავნეს სამღვდელოებას ეპისტოლეები: გაუფრთხილდით მამანო და ძმანო არ ჩაერიოთ პოლიტიკურ საქმეებში, თორემ თქვენც ისეთივე (თუ უარესი არა) ბედი გეწვევათ, როგორიც „კათოლიკოზს და მისთანათაო." ცხადია, თუ ვინმეა დამნაშავე იმაში, რომ სამღვდელოებამ „მწვავედ განიცადა თავისთავზედ მემორანდუმის გაგზავნის შედეგები," მხოლოდ და მხოლოდ ეპისტოლეს ავტორები, რომელთაც წინასწარ იცოდენ, თუ რა მოყვებოდა მემორანდუმთან კავშირს და არ გააფრთხილეს სამღვდელოება, განსაკუთრებით „სოფლის სამღვდელოება"... მაცხოვარმა ბრძანა, მონაი, რომელმან იცის ნებაი უფლისა თჳისისა და არ მოიქცევა ამ ცოდნის მიხედვით უნდა იტანჯოს ფრიადო (ლუკ. 12 47) და თუ ეს ყოველივეც მცოდნე მოძღვრები ფიზიკურ ტანჯვას ასცდნენ, ეფიქრობ, ზნეობრივს მაინც ვერ ასცდებიან...

ვ) შეიძლება თქვან „მემორანდუმის გასაბათილებლად" (და საერო მთაერობასთან კეთილმშვიდობიანი დამოკიდებულების აღსადგენად") უკეთესი იქნებოდა, კათოლიკოზ-პატრიარქს რომ განეხორციელებია საკათოლიკოზო №2 საბჭოს დადგენილება, – „თავისი ადგილი დაეთმო სხვა პირისათვის." როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ წინადადების მიღების დროს ჩვენ დაბარებული ვიყავით... „მისთანანი" მეტეხში ვიყავით (შემდგომ ორთაჭალაში) ის კი სიონის გალავანში: რა მოსაზრებით უარყო მან საკათოლიკოსო №2 საბჭოს ეს წინადადება, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ 1925 წლის დასაწყისში (როგორც გამასწორებელ სახლს საავადმყოფოში, ისე განთავისუფლების შემდეგაც), როცა ავადმყოფობამ მაგრად ჩასჯიდა ხელი, ხშირად ბრძანებდა: თუ ეკლესიისათვის სასარგებლო იქნება, მე გადავდგებიო. ერთხელ გავკადნიერდი და მოვახსენე: ეს საკითხი დიდი საკითხია, პასუხი ღვთისა და ერის წინაშე თქვენვე უნდა აგოთ საბოლოო გადაწყვეტილება თქვენვე უნდა გამოიტანოთ, რჩევისათვის კი შეიძლება მიმართოთ საკათოლიკოსო საბჭოს მუდმივ და პასუხისმგებელ წევრებს, ე.ი. ეპისკოპოზებს და

არა უკვე გასულ (ამორჩეულ) წევრებს მეთქი. ღიმილიღ მიბრძანა: ეითომ შენცა რჩევას იძლევიო, თუმცა, მართალი რომ თქვას კაცმა, არა ტყუიო: ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მე დამბრალდებაო. ამის შემდეგ მე გაველი ტფილისიდან (მაისის 20) და დაებრუნდი, ენკენისთვის გასულს. ზაფხულში კათოლიკოზი ბორჯომში ბრძანდებოდა: ტფილისის სამრევლოებმა და სამღვდელოებამ საშვალება მომცეს ზაფხულზე აგარაკად ვყოფილიყავიო. შემოდგომაზე მოხდა ეპიზკოპოზთა კრება. ეფიქრობ თავის გადადგომის შესახებ მისი უწმიდესობა ეპისკოპოზთა კრებულს მოელაპარაკა და მიიღო მათგან უარი. საბუთად მაქვს მისი უწმიდესობის ერთი წინადადება საკათოლიკოზო საბჭოს სრული შემადგენლობისადმი, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული ეპისკოპოზებისაგანაც კი, რომელთაც ორი წლის წინად ურჩიეს მის უწმიდესობას — შენი ადგილი სხვას დაუთმეო. აი ეს წინადადება: „ავადმყოფობის გამო შეიძლება მე იძულებული გავხდე დრო გამო შვებით მოვარიდო საბჭოში და ეპარქიაში ინტენსიურ მუშაობას. ამისთვის წინადადებას ვაძლევ საკათოლიკოზო საბჭოს არსებული „დებულების“ მეორე შენიშვნა შეცვლილი იქმნას ამ ნაირად: „როდესაც კათოლიკოზი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, ან სხვა საპატიო მიზეზით მოკლებულია საშვალებას საეკლესიო საქმეების ხელმძღვანელობისას, საკათოლიკოსო საბჭო გამოიწვევს ერთ-ერთ მღვდელმთავარს დანიშნაეს მას კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ (1925.X.9“.)

ვიმეორებ, ეს წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული. მე კი ეფიქრობ, ყოველადსამღვდელოთ რომ არ მიეღოთ ეს წინადადება, ან მის შესახებ კამათი გაემართათ, კათოლიკოზი გადადგებოდა, მაგრამ ეპისკოპოზებმა ეს არ ინებეს და კათოლიკოზიც გამაგრდა იმ რწმენაში, რომ ეკლესიისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ ის დარჩება თავის ადგილზე. მეორის მხრით, თვით ეპისკოპოზნიც რომ ამ აზრისანი არ ყოფილიყვნენ, კათოლიკოზს არ მოერიდებოდნენ და პირდაპირ ურჩევდნენ, — გადადექიო. მიმდინარე წლის მარტის 22 იმავე მღვდელთმთავართ ნაკლები საბუთი ქონდათ ხელში (სახელდობრ, მისი უწმიდესობის ამა წლის თებერვლის 9 რეზოლუცია: „ექიმებისაგან აკრძალული მაქვს ინტენსიური საქმიანობა, ამისთვის ეპარქიის საქმეების მართვა-გამგეობას ვაბარებ მიტროპოლიტ იოანეს, იმ პირობით, რომ უმთავრესი საქმეები მე მომახსენოსო), მაგრამ მათ გამოიტანეს განჩინება: „დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს შეუდგეს კათოლიკოზ-პატრიარქის მოვალეობის ასრულებას, როგორც საკათოლიკოზო საქმეების ისე მცხეთა-ტფილისის საეპარქიო საქმეთა წარმოებაშიო.“ ცხადია თუ ვინმემ შეუშალა ხელი „მემორანდუმის გაბათილებას“ კათოლიკოზის გადადგომით, ეს იყვნენ ყოველადსამღვდელონი და უწინარეს ყოველთა ამ უებარი საშვალების აღმომჩენი მღვდელმთავარნი ქრისტეფორე და დავითი: თუ მათი აზრით „მემორანდუმის“ ავტორი ვერ გამოდგება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად 1923 წლის ენკენისთვეში, იგი ვერ გამოდგებოდა საქართველოს მამათმთავრად 1925 წლის მწიფობისთვეში, მით უმეტეს რომ მათი მეუფებანი 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებს მჭიდროდ უკავშირებენ „მემორანდუმს.“

იქნება „კათოლიკოზმა და მისთანათა“ დაიმსახურეს „საერო მთავრობის“ უნდობლობა „დანარჩენ სასჯელისაგან“ განთავისუფლების შემდეგ? ამ საკითხის პასუხად საუმჯობესოდ მიმაჩნია მივიყვანო აქ ამონაწერი 1926 წ. დეკემბრის 28 ოქმიდან: „საკათოლიკოსო საბჭოს (№1) დღევანდელმა შემადგენლობამ განაახლა მუშაობა მხოლოდ 1925 წლის გაზაფხულზე, რომ მუშაობის განახლებისა იგი გაეცნო ს.ს. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1924 წლის ნოემბრის 21 თარიღოვან №124 დადგენილებას და იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების იმავე წლის დეკემბრის 2 გამოცემულ ინსტრუქციას, და სცნო ხსენებული კანონები საქართველოს ეკლესიის, როგორც რელიგიურ საზოგადოების არსებობისა და მოქმედებისათვის კმასაყოფელად; რომ აღნიშნულის გამო, ხსენებულ დადგენილება-ინსტრუქციით იგი თვითხელმძღვანელებს და ეპარქიათა მმართველ მღვდელთმთავართ დაუგზავნა სახელმძღვანელოდ, რომ მღვდელმთავრებს სახელმძღვანელოდ დაეგზავნა საკათოლიკოზო საბჭოს 1925 წლის იენისის 10 №35 განჩინება,— ეპარქიათა მმართველთ

ინებონ განკარგულება, რათა სამღვდელოება არ ერეოდეს პოლიტიკურ საქმეებში; რომ აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებით ის დაჟინებით მოითხოვს სამღვდელოებისაგან ეკლესიის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების საესებით დაცვას და აღსრულებას, რის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც შემდეგი 1926 წლის ნოემბრის 20 განკარგულება კათოლიკოზ-პატრიარქისა: „საოლქო კრების დადგენილებანი უნდა შეფარდებულ იქმნან არსებულ სამოქალაქო კანონმდებლობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საოლქო კრებას სურვილი დაკმაყოფილებული ვერ იქნება ჩემ მიერ... და რომ საკათოლიკოზო-საბჭო ამის შემდეგაც სასტიკად მოითხოვს მის ქვემდებარე პირთა და ორგანოთა მიერ სრულ ლოიალობის დაცვას და ეკლესიის შესახებ გამოცემულ სამოქალაქო კანონების საესებით შესრულებას."

ცხადია, საკათალიკოზო საბჭო ვერ გაბედავდა ამ ოქმის წარდგენას მთავრობისადმი (ს.ს. ც. აღმ. კომიტეტში, ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოში და საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში), მას რომ ჩაედინოს ისეთი რამ, რასაც შეეძლო გამოეწვია „საერო მთავრობის" უნდობლობა. ჩემი ღრმა რწმენით „მემორანდუმის გაბათილების" საკითხი დაიწყო მაშინ, როდესაც კ. პატრიარქმა „თავის გენუის კომფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვა შეცდომად აღიარა," უზენაესმა სასამართლომ ამ აღიარების გამო მის უწმიდესობას უმაღლესი სასჯელის მაგიერ ცხრა წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება მიუსაჯა და ამ მსჯავრის გამოტანის ერთი წლის შემდეგ კათოლიკოზ-პატრიარქი „დანარჩენ სასჯელისაგან" განათავისუფლა, ხოლო დამთავრდა მაშინ, როდესაც კათოლიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ საკათოლიკოზო საბჭოში წინადადება შეიტანა,— სამღვდელოება არ ერეოდეს პოლიტიკურ საქმეებშიო და ეს წინადადება საკათოლიკოზო საბჭომ დაადასტურა. თავისი ადგილის სხვა პირისათვის კათოლიკოზ-პატრიარქის ამბროსის მიერ დათმობა მდგომარეობას გაამწვავებდა: მორწმუნეთა დიდი უმრავლესობა უეჭველად იტყოდა ძალა დაატანეს და იმისთვის დაუთმო სხვა პირს თავისი ადგილი, თვით კათოლიკოზს კი „მოწამის" გვირგვინით შეამკობდა. ამ მოსაზრებისა გამო, ეფიქრობ, კათოლიკოზ-პატრიარქი დღესაც არ უთმობს სხვა პირს თავის ადგილს: ჭორებსა და აურ-ზაურს ერიდება...

2) ამ „თავკიდეთა ლოდის" შემდეგ, ეპისტოლეში აღნიშნულია საკათოლიკოზო საბჭოს მოქმედებათა „ნაკლი" (გე. 1) ანუ „უკანონო" ებანი (გე. 7) რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს „უსამართლოდ დასჯას საქართველოს ეკლესიის ყველაზე უხუცეს მღვდელმთავრის, ეპისკოპოზ დავითის ქუთაელ კათედრიდან მაწყვერელ ეპისკოპოსად გადაყვანით, ისეთ ადგილზე გადაყვანით, სადაც არც ბინა არის, არც საშვალება იმის შესანახად" (გე. 1). სანამ ამ „უკანონობას" არსებითად შევეხებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ ესმით ეპისტოლეს ავტორებს „კანონიერება." ამ ღირსშესანიშნავ საბუთის მეშვიდე გვერდზე სწერია: კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი რჩება თავის ადგილზე" (ქუთაისის „კრების" განაჩენია); მცხეთა-ტფილისის ეპარქიაში დაგზავნილ ცირკულარში (№III თებერვლის 12 თარიღით) აღნიშნულია: „დროებითი მმართველების თავმჯდომარედ ბრძანდება კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი"-ო. მიმდინარე წლის იანვრის 4 კი დროებითი მმართველობის წევრებმა მოსთხოვეს თავის თავმჯდომარეს კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარია და „საქმეები" ჩაგვაბარეო. მისმა უწმიდესობამ უპასუხა: სანამ მე ვითელები დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ და კ. პატრიარქად კანცელარიაც და „საქმეები"ც ჩემს განკარგულებაში იყოსო. დროებითი მმართველობის წევრებმა იმ დღესვე მოიწვიეს მილიცია, დალუქეს კანცელარია, ხოლო მეორე დღეს, იანვრის 5, მილიციის საშვალებით ჩაიბარეს საქმეები და კანცელარია. ეპისტოლე დათარიღებულია იანვრის 6, და იქ გარკვეეით არის აღნიშნული, რომ „კათოლიკოზი რჩება თავის ადგილზეო." მილიციის საშუალებით კაცს კანცელარია და „საქმეები" ჩამოართვეს და ის მაინც რჩება თავმჯდომარედ თავის ადგილზეო. ასე ესმით ეპისტოლეს ავტორებს კანონიერება, მაგრამ დაუბრუნდეთ „ყველაზე უხუცეს მღვდელმთავარს-ეპისკოპოს დავითს" და ვიკითხოთ: რაში გამოიხატა მისი მეუფების „უსამართლოდ დასჯა?" იმაში, რომ გადაიყვანეს ისეთ ადგილზე, სადაც

არც ბინა არის, არს საშუალება მისი (ეპისკოპოზის) შესანახად"! ყოელადსამღვდელო დავითი გადაყვანილ იქმნა გორიახალქალაქ-ახალციხის მაზრების მღვდელმთავრად „მაწყვერელის" და არა „ურბნელის" პატივით, ვინაიდან მისი მეუფება ერთხელ უკვე იწოდებოდა „ურბნელად." ეს ეპარქია 1926 წლის ოქტომბრამდე ეჭირა მიტროპოლიტ იოანეს, მაგრამ რაღაც მიზეზებით მისმა მეუფებამ გაანება მას თავი, სამი კვირის შემდეგ კი კვლავ განაცხადა სურვილი ამ ეპარქიაში დაბრუნებისათვის. იგივე ეპარქია (წერილობით) ითხოვეს ცხუმელმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ და ბათუმ-შემოქმედელმა ნესტორმა: ჩანს ეპარქია არ ყოფილა იმდენად დაძაბუნებული, რომ იქ არ მოიპოვებოდეს „საშუალება უხუცეს მღვდელმთავრის შესანახად." ამ მოსაზრებას ამაგრებენ ციფრებით და ფაქტებით. 1926 წ. პირველ ნახევარში ეპისკოპოსმა დავითმა სთხოვა საკათოლიკოზო საბჭოს, დამიმტკიცეთ შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვაო: ეპისკოპოზს თვიურად 30 მანეთი, ბინის ქირად 10 მ. და კანცელარიის შესანახად 10 მ. სულ 50 მანეთიაო. მიტროპოლიტ იოანემ ურბნისის ეპარქიისგან თავისუფლების შემდეგ წარმოადგინა ანგარიში: ყოველთვიურად ვიღებდი ათ მანეთსო. ამის გარდა, წარსული წლის ოქტომბრის 23-24 ვიყავი გორში (დროებით მე მებარა ეპარქია), სადაც სამრეკლო საბჭოს წევრებმა გადმომცეს: იმ იმედით, რომ ახალი ეპისკოპოზი იცხოვრებს გორში (მეუფე იოანე ცხოვრობდა ტფილისში), ჩვენ შეუდექით სამოთახიანი სახლის შენება-შეკეთებასო, ხოლო თუ ბინის მოწყობამდე დანიშნავთ ეპისკოპოზსო (მაშინ მხოლოდ ყოელადსამღვდელო ნესტორს ქონდა შემოტანილი განცხადება) დეკ. გ. ნასყიდაშვილი უთმობს მას ერთერთ ოთახსო, რაც იქაც დაადასტურა დეკანოზმა. ამგვარად უბინაობაზე და საშვალების უქონლობაზე ლაპარაკი უნდა ჩაითვალოს სიყალბედ...

მერე რა დანაშაულებისათვის „დაუსჯია" ეპ. დავითი ასე „უსამართლოდ" საკათოლიკოზო საბჭოს ეპისტოლეს ავტორებმა ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი არ იციან, მაგრამ „არა ოფიციალურად (აქ უკვე გულთმისნობა იწყება) საკათოლიკოზო საბჭოს თვალში დავით ეპისკოპოზს მიუძღვის ორი დანაშაული: ერთი მისი, ვითომდა, მწვალებლობა (ერეტიკოსობა) და მეორე მისი უარყოფითი დამოკიდებულება მემორანდუმის გაგზავნასთან" (გვ. 1).

განვიხილოთ! „ეპ. დავითის ერეტიკოსობა გამოიხატა, განაგრძობს ეპისტოლე, მისი თავმჯდომარეობით 1923 წ. ქალაქ ქუთაისში შედგენილ პროექტში საეკლესიო რეფორმათა შესახებ" (გვ. 1-2) ეპისტოლეს ავტორები, რომ გულთმისნობის გზას არ დასდგომოდნენ და ოდნავაც მაინც ჩაფიქრებოდნენ საკათოლიკოზო საბჭოს იმ ცირკულირს (იხ. დამატება №1), რომლიდანაც ამოუგლეჯიათ (და ისიც თავის საწინააღმდეგოდ) ერთი ფრაზა. მიხვდებოდნენ, რომ „საეკლესიო რეფორმათა შესახებ პროექტის" წარმოდგენა დაევალებული ქონდა ყოელადსამღვდელო დავითს. ცირკულირში სწერია: „დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება... ცვლილებათა დამუშავებელ კომისიების არჩევის შესახებ და კომისიათა მიერ დასაბუთებული და დამუშავებული პროექტები წარმოუდგინონ საკათოლიკოზო საბჭოს უცელელად, თაეიანთი დასკვნის (ცალკე) დართვით." მაშასადამე თუ ყოელადსამღვდელო დავითმა დაამუშავა სასურველ ცვლილებათა პროექტი, ამით მას მხოლოდ შეუსრულებია საბჭოს დავალება და საბჭო მართლაც დიდად ახირებული რამ დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომ ეპისკოპოზი დავითი მისი დავალების შესრულებისათვის დაესაჯა. მაშ რაშია საქმე? თუმცა სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ იძულებული ვარ აგალაპარაკო აქ ფაქტები და თვით ყოელადსამღვდელო დავითი. 1925 წლის ოქტომბრის 11 თარიღით დავით ეპისკოპოსმა მოართვა საკათოლიკოზო საბჭოს განმარტება რომელშიაც სწერია: „ვინაიდან ჩემ მიერ ხელმოწერილ და „მუშა და გლეხში" (1923 №35) დასტამბულ პროექტის გამო იყო და ალაგ-ალაგ დღესაც არის გავრცელებული არასწორი ხმები, პატივისცემით მოვახსენებ საკათოლიკოზო საბჭოს, რომ ა) პროექტი იგი იყო გამოწვეული 1) საკათოლიკოზო საბჭოს 1922 წლის 19 ოქტომბრის №47 დადგენილებით (ზემოთ რომ მოვიყვანეთ) და 2) კეთილი მიზნით — გეეხსნა ეკლესია დანგრევისაგან მაშინდელ

საშინელ მომენტში და ხელი შეგვეწყო დატუსაღებულთა გამოშვებისათვის...

ბ) რომ პროექტი იგი იყო მხოლოდ პროექტი... მე არცერთი მღვდლისთვის არ მიმიწერია მიეღო და განეცხადებია ის პროექტი, და არც თავად შემიცვლია რა ეკლესიასი, გ) ის პროექტი მომენტისა გამო ეკლესიაში იყო შედგენილი სიჩქარით ორ დღეში, და აზრები მასში არაა გამოხატული ყველგან სისწორით და ნათლად. დაბეჭდილში არის შეცდომა... დასასრულ, სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი დაისტამბა გაზეთში; მისი დაბეჭდვა ჩემზე არ იყო დამოკიდებული" (საქმე 17/1925).

როგორც ხედავთ, დამუშავებული პროექტი ყოელადსამღვდელო დავითს საბჭოში კი არ წარუდგენია, არამედ (თავის უნებურად) დაუსტამბავს გაზეთ „მუშა და გლეხში" (№35, 1925, VIII.26) ამის გამო „პროექტის გარშემო" „გაერცელებულა არა სწორი ხმები," მით უმეტეს, რომ იგი ყოფილა „შედგენილი სიჩქარით ორ დღეში, და აზრები მასში არაა გამოთქმული ყოველგან სისწორით და ნათლად, დაბეჭდილში არის შეცდომა" (რედაქცია კი ადასტურებს, რომ დაბეჭდილია „უცელელადო") ამ სიჩქარით შედგენილმა პროექტმა მიიქცია პრესის ყურადღება. „მუშა და გლეხი"-ს თვით იმ ნომერში, რომელშიდაც ადგილი აქვს დათმობილი პროექტს, მოთავსებულია მოწინავე წერილი „პირველი ნაბიჯი," რომელიც გვეუბნება შემდეგს: „ჩვენ ვფიქრობთ პირველი ნაბიჯი ქუთაისის სამღვდელოების წარმომადგენლებისა მოკლე ხანში უფრო ღრმა და უფრო რადიკალურ გამოძახილს პოვებს სამღვდელოების დაბალ წრეებში... ყოველგვარი ახალი, ყოველგვარი „პროგრესული" ნაბიჯის გადადგმა მისი (ეკლესიის) ცხოვრებაში ჩვენს მიერ აღიარებული იქნება, როგორც დადებითი მოელენა. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო დააფიქრებს მათთაც, ვისაც ეკლესია სწამს – ამ ეკლესიის საფუძვლების შესახებ. დაფიქრება კი ყველაზედ უფრო შეუწყობს ხელს იმას, რისკენაც ჩვენ მივისწრაფით ეკლესიის საკითხში: „მის სრულ მოსპობას" (ხაზი რედაქციისაა) დაუმატეთ ამას გაზეთ ЗаряВостока 2 (266, 1923, XI, 18) ცნობა, რომ „ამას წინათ დავით ეპისკოპოზის მეთაურობით შედგა მღვდელმთავრების ჯგუფის კონფერენცია, რომელთაც გადასწყვიტეს გაატარონ რეფორმები საქართველოს ეკლესიაში. მათი სურვილია „ცხოველი ეკლესიის" შექმნა საქართველოს მასშტაბში чтоже?"... მე მგონია დიდი „სიბრძნე და გამჭრიახობა" არ არის საჭირო იმის გასაგებად, თუ როგორ გაერცელდა ყოელადსამღვდელო დავითის შესახებ „არასწორი ხმები". საკათოლიკოზო საბჭო სწორედ იმისთვის თხოულობდა უკვე ხსენებული ცირკულარით პროექტები „უნდა დაგროვდეს ცენტრში (საბჭოში) განხორციელებისათვის ერთ სპეტრში გასატარებლადო," რომ უზრუნველყო ეს თუ ის პიროვნება „არასწორი ხმების გავრცელების" შედეგებისაგან...

ყოელადსამღვდელოს მიზანი – „გვეხსნა ეკლესია დანგრევისაგან და ხელი შეგვეწყო დატუსაღებულთა გამოშვებისათვის" – კეთილი და კარგი იყო, მაგრამ მის განსახორციელებლად არჩეული საშუალება კი ფრიად ცუდი: შეცდომით და აჩქარებით დაწერილი პროექტით ვერავის დააკმაყოფილებთ, – ვერც იმათ ვის ხელშიაც არის უფლება „დატუსაღებულთა გამოშვებისა" და ვერც მორწმუნე ერს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ პროექტი დაწერილია დავითისებური კატეგორიული კილოთი: „საკურთხეველში ტრაპეზის უკან ასეენია ან დახატულია ქრისტეს ხატი, სხვა ხატების ტაძარში დახატვა აკრძალულია... საკურთხეველს ორიენ გვერდზე ახლავს კედლებამდე ბუდუარები და ამათ შორის ჩამოშვებულია ფარდა... საცეცხლური და საკმეელი მოსპობილია... სასწაულთ მოქმედი ხატი არ არსებობს... სამოციქულონი ყოველნაირ ღვთისმსახურებიდან და მღვდელმოქმედებიდან განიდევნოს... სასიკეთინო ზიარების მიცემა მღვდლისათვის არ არის სავალდებულო... კაბა და ანაფორა დაუშვებელია ეკლესიასა და სხვა მღვდელმოქმედების დროის გარეშე... მარხვა სავალდებულო არ არს... დღესასწაულთა რიცხვი შემცირდეს და გადატანილ იქნეს ახალ სტილზე." (მუშა და გლეხი" №35). მიუხედავად იმისა, რომ დავით ეპისკოპოზის პროექტში „ერეტიკული" არ არის რა (ერეტიკული ელემენტი კი მოიპოვება), მდაბიო ხალხი (და ზოგი ინტელიგენტიც) უარყოფით შეხედა აღნიშნულ პროექტს და თავისი

უარყოფითი შეხედულება მოიტანა საკათოლიკოზო საბჭოს კრებამდე. როგორ შეხვდა საკათოლიკოზო საბჭო ამ „ბუდუარებიან," „ჩამოშეებულ ფარდებიან" და „სასიკვდინე ზიარებიან" პროექტს ჩანს მის №63 განჩინებიდან 1925 წლის ოქტომბრის 12 გამოტანილიდან: „საკათოლიკოზო საბჭომ მოისმინა ყოელადსამღვდელო დავითის (ოქტომბრის II) განმარტება და სცნო იგი დამაკმაყოფილებლად, ხოლო გაზეთში მისი პროექტის დასტამბვა — სამწუხარო მოვლენად." (საქმე №17/1925) ნათქვამიდან ცხადია, რომ საკითხს დავით ეპისკოპოზის „ერეტიკოსობის" შესახებ საკათოლიკოზო საბჭომ მოუღო ბოლო 1925, X, 12 და ამის შემდეგ ეპისტოლეში ამ საგანზე ლაპარაკი უნდა ჩაითვალოს პირდაპირ ცილისწამებად. ეხლა შეეხოთ დავით ეპისკოპოზის საკათოლიკოზო საბჭოს წინაშე (ვითომდა) მეორე დანაშაულს — „მის უარყოფით დამოკიდებულებას მემორანდუმის გაგზავნასთან" და ამის გამო საბჭოს მიერ მის „უსამართლოდ დასჯას." ეპისტოლე მოგვითხრობს (უკვე კატეგორიული ტონით): „მეორე დანაშაული ეპისკოპოზ დავითის საკათოლიკოზო საბჭოს თვალში იყო მისი მონაწილეობა იმ დეპუტაციაში, რომელიც ქუთათერებმა მიუგზავნეს კათოლიკოზ-პატრიარქს 1923 წლის სექტემბერში სათხოვნელად, რომ მემორანდუმის გაგზავნისა გამო შეეტანა საბჭოთა მთავრობის წინაშე განცხადება, რომ მემორანდუმის გაგზაენა იყო შეცდომა" (გვ. №2). როცა ეს დეპუტაცია წარუდგა კათოლიკოზ-პატრიარქს, საკათოლიკოზო №1 საბჭოს წევრები „ცხრაკლიტულში" ისხდნენ და არა იცოდნენ რა, თუ რა ხდებოდა სატუსაღოს გარეშე და რომ სცოდნოდათ — დიდად მადლობელი დარჩებოდნენ დეპუტაციის მეთაურისა, რომლის იმ დროინდელ მოქმედებას საფუძვლად სდებია, როგორც თვით ბრძანებს „დატუსაღებულთა გამოშეება". ფრიად ბოროტი ადამიანები უნდა იყვნენ საკათოლიკოზო საბჭოს წევრები, რომ მათი გამოშეებისათვის ხელსშემწყობი და მზრუნველი კაცის დასჯა მოეხდომებინათ და ისიც მის შემდეგ, როდესაც მემორანდუმის ავტორმა უკვე შეასრულა ქუთათურ დეპუტაციის თხოვნა-აღიარა საქვეყნოდ შეცდომად მემორანდუმის გაგზავნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოელადსამღვდელო დავითს „დასჯამდე" არასოდეს არ უბრძანებია, მემორანდუმის შედგენა-გაგზავნაში საკათოლიკოზო-საბჭოს წევრებმაც მიიღეს მონაწილეობაო, და თუ ამგვარი ბრალდება თავს მოახვია საკათოლიკოზო საბჭოს „დასჯის" შემდეგ ეს იმდენადვე საფუძელიანია, რამდენადაც მეორე მისი მეუფების ბრალდება-პროვოკაცია, „საკათოლიკოზო საბჭომ არ შეასრულა მთავრობის ბრძანება, მიეღო თბილისის სამხედრო ტაძრის ქონებაო." (მოხსენება №345, 1926. XI. 14), — ამგვარი ბრძანება საკათოლიკოზო საბჭოს არასოდეს არ მიუღია. საგულისხმოა ისიც, რომ ეპისტოლეს ავტორებს მეტად გულმავიწყი და სულელ ადამიანებად გამოყავთ საკათოლიკოზო საბჭოს წევრები. მართლაც, მემორანდუმის სიმწვავე საბჭოს წევრებმა საკმაოდ იგემეს და ნუთუ ხელმეორედ ასტეხდნენ მის გამო განგაშს, თუნდაც „არაოფიციალურად," განსაკუთრებით ივნისის 10 შემდეგ, როდესაც მისი უწმიდესობის წინადადების თანახმად, სამღვდელოებას სასტიკად აუკრძალეს პოლიტიკაში არ გაერიოთო! ეპისტოლეს ავტორებმა კარგად იციან, რომ საკათოლიკოზო საბჭოს წევრები არ არიან თავისი (თუ ეკლესიის არა) მტრები, მაგრამ, სამწუხაროდ ისინი (ეპისტოლეს ავტორები) დიდ პატივს სცემენ განსვენებულ (თუმცა უკედავ) ეგნატე ლოიოლას, რომელმაც დასტოვა ანდერძი: საშუალებას ამართლებს მიზანიო. ამ პატიოსან გვამთა მიზანი კი ის არის, რომ გაუტეხონ ეპისტოლეს მკითხველთა თვალში სახელი საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს და მიაყენონ მათ ყოველგვარი „ჭირი და იწროება." ღმერთმა მშვიდობა მისცეთ!...

მაშ რამ გამოიწვია დავით ეპისკოპოზის „დასჯა", ან როგორც ერთმა გულუბრყვილო გურულმა მითხრა ციე ქვეყანაში გადასახლება"? კათოლიკოზის განთავისუფლების პირველ დღეებშივე ქუთაისიდან შემოვიდა საბჭოში დავით ეპისკოპოსზე საჩივრები, რომელთა დედააზრი იყო: ყოელადსამღვდელო არ შეეფერება ქუთაისს და გადაიყვანეთ აქედანო. საჩივრებს მოყვა აპოლოგია: დავითი ჩინებული მღვდელმთავარია და ნუ დასძრავთ ადგილიდანო. მისმა უწმიდესობამ ამ ქაღალდების შესწავალა მე მიბრძანა.

შევასრულე მონდობილობა და მოვახსენე: ჩვენებური „კლიაზებია“ და საქმე უნდა მოისპოს მეთქი. სხვათაშორის დავისაბუთე იმითაც, რომ ზოგიერთი მომჩივარი აპოლოგიაზეც აწერდა ხელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი საბუთი დაშორებული იყო ერთმანეთისაგან, ერთის თუ ორი დღის მანძილით. ამის შემდეგ მე ქალაქიდან წაველ, დაიმედებული, რომ საქმე მოისპობოდა. შემოდგომაზე გავიგე, რომ საბჭოს საქმე არ განეხილა. ერთხელ ვისარგებლე შემთხვევით და შევეკითხე მის უწმიდესობას, თუ რატომ არ იყო საქმე განხილული. მიბრძანა: შენი წასვლის შემდეგ მე ბევრი ქუთაისელი კაცი ვნახე აქაც და ბორჯომშიც, და ყველა იმას მთხოვდა,— დავითი მოგვაშორეთო; აი ამ დღეებში შემოვიტან საბჭოში და როგორც უჯობდეს, ისე მოიქეციითო. საბჭოში მე ჩემი აზრი გავიმეორე, მაგრამ ამჯობინეს ყოვლადსამღვდელო მელქისედეკის გაგზავნა, საქმის ადგილობრივ გასაცნობად. ყოვლადსამღვდელომ ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ მოახსენა (1925 წ. დეკემბრის 16) საბჭოს: თუმცა დავით ეპისკოპოზი „უმწიკვლო ადამიანია,“ მაგრამ „მისი გადაყვანა ქუთაისიდან საჭიროა და სასარგებლო თვით ყოვლადსამღვდელო დავითისათვისაც და საქმისთვისაცო.“ (საქმე №17/1925).

ეს მოხსენება საკათოლიკოზო საბჭომ მოისმინა 1926 წლის იანვრის 22 და განაჩინა: „ყოვლადსამღვდელო დავითზე შემოსულ საჩივრებში არ არის ისეთი რამ, რისთვისაც შეიძლებოდეს მისი მეუფების სასამართლოში მიცემა და ამისთვის მაზედ შემოსული საჩივრები დატოვებულ იქმნას უშედეგოდ“. ამ განაჩენით საქმე მიყუჩდა, მაგრამ ქუთათურები მაინც არ ისვენებდნენ: უკმაყოფილებას უცხადებდნენ კათოლიკოს-პატრიარქს, მე კი პირდაპირ შეურაცხყოფას მაყენებდნენ, — დავითს ხელს აფარებ და ეპარქიას ღუპავო. (ამას დამიმოწმებს თვით ყოვლადსამღვდელო დავითიც). ვერც მისი მეუფება გრძნობდა თავს დამშვიდებულად. მიმართვა ყოვლადსამღვდელო ვარლამ მარგველს, გავცვალოთ ეპარქიებიო, მიიღო უარი. ასეთივე პასუხი მიიღო ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორე სოხუმელისაგან, რომელმაც გადმომცა: სოხუმში დავითი ვერ გამოდგებაო...

1926 წ. ოქტომბრის შუაღიცხვებში დამიბარა კათოლიკოს- პატრიარქმა, საღამოს შვიდ საათზე ჩამოდი ჩემთანო. ვეახელ აღელვებული დამხვდა. გადმომცა დიდი წერილი და მიბრძანა: პირველი გვერდი წაიკითხე და უკანვე მომეციო. წერილი ასე იწყებოდა: თქვენს უწმიდესობას მოეხსენება, რომ მიტროპოლიტი კალისტრატე, რომელიც იმყოფებოდა დავით ეპისკოპოზის გაელენის ქვეშ, ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ ჩვენი საჩივრები დარჩეს უყურადღებოდ, ეპარქია კი იღუპებაო. უკანასკნელად გთხოვთ და თანაც მოგახსენებთ: თუ მოკლე დროში ყოვლადუსამღვდელოესი დავითი არ იქნება გადაყვანილი ქუთაისიდან, ჩვენ 600 კაცი მივიქცევით მოსკოვის მთავარეპისკოპოსისადმი თხოენით, მიგვიღოს თავის მფარველობის ქვეშ. გავანებე კითხვას თავი და შევეკითხე მის უწმიდესობას ხელმოწერილია წერილი თუ არა: ხელმოწერილიც არის და ფრიად სანდო კაციც არისო. მოვახსენე: ის რომ სანდო კაცი იყოს, მუქარით არ მოგმართავდათ და წერილს არ დააწერდა: „ფრიად საიდუმლოდ“ მეთქი. თუ 600 კაცი ფიქრობს მოსკოვში ქალალდის გაგზავნას, ამ ქალალდზე ექვსი მაინც მოაწერდა ხელს მეთქი. გამოვიტანე კანცელარიიდან „საქმე“, გადავიკითხე. თავიდან ბოლომდე საჩივრები, განუმარტე მათი უსაფუძვლობა და მოვახსენე, ის თქვენ მიერ სანდოდ მიჩნეული კაცი, თქვენი მტერი ყოფილა, უნდა აგაღელვოთ და გაართულოს თქვენი ავადმყოფობა მეთქი. გამირისხდა: შენ მართლა დავითის გაელენის ქვეშ ყოფილხარო, ხომ ხედავ, ეპარქიაში ხანძარიაო. მეწყინა, შევეკამათე და შეუმჩნეველად ხმა ავიმაღლე იმდენად, რომ კანცელარიაში მყოფმა დეკანოზმა მ. ხუციშვილმა ასტეხა არაბუნებრივი ხველა და ამით მაგრძნობინა ჩემი თავდავიწყება. ბოდიში მოვიხადე და ვთხოვე, ის წერილი ჩემთვის ეჩუქებინა. გაუკვირდა, გაიღიმა და მიბრძანა: ახირებული კაცი ხარ, მე წერილის მეორე გვერდიც არ წაგაკითხე და შენ კი ჩუქებას მთხოვ?! მიეცი პატიოსანი სიტყვა, რომ თუ წერილს მაჩუქებდა, მისი შინაარსი, როგორც ავტორი თხოულობდა სამუდამოდ „ფრიად საიდუმლოდ“ დარჩებოდა. წერილი გადმომცა, მეც მაშინვე დავხიე, გავაღე ფანჯარა და ნაფლეთები მტკეარში გადავყარე. წარბები შეიჭმუხნა, ჩაფიქრდა

და ბოლოს მიბრძანა: შენ აგე ამ საქმესი პასუხიო. თანხმობის ნიშნად ხელზე ვემთხვიე, ერთხელ კიდევ ვთხოვე დამშვიდებულიყო და გამოვეთხოვე.

რამდენიმე დღის შემდეგ მწირველი ვიყავ სოხუმში. წირვა რომ გათავდა, ვინახულე მისი უწმიდესობა, იქვე იყვნენ მიტროპოლიტი იოანე, დეკანოზი ნაცვლიშვილი და ორიოდე საეროთაგანი. მოახსენეს, თქვენთან გეახლათ ვიღაც მანდილოსანი და თხოულობს მოუსმინოთო. მიბრძანა, მიიღეო. გავედ სამუშაო ოთახში, მაგრამ მანდილოსანმა დაჟინებით მოითხოვა მისი უწმიდესობის ნახვა. გაბრძანდა და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ფრიად დაღონებული. როცა მარტო დავრჩით, მიბრძანა: იმ წერილის პასუხს ელიანო. შევეცადე დამემშვიდებია, მაგრამ ხმა არ გამცა, გამომეთხოვა და შებრძანდა საწოლ ოთახში.

გიორგობისთვის 3, საკათოლიკოზო სხდომაზე, თვით ინება თავმჯდომარეობა (ჩვეულებრივად კი მე მანდობდა თავმჯდომარეობას) და ჩემდა გასაცვიფრებლად საკითხთა შორის აღმოჩნდა მის უწმიდესობის ხელით დაწერილი №60 წინადადება (ბოლო დროს ქაღალდებს დეკანოზ ნაცვლიშვილს აწერინებდა) მღვდელთმთავართა გადაყვანა-გადმოყვანის შესახებ: დავით ეპისკოპოზს უპირებდა გადაყვანას ურბნისში. წინადადება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასათვის, რომ შეკითხვაზე: ვინ რას იტყვისო, ხმა არავინ დაძრა. უხერხული სიჩუმე ისევ მე დავარღვიე განცხადებით: ამ წინადადების მიღება გამოიწვევს გართულებას: დავითი გაჯიუტდება და ქუთაისიდან არ წამოვა მეთქი. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ურბნისის ეპარქიას წერილობით თხოულობენ მიტროპოლიტ იოანეც მეთქი. მე შევპირდი მეუფე ქრისტეფორეს, მხარს დაუჭერ თქვენს კანდიდატურას მეთქი და ამიტომაც წინადადებას ვერ ვიზიარებ მეთქი. მესამე: მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველდსამღვდელო დავითი დღეს თუ ხვალ თვით დაანებებს თავს ქუთაისს და ამისთვის მისი ადმინისტრაციული წესით დაძერა სასურველი არ არის მეთქი. რა საბუთი მქონდა ამ უკანასკნელი განცხადებისათვის? ის, რომ ყოველად სამღვდელო, დავითი კვირაში ერთხელ მაინც მწერდა: მომიხერხე ტფილისში ერთი ოთახი და 25-30 მანეთი და დამიხსენ ამ ჯოჯოხეთიდანო. მისი მეუფების ამ სურვილს ადვილად გაიგებს ის, ვინც იცნობს დავით ეპისკოპოზს: იგი არის კაცის ნიჭიერი, ჩინებული მწერალი, ქველმოქმედი, მაგრამ უაღრესად ამპარტავანი, თავმოყვარე და უკმაყოფილო... თავის გარეგნობით, რასაც არ მალავს ოფიციალურ მიწერმოწერაშიც. 1926 წლის ოქტომბრის 17 და 21 №№295 და 301 მოხსენებებში ყოველდსამღვდელო სთელის თავის თავს „ულამაზო ეპისკოპოსად," რომელიც თურმე არ მოსწონთ (ალბათ აქვს სურვილი მოსწონდეთ!) „სილამაზის მოტრფიალე" „ვიღაც ქალებს," „მახინჯ ადამიანებს", „გარყვნილ გემოვნების მქონე მორწმუნეებს (უფრო ურწმუნოებს)", და ამისთვის ყოველთვის ცდილობს და ცდილობდა ერთსა და იმავე ადგილზე არ დარჩეს დიდხანს. მის მეუფებას ხშირად უთქვამს: ადამიანი უნაკლო არ არის, ამისთვის თუ გინდა, რომ მოსვენებით და ბედნიერად იცხოვრო, ერთსა და იმავე ადგილზე არ დარჩე დიდხანს, გაგიცნობენ და პატივს აღარ გცემენო. ამ ფილოსოფიას მისი მეუფება სინამდვილეში ახორციელებდა: აკადემია დაამთავრა 1899 წ. იმავე წელში დაიწყო სამსახური კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაში, 1900 წ. გადავიდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, 1902 წ. სენაკის (სამეგრელოს) სასულიერო სასწავლებელში, 1903 წ. სოლოკამსკის, ხოლო 1904 წ. პოლოცკის

სასწავლებლებში, 1905 წ. ვიტებსკის სემინარიაში, 1906 წ. დონის სემინარიაში, 1907 1912 წწ. ალავერდის ეპისკოპოსად (მოძრაობას ხელი შეუშალა ნიკონ ეპისკოპოსის მოკლემ), 1912-1913 წ. პეტიგორსკის ქორეპისკოპოსად, 1914-1917 წ. ვინიცკის ქორეპისკოპოსად (მოძრაობა შეაჩერა ომიანობამ) 1917-1919 წ. ურბნელ ეპისკოპოსად 1919-1921 წ. საკათოლიკოზო საბჭოს წევრად, 1921-1922 წ. ჭყონდიდელ შემოქმედელად, 1923 წ. ბათუმ-შემოქმედელად, 1924 წ. ალავერდელად და იმავე წელს ნოემბრიდან ქუთათელად. მაგრამ ეს სხვათაშორის, საკათოლიკოზო საბჭოში კი ჩემ განცხადებას მხარი დაუჭირა ერთმა წევრმა: დანარჩენები მიემხრნენ ყოველდსამღვდელო მელქისედეკის (დღეს მისი მეუფება დროებითი მმართველობის წევრია) განცხადებას: „მისი უწმიდესობის წინადადება

გამოწვეულია საქმის დაკეირვებითი შესწაელით და ეკლესიის სარგებლობით და ამისთვის სიტყვის შეუბრუნებლად უნდა მივიღოთო...“ საკითხი ამოიწურა...

ღვთისა და სინოდის წინაშე შემიძლია განვაცხადო, რომ დავითის ერეტიკოსობა – რეფორმატორობა – ანტიმემორანდუმისტობა არცერთ საკათოლიკოსო წევრს არ მოსვლია თავში ნოემბრის 3 სხდომაზე. გადამჭრელი გავლენა იქონია კათოლიკოზის ღრმა რწმენამ,– ეპარქია დაიღუპება თუ დავით ეპისკოპოზი ქუთაისში დარჩებაო. ამას დაერთო მელქისედეკ ეპისკოპოზის ავტორიტეტული განცხადება (ავტორიტული იმიტომ, რომ ის 1925 წ. ქუთაისში იყო ამ საქმის გამო), დავითის გადმოყვანა სასარგებლო და საჭიროა მისთვისაც და საქმისთვისაცო და ყოველადსამღვდელო დავითის ნივთიერად უკეთ მოწყობა, ვინემ ის იყო მოწყობილი ქუთაისში...

3) შემდეგ „ნაკლად“ საკათოლიკოსო საბჭოს ეთვლება ის, რომ მას „გაუვიდა ვადა რწმუნებულობის 1924 წ... მართალია 1925 წ. 10 სექტემბერს გაუგრძელდა მას ვადა მოქმედებისა ეპისკოპოზთა კრებულმა მეოთხე საეკლესიო კრებამდე, მაგრამ თანვე დასძინა, რომ ეს კრება უნდა მოეწვია. საკ. საბჭოს 1926 წ. გაზაფხულზე, რაიცა მან არ შეასრულა და ამით მოისპო თავისთვის მოქმედების უფლება. თავის მართლება, რომ არც ერთ ეპისკოპოსს არ წარმოუდგენია მასალა კრებისათვისო და ამისთვის გადაიდო იგიო არის სიტყვის ბანზე აგდება (გვ. 3-4). საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს, რომ 1924 წ. სექტემბერში გაუთავდათ ვადა რწმუნებულების, ეს ყველა მათგანმა კარგად იცოდა და სწორედ ამისთვის განუცხადეს ეპისკოპოზთა კრებულს 1925.X.10: ჩვენი არჩეულ წევრთ გაგვეიდა ვადა, თქვენ კი უვადო წევრები ბრძანდებით, განგეათავისუფლეთ, ჩვენი არსებობა უკანონოა, თქვენ თავად ეკლესიის მართვა-გამგეობა კრების მოწვევამდე, საკმარისი იქნება სამ-სამი მღვდელმთავარი მორიგეობით ბრძანდებოდეთ ტფილისშიო. ეპისკოპოსებმა არ შეიწყნარეს ვადაგასულ წევრთა მუდარა და განაჩინეს: „საკათალიკოზო საბჭოს აწინდელი შემადგენლობა ცნობილ იქმნას კანონიერად და მისი წევრნიუფლებამოსილად ახალ არჩევნებამდე“-ო. თავისთავად ცხადია ეს არჩევნები უნდა მოეხდინა საეკლესიო მეოთხე კრებას, მაგრამ რა დროისთვის უნდა მოწვეულიყო იგი ეპისკოპოზთა კრებულს არ განუსაზღვრავს. ასე რომ, „თანაც კრება 1926 წ. გაზაფხულზე უნდა მომხდარიყოო.“ ნაყოფია ეპისტოლეთა ავტორთა... სიმართლისა და საკათ. საბჭოსადმი სიყვარულისა. მიუხედავად კრების მოწვევის დროის განუსაზღვრელობისა, 1926 წ. თებერვლის 10 განჩინებით საკათ. საბჭომ მოიწვია საეკლესიო კრება იამვე წლის მაისის 23 თვის, თანაც დასძინა: წინდადება მიეცეთ ეპარქიათა მმართველთ აპრილის პირველამდე წარმოგზავნონ ადგილობრიე აღძრული და დამუშავებული საკითხებიო. ამ საკითხებს საკათოლიკოსო საბჭო ელოდა აპრილის რვამდე და, რადგანაც ასეთები არცერთ მღვდელთმთავარს არ წარმოუდგენია და აღდგომის დღესასწაულებიც მოახლოებული იყო (აღდგომა იყო მაისის 2), განაჩინა (აპრილის 8): საეკლესიო კრება მოწვეულ იქმნას მის შემდეგ, როცა დაგროვდება მასალებიო. ეს განჩინება მეორე დღესვე დაეგზავნათ მღვდელმთავრებს, მაგრამ იგი არ მოსწონთ ეპისტოლეს ავტორებს: „ეს არის სიტყვის ბანზე აგდება, პროექტები უნდა წარმოედგინათ კათოლიკოსსა და მის მოსაყდრესო“ (გვ. 4). მე არ ვიცი რამდენად შესაფერია საეკლესიო მმართველობის (თუნდაც დროებითის) ეპისტოლეში „ბანზე სიტყვის აგდება“ ლაპარაკი, მაგრამ კარგად ვიცი შემდეგი: 1917 წლიდან მე გახლავართ საკათოლიკოზო საბჭოს წევრი და მოწმე იმისა, რომ ვისაც ფუხი შემოუდგამს საბჭოს კარებში ყველა იმეორებს, ცვლილებანია საჭირო ჩვენს ეკლესიაში, მაგრამ კონკრეტულად რა ცვლილებანი (ან რატომ) უნდა იქმნას შემოღებულნი არავისაგან მსმენია. ამის გამო. საკათ. საბჭოს სრულმა შემადგენლობამ 1922 წ. ოქტომბრის 19 გამოიტანა №47 დადგენილება (ნაწილობრივ უკვე ზემოთ მოყვანილი): „ცნობილ იქმნას სასურველად, რომ (საქართველოს ეკლესიაში) ცვლილებანი მოხდეს სამღვდელოების და მორწმუნე ერის მონაწილეობით... დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს... კომისიების არჩევა– და კომისიათა მიერ დამუშავებული პროექტები წარმოუდგინონ საბჭოს უცელელად, და რომ არჩეული კომისიების გარეშეც ყველა მორწმუნეს შეუძლია წარმოადგინოს...

საჭირო ცვლილებათა დასაბუთებული პროექტი.“

ასეთი პროექტების მოთხოვნა „ბანზე სიტყვის აგდება“ კი არ არის, არამედ ნიშანია საქმიანობას: ეპისტოლეს ავტორებს კარგათ მოეხსენებათ, რომ მეორე და მესამე კრებებზე თითქმის ერთხმად იქმნა უარყოფილი საკათოლიკოსო საბჭოს პროექტები სამღვდელეობის მიერ სამსახურს გარეშე საერო ტანისამოსის ტარებისა და მღვდელმსახურებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ხოლო ყოელადსამღვდელო ქრისტეფორე ქუთაისის საკრებულო ტაძრითგან ექსორიაყოფილ უყვიათ ახალი სტილის შესახებ განმარტების მიწოდების გამო. საკათოლიკოსო საბჭომ სწორედ იმისთვის გამოიტანა 1922 წელში №47 განჩინება, რომ ის ღრმად იყო დარწმუნებული, ეერცერთი ცვლილება, რომელიც მორწმუნე ერის მიერ არ არის ცნობილი სასურველად ეერ გატარდება ცხოვრებაში, თუნდაც იგი საეკლესიო კრების მიერ იყოს გამოტანილი. ამ აზრისა ვარ მე დღესაც, მით უმეტეს რომ აი რა ამოვიკითხე მიმდინარე წლის თებერვლის 11 „კომუნისტის“ №33 მოწინაე წერილში (გადმობეჭდილია „პრაედადან“): „ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილებით... ამა თუ იმ ძირითად ცვლილებათა პროექტები მმართველობის დარგში წინასწარ უნდა იქნას განხილული ფართო კრებაზე. პარტიულ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებში და აგრეთვე მუშების და გლეხების კრებებზე... სანამ ეს საკითხები მიიღებენ კანონის ფორმას...“

დამახასიათებელია შემდეგიც: თუ საკათ. საბჭოს მიერ მასალების მოთხოვნა „ბანზე სიტყვის აგდებაა,“ დროებითი მმართველობის 1927 წ. იანვრის 31 განჩინების მესამე მუხლი — „დაევალოს ეპარქიის მმართველთ წარმოადგინონ მღვდელთმთავართა კრებაზე (რომელიც დანიშნული იყო და შესდგა მარტ. 22) მომავალ საეკლესიო კრების განსახილველი საკითხები და მასალები.“ - რაღაა?! თუ: გუოდ ლიციტ ჟორის,...ლიციტ ლორის?!,... ფრაზა — „მაისის 23 კრების მოუწვეველობით საკათ. საბჭომ მოისპო თავისთვის არსებობის უფლებაო.“ გაუგებარია: თუ საკათ. საბჭოს მაისის შემდეგ მოსპობილად სთელიდა თუნდაც ეპისტოლეს ავტორთა მეთაური, რაღათ უგზავნიდა მას მისი მეუფება მოხსენებებსა და თხოულობდა მისგან სანქციას, განსაკუთრებით გაუგებარია 1926 წლის სექტემბრის 24 №209 მოხსენების გამოგზავნა რომელშიდაც აღნიშნულია მეოთხე საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხები: ეპისტოლეს ავტორთა მეთაური მიტროპოლიტ ქრისტეფორე როდის ბრძანდება ჭეშმარიტებასთან ახლო, — 1926 წლის სექტემბრის 24, თუ 1927 წლ. იანვრის 6?! ჩანს, საკათ. საბჭოს აღნიშნული „ნაკლი“ არც იმდენად დიდი ყოფილა, რომ მას მოსპობდა არსებობის უფლება: სრულ გონებაზე მყოფი ადამიანი კი არსება მოსპობილებთან ურთიერთობას არ იჭერს!...

შენიშვნა: ამ საკითზე ამომწურავ პასუხს შეიცავს კათოლიკოს პატრიარქის ამბროსის რეზოლუცია, რომელიც დადებულია ქუთაისის „კრების“ თავჯდომარე ქრისტეფორე მიტროპოლიტის 1926 წლის დეკემბრის 28 მოხსენებაზე. (იხილე ქვემოთ): „1926.XII.29 თუმცა საკათ. საბჭოს წევრებს 1924 წლის ენკენისთვეში გაუვიდათ ვადა, მაგრამ ისინი 1925 წლის ოქტომბრის 10 №11 განჩინებით ჩვენი ეკლესიის ყველა მღვდელმთავართა (მიტრ. ქრისტეფორე, მიტრ. იოანე, ეპისკოპოზნი: დავითი, სეიმონი, ნესტორი და პაველ) საკათ. საბჭოს მუდმივ და პასუხისმგებელ წევრთა მიერ დატოვებულ არიან საკათ. საბჭოს წევრებად ახალ არჩევნებამდე. ამიტომ მათი გადაყენება უკანონო იქნება ყველა მღვდელთმთავართა ნებადაურთველად. თუ დღეს ყველა მღვდელთმთავარნი მოითხოვენ მათ გადაყენებას, მაშინ თვით ყოელადსამღვდელოთ უნდა აიღონ ხელში ეკლესიის მართვა გამგეობა. საეკლესიო კრება მოწვეული იყო 1926 წლის მაისის 23 — სათვის და თუ არ შესდგა, ამის მიზეზი იყო ის, რომ არცერთ მღვდელთმთავარს (მათ შორის ყოელადსამღვდელო ქრისტეფორესდაეითსა და სტეფანესაც) არ წარმოუდგენიათ მათგან მოთხოვნილი საკითხები, რომელიც უნდა გარჩეულიყო კრებაზე. ამის გამო აპრილის 8 განჩინებით საკათ. საბჭომ გადასდო კრება და ხელახლა მოსთხოვა საკითხები ეპარქიათა მმართველ ეპისკოპოზთ, მაგრამ არც ამ მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ეპისკოპოზებმა გარდა ყოელადსამღვდელო ქრისტეფორესი (წარმოადგინა ამ წლის 30/IX მხოლოდ სია საკითხთა და არა დამუშავებული საკითხები) და ეპ. ნესტორისა

– 6/V. ჩემს ეპარქიაში დაინიშნა საეკლესიო კრებაზე განსახილველ საკითხების წამოსაყენებლად და დასამუშავებლად, დეკ. დ. ხახუტაშვილის თავმჯდომარეობით, კომისია; მაგრამ ამ კომისიის ნაშრომი ჩემთვის ჯერაც არ წარმოედგინათ. ნათქვამიდან ცხადად ჩანს კრების დაგვიანება საკათ. საბჭოზე დამოკიდებული არ ყოფილა. ამჟამად კრება მიწვეულია 1927 წლის მარტის 23 თვის, და კვლავ მოთხოვნილია მღვდელთმთავართაგან დამუშავებული საკითხები, რომელთა გადასასინჯავად და გადასამუშავებლად (თუ ამას მოითხოვს საჭიროება) უკვე თებერვლის 10 განჩინებით დაარსებულია კრების წინასწარი კომისია. მთავარ მიზნად ყოველადსამღვდელო ქრისტეფორეს დაუსახეს საეკლესიო კრებისათვის მასალების დამზადება. ვფიქრობ ამ საკითხის მოგვარება შეიძლებოდა, ეკლესიაში ანარქიის შეუტანელად, წინასწარი თათბირის კომისიას მინიჭებული აქვს უფლება, საქმისათვის სასარგებლო პირთა მიწვევისა. (საქმე. №46/926) რაც შეეხება ბრძანებას – „პროექტები კათოლიკოსსა და მის მოსაყდრეს უნდა დაემზადებინათო.“ – ესეც მოკლებულია სამართლიანობას: კათ. პატრიარქის პროექტები (მაგ. მარხვაში ტაძრის დღესასწაულების შესახებ) დღესაც დაცულია კანცელარიაში, ხოლო „მოსაყდრეს“ რომ პროექტების დაწერის უნარიცაა და გაყვანის შესაძლებლობაც აქვს ამის მოწმეა სამივე საეკლესიო კრებისა და საკათ. საბჭოს ჟურნალები,მაგრამ თუ იგი მოელოდა პროექტებს სხვებისაგან,ეს გამოწვეულია შემდეგით: „მოსაყდრეს“ ყოველთვის უსაყვედურებდნენ,შენ ქალაქის გარეთ რა ხდება არ იციო, ამისთვის შენი პროექტები ტერიტორიულია, სოფლის მორწმუნეთათვის გამოუსადეგარიო,ამიტომ მე მსურდა,მენახა „პრაქტიკულ“ მოღვაწეთაგან წარმოდგენილი პროექტები, რომელიც მისაღები იქნებოდა მორწმუნეთა უმრავლესობისათვის, მაგრამ ასეთი პროექტი მე ვიხილე მხოლოდ ერთად-ერთი, – საკურთხეველის გეგრდებზე „ჩამოშვეულ ფარდების“ იქით მოწყობილ „ბუდუარებით“ და „სასიკეთინე ზიარებით“... შეიძლება ასეთი პროექტი ფრიად „პრაქტიკული“ იყოს, მაგრამ ჩემთვის კი გაუგებარი და მიუღებელია“...»

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით გამგეობას (ქუთაისში 1926 წლის დეკემბერში მოწვეულ კრებაზე შექმნილს ს.ვ.) განსაკუთრებით აღიზიანებდათ მიტროპოლიტ კალისტრატეს მოსაყდრის თანამდებობაზე ყოფნა და მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შექმნილ ვითარებაში 1926 წლის 30 დეკემბერს მიტროპოლიტმა კალისტრატემ დროებითი გამგეობისაგან დათხოვნილად გამოცხადებულ საკათოლიკოსო საბჭოს შემდეგი განცხადებით მიმართა: „ვინაიდან დაერწმუნდი, რომ ის არეც-დარეცა, რომელიც დღეს სუფევს ჩვენს ეკლესიაში გამოწვეული ყოფილა უმთავრესად ჩემ მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის აღსრულებით,პატივისცემით ვთხოვ საკათოლიკოსო საბჭოს,აირჩიოს მოსაყდრე სხვა მღვდელთმთავარი,მე კი გამათავისუფლოს ხსენებული მოვალეობის აღსრულებიდან.“[40] მიტროპოლიტ კალისტრატეს ეს გადაწყვეტილება იყო იძულებითი და კიდევ უფრო აძლიერებდა ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილეთა პოზიციებს. მათ ხელისუფლებაც წაეშველა. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის დადგენილებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გაუტარებელი საეკლესიო მართვა-გამგეობის ორგანოები ჩაითვლებოდა უკანონოდ. ქუთაისის კრების მონაწილეობა განცხადებით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიტს, რათა რეგისტრაციაში გაეტარებიანთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი გამგეობა. ამის შემდეგ მოითხოვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარიის, ბეჭდის, საქმის წარმოების გადაცემა, დახმარებისათვის მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელმაც 1927 წლის 4 იანვრის ბრძანებით ჩამოართვა საკათოლიკოსო და საეპარქიო კანცელარია უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის. უწმიდესი ამბროსი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1927 წლის 4 იანვრის ბრძანებით ჩამოგვერთვა როგორც საკათოლიკოსო, ისე საეპარქიო კანცელარია და

ჩაბარდა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას, რომელიც გატარებული ყოფილა რეგისტრაციაში შს კომისარიატის 1926 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით.

აღნიშნულის გამო პატივისცემით მოვახსენებთ შ.ს. კომისარიატს ჩემი თაემჯდომარეობით არსებული საკათოლიკოსო საბჭო და მის ქვემდებარე ორგანოები ცნობილია საქართველოს მთავრობის მიერ როგორც ოფიციალური დაწესებულებანი, საკათოლიკოსო საბჭო მოქმედებს საეკლესიო კრების (1917 - 1920 წ.წ.) მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით, მას მიზნად აქვს დასახული მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხელმძღვანელობა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ სფეროში,არ ერევა არავითარ პოლიტიკურ საქმეში. მაგრამ აღმოჩნდნენ საკათოლიკოსო საბჭოს კანონიერი მოქმედებით უკმაყოფილონი, ერთმა ეპისკოპოსმა (იგულისხმება დაჟით კაჭახიძე ს.ვ.) თავისი თავი ჩემგან და საკათოლიკოსო საბჭოსგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და 1926 წლის 26-27 დეკემბრის ქ. ქუთაისში კანონიერ მანდატების არ მქონე უკმაყოფილოთა კრება მოიწვია. ხსენებულ კრებას გადაყენებულად გამოუცხადებია დღევანდელი შემადგენლობით საკათოლიკოსო საბჭო აურჩევია მის ნაცვლად ეკლესიის დროებითი გამგეობა, მაშინ, როცა ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ეკლესიური თვალსაზრისით კანონიერ კრებას. ქუთაისის კრება კი საეკლესიო კანონების მიხედვით ოდნავადაც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ კრებათ. ვინაიდან კანონიერად ითვლება მხოლოდ ის კრება, რომელიც მოწვეულია ეკლესიის პირველი მღვდელმთავრისაგან, კათოლიკოს-პატრიარქისგან. ქუთაისის კრება არამც არ ყოფილა მოწვეული ჩემს მიერ, არამედ პირდაპირ გამოცხადებული იყო ჩემგან და საკათოლიკოსო საბჭოს მიერ უკანონოდ. ვისაც სურს ეკლესიის კეთილდღეობა მოამზადებს მასალებს მომავალი საეკლესიო კრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის კრება ჩემს მიერ უკანონოდ გამოცხადდა, მას მაინც დაუწყია მუშაობა. პირველ ყოველისა გადაყენებულად გამოუცხადებია საკათოლიკოსო საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა იმ მოსაზრებით, რომ მას 1924 წლის ივლისში გაუვიდა ვადა. 1924 წლის შემდეგ მართლაც არცერთ წევრს არ სურდა მოვალეობის გაგრძელება, მაგრამ თაემჯდომარემ მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ რომელიც 1924-1925 წლებში ასრულებდა ჩემს მოვალეობას მოითხოვა მათგან განეგრძოთ მუშაობა შექმნილი რთული ვითარების გამო ვიღებ რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმულს და აგრეთვე იმას, რომ ქუთაისის კრების განჩინების საეკლესიო ცხოვრებაში გატარების ცდას უეჭველად მოჰყვება შფოთი და არეულობა მართლმადიდებელ ეკლესიაში გადავწყვიტე პირადი პასუხისმგებლობით შევუწყვიტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს უფლებამოსილება და მის მაგიერ მოვიწვიო ორ ბანაკად გაყოფილი საკათოლიკოსო საბჭოს მუდმივ წევრ ეპისკოპოსთა კრებული და მასთან ერთად განეაგო საქართველოს ეკლესიის საქმენი მომავალ საეკლესიო კრებამდე. ეპისკოპოსთა შორის მოწვეულ იქნებიან: მიტროპოლიტი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი იოანე, ეპისკოპოსი სიმეონი, ეპისკოპოსი სტეფანე (ოთხივე ქუთაისის კრების მონაწილენი),ეპისკოპოსი მელქისედეკი, ეპისკოპოსი ალექსი.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, პატივისცემით გთხოვთ, ინებოთ განკარგულება ჩამორთმეული კანცელარიის დაბრუნებისათვის და მომცეთ საშუალება შეუფერხებლად განვაგრძო მუშაობა ჩემს თანამშრომლებთან ერთად." კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. 1927 წელი 12 იანვარი." ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, რომელიც უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის გამოუსწორებელ კონტრევოლუციონერს და საბჭოთა ხელისუფლების მტერს უწოდებდა მის უწმიდესობის მოწოდება უყურადღებოდ დატოვა და ფაქტიურად ეკლესიის მართვაგამგეობის სათავეები ჩამოართვა. მიტროპოლიტი ქრისტეფორე მაინც განიცდიდა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსისთან გამწვავებულ ურთიერთობას ამას ადასტურებდა მისი წერილი პატრიარქისადმი მისი წერილის შინაარსი:

„თქვენო უწმიდესობავ! მართალია, იმედი არა მაქვს, რომ თქვენს წინაშე თავი ვიმართლო,მაგრამ მე მაინც ვთვლი ჩემს თავს ნაკლებ დამნაშავედ ყველა მათზე,ვინც ასტეხა ის აურ-ზაური,რომელმაც გამოიწვია ქუთაისის კრება და ყველა მისი შედეგები:

და თუ ჩემზეა მოპყრობილი ყურადღება თქვენი და ბევრის სხვისა, როგორც მთავარ დამნაშავეზე, ეს არ არის სამართლიანობის ნაყოფი, და მთელმა ქეყანამ, თქვენთან ერთად, რომ მიწოდოს მოღალატე და გამცემი, ამით ჭეშმარიტება ეერაფერს მოიგებს, მადლობა ღმერთს, საქართველოს სხვა მამულიშვილებიც ეყოფა, რომლებიც ასეთს ატესტაციას არ მიკეთებენ მე. მე ვფიქრობ, რომ დავითი, რომელიც საკათალიკოსო საბჭომ გიუად გამოაცხადა თავის ოფიციალურ დადგენილებით, უწოდა რა მას შეპყრობილი დევნულობის და განდიდების მანიით და სულით ავადმყოფი, რომელსაც დაკარგული აქეს პასუხისმგებლობის ნიჭი თავის მოქმედებაში და სურვილებში (იხ. საკათალიკოსო საბჭოს განჩინება 1926 წლის 8 დეკემბერი),— ვფიქრობ, რომ ეს დავითი ზოგიერთ მის ბრალმდებელზე მაინც, უფრო საღია გონებრიეადაც და ზნეობრიეადაც. დღეს სულელად და მოღალატედ ცნობილი დავითი ეგზარქოს ინნოკენტისაგან გაძევებულ იქმნა საქართველოდან, არა ფიქტიურ, მისთვის წაყენებულ ბრალდებისათვის, როგორც ეს უყვეს სხვებს, არამედ მოურიდებელი პროტესტისათვის, რომელიც დავითმა განუცხადა ინნოკენტის რეჟიმს საქართველოში. მაშინ დეკანოზმა კ. ცინცაძემ იმდენი გამბედაობაც კი ვერ გამოიჩინა, რომ უკანასკნელად ეწირეინებია ეპ. დავითისათვის ქვაშვეთში, უარი უთხრა მას. ეს უარი ასწილ აუნაზღაურა დავითს მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ ადრესის მირთმევით, რომელზედაც ხელს აწერდნენ, ბევრ სხვა პატივსაცემ პირებთან ერთად აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კიტა აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილი, ივანე გომართელი და სხვანი. თვით საკათალიკოსო საბჭოს უწოდებია დავითისათვის 1926 წლის იანვრის დადგენილებაში უმწიკვლო ადამიანი, რომლის წინააღმდეგ არავის არ შეუძლია წამოაყენოს რაიმე გამამტყუნებელი ბრალდებანი... და თუ ეს დავითი ქუთაისიდან გაგდებულ იქნა ახალციხეში, ეს აიხსნება, როგორც ახსნა კიდეც ძალიან ხმამაღლა და ყველას გასაგონად თვით დავითმა, შურისძიებით. შუბი ხალათში არ დაიმალება...

ეპისკოპოსმა დავითმა ჩემთან ერთად გთხოვათ 1923 წელში მიგეღოთ ზომები და მოგეგვარებიათ კონფლიქტი საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომ საქართველოს ეკლესიას აცდენოდა ხიფათი ამ კონფლიქტისა გამო მოსალოდნელი. თქვენ მაშინ ჩვენი რჩევა არ მიიღეთ და ამით მრავალი ეენო საქართველოს ეკლესიას. ეს გარემოება თქვენ ვერ აპატიეთ ეპისკოპოს დავითს...

ჯერ კიდევ 1925 წლის შემოდგომაზე იყო დასმული საკათალიკოსო საბჭოში საკითხი დავით ეპისკოპოსის ქუთაისიდან გაძევებაზე. სანამ საბჭოში ეს საქმე დაისმებოდა, ქუთაისში გაგიგზავნიათ ეპისკოპოსი პაელე, რომელსაც იქ გაუერცელებია ხმა, რომ ეპისკოპოსი დავითი არის გამწესებული ქუთაისში დროებით, ასეა დადგენილი საკათ. საბჭოს მიერ და ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ეპისკოპოს დავითს არა აქვს მიცემული მიტროპოლიტობა, თუმცა საქართველოს ეკლესიის დებულების ძალით ქუთათელობასთან ერთად შეერთებულია მიტროპოლიტის ხარისხიცაო. ასეთი მტკიცება, ჩემდა გასაოცრად მოვისმინე თვით მე საკათ. საბჭოს სხდომაზე იმავე 1925 წლის შემოდგომაზე დეკ. კალისტრატე ცინცაძისაგან, რომელიც ემყარებოდა საკათ. საბჭოს დადგენილებას, რომელზედაც მე ხელი მიწერია, როგორც თავჯდომარეს. დადგენილების ტექსტი ასეთია: „იმერეთის ეპისკოპოსად გამწესებულია ეპისკოპოსი დავითი ალაევერდელი ეპისკოპოსისაევე სახელწოდებით.“ ნუთუ ამ დადგენილებიდან არ სჩანსს, ცხადად, რომ დავითი იმერეთის ეპისკოპოსად დროებით არ იყო გამწესებული? ეპისკოპოსი დავითი გამწესებული იქმნა ქუთაისის კათედრაზე საკათ. საბჭოს მიერ ჩემის თავჯდომარეობით ერთხმად, გარდა ეპისკოპოს სვიმეონის ხმისა. სვიმეონ ეპისკოპოსმა იმ კრებაზევე განაცხადა, რომ ის ფოთში ვეღარ წავიდოდა, რომ ფოთში მის სიცოცხლეს საფრთხე მოელოდა, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის წინაშე, რომ მას უფრო ეკუთვნის ქუთათელობა, რომ იგი ახლო იქნება თავის მამულზე და სხვა და სხვა... ჩვენ ამ ტრაბახს და აბდაუბდას მაშინ ყურადღება არ მივაქციეთ და როდესაც ეპისკოპოსმა სვიმონმა დაჟინებით მოითხოვა ქუთათელობა და უარი განაცხადა ფოთში წასვლაზე, მაშინ მას მიეცა წინადადება შემოეტანა განცხადება სამსახურიდან დათხოვნაზე... მხოლოდ მაშინ წავიდა იგი ფოთში და, მადლობა ღმერთს, მას იქ არაფერი ხიფათი არ შემთხვეეია,

როგორც გვაშინებდა. ერთ-ერთ საბუთად, თავის უპირატესობის ცხად-საყოფელად, ეპისკოპოსი სვიმეონი მიუთითებდა დავითის ერეტიკოსობაზე, რომელიც, ვითომდა, გამოიხატა დავითის თავჯდომარეობით 1923 წელში ქუთაისში შედგენილ პროექტში საქართველოს ეკლესიის რეფორმათა შესახებ, მაგრამ ის პროექტი გამოწვეული იყო იმ მოწოდებით, რომელიც 1922 წელში გამოსცა საკათალიკოსო საბჭომ, და რომელზედაც თქვენს უწმიდესობასაც უწერია ხელი. იმ მოწოდებაში ნათქვამია, „დადგა დრო, როდესაც შინაგან, თითქმის, მოწყობილი ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახული მიზნების განხორციელებას: განიწმიდოს მონარქიულ ნაშთებიდან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, გამარტივდეს თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ქრისტე მაცხოვრის დიადის მოძღვრების არსებითი მხარე...“ და სხვა. როგორც ხედავთ, თქვენ გიწერიათ ხელი ისეთს მოწოდებაზე, რომელზედაც ადვილად მოგიწერთ ხელს არა თუ ჟივოცერკოვნიკი, არამედ ბაპტისტიც კი... ხოლო დავითის პროექტი, რომელიც მგონია, დღესაც არ გაქვთ წაკითხული. ამ თქვენს ფართედ დასახულ რეფორმების პროგრამას არამც თუ არ სცილდება, არამედ სარგებლობს მით სულ მცირედ ყოველ შემთხვევაში, პროექტის შედგენა დანაშაულად არ შეიძლება ჩაგეთვალათ დავითისათვის, რადგანაც იმ პროექტით არც თვით უსარგებლნია ეპისკოპოს დავითს, არც არავისთვის უთქვამს ისარგებლე მითაო, ის პროექტი უნდა განეხილა საკათ. საბჭოს სხვა პროექტებთან ერთად, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ზემით მოვიხსენე 1925 წელში საკათალიკოსო საბჭოს კრებაზე ეპისკოპოს სვიმონს თანდასწრებით მაინც იქმნა ისევ დასმული საკითხი დავითის ერეტიკოსობაზე. აქაც ისევ ცხადად გამოსჭვიოდა ერთის მხრივ შეურიგებლობა საკათ. საბჭოს ხელმძღვანელობისა დავითთან და მეორეს მხრივ ისევ სვიმონისაგან წაპოტინება ქუთაისის კათედრისაკენ. ამ კრებაზე ჩემმა დასწრებამ იხსნა ეპისკოპოსი დავითი ქუთაისიდან გაძევებისაგან. ჯერ ერთი, კრების ერთი მონაწილე, ბრალმდებლობის გუნებაზე დამდგარ მღვდელმთავარს მოეახსენე: „მკურნალო, ჯერ თავი შენი განიკურნე, მეთქი,“ ხოლო ეპისკოპოს სვიმონის საყურადღებოდ განვაცხადე: თუ ქუთაისის კათედრა დაიცლება, მე ვარ მთხოვნელი, გამამწესოთ იქა მეთქი. მაშინ გადარჩა დავითი ქუთაისიდან გაძევებას. ეს გარემოება არ ეპატივა, როგორც ეტყობა, არც დავითს და არც მე.

მე, როგორც თქვენის უწმიდესობის ერთ-ერთმა თანამსახურმა, წერილობით მოგახსენეთ, რომ ეპისკოპოსებთან მოგეგვარებიათ კავშირის გამტკიცება და ამასთანავე მორიდებოდით ეპისკოპოსთა გამრავლებას. ეპისკოპოსთა გამრავლებას თავისი უარყოფითი მხარეები აქვს, რაიცა, ჩემის აზრით, დამტკიცდა კიდეც. ჩემი რჩევა თქვენ კადნიერებად ჩამითვალეთ და საკათ. საბჭომ წერილობით მაცნობა, რომ ამ კადნიერებისათვის მე ვიქნები მიცემული პასუხისგების წინაშე მომავალ საეკლესიო კრებისა, რომლის მსჯავსაც, თუ კი მოვესწრები მის მოწვევას, მე მორჩილებით მივიღებ, რაც უნდა სასტიკი იქნეს ჩემთვის.

1926 წლის ოქტომბერში მე პირადადაც და წერილობითაც ვთხოვე მიტრ. კალისტრატეს, მორიდებოდით ეპისკოპოსთა გამრავლებას და სამსახურში მყოფ ეპისკოპოსთა გადაყვანა — გადმოყვანას ეპისკოპოსთა კრების გარეშე. მე იმ აზრის ვიყავი და ვარ, რომ ეპისკოპოსთა კრებაზე უფრო უმტკივნეულოდ მოხდებოდა მათი გადანაცვლება ერთის ადგილიდან მეორეზე, მაგრამ არც ამ რჩევამ იმოქმედა. ერთბამად ჭადრაკულის წესით, დაძრულ იქმნენ ადგილებიდან ეპისკოპოსები: ურბნელი-ბათომში, ბათომელი — ფოთში, ფოთელი — ქუთაისში, ქუთათელი — ახალციხეში. ვინ გასწია გინდერბურგის როლი ამ სტრატეგიულ გადაჯგუფებაში, მე არ ვიცი; მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, აქ ნიშანში ამოღებული იყო ეპისკოპოსი დავითი, ახალციხის ფრონტზე გაგზავნით, და დაკმაყოფილებულ იქმნა ქუთათელობის მაძიებელი „დიდად ნაღვაწი საქართველოს ეკლესიისათვის, თვით გაბრიელისაგან ჩვენებით ქუთათელად დასახული,“ ეპისკოპოსი სვიმონი (აზრი ეკუთვნის ეპ. სვიმონს). როდესაც მე მივიღე საკათ. საბჭოდან ცნობა ამ გადაჯგუფების შესახებ, ვიფიქრე: ალბად, დავითმა ვეღარ გაუძლო „კლიაუზნიკობას“ და თავისით მოშორდა ქუთაისსა მეთქი. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგი მისდა უნებურად აღმოჩნდა გადაყვანილი. რაც შეეხება

იმ ზღაპარს, რომ მთელს ქუთაისის ეპარქიას არ პსურს ეპისკოპოსი დავითიო, ამისი უნიადაგობა გამოჩნდა ქუთაისის საეპარქიო კრებაზე 1926 წლის 21 დეკემბერს. თითო-ოროლა „კლიაუზნიკი“, რომ არ გამოელევა ქუთაისს, ეს ნეტარხსენებული ეპისკოპოს გაბრიელის ცხოერებიდანაც ვიცით, ეპისკოპოს დავითის ქუთათურ ოპოზიციონერებს ამხნევებდნენ საკათ. საბჭოდან დავითით შავის ფერადებით და სურათხატებით: ჟიოცერკოვნიკი, მოღალატეო და სხვა. ეპისკოპოს დავითს განუცხადებია საკათ. საბჭოსათვის, ახალციხეში ვერ წავალ, რადგანაც დანაშაულს არაფერში ვგრძნობ და თან იქ შიმშილით სიკვდილი მომელისო, ამაზე საკათ. საბჭოს უპასუხნია, იქ ბევრი კურორტებია, იქაური ჰაჟა მოგიხდება და თუ არ წახვალ განკვეთილ იქნები ხარისხიდანაო; ეპისკოპოს დავითს განუცხადებია თავისი თავი და ეპარქია ქუთაისისა ჩამოწერებულად საკათ. საბჭოდან და კათალიკოსიდან, თავის მხრივ საკათ. საბჭოს გამოცხადებია თავის 1926 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით, რომ ეპისკოპოსი დავითი: „ამჟამად შეპყრობილია იმ ავადმყოფობით, რომელსაც დევნულობისა და განდიდების მანია ჰქვია და რომლის შედეგად უნდა ჩაითვალოს ყოვლადუსამღვდელოესის აწინდელი სულიერი მღელვარება, აზრთა არევ-დარევა, სურვილთა გამოურკვეველობა და საქართველოს ეკლესიაში განდგომილება-განხეთქილების შემოტანის ცდა, ამის გამო საკათ. საბჭომ განაჩინა; ყოვლად სამღვდელო დავითის უკანასკნელი განკარგულებანი ცნობილ იქმნეს ავადმყოფ-ადამიანის ნაწარმოებად; თვით ყოვლად სამღვდელო დავითი დათხოვნილ იქმნეს შვებულებაში, სანამ მის მეუფებას დაუბრუნდებოდეს სულიერი სიმშვიდე; შვებულების დროს საჭირო პირადი ხარჯების დასაფარავად დაენიშნოს ყოველად სამღვდელო დავითს: აწყვერ-ურბნისის ეპარქიის შემოსავლიდან ყოველთვიურად სამ-სამი თუმანი, რომლის თავ-თავის დროზე მიღების შესახებ — მისი მეუფება იქონიებს მიმოწერას აწყვერ-ურბნისის დროებითს მმართველ ყოვლად სამღვდელო ნინოწმინდელთან.“

ყველა მიხედებაჟისაც ეკუთვნის ამ „ისტერიულ“ დოკუმენტის რედაქციას(გულისხმობს მიტროპოლიტ კალისტრატეს ს.ჯ.) მაგრამ ოფიციალური დაწესებულება „საკათ. საბჭო, სანამ ასეთს, მართლა, რომ კაცის გამაგიჟებელ განაჩენს გამოიტანდა, უნდა ერთ-ორ ფსიქიატრს მაინც დაჰკითხებოდა, რომ დადგენილებას მისცემოდა დინჯ ადამიანთა ნაწარმოების ხასიათი... როგორც ეტყობა საკათ. საბჭოს მიუღია მზრუნველობა და „შეშლილ“ ეპისკოპოს დავითის აპეკუნად მიუჩენია ასეთს საქმეში დახელოვნებული მიტრ. კალისტრატე, რომლის განკარგულებაშიაც გადაუდვია ეპ. დავითზე ხარჯების გასაწევად თვეში სამი თუმანი. ასეთის უებარის მზრუნველის ხელში თუ რა მოუვიდოდა დავითს, ამის გამოცნობა არ არის ძნელი. მაგრამ მართლა გიჟია დავითი? არ მოეკითხება განაჩენის გამომტანთ პასუხი, თანახმად მათეს სახარების მე-5 თავის, 22-ე მუხლისა? ყოველივე ზემოხსენებული ამბავი დავითის განდგომილების შესახებ ისე მოხდა, რომ მე ეს გაეიგე სოხუმში დაგვიანებულად, როდესაც უკვე დავითს გამოეცხადა თავისი ეპარქია ჩამოშორებულად. დავითის ჩამოშორებას მოჰყვა ეპისკოპოს სვიმონის დეპეშა საკათ. საბჭოსადმი, რომ იგიც ჩამოშორდა საკათ. საბჭოს და შეუერთდა დავითს. როგორც გამოირკვა, სვიმეონის საქციელი ადვილად ასახსნელი გამოდგა. ეპისკოპოსი სვიმეონი დაერწმუნებიათ, რომ ეპისკოპოსი დავითი ტფილისში გადადის საქართველოს ეკლესიის დროებითის გამგეობის ხელმძღვანელად, ქუთაისის კათედრა თავისუფალია და შეგიძლია ეს კათედრა მიიღოო; და სვიმეონმაც იშორსმჭვრეტელა, საკათ. საბჭოს მოსწერა დეპეშა, მშვიდობით, თქვენთან მე კავშირსა ვსწყვეტ, რადგანაც მე, აქ, ქუთაისშივე, ვახერხებ უთქვენოდ გამაგრებას... მერე ისევ ბოდიში. საბჭოს წინაშე... ეთქმის კი ისეთს კაცს ეპისკოპოსი, რომელიც ასეთს მალაყებს გადადის თავის უმგვანო სურვილის განხორციელებისათვის? თქვენი უწმინდესობა გამწყრალია ქუთაისის კრების მონაწილეობაზე. თქვენ ბრძანებთ, ის კრება უკანონო იყოო. მაგრამ არც ამ კრების გამომწვევი საკათ. საბჭოს მოქმედება იყო კანონიერი. საკათ. საბჭომ აღარც ეპისკოპოსთა კრებები მიიწვია, არც საეკლესიო კრება და ამისთვის მოხდა ეს აურზაური. 1926 წლის 23 მაისს დანიშნული კრება არ უნდა გადადებულიყო. იმის გადადების გამართლება არაფრით არ შეიძლება.

ჩვენ გებრალდება ანარქიის შეტანა ეკლესიაში. მაგრამ ნამდვილი ანარქიის შემტანნი

ეკლესიაში სარგებლობენ სრულის თავისუფლებით. 1924 წლის იელისში თქვენის სახელით მოახდინეს უწესოება, სიონში: ჩიქვანიამ, სახოკიამ და სანაიამ; შესამოსი არ დამანებეს და არ მაწირვინეს. მათისვე ინიციატივით გამოცხადდა 1925 წლის 4 და 6 იანვრის გაზ. „კომუნისტის" №№-ში, რომ მე გადაყენებული ვიყავი თქვენის მოადგილეობიდანაც და ეპარქიის უფროსობიდანაც. ამას აცხადებდა ბ. სახოკია თავისისა და დეკანოზთა მირიანაშვილის, თოთიბაძის, ლაზარიშვილის, გარსიაშვილის, ფხალაძის, მაჭარაშვილის, ბ.ი. რატიშვილის და სხვათა სახელით. ამათ ჩემმაგიერობა გადაუხლოცეს ეპისკოპოს პაველს, ხოლო მე წირვა ამიკრძალეს. მერე მოსთხოვა ვინმემ პასუხი ამ პირთ? — არავინ და არავითარი. და დღესაც ჩიქვანიას, სახოკიას და სხვებს მეტი ეკითხვის საეკლესიო საქმეში, ვიდრე მე...

კიდევ ბევრი შეიძლებოდა მეთქვა, თუ ვის აქვს მეტი ხმა ჩვენს საეკლესიო საქმეებში, მაგრამ ვიკმაროთ ნათქვამიც. მე მიბრძანეს და წავედი აფხაზეთში. თუ ახლა ჩავერიე საქმეში, ეს აიხსნება ჩემი მდგომარეობით და მოვალეობით, სხვას ტყუილად ნურაფერს მიაწერთ. შურისძიება და მითქმა-მოთქმაზე დამყარება საზოგადო საქმეს ხეირს არ დააყრის. ბოლოს არ შემიძლია არ დავუმატო, რომ დავითის ჩამოშორება საკათ. საბჭოდან, არ არის არაფრით გასამართლებელი, მაგრამ სამწუხაროდ, მისი შეცდომა გამომდინარეობდა სხვათა შეცდომებიდან და ამისთვის შესაძლებელია მოექცეთ მას ლმობიერად. იმედია, მეც შემიცვლით რისხვას მოწყალებაზე და დამწვარზე მდულარეს არ დაასხამთ. მიტრ. ცხუმისა და აფხაზეთისა: ქრისტეფორე 1927 წლის 28 იანვარს."[42]

ფრიად სამწუხარო ფაქტი იყო, რომ უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსისა და ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის სრული გაუცხოება მოხდა. ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ თავისი ვერაგული გეგმა განახორციელა, გამოიწვია დაპირისპირება და შფოთი საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში, ზოგიერთ სასულიერო პირს შეუქმნა იმის ილუზია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ „რეაქციულ ანტისაბჭოელ სამღვდელოებას" ებრძოდა, ხოლო საბჭოთა პოლიტიკური სისტემისადმი ლოიალურად განწყობილთ არაფერს არ დაუშავებდა, მაგრამ ფაქტები სულ სხვა რამეს მეტყველებდნენ. 1927 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა იოსებ სტალინმა პირდაპირ განაცხადა: „პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ, რეაქციული სამღვდელოების მიმართ, რომელნიც წამლაეს მშრომელი მასების შეგნებას, დავთრგუნოთ თუ არა რეაქციული სამღვდელოება? დიახ, დავთრგუნეთ, ოღონდ უბედურება ის არის, რომ იგი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოსპობილი. ანტირელიგიური პროპაგანდა არის ის საშუალება, რომელმაც ბოლომდე უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე."[43] პარტიის ლიდერი რეაქციულ სამღვდელოებაში გულისხმობდა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ სასულიერო პირებს. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უმძიმესი ვითარება იყო, გრძელდებოდა სასულიერო პირების დაპატიმრება, ეკლესია-მონასტრების ნგრევა. ვითარებას არ ცვლიდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მღვდელმთავრების მოწოდებანი. როგორც დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე გულისტკივილით წერდა: „საქართველოს ეკლესია შევიდა არნახული კრიზისის ფაზაში, მოქმედი ეკლესიების კვდომა იწყება არა ცენტრიდან, არამედ პერიფერიებიდან."[44] ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ შეებით ამოისუნთქა, როდესაც შეიტყო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის გარდაცვალება (1927 წლის 29 მარტი). ამის შემდეგ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი გამგეობა ოფიციალურად შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვას.

1927 წლის 21-27 ივნისს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი გამგეობის თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე. კრების დღის წესრიგის საკითხები იყო: 1. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულების დამტკიცება; 2. დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლების მთავრობისადმი მასთან საერთო ენის გამონახვისა, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობანი; 3. საშუალებანი და ღონისძიებანი 1923 წლის 18 იანვრის მთავრობის დადგენილებისა, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის ცხოვრებაში გასატარებლად; 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები.“[45]

IV საეკლესიო კრებამ მიიღო საგანგებო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და მას აქვს მოქმედებისა და სარწმუნოების პროპაგანდის სრული თავისუფლება. ამ დებულებით განისაზღვრება დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში. ამას ავალებს მას თვით იესო ქრისტეს მოძღვრება: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“ (მათ. 22, 21). მოციქული პავლე იტყვის: „ყოველივე დაეშორჩილდეთ უზენაესთა ხელისუფლებათა; არ არის ხელისუფლება ღვთის გარეშე, არსებული ხელისუფლებანი ღვთისაგან არიან განწესებულნი. ამისთვის ხელისუფალთა მოწინააღმდეგენი არიან წინააღმდეგნი ღვთის განჩინებისა, ხოლო მოწინააღმდეგენი თვით მიიღებენ სასჯელსა“ (რომ. 13, 1-2).\IV საეკლესიო კრება ხაზს უსვამს რა ამას და უმთავრესად კი ეკლესიის ჩაურევლობას პოლიტიკაში, კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთ არ შეუძლიათ იქონიონ არავითარი კავშირი სახელმწიფოს საწინააღმდეგო პარტიებთან და ჯგუფებთან და ჰგმობს მათ მოქმედებას, რომელნიც მიმართული იქნება საბჭოთა საქართველოს და მისი მოკავშირე ერების მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგ. საქართველოს ეკლესიის IV კრება აღიარებს, რომ არც საქართველოს ეკლესიის მესამე კრებას და არც მღვდელთმთავართ არ დაუუალებია არავისათვის გაგზავნა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო მემორანდუმისა გენუის კონფერენციისადმი, და რომ ეს ნაბიჯი, გადადგმული 1922 წელს, გამოდგა საბედისწერო საქართველოს ეკლესიისათვის, გაართულა მისი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან, რომელიც გელათის საეკლესიო კრების დროს და შემდეგაც იჩენდა საქართველოს ეკლესიისადმი ლოიალობას.

IV საეკლესიო კრება ადასტურებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება ნაციონალურ ნიადაგზე ვითარდება წარმატებით, ვიდრე მის წინამორბედ რეჟიმების ხანაში. IV საეკლესიო კრებას არ შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს – ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის მეთაურობით – ჰყოლიათ წარმომადგენლები რომის პაპთან და კენტებერიის მთავარეპისკოპოსთან. კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესიის პასუხისმგებელ პირთ არავითარი დავალება ან რწმუნება არ მიუციათ ქართველი ემიგრანტებისათვის აწარმოონ მოლაპარაკება რომის პაპთან და ანგლიკანურ ეკლესიასთან და რომ ასეთ ცდებს ქონებოდა ადგილი საქართველოს ეკლესიის რომელიმე წარმომადგენელის მხრივ, მაშინ კრება იძულებული იქნებოდა განეკეთა იგი საქართველოს ეკლესიიდან. საქართველოს ეკლესია იყო და არის აღმოსავლეთ ეკლესიის მართლმადიდებლობის აღიარების ნიადაგზე და იცავს თავის დამოკიდებულებას ყველა სხვა ეკლესიისგან და არც ფიქრობს მართლმადიდებელი ეკლესიის რომელიმე დოგმატის შეცვლას. ამასთანავე ერთად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ქადაგებს მშვიდობას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება იმ ფაქტს, თითქოს რომის და

ანგლიკანურ ეკლესიების მეთაურნი იჭერენ კავშირს ანტისაბჭოთა პარტიების და ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომელნიც ცდილობენ ხელმეორედ დაარღვიონ ქართველთა მშვიდობიანი ცხოვრება. ეს დეკლარაცია ეცნობოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობას და გადაეცეს პრესის წარმომადგენლებს.“[46] დეკლარაციის შინაარსიდან კარგად ჩანდა IV საეკლესიო კრებაზე ბოლშევიკური ხელისუფლების ზეწოლის კვალი. როდესაც კრების მონაწილენი საუბრობდენ ხელისუფლების ეკლესიის მიმართ ლოიალობაზე სინამდვილეს არ შეუფერებოდა, ქვეყანაში მძვინვარებდა აგრესიული ათეიზმი, სასულიერო პირთა დევნა-შევიწროება და ამიტომ ამოიღო ხმა მათ დასაცავად უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ. რაც შეეხებოდა რომის პაპსა და ანგლიკანურ ეკლესიას მათ ქართველი ემიგრანტების მეშვეობით ჰქონდათ დეტალური ინფორმაცია საქართველოს ეკლესიის მიმართ ხელისუფლების ძალადობისა და ისინი ცდილობდნენ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების ყურადღების მიპყრობას საქართველოში სინდისის თავისუფლების შელახვისა და სასულიერო პირთა დევნა-შევიწროების გამო. IV საეკლესიო კრების მიერ მიღებული დეკლარაციის გამოქვეყნებამ საფრანგეთის ქართული ემიგრაცია იმდენად გააბრაზა, რომ მათ უარი განაცხადეს საქართველოს ეკლესიის სულიერ შვილობაზე და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადავიდნენ..

საეკლესიო კრებამ მოისმინა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მოხსენება „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1921-1927 წლებში“ და აღნიშნა, საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის ადგილი ჰქონდა უთანხმოებას და რომ, „ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის უნდა მოისპოს ყოველივე შუღლი და უთანხმოება, ყველამ, მორწმუნე ერის კაცებთან ერთად, შეთანხმებულად ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ეკლესიის ჭრილობების გამრთელებას, ეკლესიის განმტკიცებას და წარმატებას, ეკლესიის მომავალი უზენაესი ორგანო, რომელსაც აირჩევენ მტკიცედ დაიცავს კრების მიერ მიღებულ დებულებას, აუცილებლად მოიწვევს თავის დროზე საეკლესიო კრებას, მღვდელმთავართა სხდომებს და განუხრელად გაატარებს ცხოვრებაში საეკლესიო დისციპლინას და შეუდგება ენერგიულად გეგმიან და შეთანხმებულ მუშაობას ეკლესიისა და ერის საკეთილდღეოდ.“[47]

საეკლესიო კრებამ მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს საქმიანობა, მიიღო გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და მის ნაცვლად საკათოლიკოსო სინოდის დაარსების შესახებ. კრებაზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ქრისტეფორეს წინადადებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს გამოაკლდა უწმიდესი და ამიერიდან იქნებოდა მხოლოდ უნეტარესი. კრებაზე გაიმართა კამათი „მართვა-გამგეობის ახალი დებულების გამო.“ დებულების თანახმად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში იყო 15 მოქმედი ეპარქია: 1. მცხეთა-თბილისის, 2. წილკნის, 3. მანგლისის, 4. აგარაკ-წალკის (ახტალა-ბეშთაშენის), 4. ალავერდის, 5. ბოდბის (ზაქათალა, განჯა, კახი, ქურმუხითურთ). 6. ურბნისის (ისტორიული მაღრან-დვალეთით). 7. აწყურისა (ისტორიული ტაოკლარჯეთით), 8. მარგვეთის, 9. ქუთაის-გაენათის, 10. ნიკორწმინდის, 11. ცაგერისა, 12. ჭყონდიდის, 13. ბათუმ-შემოქმედის, (ტაო-კლარჯეთ-ჭანეთის ნაწილით). 14. ნინოწმინდის, 15. ცხუმ-აფხაზეთისა. საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულებით განსაზღვრული იყო მღვდელმთავართა, კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო სინოდის უფლება-მოვალეობანი. საეკლესიო კრებაზე იყო მწვავე თვითკრიტიკული გამოსვლებიც, მაგალითად ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) აღნიშნავდა: „რა შეეძინეთ ჩვენ ეკლესიას ბოლო ათი წლის მანძილზე? საუბედუროდ ვერაფერი, ვინაიდან ჩვენ, როგორც საკუთარი ენებით გატაცებულებმა ვერ ავუღეთ ალღო ახალ ცხოვრებას, ვერ გამოვიმუშავეთ საზოგადო გეგმა, გზა, საერთო ენა საქმისა და ხალხის უკეთესად წარმატების და კეთილად მოღვაწეობისათვის, რაშიც დიდი სამარცხვინო როლი ითამაშა დიდების მოყვარეობამ, ამპარტავნებამ, მედიდურობამ, შურისძიებამ... ჩვენმა წინასწარ დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა შესახებ წირვა-ლოცვის შემოკლებისა,

ახალი სტილის შემოღებისა, ალალბედზე მორწმუნეთა მიგდებამ ხალხი ჩვენდამი უარყოფითად განაწყო...“[48]

საეკლესიო კრებამ საკათოლიკოსო საბჭოს ნაცვლად დააწესა საკათოლიკოსო სინოდი. საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ქრისტეფორე III-ის სახელწოდებით. IV საეკლესიო კრების მიმდინარეობას ეხებოდა საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი რომლის ავტორია ელადიმერ დეკანოზოვი. წერილში საუბარი იყო საქართველოს ეკლესიის რეაქციულ საქმიანობაზე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პერიოდში,რომელსაც დაუპირისპირდა მიტროპოლიტი ქრისტეფორე და მისი მომხრეები. „საეკლესიო კრებაზე მძაფრი დაპირისპირება მოხდა განსვენებული კათოლიკოს ამბროსისა და ქრისტეფორეს მომხრეებს შორის. ამბროსის მომხრეებმა პროტესტის ნიშნად კრება დატოვეს, დარჩენილებმა ქრისტეფორე აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იგი სიმპატიებს გამოხატავს ბოლშევიკების მიმართ და უპირისპირდება ემიგრანტულ მენშევიკურ მთავრობის წევრებს. საჭიროა მისი მხარდაჭერა.“[49]

1927 წლის 14 ოქტომბერს,სვეტიცხოველობას მოხდა სრულიად საქართველოს კათო–ლიკოს-პატრიარქ უწმიდესი და უნეტარეს ქრისტეფორე III-აღსაყდრება, რომელმაც მოკრძალებულად ჩაიარა. ახლა უკვე იგი ოფიციალურად შეუდგა საქართველოს ეკლესიის მართვას. მანამდე თუ ოპონირებას უწევდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს და საყვედურობდა, რომ საჭირო იყო, ხელისუფლებასთან ურთიერთობაში უფრო მოქნილი დიპლომატია ახლა უკვე თვითონ დაინახა, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან, ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის გამოცხადებამ საქართველოს ეკლესიას არაფითარი შეღავათი არ მისცა,ისევ გრძელდებოდა ეკლესია-მონასტრების რბევა. 1928 წელს ალაევერდელი ეპისკოპოსი სტეფანე ასეთი შინაარსის წერილებს უგზავნის კახეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს და პროკურორს. „ალაევერდის საეპარქიო საბჭო პატივისცემით გაცნობებთ და გთხოვთ, რომ ჯეროვნის განკარგულებით და შეგონებით დავავალოთ ალაევერდის თემკომებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უფლება გადამეტებით ნუ აწუხებენ მორწმუნეთ, რომ ცხოვრებაში გასატარებელი კანონები წესიერად გაატარონ,“ „გთხოვთ კეთილი ინებოთ ჯეროვანის განკარგულებით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მქონდეს უფლება ეპარქიაში მოგზაურობისა.“ „გთხოვთ აღკეეთოთ ზემო ხოდაშენის თემკობის თავმჯდომარის ე. უთიაშვილის თვითნებობა, რომელიც ემუქრება სასულიერო პირებს,“ „1928 წლის 18 მარტს ბოროტმოქმედთ გაუტეხიათ გრემის ეკლესია,გაუტანიათ ეკლესიის სიწმინდენი, რაზეც მღვდელს მილიციაში განუცხადებია, 20 მარტს მეორედ გაუტეხიათ ეკლესია და დარჩენილი წიგნები, საეკლესიო ნივთები გაუტანიათ, მღვდელს კი მოკვლით დამუქრებიან, ყვარლის დიაკვნის ეასილ სეფაშვილისთვის ძალა დაუტანებიათ და დიაკვნობიდან დათხოვნის ქაღალდი შეუდგენიებიათ.“ „ალაევერდის თემკობის თავმჯდომარეს ადგილობრივი მღვდლისათვის 40 თუმანი წაურთმევია და ტაძარი დაულუქავს.“ „იყალთოს ეკლესია გაიძარცვა თელავიდან ჩამოსული ექსკურსანტების მიერ.“[50]

1928 წლისათვის მოქმედ—ეკლესიათა რაოდენობა 1450-დან შემცირდა 350-მდე, ღვთისმსახურთა 1600-დან 300-მდე. ყველა ეპარქიაში ერთი ხელწერით მიმდინარეობდა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული აქტივისტების მიერ სასულიერო პირთა დევნა. „1928 წ. თერჯოლაში თემკობის თავმჯდომარემ ვასილ ობოლაძემ ადგილობრივ მღვდელის ირაკლი გურგენიძეს გამოუცხადა თუ მღვდლობას თავს არ დაანებებ მიწას ჩამოგართმევო.“[51]

1928 წელს საქართველოში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, ხოლო 1930 წელს ანტირელიგიური უნივერსიტეტი, რომელსაც უნდა მოემზადებინა რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდობა. „საქართველოს ეკლესია სულს ლაფავს... თუ ასე გაგრძელდა კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე უსამწყსო და უსამღვდელო

კათოლიკოსი დარჩება. პროვინციებში მღვდლები ეელარ აუდიან უსაშველო დაბეგვრას და გარბიან, სტოვებენ სამრეველოებს... ქალაქში კიდევ ახერხებენ ცხოვრებას, მაგრამ ვაი ასეთ ცხოვრებას, დიდ გასაჭირს განიცდიან, დევნა, დამცირება, შევიწროება ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია“ (დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე). ასეთ რთულ ვითარებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ქრისტეფორე III-ემ 1928 წლის 1 ოქტომბერს მკაცრი წერილით მიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. წერილის ავტორის სტილი თითქმის არ განსხვავდება უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მიმართვებისაგან. უნეტარესმა ქრისტეფორემ როგორც ეკლესიის მეთაურმა დაინახა რა მძიმე იყო კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი და როგორ თავგანწირვას მოითხოვდა იგი. მისი მზადყოფნა ამ თავგანწირვისათვის ჩანს ამ წერილიდანაც „საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის დელეგაციასთან ერთად მოგართმევთ განცხადებას იმ ადმინისტრაციულ დევნულებათა შესახებ, რომელსაც განიცდის საქართველოს ეკლესია მორწმუნეებიც და სამღვდელოებაც. განცხადებით დელეგაცია სთხოვდა ცაკს, მოეხდინა აღმომწურავი განკარგულება, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მისცემოდა უფლება არსებობისა და მოქმედებისა საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში, რადგანაც ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული შევიწროებანი, არა იდეოლოგიურის, არამედ ადმინისტრაციული ხასიათისა, უსპობენ მას არსებობის შესაძლებლობას. ხსენებული განცხადების ცაკისადმი მიცემის შემდეგ საქართველოს ეკლესიას მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხდება მღვდლების მკვლელობანი, ეკლესიების დანგრევა, დაწვა მისი ნივთებისა, აკრძალვა ზარის რეკვისა და ბინებიდან მღვდლების გამოსახლება. ეკლესიის დაბეგვრა არა ფაქტიურის, არამედ ზომაზე ერთი ათად გადიდებულ ფიქტიურ შემოსავლის მიხედვით. ზემოხსენებულის დამამტკიცებელი ფაქტებია: 1. 1928 წლის 9 დეკემბრის ღამით მოკლეს კახეთის მაზრის სოფ. მატანის მღვდელი ასათიშვილი, როდესაც შინ ბრუნდებოდა, მკვლელები არ ჩანს. 1928 წლის 24 იანვარს მოჰკლეს გორის მაზრის მღვდელი აბრამიშვილი, როდესაც შინ ბრუნდებოდა ნათლობის შესრულების შემდეგ. 1928 წლის 28 სექტემბერს ღამით თავს დაესხნენ კახეთის მაზრის სოფელ კისისხევის მღვდელს ბაკურაძეს შეიარაღებული პირნი, ძირითადად ახალგაზრდები, რომელნიც მღვდელს სახლში შეუცვივდნენ თოფებით და რევოლვერებით და მღვდელსა და მის ცოლს სთხოვდნენ ფულს, რაც მასპინძლებს არ აღმოაჩნდათ, წაიღეს ანაფორა, მსუბუქი ნივთები. მღვდელმა მიაგდო მრეველიც, სახლიც და გაიქცა. იგი ამბობს, რომ იქ ეელარ დავბრუნდები, რადგან არავისგან არ მოველი შველასო. დაანგრიეს ეკლესიები ძირულაში, ნატანებში, ოზურგეთში, ასკანაში, ჩოჩხათში. ქუთაისის მაზრის სოფელ ბაშში ეკლესია კლუბად გადააკეთეს, როდესაც მორწმუნეებმა პროტესტი განუხადეს დაემუქრნენ შავ სიაში შეტანით, გადასახადების ზედმეტი დაბეგვრით და მიწის ნორმის ჩამორთმევით. კახეთის-მაზრის სოფ. კარდენახში ბეერჯერ გატეხეს ეკლესია, შიგნით მიანგრ-მოანგრიეს მოწყობილობა და გამოყარეს გარეთ საეკლესიო ნივთები. მრავალჯერეე მოიყვანეს მორწმუნეებმა წესრიგში იქაურობა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ ეკლესიის ზრუნვაზე. იმავე მაზრის სოფ. ენისელში გატეხეს ეკლესია და შიგ საქონელი შერეკეს, სოფელი ყარსუბანში დაარბიეს ეკლესია და მღვდელს შეუთვალეს თუ მღვდლობას თავს არ დაანებებთ მოგკლავთო. სოფელ ტიბაანში ცეცხლი წაუკიდეს ეკლესიის კარებს. ზარების რეკვას უკრძალავენ გაგრაში, მარტყოფში, თელავში. საქართველოში ეპისკოპოსებს ადგილობრივი ხელისუფლება ნებას არ აძლევს თავიანთ ეპარქიებში მოგზაურობისას.“[52] ეს მოხსენება არის ბოლშევიკური ხელისუფლების საბრალდებო დასკვნა, მაგრამ ისინი ჩვეული აგრესიულობით აგრძელებდნენ თავიანთ შავბნელ საქმეებს.

ბოლშევიკური ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე უწმიდესი ქრისტეფორეს განკარგულებით 1927-1928 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო სინოდი, ეპარქიები, მოქმედი ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები

სასწრაფო წესით გატარდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ რეგისტრაციაში. 1928 წლის 21 აპრილს საკათოლიკოსო სინოდმა მოისმინა საკითხი სამსახურში მყოფ მღვდელმთავრის კათედრაზე არჩევის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში,რომ ასეთი არჩევა უნდა ხდებოდეს საკათოლიკოსო სინოდისაგან წინასწარი ნებართვის გამოთხოვის შემდეგ. 1929 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ასეთი განცხადებით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ს „თანახმად 1927 წლის 14 დეკემბრის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადების დებულების 33-ე მუხლის და 1928 წლის იანვრის ინსტრუქციისა თქვენდამი დაქვემდებარებული თავისუფალი პროფესიის (კულტის მსახურნი) ვალდებულნი არიან წარმოადგინონ შემოსავლის ზუსტი რაოდენობა.“53 დაიწყო სასულიერო პირთა ახალი დაბეგვრა. გადასახდელი თანხა ბევრად აღემატებოდა მათ შემოსავლებს. 1931 წლის 7 თებერვალს ბეთანიის მონასტრის მოძღვარი იოანე მაისურაძე საკათოლიკოსო სინოდის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავდა: „ვითვლები მონასტრის ყარაულად, რადგან იგი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ცნობილია როგორც ისტორიული ძეგლი. ვიღებ 5 მანეთს, მრეველი არ მყავს, დამბეგრეს, მაგრამ რით გადავიხადო?“

1930 წლის 8-11 ოქტომბერს თბილისში ჩატარებულმა V საეკლესიო კრებამ საკათოლიკოსო სინოდს უწოდა სასინოდო პლენუმი, ეპარქიათა მღვდელმთავრებს დაავალა საეპარქიო შემოსაველის 20% გაღება საქართველოს საპატრიარქოსათვის. ეპარქიებში კიდევ უფრო გაუსაძლისი ვითარების არსებობას ადასტურებს საქართველოს საკათოლიკოსო სინოდისადმი ბოდბის ეპარქიის, ჰერეთის ოლქის მთავარხუცესის დეკანოზ ილია კობაიძის მოხსენება: „წარმოგიდგენთ რა ყოფილი ჩემი სამთავარხუცესოს 1925, 1926, 1927, 1928 წლების საქმეებს მოგახსენებთ, რომ ამ ოლქში ერც ერთი მღვდელი აღარ არის ყველა მათ ადგილობრივ ხელისუფლებამ სხვადასხვა ხრიკებით, აუტანელი სარჯების წართმევა-შეწერით, ყველა სარჩო-საბადებლის ჩამორთმევა-წართმევით სამსახურზე ხელი ააღებინა.“[55] ასეთ გაუსაძლის ვითარებაში რა უნდა გაეკეთებინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უნეტარეს ქრისტეფორე III-ს? 1930 წლის 15 ოქტომბერს მან კიდევ ერთხელ გაუგზავნა მთავრობის მამხილებელი წერილი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს: „საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის დავალებით პატივისცემით წარმოგიდგენთ ამ განცხადებას, რომლითაც ჩვენ მივაქცევთ საქართველოს სსრ ცაკის ყურადღებას, რომ მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიის შესახებ არ სრულდება. ა) ბევრს ანტირელიგიური პროპაგანდა გაგებული აქვს როგორც მორწმუნეთა, ეკლესიის და სამღვდელოების შეუზღუდველი დევნა; ბ) დაუსჯელად მიმდინარეობს ეკლესიების ძარცვა,მისი ქონების მითვისება, ხელოვნური ხანძრებით შენობათა განადგურება; გ) მღვდლებს სრულიად ათახსირებენ,რევოლვერის გულზე დადებითაც კი აშინებენ; დ) ეპისკოპოსებს არ აძლევენ ნებას ეპარქიებში მოგზაურობისა და წირვა-ლოცვის ჩატარებისა; ე) აქამდეც დიდი იყო საშემოსაველო გადასახადები,ახლა კიდევ უფრო გაიზარდა იგი,ვ) სამღვდელოებას ართმევენ მიწის ნორმას,ზ) ხდება მორწმუნეთა დაბეგვრა ეკლესიებში სიარულისათვის. ჩვენ აზრით ეკლესიის შევიწროება ისე ძლიერად არსად არ არის საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოშია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ,რომ ასეთი მოქმედებანი ხელს უშლიან ქართველებს სხვა მოკავშირე ერებთან დაახლოებაში. მიხეილ კალინინმა 1924 წელს აღნიშნა, თუ სხვა რესპუბლიკებში აქვთ სასულიერო სასწავლებლები საქართველოშიც მიეცეთ მისი გახნის უფლებაო, ჩვენ ვერ მივიღეთ სასულიერო ჟურნალის გამოცემის უფლება,როგორც აქვთ რუსებს,უკრაინელებს,სომხებს. გთხოვთ, ქართველი მორწმუნენი და მისი სამღვდელოება გაათანაბრეთ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკათა მორწმუნეებთან და სამღვდელოებასთან. ჩვენ მოგახსენებთ, რომ დღეს წარმოებული შევიწროებანი საქართველოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც არ უნდა იყოს სასურველი არაეისათვის.“[56] სამწუხაროდ ხელისუფლებისათვის სასურველი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სრული

მოსპობა. ადმინისტრაციულ დევნას თან სდევდა იდეოლოგიური დევნაც, საბჭოთა საზოგადოებაში ეკლესია, სასულიერო წოდება მტრის ხატად იყო წარმოდგენილი. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა. ანაფორის ტარება, სასულიერო პირობა გმირობის ტოლფასად იქცა. როგორ უნდა დაეცვა უნეტარეს ქრისტეფორე III-ს საქართველოს სამღვდელოება ხელისუფლების დევნა-შევიწროებისაგან, როდესაც თვითონაც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1931 წლის 28 აპრილს უკვე მძიმე ავადმყოფს (აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე) ასეთი წერილით მიუმართავს საქართველოს სსრ შინსახკომისია და თბილისის აღმასკომისათვის „მე მაქვს წარმოდგენილი დეკლარაციები ჩემი შემოსავლისა 1929-30 წლებში და 1930 წლის განსაკუთრებულ კვარტალში, მაგრამ იმდენი გადასახადი შემაწერეს, რასაც ვერ გადავიხდი... ფინაგენტმა აღწერა ჩემი ბინა, ნივთები... ვთხოვ თბილისის აღმასკომს მოახდინოს განკარგულება სრულიად მომეხსნას გადასახადები, როგორც მცირე შემოსავლიანს და მძიმედ დასნეულებულს, ხოლო თუ ეს არ შეიძლება ჩემთვის როგორც ღვთისმსახურისა და კათოლიკოს-პატრიარქისათვის გადამხდეს გადასახადები ჩემის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით.“[57] ამ წერილის გაცნობა მძიმე განწყობაზე დააყენებს ნებისმიერ ადამიანს, აქედან კარგად ჩანდა, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ლოიალობის კურსს არავითარი შელავათი არ მოჰყვა, და ეკლესიამ ხალხის თვალშიც ავტორიტეტი დაკარგა. მართლაც რომ უმძიმესი დღეები დაუდგა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას...

უნეტარესი ქრისტეფორე III შეეცადა რუსეთის ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალიის აღიარების პირობის შემთხვევაში. რუსებთან მოლაპარაკებებს სასურველი შედეგი არ მოჰყვა... პატრიარქის ლოცვა-კურთხეით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსებად 1924-1932 წლებში (1923 წლის 13 იანვრიდან 1925 წლის 8 მარტამდე, როდესაც უწმიდესი ამბროსი დაპატიმრებული იყო ეპისკოპოსი ქრისტეფორე ასრულებდა მის მოვალეობას ს.ე.). ეკურთხა: სტეფანე (კარბელაშვილი), პაველ (ჯაფარიძე), ნესტორი (ყუბანეიშვილი), იეროთეოზი (აივაზაშვილი), ეფრემი (სიდამონიძე). კათოლიკოს-პატრიარქი უნეტარესი ქრისტეფორე III ცდილობდა IV საეკლესიო კრების შემდეგ მღვდელმთავართა სრული თანხმობით მუშაობას. ვერ ვიტყვით, რომ იდეალური იყო მისი ურთიერთობა მიტროპოლიტ კალისტრატესთან, მაგრამ იგი ცდილობდა გამოესწორებინა ეს ურთიერთობა. ამ მხრივ საინტერესოა, მისი წერილები მიტროპოლიტ კალისტრატესადმი. „ძმაო და მეუფეო კალისტრატე! ძალიან უხერხულია, რომ თქვენ მხოლოდ სამრეველო მღვდლის თანამდებობაზე გსურთ დარჩენა ქაშუეთში. თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მრავალნაირად არ არის სასურველი, რაზეც აქ არ მინდა სიტყვა გავაგრძელო. გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი, დასთანხმდებით თუ არა მიიღოთ მართვა-გამგეობაში როგორც ეპარქია, რომლის მართვა შეგიძლიათ თბილისიდან მხოლოდ იმ პირობით, რომ დიდ დღესასწაულებში სწიროთ ხოლმე თქვენს ეპარქიაში.“ „დიდად პატივცემულო მეუფეო კალისტრატე მე აუცილებელი საქმის გამო სოხუმში მივდივარ და შეიძლება ერთ-ორ კვირას დამაგვიანდეს. გთხოვთ ბზობას, დიდ ხუთშაბათს და თუ მანამდე ვერ დავებრუნდი აღდგომის პირველ დღესაც სწიროთ სიონში.“[58]

უნეტარესი ქრისტეფორე III ცდილობდა მიტროპოლიტ დავითს (კაჭახიძე) და მიტროპოლიტ კალისტრატეს (ცინცაძე) შორის ურთიერთობების მოგვარებას, მიტროპოლიტი დავითი IV საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა, მაგრამ სამწუხაროდ ამან საქმეს ვერ უშველა, უნეტარესი ქრისტეფორე III-ემ მიტროპოლიტ დავითს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „კაცო რა დაგემართა, რომ არავის ინდობ და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებ ყველას... გეთანხმები, რომ ბევრი არ არის გამჭრიახი გონებისა, მაგრამ მე და შენც მათში ვურევიხართ. წარმოიდგინოთ რომ მარტო შენ ხარ გამჭრიახი, მაგრამ ერთი კაცი ხომ ვერ ააშენებს სოფელს. გეწყინება ეს ჩემი კრიტიკა, მაგრამ მე ამ შენს მოხსენებას სინოდში ვერ წარვიდგენ,

სხვა არა იყოს რა, აგერ ახლა გთხოვეთ თავი დაანებე კალისტრატესო, მაგრამ მაინც არ ეშვები, ისევ იმეორებ იმ ძველ ამბავს. მე არ მესმის ამ ისტორიული მოგონებით რა გაკეთდება იმის მეტი, რომ ხელახლა უნდა გამოიწვიო კალისტრატე და თან სხვებიც საშფოთველად. ყველა იმან, ვინც აქ არის მოხსენებული, რომ წაიკითხოს ეს შენი მსჯელობა, რას იტყვიან? შენ ამბობ, რომ აჩქარებული არ ვარ, სხვა არისო... რა საჭიროა ერთმანეთს გავუმასპინძლდეთ ცუდი ეპითეტებით. ალბათ ასეთნი ვართ და ეგეც ვიკმაროთ სატირლად."[59] ამ წერილმა კიდევ უფრო გააღიზიანა მიტროპოლიტი დავითი, რომელმაც მოითხოვა საკათოლიკოსო სინოდის სასწრაფო მოწვევა, მნიშვნელოვანი განცხადების გასაკეთებლად. 1930 წლის 12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო სინოდმა მოისმინა ყოელადსამღვდელო ქუთაელი-გაენათელი მიტროპოლიტის დავითის მოხსენება კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების 1. შენიშვნის მიხედვით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პასუხისმგებელია საეკლესიო პერიოდული კრების წინაშე, 2. ყოელადუსამღვდელოესო მიტროპოლიტი დავითი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მე და ქრისტეფორე ერთად ვერ ვიმსახურებთო, განაჩინა: გათავისუფლებულ იქნას მიტროპოლიტი დავითი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მართვა-გამგეობიდან."[60] სინოდის სხდომას თავმჯდომარეობდა ეპისკოპოსი სიმეონი (ჭელიძე). კათოლიკოსპატრიარქმა ქრისტეფორე III – შეაჩერა საკათოლიკოსო სინოდის გადაწყვეტილება და მიტროპოლიტი დავითი გადაიყვანა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მართველად, მაგრამ მან მაინც არ მოისვენა და აგრძელებდა შფოთსა და დაპირისპირებას.

უნეტარეს ქრისტეფორე III-ემ 1928 წლის 15 იანვარს გრიგოლ ფერაძისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო „თქვენო უწმიდესობავ! ამას წინათ შეეიტყვე ამბავი თქვენი საკათოლიკოსო ტახტზე აბრძანების შესახებ, გისურვებთ ღვთის შეწევნას და კეთილდღეობას ამ მძიმე დღის სატვირთველად. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ ვარ ამ ჟამად ბონის უნივერსიტეტში პროფესორის ადგილზედ და თებერვლის ბოლოს ვიგზავნები ვენაში მხითარისტებთან სომხური ლიტერატურის საფუძლიანად შესასწავლად. დავასრულე 1926 წელს დისერტაცია„ქართული ბერობის ისტორია." სამწუხაროდ ჯერ მთლიანად გამოცემული არაა, მხოლოდ ნაწილების გამოცემა მოვახერხე: 1) დასკვნა, დაიბეჭდა 1926 წ. ბერნში ანტათენიტების ორგანოში. 2) ბერობის დასაწყისი საქართველოში ცამეტ სირიელ მამათა პრობლემა, დაიბეჭდა 1927 წელს გერმანიაში. 3) ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობის შესახებ გამოვეცი ფრანგულად 1927 წელს. ეს სამიეე შრომა გამოვაგზავნე თბილისში საკათოლიკოსო საბჭოს მისამართით. გარდა ამისა პროფესორ ბაუმტარესთან ერთად გამოვეცი კორნელი კეკელიძის იერუსალიმის განჩინების და ამჟამად იბეჭდება გერმანულად ქართული ლიტერატურის მიმოხილვა დასაწყისიდან X საუკუნემდე. საქართველოში დედაჩემის გარდა არავისთან კაეშირი არ მაქვს ყველამ თითქოს დამივიწყა. არც ნებას მაძლევენ სახლში დაბრუნებისას არ ვიცი მიზეზი. დაახლოებით ოთხ-ხუთ წელიწადს კიდევ დავრჩები აქ სემიტურ ფილოლოგიაში (ებრაული, სირიული, არამეული და არაბულ ენათა) ცოდნის გასაღრმავებლად, რომელთაც უკვე 5 წელიწადს თეოლოგიასთან ერთად ვსწავლობდი. ვეცდები კიდევ იქნება მომიხერხდეს ნებართვის მიღება და თუ ეს მომიხერხდა რომელიმე მართლმადიდებელ ქვეყანაში წავალ და იქ ხუცესის სამსახურს მოვეძებნი. გერმანიაში სამუდამოდ დარჩენა, თუმც აქ ნივთიერად სრულიად უზრუნველყოფილი ვარ და აკადემიურ კარიერასაც ადვილად გავაკეთებ, მე ნაკლებად მაინტერესებს, ვინაიდან ჩემ მიზანს შეადგენდა და შეადგენს სასულიერო დარგში მოღვაწეობა. მრავალი სალამი მეუფეებს: კალისტრატეს, დავითს, მელქისედეკს, პაველს, სტეფანეს, იოანეს, ეფრემს."[61] გრიგოლ ფერაძემ პირველ წერილს სულ მალე მეორეც მოაყოლა: „თქვენს უწმიდესობას მოეხსენება, 1921 წლის გელათის III საეკლესიო კრების დადგენილებით მე ვიყავი გამოგზავნილი გერმანიაში ღვთისმეტყველების შესასწავლად

არტურ ლაისტის დახმარებითა და გზისჩვენებით. უკვე ორი წელიწადია,რაც მივაღწიე ჩემს მიზანს ე.ი. შევისწავლე ღვთისმეტყველება, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ბელგიაში,ინგლისში,ამ ორი წლის წინ ვიყავი მიწვეული ჩემს ძვირფას მასწავლებელ პროფ. გუსენის თანამოადგილედ ბონში ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე. მეცნიერულად მაქვს ყოველგვარი საშუალება წარმოდგენისა, ნივთიერადაც სრულად უზრუნველყოფილი ვარ, მაგრამ ვკადნიერდები მისი უწმიდესობის წინაშე თხოვნით, ვინაიდან მეცნიერული მუშაობა სრულად არ მაკმაყოფილებს უმორჩილესად გთხოვთ დამეხმაროთ საქართველოში დაბრუნებაში, ჩვენ მრავალტანჯული ეკლესიის წიაღში სამუშაოდ."[42] როგორც ამ წერილებიდან ირკვევა გრიგოლ ფერაძე არ იყო ინფორმირებული საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ,რომ მისი სამშობლოში დაბრუნება დამთავრდებოდა გადასახლებით ან ფიზიკური ლიკვიდაციით. უნეტარეს ქრისტეფორეს გრიგოლ ფერაძის წერილები მიუღია,რასაც ადასტურებს მისი მინაწერი „მივიღე" მაგრამ გასაგები მიზეზების გამო,მან ვერ უპასუხა გრიგოლ ფერაძეს,მაგრამ არც უფიქრია ხელი შეეწყო მისი სამშობლოში დაბრუნებისათვის და ეს იყო სავსებით სწორი გადაწყვეტილება. უნეტარესი ქრისტეფორეს ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა, ფიზიკურად ძლიერი, შთამბეჭდავი აღნაგობის კაცი დასუსტდა, გახდა, უკვე მოძრაობა უჭირდა... 1932 წლის 10 იანვარს საღამოს 18 საათსა და 20 წუთზე იგი გარდაიცვალა. დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძარში განსვენებულ პატრიარქთა გვერდით. სამგლოვიარო განცხადება,რომელიც პრესაში გამოქვეყნდა ორი წინადადებით იუწყებოდა „გარდაიცვალა ქრისტეფორე ციცქიშვილი" ალბათ ბევრმა არ იცოდა,რომ ის იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III.

რთული წინააღმდეგობრივი ეპოქა,რომელშიც უნეტარეს ქრისტეფორე III-ეს მოუხდა მოღვაწეობა აისახა მის პიროვნებაშიც და საქმიანობაშიც. იგი იყო მრავალმხრივი განათლების,მებრძოლი და ეროვნული სულისკვეთების ადამიანი,ჰქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობაც.... ერთი დღე მოსვენებით არ უცხოვრია, აღესრულა და თან წაიყოლა თავისი სამშობლოს — საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთულესი მდგომარეობით გამოწვეული დიდი ტკივილი და სევდა.

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ეს დარჩა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა:

მარადიული ოპოზიციონერი
(მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე)

„ერთ დროს იქნება ვინმემ დაიწყოს ქექვა სინოდის საქმეებში და გადაფურცლოს ჩემი ნაწერებიც და ეიქნე მის თვალში გაშავებული.“ (მიტროპოლიტი დავითი. 1928 წ. 11 იანვარი). როგორც ჩანს მას სერიოზულად აწუხებდა ფიქრი როგორ შეაფასებდა ისტორია მის საქმიანობას. და ეს არც იყო გასაკვირი XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლებელია მიტროპოლიტ დავითის (კაჭახიძე) პიროვნების პირუთვნელად შეფასების გარეშე. მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში ექვთიმე კაჭახიძე დაიბადა 1872 წლის 15 ოქტომბერს ქ. ქუთაისში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, როგორც იპოლიტე ვართაგავა შენიშნავდა: „იგი ბავშვობიდანვე განმარტოებული იყო, სემინარიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ეკლესიურ, რელიგიურ საკითხებზე. ყველა ამხანაგი დარწმუნებული იყო, რომ ის ანაფორას ჩაიცვამდა. სემინარიაში მასწავლებლები მას ავალებდნენ ქადაგების დაწერას თბილისის ეკლესიებში წარმოსათქმელად... მას მიეცა რეკომენდაცია, ყაზანის სასულიერო აკადემიაში. მასთან ერთად სწავლობდნენ სერგი გორგაძე, ბესარიონ ხელაია (კათოლიკოსი ამბროსი). მან პატრისტიკაში აღებული სადიპლომო ნაშრომი მაღალ დონეზე შეასრულა. 1899 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. 1898 წლის 8 მაისს ეკურთხა მღვდელ-მონაზონად. 1899 წელს დაინიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მასწავლებლად. 1902 წლიდან სოლოკამსკის, ხოლო შემდეგ პოლოცკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია, 1905 წელს დონის სემინარიის რექტორია. 1907 წლის 4 ნოემბერს დავით კაჭახიძე საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა ალაევრდელ ეპისკოპოსად აკურთხა. 1907 წლიდან იგი ეგზარქოსის სინოდალური კანტორის წევრი იყო. როგორც იპოლიტე ვართაგავა იხსენებდა: „1912 წელს ეპისკოპოსი დავითი წერილს მიგზავნის და მთხოვს შეხვედრას, გავეოცდი.

მასზე განსაკუთრებული გაელენა მოუხდენია ჩემს წერილებს, რომელიც ჟურნალ „განათლებაში“ იბეჭდებოდა... ეგზარქოსი ინოკეტი შეეცადა გურია-სამეგრელოსა და იმერეთს ეპისკოპოსობის უფლების მინიმუმამდე შემცირებას, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ეპისკოპოსი დავითი გამოვიდა მათ დამცველად, განრისხებულმა ეგზარქოსმა იგი 1912 წელს პიატიგორსკში გადაიყვანა, სადაც მან გამოსცა ბროშურა, რომელშიც აკრიტიკებდა ინოკეტის პროექტს, რომელიც საქართველოს ეკლესიის დამცირების მიზნით გაკეთებულ ოინებს უწოდებდა.“ 1914 წლიდან 1917 წლამდე იგი ვინიცის ეპისკოპოსი იყო. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 1917 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში. პირველი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ეპისკოპოსი დავითი დაინიშნა ურბნისის ეპისკოპოსად, 1921 წლიდან 1923 წლამდე იყო ჭყონდიდელი, 1923 წელს ბათუმ-შემოქმედელი, 1924 წელს მცირე ხნით ალაევრდელი, ხოლო ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნაზარის ტრაგიკული აღსრულების შემდეგ გახდა ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი. მიუხედავად იმისა, რომ მიტროპოლიტი ნაზარი ჯერ კიდევ ეპარქიის ხელმძღვანელი იყო ეპისკოპოსმა დავითმა ქუთაისში სამღვდელოებაში დაიწყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში „რეფორმებისა და განახლების“ აუცილებლობაზე საუბრები და მხარდამჭერნიც მოიპოვა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს დაპატიმრების შემდეგ (დაპატიმრებულთა შორის იყო ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარიც ს.ვ.). 1923 წლის 14 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველს ეპისკოპოსს ქრისტეფორეს შეატყობინა, რომ ელოდებოდა მთავრობის ნებართვას ქუთაისის სამღვდელოების კრების მოწვევაზე. დეკანოზ პლატონ ცქიტიშვილისადმი გაგზავნილ წერილში

ეპისკოპოსი დავითი აღნიშნავდა: „დრო არის განახლება შეტანილ იქნას ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში თანახმად თანამედროვე კულტურის, სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა. ამიტომ გევალებათ გამოითხოვოთ მთავრობისაგან ნებართვა სარეფორმო კომისიის შედგენისა და საჭირო კრებების გამართვისა, რათა გამომუშავებულ იქნას რეფორმის პროექტები."[64] ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლებისათვის ქრისტიანული სარწმუნოება და მისი დამცველი საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიუღებელი იყო. მათი ახალი დიდი ექსპერიმენტისათვის – სოციალიზმის, კომუნიზმის ასაშენებლად აუცილებელი იყო ახალი საბჭოთა ადამიანის აღზრდა, რომელიც თავისი მენტალობით არავითარ კავშირში არ იქნებოდა წარსულთან, სულიერებასთან, ეროვნულ ღირებულებებთან. საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში რეფორმების აუცილებლობაზე საუბარი და ასეთ სასულიერო პირებისათვის მხარდაჭერა მიზნად ისახავდა მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნიდან რღვევას, დაპირისპირებისა და მისი ავტორიტეტის გაცამტვერებას. ეკლესიის რეფორმების აუცილებლობა არ იყო მარტო ქართული მოვლენა, რუსეთშიც იგივე პროცესები ვითარდებოდა „ობნავლენცები" „ცოცხალი ეკლესიის" წარმომადგენლები რუსეთში და „განახლებისა და რეფორმების" ჯგუფი საქართველოში მიზნად ისახავდა სარწმუნოებისა და სოციალიზმის მორიგებას, ეს კი შეუძლებელი იყო. ახალი იდეოლოგიას ახალი ადამიანი სჭირდებოდა, რომლის ცნობიერება არ უნდა დაბრკოლებულიყო სამშობლოს, მოყვასის სიყვარულით. ასეთ ვითარებაში როგორ მოხერხდებოდა ეკლესიისა და ახალი ბოლშევიკური იდეოლოგიის თანაცხოვრება? საოკუპაციო ხელისუფლების მიზანი იყო მწერლობის, ინტელექტუალური საზოგადოების, ეკლესიის მოთვინიერება. ეკლესიის სფეროში რეფორმების მხარდაჭერა იყო ურჩი, სამშობლოსა და მოყვასზე თავდადებული ეკლესიის მოსპობის მცდელობა.

1923 წლის 2 სექტემბერს საეკლესიო რეფორმების ჯგუფის მოწოდებით შედგა სამღვდელოების კრება ქუთაისში, რომელიც გახსნა ეპისკოპოსმა დავითმა. მისი აზრით აუცილებელია საქართველოს ეკლესიაში შევიდეს ცვლილებები თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. კრებაზე გამოსულმა მთავრობის ადგილობრივმა წარმომადგენელმა ისაუბრა იმის შესახებ რა ცვლილებების შემთხვევაში ითანამშრომლებდა ხელისუფლება ეკლესიასთან. კრებაზე აირჩიეს საქართველოს ეკლესიაში გასატარებელი რეფორმების საინიციატივო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ეპისკოპოსი დაეითი, არქიმანდრიტი ნესტორი (ყუბანეიშვილი), დეკანოზები: გ. ცაგარეიშვილი, ა. ფოფხაძე, საერო პირნი: ს. ყიფიანი, ტრ. ჯაფარიძე, თ. ხუსკივაძე, მ. კანდელაკი, ვ. წერეთელი, ე. ნიკოლაძე, დ. დგებუაძე. კრების მონაწილეების აზრით „მემორანდუმმა, (იგულისხმება უწმიდესი ამბროსის მოწოდება გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ს.ე.) კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა ეკლესია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ხელისუფლებამ იგი თავის მტრად მიიჩნია და ამიტომ დაარბია ეკლესიები, დაქსაქსა სამღვდელოება. მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ეკლესიას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, თუ ამას დავამტკიცებთ, მაშინ ხელისუფლება შეწყვეტს ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას. ამიტომ მოვითხოვთ ჩვენს ეპარქიაში შეჩერებულ იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა, აღდგენილ იქნას ტაძრები, თუ მაინც ვინმე შეინიშნა ანტისამთავრობო გამოსვლებში ისინი სასტიკად დასაჯონ."65 ორი დღის შემდეგ ჩატარებულ სხდომაზე უკვე ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები, ქუთაისის მაზრის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე ვალია ბახტაძე და დასავლეთ საქართველოს პროკურორი ამბროსი ურუშაძე აქტიურობდნენ მათი წინადადებით კრებამ ასეთი დადგენილება მიიღო: „დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველია. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მორწმუნეთ მხარი დაუჭირონ მას. ვაცხადებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გამოსვლას შემცდარად და არაკანონიკურად, საჭიროდ მიგვაჩნია იგი გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან. იქნებ თვითონაც გადადგეს. მოლაპარაკება ამაზე

იქონიონ ეპისკოპოსმა დავითმა და დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა.“[66] ეპისკოპოსი დავითი და დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილი (მიტროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლში გადამალული სიონის საპატრიარქო ტაძრის განძეულობის ადგილსამყოფელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა შეატყობინა და მათი ნდობაც დაიმსახურა ს.ე.) თბილისში დაუბრკოლებლად შეეიდნენ მეტეხის ციხეში და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მოსთხოვეს გადადგომა. უწმიდესმა ამბროსიმ ყურადღებით მოუსმინა მათ და უპასუხა: „თუ ჩვენი ეკლესიისათვის საჭიროა, მაშინ იძულებით უნდა ვიქნე გადაყენებული, ჩემი ნებით მე არ გადავდგებიო.“[67] ქუთაისში დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა დავითმა კვლავ შეკრიბა სარეფორმო კომიტეტის წევრები და განიხილა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი მიმართვის ტექსტი, რომელშიც აღნიშნული იყო „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა მეტად მძიმე სურათს წარმოადგენს, პატრიარქი, მიტროპოლიტი, არქიმანდრიტი, ზოგიერთი დეკანოზი დაპატიმრებულნი არიან, ეპარქიების მართვა-გამგეობა შეჩერებულია. ტაძრები გამონაკლისის გარდა დაკეტილია, სამღვდელოება დაქსაქსულია, მორწმუნე ერი შეწუხებულია. ყოველივე ეს შედეგია ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მომხდარი კონფლიქტებისა,რაც გამოიწვია თქვენს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა (მემორანდუმმა). ქუთაისის სამღვდელოებისა და მორწმუნეთა ნაწილმა მთავრობასთან შეთანხმებით შეადგინა საინიციატივო ჯგუფი,რომლის მიზანია ეკლესიის საკითხების მოგვარება პროგრესულ ნიადაგზე, რომ ეკლესიებმაც თავისი ადგილი დაიჭიროს მთავრობისადმი და თავისი არსებობაც ადმინისტრაციულ სფეროში მთავრობის მხრივ უზრუნველყოფილ იქნას. ეს შეუძლებელია, თუ მემორანდუმით გამოწვეული კონფლიქტი არ ამოიწურა ამიტომ გთხოვთ უარყოთ მემორანდუმი, რომლის შინაარსიც მთავრობის დღევანდელ სახელმწიფოებრივ მოქმედებას არ შეესაბამება და არ შესწიროთ მას ეკლესიის კეთილდღეობა.“[68] განახლებისა და რეფორმების ჯგუფის მიერ შედგენილი პროექტის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, დავსძენთ, რომ მისი ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი კანონიკის მოშლას, ეკლესიის მოსპობას. მართალია ისინი აცხადებდნენ რომ: „მიზანი რეფორმებისა საეკლესიო მოძღვრების განწმენდა-გაფაქიზება, ღვთისმსახურების რთული ფორმის გამარტივება, ეკლესიის საქმიანობის გამოცხადება-გაფართოება და პროგრესის გზაზე დამყარება იყო.“[69] მაგრამ საქმე სულ სხვას აჩვენებდა. ეკლესიაში სკამები, გალობის თანამედროვე მუსიკით ჩანაცვლება, სასულიერო სამოსის გაუქმება, ბერობის ინსტიტუტის მოსპობა ვერაფერი პროგრესი იყო. 1925 წლის მარტში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭოს წევრები პატიმრობიდან გაათავისუფლეს. უწმიდესმა ამბროსიმ შექმნა კომისია,რომელსაც უნდა გამოეძიებინა ეპისკოპოს დავითის საქმიანობის კანონიერება. საკათოლიკოსო საბჭოს დავალებით კომისიას სათავეში ჩაუდგა ალავერდელი ეპისკოპოსი მელქისედეკი (ფხალაძე). ქუთაისში ჩასულმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა დაინახა როგორ დაძაბული ეითარება და დაპირისპირება იყო ეპარქიაში. 1925 წლის 16 დეკემბერს საკათოლიკოსო საბჭოს სახელზე შედგენილ მოხსენებაში ეპისკოპოსი მელქისედეკი აღნიშნავდა: „1925 წლის 11-15 დეკემბერს ვირკვევდი ყოველადსამღვდელო დავითის საქმეს. ყოველადსამღვდელო დავითის წინააღმდეგ რაიმე ბრალდების წამოყენება ბოროტმოქმედებაში არავის არ ძალუძს: იგი უმწიკვლო ადამიანია დღესაც და წარსულშიც. მიუხედავად ამისა ქუთაისის სამღვდელოების უმრავლესობა მოითხოვს მის ქუთაისიდან გადაყვანას, უკმაყოფილების მიზეზად ასახელებენ მის გაუწონასწორებლობას, მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეთა შორის ხშირია დაპირისპირებანი. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ეფიქრობ საჭიროა და სასარგებლოც თვით ეპისკოპოს დავითისათვისაც მისი ქუთაისიდან სხვა ეპარქიაში გადაყვანა. ახალი მღვდელმთავარი უნდა აირჩიოს ეპარქიამ, რომ აღარ ჰქონდეს უკმაყოფილების საფუძველი. ისინი საკათოლიკოსო საბჭოდან დანიშნულს მხოლოდ მიტროპოლიტ კალისტრატეს მიიღებენ.“[70] როდესაც ეს ინფორმაცია ეპისკოპოსმა დავითმა მიიღო წონასწორობა დაკარგა მან საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „ვკადნიერდები და მოვახსენებ საკათოლიკოსო საბჭოს,რომ ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სამსახურში არა ისეთი რამ, რომ შეიძლებოდეს ჩემი დათხოვნა ან გადაყვანა დაურღვეველად სამართლიანოვისა და წესიერებისა. ცრუ ქრისტიანებს და ცრუ პატრიოტებს რომ არ მოვწონვარ და გზავნიან ჩემს შესახებ საჩიერებს ამას უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ არაეითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს, მე ხელუხლებელ უნდა ვიქნე ქუთაისში.“[71] დაიწყო ხელმოწერების შეგროვება როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მიერ. მოწინააღმდეგეები მას „ცოცხალი ეკლესიის“ (ობნავლენცების) წარმომადგენლად მიიჩნევდნენ, მომხრენი ყველაზე ღირსეულ მღვდელმთავრად 1926 წლის 9 ნოემბრის საკათოლიკოსო საბჭოს განჩინებით ეპისკოპოსი დავითი გადაყვანილ იქნა მაწყვერელის კათედრაზე. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ეპისკოპოს დავითის პასუხი საკათოლიკოსო საბჭოსადმი: „გთხოვთ ერთი თვით შეაჩეროთ განჩინება ჩემი ქუთაისიდან გადაყვანის შესახებ საქმის საფუძვლიან გარჩევამდე. ვთხოვ საკათოლიკოსო საბჭოს გამოიჩინოს „გამჭრიახობა და სიბრძნე,“ რომელზედაც იგი მიმითითებს ნუ იქნება დარღვეული მშვიდობიანობა... მე სხვა მღვდელმთავარს ვერ შემოვუშვებ ქუთაისში, სანამ მე არ ვიქნები დაკმაყოფილებული. მე თითქმის ოცი წლის ეპისკოპოსი თავს არავის გავამახსარავებინებ. მე საგანგებოდ მიეწერე კათოლიკოს-პატრიარქს ახალციხეში მღვდელმთავრის გამწესება არ შეიძლებათქო. ჩემი გადაყვანა შეიძლება მხოლოდ თბილისში... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი სისხლი დაიღვრება ვინმესაგან.“[72] ეპისკოპოს დავითს ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებიც წამოეშველნენ ამან კიდევ უფრო გაათამამა „ახალციხეში თუ კარგია — წერდა იგი — 19 ნოემბერს საკათოლიკოსო საბჭოს — იქ მიტროპოლიტი კალისტრატე გაუშვით. აქედან მე არსად წავალ ჯერ ერთი როგორც უდანაშაულო, მეორეც მე სხვა ეპარქიების ჰაერს ვერ ვიტან ქუთაისიდან ჩემი ადგილი როგორც უხუცესი მღვდელმთავრობისა არის თბილელი მიტროპოლიტობა.“[73] ეს იყო აშკარა დაუმორჩილებლობა და გამოწვევა,რასაც საკათოლიკოსო საბჭომ ასეთი დადგენილებით უპასუხა: „განმეორებით ეცნობოს ეპისკოპოს დავითს დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას მაწყვერის ეპარქიაში, ნუ აიძულებს საკათოლიკოსო საბჭოს მიმართოს მოციქულთა 36-ე კანონს. საკათოლიკოსო საბჭოს თაემჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქი ამბროსი საკათოლიკოსო საბჭოს წევრები: მიტროპოლიტი კალისტრატე, ეპისკოპოსები: პაელე, მელქისედეკი, დეკანოზები: ი. მირიანაშვილი, გ. გამრეკელი, ივ. რატიშვილი, გ. იმნაიშვილი.“[74]

ქუთათელი ეპისკოპოსი დავითი,რომელსაც ოფიციალური საერო ხელისუფლებისაგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა კიდევ უფრო დიდ კონფრონტაციაზე წავიდა. მან 1926 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელობას სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა საკათოლიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭო ჩემს მიმართ უსამართლოდ და უკანონოდ მოიქეცით... თქვენ დაღუპეთ საქართველოს ეკლესია (შემორანდუმი, საბჭოთა მთავრობასთან შეურიგებლობა) თქვენ არაეითარ არსებითი ხასიათის ზომებს არ ღებულობთ წაქცეული ეკლესიის აღსადგენად... ამიტომ მე ქართველ მღვდელმთავართა შორის უხუცესმა 5 დეკემბერს წირვაზე გამოეცხადე ჩემი თავი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოსაგან დამოუკიდებლად.“[75] ამ წერილების გაცნობა მძიმე ხასიათზე დააყენებს ნებისმიერ მკვლევარს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია ერთმანეთს დაუპირისპირა სასულიერო პირები და ეს იმ დროს, როდესაც მღვდლებს აიძულებდნენ იძულებით განმოსვას, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს. ეპისკოპოსმა დავითმა სამწუხაროდ, ცუდი როლი შეასრულა, მას დააეიწყდა საქართველოს ეკლესიის ინტერესებიმრევლიქრისტიანული შემწყნარებლობა და კეთილშობილება 1926 წლის 17 დეკემბერს მიტროპოლიტ კალისტრატეს ასეთი დამცინავი წერილი გაუგზავნა: „ცოლიანო მიტროპოლიტო კალისტრატე შენს თავს დააბრალე რაც მოხდა... შენ თუ მაგ დიდ ადგილზე ხარ, თუ პატენისი (კათოლიკოს-

პატრიარქი ამბროსი ს.ვ.) კათოლიკოსი, ნუთუ მე ქუთათელი არ უნდა ვიყო, წერე პროტოკოლები: მე კი ვერაფერს დამაკლებ."[76] ეპისკოპოსმა დავითმა თავის თავსაც დააკლო და საქართველოს ეკლესიასაც. 1926 წლის 25-28 დეკემბერს ქუთაისში მიმდინარე საეკლესიო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი ეპისკოპოსი დავითი იყო. მისი ვიწრო პიროვნული შეუთავსებლობა საკათალიკოსო საბჭოსთან, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთან კარგად გამოიყენა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ და შექმნა ორხელისუფლებიანობა ეკლესიაში, ერთ მხარეზე ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი განახლებასა და რეფორმების ჯგუფი (მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ეპისკოპოსი დავითი) მეორე-საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებისადმი შეურიგებელნი უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის მეთაურობით. ხელისუფლებამ ამ დაპირისპირებით, ისევ სასულიერო პირების მეშვეობით ასპარეზიდან განდევნა უწმიდესი ამბროსი და მისი მომხრეები. ეპისკოპოსი დავითი IV საეკლესიო კრების მიერ მიტროპოლიტად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა ახლა უკვე გამარჯვებული გულახდილად აცხადებდა: „მე მიმაჩნდა რომ ჩემს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებანი მიტროპოლიტ კალისტრატეს გაკეთებული იყო. სინამდვილეში მე მიტროპოლიტ კალისტრატეს პირველ ადგილზე ვაყენებ. მე მისთვის არაეითარი ცუდი არ მინდა, მე პირველი ვეუბნები: „ქრისტე არს ჩვენ შორის."[77] ეს კი განაცხადა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა და ახლა უკვე იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა მისი ქმედებანი, რომ 1928 წლის 22 სექტემბერს საკათოლიკოსო სინოდმა გამოუცხადა საყვედური, რომელსაც ხელს აწერდნენ: უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III, ეპისკოპოსები: სიმეონი, პაველე, სტეფანე, ვარლამი, ეფრემი, მელქისედეკი, იოანე. ამ შენიშვნამ მიტროპოლიტი დავითი ახალი შფოთისათვის აღანთო. მან ახლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უნეტარეს ქრისტეფორე III შეუტია და როგორც კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ მოითხოვა სინოდის საგანგებო ჩატარება. 1930 წლის 12 თებერვალს შედგა საკათოლიკოსო სინოდი, სადაც მიტროპოლიტმა დავითმა ასეთი განცხადება გააკეთა: „IV საეკლესიო კრების დადგენილებაში წერია: „კრება გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას, რომ საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის ადგილი ჰქონდა უთანხმოებას, რაც ხელს უშლიდა ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას... გამოთქვამს ღრმა რწმენას და მოითხოვს, რომ ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის მოისპოს შფოთი და უთანხმოება."

ჩვენდა საუბედუროდ ეს არ მოხდა. თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, რომ ეს ასე არ იქნებოდა, როდესაც კათოლიკოსად ქრისტეფორე ავირჩიეთ, განა კათოლიკოსობა მას გამოცელიდა, განა ის თავის ანარქიულ მძიმე ბუნებას უარყოფდა, ის ვინც იყო რედაქტორი – სულისჩამდგმელი სამარცხვინო ჟურნალი „ახალი სიტყვისა", ის ვინც არ ასვენებდა არც კათოლიკოსებს: კირიონს, ლეონიდს, ამბროსის, განა სამღვდელოებაში მშვიდობას დაამყარებდა... იგი ვერაეითარ წინააღმდეგობას ვერ იტანს... ქუთაისის კრების მუშაობაში მანამ არ ჩაერთო, სანამ არ დარწმუნდა, რომ მომავალშიც პირველობა მისი იქნებოდა... როდესაც კათოლიკოსი გახდა მისი მომხრენი გაიძახოდნენ მოხერხებული კაცია ბევრ რამეს გააკეთებსო, მაგრამ რაში გამოიხატა მისი მოხერხებულობა?.. საკათოლიკოსო საბჭო შეიცვალა საკათოლიკოსო სინოდით, კათოლიკოსის ტიტულს გამოაკლდა უწმიდესი. სინოდში ამბობდნენ სასულიერო აკადემიის დაარსებაზე, საღვთისმეტყველო ჟურნალის გამოცემაზე, საეკლესიო წიგნების შესწორებაზე, მაგრამ არაფერი არ შესრულდა. ქრისტეფორე სდევნიდა ეპისკოპოსებს: ალექსის (გერსამია), სტეფანეს (კარბელაშვილი), დევნა დაუწყო ეპისკოპოს ეფრემს (სიდამონიძე), რომელიც თეითონ აკურთხა, რომ ყურმოჭრილი მონა ჰყოლოდა, მაგრამ მოტყუვდა, ამიტომ გააძევა სვეტიცხოველიდან. 1925 წელს, როდესაც ეპისკოპოსმა ნესტორმა ბათუმიდან მოსწერა მორწმუნენი ახალ კალენდარს არ იღებენო კათოლიკოსმა ქრისტეფორემ შეუთვალა სამსახურს თავი დაანებეო. მას ვერავინ ვერაფერს უბედავს ყველას მისი მუშტების ეშინია. სხვისი მიბეგვა მას ისე ეხერხება ახლაც, როგორც 30 წლის წინათ მან

მღვდელობაში ხიდისთავში თავისი დიაკვანი მიბეგვა. 1928 წლის მარტში სინოდის სხდომაზე, რომ ვისმენდი მის რიხიან მეტყველებას დისციპლინისა და მორჩილების საჭიროებაზე გულში ვიცინოდი – თვითონ არავის არასოდეს არ ემორჩილებოდა... იგი არღვევდა და არღვევს მშვიდობას სამღვდელოებაში, როდემდის უნდა ვუთმინოთ ამ ადამიანს? ვწუხვარ რომ მე მის გაკათოლიკოსებას ხელი შევუწყე. დროა იგი ეკლესიას მოვაშოროთ. იგი უნდა გადაყენებულ იქნას, დაენიშნოს პენსია და იცხოვროს სურამში, სადაც ასე ხშირად გარბის. თუმცა მე და კალისტრატემ ერთმანეთს ვაწყენინეთ, მაგრამ იგი ჩვენს შორის პირველია, მაგრამ მე არ ვურჩევ კათოლიკოსობას. პირველობა უნდა შეუთავაზოთ ან მარკოზ ტყემალაძეს ან ეპისკოპოს მელქისედეკს. მე იმიტომ შევუწყე ხელი ქრისტეფორეს გაკათოლიკოსებას, რომ ვიცოდი სხვას არ მოასვენებდა."78 მიტროპოლიტ დავითის მოსაწონი არავინ დარჩა საქართველოს ეკლესიაში, საკათოლიკოსო სინოდმა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და გადაწყვიტა მისი საერთოდ პენსიაზე გაშვება, მაგრამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის განკარგულებით გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედელად. ახლა იქ დაიწყო დაპირისპირებანი. 1932 წელს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III საკათოლიკოსო სინოდის საგანგებო სხდომაზე მიტროპოლიტმა დავითმა წამოაყენა წინადადება მიტროპოლიტი კალისტრატე აერჩიათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. დამსწრენი გაოცებულნი უყურებდნენ მას, რომელმაც განაგრძო: „ვინ იყო ის, რომელიც წერდა საქართველოს ეკლესიასა და სამღვდელოების საჭიროებებზე საერო მთავრობაში საბუთიან მოხსენებებს, ვინ არის ის, რომელსაც დიდნი კათოლიკოსნი კირიონი და ლეონიდი ანგარიშს უწევდნენ, ვინ არის, რომელსაც საქართველოს ინტელიგენცია თავიდანვე არჩევდა და დღესაც მაღლა აყენებს ქართველ სამღვდელოებაში? ეს არის კალისტრატე, ინტელექტუალი და მოქმედებითაც უპირატესი, შეიძლება ზოგიერთი ჩვენთაგანი ყველაფერს მისი მსოფლმხედველობისას არ იზიარებდეს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი ჩვენს შორის პირველია თავისი ჭკუით, ცოდნით, განვითარებით, საქმიანობით, გამოცდილებით."79 მიტროპოლიტ დავითს ამის შემდეგ აღარ დაუწყია უწმიდესი კალისტრატეს წინააღმდეგ ბრძოლა. იგი 1935 წლის 19 მარტს გარდაიცვალა ბათუმში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დაიკრძალა ქუთაისში პეტრე-პაველეს ეკლესიაში... გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მოგვიტეოს მისმა სულმა. ფრიად სამწუხარო იყო, რომ მან სერიოზული შეცდომები დაუშვა... მისი საქმიანობის დაწერილებით აღნუსხვა და გამომზიურება ერთ მიზანს ემსახურება, ვისწავლოთ წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება, არასოდეს გავიმეოროთ წინაპართა შეცდომები და შევძლოთ ეიწრო პიროვნულ ამბიციებზე ამაღლება, პირნათლად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს და მშობელ ეკლესიას.

ქრისტეფორე ციცქიშვილის უბის წიგნაკი-დღიური, პირადი ხასიათის ჩანაწერები და „პატარ-პატარა შენიშვნებით“

1893 წ. 4 თებერვალი. ისიდორეს გამოსათხოვარი წირვა. შეგირდები წირვაზედ დაესწრნენ მხოლოდ 50; დანარჩენნი კი არ იყვნენ განგებ. სადილად ინსპექტორმაისიდორემ ღვინო გვიყიდა, მაგრამ ღვინო არავინ არ დალია, სასადილო ოთახში იყო ამ დროს მეთვალყურე თ. ნიკანდრი. ის ძალიან გაჯავრდა, რათ არ დალიესო. ეს საქციელი თავის შეურაცხყოფათ მიიღო. მორიგე შეგირდს სამზარეულოში ელაპარაკება სიმხეცე ჩაიდინესო და სხვა ამისთანა: ამ ლაპარაკის დროს მოვიდა იმასთან მეხუთე კლასის რუსი და უკრეჭს (ნასადილევს), ვითომ ჩვენ – ქართველებს დაგვცინის. ნიკანდრი მიუბრუნდა მას: „შენ რაღას იკრიჭები, მე შენ თუ არ ჩაგწერე!“

ისიდორემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, ძალიან შესწუხდა, გაფითრდა... ღვინო მერე მოსამსახურეებს დაალევინეს იმათდა საბედნიეროდ.

თვალთ-მხედველობა, ყურთა სმენა მე აღარა მაქვს, მეხსიერება, ფიზიკური ღონე მომაკლდა, გავფუჭდი კაცი, სამშობლოსათვის აღარ ვარგივარ, აღარც თავისთვის, აღარც ძმისთვის, აღარც დედისთვის... ბერიკაცობა ახალგაზრდას მე ამეკიდა, უდროოდ ეჭკნები, საფლავისკენ უდროოდ მივალ...

ჩემმა ვარსკვლავმა, ჩემმა ბედმა არ გამიღიმა, ჩემი იმედი და სურვილი ჯერ გაუშლელნი გაჰქრნენ, ვით ჰქრება, ტკბილი ოცნება, ტკბილი სიზმარი, და გული ჩემი სდუღს მარადის მწუხარებითა.

(გაგონილი ერთი სემინარიელისაგან)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. ი. ჯავახიშვილის მიმართვა ურბნისის ეპ. ქრისტეფორესადმი, უნივერსიტეტის მიერ არქ. ტარასის წიგნსაცავში დაცული წიგნების შეძენის გამო, მადლობის გამოცხადების შესახებ მის ყოვლად-უსამღვდელოესს, ურბნისის ეპ. ქრისტეფორეს. ამასთანავე გაახლებთ რა ქვაბთახევის არქიმანდრიტ ტარასის წიგნთსაცავში მოთავსებულ წიგნების ნუსხას, რომელიც უნიერსიტეტმა თქვენი ნებართვით ჩაიბარა, გიცხადებთ უდიდეს მადლობას უნიერსიტეტის სახელით, რომ მოგვეცით საშუალება მათი შეძენის.

პატივისცემით ივ. ჯავახიშვილი
1923 წ. 16 თებერვალი

ეპ. ქრისტეფორე ურბნელის მოხსენებითი ბარათი სრ. საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოსადმი, გორის ეკლესიების უნუგეშო მდგომარეობის, ოქონისა და საკრებულო ტაძრის მრევლთა შეერთების და დაზიანებული ეკლესიების განახლების ღონისძიების შესახებ

სრულიად საქართველოს საკათ. საბჭოს ურბნელი
ეპისკოპოსის ქრისტეფორესაგან:

მოხსენება

ამა თვის პირველ რიცხვებში ვიყავი გორში და დავათვალიერე მახლობელი ეკლესიები. სხვათა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია ქ. გორის ეკლესიების უნუგეშო და თითქმის უიმედო მდგომარეობამ. არც საეპარქიო სამს ეკლესიაში, არც ყოფილ სამხედროსაში წირვა-ლოცვის შესრულება არ შეიძლება. გაუკეთებია დეკ. კასრაძეს

ფიცრის ფარდული ეკლესიად, მაგრამ აქაც შეუფერებელია წირვალოცვა. დღეს გორში არსებობს ორი მრევლი: ოქონისა და ყოფილ საკათედრო ტაძრისა. პირველში არის ერთი მღვდელი (კავკასიძე) და ერთი წიგნის მკითხველი, მეორეში ორი მღვდელი და ერთი წიგნის მკითხველი. მრევლი ოქონისა სჯობია. ორთავე ეკლესიათა კრებულნი წირვა-ლოცვას ასრულებენ ხსენებულის ფიცრულის ეკლესიაში, სთვლიან თავს დამოუკიდებელ კრებულებად და აქეთ ურთიერთშორის უსიამოვნება მრავალგვარი. ზამთარში მსახურება ამ ეკლესიაში შეუძლებელია (ბარძიმში ღვინოს ჰყინავს). საზრუნავია შესაფერ ეკლესიის მოპოვება ან აშენებით ახლისა, ან რომელიმეს ძველის შეკეთებით. მოკლე დროში ახლის აშენება შეუძლებელია; დაზიანებულებში შესაძლებელია უფრო ოქონის ეკლესიის შეკეთება. დღესდღეობით ცალ-ცალკე მრევლნი გორისანი ვერც ახალს ააშენებენ, ვერც ძველს შეაკეთებენ. ამისათვის საჭიროდ ვცნობ ორთავე მრევლნი გორისანი: ოქონისა და საკრებულო ტაძრისა შეერთებულ იქმნენ, რომ შეერთდეს მრევლთა უნარი და ძალები აღმშენებლობის საქმეში. წინამძღვრად დაინიშნოს დეკ.

კავკასიძე, მეორე მღვდლად დეკ. დ. კავკასიძე, მესამედ მღ. ალ. ტლაშაძე.

ეპ. ქრისტეფორე ურბნელი
1922 წ. 18 იელისი

თბილისის საეპარქიო საბჭოს სამწერლოს გამგის დ. დავითაშვილის მიმართვა ეპ. ქრისტეფორესადმი

მის ყოვლადუსამღვდელოესობას ეპ. ქრისტეფორეს:

საეპარქიო სამწერლო პატივისცემით გაახლებთ, ამასთანავე, თანახმად მისის უწმიდესობის კათოლიკოს-პატრიარქის განკარგულებისა, საქმეებს: 1) სოფ. ფხვენეევის სამრეველოს მღვდლის ზაქარია საძაგლიშვილზე საჩივრისას; 2) მეჯერისხევის ოლქის მთავარხუცესის მოხსენებას — მისი ოლქის ადგილიდგან დასათხოვნი მღვდლების სიით; და 3) სოფ. ბიყრის სამრეველოს მღვდლის გიორგი დედაბრიშვილის თხოვნას- გამოსაკვლევად.

სამწერლოს გამგე: დ. დავითაშვილი
თანაშემწე: დეკ. გ. კიკნაძე
1922 წ. 11 აპრილი

თბილისის კალაუბნის ეკლესიის მორწმუნე მრევლის წარმომადგენელთა საჩივარი რწმუნებულ ეპისკოპოს ქრისტეფორესადმი, ულირსი ხუცესის დანიშვნის გამო

კალოუბნის მრევლნი

საყვედურს გამოვსთქვამთ რწმუნებულ ეპისკოპოზის ქრისტეფორესადმი, ამიტომ რომ როდესაც კალოუბნელ მორწმუნე ერს ხუცესს გვიგზავნიდათ, რატომ არ შეგეკითხეთ ვისთვისაც გზავნიდით მათთვის სასურველი იყო ის თუ არა?! ამის გამოგზავნით ჩვენი სურვილები ვერ დააკმაყოფილეთ. იგი არაა ნამდვილი მსახური ეკლესიის და არაა მსახური მორწმუნე ერისა. იგი არტისტია გადაგვარებულ ერისა და დამამახინჯებელი სარწმუნოებისა.

ეგ სცენაზედ გაუშვით და ჩვენ უკეთესი მოძღვარი მოგვეცით: რად გინდათ დასჩაგროთ ერთი, როდესაც არაა ღირსი დაჩაგვრისა და აღამაღლოთ მეორე, როდესაც არაა ღირსი ამაღლებისა? ან რატომ არაა ღირსი ჩვენ მსახურებისა კალოუბნისავე მთავარ დიაკონი

დავით ბახტაძე? რომელიც უფრო დაახლოებულა ღვთისადმი რწმენით და ჩვენ. ზნე ხასიათებთანაც. აღვნიშნავთ, რომ მაგ მოძღვრის მოქმედება ჩვენს გულში ვერ ანათებს.

მორწმუნე მრევლთაგანნი-კალოუბნის ეკლესიისა
1924 წ. 21 მაისი

ცხუმ-აფხაზეთის მიტ. ქრისტეფორეს მოხსენებითი ბარათი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისადმი, თბილისის კალოუბნის ეკლესიაში წირვის ჩატარების ნებართვის შესახებ.

მის უწმიდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის: უმდაბლესად გთხოვთ ნება დამრთოთ ვწირო ხვალ კალაუბნის ეკლესიაში. წინადაც გთხოვეთ და ახლაც გთხოვთ, რომ შეუძლებელია ამდენ ხანს ჩემი უწირველად ყოფნა.

ცხუმ-აფხაზეთის მიტრ. ქრისტეფორე
1927 წ. 5 თებერვალი

საეკლესიო კრების დადგენილება 1927 წლის 22 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მოხსენების გამო: „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა გელათის საეკლესიო კრებიდან მეოთხე საეკლესიო კრებამდე (1921-1927 წ.წ.)."

სრულიად საქართველოს მეოთხე საეკლესიო კრებამ მოისმინა მოხსენება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ ქრისტეფორესი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ გელათის საეკლესიო კრებიდან, 1921 წლიდან, ვიდრე დღევანდელ კრებამდე და განმარტებანი ყოფილი მოსაყდრის მიტროპოლიტ კალისტრატესი, მღვდელმთავართა — სტეფანესი, მელქისედეკისა, პავლესი, სიმეონისა, დეკანოზთა — კანდელაკისა, ფოფხაძისა, ხახუტაშვილისა, მაჭარაშვილისა, მოქალაქეთა — რატიშვილისა, სვიმონიშვილისა და სხვა და დაადგინა:

1) მოხსენება, როგორც ეკლესიის ვითარების დაწვრილებით და სწორად გამომხატველი, ცნობილ იქნას სრულიად დაკმაყოფილებლად.

2) ამასთანავე მეოთხე საეკლესიო კრება გამოთქვამს ღრმა მწუხარებას, რომ:

ა) შექმნილი პირობებისა და კათოლიკოს-პატრიარქის ავადმყოფობის გამო. საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის ჰქონდა ადგილი უთანხმოებას, რაც ხელს უშლიდა ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას ახალი ძალაუფლებისა და ახალ გართულებულ მდგომარეობის დროს.

ბ) რომ ზოგიერთნი პირნი, რომელნიც არ იყვნენ უზენაეს მმართველობის წევრნი და არც უფლებამოსილნი საეკლესიო კრების მიერ, მაინც ერეოდნენ უზენაეს მმართველობის საქმეებში, აცხადებდნენ ეკლესიის მეთაურთა გადაყენების გაზეთში და კიდევ უფრო ართულებდნენ ეკლესიის მდგომარეობას.

გ) რომ არ იქნა მოწვეული საეკლესიო კრება 1926 წელს, არც მოწვეული იყო თავის დროზე მღვდელმთავართა კრებები, რამაც სამღვდელოების ნაწილში გამოიწვია უკმაყოფილება.

3) მეოთხე საეკლესიო კრება გამოსთქვამს ღრმა რწმენას და მოითხოვს, რომ:

ა) ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის მოისპოს ყოველივე შუღლი და უთანხმოება, ყველამ, მორწმუნე ერისკაცებთან ერთად, შეთანხმებულად ხელი შეუწყოს საქართველოს ეკლესიის ჭრილობების გამრთელებას, ეკლესიის განმტკიცებას და წარმატებას."

თავმჯდომარე სინოდისა — კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოს და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე. წევრები: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი დავით გენათელი, მიტროპოლიტი კალისტრატე მანგლელი, ეპისკოპოსნი: მელქისედეკ ალავერდელი, სიმეონ ურბნელი, სტეფანე ბოდბელი, ვარლამ მარგაველი, პაველ წილკნელი, ეფრემ ნინოწმიდელი, დროებითი მმართველი ცხუმ-აფხაზეთისა, დეკანოზნი: დიმიტრი ხახუტაშვილი, გიორგი გამრეკელი, ბენიამინ კანდელაკი, მოქალაქენი: პართენ გოთუა, იაკობ ცინცაძე, დიმიტრი იგორაშვილი, მათი კანდიდატები: დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, ლაზარე ნათიძე, მოქალაქენი: ადამ ადამიძე, დავით ნახუცრიშვილი და კლიმენტი ლორთქიფანიძე.


დამოწმებული ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, სსცსა ფ. №2100 საქმე 59. გე. 3.
2. იქვე... გე. 4.
3. სსცსა ფ. 2100 საქმე. 59. ფურც. 2.
4. სსცსა ფ. 2100 საქმე. 59. ფურც. 4.
5. სსცსა ფ. 2100 საქმე. 60. ფურც. 2.
6. სსცსა ფ. 2100 საქმე. 59. ფურც. 3. 7. სსცსა ფ. 2100 საქმე. 66. ფურც. 1.
8. სსცსა ფ. 2100 საქმე. 61. ფურც. 1.
9. სსცსა ფ. 2100 საქმე. 56. ფურც. 1.
10. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ თბილისი 2001 წ. გე. 79-82.
11. სსცსა ფ. 2100 საქმე. 57. ფურც. 3.
12. იქვე... ფურც. 4.
13. ჟურნ. „ახალი სიტყვა“ 1918 წ. №1. გე. 3-4.
14. ჟურნ. „ახალი სიტყვა“ 1918 წ. №4. გე. 3.
15. სსცსა ფ. 2100 საქმე. 62. ფურც. 3-7.
16. სერგო ვარდოსანიძე „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. 1993 წ. გე. 16.
17. სსცსა ფ. 2100 საქმე. 11. გე. 1-3.
18. სერგო ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში.“ თბილისი, 2001 წ. გე. 61.
19. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფ. 539.
20. გაზ. „კომუნისტი“. 1925 წ. 6 იანვარი.
21. სერგო ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი“. თბილისი, 2005 წ. გე. 46.
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დაეით კაჭახიძე. საქმე №1523, გე. 35.
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი. კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე IIIის ფონდი №6508.
24. იქვე... გე. 3.
25. სერგო ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“. თბილისი 2001 წ. გე. 82.
26. სერგო ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი“, თბილისი 2005 წ. გე. 81.
27. საქართველოს უახლესი ისტორიის საისტორიო არქივი (სუიცსა) ფონდი 284. საქმე. 300. გე. 41.
28. სუიცსა ფ. 284. გე. 107.
29. საარქივო მოამბე. 2008 წ. №1. გე. 23.
30. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფ. 112. გე. 1-3.
31. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფ. 539. გე. 11.
32. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102. გე. 330.
33. იქვე... გე. 22-23.
34. სერგო ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში.“ თბილისი. 2001 წ. გე. 130.

35. იქვე... გვ. 131-132.
36. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კალისტრატე ცინცაძის ფ. №102. გვ. 446-448.
37. საქართველოს საპატრიარქო არქივი ეპისკოპოს დავით კაჭახიძის საქმე. №1651. გვ. 8.
38. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი №102. გვ. 280-350.
39. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი. №42.
40. საქართველოს საპატრიარქო არქივი. ეპისკოპოს დავით კაჭახიძის საქმე. №1866.
41. სსცსა. ფ. 2100 საქმე. 58. ფურც. 1-5.
42. იოსებ სტალინი „ლენინიზმის საკითხები" თბილისი 1936 წ. გვ. 232.
43. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მემუარები. №3929. გვ. 199.
44. ს. ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში" თბილისი 2001 წ. გვ. 140.
45. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) „საქართველოს საეკლესიო კრებები" წიგნი III, თბილისი. 2003 წ. გვ. 168-170.
46. იქვე... გვ. 171.
47. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი. №272. გვ. 6.
48. პრეზიდენტის არქივი. ფ. 14. საქ. 354. საქაღ. 37. გვ. 133.
49. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის ფ. №31. რამ. 57.
50. სუიცსა ცაკის ფონდი №284, აც. 3. საქმე. 700. გვ. 2.
51. ხელნაწერთა ეროვნული ფონდი, ვასილ კარბელაშვილის ფ. №31. გვ. 872-873.
52. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ბათუმ-შემოქმედის ეპარქია დოკ. 1752.
53. იქვე... გვ. 15.
54. საქართველოს საპატრიარქო არქივი. ბოდბის ეპარქია. დოკ. №1649.
55. სუიცსა ფ. 284. აღწ. 3. საქმე. 291.
56. სსცსა. ფ. 2100 საქმე. 31.
57. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კალისტრატე ცინცაძის ფონდი №49, 50.
58. სსცსა. ფ. 2100. საქმე. 67. გვ. 3.
59. სერგო ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში." თბილისი 2001 წ. გვ. 152.
60. სსცსა ფ. 2100 №1 საქმე. 117.
61. სერგო ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში." თბილისი 2001 წ. გვ. 153-154.
62. იპოლიტე ვართაგავა მოგონებები. იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №6760/7 გვ. 15.
63. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქაღალდე №1523. გვ. 3.
64. იქვე... გვ. 7. 65. იქვე... გვ. 9.
66. იქვე... გვ. 20.
67. იქვე... გვ. 17.
68. იქვე... გვ. 24.
69. იქვე... გვ. 39.
70. იქვე... გვ. 69.
71. იქვე... გვ. 103.
72. იქვე... გვ. 110.
73. იქვე... გვ. 111.

74. იქვე... გვ. 116.
75. საქართველოს საპატრიარქო არქივი ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე №1866. გვ. 7.
76. იქვე... გვ. 8.
77. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. №31. გვ. 600.
78. სერგო ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე“ თბილისი 2004 წ. გვ. 42.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე
(1932-1952 წლები)



უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე.

სასულიერო ცხოვრების პირველი ნაბიჯები

XX საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელთა შორის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ერთ-ერთი რჩეულთაგანია. მისი მამადმთავრობა დაემთხვა საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ ხანას, როცა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლებისათვის ქრისტიანული სარწმუნოება, ეკლესია სრულიად მიუღებელი იყო ამ დროს სასულიერო პირობა გმირობის ტოლფასი გამხდარიყო. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე იყო სახე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა, მას პატივს სცემდნენ როგორც მოწმუნე მრევლი, ასევე ათეისტებიც. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას სამუდამოდ დაამახსოვრდათ ბიბლიური მწყემსმთავრის ჭკვიანი თვალები, რომელიც ნათელს ჰფენდა გარშემომყოფთ. გასული საუკუნის 50-იან წლებში ჭაბუკი ირაკლი შიოლაშვილი ვლადიკავკაზიდან მცხეთაში, სვეტიცხოველობაზე ჩამოიყვანა თავისმა ნათლიამ ზოილე დვალიშვილმა და ლოცვაკურთხევის ასაღებად მიიყვანა უწმიდეს კალისტრატესთან, მაშინ არცერთმა არ ვიცოდით, რომ ეს იყო ორი პატრიარქის შეხვედრაო – დასძენს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

კალისტრატე (ბიჭიკო) მიხეილის ძე ცინცაძე დაიბადა 1866 წლის 12 აპრილს ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერში (ახლანდელი ვანის რაიონი). ცინცაძეთა გვარი წარმოშობით გურიიდანაა. მისი მშობლები იყვნენ: მღვდელი მიხეილი და დედა ეკატერინე გოგორიშვილი. მიხეილ ცინცაძეს განათლება მიღებული ჰქონდა ჯრუჭის მონასტერში მიტროპოლიტ დავით წერეთლის კარზე, იყო საეკლესიო წიგნების საუცხოო მცოდნე, მის ოჯახში ყოველთვის იყვნენ დიაკვანი შეგირდები. მამა მიხეილი გარდაიცვალა 1882 წლის 8 თებერვალს 47 წლის ასაკში. შვილების აღზრდის მთელი სიმძიმე იტვირთა დედამ, ეკატერინემ, რომელიც გამოირჩეოდა როგორც შრომისმოყვარე, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხასიათით.

წერა-კითხვა მას დამ, მატრონამ შეასწავლა, ხოლო „ჟამნის“ შესწავლაში მამის შეგირდი დიაკვნები დაეხმარნენ.

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან ავტოკეფალიაგაუქმებულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახე არა იმპერიული სულისკვეთების რუსი ეგზარქოსები, არამედ ერთეული ქართველი სასულიერო პირები იყვნენ, რომელთა შორის იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულიყო. ეპისკოპოსი გაბრიელი ერთნაირად ძვირფასი იყო, როგორც ახალგაზრდებისათვის, ისე ხანშესულთათვისაც, იგი ბევრს მოგზაურობდა თავის ეპარქიაში, ქრისტიანულ მოძღვრებას, სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა თავის მრევლს. როგორც უწმიდესი კალისტრატე გადმოგვცემს: „იმ ხანებში ჩვენს სოფელში გარდაიცვალა სოლომონ შარაძენიძის დედა. ანდერძის ასაგებად მოიწვიეს გაბრიელ ეპისკოპოსი, წირვის დროს საკურთხეველში ვტრიალებდი, განიცადეს, რომ გალობდნენ მიმიხმო, ლოცვები გამომკითხა, ჯვარი მაჩუქა და მამას უბრძანა თავის დროზე შეიყვანე სასწავლებელშიო“.[1] ეპისკოპოს გაბრიელთან შეხვედრამ განსაზღვრა ჭაბუკი კალისტრატეს მომავალი.

1875 წელს ოჯახმა იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. იმ დროს სასულიერო და საერო სასწავლებლებში ცდილობდნენ მოსწავლეებში ჩაეკლათ ეროვნული სულისკვეთება. ამ მხრივ გამოირჩეოდა ლათინურის მასწავლებელი თ. ბოგოლიუბოვი, მაგრამ ქართველი მასწავლებლები: ნიკო ხუციშვილი, რაჟდენ გიგაური, დავით ჩიმაკაძე, კოწია მაჭავარიანი, პოლიევქტოს კვიცარიძე, ნიკო მაღრაძე მაინც ახერხებდნენ მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. თვით გაბრიელ ეპისკოპოსიც მძიმე მდგომარეობაში იყო. ეგზარქოსებს აღიზიანებდათ მისი ავტორიტეტი და ცდილობდნენ ეპარქიის სამღვდელოების მასთან დაპირისპირებას. მაგალითად, თუ ეპისკოპოსი გაბრიელი რომელიმე სასულიერო პირს დამსახურებულად დასჯიდა, ეგზარქოსი თავისთან იხმობდა დასჯილს და მიტრით ან ოქროს ჯვრით აჯილდოვებდა.

ეს იყო საეკლესიო კანონიკის ფეხქვეშ გათელვის მაგალითი, მაგრამ ეგზარქოსებს რაც მოეპრიანებოდათ, იმას აკეთებდნენ.

ეგზარქოსებისადმი დაუმორჩილებელ ეროვნული სულისკვეთების ქართველი მღვდელმთავრის მიმართ რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლება ფარულ პოლიციურ ზედამხედველობას ახორციელებდა, ზოგჯერ ისეთ ცილისწამებასაც აერცელებდა, რომელიც მიმართული იყო გაბრიელ ეპისკოპოსის სახელისა და ავტორიტეტის წინააღმდეგ. „1875 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს ბრალად დასდეს ქუთაისისა და გელათის ეკლესიების სიძველეთა მოპარვა. ეიდრე სიმართლე გაირკვეოდა მაშინდელ პრესაშიც, სასულიერო წრეებშიც და ხალხშიც ათასგვარი მითქმა-მოთქმა თუ ჭორი გაერცელდა. დაინიშნა გამოძიება, შეიქმნა კომისიები... საბოლოოდ გაირკვა ბრალდების სრული სიყალბე".[2]

გაბრიელ ეპისკოპოსი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დამამთავრებელ კურსზე ესწრებოდა გამოცდებს. იგი გულისყურით უსმენდა მოსწავლეებს და გამორჩეულებს რეკომენდაციით აგზავნიდა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1882 წელს კალისტრატე ცინცაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ მიხეილ კრილოვს გაბრიელ ეპისკოპოსის რეკომენდაციით წარუდგა, მაგრამ რექტორს ყოყმანი დაეტყო, როგორც ჩანს არ უნდოდა კალისტრატეს მიღება, მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსის განაწყენებასაც მოერიდა და ბოლოს მაინც დადებითად გადაწყვიტა საკითხი.

XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისში მოღვაწეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე. გამოდიოდა გაზეთები: „დროება", „ივერია". ამავე დროს გაძლიერდა რუსეთის რეაქციული წრეების ზეწოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. საქართველოს ეგზარქოსი პავლე, მთავარმართებელი დონდუკოე-კორსაკოვი და კავკასიის განათლების ოლქის მზრუნველი იანოვსკი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველობას დაეცინწყებინა თავისი წარსული – აწმყო და არ ეფიქრა მომავალზე. მართალია სემინარიის მასწავლებლები ცდილობდნენ ეროვნულ და რევოლუციურ იდეებს არ შემოეღწია სასწავლებელში, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ. სემინარიაში ერთად ცხოვრობდნენ: ალექსი (ანტონ) გიორგაძე, გიგო შენგელია, იოსებ ლაღიაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, იეროთეოზ აივაზაშვილი. პირველ წლებში კალისტრატეს უჭირდა ბერძნული და რუსული ენების შესწავლა, მაგრამ ბეჯითმა შრომამ თავისი გაიტანა და იგი ერთ-ერთი გამორჩეული იყო სემინარიაში. მეგობრობდა დამამთავრებელი კურსის სემინარიელებთან: ბესარიონ ხელაიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ისიდორე რამიშვილთან, ბართლომე მოსეშვილთან, იეანე გიორგაძესთან, ალექსანდრე და კონსტანტინე ჟორდანიებთან, პეტრე ჭარაიასთან. კალისტრატე ცინცაძე ხშირად დადიოდა მთაწმინდაზე ზაქარია ჭიჭინაძის სახლში, სადაც ეცნობოდა მრავალრიცხოვან საისტორიო დოკუმენტების ხელნაწერებს, თავისუფალ ლიტერატურას. სემინარიაში გამეფებული მკაცრი რეჟიმის მიუხედავად იყვნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ახალგაზრდებზე. უწმიდესი კალისტრატე სიყვარულით იხსენებდა: თ. ჟორდანიას, ალ. ალბოროვს, პ. პოტოცკის. საქართველოს ეგზარქოსი პავლე განსაკუთრებით ავიწროებდა თედო ჟორდანიას, რომელსაც შეუმცირეს ქართულის საათები, ბოლოს კი მოსთხოვეს ქართულის რუსულად სწავლება?! უწმიდესი კალისტრატე დადებითად ახასიათებდა სემინარიის მეორე ქართველ მასწავლებელს იოსებ მექანარიშვილს, რომელიც სემინარიელებთან ერთად აწყობდა სალიტერატურო საღამოებს, თეატრალურ წარმოდგენებს. ასეთ ადამიანს ეკზარქოსი „არამზადას და მხეცს უწოდებდა".[3] თბილისის სასულიერო სემინარიაში 1886 წლის 24 მაისს იოსებ ლაღიაშვილის მიერ რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა იყო რუსეთის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისი. კალისტრატე ცინცაძის მოგონებებში დაწვრილებითაა აღწერილი თუ როგორ მოხდა ეს და რა რეაქცია ჰქონდა მომხდართან დაკავშირებით საქართველოს

ეგზარქოს პაველს. 1886 წლის 28 მაისს რუსეთის სინოდის ობერპროკურორ კ. პობედონოსცევის სახელზე გაგზავნილ წერილში ეგზარქოსი წერდა: „დამნაშავეე, როგორც ჩანს სოციალიზმისა და ქართველოფილობის ადგილობრივმა მოთავეებმა მოისყიდეს... მოგვიწევს ყველა ქართველის გაძევება, თუ არ გვინდა სემინარიის სრული დემორალიზაცია“.[1] ეგზარქოსმა პაველმა განსვენებული ჩუდეცკი რუსეთის სახელმწიფოებრივი და რელიგიური ინტერესებისათვის წამებულად წარმოაჩინა. თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ეკლესიაში მან შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბოროტმოქმედის მსხვერპლი კი არ იმსახურებს გლოვას,არამედ ის გარემო,რომელმაც წარმოშვა ბოროტმოქმედი. დიახ, გლოვობენ მამები და დედები ჩვენი მხარისა, რომ ჩვენს წრეში არსებობენ ბავშვები ცხოველური მიდრეკილებების ამარა. მათ მიმართ არ იმოქმედა ოჯახის ლმობიერებამ,ვერ მოახდინა გავლენა სკოლის კეთილმა და თბილმა დამოკიდებულებამ. ისინი შეპყრობილნი არიან გარეშე, ცრუ და მავნე ზემოქმედებით; გლოვობენ იმის გამო,რომ უზნეო ადამიანებს შეუძლიათ გახდნენ ეკლესიის მსახურნიც კი. წყეულიმც იყოს ის ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედთ შობს.“

სინოდის ობერ-პროკურორ კ. პობედონოსცევის სახელზე გაგზავნილ წერილში ეგზარქოსი პაველ წერდა: „ბოროტმოქმედი 19 წლისაა და როგორც ჩანს,მოსყიდულია ადგილობრივი სოციალ-დემოკრატებისა და გრუზინოფილებისაგან. მათ კარგად ესმოდათ,რომ ძალზე ჭკვიანი და ენერგიული რექტორი,რომელმაც დაიწყო ბოროტების ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა, მათი საშიში მტერი იყო. ამიტომაც გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება... მკვლელობის დღეს ის ორი საათის განმავლობაში დაეხეტებოდა ჩემს ეზოში, ეკლესიაშიც კი შემოვიდა, მაგრამ არა სალოცავად, რადგან „რომელი ქერუბიმთას“ დროს სკამზე იჯდა და დიაკონმა წამოაგდო. ვფიქრობ, ის სწავლობდა ჩემი ცხოვრების წესს. ცდილობდა, შემოსულიყო ჩემთან იმ ღია კარიდან, რომლიდანაც მე ეუსმენ ხოლმე წირვას, და მოულოდნელად დამსხმოდა თავს. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ჩემი მოსაზრებებია და არა ჭეშმარიტება. მაგრამ ერთი აშკარაა, რომ ჩემი სიკვდილი ბოროტის ხელით აქ ბევრს გაახარებდა დაწყებული იმ არამზადა „დიდებულებიდან“, რომლებმაც თქვენ მოგართვეს ცნობილი მოხსენებითი ბარათი. ვფიქრობ, ღმერთმა მიხსნა სიკვდილისაგან, თავისი უხილავი შემწეობითა და შეწყნარებით.“ („საღვთისმეტყველო კრებული“ 1987. №3. გვ. 31-32).

ქართველი საზოგადოება აღაშფოთა ეგზარქოს პაველს ამ სიტყვებმა. ქუთაისის თავად-აზნაურობის მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა საჯარო წერილში დაუფარავად მოითხოვა შემჩვენებლის შეჩვენებული ქვეყნიდან გაძევება. მართალია დიმიტრი ყიფიანი რუსეთის იმპერატორისადმი „ურჩობის“ მოტივით საქართველოდან სტაეროპოლში გადაასახლეს და 1887 წელს ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს, მაგრამ ამ ფაქტმა ვერ დააშინა ქართველი საზოგადოება,პირიქით,დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა მთაწმინდაზე იქცა ეროვნულ ძალთა გაერთიანების მძლავრ დემონსტრაციად. 1888 წელს კალისტრატე ცინცაძემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და რექტორის პაისი ვინოგრადოვის რეკომენდაციით სწავლის გასაგრძელებლად გაეშურა კიევის სასულიერო აკადემიაში. კიევის სასულიერო აკადემია ქართველი სტუდენტებისათვის ყველაზე სასურველი სასწავლებელი იყო რუსეთის იმპერიაში. აქ მოღვაწეობდნენ ქრისტიანული თეოლოგიის აღიარებული ავტორიტეტები. კიევის აკადემია დაამთავრეს: ისტორიკოსმა დიმიტრი ფურცელაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, დეკანოზმა გიორგი ხელიძემ, მწერალმა ნიკო ლომოურმა, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქებმა: კირიონ II, ლეონიდმა, მიტროპოლიტმა ნაზარ ლეჟავამ, მიტროპოლიტმა გიორგი ალადაშვილმა, მთავარეპისკოპოსმა დიმიტრი აბაშიძემ, ეპისკოპოსმა პიროს ოქროპირიძემ, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, სასულიერო პირებმა: ნიკოლოზ მახათაძემ, გაბრიელ ცაგარელმა, ამბროსი კაკაბაძემ, მარკოზ ტყემალაძემ, ილია ფერაძემ, მელიტონ კელენჯერიძემ, ანტონ ფირცხალავამ, ნიკიტა თალაკვაძემ.

კალისტრატე ცინცაძე კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე.

როგორც იგი გადმოგვცემს 1888 წლის სექტემბერში რუსეთის სამოქალაქო ისტორიის პროფესორმა· ზაიონტვეიჩმა წაიკითხა ლექცია რუსეთის დიდ მთავარ ელადიმირზე. ლექციის დროს პროფესორი შეეხო X საუკუნის ბიზანტიის იმპერიის ისტორიის საკითხებს, მაგრამ საერთოდ არ ახსენა ქართველები. ახალგაზრდა სტუდენტმა მორიდებით,მაგრამ მაინც უსაყვედურა პროფესორს. ამ უკანასკნელს მოეწონა სტუდენტის ლოგიკური მსჯელობა, განსწავლულობა და დაავალა მოემზადებინა სადიპლომო თემა – „დავით აღმაშენებელი, როგორც საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე“.აკადემიის ხელმძღვანელობამ ასეთი სათაურის თემა არ დაამტკიცა. სამაგიეროდ უარი არ უთქვამთ თემაზე „ივერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში“. ნაშრომში კალისტრატე ცინცაძე „პირველწყაროთა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ცხადყოფდა საქართველოს ეკლესიის მოციქულებრიობას... აქვე აშუქებდა იერიის საკათალიკოსოს ისტორიის რიგ გაურკვეველ საკითხებს სასანიანთა ბატონობის პერიოდში, საეკლესიო სამართალს, ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, მთავარეპისკოპოსთა სიას, ეკლესიის იერარქიულ აღნაგობას“[5] ნაშრომის რეცენზენტები იყვნენ პროფ. ი. მალიშევსკი, ა. ოლესნიცკი, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს მას. ამის შესახებ ქართველ საზოგადოებას აუწყებდა 1892 წელს სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“.

1890 წელს კალისტრატე ცინცაძემ კიევში დედის წერილი მიიღო, რომელიც ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო სთხოვდა შვილს სამშობლოში დაბრუნებას. წერილმა ძლიერ დააღონა არა მარტო კალისტრატე, არამედ მისი ამხანაგებიც. თანაკურსელმა ილია ფერაძემ საგანგებო წერილით მიმართა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომელიც ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა მას „აკადემიის თაყვის დანებების განსაცდებისაგან გამომიყვანა ყოველადსამღვდელო გაბრიელის მამობრივმა ზრუნვამ“.[6] წერდა მოგვიანებით იგი.

1890 წელს ზაფხულის არდადეგებზე კალისტრატე ცინცაძე ჩამოვიდა საქართველოში, ქუთაისში მადლობის სათქმელად ეახლა ეპისკოპოს გაბრიელს, რომელმაც დაწერილებით გამოჰკითხა კიევის სასულიერო აკადემიის ამბები. ყოველადსამღვდელო გაბრიელს განსაკუთრებით აღელვებდა საქართველოს ეკლესიის მომავალი. „მე და ალექსანდრე ოქროპირიძე უკვე დაბერდით, დღეს თუ ხვალ სიკვდილიც თაყვის მოვალეობას შეასრულებს, განათლებული ბერები გარდა ლეონიდისა, ჩვენ არ გეყვაეს– თუ სამშობლო გიყვარს ხშირად იფიქრე ბერობაზეო“[7] – დაამთავრა თავისი დარიგება მეუფე გაბრიელმა.

1892 წელს სასულიერო აკადემიის დამთავრებისთანავე ღვთიმეტყველების კანდიდატი კალისტრატე ცინცაძე დაბრუნდა საქართველოში, გაანაწილეს ხონის სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად, მაგრამ იქ ადგილი არ აღმოჩნდა. გაბრიელ ეპისკოპოსს სურდა ქუთაისში ქალთა საეპარქიო სასწავლებელში დაეტოვებინა,მაგრამ აქაც წინააღმდეგობები შეხვდა. ამიტომ იგი გამოეშურა თბილისში და 1893 წელს დაინიშნა დიდუბის ეკლესიაში. 11 აპრილს ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 18 აპრილს მღვდლად ეგზარქოს ელადიმერის მიერ. დიდუბის ეკლესია იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მის გვერდით მდებარეობდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი იყო. 1893 წელს ქართველმა საზოგადოებამ განჯიდან გადმოასვენა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. კალისტრატე ცინცაძე ქართველმა საზოგადოებამ დიდუბეში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედართან წარმოთქმული ბრწყინვალე სიტყვით გაიცნო. „ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნებაში და ბუნების შემწეობით ეძებს და ჰპოულობს მას, ვისაც ძალუძს შეების მოცემა... ამ სახედ, წმიდის მოციქულის სიტყვის თანახმად მან ბუნება აღიარა ხმად ღვთისა კაცთა მიმართ – წიგნად, სადაც ამოიკითხა, რომ შეება და ლხენა შეუძლია მიანიჭოს ადამიანის გულს მხოლოდ მან, ვინც არის მიზეზი ადამიანისა და თვით ბუნების გაჩენისა“.[8]

1893წლიდან მოყოლებული საქართველოს რელიგიურ-საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენა, სადაც მამა კალისტრატე ცინცაძეს მონაწილეობა არ მიეღო.

ბრძოლა ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელსაც ქართველი მიტროპოლიტის ვარლამ ერისთავის შემდეგ რუსი ეგზარქოსები განაგებდნენ. ეგზარქოსები არ ითვალისწინებდნენ მრავალსაუკუნოვან ქართულ საეკლესიო ტრადიციებს, დევნიდნენ ქართულ ენას, ქართულ გალობას, შეურაცხყოფდნენ ქართველ წმინდანებს, ეკლესიებში ანგრევდნენ ქართულ კანკელებს და ცვლიდნენ რუსულით, მონასტრებიდან აძევებდნენ ქართველ ბერებს და მათ ადგილზე ნიშნავდნენ რუსებს. რუსი ეგზარქოსებისათვის მიუღებელი იყვნენ ქართული ეროვნული სულისკვეთების სამღვდელოება. კალისტრატე ცინცაძის მახვილი თვალისა და უზუსტესი ფსიქოლოგიური დაკვირვებების შედეგია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან 1917 წლამდე საქართველოს ეგზარქოსების ისტორიული პორტრეტები. უწმიდესი კალისტრატე მრავალრიცხოვან საეკლესიო საბუთების მოშველიებით სრულად აღადგენს ეპოქის სურათს. ეგზარქოსების დახასიათებისას მას არასოდეს არ ღალატობს ობიექტურობა.

1891წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში შეხვდა საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს იოანიკე რუდნევს, რომელიც იმხანად კიევის მიტროპოლიტი იყო. „სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ როდესაც 1882 წელს საქართველოდან გადაიყვანეს ჯვრის უღელტეხილზე შეჩერდა, მობრუნდა საქართველოსკენ, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: გმადლობ, შენ, ყოველად წმიდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდიო"[9]. კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს მთავარეპისკოპოს ნიკანორის დიალოგს იონიკესთან რომელიც ასე ახასიათებს ქართველებს: „მათ ხომ არ აქვთ განსჯის უნარი: გონებაჩლუნგნი არიან, მაგრამ რასაც დაიჩემებენ აღარ გადათქვამენ. კაცის მოკვლა არაფრად ულირთ. ნათესაობას მე-14 თაობამდე თელიან, თუმცა ხანჯალი ჩასცენ ღვიძლ ძმას მათთვის ძნელი არ არის. შმაგი ხალხია, ოდნავ აღელვებაზე კარგავენ წონასწორობას და იძრობენ ხანჯალს"[10]. ქართველებზე ასეთი შეხედულების მწყემსმთავარი ბუნებრივია, კარგს არაფერს გაუკეთებდა თავის სამწყსოს. კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით ეგზარქოსი პაველ ლებედევი (1882-1887 წ.წ.) იყო უხეში და ფიცხი ადამიანი. სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობა მან გამოიყენა ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად. ხოლო ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვა მჭერმეტყველების ნიმუშად გამოაცხადა. იგი სიამაყით წერდა: „დაკრძალვისას წარმოვთქვი სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მოეწონათ რუსებს და არ მოეწონათ ქართველების გარკვეულ ნაწილს. სემინარიამ და ქართულმა ინტელიგენციამ საზიზღრად წარმოაჩინეს თავი"[11]. ეგზარქოსი პაველ სხვა დროსაც არ უშეებდა შემთხვევას ქართველებზე აუგი ეთქვა. უწმიდეს კალისტრატე იხსენებს ეგზარქოს პაველს საუბარს ყოელადსამღვდელო ნიკანორთან „მასთან საუბარში მიეხედი, რომ არ აპირებდა უკან, საქართველოში დაბრუნებას. რისთვის წავიდე, სულ ერთია, მომკლავენ... აკი ეჭვიც არ ეპარებათ სინოდში, რომ საქართველო მიილტვის სეპარატიზმისაკენ... იქ არის ნიჰილისტური, სეპარატისტული ხროვა, არცთუ მცირერიცხოვანი, რომელნიც მთებსაც გადააბრუნებენ ჩემს მოსასპობად".[12] სამწუხარო ის იყო, რომ მარტო პაველ ეგზარქოსი კი არ იყო, ვინც ასე ფიქრობდა ქართველებზე. პეტერბურგის საერო და სასულიერო წრეებში უმრავლესობა ამ აზრისა იყო საქართველოზე. ბუნებრივია, სიძულვილის მთესველნი სიყვარულს ვერ მოიმკიდნენ. უწმიდესი კალისტრატე მკაცრი, მაგრამ ობიექტური იყო პაველს შემცველი ეგზარქოსის პალადი რაენის (1886-1892 წ.წ) შეფასებისას. ეგზარქოსი პალადი თვალთმაქცობდა და ნაძალადევი თავაზიანობით ეპყრობოდა ყველას, მან მოახერხა ქართველ თავადაზნაურთა ოჯახებთან დაახლოება, სტუმრობდა ქართულ ოჯახებს, გულუხვად აჯილდოებდა სასულიერო პირებს, მაგრამ ამის პარალელურად ოსტატურად ახერხებდა რუსიფიკაციის პოლიტიკის განხორციელებას. მან დიდუბის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიად

გამოაცხადა. ვერ იტანდა ქართველ წმინდანებს. „ერთხელ სინოდის კანტორაში იკითხა, სად ვიპოვო ქართველი წმინდანების წმინდანებად შერაცხვის აქტები? ასეთი აქტები არ შემონახულა, მაგრამ მარტო ის, რომ ზემოთჩამოთვლილი სახელები საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე მოიხსენიება, მოწმობს მათ დაკანონებას, უპასუხეს მეუფეს. ამ პასუხმა იგი არ დააკმაყოფილა და სინოდის კანტორის სახელით განკარგულება გამოსცა ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით შეეცვალა“.[13] აი, ნამდვილი სახე ზედმეტად თავაზიანი ეგზარქოსისა, რომელსაც სიტყვით ძალიან უყვარდა თავისი სამწყსო, ქართველი ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ეგზარქოს ელადიმერ ბოგოიაელინსკის (1892-1898 წ.წ.) უწმიდესი კალისტრატე განსაკუთრებით პატივს სცემდა, როგორც განათლებულ პიროვნებას და მის მღვდლად მაკურთხებელს, მის ქართველთმოძულეობასაც ვერ ივიწყებდა. მისი განკარგულებით 87 სემინარიელი „მგლის ბილეთით“ გააძევეს თბილისის სემინარიიდან. მას სძულდა ქართული სალოცავები „1894 წელს სვეტიცხოველობის დღესასწაულზე ეგზარქოსი სვეტიცხოველის ტაძარში წირავდა, წირვის შემდეგ მღვდელმსახურნი პარაკლისის გადასახდელად გამოვიდნენ. „საწიგნეზე ორი ხატი იდო – სვეტიცხოველი და ღვთისმშობლის საფარველი. მეუფემ კანდელაკს უბრძანა სვეტიცხოველის ხატი წაეღო, ღვთისმშობლის საფარველი დაეტოვებინა. ხატი წაიღეს, მლოცველთ გული დაუმძიმდათ, მათ შორის ზოგიერთ რუსსაც კი და ბევრი გავიდა ტაძრიდან“.[14] ეგზარქოს ელადიმერს აღიზიანებდა სიტყვა საქართველოს ხსენება და ყველასგან მოითხოვდა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებით შეეცვალათ ტერმინი „საქართველო“.

თავისი ხანმოკლე მწყემსმთავრობის ჟამს მთავარეპისკოპოსმა ფლაბიანე გორდეცკიმ (1898-1901 წ.წ.) გააუქმა ეგზარქოს პალადის აკრძალვა ყრმათათვის ქართველ წმინდანთა სახელის არდარქმევის შესახებ. იგი იყო რბილი და ყურადღებიანი და სურვილი ჰქონდა თავისი სიცოცხლის დარჩენილი წლები საქართველოში გაეტარებინა, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში ასეთი კაცი მიუღებელი იყო, მითუმეტეს ამ დროს ქართველები უკვე აღარ მალავდნენ თავიანთ სურვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. ხელისუფლებამ საქართველოში ლმობიერი ეგზარქოსის დამხმარედ ცნობილი შაერაზმელი ი. ეოსტორგოვი მოავლინა, ხოლო 1901 წელს ფლაბინე, მთავარეპისკოპოსმა ალექსი ოპოცკიმ შეცვალა (1901-1905 წ.წ.), რომელიც იევანე ეოსტორგოვის გაელენის ქვეშ მოექცა. ეგზარქოსი ალექსი თავის წინამორბედების პოლიტიკას აგრძელებდა საქართველოში. ეოსტორგოვი ღიად ებრძოდა ყოველივე ეროვნულს და ცდილობდა პეტერბურგის საერო და სასულიერო წრეებში იმპერიის ინტერესებისათვის ყველაზე ერთგული მებრძოლის სახელის შენარჩუნებას. ეგზარქოსი ალექსი უფრო შენიღბულად მოქმედებდა. „1903 წელს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ახალი შენობის მშენებლობის მთელი კომიტეტი მისი თავმჯდომარის ი. ამილახვრის მეთაურობით ეგზარქოსს ეწვია და ეკლესიის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა, თან სთხოვა, პროექტი საგუბერნიო სამმართველოში გაეგზავნა დასამტკიცებლად. ეგზარქოსმა ქართული ეკლესიების მსგავსად შედგენილ პროექტს რომ დახედა საწერი მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოსწია. ეკლესიების პროექტების მთელი ათეული ესკიზი ამოიღო (ამ ეკლესიების ხახეის გუმბათები და სამ მხარეს პატრონიკე ჰქონდა) და ამილახვარს ჰკითხა: თავადო, განა ესენი არ სჯობს თქვენ პროექტს? ამილახვარმა მიუგო: შეიძლება სჯობს კიდეეაც, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა ეს გეგმა გამოიმუშავეს და გვინდა, სწორედ მის მიხედვით ავაშენოთ ეკლესია.

თქვენო ბრწყინვალებავ – მიუგო ეგზარქოსმა, თუკი წინაპრები სისულელეებს სჩადიოდნენ, ჩვენ რატომ უნდა გაეიმეოროთ ისინი“[15] – მაგრამ ამილახვარი მაგრად დაუხვდა და კატეგორიულად მოითხოვა ქაშუეთის ეკლესია სამთავისის ეკლესიის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ეგზარქოს ალექსისათვის შოკისმომკერელი აღმოჩნდა 1905 წლის მაისში ქართველი სამღვდელოების ინიციატივით მოწყობილი კრების მოთხოვნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

მისი ბრძანებით რუსმა კაზაკებმა მათრახებით სცემეს სამღვდელოების კრების მონაწილენი. თბილისში დაძაბული ვითარება შეიქმნა. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს მოსთხოვეს ეგზარქოს ალექსის საქართველოდან გაწვევა. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ალექსი ეგზარქოსთან ერთად საქართველოდან გაეწვია ცნობილი შავრაზმელები: დეკანოზი ვოსტორგოვი და არქიმანდრიტი ნიკანდრი. ეგზარქოსი ალექსი დეენიდა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს. მისი წარდგინებითა და რენეგატ ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის დაბეზღებით 1903 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე იმპერატორის საყვედურით გადააყენეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან და მის ადგილზე დანიშნეს ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე. ალექსანდრე ეპისკოპოსის „დანაშაული“ ის იყო, რომ გურია-სამეგრელოს სკოლებიდან არ განდევნა ქართული ენა და არ დააჩქარა ამ მხარის გარუსება. რაც შეეხებოდა ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძეს, იგი იყო ცნობილი რუსი შავრაზმელის ი. ვოსტორგოვის იდეების ერთგული, სძულდა ყოველივე ქართული, ენერგიულად ცდილობდა გურია-სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას, ებრძოდა ეროვნული სულისკვეთების ქართველ სამღვდელოებას. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობის რისხვას გადაურჩა იმით, რომ განიმოსა სამღვდელმთავრო შესამოსელისაგან, ჩაიცვა ჩოხაახალუხი და ასე გაიპარა 1905 წელს საქართველოდან. 1906 წელს კი პეტერბურგში სინოდის სხდომაზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვისას უკვე თურქესტანისა და ტაშკენტის ეპისკოპოსის ხარისხში გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ.

რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლება შეეცადა საქართველოში საეკლესიო სფეროში წარმოშობილი გართულებული ვითარების დაწყნარებას. ეს მისია დაეკისრა ახალ ეგზარქოს ნიკოლოზს, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი (1905-1906 წ.წ.) შეძლო ამ თანამდებობაზე დარჩენა და როგორც უწმიდესი კალისტრატე შენიშნავს თავი არაფრით გამოუჩენია.

უწმიდესი კალისტრატეს მოგონებებში დაწერილებითაა აღწერილი რუსეთის ხელისუფლებისგან საქართველოს ეგზარქოსად მთავარეპისკოპოს ნიკონის დანიშნა, ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

მთავარეპისკოპოსი ნიკონი ავტოკეფალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყო განწყობილი. მან იცოდა საზოგადოების მისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. 1906 წლის 26 აგვისტოს, როცა თბილისში ჩამოვიდა რკინიგზის სადგურში მხოლოდ რუსი სასულიერო პირები დახვდნენ. ეგზარქოსი გაძლიერებული დაცვის თანხლებით გადაიყვანეს რეზიდენციაში. პირველ ხანებში ქართველი სამღვდელოება ცდილობდა ეგზარქოსისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინა და არ შეხვედროდა მას, მაგრამ ნიკონს სურდა შემოერიგებინა ისინი. უწმიდესი კალისტრატე იხსენებს ეგზარქოსთან შეხვედრას. როცა მას დაუფარავად უთხრა: „რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასოდეს მოხდება: ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხმეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს? ხოლო თუ გვირეიან ისეთნი, რომელნიც გარუსებულად გეაჩვენებენ თავს, ისინი... ნაძირალები არიან, როგორებიც არც თქვენ გჭირდებათ და არც მით უმეტეს ჩვენ“[16] ნიკონი მოჩვენებითი კეთილგანწყობით უსმენდა კალისტრატე ცინცაძეს, აღუთქვამდა რომ „ღრმად გაერკვეოდა“ ქართველი სამღვდელოების პრობლემებში და როგორც ჯეშმარიტი მწყემსმთავარი ყველაფერს გააკეთებდა მის გამოსასწორებლად. ამავე დროს საიდუმლო წერილში რუსეთის სინოდისადმი არ მალავდა თავის ანტიქართულ განწყობილებას. იგი ურჩევდა ხელისუფლებას „მათ (ქართველებს) რომც მიეცეთ ნება ქართულ ღვთისმეტყველებაში ვარჯიშის, საქმე მაინც უნდა განეაგრძოთ ისე, რომ სრულებით არ გადაეცდეთ სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს. შეიძლება სემინარიას, რადგან იქ ეროვნულ ენაზეა სწავლა, აღეკვეთოს სახელმწიფო ხაზინის დახმარება

და მინიჭება უფლებებისა, რომელთაც იგი აძლევდა თავის აღზრდილებს, როცა მთლიანად რუსული იყო. მაშინ ქართველები მოინანიებენ, რაც ჩაიდინეს ტირილით მოითხოვენ გულმოწყალებას და ხელს აიღებენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებებზე იმის დაბრუნების თხოვნაზე, რაც ჰქონდათ. მათთან მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, ვინაიდან ისე ვძულვართ ჩვენ რუსები, როგორც ძაღლები".[17] ეგზარქოს ნიკონის მცდელობა ქართველებს დაეეიწყებინა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის ავტოკეფალიაზე ფიქრი მარცხით დამთავრდა.

1909-1913 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო მთავარეპისკოპოსი ინოკენტი ბელიაევი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან განაცხადა,რომ არ დაუშვებდა ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენას. მისთვის არასასურველნი იყვნენ ავტოკეფალურ მოძრაობაში ჩაბმული სასულიერო პირები. განსაკუთრებით მიუღებელი იყო კალისტრატე ცინცაძის პერსონა, რომელსაც პირდაპირობის გამო ვერ იტანდა. ქვეშმდგომებში ხშირად იმეორებდა: „ამ დეკანოზს საშინლად ბოროტი ენა აქვსო"[18]. ეგზარქოსმა დიდუბის ეკლესიიდან გამოაძევა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, რათა ეკლესია რუს მღვდლებს დაესაკუთრებინათ. „კახეთში მოგზაურობისას ეგზარქოსმა ინოკენტიმ გვერდი აუარა ცნობილ ალავერდის და იყალთოს ტაძრებს და შუამთის მონასტერს... მას გული არ უდგება ივერიის ეკლესიაში. ეგონებ,არც მალავს, რომ უმძიმს საქართველოში სამსახური"[19]- წერდა დეკანოზი კალისტრატე. 1913-1914 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო ალექსი მოლჩანოვი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას „ქართველი ინტელიგენტების ფანტასტიურ ბოდვას"[20] უწოდებდა.

ეგზარქოსი პიტირიმ ოქნოვი (1914-1915 წლებში) იყო პირმოთნე და ეშმაკი კაცი, რომელიც ცდილობდა ქართველი საზოგადოებისათვის თავი ისე მოეჩვენებინა,თითქოს მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იგი ცდილობდა ჩირქი მოეცხო ავტოკეფალისტი მღვდელმთავრებისათვის,„თქვენ დიდი ხნის წინ უნდა გყოლოდათ პატრიარქი, მაგრამ ამის წინააღმდეგი მეუფე ლეონიდიაო"[21]. ეგზარქოსი პიტირიმი თავის დროზე რუსეთში ყოელისშემძლე რასპუტინის ნდობით სარგებლობდა.

1915-1917 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო მთავარეპისკოპოსი პლატონ როჟდესტვენსკი, რომელიც კალისტრატე ცინცაძის აზრით პრაქტიკული კაცი იყო. მისთვის გაუგებარი იყო,თუ რატომ ითხოვდა ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. 1917 წლის 12 (25) მარტს,როცა ქართველმა სამღვდელოებამ მცხეთაში ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. პლატონ ეგზარქოსი მტრულად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას თავი ამიერკავკასიის ეგზარქოსად და თბილისის მიტროპოლიტად გამოაცხადა, დაიქემდებარა საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში არსებული არაქართული მრევლი. პეტერბურგში გაგზავნილ წერილში კი განაცხადა, რომ საქართველო ქრისტიანობას განუდგაო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ეპისკოპოს ლეონიდის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება პლატონის ეგზარქოსობიდან გადაყენების შესახებ,1917 წლის 13მარტს. მაგრამ იგი მაინც აგრძელებდა რუსეთის ინტერესებისათვის ბრძოლას, არ თმობდა რეზიდენციას, იწვევდა თავისი მომხრე სამღვდელოების კრებებს, თუმცა ბოლოს 1917 წლის აგვისტოში იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა. უწმიდესი კალისტრატეს მოგონებებიდან კარგად ჩანს, რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში მოელენილი ეგზარქოსები გამოირჩეოდნენ ანტიქართული სულისკვეთებით, რომელნიც ფეხქვეშ თელავდნენ ივერიის უძველესი სამოციქულო ეკლესიის კანონიერ უფლებებს, აბუჩად იგდებდნენ ქართველ ხალხს და დაჟინებით ცდილობდნენ მათ გარუსებას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში

ყოველი განათლებული ქართველისათვის სანუკვარი ოცნება იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩართეს ქართველი სამღვდელოება, რომელთაც პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნას ეკლესიური თავისუფლებისაც დაუმატეს. საქართველოს მართლმადიებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მისი საწყისი პერიოდის ისტორია აინტერესებდა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ სამოღვაწეო ასპარეზზე დალოცვილ კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტ კალისტრატე ცინცაძეს. იერიის ეკლესიის ჩამოყალიბება, მისი იერარქიული დამოკიდებულება იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოსადმი არსებულ წყაროთა მონაცემებზე საფუძვლიანად შეისწავლა მან და საზოგადოებას დაანახვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიურობა. აქედან მოყოლებული თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე კალისტრატე ცინცაძემ ცხოერების ერთერთ მიზნად დაისახა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა და აღდგენის შემდეგ მისი განმტკიცება. დიდი გამოხმაურება მოჰყვა 1894 წ. ჟურნალ „Пастырь"-ში გამოქვეყნებულ მის ნარკვევს „Автокефалия Грузинской церкви", – რომელშიც მეცნიერულად იყო დასაბუთებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება. წერილმა ქართველი საზოგადოების მოწონება, ხოლო ეგზარქოს ელადიმირის განრისხება გამოიწვია. ეგზარქოსმა თავისთან დაიბარა ჟურნალის რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე და მოსთხოვა წერილი ისე დამთავრებულიყო, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელიო, თუ არა ჟურნალს დავხურაო. „როგორ გაბედეთ წერილის დაბეჭდვა, როცა თავიდან ბოლომდე არ წაგიკითხავთ იგი: როგორ ენდეთ ახალგაზრდა კაცს? ღმერთმა უწყის, რას დაწერს შემდეგ. რა თვალით შეხედავს ამას უწმ. სინოდი და რას მეტყვის იგი მე, ან თქვენ?"[22] ამის შემდეგ ყველა ეგზარქოსი, ვინც საქართველოში მოდიოდა, თელიდა, რომ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ეპისკოპოს კირიონთან, ეპისკოპოს ლეონიდთან და ეპისკოპოს ანტონთან, არქიმანდრიტ ამბროსისთან ერთად თავისი საქმიანობით ამზადებდა ქართულ საზოგადოებრიობას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის მწვავედ დასმისათვის. მან ისტორიკოს სერგი გორგაძესა და დეკანოზ ანტონ თოთიბაძესთან ერთად შეიმუშავა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მართვა-გამგეობის პროექტი. მის განხილვაში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები: კ. კეკელიძე, ნ. თალაკვაძე, ნ. ჯაში, ქრ. ციცქიშვილი, საეროთგან: ე. თაყაიშვილი, ა. ყიფშიძე, ნ. არჯევანიძე. პირველ განხილვას მეორე მოჰყვა, რომელსაც საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა დაესწრო, მათ შორის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი. ავტოკეფალური მოძრაობის აღმავლობის გამოხატულება იყო ქართველი სამღვდელოების საგანგებო ყრილობა, რომელმაც მოამზადა პეტიცია სინოდის ობერპროკურორის, კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე, მასში მოკლედ იყო მიმოხილული საქართველოს ეკლესიის ისტორია, ნაჩვენები იყო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1811 წლის ბრძანებულების უკანონობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ. პეტიციაში პირდაპირ იყო მითითებული „იერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-იერიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში... კათალიკოსთან დაფუძნდეს წმ. სინოდი, რომლის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებების და საქველმოქმედო დაწესებულების უმაღლესი მართვა-გამგეობა".[23] პეტიციას 412 სასულიერო პირმა მოაწერა ხელი. ეგზარქოსი ალექსი რუსი კაზაკების მათრახებით გაუსწორდა

ავტოკეფალური მოძრაობის წარმომადგენლებს, მაგრამ ასეთ მოქმედებას არ შეეძლო შეეჩერებინა ავტოკეფალური მოძრაობა. 1906 წელს გამოქვეყნდა დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ვრცელი მონოგრაფია „Об Автокефальности Грузинской церкви", რომელიც იყო პასუხი რუსეთში ავტოკეფალური მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალების აბსურდულ, ფანტასტიკურ თვალსაზრისებზე. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძის ეს ნაშრომი დიდად წაადგა ქართველ ავტოკეფალისტებს 1906 წელს პეტერბურგში სინოდის საგანგებო სხდომაზე მყარად დაეფიქსირებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება.

1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიაში მომხდარი დიდი ცვლილების შემდეგ (25 თებერვალს იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა). 1917 წლის 12 (25) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში შეიყვანა. რუსეთის ხელისუფლება შეეცადა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია ეროვნული ავტოკეფალიით შეეცვალა. ამ მიზნით ქართველებთან მოლაპარაკებისათვის „1917 წლის 9 აპრილს თბილისში ჩამოვიდა პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერს ობიექტურად შეისწავლიდა და ისე მიაწოდებდა ინფორმაციას მთავრობას... სულ მალე ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ ბენეშევიჩი რუსული იმპერიული ინტერესების დამცველი იყო და ეგზარქოსყოფილის პლატონის კონსულტაციებით სარგებლობდა".[24]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის დავალებით პეტერბურგში მთავრობასთან მოლაპარაკებისათვის 1917 წლის ივნისში გაემგზავრნენ ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. მათ დაძაბული საუბრები ჰქონდათ რუსეთის სინოდის ობერპროკურორ ლვოვთან, სარწმუნოების მინისტრ კარტაშევთან, მთავრობის თავმჯდომარე კერენსკისთან. დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ რუსეთის მთავრობა მხოლოდ ეროვნული ავტოკეფალიის ცნობაზე იყო თანახმა. 1917 წლის 12 (25) მარტის მცხეთის სვეტიცხოველის დამოუკიდებლობის აქტს არ გამოეხმაურნენ სხვა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიები. უწმიდესი კალისტრატეს აზრით ამის მიზეზი ის იყო, რომ „ეისთანაც მსოფლიო პატრიარქებს აქვთ ურთიერთობა იმასთან იჯერენ სხვა საპატრიარქოებიც. თავიდან რუსებს სურდათ ამიერკავკასიაში საკუთარი ეპისკოპოსი, ბერძნებს ქორეპისკოპოსი, მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის ერიდებოდა ორი მიზეზით: 1. რევოლუციის შემდეგ მოხდა აღმოსავლეთის პატრიარქების ქონების კონფისკაცია. 2. რუსეთის ეკლესიის რიდით".[25] დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ასე აღწერს პეტერბურგში რუსეთის დროებით მთავრობასთან შეხვედრას: „1 ივლისს გაიმართა ობერპროკურორის შეპირებული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ვ. ლვოვი, ა. კარტაშევი, პროფესორები ვერხოვსკი და კუზნეცოვი, სენატორი ზ. ავალიშვილი, ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრიტი ამბროსი, მე. ვერხოვსკიმ 12 მარტის აქტს „სქიზმა" უწოდა, ჩვენ უარვყავით ეს აზრი... სხვათა შორის, პირდაპირ მომმართა ობერპროკურორმა — არ გიჯობთ, ახალ სახელმწიფოში ისეთივე მდგომარეობა გქონდეთ, როგორიც სომხურ ეკლესიას აქვს? ჩვენ მართლმადიდებლები ვართ — მივუგე მე და გვსურს, ახალ სახელმწიფოში ისეთივე მდგომარეობა გვქონდეს, როგორიც ექნება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. მერედა, ვინ იქნება თქვენი ობერპროკურორი? კითხვა მოულოდნელი იყო და იმულებული გავხდი მეპასუხა: თქვენ... ეტყობა ლვოვს ჩემი აზრი მოეწონა და განაცხადა, რომ ჩვენს მხარეზე იქნებოდა. თუმცა საბოლოოდ რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 25 ივლისს დამტკიცებული დებულებით, რომელსაც ეწოდებოდა „რუსეთის სახელმწიფოში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის წესები" მხარი ქართული მოდგმის (ეროვნულ) ავტოკეფალიას დაუჭირა (კ. ცინცაძე, მოგონებები თბ. 2001, გვ. 199). რუსეთის დროებითი მთავრობის

მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება უარყო საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ.

1917 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ენერგიულად ჩაება პირველი საეკლესიო კრების მოსამზადებელ სხდომებში. 1917 წლის 8-17 სექტემბერს იგი მონაწილეობდა პირველ საეკლესიო კრების მუშაობაში. არჩეულ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს წევრად.

რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა. 1917 წლის 29 აგვისტოს ახლადარჩეულმა რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა მრისხანე წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს. „პატრიარქი ტიხონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას ულტიმატუმს უყენებდა, რომ წარმდგარიყვნენ რუსეთის საეკლესიო კრებაზე, როგორც დამნაშავენი და ელიარებინათ თავიანთი შეცოდებანი".[26] დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ როგორც საკათალიკოზო საბჭოს წევრმა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სახელით უპასუხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ტიხონის წერილს. მან მუხლობრივად გააარჩია პატრიარქ ტიხონის წერილის თითოეული დებულება და დასძინა: „რაკი აღვადგინეთ კანონიკური წყობილება ქართულსა და რუსულ ეკლესიაშიც მტკიცედ უნდა ეუთვალყუროთ, რათა შემდგომში არავითარი მსგავსი არ იქმნეს"[27] რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ჯიუტად ცდილობდა არავითარი ურთიერთობა არ ჰქონოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ამასვე ურჩევდა სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებსაც. ამავე დროს ისინი აქეზებდნენ რუსულ სამრევლოებს არ დამორჩილებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. ამ მხრივ რთული ვითარება იყო არა მარტო თბილისში,არამედ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც. 1926 წელს მათ სცადეს ბაქოს მიტროპოლიტი პეტრე თბილისში დაებინავებინათ. კალისტრატე ცინცაძე უკვე მიტროპოლიტი და საკათალიკოზო საბჭოს წევრი ენერგიულად იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს. როგორც იგი გადმოგვცემს 1926 წლის 25 დეკემბერს ბაქოს მიტროპოლიტი პეტრე თბილისში შეხვდა უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის და მიტროპოლიტ კალისტრატეს. მიტროპოლიტმა კალისტრატემ შეხვედრაზე დაუფარავად განაცხადა: „მეუფე პირადი შეხვედრების დროს თქვენ მეგობრობას გვთავაზობთ, წერილობით კი მოითხოვთ თქვენდამი დამორჩილებას, „რასკოლნიკებს" გვეძახით, ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით აურცელებთ ცრუ ხმებს,ვითომც ჩვენს ტერიტორიაზე ვაეიწროებთ რუსთა სამრეველოებს,გვაშინებთ იმით, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიები ჩვენთან კავშირს არ დაიჭერენ თქვენს გარეშე,განა ყოველივე ეს მეგობრობის ნიშანია. სჯობია გულახდილად ვილაპარაკოთ, თუ ჩვენ „რასკოლნიკები" ვართ, რისთვის მიიღეთ ჩვენი მღვდელმთავრების ნაკურთხი მღვდლები? ვინ ვინ უნდა იცნოს ჩვენ, თქვენ თუ პირიქით? თუ დამიჯერებთ ჩვენ დიდი ხანია ცნობილნი ვართ. რომელმა აღმოსაელეთის პატრიარქმა დაადასტურა ჩვენი ავტოკეფალიის შეჩერება, ან ახლა რა საჭიროა აღმოსავლეთის პატრიარქების განსაკუთრებული აქტი ჩვენი ცნობისათვის? უხმოდ მიიღეს ჩვენი დამოუკიდებლობის ძალით შეწყვეტა, უხმოდვე მიიღეს იმავე დამოუკიდებლობის აღდგენა... მიტროპოლიტი პეტრე წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და განაცხადა: თქვენ სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ივერიის წმიდა ეკლესიას ვინ არ იცნობს, ვინ იტყვის, რომ იგი რასკოლის მატარებელია"[28] მიტროპოლიტმა პეტრემ დაარწმუნა რუსეთის სინოდის ხელმძღვანელობა რუსული სამრეველოებისათვის სინოდისაგან გამოგზავნილ მკვდელმთავარს არ მიიღებდა საქართველოს საპატრიარქო — კიდევ უფრო გამწვავდებოდა ურთიერთობა ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის, ამით კარგად ისარგებლებდა ბოლშევიკური ხელისუფლება. მიტროპოლიტმა კალისტრატემ დაარწმუნა საქართველოში არსებული რუსული სამრეველოები საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნის შემთხვევაში ყველა პირობებს შეუქმნიდა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვის

თვალსაზრისით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების შემდეგ დეკანოზ ივანე ლოზოვოისთან ერთად შეიმუშავა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი რუსული სამრევლოების დებულება,ამან ზოგიერთი სასულიერო პირის განრისხებაც გამოიწვია, უწმიდეს კალისტრატესადმი გაგზავნილ წერილში ანონიმი ავტორი წერდა: „რა საჭიროა ავტოკეფალურ ეკლესიაში ასეთი ბატონობა მიენიჭოთ რუსის დეკანოზებს?.. ნელ-ნელა ისპობა ჩვენს ეკლესიაში ძველი გალობა, ძველი ეკლესიური კითხვა, ყველაფერი ის, რაც ჩვენი ერისა და ეკლესიის სიამაყედ ითვლებოდა. მართალია,მძიმე დროს გიხდებათ მოღვაწეობა,მაგრამ რისი შენარჩუნება შეიძლება იმას მაინც ჩვენით ნუ მოვშლით“[29] ეს იყო ემოციური წერილი,მაგრამ მისი ავტორი არ ითვალისწინებდა იმ საშიშროებას, რაც რუსული სამრევლოებიდან იყო მოსალოდნელი საქართველოში. უწმიდესმა კალისტრატემ მიზანმიმართულად იმუშავა როგორც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, ასევე რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქებთან, რათა რუსეთის ეკლესიას ეცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია.

1943 წლის 14 სექტემბერს უწმიდესმა კალისტრატემ ოფიციალური წერილით მიულოცა მიტროპოლიტ სერგის რუსეთის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა სურვილი ამ ორ ეკლესიათა შორის ურთიერთობის აღდგენისა. საპასუხო წერილში პატრიარქი სერგი გამოთქვამდა მზადყოფნას მოლაპარაკების გზით გადაწყვეტილიყო ყველა პრობლემები. რუსეთის ეკლესიის ასეთ პოზიციაზე გავლენა მოახდინა იოსებ სტალინმა, რომელმაც პატრიარქ სერგის უთხრა: „როდემდე უნდა იყოთ ასეთ არანორმალურ დამოკიდებულებაში საქართველოს ეკლესიასთანო.“ 1943 წლის 28-31 ოქტომბერს თბილისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერარქებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა სტაეროპოლისა და პიატიგორსკის მიტროპოლიტი ანტონი. მოლწეული იქნა შეთანხმება ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ეჟარისტული კავშირის აღდგენის შესახებ. მიტროპოლიტმა ანტონმა სიონის საპატრიარქო ტაძარში ამ სიტყვებით მიმართა უწმიდეს კალისტრატეს: „პატივი და დიდება თქვენ, რადგან პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიებს შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე“.[30] რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საგანგებო წერილებით მიმართა საქართველოში მცხოვრებ რუსულ სამრევლოებს; მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს და აცნობა, რომ რუსეთის ეკლესიამ აღადგინა ეჟარისტული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. 1945 წელს უწმიდესმა კალისტრატემ საქართველოში უმასპინძლა რუსეთის პატრიარქ ალექსი I. უწმიდესი ალექსი I-ს 1945 წლის 1 ოქტომბერს ბაქოში დახვდნენ ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი, მღვდელი ნაუმ შავიანიძე. 6 ოქტომბერს ალექსი I თბილისში ჩამოვიდა, მოილოცა თბილისის ეკლესიები, იყო გორში სტალინის სახლ-მუზეუმში. 14 ოქტომბერს დაესწრო სვეტიცხოველობას მცხეთაში. 1948 წელს მოსკოვში მონაწილეობდა რუსეთის ეკლესია 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. 1949 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. უწმიდესი კალისტრატე ჯერ კიდევ 1926 წელს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის სახელით მსოფლიო პატრიარქ ბასილ III-ს მიმართავდა თხოვნით,რათა მათ ეცნოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აეტოკეფალია,მაგრამ მსოფლიო საპატრიარქო ასეთი ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა. უწმიდესი კალისტრატე ალბათ ვერ იფიქრებდა, სვეტიცხოველში მის მიერ დალოცვილი ახალგაზრდა იქნებოდა ის მომავალი პატრიარქი, რომლის დაუღალავი მეცადინეობით 1990 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აღიარებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ აეტოკეფალიას.

საკათალიკოსო საბჭოს წევრობა, მღვდელმთავრობის ხანა

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე 1917 წლის 17 სექტემბრიდან იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი. იგი მონაწილეობდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების კირიონ II, ლეონიდის, ამბროსის, ქრისტეფორე III არჩევნებში და პატრიარქების კურთხევაში. საკათალიკოსო საბჭოს სხდომები იმართებოდა კეირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 12 წევრი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ან მისი არყოფნის შემთხვევაში მოსაყდრის თავმჯდომარეობით. საკათალიკოსო საბჭოს სხდომებზე იხილებოდა და ხმათა უმრავლესობით წყდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, როგორც ნიჭიერი სასულიერო პირი დიდი გავლენით სარგებლობდა საკათალიკოსო საბჭოში. 1921 წლის 21 თებერვალს, როცა ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები თბილისს უახლოვდებოდნენ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სახელით დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ ასეთი შინაარსის წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს: „გთხოვთ, საშუალება მოგვეცეთ რკინიგზის დასაცავად ქუთაისში გახიზნულ სახელმწიფო ბანკს ჩავაბაროთ საქართველოს ეკლესიის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის განძეულობა. საკათალიკოზო საბჭო დასძენს, რომ განძეულობას ქუთაისში გაჰყვება ორი კაცი".[3] დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ერთადერთი იყო საკათალიკოზო საბჭოს წევრებს შორის, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს არ ურჩია თბილისის დატოვება და განსაცდელის ჟამს თანამემამულეთა მიტოვება. 1921 წლის 12 მარტის საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით დროებით მმართველობა ეკლესიისა დაევალა ეპისკოპოს პიროს ოქროპირიძეს, მაგრამ იგი თელავიდან თბილისში ვერ ჩამოდიოდა და საკათალიკოსო საბჭოს ფაქტიურად დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ხელმძღვანელობდა. 1921 წლის 25 თებერვლიდან 12 აპრილამდე დრო მის ცხოვრებაში იყო ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი ხანა. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ყოველივე ეროვნულის გამოვლინებას. მათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921 წლის 15 აპრილის რევკომის საგანგებო დეკრეტით იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად გამოაცხადეს. დაიწყო საეკლესიო სიწმიდეთა დატაცება, ეკლესია-მონასტრების რბევა, სასულიერო პირების დაპატიმრება. დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ თავის თავზე მიიღო ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების პირველი დარტყმები.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელმძღვანელობით ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას. ამის დასტური იყო 1922 წლის აპრილში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის უწმიდესი ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე საოკუპაციო ხელისუფლების მამხილებელი წერილის გაგზავნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებმა იცოდნენ რა მძიმე ხვედრი ელოდათ ბოლშევიკების ასეთი მხილების გამო, მაგრამ მაინც წავიდნენ შეგნებულად ამ ნაბიჯზე, რათა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისათვის თავდადების მაგალითი მიეცათ. 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ ("ჩეკა") მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ამბროსის დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულთა შორის იყო დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა შეურაცხმყოფელი წერილები დაპატიმრებულ სასულიერო პირებზე „წმიდა მამათა უწმინდური საქმენი", „უწმიდესი კონტრრევოლუცია". 1924 წლის 17 თებერვალს გაზ. „მუშა" წერდა: „ხიშტებით მოჰყავთ სასულიერო პირები_ „მწუხარებით შეიცვალა „წმიდა მამათა" სიხარული, სიმწრისაგან

იღრიალეს, როს იხილეს ხიშტი მტრული“. სასამართლო პროცესზე დასცინოდნენ სასულიერო პირებს. მათ სამშობლოს მოღალატეებს ეძახდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები: ოქოევი, ორზუმელოვი, ვარლამოვი. დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ სასამართლოს გამართვამდე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა განცხადებით: „ვართ დატუსაღებულნი 1923 წლიდან ჩეკას მიერ და ვიმყოფებით №2 გამასწორებელი სახლის საკნებში, რვა თვის წამების შემდეგ გადაგვიყვანეს №1 გამასწორებელ სახლში. აქ გავიგეთ რომ ვიმყოფებით უზენაესი სასამართლოს ბრალმდებლის განკარგულებაში, მაგრამ ჩვენ არავინ დაგვკითხა“.[12] კალისტრატე ცინცაძე სასამართლოს თავმჯდომარისგან მოითხოვდა დამცველის დანიშვნას საბრალდებო დასკვნის გაცნობას, საპატრიარქოს კანცელარიაში ბრალდების გამაბათილებელი საბუთების მოძებნის საშუალების მიცემას, მაგრამ სასამართლოს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი. მათ სურდათ საჩვენებელი პროცესის გამართვა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსეული სასულიერო პირების სამაგალითოდ დასჯა. უწმიდესი კალისტრატეს საარქივო მასალებში დაცულია 1924 წლის მარტში სასამართლოს სხდომებზე მისი დაკითხვის დეტალები. სასამართლოს სხდომებს თავმჯდომარეობდა გ. ჩხეიძე, წევრები: ვ. წივწივაძე, მ. რთველიძე. მოსამართლე – როდიდან ხართ არჩეული საკათალიკოსო საბჭოს წევრად? დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – 1917, 1920, 1921 წლებში. მოსამართლე – როდის გაეცანით მემორანდუმს? დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – მაშინ როცა დაისტამბა საბჭოთა პრესაში. მოსამართლე – რა აზრისა ხართ მემორანდუმის გაგზავნაზე? დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – რადგან იგი გაგზავნილია ჩემი მღვდელმთავრის, მისი უწმიდესობის მიერ მე საეკლესიო კანონით ვერ დავიწუნებ.

მოსამართლე – რატომ იყო საკათალიკოსო საბჭო წინააღმდეგი სამხედრო ტაძრის ხელისუფლებისათვის გადაცემისა? დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – დიახ, საკათალიკოსო საბჭო ვერ სცნობდა თავისთვის შესაძლებლად დაეთმო ტაძარი არა სარწმუნოებრივი მიზნებისათვის, მას არ შეეძლო ყოფილიყო თავისი წარმომადგენლების სახით იქ, სადაც შელახული იქნებოდა მისი სინდისი. არ შეეძლო გამხდარიყო თავის საკუთარი ნებით მოწმედ იმ წმიდა ტრაპეზის მოშლა-დანერგვისა, რომელსაც ის მოკრძალებით სცემდა თაყვანს. ეს შეუძლებლობა მით უფრო მართებული იყო, რომ ის საესებით გამომდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის №21 დეკრეტისგან, რომლის მეოთხე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქის სინდისის შეულახველობა.

მოსამართლე – სამხედრო ტაძარი ჯერ კიდევ ხომ დეკანოზ ა. თოთიბაძის ხელში იყო და რატომ არ უნდა დასწრებოდა იგი მის ჩაბარებას?

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – თუ მაინცდამაინც გინდათ ჩემგან პასუხი, მოგახსენებთ: დეკანოზ ა. თოთიბაძეს იბარებდნენ ტაძრის ჩაბარებაზე 12 იანვარს. ტაძარი კი ფაქტიურად 7 იანვარს შობის წირვის დამთავრების შემდეგ ჩამორთმეული იყო. შობის დღეს, როცა ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, ეკლესიაში შეიდნენ ქუდით თავზე და პაპიროსით პირში თოფით შეიარაღებული ახალგაზრდები, დაყარეს პროკლამაციები, მათ შორის ხატებზეც– ეკლესიაში შეიქმნა აური-ზაური, ზოგიერთ მანდილოსნებს გულიც შეუწუხდათ. მიუხედავად ამისა, შეიარაღებულნი განაგრძობდნენ ეკლესიაში ხმაურს... საღამოს 17 საათზე, როცა მოძღვარი ა. თოთიბაძე საღამოს ლოცვის შესასრულებლად ტაძრის ეზოში შევიდა, ალაყაფის კარი დაკეტილი დახვდა. იქ მდგომმა შეიარაღებულმა მუშაკმა გამოუცხადა: სულ ერთია ეკლესიაში ვერ შეხვალთ, იგი დაბეჭდილიაო. მართლაც იმ ღამეს კომკავშირლებმა ტაძრის ეზოში გადაიხადეს თავიანთი შობა. 8 იანვარს დილის 10 საათზე მე თვითონ დავინახე, რომ ტაძრის გუმბათის ჯვარს შემოახვიეს დოლბანდი. გალავნისა და ეკლესიის კარზე წითელი დროშები ღვთისმგმობი წარწერებიანი ლენტები გადმოკიდეს. თავისთავად ცხადია, რომ შეიარაღებული მუშაკი არ უშვებდა ეკლესიის ეზოში სასულიერო პირებს და მორწმუნეებს. ამრიგად, ტაძარი და ის ქონება, რომელიც ტაძარში იყო ფაქტიურად

ჩამოერთვა დეკანოზ თოთიბაძეს 7 იანვარს... ამის შემდეგ რა აზრი ექნებოდა მის დასწრებას 12 იანვრის მოწვევაზე. 1921 წლის რევკომის №21 დეკრეტის თანახმად იურიდიულად ყველა ტაძარი და მათი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს და იმყოფება საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში.

მოსამართლე – რატომ სამღვდელოებამ არ გაასამართლა კათოლიკოსი პოლიტიკაში ჩარევისათვის?

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – კათალიკოსი თავია არა მარტო სამღვდელოების, არამედ ეკლესიის, რომელიც შედგება მორწმუნეთა და სამღვდელოებისაგან, სამღვდელოების ნაწილი ვართ ჩვენ, ვინც აი, აქ ვზივართ, ხოლო მორწმუნეთა ნაწილი ყველა თქვენ, ვინც ამ დარბაზში ბრძანდებით. კათალიკოსის გასამართლება კი შეუძლიან მხოლოდ საეკლესიო კრებას, სრულიად საქართველოს მორწმუნეთა და სამღვდელოების წარმომადგენელთა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ კათალიკოსმა უღალატა ზნეობისა და სარწმუნოების დოგმატებს. ან კიდევ საეკლესიო დისციპლინის ძირითად პრინციპებს. პოლიტიკაში ჩარევისათვის კი, თუ ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი ვერავინ გაასამართლებს კათალიკოს-პატრიარქს, განსაკუთრებით ამჟამად, როცა ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მოსამართლე – კათალიკოს ამბროსის მემორანდუმი პოლიტიკური შინაარსისაა თუ მორალურის? დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – ეს მკითხველზედ არის დამოკიდებული. პოლიტიკოსს ის პოლიტიკურ აქტად შეუძლიან ჩათვალოს, მორალისტს კი მორალურად. არსებობს წმიდა მორალური მცნება „არა კაც-კლა“, რომელიც მორალისტების აზრით მოსაწონი და სავალდებულოა, ხოლო პოლიტიკოსთა აზრით, არც მოსაწონი და არც სავალდებულო. მოსამართლე – უნდა შეასრულონ თუ არა სამღვდელოებამ მთავრობის მიერ გამოცემული კანონები?

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – სამღვდელოებამ, როგორც სხვა მოქალაქეებმა, უეჭველად უნდა შეასრულონ მთავრობის მიერ გამოცემული კანონები, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან ღვთისმცნებას და მორწმუნეთა სინდისს.

მოსამართლე – თუ მაინც ასეთი კანონები გამოსცა მთავრობამ, რას იზამთ?

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე – მოკრძალებითა და პატივისცემით მოვახსენებდი მთავრობას თუ რატომ ვერ (და არა) ვასრულებ მის მიერ გამოცემულ კანონს და ვითხოვდი განვეთავისუფლებინე ამ კანონის შესრულებისაგან. თუ მთავრობა შეიწყნარებდა ჩემს თხოვნას ხომ კარგი, თუ არადა განვემზადებოდი ჯვარზედ საცმელად“.[33] ახდა მისი სიტყვები, ჯვარცმა მოუწყო ბოლშევიკურმა სასამართლომ. მას მიუსაჯა 3 წელი, 9 თვე, 23 დღე სასტიკი იზოლაციით ქონების კონფისკაციით. მეტეხის ციხეში მყოფი საკათალიკოსო საბჭოს წევრებს საკვებსაც არ აძლევდნენ, ექიმებს არ უშვებდნენ დაუძლურებულ ავადმყოფებთან. დეკანოზი კალისტრატე გულისტკივილით მიმართავდა მოსამართლეს – მჭირდა შვილების ნახვის უფლება, ჩამომერთვა და რატომ? – საბჭოთა ხელისუფლებას სურდა მორალურად გაეტეხა ისინი. „აპრილის დასაწყისში – წერდა დეკანოზი კალისტრატე – მეტეხში დამიბარა გამომძიებელმა და წინადადება მომცა შემეტანა განცხადება: ვინაიდან საკათალიკოსო საბჭოში ადგილი ჰქონდა მრავალნაირ ბოროტმოქმედებას, ამისათვის არ მსურს იქ სამსახური და თავს ვანებებ საბჭოს წევრობას. თუ ამგვარ განცხადებას შემოიტანთ ხვალ ან ზეგ გაგათავისუფლებო“, გამომძიებელს დეკანოზმა კალისტრატემ ასეთი პასუხი გასცა – თავისუფლება შეიძლება კაცმა მოიპოვოს თავისთავის დაბეზღებით? – გამომძიებელი თუ არ შემოიტან იჯქეი მეტეხშიო“[34] ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების სისხლში ჩახშობისა და მასობრივი რეპრესიების შემდეგ გამოიჩინა „გულმოწყალება“ და 1925 წლის 10 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს წევრები ციხიდან გაანთავისუფლა.

ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. გრძელდებოდა ადმინისტრაციული წესით მოქმედი ეკლესიების დახურვა, სასულიერო პირების შეურაცხყოფა, ეკლესიებიდან გაძევება. ხელისუფლებამ

სცადა სასულიერო წრეებში დაპირისპირების ინსპირირება. მათ წააქეზეს რუსულ სინამდვილეში ცნობილი „ობნავლენცების“ ქართული ნაირსახეობა „რეფორმებისა და განახლების“ ჯგუფის საქმიანობა და გააჩაღეს პროპაგანდა თითქოს ბოლშევიკური ხელისუფლება მხოლოდ „ანტისაბჭოურ პოზიციაზე მყოფ საკათალიკოსო საბჭოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს უპირისპირდებოდა, რაც შეეხებოდა იმ სამღვდელოებას, ვინც საბჭოთა ხელისუფლებასთან ითანამშრომლებდა ყველანაირად ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ დეკლარირებული სინდისის თავისუფლების პირობებში თავიანთი რელიგიური სურვილის აღსრულებაში. ხელისუფლების ამ ეერაგულ გეგმას სამწუხაროდ, ბევრი სასულიერო პირი წამოეგო და გაისმა მოწოდებები, თუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს არსებული შემადგენლობა გადადგებოდა საქართველოს ეკლესიას ეშველებოდა. უწმიდესი ამბროსი გრძნობდა თუ რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას,ამიტომ მან სთხოვა დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს დათანხმებოდა მღვდელმთავრად კურთხევას და უფრო ეფექტური დახმარება გაეწია ფიზიკურად დასუსტებული საჭეთმპყრობელისათვის.

თბილისის ოლქის სამღვდელოება, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები სიხარულით შეხვდნენ უწმიდესი ამბროსის სურვილს მღვდელმთავრის ხარისხში აეყვანა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო პირი კალისტრატე ცინცაძე. მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა 1925 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა. უწმიდესი ამბროსის თანამწირველები იყვნენ ეპისკოპოსები: მელქისედეკ ალავერდელი, სტეფანე ბოდბელი, პაველ წილკნელი. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე აკურთხეს ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. უწმიდესმა ამბროსიმ ამ სიტყვებით მიმართა მას: „დღეს შენ მიიღე უმაღლესი ღირსება და ხარისხი, გუშინ კი მიეცი ღმერთს აღთქმა, რომ იშრომო და იმოღვაწეო ამ ხარისხში თავგანწირულად, მოგილოცავ ამ ხარისხს და გისურვებ ზიდო იგი აღთქმისებრ ღირსეულად, მოგეტანოს ჩვენი დედაეკლესიისათვის ის სარგებლობა, რომელსაც ის მოელის შენგან ამის გარანტია გვაქვს ჩვენ წარსულს შენ საქმიანობაში. შენი მოღვაწეობა დაიწყო ჩვენი ეკლესიის მონობის დროს,მაშინ,როდესაც იმის ბედ-იღბალს განაგებდნენ რუსეთის სინოდი და მისგან დაყენებულნი, ქართული ენის არმცოდნე ეგზარქოსები. შენ იმ მონობის დროს ემსახურებოდი ეკლესიურ ავტოკეფალური უფლებების აღდგენას, წერდი ავტოკეფალიის შესახებ წერილებსა და წიგნებს. მივაღწიეთ ეკლესიის თავისუფლებას... ამ დღიდან შენი შრომა და ღვაწლი ეკლესიის საკეთილდღეოდ ყველამ კარგად იცის...

დღიდან საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დაარსებისა შენ იყავი მისი მუდმივი, სამივე კრების მიერ არჩეული წევრი და უმთავრესი პასუხისმგებელი მუშაკი, რისთვისაც ბევრი დაუმსახურებული უსიამოვნებანიც განგიცდია. ბოლო ხანებში, როცა ჩემი ჯანმრთელობა შეირყა იმდენად, რომ ინტენსიური მუშაობა არ შემეძლო იძულებული შეეიქენ მომეძებნა საიმედო თანაშემწე, ჩემი ყურადღება შენ მიიპყარი, როგორც ეკლესიის ერთგულმა და მისთვის თავდადებულმა მუშაკმა, ხოლო თხოვნა, რომლითაც მოგმართე იყო არაჩეულებრივი, მიგეღო მღვდელმთავრის ხარისხი, უარგეყო ოჯახური სიამოვნება...

ბოლოს აღვნიშნავ იმას,რომ მშობელი ეკლესია თქვენ გაჯილდოებს მიტროპოლიტის პატივით. აქ გმართებს კეთილგონიერება, თავმდაბლობა, განდიდების სურვილის უარყოფა. დიდია შენგან მიღებული ღირსება და პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა, რომელიც შენ მოგელის. აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, რაც ეკლესიის კეთილდღეობისათვის უსიამოვნება შეგხვდება ცხოვრებაში. რამდენად ამაღლდები იმდენად უფრო მეტად უნდა დამდაბლდე, აქ არის ნამდვილი სულიერი სიმაღლე“.[35]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა. როცა ახალნაკურთხი ეპისკოპოსი იმავე დღეს მიტროპოლიტის პატიჟში აჰყავდათ. საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა კალისტრატე ცინცაძემ: „თქვენ მოგეხსენებათ, რომ წესი მღვდელმთავრად განმზადებულის განცხადებისა შეიცავს საჯაროდ თქმულს აღსარებას... ნება მიბოძეთ, მეც აღვიარო სამღვდელო და საერო დასთა წინაშე გულისა ჩემის ზრახვანი! ვინც მიცნობს, უეჭველად იცის, რომ მღვდელმთავრობაზედ აზრი არც თავში მომსვლია და არც გულში გამიელია: ჩემი მოღვაწეობის სარბიელი ჩემი ძალღონისათვის საკმაო და ფრიად ერცელიც იყო. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართაგან, რომელთა შორის პირველი თქვენ ბრძანდებით, უწმიდესო მამამთავარი, თითქმის ყოველდღე მესმოდა, იტვირთე ჯვარი მძიმე მღვდელმთავრისაო, ყველას მოკრძალებითა და უარით გისტუმრებდით...

რათა, რისთვის?... დიდი მოციქული პაულე ხომ ბრძანებს: უკეე ვისმე ეპისკოპოზობის უნდეს, კეთილსა საქმესა გული ეტყვისო.

დიახ, ამას ჰბრძანებს წმ. მოციქული, მაგრამ თვითვე დასძენს, ს ჯერ არს ეპისკოპოზისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემკულ... სწავლულ... მყუდრო, უღალველ...

აღნიშნული თვისებები განა ამშვენებენ წინაშე თქვენსა მდგომარესა?.. განა ამ თვისებათა უქონლობას არ უჩიოდნენ და ამის გამო არ ერიდებოდნენ მღვდელმთავრობას კაცთა შორის ბუმბერაზნი — ათანასე ალექსანდრიელი და ბასილი კესარიელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი?... მათთან შედარებით რას წარმოადგენს თქვენს მიერ მღვდელმთავრად განმზადებული?.. მტეერს, ფერფლს და ნაცარს...

იყო მეორე მიზეზიც: ბევრმა აქა მყოფმა იცის, რომ 33 წლის განმავლობაში ჩემი უერთგულესი მეგობარი და ცხოვრების განუყრელი თანამგზაერი უცხო და შორეული ერის შვილია, რომ ჩემი გულისათვის, მან დასთმო დედა და მამა, დანი და ძმანი, სამშობლო მხარე და მეგობარნი, მომენდო მე, შეიყვარა და შეითვისა ჩემი ერი და ჩემი ეკლესია, საუკუნის მესამედის მანძილზე იზიარებდა ჩემს ლხინსა და უფრო ხშირად ჭირს და ერთხელაც არ მოუყენებია ჩემთვის უსიამოვნების აჩრდილიც კი... ნუთუ შემეძლო მე განვშორებოდი ასეთ ადამიანს, რასაც მოითხოვს საეკლესიო კანონმდებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უკვე შესულია მოხუცებულობაში და დღედაღამ თავს დასტრიალებს ბოროტის სენით შეპყრობილს ჩემს ასულს?

არა, და ათასჯერ არა! იყო სხვა მიზეზიც. როგორ შეხვდებოდა ჩემს მღვდელმთავრობას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებული, თბილისის სამღვდელოება, რომელთანაც ისე ვარ არსებითად დაკავშირებული, რომ მის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი, თბილისის მორწმუნე ერი, რომელთა შორის ვიქცეოდი სამი ათეული წელიწადი, და ჩვენი ეკლესიის უზენაესი ორგანო საკათალიკოზო საბჭო?.. ეს ჩემთვის გამორკეული არ იყო... მაშ, რამ, ან ვინ გამაბედვინა მოსვლა წინაშე თქვენსა?

ერთის მხრივ, მოციქულთა შორის თავმა, რომელიც იტყვის: ძალი უფლისა უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო, მეორეს მხრივ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრის საქართველოს სამოციქულო ეკლესიისადმი სიყვარულმა და უზომო პატივისცემამ — გაიგო თუ არა ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართა ბეჯითი სურვილი, მან გადმომცა: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა დაუტეო ცოლიცა და შვილიც, აღიღო გვარი თვისი და შეუდგე უფალსა: რომელი არა ივიწყებს ცის მფრინველთა და ველის შროშანთა, არ მოგეკლებს თავის მოწყალებას ჩვენცაო... ამასთან ერთად გამოირკვა, რომ საქართველოს ეპისკოპოსთა კრებული, მორწმუ-

ნე ერი და საკათალიკოზო სახლი ჩემ მიერ დაუმსახურებელი თანაგრძნობით შეეგებნენ თქვენი უწმიდესობის სურვილს. ხოლო თბილისის სამღვდელოება სრულ ნდობასა და თავდადებულ თანამშრომლობას აღუთქვამს ჩემს უღირსებას... რა უნდა მექნა ყოველივე ამის შემდეგ, თუ არა მოვსულიყავი. წინაშე თქვენსა და სიმდაბლით

მომეხსენებინა: მორჩილ ვარ ბრძანებას,თქვენისა და არა რას მცირესა წინააღმდგომსა ვიტყვი...

გარნა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩემს თავს ვთვლიდე სავსებით განმზადებულად მღვდელმთავრობისათვის: მე კიდევ ვსაჭიროებ თქვენს ბრძნულ რჩევასა და დარიგებას, ხელმძღვანელობასა და განსაკუთრებით ლოცვა-ვედრებისა. ამისათვის კადნიერებით გთხოვთ: აწ და მარადის ეევედრენით მას,რომელი უძლურთა ჰკურნებს და ნაკლულოვანთა ალავსებს გარდამოაელინოს ჩემზედა მადლი სულისა წმიდისა და მომანიჭოს ძალი და სიმხნე წინამდებარისა მსახურებისათვის... ამინ“[36]

მღვდელმთავრად დადგინებისას წარმოთქმული ეს სიტყვა არ იყო ჩვეულებრივი მჭერმეტყველების ნიმუში იგი ზუსტად ასახავდა იმ რეალობას,რომელშიც იმყოფებოდა მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე.

ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება კარგად გამოხატა ნესტორ შავდიამ, რომელმაც აღნიშნა – „ეისურვებ, რომ ჩვენს ეკლესიას და სამშობლოს მრავალად მოველენოდნენ თქვენისთანა ღვთივგამობრძმედილნი და მადლმოსილნი მღვდელმთავარი და მუშაკნი“.[37]

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის გადაწყვეტილებით 1925 წლის 11 ნოემბრიდან ნინოწმინდის მიტროპოლიტი კალისტრატე დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ, მიენიჭა ბარტყულაზე ჯვრის ტარების უფლება და მღვდელმთავართა შორის ღვთისმსახურების დროს უპირატესობა. მიტროპოლიტ კალისტრატეს უწმიდესი ამბროსის ავადმყოფობის შემთხვევაში მიეცა უფლება საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სახელზე შემოსული დოკუმენტების განხილვისა. 1926 წლის 9 მარტიდან მიტროპოლიტი კალისტრატე გახდა საეკლესიო ხარისხის მიღების მსურველთა გამომცდელი კომისიის თავმჯდომარე. მოელენების ამ სახით განვითარებას არ ელოდა არც საერო ხელისუფლება და არც ე.წ. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეფორმებისა და განახლების“ ჯგუფის წევრები. საქართველოს კათოლიკოსპატრიარქ უწმიდესი ამბროსის მიერ მოსაყდრედ მიტროპოლიტ კალისტრატეს გამოცხადება „რეფორმატორების“ მოთხოვნებზე უარს ნიშნავდა. ბოლშევიკური ხელისუფლება აგრძელებდა ანტირელიგიურ ისტერიას. მოსახლეობაში ქართველი სამღვდელოების სახით მტრის ხატს ქმნიდა, აპატიმრებდა სასულიერო პირებს, ადმინისტრაციული წესით საზეიმო ეითარებაში აუქმებდა მოქმედ ეკლესია-მონასტრებს. რეეოლუციური ჰიმნების ფონზე ხდებოდა ეკლესიებიდან ზარების ჩამოხსნა,საეკლესიო წიგნების,ხატების დაწვა. ამ დროს იმის ნაცვლად,რომ მომხდარიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელის, ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლებისადმი შეურიგებელი უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის, საკათალიკოსო საბჭოს გარშემო სასულიერო პირთა კონსოლიდაცია „რეფორმატორებმა“ იერიში საკათალიკოსო საბჭოსა და უწმიდეს ამბროსიზე მიიტანეს,მათ უკანონოდ გამოაცხადეს მიტროპოლიტ კალისტრატეს მოსაყდრეობა. ამ ადამიანებს დაავიწყდათ 1924 წლის აგვისტოში ქუთაისში დატრიალებული ტრაგედია, როცა ხელისუფლების ბრძანებით დახერიტეს ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) და სასულიერო პირები, დაავიწყდათ 800-მდე გაუქმებული ეკლესია,და განაცხადეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება იყო ყველაზე ჰუმანური ხელისუფლება და თუ ის ცუდად ექცეოდა საქართველოს ეკლესიას ეს იმიტომ, რომ ანტისაბჭოელი იყო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობა, და განსაკუთრებით კათალიკოსის მოსაყდრე მიტროპოლიტი კალისტრატე. ოფიციალური ხელისუფლებისაგან წაქეზებულმა ე.წ. „რეფორმატორებმა“ ფეხქვეშ გათელეს საეკლესიო იერარქიის პრინციპები და უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, საკათალიკოსო საბჭოს გვერდის ავლით 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო ყრილობა და მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „1. სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დღევანდელი

წევრები,როგორც ეადაგასულები გადაყენებულ იქნან.. 2. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად არსდება საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს თავმჯდომარეობით. 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველობას ევალება ჩაიბაროს საკათალიკოსო საბჭოს საბუთები, თანხები, ინვენტარი, საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია. 4. ყველა ის სასულიერო თანამდებობაზე მყოფი პირნი, რომლენიც არ დაემორჩილებიან დროებით მმართველობას დათხოვნილად ითვლებიან".[38]

ქუთაისის კრებამ ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. მართალია უწმიდესმა ამბროსიმ ქუთაისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ დროებითმა მმართველობამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით ხელში ჩაიგდო საპატრიარქოს კანცელარია, ოფიციალური ბეჭედი. ყოველივე ეს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის მმართველობის სფეროში გადატრიალებას მოასწავებდა. მართალია,ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილენი მორწმუნეთა მიმართ წერილში წერდნენ: „ყოველი მორწმუნე ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს,თუ როგორ სატირალ მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესია და ისიც ნათელი უნდა იყოს,რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები ჩვენი ეკლესია მთლიანად განადგურდება. ამის მიზეზია საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს უტაქტო მოქმედება, საეკლესიო კანონების უგულებელყოფა დროსა და გარემოსათვის ანგარიშის გაუწევლობა. ჩვენი მიზანია „უმთავრესად საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება",[39] მაგრამ სინამდვილეში შეასრულეს ხელისუფლების დაკვეთა და ფაქტიურად ძალაუფლება ჩამოართვეს ქართველი ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლს, უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის. ასეთ ვითარებაში უაზრობა იყო მიტროპოლიტ კალისტრატეს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობა. ამიტომ მან 1926 წლის 30 დეკემბერს უარი განაცხადა მოსაყდრის თანამდებობაზე, „ვინაიდან დაერწმუნდი,რომ ის არევ-დარევა,რომელიც დღეს სუფევს ჩვენს ეკლესიაში გამოწვეული ყოფილა უმთავრესად ჩემ მიერ მოსაყდრის მოვალეობის აღსრულებით, პატივისცემით ვთხოვ საკათალიკოსო საბჭოს აირჩიოს მოსაყდრედ სხვა მღვდელმთავარი, მე კი გამათავისუფლოს ხსენებული მოვალეობის აღსრულებიდან."[40] განაცხადა მან. დროებითმა მმართველობამ სიამოვნებით გაათავისუფლა მიტროპოლიტი კალისტრატე მოსაყდრის თანამდებობიდან, ხოლო 1927 წლის 12 იანვრიდან ნინოწმინდის ეპარქიის მმართველობიდან. დატოვეს ქაშუეთის ეკლესიაში რიგით მღვდლად, ამის შესახებ უწმიდესი კალისტრატე სინანულით აღნიშნავდა: „ჯერ ამიკრძალეს საკათალიკოსო საბჭოში მუშაობა, IV საეკლესიო კრებაზე კი მიწევული ვიყავი სათათბირო ხმით. „გაკრეჭილ" მღვდლებთან თანაბრად, ამ კრებამ მიიღო მართლმადიდებელ ეკლესიაში უპრეცენდენტო კანონი, ეპისკოპოსი თუ იგი ასრულებს მხოლოდ სამრეველო მღვდლის მოვალეობას სწირავს ფილონში, პანაღიის გარეშე".[41]

1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნატარესი ამბროსი. 21-27 ივნისს IV საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალმა საჭეთმპყრობელმა საბჭოთა ხელისუფლებასთან „ლოიალობისა და თანამშრომლობის" კურსი გამოაცხადა. განახლების ჯგუფის წევრები ვარაუდობდნენ,რომ ამიერიდან შეწყდებოდა საქართველოს ეკლესიის დევნა-შევიწროება,მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. 1928 წლის 6 იანვრის ინსტრუქციით ხელისუფლებამ მოახდინა სასულიერო პირების რეგისტრაცია და მათ დაუწესა დიდი გადასახადები,გრძელდებოდა სასულიერო პირების დაპატიმრება, ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა, კიდევ უფრო შეურიგებელნი გახდნენ რელიგიის მიმართ „მებრძოლ ულმერთოთა კავშირის" წევრები, ანტირელიგიური უნივერსიტეტის თანამშრომლები.

1931 წელს ი. სტალინი აღნიშნავდა: „ხელისუფლებას არ შეუძლია იყოს

ნეიტრალური რელიგიის მიმართ. ის აწარმოებს ანტირელიგიურ პროპაგანდას ყოველ და ყოველგვარ რელიგიურ ცრურწმენათა მიმართ".[42] 1931 წლისათვის 1100-ზე მეტი ეკლესია იყო გაუქმებული და 1600-ზე მეტი სასულიერო პირიდან 300- იყო დარჩენილი. ისინიც მუდმივ შიშს და ტერორში იმყოფებოდნენ. ქართული ემიგრაცია, ინტელიგენცია გულდაწყვეტილი შეჰყურებდა როგორ დათმო პოზიციები საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მიტროპოლიტი კალისტრატე ასეთ ჩანაწერს აკეთებს ამ პერიოდში: „ძველად სამღვდელოება იყო ინტელიგენცია, მაღალი შეგნებული მოწინავე წრე, იგი ხელმძღვანელობდა ხალხის განათლების საქმეშიც და სხვა საზოგადოებრივ საქმეშიც... ჩვენ ახლა ხალხს ვესაჭიროებით მხოლოდ საეკლესიო წესის აღსრულებისათვის... მთავარია როგორმე სიცოცხლე შევინარჩუნოთ, როგორმე ეკლესიები დანგრევას გადავარჩინოთ, როგორმე სარწმუნოება შევინახოთ".[43] მიტროპოლიტი კალისტრატე იყო ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში. ბუნებრივია, საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად შექმნილი ახალი ორგანოს, სასინოდო პლენუმის წევრები გრძნობდნენ, რომ მიტროპოლიტ კალისტრატეს დაუმსახურებელი წყენა მიაყენეს. უწმიდესმა ქრისტეფორემ ასეთი წერილით მიმართა: „ძმაო და მეუფეო კალისტრატე ძალიან უხერხულია, რომ თქვენ მხოლოდ სამრეველო მღვდლის თანამდებობაზე გსურთ დარჩენა. ქაშუეთში... გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი, დათანხმდებით თუ არა მიიღოთ მართვა-გამგეობაში რომელიმე ეპარქია".[44] მიტროპოლიტმა კალისტრატემ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. ასევე უარი თქვა სასინოდო პლენუმის ფინანსურ დახმარებაზე „რამდენადაც მოულოდნელია ჩემთვის, იმდენად დამაკმაყოფილებელია (ზნეობრივად) რაღაც შრომა გამიწევია, რომელიც ექვსი თვის წინ არ ჩანდაო"[45].

1928 წლის 8 ივლისს სასინოდო პლენუმის ნაცვლად შექმნილმა საკათალიკოსო სინოდმა მიტროპოლიტ კალისტრატეს მანგლისის ეპარქიის მმართველობა ჩააბარა. 1928 წლის 14 მაისს მისმა ყველაზე შეურიგებელმა ოპონენტმა მიტროპოლიტმა დავითმა (კაჭახიძე) ასეთი განცხადება გააკეთა: „მიტროპოლიტ კალისტრატეზე გავჯავრებული ვიყავი და ასე იმიტომ ვიქცეოდიო, სინამდვილეში მღვდელმთავართა შორის პირველ ადგილზე ვაყენებ, მე მისთვის ცუდი არ მინდა, მე პირველი ვეამბორევი „ქრისტე არს ჩვენ შორის".[46] მიტროპოლიტმა დავითმა წერილობით მოიხადა ბოდიში მიტროპოლიტ კალისტრატეს წინაშე. მიტროპოლიტი კალისტრატეც როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი დიდსულოვანი და მიმტევებელი იყო. იგი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საქმიანობას. თავის მრავალმხრივ ცოდნას და გამოცდილებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადარჩენის საქმეს ახმარდა. საბედნიეროდ „განახლებისა და რეფორმების" ტალღაზე საქართველოს ეკლესიის სათავეში მოსულმა სასულიერო იერარქებმა სწორად გაიაზრეს, რომ ხელისუფლება არ შეწყვეტდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას და ნებისმიერი „რეფორმა" მართლმადიდებლობის დოგმატიკის თვალსაზრისით კიდევ უფრო გაამწვავებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით ვითარებას. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო საეკლესიო კალენდრის საკითხი, როცა 1927 წელს მიიღეს გადაწყვეტილება საეკლესიო დღესასწაულების ახალი სტილით აღნიშვნის შესახებ, მაგრამ 1928 წელს იძულებულნი გახდნენ გაეუქმებინათ იგი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორე III თავის თავზე გამოსცადა ბოლშევიკური ხელისუფლების მთელი სისასტიკე. როცა ხელისუფლების ორგანოებმა დიდი გადასახადები დაუწესა. თუ პატრიარქს უჭირდა გადასახადების გადახდა, რა დღეში იქნებოდნენ ეპარქიების სასულიერო პირები? ასეთ ვითარებაში მიტროპოლიტი კალისტრატე მძიმე უკურნებელი სენით შეპყრობილი პატრიარქის შემცველელად თვით ისეთი ადამიანებისგანაც კი მოიაზრებოდა, რომელთაც ის არ უყვარდათ და მძაფრ ოპონირებას უწევდნენ მას.

პედაგოგიური საქმიანობა, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობა

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როგორც კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული განათლებული სასულიერო პირი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, მასწავლებელ ქალთა სკოლაში, ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიაში. ასწავლიდა საღვთო სჯულს და მოსწავლეთათვის გასაგები ენით გადასცემდა მასალას. მისი გაკვეთილები გამოირჩეოდა პატრიოტული სულისკვეთებით, ამიტომ მიუღებელიყო ეგზარქოსებისათვის. მან როგორც პედაგოგიური საკრებულოს წევრმა დაიცვა ის სემინარიელი სტუდენტები, რომელნიც 1904 წელს რექტორის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1905 წლის 28 იანვარს თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელშიც გარუსების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს მოსწავლეებმა, აქაც მათ დამცველად დეკანოზი კალისტრატე მოგვევლინა. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეშალა მისი პედაგოგიური საქმიანობისათვის, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. გასული საუკუნის 50–70-იან წლებამდე საქართველოში მრავალი გამოჩენილი, სახელოვანი ადამიანი სიამაყით იხსენებდა თავის ძვირფას პედაგოგს კალისტრატე ცინცაძეს.

თბილისის ქაშვეთის ეკლესია პირველად VI საუკუნეში აუშენებიათ. მეორე ეკლესია აშენდა XVIII საუკუნის I ნახევარში გივი ამილახვრის ღვაწლით, მაგრამ XIX საუკუნის 80-იან წლებში ტაძარი იმდენად ავარიულ მდგომარეობაში ყოფილა, რომ გაჩნდა მისი უეცრად დანგრევის საშიშროება. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე წიგნში „ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესია თბილისში“ დაწერილებით აღწერდა როგორ გაჩნდა 1897 წელს ახალი ტაძრის აშენების იდეა. ამ მხრივ გამორჩეული ყოფილა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის ღვაწლი, რომელსაც დაურწმუნებია ეგზარქოსი ფლაბიანე, ეკლესიის მამულების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ამილახვარი და მისი მოადგილე ნ. არჯევანიძე. მარკოზ ტყემალაძეს ამილახვრისათვის მოუხსენებია: „ახალი ეკლესია აშენებული იქნება სამთავისის ეკლესიის გეგმით, რომელიც ამილახვრის მამა-პაპის აშენებულიაო. ეს იამა გენერალ ამილახვარს და გეპასუხა, თუ მაგ პირობას მომცემთ როგორც თქვენ, ისე ეგზარქოსი, დავთანხმდებიო“.[47]

უწმიდესი კალისტრატე განაგრძობს – ახალი ეკლესიის პროექტი 1901 წელს შეადგინა ხუროთმოძღვარმა ლ. ბილფელდმა, მაგრამ ეგზარქოსმა ალექსიმ პროექტი არ მოიწონა და მისი გადაკეთება მოითხოვა. 1903 წლის 31 იანვარს მიიღეს გადაწყვეტილება დროებითი ეკლესიის გამართვის შესახებ, რომელიც ააშენეს და აკურთხეს 1904 წლის 25 აპრილს.

“ახალი ტაძრის საძირკვლის პირველი ქვაკუთხედი დაიდო 1904 წლის 12 ნოემბერს. ტაძრის აშენება იტვირთა ქვაშვეთის ეკლესიის მამულების გამგე კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ტაძრის ბალავრის ჩაყრისას სამრეველოს სამი წარმომადგენელი ი. ამილახორი (თავმჯდომარე). ა. მუხრან-ბატონი, ნ. არჯევანიძე (მდივანი), მღვდელი კ. ცინცაძე, მღვდელი გ. ჩაგუნავა, მღვდელი დ. ლაზარიშვილი და მნათე პ. კვირიკაშვილი. კომიტეტის 1904 წლის 16 მარტს სხდომაზე ხუროთმოძღვარ სამუშაოთა მწარმოებლად მოწვეულ იქნა ლ. ბილფელდი, რომელმაც შეადგინა ტაძრის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა; მას მიენიჭა კომიტეტის წევრობაც. აღმაშენებლად კომიტეტმა მოიწვია საქართველოში ცნობილი იტალიელი ტექნიკოსი ანჯელო ანდრეოლეტტი, რომელმაც თავის მხრივ აღმაშენებელ-ხუროთმოძღვრად დანიშნა არქიტექტორი ე. ანდრეოლეტტი. შენობის საზოგადო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა კომიტეტმა ჩააბარა ეკლესიის წინამძღვარს კ. ცინცაძეს. ამავე სხდომაზე გადაწყდა ტაძრის ცოკოლის ამაღლება რუსთაველის გამზირის დონემდე და ქვემო სართულში მეორე ეკლესიის მოწყობა“.[48] დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს ერთი დღითაც არ მოუკლია ყურადღება მშენებლობისათვის. 1910 წლის 31 სექტემბერს მოხდა ახლადაშენებული ტაძრის კურთხევა, რომელიც შეასრულა საქართველოს

ეგზარქოსმა ინოკენტიმ ეპისკოპოსების გრიგოლისა და დავითის თანამწირეველობით. ეკლესიის კურთხევას მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, როცა ეროვნულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე დაფუძნებული ასეთი შესანიშნავი ეკლესია აშენდა თბილისში,ამაში ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრის კალისტრატე ცინცაძის წვლილი განსაკუთრებული იყო. უწმიდეს კალისტრატეს ეს ეკლესია განსაკუთრებით უყვარდა, მან თავისი სასულიერო ცხოვრების დიდი ნაწილი ხომ ამ ეკლესიაში გაატარა. მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგაც (1925 წ.) კალისტრატე მიტროპოლიტი ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით ჯერ იყო ნინოწმინდელი, ხოლო შემდეგ მანგლელ მღვდელმთავრად დადგინებული. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება 1924 წელს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს ედავებოდა ქაშუეთის ეკლესიის განძეულობის გადამალვას, რომელიც ხელისუფლებას სჭირდებოდა გასაყიდად და დამშეულთათვის სურსათის შესაძენად. გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა ანტირელიგიური პროპაგანდა კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი ძალით დაიწყო ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესია. გამოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც ურჩევდნენ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაენგრიათ ქაშუეთის ეკლესია, რომლსაც მათი აზრით არავითარი ისტორიული ღირებულება არ ჰქონდა. იყო ქაშუეთის ეკლესიის ადგილზე ჰიგიენის სახლის (აბანოს) აშენების პროექტი. უწმიდესმა კალისტრატემ 1938 წლის 31 აგვისტოს საგანგებო წერილით მიმართა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ბერიას. წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს სიძველეთა კომიტეტის მიერ ეკლესია აყვანილი იყო აღრიცხვაზე „კადნიერად მივაქცევ რა თქვენს განათლებულ ყურადღებას ზემოაღნიშნულზედ, პატივისცემით გთხოვთ განკარგულებას ქვაშვეთის სამრეველოს სარგებლობაში დატოვებისათვის“.[49] უწმიდესი კალისტრატეს ამ განცხადებაზე არის ლ. ბერიას მინაწერი: გთხოვთ გვაცნობოთ არსებობს თუ არა რაიმე ოფიციალური წყარო ქვაშვეთის ეკლესიის დახურვის შესახებ“. ამის შემდეგ შეწყდა მითქმა-მოთქმა ამ დიდებული ტაძრის შესაძლო დანგრევაზე. იქნებ ამ საკითხთან საერთოდ არ არის კავშირში, მაგრამ ერთი საყურადღებო ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ. ლავრენტი ბერიას დედა მართა ჯაყელი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. იგი სისტემატურად დადიოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში და საათობით იდგა სიონის ღვთისმშობლის ხატთან სანთლით ხელში. განსვენებულმა ქალბატონმა ბაბო დადიანმა მიამბო – გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სიონის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატთან მუხლი მოეყარე და დაეწყე ლოცვა. ცოტა ხანში ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო, ავიხედე და სახტად დავრჩი, ეს იყო ლ. ბერიას დედა- მართა ჯაყელი, რომელმაც მითხრა – შვილო, ეიცი შენ რა უბედურებაც გადაგხდა, მაგრამ ლავრენტის ვერაფერს ვთხოვ, მაინც არაფერს დამიჯერებს... ილოცე ღმერთი გიშველის...“

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ 1947 წელს ქაშუეთის ეკლესიის მოხატეის წინადადება შესთავაზა ცნობილ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს. მრავალი ხელისშემშლელი პირობებისა და უსიამოვნებების მიუხედავად მოხერხდა საკურთხევლის მოხატეა. ლ. გუდიაშვილი მოგონებებში ასე ახასიათებდა უწმიდეს კალისტრატეს „იგი დიდებული ადამიანი იყო. პატრიოტი,განათლებული,ისტორიის,საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე... უაღრესად კაცთმოყვარე... მე იგი ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოციქულად ჩავხატე... მას ეს ძალიან ესიამოვნა.“[50]

კათოლიკოს-პატრიარქობის ხანა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის გარდაცვალების შემდეგ 1932 წლის 10 იანვარს საგანგებოდ შეიკრიბა საკათალიკოსო სინოდი, რომელსაც ესწრებოდნენ მიტროპოლიტები: სიმეონი (ჭელიძე), ვარლამი (მახარაძე), მელქისედეკი (ფხალაძე), დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსები: პავლე (ჯაფარიძე), ნესტორი (ყუბანიშვილი), ალექსი (გერსამია), ეფრემი (სიდამონიძე). სინოდმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მიტროპოლიტ კალისტრატეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამორჩევის შესახებ, ხოლო 1932 წლის 21 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-6 კრებაზე იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 24 ივნისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში მოხდა მისი აღსაყდრება. საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება ქუთათელი მიტროპოლიტის, უწმიდესი კალისტრატეს ყველაზე შეურიგებელი ოპონენტის დავით კაჭახიძის პოზიცია, რომელიც წერდა: „აბა, ერთი თვალი გადავავლოთ ჩვენ წარსულ საეკლესიო ცხოვრებას ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. რომელი სასულიერო პირის სახელი უფრო ხშირად, უფრო მეტი პატივისცემით იხსენიებდა ჩვენ წრეში? ვინ იყო ის, რომელმაც ჟურნალ „მწყემსში“ მოათავსა სტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ იმ დროს, როცა ჯერ ამ საგნის შესახებ ჩვენ შორის არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა და რომლის გამო ამ ჟურნალის რედაქტორმა დავით ღამბაშიძემ ეგზარქოს ელადიმერისაგან რისხვა მიიღო? ვინ იყო ის, რომელმაც დინჯი, საფუძვლიანი, მეცნიერული პასუხი გასცა რუსეთის ეკლესიის სინოდის მოხელეს სამუილოვს და მის თანამოაზრეთ, რომელნიც საქართველოს ეკლესიის კანონიერ ავტოკეფალიას უარჰყოფდნენ? ვინ იყო ის, რომელმაც შეადგინა საგნის ამომწურავი საპასუხო რუსეთის პატრიარქის ტიხონის საქართველოს კათოლიკოსისადმი ეპისტოლეს შესახებ?... ვინ იყო ის, რომელიც წერდა საქართველოს უზენაეს საერო და სასულიერო მთავრობისადმი საბუთიან მოხსენებებს საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების ამა თუ იმ საჭიროებათა შესახებ? ვინ არის ის, რომელსაც ავტორიტეტნი კათალიკოსნიც კი, როგორებიც იყვნენ კირიონი და ლეონიდი ანგარიშს უწევდნენ, ვინ არის, ის რომელსაც საქართველოს ინტელიგენცია თავიდანვე არჩევდა და დღესაც მაღლა აყენებს ქართველ სამღვდელოებაში? ეს არის კალისტრატე, ინტელექტუალი და მოქმედებითაც უპირატესი, შეიძლება ზოგიერთი ჩვენთაგანი ყველაფერს მისი მსოფლმხედველობისას არ იზიარებდეს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი ჩვენ შორის პირველია თავისი ჭკუით, ცოდნით, განვითარებით, საქმიანობით, გამოცდილებით“[51] ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები სიხარულითა და აღტაცებით შეხვდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უმძიმეს დროს, რომ მისი საჭეთმპყრობელი გახდა უწმიდესი კალისტრატე. ეს აზრი კარგად გაახმოვანა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა „თქვენო უწმიდესობავ – უზომოდ ვწუხვარ, რომ ყველაფერს მოწყვეტილმა, დროზე ვერ გავიგე სასიხარულო ამბავი თქვენი სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქად არჩევისა და კურთხევის შესახებ. საქართველოს შვილთა საერთო სიხარულს მეც – მიმართავდა იგი უწმიდეს კალისტრატეს – სიამოვნებით ვუერთდები და ვიზიარებ საქართველოს შვილთა საერთო სიხარულს, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ეკლესიამ თქვენებრი ღვაწლმაცალი და ღირსეული საჭეთმპყრობელი მოიპოვა“.[52]

ჩაიარა მილოცვებმა, პირველი დღეების სიხარულმა, საქართველოს კათოლიკოსპატრიარქი მკაცრი რეალობების წინაშე დადგა. 1937 წელს მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა 300-დან 187-მდე, ხოლო სასულიერო პირთა 200-მდე შემცირდა. 1940 წელს მოქმედი ეკლესიები 15, სასულიერო პირები 128-მდე შემცირდა. ხელისუფლება აგრძელებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროების პოლიტიკას. არასასურველ სასულიერო პირებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, სიკვდილით დასაჯეს: „1. ბესარიონ ეაშაძე, 2. მიხეილ ნანეიშვილი, 3. იოსებ მირიანაშვილი, 4. ილარიონ

ოქროპირიძე, 5. გიორგი ეპიტაშვილი, 6. ივანე ჩიტაძე, 7. ერმილე გოგოლიშვილი, 8. ივანე ქააძე, 9. მალაქია წიკლაური, 10. სამსონ მძინარიშვილი, 11. სპირიდონ კეთილაძე, 12. რომანოზ ჩიხლაძე, 13. ნესტორ ღონღაძე, 14. იოანე ბობოხიძე, 15. პროკოფი ჩიგოგიძე, 16. გიორგი დარჩია. 17. ელიზბარ ანჩაბაძე, 18. გიორგი წულაია, 19. იოანე ფანცულაია, 20. აპოლონ აფხაიძე, 21. ნიკოლოზ ბეშქენიძე.

გადასახლებაში გარდაიცვალნენ: 1. გიორგი მაჭავარიანი, 2. ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, 3. არსენ ჯანელიძე. 4. ნესტორ ჯალაღონია, 5. ალექსანდრე ცქიფურიშვილი. 6. ექვთიმე ნანეიშვილი."[53] რეპრესიები გრძელდებოდა, გადაასახლეს ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე), მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე), რუსთა სამრეველოს დეკანოზი ივანე ლოზოეოი, არქიდიაკონი ამბროსი (ახობაძე). შიშსა და მომავლის უიმედობამ დაისადგურა სასულიერო პირთა შორის. ამას ემატებოდა XIX საუკუნის II ნახევრის თაობის ბუნებრივი გზით კლება. ახალი თაობა, ბოლშევიკური ანტირელიგიური პროპაგანდისა და ადმინისტრაციული ზეწოლის პირობებში სასულიერო პირობაზე უარს ამბობდა. ასეთ ვითარებაში რა უნდა გაეკეთებინა უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს? მან როგორც დიდმა სასულიერო მოღვაწემ, თავისი საქმიანობა ასე წარმართა: „1. საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური საკანონმდებლო დოკუმენტების მეშვეობით, რომელნიც ფორმალურად მაინც აღიარებდა რწმენის თავისუფლებას, დაიწყო ბრძოლა ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვის, ნგრევისა და ძარცვის პროცესის შესაჩერებლად. 2. ხელისუფლების მიერ საეკლესიო პირებისა და მოქმედი ეკლესიების სულის შემხუთველი საგადასახადო კანონმდებლობის შემსუბუქების მცდელობა. 3. საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის შენარჩუნება. 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭებისა და მსოფლიო მართლმადიდებელი სამოციუქლო ეკლესიების მიერ მისი ავტოკეფალიის აღიარების მიღწევა. 5. ეკლესიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი გაუცხოების მოსპობა".[54]

უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ დაიწყო უთანასწორო ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგიური მანქანის წინააღმდეგ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში გახშირდა „დაუდგენელი" ბოროტმოქმედების მიერ ეკლესიის მონასტრების ძარცვა, სასულიერო პირთა მკვლელობები, დარბეულ იქნა შიომღვიმის, ბეთანიის, კაბენის მონასტრები. საქართველოს ადგილობრივი პარტიული ლიდერების მიერ ეკლესია-მონასტრები და მოქმედი სასულიერო პირები დაბეგრილ იქნენ იმ ნორმით, როგორც ეს ხდებოდა რუსეთში. რუსეთის ეკლესიაში ერთ ეპარქიას იმდენი სამრეველოები ჰქონდა, რამდენიც სულ იყო საქართველოს საპატრიარქოში, ამიტომ თუ იქ არ უჭირდათ გადასახადების გადახდა, საქართველოში უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი. უწმიდესი კალისტრატე თავის მიმართვებში ამხელდა ხელისუფლების ვერაგულ პოლიტიკას. რა სავალალო მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ქვეყანაში, როცა თბილისის კიროვის რაიონის ფინანსური ინსპექციის ინსპექტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ასეთი შინაარსის ულტიმატუმს უყენებდა „თუ დაწესებულ გადასახადს არ გადაიხდით, საკითხი გატანილ იქნება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, სიონის ტაძრის ხელშეკრულების გაუქმებისა და დახურვის შესახებ".[55] წარმოვიდგინოთ რა ვითარება იქნება ამ მხრივ საქართველოს ეპარქიებში, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს საპატრიარქო ტაძარს ართმევდნენ. უწმიდესმა კალისტრატემ საგანგებო დეპეშები გაგზავნა მოსკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. კალინინის, სსრ კავშირის შინსახკომის თავმჯდომარის ლ. ბერიას სახელებზე და ითხოვა დახმარება. ამავე დროს საქართველოს სსრ ფინსახკომის თავმჯდომარეს კ. ციმაკურიძეს აცნობა:. „პატივისცემით გთხოვთ, ინებოთ განკარგულება, რათა მოსკოვიდან პასუხის მოსვლამდე არ იქნას მიღებული არავითარი აგრესიული ხასიათის ზომები სიონის ტაძრის მიმართ".[56] ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები შეუვალნი იყვნენ მოთხოვნაში. უწმიდესი კალისტრატე საგანგებოდ აუდიენციაზე მიეიდა უმაღლესი

საბჭოს საქმეთა მმართველ მირიანაშვილთან „გამოვცხადდი ორ საათზე – წერდა იგი. არ მიმიღო, მდიეან დაეითაშვილს დააბარა თქვენს განცხადებაზე. თავმჯდომარემ უარი ეთქვასო."[37]

მიუხედავად ასეთი დამცირებისა უწმიდესი კალისტრატე ფარხმალს არ ჰყრიდა. თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილ ერცელ განმარტებაში ნათელს ჰფენდა სიონის საპატრიარქო ტაძრის გარშემო შექმნილ ვითარებას. „1932 წლამდე, სიონის ეკლესიის შენობისა და რენტის გადასახადი არ გადაუხდია (არც მოუთხოვიათ), თუმცა როგორც შემდეგში აღმოჩნდა, გადასახადი მათ შეწერილი ჰქონია. 1933 წელს მომივიდა უწყება, რომ დაეალიანება იყო 10,325 მანეთი. ჩემს შუამდგომლობაზე ცაკის აღმასრულებელმა კომიტეტმა იმავე წლის 27 ნოემბრის დადგენილებით სიონის ეკლესიას მოუხსნა საურავი და მოითხოვა ძირითადი გადასახადი. ეს ფული მხოლოდ 1938 წელს გადაეიხადეთ უსახსრობის გამო. ახლა ვითხოვთ მ. კალინინისა და ლ. ბერიას პასუხამდე შეაჩერეთ თქვენი მოთხოვნები".[38] როგორც ჩანს ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ სურდა. 1940 წლის 19 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ საგანგებო წერილით მიმართა საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკეიანს. „სამსახურებრივ და სინდისის მოვალეობად ვთვლი მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი კულტურული დაწესებულებაა ჩვენში. მან სულიერად გამოზარდა ჩვენი ხალხი,გადაარჩინა გათათრებას და გარუსებას, შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე. დოგმატური სწაელით იგი არ განსხვავდება სხვა მართლმადიდებელ ეროვნებათა ეკლესიისგან, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე მას გამოუმუშავებია თავისებური კილო კითხვისა და გალობისა, წერისა და წირვა-ლოცვის შესრულებისა, რაც პირადი გადაცემით გადადის ერთი თაობიდან მეორეში, რადგანაც საგალობლების მცირედი ნაწილის გარდა ყოველიეე ზემოთაღნიშნული ნოტებზე გადაუღებელია და სათანადო გამოკვლევებში აღუნუსხველი. ჩვენში რუსეთის უწმიდესი სინოდი არა თუ არ აწარმოებდა კვლევა-ძიებით მუშაობას, არამედ მის მიერ მოვლინებულ „განმანათლებლების" პირით გიორგი ხუცეს მონაზონისა და შოთა რუსთაველის ენას ძაღლის ყეფად თელიდა, მიქაელ მოდრეკილის ჰანგებს მგელთა ხროვის ყმუილს უწოდებდა და „ბრძნულად" გეირჩევდა რუსული საგალობლების ნოტებს მიაწერეთ ქართული სიტყვები და ეზიარეთ კულტურულ ხალხის ღვთისმსახურებასო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის არსებობა უზრუნველყოფილია დიდი სტალინის შუქმფრქვეველი კონსტიტუციით,ჩვენს ეკლესიის კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია საესებით მოუღოს ბოლო სულ მოკლე ხანში – სახეში მაქვს ზოგიერთი ფინინსპექტორის მოქმედება"[39] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი კალისტრატე წერილში დაწერილებით აღნუსხავდა თუ რომელ ეპარქიაში აიძულეს სასულიერო პირები გადასახადის გადაუხდელობის საბაბით სასულიერო პირობა დაეტოვებინათ. მღვ. ს. შუბლაძე, რომელმაც ვერ გადაიხადა გადასახადი გამოცხადდა ურჩ გადამხდელად, სასამართლოს წესით დახურეს პეტრე-პაელესა და მთავარანგელოზის ეკლესიები ქუთაისში. თიანეთში,დეკანოზი ი. სისაურს, ადგილობრივმა ინსპექტორმა დაავალა 500 მანეთის,80 კგ. ხორცის,310 კგ. კარტოფილის, 9 კგ. ერბოს, 7 კგ. მატყლის გადახდა. თაეზარდაცემულმა მღვდელმა მათ 400 მანეთი მისცა, დანარჩენი აპატიეს იმ პირობით თუ მღვდელობას თავს დაანებებდა. დაჭერის შიშით დეკანოზმა იროდიონ სისაურმა უწმიდესსა და უნეტარესს კალისტრატეს მიმართა განცხადებით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. (განმოსილი იროდიონ სისაური შემდეგ რუსულის მასწაელებელი იყო თიანეთის რაიონ სოფელ საყდრიონში ს.ვ.) დუშეთში, მღვდელი გ. ჩოხელი, უკიდურესად შეეიწროებულ იქნენ თელავის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ჩხარის რაიონებში სასულიერო პირები. უწმიდესი კალისტრატე გულისტკეივილით დასძენდა: „ფინანსთა სახკომის ინსპექტორების ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში მოუღებს ბოლოს ათასეექსწლოვან საქართველოს ეკლესიას, სანამ საბჭოთა კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი

124-ე მუხლი, ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული და ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს ეკლესია, აღგეცილი პირისაგან ქვეყნისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი".[60]

შექმნილ ურთულეს პირობებში უწმიდესმა კალისტრატემ მოახერხა ძეგლის მცველებად გაეფორმებინა სასულიერო პირები ზოგიერთ ეკლესიაში,მაგრამ ეს საერთო მძიმე სურათს ვერ ცვლიდა. ვითარება იმდენად სავალალო შეიქმნა, რომ სიონის საპატრიარქო ტაძარში მოქმედი სასულიერო პირი აღარ დარჩა, თუ სასულიერო პირი პატრიარქთან ერთად ღვთისმსახურებაში მიიღებდა მონაწილეობას, მას გადასახადიც უნდა გადაეხადა, მაგრამ ის იმდენად დიდი იყო, რომ ეერცერთი სასულიერო პირი ვერ მოახერხებდა მის გადახდას, მაშინ იგი უნდა დაეჭირათ, როგორც ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელი და მისი ოჯახიდან იძულების წესით უნდა ამოეღოთ გადასახადის თანხა... უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე გულისტკივილით აღნიშნავდა, თუ 1921 წელს საქართველოში 1450 მოქმედი ეკლესია იყო 1941 წლისათვის მისი რაოდენობა 15-მდე შემცირდა. ესეც არ იკმარეს დღის წესრიგში დადგა სვეტიცხოველის დახურვის საკითხი. ეს ნაბიჯი უკვე ფაქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას ნიშნავდა. 1941 წლის 3 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ითხოვა აუდენცია საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანთან კ. ჩარკვიანთან, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ იძულებული გახდა წერილით მიემართა მისთვის. „დახურულ ეკლესიათა შორის – წერდა მისი უწმიდესობა – არის მსოფლიოში სახელგანთქმული მცხეთის „სვეტიცხოველი", რომელიც ცნობილია არა მარტო იმით, რომ იშვიათი ისტორიული ძეგლია,არამედ უმთავრესად იმით,რომ ის არის ქართველი ერის აკვანი და ემბაზი,ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ურყევი ტრადიციით საქართველოს ეკლესიის მამადმთავრის, კათალიკოს-პატრიარქის კურთხევა უეჭველად უნდა მოხდეს სვეტიცხოველში. ამის გამო ხსენებული ტაძრის არამოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი ნაბიჯია ათეულ საუკუნოვან ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისაკენ, რაც ერთის მხრივ საბაბს მისცემს ჩვენ მტერ-მოყვარეს ახმაურდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხოლო მეორე, არასასიამოვნოდ დაურჩება ჩვენს ხალხსაც, მიუხედავად მისი შვილების რწმენის სხვაობისა, თუ ურწმუნოებისა, ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთ-ერთი მთავარი ბოძის თვით ერის დამოუკიდებლობისა. ეს შეგნება იყო მიზეზი იმისა, რომ დიდმპყრობელურმა რუსეთის სინოდმა ასი წლის განმავლობაში მრავალფეროვანი ძალადობით ერთი წუთითაც ვერ დაგვავიწყა კათალიკოს-პატრიარქის ფუნქციების შეჩერება, ახლა როცა უამრავი ტანჯვა-ვაების, ბრძოლის შემდეგ აღვადგინეთ ჩვენი ეკლესიის აეტოკეფალობა, ჩვენვე გავაუქმოთ იგი, მისთვის, რომ მცხეთის რაიონის მესვეურთ დასჭირდათ ეპისკოპოსის ბედშავი ოთახი? ვფიქრობ, სანამ საბჭოთა კავშირში მოქმედებს დიდი სტალინის ბრწყინვალე კონსტიტუცია და არსებობს რწმენისა და ღვთისმსახურების შესრულების თავისუფლება, ქართველობაშიც უნდა დარჩეს მშობელი ეკლესიის მიერ გამომუშავებული თავისებურება, მათ შორის საქართველოს ეკლესიის თავის, კათოლიკოს-პატრიარქის სვეტიცხოველში კურთხევის წესიც. ნათქვამიდან ცხადია, რომ სვეტიცხოელის მოქმედ თუ არამოქმედ ტაძრად გამოცხადებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც და საკითხი ამის შესახებ, თუ დღესდღეობით ყველასათვის არ არის საგრძნობი მწვავედ წამოიჭრება მოხუც (75 წ.) კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდეთ საჭიროა,სანამ სვეტიცხოელის დახურვის ამბავი არ გახმაურებულა, მისი გახსნა, მით უმეტეს, რომ იგი დაიხურა ადმინის ტრადიციული წესით. დაიბარეს სვეტიცხოველის წინამძღვრის მოადგილე ეპისკოპოსი ტარასი კანდელაკი და უბრძანეს 48 საათში ბინის განთავისუფლება და ტაძრის გასაღების ჩაბარება, რაც ისეთი სისასტიკით იქნა შესრულებული, რომ გამოძევებულმა ტაძრიდან საკუთარი ნივთების გამოტანის ნებართვაც ვერ მიიღო".[61] უწმიდესი კალისტრატე აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა იმ ოდენობის გადასახადის გადახდას, რაც შეუძლებელი იყო. იგი მოითხოვდა სვეტიცხოელის დაუყოვნებლივ გახსნას,

ეპისკოპოს ტარასისათვის კუთვნილი ბინის დაბრუნებას და უსამართლოდ შეწერილი გადასახადების ჩამოწერას. კითხულობ ამ წერილებს და ყველაფერი გასაგები ხდება. უწმიდესი კალისტრატე ფაქტიურად მარტოდმარტო იყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ როცა საქმე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს ეხებოდა ეს ფრთხილი და თავშეკავებული კაცი უკომპრომისო ხდებოდა. მისი არგუმენტები იყო ისტორიულ საბუთიანობაზე და ხელისუფლებისაგან დეკლარირებულ სინდისის თავისუფლების პრინციპებზე აგებული. მისი სახით საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში შეივწროებული სამღვდელოება სულიერ პატრონსა და ქომაგს ხედავდა. თვითონ ხელისუფლებისაგან უკიდურესად შევიწროებული, მაინც თავდადებით იბრძოდა სასულიერო პირების გადასარჩენად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში უძლური იყო, ვინაიდან გასული საუკუნის 40-იან წლებში როგორც ჩანს საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა რელიგიის ადმინისტრაციული წესით გაუქმება და ოფიციალურად ქვეყნის ათეისტურ სახელმწიფოდ გამოცხადება. ვფიქრობ, შემთხვევითი არ იყო მოსკოვის საპატრიარქო ტახტის ვაკანტურობა (1943 წლამდე), ყოველთა სომეხთა კათალიკოსის ხორენის სიკვდილით დასჯა (1938 წ.), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მასობრივი რეპრესიები, სვეტიცხოველისა და სიონის დახურვის მცდელობა. ეს ფაქტები ზემოთქმული ვარაუდის რეალობას ამყარებს. ხელისუფლების ეს განზრახვა 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმამ ჩაშალა. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკური ხელისუფლების უმაღლესი ლიდერებისა და მართლმადიდებელი ეკლესიების უმაღლესი იერარქების ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობისას ადგილი აქვს ფოლკლორული მასალის უტყუარ სინამდვილედ წარმოჩენის მცდელობებს,უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე თბილისის სასულიერო სემინარიიდან იცნობდა იოსებ სტალინს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ხელისუფლებისათვის ასეთ მარწუხებში მოექცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ჯერ კიდევ 1939 წლის დეკემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ სცადა უშუალოდ ი. სტალინთან კონტაქტზე გასვლა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით მას ასეთი წერილი გაუგზავნა: „თქვენ სიჭაბუკითგანვე არ სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ცრემლითა მოსასპობად, ამისათვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით“.[62] მაგრამ ამის შემდეგ იყო,რომ დღის წესრიგში დადგა სვეტიცხოველისა და სიონის დახურვის საკითხი. საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმის შემდეგ საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიხვდა, თუ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის ძალისხმევას არ მიმართავდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, კატასტროფა გარდაუვალი იყო. ამიტომ რადიკალურად შეიცვალა ეკლესიისადმი დამოკიდებულება. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ მიუხედავად ხელისუფლებისგან თავს დამტყდარი რეპრესიებისა და შევიწროებისა, მიიღო სწორი გადაწყვეტილება სრული თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადა მას ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა: „რა მოჰყვა ამ ვერაგულ შემოჭრას? პირველ ყოვლისა ნორმალური ცხოვრების მიმდინარეობის შეფერხება, აუარებელ მოქალაქეთა სიცოცხლის მოსპობა თუ დაჭრა-დასახიჩრება და წელთა განმავლობაში დაგროვილ ნივთიერ საშუალებათა განიავება. თავდამსხმელებს განუზრახავთ ჩვენთვის ორგვარი ძღვენი, სიკვდილი ფიზიკური და სიკვდილი ზნეობრივ-გონებრივი. მივიღებთ ჩვენ ამ ძღვენს? ნუ იყოფინ!

მაშ, საყვარელნო, ამ იმედით მტკიცედ ვდგეთ თავისუფლებასა მას, რომელთაც ქრისტემან განგვათავისუფლა ჩვენ და ნუ კვალად უღელსა მას მონებისასა. თავს ვიდებთ. აღვიჭურვოთ შეურყეველი რწმენით, რომ ამპარტავანთა შემმუსვრელი, მოსცემს მხედრობასა ჩვენსა ძალას წარადევნოს ჩვენგან ყოველნი მტერნი“.[63]

უწმიდესი კალისტრატეს განცხადება გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ პრესაში, ამას მოჰყვა რუსეთის პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ სერგის და ყოველთა სომეხთა კათალიკოსის გეეორქ VI განცხადებები, რომელნიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა მთავრობას გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. შექმნილმა ვითარებამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რელიგიისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეეცვალა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დაიწყო შემოწირულობების შეგროვება ფრონტის საჭიროებისათვის (თბილი ტანსაცმელი, სურსათი, ფული) ვისაც, რისი შესაძლებლობაც ჰქონდა უანგაროდ ფრონტზე წასული მეომრებისათვის გაიღებდა. მოქმედ ეკლესია-მონასტრებში აღეელინებოდა ლოცვები ჩვენი მეომრების ჯანმრთელობისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის სახელით იოსებ სტალინის დეპეშას. „თბილისი, საქართველოს კათოლიკოს ეკლესიას, გთხოვთ გადასცეთ საქართველოს საკათალიკოსოს სამღვდელოებას და მორწმუნეთ, რომელითაც ორი ათასი მანეთი შეაგროვეს საჩუქრად გმირ წითელ არმიელებისათვის. ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა".[64] ეს დეპეშა გამოქვეყნდა პრესაში. ანტირელიგიური მოძრაობის ცენტრალური თუ რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის ცხადი გახდა ხელისუფლება სასულიერო პირების დევნას აღარ მოუწონებდა, ამიტომ მათი აგრესიული პოლიტიკა რელიგიური ორგანიზაციებისადმი შემგუებლობით შეიცვალა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ამ ვითარებით კარგად ისარგებლა და ხელისუფლებას თხოვა ადმინისტრაციული წესით გაუქმებული ეკლესიების აღდგენა, რეპრესირებული სასულიერო პირების კვლავ ეკლესიისათვის დაბრუნება. ხელისუფლებამ გადადგა შემხვედრი ნაბიჯები გადასახლებიდან დაბრუნდა არა ერთი სასულიერო პირი. მათ შორის მღვდელმთავრები ანტონი (გიგინეიშვილი), ეფრემი (სიდამონიძე), ივანე (ლოზოვოი), არქიდიაკონი ამბროსი (ახობაძე) და სხვები... 1944 წლის 2 ივლისს უწმიდესმა კალისტრატემ ეპისკოპოს ეფრემისგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო ტაშკენტიდან: „თქვენო უწმიდესობავ! სიყვარულით მოგესალმებით და გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს. ლაგერიდან მე გამათავისუფლეს 21 ივნისს. უკანასკნელი ადგილი ჩემი ციმბირი იყო. საქართველოში დაბრუნების უფლება ლაგერში არ მომცეს, მითხრეს საქართველოში თუ გექნება გაწვევა, მაშინ წახვალო. ახლა თქვენზე დამოკიდებული ჩემი სამშობლოში დაბრუნება... სად მოვეწყობი არ ვიცი, არც ტაშკენტში მაძლევენ ცხოვრების უფლებას, უსახსროდ ვარ".[65] უწმიდესმა კალისტრატემ საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ავქსენტი რაფავას: „გთხოვთ, ნებას გამოვიწვიო თბილისში მშობელი ეკლესიისათვის საჭირო ეფრემ ეპისკოპოსი".[66]

უწმიდესი კალისტრატე სადღესასწაულო დღეებში ქადაგებისას არაერთხელ შეხებია ომისა და მშვიდობის თემას: 1943 წლის 1 იანვარს მიმართავდა რა მრევლს, აღნიშნავდა: „ახალ წელს აღეაელენთ მხურვალე ლოცვას, რათა მიანიჭოს დიადსა სამშობლოსა ჩვენსა გამარჯვება ეერაგ მტერზედ, დაგეიბრუნოს ჯანმრთელად დღესა ფრონტზედ მებრძოლნი ჩვენი შვილები, ძმები და მეუღლენი, აღიესოს ქვეყანა ჩვენი, სახლნი ჩვენნი და გულნი ჩვენნი სიყვარულით, სიხარულითა და კეთილმსახურებით".[67] საბჭოთა კავშირის ცენტრალურ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა უწმიდესი კალისტრატეს მილოცვები ი. სტალინისადმი, რომელიც ეხებოდა წითელი არმიის წარმატებებს, საბჭოთა საიუბილეო დღესასწაულებს. აქვე საუბარი იყო იმ შემოწირულობათა რაოდენობაზე, რომელიც სისტემატურად გროვდებოდა ქართველ მორწმუნეთა შორის ფრონტის საჭიროებისათვის. ხელისუფლება დადებითად აღითქვამდა ყოველიეე ამას, მაგრამ ზოგჯერ არცთუ სასურველ ნაბიჯსაც დგამდა. ხელისუფლების ორგანოები საიდუმლოდ ადევნებდნენ თვალყურს, რა შემოსავალი ჰქონდა ეკლესიას, მაგრამ ომის წინა პერიოდთან შედარებით ეს „ყურადღება" უმნიშვნელოდ ჩანდა. ის ფაქტი, რომ

ი. სტალინმა კრემლში მიიღო რუსეთის სინოდის წევრები, ნება დართო მათ აერჩიათ პატრიარქი, გაეხსნათ ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიები, სასულიერო სასწავლებლები ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობაში დიდი დათბობის მანიშნებელი იყო. 1944 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება „მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ“. დადგენილების თანახმად „1. აიკრძალოს დახურვა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიებისა, რომლებიც ყოფილ საეკლესიო შენობებში მოქმედებდნენ და იმ სამლოცველო სახლებისა,რომლებიც მორწმუნეთა მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არიან მოთავსებული“.[68] დადგენილება ნებას რთავდა ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს მორწმუნეთა ინტერესების გათვალისწინებით გაეხსნათ ახალი ეკლესიები. ხელისუფლება არ ელოდა თუ ამდენი განცხადებები შეიტანდა დახურული ეკლესიების ამოქმედების მოთხოვნით. მარტო საქართველოში 30-ზე მეტი განცხადება დაიწერა. ხელისუფლების ორგანოები რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა რელიგიის საქმეთა საბჭო, რომელიც უნდა ყოფილიყო ერთგვარი შუამავალი ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. რელიგიის საქმეთა საბჭო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე იყო ორიენტირებული, რაც ლახავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას. უწმიდესი კალისტრატეს დასაბუთებული მოხსენების საფუძველზე რწმუნებულთა საბჭოს სახელი შეეცვალა და ნაცვლად – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულთა საბჭო – ეწოდა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიის რწმუნებულთა საბჭო. 1945 წლის 22 აგვისტოდან უკვე საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა. 1945 წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 15 მოქმედ ეკლესიას დაემატა 14, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდნენ 5 მღვდელმთავარი, 41 შტატიანი მღვდელი, 2 არქიდიაკონი, 3 მედავითნე. რელიგიის საქმეთა რწმუნებული ქადაგიშვილი ავალებდა თავის თანამშრომლებს საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული ყველა მონაცემების შეგროვებას, სასულიერო პირებზე თვალთვალს. ხშირად ისმება ასეთი კითხვა. უწმიდეს კალისტრატესა და ი. სტალინს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. პატრიარქს შეეძლო გაეხსნა სასულიერო სემინარია ან აკადემია, რატომ თქვა უარი ამაზე გაუგებარიაო. უწმიდესი კალისტრატე კარგად ხედავდა ხელისუფლებისგან მოჩვენებითი კეთილგანწყობის მიუხედავად არსებობდა იმის საშიშროება, რომ ბევრი არასასურველი ადამიანი შეაღწევდა ეკლესიაში და მას ძირს გამოუთხრიდა, ამიტომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე... ი. სტალინისა უწმიდესი კალისტრატეს ურთიერთობის შესახებ რეალური და ფოლკლორული გადმოცემები ერთმანეთშია არეული. უდავოა თბილისის სემინარიიდან მათ შორის ნაცნობობა უნდა ყოფილიყო. სტალინს არც შემდეგ დავიწყებია იგი. კანდიდ ჩარკვიანი თავის მოგონებებში იხსენებს თავისა და მიხეილ ჭიაურელის ი. სტალინთან შეხვედრას და ცნობილი კინორეჟისორის დიალოგს: „ვიცოდი, რომ კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე სემინარიაში გოგლა ლეონიძის მასწავლებელი იყო. აქედან მოდიოდა მათი ნაცნობობა. ვიფიქრე ამ ნიადაგზე გოგლას გავეხუმრებოდი. ტელეფონით დავურეკე და კალისტრატეს ხმით დინჯად დავუწყე – ბატონო გიორგი, ეს მე ვარ, კათალიკოსი კალისტრატე. დილა მშვიდობისა. დილა მშვიდობისა, უწმიდესო, როგორ ბრძანდებით, თქვენმა ხმამ დიდად გამახარა – მიუგო მოწიწებით გოგლამ. თქვენთან თხოვნა მაქვს. აი, სიგელი რომ აღმოგიჩენიათ იქნებ მისი ასლი მისაჩუქროთ. მოგართმევთ, მიპასუხა, მაგრამ ამ დროს გამეცინა, გოგლა მიხვდა, რომ ეს მე ვიყავი, მაგრამ მართლა რომ დარეკა კალისტრატემ, გოგლამ უპასუხა ვიცი, რა კათალიკოსიც ხარ, ვერ მომატყუებო... გაოგნებულმა კათალიკოსმა ყურმილი დადო. ცოტა ხნის შემდეგ გოგლა მაინც დაეჭვდა, აქეთ-იქით დარეკა, როცა გაიგო, რომ ნამდვილად კალისტრატე ესაუბრებოდა სასწრაფოდ ეახლა და ბოდიში მოუხადა. ნაამბობმა ი. სტალინი გააძხიარულა. მე თვითონაც თავს ვერ ვიკავებდი როგორც კი

წარმოვიდგენდი კალისტრატეს ასკეტურ ფიგურას,დახეეწილ ინტელიგენტურ მანერებს და მის შეცბუნებას".[69]

უწმიდესი კალისტრატესა და ი. სტალინის პირისპირ შეხვედრა არ შემდგარა. ამიტომ გავრცელებული ინფორმაცია, ვითომც კრემლში უწმიდესი კალისტრატე სამოქალაქო სამოსით გამოცხადდა, ფოლკლორის ჟანრს განეკუთვნება. 1948 წლის 21 იელისს უწმიდესი კალისტრატე ი. სტალინისადმი გაგზავნილ წერილში საუბრობს ამის შესახებ. „კაცთა შორის რჩეულო, ჩემო მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ, ამის ღირსი არა ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშერალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელი მწყემსის კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქისაგან".[70] უწმიდესმა კალისტრატემ ი. სტალინს გაუგზავნა საქართველოს ეკლესიის კალენდარი. ი. სტალინისაგან არა ერთი წერილი მიიღო უწმიდესმა კალისტრატემ. 1946 წლის აგვისტოში იგი საერო ხელისუფლებისაგან დაჯილდოვდა „სამამულო ომში ეკლესიისაგან გაწეული დახმარებისათვის".

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე უკვე ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში მტკიცე და შეურყეველია მოთხოვნებში. 1949 წელს საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკვიანს მოახსენებდა ეკლესიის საჭიროებისათვის აუცილებელი იყო ლოცვანის, საეკლესიო კალენდარის, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დაბეჭდვა. მან კარგად იცოდა, რომ 1923 წელს საპატრიარქოსათვის ჩამორთმეულ რეზიდენციას ვერ დაიბრუნებდა, მაგრამ სრულებით შესაძლებელი იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის მახლობლად ახალი რეზიდენციის აშენება „მოგეხსენებათ — წერდა უწმიდესი კალისტრატე კ. ჩარკვიანს — სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. თბილისის რეკონსტრუქციის ახალი გეგმით უნდა აღებულ იქნას, ვინაიდან იგი თავისთავადაც ვერ აკმაყოფილებს კათოლიკოს-პატრიარქის ბინისა და მასთან დაკავშირებულ დაწესებულებათა მოთხოვნილებას, ცხადია უნდა აშენდეს ახალი სახლი".[71] სხვა მიმართვაში უწმიდესი კალისტრატე საერო ხელისუფლების ყურადღებას მიაპყრობდა სიონის საპატრიარქო ტაძრის სახურავის შეკეთების აუცილებლობაზე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა თურქეთის, როგორც გერმანიის მოკავშირის მიმართ შესაძლო სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ. საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეთა მანძილზე თურქების მიერ მიტაცებული ქართული და სომხური ტერიტორიების დაბრუნების საკითხს.

1945 წლის 14 დეკემბერს გაზ. „კომუნისტში" და „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა აკადემიკოსების ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილი თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიის შესახებ, რომელშიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები იყო თუ როგორ მიიტაცა თურქეთმა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები. წერილში საუბარი იყო იმაზეც, რომ თურქეთი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მოკავშირე იყო. „ჩვენ კი? კითხულობდნენ ავტორები — განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში? ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის".[72] საგანგებო შეკრება გაიმართა სომეხთა რელიგიურ ცენტრში, ეჩმიაძინში, სადაც ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა გევორქ VI-ემ, კილიკიის სომეხთა კათალიკოსმა გარეგინ I-მა და სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსებმა ოფიციალურად მოსთხოვეს თურქეთს სომხეთისათვის

მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება. უწმიდესი კალისტრატეს არქივში მრავლად არის დაცული მასალები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემებს შეეხება. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესია 1917, 1920, 1927, 1945 წლის ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებებში ყველგან მოიხსენიებდა ზემო ქართლის (ისტორიული ტა-კლარჯეთის) ეპარქიებს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. მრავალმხრივ არის საინტერესო უწმიდესი კალისტრატეს წერილი „საქართველოს საკათალიკოსოს ზემო ქართლის ეპარქიისათვის". ამ წერილის ერთი ვარიანტი 1946 წლის 1 იანვარს სათაურით „Католикос Грузии о законных треюованых Грузинского народа к Турции". „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა, ხოლო იმავე წლის 5 იანვარს მან წერილი გაგზავნა „კომუნისტის" რედაქციაში „გთხოვთ,მომცეთ საშუალება ჩემი ხმა შევუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას,რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილში – უწმიდესი კალისტრატე მიმოიხილავდა რა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს,აცხადებდა – საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ბნელი უკუნეთი ჩამოწვა. ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა,შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებსა და დასავლეთის განათლებულ ხალხებთან. უწმიდესი კალისტრატე აღნიშნავდა, რომ დაპყრობილ მხარეში ოსმალობამ მოსპო ქართული კულტურა, ქრისტიანობა, ქართული ენა– გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მიწა-წყლის და დაჩაგრული შეგინებული ღვიძლი ძმების დედასამშობლოსათვის დაბრუნება გარდაუვალ ამოცანად დაისვა– საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მატარებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამავე დროს სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებითა და მოთმინებით გამოირჩეოდა. უმეტესად ეს ითქმის იმ ქართველების, ჩვენი ღვიძლი ძმების მიმართ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შემდეგ ისლამის სარწმუნოება მიიღეს– დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ჟამია,თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა ფაშისტური გერმანია, და მისი მოკავშირეები– ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდავო უფლებაც მოიპოვა, მოითხოვოს უსამართლობის გასწორება – საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება.

თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი: არტაანის,ართვინის,ოლთისის,თორთუმის,ისპირის, ბაიბუთის, ლაზისტან-ჭანეთ-ტრაპიზონის, გირესუნის ჩათელით".[73] წერდა უწმიდესი კალისტრატე. იგი ოპერატიულად გამოეხმაურა თურქეთის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, რომელთა ავტორები აცხადებდნენ, რომ მუსლიმან ქართველებს დევნას დაუწყებენ ამ ტერიტორიების საქართველოსთან შეერთების შემთხვევაშიო – „ჩვენ აღთქმას ვდებთ, გაბრიყვებით, მზაკვრობით და ცდუნებით არცერთი მუსლიმანი არ იქნება გაქრისტიანებული, რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ის სარწმუნოების საკითხში არ ერევა, ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება".[74] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამ მოწოდებებს დაერთო აჭარის მუსლიმანთა ლიდერის რასიმ სულეიმანის ძე ბერიძის წერილი: „თურქმა მოძალადეებმა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი". ი. სტალინის ბრძანებით ამიერკავკასიის სამხედო ოლქის ჯარების სარდლად დაინიშნა მარშალი კ. როკოსოვსკი, ყველაფერი იქით მიდიოდა,რომ თურქეთთან ომი გარდაუვალი იყო,მაგრამ დასავლეთის ქვეყნებმა თურქეთს დაუჭირეს მხარი და ისტორიული ტერიტორიების საქართველოსათვის დაბრუნება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

უწმიდეს და უნეტარეს კალისტრატეს ფიქრის და ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია,მისი მომავალი. ვიმეორებთ, ის ფაქტიურად მარტო იყო საქართველოს ეკლესიის ინტერესებისათვის ბრძოლაში.

1943 წელს გულახდილად აღიარა საქართველოს ეკლესიის სავალალო მდგომარეობა „მარტოდ დარჩენილს მძიმე ავადმყოფობა მეწვია და თბილისის ეკლესიები ხუთი თვის მანძილზე მღვდელმთავრის წირვა-ლოცვის გარეშე დატოვა. ეს კი დიდად აღონებდა მორწმუნეებს და სარეცელზე მდებარე ეკლესიის მეთაურსაც“[75].

ამიტომ იყო, რომ გამოჯანმრთელებისთანავე ეპისკოპოსად აკურთხა დიმიტრი ლაზარიშვილი. უწმიდეს და უნეტარეს კალისტრატესათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ წარიმართებოდა საქართველოს ეკლესიის მომავალი, როგორი იქნებოდა ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა, ვინ შეძლებდა მმართველ მღვდელმთავართაგან ყველაზე კარგად მისი საქმის გაგრძელებას. მუშაობდა თავდავიწყებით, ჩქარობდა არაფერი დარჩენოდა მოსასწრები, 1943 წელს, სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოერჩია მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე). მისადმი გაგზავნილ წერილში ურჩევდა: „გთხოვთ ჩემს მიერ აღებულ გეზსა და მიმართულებას ნუ შეცვლით, ეს არ ივარგებს, ეკლესიისა და პირადად თქვენთვისაც იქნება საზიანო. ჩემი დამარხვის შემდეგ დაუყოვნებლივ დაამტკიცეთ ქაშუეთის წინამძღვრად ყოველადსამღვდელო დიმიტრი,იქონიეთ მასთან ძმური კავშირი და ყური ათხოვეთ მის რჩევებს. ფრთხილი და ჭკვიანი კაცია, შემინდე თხოვნისა და დავალებისათვის,ვეეჭვრებით უფალს შეგვეწიოს სამშობლოსა და ეკლესიის სამსახურში“.[76]

ამ ანდერძის დაწერის შემდეგ უწმიდესმა კალისტრატემ 9 წელი იცოცხლა. ეს არ იყო ასაკოვანი, წლებით დაღლილი კაცის ცხოვრება. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კათალიკოსის პირად ფონდში დაცულია უცნობი ავტორის მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი კალისტრატეს დახასიათება. „იგი უბრალო და თავმდაბალია, როგორც კერძო ცხოვრებაში ისე საზოგადო მოღვაწეობაში, მთელი მისი ყოფა წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს თვითაღზრდისა და თვითგანვითარებისა, ბეჯითი შრომისა. მონაზონის უბრალო ბარტყულის ქვეშ, შეეერცხლილი თმით დაფარული მისი მაღალი შუბლი შეიცავს ფართო განათლებასთან ერთად დიდ პრაქტიკულ ცოდნას და ცხოვრების მდიდარ გამოცდილებას. მას ახასიათებს განსაკუთრებით ბეჯითი დამოკიდებულება თავის მოვალეობის შესრულებაში. ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ახალგაზრდული სული და საღი მეხსიერება. მუდამ მოძრავმა და მოქმედებაში მყოფმა არ იცის რა არის დასვენება,იგი წვება არა უადრეს ღამის 1 საათისა,დილით დგება 6 საათზე. მალე ეწვევა ტაძარს, ემთხვევა ხატებს, შედის საკურთხეველში, სადაც მუხლმოდრეკილი დიდხანს ლოცულობს. ლოცვის შემდეგ სათანადო განკარგულებებს გასცემს და ბრუნდება შინ, საუზმობს უბრალო ჩაით და მსუბუქ მისატანებელით (კვერცხი) ისევ მოკლე ლოცვა და შეუდგება მუშაობას. აქვე იწერება მოხსენებანი, მიმდინარე საკითხთა გადაჭრა, მთხოვნელთა მიღება. მუშაობს 15 საათამდე. მთხოვნელთა მიღება ხდება ნებისმიერ დროს, სათნოა და გულკეთილი. სადილობს 15 საათზე. სადილზე 3-5 ადამიანი მუდამ არის მასთან. თავის ტაბლაზე კათოლიკოსი ყველასთან ერთნაირია, განურჩეველად მდგომარეობისა და თანამდებობისა. სადილზე მიირთმევს ღვინოს (2 ჭიქა). შემდეგ აგრძელებს მუშაობას 24 საათამდე. არასოდეს არ ვახშმობს. თვალყურს ადევნებს ყველაფერს,რაც მის გარშემო ხდება,იბეჭდება. ყოველდღიურად კითხულობს ქართულ და რუსულ ეურნალ-გაზეთებს. მეცნიერულ წიგნებს, მხატვრულ ლიტერატურას. არავითარი უძრაობა ქონება და ფული არ გააჩნია. ის მუდამ უწევს დახმარებას ყველას, ვინც კი მას მიმართავს, ბევრი განსაცდელი გადაიარა, მაგრამ იგი ნუგეშს ეძიებდა და პოულობდა ქრისტიანულ მოთმინებასა და სარწმუნოებაში,ღვთის მსახურებაში“.[77] ანონიმი ავტორი შთამბეჭდავად წარმოაჩენს ამ დიდებული მწყემსმთავრის პიროვნებას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ეკლესიისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება ლოიალობით შეცვალა უწმიდესმა კალისტრატემ განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა ეპარქიებში ადმინისტრაციული წესით გაუქმებული ეკლესიების გახსნაზე. 1946-1951 წლებში საქართველოს

მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის სარეგისტრაციო წიგნში დაცულია ცნობები, მიმართვები და ხელისუფლების ნებართვები. უწმიდესი კალისტრატეს ძალისხმევით ეკლესიები გაიხსნა: ახმეტის რაიონ სოფ. მატანში, ხონში, საგარეჯოში, ქუთაისში, აწყურში, სოხუმის რაიონ სოფ. კონსტანტინოვკაში, მანგლისის რაიონ სოფ. ორბეთში, აბაშის რაიონ სოფ. სუჯუნაში, გუდაუთის რაიონ სოფ. ბომბორაში, ქარელის რაიონ სოფ. ატოცში, წალკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კახის წმ. გიორგის ეკლესია.“[78] იგი იცავდა სასულიერო პირებს ადგილობრიეი გაყოყოჩებული პროვინციელი ჩინოვნიკებისაგან. ცდილობდა საეკლესიო დანიშნულების ნივთების მუზეუმებიდან გამოტანას და კვლავ ეკლესიაში დაბრუნებას. 1947 წელს უწმიდესმა კალისტრატემ ხელისუფლებას მოსთხოვა ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არგვეთის ერისმთავრების წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს ნეშტების დაბრუნება, მაგრამ იმხანად ეს ვერ მოხერხდა. დააბრუნეს თელავის, ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან საეკლესიო ნივთები. თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ დამახასიათებელი, ალაევერდის მონასტერში მგალობელთა გუნდის წევრებს ადგილობრივი ხელისუფლება ავიწროებდა, რომ სამუშაო საათებში „ეკლესიაში მღეროდნენ“. უწმიდესმა კალისტრატემ მგალობლები კოლმეურნეობაში სავალდებულო სამუშაოსგან გაანთავისუფლებინა. აბაშის რაიონ სოფ. სუჯუნაში სოფ. საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ჩაგანავამ შეურაცხყოფა მიაყენა მღვდელ პეტრე კუციას. ამის გამო უწმიდესმა კალისტრატემ ხელისუფლების ორგანოთა ჩარევით გააევებულ თავმჯდომარეს ბოდიში მოახდევინა (ამ სტრიქონების ავტორმა დანამდვილებით იცის ქ. ჩაგანავას ოჯახი ამ ცოდვისათვის დაისაჯა. მისი ერთადერთი ჭკუანაკლული შვილი დღესაც მეზობლების სამოწყალოდაა აბაშის რაიონ სოფ. სუჯუნაში ს.ვ). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელთან ეპარქიებიდან ასეთი სულისშემძვრელი წერილებიც მიდიოდა „თქვენო უწმიდესობავ! ადგილობრივმა პარტიულებმა ვერცხლეულის სია მომთხოვეს. შემდეგ გადაწყვიტეს ზარის ჩამოხსნა და ცენტრში დაკიდება. ძალიან ცუდის თვალით მიცქერიან, რით დაბოლოვდება ყოველივე არ ვიცი. ამათი მიზანია როგორმე ხელთ იგდონ ეკლესიის ქონება. ვერცხლეული. მირჩიეთ როგორ მოვიქცე“.[79] ასეთ დროს იგი როგორც მფარველი ანგელოზი ისე გადაეფარებოდა ხოლმე სასულიერო პირებს. ამიტომ უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ მას.

1945 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I. 1948 წელს უწმიდესმა კალისტრატემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლებმა. 1949 წ. მოსკოვის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია. რკინის ფარდა, რომელიც ჩამოშვებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მსოფლიოს რელიგიურ კონფენსიებს შორის თანდათან გაიხსნა. საქართველოს მართლმადიებელი ეკლესიის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში. 1950 წლის 29 დეკემბერს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს სახელზე ინგლისიდან ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა: „მე ხშირად წამიკითხავს და გამიგონია, თუ როგორ მოღვაწეობას ეწევით თქვენ მშვიდობისათვის. ძალიან დაინტერესებული ვარ თქვენი დიადი ერის სოციალური პროგრესით და გთხოვთ დახმარება გამიწიოთ შრომაში ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსამტკიცებლად“.[80] უწმიდესმა კალისტრატემ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა რუმინეთის პატრიარქ იუსტინესთან, ყოველთა სომეხთა კათალიკოს გევორქ VI-თან.

1952 წლის 3 თებერვალს 86 წლის ასაკში იგი გარდაიცვალა. დიდი საეკლესიო მოღვაწის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. გულწრფელი იყო ხალხის მწუხარება. ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია მას ვერასოდეს ვერ დაივიწყებდა.

უწმიდესი კალისტრატე 20 წელი ედგა სათავეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს იყო ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ისტორიის ურთულესი წლები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა შექმნა უწმიდესი კალისტრატეს დამკრძალავი კომისია ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ეფრემის (სიდამონიძე) თაემჯდომარეობით. დაკრძალვის დღეს 10 თებერვალს თბილისში ჩამოვიდნენ პოლონეთის მიტროპოლიტი მაქსიმე, ლენინგრადის მიტროპოლიტი გრიგოლი, უკრაინის ეგზარქოსი იოაკინე, ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ვასილი, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი სააკი. დაკრძალვას ესწრებოდნენ ქართული ინტელიგენციის, მეცნიერების წარმომადგენლები. ქართველი საერო და სასულიერო საზოგადოების გრძნობები კარგად გამოხატა მიტროპოლიტმა ეფრემმა: „გული მაქვს ლოდივით დამძიმებული, სამარისებური ღრმა დუმილით, მწუხარებაში შთაფლული, ფიქრთა სქელ ბურუსში გახვეული ჩვენი ეკლესიის ბედზე მოტირალი... ჩვენ დავკარგეთ საქართველოს ეკლესიის მიმრქმელი და უძლიერესი პატრონი, დიდი შეურყეველი დასაყრდენი ბურჯი“.[81]

უწმიდესი კათოლიკოსის ნეშტი დაკრძალეს სახელოვანი წინამორბედების: უწმიდესი კირიონ II, ლეონიდის, ამბროსის, ქრისტეფორეს გვერდით სიონის საპატრიარქო ტაძარში. ისტორია პირუთვნელი სააქაო სამსჯავროა. დროის დინება მიჰქრის და ღღეს აღარც საბჭოთა კავშირია და არც მისი იდეოლოგიური დოგმები. მომავალი თაობებისათვის გაუგებარი იქნება რატომ ულოცავდა საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე „დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეს“, „საქართველოს გასაბჭოების დღეს“. ვინ იყვნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულები? ფინსახკომის მუშაკები, რომელნიც ასე გააევებით ებრძოდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ თუ ეპოქის რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები არ გაიაზრე ძნელია ჩაწვდე იმ სამწუხარო და მკაცრ რეალობებს, რომელშიც უწმიდეს კალისტრატეს უხდებოდა მოღვაწეობა. დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მან გონივრული კომპრომისებით გადაარჩინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მოახერხა საერო ხელისუფლებისაგან წართმეული იურიდიული სტატუსის დაბრუნება, მიაღწია რუსეთის ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მოაქცია არაქართული სამრევლოები, ეკლესიას შეუნარჩუნა მრევლი, გადაარჩინა საეკლესიო სიწმინდენი, რეპრესიებიდან იხსნა არაერთი სასულიერო პირი. თავისი პიროვნებისა და ეკლესიისადმი პატივისცემით გამსჭვალა საერო ხელისუფლების ათეისტი ჩინოვნიკებიც. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა შორის ერთ-ერთი მოკაშკაშე ვარსკვლავია. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ ჯერ კიდევ 1979 წელს საგანგებო ლოცვა-კურთხევით შექმნა კომისია, რომელსაც უნდა მოეძია კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული მასალები. ამ დროს მრავალად იყვნენ ის ადამიანები, ვისაც კარგად ახსოვდათ დიდი მწყემსმთავარი. უწმიდესი კალისტრატეს გარდაცვალებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა.

P.S. 2016 წელს 22 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმიდა სინოდის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წმინდანად შერაცხვის შესახებ. მისი ხსენების დღედ დაწესდა 3 თებერვალი.

უწმიდესი კალისტრატე და ქართველი საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა

1893 წელს ქართველმა საზოგადოებამ დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სახით პირველად იხილა ახალგაზრდა მოძღვარი დიდუბის ეკლესიისა, რომელმაც მგზნებარე სიტყვით მიმართა განჯიდან საქართველოში გადმოსვენებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს. სამწუხაროდ, ამ სიტყვის სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ თუ როგორი გამორჩეული სიტყვის თქმა იცოდა მან კარგად ჩანს 1901 წელს გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დიდუბეში ქადაგებისას. „ვინ არ იცის თუ რამდენად სასარგებლო ადამიანი იყო აწ განსვენებული გიორგი დავითისძე, ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავდადებული, განათლებისა და მწიგნობრობის მოტრფიალე, მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელი, ქვრივთა და ობოლთა განმკითხველი, პატიოსნებით აღსავსე, დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველის ქართველის დარბაისელის მამაკაცისა, ვის გულს არ მოხვდა ცივად ამბავი ამის სიკვდილისა, ვის არ ეუცხოვა გარდაცვალება ამისი. ყოველიე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ვინა ხარ შენ, ადამიანო, რომ იყვედრები და უკმაყოფილებას აცხადებ წინააღმდეგ მისა, რომელმანაც განაჩინნა დაწესებული ჟამნი და საზღვრისდადებანი დამკვიდრებისა პირსა ზედა ქვეყნისასა ყოველთა ნათესავთა კაცთასა, და რომელიც ფლობს ცხოველთა და ნათესავთა მკვდართა ზედა, ნუთუ გგონია შენ, ადამიანო, რომ ის პირნი, რომელნიც საჭიროებენ აწ განსვენებულის სიყვარულსა და ტრფიალებასა, შენთვის უფრო მახლობელნი არიან, ვინემ მისთვის, ვინც გააჩინა და დაჰბადა იგინი, ნუთუ დაობლებულისა და შეწუხებულის ოჯახის შემწე და ნუგეშის მცემელი ხარ შენ და არა ის, ვინც მფრინველთა ცისათა, რომელნი არას სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ. საუნჯითა, ზრდის? მაშასადამე დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა მფლობელი, ქვრივთა და ობოლთა პატრონი და შემწე ღმერთია და მან, მამამან ჩვენმან ზეცათმან, იცის რაი გვეხმს ამათ ყოველთგან, უწყის რა უმჯობესია, ჩვენეის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, ობლობა თუ დედმამიანობა, სიქვრივე თუ ცოლოსნობა, ამისათვის, მწუხარება და ტირილი, ეში და გოდება არის საჭირო არა მიცვალებულისათვის, რომელთა ქრისტეს მიერ მიიძინეს და განისვენეს, არამედ ჩვენთვის და ცოდვათა ჩვენთათვის, რომელთა სიმრავლე აღსდგება წინაშე ჩვენსა და ვერ შესაძლებლად ჰყოფს ჩვენდა შემთხვევად წმიდათა განსვენებულთა მოყვასთა და მახლობელთა ჩვენთა. აი, ეს არის და უნდა იყოს კიდეცაც ჩვენთვის სამწუხარო და სატირალი სხვა კი არა რა“.[82]

უწმიდეს კალისტრატეს არქივში დაცულია მისი საინტერესო ჩანაწერები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ეს მოგონებები უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნალ „მნათობში“ 1937 წ., მაგრამ ხელისუფლებამ რედაქციას არ მისცა ამის საშუალება. უწმიდესი კალისტრატე აღნიშნავდა: „ილიას სიყრმიდანვე „ზეკაცად“ ვთვლიდი, ამიტომ მასთან შეხვედრას ვერიდებოდი. არ შემერყეს მასზე შედგენილი წარმოდგენა-მეთქი. მიუხედავად ამისა, ცხოვრებამ რამდენჯერმე შემახვედრა მას. ჩემს თვალში სულ უფრო იზრდებოდა იგი“ 83, 1906 წელს როცა პეტერბურგში უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ილია ჭავჭავაძემ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე მიიწვია კონსულტაციებისათვის შეხვედრაზე, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ილია ღრმად გარკვეულიყო აღნიშნული პრობლემის თავისებურებებში. უწმიდესი კალისტრატეს შენიშვნით „ილია ჭავჭავაძე მისთვის ახალს ერთბაშად ითვისებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ საფუძვლიანად იყენებდა ახალი დასკვნებისათვის.[84]

1907 წლის 1 სექტემბერს ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო გადახდილ პანაშვიდზე კალისტრატე ცინცაძემ ასე შეაფასა განსვენებულის ცხოვრება: „ყველა ქართველს ილია მიგეჩნდა არა მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინდა თუ გამოჩენილ და სასიქადულო

საზოგადო მოღვაწედ, არამედ და უმთავრესად, გზის მაჩვენებლად, ანუ სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, წინამძღვრად. ჭეშმარიტად, ჭმუნვასა და სიხარულში იგი იყო ჩვენი ნუგეშის შთამაგონებელი და შეების მომცემი, ხოლო ფიქრის, საქმის, შრომის დროს ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა. მისი რჩევა და დარიგება უსასოდქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში ბედისაგან განლაღებულს."[85]

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ღრმადმორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანის სიყვარული დაინახა, იგი საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა პოეტის წერილიდან შემდეგ სიტყვებს: „მე მინდა, – წერს გრ. ორბელიანი თავის რძალს, – რომ შენი ვაჟის ნორჩი გული სარმწუნოებით იყოს გამსჭვალული, რომლის გარეშეც კაცი ამ ქვეყნად უბედურია... ჩვენი მგოსანი უპირველეს ყოვლისა გვასწავებს და აღვგძრავს ძებნად სასუფეველისა, ქმნად კეთილისა, დევნად ბოროტისა და აღრჩევად უმჯობესისა".[86]

კალისტრატე ცინცაძე XX საუკუნის I ნახევარში საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენის თავისებურ ანალიზს აკეთებდა, ეხმიანებოდა ეროვნული ინტერესების გამომხატველ დაწესებულებათა დაარსება, განახლებას.1909 წელს ქართული თეატრის განახლების გამო წარმოთქმულ სიტყვაში განსაზღვრა თეატრის როლი და მნიშვნელობა ქართველი საზოგადოებისათვის. „ხელოვნებამ – წერდა იგი – უნდა დაგვისურათხატოს ნამდვილ ცხოვრება და მისი მახინჯი მხარე, ქვენა გრძნობათა ბობოქრობა და მრავალგვაროვანთა ვნებათა ღელვა, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს უმაღლესი ზნეობრივი მოთხოვნილება: აეს უწოდოს აეი და კარგს კარგი, რათა ხელოვნების ტაძრისაგან არ წარეიდეთ სახით ჩვენდა წამბილწველგამათახსირებელ ოცნება-წარმოგდენებით აღესილნი, არამედ გამხნეებულნი, აღფრთოვანებულნი და განმზადებულნი ბრძოლად ბოროტისა და შემდგომად კეთილისა"[87].

უწმიდესი კალისტრატე განსაკუთრებული სიყვარულთი იხსენებდა დიდ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს, რომელსაც თავის დროზე ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1917 წელს კომპოზიტორმა ოპერისა და ბალეტის თეატრში განახორციელა „აბესალომ და ეთერის" დადგმა. პრემიერაზე სურდა მიეწვია ავტოკეფალია აღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი. დახმარება სთხოვა თავის ყოფილ მასწავლებელს კალისტრატე ცინცაძეს, რომელმაც კომპოზიტორი შეახვედრა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II. პრემიერას უწმიდეს კირიონთან ერთად დაესწრნენ: მიტროპოლიტი ლეონიდი, მიტროპოლიტი ანტონი, დეკანოზი კალისტრატე და ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს კომპოზიტორი შეუქია,დაულოცავს,ზაქარიას კირიონ II-ზე უთქვამს: „სახე სასტიკი გამომეტყველებისა აქვს, მაგრამ საუბრის დროს შაქარიაო". დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს საგანგებო სიტყვა მოუმზადებია 1925 წელს ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამოზე გამოსასვლელად, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა თუ სიტყვის თქმის უფლება, იუბილეზეც არ დაუშვეს.

საოცარი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, არქივში შენახული აქვს რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთების ის ნომრები, რომელნიც ეხებიან მეცნიერების, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს. მაგალითად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პერსონალური შემადგენლობა,იეანე ჯავახიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნეკროლოგები, საგაზეთო სტატიები,შენიშვნებითა და საინტერესო მინაწერებით. გაზ. „ომუნისტში" დაიბეჭდა გრ. ხავთასის სტატია ლადო კეცხოველზე, სადაც ავტორი აღნიშნავდა: „ლადო, რომ ციხის ადმინისტრაციას ებრძოდა ეს შემდეგი ფაქტიდან ჩანს. მეტეხის ციხეში მოთავსებულ საყდარში რაღაც საეკლესიო დღესასწაული იყო. ამ დღეს ეკლესიაში მწირველად მოსულიყო ცნობილი შავრაზმელი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, რომელსაც ლადო სემინარიიდან იცნობდა...უწმიდესი კალისტრატეს შენიშენა ასეთია, შეცდომაა... ლადო

სემინარიიდან გამორიცხეს 1893 წელს. დიმიტრი კი დანიშნეს სემინარიაში 1896 წ.“[88] მისი ყურადღება მიუქცევია ანა კალანდაძის ლექსს „სხვა საქართველო სად არის“, საგანგებოდ შეუნახავს არქივში. თავისი ხელით გადაუწერია ანა კალანდაძის ლექსი „უდრეკ იყო დედოფალი“. საერთოდ საოცარი იყო უწმიდესი კალისტრატეს დამოკიდებულება საარქივო მასალებისადმი. ის თავის არქივში ინახავდა მისი არაკეთილისმოსურნეების განმაქიქებელ წერილებსაც. ქუთათელი ეპისკოპოსის დავითის ფანქრით ძნელადგასარჩევი რისხვითა და უკადრისი სიტყვებით ავსილი წერილი თავისი ხელით გადაუწერია და ასე შემოუნახავს შთამომავლობისათვის. როგორი დიდი უნდა იყო ადამიანი, რომ ეს მოახერხო. უყვარდა პაექრობა კონსტანტინე გამსახურდიასთან, შალვა ნუცუბიძესთან, იროდიონ სონღულაშვილთან, კორნელი კეკელიძესთან, თედო სახოკიასთან. ქეთევან ნუცუბიძე იხსენებდა: უწმიდეს კალისტრატეს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა თარგმანი და განსაკუთრებით შალვასი გულდასმით ჰქონდა შესწავლილი და სხა მრავალ შენიშვნებთან ერთად კატეგორიულად მოსთხოვა „დაებრუნებინა ღმერთისათვის ყველგან თავისი ადგილი. ძალიან თვითნებურად თარგმანი, შალიკო, ღმერთის ცნებას ზოგგან ან გულისხმობ მხოლოდ, ან სავსებით გამოტოვებულია, ან იხმარ იქ, სადაც რუსთაველს სულაც არ უფიქრია... შალვა ნუცუბიძე, ეს შეუპოვარი ადამიანი, მისი უწმიდესობის წინაშე მოწაფური მოკრძალებით იდგა, უსმენდა. სახლში მისელისთანავე კი მიუჯდა მაგიდას და თარგმანი უწმიდესი კალისტრატეს შენიშვნების მიხედვით ჩაასწორა“.[89]

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში შეუდგა საქართველოს ისტორიის, ეკლესიის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას. კიევის სასულიერო აკადემიის არქეოლოგიის პროფესორის ნ. პეტროვის დავალებით შეისწავლა ნიკიფორე ტოლოჩანოვის და ალექსი იეველეის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წლებში. ნაშრომი დაიბეჭდა 1890 წ. ჟურნ. „ნოვოე ობაზრენიეში“. ეს იყო ახალგაზრდა მკვლევარის პირველი სერიოზული გამოკვლევა, რომელიც შეესაბამებოდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის დონეს. აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა 1970 წელს პროფ. იასე ცინცაძის გამოკვლევა, რომელშიც ავტორი დაწერილებით იხილავდა წინამორბედი ისტორიკოსების მ. პოლიევექტოვის,გრ. კოტოშიხინის ს. ბელოუკოვის მოსაზრებებს,სამწუხარდ,კალისტრატე ცინცაძის გამოკვლევაზე არაფერია ნათქვამი. 1892 წლის 1 მაისს კიევის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წინაშე ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კალისტრატე ცინცაძემ წარადგინა ნაშრომი „იბერიის ეკლესია სასანიანთა პერიოდში (265-570 წ.წ.).“[90] ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, მისი მიზანი იყო „შეემოწმებინა და შეეფასებინა ქართული მატიანეების ცნობები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ამათუ იმ მოვლენებს... ამ გზით მას სურს დაეხმაროს მათ, ვინც დააპირებს ქართველ მემატიანეთა უდავოდ მდიდარსა და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილი მასალების გაცნობას“.[91] ამ ნაშრომში წარმოჩინდა ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის ინტერესთა სფერო ქართლის გაქრისტიანების შესახებ. არსებულ წყაროთა და სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მან საინტერესო მოსაზრებანი წამოაყენა. კითხულობ ნაშრომს და გაოცება გიპყრობს, როგორ მოახერხა სრულიად ახალგაზრდა კაცმა მრავალრიცხოვან წერილობით წყაროთა კრიტიკული შესწავლა. მან ერთ-ერთმა პირველმა მოახერხა აღედგინა ქართველთა გაქრისტიანების მთელი ისტორია, საეკლესიო მმართველობის იერარქია ქართლში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებდა IV-V საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში გახმაურებულ ეტიქიანელობისა და ნესტორიანელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე,საქართველოს ეკლესიის ბრძოლას ქალკედონიანობის პრინციპის დასაცავად. ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების დაპირისპირებას კავკასიაში. ავტორი ერცლად ეხებოდა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ბერმონაზენური ცხოერების წესის

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრების საკითხებს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა რეცენზენტმა,პროფ. ი. მადიშეესკიმ,რომელმაც აღნიშნა: „ავტორს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო და გატაცებულია სურვილით შეისწავლოს მისი ისტორია, მისთვის ძვირფასია საქართველოს სიძველენი, მართლმადიდებლობა... იგი გაცნობილია ქართულ ისტორიულ პირველწყაროებს,შესწავლილი აქვს რუსეთის ან უცხო ქვეყნების ისტორიული მწერლობა... ავტორის შრომა ქების ღირსია.“[92] ამ ნაშრომით კალისტრატე ცინცაძე საზოგადოების წინაშე წარსდგა როგორც საქართველოს ისტორიის პერსპექტიული მკვლევარი.

1906 წელს გამოქვეყნდა კალისტრატე ცინცაძის პოლემიკური შინაარსის ნაშრომი `Историческая справка по вопросу Об автокефальности Грузинской церкви“, ეს იყო პასუხი პროფ. გ. სამუილოვის სტატიებზე, რომელიც „ამტკიცებდა“ თითქოს საქართველოს მართლმადიებელ სამოციქულო ეკლესიას ისტორიულად არასოდეს ავტოკეფალია არ ჰქონია. დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ მრავალრიცხოვანი წყაროების საფუძველზე დეტალურად შეისწავლა და აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებთან ურთიერთობის მთელი ისტორია. ამაეე დროს საფუძვლიანად განიხილა სამუილოვის გარდა სხვა რუსი ავტორების ტენდენციური ნაშრომები და დაასკვნა,რომ 1811 წელს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო სრული უკანონობა და რაც მალე იზეიმებდა სამართლიანობა, მით უკეთესი იქნებოდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,ამ ნაშრომით ავტორი ეპისკოპოსებთან კირიონთან და ლეონიდესთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლთა ავანგარდში მოექცა. ეს ნაშრომი იყო ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული დოკუმენტი, რომელსაც ქართველი ავტოკეფალისტები იყენებდნენ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ავტორი რამდენადაც მიუღებელი გახდა ეგზარქოსებისათვის იმდენად დიდი სიყვარული მოიპოვა ქართულ სამეცნიერო წრეებში.

ავტოკეფალიის საკითხებს უწმიდესი კალისტრატე არაერთხელ დაბრუნდა, მის არქივში 1944 წლის 10 მაისის თარიღით დაცულია სტატია „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“ (კერძო პირთათვის). უწმიდესი კალისტრატეს აზრით საქართველოს ეკლესიის მეთაურის კათოლიკოსის კათოლიკოს-პატრიარქით შეცვლა ასე მოხდა: „ბიზანტიაში განმტკიცებული იყო თვალსაზრისი: დამოუკიდებელი მეფის გვერდით უეჭველად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი იერარქი-პატრიარქი, როდესაც საქართველო გაერთიანდა და ბაგრატ III-ემ (975-1014 წწ) გამეფდა, საქართველოში ფეხი მოიკიდა ბიზანტიურმა იდეოლოგიამ,ამის გამო სიმეონ კათალიკოსის (1002-1012) გარდაცვალების შემდეგ,ბაგრატ III სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დასვა თავისი ნათესავი და მის მიერ აღზრდილი ენერგიით სავსე მელქისედეკი (1012)“.[93] უწმიდესი კალისტრატე ყურადღებას მიაქცევდა 1666 წელს რუსეთის პატრიარქ ნიკონის სასამართლო პროცესზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოსის იოსებ სააკაძის ყოფნას და ასკვნის, რომ რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას. წერილში საუბარია იმ სიძნელეებზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გადაიტანა 1917 წლის 12 (25) მარტის შემდეგ. და როგორ მიაღწია მან რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. „ვისაც სურს გაეცნოს ჩვენი ეკლესიის წარსულს – წერდა უწმიდესი კალისტრატე – უნდა მოინახულოს უბისა, ყინწვისი, გელათი, სვეტიცხოველი... მაშინ ის დარწმუნდება, რომ საქართველოს ეკლესიას თამამად შეუძლია წარსდგეს დიდი ერების ეკლესიებთან და თქვას ის მცირე ნაშთი, რაც ჩემი წარსულიდან გადაურჩა,ცეცხლსა და მახვილს რით ჩამოუვარდება თქვენს მტრისაგან ხელუხლებელ ძეგლებსო“.[94] უწმიდესი კალისტრატე საგანგებოდ იკვლევდა ქართული პოეზიის მშვენებას, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ქუთაისის ნუცუბიძის

გადმოცემით შალვა ნუცუბიძე „ეეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღეებში ბეერს ეცადა გამოექვეყნებინა კ. ეკაშვილის ფსევდონიმით შესრულებული უწმიდესი კალისტრატეს ნაშრომები, მაგრამ ვერ მოახერხა. 1966 წელს უწმიდესი კალისტრატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უბადლო მცოდნემ პროფ. მიხეილ ქავთარიამ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებანში (გვ. 227-274) გამოაქვეყნა უწმიდესი კალისტრატეს წერილი „ეეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ნ. პაპუაშვილი „ამით მკვლევარმა შოთა რუსთაველის ღვთისმეტყველება ახლებურად გაიაზრა, რითაც დაუპირისპირდა იმ დროისათვის საზოგადოებაში გაბატონებულ აზრს „ეეფხისტყაოსნის“ ავტორის არაქრისტიანობის ან არამართლმადიდებლობის თაობაზე და ცხადყო გენიალური პოემის ორთოდოქსულ-ქრისტიანული მრწამსი. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაგნო ნაწარმოების სიუჟეტის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას: რომ პოემის პერსონაჟებსა თუ ფაბულის წიაღ უნდა გავიაზროთ სახარების უმთავრესი მოძღვრება სინანულით ღმერთთან მიახლებისა და, ამ გზით, პიროვნების სრულქმნის შესახებ, რომ ავთანდილი და თინათინი – ერთის მხრივ და ნესტანი და ტარიელი- მეორე მხრივ, სხვადასხვა რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათებია, რომ ღმერთს დაშორებული და გზასაცდენილი ადამიანი ქრისტესმიერი ნათელღებით თუ გაბედნიერდება“.[95] უწმიდეს კალისტრატეს არქივში ინახება მისი შენიშვნები მოსე გოგიბერიძის საგაზეთო სტატიაზე „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი“.

1929 წელს მიტროპოლიტმა კალისტრატე ერცელი ნაშრომი მიუძღვნა ნიკიფორე ირბაქის ვინაობის საკითხს. მკვლევარის მეცნიერული აზრით „ქართველი ნიკიფორე იყო იერუსალიმის ქართული მონასტრის წინამძღვარი, რომელიც შემდეგ ეპისკოპოსის ხარისხით შეიმოსა. თეიმურაზ პირველმა 1626 წელს სწორედ ის წარგზავნა ევროპაში ელჩად, სადაც მან სტეფანე პაოლინს ხელი გაუმართა ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე მუშაობისას. იერუსალიმის ქართული მონასტრის იმდროინდელ აღაპებსა თუ სხვა დოკუმენტებზე დაკვირვებამ, ქართველ მემატიანეთა და კათოლიკე მისიონერთა ცნობებმა, აღნიშნული ლექსიკონის გაანალიზებამ მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკიფორე ირბაქი იგივე ნიკიფორე ირუბაქიძე – ჩოლოყაშვილია... მკვლევარი ფიქრობს, ნიკიფორე არასოდეს გაკათოლიკებულა და ასრულებდა გოლგოთის ქართულ მონასტერში იღუმენის მოვალეობას“.[96]

უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ საფუძვლიანი შენიშვნები დაურთო საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოს, რომლის სამუშაო ვარიანტი 1940 წელს გამოვიდა აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის ავტორობით. უწმიდესი კალისტრატეს მეცნიერული კვლევის ინტერესთა სფერო მრავალმხრივი იყო, გასაოცარია როგორ ახერხებდა ყველაფრის საქმის კურსში ყოფნას. პროფ. ბ. არველაძე აღნიშნავს ლ. მელიქსეთბეგს ტოპონიმი „გოდოღნინი მიაჩნდა მოღნინის დამახინჯებულ ფორმად“.[97] უწმიდესი კალისტრატე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს პირადი წერილით გამოეპასუხა, სადაც აღნიშნა, რომ ჯერ 1922 წ. საქართველოს მუზეუმის მოამბეში და შემდეგ 1935 წ. ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ცდილობთ გოდოღნინისა და მოღნინის იდენტურობის დამტკიცებას, მაგრამ... „ღნინისად გადმოქართულება საეჭვოდ მიმაჩნია!“[98] უწმიდესმა კალისტრატემ გამოთქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აქ უფრო იმერეთის გოდოგანია ნაგულისხმევი.

1938 წლის 18 იანვარს პროფ. სარგის კაკაბაძისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა „ეს არის წავიკითხე „აბდულმესიანის“ წინასიტყვაობა თქვენ (უკვე მეორედ) გამოგაქვს მნიშვნელოვანი დასკვნები... მაგრამ ამ სტროფს არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენს წარსულთან. აქ მხოლოდ შედარებაა შესხმისა საგნისა ნესტორ მოწამესთან, რომელმაც დალოცა ლეო საბრძოლველად მისმა მოძღვარმა დიმიტრი მთავარმოწამემ“.[99]

საგანგებოდ უნდა შეეხოთ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ნაშრომს „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, რომელიც 1994 წ. გამოიცა გამომცემლობა „კანდელის“ მიერ პროფ. მიხეილ

ქავთარიას საძიებლების დართვითა და ბოლოსიტყვაობით. აღნიშნული ნაშრომი ავტორმა დაამთავრა 1930 წლის 25 მარტს. თამამად შეიძლება ითქვას,რომ ამ ნაშრომით ავტორმა დაამტკიცა საქართველოს ისტორიაში ღრმად განსწავლულობა საისტორიო წყაროებისა და მონოგრაფიული ნაშრომებისადმი სანიმუშო დამოკიდებულება. პირველ თავში საისტორიო წყაროების მონაცემების საფუძველზე წარმოჩენილია ქვაშვეთის პირველი და მეორე ტაძრის ისტორია. ავტორის დასკვნით VI საუკუნეში აგებულმა მცირე ტაძარმა იარსება XVIII ს. 50-იან წლებამდე.

„ქვაშვეთის მეორე ტაძარი რომ გივი ამილახვარს აუშენებია, ამას ადასტურებს იესე ისეს ძე, რომელიც, როგორც ჩანს, ფრიად დაახლოებული ყოფილა ამილახვრიანთ ოჯახთან... სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგო, წერს იესე, ამილახვარმა გივი ქაშუეთი მოიგონა, ააშენა დიდებულის მთავარმოწამის გიორგის სახელზე-ო“.[100] უწმიდეს კალისტრატეს დაკვირვებით გივი ამილახვრის მიერ აგებული ეკლესია იყო ჯვრის სახედ და ჯვრის ბოლოების მომრგვალებით, რომელსაც ჰქონდა საუცხოო კედლის მხატვრობაც, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიას გაუჩნდა ნაპრალები და ყოველწუთს მოსალოდნელი იყო მისი დანგრევა, ამიტომ გადაწყდა ახალი ეკლესიის აშენება. ნაშრომში ავტორი,როგორც ქაშუეთის მესამე ეკლესიის მშენებლობის მონაწილე დაწვრილებით აღწერას თუ რა სიძნელეები იყო ახალი ტაძრის დამთავრებამდე.

მეორე თავში „ქვაშვეთის ტაძრის კარმიდამო“ აღწერილია ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიები, 1837 წელს შეუკეთებიათ ეკლესიის გალავანი. 1857 წ. კი შედგომიან ალექსანდრეს ბაღის გაშენებას. ავტორი არ ივიწყებს ეკლესიის გარშემო არსებულ შენობა-ნაგებობების ისტორიას. უწმიდესი კალისტრატეს აღნიშნული შრომა იმითაცაა საინტერესო, რომ დაწერილებით მოგვითხრობს ეკლესიაში დაცულ სიწმინდეებსა და უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელთა უმრავლესობა დღეს დაკარგულად ითვლება. ნაშრომის მეოთხე თავი „ეკლესიის წინამძღვრები“ წინამძღვართა თანაშემწენი, დიაკონნი, წიგნისმკითხველები, მნათეები, სამრეველო საბჭო, მგალობელთა გუნდი, სამრეველო სკოლა და მისი მოღვაწენი– გაცოცხლებულია XVIII-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი გამოჩენილი სასულიერო პირის სახე. ავტორმა ისტორიის დავიწყებას გამოსტაცა ეს ადამიანები. დამატებანში ეკლესიაში დაცული (დღეს დაკარგული) საბუთების საშუალებთი წარმოგვიდგინა ნათლღებულთა, ჯვარდაწერილთა, ანდერძაგებულთა, ტაძარში და ტაძრის გალავანში დასაფლავებულთა სახელები. უწმიდესი კალისტრატე ამა თუ იმ სასულიერო პირის ხსენებისას გადმოგვცემს მასზე არსებულ ყველა ცნობას. ეს ნაშრომი ფაქტიურად ენციკლოპედიური, შეუცელელია, ვისაც სურს ქაშუეთის ეკლესიის ისტორიაზე რაიმე ინფორმაცია მას გვერდს ვერ აუვლის. პროფ. მიხეილ ქავთარიას სამართლიანი დასკვნით: „ქვაშვეთის ეკლესიის ისტორია,როგორც წიგნს ჰქვია,ავტორის ჩანაფიქრით მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდებული ტაძრის ისტორია კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თბილისის სიძველეთა ისტორიაც და კეთილშობილური ვალის მოხდაც იმ ადამიანთა ხსოვნის წინაშე, რომელნიც უხმაუროდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, ინახავდნენ განათლების კეთილშობილურ ტრადიციებს და ქეყნის სიყვარულის ჩირაღდანს“.[101]

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „იერიის საეკლესიო წესი“, მცხეთა და მისი ტაძარი „სვეტიცხოველი“. XIX-XX საუკუნეების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის მოგონებებს. ამ მოგონებებში ცოცხლდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი ფაქტები, მოვლენები, რომელთაც სხვაგან ვერსად ვერ იპოვი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველწლიური კალენდარი პირველად დაიბეჭდა 1918 წელს,რომელიც შეუდგენია უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II. სამწუხაროდ ამ კალენდრის არცერთი ეგზემპლარი არ შემონახულა. 1927-1929 წლებში საეკლესიო კალენდარი შეუდგენია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III. 1930 წელს საქართველოს საკათალიკოსი სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდრის შედგენა

დაევალოს მიტროპოლიტ კალისტრატეს. უწმიდესი კალისტრატეს არქივში ინახება მასალები თუ როგორი პასუხისმგებლობითა და მეცნიერული სიზუსტით ადგენდა იგი საეკლესიო კალენდრებს. უწმიდესი კალისტრატეს მიერ შედგენილი საეკლესიო კალენდრები განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა როგორც მორწმუნეთა, ასევე მეცნიერულ წრეებში. კალენდრის ეგზემპლარებს საგანგებო წარწერით საჩუქრად უგზავნიდა ი. სტალინს, ლ. ბერიას, კ. ჩარკვიანს.

მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ქართული ოდიკისათვის“ „განხილულია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით საყურადღებო საკულტო საგანთან დაკავშირებული რიგი საკითხი. მოთხრობილია ისტორია ოდიკისა, საერთოდ და კერძოდ, ქართული ოდიკისა: თუ პირველად როდის და საიდან უნდა შემოეტანათ ჩვენში ხელნაკეთი თუ დაბეჭდილი ოდიკები“.[ii]


ქართველი მეცნიერები სიამოვნებით უსახსოვრებდნენ თავიანთ უახლოეს გამოკვლევებს, მონოგრაფიებს უწმიდეს კალისტრატეს, ყურადღებით ისმენდნენ მის არგუმენტირებულ შენიშვნებს და გაოცებას ვერ მალავდნენ როგორ ახერხებდა ეს ასაკოვანი მწყემსმთავარი ამდენი ინფორმაციის მიღებას. უწმიდეს კალისტრატეს განსაკუთრებით უყვარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,განგებამ ღვთისამ მას არგუნა ეპისკოპოს კირიონთან ერთად ეკურთხებინა ის ადგილი,სადაც შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი აშენდა, ხოლო 1918 წელს უკვე დეკანოზი კალისტრატე უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II ერთად გადაიხდის სამადლობელ პარაკლისს საქართველოში მეცნიერების ამ დიდებული ტაძრის გახსნის გამო. უწმიდესმა კალისტრატემ არაერთხელ გადასცა ძვირფასი ხელნაწერები, წიგნები თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა საცავს, ხოლო თავისი ბიბლიოთეკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უსახსოვრა. ასეთი მრავალმხრივი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. დრო სწრაფად მიჰქრის... ამქვეყნიურ ცხოვრებას ტოვებენ ის ადამიანები,ვინც ახლოს იცნობდა უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს, მაგრამ მის სახელს დავიწყება არასოდეს უწერია. იგი ყოველთვის ჩვენი თანამედროვეა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი. 70, გვ. 4.
2. ა. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი. ქუთაისის 1990 წ. გვ. 21
3. კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ. 2001, გვ. 27.
4. იქვე– გვ. 27-28.
5. ნ. პაპუაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982 წ. გვ. 145.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი 70. გვ. 37.
7. იქვე. გვ. 38.
8. ნ. პაპუაშვილი– გვ. 146.
9. კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან. თბ. 2001, გვ. 16.
10. კ. ცინცაძე, გვ. 20.
11. იქვე. გვ. 29
12. იქვე. გვ. 29
13. იქვე, გვ. 38.
14. იქვე, გვ. 44.
15. იქვე, გვ. 90
16. იქვე, გვ. 131
17. იქვე, გვ. 145
18. იქვე, გვ. 160
19. იქვე, გვ. 169
20. იქვე, გვ. 170
21. იქვე,გ ვ. 172
22. იქვე, გვ. 47
23. იქვე, გვ. 82
24. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიებელი სამოციქულო აეტოკეფალური ეკლესია 1917-1952 წ.წ. თბ., 2001, გვ. 18.
25. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი, 102, გვ. 104
26. ს. ვარდოსანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203 27. იქვე, გვ. 203.
28. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი, 102, გვ. 118-119.
29. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №228.
30. ს. ვარდოსანიძე– გვ. 211.
31. საქართველოს საპატრიარქო არქივი, №613.
32. საქართველოს საპატრიარქო არქივი, №6480.
33. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №102, გვ. 420-444.
34. იქვე... გვ. 376.
35. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის, ფ. №20.
36. ჟურნ. საღეთისმეტყველო კრებული 1987 №3, გვ. 116-168.
37. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №26.
38. ს. ვარდოსანიძე– გვ. 130.
39. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №102. გვ. 444.
40. ს. ვარდოსანიძე... გვ. 131
41. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №55
42. ჟურ. „მებრძოლი ათეისტი“ 1939, №7, გვ. 1
43. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №102, გვ. 354
44. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის გვ. ფ. №49.
45. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №52.
46. ს. ვარდოსანიძე... გვ. 151.
47. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია თბილისში, თბ. 1994, გვ. 37.
48. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიეთის გიორგის ეკლესია თბილისში. თბ. 1994. გვ.
39. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის ფონდი №91.
49. იქვე. გვ. 73
50. ლ. გუდიაშვილი, მოგონებები. თბ. 1979, გვ. 87.
51. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. №3998.
52. ჟურნ. „საღეთისმეტყველო კრებული“. 1987 წ. №3, გვ. 16.
53. მ. ბენდელიანი, საქართველოს მართლმდაიდებელი ეკლესია XX ს. 30-40–იან

წლებში. თბ. 2002, გვ. 69.
54. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წ.წ. თბ., 2001, გვ. 179.
55. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №77.
56. იქვე. გვ. 71.
57. იქვე. გვ. 72. 58. იქვე. გვ. 72. 59. იქვე. გვ. 73.
60. იქვე. გვ. 73.
61. იქვე. გვ. 130-133.
62. იქვე. გვ. 133.
63. იქვე. გვ. 13.
64. საქართველოს საპატრიარქო არქივი. ფ. №3998.
65. საქართველოს საპატრიარქო არქივი. მიტროპოლიტ ეფრემის საქმე №1664. 66. საქართველოს საპატრიარქო არქივი. მიტროპოლიტ ეფრემის საქმე №1664.
67. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1957 წ.წ. თბ., 2001, გვ. 188.
68. მ. ბენდელიანი... გვ. 69.
69. კ. ჩარკეიანი, განცდილი და ნააზრევი, თბ. 1985, გვ. 151-152.
70. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი №3998 71. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №83.
72. გაზ. „კომუნისტი“ 1945 წელი, 14 დეკემბერი.
73. გაზ. „კომუნისტი“ 1946 წ. 5 იანვარი.
74. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №125.
75. ს. ვარდოსანიძე... გვ. 194.
76. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის ფ. №155.
77. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის ფ. №93.
78. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცსა) ფ. 1879, საქ. ს. აღწ. 8.
79. საქართველოს საპატრიარქო არქივი. წილკნის ეპარქია, №1646.
80. ს. ვარდოსანიძე... გვ. 197.
81. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. „სხვადასხვა“, №324
82. ჟურნ. საღვთისმეტყველო კრებული. 1987, №3, გვ. 187-188.
83. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფონდი №70 გვ. 136. 84. იქვე, გვ. 141
85. ჟურნ. საღვთისმეტყველო კრებული, 1987, №3, გვ. 173. 86. იქვე, გვ. 180-182
87. იქვე, გვ. 189.
88. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №131.
89. ჟურნ. საღვთისმეტყველო კრებული 1987, №3, გვ. 50.
90. ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული“, თბ. 1987, №3, გვ. 63-131. კალისტრატე ცინცაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას ეძღვნება ნ. პაპუაშვილის ნაშრომი „კ.ც. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, მრავალთავი №XIII, 1987.
91. ჟურ. საღვთისმეტყველო კრებული. 1987 წ. №3, გვ. 68.
92. ჟურნ. მწყემსი. 1892, №3.
93. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №113, გვ. 4.
94. იქვე, გვ. 5.
95. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982, გვ. 160-161.
96. იქვე. გვ. 154.
97. ბ. არველაძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი თბ. 2002 წ. გვ. 266.
98. იქვე, გვ. 267.
99. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ცინცაძის ფ. №127.
100. კ. ცინცაძე ქეშიშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ. 1994, გვ. 17.
101. იქვე... გვ. 263.
102. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982, გვ. 160.
103. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. ფ. 26760.
104. ს. ვარდოსანიძე... გვ. 261.
105. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ე. კარბელაშვილის ფ. №272, გვ. 30.
106. იქვე, გვ. 34.
107. ს. ვარდოსანიძე, გვ. 258.
108. საქართველოს საპატრიარქო არქივი. მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №617.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III
(1952-1960 წწ.)



უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III.

უწმიდესი და უნეტარესი,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III, ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე, დაიბადა 1872 წლის 2 ნოემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ ზემო ყანდაურაში,მედავითნის ოჯახში. სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ დროს მას დაეღუპა მშობლები, გაუჭირდა როგორც მატერიალურად,ასევე სულიერად,მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარა,წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი და 1890 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს სემინარიაში სწავლობდნენ მომავალი სოციალ-დემოკრატები: სილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო კეცხოველი და სხვა მომავალი რევოლუციონერები. ხშირი იყო დაპირისპირება სემინარიის ხელმძღვანელობასა და სტუდენტებს შორის. ახალგაზრდა მიხეილი არ ერთვება ამ პროცესში, გულმოდგინედ მეცადინეობს და სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, მეგობრობს ქართველ სტუდენტებთან: ბესარიონ ხელაიასთან, სერგი გორგაძესთან, იპოლიტე ვართაგავასთან. 1900 წელს მან დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. 1902 წლის 26 იანვარს იგი გადაყვანილ იქნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1904 წლის 8 აპრილიდან სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებელია. 1915 წლის 15 მაისს ქ. ტიეროეოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია. 1915 წლის 31 მაისს აკურთხეს მღვდლად. 1917 წლის იენისში იგი ბრუნდება საქართველოში. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდში ინახება მისი წერილი: „დიდად პატივცემულო მამაო ნიკიტა მალაქიას ძევ,დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. მე ისე არ მიჭრის ენა და მოსაზრება,როგორც შენ,რომ ღირსეულად გამოეთქვა მადლობა,ამიტომ გთხოვ,მიიღო ეს უბრალოდ გამოთქმული მადლობა. მე დიდად მადლობელი ვარ იმათი,ვინც ასე დაჟინებით მეძახის სამშობლოში დაბრუნებას. მღვდელი მიხეილ ფხალაძე 1917.31/VI“.[1] 1917 წელს იგი დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1918 წლის 21 ნოემბერს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1921-1922 წლებში იყო უმუშევარი და განმოსილი. 1922 წლის 5 აპრილს დაბრუნდა ეკლესიაში და დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად. 1925 წლის თებერვალში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვრად. 1925 წლის ოქტომბერში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის ლოცვაკურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად მელქისედეკი. 14 ოქტომბერს, სეეტიცხოველობას, იგი აკურთხეს ეპისკოპოსად და ჩაბარეს ალავერდის ეპარქია. ურთულეს პირობებში უხდებოდა მას ეპარქიაში საქმიანობა. ანტირელიგიური პროპაგანდა,სასულიერო პირების მიმართ ძალადობა, ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა – ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ დროს ალავერდის ეპარქიაში შედიოდა თიანეთის ოლქი. 1926 წლის 13 დეკემბერს მას ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის სოფელ საყდრიონის ეკლესიის მოლარე ქიტესა ნადიბაიძე: „თქვენი მოწერილობის თანახმად, საყდრიონის ეკლესიაც გადაეცა სოფელ მელიასხევის მღვდელ ალექსი წიკლაურს,რომელმაც ტაძარი უნდა გადაიბაროს მღვდელ თეთრაძისაგან. თეთრაძემ განაცხადა,უნდა თავი დავანებო მღვდლობას,ხალხმა მითხრა,აღარ გვინდიხარ აღარაფერს არ მოგცემთო“.[2] ეპისკოპოსი მელქისედეკი მხარს უჭერდა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის და უპირისპირდებოდა „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებს. 1927 წლის 17 ოქტომბრიდან იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია. 1928 წლის 24 მარტიდან იწოდებოდა წილკნელად, მაგრამ, ვინაიდან ეპარქიაში თითქმის აღარ იყო დარჩენილი მოქმედი ეკლესიები, გადმოყვანილ იქნა თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1935 წლის 2 იანვარს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვაკურთხევით მიენიჭა მიტროპოლიტობა და კვლავ გაიგზავნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, სადაც ყოველთვის რთული ვითარება

იყო. 1937 წლის 2 მაისს მიტროპოლიტ მელქისედეკს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატესათვის: „მორჩილებით მოვახსენებ თქვენს უწმიდესობას, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში უმღვდელოდ დარჩენილია სამი დიდი სოფელი და ახალი სასაფლაოს ეკლესია სოხუმში. თქვენს უწმიდესობას მოვახსენებ,რომ შესაფერისი კანდიდატების უყოლობის გამო ახალი მღვდლის კურთხევა შეუძლებელი გახდა. ამის გამო დიდ გაჭირვებას განვიცდი“. ამას დაემატა 1937 წლის 9 ოქტომბერს დეკანოზების სვიმონ გიგინეიშვილისა და ელიზბარ ანჩაბაძის დაპატიმრება. ამის შესახებ მოახსენებდა მიტროპოლიტი მელქისედეკი უწმიდეს კალისტრატეს: „გულისტკივილით მოგახსენებთ, რომ ჩემი ეპარქიის სოფლებში მღვდლები აღარ არიან, ყველანი დაატუსაღეს. დავრჩი მარტო მე ორი მღვდლით სოხუმში. ჩვენც ვგრონებ,აღდგომის შემდეგ მოგველის ლიკვიდაცია. ამასთან მოგართ მეცნ: 1. პირს ჩემი სამღვდელოებასთან თათბირის ოქმის. 2. პირს სოხუმის საბჭოს თავმჯდომარის ეკლესიების გაერთიანებაზე. ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა ქართული, რუსული, ბერძნული, კათოლიკური, პროტესტანტული,ებრაული რელიგიური საზოგადოებების გაერთიანებას ერთ ეკლესიაში. ამასთან დაკავშირებით მეუფე მელქისედეკი ხელისუფლების წარმომადგენლებს სწერდა: „გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ქართული, რუსული და ბერძნული ეკლესიების, კათოლიკური, პროტესტანტული და ებრაული მასში ვერ გაერთიანდება. მაშასადამე, ლაპარაკია ქართულ-რუსულ-ბერძნული ეკლესიების გაერთიანებაზე. აქაც საქმე თავისთავად შესრულებულია. ბერძენთა ეკლესიის მღვდელი ორი თვეა, რაც დაპატიმრებულია, ბერძნები თავის რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მომართავენ ქართულ ეკლესიას, სადაც ღვთისმსახურება სრულდება ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე. ამნაირად საკითხი რჩება ქართული და რუსული ეკლესიებისა, თუ რომელი უნდა გაუქმდეს. ძნელი არ უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტა იმ საზოგადოებრივ მოღვაწეებისათვის, რომელმაც იცის სოხუმში ქართული გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთის“ არსებობა, რომელიც დაკვირვებია ამ გაზეთის პირველ ნომერს, რომლის პირველ გვერდზე არის სტალინის დიდი სურათი“.[3]

1938 წელს მიტროპოლიტი მელქისედეკი იძულებული გახდა, სოხუმიდან დაბრუნებულიყო თბილისში. 1943 წლის 1 აპრილს დაინიშნა კუკიის ეკლესიაში რიგით სასულიერო პირად, 1944 წლის 30 აპრილიდან იგი ითელებოდა ურბნელად და იყო წინამძღვარი თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიისა. თბილისში ყოფნის დროს მის წინააღმდეგ საერო ხელისუფლებაში სისტემატურად იგზავნებოდა ხელმოუწერელი საჩივრები, რა ბრალდებებს არ უყენებდნენ მას. შესაძლოა, ამის მიზეზი იყო უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ მიტროპოლიტ მელქისედეკის გამორჩევის შესახებ.

1952 წლის 5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეცხრე საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი.

პატრიარქ მელქისედეკ III-ს ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის ჯგუფმა 20-50-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების მთელი სიმძიმე მხოლოდ იოსებ სტალინს დააკისრა და დაგმო „პიროვნების კულტი“. ნ. ხრუშჩოვის მითითებით ახალი იერიში მიიტანეს სარწმუნოებაზე, რომელიც წარსულის მავნე გადმონაშთად და საბჭოთა ხალხის კომუნიზმისაკენ სვლის შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნიეს. დაიწყო წინა წლებში რეპრესიებს გადარჩენილი სასულიერო პირების დაპატიმრება და ეკლესია-მონასტრების დახურვა როგორც რუსეთში, ასევე ეგრეთწოდებულ მოკავშირე რესპუბლიკებში. ნიკიტა ხრუშჩოვს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: „უკანასკნელ უკრაინელ ან ქართველ მღვდელს ტელევიზიით გაჩვენებთ და ქვეყანაში მასობრივი ათეიზმი დაისადგურებსო“. იდეოლოგიური დარგის ხელმძღვანელებს პირდაპირ ევალებოდათ ანტირელიგიური პროპაგანდის წარმართვა. ამ ვითარებაში კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის

და მოკავშირე რესპუბლიკებში მათი ფილიალის რელიგიის საქმეთა რწმუნებულების უფლებები, რომლებიც უხეშად ერეოდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. მათი თანხმობის გარეშე ეკლესიის მეთაურს არ შეეძლო დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის კურთხევა. უფრო მეტიც, ისინი ყოველწლიურად სასულიერო პირების დახასიათების დოკუმენტებს აგზავნიდნენ მოსკოვში. სანიმუშოდ მოვიტანთ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოსე მექვაბიშვილის მიერ პატრიარქ მელქისედეკ III-ის დახასიათებას: „ფხალაძე მიხეილი ეროვნებით ქართველია. დაიბადა 1872 წელს კაჭრეთის რაიონის სოფ. ყანდაურაში, საქართველოს სსრ, ქვრივი, დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია 1900 წელს. ხელდასხმულია ეპისკოპოსის ხარისხში 1925 წელს. 1952 წელს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. მელქისედეკ III პრინციპული ადამიანია. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოთა შორის არ სარგებლობს კარგი ავტორიტეტით თავისი პრინციპულობის წყალობით. 1955 წლამდე სამღვდელოთა შორის მის წინააღმდეგ იყო ჯგუფი, მაგრამ მოწინააღმდეგეთაგან ნაწილი მოხსნა, ნაწილი თვითონ წაიდა. პარტიასა და მთავრობასთან მიმართებაში ლოიალურია. მოცემული დროისათვის მისი დამსახურება გამოიხატება სსრკ-ის მთავრობის მხარდაჭერაში მშვიდობის დაცვის საქმეში, იგი გამოდის სხვადასხვა კონფერენციებზე მთელს მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად. იგი განსაკუთრებით არ ცდილობს მოქმედ ეკლესიათა ქსელის გაფართოებას. მელქისედეკ III ერკვევა საერთაშორისო მოვლენათა საკითხებში. კითხულობს ყველა რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებს. ჩემს მიმართ აქვს კარგი დამოკიდებულება. ყურს უგდებს ჩემს რჩევებს, იტანჯება სმენის დაქვეითებისა და სუსტი მხედველობის გამო. იგი სხვებზე მაღლა აყენებს თავის ნაციას და ტაძრების გახსნის გადაწყვეტისას ცდილობს, გახსნას მეტი ქართული ტაძარი და ჩემთან საუბარში გამოხატა შიში, რომ ჩვენთან მორწმუნე ქართველები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსები, რის გამოც საქართველოს ეკლესიამ შესაძლოა დაკარგოს ავტოკეფალია. მელქისედეკ III რეპრესირებული არ ყოფილა“.[4]

პატრიარქ მელქისედეკ III-ის დროს ეკლესიებში შექმნილ რთულ ვითარებას კარგად ასახავს დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ევაგრე დიასამიძის მიერ 1955 წლის 6 ოქტომბერს გამოგზავნილი თხოვნა: „მორწმუნენი არიან, მაგრამ სანთელი არ იყიდება! გულმოდგინე წირვა-ლოცვებით შესაძლებელია მორწმუნეთა შემოკრება... ამჟამად რთულ მდგომარეობაში ვართ. გემუდარებით და გთხოვთ, გასცეთ მამამთავრული ბრძანება თბილისის ეკლესიებიდან თანხის გადმოცემის შესახებ, რათა შეეკეთო დოდოსა და სეიმონ მესვეტის ეკლესიები“. პატრიარქ მელქისედეკს სურდა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონოდა საკუთარი ჟურნალი. ამასთან დაკავშირებით მან 1953 წელს საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს – პატივისცემით გთხოვთ გეიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რათა მოგვცეს ნება ეკლესიური ორგანოს გამოცემისა, სახელწოდებით „საქართველოს ეკლესიის უწყებანი“, მაგრამ რწმუნებულმა ამ მხრივ არაფერი გააკეთა საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. ასევე უპასუხოდ დარჩა მის მომდევნო წერილში გამოთქმული სურვილები – „პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლების კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს. ამიტომ გთხოვთ, გეიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს ნებართვა სიონის ტაძართან გაეხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად. ამასთან საჭიროა, მოგვცეს ნებართვა, რომ ეკლესიებში კედელზე გავაკრათ განცხადებები კურსების გახსნის შესახებ და მოეუწოდოთ მსურველებს, განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამგეს. სწავლის საგნები იქნება: 1. საეკლესიო კითხვა-გალობა, 2. საღმრთო წერილის კითხვა, 3. ღვთისმსახურება, 4. საეკლესიო ისტორია, 5. ქადაგება, 6. საეკლესიო საქმის წარმოება.“[5] რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა კვლავ უპასუხოდ დატოვა პატრიარქის თხოვნა, ხოლო საზოგადოებაში გავრცელდა ჭორები. თითქოს ხელისუფლება პატრიარქ მელქისედეკ III-ს სთავაზობდა სასულიერო სასწავლებლის გახსნას და ჟურნალის გამოცემას, მაგრამ

იგი ამის წინააღმდეგი იყო. 1957 წლის ნოემბერში პატრიარქმა მელქისედეკ III-მ ამასთან დაკავშირებით საგანგებო წერილით მიმართა იმხანად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სახალხო არტისტ აკაკი ხორავას. „ბატონო აკაკი, თქვენ გაკვირვებულს გითქვამთ შოთა მანაგაძისათვის „ამბობენ, რომ პატრიარქი მელქისედეკი სასულიერო სკოლის გახსნისა და სასულიერო ჟურნალის გამოცემის წინააღმდეგიაო. არა ბატონო აკაკი, ამას ტყუილად აკრცელებს ჩემი და ჩვენი ეკლესიის უსინდისო მტრები. ჩემი პატრიარქობის დროს აღსდგა წირვა-ლოცვა მოწამეთაში და გადმოსვენებულ იქნა წმიდა მოწამეების დაეითისა და კონსტანტინეს ნეშტები. ეკლესია აშენდა ხაშურში, ამოქმედდა ბოდბის მონასტერი, გაქართულდა სიონი — აღსდგა აქ, დიდუბეში ქართული გალობა, მოწესრიგდა დიდუბის ეკლესიის ეზო. რაც შეეხება სკოლას და ჟურნალს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეზე ორჯერ შევიტანე განცხადება მთავრობაში, პირველად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონი გიეი ჯავახიშვილის სახელზე 1956 წლის აგვისტოში, მეორედ 1957 წლის მარტში. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მჟავანაძის სახელზე, მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის მ. მექვაბიშვილის სახელზე. მოსკოვში რელიგიების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კარპოვის სახელზე. პასუხს არ იძლევიან. თუ დაგვეხმარებით, მადლობელი ვიქნებით“.[9]

პატრიარქ მელქისედეკ III-ს საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტმა ირაკლი შიოლაშვილმა: „თქვენო უწმიდესობავ! — წერდა იგი — აქ ჩვენს წრეში ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდებაო რადგან: 1. მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი; 2. ღვთისმსახურების შესრულებისას საყდრებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3. საქართველოს ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი-ბიბლიოთეკა. ასევე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი და რომ მღვდელმთავართა შორის არის ისეთიც, რომელიც მოქმედებს ქვეყნა გრძნობებით და არაქართველთა შორისაც ავრცელებს უბადრუკ აზრს. საქართველოს ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ ზემოთმოყვანილ ძირითად საკითხების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო, უფლებას ვაძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: ა) სსრ კავშირის მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე რუსეთის, უკრაინის, სომხეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არ აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა, ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება, ე. ი. საქართველოს ხელისუფლებას არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი საკავშირო მთავრობის სათანადო დადგენილების შესაბამისი განკარგულებით პირველ რიგში გაფორმება: სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმ-წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის საყდრებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ.

საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენ ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალით და კეთილი ნებით შეიძლება დამორჩილებული და ეკლესიის საკეთილდღეოდ გამოყენებულ იქნან.

ბ) ქართველი ერის სიამაყე, სიწმიდე და დიდება „სვეტიცხოველი“ არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის

წმიდა მიდამოებში თქვენი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო მუზეუმ-წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდება და მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, ხატი, ჯვარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში ე. ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. ჩვენ მზად ვართ ამ დიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკა. საადგომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებით და ლოცვა კურთხევით არსებული წესის მიხედვით სადღესასწაულოდ ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორები და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას".[7]

პატრიარქ მელქისედეკ III-ის წინააღმდეგ წერილები იგზავნებოდა როგორც მოსკოვში, ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. 1955 წლის 22 დეკემბერს მისმა უწმიდესობამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გიგი ჯაფახიშვილს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა „ჩემ წინააღმდეგ ცილისმწამებლურ წერილებს აგზავნის ვინმე თომა ჩიქვანაია — რესპუბლიკაში ცნობილი აფერისტი... იგი აფერისტობისათვის გადასახლებული იყო საქართველოდან. მან ჩემი ლანძღვა-გინება დაიწყო 1952 წლიდან".

1957 წელს თბილისში და რაიონებში ერცელდებოდა ანონიმური წერილები ასეთი სათაურითა და შინაარსით „გულშემატკივარი ეკლესიისა". წერილის ავტორი ქართველ საზოგადოებას გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებდა ვინაიდან, მისი აზრით, საქართველოს ეკლესიას შემდგომი არსებობისათვის საფუძველი უკვე გამოცლილი აქვს და ამაში მთავარი დამნაშავე თვით პატრიარქია... პატრიარქმა უკანონო არჩევნებით დადგენილმა დაარღვია წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის კანონი... წერილის ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა პატრიარქ მელქისედეკ III-ს არქიმანდრიტ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევის გამო. „უწინდელ დროში,როდესაც ეკლესიას ამა თუ იმ ობიექტური პირობების გამო რაიმე წარუმატებლობა შეემთხვეოდა, მას მთელი მოწინავე ინტელიგენცია ესარჩლებოდა და ცდილობდა, გაზეთის ფურცლებზე გამოსვლით მისი ჭირ-ვარამი შეემსუბუქებინა, მოუწოდებდა რა მას მეტი ბრძოლის უნარის გამოჩენისათვის მისი აღორძინების მიზნით. დღეს ეკლესია მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანოზმს. ამიტომ მისი ერთადერთი ქომაგი და პატრონი პატრიარქია. მისი ფიქრი და მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ თავის თავს შეუქმნას უშფოთველი, დალხინებული ცხოვრება და მის შემდეგ თუნდაც მეწყერს წაეღოს ყოველივე. მისი ასეთი სულისკვეთებით აიხსნება ის არაჩვეულებრივი მოვლენები, რაც ეკლესიაში ხდება. იგი სამსახურიდან ათავისუფლებს ყველას, შეაქვს თანამშრომლებში უთანხმოება, უსიამოვნება, ადგილი აქვს უსამართლო, პირადი ჯიუტობით გამოწვეულ მოქმედებას. ყოველივე ზემოთქმული დღევანდელი მშობლიური ეკლესიის მდგომარეობა აეალებს ყველა მორწმუნეს, ხმა აღიმაღლოს ეკლესიის ასეთი უმწეო მდგომარეობის წინააღმდეგ, რათა მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება, რომელიც დასახავს ღონისძიებებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალიზაციისა და მისი გაჯანსაღებისათვის".[8] წერილის ავტორი აშკარად ტენდენციურად წარმოაჩენს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას. საფიქრებელია, პატრიარქ მელქისედეკ III-ის წინააღმდეგ წარმოებული ეს ცილისმწამებლური კამპანია ხელისუფლებისაგან იყო მართული. სინოდში განხეთქილების გაღრმავებისა და დაპირისპირებისათვის პატრიარქს არწმუნებდნენ, რომ მიტროპოლიტი ეფრემი თითქოს აქეზებდა ხალხს პატრიარქის წინააღმდეგ... პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით 1957 წლის 8 ნოემბერს თბილისში გაიმართა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III,ბათუმელ შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი, მარგველი ეპისკოპოსი დავითი, სტეფანწმიანი ეპისკოპოსი ზინობი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაომი, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია, დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი. სინოდმა მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ ცილისმწამებლურ კამპანიას. ეკლესიიდან განკვეთილ იქნენ: დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე, მთავარდიაკონი ამბროსი ახობაძე, საერო პირი თომა ჩიქვანაია.

პატრიარქ მელქისედეკ III-მ საგანგებო წერილით მიმართა მთავრობას, რომელშიც გულისტკივილით აღნიშნავდა – ერცელ დება ანონიმური წერილები პატრიარქზე და საქართველოს ეკლესიაზე. ბრალს გვდებენ გაუნათლებლობაში, უზნეობაში, რაც სიმართლეს არ შეეფერება. რა რთული მდგომარეობა უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიაში – პატრიარქი თავს იცავდა ცრუ ბრალდებებისაგან...

პატრიარქ მელქისედეკის არქივში შემონახულია 1955 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მან მიმართა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ გაბრიელს (ჩაჩანიძე): „მაღალყოვლად უსამღვდელოესო გაბრიელ, გვაკურთხეთ. ამის მომტანს გოდერძი ურგებაძეს იცნობთ, რასაკვირველია, მას თქვენგან აქვს აკრძალული მღვდელმოქმედება. გთხოვთ, ახსნით აკრძალვა, ეგონებ ისეთი რამ არ ჩაუდენია, რომ სამუდამოდ აკრძალეის ქვეშ იყოს. გთხოვთ, უსათუოდ გაათავისუფლოთ. სიყვარულით კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი“. პატრიარქი მელქისედეკ III ყველანაირად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა გაბრიელ ურგებაძეს.

1957 წლის 16 აპრილს პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვაკურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში ეპისკოპოსმა ზინობმა ბერად აღკვეცა მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი და უწოდა სახელი ილია. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ასე იხსენებს პატრიარქ მელქისედეკ III-სთან პირველ შეხვედრას: „მახსენდება სემინარიაში სწავლის დროს ჩემი პირველი ჩამოსვლა თბილისში, არდადაგებზე. შემიყვანეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III-სთან. ...უწმინდესისა და უნეტარესი მელქისედეკის შესახებ არსებობს მოგონებები: მან ძალიან მძიმე წლები გაამოიარა. დაამთავრა ყაზანის სასულიერო სემინარია; ცოლი ადრე გარდაეცვალა და შვილები მამის იმედად დარჩა. მათ ბინაში თურმე ისე ციოდა, თითქმის ყინავდა და ამიტომ ჯერ თავად ჩაწვებოდა ხოლმე ლოგინში, რომ გაეთბო იგი და მერე შვილებს აწვენდა– როდესაც მასთან ლოცვა-კურთხევაზე მიმიყვანეს, ასეთი სიტყვები მითხრა: „გახსოვდეს, ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მიანიჭებს მადლსა“ და ეს რატომღაც რუსულად მითხრა. მგონი იმიტომ, რომ ეგონა, ასე უფრო კარგად გაეიგებდი. იმდენად ღრმად ჩამწვდა მაშინ გულში მისი სიტყვები, დღესაც მასზე ეფიქრობ, ალბათ მან ჩემში ამპარტავნება დაინახა და ამიტომ გამაფრთხილა“...

* * *

1957 წელს პატრიარქ მელქისედეკ III-ს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღმა მოკრძალებულად ჩაიარა. პატრიარქს იუბილე მიულოცეს: საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიგი ჯავახიშვილმა, რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა, ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა, ექიმმა დავით მაკარიძემ, რომელმაც განსაკუთრებულ ღვაწლად ჩაუთვალა წმიდა დავით და კონსტანტინეს ნეშტების მოწამეთაში დაბრუნება (1922 წლიდან წმინდანთა ნეშტები ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იყო დაცული – ს.ვ.), ეკლესიების გახსნა ფოთში, ლაგოდეხში, წითელწყაროში, ხაშურში. პატრიარქი მელქისედეკ III საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მშვიდობის კონფერენციაში. 1958 წლის 31 მაისს იგი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის სხდომაზე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მოუწოდა მსოფლიოს ხალხებს, მთავრობებს გაერთიანდნენ მშვიდობის დასაცავად. პატრიარქი მელქისედეკ III 1957 წლის ოქტომბერში სტუმრად იმყოფებოდა სომხეთში. ეჩმიაძინის ტაძარში სიტყვით მიმართა ვაზგენ I-ს, იგი იყო მრავალმხრივი განათლების ადამიანი. მან ბერძნულიდან თარგმნა ჰეროდოტეს „ისტორია“, არიანეს „ექსპედიცია ალექსანდრე მაკედონელისა“, სამწუხაროდ, საერო ხელისუფლებისაგან შეეიწროებულ ეკლესიას და მის მეთაურს არ ჰქონდა მოქმედების თავისუფლება. უწმიდესი მელქისედეკ III გარდაიცვალა 1960 წლის 10 იანვარს 88 წლის ასაკში. დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, „დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის მოგონებები“. გვ. 208.
2. საქართველოს საპატრიარქოს არქივი. „კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის საქმე“ №2718. გვ. 4.
3. იქვე. გვ. 5.
4. იქვე. გვ. 6.
5. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, „კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის საქმე. № 3834. გვ. 4.
6. იქვე. გვ. 7.
7. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, „კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის საქმე. №2691. გვ. 2.
8. იქვე. გვ. 5.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შიომღვიმელი და უნეტარესი ეფრემ II
(1960-1972 წ.წ.)



უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II.

ცხოვრების გზის დასაწყისი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე, დაიბადა 1896 წ. 19 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ დოესში სოფლის მედავითნის ოჯახში. დედა — მონაზონი, ღრმად მორწმუნე ქალი იყო და შვილებსაც ასე ზრდიდა. თერთმეტი წლის იყო გრიგოლი, როდესაც დედა გარდაეცვალა. მამამ იგი გორის სასულიერო სასწავლებელში წაიყვანა, სადაც 1904-1912 წლებში სწავლობდა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. თერგდალეულთა იდეოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკლესიურ თავისუფლებას, ენაცველებოდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. იგი სოციალური პრობლემების გამძაფრებით საერთოდ უარყოფდა ეროვნულ საკითხებს. პრესაში დაიწყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის კრიტიკა; „მამული, ენა, სარწმუნოების“ დროშის ქვეშ შემოკრებილ ქართველობას უმტკიცებდნენ, რომ უკეთესი იყო „პროლეტარებო! ყველა ქვეყნისა შეერთდით“. პატრიოტიზმს კოსმოპოლიტიზმი ენაცველებოდა. 1907 წელს წიწამურთან მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ეს ფაქტი ზუსტად შეაფასა გალაკტიონ ტაბიძემ „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

თუ პოლიტიკური ცხოვრება ასეთი პარადოქსებით, დაქსაქსულობითა და პარტიული ნიშნით, ინდივიდუალიზმით ხასიათდებოდა, XX საუკუნის დასაწყისი საქართველოს სულიერი ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. ქართველმა სასულიერო პირებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, ანტონი, დეკანოზები: კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, საერო პირები: იპოლიტე ვართაგავა, პართენ გოთუა, სპირიდონ ჯაფარიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, რაფიელ ივანიცკი დიდი შრომა გასწიეს, რათა ქართველი ხალხი დაერწმუნებინათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაში. პრესაში, სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პოლიტიკურ წერილებს დაერთო პრაქტიკული ნაბიჯები, 1905 წლის ქართველი სამღვდელოების თბილისის კრება, 1906 წლის პეტერბურგის სინოდის წინარე სხდომა. ბუნებრივია, გორის სასულიერო სასწავლებელში მყოფი გრიგოლ სიდამონიძის მსოფლმხედველობაზე დიდ ზეგავლენას მოახდენდა საქართველოში მიმდინარე პროცესები.

1912 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის დირექციამ სპეციალური რეკომენდაცია მისცა წარჩინებულ კურსდამთავრებულ გრიგოლ სიდამონიძეს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად. თბილისის სასულიერო სემინარიის ბოლო კურსებზე გრიგოლ სიდამონიძე დაუახლოვდა სემინარიის რექტორს, სიონის ტაძრის დეკანოზ კორნელი კეკელიძეს, რომელიც თავის შეგირდს ხშირად ესაუბრებოდა ქართულ აგიოგრაფიაზე, საეკლესიო კანონიკის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. ახალგაზრდა სემინარიელი და რექტორი ეაკიდან საუბრით მიდიოდნენ სიონის ეკლესიისაკენ.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. სპეციალურად გასანთლულ ეტრატზე ავტოკეფალიის აღდგენის აქტის ხელის მომწერთა შორის იყვნენ შიო და გრიგოლ სიდამონიძეები. ამის შემდეგ გრიგოლის მამამ სამი თვე იცოცხლა, იგი 1917 წელსვე გარდაიცვალა.

გრიგოლ სიდამონიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში, შემდეგ იყო მორჩილი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ისა, 1918 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გრიგოლ წერეთლის, გიორგი

ჩუბინიშვილის ლექციებს. ახლადგახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დიდი სიხარული და ბედნიერება იყო 1918 წლის 26 მაისი, როდესაც ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრიეი დამოუკიდებლობის აღდგენა. უნივერსიტეტის სტუდენტებს მოწიწებით და მომაელის იმედებით შესცქეროდა ქართველი საზოგადოებრიობა, თბილისში დიდი ზეიმით აღნიშნეს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავი, საქართველომ დაიჯერა, ევროპის ქვეყნები გაითავისებდნენ მის პრობლემებს.

მაგრამ დამოუკიდებლობის პირველიეე დღეებიდან თავი იჩინა ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სიძნელეებმა: პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირებანი, საბჭოთა რუსეთისაგან ინსპირირებული კონფლიქტები შიდა ქართლსა და აფხაზეთში, სასაზღერო კონფლიქტები ოსმალეთთან, სომხეთთან, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშეეიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარი საქართველოს დედაქალაქში შემოეიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ დასავლეთ საქართველოში გადავიდა_ მალე მათ ბათუმი დატოვეს და საფრანგეთში გაემგზავრნენ. ახალი საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, დათხოვნილ. იქნა საქართველოს პარლამენტი, დაიწყო ქართული ეროვნული ღირებულებების გადაფასების ხანა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის 15 აპრილს რევკომის დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჩამოართეა იურიდიული პირის სტატუსი. დაიწყო სამშობლოს თავისუფლების მოსურნე ადამიანების სასტიკი დევნა-შევიწროება. საქართველოსაკენ ინტერნაციონალიზმის დროშით დაიძრნენ რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ქვეყანა დაყვეს ავტონომიებად, ხოლო თვით საქართველო ე.წ. სამოკავშირო ხელშეკრულებით ჯერ ამიერკაეკასიის ფედერაციაში გააერთიანეს, ხოლო შემდეგ მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უწოდეს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, ურთულესმა პოლიტიკურმა და სულიერმა მდგომარეობამ არაერთი ადამიანი ჩააგდო დეპრესიაში. ახალგაზრდა გრიგოლ სიდამონიძემ მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერად აღკეცილიყო. 1921 წლის 21 დეკემბერს მან თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის: „თქვენო უწმიდესობავ! ბავშეობიდანვე მქონდა მისწრაფება ბერული ცხოვრებისა. ჩემი განზრახვა მრავალჯერ გამიზიარებია ცნობილი სასულიერო პირებისათვის. ისინი სიხარულით შემომგებებიან და სათანადო მამობრივი ლოცვა-კურთხევით დავუჯილდოებივარ. აწ მომწიფებულ ასაკში მიღწეული სრული ჭკუა-გონებით და საღი შეგნებით აღჭურვილი, კადნიერებით გთხოვთ, აღმკეცოთ ბერად და ღირსმყოთ მღვდელმონაზვნის ხარისხზე აღსაყვანად. მე მწამს, მიუხედავად შავ-უკუღმართი დროისა და საეჭვო წუთისოფლისა, თქვენი უწმიდესობა ნდობის თვალით და გულით შეხვდება ამ ჩემს მისწრაფებას და მომცემს საშუალებას, რათა სამღვდელმონაზვნო ხარისხში მყოფს შემეძლოს წინაშე წმ. ტრაპეზისა აღვაელინო ლოცვაეკდრება ღმრთისადმი, სამშობლოსადმი და ჩვენი მრავალტანჯული ეკლესიის ბედნიერებისათეის“.[1] გრიგოლ სიდამონიძემ განცხადებით მიმართა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს პროფ. ივანე ჯავახიშვილს და დატოვა უნივერსიტეტის დამამათავრებელი კურსი. ახალგაზრდა ბერ-მონაზვნობის მოსურნეს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, მისდა გასაოცრად სოფელ დოესის მღვდელმა მიხეილ ლუკაშეილმა, რომელიც კარგად იცნობდა გრიგოლ სიდამონიძის ოჯახს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოში გაგზავნილ წერილში ახალგაზრდა გრიგოლი „მეამბოხედ და ეკლესიის მტრად“ გამოაცხადა. სოფლის მოძღვრის ასეთმა დაუმსახურებელმა, ტენდენციურმა დახასიათებამ გრიგოლი ძლიერ დააღონა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დააყრევინა. მან საგანგებო განცხადებით მიმართა ურბნისის ეპარქიის ახალქალაქის მთავარხუცესს დაედასტურებინა ან უარეყო მღვდელ მიხეილ ლუკაშეილის განცხადების შინაარსი.

1921 წლის 23 დეკემბერს საგანგებოდ შეკრებილმა ოლქის სამღვდელოებამ დაადასტურა: „სიყრმიდან აქამომდე კრება იცნობს გრიგოლ სიდამონიძეს, როგორც საუკეთესო ყმაწვილკაცს, ერთგულ შვილს საქართველოს ეკლესიისას, ხოლო მღვდელ მიხეილ ლუკაშვილის დასმენას თელის, როგორც უსაფუძვლოს და პირადი ინტერესებით გამოწვეულს“.[2] უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი გაეცნო, რა ოლქის სამღვდელოების წერილს, ლოცვა-კურთხევა მისცა სვეტიცხოველის წინამძღვარს არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე) — ბერად აღეკეცა გრიგოლ სიდამონიძე. ბერ-მონაზვნობის მოსურნეს სახელი ეფრემი შეურჩია მისმა სათაყვანებელმა მასწავლებელმა, პროფესორმა კორნელი კეკელიძემ. 1922 წლის 17 იანვარს გრიგოლი ბერად აღიკეცა ეფრემის სახელით. 26 იანვარს სვეტიცხოველის დეკანოზმა მათე მონასელიძემ მიაღებინა „ფიცი კურთხევისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „მე გრიგოლ სიდამონიძე აწ წოდებული სამღვდელო მსახურებისათვის აღვთქვამ და ვფიცავ ყოელად შემძლებელისა ღმრთისა წინაშე წმიდისა მისისა სახარებისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა, რომ მსურს და ვეცდები, განველო ესე მსახურება თანახმად ღვთისა სიტყვისა,საეკლესიო კანონთა და მთავრობის ბრძანებათა: ღვთისმსახურებანი და საიდუმლონი შევასრულო კრძალვითა და მიხედვით ეკლესიის განჩინებისა, ჩემისა ნებით არაფერი არ შევცვალო: აღსარება სარწმუნოებისა ვიპყრო და სხვას გარდაეცე მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდათა მამათა ხელმძღვანელობით“.[3] როგორც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის რეზოლუციიდან ჩანს, 1923 წლის 14 იანვარს ბერ-მონაზონი ეფრემი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად. „ჩვენება კურთხევისაში“ ბერ-მონაზონმა ეფრემმა ვალდებულება აიღო,რათა ემსახუროს ქრიტიანული სარწმუნოების განმტკიცებას, ღვთისმსახურება შეასრულოს პატიოსნად და უღირსი ყოფაქცევით არასოდეს არ დააბრკოლოს მორწმუნენი.

1922 წლის აპრილში უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით საგანგებო მემორანდუმი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და საერთაშორისო საზოგადოებას მოსთხოვა, დაეცვათ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელიც ფეხქვეშ იყო გათელილი საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის და მისი მარიონეტი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესების დამცველი სასულიერო პირები „ანაფორიან ინტრიგანებად“, „უწმიდეს კონტრრევოლუციონერებად“ მონათლა, და კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები და ზეწოლა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე. ასეთი ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე 1923 წლის 4 იელისს მღვდელ-მონაზონი ეფრემი დაჯილდოდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დაინიშნა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრად. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა აგრესიული ათეიზმის პროპაგანდა, ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა ასეთი შინაარსის წერილები: „მშრომელი მასების განთავისუფლება შეუძლებელია რელიგიის მოსპობის გარეშე“; „ვაწარმოებთ რა ბრძოლას სარწმუნოებრიეი ცრურწმენის წინააღმდეგ, ჩვენ ვქმნით ახალ მსოფლმხედველობას, რევოლუციონერულ წესებზე, ვაგებთ ახალ პირობებს და კომუნისტური ყოფა-ცხოვრების დამყარებით ნიადაგს ვაცლით გაბატონებულს და ძველ-რბილში გამჯდარ რწმენას, დღესასწაულებს“.[4] ოფიციალურად ადმინისტრაციული წესით დაიწყეს ეკლესია-მონასტრების დახურვა, წაქეზებულ იქნენ სხვადასხვა კრიმინალური ჯგუფები, რომელნიც თავს ესხმოდნენ ეკლესია-მონასტრებს, ძარცვავდნენ მათ. რამდენჯერმე მოხდა თავდასხმა შიომღვიმის მონასტერზე, სადაც დახოცეს სასულიერო პირები. მიუხედავად იმისა,რომ ყოველ ღამე მოსალოდნელი იყო ახალი თავდასხმა,მღვდელ-მონაზონი ეფრემი ტაძარს არ ტოვებდა. 1924 წლის მარტში, როდესაც მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის სასამართლო პროცესი, შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, როგორც მოწმე გამოძახებულ იქნა სასამართლოზე ჩვენების მისაცემად. მოსამართლეს აინტერესებდა, რა ინფორმაცია ჰქონდა მღვდელ-მონაზონ ეფრემს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს განკარგულებით თბილისიდან ქუთაისში გადატანილი საეკლესიო განძეულობის შესახებ, მაგრამ მღვდელ-მონაზონმა ეფრემმა უპასუხა, რომ განძის გატანის საკითხებზე მან არაფერი იცოდა, ვინაიდან იმ დროს იგი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და აქტიურად არ მონაწილეობდა ეკლესიის საქმიანობაში. საარქივო მასალებიდან ჩანს, თუ რა მძიმე ვითარებაში იყო შიომღვიმის მონასტერში მყოფი მღვდელ-მონაზონი ეფრემი. იგი ხელისუფლებას მიმართავს თხოვნით, გამოუყონ მგზავრობის ხარჯები, ვინაიდან მას არ აქვს არავითარი საშუალება, რათა დაბრუნდეს მონასტერში. ამ დაკითხვის შემდეგ ხელისუფლებამ მღვდელ-მონაზონ ეფრემზე დააწესა ფარული თვალთვალი.

1925 წლის 22 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით მღვდელ-მონაზონი ეფრემი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა დიდი გომარეთის მრევლის მღვდლად და ბორჩალოს მაზრის მთავარხუცესად. როგორც 1925 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული მისი საკათალიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, იგი მოვალეობის შესრულებას შეუდგა სოფელ დიდ გომარეთში. იმ დროს, როდესაც თვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიდუმლო მოხსენება ადასტურებდა „უკანასკნელ ხანებში მორწმუნეთა და კულტის მსახურთა დევნამ მიიღო მწვავე ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ იდეურ ანტირელიგიურ პროპაგანდაში, არამედ და უმთავრესად ადმინისტრაციულ დევნაში, სოფლებში არ აჩერებენ მღვდელს, უკრძალავენ ნათლობას, ჯვრისწერას, წესების შესრულებას. სამღვდელო პირთა შეილებს არ იღებენ სკოლებსა და სასწავლებლებში“,[5] ისეთ რეგიონში, სადაც პოლიტიკურთან ერთად რელიგიურ-კონფენსიურ ინტერესთა სხვაობა გაველენას ახდენდა ყველაფერზე, მოღვაწეობა რთული იყო ახალგაზრდა მოძღვრისათვის, მაგრამ არქიმანდრიტმა ეფრემმა მოახერხა, თავი შეეყვარებინა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, როგორც მათი ჭირისა და ლხინის თანამონაწილემ, უანგარო და კეთილსინდისიერმა ღვთისმსახურმა. იგი ერთნაირად ყურადღებიანი იყო როგორც ქართველების, ასევე იქ მცხოვრები ბერძნების მიმართ. 1926 წლის 27 მარტს არქიმანდრიტმა ეფრემმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, ჩემდამი რწმუნებული სოფელ დიდი გომარეთის სამრევლოს ამ უკანასკნელი ხუთიექვსი წლის განმავლობაში არ ჰყოლია მღვდელი. მისი მოვლა-პატრონობა თავს უდებიათ მეზობელი ბერძნის მღვდლებს ალექსი პარასკევიდს და მიხეილ მიხეილოს. გთხოვთ, გაწეული სამსახურისათვის გამოუცხადოთ მადლობა“.[6] უწმიდესმა ამბროსიმ დააკმაყოფილა ეფრემის თხოვნა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი ავტორიტეტი ადგილობრივ ბერძენ მართლმადიდებლებს შორის. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა, ხელი შეეშალა არქიმანდრიტ ეფრემისათვის, მაგრამ იგი მაინც თავის საქმეს აკეთებდა.

1927 წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ არქიმანდრიტი ეფრემი გადმოყვანილ იქნა მცხეთა-თბილისის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. 26 მარტს დროებითი მმართველობის თავმჯდომარის — მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მიერ იგი აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. არქიმანდრიტ ეფრემის კურთხევას სვეტიცხოველში დაესწრნენ: მარგველი ეპისკოპოსი ეარლამი (მახარაძე) და ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი). მღვდელმთავრის უმძიმესი ტვირთის აღება იმ დროს, როდესაც მარტო მცხეთა-თბილისის ეპარქიაში 1927 წელს ოფიციალური მონაცემებით გაძარცვეს თბილისის კუკიის, ვერის წმიდა ნიკოლოზის, მთაწმინდის, აველაბრის, ფერისცვალების ეკლესიები, როდესაც სასულიერო პირები საერთოდ კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებული, გმირობის ტოლფასი იყო.

ფრიად საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ეფრემმა, როდესაც მიიღო მღვდელმთავრის კვერთხი:

„ყოვლად უსამღვდელოესნო მეუფენო, ყოვლად პატიოსანნო მამანო და ძმანო! მესმის ხმა უფლისა. მომწოდებელი ჩემისა უღირსებისა. მშობლიური ეკლესიის სადარაჯოზედ გუშაგად დადგინებისა. მესმის და ეძრწი. წარმოუდგება რა ცხადად თვალთა გონებისა ჩემისათა მთელი სიდიდე მღვდელმთავრობისა, სიძნელე და დაბრკოლებანი, რაიცა მარად სდევს მას და უფრო ეძრწი, ვითვალისწინებ რა უძლურებასა ჩემსა.

მეშინის, ოდეს მოვიხსენებ მღვდელმთავრობას ჩემსა, ჰოი, სულო ჩემო, ამიერიდან სხვათა მიმცემელო მადლისა, მრავალთა უმაღლეს ეკლესიური ნდობა დავალებათა დაჯილდოებულს ძალგიძს დაიცვა თავი შენი, რათა არა შთავარდე პატივსა და მთავრობის მოყვარეობასა.

ამ საპასუხისმგებლო დროს მადლობით მოვიხსენიებ ჩემს კეთილს მყოფელთ მასწავლებელთ, რომელთაც განმიმტკიცეს სიყრმიდან ჩანერგილი სიყვარული ეკლესიისა და საზოგადო საქმისა. მადლობით ვიხსენებ ჩვენს ახლადანთებულ ლამპარს თბილისის უნივერსიტეტის აღმშენებელთ, რომელთა ხელმძღვანელობით მე ვითვისებდი ცოდნას წლების განმავლობაში. მადლობით ვიხსენებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის, რომელმაც მხურვალე სიყვარული და მამობრივი მზრუნველობა გამიწია. მაგრამ ამ ჩემთვის საშინელსა და სანეტარო თემას სიმდაბლით შეგივრდებით და გულმოდგინედ გევედრებით: ოდეს დამდებთ მადლის მიმნიჭებელთა წმიდა ხელთა თქვენთა, თაესსა მისსა უღირსებისა. მხურვალედ აღვავლენთ ლოცვასა, წინაშე მაცხოვრისა, რათა მომანიჭებდეს ნიჭსა ჩემსა ცოდვათა განცდისასა და შემომარტყამდეს ძალსა სულის სიწმიდისა, სიმდაბლისა და მოთმინებისასა. დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მასწავებდეს ჩემსა უღირსებაზე, უძლურებაზე; დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მარად მოჰგვრიდეს თვალთა ჩემთა სინანულისა ცრემლთა დენასა! დღევანდელი ჩვენი ეკლესიის მწვაევე მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს მტკიცე და მაღალ ღირსებით მოსილ მღვდელმთავარს; რათა მისი ხმა არ დარჩეს, ვითარცა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რომ შეძლოს დამშვიდება აღშფოთებულთა, დაანთოს ცეცხლი სიყვარულისა, შექმნას საამისო მდგომარეობა ხელსაწყობად ნაყოფიერი მუშაობისა. მართებს მღვდელმთავარს, რათა ზე იდგეს ამაო პატივმოყვარეობაზე, ხოლო ცხოვრებას ეგზომ მოახმარდეს მაცხოვრის დიდ მოძღვრებას წმიდა სახარებისა და ეგრეეე აქცნდეს ცხოვრების ეგზომ შესაფასებლადაც. ეპისკოპოსის მოვალეობაზე იქადაგოს ჭეშმარიტება, იყოს გონებით ბრძენი და ცხოვრებით უბრალო, იყოს მტკიცე, ბრწყინავდეს საქმენი მისნი. დაე, აღსრულდეს განგება ღვთისა, მორჩილ ვარ, მადლობით მივიღებ და არა რას მცირესა წინააღმდეგობასა ვიტყვი“.[7]

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებაში მოხდა არქიმანდრიტ ეფრემის ეპისკოპოსად კურთხევა. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფი, რომელსაც მხარს ოფიციალური ხელისუფლება უჭერდა, მოვიდა საეკლესიო იერარქიის სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მათ განაცხადეს, რომ ემიჯნებოდნენ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის კურსს, რომელიც შეფასებული იყო, როგორც „ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფ. მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში 1928 წლის 1 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III აღნიშნავდა: „მღვდლებს სრულიად ათახსირებენ, რევოლვერის გულზე დადებითაც კი აშინებენ, ეპისკოპოსებს ნებას არ აძლევენ, ინახულონ ეკლესიები და სწირონ. ზრდიან სასულიერო პირთა საშემოსაველო გადასახადებს... დღეს წარმოებული შევიწროებანი საქართველოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც არ უნდა იყოს სასურველი არავისთვის“.[8] ხელისუფლება საერთოდ არაფერს აკეთებდა სინდისის თავისუფლების ოფიციალური აღიარების მიუხედავად. 1927-28 წლებში მოკლეს კახეთში, სოფ. მატანში მღვდელი ასათიშვილი, გორში მღვდელი აბრამიშვილი, დაანგრიეს ეკლესიები: ძირულაში, ნატანებში, ასკანაში, ჩოჩხათში, კარდენახში; ყარსუბანში საქონელი შერეკეს ეკლესიაში. 1927 წლის 2 ოქტომბერს საკათალიკოსო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოსის ეფრემის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად დანიშვნის შესახებ, ამავე დროს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დებულება ითვალისწინებდა, მას მიტროპოლიტის ხარისხშიც აიყვანდნენ. ეპისკოპოსმა ეფრემმა საკათალიკოსო სინოდისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „მიტროპოლიტობა ეძლევა არა კათედრას, არამედ პიროვნებას ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა, მისი განსაკუთრებული ღვაწლისა და სამსახურის აღსანიშნავად. მე ახლა ვიწყებ საქმიანობას და პირდაპირ მმართველ მღვდელმთავრად დანიშვნა ისედაც რთულ ეპარქიაში, როგორიც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაა, არასწორად მიმაჩნია“.[9] ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ იგი ჯერ იწოდებოდა მანგლელად, შემდეგ ნინოწმინდელად, ხოლო 1927 წლის 17 ოქტომბრიდან ალავერდელად.

ალავერდის ეპარქიაში უმძიმესი ვითარება დახვდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას: სასულიერო პირების დანახვაც კი არ უნდოდათ, ისევ ანგრევდნენ ეკლესიებს, სასულიერო პირებს კი აიძულებდნენ, უარი ეთქვათ ჯვრისწერაზე, ნათლობაზე, მიცვალებულის წესის აგებაზე. ეპისკოპოს ეფრემს უფლებას არ აძლევდნენ, ეწირა ალავერდში. 1929 წლის 5 იანვარს ეპისკოპოსი ეფრემი აიძულეს, დაეტოვებინა ეპარქია და თბილისში ჩამოსულიყო და მრევლის მღვდლობა ეთხოვა რომელიმე ეკლესიაში. 1929 წლის 23 იანვრის კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის მოხსენებიდან ირკვევა: „თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების კრებას თავის მოძღვრად აურჩევია ეპისკოპოსი ეფრემი. სინოდის დაუკითხავად მე ეპისკოპოსს მრევლის მღვდლად ვერ გავამწესებ და ამისათვის ვთხოვ სინოდს, გადაწყვიტოს საკითხი — შეიძლება თუ არა ეპისკოპოს ეფრემს მიეცეს მრევლი. იყოს მხოლოდ მრევლის მღვდლად და მოძღვრად“.[10] საკათალიკოსო სინოდმა შექმნილ ვითარებაში შესაძლებელად მიიჩნია როგორც გამონაკლისი ეპისკოპოსი ეფრემი დაენიშნათ წმ. ბარბარეს ეკლესიის მოძღვრად. მას თანაშემწედ დაუნიშნეს ერთი მღვდელი. ამავე დროს შეუთავსეს ბოდბის ეპარქიის მმართველობაც. 1930 წლის 24 ოქტომბერს ეპისკოპოსი ეფრემი დაინიშნა ურბნისის ეპარქიის დროებით მმართველად, თუმცა კვლავ თბილისში იყო, ჯერ მთაწმინდის ეკლესიის წინამძღვრად, ხოლო 1931 წლის დასაწყისიდან — ნავთლულის ეკლესიის დროებით წინამძღვრად.

1932 წლის 10 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III. 1932 წლის 21 ივნისს მეექვსე საეკლესიო კრებამ ახალ პატრიარქად აირჩია მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე. ეპისკოპოს ეფრემის წინსელაში დიდი იყო კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ღვაწლი... ახალ ვითარებაში პირველ ხანებში მას გაუჭირდა ურთიერთობები... 1932 წლის 13 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა განცხადებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო პლენუმს ურბნის-აწყურის ეპარქიის დროებითი მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ: „დღესდღეობით ვერ ვახერხებ,განვაგრძო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა და ეფიქრობ, არც ეპარქიისთვის არის სასარგებლო დროებითი პატრონი“.[11] ეპისკოპოს ეფრემის ეს განცხადება აღქმული იქნა, როგორც პროტესტი ახალი პატრიარქის მიმართ, ამიტომ საპასუხო ნაბიჯმაც არ დააყოვნა. მას ოფიციალურად ეცნობა: „სინოდის პლენუმის 1932 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით, დამტკიცებულ იქნას ყოვლადსამღვდელო ეფრემი ურბნისის ეპარქიის მმართველად და გორის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად მისადმი რწმუნებულ ეპარქიაში დაბინავებით, არაუგვიანეს ერთი თვისა“.[12] სინოდის ამ გადაწყვეტილებამ ეპისკოპოსი ეფრემი ძალიან გააბრაზა: „მადლობა სინოდს,– წერდა იგი – მაგრამ ჩემთვისაც ხომ უნდა ეკითხათ,შემეძლო თუ არა დღევანდელ პირობებში ამ ტვირთის აწევა; უმორჩილესად გთხოვთ,ორი წლით შეაჩეროთ სინოდის დადგენილება, ვმუშაობ მუზეუმებში და წიგნსაცავებში“.[13] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი კალისტრატე მიუღებლად მიიჩნევდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის თბილისში ყოფნას იმ დროს,როდესაც ეპარქიებში ურთულესი ვითარება იყო შექმნილი. ერთ-ერთ ჩანაწერში იგი გულახდილად წერდა: „ძველად სამღვდელოება იყო ინტელიგენცია,მაღალი შეგნებული,მოწინავე წრე,იგი ხელმძღვანელობდა ხალხის განათლების საქმესაც, გამორჩეული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში... ჩვენ ახლა ხალხს ვესაჭიროებით მხოლოდ საეკლესიო წესების აღსრულებისათვის... მთავარია, როგორმე სიცოცხლე შევინარჩუნოთ, როგორმე ეკლესიები დანგრევას გადავარჩინოთ, როგორმე სარწმუნოება შევინახოთ“.[14] უწმიდესმა კალისტრატემ კატეგორიულად მოსთხოვა ეპისკოპოს ეფრემს ეპარქიაში წასვლა. 1933 წლის 9 ნოემბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა წერილობითი განცხადებით მოითხოვა ეპარქიის დავალებებისაგან სრული განთავისუფლება. „სინოდმა და მისმა უწმიდესობამ ისეთ გარემოებაში ჩამაყენეს, რომ ჩემთვის შეუძლებელი ხდება მღვდელმთავრის მოვალეობის ტვირთის ზიდვა და იძულებული ვხდები,სამსახურზე ხელი ავიღო“.[15] ვითარების ასე გამწვავებას უწმიდესი კალისტრატე არ ელოდა,ამიტომ მან დეკანოზებს ი. მირიანაშვილს და ი. ცქიტიშვილს დაავალა ეპისკოპოს ეფრემის მონახულება და უკმაყოფილების მიზეზთა სრულად გარკვევა. უწმიდეს კალისტრატესათვის შედგენილ მოხსენებით ბარათში ისინი წერდნენ: „ვინახულეთ ეპისკოპოსი ეფრემი და მოვახსენეთ, რომ იგი ვალდებულია, ემორჩილებოდეს თავის უზენაეს ხელისუფლებას და მით საერთო დისციპლინას იცავდეს და სხვას აძლევდეს მაგალითს,როგორც სარკე ეკლესიისა. მან გვიპასუხა,რომ იგი ემორჩილება საკათალიკოსო სინოდის გადაწყვეტილებას,მაგრამ ასეთ პირობებში არანაირი სამსახური არ მინდაო“.[16] უწმიდესმა კალისტრატემ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და დათმობაზე წაიყიდა,მაგრამ ეპისკოპოსმა ეფრემმა განმეორებითი განცხადებით კვლავ მოითხოვა სამსახურიდან სრული განთავისუფლება. 1933 წლის 8 მარტით დათარიღებული რეზოლუციით, უწმიდესმა კალისტრატემ ეპისკოპოსი ეფრემი გაათავისუფლა ეპარქიის მღვდელმთავრის მოვალეობისაგან, მაგრამ, შაბათ-კვირის გარდა, უნდა ეწირა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1934 წლის 25 იანვარს ეპისკოპოსმა ეფრემმა თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს კალისტრატეს: „მსურს,დავათვალიერო ეჩმიაძინის სიძველენი და აგრეთვე პირადად გავეცნო ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულს ქართულ ხელნაწერს, ცნობილ საიათნოვას დავთარს“.[17] მისმა უწმიდესობამ მისცა სათანადო სიგელი ეჩმიაძინში წარსადგენად. სომხეთში ნაყოფიერი იყო მისი შემოქმედებითი მიეალინება, გაეცნო ქართულ ხელნაწერებს;

შეხვდა სომეხთა კათალიკოს ხორენს, რომელიც მანამდე თბილისის სომხურ ეპარქიას ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ეპისკოპოს ეფრემს ეპარქია არ ჰქონდა, მას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდ ანგარიშს უწევდნენ, როგორც ნიჭიერ მღვდელმთავარს, მრევლის თავდადებულ მსახურს. 1936 წელს, როდესაც ქუთაისის ეპარქიაში ვითარება გართულდა სამღვდელოებასა და მმართველ მღვდელმთავარს შორის, სინოდის 1936 წლის 21 მარტის დადგენილებით, ეპისკოპოსი ეფრემი გაიგზავნა ვითარების შესასწავლად და მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

ოფიციალური ხელისუფლებისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ე.წ. „პროგრესული სამღვდელოება", რომელიც თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, აღიარებდა საბჭოთა სისტემის უპირატესობას და „რეაქციული სასულიერო პირები", რომელთა მიმართ ხორციელდებოდა ტოტალური თვალთვალი, დასმენები და რეპრესიები. ეპისკოპოსი ეფრემი ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. 1937 წელს კიდევ ერთმა დაპატიმრებების ტალღამ გადაიარა. 1937 წლის 10 დეკემბერს ეპისკოპოსი ეფრემი დაპატიმრებულ იქნა, როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი, და, „სამეულის" („ტროიკა") გადაწყვეტილებით (მუხლი №58,11), გადაასახლეს ციმბირში. რვა წელი უმძიმეს ფიზიკურ შრომაში გაატარა მან საკონცენტრაციო ბანაკში, მაგრამ თავისი თავდაჭერილობით, მოყვასის სიყვარულით, გაჭირვებულთათვის ნუგეშის მიცემით ყველას პატივისცემა დაიმსახურა. გადასახლების წლების საშინელებებზე საუბარი არ უყვარდა, თუ ვინმე რამეს ჰკითხავდა, ცდილობდა, საუბარი სხვა მიმართულებით წარემართა. უწმიდესი კალისტრატე ბევრს ეცადა მის შველას, მაგრამ უშედეგოდ.

1944 წლის 2 ივლისს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ტაშკენტიდან ეპისკოპოს ეფრემის ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „თქვენო უწმიდესობავ! სიყვარულით მოგესალმებით და გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს. ლაგერიდან მე გამათავისუფლეს 21 ივნისს. ჩემი უკანასკნელი ადგილი ციმბირი იყო. საქართველოში დაბრუნების უფლებას არ მაძლევენ. მითხრეს, საქართველოდან თუ გექნება გაწვევა, მაშინ წახვალო. ახლა თქვენზეა დამოკიდებული ჩემი სამშობლოში დაბრუნება... სად მოეწყობი, არ ვიცი, არც ტაშკენტში მაძლევენ ცხოვრების უფლებას, უსახსროდ ვარ".[18] კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ სასწრაფოდ გაუგზავნა ფული ეპისკოპოს ეფრემს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ აქსენტი რაფავას ოფიციალურად მიმართა: „გთხოვთ, ნება დამრთოთ, გამოვიწვიო თბილისში მშობელი ეკლესიისათვის საჭირო ეფრემ ეპისკოპოსი".[19] ეპისკოპოსი ეფრემი სამშობლოში გამოემგზავრა.

რვა წლის განშორების შემდეგ ეპისკოპოსი ეფრემი თბილისში დაბრუნდა. უწმიდეს კალისტრატეს გაგზავნილი ეტლი თბილისის სადგურში დახვდა ეპისკოპოს ეფრემს. უწმიდესი კალისტრატე თავის რეზიდენციაში სადილზე ელოდა მას. აქვე იყვნენ თბილისის სამღვდელოების წარმომადგენლები, მისი ახლობლები. ეპისკოპოსმა ეფრემმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა... უწმიდესმა კალისტრატემ იგი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად და მწყანე ყვავილის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1945 წლის 12 ივლისს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ასეთი შინაარსის ბრძანება დაწერა: „ვიღებ რა მხედველობაში თქვენს თერამეტი წლის მოღვაწეობას მღვდელმთავრის ხარისხში, მოგიბოძებთ მიტროპოლიტობას".[20] ქუთაისის-გაენათის ეპარქიაში მიტროპოლიტმა ეფრემმა 1953 წლამდე იმსახურა. მის დროს მოწესრიგდა მოწამეთას ეკლესიის შესასვლელი, იგი დაუახლოვდა ქალაქის ინტელიგენციას, ხშირად მოგზაურობდა და აღაელენდა წირვა-ლოცვებს ეპარქიაში მოქმედ ეკლესიებში. ცხოვრობდა პეტრე-პაველეს ეკლესიის მახლობლად. უყვარდა განმარტოებით ყოფნა. ხანდახან უსმენდა კლასიკურ მუსიკას, ხვდებოდა მორწმუნე მრევლს, ახალგაზრდობას ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულს ასწავლიდა.

1953 წელს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი

და უნეტარესი კალისტრატე. პატრიარქი გახდა მოსაყდრედ გამორჩეული ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკ III. უწმიდესი მელქისედეკის ურთიერთობა მიტროპოლიტ ეფრემთან რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1953 წლის 28 მარტს მიტროპოლიტი ეფრემი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით, დაძაბულობა მათ შორის არ ჩამცხრალა. პატრიარქ მელქისედეკს არწმუნებდნენ, რომ იმ მრავალრიცხოვან საჩივართა უკან, რომელიც საერო ხელისუფლებაში იგზავნებოდა, მიტროპოლიტი ეფრემი იდგა. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო და ეკლესიის შიგნით შიდა დაპირისპირებები ისევ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. მელქისედეკ III ასაკოვანი იყო და სერიოზულად ფიქრობდა მემკვიდრეზე. მან საგანგებოდ გამოიძახა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე) და განუცხადა, რომ წერილობითი განკარგულებით მას მოსაყდრედ დატოვებდა. მიტროპოლიტმა ნაომმა მადლობა მოახსენა უწმიდეს მელქისედეკს, მაგრამ უარი განაცხადა მოსაყდრეობაზე. იმ დროს, როდესაც ეფრემი იყო საქართველოს ეკლესიაში პატრიაქის მოსაყდრე ის უნდა გამხდარიყო, მაგრამ მელქისედეკი არ დაეთანხმა მეუფე ნაომის მოსაზრებას, 1956 წლის 29 აგვისტოს მღვდელი ხარიტონ დევდარიანი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა, 1959 წლის 24 იელისს მას მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება, სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება და გამოაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

1953 წლიდან მიტროპოლიტი ეფრემი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელია. ბათუმში მოღვაწეობის დროს იგი შეხვდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ უწმიდეს ალექსანდრე III-ს და ჰქონდა საუბარი საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე.

1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. საგანგებოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, რომელსაც ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი, ბოდბელი მიტროპოლიტი დიმიტრი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი, ურბნელი მიტროპოლიტი დავითი, თეთრიწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი. სინოდის სხდომა გახსნა ბოდბელმა მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (იაშვილი), რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აღარ ჰყავს მეთაური, რომელიც .გამორჩეული იყო როგორც ნიჭით, ასევე სულიერი ცხოვრებით. დღეს ჩვენ უნდა სწორად შევაფასოთ შექმნილი ვითარება და ვიმოქმედოთ ისე, რომ შთამომავლობამ არასოდეს გაიხსენოს საყვედურით 1960 წლის 11 იანვრის სინოდის სხდომა თავისი გადაწყვეტილების გამო. წინადადება შემომაქვს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და მელქისედეკ III-ის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ მიტროპოლიტი ეფრემი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს: მიტროპოლიტმა ნაომმა, ეპისკოპოსმა ზინობმა. ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა ოფიციალური განცხადებით მოხსნა მოსაყდრის ტახტის დაკავების სურვილი. 1960 წლის 19-20 თებერვალს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად აირჩია მიტროპოლიტი ეფრემი, ეფრემ II-ის სახელწოდებით. საგანგებოდ შედგენილი სიგელი იტყობინებოდა: „სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელომან და ყოველთა მორწმუნეთა საქართველოსათა ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღირჩიეს შთაგონებითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაღალყოველად უსამღვდელოესი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი“.[21] 1960 წლის 21 თებერვალს, კვირას, მოხდა მისი აღსაყდრება სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში.

XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა საქართველოში „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა“ იყო გამოცხადებული. არსებული სისტემის სახე კიდევ ერთხელ გამოჩნდა 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის პირდაპირი მითითებით ცეცხლი გაუხსნეს და დახვრიტეს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი. მართალია, ამ დროს პირდაპირ თითქოს აღარ დევნიდნენ სასულიერო პირებს, მაგრამ უშიშროების ორგანოები აერცელებდნენ ჭორებს, ათასგვარ ცილისწამებას მათ მიმართ, რათა საზოგადოებისგან სრულად მოეწყვიტათ, საკუთარ თავში ჩაეკეტათ ეკლესია. კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებში ანტირელიგიურ თემებზე იწერებოდა სტატიები. უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო კურსი იყო ათეიზმი. გაძნელებული იყო ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედება. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა აპარატი უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმიანობაში.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია რომ მძიმე მდგომარეობაში იყო, ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებდა. ამ დროს მოქმედი იყო 5 ეპარქია (7 მღვდელმთავრით), საპატრიარქოში შედიოდა 100 მოქმედი ეკლესია, 2 დედათა და მამათა მონასტერი. 105-მდე სასულიერო პირი. საპატრიარქოს არ ჰქონდა ბეჭდური ორგანო, რეზიდენცია, სასულიერო სასწავლებელი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას არ აღიარებდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა. სახელმწიფოს მიერ ეკლესიები, სასულიერო პირები ისე იყო დაბეგრილი, რომ შემოსავლის 87% სახელმწიფოს მიჰქონდა. მკაცრად კონტროლდებოდა თითოეული სასულიერო პირის საქმიანობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული საპატრიარქო 1923 წლიდან

სახელმწიფო საკუთრებაში იყო. კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია სიონის ეკლესიის გვერდით სულ ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემმა არაერთხელ მიმართა მთავრობას ძველი საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნების, ან ახლის აშენების ნებართვაზე. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დ. შალუტაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ჯერ კიდევ 1960 წელს ვითხოვდით, საპატრიარქოს დაბრუნებოდა ის შენობა, სადაც დღეს რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველოა... თუ ეს ვერ მოხერხდება, გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, ვაკის ან საბურთალოს ტერიტორიაზე გამოგვეყოს ადგილი ორსართულიანი საპატრიარქო რეზიდენციისთვის".[22] მთავრობას ახალი საპატრიარქოს თბილისში აშენებაზე უარი უთქვამს, შალუტაშვილი აცხადებდა, შესაძლებელი იყო ასეთი ნებართვის გაცემა მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. საერთოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

მესვეურებს საერო ხელისუფლებისათვის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის გარეშე ყოველგვარი ურთიერთობა ეკრძალებოდათ. 1963 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ასეთი შინაარსის წერილით მიმართა რელიგიის საქმეთა რწმუნ ებულს დ. შალუტაშვილს: „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევისა, 1960 წლის 8 დეკემბერს განვიზრახე, განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში. ამ ნაბიჯის გადადგმას მავალდებულებდა სინდისი, სარწმუნოება, ჩემი ერის სიყვარული და ამათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლო გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვეცანი რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, მისი სამწუხარო მდგომარეობა კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა. ეს საკითხი დღესაც მძიმე ლოდივით ადგას ქართულ ეკლესიას გულზე და დღესაც საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა. მქონოდა აუდიენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ გიგი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა – რახან არსებობს ეკლესია, მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიც და გამომცემლობაც – ამას ისმენდა ჩემ გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებული ბატონი მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა".[23]

უწმიდესი ეფრემ II გრძნობდა, რომ თუ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ღვთისმსახურთა მოსამზადებელი სასწავლებლის გარეშე, მომავალი არ ჰქონდა. მღვდელ დავით გარსიაშვილის დაკრძალვაზე გულისტკივილით აღნიშნა: „აი, ყველა მოხუცებულები მივდივართ და შემცვლელი აღარაივინ რჩება... რაზე გაურბის ქართველი ერი თავის მშობლიურ ეკლესიას და საყვედურით ეკიდება? განა იმიტომ, რომ ღეაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერისადმი?".[24]

უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის შეუპოვრობამ თავისი შედეგი გამოიღო. ხელისუფლება იძულებული გახდა, 1962 წლის 30 ივლისს გაეცა ნებართვა მცხეთის სამოძღვრო კურსების გახსნის შესახებ. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ სასწავლებლის დირექტორად დანიშნა შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), რომელმაც მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო სემინარიის და აკადემიის მართლმადიდებელი ეკლესიების სასულიერო სასწავლებლების სასწავლო პროგრამების ანალიზის საფუძველზე ახლადგახსნილ სასწავლებელში მაღალ დონეზე დააყენა სასწავლო პროცესი, დისციპლინა. სასწავლებელში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები. 1963 წლის 15 ივლისიდან დაიწყო რა ფუნქციონირება ამ სასწავლებელმა, სულ მალე იგი სასულიერო სემინარიად გადაკეთდა. სასწავლებლის დირექტორი მეუფე ილია სასწავლებლის საკითხებზე ხშირად მიმართავდა უწმიდეს ეფრემ II-ს. საპატრიაქოს არქივში არაერთი ასეთი წერილია დაცული. 1964 წლის 28 დეკემბერს მან პატრიარქ ეფრემ II-ს ასეთი წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოდ ვითხოვთ სტუდენტებს. ხვალ 12 საათზე ვფიქრობთ პეტხაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება თუ ჩამობრძანდებით და

დაესწრებით“.[25] უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II სემინარიის ყველა სტუდენტს პირადად იცნობდა, ინტერესდებოდა თითოეულის საქმიანობით. მცხეთის სასულიერო სემინარიის წარმატებებით ბავშვივით ხარობდა.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასულიერო პირთა და მღვდელმთავართა რაოდენობის გაზრდის საკითხს. ოფიციალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რომელიც ემზადებოდა საქართველოს მასობრივი ათეიზმის ქვეყნად გამოცხადებისათვის, მან 1963 წელს ეპისკოპოსად აკურთხა მოსკოვის სასულიერო აკადემიის წარჩინებული კურსდამთავრებული არქიმანდრიტი ილია, რომელსაც მარტო სასულიერო სასწაულებელი კი არ ჩააბარა, არამედ დაავალა, ემუშაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის. იმ დროს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეზღუდული ჰქონდა საერთაშორისო კონტაქტები. ურთიერთობა შეიძლებოდა რუსეთის და სომხეთის ეკლესიებთან. საზღვარგარეთის მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობა მხოლოდ წერილობითი ხასიათისა იყო. ამიტომ, როდესაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან თბილისში მოვიდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, საქართველოს ეკლესია ოფიციალურად გაწევრიანებულიყო ამ ორგანიზაციაში, უწმიდესმა ეფრემ II-მ 1962 წლის 4 მაისს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში ოფიციალურად განაცხადა თანხმობა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა, საერთაშორისო ტრიბუნა გამოეყენებინა ჩვენი ეკლესიის ინტერესებისათვის. 1963 წელს უწმიდესი ეფრემი გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, როგორც პროფესორი ლუკას ფიშერი აღნიშნავდა, პატრიარქის გამოსვლისათვის განსაზღვრული იყო 40 წუთი, უწმიდესი ეფრემ II სამსაათიანი გამოსვლით წარსდგა მსმენელთა წინაშე. ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ეკლესიის სრული სურათის წარდგენის მცდელობა, თანაც წარმატებული. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II საფრანგეთში, პარიზის მახლობლად – ლევილში – ეწვია ქართველ ემიგრანტებს, მცირე პანაშვიდი გადაუხადა ბოლშევიკური აგრესიის გამო სამშობლოდან გადახვეწილ გარდაცვლილ ქართველ მამულიშვილთ. ქართველი ემიგრანტები 1927 წლის შემდეგ უარს აცხადებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობაზე. ისინი გაღიზიანებული იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის შემდეგ ეკლესიის მიერ საოკუპაციო, ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან „ლოიალობის და თანამშრომლობის“ კურსის აღიარების გამო, მაგრამ საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში ნატანჯ პატრიარქ ეფრემ II-ს გულთბილად შეხვდნენ. ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე მოერიდა უწმიდესი ეფრემის შეწუხებას და მხოლოდ წერილობით მიესალმა მას: „კურთხეულო მღვდელმთავარო!

უფრო კარგი იქნებოდა, მოესულიყავ პარიზში და უშუალოდ მიმეღო თქვენგან დალოცვა. არ ხერხდება, დამრჩენია კალამს მივმართო. ხელი ქვემორე – აღსარებად. ვარ ქრისტეანი – არა მხოლოდ პასპორტით. გასაგებია, რომ უაღრესად მაწუხებს გაჭირვებული ყოფა ჩვენდროინდელი საქრისტეანო სამყაროსი. კრიზისი მისი – მასსშიეცა თვითონ. ვერავითარი ოიცოუმენ-ური კრება უშველის მას, – თუ იგი არ გადახალისდა შინაგან თვისსა. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, მოგახსენოთ აქ ჩემი მოსაზრებანი (მათი მოსმენისას გთხოეთ იცოდეთ, რომ მე არა ვარ არც „ქედმაღალი“ და არც „თავმდაბალი“ – არც ერთი და არც მეორე მიღებული გაგებით).

1. ქრისტეანობა არაა სწავლა ქრისტესი – ეს ქრისტემდეც იყო ცნობილი. იგი: სწავლაა ქრისტეზე. ეეყრდნობი აქ უდიდეს ქრისტეანს: ნეტარ აუგუსტინეს. ყოველი მდგენი რელიგიისა იტყოდა: „ესაა“ ჭეშმარიტება! მხოლოდ ერთმა ქეყანაზე თქვა: „მე“ ვარ ჭეშმარიტება – ქრისტემ (იოანე: 14,6). (გადახვევა, არც თუ ზედმეტი, ასეთი წიგნი, როგორიცაა სახარება იოანესი, ჩვენს პლანეტაზე არ დაწერილა. იოანეს გარე მე გზას ქრისტეს მიმართ ალბათ ვერ ეიპოვნიდი. სახარება მისი გეიხსნის იმასაც: თუ რატომ უყვარდა იგი მაცხოვარს გამორჩეით. რატომ? სწავლა გადაეცემის ნამდვილად

მხოლოდ ამ გზით: მოყვარულისაგან — ყვარებულს).

2. ღმერთი პიროვნებაა, ხოლო ზეინდივიდუალური. ვისაც ორგანო არა აქვს ასეთი წარმოდგენისათვის, იგი ღმერთს წარმოისახავს „ანტროპომორფულ“ ვითარ ვინმეს და: კონსეკვენტურ გადაიქცევა ღმერთის უარმყოფელად!

3. ქრისტე — პიროვნება — ხომ ინდივიდუალურ მოვლინდა?! გონებისათვის ეს საიდუმლო თითქმის აუხსნელია. ამის გამოა: რომ გრწამდეს ღმერთი ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე გრწამდეს ქრისტე. ვთქვი „თითქმის“ — ვინაითგან: თუ ერთხელ განიცადე ქრისტე შინაგან, მაშინ სიძნელე იგი გონებითი მოხსნილია რასაკვირველია, მადლიცაა აქ დამხმარე.

4. ადამიანის შექმნა. ესეც „ანტროპომორფურ“ აქვთ წარმოდგენილი. სრულიად მცდარი შეხედულება! ადამიანის გაჩენა გულისხმობს: ღვთიურ წარმოშობას მისსა. აქ აუცილებელია „თეომორფული“ ხილვა, რომლის მიხედვით, ადამიანი „იმ თავითვე“ მოქცეულია წიაღში ღვთისა. ამ ხილვის გარე აუხსნელი რჩება: როგორც თავისუფლება ადამიანისა, ისე მისი პასუხისმგებლობა!

5. ადამიანი: მონა ღვთისა“. სიტყვა „მონა“ უნდა ამოვარდეს ეკლესიის სიტყვარითმისაგან. ერთხელაცაა ამოვარდება კიდეც — მიხედვით არა მარტო მეოთხე მუხლში თქმულისა, არამედ და უფრო შეგნებით თვითონ ძველი და ახალი აღთქმისა. გავიხსენოთ, იესო უწოდებს თავის თავს „ძე ღვთისა“. იუდეველნი გმობენ ამას. იესო ეუბნება მათ: განა თქვენს საღვთო წერილში არ წერია: „მე ვამბობ: ღმერთები ხართ“? (იოანე: 10,34). ნაგულისხმევია, გაგახსენებთ, თქმული მე-8 ფსალმუნში.

6. პირველცოდვა: შემოჭრა ბოროტისა ყოფაში. მრავალია თეორია ახსნისათვის ამ საიდუმლოსი. არც ერთი მათგანი მართალი არაა. ყოველი მათგანი, ხსნის რა ბოროტის შემოჭრას ყოფაში, ბოლოს მაინც ფაქტის წინაშე დგება: კეთილისა და ბოროტის არსებობისა. ეს საიდუმლო აუხსნელია, ოღონდ იგი პოსტულატია, ურომლისოდაც არც ონტოლოგიაა შესაძლებელი და არც გნოსეოლოგია.

7. ღმერთი — დამსჯელი. დამსჯელი ღმერთი არ შეიძლება იყოს, ღმერთი, თვით იაჰვე, შურისმგებელი კი არაა — მშურველია.

8. ნამდვილი წინამორბედი ქრისტესი არის მოსე. საუკუნეთა განმავლობაში ოთხი — საიდუმლოება — ქვაკუთხედი მისი ქმნილებისა ვერ აუხსნიათ. (შენიშვნა. როცა ამას ვამბობ ხოლმე, იმართება კითხვა-პასუხი. „თქვენ ახსენით?“ „დიაღ, ავხსენით“. „საითგან იცით?“ — „არა უნივერსიტეტებითგან და ბიბლიოთეკებიდან“. „მაშ?“ — „ალბათ მომადლებული მაქვს: ეგულისხმობ ცოდნას“. (Nota Bene: ის ოთხი საიდუმლო თუ ვერ ახსენი, ვერ ახსნი საიდუმლოებას ებრაელთა ყოფისა) შენიშვნა. ამ ყოფის ერთს საიდუმლოს მიუთითა („გადაკრულ“) მოციქულმა პავლემ: რომაელთა: 11, 25. მე ჯერ არ მსმენია: ვინმეს საქრისტეანოში აეხსნას ეს „გადაკრული“).

კურთხეულო მღვდელმთავარო! რასაც აქ ეწერ, ეეუბნები მთელს საქრისტეანოს. შემთხვევა შეძლება, თქვენც გითხრათ: უმაღლესს მწყემსს ქრისტეან ქართველთა. საკვალალოა მხოლოდ, რომ მოკლედ მიხდება გასაუბრება.

მივმართოთ ახალ საქართველოს.

რომელიმე ხალხის ნიჭი განიზომება ამით: თუ როგორ წარმოუსახავს მისს ზეპიროვნულ გენიას მსოფლიო. წარმოსახული მსოფლიო — მოკლედ: „მსოფლხატი“. ქართველოლოგიაში ბევრი რამ კეთდება მნიშვნელოვანი. აქაც: მაქვს ხედვაში ჩვენი ეურნალი. მე ვარ ჯერ კიდევ, ერთადერთი ავტორი, რომელიც აცნაურებს „მსოფლხატს“ ქართველთა. ამ მსოფლხატს მსოფლხატნი ჩვენი დროის ხალხთა ვერ შეედრებიან სიღრმით. (კერძოთ, რუსებს ეურჩევ უკლონ ტრაბახი, თორემ: თუ წაეუყენე მათ მსოფლხატს ჩვენი მსოფლხატი, სასტიკად დამარცხდებიან. ვამბობ ამას, როგორც მოყვარული ჭეშმარიტებისა. „რუსოფობას“ ვერავინ დამწამებს, „ფობია“ უცხოა ჩემთვის საერთოდ. 1919 წელს მე ერთი წიგნაკიც ვუძღვენი რუსეთის მხარეს, რუსულად დაწერილი. „მხარეს“ — პირველი მაგალითი მსოფლიო ლიტერატურაში! 1920 წელს გამოვიდა ჩემი „ჰაიასტან“. სომხებმა იგი თარგმნეს. საინტერესო დეტალი — როგორც ერევანში, ისე პარიზში!).

ქართველთა მსოფლხატებაში – რად ღირს მარტოდ-მარტო ქართული ენა! ენა,რომელიც ასე დაუსახავს მეათე საუკუნეში ერთს ღრმადჩახედულ გონმეტყველ ქართველს: „– რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“ (თუ ყოველი არა – მრავალი უთუოდ!).

ხოლო გული ჩვენი მსოფლხატებისა არის ჯვარი ვაზისა – უდიდესი „რეალსიმბოლო“, რომლის სადარი მთელს საქრისტეანოს არ მოეპოვება. (რა იქნებოდა, დიდ ავგუსტინეს რომ სცოდნოდა მისი არსებობა! მისს აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდა!) როცა ქართველს მამულის დასაცავად ხრმალი ეჭირა, მისი მარჯვენის მაჯისცემას სწორედ ეს გულისცემა ამაგრებდა: ჯვარი ვაზისა.

მე რომ შემეკითხონ: რომელ ნაწარმოებში უფრო გრძნობ ქართველობასო – ვიტყოდი: გიორგი მერჩულეს ძეგლში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. ამით ბევრი რამაა თქმული. სიტყვას აღარ გაეაგრძელებ: ისიც მიეხვედებით, რაა თქმული.

(წაკითხული გექნებათ შესანიშნავი გამოკვლეეა პაელე ინგოროყვასი „გიორგი მერჩულე“. დიდი მარჯია საქართველოსი! წაკითხული გექნებათ აგრეთვე შალვა ნუცუბიძის წიგნი „ისტორია ქართული ფილოსოფიისა“. ეს კი დიდი მარცხია – მარცხი დიდი ნიჭით დაჯილდოებული ავტორისა. მარცხი, დიდად მავნებელი. ჩვენი ჟურნალის მომავალ რეეულში გავარჩევ ამ წიგნს – აუელელებლად, გულდასმით. ამ რაღაც „პანთეისტურ მატერიალიზმისაგან“ – გარწმუნებთ – ნამცეციც აღარ დარჩება). კურთხეულო მღვდელმთავარო!

ღრმად მრწამს: რომ თქვენ პირნათლად შეასრულებთ განგებისაგან რგუნებულ საქმეს. ისე, როგორც ამას ასრულებდნენ საუკუნოებში ჩვენნი მღვდელმთავარნი, რომელნიც აგრეთვე დიდნი მამულისშვილნიც იყვნენ.

პირადი თხოვნა. თქვენ ალბათ ბევრად უმცროსი ხართ ჩემზე – კალენდარით. ასე რომ: მე თქვენზე უფრო ადრე გარდამავალ სამარადისოში. გაიგებთ ჩემს გარდაცვალებას – გადამიხდით პანაშვიდს.

იყავით ნათელმოსილ და მზეგრძელ!

გემთხვევით მარჯვენაზე, რომლისაგან დალოცვას ვიღებ წარმოსახვით.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე“.

1964 წელს კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა ფორუმზე შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ილია შიოლაშვილმა დააფიქსირა საქართველოს ეკლესიისადმი მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთგვარი უპატივცემულობა. ისინი ოფიციალურად არ ცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ეპისკოპოსმა ილიამ მიზნად დაისახა ისტორიული წყაროების, საეკლესიო ტრადიციების, ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით დამაჯერებელი არგუმენტებით დაესაბუთებინა ყველასათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის კანონიერება. ეს ბრძოლა გაგრძელდა 27 წელიწადი. 1990 წელს შემოქმედელ ეპისკოპოს ილიას აწ უკვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაუცხრომელი საქმიანობის შედეგად მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით 1965 წელს ეპისკოპოსად ეკურთხა რომანოზ პეტრიაშვილი, რომელიც სხვადასხვა დროს განაგებდა ბათუმ-შემოქმედის, ჰყონდიდის, ალავერდის, ბოდბის, ცხუმ-აფხაზეთის, ქუთაისის ეპარქიებს. იგი იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის ვასილ პეტრიაშვილის ძმისშვილი. აღესრულა 1979 წელს 92 წლის ასაკში. 1972 წელს არქიმანდრიტი გაიოზ კერატიშვილი,რომელიც ერთხანს იყო კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, წილკნელი და ურბნელი მიტროპოლიტი.

პატრიარქს განსაკუთრებული თბილი მამა-შვილური ურთიერთობა ჰქონდა მეუფე ილიასთან, „ჩემო მეუფეო“ ასე მიმართავდა წერილებში. „მცხეთაში ვიყავი, მაგრამ ვერ გნახე სახლის ტელეფონზე ვრეკავდი, არ პასუხობდი, ხომ მშვიდობით ხარ მეუფეო?- თქვენი ეფრემი“. 1967 წლიდან მეუფე ილიას ჩააბარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე რთული – ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ახალგაზრდა მღვდელმთავარს

ყველანაირად ხელს უწყობდა, 1969 წელს იგი აიყვანა მიტროპოლიტის ხარისხში.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II კარგად გრძნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო კავშირების აუცილებლობას. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მხოლოდ თანასწორუფლებიანი ურთიერთობის აუცილებლობას. 1960-1972 წლებში მან არაერთხელ იმოგზაურა მოსკოვში, თბილისში სტუმრობდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I.

პატრიარქ ეფრემ II-ს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან. თბილისში არაერთხელ მოიწვია სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. თვითონაც იყო საპასუხო ვიზიტით სომხეთში. წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქ ათინაგორასთან, იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტე I-თან. თუმცა საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, ვერ შედგა.

პატრიარქი და შიდასაეკლესიო პრობლემები

უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს ურთულეს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა. ცნობილი კრიტიკოსისა და მწერლის იპოლიტე ვართაგავასათვის გაგზავნილ ერთ პირად წერილში ეფრემ II გულახდილად აღნიშნავდა: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დაიწერ, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია. შეიძლება გულშემატკივარნი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მომქმედთ ვერა ვხედავ. მიუხედავად ასეთი მძიმე გარემოებისა, მაინც მოხერხდა მცხეთაში დამეარსებინა სამოძღვრო ორწლიანი კურსები ეპისკოპოს გაბრიელის სახელობის, გამომეცა გიორგი მთაწმინდელის ნახელაური ოთხთაური, ეპისტოლური და იოანეს გამოცხადება, ლოცვანი, ქართველ წმინდანთა სურათები, ხატები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი ყოველწლიური. მე მჯერა, ცხოვრება დაწყნარდება, მაშინ ეკლესია საპატიო ადგილს დაიჭერს ცხოვრების სინამდვილეში“.[27] ამ რწმენით მოქმედებდა მისი უწმიდესობა, როდესაც მთავრობის თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს მიმართავდა და ითხოვდა სასულიერო ჟურნალის გამოცემის ნებართვას, ეკლესიების ამოქმედებას ბორჯომში, ცხინვალში, ზესტაფონსა და საჩხერეში. იგი დაუფარავად აცხადებდა: დღეანდელი საქართველოს ეკლესია ისეა შევიწროებული, რომ უფრო ქაღალდზეა, ვიდრე სინამდვილეში. ეკლესიის გახსნა უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ავიწროებდნენ ეკლესიის გახსნის მოსურნეთა ოჯახებს. 1960 წელს გორის მორწმუნე ქართველობამ ოფიციალური განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს: „სხვა რომ არა იყოს, გვრცხვენია — წერდნენ ისინი — თუ გორში არ შეიძლება ეკლესიის გახსნა, მაშინ სხვა რაიონებში რატომ არის. მარტო თბილისში ოცი მოქმედი ეკლესიაა, თუ თბილისელებს არ უნდათ, დაკარგონ ქართული ადათ-წესები ჩვენ რატომ უნდა დავიეიწყოთ? სულ ერთია, მამაპაპისეულ ძველ წესებს არ დავეკარგავთ, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, ნუ გვაწვალებთ, მოგვეციით ერთი ეკლესია, ჩვენ ავაშენებთ. ადგილობრივმა მთავრობამ შეგვაშინა, ვისაც ხელი გექონდა მოწერილი, იცოდეთ პენსიას მოგიხსნით, სამსახურებიდან გაგრეცავთ, რამ მოგაგონათ ეკლესიის გახსნა — კომუნიზმში შევდივართო. როცა შეეალთ კომუნიზმში და ყველგან დაიკეტება ეკლესიები, აქაც დაკეტონ ეკლესიები, ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო“.[28] უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მიმართა მთავრობას: „ვთხოვთ, გორელების სასარგებლოდ გადადგათ ნაბიჯი. ამით, გარწმუნებთ არაფერი არაა არაფერი დაკლდება რა, ხოლო ხალხის გულს მოვიგებთ, განა ეჭვია იმაში, რომ მრავალათასიან ქალაქში მორწმუნენი მრავლად არიან და სრულდება რელიგიური წესები“.[29] მაგრამ ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა. რელიგიის რწმუნებულმა მექვაბიშვილმა საიდუმლო წერილი გაგზავნა გორის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან: „მოქალაქე ფრანგიშვილი სისტემატიურად წერს განცხადებებს ხელმძღვანელი ამხანაგების სახელზე; დაჟინებით მოითხოვს, რომ ქ. გორში განთავისუფლდეს ყოფილი ეკლესიის შენობა და მასში გახსნილ იქნას მოქმედი ეკლესია. იგი დადის მოსახლეობაში და აწარმოებს პროპაგანდას ეკლესიის გახსნის სასარგებლოდ, ამისათვის საჭიროა, ფრანგიშვილთან და მის ჯგუფთან აწარმოოთ განსაკუთრებული გასაუბრება, რათა მან შეწყვიტოს ეკლესიის გახსნის საკითხზე პროპაგანდა და ხელმოწერების შეგროვება“.[30] გასაუბრება იყო მუქარა, დაშინება. საბჭოთა კავშირის მაშინდელი პოლიტიკური ლიდერის ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით, საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაიწყო ეკლესია-მონასტრების დახურვის ახალი კამპანია. 1963 წელს უწმიდესი ეფრემ II გამოიძახეს საერო ხელისუფლებაში და მოსთხოვეს ერთი ან რამდენიმე ეკლესიის დახურვა. ამ მხრივ ყველაზე სასურველად მთაწმინდის ეკლესია მიაჩნდათ. პატრიარქი ფეხზე წამომდგარა და უთქვამს: თუ თქვენ მთაწმინდის ეკლესიას დახურაეთ, მე თავს მოვიკლავ და მიზეზად ამ ფაქტს

დავიბარებო. არც დამშეიდობებია მათ ისე დაუტოვებია იქაურობა...

რელიგიის საქმეთა რწმუნებული დ. შალუტაშვილი აღშფოთებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე წმინდა ადგილებში მორწმუნეთა სიმრავლის გამო. მისი აზრით, აუცილებელი იყო „კამანის მონასტერთან მიმავალი გზის ჩაკეტვა,რაც წმინდა წყალთან მორწმუნეთა მისვლას გააძნელებს. იქ თუ ღორების ფერმა აშენდება, კარგი საბანაო იქნება ცხოველებისათვის და ადამიანები წყალში აღარ შევლენ განსაკურნებლადო“.[31] კითხულობ ამ სტრიქონებს და არ გინდა დაიჯერო,რომ ადამიანები ასე აზროვნებდნენ. ეს იყო გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სამწუხარო რეალობა.

ეპარქიებში შექმნილ რთულ ვითარებაზე საინტერესოა ალაევრდელი ეპისკოპოსის დავით ბურდილაძის 1962 წლის 7 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის მიმართ. „დღესასწაულის დროს (ალაევრდობაზე) შემოვიდა ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარე მაღლაკელიძე პოლიციელებით და შეტეჟით მომმართეს,თუ როგორ გავბედე ალაევრდში მისვლა და ეკლესიაში შესვლა. როდესაც მე ვუპასუხე, რომ მე ალაევრდის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს ამ ტაძარში საღმრთო ვედრების შესრულებაო,ამაზე დაცინვით მიპასუხეს — ვინ ეპისკოპოსი ხარ, აბა საბუთი წარმოგვიდგინეო. აქ მექვაბიშვილმა დაგვინიშნა მღვდელი კუკუნაშვილი და სხვას არაფერი ესაქმებაო... მოკლედ,შეგეექმნა ცხარე კამათი, დამემუქრნენ — დაგაპატიმრებთო, დამაპატიმრეთმეთქი. მათ უნდოდათ, ლოცვა შემეწყვიტა და, მათი ბრძანებით, ეკლესიიდან გავსულიყავი; როდესაც ამას ვერ მიაღწიეს, მაღლაკელიძემ მითხრა — შენს მოხუცებულობას ვცემთ პატივს, წირვას რომ დაამთავრებთ, აქედან სასწრაფოდ წადიო“.[32] ამაზე დიდი უბედურება რა უნდა ყოფილიყო, ალაევრდელ მღვდელმთავარს ედაებოდნენ — როგორ გაბედე ალაევრდობაზე მოსვლაო. ალაევრდის ტაძარი ხელისუფლებისათვის იყო კულტურის ძეგლი, სხვა ფუნქცია თუ ჰქონდა, მათ ეს არ აინტერესებდათ. 1970 წლის 20 იელისს ალაევრდელი ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი ეფრემ II-ს ატყობინებდა „კულტურის მინისტრმა თაქთაქიშვილმა ტაძარში ცეკვა-თამაში მოაწყობინა. მე გაკვირვებული ვარ და მწყინს,რომ ამ ამბის მომწყობია კულტურის მინისტრი. ასე მასხრად აგდება ძველი ისტორიული სიწმინდისა, რომლის ტრაპეზქვეშ განისვენებენ იოსებ ალაევრდელი, წმ. ქეთევან დედოფალი, წარმოუდგენელია“.[33]

ხშირი იყო შემთხვევები ეკლესია-მონასტრების ძარცვისა. ამის შესახებ უწმიდესსა და უნეტარესს ატყობინებდნენ ქუთათელი მიტროპოლიტი ნაომი შავიანიძე, სამების ეკლესიის დეკანოზი ლევან ტლაშაძე. ოფიციალური ხელისუფლება სასულიერო პირებს დიდ საშემოსავლო გადასახადებს ახდევინებდა. საბჭოთა კავშირში სასულიერო პირების დაბეგვრის ერთიანი სისტემა იყო. არ ითვალისწინებდნენ მცირე და დიდშემოსავლიან ეკლესიათა თავისებურებებს. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II აცხადებდა, რომ სასულიერო პირების საშემოსავლო გადასახადის მე-19 მუხლით დაბეგვრა ისე გამოიყურებოდა,როგორც გასანთლული თოკის ყულფი მძიმე დამნაშავის ყელის მიმართ. რელიგიის საქმეთა რწმუნებული ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს „გთხოვთ, დააეალდებულოთ პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე, საშემოსავლო დავალიანება დაფაროს უყოყმანოდ. ამასთანავე აიძულოთ ყველა ურჩი მღვდელმსახური, სასწრაფოდ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადები“.[34] პროტოდიაკონი ამბროსი აღწერს რა თავის გასაჭირს, სთხოვს ეფრემ II-ს დახმარებას: „მე ნახევრად მშიერი დავდივარ ჩასაცმელის გარეშე, ფულიც არ მაქვს,რით გადავიხადო გადასახადი?“[35] გამორჩეული ხმის,ღვთისმსახურების უბადლო მცოდნე პროტოდიაკონი ამბროსი სულ დევნა-შევიწროებაში იყო. ერთხელ მან რესპუბლიკის პროკურორ ბერძენიშვილთან შეხვედრისას მოითხოვა გადასახლებამდე მის საკუთრებაში არსებული ქონების დაბრუნება, რაზედაც პროკურორმა უპასუხა, მღვდელი და კანონი ვის გაუგიაო. როდესაც ეს ეფრემ II-მ გაიგო, პროტოდიაკონთან ერთად შეხვდა რესპუბლიკის პროკურორს და მკაცრად მოსთხოვა, გაემეორებინა ის, რაც პროტოდიაკონს უთხრა... რესპუბლიკის პროკურორი არ ელოდა მოველენების

ასეთ განვითარებას და ბოდიში მოიხადა. თუმცა, ეს არ შეელოდა ამბროსი ახობაძის გაჭირვებას. ამდენმა დევნა-შევიწროებამ, უსახსრობამ, იგი აიძულა, 1970 წლის 1 იანვარს ასეთი შინაარსის განცხადებით მიემართა უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ისათვის: „ვისაც მე ვახსოვარ დაპატიმრებამდე და გადასახლებამდე, მას თვალწინ წარმოუდგება პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე ჯანსაღი და ჩვენი წმინდა ტაძრის მშვენება. დიახ, ეს მე გახლავართ: 1937 წლის დაპატიმრებამ, რეპრესიებმა შეარყიეს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა... გთხოვთ, გადამიყვანოთ პენსიაზე". უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი მატერიალურად ეხმარებოდა მას, უმსუბუქებდა მძიმე მდგომარეობას. მაგრამ პატრიარქსაც უჭირდა. ამის დასტურია მისი წერილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის გ. ჯავახიშვილისადმი. „ჩემი შემოსაყალი დადგენილია არასწორად – წერდა იგი – ამიტომ ვთხოვ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დაგვდოს პატივი, ჩაერიოს ჩვენს საქმეში, გაეცნოს მას, ბრძანოს თავისი ავტორიტეტიანი და სამართლიანი სიტყვა, რაც, უეჭველია, ნათელს მოჰფენს საკითხის ბუნდოვან მხარეს და მით მოეღება ბოლო გაუგებრობას, რასაც არ ეიღებ, არ უნდა მომეთხოვოს, რაც არ მეძლევა – არც გამომერთვას".[37] პატრიარქისთვის თუ იყო პრობლემა საშემოსავლო გადასახადის გადახდა, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ რიგითი სასულიერო პირები. უწმიდესმა ეფრემმა 1963 წლის 8 ნოემბერს მიმართა ფინანსთა მინისტრს: „საკათალიკოსოს სამეურნეო ნაწილის გამგე, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია განთავისუფლდა სამსახურიდან იმის გამო, რომ ვეღარ გაუძლო მე-19 მუხლით დაბეგვრას. არავის აღარ უნდა მუშაობა... დღეს არც მდივანი მყავს, არც სამეურნეო ნაწილის გამგე, არც მძღოლი. ასე რომ საპატრიარქო ისე გამოიყურება, თითქოს ლიკვიდაცია ქმნილ იყვეს".[38] რელიგიის საქმეთა რწმუნებული მკაცრად აკონტროლებდა სასულიერო პირთა საქმიანობას და თუ არ მოეწონებოდა იგი კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვდა პასუხს. 1970 წლის 13 იანვარს რწმუნებულმა დ. შალუტაშვილმა უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „ჩემს განკარგულებაში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს ნებართვის გარეშე რელიგიური საზოგადოებები კულტის მსახურთა მითითებით არემონტებენ და აფართოებენ ეკლესიის შენობებს. ასეთი სამუშაოები ჩატარდა 1969 წ. სოხუმისა და გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის ეკლესიებში. განვმარტავ, რომ მოქმედი კანონმდებლობით კულტის მსახურებს არ აქვთ უფლება, ჩაერიონ რელიგიური საზოგადოებების სამეურნეო და ფინანსურ საკითხებში. მათი უფლებები განისაზღვრება მხოლოდ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებით".[39] ასეთი მკაცრი ზეწოლის პირობებში უხდებოდა პატრიარქს თავისი საქმიანობა. პატრიარქს არ უშვებდნენ უცხოეთის ქვეყნებში, უარი უთხრეს ბუქარესტში რუმინეთის პატრიარქ იუსტინეს 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე. თითოეული სასულიერო პირის კურთხევა დიდი ბრძოლისა და ხელისუფლებასთან დაპირისპირების ფონზე ხდებოდა. პატრიარქის გადაადგილებაც კი სამწყსოში ხელისუფლების მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

1968 წლის „საეკლესიო ამბოხის“ დეტალები *

კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის წინააღმდეგ XX საუკუნის 60-იან წლებში ხელისუფლების წაქეზებით მოეწყო შეთქმულება. 1968 წლის იენისში ბენედიქტე ჯალალაძემ და ალექსანდრე ქათამაძემ მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილეს არქიმანდრიტ პართენ აფციაურს ასეთი შინაარსის განცხადებით მიმართეს: „თქვენო მაღალღირსებავ,არქიმანდრიტის ხარისხი ბერად აღკეცის უფლებით გმოსავთ. ჩვენი მორიგი კრების გადაწყვეტილება გთხოვს (ამაღე დროს მოითხოვს თქვენგან), ბერად აღკეცოთ მსურველნი: ბენედიქტე ჯალალონია და ალექსანდრე ქათამაძე. პატრიარქ ეფრემ II-ის მაენებლური ცდა – მოსპოს შავი სამღვდელოება (ბერობა-ეპისკოპოსობა) და აქედან ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო ტაძრის მრეველს და ოცეულს ხსენებულ აღსაკეცებთან ერთად დაგეგმია... შემთხვევით ინტრონიზებულის სიტყვიერ მუქარას, ხსენებულ პირთა აღკეცის შემთხვევაში განკვეთით რომ გეემუქრება, ჩვენ ვუგებთ პასუხს“. განცხადებას თან ერთვის ვინმე ნინა იორამაშვილის, სვეტიცხოვლის ოცეულის წევრების: ალიბეგაშვილის, მაკარიძის, მრეველიშვილის და სხვათა ხელმოწერები (სულ 200-მდე). ამ განცხადების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ შეთქმულნი არად დაგიდევდნენ საეკლესიო კანონიკას. უფრო მეტიც, ბენედიქტე ჯალალონიამ შეადგინა ახალი „დოკუმენტი“ „კანონიზებული ხელდამსხმელი და ხელდასასხმელი“,რომელშიც შეეცადა,დაესაბუთებინა შეთქმულთა მოქმედების კანონიერება. აი, რას წერდა იგი: „კანონიზაციის გზით კალენდარში მოწამის, ან წმიდანის, ან ღირსის პატივშესრული მღვდელმთავარი, რომელსაც გარდაცვალებამდე უფლება ჰქონდა,თანახმად მოციქულთა დადგენილების პირველი დებულებისა, რომ ერთ ან ორ ეპისკოპოსთან ერთად თანამონაწილე ყოფილიყო ღირსეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანისა,გარდაცვალების შემდეგ,მაგრამ მხოლოდ კანონიზაციის შემდეგ,ღებულობს მადლს,თანასწორს მოციქულისა ათორმეტთაგანისა და აიყვანს რჩეულს ყველა სამღვდელო ხარისხში (დიაკონი მღვდლისა,ეპისკოპოსისა) იქ, სადაც ქვეყნის გულს აბარია ეს კანონიზებული. თუ კანონიზებული მოციქულია, გარდაცვალებამდელი უფლებები არ ეცვლება, იგივე უფლებებს ინარჩუნებს განურჩეველად სქესისა (მაგ. წმ. ნინო მესხი), რა უფლებებითაც იყო მოსილი გარდაცვალებამდე და კანონიზებულ ხელდამსხმელთა შორის უპირატესობა ეძლევა ხელდასხმისას. კანონიზებულის მიერ დიაკონის, მღვდლის ან ეპისკოპოსის ხარისხში აღყვანილი კანონიერ მოძღვრად მისაღებია თუ 1. ხელდასხმა მოხდება იქ, სადაც კანონიზებული განისვენებს; 2. თუ ხელდამსხმელის და ხელდასასხმელის ეროვნება ერთია; 3. საპატრიარქო-კათედრალური ტაძრის (ჩვენს სინამდვილეში „სვეტიცხოველის“) მრეველი ხელდასხმის ღირსად სცნობს სადიაკონოდ, სამღვდლოდ ან საეპისკოპოსოდ არჩეულს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ხელდასხმის აქტში უფლებრივ. რადგანადაც უხილავად ახდენს კანონიზებული ან მოწამე, ან წმიდანი, ან ღირსი ხელდასხმას, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, საკანდიდატოს თუ ვინ შეუსრულებს კურთხევისათვის დადგენილ ტიპიკონს ჟამის წირვისას, ლოცვა-კურთხევის მიმღები თუ მომღები, ე.ი. ის, ვინც ხელდასასხმელის მორჩილია, თუ ის, ვისი მორჩილიც თვითონ არის, თუ ის, ვისიც თანატოლია ხარისხით. ჰყავს თუ არა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას კანონიზებული ხელდამსხმელები? ქართული კალენდარი სავსეა კანონიზებული ხელდამსხმელებით,მაგრამ აქ კალენდარულ ჩამოთვლას არასაჭიროდ ვცნობ, ვასახელებ მხოლოდ სამს: წმ. ნინო მესხი (IV ს), ისე წილკნელი (VI ს), ანტონ ჭყონდიდელი (XVIII ს), ამ სამი კანონიზებულიდან პირველი მოციქულია, ორი სხვა რიგითი მღვდელმთავრები. საპატრიარქო კათედრალური ტაძრის მრეველი,ავტოკეფალური ეკლესიის მრეველის ძირითადი ბირთვია, ხერხემალია და მხოლოდ იგივეა

* მასალები ინახება მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) არქივში

სრულუფლებიანი, კანონიზებულ ხელდამსხმელებს მიმართოს ხელდასხმისათვის, როცა ამას მოითხოვს აუცილებლობა. და ასეთი აუცილებლობის წინაშე დგება დღეს ქართული სამოციქულო ეკლესია, მისი მრევლის ხერხემალი. თავისთავად ცხადია, საპატრიარქო-კათედრალური ტაძრის მრევლის სურვილი – მოიყვანოს აუცილებლობა სისრულეში, მოახდინოს კანონიზებულის წინაშე არჩეულის ხელდასხმა – ლოცვა-კურთხევას არ გამოითხოვს პირველი მამამთავრისგან და ეპარქიალური ეპისკოპოსებისგან. კანონიზებულისაგან (მოციქულისაგან) ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილს, მოციქულთა დადგენილებანის პირველი დებულების გათვალისწინებით ნაკურთხის (ე.ი. რიგითი მღვდელმთავრებისგან ნაკურთხის) წინაშე აქვს შემდეგი უპირატესობანი: 1. იყვანს ეპისკოპოსის ხარისხში ერთიც (გარეშე თანამონაწილისა ან თანამონაწილეებისა) შემდეგ ადგილებში: სადაც მიუღია ხელდასხმა მოციქულისგან მღვდელმთავრის ხარისხში, კვართსაუფლო ტაძარში, და ყველგან, სადაც სანახად განისვენებენ კანონიზებული ხელდამსხმელები; 2. მოიხსენიება პირველი მამათმთავრის შემდეგ პირველი, უწინარეს მიტროპოლიტისა, კვართსაუფლო ტაძარში და იქ, სადაც მოციქულისაგან იქნა ხელდასხმული. აუცილებლობა ითხოვს კანონიზებულისაგან ღირსეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანას და კრებამ გადაწყვიტა: ბენედიქტე ჯალაღონია ეკურთხოს „ქართველთა მეანდიეს“ მონასტერში „ხელსა ქუეშე წმინდისა ნინოსისა“. მცხეთა-თბილისის ეპარქია, 1920 წლის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოდ ითვლება. შეთქმულებმა 1968 წლის 12 ივნისს მოწვეულ კრებაზე დაადგინეს: „1920 წლის 27 ივნისის ქართული საეკლესიო კრების 1917 წლიდან რიგით მეორე კრების გადაწყვეტილება მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების შესახებ მიღებული და სისრულეში მოყვანილი გაუქმებულად გამოცხადდა, ვინაიდან: 1. მცხეთაა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის რელიგიური ცენტრი და არა თბილისი; 2. „სვეტიცხოველია“ საპატრიარქო ტაძარი და არა სიონი; 3. „სვეტიცხოველში“ ტარდება დიდი რელიგიურ-ეროვნული დღესასწაული მცხეთობა, კვართობა, ღვთისმშობლის საფარველი და არა სიონში; 4. ეპარქიათა შორის მცხეთის ეპარქიაა მთავარი ეპარქია; 5. „სვეტიცხოველშია“ წმ. კვართი (საქართველოს უმთავრესი სიწმიდე – თ. ჟორდანია) ანუ „საქართველოს ცხელი გული“ ლ. ასა თიანი); 6. პატრიარქის რეზიდენციის მცხეთიდან თბილისში გადატანამ გამოიწვია სვეტიცხოვლის ა.) რიგითად გატაძრება; ბ.) სიონში გადაინაცვლა წმ. მირონის მოხარშვაკურთხევის ადგილმა; გ.) გარდასვლა და დარღვევა „კანონთა მათ საქართველოისა ეკლესიისათა, ნეტართა მამამთავართა და მღვდელმთავართა დიდებულთა, რომელ არს თვინიერ მცხეთ ისა დიდისა სამოციქულოისა ეკლესიისა ყოვლითურთ დაყენებულ არს ხელდასხმაი მღვდელმთავრობითი სხუასა ეკლესიასა შინა“; დ.) გამოიწვია გაძარცვაც კი: მამათმთავრებმა სიონში გაიტაცეს სვეტიცხოველის კუთვნილი სამღვდელო და სამღვდელმთაერო შესამოსელები და ბოლოს, ეფრემ II-ც არ ჩამორჩა: ტაძარს წაართვა საწიგნობელი“. თითქოსდა ამის გამო 1968 წლის 12 ივნისს მოწვეული კრების წინაშე ბენედიქტე ჯალაღონიამ, ალექსანდრე ქათამაძემ და ნინო იორამაშვილმა წამოაყენეს წინადადება ბენედიქტე ჯალაღონიას მღვდელმთავრად არჩევის შესახებ. „კრებამ“ დაადგინა: აღყვანილ იქნას მღვდელმთაერის ხარისხში ბენედიქტე ჯალაღონია პატივით საპატრიარქო კვართსაუფლო „სვეტიცხოველის“ წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი“. „კრების“ დადგენილებას ხელს აწერს 400-ზე მეტი საერო პირი. შენიშვნაში მითითებულია ეპისკოპოსის ხარისხში აყვანამდე – 8 ივლისამდე ბენედიქტე ჯალაღონია უნდა იქნას აღკვეცილი ბერად არქიმანდრიტების – პართენისა და კონსტანტინეს მიერ. 1968 წლის 12 ივნისს „სვეტიცხოველის“ საპატრიარქო ტაძარში გამართული „კრების“ მიერ მიღებული ოქმი იმდენად აბსურდულია, რომ მასზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს, მაგრამ საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს იგი, ამიტომ უცვლელად მოგვაქვს მისი შინაარსი: მცხეთის საპატრიარქო-კათედრალური ტაძრის „სვეტიცხოვლის“ მრევლის, საქართველოს

ცალკეული ეპარქიებიდან მორწმუნეთა საზოგადოების მიერ წარმოგზავნილების კრება მცხეთაში, „სვეტიცხოველის“ ტაძარში 1968 წლის 12 ივნისს გახსნილად გამოცხადდა. კრებას პრეზიდიუმის თავმჯდომარე არ აურჩევია — მიიღო ა. ქათამაძის წინადადება: კრებას უწინამძღვროს თვით „სვეტიცხოველმა“. არჩეული იქნა პრეზიდიუმში წევრებად: ბ. ჯალაღონია, ა. ქათამაძე, ჩუბინიძე, თვალაძე, ჯოხია, კაჭარავა, სარეეიზიო კომისიის წევრი თ. თეთრაძე. მდივნად არჩეული იქნა მედავითნე ნ. იორამაშვილი. კრების განსახილველად გადაეცა ბ. ჯალაღონიას,ა. ქათამაძის და ნ. იორამაშვილის წინადადება: ჩინებულთა შორის რჩეულის „ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ „ქართველთა მეანდრიეს“ მონასტერში მღვდელმთავრის ხარისხში აღყვანის შესახებ. სანამ კრება შეუდგებოდა საკითხის განხილვას, ბ. ჯა ლაღონიამ მორწმუნეთა საზოგადოებისაგან შემდგარი კრების წევრებს — მაგრამ, როგორც საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს — შეახსენა 1924 წლის 24 თებერვლის ქართული ინსტრუქციის შინაარსი — 1923 წ. 19 ივნისის რუსული ინსტრუქციით — რომ ეკლესია — სახლში კრების მოწვევა დაშვებულია, თუ მას ექნება რელიგიური ხასიათი და მიუთითა: ГидуляновП.В. „Отделениецерквиотгосуда рствавСССР“, издание 3-е, 1926 г.; მოხსენებით „კანონიზებული ხელდამსხმელი და ხელდასასხმელი“ გამოვიდა ბ. ჯალაღონია. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

კითხვა: შეუძლია მდედრობითი სქესის მექონს კურთხევა? პასუხი: ა. ქათამაძემ ზეპირ ჩაუკითხა გალ. 3, 28.

კითხვა: რომელიმე საიდუმლო თუ შეუსრულებია წმ. ნინოს გარდაცვალებამდე?

პასუხი: (ბენედიქტესი) გავიხსენოთ ზუსტად „ნათელს იღო მეფემან ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა ხელსა ქუეშე მათ მღვდელთასა...“ (საქ. სამოთხე. გვ. 143). აქედან ჩანს,რომ წმიდა ნინომ შეასრულა ერთი საიდუმლოთაგანი — ნათლისღება.

კითხვა: „ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ ვის ესმოდა წარსულში თქვენებური გაგებით?

პასუხი: (ბენედიქტესი) სალომე უჯარმელს, მიხეილ საბინაშვილს, მღვდელმთავარ ნიკოლოზ ტფილელს, შიომღვიმის აღმდგენელს ეპისკოპოს ალექსანდრეს, სასულიერო მხატვ რებს და საერთოდ ქართულ ეკლესიას. აი წმიდა ნინოს ხატი (ხატს წარმოადგენს) მ. საბინაშვილის შესრულებული. ამ ხატში წმიდანი არის ოლარით. რისი სიმბოლოა ოლარი? იმისი, რომ მის მქონეში მადლია ღვთისა დიდი მსხვერპლის შესაწირავი. ამ ხატის შექმნა მხატვარს უკარნახა სიტყვებმა „ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ და ქართული ეკლესიის ძველმა სამხატვრო ტრადიციამ. საყურადღებოა,საბინაშვილისეული ხატი — წმ. ნინო ოლარით — აკურთხა ქართულმა ეკლესიამ! შიომღვიმეში ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ მოწვეულმა მხატვარმა პირველის ლოცვა-კურთხევით გაიმეორა საბინაშვილისეული.

კითხვა: არის მოღწეული ცნობები,რომ წმიდა ნინო მდგარა წმიდა ტრაპეზის წინაშე?

პასუხი: ა. ქათამაძე წარმოადგენს ხატს და აი ხატი, სადაც წმიდანს ხელში უპყრია სატრაპეზო სახარება... იგივე კითხვაზე ბენედიქტე შენიშნავს: წმიდა ნინო თვითონ იყო წმიდა ტრაპეზი. მიღებულია წმ. ნინოს სამღვდელმთავრო პანაღია.

კითხვა: თუ მომხდარა ხელდასხმა ხელდამსხმელის ან ხელდასასხმელის ხილული მონაწილეობის გარეშე?

პასუხი: (ნ. იორამაშვილისა) დედიმოსმა ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა გრიგოლ, რომელიც წირვის და მისი კურთხევის მიმდინარეობის დროს იმყოფებოდა არა ტაძარში, არამედ ორი დღის სავალ მანძილზე უდაბნოში. „წინაშე ღვთისა მდგომარემან, და საღმრთოითა შურითა მოტყინარემან დედიმოს, მინდობითა ღვთისათა გცხო შენ მღვდელმთავრად თეინიერთანა ყოფისა შენისა... ღვთისმეტყველო დიდებულო გრიგორი“ (სადღესასწაულო 17 ნოემბერი, ცისკ. გალობა 5 მუხ. 3). კრებამ დადებითად შეაფასა, მიიღო და დაამტკიცა ზემოხსენებული მოხსენება ხმის უმრავლესობით. წაკითხული იქნა ლექციაც: „ქართლად ფრიადი ქეეყანაჲ აღირაცხების,რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ — ბენედიქტეს მიერ. კრებამ

საჭიროდ სცნო, როგორც ხელდასხმა კანონიზებულისაგან, ასევე, ღირსად ბენედიქტეს ეპისკოპოსის ხარისხში აღყვანა ამ გზით. კრების წინაშე ბენედიქტეს ავტობიოგრაფიული ფურცელი ჩაიკითხა ნ. იორამაშვილმა. კრებაზე ეპისკოპოსის ხელდასხმისათვის განკუთვნილი წესის ახალი დამატება ჩაიკითხა ბენედიქტემ და აღნიშნა, რომ ეს გამოიწვია მოციქულისაგან ხელდასხმამ, რომ წესი განკუთვნილი იყო რიგითი მღვდელმთავრებისათვის და კანონიზებულისაგან ხელდასხმა სრულიად არ ყოფილა გათვალისწინებული, რომ ძველი წესი ახლის ჩამატებით ამჯერად მხოლოდ დაუშვით, და რომ მომავალში წესს მოციქულისაგან შეადგენს მერმისი. კრებამ განიხილა ბენედიქტეს მოხსენება: „1920 წლის 27 ივნისის ქართული საეკლესიო კრების გადაწყვეტილების მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების შესახებ მიღებული“ და დაამტკიცა მომხსენებლის აზრი: მცხეთის ეპარქიისთვის გაუქმებულად გამოცხადდეს ხსენებული კრების გადაწყვეტილება მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანება, რომელიც ძალაში იყო კრების მოწვეებიდან დღემდის, და გამოყოფილად გამოცხადდეს მცხეთის ეპარქია თბილისის ეპარქიისაგან. კრებაზე კიდევ დადგინდა: 1. ხელდასხმის გარეგნული წესები შეასრულოს ხალხმა, მორწმუნე ერმა წესით: „წესი, რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოზისა“, საჭირო ცვლილების შეტანით; 2. თუ პატრიარქმა ეფრემ მეორემ მიმდინარე წლის სვეტიცხოვლობამდე (14 ოქტომბრამდე) ეპისტოლარული წესით არ გვაცნო ეპისკოპოს ბენედიქტეს ხელდასხმის კანონიერებაზე, რომ ის ხელდასხმულია კანონიერი გზით, მრევლის მიერ არ დაიშვება, როგორც მწირეველი, მაგრამ ცნობის შემთხვევაში, პატრიარქის პირველი თანამწირველი უნდა იყოს კანონიზებულისაგან ხელდასხმული; 3. მხოლოდ ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად ცნობას არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ ამაეე დროს კანონიზებულისაგან ხელდასხმულის მიერ ხელდასხმულს ა. ქათამაძეს არ სცნობს კანონიერად; 4. ეფრემ მეორესგან მიღებულმა ეპისტოლემ თუ დააკმაყოფილა საპატრიარქო მრევლი, ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებებზე ხელმეორედ იმსჯელებს მორიგი კრება, სასარგებლოდ პატრიარქისა; 5. თუ ეფრემ მეორე არ გასცემს მირონს, სანთელს და ა.შ. სვეტიცხოველს და არ შეიწყნარებს მცხეთის ეპარქიის მრევლისა და ოცეულის მოთხოვნას, მაშინ: მირონი მოიხარშება-იკურთხება, სანთელი შეისყიდება-დამზადდება სვეტიცხოველში და ა. შ.; 6. მორიგი პატრიარქის არჩევამდე მცხეთის ეპარქიაში და კერძოდ, „სვეტიცხოველში“ ჟამის წირვებზე მოხდება დიაკონისა და მღვდლის მიერ კანონიზებულისაგან ხელდასხმულის სახელის აღვლენა ნაცვლად პატრიარქისა. თვით ხელდასხმული კი აღაელენს მიტროპოლიტ დავითის სახელს ამგვარად: საუწმიდესო და საუნტარესო ურბნელი მიტროპოლიტისა მაღალ ყოელად უსამღვდელოესი დავითისათვის ბოდბეში, ჟამის წირვაზე ხელდასხმისას, სადაც ჯერ არს, იგივე მიტროპოლიტის სახელის აღვლენას ექნება ადგილი... მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ეფრემ მეორეს მხარს დაუჭერს და არ სცნობს ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად, მისი სახელის აღვლენა შეწყდება „სვეტიცხოველში“; 7. არც ერთი სამღვდელო ხარისხის პირი, რომელიც კანონიზებულისაგან ხელდასხმულს კანონიერ მოძღვრად არ მიიღებს დღიდან ხელის დასხმისა – სამი თვის მიწურვამდე, ეპისტოლეს მოწერით,ან საიდუმლო აღსარებით,პატრიარქად (თუ ეს პირი პატრიარქობის კანდიდატია) ვერ ეკურთხება, ინტრონიზაცია ვერ შესრულდება საპატრიარქო ტაძარ „სვეტიცხოველში“, სხვა ეკლესიაში ნაკურთხსა და ინტრონიზებულს კი მცხეთის ეპარქია არ მიიღებს და ჟამის წირვებზე მის სახელს არ აღაელენს; 8. მღვდელმთავარი ბენედიქტეს ნაკურთხი საპატრიარქო ტაძრის მრევლის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული „ცნობით“ გაიზავნება საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც კანონიერი მღვდლები, თანახმად ამა თუ იმ ქალაქის, ამა თუ იმ დაბისა და სოფლის მრევლის მოთხოვნით; 9. კანონიზებულისაგან ხელდასხმულის მიერ ნაკურთხნი „მშვიდობის დაცვის“ მიზნით იმ ეპარქიებში გაიგზავნებიან,რომლებიც კალენდარულად თავისუფალია, ანდა ჰყავთ ფორმალურად დროებითი მმართველები ეპისკოპოსების სახით; 10. თუ რომელიმე მოქმედი, არათავისუფალი ეპარქიიდან რომელიმე ეკლესიის

მრევლმა მოითხოვა ეპისკოპოს ბენედიქტეს ხელდასხმული მოძღერად, ხსენებული ეპარქიის ეპისკოპოსი ეფრემ მეორის ჩარევითაც კი ვერ დაუშლის ამ მრევლს საპატრიარქო ტაძრიდან გაგზავნილის მწყემსად აყვანას და ეს უკანასკნელი ხელდამსხმელის მორჩილებაში იქნება; 11. თუ მღვდელს ექნება ხსენებული კომისიის მიერ შემუშავებული და საპატრიარქო მრევლის კრების მიერ დამტკიცებული „ცნობა“, ის კანონიერი მღვდელია და ეფრემ მეორეს მათი ოფიციალური დევნის უფლება ერთმევა; 12. სამთაეროს მონასტერი მას შიგან არსებული საღვთისმეტყველო-სამოძღვრო სამწლიანი სასწავლებლით მცხეთის ეპარქიაში შემავალია და საპატრიარქო ტაძრის ეპისკოპოს ბენედიქტეს, მრევლის და ოცეულის ყურადღების ქვეშ იქნება. თუ რა იგულისხმება ყურადღების ქვეშ, ამაზე ცალკე იმსჯელებს მორიგი კრება, სხვა რელიგიურ საკითხებთან ერთად; 13. კანონიზებულისაგან ნაკურთხი, სამეული და მორწმუნეები, რომლებიც ეკურთხნენ და მონაწილეობა მიიღეს №1 კრების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაში,არ ექვემდებარება 1945 წ. 28 მარტს მიღებული დებულების ქვეთავს საეკლესიო სამართალს, ე.ი. კათოლიკოზის მიერ – საბჭოსთან ანუ სინოდთან შეთანხმებით – გაცემულ ბრძანებებს (თუ ამას ექნება ადგილი ბენედიქტეს ეპისკოპოსის ხარისხში აყვანასთან დაკავშირებით): მღვდელმოქმედების აღკვეთას, სამსახურიდან გადაყენებას, ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვას, ანათემას, მორწმუნეებზე საეკლესიო ეპიტიმიის დადებას, თანახმად კრების გადაწყვეტილებისა, ძალა არ ექნება. შენიშვნა: ბრალდებულისაგან და მისი თანამოაზრეებისაგან ბრძანებებს, რჩევა-დარიგებებს და ა.შ. ჩვენ ვერ მივიღებთ, უბრალოდ, როგორც ანალოგიურს. ბრძანებებში იგულისხმება სას. (სასულიერო) მთავრობის მიერ გაცემული; 14. ვინაიდან ქართული ეკლესია, თანახმად კონსტიტუციისა, გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და რამდენადაც ჩვენ არ დაგვირღვევია 1924 წლის 24 თებერვლის ეკლესიასთან დაკავშირებული ქართული ინსტრუქციის შინაარსი,ე. ი. კრების მოწვევა, გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას ჰქონდა და ექნება რელიგიური ხასიათი, სამოქალაქო მთავრობა ამ რწმუნებულის სახით ეფრემ მეორესა და ჩვენ შორის, ვფიქრობთ, ნეიტრალურ მდგომარეობაში იქნებიან, თუ რომელიმე მხარე ან კრებისა ან ეფრემ მეორისა არ დაარღვევს ძერჟინსკულ პუმანიზმს; 15. ეპისკოპოს ბენედიქტესთვის დაკანონებულ პატივს მორიგი პატრიარქის არჩევის შემდეგ (თუ ეს უკანასკნელი სცნობს პირველს კანონიერად) აკლდება ეპითეტი სვეტიცხოველის წინამძღვრობისა და ამ მორიგ პატრიარქს ტრადიციულად ებოძება. მაგრამ თუ ეფრემ მეორე სცნობს ბენედიქტეს, სვეტიცხოველის წინამძღვრობაში კრების მიერ აღდგენილი არ იქნება მაინც; 16. კანონიზებული ხელდასხმას მოახდენს 14 ივლისს, კვირას (ძე. სტ.); 17. ეკლესია, სადაც არჩეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა მოხდება, მოქმედია და ჰყავს მოძღვარი. კვირა უქმე დღეა და თუ ჟამის წირვის ჩატარებაზე ადგილობრივმა მოძღვარმა ნებით ხელი არ აიღო და ჩვენ არ დაგვითმო (არც აქვს უფლება წირვის მიტოვებისა პატრიარქის ნებართვის გარეშე), კრების გადაწყვეტილებით, სათანადო პირების მიერ ყოველგვარი პირადი შეურაცხყოფის მიყენების გარეშე გაიკოჭება მთელი ჟამის წირვის მანძილზე; 18. დღიდან ბენედიქტეს ეპისკოპოსად ხელდასხმისა სვეტიცხოველის ანაბრები (შემოსავლის ფულადი თანხა) შეინახება ადგილობრივ, მცხეთის სახ. ბანკში სვეტიცხოველის სახელზე გაფორმებით; 19. ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი ბოდბის ეპარქიაშია, რომელიც კალენდარულად თავისუფალია, მაგრამ მის დროებით მმართველად ითვლება ეპისკოპოსი რომანოზი (პეტრიაშვილი) და ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი პატრიარქის წინაშე, თუ რატომ დაუშვა კანონიზებულისაგან ხელდასხმა და რატომ არ აცნობა მას, მაგრამ კრების გადაწყვეტილება იფარავს. ეფრემ მეორეს ერთმევა უფლება მღვდელმთაერის დასჯისა. დასჯის შემთხვევაში, დასჯილი უფლებამოსილია, გამოცხადდეს სვეტიცხოველში, რომ კანონიზებულისაგან ხელდასხმულმა მიავლინოს კალენდარულად რომელიმე უმოქმედო ეპარქიაში ეპისკოპოსად, თუ დადგინდება, რომ იგი სიმონიით არაა ნაკურთხი ეფრემ მეორისაგან; 20. მღვდელმთაერული პატივიდან: მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი არ

ნიშნავს: მცხეთა-წილკნის ეპარქიათა გაერთიანებას. მაგრამ სანამ თავისუფალია, მისი დროებითი მმართველია სვეტიცხოველის ამჟამინდელი წინამძღვარი; 21. ბოდბის მონასტერთან არსებული ოცეულის წევრებს ნება აქვთ, უბრალოდ დაესწრონ ან თუ სურვილს განაცხადებენ, მონაწილენი გახდნენ როგორც მორწმუნენი მოციქულისაგან არჩეულის ხელდასხმისათვის ჩატარებული წირვალოცვისა, რაც შეეხება პრეტენზიებს – ეს მათ ფუნქციებში არაა; 22. მცხეთის ეპარქიის თბილისის ეპარქიისაგან გამოყოფამ და სვეტიცხოველის წინამძღვრობისაგან კათოლიკოზის განთავისუფლებამ გამოიწვია 1945 წ. 3.28-მიღებული დებულების (დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის ქვეთავის „მთავარი გამგეობას-ს“) და ამ პერიოდისთვის შენიშვნის უარყოფა. ასე რომ: კათოლიკოს-პატრიარქის (ეფრემ მეორის) შესანახ „სამეურნეო გამგეობის თანხას“ არ მიემატება სვეტიცხოველის შემოსავლის არც ერთი პროცენტი; 23. 1968 წლის 12 ივნისის კრება დროებით უშვებს 1969 წლის საქართველოს ქართული ეკლესიის კალენდარში „საქართველოს ეკლესიის ეპარქიების მღვდელმთავრების“ სიაში შეტანილი იქნეს ასეთი ცელილება: 1.) მცხეთის ეპარქია: საპატრიარქო-კვართსაუფლო „სვეტიცხოველის“ წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალაღონია). მოციქული ნინო მესხის ხელდასხმული 1968 წლის 14 ივლისს, ბოდბეში. 2.) თბილისის ეპარქია: თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე; 24. პატრიარქის და საბჭოს (სინოდის) მიერ ბენედიქტეს ეპისკოპოსად ცნობა, ან არცნობა 23-ე მუხლის შინაარსის კალენდარში შეტანას ხელს არ უშლის.

1968 წლის 27 (ახ. სტილით) ივლისს ბენედიქტე ჯალაღონია, ალექსანდრე ქათამაძე, არქიმანდრიტი პართენი, ნინო იორამაშვილი და მათი მხარდამჭერნი ბოდბეს გაემგზავრნენ. მანამდე მათ სჭირდებოდათ სამღვდელმთავრო კვერთხი, კუნკულბარტყულა, პანაღია. ყველაფერი იშოვნა არქიმანდრიტმა პართენმა. იგი შეწუხებულ მივიდა ურბნელ მიტროპოლიტ დავითთან (დეედარიანი) და აუწყა, რომ სვეტიცხოველ'ში დაიკარგა სამღვდელმთავრო პანაღია. მიტროპოლიტმა დავითმა უყოყმანოდ გადასცა თავისი კუთვნილი პანაღია,რომელიც გამოიყენეს „ახლადნაკურთხი ეპისკოპოს ბენედიქტესათვის“. ბენედიქტე მივიდა წმიდა ნინოს საფლავთან, ჩაიცვა სამღვდელმთავრო შესამოსელი და იქიდან გამოვიდა როგორც „წილკნელ-მცხეთელი ეპისკოპოსი“. სპეციალურად მოსყიდულ ფოტოგრაფს დააბეჭდვინეს სურათები, სადაც მას შარავანდედი მოსავდა... მან მღვდელ-მონაზვნად ხელი დაასხა ალექსანდრე ქათამაძეს და უწოდა სახელი იაკობი.

თვითმარქვია სასულიერო პირებს მკაცრად დაუპირისპირდნენ წმიდა სინოდის წევრები. 1968 წლის 5 აგვისტოს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილეს არქიმანდრიტ პართენს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (დეედარიანი): „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის საწინამძღვრო ტაძარში მომხდარი ბოროტმოქმედების შემდეგ წირვა-ლოცვის დროს იხსენებთ ჩემს თავს და,როგორც წესია,არა მის უწმიდესობას და უნეტარესობას. ამის გამო მემიტროპოლიტე დავითი ურბნელი,კატეგორიულად მოვითხოვ და ოფიციალურად ვაპროტესტებ ზემოხსენებულ უსაფუძვლო და უტაქტო მოქმედებას. . დარწმუნებული ვარ,ამის შემდეგ სვეტიცხოველის ტაძარში და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთ ბოროტებას მომავალში აღარ ექნება ადგილი. ჩემი პროტესტის ასლი ეგზავნება მის უწმიდესობას და უნეტარესობას. დავითი მიტროპოლიტი ურბნისისა“. გაგულისებულმა ბენედიქტე ჯალაღონიამ ასეთი პასუხი გაუგზავნა მიტროპოლიტ დავითს: „1968 წლის 12 ივნისის სრულიად საქართველოს მორწმუნეთა საზოგადოების გაერთიანებული კრების ოქმთა მე-6 მუხლში ნათქვამია: „მორიგი პატრიარქის არჩევამდე მცხეთის ეპარქიაში და კერძოდ,,,სვეტიცხოველში“, ჟამისწირვებზე მოხდება დიაკონისა და მღვდლის მიერ კანონიზებულისაგან ხელდასხმულის სახელის აღვლენა ნაცვლად პატრიარქისა. თვით ხელდასხმული კი აღავლენს მიტროპოლიტი დავითის სახელს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ეფრემ II-ს მხარს დაუჭერს და არ სცნობს

ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად,მისი (ე.ი. ურბნელის) სახელის აღვლენა შეწყდება სვეტიცხოველში“. თანახმად ციტირებულისა, ამა წლის 8 ივლისიდან არქ. პართენის მიერ და ამა წლის 14 (27) ივლისიდან ბერდიაკონ იაკობის მიერ, ხდება ჩემი სახელის აღვლენა, ნაცვლად პატრიარქის სახელის აღვლენისა. თვით მე კი, ამა წლის 8 ივლისიდან მღვდელმთავრულ ლოცვებში აღვავლენ თქვენი მეუფების სახელს... ახლა კი თქვენი წერილის გარშემო, არქ. პართენს რომ გამოუგზავნეთ ამა წლის 5 აგვისტოს დათარიღებით, №8-ით მე-6. შენიშვნები: 1. თქვენი წერილი უმისამართოდ გამოგზავნილია, უნდა გამოგეგზავნათ ჩვენთვის და არა არქ. პართენისათვის; 2. სვეტიცხოველის წინამძღვარში თქვენ გულისხმობთ ეფრემ მეორეს,რომელიც 1968 წლის 12 ივნისის კრების დადგენილებით,და კერძოდ,8 ივლისიდან უკვე აღარაა სვეტიცხოველის წინამძღვარი და კრების წინაშე მოტევება ითხოვეთ სიტყვებისათვის: „ეფრემ მეორის საწინამძღვრო ტაძარში“; 3. თქვენი „პროტესტის“ დაკმაყოფილება არ ძალუძთ არქ. პართენს და ბერდიაკონ იაკობს. დიაკონიც და არქიმანდრიტიც ჩემს ეპარქიაშია და მოციქულთა დადგენილებანის მეოცდაცხრამეტი (39-ე) მუხლის შინაარსის თანახმად, ჩემს ეპარქიაში ჩემი ლოცვა-კურთხევის გარეშე არაფერს არ აკეთებენ. (არც თქვენს მოხსენიებას მოიშლიან); 4. თქვენს კატეგორიულ მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ ჩვენ და თქვენი სახელის აღვლენას, თუ გნებავთ, უბრალოდ თქვენი სახელის ხსენებასაც კი წმ. ტაძრის სიახლოვეს შევწყვეტთ და ვუბრძანებთ მორჩილთ, თუ თქვენ ჩვენს სახელზე გამოგზავნით არა პროტესტს,არამედ თხოვნას,რომ არ გსურთ და უღირსება სინდისს გიქენჯნით,მოხსენებულ იყოთ კვართსაუფლო ტაძარში. ჩვენდამი მოწერილი თხოვნა თქვენი, ვიმეორებ, დაკმაყოფილებული იქნება, თუ წერილი დასათაურდება მისამართით ადრესატისა: საპატრიარქო-კვართსაუფლო სვეტიცხოველის წინამძღვარს და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსს ბენედიქტეს... აქვე უნდა ვთქვა: ჩვენ გიხსენიებთ კრების სურვილისა და დადგენილების თანახმად, როგორც საუწმიდესოსა და საუნტარესოს, რაც მომასწავებელია თქვენი მეუფების გაპატრიარქებისა და ნუთუ „ხმას ღვთისას და ხმას ერისა“ აგდებთ არად?; 5. ჩვენს სახელზე თქვენი წერილის (თხოვნის) ან ეფრემ მეორის მხარდაჭერის ოფიციალურად მიღებამდე იქნებით მოხსენიებაში და ვფიქრობ, ეს სულაც არაა გულდასაწყვეტი; 6. თქვენს წერილში ჩანს ეფრემ მეორის სიტყვიერი დაცვის ცდა, რაც, ვეჭვობ, თქვენ შეძლოთ პრაქტიკულად, ვინაიდან: ეფრემ მეორის დაცვას ღვთისა და ერის სამსჯავროს წინაშე სულ სხვა გონება უნდა. აქ ის გონება უვარგისია,რომელიც ეფრემ მეორის დაკეთეთი ეფრემისვე ქებას წარმოთქვამდა სიონის ამბიონიდან; 7. თქვენი წერილის ასლი თუ ვის გაეგზავნა,რა აზრი აქვს,როცა ასლის დედანი არა იმას მიუვიდა,ვისაც უნდა მიჰსვლოდა? 8. წერილი არქ. პართენმა გადმომცა მე, ვინაიდან მას არ ეკუთვნოდა, მაგრამ იგი მე ჩემად არ მიმიღია, მიუხედავად ამისა, რომ პასუხი გაგეცით; 9. სვეტიცხოველში არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარა, გარდა იმისა,რომ პატრიარქმა ეფრემ მეორემ არქ. პართენს უბრძანა,დაერღვია მცნება „არა ცილი სწამო“ და ცილი ეწამებია ჩემთვის... თქვენ ეს „ბოროტმოქმედებანი“ გაქვთ მხედველობაში? თუ ეს ასეა და „ასეთ ბოროტებას მომავალში აღარ ექნება ადგილი“ — მოგესალმებით; 10. ესარგებლობ შემთხვევით და ეკითხულობ: კრების ოქმიდან ამონაწერი პასუხისთვის გამოგიგზავნათ კრებამ, რად დუმხართ მეუფეო? საპატრიარქო-ჯვართსაუფლო სვეტიცხოველის წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალაღონია), 1968 წ. 25 ივლისი“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ეკლესიაში შფოთისა და ამბოხების მომწყობთა მიმართ გადამჭრელ ზომებს მიმართა. წმიდა სინოდის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: მიტროპოლიტი დავითი (დეედარიანი), ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა), მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე) ეპისკოპოსები ილია (შიოლაშვილი), რომანოზი (პეტრიაშვილი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიიდან სრულიად განიკვეთნენ ბეჯით ჯალაღონია, ალექსანდრე ქათამაძე,ნინო იორამაშვილი. არქიმანდრიტ პართენ აფციაურს ჩამოერთვა საეკლესიო ხარისხი და უბრალო წიგნის მკითხველად განწესებულ იქნა ალავერდის

ეპარქიაში. სინოდის ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად ეცნობა საერო ხელისუფლებას. მეამბოხეებს ოფიციალურად მოსთხოვეს სვეტიცხოველის დატოვება. თვითმარქვია ეპისკოპოსმა ბენედიქტემ სსრ უმაღლეს საბჭოში ასეთი შინაარსის საპროტესტო წერილი აფრინა: „ჩემს მცხეთის ეპარქიაში რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ამხ. დ. შალუტაშვილის მითითებით, მცხეთის ადგილობრივმა სამოქალაქო მთავრობამ (აღმასკომმა — თავმჯდომარე ლაშხი, მცხეთის პროკურატურამ — პროკურორი აბესაძე, მილიციამ — უფროსი ხაჟალია) ინება, თვითნებურად ჩარეულიყო სახელმწიფოსაგან კონსტიტუციურად გამოყოფილი ქართული ავტოკეფალური ეკლესიის წმიდა ეკლესიურ საქმეებში, კერძოდ, იკისრა 1968 წლის 12 ივნისის სრულიად საქართველოს მართლმადიდებელთა გაერთიანებული კრების „შრომების“ გაყალბება-უარყოფა, უფრო სწორად 500 ადამიანს გამოგვიცხადა ადმინისტრაციული დევნა, იტვირთა დაცვა პატრიარქ ეფრემ II-ისა და ცდილობს მას დაუბრუნოს კრების მიერ ჩამორთმეული წინამძღვრობა სვეტიცხოველისა,მთავარეპისკოპოსობა მცხეთისა და ა.შ. კრებისგან მე რომ მებოძა. მაცხოვრული და ლენინური „სინდისის თავისუფლების“ შეურაცხყოფისათვის, და რომ რწმუნებული არ გაუფრთხილდა საბჭოთა რწმუნებულის საპატიო სახელს, რამაც იგი გამოიყვანა „სინოდალური პროკურორის როლ'ში“ და რამაც შეცდომაში შეიყვანა ადგილობრივი მთავრობა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოდან ბრძანების მიღებამდე სწორია თუ არა ამხ. დ. შალუტაშვილისა და ადგილობრივი მთავრობის მოქმედება, ეუცხადებ ბოიკოტს შიმშილით. თუ რამდენად პირნათელი ვიქნები სიტყვის აღსრულება'ში, ამას დაამტკიცებს შემდეგ'ში ჩემზედ დანიშნული საექიმო ექსპერტი. საპატრიარქო კვართსაუფლო სვეტიცხოველის წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალაღონია)“. მეამბოხენი სვეტიცხოველიდან გამოაძევეს. საერო ხელისუფლებამ შედეგს მიაღწია — საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კიდევ უფრო დაასუსტა.

საზოგადოებაში ანტიეკლესიური, ათეისტური სულისკვეთების გაძლიერებისათვის 1969 წლის 21 სექტემბერს უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს ღვთისმშობლობას გაზეთ „ქუთაისი'' ბ. გამგებლის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „წმიდა მამები“, რომელიც ეხებოდა 1968 წლის საეკლესიო ამბოხს. „ბეჯით მიხეილის ძე ჯალაღონიამ და ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძემ რელიგიისათვის სრულიად უცხო და უცნობ ექსპერიმენტს მიჰყვეს ხელი. ამ „წმიდა მამების“ შესახებ ეკლესიის მსახურთა შორის ცუდი ხმები დადიოდა,მაგრამ სამღვდელოებისა და მისი ხელმძღვანელობის აღშფოთებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, როცა მათ სვეტიცხოველ'ში რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ატეხეს დებოში — წინააღმდეგობა გაუწიეს მღვდელმთავარს (იგულისხმება კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II). შემდეგ ისინი ქუთაისს ეწვივნენ და პეტრე-პაველს ეკლესიაში შეეცადნენ საცეცხლური წაერთმიათ მღვდელმთავრისათვის (იგულისხმება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი). ამ უპრეცენდენტო შემთხვევისათვის ისინი განკვეთილ იქნენ ეკლესიიდან... საიდუმლო სერობა დიდხანს არ გაგრძელებულა, პირველმა მეორე, ხოლო მეორემ პირველი თვითნებურად აკურთხა მღვდელმსახურად. კერძოდ,ბ. ჯალაღონიამ მღვდელ-მონაზვნად აკურთხა ალექსანდრე ქათამაძე და „იაკობად“ მონათლა, ხოლო ბ. ჯალაღონია „ეპისკოპოს ბენედიქტედ“ იქნა „კურთხეული“. ყველაფერი ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მათ დაეწყოთ მღვდელმსახურების შესრულება, საიდანაც გარკვეულ შემოსავალს იღებენ. ახლა სათანადო ორგანოების ხელთ არის დოკუმენტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული „მღვდლები“ ნაკურთხი არ არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ და არ აქვთ მღვდელმსახურების შესრულების უფლება. თუმცა უფლებას წვერმოშვებული და ანაფორჩაცმული „წმიდა მამები“ რას დაგიდევენ. მათთვის მთავარი შემოსავალი და სიმდიდრეა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის მიმართვის საფუძველზე, სხვისი სულისათვის „მოჭირნახულე მღვდლებს“ შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ ჩამოერთვათ რელიგიური რიტუალებისათვის საჭირო საგნები. გაფრთხილებულ იქნენ, ვიდრე გვიან არ არის, ხელი აიღონ ნეტარხსენებულ

მოღვაწეობაზე". 1972 წლის 7 აპრილს,როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II,სიონის საპატრიარქო ტაძარში ხალხს დაურიგეს ძველქართულ ენაზე შედგენილი წერილი,რომელშიც ეწერა: „ეფრემი არა არს ღირსი სიონში დაფლისა,რომელ ემორჩილა ეშმაკსა,აწ მსწრაფლ აღსდექით, მოითხოვეთ ბერი ბენედიქტე ჯალაღონია, რომელიც ეიხილე განგებითა ღვთისათა – იგი არს ჭეშმარიტი იერიის პატრიარქი,კურთხეულიცა ქრისტეს ხელითა წარადგინეთ მოთხოვნა – ჟამი მცირე არს. ათცამეტსა მაისსა დღესასწაულსა ქრისტეს ამაღლებისა იქნების სინოდი. იმღვიძარეთ იერიელნო, ნუ გეშინისთ". სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ურბნელი მიტროპოლიტი დავითი. ბეჯით ჯალაღონია „ჭეშმარიტი იერიის" პატრიარქობის მაძიებლად დარჩა.

P.S. მაინც ვინ იყვნენ ეს მეამბოხენი?

1. ბენედიქტე ჯალაღონია, ერისკაცობაში ბეჯით მიხეილის ძე ჯალაღონია, დაიბადა 1938 წლის 12 ივნისს ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ სარაქონში. 1963-1967 წ.წ. სწავლობდა მცხეთის სამოძღვრო კურსებზე, შემდეგ – ზაგორსკის სასულიერო სემინარიაში. ბიოგრაფიის პირველ ვარიანტში, რომელიც 1968 წელს არის შედგენილი, იგი წერდა, რომ 1968 წლის 14 იელისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ბერად აღკვეცეს არქიმანდრიტებმა პართენ აფციაურმა და კონსტანტინე ქვარაიამ. 1968 წლის 21 იელისს წმიდა ნინომ ბოდბეში აიყვანა ეპისკოპოსობის პატივში. 1971 წლის 17 იელისს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის მას: „მოქალაქე ბეჯით ჯალაღონიას! თქვენს თავს უწოდებთ ეპისკოპოსს, სინამდვილეში არა თუ ეპისკოპოსი, ქრისტიანიც არა ხართ, თუ შემოიტანთ სინანულის თხოვნას, წმიდა სინოდი მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებს თქვენს საკითხზე". 1980 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში იგი საერთოდ აღარ ახსენებს 1968 წლის მოვლენებს და აღნიშნავს, რომ 1979 წლამდე იყო თავის მშობლიურ სოფელში, ხოლო 1979 წლის 7 აგვისტოს ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოს იოანეს (ანანიაშვილი) მიერ განწესებულ იქნა თეკლათის მონასტრის მედავითნედ, 1979 წლის 7 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ალექსი. 1979 წლის 11 ნოემბერს მთავარეპისკოპოსმა იოანემ აკურთხა მღვდელ-მონაზვნად. 1980 წლიდან იყო სენაკის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდელად... ამჟამად პენსიაზეა და ცხოვრობს მშობლიურ რაიონში.

2. მღვდელ-მონაზონი იაკობი – ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძე დაიბადა 1942 წლის 22 იელისს ტყიბულის რაიონის სოფ. მენჯჩირში. 1964-1965 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ – მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. 1966 წელს დაინიშნა ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მედავითნედ. 1970 წლის 23 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის სახელზე დაწერილ წერილში მან მოინანია 1968 წლის საეკლესიო ამბოხებაში მონაწილეობა: „1968 წლის იელისში ეკლესიაში მოვახდინეთ განხეთქილება, რომელშიც ვმონაწილეობდი, – წერდა იგი, – არაკანონიკური გზით გამოვიყენე საეკლესიო დოგმები, ვატარებდი მღვდელმსახურებას, შეურაცხყოფა მივაყენეთ ღვთის მცნებებს,წმიდა ტაძრებს,მათ ხელმძღვანელობას. ყოველივე ეს მოხდა ჩვენი ქედმაღლობითა და ამპარტავნებით. ვსცოდე ღვთისა და მამის წინაშე. გთხოვთ, შემინდოთ დიდი ცოდვის საუკუნო ტანჯვა, დამიბრუნოთ ქრისტიანობა, მიკურთხოთ გეირგვინი და მიმიღოთ ეკლესიაში დაბალ სამსახურზე,რომელსაც თქვენი მოწყალება ინებებს. შემინდეთ ყოველივე და მიმიღეთ მტირალი თქვენ წინაშე, რომ არავითარი კავშირი ვიქონიო ეკლესიიდან განკვეთილ პირებთან". შეუნდეს. 1971 წ. ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (დევდარიანი) აკურთხა დიაკვნად,1973 წ. ქუთათელ გაენათელმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა – მღვდლად. 1979 წ. 13 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეპისკოპოსად. 1982-1983 წ.წ. იგი მიტროპოლიტ შიოსთან (ავალიშვილი) ერთად დაუპირისპირდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და მოითხოვა მისი გადადგომა. 1980-90-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ

მოძრაობაში, 1991-2005 წლებში იყო დევნილობაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ითხოვდა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენას... 2008 წლის 27 ნოემბერს იგი გარდაცვლილი იპოვეს თავის ბინაში. მუუფე ამბროსი 2 დეკემბერს დაიკრძალა შიომღვიმის მონასტერში.

3. არქიმანდრიტი პართენი (აფციაური) დაიბადა 1905 წ. 15 მარტს. სწავლობდა ფასანაურის ოთხკლასიან სასწავლებელში. საეკლესიო კითხვა-გალობა და ტიპიკონი შეისწავლა შიომღვიმის მონასტერში. 1924 წელს აღიკვეცა ბერად, 1932 წელს ზედაზნის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ მიხეილის თხოვნით წილკნელმა ეპისკოპოსმა ალექსიმ (გერსამია) აკურთხა იეროდიაკვნად. 1934 წლის 7 აპრილიდან შიომღვიმის მონასტერშია. 1935 წლის 8 ნოემბერს ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1936 წლიდან 1940 წლამდე იყო ძეგვის წმ. საბჭოს მონასტრის მღვდელი. 1940 წლიდან დუშეთის რაიონის გუდამაყრის თემშია, მაგრამ იმავე წლის 24 აპრილს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით. ოთხი წელი გაატარა პატიმრობაში. 1946-1948 წლებში იყო ზედაზნის მონასტერში. 1948 წლიდან სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარშია – ჯერ მეორე მღვდლის თანამდებობაზე, ხოლო 1955 წლიდან სვეტიცხოველის წინამძღვრის მოადგილეა. 1960 წლის 23 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ აიყვანა იღუმენის ხარისხში. 1968-1972 წლებში მას ჩამორთმეული ჰქონდა საეკლესიო ხარისხი და ალავერდის ეპარქიაში იყო მედავითნედ. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა დავით V-მ დააბრუნა სვეტიცხოველში, დაუბრუნა არქიმანდრიტის წოდება. იგი გარდაიცვალა 1979 წელს.

4. ნინო იორამაშვილი არქიმანდრიტ პართენის სულიერი შვილი. გარდაიცვალა 2008 წელს მცხეთაში.

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II და ქართველი საზოგადოება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 1918-1922 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებლებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს... თავის თანაკურსელებს: პროფესორებს შალვა ამირანაშვილს, გიორგი გოზალიშვილს, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, სერგი მაკალათიას, შოთა ძიძიგურს. ქვეყანაში არსებული ვითარების პირობებში რთული იყო საზოგადოებაში კათოლიკოს-პატრიარქის აქტიურობა, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ამას. 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლის იუბილეზე იგი საპატიო პრეზიდიუმში მიიწვიეს. უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს ყოველ ახალ წელს ულოცავდა აკადემიკოსი ალიპ ზურაბაშვილი: „თქვენო უწმიდესობავ, მთელი ჩემი ოჯახი და პირადად მე მუხლმოდრეკით გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას და ყოველიეე სიკეთეს, გთხოვთ კურთხევას“[40] – წერდა იგი.

1966 წლის 14 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე წერილით მოიკითხავს მის უწმიდესობას და სთხოვს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, გადადგას ნაბიჯი იმისათვის, რათა გაფანტოს მითქმა-მოთქმა, თითქოს შოთა რუსთაველს ეკლესია დეენიდაო: „გაფანტეთ ეს ისტორიული გაუგებრობა თქვენს მრევლში. შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში იქადაგეთ სიონში, ან მცხეთის სვეტიცხოველში შოთა რუსთაველის დიდი სახელის მოსახსენებლად მისი დაბადების 800 წლისთავზე, ამ წიგნის დამწერს, რომელმაც საქართველო 700 წელი შეინახა, ეს პატივი ეკუთვნის. მას მეტიც ეკუთვნოდა, იგი ქართველ წმინდანთა პანთეონში უნდა ყოფილიყო, რომ არა ჩვენი ბედის უკუღმართობა“.[41] უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ 1966 წლის 30 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში წაიკითხა საინტერესო მოხსენება: „შოთა რუსთაველის აღმსარებლობისათვის“, რომელშიც საეკლესიო პოზიციიდან გაშუქებულია გენიალური პოემის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი. უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის სარეკომენდაციო წერილი ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს ქრიზოსთომოსთან დაეხმარა კინორეჟისორ გიორგი ასათიანს ათონის მთაზე მოგზაურობაში.

1960 წელს 18 ოქტომბერს მან საგანგებო წერილით მიმართა იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტე I-ს. წერილში საუბარია იმაზე, რომ მისი ოცნება იყო ეხილა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, წაეკითხა იქ დაცული ხელნაწერები, რომ იგი განსაკუთრებით გახარებულია არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ქართული მოზაიკური წარწერებით: „მაქვს პატივი, თქვენს უნეტარესობას ვაუწყო,– განაგრძობდა უწმიდესი ეფრემ II,– რომ თბილისიდან იერუსალიმს მივემგზავრება სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, შეისწავლოს ადგილობრივი ქართული კულტურის მასალები და შეკრიბოს ახალი ცნობები ქართველების მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში, კერძოდ, ჯვრის მონასტერში ექსპედიციის წევრები არიან: პროფესორები აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომელთაც პირადად ვიცნობ. თქვენს უნეტარესობას ვთხოვ, რომ აღმოუჩინოთ მათ ყოველგვარი დახმარება მათი მეცნიერული მუშაობის დროს მონასტრებსა და ტაძრებში, წიგნსაცავებსა და არქივებში“.[42] ქართველი მეცნიერები იერუსალიმში პატივისცემით მიიღეს, მუშაობის ყველა პირობა შეუქმნეს მათ.

მის უწმიდესობას დიდ პატივს სცემდა ქართველი საზოგადოებრიობა. ჯერ კიდევ 1965 წლის 3 იანვარს შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ილიამ ასე შეაფასა უწმიდესი ეფრემ II-ის ღვაწლი: „ვისაც სურს, არ შეიძლება არ დაინახოს, რა ძნელი და რთული იყო და არის თქვენი ცხოვრების გზა. თქვენ გხვედებოდათ გზაზე უფრო ეკალი, ვიდრე ვარდი. ეს იყო თქვენთვის განსაცდელი, რომელსაც თქვენ ხვდებოდით მორჩილებით და სიმდაბლით. თქვენ მუდამ გულში იმეორებდით და გახსოვდათ ჩვენი დიდი მწერლის სიტყვები: სიმდაბლე მსგავს არს ვაზსა დახრილსა და აღსავსეა ნაყოფითა კეთილითაო (სულხან-საბა) და ამიტომაც სიმდაბლით მოიპოვეთ სიმაღლე. ახლა თვალწინ მყავს

წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოს ეკლესიაზე. იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა თავისი ცრემლით რუსეთის მიწას. ახლა გადმოგვხედე და ნუ სტირი ჩვენო დიდო წინაპარო, უწმიდესო ანტონ! საქართველოს ეკლესიამ კვლავ მოიპოვა დაკარგული დამოუკიდებლობა და შენ ტახტზე კვლავ ბრძანდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ზეგარდმო მადლით ცხებული, რომლის ანგელოზის დღეს ვზეიმობთ დღეს".[43]

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი ყველას მიმართ იყო საოცრად ყურადღებიანი. მის არქივში უამრავი სამადლობელი წერილია. ქრისტეფორე კაპანაძე ითხოვს მატერიალურ დახმარებას და ეძლევა. არქიმანდრიტი ევაგრე დიასამიძე მადლობას მოახსენებს ყურადღებისათვის და 1968 წლის 11 დეკემბრიდან ითხოვს პენსიაზე გადასვლას. ბეთანიის მონასტრის იღუმენი იოანე (გიორგი) მხეიძე სთხოვს — დავუძლურდი და იქნებ მამა გაბრიელ ურგებაძე დანიშნოთ წინამძღვრადო. ზესტაფონიდან ელენე გველესიანი, მღვდელ თევდორე გველესიანის შვილი, ითხოვს საეკლესიო კალენდარს. თუ სასულიერო პირს რამე უჭირდა გვერდით ედგა. 1969 წლის 3 მარტს გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე). უწმიდესმა ეფრემმა ასეთი შინაარსის დეპეშა გაგზავნა ქუთაისში. „ჩემი უძვირფასესი ნაომის გარდაცვალების გამო ვერ მოგახსენებთ სამძიმარს, რადგან ყველამ მე უნდა მითხრათ სამძიმარი ყველაზე მძიმე დანაკლისით შეწუხებულს".[44] იგი ქუთაისში ჩავიდა და წესი აუგო განსვენებულ მღვდელმთავარს.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მოკრძალებულად ცხოვრობდა. უყვარდა სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში უბრალო სამღვდელო შესამოსელით ჯდომა, ხალხთან საუბარი. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი უბრალო ღვთისმსახური ეგონათ. ცნობილი ლოტბარი მიხეილ მცურავიშვილი იგონებს: „სიონში ანსაბლი „გორდელა" ეგალობდით, წირავდა კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. ამ დროს ძალზე მოკრძალებით ვასილ მჟავანაძე შემოვიდა. ერთი კაცი ახლდა. პატრიარქი ჩვეულებრივ აგრძელებდა წირვის შემდეგ მცირეოდენი პაუზის დროს პატრიარქი მჟავანაძეს მიუახლოვდა ხელი გაუწოდა. მჟავანაძე პატრიარქის გამოწვდილ ხელს ეამბორა. კარგა ხანს ისმენდა წირვა-გალობას და შემდეგ არავის გაუგია, ისე წავიდა".[45]

მიუხედავად 60-70-იანი წლების ახალი ანტირელიგიური ისტერიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებისა, უწმიდესი ეფრემ II გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი არსებული სისტემის და არა ცალკეული პიროვნებების გამო ხდებოდა. აკად. როინ მეტრეველის გადმოცემით, რომელიც არაერთხელ შეხვედრია კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს, ვ. მჟავანაძე შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა, დახმარებოდა საქართველოს ეკლესიას. 1963 წელს ნ. ხრუშჩოვის განკარგულებით, უნდა გაეყიდათ ცნობილი ხახულის კარედი. აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა ამის შესახებ აცნობა ვ. მჟავანაძეს, რომელმაც განკარგუ-ლება გასცა, დაეცეტათ მუზეუმი, თვითონ კი მოახერხა ნ. ხრუშჩოვის დარწმუნება, რამდენად მიზანშეუწონილი იყო ხახულის კარედის გაყიდვის გადაწყვეტილება.

უწმიდეს ეფრემ II-ს, თავის თავზე იწვნია რა არსებული სისტემის მთელი სისასტიკე, ცხოვრებამ ასწავლა სიფრთხილე, გარკვეული დიპლომატია. იგი საერო დღესასწაულებს ულოცავდა საქართველოს ოფიციალურ ხელმძღვანელობას: ვ. მჟავანაძეს, გ. ჯავახიშვილს, გ. ძოწენიძეს. ხანდახან ოფიციალური ხელისუფლების კურსის მხარდასაჭერ წერილებსაც ბეჭდავდა პრესაში. მაგალითად, 1970 წელს ღია წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონს და დაგმო ზესახელმწიფოს ჰეგემონური ამბიციები: „განა ამერიკას ესაჭიროება კოლონიები, ხომ ისედაც დიდი და მდიდარი ქვეყანაა... არა სჯობია, თქვენი ცოდნა, ძალა და ღონე მიმართულ იქნას ღვთიური მშვიდობის აღმშენებლობისათვის, ვიდრე სხვის უბედურების ხარჯზე".[46] შინაგანად კი პატრიარქი ეფრემ II არსებული რეჟიმის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი.

უყვარდა პუნქტუალობა, წესრიგი. მისი ხელიდან გამოსულ დოკუმენტებს, რეზოლუციებს ეტყობა პატრიარქის შინაგანი განწყობილება, შემწყნარებლობა. 1961 წ. მიხეილ ელიზბარაშვილი მიმართაეს განცხადებით: 60 წელი მედაეითნე ეიყავი, ახლა მიჭირს და დამეხმარეთო. პატრიარქმა განცხადებას ასეთი მინაწერი გაუკეთა. ეს კაცი ლანძღავდა ყველას – უწმიდეს მელქისედეკს, მეც, მერე საჩივრებს აგზავნიდა რწმუნებულთან. სამეურნეო ნაწილის გამგეს ეუბრძანებ, ჩემი საკუთარი ხელფასიდან გაიღოს ყოველთვიურად 10 მანეთი".

1970 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 70 წლის გახდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი საგანგებოდ ემზადებოდა მისი იუბილეს აღსანიშნავად. შეიქმნა კომისია, რომელსაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია ხელმძღვანელობდა. პატრიარქს საიუბილეო თარიღი მიულოცეს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, რუსეთის პატრიარქებმა, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა. საიუბილეო საღამოზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ მიმართა სიტყვით: „თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო პატრიარქო და უნეტარესო მამამთავარო, ღვთით დადგენილო მამაო საქართველოს ეკლესიისა. წმ. ეფრემი ესრეთ გადმოგვცემს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს: „ყოველთა მეუფემან ღმერთმან მაღალმან ესრეთ გპოვა შენ ღირსი მღედელმთავარნი თავისა თვისისა, ღირსად მსახური ნათესავსა ამას ჩვენსა შორის... ხმა მაღალი ქადაგი ჰქმნარიტებისაო და თვალი ბრწყინვალე ქრისტიანობისაო". დიახ, თქვენო უწმიდესობავ, მხოლოდ მაღალმან ღმერთმან და განგებამან უფლისამან გამოგირჩიათ და აღგიყვანათ ღირსისა მამამთავრისა ტახტსა ზედა.

თქვენ გაგივლიათ დიდი და მეტად რთული ცხოვრების გზა. გზა ექსორიობისა და გზა განსაცდელისა. ღვთისგან რჩეული და ხელდადებული ადამიანის ცხოვრება მუდამ გამოირჩევა სხვა მოქალაქეთა ცხოვრებისაგან. ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ის ახალგაზრდა ჭაბუკი გრიგოლ სიდამონიძე, რომელიც 1917 წელს ხელს აწერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აქტზე, მომავალში იქნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და თქვენ თვითონ შეგეძლოთ ამის წარმოდგენა? იმ დროს იდუმალი მარჯვენა ღვთისა – ყველასათვის ფარული – უკვე იყო თქვენ ზედა. უწმიდესო და უნეტარესო პატრიარქო კირიონ, ჩვენ გვწამს, რომ დღეს არა მარტო ხორცით, არამედ სულითაც იმყოფები ჩვენთანა, გრძნობდით თუ არა, რომ ის ახალგაზრდა სემინარიის სტუდენტი, რომელსაც შენთვის მოკრძალებით მოჰქონდა წიგნები, მომავალში იქნებოდა შენი მემკვიდრე? მე მესმის ხმა იდუმალი, დიახ. თქვენო უწმიდესობავ, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ეკლესიის აყვავებისა და წინსვლისათვის".[47]

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II ფრიად დასუსტებული იყო, ასაკში თავი იჩინა გადასახლების სიმწარემ. ბოლოს პატრიარქს უჭირდა გადაადგილება, 1972 წლის დასაწყისში მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გართულდა. 1972 წლის 7 აპრილს 6 საათსა და 30 წუთზე პატრიარქი გარდაიცვალა. 7 აპრილს 13 საათზე გაიხსნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ურბნელი მიტროპოლიტი დავითი, თეთრიწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი, დეკანოზები: პ. ობოლაძე, გ. ჩაჩუა, საერო პირი ი. ჭეიშვილი. შეიქმნა განსვენებული პატრიარქის დამკრძალავი კომისია ურბნელი მიტროპოლიტ დავითის თავმჯდომარეობით. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის დაკრძალვა მოხდა 1972 წლის 13 აპრილს ხუთშაბათს. დილის 10 საათზე დაიწყო წირვა, ურბნელი მიტროპოლიტის, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის დავითის ხელმძღვანელობით. თანამწირველები იყვნენ: უკრაინის ეგზარქოსი ფილარეტი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ყუბანისა და კრასნოდარის მთავარეპისკოპოსი ალექსი, ეოლოკამსკის მთავარეპისკოპოსი პიტირიმი, თეთრწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი. წირვაზე იმყოფებოდა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ეაზგენი. 15 საათზე პატრიარქის

ნეშტი სიონის საპატრიარქო ტაძრის მიწამ მიიბარა. უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს, ჯერ კიდევ ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად ყოფნის დროს, თავისი საფლავის ქვისათვის ასეთი ეპიტაფია შეუდგენია: „მეცხვესეულად განეშორე მიწიერსა ღვთითმშენიერსა საკურთხეველსა და მიწასა შთავაბნიე საგალობელი. სული ჩემი იხმო ზეცამან მსაჯულმან პასუხისგებად, ამისთვისაცა გევედრებით, ლოცვა ჰყოთ ჩემთვის, რათა გამომაჩინოს მსახურად ზეციურისა საკურთხეველობასა“.[48] სიონის ტაძარში მის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 1960-1972 წელს“. იგი იყო უკანასკნელი მოპიკანი XIX საუკუნეში დაბადებულ პატრიარქთა შორის; ისტორიაში დარჩა,როგორც ღირსეული სასულიერო პირი, რომელმაც ურთულეს პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეუნარჩუნა საქართველოს.

წყაროები, დამოწმებული ლიტერატურა

1. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს პატრიარქ ეფრემ II, საქმე. რეეული №1379 გვ. 1.
2. იქვე გვ. 3.
3. იქვე გვ. 4.
4. კომკავშირის მეორე შობა. თბილისი 1924 წ. გვ. 7.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 289. აღწ. 3. საქმე 290.
6. საქართველოს საპატრიარქო, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1379. გვ. 8.
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. რეეული № 1664. გვ. 4.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფ. 284. აღწ. 3. საქმე. 241.
9. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 617. გვ. 2-3.
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი. საქ. № 1664. გვ. 7.
11. იქვე გვ. 8.
12. იქვე გვ. 10.
13. იქვე გვ. 11.
14. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი კ. ცინცაძის ფონდი №102. გვ. 354.
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1664. გვ.
16. იქე გვ. 18.
17. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. საქმე. საბ. № 1379. გვ. 17.
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1664. გვ.
19. იქვე გვ. 8.
20. იქვე გვ. 9.
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 907.
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 3567.
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე. №576.
24. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 907.
25. იქვე გვ. 8.
26. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 3821.
27. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ფ. 26764. არქ. 21.
28. საქ. უახლესი ისტორიის არქივი ფ. 1880 საქ. 57. 1 გვ. 1.
29. იქვე გვ. 2.
30. იქვე გვ. 4.
31. იქვე გვ. 8.
32. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 693. დოკ. 5042.
33. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქაღალდე 575. დოკ. 4778.
34. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3640.
35. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3641.
36. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 3607.
37. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფ. 578. დოკ. 4781. გვ. 83.
38. იქვე გვ. 84.
39. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3540.
40. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 2. საქმე. 939.
41. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. № 15584.
42. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 2796.
43. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე. 1004.
44. საქართველოს უახლესი ისტორიის, არქივი, ფ. 1880. საქმე 145. გვ. 1.
45. ნინო მჟავანაძე, მარიკა კახაძე, „ასეთი იყო ჩემი საქართველო“. 2003 თბილისი. გვ. 409.
46. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II საქმე. № 4647.
47. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3603.
48. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 617. გვ.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V
(1972-1977 წწ.)



უწმიდესი და უნეტარესი დავით V.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი დავით V, ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბრაელის ძე დეკანოზიანი, დაიბადა 1903 წლის 24 მარტს, შორაპნის მაზრის სოფელ მირონწმინდაში (ახლანდელი ხარაგაულის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ მირონწმინდაში. 1917 წელს დაამთავრა სარგვეშოს არასრული სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმეს მონასტერში. 1918 წლის 1 აგვისტოს ქუთათელგაენათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) დაადგინა მირონწმინდის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ. 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და სასულიერო პირები კანონგარეშედ გამოცხადდნენ; აგრესიული ათეიზმი, რაც ეკლესია-მონასტრების ნგრევასა და საეკლესიო სიწმინდეთა განადგურებით, სასულიერო პირების დევნით იყო ცნობილი, შეეხო როგორც ქალაქის, ასევე პროვინციების სამღვდელოებას. სასულიერო პირთა დაპატიმრებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა მედავითნე ხარიტონ დეკანოზიანი უკიდურეს ნიჭიერ სიდუხჭირესა და სულიერ ბრძოლებში იყო. დაპატიმრების შიშით, იგი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელსაც. მიუხედავად ამ განსაცდელებისა, ხარიტონ დეკანოზიანმა მტკიცედ გადაწყვიტა სასულიერო პირობა და თხოვნით მიმართა მარგველ ეპისკოპოს ვარლამს (მახარაძე), ეკურთხებინა დიაკვნად და განეწესებინა ნებისმიერ ეკლესიაში. მეუფე ვარლამმა 1927 წლის 26 თებერვალს ხარიტონ დეკანოზიანი დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი სარგვეშოს წმიდა გიორგის ეკლესიაში და დანიშნა იმავე ეკლესიის წინამძღვრად. 1928 წელს მამა ხარიტონი, როგორც გამორჩეული სასულიერო პირი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ხარაგაულის ოლქის მთავარხუცესად. ამ დროს მისი ოლქის მღვდელმა იასონ აბესაძემ გაზეთ „კომუნისტში“, ოფიციალური ხელისუფლების წაქეზებით, გამოაქვეყნა „ღია ბარათი საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს“, რომელშიც დეკანოზი „წუხს“ ეკლესიაში გაბატონებულ მექრთამეობაზე, ხელქვეითების ჩაგვრაზე, საზოგადო მნიშვნელობის თანხების გაფლანგვაზე. მართალია კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი გამოაცხადა, საბჭოთა კონსტიტუციით სინდისის თავისუფლება ოფიციალურად იყო დეკლარირებული, ხელისუფლება გააფთრებით უტევდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და სასულიერო პირებს. შექმნილ რთულ ვითარებას კარგად ასახავს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის წერილი, რომლითაც მან 1928 წლის 1 ოქტომბერს მიმართა საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკ). წერილში ნათქვამი იყო: „საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის დელეგაციასთან ერთად მოგართმევთ განცხადებას იმ ადმინისტრაციულ დევნულებათა შესახებ, რომელსაც განიცდის საქართველოს ეკლესია, მორწმუნეებიც და სამღვდელოებაც. კათოლიკოს-პატრიარქი სთხოვდა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მოეხდინა ამომწურავი განკარგულება, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მისცემოდა უფლება არსებობისა და მოქმედებისა საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში, რადგანაც ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული შევიწროებანი არა იდეოლოგიურის, არამედ ადმინისტრაციული ხასიათისა, უსაბრებენ მას არსებობის შესაძლებლობას. ხსენებული განცხადების ცაკ-ისადმი მიცემის შემდეგ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხდება მღვდლების მკვლელობანი, ეკლესიების დანგრევა, დაწვა მისი ნივთებისა, აკრძალვა ზარის რეკვისა და ბინებიდან სასულიერო პირების გამოსახლება. ეკლესიის დაბეგვრა არა ფაქტიურის, არამედ ზომაზე ერთი ათად გადიდებული ფიქტიური შემოსავლის მიხედვით. ზემოხსენებულის დამამტკიცებელი ფაქტებია: 1928 წლის 9 დეკემბრის ღამით მოკლეს კახეთის მაზრის სოფ. მატნის მღვდელი ასათიშვილი, როდესაც შინ ბრუნდებოდა ნათლობის შესრულების შემდეგ; 1928 წლის 28 სექტემბერს ღამით თავს დაესხნენ კახეთის მაზრის სოფელ კისისხევის მღვდელს ბაკურაძეს შეიარაღებული პირნი, ძირითადად ახალგაზრდები, რომელნიც მღვდელს სახლში შეუცვივდნენ თოფებით და რევოლვერებით და მღვდელსა და

მის ცოლს სთხოვდნენ ფულს, რაც მასპინძლებს არ აღმოაჩნდათ, წაიღეს ანაფორა, მსუბუქი ნივთები. მღვდელმა მიაგდო მრეველიც, სახლიც და გაიქცა. იგი ამბობს, რომ იქ ეეღარ დაებრუნდები, რადგან არავისგან არ მოველი შველასო. ეკლესიები დაანგრიეს ძირულაში, ზესტაფონში, ნატანებში, ოზურგეთში, ასკანაში, ჩოჩხათში. ქუთაისის მაზრის სოფ. ბაშში ეკლესია კლუბად გადააკეთეს, როდესაც მორწმუნეებმა პროტესტი განუცხადეს, დაემუქრნენ შავ სიაში შეტანით, გადასახადების ზედმეტი დაბეგვრით და მიწის ნორმის ჩამორთმევით. კახეთში სოფ. კარდენახში ბევრჯერ გატეხეს ეკლესია, შიგნით მიანგრ-მოიანგრიეს მოწყობილობა და გამოყარეს გარეთ საეკლესიო ნივთები. მრავალჯერვე მოიყვანეს მორწმუნეებმა წესრიგში იქაურობა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებულნი გახდნენ, ხელი აეღოთ ეკლესიის ზრუნვაზე. იმავე მაზრის სოფელ ენისელში გატეხეს ეკლესია და შიგ საქონელი შერეკეს, სოფელ ყარსუბანში დაარბიეს ეკლესია და მღვდელს შეუთვალეს — თუ მღვდლობას თავს არ დაანებებთ, მოგკლაეთო. სოფელ ტიბაანში ცეცხლი წაუკიდეს ეკლესიის ზარებს. ზარების რეკვას უკრძალავენ გაგოსში, მარტყოფში, თელავში. ეპისკოპოსებს ხელისუფლება ნებას არ აძლევს, თავიანთ ეპარქიებში გადაადგილდნენ და ღვთისმსახურება შეასრულონ."[1]

ასეთ რთულ დროში დაიწყო მამა ხარიტონ დეედარიანმა მთავარხუცესობა. ერთი წლის შემდეგ 1929 წლის 4 მარტს იგი კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ლოცვაკურთხევით გადაყვანილ იქნა მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, ჯვრ სიონის, ხოლო 1932 წლიდან ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად. 1945-1947 წლებში იგი კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურია.

მამა ხარიტონს განსაკუთრებულად აფასებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. მისი ბრძანებით, მამა ხარიტონი 1947 წლის 20 ნოემბერს დაინიშნა ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის მოადგილედ, 1949 წლის 6 მაისიდან — წინამძღვრად. ამის შემდეგ ერთხანს ისევ სიონის საპატრიარქო ტაძარს დაუბრუნდა. 1952 წლის 14 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა მელქისედეკმა, კვლავ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1955 წელს გადაყვანილ იქნა ჭიათურის მღვიმის მონასტრის წინამძღვრად. 1955 წლის 17 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ბრძანებით აღდგომის დღესასწაულზე დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით. 1956 წლის აგვისტოში პატრიარქმა მელქისედეკმა წინადადება მისცა, აღკეცილიყო ბერად. 25 აგვისტოს აღიკეცა ბერად და ეწოდა სახელად დავითი.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდში აზრთა სხვადასხვაობა იყო მამა ხარიტონის ბერად აღკვეცისა და ეპისკოპოსად კურთხევის საკითხთან დაკავშირებით. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ანტონი (გიგინეიშვილი) პატრიარქისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა — „მიუღებლად მიმაჩნია ცოლოსანი სასულიერო პირის ეპისკოპოსობა. მეშინია ეკლესიის ოპონენტებმა თომა ჩიქვანაიამ და სხვებმა არ ისარგებლონ ამ ფაქტით და ჩვენი ეკლესია ცოცხალ ეკლესიად არ გამოაცხადონო. გარდა ამისა, რუსები იტყვიან — აი, საქართველოს ეკლესიაში ცოლოსანი ეპისკოპოსები ჰყავთო."[2] მამა ხარიტონის ბერად აღკვეცას და ეპისკოპოსის ხარისხში აყვანას მხარი დაუჭირეს ნინოწმინდელმა დიმიტრი იაშვილმა, ჭყონდიდელმა და ბათუმ-შემოქმედელმა ეფრემმა (სიდამონიძე). 1956 წლის 26 აგვისტოს იგი აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულზე არქიმანდრიტი დავითი აკურთხეს ეპისკოპოსად, ჩააბარეს მარგვეთის ეპარქია და დროებით შეუთავსეს ურბნელობაც. ამ დროს 1957 წლის 26 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე ურბნისის ეპარქიის ხაშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი გაბრიელ ურგებაძე. მეუფე დავითს დიდი პრობლემები დახვდა მარგვეთის ეპარქიაში, განსაკუთრებით ჭიათურაში მღვიმის მონასტერში. მისი ბრძანებით, 1958 წლის 11 იანვარს ეკლესიიდან განკვეთეს იღუმენია ელენე (კიკნაძე). 1958 წლის 14 ნოემბერს, უწმიდესი მელქისედეკის ბრძანებით, დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1959 წლის 24 ივლისს უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის ბრძანებით მარგველი ეპისკოპოსი დავითი დაჯილდოდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით და გამოცხადდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1960 წლის 11 იანვარს უწმიდესი მელქისედეკ III-ის გარდაცვალების მეორე დღეს შეკრებილი სინოდის სხდომაზე ურბნელმა ეპისკოპოსმა დაეითმა სპეციალური წერილობითი განცხადებით უარი თქვა მოსაყდრეობაზე მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ. 1962 წლის 18 თებერვალს უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით იგი აყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში. 1962-1965 წლებში მიტროპოლიტი დავითი დაჯილდოვდა წმ. ნინოს და წმ. გიორგის ორდენებით, 1970 წელს მეორე პანაღიის ტარების უფლებით. 1972 წლის 7 აპრილს, დილის 6 საათზე და 30 წუთზე გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. იმავე დღის 13 საათსა და 45 წუთზე საპატრიარქოში შეიკრიბნენ მიტროპოლიტი დავითი, ეპისკოპოსები: ზინობი, გაიოზი, დეკანოზები: პ. ობოლაძე, გ. ჩაჩუა, საერო პირნი: ი. ჭეიშვილი, პ. კორეჩი, ლ. საღლიანი, ი. სამჭკუაშვილი. გახსნეს პატრიარქის სეიფი, სადაც ინახებოდა 1972 წლის 17 მარტს (ამ დროს ეფრემ II მძიმედ იყო ავად) შედგენილი წერილობითი ანდერძი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ხელმოწერით, რომელშიც ეწერა: „ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს მოსაყდრედ დატოვებული მყავს 1 წლის ვაჟით ურბნელი მიტროპოლიტი დავითი". იქვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოქმის შედგენის შესახებ, რომელშიც ჩაიწერა „პატრიარქ ეფრემ II-ის ანდერძის თანახმად მოსაყდრედ დატოვებულმა ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა ჩაიბარა ანდერძი და შეუდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის შესრულებას".[3] კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე დავითის (დეედარიანი) განკარგულებით შეიქმნა უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: მოსაყდრე მიტროპოლიტი დავითი, ეპისკოპოსი გაიოზი, დეკანოზები პართემ ობოლაძე, გიორგი ღონღაძე, პაველე კოსაჩი. მოსაყდრე მიტროპოლიტმა დაეითმა 1972 წლის 10 აპრილს მიტროპოლიტობა უბოძა ეპისკოპოს ზინობს და ეპისკოპოს რომანოზს.

1972 წლის 1 ივნისს თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის XI საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 58 დელეგატი. საეკლესიო კრებამ ურბნელი მიტროპოლიტი დავითი ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. 2 ივნისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია (აღსაყდრება), რომელსაც ესწრებოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყუბანისა და კრასნოდარის მთავარეპისკოპოსი ალექსი (შემდგომში რუსეთის პატრიარქი ალექსი II), ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოზი ვაზგენ I.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ დავითის არჩევამდე და არჩევის შემდეგ ქართველ მორწმუნე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. საერო ხელისუფლებაში გაგზავნილ საპროტესტო წერილში, რომლის ავტორი სიონის საპატრიარქო ტაძრის მცველი ავთანდილ სამხარაძე აწერდა ხელს, ნათქვამი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვაგამგეობის დებულების მე-20 მუხლში წერია: „საკათოლიკოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მომზადება", არც საერო და არც საღვთისმეტყველო განათლება არ გააჩნია ამჟამად არჩეულ პატრიარქს... მისი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა არაკანონიერ ვითარებაში მოხდა. ეფრემ II სიცოცხლეში, მორწმუნეებთან პირადი საუბრის დროს და ასევე საჯაროდაც, ყოველთვის აცხადებდა, რომ ერთადერთი პირი, რომელმაც ის უნდა შეცვალოს, არის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი. ამ უკანასკნელს უმაღლესი საერო და სასულიერო განათლება აქვს, სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მორწმუნეთა შორის". ვითარება რომ რთული იყო ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ამას ადასტურებს თუნდაც ეს მიმართვა, რომელიც 1972 წლის მაისის დასაწყისში დაიწერა: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ მიტროპოლიტ დავითის მოწინააღმდეგენი არიან საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის მტრები, რომელთაც სურთ, ქაოსი და შფოთი შეიტანონ საქართველოს ეკლესიაში. საქართველოს ეკლესიის სინოდი დაქრილებულ საკათოლიკოსო ტახტზე ასაყვანად ერთ-ერთ ღირსეულ და ყოველმხრივ შესაფერისად სცნობს ორგზის მოსაყდრედ დატოვებულ მიტროპოლიტ დავითს".[4]

უწმიდესსა და უნეტარეს დავით V-ს აღსაყდრების დღეს სვეტიცხოველში შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ (შიოლაშვილი): „ქართველ ადამიანს სურს, დაინახოს თქვენში მაგალითი კეთილი მოძღვრისა, მოსიყვარულე და თავდადებული მამა, ლამპარი სარწმუნოებისა და ყოველიეე სათნოებისა. ჩვენ გეწამს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან თქვენ გაქვთ ორმოცდაათწლიანი სულიერი ცხოერების დიდი გამოცდილება. დღეს კაცთაგან მიუწვდომელმან განგებამან ღვთისაგან ჩაგაბარათ თქვენ სადავე ჩვენი ეკლესიისა. თქვენს წინაშე დღეიდან აღიმართა ქართული ეკლესიური და ეროვნული პრობლემები, უპირველეს ყოელისა, ჩვენი ღვთივდაცული ერის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ამაღლება. ჩვენი აზრით, მტკიცე რწმენა და მაღალი ზნეობა არის საწინდარი ადამიანის ბედნიერებისა. ამის გარდა, არ უნდა შეწყდეს ხმა ჩვენი ეკლესიისა საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ჩვენი ეკლესია გამოდის, როგორც უძველესი დამოუკიდებელი ერთეული. ჩვენმა ეკლესიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოეთში მცხოერებ ქართველებს, რომელთაც ენატრებათ ქართული ენა, ქართული ლოცვა, მშობლიური მიწა, ისინიც ხომ საქართველოს პატრიარქის სულიერი შვილები არიან... ჩვენმა ეკლესიამ უნდა გააძლიეროს ხმა, მომწოდებელი მშვიდობისა, რათა დაემკვიდროს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ამისათვის თქვენ გესაჭიროებათ განათლებული მოძღვრები, ამისათვის საჭიროა ძლიერი სასულიერო სასწავლებელი, რომლის მიმართ თქვენი უწმიდესობა გამოიჩენს მამობრივ მზრუნველობას".[5]

უწმიდესსა და უნეტარესს დავით V-ს ურთულეს პირობებში მოუხდა მოღვაწეობა. 1972-1973 წლებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედი იყო 50-მდე ეკლესია-მონასტერი და სამლოცველო სახლი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 60-მდე სასულიერო პირი, მათ შორის: 4 მღვდელმთავარი, 50 არქიმანდრიტი, დეკანოზი, მღვდელი, 5 დიაკონი. პატრიარქ დავით V-ის ლოცვა-კურთხევით მღვდელმთავრებად აკურთხეს: დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი (ღონღაძე) 1974 წლის 13 იანვარს და ეწოდა მანგლელი; 1976 წლის 22 მაისს თელავის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი, რომელსაც ეწოდა სახელად გრიგოლი და ჩაბარდა ალაევრდის ეპარქია; წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარი აეთანდილ სამხარაძე – ბოდბელად 1975 წლის 24 მაისს, მას სახელად ეწოდა ილარიონი. 1972 წლის 29 სექტემბრიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც გააქტიურა საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურების ბრძოლა „მავნე ტრადიციების,რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ". რესპუბლიკის მასშტაბით ტარდებოდა ანტირელიგიური ღონისძიებები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შეზღუდული შესაძლებლობებიც კი კიდევ უფრო იკვეცებოდა. 1976 წლის სააღდგომო ლიტურგიის დროს სვეტიცხოველისა და სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოებში მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა, ხალხი დაიფანტა... კიდევ უფრო გაიზარდა სასულიერო პირებისა და მოქმედი ეკლესიების დაბეგერა (სახელმწიფოს მიჰქონდა 87 პროცენტი). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზეც ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებოდა. პატრიარქი დავით V 1976 წელს ოფიციალურად იმყოფებოდა მოსკოვში, ერევანში (ეჩმიაძინში). 1976 წელს თბილისში ჩამობრძანდა ბულგარეთის პატრიარქი უწმიდესი მაქსიმე, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ლუკას ფიშერი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) ხელმძღვანელობით, იმყოფებოდა ინდოეთში, შეხვდა იქაურ რელიგიურ ლიდერებს (1977 წ.).ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის. წილკნელმა ეპისკოპოსმა გაიოზმა 1977 წლის 12-18 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო პრაღაში გამართულ რელიგიათაშორისი კონფერენციის მუშაობაში. 1976 წელს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვალენტინა ფაილოძის ხელმოწერით თბილისში ერცელდება წერილი

„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ". ეს წერილი შემდეგ დაიბეჭდა დისიდენტურ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში". ოფიციალურმა ხელისუფლებამ ამ დროს გადაწყვიტა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრება და გამოიყენა 1976 წლის 17 თებერვალს წილკნელი ეპისკოპოსის გაიოზის წერილი, გაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის თენგიზ ონოფრიშვილის სახელზე, და — სათაურით „არა ცილი სწამო" — გამოაქვეყნა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე, რომელსაც ხელს აწერდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტები ზინობი, რომანოზი, გაიოზი, ეპისკოპოსები გიორგი, გრიგოლი... წერილი იწყებოდა ილია ჭავჭავაძის სიტყვებით „უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის — ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება, როცა ბეზღობა,— ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა,— პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწედის მაბეზღარს... მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოველად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდეე „შაბაში" და „ბარაქალა" იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია. თვითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება ადამიანი გაუძლებდა, მოიგერიებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს" /ილია ჭავჭავაძე/.

დასავლეთ გერმანიის რადიოსადგურმა „თავისუფლებამ", ამ ბოლო ხანებში უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც გამოუცხადა ბრძოლა. მან ეთერში რამდენიმეჯერ გაუშვა სრულიად ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხასიათის გადაცემა, რომლის უმთავრესი მიზანი — ქართველ ხალხზე დიდად ნაამაგარი — ქართული ეკლესიის სრული დისკრედიტაცია იყო.

როგორც ჩანს, დასავლეთის რეაქციულ ძალებს სული უწუხთ იმ ყოველ წარმატებაზე, რასაც დიადი საბჭოეთის მოქალაქენი, განურჩეველად მათი მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსისა, — ახალი საზოგადოების მშენებლობაში იჩენენ. ამიტომაც საქართველოს ეკლესია, როგორც სახე საბჭოეთის მიწა-წყალზე მკვიდრი მთელი მორწმუნე ქართველი ერისა, — ნიშანშია ამოღებული. არა აქვს უფლება, ხელი აფათუროს მის შინაურ საქმიანობაში. თუ, რა თქმა უნდა, საკითხი არ შეეხება ერესს, რაც ისიც ასეთის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიათა კომპეტენციას შეადგენს და არა ვიღაც ჭორიკანა და ცილისმწამებელი კერძო პირებისა.

რადიო „თავისუფლებამ", მისთვის ჩვეული თავხედობით ფეხქვეშ გათელა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მთელი რიგი დადგენილებანი, — ეკლესიის უმაღლეს იერარქიულ პირთა პირად ღირსებათა ხელყოფითა და მათ წმიდა სამწყსოში შფოთისა და არეულ-დარევის შეტანის მცდელობისათვის.

ღვთიდაცული ქართული ეკლესია სრული ბატონ-პატრონია თავისი თავისა, თავისი ხვალინდელი დღისა და „ნაშობთა იქედნეთანთა გულშემატკივრობა" სრულიადაც არ ესაჭიროება მას.

საქართველოს ეკლესიას ჰყავს უწმიდესი სინოდი, რომლის წევრად ყველა მისი მღვდელთმთავარი ერთიანდება და აქვს მართვა-გამგეობის საკუთრივ შემუშავებული „დებულება", რომელიც რამდენიმეჯერაა მიღებული და დამტკიცებული, ჯერ ავტოკეფალიის აღდგენისას 1917 წელს, კირიონ კათოლიკოსის დროს და ბოლოს — 1945 წელს. ამ დებულების მუხლების და საერთოდ საეკლესიო სამართლის ნორმებისადმი სრული შესაბამისობით ხორციელდება ჩვენთან, როგორც კათოლიკოსის, ასევე სამღვდელო და საეპისკოპოსო კანდიდატების შერჩევა, მათი კურთხევა-განაწილება სხვა.

მაგრამ იმ მავნე, თითებზე ჩამოსათვლელ სექტანტურ ელემენტებს, რომელთაც არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერ ორთოდოქსალურ ეკლესიასთან, რომელთაც კოზი ნაცარში ჩავარდნიათ, ბოღმა მოსწოლიათ, შური აღრჩობთ და

ამასთანავე ხელს არ აძლევთ ქართული ეკლესიის მთლიანობა,ჩანს,განუზრახავთ ჯერ მისი სახელის შებღალვა,ხოლო ბოლოს მოსპობა-განადგურება,რათა თავიანთი ბნელი და უკეთური საქმიანობის ასპარეზად გადააქციონ იგი. და ეს არც არის შემთხვევითი.

ხსენებული რადიოსადგური ხომ საქვეყნოდ ცნობილია,რომ გარს იკრებს საბჭოთა ხალხებისა და მოქალაქეების მალულ თუ აშკარა მტრებს, კეთილი გრძნობებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანთა მტრებს და ყველას მათ, ვინც დასავლეთის მილიტარიზმის წისქვილზე ასხამს წყალს,რათა ქვეყნად სიცოცხლემ და ღეთის მიერ შემოსილმა მშვენიერებამ კი არა,— სიკვდილმა და უმსგავსოებამ გაიმარჯვოს.

გულსატკენი და სამწუხაროა,რომ საქართველოს ეკლესიის ლანძღვა-გინება ეთერში ქართულ ენაზე გაისმოდა. იმ ენაზე,რომლითაც მრავალმა ქებათა-ქება მიუძღვნა მას, იმ ენაზე,რომელი ენაც ქართულმა ეკლესიამ თავის წიაღში გამოაწრთო,გაუხუნარი სამოსით შეამკო, დღევანდლამდე შემოინახა და ახლაც ფხიზელ დარაჯად უდგია მას. დღეს კი — თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე გულაყრილმა ზოგიერთმა უმადურმა ქართველმა — ჩვენი დიდი დედა, საქართველოს ათასექვსასწლოვანი ჭაღაროსანი ეკლესია ამ ენით შეურაცხყო. აი, ამაგის დაფასებაც ამასა ჰქვია. მაგრამ არა უშავს... „ყოველი თესლები გარემომადგეს მე და სახელითა უფლისათა ეერეოდი მათ“, — ბრძანებს დავით ფსალმუნთმგალობელი /ფს. 117, 10/, „ორღანოთა იხმია მტერმაო“...

მრავალჯერვარამგამოელილ ქართულ ეკლესიას, — მშვიდობისა და კაცთა შორის სიყვარულის მქადაგებელს,— ვერავისი მტრობა ვერ შეაშინებს, ვინაიდან იგი ღეთისა და მშვიდობის დიდი მებაირახტრის — ღეთივდაცულ საბჭოეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. დასასრულს კი რადიო „თავისუფლების“ და მის მეჩონგურეთა — გამსახურდიელების გასაგონად სულმნათი შოთა რუსთველის სიტყვებს დავიმოწმებთ:

„ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია!“ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილი რთული ეითარების წარმოსაჩენად საინტერესოა 1977 წლის 10 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის ლოცვა-კურთხევით ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიასათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი: „მის მაღალყოველადუსამღვდელოესობას,მიტროპოლიტ ილიას. გაცნობებთ,რომ კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ბრძანებით, მის მაღალყოველადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის“. ასეთი შინაარსის გადაწყვეტილება არაკანონიკური იყო იმიტომ,რომ მეუფე ილია ეპისკოპოსი გახდა 1963 წელს,რომანოზი 1965 წელს,მეუფე ილია მიტროპოლიტის პატივში აყვანილ იქნა 1969 წელს, მეუფე რომანოზი 1972 წელს, მეუფე ილიას სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება მიღებული ჰქონდა 1975 წელს, მეუფე რომანოზმა ეს უფლება მიიღო 1977 წლის სექტემბერში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რის საფუძველზე ცხადდებოდა იგი უპირატეს მღვდელმთაერად. საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში ახალი რთული პერიოდი იწყებოდა...

1977 წლის 9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V (დევდარიანი). იმავე დღეს საღამოს 19 საათზე შედგა წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). სინოდმა განაჩინა: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ილია;

2. უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაიკრძალოს სიონის საპატრიარქო ტაძარში 1977 წლის 15 ნოემბერს; 3. წმიდა სინოდის სხდომის გადაწყვეტილებანი ოფიციალურად ეცნობოს მსოფლიოს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, საერო ხელისუფლებას.

უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაკრძალეს 1977 წლის 15 ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში. განსვენებულ პატრიარქს წესი აუგო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ილიამ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრების: მიტროპოლიტ ზინობის, ეპისკოპოს გიორგის, ეპისკოპოს

გრიგოლის თანამწირველობით. აქეე იმყოფებოდნენ სტუმრები: სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი ალექსი (შემდგომში რუსეთის პატრიარქი ალექსი II), ეპისკოპოსი იოსი, წირეას ესწრებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I.

პანაშვიდის შემდეგ განსვენებულ პატრიარქს სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ:

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ამინ.

„სულისა მიერ წმიდისა მიეცემის ყოველთა განხთობა, სათნო-ყოფა და წარმატება, და მშვიდობა, და კურთხევა"...

საქართველოს მართლმადიდებელ წმიდა ეკლესიას და ღვთისმშობლის მამულს — საქართველოს, განგებითა ღმრთისათა მოეკლინა ღრმა მწუხარება — გარდაიცვალა ჩვენი დიდი მეუფე და ქართველი ერის მამამთავარი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალოკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დავით V.

დღეს ჩვენ ლოცვითა და ცრემლით ვაცილებთ ჩვენს მამამთავარს, რომლის უკედავი სული მიეკლინა იმ წიაღს, სადაც განისვენებენ ჩვენი დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი და ეფრემი.

მან აღასრულა დავით წინასწარმეტყველის ასაკი, იგი შესრულდა 74 წლის. მირონწმინდის მიდამოებში დაბადებული და აღზრდილი სიყრმითგანვე დაეწაფა ეკლესიის უკედავ წყაროს და სამუდამოდ შეუერთდა მას.

ჯერ კიდევ სიყრმის ჰასაკში მოესმა მას ხმა იდუმალი უფლისა ყოველისა მპყრობელისა „სვიმონ იონასო, გიყვარვარ მე?" მან უსმინა ამ ხმას და უპასუხა უფალს: „უფალო შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყვარხარ შენ". ამ პასუხზე არ შეჩერდა იგი, მან არა მარტო შეიყვარა უფალი, არამედ შეუდგა მას და პასუხად მოესმა საწადელი: „დამწყსე ცხოვარნი ჩემნი" და, როგორც შედეგი ამისა, ახალგაზრდა 24 წლის ხარიტონ დეედარიანი ნეტარხსენებულმა მიტროპოლიტმა ვარლამმა (მახარაძემ), ნახა რა მისი მტკიცე რწმენა, სიყვარული და სასოება 1927 წელს აღიყვანა იგი მღვდლის ხარისხში. მიმდინარე წელიწადი იყო მისთვის საიუბილეო წელი — მას შეუსრულდა სამღედელო ხარისხში აყვანიდან 50 წელი, მაგრამ ეს იყო ხოლო დასაწყისი მისი სასულიერო მოღვაწეობისა. მოწოდება უფლისა დაგვირგვინდა და განგებამან ღვთისაგან აღიყვანა იგი სრულიად საქართველოს პატრიარქის ტახტზე. ამ ხნის განმავლობაში მას განუცდია არაერთი სასიხარულო დღე ღვთისაგან მონიჭებული, იგი ხარობდა იმ სიყვარულით, რომლითაც მას უხვად აჯილდოებდა ჩვენი ღვთივ დაცული ქართველი ერი, მაგრამ მასთან ერთად მას მრავალჯერ შეუსვამს სიმწარისა და მწუხარების ფიალა. მაგრამ განსაცდელს მისი უკედავი ნებისყოფა არ შეურყევია, არამედ განმტკიცდა, ვითარცა პეტრე მოციქული, რომელსაც უბრძანა უფალმა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე 16-18).

და აი, ამ დიდ ადამიანს, რწმენისა და სიბრძნის ტიტანს, დღეს ემშვიდობება ჩვენი ქართველი ერი, ემშვიდობება ჩვენი დაობლებული ეკლესია.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ჩვენო მამათმთავარო და დიდო მეუფეო!

დალოცე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. შესთხოვე უფალს, რათა მიანიჭოს ღვთივდაცულსა ქვეყანასა ჩვენსა „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".

„ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე უფალო, და სახსენებელი მისი თესლითი თესლამდე". ამინ".

უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაიკრძალა XX საუკუნის დიდი პატრიარქების გვერდით. მისი სული მარადისობაში დაბრუნდა.

წილკნელი მიტროპოლიტ ზოსიმეს (შიოშვილი) მოგონება უწმიდესსა და უნეტარეს დავით V-ზეუწმიდესი პატრიარქი დავით V ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელია იმით, რომ მის დროს ჩავირიცხე მცხეთის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად და შემდგომში მისი ლოცვა-კურთხევითეე ეკკურთხე დიაკვნად და მღედლად და მოღვაწეობა დავიწყე ეკლესიაში. დიახ, სწორედ უწმიდეს დავითთან დააკავშირა

უფალმა ჩემი ეკლესიური მოღვაწეობის პირველი წლები, რომელთაც წარუშლელი კვალი დააჩნიეს ჩემს სულს, მაგრამ გულახდილად ვიტყვი, რომ მასთან ისეთი ცხოველი სიახლოვე არ მიგვრძნია, როგორსაც უწმიდესი ეფრემის მიმართ ვგრძნობდი, მაგრამ მოკრძალება და პატივისცემა დიდი მქონდა მისადმი.

სასულიერო სემინარიაში ჩარიცხვის დღიდან სულ ენატრობდი უწმიდეს დავითთან შეხვედრას, მაგრამ ამას მოკლებული ვიყავი. იგი საეროდ არ ჩამოდიოდა სემინარიაში, მცხეთაშიც იშვიათობა იყო პატრიარქის წირვები. უწმიდესი მაშინ უკვე საკმაოდ იყო მოუძლურებული და ხშირად ავადმყოფობდა. ამას ისიც დაერთო, რომ სასულიერო სემინარიაზე რაღაცით იყო გულნატკენი, რაც მე სხვებისგან მქონდა გაგონილი და ამას განვიცდიდი. სემინარიაში სწავლის პერიოდში ხშირად ვფიქრობდი და ვერ ამეხსნა უწმიდესის გულისტკივილის მიზეზი. შემდეგ თანდათან მივხედი, რომ ეს წყენა მას ადრიდან მოჰყვებოდა და იგი მის აღსაყდრებასთან იყო დაკავშირებული. ეს ჩემთვის ცხადი შეიქნა სამთაეროს მონასტრის დედათაგან, რომელთაც უფრო შიში ჰქონდათ უწმიდესი დავითისა, ვიდრე გულწრფელი სიყვარული. როგორც ჩანს, უწმიდეს დავითს ნაკლები სიყვარული და თანადგომა ახსოვდა მონასტრის დედათაგან და სასულიერო სასწავლებლისგან, როცა იგი საპატრიარქო ტახტზე ადიოდა, და ეს წყენა და ტკივილი გამოყვა მას შემდგომშიც და ამისგან, მგონი, ბოლომდე ვერც კი გაითავისუფლა თავი. ასეა ყოველთვის, უსიამოვნებას მუდამ უსიყვარულობა აჩენს და მხოლოდ სიყვარულით უნდა მოშუშდეს იგი. ეხლა ვხვდები, რომ უწმიდეს დავითსაც აკლდა ეს სიყვარული და ამის გამო იყო იგი ზოგიერთების მიმართ გულდამძიმებული.

სასულიერო სემინარიის სტუდენტები ღვთისმსახურებებს უმეტესად მცხეთაში ესწრებოდით, ძალზე იშვიათად თუ გვეძლეოდა ლოცვა-კურთხევა პატრიარქის წირვაზე დასწრებისა სიონის ტაძარში. ეს დღეები ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან მამამთავარს უნდა შევხვედროდი.

უწმიდეს პატრიარქ დავითს ჰქონდა ბიბლიური შესახედაობა, ძველი აღთქმის რომელიღაც მამამთავარს მოგაგონებდათ იგი. მას ჰქონდა მშვენიერი, ძლიერი და ხავერდოვანი ხმა, სხვებისგან გამორჩეული. როცა იგი ასამაღლებელს წარმოთქვამდა, საოცარი სისავსე იგრძნობოდა ირგვლივ. მაგრამ იმავეს მის ქადაგებებზე ვერ იტყოდი, რომლებიც გამოირჩეოდა უბრალოებითა და სიმარტივით. მე რამოდენიმეჯერ მაქვს მოსმენილი უწმიდესი დავითის ქადაგება წირვის შემდეგ და ყოველთვის ქვეყნად მშვიდობის საკითხს დასტრიალებდა იგი. შესაძლოა, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ საერო ხელისუფლება მაშინ მხოლოდ მშვიდობის საკითხში ითხოვდა ეკლესიისგან თანადგომას და, ბუნებრივია, ეკლესიის წინამძღოლისგანაც საყოველთაო მშვიდობისკენ მოწოდებას მოელოდნენ ისინი.

ღვთისმსახურებისას მაშინ პატრიარქ დავითს ემსახურებოდნენ რუსი სტიქაროსნები თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძრიდან, რასაც ისინი ასრულებდნენ დიდი კრძალულებითა და მონდომებით. მაშინ ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი იყო მიტროპოლიტი ზინობი, სტიქაროსნებიც მისგან იყვნენ გამოზრდილნი. ბავშვობიდან მოყოლებული, სულ მათ მსახურებას ვუყურებდი ტაძარში და ისინი ახლობლები შეიქნენ ჩემთვის. ადრე კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მეც შეიძლებოდა პატრიარქს მოემსახურებოდი. ისინი იმდენად კარგად იყვნენ თავიანთ საქმეს დაუფლებულნი და ისე ლამაზად ემსახურებოდნენ მამამთავარს, რომ სხვანაირს ალბათ ვერც ვინატრებდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩავირიცხე სასულიერო სემინარიაში, არ ვიცი საიდან და ჩემში გაჩნდა იმისი რწმენა თუ სურვილი, რომ ჩვენი ეკლესიის მამამთავარს ჩვენვე შეიძლებოდა მოემსახურებოდით. ამას კი ეფიქრობდი, მაგრამ როცა თვალს გადავავლებდი ხოლმე სტუდენტების მაშინდელ შემადგენლობას სასწავლებელში, გული მწყდებოდა, რადგან სტუდენტთა სიმცირის გამო და კიდევ იმიტომ, რომ მათგან ბევრი იყო ასაკოვანი, ეს საქმე ჩვენთვის არ იქნებოდა ადვილი. ისედაც, ვიღაცას ხომ უნდა ესწავლებინა შემოსვაგანმოსვა მღვდელმთავრისა და მომსახურება მისი. ჩვენ ისე ვშვიათად ვხვდებოდით კათოლიკოს-პატრიარქს და ისიც ისე მორიდებით ვიყავით მისგან, რომ მარტო შორიდან ყურებით ამას ვერ დავეუფლებოდით. ასე იყო თუ ისე, ჩემს გულში მაინც ცოცხლობდა ეს სურვილი, და ვგრძნობდი, რომ მომავალში ამას

აუცილებლად შეგვაძლებინებდა უფალი.

არ ვიცი, უფალმა ისმინა ჩემი, თუ უბრალოდ მოხდა შემთხვევით, ერთხელ უწმიდესი დავითი რუს სტიქაროსნებზე რაღაცით იყო განაწყენებული. მე ნამდვილად არ ვიცი ამისი მიზეზი და არც მინდა, რამეში დავდო მათ ბრალი, რადგან საკმაოდ წესიერი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ მგონია, რომ იმ ნდობასა და პატივს მაინც ჯეროვნად ვერ მოუფრთხილდნენ, რაც მათ ღვთისაგან ჰქონდათ მიცემული, ზოგჯერ სულ მცირეოდენი კადნიერება ან სითამამე როგორი დაბრკოლება და ტკივილი ხდება სულისთვის. როგორც ჩანს, უწმიდესი რაღაც ასეთი კადნიერებითა თუ სითამამით იყო გულნატკენი და აღარ უნდოდა მომსახურება მათი. უწმიდეს დავითს თავისი ეს გულისტკივილი გაუზიარებია სემინარიის მაშინდელი რექტორისათვის, მეუფე გაიოზისთვის და უკითხავს, შეძლებდნენ თუ არა სემინარიელები პატრიარქის მომსახურებას. სემინარიის რექტორს იმედი მიუცია უწმიდესისთვის, რომ ამისთვის მოემზადებოდნენ სემინარიელები.

სასწაულებლის რექტორმა მეორე დღესვე მიხმო და დამავალა, სემინარიელთაგან შემერჩია რამოდენიმე სტუდენტი და პატრიარქის სტიქაროსნებად მომემზადებინა ისინი. მე შემაკრთო ამ დავალებამ, მაგრამ გულში მაინც სიხარული ვიგრძენი, რადგან ამას შინაგანად თითქოს ველოდი. მაშინვე შევარჩიე რამოდენიმე სტუდენტი და დავიწყეთ სამღვდელმთავრო წირვის ტიპიკონის გარჩევა, რათა ზუსტად მოგვეენიშნა, თუ როდის რა იყო გასაკეთებელი. მაშინ ჩვენ წირვის ტიპიკონი ჯერაც არ გვქონდა შესწავლილი და მით უფრო უცხო იყო მღვდელმთავრის მსახურებანი. ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეებს წავაწყდებოდით. ბოლოს, როცა თეორიულად თითქოს გავერკვიეთ ყველაფერში, საჭირო შეიქნა პრაქტიკულად შესრულება ამისი. სამთავროს მონასტრის საკაენებში მოვიძიე მღვდელმთავრის ერთი ძველი შესამოსელი, ავიტანე იგი სემინარიაში, მაღალ ანალოღიას შემოვაცვი და იქ ვიწყეთ ვარჯიში შემოსვა-განმოსვაში. მე ამას ყველაზე მეტად განვიცდიდი, დღისით და ღამით სულ ამაზე ვფიქრობდი, ვღელავდი და მაინც მოუთმენლად ველოდი იმ დღის დადგომას, როცა ჩვენ უწმიდესს ტაძარში შევემოსაედით. ხშირად მიფიქრია, რა უფრო მიზიდავდა მაშინ, ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, თუ მამამთავართან სიახლოვე? – არ ვიცი, ამ კითხვაზე ეხლაც მიძნელდება პასუხის გაცემა, ალბათ ორივე ძვირფასი იყო ჩემთვის. უწმიდესთან სიახლოვეს მართლაც ესწრაფოდა ჩემი სული, ეს იყო დიდი პატივი ჩემთვის, მაგრამ არანაკლებ მიზიდავდა თავად სამღვდელმთავრო მსახურება, რისთვისაც ალბათ ვიყავი ამქვეყნად გაჩენილი.

რაც უფრო მეტად შევამზადეთ თავი მომავალი მსახურებისთვის, მით უფრო უცნაური შიში ჩამიდგა გულში. უდიდეს პასუხისმგებლობასა ვგრძნობდი ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე. ის, რაც ხილულად ხდებოდა მაშინ და რისთვისაც ეხლა გვამზადებდა უფალი, სინამდვილეში ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო ჩემი სულისთვის. მსახურება რომ არ გამოგვსვლოდა, რაღაც დიდი დაიმსხვრეოდა ჩემში, რაღაც ძალზედ დიდს დაეკარგაენი. ეხლა ვხედები, უფალი რომ არ გადაღობებოდა იმას, რასაც ვესწრაფოდი, არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი. წარმატებაც მაშინებდა, რადგან მას შეიძლება შეეეთამამებინე და სიამაყით დავბრკოლებულიყავი. წარუმატებლობის სირცხვილს კი ნამდვილად ვერ გავუძლებდი, შეიძლება რაღაც ისეთი ჩამკვდარიყო ჩემში, რომ მომავალში ეელარაფერს გაეცოცხლებინა იგი. აი, ასეთი საფრთხის წინაშე ვიდექი და ვხედებოდი, რომ არაფის შეეძლო ღვთის გარდა შეელა ჩემი. ამიტომ ისევ ღმერთსა ვთხოვე გულით, ყველაფერი ისე მოეგვარებინა, როგორც უმჯობესი იქნებოდა ჩემი სულისთვის.

როგორც ჩანს, უფალმა ისმინა ჩემი და დღესასწაულის წინა დღეს, უწმიდესმა რუს სტიქაროსნებზე მოიბრუნა გული და ისევ ისინი იხმო მსახურებისთვის. ეს ჩვენ გავიგეთ ტაძარში მისვლისას და უცნაური გულისწყვეტაც კი ვიგრძენი. მაგრამ ეს არ გაგრძელებულა დიდხანს, რადგან ღვთისაგან მალე მომეცა ისეთი გულისხმიერება, რომ ასე უმჯობესი იყო ყველასთვის, რომ უფალმა არ გაგვიმეტა გაწბილებისა და ტკივილისთვის. შემდგომში, რაც დრო გავიდა, მით უფრო დავრწმუნდი მაშინ ღვთის განგებულების სისწორეში და უფალს მადლობას ვწირავდი ამისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უწმიდესი დავითი ხანდაზმულობის გამო ხშირად

ავადმყოფობდა, ფეხების ტკივილს უჩიოდა სიბერეში. ერთხანს მოსკოვში მოუწია მკურნალობა და საკმაოდ დიდხანს შეყოვნდა იქ. სემინარიის რექტორმა საჭიროდ ჩათვალა მონახულება მისი და სხვებთან ერთად მეც მიახლა იქ. როცა ჩვენ მიეედით საავადმყოფოში, უწმიდესი არ ბრძანდებოდა თავის პალატაში, იგი რაღაც ანალიზისა თუ გამოკვლევისთვის ჰყავდათ სხვა განყოფილებაში გაყვანილი. ჩვენ შეგეყვანეს მის სამყოფელში და ცოტა ხანს მოგვაცდევინეს იქ.

ეხლაც მახსოვს, როგორი სიმშვიდე და მადლი ტრიალებდა მის ოთახში; საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე თვალი მოვკარი პატრიარქის ფსკვნილსა და პანაღიას, რამაც არ ვიცი რატომ და მაშინ ტკივილი განმაცდევინა გულში. არ მესიამოვნა პატრონის გარეშე რომ დავინახე ეს სიწმიდენი, ალბათ სიკეთის დაკარგვის შიშმა გამიელვა გულში. უწმიდესს მალე შევხვდით, იგი ცოტა ხნის შემდეგ მხნედ შემოიყვანეს პალატაში. მან თბილად დაგვლოცა ყველანი და შეეატყვე, რომ ეამა ჩვენგან მოკითხვა და სიყვარული. უცხოობაში ამას ალბათ განსაკუთრებით ელოდა თავისიანებისგან იგი. გულითა ვთხოვე უფალს მისი გამოჯანმრთელება და საქართველოში დაბრუნება მშვიდობით. რაღაც ხანს, ვიდრე სასულიერო პირნი მოისაუბრებდნენ, მე მორიდებით მომიწია დგომა მისაღებში. გამომშვიდობებისას კი, როცა მან თბილად დამლოცა და თავზე დამადო ხელი, თვალი ისევ მოვკარი პატრიარქის პანაღიას და ღვთისმშობლის გამოსახულებას დავაცქერდი. იგი თითქოს მიღიმოდა და რაღაცას მაგრძნობინებდა, რასაც მე მაშინ ვერ მივხვდი. წლების გასვლის შემდეგ კი, ჩემს მღვდელმთავრობაში, როცა მე ღვთის განგებით მომიწია ამ პანაღიის ტარება და მასთან საოცარი სიახლოვე ვიგრძენი, მივხვდი, რომ ის თვით უფალმა მიბოძა, უწმიდესი დაეითის მოსაგონებლად ცხოვრებაში. მართლაც, დღეს არაფერი ისე არ მახსენებს პატრიარქ დაეითს, როგორც ეს ღვთისმშობლის პანაღია, ამიტომაცაა, რომ მე მას განსაკუთრებით ვუფრთხილდები და მეამაყება კიდეც, რომ მას თავის დროს ატარებდა უწმიდესი პატრიარქი დაეითი, რომლისგანაც დაილოცა მთელი სამღვდელო მოღვაწეობა ჩემი.

უწმიდეს დაეითის მოღვაწეობის დასახასიათებლად, საკმარისია გავიხსენო ორი შემთხვევა ჩემი ეკლესიური ცხოვრებიდან, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და მთლიანად დამანახა პატრიარქის დიდი ადამიანური ღირსებანი, რითაც იგი ღვთისაგან იყო დაჯილდოებული. ერთია — ჩემი საკეირველი გამორჩევა დიაკვნად და მეორე — პატრიარქთან თანამსახურება ქუთაისში.

ადამიანს ღვთისაგან უამრავი ნიჭი და სიკეთე აქვს ბოძებული, მაგრამ იქიდან, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი მაინც არის ცნობა სიკეთისა და მოფრთხილება მისი. რა ფასი აქვს მთელი ქვეყნიური სიბრძნის ფლობას ან დიდ ღვთისმეტყველურ განსწავლულობას, თუ ეს ყველაფერი არ გამოადგა კაცს სიკეთის ცნობასა და მის მოფრთხილებაში? მე ეფიქრობ, უწმიდესი დაეითი სწორედ ამ ორი დიდი ნიჭით იყო ღვთისაგან დაჯილდოებული: მას შეეძლო დანახვა სიკეთისა და მოფრთხილება მისი, რაშიც მე თავად დაერწმუნდი ჩემი დიაკნად გამორჩევისას, რაც მე ჩემს ადრე გამოცემულ წიგნში უკვე მაქვს მოთხრობილი და ეხლა მას დაწვრილებით აღარ შევეხები. გავიხსენებ მხოლოდ უმთავრესს: როცა მე განრისხებულ პატრიარქთან შემიყვანეს ლამის დასასჯელად, როგორც ბრალდებული, და მან ჩამხედა თვალებში, დამაცქერდა ყურადღებით, მკითხა ზოგი რამ, მაშინვე საოცარი სიმშვიდე ჩაუდგა თვალებში, მიუბრუნდა იქვე მდგომ მღვდელმთავარს და უთხრა მშვიდი ხმით: მე ვიცი, რაც ხდება ამის გულშიო,— და მიუთითა ჩემზე ხელით. ამის შემდეგ კიდევ დამაკვირდა, თავზე გადამისვა ხელი და მითხრა: დიაკვნად გაკურთხებ, აქ ჩემთან იქნები.

პატრიარქის ასეთი უეცარი დამშვიდება და მისი მრისხანების საკვირველი ლმობიერებით შეცვლა იქ მყოფმა მღვდელმთავარმა და საპატრიარქოს თანამშრომლებმაც მიიღეს როგორც სასწაული დიდი და ამას ყველანი აღნიშნავდნენ გაოცებულნი. მაგრამ ჩემთვის უფრო დიდი საკვირველება იყო უწმიდესის სიტყვები: „მე ვიცი, რაც ხდება ამის გულში“. — მე ნამდვილად მჯერა, რომ მან დაინახა ჩემი შინაგანი, უფრო სწორად, უფალმა ჩაახედა ჩემს სულში და რაღაც დიდი სიკეთე დაანახა იქ. სწორედ ამ სიკეთემ მოალბო საოცრად გულნატკენი და გაღიზიანებული პატრიარქის გული და არა მარტო მოალბო, საოცარი სიმშვიდითა და სიყვარულით განაწყო იგი ჩემდამი.

დიახ, მაშინ უწმიდესმა დაინახა ჩემი შინაგანი, დაფარული სიკეთენი ჩემი სულისა და ჩემი ადამიანური უმწეობაცა და სისუსტენიც, ამიტომაც მაშინვე გადამაფარა თავისი მწყემსმთაერული კალთა და თავისიანად მიგულა იქ. მე ვიგრძენი, რომ მაშინ რაღაც დიდი მოხდა ჩემს თავს, მაგრამ ამას მთლიანად მოგვიანებით მივხვდი, როცა მომხდარს გულდასმით ჩაეუკვირდი. ეს იყო საკვირველი ცნობა სიკეთისა და აღიარება მისი. შემდგომში რა ცოტა შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში ასეთი ადამიანი, ვისაც ასე ღრმად ჩაუხედია ჩემს სულში და იქ უპოვია, რაღაც მოსაფრთხილებელი, ან თუ უპოვია ასე გადაფარებია მას, როგორც ეს მოხდა პატრიარქ დავითის შემთხვევაში.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, იგი პეტრე-პავლობას მოხდა ქუთაისში. მაშინ დიაკვნად ვიყავი ახლადნაკურთხი და უწმიდესმა დავითმა სხვებთან ერთად მეც მიხმო ქუთაისში. პროტოდიაკონმა ამბროსიმ (ახობაძემ), რომელსაც მიყავდა მაშინ პატრიარქის წირვები და გამოირჩეოდა დიდებული მსახურებით, იმდენად მოიწონა ჩემგან წაკითხული მრრობლი კეერექსი, რომ საკურთხეველში შესულს მამასავით მომხვია ხელები, გულში ჩამიკრა და თვალცრემლიანმა მიმართა უწმიდეს დავითს: უწმიდესო, როგორ გულშიჩამწყდომად წაიკითხა მამა ანტონმა კეერექსი, რამოდენა სითბო და სიყვარული იგრძნობოდა მის ვედრებაში. – კარგად მახსოვს ეს ასაკოვანი კაცი როგორ მოიხარა და შუბლზე მეამბორა მამაშვილური სიყვარულით. შემდეგ მოკრძალებით მიაჩერდა უწმიდეს დავითს, რათა მისთვისაც გაეზიარებინა თავისი დიდი კმაყოფილება და სიხარული. უწმიდესი დავითიც კმაყოფილი ჩანდა, თავის დაკვირვი დაეთანხმა პროტოდიაკონს, თქმით კი არაფერი უთხრა, მე კი მომმართა სიტყვებით: არ გაამაყდე შვილო, ქებამ არ გაგაყოყოჩოსო. – მე მას მოკრძალებით ვემთხვიე ხელზე და მოვუხარე თავი.

ტაძარში მსახურებისას სულ უწმიდესის სიტყვები ჩამესმოდა ყურში: არ გაამაყდე... ქებამ არ გაგაყოყოჩოსო... მაშინ ვერ ჩაეწვედი უცებ ნათქვამის მნიშვნელობას, რადგან პროტოდიაკონის გულწრფელი შექებითა და აღიარებით ეხარობდი და უწმიდესის შეგონებასთან ვერაფრით დამეკავშირებინა იგი. ცოტა მოგვიანებით კი მივხვდი, როგორი ბრძნული და მამობრიი რჩევა-დარიგება მომცა პატრიარქმა მაშინ, როგორი საჭირო იყო იგი მთელი ჩემი ეკლესიური მოღვაწეობისთვის. რა ძნელი ყოფილა სიკეთის დატევება და ზიდვა ცხოვრებაში ისე, რომ არ იძლიო მისგან და არ დაბრკოლდე კაცი, – ეს მე თანდათან გამიცხადა უფალმა და როცა კი არ დავიცავი ეს ჭეშმარიტება ცხოვრებაში, ამან მე შემამთხვია ბევრი უსიამოვნება და ტკივილი. უწმიდესი რომ ეთანხმებოდა პროტოდიაკონს, ეს ცხადი იყო ყველასთვის, რადგან კმაყოფილება მასაც აჩნდა სახეზე. მაგრამ მან ქებას ამჯობინა კეთილი შეგონება, რათა მე სიამაყის საფრთხისაგან დავეცავი. იგი მაშინაც ხედავდა ჩემს შინაგანს, რომ ადვილად შეიძლებოდა მივდრეკილიყავი კაცობრიული ქება-დიდებისადმი და ამიტომაც გამაფრთხილა და გამახსენა, თუ როგორ უნდა ამეცილებინა თავიდან ბოროტი და განსაცდელი და გადამერჩინა სული. უწმიდეს დავითის ეს შეგონება თუ გაფრთხილება დღესაც ხშირად ჩამესმის ხოლმე ყურში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზოგჯერ სხვათაგან მესმის საქებარი და ვიცი, რომ უხილავად, პატრიარქ დავითის სახით მაფრთხილებს თვით უფალი, რათა მაშოროს უსიამოვნებანი. და მე ვმადლობ უფალს ასეთი შეწევნისთვის და ვთხოვ, არ მომიშალოს ცხოვრებაში იგი.

თავისი მწყემსმთაერობის ბოლო წლებში უწმიდესს გაურთულდა სნეულებანი, მას სულ უფრო იშვიათად ეხედებოდით. ამას ჩვენ დიდად განვიცდიდით და ღმერთს მის გამოჯანმრთელებასა ვთხოვდით. მთელ ეკლესიას დაეტყო მისი უღონობა, რაღაც სიმძიმე და სევდა იყო ირგელივ ჩამოწოლილი. სემინარიაშიც კი, სადაც მე მაშინ ვმოღვაწეობდი, იგრძნობოდა რაღაც მსგავსი. მაშინ კარგად მივხვდი, რამოდენა ძალა ყოფილა პატრიარქი ეკლესიისთვის.

მახსოვს გაკვეთილს ვატარებდი პირველკურსელებთან, რომ სემინარიის ერთმა თანამშრომელმა მორიდებით მთხოვა, მცირე ხნით მასთან გავსულიყავი. არ მომეწონა მისი სახის გამოხედვა, შეშფოთებული და რაღაცით შეწუხებული ჩანდა იგი. როცა მე გავედი აუდიტორიიდან, მან მორიდებით მამცნო პატრიარქი დავითის გარდაცვალების ამბავი. უცნაური შიში და წუხილი ჩამიდგა გულში, მაშინ მე უმწყემსობის სიმძიმე შევიგრძენი მთელი არსებით. ღმერთსა ვთხოვე, ეკლესია დაეფარა ბოროტისაგან, ხოლო

განსვენებული პატრიარქის სულისათვის მიეცა შვება და ნუგეში. ისე აფორიაქებული და შეწუხებული ვიყავი, რომ გაკვეთილის გაგრძელება ვეღარ შევძელი. მალე მთელ სასწაულებელში გახდა ცნობილი უწმიდესის გარდაცვალების ამბავი. უმეტესობა იმაზე ფიქრმა მოიცვა, თუ როგორი იქნებოდა ეკლესიის მომავალი, ვინ წარუძღვებოდა მას წინ. ამაზე მეც ვფიქრობდი, რაღაც განსაცდელების მოახლოებას მიგრძნობდა გული. არ მინდოდა წინათგრძნობისთვის ყურის მიგდება, ეცდილობდი ამისგან თავის გათავისუფლებას, მაგრამ ვერ შევძელი. როგორც ჩანს, ღვთისაგან ყოველივე იყო განსაზღვრული და ჩვენ ყველას უნდა მიგვეღო იგი.

უწმიდეს დავითის პანაშვიდებს სიონის ტაძარში, სვეტიცხოველის მღვდლებთან ერთად, მეც დავესწარი. ხალხის სიმრავლის მიუხედავად, საოცარი სიმშვიდე იდგა ეკლესიაში. კარგად დამამახსოვრდა ის გრძნობა, მაშინ რომ დამეუფლა იქ: ცხადად ვიგრძენი, რომ ეკლესია ცოცხლობდა უფრო ხვალინდელი დღის მოლოდინში. უწმიდესი დავითი უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული. ამან რაღაც სიბრალულის მსგავსი გამოიჩინა განსვენებული დავითისადმი, მომეჩვენა, რომ იგი მარტო იყო თავისთვის, რომ მას ეხლა უფრო მეტად სჭირდებოდა სამწყსოს სითბო და სიყვარული. გულით შევთხოვე უფალს, ნათელში დაემკვიდრებინა მისი სული და არ მოკლებოდა მას სულიერ შვილთაგან სიყვარული. უწმიდეს დავითსა ვთხოვე, რომ დაელოცა ჩემი მომავალი მოღვაწეობა, მისეული უბრალოებით და კეთილგონიერებით შეემკო იგი. ჩემი მხრივ აღვუთქვი განსვენებულ პატრიარქს, რომ არ მოვაკლებდი მას მოხსენიებას, ვიდრე ამას შემაძლებინებდა უფალი.

იმ ხანებში ვნახე ასეთი სიზმარი: საღამო ხანი იყო და ლოცვა უნდა დაწყებულიყო სიონში. ტაძარი გადაჭედილი იყო ხალხით, მეც იმათ შორის ვიდექი. ზარი ირეკებოდა ნელა, გაბმით, სამღვდელოება ეკლესიის კარებთან იდგა შემოსილი და ვიღაცის მობრძანებას ელოდნენ ყველანი. გავიდა რაღაც ხანი და თანმხლებ პირებთან ერთად მობრძანდა უწმიდესი დავითი. მას მოახვიეს საპატრიარქო მანტია და საზეიმოდ შეუძღვნენ საკურთხეველში. ვიფიქრე, ეხლა უკვე დაიწყება საღამოს მსახურება-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა: სამღვდელოება, რომელიც უწმიდეს დავითს შეხვედა, მობრუნდა უკან და ისევ დადგა ეკლესიის შესასვლელში ვიღაცის მოლოდინში. ზარის რეკვა ისევ გრძელდებოდა გაბმით. ვიფიქრე, ალბათ ვინმე საპატიო სტუმრის მობრძანებას თუ ელიან-მეთქი. სხვებთან ერთად ვიდექი და ველოდი ლოცვის დაწყებას, რაც ყოვნდებოდა ვიღაცის მიზეზით. სწორედ მაშინ, ტაძრის სამხრეთის მხრიდან, სადაც მაშინ ესვენა სიონის ღვთისმშობლის ხატი, ხმამაღლა მომესმა შემდეგი სიტყვები: ერთიც მოვა და შემდეგ დაიხურება აღსავლის კარები. — ეს ითქვა და გამომეღვიძა კიდეც და კარგა ხანს ვცდილობდი, გავრკვეულიყავი ნანახში.

ერთი შეხედვითაც ცხადი იყო, რომ სიზმარი ეხებოდა ეკლესიის მომავალს, მაგრამ ამაზე საუბარს ეხლა მოვერიდები, რადგან მიმაჩნია, რომ ღვთის განგებულება დრომდე უნდა იყოს დაფარული. უწმიდეს დავითთან დაკავშირებით კი იმისი თქმა შემიძლია ნახული სიზმრის მიხედვით, რომ იგი დიდი პატივით შეაბრძანეს საკურთხეველში, ანუ წმიდათა წმიდაში. და ეს მიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სული მისი ზეცას საპატიო ადგილშია დამკვიდრებული და შეოხია ღვთის წინაშე ჩვენი სულებისთვის. ღმერთმა არ მოუშალოს ჩვენს ეკლესიას მისი ლოცვა და კურთხევა ზეციური. უფალმა ჩვენშიც სათუთად შემოინახოს სიყვარული და ხსოვნა მისი.

დამოწმებული ლიტერატურა

1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის ფონდი №65 გვ. 63-64.
2. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის საქმე №2010 გვ. 4.
3. იქვე. გვ. 5.
4. იქვე. გვ. 6.
5. იქვე. გვ. 7.
6. იქვე. გვ. 9-11.
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის საქმე №1229. გვ. 2.
8. იქვე. გვ. 4.

ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ II

40 ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმიდესი და უნეტარესი ილია II.



1977 წლის 25 დეკემბერი.



1980 წელი.



ყოვლადუწმიდესი ბართლომეოსი და
უწმიდესი და უნეტარესი ილია II.



1990 წლის 4 მარტი,
კონსტანტინეპოლი.



მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ
შეკრებილი უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა,
1990 წლის 15 ნოემბერი.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II,
საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ
უნივერსიტეტში,
2013 წელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრების გზის დასაწყისი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური–შიოლაშვილი, მოხვეჭა. ხევი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. საუკუნეთა მანძილზე მოხვეჭი მტკიცედ იდგნენ კავკასიონის გადმოსასვლელთან, დარიალთან, და საქართველოს მტრებს არ უშვებდნენ ქვეყნის სიღრმეში. V საუკუნის 40–იან წლებში მეფე ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხა ალან–ოსები და ჩაკეტა დარიალის კარი. გადმოცემის თანახმად, მეფის ლაშქარში თავი გამოუჩენია სნოელ ღუდუშას, რომელსაც მეფემ პატივისცემის ნიშნად შვილი მოუნათლა. ღუდუშას შთამომავლები – ღუდუშაურები – განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ხევის ცხოვრებაში. XVII საუკუნეში ხევში განთქმული იყო შიოლა ღუდუშაურის სახელი, რომლის შთამომავლებიც შიოლაშვილებად იწოდებიან. შიოლას შთამომავლები არიან: შარამბალი–სულუტა–გლახა–შაქრო–გაგა (იგივე გიორგი – უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მამა).

ხევი ცნობილია ქრისტიანული ეკლესიების სიმრავლით. მყინვარწვერის ფონზე გერგეტის სამება წარუშლელ კვალს ტოვებს მნახველზე. გასაოცარი ბუნება იშლება სამების ტაძრიდან. „შესაძლოა იმიტომ, რომ მე წარმოშობით მთის კაცი ვარ, ყველაფერს მირჩევნია მთის პეიზაჟი. ყველაზე თვალწარმტაცი სანახაობა ჩემთვის არის გერგეტიდან წმიდა სამებაში ასვლისას მთის ყვავილებით მოფენილი ფერდობების ხილვა. გარშემო საოცარი სილამაზეა“[1] – აღნიშნავს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთსა და საქართველოს შორის ერთადერთი დამაკავშირებელი გზა დარიალზე გადიოდა. XIX საუკუნის II ნახევრის დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის (ჩოფიკაშვილის) შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა თავისუფლებისმოყვარე ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ქართველებისთვის დღესაც აქტუალურია მწერლის სიტყვები, რომელიც მან თავის გმირს ათქმევინა: „არ დაიივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, იმას გედავებიან და არ დაანებო!“

XIX საუკუნის 60–იან წლებში რუსეთიდან სამშობლოში მომავალმა „თერგდალეულმა“ ილია ჭავჭავაძემ კი მოხვეჭ ლელთ ღუნიას პირით ქართველობას სანუკვარი მიზანი დაუსახა - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

საქართველოს ამ გამორჩეულ კუთხეში ცხოვრობდნენ მომავალი პატრიარქის მშობლები: მამა - გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი და დედა - ნატალია იოსების ასული კობაიძე.

გიორგი შიოლაშვილის ახალშექმნილი ოჯახი სნოში დამკვიდრდა. ხევში, ისევე როგორც მთელ საქართველოში იწყებოდა ბოლშევიკური ექსპერიმენტი კოლექტივიზაციის სახით. ინდივიდუალური სოფლის მეურნეობა აზრს კარგავდა. სოფელს გაუჭირდა. გიორგი შიოლაშვილმა 1927 წელს ოჯახი დროებით საცხოვრებლად ქ. ვლადიკავკაზში (ძაუგში) გადაიყვანა, სადაც შეიძინა სახლი. ამ ქალაქში XIX საუკუნის II ნახევრიდან არსებობდა მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული დედასამშობლოსთან.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახი ვლადიკავკაზში ცნობილი იყო, როგორც ღვთისმოშიში და ღრმადმორწმუნე. 1933 წლის 4 იანვარს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, დაიბადა ვაჟი, რომელსაც მამამ მეფე ერეკლე II–ის პატივსაცემად ირაკლი დაარქვა. იმ დროს ვლადიკავკაზში ჯერ კიდევ იყო წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი, კათოლიკოს–პატრიარქ კირიონ II-ის ყოფილი მდივანი, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა ეკლესიის დაცვას როგორც ადგილობრივი საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების შემოტევებისაგან.

პატარა ირაკლი მონათლეს წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში. მისი ნათლია – მონაზონი ზოილე დვალი"შვილი – დიდი ხნის განმავლობაში მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. ნათლიას ნათლული ხშირად ჩამოჰყავდა მცხეთაში. ერთხელ, სვეტიცხოველობაზე, მან ყმაწვილი ირაკლი უწმიდესსა და უნეტარესს,სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ კალისტრატესთან მიიყვანა და დაალოცვინა იგი. მომავალი პატრიარქის მრავალრიცხოვანი ოჯახი (დედა, მამა, ძმები: თეიმურაზი, შოთა, ვიქტორი, და – ნინო) ყოველდღე ლოცულობდა. „არ მახსოვს ჩემი თავი უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის გარეშე... თვით ჩემი ოჯახი იყო მორწმუნე და მშობლები ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ ღვთის სიყვარულს. სახლში მუდამ გექონდა ხატები,აუცილებლად ენთო კანდელი,ყოველ შაბათ–კვირას ეკლესიაში დავდიოდით,"[2] – იხსენებს მისი უწმიდესობა.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დედასამშობლოსთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა 1938 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და დაიწყო მორწმუნე ქართველობის დევნა–შევიწროება. „ჩემი ბაუშვობა, – აღნიშნავს მისი უწმიდესობა, – დაემთხვა საქართველოს ეკლესიისათვის მეტად მძიმე პერიოდს. სამღვდელოება იდევნებოდა, ეკლესიები იხურებოდა. ხალხს წირვა–ლოცვაზე დასწრებისა ეშინოდა. ჩვენს სახლს ხშირად აფარებდნენ თავს დევნილი სასულიერო პირები,თვეობით რჩებოდნენ ისინი ჩვენთან და წარუშლელ კვალს ტოვებდნენ პირადად ჩემს აზროვნებასა და ბუნებაზე."[3]

გიორგი შიოლაშვილის ოჯახთან მეგობრობდნენ მაჰმადიანი ქისტებიც. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, ხშირად ისინი მათი სახლის სტუმრებისთვის გამოყოფილ ოთახშიც ლოცულობდნენ თავიანთი წესის მიხედვით, შემდეგ კი სტუმრები და მასპინძლები სადილზე ერთად იკრიბებოდნენ. გიორგი და ნატალია შიოლაშვილების ღვაწლით,1947 წელს ვლადიკავკაზში აშენდა ყოველადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ეკლესია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტს.

1952 წელს, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს გარდაცვალების გამო, ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა ქართველთა სათვისტომოს დელეგაცია,რომელსაც გიორგი შიოლაშვილი ხელმძღვანელობდა.

პატარა ირაკლი ზაფხულს ძირითადად სნოში, საგვარეულო სახლში, ატარებდა, უფროსებისგან ისმენდა ხალხურ თქმულებებს,დადიოდა სნოსა და თრუსოს ხეობებში, ათვალიერებდა მრავალრიცხოვან ციხე–კოშკებს,ეკლესია–მონასტრებს... იგი 1941 წლის სექტემბერში ქ. ორჯონიკიძის №22 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარე, პატარა ირაკლი დიდ დროს უთმობდა წირვა–ლოცვებს, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა კარგად ესწავლა სასკოლო საგნები. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანელთა ჯარებმა პირველ თვეებში მოახერხეს საბჭოთა კავშირის სიღრმეში შემოჭრა. 1941 წლის შემოდგომაზე ისინი მიადგნენ მოსკოვს,საფრთხე შეექმნა კავკასიას. ვლადიკავკაზი ფრონტისპირა ქალაქად იქცა. Gგიორგი შიოლაშვილმა ოჯახი შექმნილ საფრთხეს განარიდა და მშობლიურ სნოში ჩამოიყვანა. ომის დამთავრების შემდეგ ირაკლი შიოლაშვილმა სწავლა განაგრძო ვლადიკავკაზის 22-ე სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. იმავე წლის ივნისში ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილის სახელზე ძაუჯიკაუს (ორჯონიკიძე – ვლადიკავკაზი) 22–ე სკოლამ გასცა ატესტატი №946415. ახალგაზრდა ირაკლიმ გადაწყვიტა, სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც ღვთისმეტყველების შესწავლისათვის საუკეთესო პირობები იყო – გამორჩეული პედაგოგები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სემინარიის ზომიერად მკაცრი შინაგანაწესი. უწმიდესი და უნეტარესი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებს

თავის პედაგოგებს, რომელნიც გამოირჩეოდნენ საოცარი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით სტუდენტების მიმართ.

1956–1960 წლებში ირაკლი შიოლაშვილი ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცული დოკუმენტები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ირაკლი შიოლაშვილის მოსკოვის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის პერიოდზე. I კურსის ნიშნების ფურცელი, რომელიც შევსებულია 1953 წლის 11 მაისს, გვამცნობს, რომ ირაკლი შიოლაშვილს ყველა საგანში აქვს „ფრიადი", II კურსზე მხოლოდ ბერძნულში აქვს „4", III კურსზე იგი კელავ ფრიადოსანია.[4] ირაკლი შიოლაშვილმა I კურსზე სწავლის დროს საკონკურსოდ წარადგინა თხზულება, რომელმაც პირველი ადგილი დაიმსახურა. გამარჯვებული დაჯილდოვდა 50 მანეთით მიტროპოლიტ ფილარეტის ფონდიდან, ხოლო ტროკკი–სერგეევის ლავრამ მას 30 მანეთი გადასცა. საპატრიარქო არქივში დაცულია მისი ჩათლის წიგნაკი (ნიშნების ფურცლები), რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის ინსპექტორი ვ. სარიჩევი და მდივანი ნ. მურავიოვი. აკადემიის კურსდამთავრებულ მღვდელმონაზონ ილიას ყველა საგანში ფრიადი აქვს.

აკადემიაში სწავლის პირველსავე წელს ირაკლი შიოლაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერად აღკვეცილიყო. 1957 წლის 16 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსმა ზინობმა ირაკლი შიოლაშვილი ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა ილია. როდესაც მეუფე ზინობმა ბერადაღკვეცილი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III-ს წარუდგინა, გახარებულმა პატრიარქმა ამ სიტყვებით მიმართა მას: ათი შენისთანა რომ მყავდეს, საქართველოს ეკლესიას აღარაფერი გაუჭირდებაო. 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ ხელი დაასხა მას იეროდიაკვნად. 1959 წლის 10 მაისს უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ის წერილობითი ნებართვით რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა ზაგორსკის წმიდა სერგის სავანის სატრაპეზოში იეროდიაკონი ილია მღვდელმონაზვნად აკურთხა.

სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა დედაეკლესიისა და სამშობლოს სიყვარული. ამის დასტურია მისი წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III–სადმი. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიმაჩნია მისი სრულად წარმოდგენა: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ... აქ, ჩვენ წრეში, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი; 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3) საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი (საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ჟვანიაზე – ს. ვ.). და რომ მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ.

ზემოთმოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვაძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზერუსეთისუკრაინისსომხეთისსხვამოკავშირესპუბლიკებში

არსებობს სასულიერო სემინარია–აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია–მონასტრების აღდგენა–განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება, საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა–განახლების შესახებ... საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალით და კეთილი ნებით, შეიძლება ჩაყენებულ იქნან საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ქართველი ერის სიამაყე, სიწმინდე და დიდება „სვეტიცხოველი“ არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმიდა მიდამოებში თქვენი ლოცვა–კურთხევით საეკლესიო მუზეუმ–წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდებით, მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, წმიდა ხატები, ჯვარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში, ე.ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. მზად ვართ ამ დიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკაც. საჯდგომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებითა და ლოცვა–კურთხევით, არსებული წესის დაცვით, სადღესასწაულო ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა–კურთხევას. ი. შიოლაშვილი, ზაგორსკი 1957 წლის 12 თებერვალი“.[5]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობა მოსვენებას უკარგავდა ახალგაზრდა სტუდენტს და ასეთი თამამი, მაგრამ სამართლიანი განცხადებით მიმართავდა იგი უწმიდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III–ს.

ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მღვდელმონაზონმა ილიამ საკვალიფიკაციო თემად აირჩია „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. რუსულენოვანი მასალების მოძიებისა და დამუშავების შემდეგ იგი შეხვდა ზაგორსკის აკადემიის რექტორს დეკანოზ კ. რუჟიცკის და სთხოვა მიეცა ნებართვა, რომ რამდენიმე თვით წამოსულიყო საქართველოში ქართულენოვანი ლიტერატურის სრულად შესწავლის მიზნით. 1959 წლის 4 ივნისითაა დათარიღებული რექტორ კ. რუჟიცკის მომართვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე, რათა თავიანთი დაწესებულებების ბიბლიოთეკებში, წიგნსაცავებსა და ხელნაწერთა განყოფილებაში სამუშაოდ დაეშვათ სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი მღვდელმონაზონი ილია (ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი). მღვდელმონაზონმა ილიამ რამდენიმე თვე იმუშავა თბილისის ბიბლიოთეკებში, ქართველი მეცნიერებისაგან მიიღო რჩევები.

1960 წლის ივნისში ზაგორსკის აკადემიაში შედგა მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა – პროფესორებმა ნ. მურავიოვმა და ა. გეორგიევსკიმ – მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომს. მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიის რექტორმა საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს უწმიდეს ალექსი I-ს, რათა საუკეთესო ნაშრომისათვის დაეჯილდოებინა ღვთისმეტყველების კანდიდატი, მღვდელმონაზონი ილია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია ზაგორსკის აკადემიის მიერ

მღვდელმონაზონ ილია შიოლაშვილის სახელზე გაცემული წარჩინების დიპლომი, რომელსაც ხელს აწერენ: აკადემიის რექტორი, დეკანოზი კ. რუჟიცკი, ინსპექტორი, არქიმანდრიტი პიტირიმი, მდივანი ა. ოსტაპოვი.[6]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ავტობიოგრაფიაში აღიშნავს: „სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, მე ვყოფილიყავი დატოვებული აკადემიაში პროფესორთა სტიპენდიატად, მაგრამ ჩემი ერის სიყვარულმა მიმატოვებინა ეს ყველაფერი და მომიყვანა საქართველოში."[7] იგი ეახლა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ეფრემ II–ს და ასეთი განცხადებით მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ! გაცნობებთ, რომ 1960 წელს დავამთავრე მოსკოვის სასულიერო აკადემია. გთხოვთ, მომცეთ სამსახური, გამგზავნოთ იქ, სადაც თქვენ სცნობთ საჭიროდ."[8] უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მღვდელმონაზონი ილია ბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II–ის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1960 წლის 19 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის მიერ აღყვანილ ვიყავი იღუმენის ხარისხში, 1961 წლის 16 სექტემბერს – არქიმანდრიტის პატიჟში"[9] 1963 წლის 23 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის – ეფრემ II-ის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ბათუმის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, არქიმანდრიტი ილია, გამოარჩია შემოქმედელ ეპისკოპოსად. ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა შესრულდა კვირას, 25 აგვისტოს, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში. არქიმანდრიტ ილიას ეპისკოპოსად კურთხევას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დეედარიანი), ქუთათელ–გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე), ცხუმ–აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (უვანია), სტეფანწმიდელი ეპისკოპოსი ზინობი (მაყუგა).

მრავალმხრივ საყურადღებოა სიტყვა, რომელიც არქიმანდრიტმა ილიამ შემოქმედელ ეპისკოპოსად კურთხევის ჟამს წარმოთქვა: „თქვენო უწმიდესობავ! თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ღვთივეგანგრძნობილნო მწყემსმთავარნო და მოძღვარნო! ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა თქვენისა უწმიდესობის და უნეტარესობის კათოლიკოსისთანაი სამღვდელო სინოდის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მოწოდებულ ვარ მღვდელმთავრობის მადლის მისაღებად სამსახურისათვის. ჩემთვის ფრიად ძნელია, გამოვთქვა შინაგანი სულიერი განცდანი და მღელვარებანი, რომლითაც ვარ ახლა გარემოცული, ამ ჩემთვის მეტად საღმრთო და საიდუმლო ჟამს. ვგრძნობ შიშსა და ძრწოლას, მაგრამ, ამავე დროს, სულიერ სიხარულს და იმედს, შიშსა და ძრწოლას განვიცდი, რადგან არ ვგრძნობ თავს საამისოდ მომზადებულად. უკეთუ ხანში შესული ხვაებარაქიანი დიდი პავლე მოციქული იტყვის: „ვიქადი მხოლოდ უძლურებითა ჩემითაო". მე არღარა მეთქმის ამ სიჭაბუკის წლებში, რომელ წელთა სიმციერეს არ მოუცია ჩემთვის საამისო გამოცდილება, მაგრამ მძიმე განცდების დროს მანუგეშებს და მამხნევებს ის მადლი ღვთისა, რომელიც უნდა გარდამოვიდეს ჩემს უძლურებას ზედა თქვენი საღმრთო მარჯვენის ხელდასხმით. მე მწამს, რომ ის, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსისა, ის, რომელიც გარდამოხდა ზეცით დაცემული კაცის აღსადგენად, შემაძლებინებს კეთილად წარვმართო ეს დიდი სამსახური. თუ თავით თვისით კაცს ვერ ძალუძს მიღებად ამ პატივისა, მიენიჭება მხოლოდ ღვთის მიერ მოწოდებულ (ებრაელთა 5,4)... ღმერთი შეეწევა და გაუწევს მფარველობას იმ კაცს, რომელიც ღრმად მორწმუნეა და გული გამთბარი აქვს ღვთისა და კაცის სიყვარულით. ღმერთი მიანიჭებს სიბრძნეს და გულისხმაყოფასა მას, რომელსაც აქვს შიში ღვთისა. ამისთანა კაცზედ იტყვის ბრძენი სოლომონი: „დასაბამი სიბრძნისა შიში ღვთისა არს", ხოლო მღვდელმთავარს მუდამ სჭირდება სიბრძნე ღვთიური, გონებით იყვეს ბრძენი და მაღალი, ხოლო ცხოვრებით – უბრალო და მდაბალი. იყვეს ერთგული

დარაჯი ქრისტეს ეკლესიისა, იყვეს შემოსილი უბიწო ცხოვრებით, ვითარცა ბრძანებს მოციქული პავლე. სიტყვისამებრ ბრძენი სოლომონისა, „რომელიც ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“. ვხედავ რა ყოველივე ამაში შეურყეველს ნებას ღვთისა, თავმდაბლად მოვიხრი სულიერსა და ხორციელს ქედსა ჩემსა თქვენს წინაშე.

მამამთავართა მამამთავარო! წმიდა ყოელადსამღვდელონო და მამანო და ესრეთ ექადაგებ: გმადლობთ, მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და არარას მცირესა წინააღმდგომსა ვიტყვი. გევედრებით, თქვენო უწმიდესობავ და ყოვლადსამღვდელონო, ოდეს დამდებთ ცხოველმყოფელი სულის მომნიჭებელთა ხელთა თქვენთა, მრჩობილ აღვავლენდეთ წინაშე ღვთისა ლოცვათა თქვენთა, რათა გარდამოსულმან სულმან წმიდამან აღავსოს ყოველივე ნაკლოვანებანი ჩემნი, რათა ვიქმნე სახედ მორწმუნეთა სიტყვით სვლით, სიყვარულით, სიწმიდით, რათა ჟამს მეორედ მოსვლისასა მოკრძალებით გარნა კადნიერებით წარვსდგე წინაშე მართალსა მსაჯულისა განცხადებად: „აჰა ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან“ (ებრაელთა 2.13). ამინ“[10]

ეპისკოპოსი ილია დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ქორეპისკოპოსად. მასვე დაევალა 1963 წლიდან მცხეთის სამოძღვრო კურსების ხელმძღვანელობა. ახალგაზრდა მღვდელმთავარი ენერგიულად შეუდგა მცხეთის სამოძღვრო კურსების სასულიერო სემინარიად გადაკეთებისათვის ნიადაგის მომზადებას. აკადემიაში მიღებულმა ფართო განათლებამ მას საშუალება მისცა, მაღალ დონეზე დაეყენებინა როგორც დისციპლინა, ასევე – სასწავლო პროცესი. შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და სასწავლებლის დირექტორმა სემინარიაში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები, შეადგინეს სასწავლო პროგრამები, სალექციო კონსპექტები, სისტემატურად ტარდებოდა პედსაბჭოს სხდომები. იგი სასწავლებელში მომხდარ მნიშვნელოვან ღონისძიებებს უთანხმებდა უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II–ს. „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოთ სტუდენტებს ვუშვებთ არდადეგებზე. ხვალ, 12 საათზე, ეფიქრობ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით. ეპისკოპოსი ილია.“

უწმიდესი ეფრემ II პედსაბჭოს ყველა სხდომას ესწრებოდა. მცხეთის სასულიერო სემინარია შემოქმედელი ეპისკოპოსის ილიას თავდადებული შრომით ღირსეულ სასწავლებლად იქცა. მან მოახერხა სასწავლებლის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის გადალახვა. მცხეთის სასულიერო სემინარიის ავტორიტეტზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ აქაურ კურსდამთავრებულებს უგამოცდოდ იღებდნენ ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. მეუფე ილია, შემდეგში უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა ზაგორსკის აკადემიას, აკადემია კი ამაყობდა თავისი კურსდამთავრებულით. 1978 წლის 16 თებერვალს ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ იგი თავის საპატიო წევრად აირჩია. პატრიარქი მოსკოვში ვიზიტისას აუცილებლად სტუმრობს ხოლმე ზაგორსკის აკადემიას.

1963–1967 წლებში მეუფე ილია მოღვაწეობდა შემოქმედის ეპარქიაში, ხოლო 1967 წლის 1 სექტემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის ლოცვა–კურთხევით, ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის მმართველად.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ცხუმ–აფხაზეთის ეპარქია ერთ–ერთი ყველაზე რთული ეპარქია იყო. XIX საუკუნეში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის ეკლესიური ინტერესების განმტკიცებას. დაიწყო ეპარქიიდან ქართველი სასულიერო პირების გამოძევება და მათი რუსებით ჩანაცვლების პროცესი. XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის გააქტიურების ფონზე, რუსეთის ხელისუფლებამ სცადა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფა, მაგრამ აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოახერხა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის რუსულმა სამრევლოებმა, რუსეთის ეკლესიის ხელშეწყობით,უარი განაცხადეს,დამორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციას, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მიერ დანიშნულ ცხუმ–აფხაზეთის ქართველ მღვდელმთავრებს. ვითარება კიდევ უფრო გართულდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში,როდესაც ადგილობრივი სეპარატისტული ტენდენციების მატარებელი პარტიული ხელმძღვანელობა,ქვეყანაში არსებული საერთო ანტირელიგიური ბრძოლის ფონზე, კიდევ უფრო ავიწროებდა ქართველ სასულიერო პირებს, ეპარქიის მღვდელმთავრებს. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე (იგი 1944 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა). ვითარება შედარებით გამოსწორდა 1943 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის რუსულენოვანი სამღვდელოება იძულებული გახდა, შერიგებოდა შექმნილ ვითარებას.

1938–1952 წლებში ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი ანტონი (გიგინეიშვილი), 1957–1964 წლებში კი – ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია). ამ დროს ეპარქიაში მოქმედი იყო 7 ეკლესია: სოხუმის წმიდა ნიკოლოზის, თაყისუფლების, სასაფლაოს ეკლესია,ილორის წმიდა გიორგის,ლიხნის,უსპენსკის,გაგრის სამლოცველო სახლი. ღვთისმსახურთა უმრავლესობა არაქართველი იყო. წირვა–ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა. მდგომარეობა არც 1965–1967 წლებში შეცვლილა, როდესაც ეპარქიას მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი) განაგებდა. ასეთი ეპარქია ჩაიბარა 1967 წელს ეპისკოპოსმა ილიამ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა რწმუნებული იყო გააფხაზებული ქართველი ა. ლაგვილავა, რომელიც ყველანაირად ავიწროებდა სასულიერო პირებს, მორწმუნე მრევლს. ერთ–ერთ საიდუმლო წერილში, რომელიც მან საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა, იგი წერდა, რომ აუცილებელი იყო სოფელ კამანში მეღორეობის ან მეფრინველეობის ფერმის აშენება. „ამით დაკავდება ის ფართობი, რომელსაც წმინდა ადგილად ცნობენ და, ამავე დროს, ადგილი აღარ ექნება მორწმუნეთა მასობრივ შესვლას წყალში განსაკურნებლად“[11] –ატყობინებდა იგი კომისიის თავმჯდომარეს.

ცხუმ–აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ მოახერხა მრევლის შემოკრება. თუ მის მღვდელმთავრობამდე მხოლოდ 2 ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა ეპარქიაში, 1975 წელს ისინი უკვე თორმეტნი გახდნენ. ეს იყო მეუფე ილიას შორს გამიზნული პოლიტიკა, ასეთ ვითარებაში აფხაზი სეპარატისტები ვერ მოახერხებდნენ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში თავისი მიზნების განხორციელებას.

1969 წლის 17 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ეფრემ II-მ მიუბოძა მიტროპოლიტობა. 1972 წელს საქართველოს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის მან მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს – სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. მიტროპოლიტი ილია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახედ იქცა.

სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც ყველანაირად ცდილობდნენ მიტროპოლიტ ილიასათვის ხელის შეშლას. 1972 წლის 26 მაისს იგი იძულებული გახდა, პირადი განცხადების საფუძველზე,დაეტოვებინა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობა. Mმიტროპოლიტი ილია გულახდილად წერდა რექტორობიდან წასვლის მიზეზებზე. „როგორც მოგეხსენებათ, – მიმართავდა მიტროპოლიტი ილია წმიდა სინოდს, – 1963 წლიდან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ეფრემ II–ის დიდი შრომითა და მეცადინეობით, მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ხელმძღვანელად ვიყავი დანიშნული. ეს იყო ახალი დიდი საქმე, რომელსაც სჭირდებოდა დიდი ენერგია და გამოცდილება. არც მე და არც მასწავლებლები არ ვიშურებდით ძალას სემინარიის გაძლიერებისა და

განმტკიცებისათვის. ამ წლების განმავლობაში ჩვენ შევხვედით ბევრ წინააღმდეგობასა და სიძნელეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დაგვეყენებინა. არ უარვყოფ იმას,რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ყველამ ვერ გაამართლა ჩვენი იმედები და ვერ გამოიჩინა მოძღვრის მაღალი თვისებები... მიუხედავად ზოგიერთი არასასურველი ფაქტისა,ჩვენ ვხედავთ,რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი თავდადებულად ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტაძრებს. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში, დახმარების ნაცვლად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა."[12] დამაფიქრებელი იყო ყოველივე ეს.

ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1976–1977 წლებში. ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები იყვნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა), ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), ბათუმ–შემოქმედელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). იერარქიულობის მიხედვით, ქართველ მღვდელმთავართა შორის უპირატესი იყო ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია,რომელიც ითვლებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ, მაგრამ 1977 წლის 10 სექტემბერს მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი დავით V–ის მდივანმა გ. მშვიდობაძემ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მის მაღალყოველადუსამღვდელოესობას,მიტროპოლიტ ილიას. გაცნობებთ, რომ კათოლიკოს–პატრიარქის, დავით V–ის ბრძანებით, მის მაღალყოველადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს, მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის."[13]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე–12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად არჩევა–აღსაყდრება

1977 წლის 9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი დავით V (დევდარიანი). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის ტრადიციის თანახმად, რომელიც ასახულია 1945 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეკლესიის მართვა–გამგეობის დებულებაში, კათოლიკოს–პატრიარქის მძიმე ავადმყოფობის ან გარდა–ცვალების შემთხვევაში წმიდა სინოდის ყველა წევრი იკრიბება საპატრიარქო რეზიდენციაში და კათოლიკოს–პატრიარქის მდივნის თანდასწრებით, ხსნის სპეციალურ სეიფს, რომელშიც ინახება განსვენებული კათოლიკოს–პატრიარქის წერილობითი განკარგულება კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის (მოვალეობის შემსრულებლის) თაობაზე. 9 ნოემბერს, დილის 10 საათიდან 19 საათამდე, წმიდა სინოდის წევრები – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი – ელოდებოდნენ ბათუმ–შემოქმედელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ რომანოზს, მაგრამ იგი არ ჩამოვიდა თბილისში.

სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით წმიდა სინოდი მუშაობას შეუდგა. როგორც გაირკვა, არ არსებობდა უწმიდესისა და უნეტარესი დავით V–ის წერილობითი განკარგულება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ვინაობის შესახებ. 1945 წელს დამტკიცებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ქიროტონიით უხუცესი მღვდელმთავარი ცხადდება, რომელსაც ამტკიცებს წმიდა სინოდი. თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო. სინოდის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მდივნად – ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი.

დამტკიცდა წმიდა სინოდის მუშაობის დღის წესრიგი: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის არჩევა; 2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის – დავით V–ის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები. წმიდა სინოდის სხდომაზე თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა, მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ, ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა მხარი დაუჭირეს ცხუმ—აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ არჩევას. წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა არ დაუჭირა მხარი წამოყენებულ კანდიდატურას და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაასახელა ბათუმ–შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი. სმათა უმრავლესობით ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ.

სინოდმა განაჩინა: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ილია; 2. უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაიკრძალოს სიონის საპატრიარქო ტაძარში 1977 წლის 15 ნოემბერს; 3. წმიდა სინოდის სხდომის გადაწყვეტილებანი ოფიციალურად ეცნობოს მსოფლიოს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, საერო ხელისუფლებას.

წმიდა სინოდის გადაწყვეტილებანი მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ზოგიერთი მაღალიერარქისათვის, რომელთაც სცადეს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებათა გადასინჯვა. შექმნილი რთული ვითარების სრული სურათი კარგადაა ასახული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 1977 წლის 12 ნოემბრის საგანგებო სხდომის

მიერ მიღებულ განცხადებაში: „საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესია თავის მართვა–გამგეობაში ხელმძღვანელობს დებულებით, რომელიც მიღებული იყო 1945 წლის 28 მარტს და რომლის შეცვლა შედის მხოლოდ საეკლესიო კრების კომპეტენციაში. 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V. გარდაცვალების წინ იგი მძიმედ ავადმყოფობდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ დროს თბილისში იმყოფებოდა ყველა მღვდელმთავარი, გარდა ბათუმ–შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზისა და ალავერდელი ეპისკოპოსის – გრიგოლისა. 8 ნოემბერს, დღის 15 საათზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მდივანმა გრიგოლ მშვიდობაძემ მათ დაუგზავნა დეპეშები, რომლითაც ატყობინებდა პატრიარქის ავადმყოფობას და სთხოვდა, სასწრაფოდ ჩამოსულიყვნენ თბილისში.

9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, კათოლიკოს–პატრიარქი დავით V გარდაიცვალა. 10 საათზე ჩამობრძანდა ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი. როგორც საეკლესიო მართვა–გამგეობის დებულების 21–ე პარაგრაფის მე–2 შენიშვნაშია მითითებული, კათოლიკოს–პატრიარქის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, საეკლესიო მართვა–გამგეობისათვის მის ადგილს იჭერს ის მღვდელმთავარი, რომლის შესახებაც კათოლიკოს–პატრიარქის მდივანთან ინახება მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილობითი განკარგულება, მაგრამ ასეთი განკარგულება არ აღმოჩნდა და საჭირო შეიქმნა, სასწრაფოდ მოწვეულიყო წმიდა სინოდის სხდომა. 9 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში, სინოდი ელოდებოდა ბათუმ–შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის ჩამობრძანებას, მაგრამ, რადგან იგი არ ჩამობრძანებულა და არც რაიმე ცნობა მოსულა მისგან, საღამოს 19 საათზე, წმიდა სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შედგა სინოდის ოფიციალური სხდომა, რომელსაც უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე და გადაეწყვიტა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის – დავით V–ის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები.

სინოდის სხდომაზე ერთხმად იქნენ არჩეულნი: სხდომის თავმჯდომარედ ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მდივნად – ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი. როდესაც სინოდის სხდომაზე დაისვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის არჩევის საკითხი, კანდიდატად დასახელებული იყო ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელსაც მხოლოდ წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა არ დაუჭირა მხარი და წამოაყენა ბათუმ–შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზის კანდიდატურა. რაც შეეხება დანარჩენ მღვდელმთავრებს, მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი მიტროპოლიტ ილიას. ეპისკოპოს ილარიონს სურდა თავი შეეკავებინა ხმის მიცემისაგან, მაგრამ რადგან ამის უფლება არა ჰქონდა საეკლესიო მართვა–გამგეობის დებულების მე–16 მუხლის თანახმად, ამიტომ ხმა მისცა მიტროპოლიტ ილიას.

9 ნოემბერს ჩატარებული წმიდა სინოდის სხდომა იყო კანონიერი, საეკლესიო მართვა–გამგეობის დებულების მე–15 მუხლის დაცვით, სადაც ნათქვამია: „სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და მოწვეულ წევრთა ნახევარი", ხოლო სხდომას ესწრებოდა არა თუ ნახევარი, არამედ ყველა წევრი, გარდა ერთისა (მიტროპოლიტ რომანოზისა). ამიტომ მიტროპოლიტ რომანოზის, მიტროპოლიტ გაიოზისა და ეპისკოპოს ილარიონის განცხადება, რომელშიც ისინი ამტკიცებენ, თითქოსდა თვითნებურად იყო მოწვეული სინოდის სხდომა, რომელზეც ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ თავი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა, უსაფუძვლოა. წმიდა სინოდის სხდომა კანონიერ საფუძველზე ჩატარდა და მიტროპოლიტ ილიას თავი კი არ გამოუცხადებია მოსაყდრედ, არამედ ასეთი იყო სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილება.

10 ნოემბერს თბილისში ჩამოსული მიტროპოლიტი რომანოზი საპატრიარქოში

გამოცხადდა მოგეიანებით და განაცხადა, რომ იგი, როგორც უხუცესი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, იერარქიული პატივით ყველა მღვდელმთავარზე მაღლა დგას და ამის საფუძველზე მოითხოვა

კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობა. როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა–გამგეობის დებულების 23–ე მუხლის მე–2 შენიშვნაშია აღნიშნული, „მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სასულიერო პირი ითვლება უხუცეს მღვდელმთავრად, რომელიც უფრო ადრე იყო ნაკურთხი ეპისკოპოსის ხარისხში. მიტროპოლიტი ილია ეპისკოპოსად ნაკურთხი იყო 1963 წლის 25 აგვისტოს, ხოლო მიტროპოლიტი რომანოზი – 1965 წლის 21 თებერვალს; მიტროპოლიტის ხარისხი ილიას მიენიჭა 1969 წელს, რომანოზს – 1972 წელს; რაც შეეხება ეპარქიის, ან ასაკის (მიტროპოლიტი რომანოზი 1977 წელს იყო 90 წლის) მიხედვით უხუცესობას, ეს არაა გათვალისწინებული მართვა-გამგეობის დებულებაში.

წმიდა სინოდი სინანულით აღნიშნავს მიტროპოლიტ რომანოზის, მიტროპოლიტ გაიოზის, ეპისკოპოს ილარიონის განცხადების უსაფუძვლობას,

თითქოს მიტროპოლიტ ილიას მოსაყდრეობა დაუშვებელია იმიტომ, რომ იგი დაბადებულია საქართველოს საზღვრების იქით, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ორჯონიკიძეში. ჯერ ერთი, საეკლესიო მართვა–გამგეობის დებულების მიხედვით, ამ ფაქტს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და, მეორეც, მიტროპოლიტი ილია და მისი მშობლები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წევრები იყვნენ მუდამ, რადგან ორჯონიკიძეში არსებობდა ქართული ეკლესია, რომელიც ექვემდებარებოდა საქართველოს საპატრიარქოს და თავად მიტროპოლიტი ილია მონათლულია ამ ეკლესიაში არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკის მიერ, რომელიც შემდეგში გახდა წილკნელი ეპისკოპოსი და დაკრძალულია სვეტიცხოველის გალავანში.

მიტროპოლიტმა რომანოზმა, მიტროპოლიტმა გაიოზმა და ეპისკოპოსმა ილარიონმა აგრეთვე განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ აკურთხონ ახალი ეპისკოპოსები, დაუგზავნონ დეპეშები მსოფლიო საეკლესიო ცენტრებს იმის შესახებ, რომ თითქოს ჩატარებული სინოდის სხდომა იყო არაკანონიერი და მოსაყდრეც არჩეული იყო უკანონოდ.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი თვლის, რომ მათი ასეთი ანტიეკლესიური და კანონთა საწინააღმდეგო მოქმედება დიდ ზიანს აყენებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას“.[14]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შიგნით არსებული დაძაბულობა იგრძნობოდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის დაკრძალვის დღესაც (1977 წლის 15 ნოემბერს) სიონის საპატრიარქო ტაძარში, სადაც წირავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. თანამწირველნი იყვნენ სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი ალექსი (რუსეთის პატრიარქი ალექსი II), ქსანთიის მიტროპოლიტი ანტონიოსი, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, ზარაის ეპისკოპოსი იოსი. წირვას ესწრებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ–კათოლიკოსი ვაზგენ I.[15]

უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში...

1977 წლის 16 ნოემბერს, დღის 12 საათზე, დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა), ბათუმ–შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). სხდომას, სინოდის წევრთა მოწვევით, ოქმის შესადგენად ესწრებოდა

კათოლიკოს–პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდობაძე.

„დღის წესრიგი: 1. მოსაყდრე მიტროპოლიტ ილიას მოსკოვში გამგზავრების მიზეზი და იქაური თათბირის შინაარსის მოხსენება; 2. წილკნელი მიტროპოლიტის გაიოზის მიერ მთავრობის სახელზე გაგზავნილი ტექსტის განხილვა; 3.. საეკლესიო კრებისა და კათოლიკოს–პატრიარქის ინტრონიზაციის (აღსაყდრების) თარიღის დადგენა; 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად ასარჩევი კანდიდატის დასახელება.

პირველ საკითხზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტმა ილიამ სინოდს მოახსენა ზაგორსკში რელიგიის მოღვაწეთა თათბირის შესახებ, სადაც დაგმობილ იქნა ნეიტრონული ბომბის მომზადებისა და გავრცელების განზრახვა.

მეორე საკითხზე წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა წაიკითხა მთავრობის სახელზე გაგზავნილი განცხადების სრული ტექსტი.

გადაწყდა, მე-12 საეკლესიო კრება გაიმართოს 1977 წლის 23 დეკემბერს. ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ინტრონიზაცია (აღსაყდრება) შესრულდეს 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

მეოთხე საკითხზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ დაასახელა ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. მას მხარი დაუჭირეს ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა, თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა. მიტროპოლიტმა რომანოზმა არ დაასახელა კანდიდატი და მოითხოვა,აერჩიათ ახალი მოსაყდრე. მიტროპოლიტი გაიოზი არ სცნობს სინოდის სხდომას კანონიერად. ეპისკოპოსი ილარიონი არ ასახელებს პატრიარქობის კანდიდატს.

მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია თანხმობას აცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქობის კანდიდატად მის დასახელებაზე.“[16]

მოვლენების უფრო გამძაფრებას გვამცნობს ალავერდელი ეპისკოპოსის გრიგოლის (ცერცვაძე) ჩანაწერები: „1977 წლის 17 ნოემბერს ჩემთან, ეკლესიაში, მოვიდა უცნობი ახოვანი ახალგაზრდა, გამომიძახა, თქვენთან ცალკე საუბარი მსურსო... წამოიწყო საუბარი: სინოდი, რომელიც გუშინ შედგა, მთავრობის მიერ გაუქმებულიაო, მთავრობას არ სურს ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად არჩევაო... მას სურდა ჩემი დაყოლიება, უარი მეთქვა სინოდის სხდომაზე ჩემს მიერ წამოყენებულ კანდიდატზე. მე ვუპასუხე, რაც სინოდზე გადაწყდა, იმას ხაზი არ გადაესმევა- მეთქი... ბოლოს საუბარი იმით დაამთავრა, მოკლე ხანში მოგივათ დეპეშა იმისათვის, რომ სინოდის ხელახალი სხდომა შედგესო. მე ვუპასუხე, რაც ვთქვი იმასვე ვიტყვი–თქო. მაინცდამაინც ნასიამოვნები არ წასულა.“[17]

ქართველი საზოგადოება დაძაბული ადევნებდა თვალყურს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებას და ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

ყოველი ახალი დღე ახალი ჭორებითა და მითქმა–მოთქმის გამძაფრებით იწყებოდა. ამ უსიამოვნებათა კულმინაცია იყო 1977 წლის 18 დეკემბერი. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მდივნის, გრიგოლ მშვიდობაძის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ილიასადმი გაგზავნილი შეტყობინებიდან ირკვევა: „18 დეკემბერს,საღამოს 19 საათზე,საქართველოს საპატრიარქოს შენობაში ძალით შეჭრილა წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით უმაყოფილო განსხვავებული პოზიციის სამი მღვდელმთავარი. მათ გაუტეხიათ პატრიარქის კაბინეტის კარები,კანცელარიის ოთახში გაულიათ მდივნის საწერი მაგიდა და სეიფი – პატრიარქის კაბინეტში, დაუხვევიათ საქმიანი ქაღალდები, მათ შორის – მოსაყდრის არჩევის ოქმი, გამოუყენებიათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ბეჭედი, უსარგებლიათ ქართული და რუსული საბეჭდი მანქანით. როგორც დარჩენილი შავი ნაწერებიდან ჩანს, მათ დაუგზავნიათ პროვოკაციული დეპეშები მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რუსეთის საპატრიარქოში, სომხეთის ეკლესიაში,

დაუმტკიცებიათ პატრიარქის კაბინეტის გასაღები და ჩაუსვამთ ახალი."[18] გაგზავნილ დეპეშებში ისინი აღნიშნავდნენ, თითქოს საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან გადაყენებული იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ხოლო მე–12 საეკლესიო კრების ჩატარების თარიღი – გადატანილი.

საზოგადოების, ინტელიგენციის აქტიური ჩარევის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ილიას მოწინააღმდეგენი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ყველა ღელავდა, სიმშვიდეს ინარჩუნებდა მიტროპოლიტი ილია, რომელმაც ხელმეორედ დაგზავნა შეტყობინებები მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან, საერო ხელისუფლებაში, იმის შესახებ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე–12 საეკლესიო კრება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის არჩევნები და ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება ნამდვილად გაიმართებოდა 1977 წლის 23–25 დეკემბერს.

დაძაბული, უძილო ღამეების შემდეგ, როგორც იქნა, გათენდა 23 დეკემბერი. თბილისში სტუმრად ჩამოვიდნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი გაზგენ I, საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები. 23 დეკემბერს, სიონში, მე–12 საეკლესიო კრების გახსნამდე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა: „29 ნოემბერს ხელისუფლების წარმომადგენელმა თ. ონოფრიშვილმა ოფიციალურად გამოგვიცხადა – საპატრიარქო ტახტზე მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის კანდიდატურა ოფიციალურად დამტკიცებულია და, თუ ეკლესიაში სამსახური გვინდა, შევწუეთოთ მასზე საჩივრების წერა, წმიდა სინოდმა მას უნდა დავუჭიროთ მხარი. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თქვენგან არავითარ ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია... საკითხი სერიოზულია. გთხოვთ, სასწრაფოდ მიგვიღოთ წმიდა სინოდის განსხვავებულად მოაზროვნე წევრები, რათა პირადად მოგახსენოთ საქმის რეალური ვითარება".[19]

იმავე დღეს დეპეშები გაიგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პავლე გილაშვილისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის სახელზე, რომლებშიც საუბარი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე. იმავე დღის 15 საათზე ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზის სახელით დეპეშა გაიგზავნა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ბრეჟნევთან: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! –წერდა მიტროპოლიტი რომანოზი, – საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, დავით V–ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). იგი ჯერ კიდევ 1972 წლიდან ქართველი დისიდენტების მხარდამჭერი და წამქეზებელია. მოვითხოვ, მოიხსნას მისი კანდიდატურა."[20]

საოცრად ულოგიკო იყო მიტროპოლიტ რომანოზის ქმედება. 1977 წლის 16 ნოემბრის წმიდა სინოდის სხდომაზე იგი აცხადებდა, რომ მიტროპოლიტ ილიას პატრიარქობის შემთხვევაში იყო იმის საშიშროება, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულიყო და რუსეთს დაქვემდებარებოდა. ამიტომ 90 წლის ასაკში იგი მზად იყო, ეტვირთა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლობა; ხოლო 23 დეკემბერს ლ. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ დეპეშაში იგივე პიროვნება მან ქართველი დისიდენტების წამქეზებლად გამოაცხადა.

ასეთი რთული ვითარების ფონზე დაიწყო მუშაობა მე–12 საეკლესიო კრებამრომელსაც ესწრებოდა 45 დელეგატი. კრება გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ, რომელმაც აღნიშნა: „დღეს ამ უძველეს საპატრიარქო ტაძარში შეიკრიბა მე–12 საეკლესიო კრება. განვლო 45 დღემ, რაც ღვთივ განისვენა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს–პატრიარქმა დავით V–მ, რომელიც წინ უძღოდა ჩვენს ეკლესიას 5 წლის განმავლობაში,დადო დიდი შრომა და ღვაწლი,რათა სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო ჩვენი ეკლესია. 40 დღე იგლოვა ჩვენმა ხალხმა. დღეს მე–12 საეკლესიო კრებამ უნდა აირჩიოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარი. ჩვენს კრებას პატივი დასდო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა, როგორც მოძმე ეკლესიის მამამთავარმა, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ზეიმში. დღეს ჩვენ ვდგევართ იმ უძველეს ეკლესიაში, სადაც იდგნენ და მამამთაერობდნენ დიდნი კათოლიკოს–პატრიარქნი, უწმიდესნი და უნეტარესნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, შელქისედეკი, ეფრემი, დავითი. ჩვენი მღვდელმთავრები, სამღვდელოება, მორწმუნე ერი მუდამ იქნება ერთად,რომ გადაწყვიტოს ის დიდი საკითხები,რომლებიც ჩვენი ეკლესიის წინაშე დგას. ქრისტესმიერი სიყვარულით მოგესალმებით და მე–12 საეკლესიო კრებას გახსნილად ვაცხადებ."[21]

საეკლესიო კრებას მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა პიმენმა.

კრებამ დაამტკიცა 4 კომისიის შემადგენლობა. ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა წმიდა სინოდის გადაწყვეტილება,საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად დასახელებულიყო ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. კრების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილიამ, კრების მონაწილეებს მიმართა, რომ, სურვილის შემთხვევაში, მათ თავისუფლად შეეძლოთ ჩაეწერათ სხვა კანდიდატის სახელი დარიგებულ ბიულეტენზე.

გაიმართა ფარული კენჭისყრა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, არქიმანდრიტმა იოანე ანანიაშვილმა, გამოაცხადა, რომ კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია ერთხმად იყო არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად. კრებაზე შეადგინეს საგანგებო სიგელი, რომელსაც ხელს აწერდნენ კრების მონაწილენი.

„მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას!

წყალობითა ღმრთისათა და მადლითა და განგებითა სულისა წმიდისათა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობის აღნიშვნიდან მე–12 ადგილობრივმა კრებამ,რომელიც შედგა 1977 წლის 23 დეკემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, შემადგენლობითა საქართველოს ეკლესიის ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავართა, სამღვდელოთა, სამონაზვნო წესთა და ერისკაცთა,მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელთა,მღვდელმთავართა, სამღვდელოთა დასთა თანდასწრებით აღირჩია თქვენი სიწმიდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად."[22] საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს ეწოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი,მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

მე–12 საეკლესიო კრების გადაწყვეტილება იმავე დღეს გახდა ცნობილი სრულიად საქართველოსათვის. ყველას სურდა ეხილა ახალგაზრდა,ინტელექტუალი, გამორჩეული გარეგნობის მწყემსმთავარი, რომელიც მოახერხებდა ეკლესიის წინაშე არსებულ პრობლემათა მოგვარებას და საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიას დაუბრუნებდა ისტორიულ მისიას.

ახალი პატრიარქის არჩევა XX საუკუნის 70–იანი წლების „უბრაობის ხანას" დაემთხვა. თვალნათლივ ჩანდა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურნი კვლავ ამტკიცებდნენ განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის ნათელი მომავლის სიკეთეს. ქრისტიანული სარწმუნოება კვლავ „წარსულის მავნე გადმონაშთად" ითვლებოდა. ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებში დიდი ადგილი ეთმობოდა ანტირელიგიურ თემებს. საქართველოში გამომავალი ოფიციალური გაზეთები – „კომუნისტი",„ზარია ვოსტოკა",„სოფლის ცხოვრება" – მოკლე ინფორმაციით გამოეხმაურნენ საქართველოს

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე–12 საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევას. შედარებით ვრცელი მასალა გამოაქვეყნა გაზეთ „სამშობლოში“ ჟურნალისტმა ლამარა თელიამ.

25 დეკემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრისაკენ ზღვა ხალხი დაიძრა. ასეთი ხალხმრავლობა მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აღარ ყოფილა. ოფიციალური ხელისუფლება, წესრიგის დაცვის საბაბით, შეეცადა სპეციალური საშვების მქონე პირთა გარდა ტაძარში არავინ შეეშვა, მაგრამ ხალხის ტალღამ გაარღვია მილიციელთა კორდონი და ტაძარში შევიდა.

ხალხის ხმაური მიწყნარდა. სვეტიცხოველის ზარები უწმიდესისა და უნატარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მობრძანებას იუწყებოდა. მასთან ერთად მობრძანდნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი; სტუმრები: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I, ქართული ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.იროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მეთაურის საზეიმო კურთხევა. ქართველი პატრიარქების ჯვარ-პანაღიები, საპატრიარქო გვირგვინი და კუნკულ-ბარტყულა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიართვეს მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ და ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა.

ახლადარჩეულ პატრიარქს სიტყვით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა და ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II-მ თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო: „საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა. არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ სხვენებას მისას. თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა.. ჩვენი ეკლესიის მომავალი საქმიანობის მთავარი საკითხი უნდა იყოს ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება. ჩვენს ხალხს მუდამ მოეპოვებოდა ენერგია სასოებისა და წინსვლისათვის და ეს ენერგია ახლაც ჭარბად აქვს მას; გამოვლინდეს და სიკეთეს მოხმარდეს ეს ენერგია,– აი ჩვენი მიზანი.. ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის მთავარი საზრუნავი... იმისათვის, რომ ღვთიური გზით წარვმართოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა, გეჭირდება შინაგანი მთლიანობა.“[23]

უწმიდესმა და უნეტარესმა ჯვარი გარდასახა სვეტიცხოველში შეკრებილ ათასობით ადამიანს და სტუმრებთან ერთად ეკლესიიდან გავიდა. სვეტიცხოველში შეკრებილი ხალხი არ იშლებოდა. ყველა გრძნობდა, რომ ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდა. ათეისტური კომუნისტური ხელისუფლებისაგან დევნილი, შეეიწროებული და საზოგადოებისგან ჩამოშორებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია თავისი ისტორიული როლის აღდგენისათვის ემზადებოდა. ეს – მომავალში,მაგრამ პირველი დღეებისა და თვეების სირთულეს ყველა აცნობიერებდა.

საზეიმო დღეებმა გადაფარა ორმოცდახუთდღიანი რთული პრობლემები,თუმცა ბევრი საფიქრალიც გაჩნდა: ვის შეეძლო გადაეჭრა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის მთავარი ჭაღის ჯაჭვი, რომლის ჩამოვარდნას 25 დეკემბერს ტრაგედია მოჰყვებოდა?

რამდენი ხილული და უხილავი მტერი იყო ჩასაფრებული ახალგაზრდა პატრიარქის წინააღმდეგ?

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ფინანსურადაც ძალიან უჭირდა.

ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა ამ სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II–ს: თქვენ რომ გიყურებთ, მახსენდება ჩემი პატრიარქობის პირველი წლები... ჩაიარა საზეიმო დღეებმა და მკაცრი რეალობა მძიმე აღმოჩნდა. თვის ბოლოს იმის სახსარიც კი არ გექონდა, რომ მგალობლებისათვის მცირე ხელფასი მიგეცა, მაგრამ, ღვთის შეწევნით, გადაელახეთ ყველა პრობლემა... ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენებია, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა პრობლემას თავს გაართმევს და საქართველოს ეკლესიის საქმიანობას მეტ სითამამეს შესძენს.

25 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით გამართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება, მოწვეული სტუმრები. ქართული ინტელიგენციის სახელით უწმიდესსა და უნეტარეს ილია II–ს სიტყვებით მიმართეს პროფესორებმა: ალექსანდრე ალექსიძემ, გაიოზ იმედაშვილმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. „თქვენ თქვენი მორწმუნებრივი სიწმიდით, – აღნიშნა პროფ. გ. იმედაშვილმა, – სათნო ცხოვრებით, ცოდნითა და ეკლესიისადმი უანგარო, თავდადებული მოღვაწეობით დიდი ხნის წინათვე გქონდათ მოპოვებული ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ამიტომ იყო, რომ წილად გხვდათ ეკლესიისა და ხალხის სიყვარული და პატივისცემა... ეკლესიისა და ხალხის ნება–სურვილის სრულ თანხმობაში ერთსულოვნად აგირჩიეს დაობლებული ქართული ეკლესიის მამამთავრად... დღეს ყოველი ფენის, განათლებისა და პროფესიის ქართველობა თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობისადმი ნუგეშით მონდობილი სასოებს, რომ ოდესმე დიდებული ეკლესია კელავ ჩადგეს ერის სამსახურში.“[24]

ყველა გამომსველელის ნატვრა იყო, კელავ ძლიერი ეხილა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II–მ საზეიმო მიღებაზე მოსულ საზოგადოებას მიმართა მოკლე საპროგრამო სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა ის ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეწყვიტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას: „ჩვენ ყველა ასეთ საქმეში ღვთის ნებას ვხედავთ, მის მოწყალებას, მისი მარჯვენის ძლიერებას, სამართალს მისას, მის ნათლით მოსილ სიყვარულს იმათ მიმართ, ვისაც ჩაჰბერა მან სიცოცხლე თავისი წმიდა სულის მიცემით. ღვთაების ამ წარმოუდგენლად მრავალმხრიემა დიდმა სიკეთემ მისგან ბოძებული ძლიერების კვერთხით დამაყენა ჩემი საყვარელი ქართველი ხალხის წინაშე, როგორც მსახური ამ ხალხისა და აღმასრულებელი ყოველად მაღალი ნებისა ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლებაში. მე ტვირთის ზიდვა დამაკისრა მისმა გასაოცარმა მოწყალებამ, მოკვდავი გონებისათვის წარმოუდგენელმა ძლიერებამ მომცა ძალა და სასოება, რომ ზეიმით ვზიდო ეს ტვირთი, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ის... ჩვენი ეკლესიის საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც მხოლოდ მორწმუნე ხალხთან კარჩაკეტილობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გვწამდეს პროგრესული საწყისებით, ამისათვის ჩვენი ეკლესიაც უნდა იდგეს მთელ ხალხთან ერთად, რომელი ხალხიც სიკეთესა და აღმაელობას ემსახურება... უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც დაფლულია უფლის კვართი, იმ ქვეყანაში დაბადებულნი და აღზრდილნი, რომელი ქვეყანაც წილად ხვდა ყოველადწმიდა ღვთისმშობელს, იმ წინაპართა შთამომავალნი ვართ, რომელთაც ქრისტიანობა უქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა... ასეთი წარსული გვავალებს, რომ მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ეკლესიის სიწმინდის ამაღლებისათვის. რა თქმა უნდა, იოლი როდია ღვთისა და ერის წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ განა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი მაშინ,

როდესაც ვიცით,ეს ტვირთი ღვთისგან მივიღეთ? ამ ტვირთთან ერთად მოგვცა სასოება განგებამ. ყოველი ტახტი პატრიარქისა უნდა ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს. ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემს თვალწინ იქნება ის თვალით უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დამსვა უფლის ძლიერმა მარჯვენამ. ჩემს გულზედ წერია ის ვალდებულებანი, რომლებიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ყოველად მაღალი მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა."[25]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141–ე მეთაურის არჩევას გამოეხმაურა მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების საინფორმაციო საშუალებანი. ქრისტიანული მსოფლიო კარგად იცნობდა უწმიდესსა და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ილია II-ს, რომელიც 1963 წლიდან, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, მონაწილეობდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმებში. მას პირადი გულითადი ურთიერთობები აკავშირებდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, ელადის, სერბეთის და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან.

26 დეკემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა ოფიციალურად მიიღო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობა შესთავაზა. „ვიტვირთე რა საჭეთმპყრობელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა, წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ უღრმესი პატივისცემა და კეთილი სურვილები"[26] — სწერდა მისი უწმიდესობა ე. შევარდნაძეს.

ჩაიარა საზეიმო დღეებმა. დადგა 1978 წელი. სიონის საპატრიარქო ტაძარი, რომელიც მხოლოდ დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ივსებოდა ძირითადად ხანდაზმული ადამიანებით, ყოველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, შაბათსა და კვირას ახალგაზრდებით, ინტელიგენციის წარმომადგენლებით იყო სავსე. ეს ხალხი უსიტყვო პროტესტს უცხადებდა კომუნისტურ იდეოლოგიას და სარწმუნოებაში ცდილობდა სულიერი შვების მოპოვებას. უწმიდესი და უნეტარესი მათთვის გასაგები ენით ესაუბრებოდა მრევლს მართლმადიდებელი სარწმუნოების სიდიადეზე. ადამიანები, რომლებიც ერთხელ მაინც მოვიდოდნენ ტაძარში, აქ რჩებოდნენ და მრევლად იქცეოდნენ... როგორი მშვიდი, ბედნიერი და კმაყოფილი იყო თითოეული მათგანი, უწმიდესისა და უნეტარესის სითბოთი და სიყვარულით აღტაცებული.

ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. 1995 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ასე გაიხსენა პატრიარქობის პირველი რთული, მაგრამ საინტერესო წლები: „დღეს მე მხოლოდ ჩვენი ეკლესიის ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხები, გაეიხსენებ, რა ურთიერთობა იყო ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის, რომელიც თითქმის ისეთივე ზეწოლას განიცდიდა და ისევე იდევნებოდა, როგორც სასულიერო პირნი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ქართველი კაცის სული გადაარჩინა. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო მჭიდრო კავშირი ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის. სახელმწიფო ცდილობდა, არ მომხდარიყო ეს დაახლოება. ინტელიგენციას ჰქონდა სულიერებისაკენ სწრაფვა, მაგრამ გამოცდილება აკლდა. მახსოვს, საპატრიარქოში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსები მოვიწვიეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად, დავამუშავეთ გეგმა და გავანაწილეთ თემები, მაგრამ, როდესაც დამუშავებული ნაწილები წარმომიდგინეს,

მივხედი, რომ მათი გამოცემა არ შეიძლებოდა, რადგან ეს არაეკლესიური ადამიანების მიერ დაწერილი ისტორია იყო... მიუხედავად ამისა, სწრაფვა დაახლოებისაკენ არ შეჩერებულა. საპატრიარქოში გრძელდებოდა შეხვედრები მეცნიერებთან. ხშირად საკითხები, რომელთაც ჩვენ ამ შეხვედრებზე განვიხილავდით, იმდენად საინტერესო იყო, რომ უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლები მათ შესახებ სტუდენტებს ლექციებზე უყვებოდნენ... ჩვენმა მეცნიერებმა დიდი მისიონერული ღვაწლი გასწიეს და მე მადლობელი ვარ მათი მძიმე მდგომარეობაში გამოჩენილი თანადგომისათვის.“[27]

პირველი სიძნელეები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება

XX საუკუნის 70–იან წლებში საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ–ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო. გარეგნულად სუვერენული, თავისუფალი რესპუბლიკა რეალურად მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის სისტემით ხასიათდებოდა. ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ.უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახით – მოსკოვთან შეუთანხმებლად ვერც ერთი საკითხის გადაწყვეტას ვერ ახერხებდა. ქვეყანა აშენებდა ე.წ. „განვითარებულ სოციალიზმს“. გაბატონებული იდეოლოგია იყო მარქსიზმ–ლენინიზმი. საზეიმო მსვლელობები იმართებოდა 1 მაისს, მშრომელთა სოლიდარობის დღეს, და 7 ნოემბერს, რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის „ისტორიული“ დღის აღსანიშნავად. საზეიმოდ აღინიშნებოდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების დღე, 5 დეკემბერი. ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ 1918–1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, ან, 20–50–იანი წლების დაუნდობელ ანგარიშსწორებას გადარჩენილნი, ოცნებასაც ვერ ბედავდნენ თავისუფალ საქართველოზე. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამბობდა, რომ ქვეყანაში დაძლეული იყო „წარსულის მაგნე გადმონაშთები“, მოსახლეობის რელიგიურობა. ახალი იდეოლოგიური წნეხის პირობებში გაიზარდნენ თაობები, რომელთა მეხსიერებიდან ცდილობდნენ ამოეშალათ ისტორიული წარსული, ქართული ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება; საშუალო სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან განდევნილ იყო საქართველოს ისტორიის სწავლება, ახალგაზრდებისათვის გაუცხოებული იყო XIX–XX საუკუნეების სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ წინაპართა – სოლომონ II–ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, სოლომონ ლეონიძის, ფილადელფოს კიკნაძის, დოსითეოს ჭუთათელის, ექვთიმე გაენათელის, სპირიდონ კედიას, ნოე რამიშვილის, ნოე ჟორდანიას, კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, უწმიდესი ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის, ზურაბ ავალიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძისა და სხვათა სახელები. XIX საუკუნის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალურ მოძრაობად მოინათლა. ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა და იდეენებოდა ქართული, გარუსება – ინტერნაციონალიზმად, ხოლო საქართველოს ისტორიის, ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლა ნაციონალიზმად ცხადდებოდა, მკაცრი ცენზურა იყო ყველა სფეროში. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისი აშკარა იყო. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის 5 მარტს), რომელიც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გარანტი იყო 31 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გართულდა ვითარება. ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, 1956 წლის საგანგებო დადგენილებით დაგმო იოსებ სტალინის პიროვნების კულტი და 20–50–იანი წლების რეპრესიები მხოლოდ მას დააბრალა. ნ. ხრუშჩოვს ამ ნაბიჯით სისტემის გადარჩენა სურდა, მაგრამ მოხდა პირიქით, დაჩქარდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევის პროცესი. 1956 წლის 9 მარტს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის ბარბაროსულმა დარბევამ, სისხლიანმა ანგარიშსწორებამ ქართულ საზოგადოებაში აზროვნების წესის შეცვლა დააჩქარა, საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლების მივიწყებული იდეა გამოაცოცხლა, კომუნისტური სისტემის კრიტიკა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახდა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი.

XX საუკუნის 60–70–იან წლებში ეს მოძრაობა საბჭოთა იდეოლოგებისა და მისი სპეცსამსახურებისათვის დისიდენტურ (სხვაგვარად მოაზროვნეთა) მოძრაობად

მოინათლა. დისიდენტური მოძრაობისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მომხდარი ცვლილებები, ახალგაზრდა, განათლებული კათოლიკოს–პატრიარქის მოსვლა იყო დიდი სიხარულისა და იმედების მომცემი, ამიტომ ქართველი მამულიშვილები უყოყმანოდ დადგნენ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, ილია II–ის გვერდით. პატრიარქი შინაგანად ეროვნულ–განმათავისუფლებელი იდეალების ერთგული იყო. ამის დასტურია საქართველოს საპატრიარქოს არქივში, მისი უწმიდესობის სტუდენტობისდროინდელ საარქივო მასალებში,ახალგაზრდა მღვდელმონაზონ ილიას მიერ ლამაზად გადაწერილი მემორანდუმის ტექსტი, რომლითაც 1922 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსი ხელაიამ მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. გარდა ამისა, ჩვენი სახელოვანი პატრიარქი ახალგაზრდობიდანვე ხშირად იხსენებდა უწმიდესსა და უნეტარეს,სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ანტონ II–ს: „ახლა თვალწინ მყავს წარმოდგენილი კათოლიკოს–პატრიარქი ანტონ II ერეკლეს ძე, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოზე, იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა რუსეთის მიწას თავისი მდუღარე ცრემლებით.“[28] – წერდა თავის დღიურში მღვდელმონაზონი ილია.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სიტყვა, დარბაზობაზე თქმული 1977 წლის 25 დეკემბერს, კარგი გზავნილი იყო თავისუფლების იდეალების ერთგული თანამემამულეებისათვის. ასეთ ვითარებაში დაიწყო უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის მოღვაწეობა. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიმართა, რომ მან სუდარაგადაფარებული ეკლესია ჩაიბარა. ვითარება იყო მძიმე, მაგრამ არა უიმედო. ამ დროს მცხეთა–თბილისის ეპარქიაში მოქმედი იყო მცხეთის სვეტიცხოველი, სამთაეროსა და ოლღას მონასტრები, თბილისის სიონი, ქაშუეთის წმიდა გიორგის, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმიდა ნინოს, მთაწმინდის მამა დავითის, სამების, ალექსანდრე ნეველის, მიხეილ ტვერელის, იოანე ღვთისმეტყველის, წმიდა ბარბარეს ეკლესიები. არ ფუნქციონირებდა ანჩისხატის,კარის,ფერისცვალების,წმიდა ნიკოლოზის, მეტეხის ღვთისმშობლის, ვერის ეკლესიები; ნაძალადევში, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ჰიგიენის სახლი (აბანო) იყო გახსნილი. ეკლესიას არ ჰყავდა მრევლი, თითქმის არ არსებობდა ქართულენოვანი სასულიერო წიგნები, ქართული ხატები, ჯვრები, შემცირებული იყო მგალობელთა გუნდები. წმიდა სინოდის წევრი ექვსი მღვდელმთავრის ასაკი მერყეობდა 70-90 წლებს შორის, ხანდაზმული იყო სასულიერო პირთა უმრავლესობაც. პირველ ხანებში პატრიარქის შემმოსველნი ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან მოსული რუსი სტიქაროსნები იყვნენ. უწმიდესი და უნეტარესი ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ხალხს, რომელიც ჯვრ მრევლი არ იყო, ასწავლიდა, როგორ უნდა ელოცათ, რომელი ლოცვები უნდა ესწავლათ, როგორ უნდა გადაეწერათ პირჯვარი, რატომ იყო აუცილებელი წირვა–ლოცვაზე ბოლომდე დასწრება, რატომ უნდა დაეცვათ მარხვა, ეთქვათ აღსარება და მიეღოთ წმიდა ზიარება, რატომ იყო ტაძარში საჭირო სიწყნარე წირვა–ლოცვის დროს, რატომ იყო აუცილებელი ტაძარში სალოცავად მოცული ქალისთვის თავსაბურავით ყოფნა... ადამიანები გაუბედავად, მაგრამ მაინც მოდიოდნენ ეკლესიაში და ერთფეროვანი ცხოვრებიდან უეცრად სხვა სამყაროში გადმოდიოდნენ, სადაც აფორიაქებულნი სულიერ სიმშვიდეს პოულობდნენ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულნი იმედით ალივსებოდნენ. საოცარი სანახაობა იყო ორშაბათს, სამშაბათს, შაბათს და კვირას სიონის საპატრიარქო ტაძარი. ახალგაზრდები სასოებით შეჰყურებდნენ თავიანთ სულიერ წინამძღოლს, წირვა–ლოცვის დამთავრების შემდეგ ნელა მიუყვებოდნენ ლესელიძის, ერეკლე II –ის ქუჩებს, რუსთაველის გამზირს.

პატრიარქმა პირველ საახალწლო ეპისტოლეში ამ სიტყვებით მიმართა ქართველს ხალხს: „სარწმუნოება – ეს ნათელია მშვიდობის გზაზე,სარწმუნოება თავადაა მშვიდობა და სასოება მარადიული, სარწმუნოება წყარო არის სიყვარულისა,რომელიც ამაღლებს

კაცის გულსა და გონებას. იგი ხიდი არის, მიწიდან ცისკენ მიმავალი. დადექით მტკიცედ ამ ხიდზე– ჩვენ სიხარულით ვუჩვენებთ ყველას ამ ხიდისაკენ მიმავალ გზას, იმ საქმეთა ნუსხას, რომელიც უნდა აკეთოს მარადიულობისაკენ ამ ხიდით მიმავალმა ადამიანმა, მივუთითებთ ბედნიერების იმ ჭეშმარიტ წყაროზე, საიდანაც უნდა სვას სულისა და ხორცის მასაზრდოებელი ცხოველმყოფელი წყალი, დავეხმარებით სულიერი ამაღლების გზით იხილოს ის ნათელი, რომელიც მზისგან კი არ მოდის, არამედ რომლისგანაც მზემ მიიღო ნათელი თავად."[29]

კომუნისტური იდეოლოგიისაგან სულშეხუთული ხალხისათვის, რომელსაც მიწიერ სამოთხეს ჰპირდებოდნენ, ეს იყო სრულიად ახალი. ადამიანები თანდათან დაუბრუნდნენ თავიანთი წინაპრების მიერ სისხლითა და თავგანწირვით შენარჩუნებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ნომინალური მორწმუნეებიდან ჭეშმარიტ მორწმუნეებად გადაიქცნენ. საერო ცხოვრებაში სამშობლო, მისი ისტორიული გმირები, მშობლიური ენა დავიწყებას ეძლეოდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური კი მათი არდავიწყებისაკენ მოუწოდებდა მრევლს: „როცა გადავხედავთ ჩვენს წარსულს, გვაოცებს, თუ ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა, როგორ არ მოისპო ეს ყველაფერი და ვით გაუძლო ჯამთან ჭიდილს. ჩვენი დღემდე არსებობის და სულიერი სიმტკიცის საიდუმლოება ქრისტიანულ სარწმუნოებაში მდგომარეობს... წმიდა ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიდი რუსთაველი, დიმიტრი თავდადებული, სირიელი მამები, თორნიკე ერისთავი; მეფე-მოწამენი: არჩილი და ლუარსაბი; სჯულისათვის თავდადებულნი: დედოფალი ქეთევანი, მღვდელი თევდორე, გმირნი მარაბდელნი, დავით გურამიშვილი, 300 არაგველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე; კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ამბროსი, კალისტრატე და მრავალი სხვა მნათობნი და სვეტნი არიან საქართველოსი... ჩვენ უნდა ვიყოთ განმგრძელებელნი იმ დიდი საქმისა, რასაც შეეწირნენ ისინი."[30] ოფიციალური ხელისუფლებისა და მისი იდეოლოგიისათვის სრულიად მიუღებელი იყო წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასეთი ხედვა. თუ საქართველოს წარსულიდან ამ დიდებული ადამიანების მაგალითებს წინ წამოეწევიდით, აღარ რჩებოდა ადგილი იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, კამოს (ტერ-პეტროსიანის), ფილიპე მახარაძის, ლევან ღოღობერიძის, მიხეილ კალინინის, სერგეი კიროვის, ალექსანდრე ჟდანოვის, კომპარტიის სხვა ბელადთა ცხოვრების შესწავლისათვის, რომელთა შრომებსა და „საგმირო საქმეებზე" მოგვითხრობდნენ სავალდებულო პოლიტ-სემინარებზე, კომპარტიის ისტორიის ლექციებზე.

1978 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოში დიდი მღელვარება გამოიწვია საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ. ახალ პროექტში, მოსკოვის მითითებით, ამოღებულ იქნა ის მუხლი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს აკანონებდა. სხვადასხვა ორგანიზაციაში საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა არსებული პოლიტიკური სისტემის მძაფრ კრიტიკაში გადაიზარდა.

ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდული ბირთვი, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიას, მ. გიორგაძის, თ. ჩხეიძის, ზ. ჭავჭავაძის სახით, სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი იყო. ხელისუფლება გრძნობდა, რომ საქართველოში ქართული ენის დასაცავად გამოსული ადამიანების ძლიერი მოკავშირე იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია.

გათენდა 1978 წლის 14 აპრილი. დილის 9 საათზე თბილისის უნივერსიტეტის ეზოში ათასობით სტუდენტი შეიკრიბა და დაიძრა რუსთაველის გამზირისაკენ, მთავრობის სასახლისაკენ, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიას უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია. ახალგაზრდები მოითხოვდნენ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მელიქიშვილის ქუჩაზე უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუერთდნენ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები; ფილარმონიასთან მათ

გაარღვიეს მილიციის კორდონი, მეორე წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა რუსთაველის ძეგლთან, ათასობით დემონსტრანტი სკანდირებით: „საქართველო“, „სამშობლო“, „დედა ენა“ –მთავრობის სახლთან მივიდა... ქუჩებში დაძაბულობა იგრძნობოდა, ბრეზენტგადახურულ მანქანებში სამხედრო ტექნიკა, ჯარი იდგა... უფროსი თაობა ტიროდა, მათ ახსოვდათ 1956 წლის 9 მარტი და ეშინოდათ მისი განმეორებისა...

ვეებერთელა საბჭოთა იმპერიაში ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. მოსკოვი იძულებული გახდა, უკან დაეხია, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75–ე მუხლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენა სახელმწიფო ენად დაკანონდა. ეს იყო დიდი გამარჯვება და სიხარული. დემონსტრანტები სიონის საპატრიარქო ტაძრისაკენ დაიძრნენ. ამ დროს კი საქართველოს საპატრიარქო (დღემდე დაუდგენელია მიზეზები) ხანძრის ალში იყო გახვეული. ხანძრის შედეგად დაიწვა ვერცხლის ხატი, XVII საუკუნის წმიდა ნინოს ხატი, წმიდა ნიკოლოზის ხატი, 4 სამღვდელმთავრო კვერთხი, ბარძიმ–ფეშხუმები, მუხის კანკელი, მაგიდა, სკამები; კათოლიკოს–პატრიარქების – კირიონ II–ის, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემ II–ის, დავით V–ის – სურათები (ორიგინალები). პატრიარქი გადარჩა... მისი უწმიდესობა თითქმის ერთი წელი რეზიდენციის გარეშე იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, კლავე ჩვეული შეუპოვრობით გაეგრძელებინა საქმიანობა.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას 1917 წელს ჰქონდა ოფიციალური საინფორმაციო ორგანო - ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომელიც მალე დაიხურა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქების – ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, ეფრემისა და დავითის – სურვილი, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჰქონოდა თავისი საინფორმაციო ჟურნალი, მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გამო განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II–ის ლოცვა–კურთხევით, გამოვიდა ფერადი ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. თავდაპირველად განზრახული იყო, ჟურნალი ყოველთვიური ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების მძაფრი წინააღმდეგობის გამო გადაწყდა ყოველწლიურად ორი ნომრის გამოშვება. ჟურნალს უნდა გაეშუქებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, წმიდა სინოდის სხდომები, თეოლოგიის, მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ჟურნალს აგრეთვე ჰქონდა რუბრიკები ინგლისურ და რუსულ ენებზე. ოცდაათი წლის მანძილზე ჟურნალის უცვლელი რედაქტორია ქალბატონი თინათინ კობალაძე. „ჯვარი ვაზისას“ 1978 წლის პირველი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოს მე–12 საეკლესიო კრებას, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II–ის აღსაყდრებას. შეზღუდული ტირაჟის გამო სიონის საპატრიარქო ტაძარში სპეციალურ მაგიდაზე ეწყო ჟურნალის ნომრები და მკითხველები იწერდნენ მათთვის საინტერესო სტატიებს.

პირველ ხანებში ყოველდღიური ლოცვები, ფსალმუნები მორწმუნე მრევლს ხელით ჰქონდა გადაწერილი. 1978–1979 წლებში ეს ლოცვები დაიბეჭდა, მაგრამ მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის ლოცვა–კურთხევით, 1978–1987 წლებში საეკლესიო კალენდარში იბეჭდებოდა ყოველდღიური ლოცვები და ფსალმუნები. უნიკალური ქართული ანბანი – ასომთავრული და ნუსხახუცური – მხოლოდ სპეციალისტებისა და ღვთისმსახურებისათვის იყო გასაგები. ხალხი დაშორებული იყო ძველ ქართულ ტექსტებსა და დამწერლობას. „ქართველ მრევლში იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, – მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ მრევლს, – რომელსაც შეეძლება მედავითნეობა გაუწიოს მოძღვარს... ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა, არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის.“[31] სულ მალე ეკლესიებში გამოჩნდა ასომთავრულით და ნუსხახუცურით დაწერილი

ყოველდღიური ლოცვები, ფსალმუნები. ქართველი მორწმუნეებისათვის ასომთავრული და ნუსხახუცური ანბანი ახლობელი და გასაგები გახდა...

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებითი იზოლაციიდან გამოდიოდა. 1978 წლის 24 ნოემბერს ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა იტალიიდან გადმოასვენა 1911 წელს ქ. ჩივიტავეკიაში სხვის გადასარჩენად ზღვაში დაღუპული დიდი ქართველი მეცნიერის, მიხეილ თამარაშვილის, ნეშტი. 26 ნოემბერს, კვირას, ხელოვნების მუზეუმის დარბაზში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ათასობით ქართველი დაესწრო. პანაშვიდზე მობრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისმა უწმიდესობამ დიდუბის პანთეონში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიულად ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ ერთად იდგა და ასე იქნება მომავალშიც. ეს იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის ხალხში გასვლის პირველი წარმატებული ნაბიჯი... ბევრ ადამიანზე პატრიარქის უშუალობამ, სიწმიდემ ისე იმოქმედა, რომ ეკლესიას მიაშურა. სულ მალე სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ქართული ხატები, ჯვრები. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ დაიწყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვა. 1979 წელს სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მაცხოვრის, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა კეთილმსახურ თამარ მეფის, წმიდა ქეთევან წამებულის, ღირსი მამა იოანე ზედაზნელის, წმიდა მოწამეების — დავითისა და კონსტანტინეს — ახალი ხატები.

1978 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოში უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს მოწვეით სტუმრად ჩამობრძანდა ათონის მთის გუბერნატორი, დოქტორი დიმიტრიოს ცამისი, პატრიარქმა ოფიციალურ ხელისუფლებას აცნობა, რომ აუცილებელი იყო, საპატიო სტუმარი მიეწვიათ თბილისის უნივერსიტეტში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სახელმწიფო მუზეუმში. ხელისუფლება იძულებული გახდა, დასთანხმებოდა, რამაც უწმიდესსა და უნეტარეს საშუალება მისცა, შეხვედროდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, სტუმრისათვის დაეთვალიერებინებინა საქართველოს ისტორიის კაბინეტი, სადაც მათ ესაუბრა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები პირველად შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომლისადმი პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდებოდა ქართველ ხალხში. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, საერო ხელისუფლების ღონისძიებათა პარალელურად, აღნიშნა იაკობ ხუცესის მიერ წმიდა შუშანიკის წამების აღწერიდან 1500 წლისთავი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწერა წმიდა შუშანიკის ხატი. ეკლესიამ ხელისუფლებას მოსთხოვა, გადმოეცა მისთვის მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სადაც არის წმიდა შუშანიკის საფლავი და იმხანად კი ახალგაზრდული თეატრი იყო განთავსებული.

ყოველი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმიდა მირონის მომზადებას. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია VIII საუკუნიდან ამზადებს წმიდა მირონს. მირონის მომზადება საზეიმო ვითარებაში ხდება სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში. ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში მირონის მომზადება მოკრძალებულად აღინიშნებოდა, ამიტომ ერცელდებოდა ხმები, თითქოს მირონი სხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ.

1980 წლის 1-3 აპრილს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოველში განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში მომზადდა წმიდა მირონი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მცხეთაში ჩამოსულ ათასობით მორწმუნეს შეეძლო თვითმხილველი ყოფილიყო მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის წიაღში მირონის კურთხევის მსახურებისა. ორი კვირის მანძილზე სადღეღამისო წირვა-ლოცვა არ

წყდებოდა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში. გაიფანტა უაზრო ჭორები. მომზადებული მირონი მოათავსეს საგანგებო ჭურჭელში. უწმიდესისა და უნეტარესის მანქანა, რომელსაც მართავდა პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, თბილისისაკენ დაიძრა. მანქანაში წმიდა მირონით სავსე ჭურჭელიც იყო მოთავსებული. მანქანამ გაიარა რამდენიმე კილომეტრი და ამოტრიალდა. თანმხლები მანქანებიდან თავგზარდაცემული გადმოვიდნენ წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება, მორწმუნე მრევლი. დამტვრეული მანქანიდან უვნებელი გადმოვიდა მისი უწმიდესობა, წმიდა მირონის ჭურჭელიც დაუზიანებელი იყო. რომ არა ღვთის ნება, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო, ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ეკლესიებზე შექმნილი სტერეოტიპი „ისტორიული კულტურის ძეგლისა“ გაეფანტა და მისი ნამდვილი დანიშნულება მკაფიოდ და ნათლად განემარტა. „ტაძარი ადგილია ადამიანის ეკლესიური კურთხევისა,– აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – კარიბჭეა მარადიულობისა, საიანეა ღვთისა; აქაური მადლმოსილი გარემო აღაზევებს, აკეთილშობილებს სულს, განწმედს და განათავისუფლებს ცოდვებისაგან, ტაძარი ოაზისია, რომელშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით, ღელვით და ამაოებით დაცლილი სული შინაგან მშვიდობასა და სიწყნარეს პოვებს.“[32]

ოფიციალურმა ხელისუფლებამ რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისპირა ე.წ. სახალხო „დავით გარეჯობა“, „მცხეთობა“, „ალავერდობა“, „თელეთობა“. მთელი დღის განმავლობაში შეზარხოშებული ხალხი ზურნა–დუდუკის ფონზე წმიდა ტაძრების ეზოებში რაღაცას ზეიმობდა, თუ რას, ვერც ერთი მოზეიმე ვერ იტყოდა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი 1978 წლის სექტემბერში კახეთში გაემგზავრა ალავერდობაზე. ახმეტის პარტიულმა ხელმძღვანელობამ სცადა, ათასობით მორწმუნისათვის გზა გადაეღობა, მაგრამ უშედეგოდ. ეს იყო პირველი ალავერდობა, რომლის დროსაც საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი და წმიდა სინოდის წევრები აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. საოცარი ვითარება იყო. წარმართულ–გახალხურებული დღესასწაული თავის ნამდვილ სახეს იბრუნებდა. ასე მოხდა თელეთში, მცხეთაში, ლომისაზე. ეს იყო ქართველი ხალხის ქრისტიანული რწმენისკენ შემობრუნების რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესის დასაწყისი. ოფიციალური ხელისუფლების მცდელობა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საზოგადოებისაგან იზოლირებული დარჩენილიყო, სრული კრახით დამთავრდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობას. კომუნისტურ–კომკავშირული პროპაგანდით სულშეხუთულმა ახალგაზრდებმა სულის სიმშვიდე, სამშობლოს ინტერესების დაცვის, წინაპართა ტრადიციების პატივისცემის ძალა ეკლესიაში იპოვეს.

1978 წლის 6 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვიდან თბილისში ბრუნდებოდა. მოსკოვის აეროპორტში ქართულად ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვამ პატრიარქი მოაბრუნა. „უწმიდესო,– მიმართა უცნობმა ახალგაზრდამ, დაიჩოქა მის წინ და წერილი გადასცა,– სულ ორი თვე გავიდა თქვენი კურთხევიდან და სასახლეში გაუძელით დიდ გამოცდას. თქვენი ყოველი წირვა, ყოველი ქადაგება ჩვენს გულს მალამოდ ეცხება. სიონი ჩვენი სულისა და გონების წმიდა ტაძარია, აკადემიაა, რომელშიც ადამიანი არა მარტო გონების საზრდოს იღებს, არამედ – სულიერ საზრდოსაც. თქვენ ხართ ის სულიერი მოძღვარი, რომელმაც ბევრი გზასაცდენილი ადამიანი მოაქციეთ; იმედი გქონდეთ, ქართველი ახალგაზრდები მუდამ მხარში ამოგიდგებიან.“[33] ეს გულახდილი წერილი-აღსარება ადასტურებდა უწმიდესისა და უნეტარესის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების სისწორეს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ათეისტურ ეპოქაში აღზრდილ ადამიანებს იგი მინიშნებით ასწავლიდა სასულიერო პირებთან ურთიერთობის ნიუანსებს. უწმიდესი და

უნეტარესი ილია II დაესწრო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლ „შთამომავლობას“. სპექტაკლში შთამბეჭდავი სახე შექმნა დიდმა ქართველმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ. სპექტაკლის დასასრულს მისმა უწმიდესობამ დალოცა მსახიობები. აღფრთოვანებულმა ვერიკო ანჯაფარიძემ ასე მიმართა მის უწმიდესობას:

– არც კი ვიცი, როგორ უნდა მოგმართოთ. ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი გახდით ჩემი დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ. (შვილის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქმა დიდ მსახიობს ურჩია, დიდი რწმენა გადაგალახვინებს დიდ მწუხარებასო).

უწმიდესმა დალოცა სუხიშვილების ანსამბლი, ანსამბლი „რუსთავი“–

უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების, ქვეყანაში მოსახლეობის რელიგიურობის გაზრდის ფონზე ოფიციალური სახელისუფლებო სტრუქტურები ფიქრობდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ანტირელიგიური მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზნით რეკომენდაციების შემუშავება დაევალა საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა საგანგებო ჯგუფებს, რომელთაც 1979–1984 წლებში შეკრებები გამართეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. გამომსვლელთა უმრავლესობა ცდილობდა, ოპონირება გაეწია საქართველოს ისტორიის საღვთისმეტყველო კონცეფციისათვის, დაეგმო ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ეკლესიისაკენ ლტოლვა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო კომკავშირული შტაბები, რომელნიც საეკლესიო დღესასწაულების დროს ეკლესიებში მოსულ ახალგაზრდებს გამოავლენდნენ და ფართო „ახსნა–განმარტებით სამუშაოებს“ ჩაატარებდნენ. ხელისუფლების მითითებით, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანებს სამსახურიდან გაუშვებით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს – სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ. ოფიციალურ ხელისუფლებას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე ზემოქმედებისათვის შექმნილი ჰქონდა საგანგებო სახელმწიფო სტრუქტურა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის სახით, რომელიც 1943 წელს, ხოლო მისი ფილიალი - საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა – 1947 წლის 22 აგვისტოს დაფუძნდა მთავრობის დადგენილების საფუძველზე. რწმუნებულთა აპარატს ევალებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობის კოორდინაცია, სასულიერო პირთა აღრიცხვა, მოქმედი ეკლესიების რეგისტრაცია, საბჭოთა კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ უფლებათა დაცვა. რწმუნებულთა სამოქალაქო სამსახურის უკან საბჭოთა კავშირის უშიშროების განყოფილება იდგა, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა ეკლესიის საქმიანობას.

1947 წლიდან 1990 წლამდე საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულები იყვნენ: კ. ქადაგიშვილი, მ. ბუჯიაშვილი, მ. მექვაბიშვილი, დ. ენუქიძე, დ. შალუტაშვილი, თ. ონოფრიშვილი, გ. მაისურაძე, ა. წიკლაური... 1976–1978 წლებში საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებული იყო თენგიზ ონოფრიშვილი. ამ დროს საქართველოში ძალაში იყო 1977 წლის 16 მარტს დამტკიცებული დებულება „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“. დებულების თანახმად, ახალი ეკლესიის გახსნა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა რელიგიური საზოგადოების 20 წევრი. თუ სასულიერო პირს არ ჰქონდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა, მას ეკრძალებოდა მღვდელმსახურება.

რწმუნებულთა აპარატი ცდილობდა, სრულად ეკონტროლებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა, დიდი საშემოსავლო გადასახადები დაეწესებინა სასულიერო პირებისათვის, გაევრცელებინა მათთვის არასასურველ სასულიერო პირებზე შეურაცხმყოფელი ჭორები, რათა საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შექმნოდა მათზე. რწმუნებულმა თენგიზ ონოფრიშვილმა ვერ მოახერხა ხელისუფლების მოთხოვნების წარმატებით შესრულება, ამიტომ იგი გაათავისუფლეს და ეს მისია გ. მაისურაძეს დააკისრეს. როგორც მისი ჩანაწერებიდან

ირკვევა, იგი 1980 წელს დასწრებია მცხეთის სასულიერო სემინარიაში მისაღებ გამოცდებს და გულისტკივილი გამოუთქვამს: „სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით, სემინარიაში მოსული კონტინგენტი ამჯერად გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. მათ შორის არიან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი"[34] უკეთესი იქნებოდა, თუ სემინარიაში გაუნათლებელი, საეჭვო წარსულის მქონე ადამიანები ჩაირიცხებოდნენ, რადგან მათ შანტაჟს ხელისუფლება უფრო ადვილად შეძლებდა.

რწმუნებულის დავალებით, მცხეთის მუზეუმ–ნაკრძალის დირექტორმა 1982 წლის იანვარში შეიმღვიმის მონასტერში ჩაკეტა მონასტრის წინამძღვარი მამა იოაკიმე ასათიანი. მოვუსმინოთ მამა იოაკიმეს: „მიმდინარე წლის 6 იანვარი იყო, შობის წინა დღე. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ლოცვა–კურთხევითა და ბრძანებით, შეიმღვიმის მონასტრისაკენ გავემგზავრე სალოცავად (ამ დროს მონასტერი მე–18 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალი იყო ს.ვ.). დღის 15 საათზე მონასტრის გალავანს მივადექი. როდესაც მონასტერში შევედი, კარი მოჯახუნდა. გარედან ვიღაცამ ბოქლომი დაადო. ყვიროდნენ და უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. ასე გავატარე მთელი ღამე. გათენდა. ჩემი საყვარელი ეკლესია საპყრობილის მაგიერობას მიწევდა, მციოდა, მწყუროდა, მშიოდა და მიჭირდა გაძლება. პირველის ნახევარზე რაღაც ხმები შემომესმა, ავტეხე ყვირილი, შველას ვითხოვდი. კართან მოვიდა ვიღაც სამხედრო, როგორც თვითონ მითხრა, ავიაციის მაიორი, რომელიც ცოლ–შვილთან ერთად ამოსულიყო მონასტერში. შველა ვთხოვე. კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა და მკითხა, თუ რით შეეძლო ჩემი დახმარება. შეეველდრე, თბილისში ჩასულიყო და საპატრიარქოში ეამბნა ყველაფერი. ოფიცერი საკუთარი მანქანით წავიდა. ამასობაში კიდევ ერთი დამთვალიერებელი – დემურ ბობოხიძე – მოვიდა. მასაც ვთხოვე, ჩასულიყო მცხეთაში და ენახა სვეტიცხოველის მოძღვრები. მალე საპატრიარქოდან მოვიდნენ... მცხეთაში დ. ბობოხიძე მუზეუმ–ნაკრძალის დირექტორთან გაუგზავნიათ, რომელსაც შეიმღვიმის ყარაულებისათვის მოკლე, მაგრამ ბეერისმთქმელი წერილი მიუწერია: „აწი კმარა და გაუშვითო"[35]

რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ცდილობდნენ, უხეშად ჩარეულიყვნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. 1986 წლის 21 ნოემბერს რელიგიის საქმეთა რწმუნებული ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის უწმიდესსა და უნეტარეს ილია II–ს: „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევთ თქვენი ყურადღება მივაპყროთ რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე, რომლებიც საკმაოდ მოხშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა მხრივ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რწმუნებულთა აპარატს საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ აღნიშნულ დარღვევათა უახლოეს ვადებში აღმოსაფხვრელად გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებანი:

1. აეკრძალოთ ეკლესიათა მღვდელმსახურებსა და საპატრიარქოს თანამ–შრომლებს, უშუალოდ მიმართონ რესპუბლიკისა თუ საკავშირო ინსტანციებს და აწარმოონ მათთან მიმოწერა რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით;

2. შეიზღუდოს მღვდლების სხვადასხვა ეკლესიებში გადაყვან–გადმოყვანა, თუ ეს განსაკუთრებული აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული;

3. მკაცრად აეკრძალოს ყველა ღვთისმსახურსა თუ ეკლესიის წინამძღვარს რელიგიური საზოგადოების საფინანსო–სამეურნეო საქმეებში ჩართვა.

4. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ყველა მღვდელმთავარი და სხვა კულტის მსახურნი, რათა შეწყდეს არამოქმედ და არარეგისტრირებულ ეკლესიებში სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობა."[36]

რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დავალებით, ქუთაისელ–გაენათელ მიტროპოლიტ შიო ავალიშვილს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გელათის ფილიალის თანამშრომლები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ადმინისტრაციული წესით დახურულ ეკლესიაში 8 თებერვალს დავით IV აღმაშენებლის საფლავზე პარაკლისი

გადახდილიყო. ასე იყო ყველგან, მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი სურვილისა, რწმუნებულთა აპარატი ველარ ახერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვას. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ერთ–ერთ გულახდილ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მხოლოდ უკიდურესად რეაქციული ეკლესიის მსახურნი, უცხოელ ანტისაბჭოელებთან ერთად, მოითხოვენ, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ გაერთიანებებსა და მათ წევრებს უფლება მიეცეთ იმოქმედონ ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ“.[37]

ასე აზროვნებდნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთა აპარატში.

1980–იანი წლებიდან უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ოფიციალური ხელისუფლებისაგან დაჟინებით მოითხოვდა სასულიერო აკადემიის გახსნის ნებართვას. როგორც მისი უწმიდესობა აღნიშნავს, ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა,ბატონმა ანზორ წიკლაურმა.

XX საუკუნის 80–იანი წლების მეორე ნახევრიდან, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, არაერთხელ დაისვა საკითხი რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის გაუქმების შესახებ. 1990 წლის 22 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭომ ასეთი დადგენილება გამოსცა: „გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ყველა თავისი ფუნქციით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“.[38]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II საოცარი მიმტევებლობით და არაჩვეულებრივი მადლიერების გრძნობით ყოველთვის მაგალითს აძლევს ერს. 1995 წელს მცხეთაში, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში,საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებული კრებაზე, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ეკლესიის შეზღუდვისა და დაჩაგრისათვის იყო შექმნილი, მაგრამ „არ შემიძლია არ გავიხსენო, — ბრძანა უწმიდესმა, — რელიგიის საქმეთა ორი რწმუნებული: თენგიზ ონოფრიშვილი და ანზორ წიკლაური. თენგიზ ონოფრიშვილი მღედლის შვილიშვილი იყო, რომლის სურათიც მან ერთხელ საიდუმლოდ მაჩვენა. ანზორ წიკლაურს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნაში. ერთიცა და მეორეც ისტორიკოსები იყვნენ და კარგად ესმოდათ ეკლესიის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში“.[39]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და არამართლმადიდებლურ კონფესიებთან. ავტოკეფალიური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და პირველი საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად კირიონ II–ის არჩევის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა შეჰქმნოდათ, რა მოხდა საქართველოში, და არ აღმოჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გაერცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. პირველ ყოვლისა, იყო სურვილი რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ახლადარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მაღალიერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისაკენ მოუწოდა. ამიტომ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ევქარისტული კავშირი არ არსებობდა.

1943 წლის 31 ოქტომბერს, დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, 1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოველის დამოუკიდებლობის აქტის კანონიერება და რუსი მრევლისადმი მიმართვაში დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის აღდგენა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტს ხელს აწერდნენ პატრიარქი სერგი და სინოდის მუდმივი წევრები, მიტროპოლიტები: ალექსი, ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსები: ანდრეი, ალექსი, იოანე.

1946 წელს საქართველოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამობრძანდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I. 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. 1945–1948 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951–1970 წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქნი: მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა დამყარდა.

1977 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი ამ სიტყვებით მიესალმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსავსე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე, მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულით ხარობს ამ უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულითა და ზეიმით. ეს სიხარული წმიდაა და ნათელი. ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ დაგედასტუროთ კეთილმორწმუნე ქართველ ერს და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის ეკლესიის სამწყსოს სიყვარული".[40]

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II პატრიარქ პიმენის ამ პოზიციას პატივისცემითა და რუსეთის ეკლესიისადმი სიყვარულით პასუხობდა. 1978 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო რუსეთში პატრიარქობის აღდგენიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. აქ იგი შეხვდა და მომავალი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე ესაუბრა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს, მიტროპოლიტებს – მელიტონსა და ბართოლომეოსს (ახლანდელ მსოფლიო პატრიარქს), იერუსალიმის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ გერმანეს, რუმინეთის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ თეოქსტიტეს (შემდგომში პატრიარქს), ბულგარეთის

პატრიარქ მაქსიმეს, ელადის ეკლესიის წარმომადგენელს – მიტროპოლიტ ვარნავას, კვიპროსის ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაურს – დოროთეს,პოლონეთის ეკლესიის მეთაურს – მიტროპოლიტ ვასილს, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს თეოდოსის, სომხური ეკლესიის მეთაურს – პატრიარქ–კათოლიკოს ვაზგენს I–ს. რუსეთის ეკლესიის მეთაურის, უწმიდეს პიმენისადმი მიმართულ მისალმებაში მან აღნიშნა: „რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია – ეს არის ქრისტეს ჯვრის მტკივნეულობის ათასწლოვანი გზა. ეს არის წმინდანთა დასები,ეს არის ქრისტიანული სიყვარული,ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის. ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა და ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის“.[41]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა რუსეთის პატრიარქებს – უწმიდეს ალექსი I-სა და უწმიდეს პიმენს. მან 1990 წელს პატრიარქ პიმენის დაკრძალვაზე ასე დაახასიათა იგი: „როდესაც ჩვენ უწმიდესი პატრიარქის – პიმენის ცხოვრებას შორიდან ვუყურებთ,ვხედავთ მხოლოდ მის სიდიადეს,გვახსენდება სადღესასწაულო ღვთისმსახურებანი, წირვა–ლოცვანი, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ მძიმე განსაცდელსა და დევნას, რომელიც მან გადაიტანა, ვერ ვხედავთ იმ თავგანწირულ მსახურებას,მის უძილო, ლოცვით გათენებულ ღამეებს,მის ცრემლებსა და ტანჯვას,იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მას თავისი მხრებით მიჰქონდა“.[42]

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახლადარჩეულ პატრიარქ ალექსი II–ს ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა.

XX საუნის 90–იან წლებში ბოლშევიკების მიერ მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია – საბჭოთა კავშირი – დაიშალა. ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის – საქართველოსათვის, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწა–წყალზე,აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა ფაქტობრივად ამ ტერიტორიების ანექსია მოახდინა, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ჯიუტად უმტკიცებს, რომ იგი რეგიონში იცავს მშვიდობასა და სტაბილურობას. ეს ხდება იმ ფონზე,როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 ათასზე მეტი ადამიანი კი დახოცეს საკუთარ მიწა–წყალზე. დახვრიტეს მამა ანდრია, დაარბიეს ეკლესიები.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის ბუნდოვან განცხადებებში თითქოს გმობდა ძალადობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. რუსეთის პატრიარქმა ალექსი II–მ თბილისში ყოფნისას თავი აარიდა ამ პრობლემებზე მსჯელობას. ცხუმ–აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან სეპარატისტების მიერ გამოძევებულია ქართველი სამღვდელოება და ამ დროს რუსეთის ეკლესია, საქართველოს საპატრიარქოს გვერდის ავლით, ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირების დამკვიდრებას და ამას ამართლებს მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებით. ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმერომ,როგორც რუსეთის სახელმწიფო, ასევე ეკლესია, საჯაროდ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იქცევიან. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცხინვალის სეპარატისტული უკანონო შეიარაღებული ფორმირების აღლუმზე მონაწილეობს რუსეთის ვლადიკავკაზის ეპარქიის წინამძღოლი?

რუსეთის „პატრიოტ მეცნიერთა“ წრეებში გაჩნდა მოსაზრებანი ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მკაცრად გმობს ყოველივე ამას. რუსეთის პატრიარქ ალექსი II–სადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს: „მე მივიღე საკმაოდ უცნაური და გაუგებარი წერილი და აუცილებლად მივიჩნიე, გამეცნო იგი თქვენთვის, მით უმეტეს, რომ იგი რუსეთისა და საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიების ურთიერთობებს ეხება.... უპირველეს ყოვლისა,გვაცნებს,

რატომ ერევიან მეცნიერები ორი ძმური ავტოკეფალიური ეკლესიის ურთიერთობაში? ვინ მისცა მათ ამის უფლებამოსილება? მე არ ვფიქრობ, რომ ეს თქვენგან მოიცათ. მტკიცება ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნებისა იმ მოტივით, რომ იგი რუსი ოსტატების, რუსი ხალხისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხარჯებით აშენდა, არასწორია. მე შემიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანო იმის თაობაზე, რომ ბევრი ქართული ტაძარი და შენობა მოსკოვში, პეტერბურგსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველი მეფეებისა და თავადების მიერ არის აშენებული; ჩვენ რომ დღეს ერთმანეთს მსგავსი პრეტენზიები წავუყენოთ, ეს არ შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხებისა და ეკლესიების მეგობრობას... გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოში არსებული ყველა რუსული სამწყსო და მონასტერი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას გადაეცა“.43 პატრიარქმა ასევე მკაცრად დაგმო ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის მიტროპოლიტ გედეონის მცდელობა „სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის სულიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ“ და დასძინა: „უპირველეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს უძველესი ტერიტორიაა, თავისი განცხადებით იგი მტრობას სთესს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს, არამედ ქართველებსა და რუსებს შორისაც“.44

სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიამ მკაფიო პასუხი ვერ გასცა, თუ რატომ ხდება ყოველივე ეს, ვერც 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II–ს და სთხოვა, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი აფხაზეთში დატრიალებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, და ვერც შემდგომ.

რუსეთ–საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული არ ყოფილა არც ამოუცნობნიშნებიანი თვითმფრინავებით საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების პერმანენტული ბომბვა, არც ეკონომიკური ბლოკადა და არც ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, ბევრად უფრო მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო 2006 წლის შემოდგომაზე ქართველთა დამამცირებელი დეპორტაცია რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან და მათი დევნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა საშიშ ზღვარს გასცდა. ამ ვითარებაში რუსეთის საპატრიარქოს მიერ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II–ის მიწვევა მოსკოვში მართლმადიდებელი ენციკლოპედიის მე–13 ტომის პრეზენტაციაზე დასასწრებად, სცილდებოდა ენციკლოპედიის პრეზენტაციის ფარგლებს. ვიზიტი 2007 წლის 1–5 მარტს შედგა. მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაცია, რომელსაც პატრიარქი ხელმძღვანელობდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, როგორი შედეგები ექნებოდა ამ ვიზიტს. ყველა ღელავდა, მშვიდად მხოლოდ მისი უწმიდესობა იყო. მან პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაზე მკაფიოდ განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა... ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივუხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: დილით, ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს... რუსეთს უნდა სჭირდებოდეს ერთიანი, მეგობრული საქართველო.“45

2008 წლის აგვისტოში რუსეთ–საქართველოს ომის შემდეგ, დეკემბერში გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი ალექსი II. ილია II–მ მიიღო გადაწყვეტილება

მოსკოვში გამგზავრების შესახებ, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო რუსეთის ეკლესიის მეთაურისათვის. პატრიარქმა აღნიშნა: „ჩვენ შესაძლებელია შეხვედრა გვქონდეს რუსეთის ხელისუფლებასთან. ჩვენი ვიზიტი აღემატება იმ მისიას, რისთვისაც რუსეთში მივდივართ. მე მათ მთელი ჩვენი ერის სახელით მინდა ვუთხრა, რომ ქართველი

ვერასოდეს შეურიგდება იმას, რომ აფხაზეთი და ცხინვალი იყოს საქართველოს გარეშე".

ილია II მოსკოვში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს. ძნელი და რთული იყო ეს შეხვედრა, სასაუბრო თემები, მაგრამ აუცილებელი. 2009 წლის სექტემბერში რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა ე. წ. აფხაზეთის ეპარქიის თხოვნაზე მიეღო ის რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში, ოფიციალურად უარით უპასუხა და განმარტა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე აღიარებს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ უფლებას. რუსეთის ეკლესიის ასეთი პოზიცია განპირობებულია საქართველოს პატრიარქის პიროვნული ავტორიტეტითა და მოქნილი, შორსმჭვრეტელური დიპლომატიის წყალობით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიის ახლადაღრჩეული პატრიარქის კირილის შეხვედრა 2009 წლის ნოემბერში პირველად ბაქოში შედგა. რუსეთის საპატრიარქომ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა: „ორი პატრიარქი, როგორც ძველი მეგობარი, ისე შეხვდა ერთმანეთს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ორ ეკლესიას შორის არსებული მეგობრობა, ურთიერთგაგება იმის საწინდარია, რომ დროთა განმავლობაში ჩვენს ერებს და სახელმწიფოებს შორის კვლავ აღსდგება ურთიერთობები".

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მისი მეთაური ქვეყნის ტერიტორიული და ეკლესიური მთლიანობისათვის ბრძოლაში შეუვალნი არიან. ამის დასტურია 2010 წლის 21 დეკემბრის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, როდესაც აფხაზეთში ვერ ხერხდება საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის განხორციელება და ე. წ. აფხაზეთის ეკლესია რუსეთის და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს მიმართავს დამოუკიდებელ ეკლესიად აღიარების თხოვნით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შეითავსა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ამიერიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის სრული ტიტულატურა ასეთია: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ევრცერთი მართლმადიდებელი ეკლესია ვერ უგულებელყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებას. რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, თუმცა არც სეპარატისტების ლიდერების ოფიციალურ მიღებებზე ამბობს უარს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის საპატრიარქო დიდ ანგარიშს უწევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ავტორიტეტს და ბოლომდე მაინც ვერ ახერხებს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ მთლიანობაზე უარის თქმას.

2013წლის 21 იანვარს მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის ტაძრის საკონფერენციო დარბაზში უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს გადაეცა საერთაშორისო ფონდის პრემია. პატრიარქმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია რუსეთ-საქართველოს რთულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. „მე ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება ნორმალური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზეიმებს სამართლიანობა და საქართველოს დაუბრუნდება მისი ძირძველი ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რაც იქნება კავკასიაში რთული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობა... ადრე თუ გვიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია ყველასათვის". იგივე გაიმეორა პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მომავალზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ისაუბრა 2013 წლის 23-29 იელისს

რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, რომლებიც გაიმართა მოსკოვში, კიევსა და მინსკში რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესთან, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებთან შეხვედრების დროს. როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა: „ჩვენ გვქონდა შეხვედრები რუსეთის პატრიარქთან და რუსეთის პრეზიდენტთან. მთავარია, დაიძრას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილების მშობლიურ კუთხეებში დაბრუნების საკითხი. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ თავის ოჯახებში, თავის სახლებში. ასე რომ, ღვთის იმედით ვართ ეფიქრობთ, რომ ყოველივე კარგად წარიმართება".[46]

სამწუხაროდ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მხოლოდ დაპირების რეჟიმში მუშაობს და პრაქტიკულად განაგრძობს საქართველოს ტერიტორიების ერთი ნაწილის ოკუპაციას. თუმცა ვერავითარი ხელოვნური გამყოფი ხაზი ვერ შეცვლის ისტორიას. საქართველო ადრე თუ გვიან მაინც დაიბრუნებს თავის ისტორიულ ტერიტორიებს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, მაგრამ, როგორც აზვირთებულ ოკეანეში გემის ბრძენ წინამძღოლს შეუძლია მისი სამშვიდობოზე გაყვანა, მის უწმიდესობას შესწევს ძალა ურთულეს დიპლომატიურ ლაბირინთებში მშვიდად გაიაროს და თავისი ქვეყნისა და დედა ეკლესიის ინტერესები დაიცვას უდიდესი ტაქტითა და ღირსებით.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1917–1918 წლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენას. 1811 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერატორმა – ალექსანდრე I– მა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან გაწყდა მრავალსაუკუნოვანი კავშირი. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მსოფლიო პატრიარქ ბასილ III–ს წერილში მოკლედ მოუთხრობდა 1811–1917 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას და აცხადებდა: „გულისხმაყოფ ბრძანებასა მოციქულისასა თანახმად ერთობისა მას სულისასა საკეირველისასა... სიყვარულით მოგიკითხავ, უნეტარესო მამაო, და წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩვენს შორის". ღვაწლი ჩემდა იქნების დაცვაი დოდმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩვენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმიდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილი წარმატებისათვის ერისა ჩემის ზღუდედ ჩემდა იქმნების კანონი."[47] კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, რუსეთის ეკლესიის გავლენით, ერიდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობას XX საუკუნის 20–60–იან წლებში. ერთადერთი შემთხვევა უკავშირდება 1928 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ახალ სტილზე გადასვლის გამო მხარდაჭერა სთხოვა.

ბოლშევიკური მმართველობის ხანაში სხვა მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიებთან პირადი კონტაქტები გაძნელებული იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საბჭოთა კავშირის მიერ მტრულად შერაცხილი სამხედრო ორგანიზაციის, „ნატოს" წევრი ქვეყნის – თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოსთან თავისუფალ ურთიერთობას უკრძალავდა. დღეს ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო გამართლებული 1962 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის თანხმობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. ამ ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილ სამშვიდობო ფორუმზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისათვის მკაფიოდ განემარტათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული

ავტოკეფალიის მნიშვნელობა და მოეთხოვათ მათგან ამ ავტოკეფალიის აღიარება. 1964 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია მონაწილეობდა კუნძულ როდოსზე გამართულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმში, რომელზეც საქართველოს ეკლესია ყველაზე ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა მეუფე ილიას მწვავე რეაქცია. მან განუმარტა დამსწრეთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია და მოითხოვს შესაბამის პატივისცემას. როდოსიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ილიამ ვრცელ მოხსენებით ბარათში უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს აუხსნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ირგვლივ შექმნილი ვითარება. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მას დაავალა, ემუშავა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის,მეცნიერებთან თანამშრომლობით მოეძია ავტოკეფალიის ისტორიული მტკიცებულებანი. დაიწყო ამ მიმართულებით დაძაბული მუშაობა. 1970 წლის 2 მარტს უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს სამუშაო დღიურში ჩაუწერია: „კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი ჩვენს ეკლესიასთან არ არის კეთილად განწყობილი, ცნობილმა ვიღაცამ (?) ყურში ბოროტად ჩაუჩურჩულა, ჩვენს პატრიარქობას არ სცნობს... ჩვენ ჩვენს გზას ვაგრძელებთ.“[448]

მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები გაგრძელდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა–კურთხევით. 1978 წლის 1–4 ივნისს, პატრიარქის მოწვევით, თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია,რომელსაც ხელმძღვა-ნელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართოლომეოსი (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი) და შვედეთის მიტროპოლიტი პავლე. საქართველოს საპატრიარქო-ში გაიმართა პირველი სერიოზული მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. 1978 წლის 16 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვედრა მოუწყო ქართველ მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი,რ. სირაძე,ა. ბოგველაძე,დ. გოგოლაძე,თ. ბერაძე,ი. ლოლაშვილი,ბ. ლომინაძე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ მეცნიერებს სთხოვა, ინტენსიურად ემუშავათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე. მანვე აღნიშნა, რომ მოსაგვარებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. საჭირო იყო, მყარი ისტორიული მტკიცებულებების მქონე საბუთებით დაემტკიცებინათ ბერძნული საპატრიარქოებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური V საუკუნიდან კათოლიკოსის, ხოლო XI საუკუნიდან – კათოლიკოს–პატრიარქის ტიტულს ატარებდა. მეცნიერებმა აღუთქვეს საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს,რომ ყველაფერს გააკეთებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დასაცავად. მართლაც, უმოკლეს დრო-ში შეიქმნა ნ. ლომოურის,ბ. ლომინაძის, დ. გოგოლაძის,ა. ბენდიანი-შვილის ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

1979 წლის 2–8 მაისს უწმიდესი და უნეტარესი,სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის – უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. „თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინოპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი,– განაცხადა მისმა უწმიდესობამ,– ბედნიერი ვარ,რომ წილად მხვდა და ღვთის ლოცვა–კურთხევით ჩამოვედი ამ ქალაქში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა

და მოღვაწეობისა. ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო საპატრიარქოს,ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალიურ ეკლესიებს."[49] საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს, გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შეხვედრაზე განაცხადა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გეიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V საუკუნიდან... საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი VI ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს... არ ვითხოვ ახალი რამის მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი ჩვენი მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, 1811 წელს დავკარგეთ."[50]

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელით გამოსულმა ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრებოდა დასაბუთებული ისტორიული მასალების გაცნობის საფუძველზე.

დაძაბული მოლაპარაკებები 11 წელი გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიისა და დიპტიხის საკითხებში არაეითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. 1982 წლის 3 ივლისს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადავოდ მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში."[51]

საქართველოს საპატრიარქომ გააპროტესტა ის ფაქტი,რომ 1981 წელს საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიების მიერ შედგენილ კალენდარში საქართველოს ეკლესია არ იყო მოხსენიებული ისტორიულად მის კუთვნილ მე-6 ადგილზე. მის უწმიდესობას მოუბოდიშეს, რომ იძულებული იყვნენ დაეცვათ მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიური ეკლესიებისათვის განკუთვნილი რიგი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს დაუგზავნა დასაბუთებული, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წერილები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიასა და დიპტიხში მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მისი კუთვნილი მე–6 ადგილის კანონიერებას ამტკიცებდა. პატრიარქმა ილია II-მ მოძმე ეკლესიებისგან წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა. მისი უწმიდესობის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29. IX), პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ VI (1982 წ. 1.IX). მრავალმხრივ საგულისხმო იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის პასუხი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილი,რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია... დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამებრივმა, მაგრამ, ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი

შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში."[52] უწმიდესსა და უნეტარეს ილია II–ს წერილს დაუყოვნებლივ უპასუხა მსოფლიო პატრიარქმაც: „მივიღე და შესაფერისი ყურადღებით გაეცანით ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და წმიდა სინოდის ძმურ წერილს, რომელიც შეეხება წმიდა დიპტიხში თქვენი ეკლესიის ადგილს ისტორიული და კანონიერი მონაცემებით. გაცნობებთ, რომ იგი განსახილველად გადაეგზავნა სინოდის საბჭოს."[53]

1988 წლის აგვისტოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II–ის მოწვევით, თბილისში ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უწმიდესი დიმიტრიოსი, რომელმაც მოილოცა ქართული ეკლესია–მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი. მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია–მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის, სიმრავლემ. საქართველოს საპატრიარქოში წმიდა სინოდის წევრებთან და ქართველ მეცნიერებთან გაიმართა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში VI ადგილის დაკავების შესახებ. გადაწყდა, აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები.

1988–1989 წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიტროპოლიტები: ქრისტოსთომოსი და დამასკინოსი. უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა სიტყვას, რომელიც აღიარების ტექსტში უნდა შესულიყო. მოლაპარაკებები იყო რთული, მაგრამ კონსტრუქციული. 1990 წლის 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს), სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ, მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ.

1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით მიიღო ორი სიგელი:

„1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი", რომლის თანახმადაც მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება „ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა".

2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის – დიმიტრიოსის – განჩინებით, საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნა საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში. პატრიარქის ტიტულია: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა–თბილისისა და კათოლიკოს–პატრიარქი სრულიად საქართველოსი."[54]

მისმა უწმიდესობამ გულითადი მადლობა მოახსენა მსოფლიო საპატრიარქოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ დიპტიხის საკითხიც ასევე სამართლიანად გადაწყდებოდა.

საქართველო მოუთმენლად ელოდა მისი უწმიდესობის სამშობლოში დაბრუნებას. ერთი წელი სრულდებოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის სისხლიანი დღეებიდან, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა მკაფიოდ აყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. როგორც 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინ უსწრებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ისე მოხდა 73 წლის შემდეგაც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობის სიგელებით ხელდამშვენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაბრუნდა სამშობლოში. თბილისის აეროპორტიდან

საპატრიარქო რეზიდენციამდე ბედნიერებისაგან აცრემლებული, ერთ მუშტად შეკრული ქართველობა აცილებდა თავის ღირსეულ სულიერ წინამძღოლს. 18 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიულოცა ქართველ ერს ისტორიული დღე და აღნიშნა: „ამჯერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელთაც საქართველო 1500 წლის მანძილზე ელოდა... ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდროს, ღვთის წყალობით და ღვთის ლოცვა-კურთხევით, ვერავინ ვეღარ შეახებს ხელს საქართველოს ეკლესიას."[55] სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მის უწმიდესობას, მარტო ეს ეყოფოდა ისტორიაში შესასვლელად.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1991 წლის 29 აპრილს თურქეთის ხელისუფლებამ სტამბოლის მერის მოადგილის მეშვეობით გამოიძახა მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და მოუწყო დაკითხვა. თურქეთის ხელისუფლება XV საუკუნიდან არ სცნობს მსოფლიო საპატრიარქოს და კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს ადგილობრივი ბერძნული თემის ეკლესიის მეთაურებს უწოდებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთის პრეზიდენტ თურგუტ ოზალისადმი გაგზავნილ წერილში ხმა აღიმაღლა მსოფლიო საპატრიარქოს პატივისა და ღირსების დასაცავად, დაგმო მსოფლიო პატრიარქის დაკითხვის ფაქტი და გამოთქვა რწმენა, რომ მსგავსი ინციდენტი არ განმეორდებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა გაამხნევა მსოფლიო პატრიარქი. „საქართველოს საპატრიარქო მუდამ თქვენთან იქნება", – განუცხადა მას უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც დემოკრატიული მსოფლიოს რელიგიურ კონფენსიათა ლიდერები თურქეთის ხელისუფლების განაწყენებას მოერიდნენ და შექმნილ ვითარებაში დუმილი ამჯობინეს. თავის მხრივ, მსოფლიო საპატრიარქომ მკაცრად დაგმო რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მოუწოდა რუსეთის საპატრიარქოს, თავი შეიკავოს რელიგიური სეპარატიზმის მხარდაჭერისგან.

1994 წლის მაისში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I პატრიარქის რანგში პირველად ეწვია საქართველოს. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას. 2003 წლის 19–24 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I კვლავ სტუმრობდა საქართველოს. მან იმოგზაურა ქუთაისი–გაენათის, ხონის, ბათუმისა და სხალთის ეპარქიებში. მოილოცა ქართული სიწმიდეები. სამების საკათედრო ტაძრის დათვალიერების შემდეგ უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა განაცხადა: „ეს ტაძარი იქნება დიდი წარმატება თქვენი კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელსაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს იქნება გვირგვინი მისი მოღვაწეობისა."[56] პატრიარქმა ბართოლომეოსმა აღნიშნა, რომ „რაც უფრო მეტი პრობლემების წინაშე დგას საქართველო, მით უფრო მეტად იზრდება ხალხის რწმენა და მათი მხურვალე დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი პრობლემებთან შესაბრძოლებლად ძალას იღებს შემოქმედი ღმერთისგან."[57]

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ ჩავიდა კონსტანტინეპოლ'ში, ეწვია ისტორიულ კაბადოკიას, მოილოცა ისტორიული საქართველოს – ტაო–კლარჯეთის – ეკლესია–მონასტრები, გაამხნევა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველობა.

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით, უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ ჩავიდა კონსტანტინეპოლ'ში, ეწვია ისტორიულ კაბადოკიას, მოილოცა ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის – ეკლესია-მონასტრები, გაამხნევა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. 2011 წლის სექტემბერში თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა გააკეთა განცხადება თურქეთში სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციისათვის საკუთრების დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა ილია II

წლის 26 სექტემბერს საგანგებო წერილით მიმართა თურქეთის პრემიერ-მინისტრს: „თქვენო აღმატებულებავ, მოგესალმებით ღრმა პატივისცემით და მოგმართავთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ერთი საკითხის გამო. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) ანექსიის შემდეგ საქართველოს არ ჰქონდა საშუალება თავისი სუვერენული უფლებებისა და ეროვნული ინტერესების დაცვისა. ამ პერიოდში სასტიკად იდევნებოდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, დაპატიმრებული იყო მისი მმართველი კათოლიკოს-პატრიარქი და ეპისკოპოსები. ამიტომაცაა, რომ 1930 წელს, როდესაც საერთაშორისო შეთანხმებით და თურქეთის სახელმწიფოს კანონმდებლობით განისაზღვრა რამდენიმე დენომინაციის სტატუსი, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერ მოხვდა. ეკლესიაში რეპრესიები საბჭოთა კავშირის რეჟიმის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. იგი მოკლებული იყო საშუალებას, დაეცვა საკუთარი ინტერესები როგორც ქეყნის შიგნით, ისე, მითუმეტეს, მის ფარგლებს გარეთ. არადა საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არაერთი უძველესი ეკლესია-მონასტერია, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციაში. ამჟამად კი ტიტულოვანი ეპისკოპოსების დაქვემდებარებაში შედის. ეს ეკლესია-მონასტრები არ შეიძლება იყოს არც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, არც სომხური და არც რომელიმე სხვა ეკლესიისა, რადგან ყველა ნიშნით ეს არის ქართული კულტურის ძეგლები. გთხოვთ, უახლოეს პერიოდში განიხილოთ ჩვენი ეკლესიის სამართლიანი თხოვნა, თურქეთის ტერიტორიაზე იურიდიული სტატუსისა და ეკლესია-მონასტრების საკუთრების შესახებ. თქვენი განცხადებები და განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით გვაძლევს იმედს, რომ ჩვენი საკითხიც დადებითად გადაწყდება“.

პატრიარქი 2011 წლის ოქტომბერში სტუმრობდა თურქეთის რესპუბლიკას. ისტორიულ კონსტანტინოპოლში შეხვდა მსოფლიო პატრიარქს ბართლომეოს I-ს, მონაწილეობდა მისი ინტრონიზაციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებებში. ორი უძველესი ეკლესიის მეთაურმა იმსჯელა მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ. ილია II-მ გამოთქვა იმედი, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები დაუბრუნდება ისტორიულ პატრონს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მოხდება დაზიანებული ეკლესია-მონასტრების აღდგენა.

2013 წლის იანვარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 80 და პატრიარქად აღსაყდრებიდან 35 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ესტუმრა მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოსი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მსოფლიო საპატრიარქოს პატივისცემა და სიყვარული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ, თბილისის აეროპორტში ჟურნალისტებს მან განუცხადა: „თან ჩამოვიტანეთ ძმური ლოცვები და მოლოცვები კონსტანტინოპოლის ეკლესიისა და მსოფლიო საპატრიარქოსი, რომელსაც უძველესი დროიდან რწმენისა და სიყვარულის მდიდარი ურთიერთობა აკავშირებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. სიყვარული და თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს ეკლესიებს შორის არსებობს, არის ის ერთადერთი სტიმული, რომელიც ამ ჩვენი ვიზიტის მიზეზი გახდა“ – განაცხადა ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოს I-მა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას იქ შექმნილი რთული ვითარების გამო ხელმძღვანელობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია, საიდანაც გამოდევნილია 700 000-ზე მეტი ოჯახი. ქართველ სასულიერო პირებს აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის საშუალება არ აქვთ. სეპარატისტა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს არქიმანდრიტი დროთოი დბარი, მსოფლიო

საპატრიარქოს მიმართა ოფიციალური წერილით, რომელშიც არაობიექტურად იყო წარმოჩენილი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ისტორია, რომ თითქოს ცხუმ-აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად არსებობდა აფხაზთა საკათალიკოსო, რომელიც საქართველოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა. დროროთეი დბარი მოუწოდებდა მსოფლიო საპატრიარქოს ელიარებინა აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკლესია. მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მოლაპარაკების შემდეგ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ის აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას. ამ საკითხებზე მსჯელობა მსოფლიო საპატრიარქოსთან გაგრძელდა 2013 წლის მაისში სტამბულში, სადაც გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეხვედრა ყოვლადუწმიდეს ბართოლომეოს I-თან.

პატრიარქმა თბილისში დაბრუნებისთანავე ასეთი განცხადება გააკეთა: „ჩვენ ვიყავით მიწვეული კონსტანტინოპოლში. იქ შესრულდა ერთობლივი წირვა, გვქონდა შეხვედრა მსოფლიო პატრიარქთან ბართოლომეოს I-თან, განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები და ყველაფერში ერთსულოვნება გამოვლინდა. მადლობელი ვარ მსოფლიო პატრიარქის მხარდაჭერისათვის. მან რამდენჯერმე გაიმეორა, რომ კონსტანტინოპოლი ცნობს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აფხაზეთში“.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2014 წლის 5-9 მარტს მონაწილეობა მიიღო პანორთოდოქსულ შეკრებაზე, რომელიც გაიმართა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში. შეკრებაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. მართლმადიდებლური დიასპორა: სახელმწიფო საზღვრებს გარეთ არსებული მართლმადიდებლური იურისდიქციის განსაზღვრის საკითხი. 2. ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის აღიარების პროცედურები. 3. ეკლესიის ავტონომიის სტატუსის აღიარების პროცედურები. 4. დიპტიქი: მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკური ურთიერთაღიარების წესები. 5. დღესასწაულების აღნიშვნის საერთო საეკლესიო კალენდარი. 6. ქორწინების საიდუმლოს აღსრულების წესები და შეზღუდვები. 7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში. 8. კავშირი სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან. 9. ეკუმენური მოძრაობა. 10. მართლმადიდებელი ქრისტიანობის წვლილი მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების ქრისტიანული იდეალების დამყარების საქმეში. შეკრებაზე წარმოდგენილი იყვნენ კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, მოსკოვის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ათენის, პრაღის, ალბანეთის ეკლესიის მეთაურები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომავალი პანორთოდოქსული კრება გაიმართოს 2016 წელს.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ: „თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, მსოფლიო პატრიარქო ბართოლომეოს, უწმინდესნო და უნეტარესნო, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებსა და წარმომადგენლებს და აღვნიშნავ, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მან უნდა განიხილოს საკითხები, რომლებიც მომავალი დიდი კრების წარმატებით ჩატარების წინაპირობად უნდა იქცეს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის შიში, რომელიც არსებობს მრევლის დიდ ნაწილში ამ საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით და მაქსიმალური სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მის მომზადებას. თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოს, რომ მსოფლიო კრებების მოწვევა ხდებოდა მწვალებლობისაგან ეკლესიის დაცვის და ჭეშმარიტი სწავლების განმტკიცების მიზნით. ეს კრება კი სხვა სახისაა, მისი მოწვევის საფუძველი და მიზეზი სულ სხვა არის. დიდი კრების მიზანია, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენოს მართლმადიდებელთა ერთობა. ამიტომაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ეს შეკრება ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხზე კონსენსუსის მიღწევა და

ყველას ინტერესის გათვალისწინება. ამასთან, კონსენსუსის წესით უნდა წარიმართოს მთავარი შეხვედრაც. ეს არის რეალური გარანტია იმისა, რომ აღნიშნული კრება არ იქცეს ეკლესიათა შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად და დამაბრკოლებლად მსოფლიოს წინაშე.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა უკვე გაელილი და შეთანხმებული თემების ნაწილის ხელახლა განხილვაც, რათა, თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. ამასთან, ათიევ საკითხი, რაც შემუშავდა მოსამზადებელ შეხვედრებზე და რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1968 წელს ჟენევაში გამართულ სხდომაზე, მომავალი კრების დღის წესრიგში უნდა შევიდეს. მინდა აღვნიშნო უშუალოდ საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული თემების შესახებაც: ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება. მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც, ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია. მე არ შემიძლია თქვენ წინაშე არ დავაფიქსირო ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ორივე ეპარქიიდან 370000-ზე მეტი დევნილი და იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც დღეს ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე იმყოფებიან; პრობლემურია ადგილზე დარჩენილთა მდგომარეობაც.

და ბოლოს, აღვნიშნავ, რომ ოც წელზე მეტია ჩვენს ქვეყანაში რთული ვითარებაა, ძმათაშორის დაპირისპირების მძიმე შედეგები საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი, ამიტომაც მტკივნეულად განვიცდით დღეს სირიასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და ელოცულობთ, რომ მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყნებში. კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას და შევთხოვ უფალს, ჩვენი 6-9 მარტის თავყრილობა იმედის მომცემი და ნაყოფიერი იყოს“.

2016 წლის 17-26 ივნისს მსოფლიო საპატრიარქოს ინიციატივით დაგეგმილი იყო ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიდი კრება.

2016 წლის 10 ივნისს საგანგებოდ შეკრებილმა წმიდა სინოდმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაადგინა არ მიიღოს მონაწილეობა კრების მუშაობაში, ვინაიდან კრებაზე განსახილველი დოკუმენტები შეიცავს ეკლესიოლოგიურ და ტერმინოლოგიურ ცდომილებებს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოს ურთიერთობები 1917-1970-იან წლებში მხოლოდ საახალწლო, სააღდგომო და საშობაო მილოცვებით შემოიფარგლებოდა. ალექსანდრიის უძველეს ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დაახლოების პროცესი დაიწყო 1976 წლიდან, როდესაც ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI სოხუმში შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას. მიტროპოლიტმა ილიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრიის პატრიარქზე. 1981 წლის ივლისში ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ალექსანდრიის პატრიარქთან ერთად მოილოცა საქართველოს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. უწმიდესი ნიკოლოზ VI საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს დაჰპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში.

იმ დროს, როდესაც ქართველი სწავლულებისათვის საზღვარგარეთულ ქართულ

სამონასტრო ცენტრებში მუშაობა აუხდენელი ოცნება იყო,ალექსანდრიის პატრიარქმა განაცხადა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და კაიროს სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და მათ ფოტოპირებს გადაიღებენ“.

დარბაზობაზე უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ განაცხადა: „კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახე საშუალებას მაძლევს ვთქვა,რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში ბატონობს სიბრძნე, სიყვარული და ძლიერება. იგი ძალზე ენერგიულად უძღვება ეკლესიის საჭეს და ღვთის შვილები უფლის მიერ დაკანონებული გზით მიჰყავს“.

1984 წლის მაისში უწმიდესი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის საპატრიარქოს, დაათვალიერა ადგილობრივი სიწმიდენი, მოილოცა წმიდა ეკატერინეს მონასტერი სინას მთაზე, დაათვალიერა მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერი წიგნებიც არის დაცული. ილია II-მ მადლობა გადაუხადა ალექსანდრიის პატრიარქს და აღნიშნა: „ჩვენს ხალხებს დიდი ნიჭი მოჰმადლა უფალმა, ამიტომაც უფრო მბიმე იყო და არის ჯვარი ჩვენი ერებისა; თითქოს საქრისტიანოს საზღვრების დარაჯად დაადგინა უფალმა ისინი,ამიტომაც არიან უმეტესად გვემულნი და ჯვარცმულნი, მაგრამ, ღვთის შეწევნით, კვლავაც მკვდრეთით აღმდგარნი და ამაღლებულნი“.

ალექსანდრიის უძველეს საპატრიარქოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის გულითადი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI-მ განსაკუთრებით შეიყვარა საქართველო. 1981 წლიდან მოყოლებული იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში. საქართველოსაკენ მისი ასეთი ლტოლვა ახლობელთა გაოცებასაც იწვევდა. ილია II ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ხვდებოდა სასურველ სტუმარს. ნიკოლოზ VI-ის პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. 1984 წლის ზაფხულში ნიკოლოზ VI-მ ამ სიტყვებით მიმართა ქართველ მრევლს:

— მე ალბათ,მეტად ვეღარ შეგხვდებით,მაგრამ ლოცვებით მუდამ თქვენთან ვიქნები. ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. მისი საქმე განაგრძეს უნეტარესმა პართენიოსმა და პეტრე VII-მ.

2008 წლის 28 ივლისს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწვეით საქართველოში ჩამობრძანდა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი უნეტარესი თეოდორე II. ალექსანდრიის ეკლესიის მეთაურმა მოილოცა მცხეთა, შიო მღვიმე, სტეფანწმინდა, გერგეთის სამება. ალექსანდრიის ეკლესიის მეთაურთან შეხვედრის დროს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა: „საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ორ ეკლესიასა და საპატრიარქოს შორის იყო ძმობა და მეგობრობა. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ჩვენი გულთბილი ურთიერთობა, რომელიც დაიწყო მისი უნეტარესობის ნიკოლოზ VI-ის დროს და ტრადიციად იქცა მის შემდგომაც. ახლა ჩვენ წინაშე დევს ქვა, რომელიც დღეს აქ საგანგებოდ გამოვატანინე. ეს არის საჩუქარი ნიკოლოზ VI-ისა, რომელიც მაშინ მან მისახსოვრა, როცა ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი. მახსენდება ის ბედნიერი დღე,როცა გავიცანი მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI. იმჟამად იგი სოჭში ისვენებდა. მოულოდნელად დამირეკეს და მითხრეს,რომ უნეტარეს ნიკოლოზ VI-ს სურს სოხუმში ჩამოსვლა და თქვენი ტაძრების მოლოცვაო. მაშინვე დავუკავშირდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობასა და უნეტარესობას დავით V-ს, მაგრამ მან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სოხუმში ჩამოსვლა და მე დამაკისრა მისი უნეტარესობის ნიკოლოზ VI-ის დახვედრა და მასპინძლობა. ეს იყო საოცარი შეხვედრა. მთელი სოხუმი ხვდებოდა მის უნეტარესობას და მე ვხედავდი, რამდენად ახარებდა მას ასეთი გულთბილი დახვედრა. იგი ცრემლს ვერ იკავებდა. ჩაწერილი მაქვს და ინახება ჩვენს არქივში მასთან შეხვედრები, მისი

სიტყვები. უნეტარესი ნიკოლოზი იმდენად გახარებული იყო ჩვენი შეხვედრით, რომ გამოთქვა სურვილი, მასთან ერთად გავმგზავრებულიყავი სოჭში. ასე განაცხადა: იმ შემთხვევაში დავბრუნდები სოჭში, თუ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტიც ჩვენთან ერთად წამოვაო. და ჩვენც, მისი თხოვნით, სოჭში გავემგზავრეთ და იქ ვიმყოფებოდი მანამ, სანამ იგი სამშობლოში არ დაბრუნდა.

აი, ასე დაიწყო ჩვენი განსაკუთრებული მეგობრობა, მეგობრობა ალექსანდრიისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის. მახსენდება კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. უნეტარესი ნიკოლოზი ყაზბეგში მივიპატიჟე, მინდოდა მეჩვენებინა ჩემი მშობლიური მხარე. ჩავედით დარიალის ხეობაში, მივედით ქვეყნის საზღვარზე (ეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის სანაში იყო) და იქ ვთხოვე მას, დაელოცა საქართველოს საზღვრები. მან ჩემი თხოვნა შეასრულა და თქვა: ამ საზღვრებს ვერავინ დაარღვევს, იმიტომ რომ მრავალი წმინდა მოწამე ჰყავს საქართველოს ცათა შინა და ისინი იცავენ თქვენს ქვეყანასო. იმის შემდეგ თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა საქართველოში მისი უნეტარესობა ნიკოლოზი და ამბობდა, რომ ამგვარად იგი აგრძელებდა მოციქულებრივ სამსახურს. მე დღეს ვთხოვე მის უნეტარესობას, პაპსა და პატრიარქს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა – თეოდორეს, რომ მანაც გააგრძელოს თავისი მოციქულებრივი სამსახური და ხშირად გვესტუმროს ხოლმე საქართველოში. იმედი მაქვს, რომ მისი უნეტარესობა შეასრულებს ჩვენს თხოვნას".

საქართველოს პატრიარქის მიზანი იყო ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მთავარი მაინც პირველი ოთხი საპატრიარქო იყო: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის. საქართველოს სამოციქულო ეკლესია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებთან. V საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობდა პეტრე ქართველი, რომელმაც დააარსა ქართული მონასტერი. აქედან მოყოლებული XIX საუკუნემდე ქართველები მრავალად იყვნენ წმიდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში. ვახტანგ გორგასლის დროს უკვე აშენდა დიდი მონასტერი, რომელიც XI საუკუნის 30–50–იან წლებში განუახლებია ჯვრის მონასტრის სახელით გიორგი – პროხორე ქართველს. XIV საუკუნეში ქართველები გოლგოთას ფლობდნენ და მაცხოვრის საფლავის კლიტენი ქართველთა საკუთრება იყო. ისტორიულმა ქარტეხილებმა ქართველების პოზიციები შეასუსტა იერუსალიმში, განსაკუთრებით – XIX საუკუნეში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოველი მცდელობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენისა XX საუკუნის 20–60–იან წლებში უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ 1977 წლის შემდეგ დაიწყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან ინტენსიური მოლაპარაკებები. 1980 წლის 29 მაისიდან 5 ივნისამდე მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი იერუსალიმის პატრიარქის, ბენედიქტე I–ის მიწვევით იერუსალიმში იმყოფებოდა. მთელი მსოფლიო გააოცა იმ ფაქტმა, რომ ქართველ პატრიარქს აღტაცების შეძახილებითა და ცრემლებით შეხვდნენ ქართველი ებრაელები, რომლებიც გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას მისი უწმიდესობისა და, მისი სახით, სრულიად საქართველოს მიმართ. ისრაელის რელიგიის საქმეთა მინისტრმა უწმიდესთან შეხვედრაზე განაცხადა: – ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს ებრაელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით. საუკუნეთა მანძილზე ამ ურთიერთობებში არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა. მადლობა თქვენ ამისათვის.

ამ ოფიციალურ შეხვედრაზე პირველად დაისვა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი. იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტესთან შეხვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ განაცხადა: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, აღდგეს ის ძველი, ტრადიციული ურთიერთობანი, რაც გვქონდა ადრე. წარსულში ჩვენი ქვეყნების აებედითობამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო იერუსალიმის ეკლესიამ შეასრულოს ის დიდი მისია, რაც დედა ეკლესიას ეკუთვნის".[61]

300 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წმიდა ქალაქ იერუსალიმს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური ესტუმრა.

1981 წლის 17–20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მისი უნეტარესობა, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს შეხვედრა იყო ისტორიული იმიტომ, რომ პირველად დიდი ხნის შემდეგ ჩვენ, ორი ეკლესიის მამამთავრებს კვლავ მოგვეცა ერთობლივი თანამწირველობის შესაძლებლობა."[2] ქართველოლოგიისათვის დიდი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის დაპირებას,რომელიც მან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობისას აკადემიკოს ელენე მეტრეველს მისცა, რომ იგი ინსტიტუტს მიაწვდიდა ჯვრის მონასტერში დაცული იმ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს,რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის აღდგა ისტორიული ურთიერთობანი.

1987 წლის ოქტომბერში უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვლავ ესტუმრა წმიდა ქალაქ იერუსალიმს. ამ ვიზიტის დროს მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა ქართველი ერის ტოლერანტობისა და სხვა ერებისადმი სანიმუშო პატივისცემის ნაყოფი. ქართველი ებრაელები კვლავ დიდი სიყვარულით შეეგებნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს – დიდი ხნის წინ თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ონიდან, კულაშიდან წასული ებრაელები მოდიოდნენ შვილებით, შვილიშვილებით და აღტაცებულნი ოვაციებს უმართავდნენ უწმიდესსა და უნეტარესს. იერუსალიმის მთავარმა ჟურნალმა სტატიაში – „საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის პილიგრიმობა იერუსალიმში" – ასე დაახასიათა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი: „კათოლიკოს–პატრიარქი ილია II არის გულღია, დინამიური პიროვნება. მან საქართველოს უძველესი ეკლესია,თბილისი,როგორც საბჭოთა კავშირის ერთ–ერთი რესპუბლიკის ცენტრი, ძველი მცხეთა, როგორც სასულიერო დედაქალაქი, ახალი აყვავების გზით წაიყვანა. აღსრულდა პატრიარქის სურვილი, იერუსალიმში უკვე ქართველი ბერები და მონაზვნები არიან. ღვთის შეწევნით წმიდა მიწაზე ქართველებს აქვთ ადგილი, სადაც აშენდება მონასტერი. მართალია, ჯვრის მონასტერი ჯერჯერობით ისევ ბერძნების ხელშია, მაგრამ ღვთის შეწევნით დაუბრუნდება მის კანონიერ მფლობელს". 2000 წელს ქრისტეშობის დიდ დღესასწაულზე მისი უწმიდესობა მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად კვლავ ჩაბრძანდა იერუსალიმში.

2012 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა წმიდა მიწაზე. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს უნეტარეს თეოფილეს, მოილოცა მაცხოვრის საფლავი. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით თბილისის ფერისცვალების მონასტრის მონაზვნებმა მოამზადეს 5 მეტრი სიგრძის და 3,6 მეტრი სიგანის ოქრომკერდით ნაქარგი გადასაფარებელი,რომელზედაც გამოსახულია სიცოცხლის ხე ებრაელი ერის 12 შტოთი. შუაში გვირგვინს აქვს წარწერა დავითის ფსალმუნიდან: „უფალმა მწყსოს ერი თვისი, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით". ეს გადასაფარებელი მიართვეს წმიდა მეფე დავითის საფლავს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს, პალესტინის პრეზიდენტს მაჰმუდ აბასს, იორდანიის მეფეს, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს; უწმიდესმა და უნეტარესმა მოილოცა ქართველთა ჯვრის მონასტერი. პატრიარქი ჩავიდა მდინარე იორდანეში. 26 თებერვალს სამების საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ ილია II–მ შეაჯამა წმიდა მიწაზე ვიზიტის შედეგები და აღნიშნა: „წმიდა მიწაზე არის უდიდესი სიწმიდე, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ, ამასთან ერთად, ასევე არის დიდი ბრძოლებიც. კეთილი და ბოროტი განსაკუთრებით წმიდა მიწაზე იბრძვის. ჩვენ, გარდა ამისა, რომ მოვილოცეთ სიწმიდეები, ასევე გვქონდა რამდენიმე შეხვედრაც. უპირველეს ყოვლისა, ვიყავით მაცხოვრის ყოვლადწმიდა საფლავზე. ეს მომლოცველობა იყო ჩემი მეოთხედ ჩასვლა წმიდა მიწაზე და მინდა გითხრათ, რომ ვერც ერთი წინა მოგზაურობა ვერ შეედრება ამას. უფალი ძალიან ახლოს იყო

საქართველოსთან და მე ეს შევიგრძენი, მაგრამ ამასთან ერთად ასევე ვიგრძენი, რამდენად ულირსი ვართ ყველანი, მთელი საქართველო, პირადად მე და რამდენად დიდია მოწყალება უფლისა. ჩვენ სხვა არაფერი შეგვეძლო და შევთხოვეთ უფალს, რომ მუდამ ჩვენთან იყოს, როგორც ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი: „უფალო, შენი ვარ, მაცხოვნე მე! შენ იცი, უფალო, რა გზებით უნდა მატარო, რომ მაცხოვნო მე! ჩვენ საქართველოდან შესაწირად წავიღეთ გადასაფარებელი წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველის საფლავისათვის. ეს იყო რაღაც საოცარი ზეიმი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დავით მეფეც იღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში და დავით მეფემ შეიწირა ჩვენი ძღვენი, როგორც უდიდესი საჩუქარი. საოცრება იყო მდინარე იორდანეში ჩასვლა. უფალი იდგა ჩვენ შორის და ჩვენ შევედით და ვეზიარეთ ამ მადლსა და წყალობას. საოცარი იყო ასევე ჩვენი შესვლა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. „ქრისტე აღსდგა", – ვგალობდით ქართველები. ამის შემყურე იქ მყოფნი გაოცებული იყვნენ. ეს იყო შეერთება ცისა და ქვეყნისა! ჭეშმარიტად იქ გამთლიანდა ცა და ქვეყანა".

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანტიოქიის საპატრიარქოსთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV–V ს.ს.). ქართული სამწყსო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. ანტიოქიის პატრიარქებს შუა საუკუნეებში პრეტენზია ჰქონდათ ქართულ სამწყსოზე, მაგრამ XI საუკუნის 50–იან წლებში გიორგი მთაწმინდელის დასაბუთებული პასუხის შემდეგ, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქს შეახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, პრეტენზიები შეწყდა. XV–XIX საუკუნეებში, მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში, ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა საპატრიარქომ მოახერხა თავის გადარჩენა და აღმოსავლეთის (სირია, ლიბანი) ქრისტიანული ცენტრის ფუნქცია შეინარჩუნა. მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი, უნეტარესი ეგნატე IV 1981 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II–მ საპატიო სტუმარს დაათვალიერებინა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, შესრულდა ერთობლივი წირვა. საზეიმო მიღებაზე გამოითქვა რწმენა, რომ ურთიერთობა, რომელიც ამ ორ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

2012 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა უნეტარესი იგნატიოს IV, რომელიც 33 წლის მანძილზე სათავეში ედგა ანტიოქიის უძველეს ეკლესიას და ბევრი გააკეთა მართლმადიდებელი ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აღმოსავლეთში. 2013 წლის 10 თებერვალს დამასკოში შედგა ანტიოქიის ეკლესიის ახალი მეთაურის უნეტარესი იოანე X–ის ინტრონიზაცია. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ ახლადარჩეული პატრიარქისადმი გაგზავნილ მილოცვის წერილში გამოთქვა იმედი, რომ ჩვენს ეკლესიებს შორის გაგრძელდება ძმური თანამშრომლობა. „ანტიოქიის კათედრა ცნობილია მრავალი წმიდა პატრიარქით. დღეს თქვენ გებოძათ კვერთხი ანტიოქიის ეკლესიის მეთაურისა და ეს უძველესი ტახტი თავის ისტორიულ არსებობას ჩვენს მძიმე და მღელვარე დროში უკვე თქვენი მმართველობის ქვეშ განაგრძობს. ჩვენს ეკლესიას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ანტიოქიის წმიდა საყდრისადმი, რომელიც ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დედაეკლესია იყო, ამიტომაც გამორჩეულია ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულება... იმედი გვაქვს, რომ ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის თქვენი პატრიარქობის პერიოდში კიდევ უფრო გამტკიცდება, რასაც საქართველოს ეკლესია მიესალმება".

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ძმური ურთიერთობა აქვს კვიპროსის ეკლესიასთან. კვიპროსის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი იყო მთავარეპისკოპოსი

მაკარიოსი. კვიპროსის ტერიტორიაზე XI საუკუნიდან არსებობდა ღალიის ქართული მონასტერი, რომელიც აღადგინა დეკანოზმა ზაქარიამ (ფერაძე). 2014 წლის 17-22 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვიპროსში იმყოფებოდა ახალი იუსტინიანისა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსის უნეტარესი ქრიზოსტოროს II-ის მიწვევით. პატრიარქმა მოილოცა კვიპროსის სიწმინდენი და აღნიშნა: „უძველესი საუკუნეების მანძილზე საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა კვიპროსთან და მრავალი ქართული ტაძარი და მონასტერი იყო აქ". პატრიარქმა დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურყევი ნება კიდევ უფრო გააღრმავოს ურთიერთობა კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ, როგორც საეკლესიო პოლიტიკის უდიდესმა სპეციალისტმა, ყოველთვის კარგად იცოდა, რომ მართლმადიდებელ მსოფლიოში ექვსი ბერძნული საპატრიარქო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას გადამწყვეტ როლს ასრულებდა. გარდა ამისა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული სამონასტრო ცენტრების უმრავლესობა ამ ექვსი საპატრიარქოს ტერიტორიაზეა. ამიტომ ჩვენი ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას ათენისა და სრულიად ელადის, კვიპროსის ეკლესიებთან. ჯერ კიდევ ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტობის დროს, 1976 წლის 17–20 ივნისს, იგი იყო უშუალო მასპინძელი ათენისა და ელადის ეკლესიათა მრავალრიცხოვანი დელეგაციისა, რომელშიც 7 მიტროპოლიტი და 11 მღვდელი შედიოდა. მიტროპოლიტ ილიას ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „პირველად ერთგვარი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, იგრძნობოდა რაღაც დაძაბულობა და უნდობლობა ბერძნების მხრიდან, შემდეგ თითქოს გალღვა ყინული– მათ გამოთქვეს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა, მოითხოვეს სტუდენტების გაცვლა. საქართველოს ეკლესიამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს მომენტი. სტუდენტების გაგზავნით მივაღწევთ სამ მიზანს: 1. შევიძენთ ბერძნული ენის სპეციალისტებს; 2. ქართული ეკლესია მათი მეშვეობით უფრო დაუკავშირდება ბერძნულ ეკლესიას; 3. ამ სტუდენტების მეშვეობით ჩვენი ეკლესია და ქართველი მეცნიერები დაუკავშირდებიან ათონის ივერთა მონასტერს და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებს".[3]

უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევით ელადის ეკლესიასთან დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. 2002 წელს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა მის უწმიდესობას, წმიდა სინოდს, ქართველ მეცნიერებს, გამოხატა აღფრთოვანება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმაყლობის გამო და საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვა. მან აღნიშნა: ჩვენი დღევანდელი თანამშრომლობა არის უმაღლესი გამოხატულება მოძმე ეკლესიების საჭეთმპყრობელთა ერთიანობისა და წარმოადგენს ბეჭედს გააზრებული, ორმხრივი სიყვარულისა და ურთიერთრწმენისა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ძმური ურთიერთობა აქვს კვიპროსის ეკლესიასთან. კვიპროსის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი იყო მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი. კვიპროსის ტერიტორიაზე XI საუკუნიდან არსებობდა ღალიის ქართული მონასტერი, რომელიც აღადგინა დეკანოზმა ზაქარიამ (ფერაძე). 2014 წლის 17 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვიპროსში იმყოფებოდა ახალი იუსტინიანისა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსის უნეტარესი ქრიზოსტომოსის მიწვევით. პატრიარქმა მოილოცა კვიპროსის სიწმიდენი და აღნიშნა: „უძველესი საუკუნეების მანძილზე საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა კვიპროსთან და მრავალი ქართული ტაძარი და მონასტერი იყო აქ". პატრიარქმა დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურყევი ნება კიდევ უფრო გააღრმავოს ურთიერთობა კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ღვაწლითა და ლოცვა–კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სხვადასხვა დროს ესტუმრნენ ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, რუმინეთის პატრიარქი თეოქსტიტე, ჩეხოსლოვაკიის

ეკლესიის მეთაური დოროთეოსი, ვარშავისა და პოლონეთის მიტროპოლიტი ვასილი, სერბეთის პატრიარქი პაველ; ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები: ჯერ – თეოდოსი, შემდეგ – ჰერმანე. უწმიდესი და უნეტარესი ილიაც II სტუმრობდა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიებს,ხვდებოდა არა მარტო ეკლესიათა მეთაურებს, არამედ – ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებსაც. მისი უწმიდესობა თავის მისასალმებელ სიტყვას ყველგან საქართველოს ისტორიის,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უნიკალურობისა და თავისთავადობის რაობის ახსნით იწყებდა. გასული საუკუნის 70–90–იან წლებში მსოფლიომ ძალიან ცოტა რამ იცოდა საქართველოზე, ქართველ ხალხზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო ქართველი ერის ის სულიერი წინამძღოლი, რომელსაც მსოფლიოსათვის უნდა გაეცნო ყოველივე ეს. ამ შეხვედრებმა, პატრიარქის საოცარმა პიროვნულმა ხიბლმა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების თვალში კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. ამიტომ იყო,რომ 1990 წელს,როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, ყველამ მხარი დაუჭირა და საგანგებო მოლოცვები გამოუგზავნა საქართველოს პატრიარქს.

2013 წლის იანვარში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებები, რომელშიც მსოფლიო პატრიარქის ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოსის გარდა მონაწილეობდნენ: სერბეთის ეკლესიის მეთაური უწმიდესი ირინეოსი,ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე ვარნისა და ველიკი პრესლავის მიტროპოლიტი კირილე, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაური უნეტარესი ქრისტეფორე, უფრო ადრე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ალბანეთის ეკლესიის მეთაური უნეტარესი ანასტასიოსი.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად, ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობას, რომელიც ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები და კათოლიკოს–პატრიარქები ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა და კათოლიკოს–პატრიარქთა წერილები, გაგზავნილი რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ისარგებლა აღმოსავლეთის ქვეყნების მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით და „პროპაგანდა დე ფიდეს“ ორგანიზაციის მეშვეობით აღმოსავლეთის ქვეყნებში,მათ შორის – საქართველოშიც,კათოლიკობის მქადაგებლებად გამოგზავნა მისიონერები,რომელნიც ცდილობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ თუ მართლმადიდებლობას დატოვებდნენ და გადავიდოდნენ კათოლიკობაზე, რომის პაპი დაიცავდა მათ ირან–ოსმალეთის ძალმომრეობისაგან. XV საუკუნის 30–იან წლებში ქართველმა სასულიერო პირებმა ხელი არ მოაწერეს ფერარა–ფლორენციის კრების ოქმს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკურთან გაერთიანებას ითვალისწინებდა.

ბევრი უბედურება გადაიტანა საქართველომ XVI–XIX საუკუნეებში: მასობრივი ხოცვა–ულეტა,ეკლესია–მონასტრების რბევა,მაგრამ მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. XVI–XVIII საუკუნეებში ირან–ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა–წყალზე რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველთა მცირე ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა... XIX საუკუნეში სომხებმა, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში თავიანთი მომხრეების მეშვეობით,იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გამოაცემინეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი კათოლიკეები სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში უნდა გადასულიყვნენ, ე.ი. გასომხებულიყვნენ. ამ ვითარებაში ქართველი მართლმადიდებლები გამოესარჩლნენ

ისტორიული ძნელბედობის ჟამს სარწმუნოებაშეცვლილ თანამოძმეებს. ეს დავა გაგრძელდა XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ II-მ წერილი გაუგზავნა რომის პაპს. „განგებამან ღმრთისამან,– აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II,– არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი ჰრომთათჳის დიდისა, პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა, მათ მოწაფეთა ქრისტჱისათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს, მართალსა სარწმუნოებისაი არს სიყვარული და თჳისობაი ორთა ამათ ეკლესიისთაი.“[64] უწმიდესი კირიონ II ესარჩლებოდა ქართველ კათოლიკეებს, რომელნიც იდევნებოდნენ რუსულ–სომხური პოლიტიკის გამო საკუთარ სამშობლოში. „ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ–სარწმუნოებრივ ხასიათს“[65] – წერდა მისი უწმიდესობა. მართლმადიდებელი ქართველი პატრიარქი გამოესაჩრდა რა კათოლიკური აღმსარებლობის ქართველებს, რომის პაპს მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზა.

საქართველოსა და რომაულ–კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა ეპისტოლარულ ფორმას არ გასცილებია 1917–1977 წლებში. 1978 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ–აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) ესწრებოდა რომის პაპის პავლე II-ის დაკრძალვას, ხოლო 1980 წლის 5–6 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს. უწმიდესისა და უნეტარესის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით. საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში“. პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დაეუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები.“[66]

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, პაპის პირადი სამლოცველო, ვატიკანის ღირსშესანიშნაობანი. გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერები დაეშვათ ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა მის უწმიდესობას გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომელნიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: ჩვენი ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ყოველთვის გვქონდა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხია ის დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას.

გამართლდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მოსაზრება. პოლონური წარმოშობის ახალმა პაპმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური სისტემის რღვევის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კაეკასიაში რომაულ–კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი

დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსათვის,ისე – მთლიანად კავკასიისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პაველ II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“.[67]

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, 2003 წლის 15 სექტემბერს ვატიკანმა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გვერდის ავლით, მოინდომა ქართულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებული ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც 27 მუხლისგან შედგებოდა და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უფლებების გაფართოებისაკენ იყო მიმართული. საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური განცხადებით გააპროტესტა ეს ფაქტი და აღნიშნა,რომ ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება არც ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან არა აქვს გაფორმებული. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელშეკრულება აღარ გაეფორმებინა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პატივს სცემს იმ მცირერიცხოვან ქართველ თანამემამულეთა რელიგიურ გრძნობებს, რომელთა წინაპრებიც ისტორიული ძნელბედობის ჟამს კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ, მაგრამ არასოდეს დახუჭავს თვალს რომაულ–კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა აქტიური პროზელიტიზმის პოლიტიკაზე და მოთმინებით შეახსენებს თავის თანამემამულეებს, რომ ძნელბედობა იყო მათი წინაპრების კათოლიკობაზე გადასვლის მიზეზი. ერთიანი ქართული ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველი საქართველოში ყოველთვის იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეკლესია.

2016 წლის 30 სექტემბრიდან 2ოქტომბრამდე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რომის კათოლიკე ეკლესიის პაპი ფრანცისკე,რომელიც საპატრიარქოში ოფიციალურად შეხვდა უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს,იმყოფებოდა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში,გამგზავრების დროს პაპმა ასე შეაჯამა საქართველოში თავისი ვიზიტი „მე საქართველოში ორი სიურპრიზი დამხვდა,ერთი თავად საქართველო,მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს: ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, ადამიანი უდიდესი და ძალიან ღრმა რწმენით,ის არის ღვთისკაცი. მე შემძრაპატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას. დავტოვე გრძნობით,რომ მე ვიპოვე ნამდვილი ღვთისკაცი“.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა. ამ ურთიერთობებში ნეგატიურს პოზიტიური სჭარბობს. VII საუკუნის დასაწყისიდან ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა ევქარისტული კავშირის გაწყვეტა, ვინაიდან სომხურმა ეკლესიამ არ მიიღო 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი; მიუხედავად ამისა, ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იბრძოდა არაბი, თურქ–სელჩუკი, მონღოლი, ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფო და ქართველი მეფეები – ბაგრატ IV, დავით IV, გიორგი III, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I, ვახტანგ V, ვახტანგ VI, ერეკლე II, თეიმურაზ II – ყოველნაირად ეხმარებოდნენ მტრებისგან შევიწროებულ სომხებს, რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ სამშობლოს და საქართველოს აფარებდნენ თავს. თუ XVI–XVIII საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი მართლმადიდებელ ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდა, სამაგიეროდ, სრულ თავისუფლებას აძლევდა კათოლიკეებსა და მონოფიზიტ სომხებს, რითაც ისარგებლეს ეჩმიაძინის სომეხთა კათოლი-კოსებმა და

დაიწყეს რელიგიური ექსპანსია საქართველოში. მათ აქ მითვისეს მრავალი ეკლესია–მონასტერი და გადააკეთეს ისინი სომხურ ყაიდაზე.

XVI–XVIII საუკუნეებში ქართველთა გასომხება ძირითადად ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე ხდებოდა. XIX საუკუნეში კავკასიაში დამკვიდრებულ რუსეთს ყველაზე საიმედო დასაყრდენად სომხები მიაჩნდა და ხელს უწყობდა ქართველი მაჰმადიანების თავიანთი მიწა-წყლიდან გაძევების ხარჯზე თურქეთიდან სომხების გადმოსახლებას (ძირითადად სამცხე–ჯავახეთში). XIX საუკუნეში ორი სომხური საკათოლიკოსო (ეჩმიაძინისა და კილიკიის) და ორი სომხური საპატრიარქო (იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის) დიდი სომხეთის აღდგენის იდეით იყო გატაცებული. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ხარჯზე,მაშინ საქართველოს ახალ სომხეთად გადაქცევა იყო განზრახული. ამიტომ XIX საუკუნეში კავკასიის ცენტრად გამოცხადებულ თბილისში დატრიალდა სომხური კაპიტალი, გააქტიურდა მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორა. მათ ისარგებლეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებითა და რუსი ეგზარქოსების ხელშეწყობით და კიდევ უფრო გააძლიერეს რელიგიური ექსპანსია, ქართველთა გასომხება. ამის წინააღმდეგ სმა აიმაღლეს ეპისკოპოსმა კირიონმა, იოანე გვარამაძემ, მისხილ თამარაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ,აკაკი წერეთელმა,იაკობ გოგებაშვილმა,ვაჟა-ფშაველამ... მიუხედავად ამისა, ქართველობამ მაინც გაუწოდა დახმარების ხელი სომხებს 1914–1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში დატრიალებული მასობრივი ხოცვა–ჟლეტისას და ათასობით ლტოლვილი შეიფარა.

1917 წლის 25 სექტემბერს თბილისში ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის გევორქ V-ის (თბილელის) დეპეშა მოვიდა. იგი უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს ულოცავდა კათოლიკოს–პატრიარქად არჩევას. საქართველოს ეკლესია თელიდა,რომ, კონფესიური სხვაობის მიუხედავად, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელი იყო. უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ წერილით მიმართა ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გევორქ V–ს. ეს წერილი,ერთი მხრივ,დახვეწილი დიპლომატიისა და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი პატრიარქის არამართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშია. უწმიდესი კირიონ II წერდა: „მიმოვიხილავ გარემოსა ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისა შევაყენებ ღვთისმოშიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა ძმური ნათესაობით ქართლოსიან–ჰაოსიანთა... მოგიკითხავ, უწმიდესო მეუფეო, რათა წრფითა და ღვაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქნას ერთობა ჩვენდამი რწმუნებულთა ერთა. ერთობას ვიტყვი არა სარწმუნოებრივ–დოგმატურსა, არამედ მოქალაქეობრივ–განმათლებლობისასა, რათა დავმყაროს ჩუენ შორის ძმობაი და ურთიერთს გულისხმაყყოთ. და რაითა სამშობლოს შინა ჩუენისა დაამკვიდროს სასუფეველი ღმრთისაი.“[468]

1922 წელს თბილისში ჩამოვიდა აქ დაბადებული და თბილისის ნერსესის სახელობის სომხური სემინარიის ყოფილი სტუდენტი კათოლიკოსი გევორქ V. იგი შეხვდა და ქართულ ენაზე ესაუბრა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის. 1923–1940–იან წლებში ქართულ–სომხური საეკლესიო ურთიერთობა ეპისტოლარული ხასიათისა იყო. 1945 წლიდან ინტენსიური გახდა ურთიერთობები უწმიდეს კალისტრატესა და თბილისის სომხური ეპარქიის ყოფილ ეპისკოპოსს,იმხანად ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გევორქ VI-ს შორის. სომხური ეკლესიის ახალი მეთაური კათოლიკოსი ვაზგენ I ხშირად სტუმრობდა საქართველოს. გასაოცარი იყო მისი ინტუიცია და დიპლომატიური ნიჭი. უკვე 1962 წლიდან იგი საახალწლოდ მისალოც ბარათებს უგზავნიდა ჯერ იღუმენ, შემდეგ არქიმანდრიტ, შემდეგ კი – მღვდელმთავარ ილია შიოლაშვილს. ვაზგენ I 1961 წელს პირველად შეხვდა არქიმანდრიტ ილიას და განჭვრიტა მისი დიდი მომავალი. 1977 წლის 25 დეკემბერს კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა მცხეთაში განაცხადა: „ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ–ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია– ძეგლი, რომელიც ქართველი ერის სულს განასახიერებს. მე მწამს ამ სულის უკვდავება,როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა.“[469]

1978 წლის 12–14 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სომხეთს სტუმრობდა. ეჩმიაძინში კათოლიკოსმა ვაზგენ I–მა თავის ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენთან იმყოფება უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ახალი არჩეულია პატრიარქად. ამ უმაღლესი და უწმიდესი მსახურებისათვის საგრძნობლად ახალგაზრდაა, მხნე, ჯან–ღონით სავსე და, რაც მთავარია, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული... თავის სამშობლოში მას ყურს უგდებენ, მისი სწამთ, მისი სჯერათ, მას აფასებენ. ასეთი დიდი სიყვარული თავისი ერისა ბევრს არ ერგება წილად. ეს მან დიდი სულიერი სიმაღლით მოიპოვა.“[70] უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ მადლობა მოახსენა სომეხთა კათოლიკოსს და უთხრა, რომ ის, რაც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსათვის, ის თქვენ სომხეთის ეკლესიაში XX საუკუნის 50–70–იან წლებში შეძელითო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამის შემდეგ არაერთხელ ესტუმრა სომხეთს ისევე, როგორც კათოლიკოსი ვაზგენ I სტუმრობდა საქართველოს.

1978 წლის ნოემბერში ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, სადაც სომეხთა მეორე რელიგიური ცენტრი, კილიკიის სომეხთა საკათოლიკოსოა, მაჰმადიანმა ტერორისტებმა სომხების მასობრივი ხოცვა–ჟლეტა მოაწყვეს. მისმა უწმიდესობამ ოფიციალურ განცხადებაში დაგმო ეს ვანდალური აქტი და სომეხ ხალხს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. „ჩვენ, ქართველები,– აღნიშნა მან,– ისტორიის დასაბამიდან ვცხოვრობთ უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე სომეხი ხალხის მეზობლად. ამ ხნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, მტერთა შემოსევა და სხვა ბედუკუღმართობანი, და არ შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ მათ თანამემამულეთა ტრაგედიის მიმართ.“[71]

პატრიარქის ამ განცხადებამ საქართველოში მცხოვრები სომხების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ამის დასტური იყო ახალქალაქელი ხ. ოვსეპიანის გამოხმაურება: „ებედავ და მოგახსენებთ უდიდეს მადლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ კათოლიკოს–პატრიარქს. სომეხი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს მაღალადამიანური და მოქალაქეობრივი სიყვარულით სავსე თანაგრძნობას.“[72]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამოესარჩლა ეჩმიაძინის საკათოლიკოსოს 1980 წელს, როდესაც საზღვარგარეთელი სომეხი კათოლიკენი ლანძღავდნენ და ამცრობდნენ მის მნიშვნელობას. ყოველივე ამას კარგად ხედავდა კათოლიკოსი ვაზგენ I და ცდილობდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობაში დაეცვა ტაქტი და ყოფილიყო მისი პატივისმცემელი. უწმიდესმა ილია II–მ სათანადო პატივი მიაგო კათოლიკოს ვაზგენ I–ის ხსოვნას 1994 წელს ეჩმიაძინში და საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა: „დიდია მწუხარება სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომეხი ხალხისა, იგი ემშვიდობება თავის ღირსეულ და ბრძენ მამამთავარს, რომელიც 39 წლის მანძილზე, ურთულეს პირობებში, იყო საჭეთმპყრობელი ეჩმიაძინის უძველესი საკათოლიკოსო ტახტისა... იმ დროს, როდესაც შეზღუდული იყო კავშირი უცხოეთთან, მან მოახერხა ურთიერთობა დაემყარებინა იქ მყოფ სამწყსოსთან, გაეღრმავებინა მათში სამშობლოს სიყვარული, გაემთლიანებინა ერი... შევთხოვ უფალს, რათა მისი უკვდავი სული დააწესოს იმ სავანეში, რომელშიც სომეხი ხალხის დიდებული წინაპარნი განისვენებენ.“[73]

კათოლიკოს ვაზგენ I–ის გზა განაგრძო კილიკიური წარმოშობის ახალმა კათოლიკოსმა გარეგინ I–მა, რომელმაც 1997 წელს იმოგზაურა საქართველოში, მოიხიბლა ჩვენი ქვეყნით, მისი დიდებული ტაძრებით, ისტორიით. სამწუხაროდ, იგი მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ სომხურ ეკლესიაში გაძლიერდა ტენდენცია ქართული ეკლესია–მონასტრების მითვისების, ისტორიის ფალსიფიკაციისა. სომხური საკათოლიკოსოს ხელშეწყობით, ერევანში გამოდის რუკა–ცნობარები, სამეცნიერო წიგნები, რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორია, სომხურადაა გამოცხადებული 650–ზე მეტი ქართული ეკლესია. სომხურ საეკლესიო ინტერნეტსაიტებზე ვრცელდება ისეთი

ინფორმაციები, რომლებიც ხელს არ უწყობს ორი მეზობელი ხალხისა და ეკლესიის მეგობრულ ურთიერთობას.

ქართულ-სომხური ურთიერთობები იყო განხილვის მთავარი თემები, 2011 წლის ივნისში, საქართველოში ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსის გარეგინ II-ის ოფიციალური ვიზიტის დროს. ილია II-მ სომხეთ-საქართველოს საზღვრისპირა სოფელ სადახლოში გარეგინ II-სთან შეხვედრისას განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ თქვენი ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველ და სომეხ ხალხებს შორის ურთიერთობებს". თავის მხრივ, გარეგინ II-მ აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში. აქ ვიმყოფები, როგორც თქვენი პირადი მოპატიჟებით, ასევე სომეხთა თემის კერძო მოწვევით. თქვენთან ერთად მინდა დავლოცო ჩვენი ერები, ჩვენი შთამომავლობა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მათში ქრისტიანობის სიყვარული, მეგობრობა და ასევე რწმენა ღვთისადმი". საქართველოს საპატრიარქოში ოფიციალური მიღებისას ილია II-მ აღნიშნა: „დიდად ვაფასებ თქვენს ისტორიას, კულტურას, თქვენს წარსულს, გმირობას– როცა უჭირდა სომხეთს, უჭირდა საქართველოს და როცა უჭირდა საქართველოს, უჭირდა სომხეთსაც. ამიტომ ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ჩვენ შორის, კვლავაც უნდა გაგრძელდეს". სომეხთა კათოლიკოსმა ოფიციალურ შეხვედრაზე ისაუბრა საქართველოს სულიერი გაბრწყინებისა და წინსვლის შესახებ და მიანიშნა, რომ ჩვენი ეკლესია საქართველოში თავისი მოწოდების შესრულებისას გარკვეულ სიძნელეებს განიცდისო. საქმე ეხებოდა სომხური ეპარქიის იურიდიულ სტატუსს, სადაო ეკლესიების საკუთრებას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პირდაპირ მოახსენა სტუმარს: რა სტატუსიც ექნება საქართველოს ეკლესიას სომხეთში, იგივე სტატუსი ექნება სომხეთის ეკლესიას საქართველოში; რაც შეეხება ტაძრების საკითხს: ეს მოთხოვნები, რომლებიც არსებობს ქართველების მხრიდან სომხეთისადმი და თავის მხრივ, სომხეთის პრეტენზიები საქართველოს მიმართ, სამეცნიერო დონეზე უნდა განვიხილოთ. პატრიარქმა სტუმრებს განუმარტა: „არ შეიძლება ურთიერთობებსა და პრობლემებზე ცალმხრივად საუბარი. ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს. როცა ვსაუბრობთ ამა თუ იმ ეკლესიის დაბრუნებაზე, კარგად უნდა დადგინდეს, თუ ვის ეკუთვნოდა იგი წარსულში– ქართველებსაც გვაქვს ჩვენი მოთხოვნები. იმედი მაქვს, რომ თქვენი უწმიდესობა ხელს შეგვიწყობს ჩვენი ეკლესიებისა და მონასტრების დაბრუნებაში. ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს, არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა, ინტერესები ორმხრივად უნდა იყოს გათვალისწინებული".

საქართველოს პატრიარქი თავის გამოსვლაში გულისხმობდა ისტორიულ ლორე ტაშირის რაიონში, რომელიც 1921 წლამდე საქართველოს კუთვნილება იყო, არსებულ ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის ახტალის, ჭობაიერის, ხაინანის, ახკერპის ეკლესიებს. სომხური მხარე მზად იყო ამ საკითხებზე დამატებითი კონსულტაციისათვის, მაგრამ 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური გაერთიანებების შესახებ მიღებული კანონის შემდეგ ამის აუცილებლობა აღარ არსებობდა, როგორც სომხური სამოციქულო ეკლესიის პრესპიკერმა ვაჰან მელიქიანმა განაცხადა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მოსალოდნელი ნაბიჯი იყო. სამწუხაროდ სომხური მხარის მოქმედებები ცალმხრივ ინტერესებს ემსახურება. ამის დასტურია არაერთი ტენდენციური წერილი, მიმართვა, რომელიც მათ მიერ იგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, თითქოს საქართველოში ირღვევა მათი ადმსარებლობის უფლებები. უფრო მეტიც, ისინი საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად მიმართავენ და ითხოვენ 400-ზე მეტი ეკლესიის დაბრუნებას. ბუნებრივია, ასეთი ქმედებები ხელს არ უწყობენ ორი მეზობელი ხალხის ტრადიციულ ურთიერთობებს.

ისტორიულად საქართველო თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ-

კონფენსიური თვალსაზრისით ევროპის განვითარებული ქვეყნები — ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია — სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის დამანგრეველი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI-XX საუკუნეებში ეს დახმარება სიტყვიერ მხარდაჭერას არ გასცილებია, მაგრამ ქართველობის ორიენტაცია არ შეცვლილა. ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ევროპის ქვეყნებთან კონტაქტებს იმ დროს ახერხებდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა — საგრძნობლად შეზღუდული.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაჰკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ–კონფენსიური თვალსაზრისით ევროპის განვითარებული ქვეყნები — ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია — სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის დამანგრეველი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI–XX საუკუნეებში ეს დახმარება სიტყვიერ მხარდაჭრას არ გასცილებია, მაგრამ ქართველობის ორიენტაცია არ შეცვლილა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ევროპის ქვეყნებთან კონტაქტებს იმ დროს ახერხებდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა — საგრძნობლად შეზღუდული.

1979 წლის 15 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ამან მას საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა შეხვედრებში. უწმიდესი და უნეტარესი ყველგან საუბრობდა საქართველოზე, მის ისტორიაზე, უძველეს სამოციქულო ეკლესიაზე. ამ შეხვედრებით მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებთან და მოიწვია ისინი საქართველოში. ამ შეხვედრებმა და პირადმა კონტაქტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1963–1997 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წევრობის პერიოდს ასე აფასებს: „საბჭოთა იზოლაციის დროს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნამ ჩვენს ეკლესიას საშუალება მისცა, რომ იგი მსოფლიოს გაეცნო, როგორც დამოუკიდებელი ეკლესია. ასე რომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნა ერთგვარად მათი მისიონერული მოღვაწეობის გაგრძელებასაც წარმოადგენდა".[74]

უწმიდესი და უნეტარესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში სხვადასხვა დროს შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებს. მისმა შეხვედრებმა ახალი სტიმული მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები აღტაცებას ვერ ფარავდნენ: მათ წინაშე მანამდე უცნობი ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციისა და უძველესი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო. მომხიბლავი გარეგნობა, დახვეწილი მანერები, ევროპული ცივილიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ზოგადი პრინციპების ღრმა ცოდნა მათ ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურისადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობდა.

უწმიდესი და უნეტარესი სტუმრობდა აზიის ქვეყნებსაც. იგი შეხვდა და საქართველოს

სამოციქულო ეკლესია გააცნო ეგვიპტის კოპტთა პატრიარქს შენუდა III–ს,მალაბარიის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ–კათოლიკოსს ბასილ მართომა მათე I–ს, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე–ჰაიმანოტს, სირიელ იაკობიტთა პატრიარქს მარი იაკობ III–ს, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V–ს. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს, მეცნიერების,ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საქართველოს,ქართველების შესახებ საინფორმაციო მასალებს ბეჭდავდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ქვეყნების წამყვანი გამოცემები.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიოში ცნობილი რელიგიური ლიდერია, მას დიალოგი შეუძლია არა მარტო არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებთანაც. ამის დასტურია კავკასიის მუსლიმანთა ლიდერის შეიხ ალ ულ ისლამ ალახ შუქურ ფაშა ზადესა და უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აისახება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობაში.

შეიხ ალ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე არაერთხელ ესტუმრა საქართველოს. იგი უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს კავკასიის ხალხთა სულიერ ლიდერს,თავის უფროს მეგობარს და მასწავლებელს უწოდებს. 2013 წლის იანვარში უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ჩამობრძანდა თბილისში და პატრიარქს მიულოცა საიუბილეო თარიღები და საზოგადოებას ამცნო კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის შეიხ ისლამის ორდენით დაჯილდოების შესახებ – რელიგიებსა და ერებს შორის შეტანილი წვლილისთვის. უწმიდესი და უნეტარესი ილია II როგორც დიდი სულიერი ლიდერი პატივს სცემს სხვა რელიგიებს. მრავალმხრივ საინტერესოა მისი უწმიდესობის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ბაქოში რელიგიური ტოლერანტობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე: „თქვენო აღმატებულებავ, ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარევ, შეიხ-ალ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე, პროექტის კოორდინატორო და ეუთოს ელჩო ქ. ბაქოში,ბატონო ალექსი ჩაჰთაჰთინს,გულითადად მოგესალმებით თქვენ და აქ დამსწრეთ,ასევე ყველა იმ ადამიანს,რომელთათვისაც ძვირფასია ჭეშმარიტი შემწყნარებლობა. მე ვარ იმ ქვეყნის სულიერი ლიდერი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის, ანუ მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, 20 საუკუნეა ცხოვრების წესად არის ქცეული ღვთის მცნება: „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა... და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, რაც გულისხმობს იმას, რომ საკუთარი თავივით უნდა შევიყვაროთ ნებისმიერი ადამიანი განურჩეველად რწმენისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა და ასაკისა... მაგალითად, საყოველთაოდ იყო ცნობილი, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდა საქართველოს უდიდესი მეფე,დავით აღმაშენებელი ჩვენთან მცხოვრებ სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, მათ შორის მუსლიმებს; უწესებდა მათ გარკვეულ შეღავათებს, ხელს უწყობდა ადათ-წესების დაცვაში და სხვა. ეს არ იყო გამონაკლისი პერიოდი საქართველოს წარსულისა. ამ პრინციპით იცხოვრა ჩვენმა ხალხმა და მიგვაჩნია, რომ სწორედ ღვთისაგან დალოცვილი მოსიყვარულე გულის გამო გადაურჩა იგი ისტორიის ქარტეხილებს. ამგვარმა დამოკიდებულებამეე განაპირობა საქართველოში მკვიდრი სხვა ერისა და რელიგიის წარმომადგენელთა კეთილგანწყობაც ქართველებისადმი და ისიც, რომ ორივე მხარე მუდამ უფრთხილდებოდა და პატივს სცემდა სხვის სარწმუნოებას და ურთიერთმეგობრობას, რაც ქმნიდა უნიკალურ ტოლერანტულ გარემოს. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ჩვენ თბილი დამოკიდებულება გვაქვს საქართველოში მცხოვრებ სხვა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან და მათ ხელმძღვანელებთან; განსაკუთრებით ხშირია ჩვენი შეხვედრები და ვიზიტები

მუსლიმთა სულიერ და პოლიტიკურ ლიდერებთან აზერბაიჯანში, თურქეთში, ქუვეითში, იორდანიაში, პალესტინაში... საქართველოში რელიგიურ უმცირესობებს გააჩნიათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და სრულიად თავისუფალნი არიან თავის საქმიანობაში. ჩვენ გვაქვს ერთობლივი პროექტებიც, რაც ურთიერთდაახლოებას უწყობს ხელს. ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ქრთველი ერის ერთი ნაწილი მუსლიმურ რელიგიას აღიარებს, რომელთაგან უმრავლესნი თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობენ, ნაწილი კი, – აზერბაიჯანსა და ირანში. ჩვენი სისხლისა და ხორცის, ჩვენი მუსლიმი ქართველების – გურჯების, ლაზების, ფერეიდნელების, მაზანდარელების, ინგილოების, იგივე ჰერების – გამო ზოგადად მუსულმანური სამყარო მეზობელზეც უფრო მეტად ახლობელი არის ჩვენთვის. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთი და ჯამე ფუნქციონირებს, ნათელი დადასტურებაა მუსლიმებისადმი ჩვენი კეთილი დამოკიდებულებისა. მაგრამ, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ მიზანმიმართულად შექმნან დაპირისპირების კერები და დაარღვიონ საუკუნოვანი ჩვენი ტოლერანტული სივრცე. ჩვენი, რელიგიის ლიდერების, ვალია, პასუხი გავცეთ იმ პროვოკაციებს, რომელიც სარწმუნოების ნიადაგზე სხვა და სხვა ნიადაგზე იჩენს ხოლმე თავს. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი, ალბათ, ისიც არის, რომ გაერთიანებული ძალით ვიმოქმედოთ, რათა არსებული პრობლემები დავძლიოთ და პრევენციული ნაბიჯებიც გადავდგათ. მე მინდა დიდი მადლობა გადაეუხადო მის აღმატებულებას, შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს, მან არაერთხელ ითამაშა დიდი როლი კრიზისული სიტუაციების განმუხტვაში და ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში. იგი ამიტომაც დაჯილდოვდა საქართველოს ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენებით. ასევე გამორჩეულია აზერბაიჯანის პრეზიდენტის, მისი აღმატებულება, ბატონ ილჰამ ალიევის როლი ჩვენს ქვეყნებს შორის განსაკუთრებულად კეთილი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ვიმედოვნებთ, მათი მზრუნველობა მომავალშიც არ მოაკლდებათ აქ მცხოვრებ ქართველებს, როგორც მუსლიმებს, ისე მართლმადიდებლებს და დაკმაყოფილდება მათი რელიგიური მოთხოვნილებები. ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩვენი ღრმა პატივისცემა ამ საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორის, ეუთოს მიმართ და შეხვედრის მონაწილეებისადმი და გისურვოთ დიდი წარმატებები თქვენს ღვთის სათნო საქმიანობაში". 2017 წლის 25 აპრილს შეიხ უსლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე საპატრიარქო რეზიდენციაში ეწვია უწმიდესს და უნეტარეს ილია II-ს. „თქვენო უწმიდესობავ – ბრძანა მან – ემადლობ ღმერთს, რომ პატივი მერგო თქვენთან კვლავ შეხვედრისა. ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო გახლავთ თქვენი სახით კაეკასიის უხუცესთან შეხვედრა. პირადად ჩემი უხუცესი ბრძანდებით. შესაძლოა მთელ მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება იმას, რომ მუსლიმური რელიგიის შეიხი ეწვევა პატრიარქს, ხელზე კოცნის მას და აღიარებს თავის უხუცესად... თქვენო უწმიდესობავ, როდესაც შევიტყვე, რომ შეუძლოდ გახდით, გადავწყვიტე გერმანიაში მენახეთ, მაგრამ ვერ მოხერხდა, ამიტომაც გეწვიეთ დღეს თბილისში... მინდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენ ჩვენი ოჯახისათვის წმინდანი ხართ. ამიტომ დღეს აქ ოჯახთან ერთად მოვედი. მათაც სურვილი გამოთქვეს, რომ გეამბორონ თქვენ ხელზე..."

2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, შეხვდა პრეზიდენტ ჰათამსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ჰამეინეს. პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების – ირანისა და საქართველოს – რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა."[75]

ირანის ისლამური რესპუბლიკის სასულიერო ლიდერები არაერთხელ ცამოვიდნენ

თბილისში და მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში,ასე იყო 2010 წლის 25 დეკემბერს,როდესაც უწმიდესს და უნეტარესს აღსაყდრების 30 წლისთავი მიულოცა ირანის რელიგიათა ურთიერთობის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აიათოლა თასხირმა, ხოლო 2010 წელს თბილისში გამართულ კონფერენციაზე „ქრისტიანობა და ისლამი ტერორიზმის შესახებ“ მონაწილე დოქტორმა მოჰამად მეჰდი თასხირმა ასე შეაფასა კონფერენციაში ირანული მხარის მონაწილეობა: „ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ ათეულობით საერთაშორისო კონფერენციაში – ძირითადად ისეთ ქვეყნებში, სადაც კრიზისი და მძიმე სიტუაციაა შექმნილი. თბილისი ამ მხრივ ერთ-ერთი მშვიდი ქალაქია. მე ვთვლი, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში წარმოდგენილია საუკეთესო სახით. ასეთი ტიპის კონფერენციები უნდა ჩატარდეს სწორედ ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტია რწმენა და კეთილგანწყობა... ეს ის გარემოა და ის ურთიერთობებია, რასაც ვერ ვიპოვით სხვა ქვეყნებში. აქ არის უძველესი მართლმადიდებლური ძეგლები. ის,სადაც კულტურას აქვს ღრმა ფესვები,მას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ადამიანებზე. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ დისკომფორტს – ჩვენ ვხედავთ თბილ, გულწრფელ ურთიერთობას და ადამიანებს კულტურის ღრმა ფესვებით, რომელიც ეხმარება მათ რწმენის განმტკიცებაში. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც კონფერენცია ტარდება თბილისში, ეს შეიძლება იყოს თბილი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და აიათოლა თასხირს შორის. მე ვფიქრობ,რომ პატრიარქი – ეს დიდი ძალაა და მას შეუძლია დადებითი ზეგავლენის მოხდენა და მნიშვნელოვანი როლის შესრულება არა მარტო საქართველოში, არამედ სახელმწიფოებსა და რელიგიებს შორის ურთიერთობებზედაც“.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი საოცრად შემწყნარებელია, იგი არაფერს არ თმობს, როდესაც საქმე ეხება სამშობლოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას. ამის მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან ურთიერთობა. როდესაც ამ ორგანიზაციამ განსხვავებულ კონფესიათა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობათა განხილვა გადაზარდა ერთიანი მსოფლიო ეკლესიის შექმნის მცდელობაში,ერთობლივი ლოცვების ჩატარების შესაძლებლობასა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებებში, 1997 წლის 20 მაისს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ლოცვა–კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან... მართლმადიდებლები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებსა და ღვთის თაყვანისცემაში.“[76]

პატრიარქის ამ გადაწყვეტილებას იმხანად სხვადასხვა შეფასება მიეცა, მაგრამ დრომ აჩვენა მისი მართებულობა. ამ ნაბიჯით ჩვენმა ეკლესიამ თავიდან აიცილა გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციების საეკლესიო სფეროში შეჭრა და დაიცვა მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდე.

თავისი თამამი ნაბიჯებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 70–80–იან წლებში საქართველოს პოლიტიკური,სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებდნენ,რომ ისინი ვეღარ ახერხებდნენ ეკლესიის საქმიანობის სრულ კონტროლს, მის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. 1977–1990–იან წლებში თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიოს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი ხვდებოდნენ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს. თუ 1923–1977 წლებში თვალში საცემი არ იყო ის ფაქტი,რომ საპატრიარქო რეზიდენცია სულ 3–4 ოთახისგან შედგებოდა,ახლა უკვე აშკარა უხერხულობა იქმნებოდა. საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები კვლავ

აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში სინდისის თავისუფლება გარანტირებული იყო საბჭოთა კონსტიტუციით, რომ ეკლესიას ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა. მაგრამ 1977–1988 წლებში პატრიარქს საპატრიარქო რეზიდენცია არ ჰქონდა, სიონის საპატრიარქო ტაძრის გარშემო უსახური სახლები იყო ჩამწკრივებული. ხელისუფლებამ ერთხანს გრიგოლ ორბელიანის მოედანზე არსებული საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობა დაუთმო საპატრიარქოს უცხოელი საპატიო სტუმრების მისაღებად.

ჯერ კიდევ 1967 წელს, ცხუმ–აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, მეუფე ილიამ წმიდა სინოდის სახელით საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს მოსთხოვა საპატრიარქოსათვის დაებრუნებინათ 1923 წელს ჩამორთმეული რეზიდენცია. 1977 წლიდან ოფიციალური ხელისუფლება გრძნობდა, რომ შექმნილი უხერხული ეითარების გამოსწორება მხოლოდ საპატრიარქოსათვის რეზიდენციის გამოყოფით შეიძლებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1984 წლის 2 თებერვალს განმეორებითი თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს და მოითხოვა საპატრიარქოსათვის ისტორიული შენობის დაბრუნება. მთავრობა ყოყმანობდა. ბოლოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას გადაეცა ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სპორტკომიტეტის ყოფილი შენობა. 1990 წელს, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა, აღედგინა ისტორიული სამართლიანობა და 1923 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული საპატრიარქო რეზიდენციაც, სადაც მოღვაწეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს–პატრიარქნი – კირიონი, ლეონიდე, ამბროსი – დაუბრუნა კანონიერ მფლობელს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს ისტორიულმა რეზიდენციამ დაიბრუნა თავისი ფუნქცია. აქ შეიძლება საპატიო სტუმრების, საერო და სასულიერო პირების მიღება და ღირსეული მასპინძლობა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის ეპარქიების აღორძინება, კავშირი საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებთან. სინოდის განჩინებანი. ახალი წმინდანები

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობა ისტორიულად V საუკუნიდან XI საუკუნემდე ამგვარი იყო: ეკლესიის მეთაურს ეწოდებოდა კათოლიკოსი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ საქართველოს სხვადასხვა პროვინციის საეპისკოპოსოების მმართველი მღვდელმთავრები – ეპისკოპოსები. წყაროთა მონაცემებით დადგენილია, რომ V–VII საუკუნეებში მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 33 მოქმედი ეპარქია იყო. საქართველოს გაერთიანებისა და მისი ტერიტორიების გავრცობის შემდეგ ეპარქიათა რაოდენობა გაიზარდა 55–მდე. XVI–XVIII საუკუ-ნეებში, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს პროვინციულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ირან–ოსმალეთის აგრესიის პირობებში, მოქმედ ეპარქიათა რაოდენობა შემცირდა. რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო–სამთავროების დაპყრობის პერიოდში (XIX საუკუნის დასაწყისი) აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 9 მოქმედი ეპარქია. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსი ეგზარქოსების მიზანი იყო მოქმედ ეპარქიათა რაოდენობის შემცირება, საეპარქიო ქონების დატაცება. მათ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსოში სულ 5 ეპარქია იყო, დასავლეთ საქართველოში – იმერეთისა და სოხუმის, აღმოსავლეთ საქართველოში კი – თბილისის, ალავერდისა და გორის. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, პირველი საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა განისაზღვრა 13–ით. მას მოგვიანებით კიდევ ორი ეპარქია დაემატა. დებულების თანახმად, თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის, ცხუმ–ბედიის ეპარქიები ცხადდებოდა სამიტროპოლიტო ეპარქიებად. ეპარქიებში იქმნებოდა საეპარქიო საბჭო, საეპარქიო სასამართლო, რომელთაც თავმჯდომარეობდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. ეპარქიები იყოფოდა ოლქებად. თითოეულ ოლქში 10–15 სამრევლო შედიოდა. 1920 წელს, მეორე საეკლესიო კრებაზე, მცირე შესწორებები იქნა შეტანილი საეპარქიო მმართველობაში – გაერთიანდა მცხეთისა და თბილისის ეპარქიები.

1921 წლიდან, ბოლშევიკური მმართველობის ხანაში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აგრესიული ათეიზმის ზეობის ჟამს, 1922–1939 წლებში, ცენტრალური ხელისუფლებისაგან წაქეზებული პროვინციელი ბოლშევიკები და კომკავშირლები სასტიკად სდევნიდნენ ეპარქიათა მღვდელმთავრებს, სამღვდელოებას. მღვდელმთავრებს აიძულებდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ეპარქიები. დააპატიმრეს და გადაასახლეს ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში კათოლიკოს–პატრიარქი ეფრემ II), გადასახლებაში გარდაიცვალა მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე, 1924 წლის აგვისტოში დახვრიტეს ქუთათელ–გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი. მის მიმართ წაყენებული ბრალდება ასეთი იყო – როგორ გაბედა თავისი ეპარქიის სოფელ როდინაულში ახალი ეკლესიის კურთხევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ოფიციალურად 15 ეპარქია იყო, რეალური ვითარება სულ სხვა სურათს გვიჩვენებდა. 1929 წელს ოფიციალურად გაუქმდა ალავერდის ეპარქია, დაიკეტა ალავერდის მონასტერი, 1930 წელს გაუქმდა ჭყონდიდის ეპარქია, 1930 წელს დაიკეტა გელათი, 1934 წელს გაუქმდა ბათუმ–შემოქმედის ეპარქია, გააუქმეს ბოდბის, ნინოწმიდისა და წილკნის ეპარქიები. ეპარქიათა მღვდელმთავრებმა თავი დედაქალაქში მოქმედ ეკლესიებს შეაფარეს. 1947 წელს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 5

მღვდელმთავარიღა იყო (ეფრემ სიდამონიძე, მელქისედეკ ფხალაძე, ტარასი კანდელაკი, დიმიტრი ლაზარიშვილი, გაბრიელ ჩაჩანიძე). ეპარქიებში საკათედრო ტაძრების გაუქმების გამო მათი უმრავლესობა თბილისში იყო. მდგომარეობა უკეთესობისკენ არც 1950–1970 წლებში შეცვლილა.

1977 წელს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი გახდა ილია II, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში არსებული 15 ეპარქიიდან მღვდელმთავრები ჰყავდა შემდეგ ეპარქიებს: 1. ალავერდის (ეპისკოპოსი გრიგოლ ცერცვაძე), 2. ბათუმ–შემოქმედის (მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი), 3. მანგლისის (ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე), 4.წილკნის (მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი), 5. თეთრიწყაროსა (მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა) და 6. ბოდბისას (ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე). ბოდბელი სწირავდა თბილისის სამების ეკლესიაში, მანგლელი – დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წილკნელი – სვეტიცხოველში, თეთრიწყაროელი – თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში. არც ერთი მოქმედი ეკლესია არ იყო ნიკორწმინდის, აგარაკ–წალკის, ბოდბის, აწყურის, ცაგერის, წილკნის ეპარქიებში...

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II-მ კარგად იცოდა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინება ეპარქიებიდან უნდა დაეწყო. აუცილებელი იყო ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების მღვდელმთავრის ხარისხში აყვანა და საეპარქიო ცხოვრების გამოცოცხლება. 1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, ეპისკოპოსებად აკურთხეს და ეპარქიებში გაგზავნეს: ცხუმ–აფხაზეთის კათედრაზე ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდელად – ეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), მაწყვერელად – ეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი), ბოდბელად – ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ბათუმ–შემოქმედელად – ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელად – ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე). 1978 წლის სექტემბრიდან ეპისკოპოსი თადეოზი გადაყვანილ იქნა წილკნელად, ხოლო ბოდბელად აკურთხეს ათანასე (ჩახვაშვილი). თითოეულის კურთხევა საზეიმო ვითარებაში ჩატარდა მრავალრიცხოვან მორწმუნეთა თანდასწრებით. უწმიდესმა და უნეტარესმა გადასცა მათ სამღვდელმთავრო კეერთხი და შეახსენა, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა თითოეულ მათგანს.

1978 წლის დეკემბერში, წმიდა სინოდის სხდომაზე, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წინადადებით გადაწყდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში აღდგენილიყო ისტორიული ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებდა მთავარეპისკოპოსის ხარისხის მინიჭებას. ამავე სხდომაზე აწყურის ეპარქიას ეწოდა „ახალციხისა და მესხეთ–ჯავახეთისა“, ცაგერისას – „ცაგერისა და ლეჩხუმ–სვანეთისა“. უწმიდესმა და უნეტარესმა მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე) და ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე). პირველი მთავარეპისკოპოსები გახდნენ: ნიკოლოზი (მახარაძე), იოანე (ანანიაშვილი), შიო (ავალიშვილი). ოფიციალური ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება. იგი ცდილობდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით შეეფერხებინა ახალნაკურთხი ეპისკოპოსების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გარეშე კი მათ უფლება არ ჰქონდათ წასულიყვნენ და ეღვაწათ თავიანთ ეპარქიებში.

რელიგიის საქმეთა რწმუნებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილში უმაყოფილებას გამოთქვამდა ეპისკოპოსთა რაოდენობის „გაუმართლებელი ზრდის“ გამო. 1979 წლის 5 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა რწმუნებულს დაუსაბუთა მიღებული გადაწყვეტილების მართებულობა: „თანახმად კართაგენის კრების მე–12 კანონისა, რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსის განსჯის შემთხვევაში, როდესაც საეკლესიო კრების მოწვევა ვერ ხერხდება, აუცილებელია 12 ეპისკოპოსის შეკრება, რომ მათ შესაბამისი მსჯავრი გამოიტანონ.

საქართველოს ეკლესიაში კი, ამჟამად 3 მიტროპოლიტი, 3 მთავარეპისკოპოსი და 4 ეპისკოპოსია.“[77]

1979 წელს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) გადაიყვანეს ქუთათელი–გაენათელად, ხოლო ახალციხისა და სამცხე–ჯავახეთის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილ იქნა ქრისტეფორე (წამალაიძე), ნიკორწმინდის ეპისკოპოსად აკურთხეს ამბროსი (ქათამაძე). ახალი მღვდელმთავრების კურთხევის შემდეგ დღის წესრიგში დადგა პროვინციებში 1921–70 წლებში ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების კვლავ ამოქმედების საკითხი. საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის თანახმად, მორწმუნეები ქმნიდნენ და რეგისტრაციაში ატარებდნენ რელიგიურ საზოგადოებას. რელიგიური საზოგადოების 20 სრულწლოვანი წევრი ეკლესიის ამოქმედების შესახებ საგანგებო განცხადებით მიმართავდა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც მას აგზავნიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რწმუნებულთა აპარატში. განცხადება იქიდან მოსკოვში იგზავნებოდა და მხოლოდ მოსკოვის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდა ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება, გაეგზავნა ეკლესიაში სასულიერო პირი. ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ რელიგიური საზოგადოების წევრების დაშინებას, მაგრამ, როცა სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ გაეცათ ნებართვა ეკლესიის ამოქმედების შესახებ. თუ ოფიციალური ნებართვა არ იყო გაცემული, ეკლესიაში ღვთისმსახურების ჩატარება კანონდარღვევად ითვლებოდა.

1978 წლის 1 ნოემბერს ქუთაის–გაენათის ეპარქიის წყალტუბოს რაიონის სოფ. ზედა მაღლაკში მაცხოვრის ეკლესიაში დაინიშნა მღვდელი გიორგი კუჭუხიძე. რწმუნებულმა კატეგორიულად მოითხოვა მღვდელ კუჭუხიძის უკან გამოწვევა მანამდე, სანამ მაღლაკის ეკლესია ოფიციალურად არ იქნებოდა რეგისტრირებული. 1979 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის წერილი „ვის უხმობს ნიკორწმინდის ზარები?“, რომელშიც მკაცრად იყო დაგმობილი ნიკორწმინდის ეკლესიის ამოქმედება და კრიმინალად იყო გამოცხადებული ამ საქმის მოთავე, სოფ. ნიკორწმინდის მცხოვრები შურა გოცირიძე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნიკორწმინდაში სასწრაფოდ გახსნა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის დანიშნულება იყო ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერება.

ეპარქიებში შექმნილი რთული ვითარება კარგად ჩანს ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის იოანეს (ანანიაშვილი) 1981 წლის 6 სექტემბრის მოხსენებით ბარათში, რომელიც მან სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II–ს გამოუგზავნა. მეუფე იოანე იმხანად ლეჩხუმ–სვანეთის ეპარქიასაც განაგებდა. იგი წერდა: „მესტიაში როდესაც ჩავედი, ადგილობრივ ხელმძღვანელობას ვუჩვენე დოკუმენტი, სადაც მიწერია, რომ ვარ ჭყონდიდისა და ლეჩხუმ–სვანეთის მთავარეპისკოპოსი. მათ გაუკვირდათ და მითხრეს, ჩვენ არ გვინდაო. თურმე რაიონში ჩასულ მღვდლებს აიძულებდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინათ იქაურობა. მესტიის რაიონის თითქმის ყველა სოფელი დავიარე, ხალხი ყველგან ეკლესიის გახსნას მთხოვდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება თავშეკავებულ აგრესიას ამჟღავნებდა და მთხოვდა, მალე დამეტოვებინა რაიონი.“[78]

ასეთივე რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ქუთათელ–გაენათელი, ახალციხელი, ბოდბელი მღვდელმთავრები. მიუხედავად ამ სირთულეებისა, 1979 წელს საქართველოს ეკლესიამ ბოდბის მონასტრის ეზოდან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადაიყვანა 13 ოჯახი, შეკეთდა ტაძარი, მოწესრიგდა წმიდა ნინოს საფლავი; კეთილმოეწყო ქუთაისის პეტრე–პავლეს ეკლესიის ეზო; საგარეჯოში რესტავრაცია ჩაუტარდა ღვთისმშობლისა და წმიდა დოდოს ეკლესიებს; წალკაში გაიხსნა ღვთისმშობლის ეკლესია; მანგლისში დაიწყო საეპარქიო რეზიდენციის მშენებლობა; ბათუმში აშენდა ახალი ეკლესია; ახალციხეში გაიხსნა ეპარქიაში ერთადერთი მართლმადიდებელი წმიდა მარინეს ეკლესია და დაიწყო მისი ეზოს კეთილმოწყობა; აღდგენითი სამუშაოები დაიწყო თეკლათის, მენჯის ეკლესიებში. ოფიციალურ ხელისუფლებას აღიზიანებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასეთი წარმატებები, ამიტომ სცადა აპრობირებული საშუალებით (ჭორები, შიდა დაპირისპირების

ინსპირირება) ეკლესიისათვის სახელის გატეხა. ათეისტურ საზოგადოებაში ადვილი იყო მოსახლეობის დეზინფორმაცია ბერ–მონაზვნებისადმი უარყოფითი განწყობის შესაქმნელად. ამ მიზნით ოფიციალურმა ხელისუფლებამ პრესითა და ტელევიზიით დაწერილებით გააშუქა მიტროპოლიტ გაიოზის სასამართლო პროცესი. ხელისუფლების ცილისწამების მსხვერპლი გახდა რამდენიმე მაღალიერარქი.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის უცხოეთში ვიზიტის დროს რამდენიმე ავანტიურისტმა ხელისუფლების წაქეზებით პატრიარქის საწინააღმდეგო გამოსვლები მოინდომა, მაგრამ მორწმუნე მრევლის რისხვამ ისინი აიძულა ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე. ოფიციალურ ხელისუფლებას ეს ყველაფერი პატრიარქის დასაშინებლად სჭირდებოდა, მაგრამ ამან მხოლოდ უკუშედეგი გამოიწვია. ქართველი ერი კიდევ უფრო მტკიცედ დადგა დედა ეკლესიისა და მისი მეთაურის გვერდით. ეს არ იყო ის ხალხი, რომელიც ტაძარში წირვა–ლოცვაზე გაუცნობიერებლად მოდიოდა, ეს იყო ჭეშმარიტად მორწმუნე მრევლი, რომელმაც გაითავისა ქრისტიანული რწმენის სიდიადე და მზად იყო მის დასაცავად.

1977–1990 წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დიდი სოციალურ–პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. 80–იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, დემოკრატიული ღირებულებების გაღრმავების ლოზუნგით, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია დაიწყო. ეს მომენტი კარგად გამოიყენა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ და ეპარქიებში დაიწყო ადმინისტრაციული წესით დახურული 20–50–იანი წლების ნგრევას გადარჩენილი ეკლესიების ამოქმედება.

XVI–XX საუკუნეებში ქართველი ხალხის თავს დატეხილმა კატაკლიზმებმა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიები საგრძნობლად შეამცირა. თუ XII–XIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორია 205 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, XIX საუკუნეში იგი 102 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა, ხოლო 1921 წლიდან 1990 წლამდე პერიოდში კი 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა ისტორიული ტაო–კლარჯეთი, ლაზეთი, ჰერეთი (საინგილო), ლორე–ტაშირი. დღეისათვის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები სრულად მოიცავს ისტორიულ საქართველოს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დიდი ღვაწლის შედეგია. უწმიდესი და უნეტარესი ხშირად სტუმრობს ეპარქიებს, მცირე წარმატებასაც უფასებს მმართველ მღვდელმთავრებს, მწყემსმთავრული სიტყვით მიმართავს მრევლს, დედა ეკლესიისა და სამშობლოს სიყვარულისაკენ მოუწოდებს მათ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სიძლიერისა და სიმტკიცის საფუძველი მოქმედ ეკლესიათა სიძლიერეა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზრუნავს საქართველოს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე დროებით სამუშაოდ გასული ქართველებისათვის. 2002 წელს შეიქმნა დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი), დიდი ბრიტანეთსა და ირლანდიის ეპარქია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოებია აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (მას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ნიკოლოზი). ავსტრალიაში (ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი შიო). 2014 წლის 3 ივნისს გამართულმა წმიდა სინოდის სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განაჩინა: „დასავლეთ ევროპის ეპარქიას გამოეყოს ავსტრიის, გერმანიისა და ბენილუქსის ქვეყნების სამრევლოები და შეიქმნას: 1. დასავლეთ ევროპის ეპარქია (ხელმძღვანელი მიტროპოლიტი აბრაამი), რომლის შემადგენლობაში დარჩა საფრანგეთი, შვეიცარია, მალტა, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია;

2. ავსტრიისა და გერმანიის ეპარქია (ხელმძღვანელი ეპისკოპოსი ლაზარე, 2017 წლის 9 თებერვლიდან დროებითი მმართველია მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე); 3. ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია (ხელმძღვანელი ეპისკოპოსი დოსითეოზ ბოგვერაძე); ბათუმისა და ლაზეთის და ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიას გამოეყოს ჩრდილოეთ ამერიკის სამრევლოები და შეიქმნას: ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია (ხელმძღვანელი ეპისკოპოსი საბა ინწკირველი)". საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება ილია II-ის დიდი ღვაწლის შედეგია. უწმიდესი და უნეტარესი ხშირად სტუმრობს ეპარქიებს, მცირე წარმატებასაც უფასებს მმართველ მღვდელმთავრებს, მწყემსმთავრული სიტყვით მიმართავს მრევლს, დედა ეკლესიისა და სამშობლოს სიყვარულისაკენ მოუწოდებს მათ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სიძლიერისა და სიმტკიცის საფუძველი მოქმედ ეკლესიათა სიძლიერეა. საქართველოს პატრიარქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს. 2009 წლის 14 მაისს პარიზში წმ. თამარ მეფის სახელობის ქართული ეკლესიის გახსნაზე იგი საგანგებოდ ჩაბრძანდა პარიზში, შეხვდა იქაურ ქართველებს. უწმიდესი 2012 წლის 15 მაისს კვლავ სტუმრობდა დასავლეთ ევროპის ეპარქიას, 20 მაისს მან საზეიმო წირვა აღავლინა პარიზის წმ. თამარ მეფის სახელობის ქართულ ეკლესიაში. 2011 წლის 4-15 თებერვალს ილია II სტუმრობდა დიდი ბრიტანეთისა და ირალნდიის ქართულ სამრევლოებს. უწმიდესმა და უნეტარესმა საზეიმო წირვა ჩაატარა ლონდონის მაცხოვრის შობის ქართულ ტაძარში, სადაც ინგლისში მცხოვრებ 1500-ზე მეტი ქართველი შეიკრიბა. ილია II-მ დალოცა მრევლი და მოუწოდა მათ, არასოდეს გაწყვიტონ კავშირი დედასამშობლოსთან და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ დაბრუნდნენ საქართველოში. ილია II შეხვდა ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ს.

ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამონასტრო ცხოვრებას. პირველი მონასტრები IV–V საუკუნეებიდან არსებობდა. მონასტრები არა მარტო რელიგიური, არამედ კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციასაც ასრულებდნენ. შუა საუკუნეებში ქართველებს სამონასტრო ცენტრები ჰქონდათ საბერძნეთში, კვიპროსზე, წმიდა მიწაზე. ქვეყანაში შემოსული მტერი მონასტრებს არბევდა. ცნობილია ქვათახევისა და დავით გარეჯის მონასტრების მტერთაგან რბევა, ბერ–მონაზვნების ხოცვა–ჟლეტა, მაგრამ მონასტრები მაინც აღორძინდებოდნენ ხოლმე. ბერ–მონაზვნები ყველაზე დაფასებულნი იყვნენ ჩვენი სულიერი ცხოვრების ისტორიაში.

XIX საუკუნეში ქართულ მონასტრებს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსული ბერები დაეპატრონენ... 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღორძინება, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით დაიწყეს საეკლესიო მიწების ჩამორთმევა და მონასტრებში მცხოვრები ბერ–მონაზვნების შევიწროება, რის გამოც უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ლეონიდემ მკაცრი საპროტესტო წერილი მისწერა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს – ნოე ჟორდანიას. 1921 წლიდან, ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების წაქეზებით, დაიწყო ეკლესია–მონასტრების ძარცვა–რბევა. დახოცეს შიომღვიმის, ქვათახევის, ბეთანიის, არმაზის, კაბენის მონასტრების ბერები. საბუთები ყველგან ისე გააფორმეს, თითქოს კრიმინალური დანაშაული იქნა ჩადენილი. დაიხურა მონასტრების უმრავლესობა. უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს ძალისხმევით, სახელმწიფომ ისტორიული ძეგლის მცველის თანამდებობაზე დანიშნა ბეთანიელი ბერები: იოანე (მაისურაძე) და გიორგი (მხეიძე), ზედაზენზე – ექვთიმე (კერესელიძე).

XX საუკუნის 60–70–იან წლებში საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ძალიან შესუსტებული იყო. თითო–ოროლა მონასტერში (შიო მღვიმე, სამთავრო, თეკლათი, მოწამეთა) ნახევრად არალეგალურად მოღვაწეობდნენ ბერ–მონაზვნები. ოფიციალური

ხელისუფლება განსაკუთრებით უარყოფითად იყო გამსჭვალული მათ მიმართ. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის გააზრებული, თანმიმდევრული საქმიანობით შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების აღორძინება საქართველოში. თუ გასული საუკუნის 70–იან წლებში მონასტრებში ძირითადად ასაკოვანი ადამიანები იყვნენ, ამჟამად 70-ზე მეტ მოქმედ მონასტერში ძირითადად ახალგაზრდა მორჩილნი და ბერ-მონაზვნები მოღვაწეობენ. საქართველოს ყველა მოქმედ ეპარქიაში არის მამათა და დედათა მონასტრები.

უწმიდესსა და უნეტარესს სურდა, ფარავნის ტაძართან, საიდანაც მოციქულთა სწორი წმიდა ნინო ვაზის ჯვრით გამოემართა მცხეთისაკენ, დაარსებულიყო მამათა და დედათა მონასტრები. გასული საუკუნის 70–იან წლებში მთელი სამცხე–ჯავახეთის ტერიტორია საბჭოთა კავშირ–თურქეთის საზღვრისპირა რაიონებად იყო გამოცხადებული. აწყურის იქით გადასვლა მხოლოდ სპეციალური საშვით შეიძლებოდა. გარდა ამისა, ფარავნის ტბისპირა სოფელ ფოკაში არც ერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ოფიციალურად ჩაეწერა სოფელ ფოკაში, რათა დაუბრკოლებლად ემოგზაურა ამ ტერიტორიებზე. მისი დიდი ძალისხმევით მოხერხდა ფოკაში დედათა და მამათა მონასტრების დაარსება. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მრავალი ასეთი დაბრკოლება გადაიტანა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, მაგრამ, უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, სამონასტრო ცხოვრება აღორძინდა არა მარტო საქართველოში – ჩვენი მამები და დედები მოღვაწეობენ უცხოეთში არსებულ ქართული წარმომავლობის ეკლესია–მონასტრებშიც.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინსვლა ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: თუ 1977 წელს 50–მდე მოქმედ ეკლესია–მონასტერში ღვთისმსახურებას ეწეოდა 7 მღვდელმთავარი და 80–მდე სასულიერო პირი, 2007 წლისათვის 1500–ზე მეტ ეკლესიასა და 60–ზე მეტ მონასტერში მოღვაწეობდა 1800-ზე მეტი სასულიერო პირი, 36 მღვდელმთავარი. 2017 წლის მონაცემებით მოქმედია 49 ეპარქია,46 მღვდელმთავარით,2100 მოქმედ ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას ეწევა 2300-ზე მეტი სასულიერო პირი.

წინააღმდეგობათა დაძლევის გზების ძიება,ლოცვაში გატარებული მრავალი უძილო ღამე გადაიტანა მისმა უწმიდესობამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ამ სიმაღლეზე ასაყვანად. „მძიმეა გვირგვინი მწყემსმთავრისა, ერმაც და ბერმაც თავიდანვე მკაფიოდ გამოხატული ნდობითა და პატივისცემით მიგიღოთ. ფრიად მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა მღვდელმთავარი მთელი თავისი არსებით ასხივებთ სათნო ადამიანურ ბუნებას. ხალხში თქვენს გასვლას, ინტელიგენციასთან საქმიან შეხვედრა–დიალოგებს თავიდან ბოლომდე გასდევდა სულიერების თავანკარა სათაყვანებთან დაბრუნების აუცილებლობის აზრი და წადილი... თქვენ საქართველოს ეკლესია იზოლაციიდან,კარჩაკეტილობიდან გამოიყვანეთ.“[79] ამ სიტყვების ავტორს,ილია რურუას, როგორც რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილეს, სამსახურებრივად ევალებოდა ეკლესიისა და პატრიარქის კონტროლი... პატრიარქის სულიერებამ და სიდიადემ დაჩრდილა მასში ოფიციალური ფუნქციონერი და საქართველოს სულიერი წინამძღოლის საქმეთა პირუთვნელ შემფასებლად აქცია იგი.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით,საზღვარგარეთ მრავალი ეკლესია–მონასტერი ჰქონდა. აქ მოღვაწე ქართველი ბერები ქმნიდნენ ორიგინალურ სასულიერო ნაშრომებს, თარგმნიდნენ ქართულიდან ბერძნულად, ან ბერძნულიდან ქართულად ითარგმნებოდა ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილი თხზულებები. თუ ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო შუა საუკუნეების ქართული კულტურა, ამაში დიდია საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია–მონასტრების წვლილი. ახლო აღმოსავლეთში განთქმული იყო საბაწმინდის,სინასჯვრის,შავი მთის,ხოლო დასავლეთში – ათონისა და პეტრიწონის მონასტრები. შუა საუკუნეებში წმიდა მიწაზე ქართველებს

განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ – გოლგოთაზე ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტენი მათ ეპყრათ და გაშლილი დროშებით ცხენზე ამხედრებულებს შეეძლოთ იერუსალიმში შესვლა. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა, სამეფოთა მეფე-მთავარნი საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს ყურადღებას არ აკლებდნენ.

ირან–ოსმალეთის მბრძოლობის ხანაში (XVI–XVIII ს.ს.) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პოზიციები შესუსტდა. XVI–XX საუკუნეებში, საქართველოს მიმართ ოსმალთა მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ისტორიული საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი – ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი – და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა.

XVI საუკუნეში ოსმალთაგან შევიწროებულმა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ ავტოკეფალია და მართლმადიდებლურ დიპტიხში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულად კუთვნილი მე-5 ადგილი პოლიტიკურად გაძლიერებული რუსეთის ეკლესიას მისცა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს თანდათან უცხოელები (ბერძნები და სომხები) დაეპატრონენ და გულმოდგინედ დაიწყეს მონასტრებში არსებული ქართული კეალის წაშლა. (ამის თვალსაჩინო მაგალითია ამ ბოლო დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის გარშემო ატეხილი სკანდალიც).

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოციქულო ეკლესია რუსეთის სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ქართველი სასულიერო პირები მაინც წმიდა მიწისაკენ, ათონისაკენ, მიისწრაფოდნენ. ქართველ სამღვდელოებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში ნამსახურები ბერები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მცდელობა, 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აღედგინა კავშირი საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან, უშედეგო აღმოჩნდა. 1921–1970 წლებში, საბჭოთა „რკინის ფარდის“ პირობებში, ეს კიდევ უფრო გართულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქები – უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II და დავით V – სარეკომენდაციო წერილებს უგზავნიდნენ იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს, რათა ათონის ივერთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაღების უფლება მიეცათ კინორეჟისორ ირაკლი ონოფრიშვილისა და გურამ პატარაიასათვის, დაეშვათ იქ სამუშაოდ ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე). უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავისი მღვდელმთავრობის პერიოდში, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების ხელმძღვანელმა, მიზნად დაისახა საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებთან კავშირის აღდგენა. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ათონის ივერთა მონასტერი. ამ მონასტრის ისტორიას მიუძღვნა მან თავისი საკვალიფიკაციო შრომა და ვრცელ დასკვნაში მკაფიოდ განსაზღვრა ათონის ივერთა მონასტრის როლი საქართველოს ისტორიაში. ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტად ყოფნის დროს იგი არაერთხელ შეხვდა ქართველ მეცნიერებს და მათთან ერთად იმსჯელა, რა უნდა გაკეთებულიყო ათონის ივერთა მონასტერთან დასაკავშირებლად. 1970 წელს მიტროპოლიტი ილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს სწერდა: „ქალბატონო ელენე, გამახარა თქვენმა წერილმა და ზ. ალექსიძის „ეპისტოლეთა წიგნმა“. გმადლობთ ყურადღებისათვის. მეც მინდა გაგახაროთ სასიამოვნო ამბით. არქიმანდრიტ აბელის საშუალებით ვიპოვეთ გზა, რომლითაც დაეუკავშირდებით ივერიის მონასტრის ხელნაწერებს. მივიღე წერილი თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორ ტახიკოსისგან, რომელიც გეპირდება დახმარებას.“

1978 წლის სექტემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში მოწვეულ ათონის მთის გუბერნატორს დიმიტრიოს ცამისს ეიზიტის ისეთი პროგრამა შესთავაზა და ქართული სტუმართმასპინძლობის ისეთი მადლი აჩვენა, რომ აღფრთოვანებულმა გუბერნატორმა თბილისიდან გამგზავრების წინ განაცხადა: „ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს წუთები, როდესაც არ შეიძლება გამოითქვას გრძნობები, რომლებიც მას ეუფლება. ყველა სიტყვა, რომელიც შეიძლება მე ვთქვა, ღარიბი და უფერული იქნება ჩემს განცდებთან შედარებით."[81] ბატონ ცამისის სახით საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ძლიერი მხარდამჭერი იპოვა.

1979 წლის 5 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ათონის ივერთა მონასტრის საბჭოს მიმართა: „აღსდგეს ის კაშერი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის. ამ მიზნით ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ წარმოვგზავნოთ თქვენთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან სამი მეცნიერი, რომელნიც გადაიღებენ ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს."[82] უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას განუმარტავდა ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობას საქართველოსათვის და სთხოვდა მხარდაჭერას, რათა მონასტერში გაგზავნილიყო ოთხი ქართველი ბერი, თან დასძენდა: „თუ ეს შეგვძელით, ჩვენს მეცნიერებსა და ეკლესიას ექნებათ მუდმივი კაშერი ამ საუკუნესთან და იქ დაცულ ძვირფას ქართულ ნივთებს ეყოლება თავისი კანონიერი პატრონი და გულშემატკივარი."[83]

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1983 წელს განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ათონის ივერთა მონასტრის დაარსებიდან 1000 წლისთავი. მონასტრის საბჭოსადმი გაგზავნილ მილოცვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ათონის ივერთა მონასტერი მარადჟამს იყო და დარჩება საქართველოს სამოციქულო დედა ეკლესიის სულის განუყოფელ ნაწილად. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს ძალისხმევით, ათონის მონასტრების ბერები არაერთხელ ესტუმრნენ საქართველოს, მოილოცეს ქართული ეკლესია–მონასტრები, შეხვდნენ ქართველ სასულიერო პირებს, მეცნიერებს. პატრიარქთან შეხვედრებმა ისინი განსაკუთრებული მადლიერებით აღავსო. 1987 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში ისინი აღნიშნავდნენ: „შვილიერი გრძნობით ვუსურვებთ თქვენს ღირსეულ უნეტარესობას ჯანმრთელობას და ღვთაებრივ ძლიერებას, რათა მაცხოვნებელი სიტყვა უქადაგოთ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს. ვითხოვთ თქვენს ღვთაებრივ ლოცვებს და ყველანი, საერთო კრების წარმომადგენლები, ათონის წმიდა მთის ოცივე წმიდა მონასტრის წინამძღვრები, ვრჩებით უღრმესი პატივისცემით."[84]

უწმიდესისა და უნეტარესის სურვილით საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი, წმიდა ათონის მთასთან, იქ არსებულ მონსტრებთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობა გრძელდება. ათონზე დაწერილი არაერთი ხატია დავანებული საქართველოში მოქმედ ეკლესიამონასტრებში. ილია II-მ ათონის წმიდა მთის ვატოპედის მონასტრის ბერების სტუმრობისას (2011 წლის 17-24 თებერვალი) გაიხსენა ათონის წმიდა მთაზე თავისი სტუმრობა: „მახსენდება ჩემი ვიზიტი ათონის წმინდა მთაზე. იქ, კარეაში, სადაც ათონის მთის წმიდა კინოტი იკრიბება ვიჯექი საპატრიარქო ტახტზე და ყველა ბერი ჩემ გარშემო იყო შემოკრებილი, მე გამოცდა მოვუწყე მათ. ასე ვუთხარი: ახლა უნდა გამოგცადოთ, როგორი თავმდაბლობა და მორჩილება გაქვთ. აბა, მომიახლოვდით და ყველამ დამლოცეთ მეთქი. ზოგიერთი შეშინდა და დაიბნა, მაგრამ ზოგიერთი მოვიდა და მართლაც დამლოცა და ეს დალოცვა დღესაც მშველის და მომავალშიც შემეწევა".

2011 წლის 20 თებერვალს სამების საკათედრო ტაძარში ათონის მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ეფრემმა ამ სიტყვებით დაახასიათა უწმიდესი და უნეტარესი ილია II: „ის, რამაც განგვაცვიფრა, არის მთელი ქართველი ერის

საოცარი ერთგულება და მიძღვნა თავისი პატრიარქისადმი! ჩემი აზრით, საქართველოს ეკლესიას ჰყავს თავმდაბალი პატრიარქი, რომელიც ყოველადწმიდა ღვთისმშობლის უდიდესი მადლის ღირსი შეიქმნა და ეს მოახდინა დედა ღვთისმშობელმა, რომ ამდენი წელია მას ხალხის მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა აქვს".

XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა ოცნება, ჰქონოდათ კავშირი ათონის წმიდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან, რეალობად იქცა. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს.

უწმიდესისა და უნეტარესის სურვილით საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი.

XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა ოცნება,ჰქონოდათ კავშირი ათონის წმიდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან,რეალობად იქცა. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს.

უწმიდესი და უნეტარესი ასეთივე დიდი მონდომებით შეუდგა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კავშირის აღდგენას. იერუსალიმის პატრიარქთან, უწმიდეს ბენედიქტესთან შეხვედრისას ის პირველად შეეხო ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხს. მოლაპარაკებები გაგრძელდა პატრიარქ დიოდოროსის I-ის დროსაც. პატრიარქმა ილია II-მ კარგად იცოდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოსათვის ძნელი გადასაწყვეტი იყო ეს საკითხი. მისი უწმიდესობა საქართველოს საერო ხელისუფლებას მეტი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. იგი 1987 წლის 5 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ზურაბ ჩხეიძეს სწერდა: „იერუსალიმში ოფიციალური ვიზიტის დროს შევხვდი პატრიარქ დიოდოროს I-ს და დავაყენე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადმოცემის საკითხი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნები ჩვენს თხოვნას ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, თუმცა შეგეპირდნენ საკითხის განხილვას. საჭიროა მთავრობის დახმარება. წარმატების შემთხვევაში თქვენ დაიმსახურებთ ჩვენი ხალხის სამუდამო მადლიერებას."

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხის მოგვარებაზე მუშაობს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი მეცნიერთა და ბიზნესმენთა ჯგუფი. ისრაელის მთავრობა, ქართველი ებრაელობა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ასეთ ვითარებაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძენმა ბერებმა შეზღუდეს მონასტერში ქართველთა შეშვება,გაურკვეველ ვითარებაში დაზიანდა რუსთაველის ფრესკა. ამ სამწუხარო ფაქტების მიუხედავად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება და ჯვრის მონასტერი აუცილებლად დაუბრუნდება საქართველოს.

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა ილია II-მ 1979 წლის 9–15 მაისს, ბულგარეთში ვიზიტის დროს, მოინახულა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი,რომელიც 1083 წელს ძმებ ბაკურიანისძეთა მიერ არის დაარსებული. ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდესმა მაქსიმემ განაცხადა, რომ მზად იყო ნებისმიერ დროს მიეღო ქართველი ბერები ამჟამად ბაჩკოვოს მონასტრად წოდებულ პეტრიწონში.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1977–2007 წლებში მოილოცა საზღვარგარეთ არსებული ყველა ეკლესია–მონასტერი, სადაც კი ქართველებს უღვაწიათ, სადაც ქართული სიწმინდეებია დაცული, პატივი მიაგო ჩვენს სახელოვან და ისტორიის მიღმა დარჩენილ უსახელო გმირებს, რომელნიც ემსახურებოდნენ დედაეკლესიას, დედასამშობლოს. უწმიდესმა და უნეტარესმა მოახერხა დაკავშირებოდა 1927 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გასულ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ ილია მელიას.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართველი სალხის სულიერი ერთიანობის სიმბოლოა. საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებთან საუკუნეთა მანძილზე გაწყვეტილი კავშირის აღდგენით მან საქართველოს სამოციქულო

ეკლესიას ძველი სიდიადე და ქრისტიანულ აღმოსავლეთში გამორჩეული მისია დაუბრუნა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად გამორჩეული იყო ქართველ წმინდანთა სიმრავლით. ჩვენი ეკლესია ღვაწლსა და თავდადებას არ უკარგავდა არც სასულიერო და არც საერო პირებს. თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან ქართველ წმინდანთა ცხოვრების მაგალითზე. XIX საუკუნეში რუსი ეგზარქოსები ცდილობდნენ, ქართველობას დაეცილებინა ეროვნულ წმინდანთა დღესასწაულები. XX საუკუნეში, ბოლშევიკური ათეისტური მმართველობის ხანაში, განსაკუთრებით 20–70-იან წლებში, როდესაც ეკლესიის საქმიანობის არეალი შეზღუდული იყო, ხოლო წმიდა სინოდის შემადგენლობა – არასრული (5–7 მღვდელმთავარი), ახალი წმინდანების კანონიზაციაზე ფიქრი არასერიოზულად აღიქმებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შესანიშნავად იცოდა, რომ ეკლესიის სისუსტეზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ორი საუკუნის მანძილზე მას წმინდანად არავინ შეურაცხავს. ამიტომ, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, 1979 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა სასულიერო და საერო მეცნიერთა კომისია, რომელსაც უნდა ემსჯელა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ახლო მომავალში წმინდანებად შესარაცხ პირთა შესახებ.

XX საუკუნის 80–იანი წლების ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა საბჭოური აზროვნებისა და ღირებულებების მსხვრევით დაიწყო. ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯი საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ გადადგა. 1987 წლის 20 ივლისს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ლოცვა–კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ილია ჭავჭავაძე შეირაცხა წმინდანად და ეწოდა მას „წმიდა ილია მართალი“. უწმიდესმა და უნეტარესმა შესანიშნავად ახსნა ამ დიდი პიროვნების ღვაწლი: „ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსათვის საბედისწერო ჟამს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც საქართველოს ეკლესიას მოკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს, როდესაც ქართველი ინტელიგენცია და თავადაზნაურობა იყო უმოქმედო და კმაყოფილი რუსეთის იმპერატორისგან ბოძებული თანამდებობებით და ჩინ–მედლებით. ამ დროს ღვთის განგებით მოგვევლინა ილია ჭავჭავაძე, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც „სმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა“, როგორც სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, როგორც მქადაგებელი და წინამძღვარი. მან აღასრულა თავისი თავდადებული ცხოვრებით მცნება უფლისა: „რომელ ჰნებავს შემდგომად ჩემდა, უარჰყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯვარი თჳისი და შემომიდგებიან მე“ (მათე 16,24). მან აღასრულა უფრო მეტიც, მხოლოდ თავისი ჯვარი კი არა, მთელი ერის ჯვარი იტვირთა.“[86]

ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. მწერალთა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1987 წლის 23 ნოემბერს დაბეჭდა ინტერვიუ უწმიდესსა და უნეტარეს ილია II–სთან სათაურით „მართალი ვითარცა ფინიკი აღიყუაენეს“. პატრიარქმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა აღიარებაა არა მარტო ილიას პიროვნებისა, არამედ იმ დიდი საქმისა და იდეალებისა, რომელთაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა.

ეროვნულ–სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისთავადობის იდეალების ერთგულებისათვის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა–კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით 1995–2017 წლებში წმინდანებად შეირაცხნენ კათოლიკოსები: პეტრე I და სამოელი; კათოლიკოს–პატრიარქები: მელქისედეკ I, კირიონ II და ამბროსი (ხელაია), კალისტრატე (ცინცაძე); ქუთაისელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელო კრებული მისი; ეპისკოპოსები: ზოსიმე კუმურდოელი, ალექსანდრე (ოქროპირიძე), გაბრიელი (ქიქოძე); მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთაისელი და ექვთიმე გაენათელი; იმერთა მეფე სოლომონ I, იმერთა მეფე სოლომონ II, ცოტნე დადიანი, საქართველოს

ეროვნული ღირსების დასაცავად მსხვერპლად შეწირული დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი; მღვდელ–მონაზონნი: თეოდორე აჭარელი, ილარიონ ქართველი, იოანე (მაისურაძე), გიორგი (მხეიძე), გრიგოლი (ფერაძე), ალექსი (შუშანია), ექვთიმე (კერესელიძე), კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, თეოდორე კველთელი, გაბრიელ ბერი, წმიდა მოწამენი ქართველნი, სპარსეთში მოწყვეტილნი– უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდანთა დასში შერაცხვით ხელახლა გააცისკროვნა მათი დიდნი საქმენი და გააძლიერა ზეციური საქართველო. თითოეული წმინდანის ხსენების დღეს პატრიარქი მორწმუნე ქართველობას შეახსენებს მათ ღვაწლსა და თავდადებას სამშობლოსა და დედაეკლესიისათვის. საქართველოში შეიქმნა ახლად შერაცხილ წმინდანთა ხატები, მათ სახელზე შენდება ეკლესიები. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით, ძნელბედობის ჟამს გაფერმკრთალებული დიდი საეკლესიო დღესასწაულები კვლავ საზეიმო და ტრადიციული გახდა.

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის მართვა–გამგეობის, შიდასაეკლესიო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, XX საუკუნეში, ცამეტი საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელნიც მიეძღვნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს–პატრიარქების არჩევნებს, ეკლესიის მართვა–გამგეობის დებულებათა დამტკიცებას. ეს დებულებები დამტკიცდა 1917, 1927, 1945, 1995 წლებში. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში ჩატარდა მე-12 საეკლესიო კრება (1977წ.) და მე-13 გაფართოებული კრება (1995 წ.), რომელმაც დაამტკიცა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა–გამგეობის ახალი დებულება. უწმიდესისა და უნეტარესის დიდი ძალისხმევის შედეგია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეკლესიამ 2002 წლის 14 ოქტომბერს გააფორმა კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) სახელმწიფოსთან, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ შეთანხმების თანახმად, „ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო სამართლის ნორმებით. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედსა და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებსა და საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს, სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ–კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“.[87] ამ შეთანხმების ხელმოწერით აღმოიფხვრა ის უსამართლობა, რომელსაც ბოლშევიკური ხელისუფლება ახორციელებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ (დევნა–შევიწროება, იურიდიული სტატუსის ჩამორთმევა) და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობის წინაპირობა გახდა.

ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია – ქართველთა ერთიანობის სიმბოლო

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ქართველი ხალხის თავისუფლების სიმბოლოა. შუა საუკუნეებში მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში საერო პირებთან ერთად სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. დედაეკლესია არა მარტო სულიერად ამხნევებდა სამწყსოს, არამედ საჭიროების შემთხვევაში ბრძოლის წინა ხაზზეც იდგა. მრავალმა სასულიერო პირმა მოწამებრივი სიკვდილით იხსნა სამშობლო განსაცდელისაგან. თეიდორე კველთელის მაგალითი ნათელი დასტურია სასულიერო პირთა თავდადებისა და სიმტკიცისა.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ბაგშვობამ და სტუდენტობამ საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩაიარა, მაგრამ მისი ოჯახი ვლადიკავკაზში საქართველოს სიყვარულით იყო აღსავსე. გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილმა უმცროს ვაჟიშვილს ქართლ–კახეთის გმირი მეფის – ერეკლე II–ის პატივსაცემად ირაკლი დაარქვა. ბუნებრივია, პატარა ირაკლი ხშირად მოისმენდა ოჯახში სამშობლოსათვის თავდადებული „პატარა კახის“ ბრძოლების შესახებ. ვლადიკავკაზის ქართველობისათვის მნიშვნელოვანი იყო წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და ქართული სკოლა. გარდა ამისა, იქიდან მშობლიურ სნომდე ხომ ერთი საათის გზა იყო გასავლელი. შიოლაშვილების ოჯახი ზაფხულს ტრადიციულად ხევში – სნოში ატარებდა. მომავალი პატრიარქის მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წმიდა ქალაქ მცხეთაში საუფლო კვართის დღესასწაულებზე დასწრებას.

სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის დროს ახალგაზრდა ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა სამშობლოს სიყვარული. საპატრიარქოს არქივში ირაკლი შიოლაშვილის სემინარიისდროინდელ საბუთებში ინახება მის მიერ ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის – ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი წერილის ასლი. ახალგაზრდა სემინარიელი არაერთხელ აცრემლებულა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ანტონ II–ის ტრაგიკული ცხოვრების გამო. იგი გაოცებული იყო უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II–ის გაუტეხელობითა და სამშობლოსათვის თავდადებით. მის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა კათოლიკოს–პატრიარქი კალისტრატე, რომელმაც დალოცა იმხანად ყმაწვილი, მომავალი კათოლიკოს–პატრიარქი. სტუდენტ ირაკლი შიოლაშვილის საკვალიფიკაციო თემაც – „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“ – სამშობლოსა და დედაეკლესიას ეძღვნებოდა.

საქართველოში დაბრუნებული მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დიდი ყურადღებით უსმენდა საქართველოს ეკლესიის ცოცხალ მატიანეებს: კათოლიკოს–პატრიარქ ეფრემ II-ს, ეკაგრე დიასამიძეს, პართენ აფციაურს, ნაომ შავიანიძეს. ცხუმ–აფხაზეთში, თითქმის გარუსებულ ეპარქიაში, თავისი მღვდელმთავრობის პერიოდში, მან 12 ქართველი სასულიერო პირი ჩაიყვანა და მოქმედ ეკლესიებში გადაანაწილა. როგორც ჩანს, მისმა ოპონენტებმა იცოდნენ მიტროპოლიტ ილიას პოპულარობა ქართველ დისიდენტებში, ამიტომ სიამოვნებით აფრინეს მოსკოვში დეპეშა მომავალი პატრიარქის კომუნისტური სისტემისადმი უარყოფითი განწყობის შესახებ.

მოსკოვის მიზანი, 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ანგარიშსწორებით დაეშინებინა ხალხი, უშედეგო აღმოჩნდა. სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სულ მალე თბილისში გამოჩნდა პრობლემატიები: „დგება ჩვენი ერის ყოფნა–არყოფნის საკითხი, დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად.“[88] დამპყრობელი საბჭოთა იმპერია კიდევ უფრო აძლიერებდა ზეწოლას მოკავშირე რესპუბლიკებზე, ინტერნაციონალიზმის დროშით დაუნდობლად

ებრძოდა ეროვნული ცნობიერების საფუძვლებს: საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან განდევნილ იქნა საქართველოს ისტორიის სასწავლო საგანი.

ასეთი დაუფარავი რუსიფიკაცია ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილებისა და ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საფუძველი გახდა. XX საუკუნის 60–იან წლებში რამდენიმე არალეგალური ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელთა მიზანი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა იყო. ეროვნული მოძრაობის მესვეურნი სასულიერო პირებთან კონტაქტის მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი რიგების გაძლიერებას, მაგრამ, რადგან სასულიერო პირთა უმრავლესობას საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი 1920–50–იანი წლების რეპრესიები, გადასახლება, ტერორი, მათი ეროვნულ მოძრაობაში ჩართვა სათუო იყო. ახალგაზრდა სასულიერო პირები ეროვნული მოძრაობისათვის დიდი მონაპოვარი იქნებოდა. ჯერ მღვდელმონაზონი, შემდეგ ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ საქმეს აკეთებდა – ახალი სასულიერო კადრების მომზადება, საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან ურთიერთობის აღდგენა, ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის თუ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის განმტკიცება– თითოეული მისი ნაბიჯი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდობის შთაგონების საფუძველი გახდა. პატრიარქის მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ქადაგებები ყველა ქართველის გულს სალბუნად ედებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ქართველ მეფეთა და წმინდანებად შერაცხულ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ხსენების დღეების განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა. ათასობით ახალგაზრდა კვლავ დაუბრუნდა თავის ისტორიულ ფესვებს და გატაცებით დაიწყო მრავალტანჯული საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. გასული საუკუნის 70–80–იან წლებში ყველაზე პრესტიჟულ სპეციალობებად ისტორიკოსობა და ფილოლოგობა იქცა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინებით დაიწყო. XX საუკუნის 70–80–იან წლებში ქართველ ახალგაზრდებში პოპულარული გახდა არა ყამირსა და ბამზე გამგზავრება შრომითი სემესტრებში, არამედ ისტორიული მნიშვნელობის ეკლესია–მონასტრების აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა. ჟამთა სიავისაგან მიტოვებულ სიწმიდეთა აღდგენამ და მოვლა–პატრონობამ ახალგაზრდობა კიდევ უფრო დააახლოვა დედაეკლესიასთან. ახალგაზრდები უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს მოქმედი რუსული სამხედრო პოლიგონის გაუქმებასა და ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედებას, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის სასწავლო კურსის გაძლიერებას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეული კომუნისტური დღესასწაულების – 7 ნოემბრის, 1 მაისის, 25 თებერვლის, ლენინის დაბადების დღის – გაუქმებასა და საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი თარიღების – დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ხსენების დღის, საქართველოს გაქრისტიანების, დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, 26 მაისის, – აღნიშვნას. ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძალისხმევით, საქართველოში აზროვნების წესის შეცვლის პროცესი შეუქცევადი გახდა. ისტორიის ასპარეზზე კვლავ გაბრწყინდნენ კომუნისტური იდეოლოგიისაგან გაფერმკრთალებული გმირები და მოწამენი: საქართველოს დიდნი მეფენი, კათოლიკოს–პატრიარქნი, წმინდანები, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ან ემიგრაციაში აღსრულებულთა

სახელები– საბჭოთა იმპერიის ნგრევის პროცესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

XX საუკუნის 70-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს: „ჩვენმა ეკლესიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის საქმეში. ჩვენმა ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა სწორედ აქ დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა– როდესაც ეკლესიაში ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მოსვლის შესახებ ვსაუბრობთ, მინდა განვმარტო, ამის მიზეზი იყო არა იმდენად რწმენა, რამდენადაც ძიება რწმენისა. მათ უკვე აღარ სწამდათ კომუნისტური იდეებისა და ეკლესიას მოაშურეს, რწმენა და სულიერება მათ ეკლესიამ მისცა“.[89] ამ ვითარებაში საბჭოთა სპეცსამსახურებმა აამოქმედეს XX საუკუნის 20–იან წლებში ჩადებული ნაღმები და ეროვნული თავისთავადობისათვის მებრძოლ ურჩ რესპუბლიკებში ხელი შეუწყვეს უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნთა სეპარატისტულ მოძრაობას. თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ ქართველობას აფხაზი და ოსი სეპერატისტების მეშვეობით უპირისპირდებოდნენ რუსეთის რეაქციული ძალები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა კიდევ უფრო პოპულარული გახდა 1988 წლის ნოემბრის მასობრივი აქციების შემდეგ. 1989 წლის მარტ–აპრილში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების გამწვავების ფონზე, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. 1989 წლის 4 აპრილიდან საპროტესტო აქციების ცენტრად თბილისი, მთავრობის სასახლის წინა მოედანი იქცა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა იყო მთავარი, რამაც მოსკოვის განრისხება გამოიწვია. მოსკოვის საკავშირო მთავრობის მითითებით, ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება 8 აპრილს მთავრობის სასახლის წინა მოედნის მომიტინგეთაგან ძალით განთავისუფლების შესახებ. დედაქალაქში სიტუაცია უმართავი გახდა. მომიტინგეთა რაოდენობა იზრდებოდა. თბილისის ვაზიანის აეროპორტში სამხედრო თვითმფრინავებით ათასობით ჯარისკაცი ჩამოიყვანეს. დედაქალაქის ქუჩებში სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა. ღამის 12 საათზე ტანკები სიონის ეკლესიასთან, სანაპირო ქუჩაზე გამოვიდნენ. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადაწყვიტა მისულიყო მთავრობის სასახლესთან. „ღამის 3 საათზე მე მივედი მთავრობის სასახლესთან და იქ მყოფნი გავაფრთხილე, რომ საშიშროება რეალური იყო. ვთხოვე, სალოცავად შესულიყვნენ იქვე ახლოს მდებარე ქვაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო, ისინი არავის არ ემუქრებოდნენ და ამიტომაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათ წინააღმდეგ ხელკეტებს, ნიჩბებს და მომწამვლელ გაზს გამოიყენებდნენ. თუმც არ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ საშინელმა წინათგრძნობამ მომიცვა და გადავწყვიტე, მათთან ერთად დავრჩენილიყავი, რომ მათი ხვედრი გამეზიარებინა“,[90] – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა. მთავრობის სახლის წინ საშინელი ანგარიშსწორება დაიწყო, კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები დაუნდობლად არბევდნენ მომიტინგეებს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხალხმა სამშვიდობოზე გაიყვანა.

გათენდა 9 აპრილი. თბილისი საბჭოთა ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ხალხი შავი დროშებით გამოვიდა ქუჩებში და ასე გამოხატა პროტესტი მომხდარის გამო. დაიღუპა 21 და მოიწამლა ათასობით ადამიანი. 9 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში დაღუპულთა მოსახსენებელი პირველი პანაშვიდი გადაიხადა და მათ სამშობლოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულები უწოდა. – ჩვენ ვგლოვობთ, მაგრამ ამავე დროს, ვმადლობთ ღმერთს, რომ გვყოლია მრავალი გმირი, რომლებიც მზად არიან თავი შესწირონ სამშობლოს. მათი სახელები უკვდავია,– თქვა მან.

პანაშვიდის დროს ხალხი ტიროდა. საღამოს სიონის საპატრიარქო ტაძარში თოთხმეტი გარდაცვლილი მოასვენეს. ეს იყო უმძიმესი დღეები ყველა ქართველისათვის,

უმძიმესი იყო მისი უწმიდესობისათვის, რომელსაც, რთული ვითარების მიუხედავად, უნდა გაემხნევებინა სრულიად საქართველო. ვერც კომენდანტის საათმა და ვერც რეპრესიებმა ვერ შეარყია ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ადამიანები მასობრივად ტოვებდნენ საბჭოთა კავშირის კომპარტიის რიგებს, მანდატებს კი კოცონზე წვავდნენ.

9 აპრილის მოვლენების შემდეგ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება ნომინალური გახდა. საბჭოთა იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა. საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მცდელობა, გაევრცელებინათ დეზინფორმაცია, თითქოს 9 აპრილს გააფთრებული მომიტინგეების აგრესიისაგან საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II რუსმა სამხედროებმა იხსნეს, თვითონ უწმიდესისა და უნეტარესის მკაცრმა განცხადებამ ჩაშალა: „ცენტრალურ პრესაში არაერთხელ დაიწერა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინოთ და ჯარებმა ჩემი დაცვის მიზნით გამომიყვანეს, ეს სწორი არ არის. პირიქით, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები დაიძრნენ, ჩემს წინ ახალგაზრდებმა კედელი აღმართეს, რათა ხიფათი არა შემმთხვეოდა რა“.[91]

უწმიდესი და უნეტარესი სინანულით აღნიშნავდა: „დადგა დრო უფროსი თაობის ჯერ არნახული დაუნდობელი ლანძღვისა იმ საბაბით, თითქოს მან დაღუპა საქართველო. ის კი გვაიწყდება, რომ XIX–XX საუკუნეებში ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები შედეგი იყო სწორედ ქართველთა სულიერი დონის დაკნინებისა, სულმოკლეობისა, ურთიერთმტრობისა“.[92] პატრიარქი გრძნობდა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებად დაქსაქსულ ქართველ ერში გაღრმავდებოდა ურთიერთდაპირისპირება, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე შედეგებით დასრულდებოდა. მისი ინიციატივით, 1990 წლის 19 მარტს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა სიონის საპატრიარქო ტაძარში ერთიანობის ფიცი დადეს: „ამ დღეს იმძლავრა ჩვენში მიძინებულმა სიყვარულმა, შეერთდა დაქსაქსული ქართული სული, სინანულის მადლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით აღვსილი ერთგულების ფიცით წარსდგა ღვთის წინაშე — ღმერთმა ისმინოს მათი, ღმერთმა დალოცოს და შეკრას საქართველო. “[93]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში აფრთხილებდა ქართველობას, ყოფილიყო მიმტევებელი, დიდსულოვანი და წინაპართა ღვაწლის დამფასებელი, რომ შეჯიბრი და ქიშპობა, ვინ უფრო კარგი ქართველია, ვის უფრო უყვარს ჩვენი სამშობლო, შეუწყნარებლობა განსხვავებული შეხედულებების მიმართ და გაცხარებული პოლემიკის დროს ერთმანეთის შემკობა სამშობლოს მოღალატის იარლიყით საქართველოს მომავლისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. „თავისუფლება არ არის ყველაფრის უფლება, არამედ იგია მუდმივი თვითკონტროლი და მისი საშუალებით ცოდვის მონობისაგან თავის დაღწევა; თავისუფლება მშვენიერია, სასურველი და ახლობელი, მაგრამ იგი, ამავე დროს, საშიშიცაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. თავისუფლება ადამიანს აძლევს არჩევანის, ინიციატივის გამოჩენის, შეხედულებების შეცვლის საშუალებას... მაგრამ, ამავე დროს, პასუხსაც სთხოვს ყველა მის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე“,[94] — აღნიშნავდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

1989 წლის 9 აპრილიდან 1990 წლის ოქტომბრამდე საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა იყო. ნომინალურად კვლავ ფუნქციონირებდა საბჭოთა სტრუქტურები: კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო, მაგრამ რეალური ძალაუფლება ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელში იყო. მათი მოთხოვნით, 1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ, სპეციალური დადგენილებით, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში ჯარების შემოყვანა შეფასა როგორც ანექსია და ქვეყნის ოკუპაცია. ამავე დადგენილების საფუძველზე, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ შექმნილი სტრუქტურები ფაქტობრივად უკანონოდ გამოცხადდა და მათ

თვითლიკვიდაციისაკენ გადადგეს ნაბიჯი. 1990 წლის გაზაფხულამდე საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთიანი იყო, ხოლო 1990 წლის 13–15 მარტს მოწვეულ ეროვნულ ფორუმზე გამოიკვეთა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული ხედვა. ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავი იჩინა დაპირისპირებამ, რომელიც კარგად გამოიყენეს ჯერ კიდევ ძლიერმა საბჭოთა სპეცსამსახურებმა. ეროვნული მოძრაობის ორი ძირითადი მიმართულება ურთიერთბრალდებებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. მათ ლიდერებს სურდათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას არჩევანი გაეკეთებინა ამ ორ მიმდინარეობას შორის. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიიჩნევდა, რომ ეკლესია არის ერის მთლიანობის სიმბოლო, რომ ქართველები, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, ეკლესიის სულიერი შვილები არიან. ეკლესია არ უნდა გამხდარიყო პოლიტიკურ დაპირისპირებათა ადგილი. პატრიარქის სიტყვებით „ჭეშმარიტ თავისუფლებას ზეცად ახჯავს ადამიანი, ანიჭებს რა მას მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას, მაგრამ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და მასში ფესვგადგმულ მანკიერებებთან. ეს რთული პროცესია და სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება."[495]

სამწუხაროდ, პატრიარქის სიტყვას ისმენდნენ, მაგრამ ეიფორიაში მყოფი ადამიანები სხვა გადაწყვეტილებებს იღებდნენ. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ საქართველოში დამარცხდა კომუნისტური ხელისუფლება და გაიმარჯვა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ფრთამ, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. უზენაესი საბჭოს ამ ისტორიულ სხდომას მიესალმა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ახალმა ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო კომუნისტური სისტემის დემონტაჟი: 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რასაც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა; 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა; ზვიად გამსახურდია 26 მაისს გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. როგორც მან განაცხადა, იწყებოდა საქართველოს გოლგოთა. ჯერ კიდევ არსებულმა საბჭოთა იმპერიამ საქართველოს წინააღმდეგ აამუშავა მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი: საინფორმაციო ომი, ეთნოკონფლიქტების ინსპირირება აფხაზეთსა და შიდა ქართლში, არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამას დაერთო ხელისუფლების გარეთ დარჩენილ ოპოზიციურ პარტიათა მკვეთრი დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გრძნობდა შექმნილი ვითარების სერიოზულობას. იგი საპატრიარქო რეზიდენციაში ხვდებოდა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის, ინტელიგენციის, ხელისუფლების წარმომადგენლებს, მოუწოდებდა, რომ მოლაპარაკებათა გზით გადაეწყვიტათ არსებული უთანხმოებანი. საპატრიარქოში შეხვედრებზე მიწვეული პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ისმენდნენ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აზრს, რომ „დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნოება კი არ უპირისპირდება, არამედ, ცრუ სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშვებულობა ცვლის, რომელიც ისევ ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.."[496] მაგრამ კლავაც იმავეს აგრძელებდნენ. უწმიდესი და უნეტარესი აფრთხილებდა გაუთავებელი მიტინგებითა და ურთიერთბრალდებებით დამძიმებულ ქართველობას: „გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ლანძღვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით, კარგი იდეების გაზიარებით. სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა დამლუპველია."[497]

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი ვერ ითვალისწინებდა ისტორიის მწარე გაკვეთილებს. ჯერ კიდევ XV საუკუნის 40–50–იან წლებში, როდესაც ბიზანტიის იმპერია უკანასკნელ

დღეებს ითვლიდა, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი აგრესიული ოსმალეთი გამოდიოდა. იმის ნაცვლად, რომ მოსალოდნელი საშიშროება გაეთვალისწინებინათ, ქართველი მეფე–მთავარნი ურთიერთდაპირისპირების ჭაობში გადაეშენენ და შედეგად XVI–XVIII საუკუნეებში პროვინციებად დაშლილიყვნენ–ოსმალეთის სათარეშოდ ქცეული საქართველო მივიღეთ. 1990–1991 წლებში, როდესაც საბჭოთა იმპერიამ საქართველოს სახით პირველი თავისუფლებისმოყვარე ურჩი რესპუბლიკა მიიღო და მის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა, ქართველობას ერთსულოვნება და მონოლითურობა სჭირდებოდა. ანტიქართული ისტერიის კოცონი გიზგიზებდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ქართველობა ურთიერთდაპირისპირებისა და მიტინგების ფერხულში ჩაება. ეროვნული ხელისუფლების სერიოზული შეცდომა იყო ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა, თუმცა ოპოზიციაც ვერასოდეს გაიმართლებს თავს იმით, რომ 1991 წლის 4 სექტემბრის ინციდენტითა და საპროტესტო მოძრაობის აღმავლობით დიდ ეროვნულ საქმეს ვაკეთებდითო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კიდევ ერთხელ სცადა საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების განმუხტვა. „მიუხედავად იმისა, რომ სულსა და ხასიათში გვიზის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, რომ ვჩქარობთ, ბევრ შეცდომას ვუშვებთ“,[98] – აღნიშნავდა იგი. მან 1990 წლის სექტემბერში მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები თავის რეზიდენციაში მიიწვია მოსალაპარაკებლად. მის უწმიდესობას თავისი ხელით ჩამოუწერია მოლაპარაკებაზე განსახილველი საკითხები: „1. ორიენ მხარემ შეინარჩუნოს პოზიციები; 2. შეჩერდეს გამოსვლები; 3. პრეზიდენტმა გააკეთოს განცხადება, რომ ხალხი წავიდეს სახლებში; 4. დაინიშნოს უზენაესი საბჭოს სესია; 5. ტელევიზიაში დაინიშნოს ოპოზიციის საათი; 6. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები; 7. აღიარებულ იქნეს ოპოზიცია.“[99] სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ მოხერხდა...

1991 წლის ოქტომბერ–ნოემბერში საქართველოში დაიწყო უმართავი პროცესები, რომლებიც გადაიზარდა 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის სამოქალაქო დაპირისპირებაში. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სამხედრო ძალით იქნა დამხობილი. ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მცდელობა, შეეჩერებინა ეს პროცესი, უშედეგო აღმოჩნდა. უწმიდესმა და უნეტარესმა 1991 წლის 23 დეკემბერს კიდევ ერთხელ მიმართა ქართველ ერს: „უმძიმესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისულია დაღუპვის პირამდე, იღერება ქართველთა სისხლი, საქართველოს ემუქრება სამოქალაქო ომი. ვხედავთ რა დაძაბულ სიტუაციას, მოვუწოდეთ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისაკენ, რათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო პრობლემები, თავიდან აგვეცილებინა ძმათა სისხლისღვრა. დიალოგი მართლაც შედგა, მაგრამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ვგრძნობთ რა მომავალ მძიმე შედეგებს, საქართველოს ეკლესიის, სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის სახელით, კიდევ ერთხელ მოგმართავთ დაპირისპირებულ მხარეებს: გამოიჩინეთ სიბრძნე და გონიერება, იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე და ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტოთ სადავო საკითხები, მომავალი თაობა დააფასებს თქვენს კეთილგონიერებას.“[100] სამწუხაროდ, ერის სულიერი მამის შეგონება არც ამჯერად შეისმინეს.

სამოქალაქო დაპირისპირებამ საქართველოში არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ცხოვრების ღრმა კრიზისიც გამოიწვია. „ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არ არის, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასათვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით. საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში, მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, დაუპირისპირდა თაობები, ოჯახის წევრები“.[101]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხელახლა შეუდგა ერის სულიერი გამთლიანების

რთულ პროცესს. ამავე დროს, პატრიარქმა საქართველოსათვის თავსმოხვეული ინსპირირებული კონფლიქტების პირობებში, როდესაც ქვეყანა რეალურად დადგა ისტორიული ტერიტორიების წართმევის საფრთხის წინაშექმეყნის სათავეში სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე მოსულ ხელისუფლებას კი არანაირი ავტორიტეტი არ ჰქონდა, თვითონ იკისრა ახალი ქართული სახელმწიფოს საერო და სასულიერო მეთაურის მისია. მან ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს და აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ბრალი დასდო რუსეთის იმ ძალებს, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გაეროს გენერალურ მდივანს – ბატონ ბუტროს გალის მოსთხოვა, მსოფლიო თანამეგობრობას დაეცვა საქართველო რუსეთის აგრესიისაგან, ხოლო რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს – ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა აღკვეთილიყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შეიარაღებული ბოევიკების შემოსვლა, რუსეთის სამხედრო ბაზებიდან საბრძოლო ტექნიკის შემოტანა და დაუფარავი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

სრულიად საქართველოს კათლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გრძნობდა, რომ, თუ საქართველოში სამხედრო ხელისუფლების შემდეგ არჩევნების გზით მოსული ახალი ხელისუფლება არ გადადგამდა ქმედით ნაბიჯებს ეროვნული შერიგების, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების, საერთაშორისო აღიარებისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ, საქართველოს ახლადშექმნილ სახელმწიფოს მომავალი არ ექნებოდა. პატრიარქი აფრთხილებდა იმ ადამიანებს, რომელთაც თავისუფლება ყველაფრის უფლებად მიაჩნდათ: „განა შეიძლება ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი იქ, სადაც უარს ამბობენ ზნეობრივ ცხოვრებაზე და მის ნაცვლად პროპაგანდა ეწევა „ყველაფერი ნებადართულია“-ს პრინციპს? ნუთუ ნორმალური ყოფა ეთქმის იმ გარემოს, სადაც ადამიანის კატასტროფული სულიერი დაცემის პროცესს თავისუფლებისაკენ სწრაფვად სახელსდებენ და საშინელი ცოდვის მონობას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად აცხადებენ?“[102]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების, 1992–1993 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მიხედვით დაქუცმაცებულ საქართველოში ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების სიმბოლო იყო.

საქართველოსათვის ერთ–ერთ მტკივნეულ პრობლემად აფხაზეთის საკითხი იქცა. აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიზანი იყო საქართველოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოსპობა და გარუსებული მხარის რუსეთის შიდაგუბერნიებთან ინტეგრირება. რუსეთის ხელისუფლება მთელი შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ახახლებდა შიდა გუბერნიებიდან წამოყვანილ მოსახლეობას, რითაც ავიწროვებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. იგი ყოველთვის ცდილობდა ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებას. ის, რაც XIX საუკუნეში ვერ მოახერხა რუსეთმა, XX საუკუნის დასაწყისიდან წარმატებით განახორციელა. აფხაზების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა ქართველთაგან გაუცხოების ტენდენცია. გარუსებული აფხაზებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ იმ დროს საქართველოს მთავრობამ მოახერხა სეპარატისტული ტენდენციების აღკვეთა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ავტონომიებად დაქუცმაცების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მოსკოვის წაქეზებით, ანტიქართულმა მოძრაობამ მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა. ამ დროს არაერთი წიგნი და სტატია დაიბეჭდა აფხაზების, გააფხაზებული ქართველებისა და რუსების ავტორობით, რომლებშიც გაყალბებული იყო აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხები. გაყალბებული ისტორია იქცა აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგიურ

საფუძველად. ქართველ ისტორიკოსებს უფლება არ ჰქონდათ,პასუხი გაეცათ ისტორიის გამყალბებლებისათვის. შეიქმნა პარადოქსული ვითარება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები 300000–ზე მეტი ქართველი განიცდიდა დისკრიმინაციას 80 ათასი აფხაზისაგან. აფხაზობა პრივილეგიად იქცა. ბევრმა ქართველმა ვერ გაუძლო წნეხს და გააფხაზდა. გულია, ლასურია, ლაბახუა, კანია, წერეთელი, აბაშიძე, ვახანია, ჯანჯალია და სხვა ძირძველი ქართული წარმოშობის გვართა მქონენი აფხაზებად მოგვევლინენ. ცხუმ–აფხაზეთის ეპარქია ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ ქართული მოსახლეობის მცირედმორწმუნეობის გამო აფხაზეთის ტერიტორიაზე მძლავრობდა რუსული მრევლი, რომელსაც არ სურდა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა. რელიგიის საქმეთა რწმუნებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ა. ლაგვილავა აქტიურად თანამშრომლობდა სეპარატისტულ ძალებთან და ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის შესუსტებას.

საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პარალელურად აფხაზეთში კიდევ უფრო ძლიერდებოდა სეპარატისტული ტენდენციები. მოსკოვის მხარდაჭერით აფხაზებს ჰქონდათ საკუთარი ტელევიზია, აფხაზური უნივერსიტეტი. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შეფასებისას, როდესაც ქართველ დეპუტატებს მოსკოვში სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, უკრაინამ, მოლდოვამ, საქართველოს დელეგაციაში მყოფმა აფხაზებმა და ოსებმა რუსეთის რეაქციული ძალების პოზიცია დაიკავეს. ხელოვნურად შექმნილი ხიდჩატეხილობა სახეზე იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ. 9 აპრილი) აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით დაიწყეს ჯერ პროვოკაციები,ხოლო 1992–1993წლებში– ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციები. მათ ისარგებლეს საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ–პოლიტიკური მდგომარეობით და რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილებისა და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების დახმარებით დაიწყეს ქართველთა მასობრივი ხოცვა–ულეტა. მისმა უწმიდესობამ საგანგებო წერილით მიმართა აფხაზებს: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ – აფხაზეთში, კვლავ იღვრება სისხლი გარეშე ძალების ჩარევით. ეს ის ძალები არიან, რომელნიც ასაზრდოებენ ცენტრიდანულ ელემენტებს, ისინი კი, უტოპიური იდეებით შეპყრობილნი, მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის დაყოფას; მაგრამ ეს ცდები ამაოა. აფხაზეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც ქართლი, იმერეთი, სამეგრელო... საუკუნეთა მანძილზე ჩვენ და აფხაზი ხალხი ვცხოვრობდით ერთად და კვლავაც ვიცხოვრებთ,ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო ერთი მიწა-წყალი,არამედ – ნათესაური კავშირი და ურთიერთპატივისცემა. მამაშვილური სიყვარულით მივმართავ ყველას: ნუ ჩაიდენთ დანაშაულს, რომლისაც მერე შეგრცხვებათ, ვიცხოვროთ დალოცვილ საქართველოში ერთად, მშვიდობითა და თანხმობით“.[103]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე ხაზგასმით ღნიშნავს, რომ პრობლემები, რომელნიც რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში არსებობს, დაკავშირებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან; საქართველო არასოდეს შეურიგდება ამ ტერიტორიების დაკარგვას; რუსეთს სამხრეთი საზღვრების სტაბილურობისათვის ერთიანი საქართველო უნდა სჭირდებოდეს. პატრიარქი თავის ეპისტოლეებში არაერთხელ შეეხო აფხაზეთის საკითხს. უწმიდესი და უნეტარესი მოუწოდებს განსაცდელში ჩავარდნილ ქართველობას, არ გაბოროტდეს: „სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს. ალბათ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვკლებია – ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მატარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დააკარგვინოს, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს“. საქართველოს

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელოება გადანაწილებულია იმ ეპარქიებში, რომლებშიც ლტოლვილები ცხოვრობენ. პატრიარქი ხვდება მათ, ამხნევებს და აფასებს მათ თავდადებას, სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირულთათვის იხდის სულის მოსახსენებელ პანაშვიდებს. ილია II მიანიშნებს აფხაზეთიდან დევნილებს, რომ ერთიანობა, უფლისა და სამშობლოს სიყვარული არის ის მთავარი, რამაც უნდა დაგვაბრუნოს აფხაზეთში. ქართველთა ურთიერთდაპირისპირებამ და გაუტანლობამ დიდი როლი შეასრულა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში. ისტორიის გაკვეთილები იმისათვის გვჭირდება, რომ აღარ გავიმეოროთ შეცდომები. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვაკურთხევით არაერთი წიგნი გამოვიდა აფხაზეთზე, მის წარსულსა და მომავალზე, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, რომელთა მიზანი ერთია – პასუხი გაეცეს ისტორიის გამყალბებლებს, მოინახოს აფხაზეთთან მეგობრული ურთიერთობისა და ნდობის აღდგენის გზები, რათა ქართველებმა და აფხაზებმა მეგობრულად იცხოვრონ ერთიან საქართველოში. აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტობრივად ოკუპირებულია, გააქტიურებულია ორი მიმდინარეობა, რომელთაგან ერთს სათავეში უდგას დეკანოზი ბესარიონი (ყოფილი ფილია აწ აპლიად გარდასახული – ს.ვ.). იგი თავის თავს აცხადებს „აფხაზეთის ეკლესიის მეთაურად“ და ცდილობს რუსეთის ეკლესიასთან შეერთებას აფხაზეთში მართლმადიდებლობის განმტკიცების საბაბით, ხოლო მეორე ჯგუფს – დოროთეი დბარი და მისი ჯგუფი, რომელმაც 2010-2011 წლებში შეადგინა ისტორიული ფაქტების დამახინჯებით ე.წ. „აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორია“ და დაუგზავნა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს. წერილში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ და რომ საეკლესიო თვალსაზრისით უკვე IV საუკუნიდან არსებობდა აფხაზთა საკათოლიკოსო. წერილში ჩამოთვლილია XV-XVIII საუკუნეებში აფხაზი კათოლიკოსები თავისი ქრონოლოგიით. ჯერ ერთი ე.წ. „აფხაზეთის“ საკათოლიკოსო, რომელიც VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა ყოველთვის იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე. მისი წარმოქმნა უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს მეფეთა მკვეთრად გამოხატულ ქართულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ-კულტურულ მოღვაწეობას, რომლის საბოლოო მიზანი ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკური სამყაროს შეკერა და ქუთაისის ტახტის ეგიდით საერთო-ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო. დოროთეი დბარი ასახელებს რა XV-XVIII საუკუნეების აფხაზთა კათოლიკოსებს საგანგებოდ ჩქმალავს მათ ვინაობას, ისინი იყვნენ: ქვარიანი, ჩხეიძე, ნემსაძე, ერისთავი, აბაშიძე, შერვაშიძე, წულუკიძე, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე, მაჭუტაძე. XIX საუკუნეშიც ეგზარქოსობის ხანაში, აფხაზეთის ეპარქიის მმართველნი იყვნენ: გერმანე გოგოლაშვილი, გერონტი პაპიტაშვილი, ალექსანდრე ოქროპირიძე, გაბრიელ ქიქოძე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ყოველთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. აქ მოღვაწეობდნენ: წმიდა ამბროსი აღმსარებელი, მიტროპოლიტები: იოანე მარგიშვილი, მელქისედეკ ფხალაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, რომანოზ პეტრიაშვილი, ილია შიოლაშვილი, ნიკოლოზ მახარაძე, დავით ჭკადუა, დანიელ დათუაშვილი, ეპისკოპოსი პავლე ჯაფარიძე, ანტონ გიგინეიშვილი, ლეონიდე ქვანია. დბარმა მოახერხა რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად მსოფლიო საპატრიარქოში ყოველადუწმიდეს ბართოლომეოსთან შეხვედრაც და მოითხოვა აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები აღიარებენ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას და დბარის სურვილები განუხორციელებელ ოცნებად დარჩება. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამავე დროს არის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარები საქართველოს

ტერიტორიაზე შემოიჭრა, 9 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის ბომბდამშენები გორს, ნიქოზს, სენაკს, თბილისის შემოგარენს ბომბავდნენ, დაიბომბა მახათას მთა, თბილისის საავიაციო ქარხნის ტერიტორია, კოჯრის მიდამოები... თბილისის მოსახლეობის ნაწილი, ჩვილბაგშვიანი დედები სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიას შეეფარნენ იმ იმედით, რომ აქ უფრო დაცულნი იქნებოდნენ. მთელი ის ღამე პატრიარქი სამების ტაძარში იმყოფებოდა და ამხვევდა ხალხს...

15 აგვისტოს უწმიდესი და უნეტარესი ილია II კონფლიქტის ზონაში შეივიდა. პატრიარქი პირველად ოკუპირებულ ქალაქ გორს ესტუმრა, შეხვდა საოკუპაციო ჯარის ხელმძღვანელობას, ეპარქიაში მიტროპოლიტ ანდრიას, შემდეგ კი გაემგზავრა ცხინვალის რაიონში. უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევით მოხერხდა ასობით გარდაცვლილის გადმოსვენება და ქრისტიანული წესით დაკრძალვა, დაჭრილების გადმოყვანა. პატრიარქის ნიქოზში ჩასვლამ კიდევ უფრო დიდი სულიერი ძალა მისცა მიტროპოლიტ ესაიას, ეპარქიის სამღვდელოებას, იქ დარჩენილ მოსახლეობას.

2008 წლის 17 აგვისტოს პატრიარქმა საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა: „ჩვენმა ჩასვლამ იქ იმედი ჩაიტანა". ერის სულიერმა წინამძღოლმა მოუწოდა სამწყსოს: „დღეს, როგორც არასდროს, ერი უნდა იყოს ერთ მუშტად შეკრული. გვჭირდება ერთი ძალა, ერთი ნება, რომ ვძლიოთ მტერს". 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ საერთაშორისო თანამეგობრობის მკაცრი პროტესტის მიუხედავად, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა" აღიარა. ამასთან დაკავშირებით მან ოფიციალურად განაცხადა: „რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ. სეპარატიზმი გადამდები, ცენტრიდანული, საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს და თუ მას სერიოზული გასაქანი მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინდომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებელი ომები. მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ დიმიტრი მედვედევსა და პრემიერმინისტრს, ვლადიმირ პუტინს – საქართველოდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა მეტად საშიშია, თვითონ რუსეთისათვის. ეს მისცემს ბიძგს თქვენს ქვეყანაშიც სეპარატიზმის განვითარებას და მომავალშიც თქვენ გაცილებით მეტი პრობლემა გექნებათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოშია".

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული ყურადღებითაა გამსჭვალული სამეგრელოს რეგიონის მიმართ. სამეგრელოს მოსახლეობა ბოლშევიკურ–ათეისტური მმართველობის ხანაშიც ახერხებდა მართლმადიდებლური სარწმუნოების ტრადიციების დაცვას. 1992–1993 წლების სამოქალაქო ომმა ყველაზე დიდი უბედურება სამეგრელოს დაატეხა თავს. სამხედრო გადატრიალების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულიადამიანებიგერასოდესგაიმართლებენთავისისტორიის წინაშეიმგანუკითხაობისა და თანამოძმეთა ძარცვა–რბევის გამო, რომელიც ამ კუთხის მცხოვრებთა თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საგანგებოდ მიმართა საქართველოს უძველესი კუთხის – სამეგრელოს მკვიდრთ: „ქრისტესმიერ საყვარელნო სულიერნო შვილნო, მრავალგზის ყოფილა საქართველო განსაცდელში, მაგრამ, ღვთის მადლით და ძალით, ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოსულა გაჭირვებიდან. მსგავს შემთხვევებში ჩვენი ქვეყნის ძირძველი კუთხე, სამეგრელო, განსაკუთრებით იცავდა საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას... საჭიროა ჩვენი ერის ერთსულოვნება, საქართველოს მთლიანობა, ურთიერთმიმტევებლობა, ჩვენ ყველამ კიდევ ერთხელ დავინახეთ და საკუთარ თავზე გამოვცადეთ, რომ არ არსებობს სხვა გზა, გარდა შენდობისა და მიტევებისა, ბოროტება აძლიერებს და ამძლავრებს ბოროტებას. მისი მკურნალი მხოლოდ სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა, ესაა ქრისტიანობა... უნდა გეახსოვდეს, რომ ერისათვის გადამწყვეტ ისტორიულ პერიოდში მუდამ მძაფრდებოდა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ახლაც ასეთი ჟამი უდგას

საქართველოს... ამან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა დაგვაბრკოლოს. მე მჯერა, სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს და მშვიდობა, რწმენა და სიყვარული კვლავ დაისადგურებს ჩვენს გულებსა და მთელ საქართველოში."[105]

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პატრიარქობის პერიოდში სამჯერ იმოგზაურა სამეგრელოში (1989, 1998, 2007 წლებში), მოილოცა ყველა ეკლესია–მონასტერი, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, მარტვილში შეხვდა საზოგადოებრობის წარმომადგენლებს, ინახულა აფხაზეთის კონფლიქტის დროს ტრაგიკულად აღსრულებული ჟიული შარტავას მშობლები, ანუგეშა ისინი და კიდევ ერთხელ გაიხსენა აფხაზეთის ომში დაღუპულნი, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის მებრძოლნი, რომელთა ღვაწლიც დიდია ღვთისა და სამშობლოს წინაშე. თუ 1977 წელს სამეგრელოს რეგიონში მხოლოდ ერთი – ჭყონდიდის ეპარქია იყო, პატრიარქის ღვაწლით, 2007 წლისათვის მოქმედ ეპარქიათა რაოდენობა 5–მდე გაიზარდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, წმინდანებად შეირაცხნენ ამ კუთხის ღირსეული შვილები: დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, ბერი ალექსი შუშანია. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ცდილობს შეუმსუბუქოს, განუქარვოს სამეგრელოს მკვიდრთ გადატანილი მწუხარება და ტკივილი.

2013 წლის 10-12 მაისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სტუმრობდა ჭყონდიდისა და ფოთის ეპარქიებს. მოილოცა აბაშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი, დალოცა შეკრებილი მრევლი და წარმატებები უსურვა ჭყონდიდელ მიტროპოლიტ პეტრეს. შემდეგ ესტუმრა ხობის ახლადაღდგენილ სამონასტრო კომპლექსს, რომელიც აშენდა ბიზნესმენ გოდერძი ბუკიას ფინანსური მხარდაჭერით. პატრიარქმა მოილოცა ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის XI საუკუნის ტაძარი, სადაც საუკუნეების განმავლობაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი იყო დაბრძანებული. 12 მაისს კვირაცხოველობის დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან ერთად საზეიმოდ აკურთხა ფოთის საკათედრო ტაძარი. უწმიდესმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ კუთხისადმი: „სრულიად საქართველოს სამეგრელოს სახით დიდი ბურჯი ჰყავს, რადგან აქ ჩამოსული კაცი განსაკუთრებულად გრძნობს, რომ საქართველოშია. გრძნობს განსაკუთრებულად მდუღარე სიყვარულს და მზაობას იმისა, რომ ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში არ დაიშუროს თავისი ძალ-ღონე და თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად, სახელმწიფო ერთიანობის მტკიცე საფუძველი შექმნას". უწმიდესმა და უნეტარესმა ფოთის საკათედრო ტაძრის განახლება ასე შეაფასა: „ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს... ამ დიდებული ტაძრის აღდგენას! ეს ტაძარი აღდგომის სახელობისაა და იგი საქართველოს განახლებისა და აღდგენის სიმბოლოა".

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში სამსახური დაიწყო 1960 წელს აჭარაში, ბათუმის საკათედრო ტაძარში. იქ მსახურების პერიოდში მან კიდევ უფრო ახლოს გაიცნო აჭარა, ამ კუთხის ტრაგიკული ისტორია შუა საუკუნეებში. სწორედ აჭარიდან გადმოვიდა ქრისტეს მოწაფე ანდრია პირველწოდებული აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად. შუა საუკუნეებში აჭარაში გამორჩეული იყო თუხარისის, ასიზის, ფორთას, ანჩის, ნინოწმიდის, ტბეთის, ბანას, სოტიროპოლის საეპისკოპოსოები; მაგრამ XVI საუკუნიდან, ოსმალთა მძლავრობით, ამ კუთხეში დაიწყო ქრისტიანული კერების მოსპობა და მოსახლეობის გამაჰმადიანება. XIX საუკუნის 70–იან წლებში აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი

ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე – ყველაფერს აკეთებდნენ, რათა აჭარის ქართველობას, სარწმუნოებრივი გაუცხოების მიუხედავად, მოეხერხებინა მჭიდრო კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

1917 წლის 9–17 სექტემბერს ჩატარებულმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმ–შემოქმედის ეპარქიის შექმნის შესახებ. ეპარქია არსებობდა 1930–იან წლებამდე, ხოლო 50–იანი წლებიდან ისევ აღორძინდა. ეპარქიას სხვადასხვა დროს განაგებდნენ მიტროპოლიტები: დავით კაჭახიძე, ეფრემ სიდამონიძე, რომანოზ პეტრიაშვილი. 1963 წელს, წმიდა სინოდის განჩინებით, არქიმანდრიტი ილია აღყვანილ იქნა ბათუმ–შემოქმედელი ეპისკოპოსის ხარისხში; მეუფე ილია 1967 წლის 1 სექტემბრამდე განაგებდა აღნიშნულ ეპარქიას. ამ დროს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა,ხელი შეეშალა აჭარაში ქრისტიანობის აღორძინებისათვის. როდესაც მიტროპოლიტი ილია გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, თავის სამუშაო დღიურში, უპირველეს საქმეთა შორის, აჭარაში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ზრუნვა ჩაინიშნა. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, ეპარქიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე მღვდელმთავრები – შიო (ავალიშვილი), კონსტანტინე (მელიქიძე), იობი (აქიაშვილი), დიმიტრი (შიოლაშვილი) – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოსახლეობაში მისიონერულ საქმიანობას.

1989 წლის 19 აპრილს აჭარაში მომხდარ სტიქიურ უბედურებას მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჩავიდა აჭარაში,მოინახულა სტიქიის ზონა, ანუგეშა ხალხი: „მე მოვალედ ჩავთვალე თავი, მოვსულიყავი ამ ადგილზე და თანაგრძნობა მეთქვა თქვენთვის... აჭარა საქართველოს უძვირფასესი კუთხეა. აქ იყვნენ პირველი ქრისტიანები. გახსოვდეთ, არასოდეს არ გეჭირდებოდა ერთიანობა ისე,როგორც გეჭირდება დღეს. ერთად უნდა ვიყოთ. იმ ტრაგედიის წუთებიდან მთელი საქართველო თქვენთან იყო,ასევე – ეკლესიაც. ასე უნდა ვიყოთ სულ... უნდა გითხრათ, რომ გუშინ საოცარი დღე იყო. ხუთი ათასზე მეტი კაცი მოინათლა ბათუმში. ვისაც გსურთ, აქაც მოგნათლავთ, გამოვგზავნი მღვდელმთავრებს, თუ საჭირო იქნება, მეც ჩამოვალ და მოგნათლავთ. ნათლობა ეს არის სულის გადარჩენა...“[186]

უწმიდესისა და უნეტარესის ამ მიმართვას საოცარი ფერისცვალება მოჰყვა – აჭარაში დაიწყო ქრისტიანობისაკენ მოსახლეობის შემობრუნების პროცესი. საქართველოს სულიერი მწყემსმთავრის სიტყვები – ხშირად განსაცდელი მშვიდობისა და კეთილდღეობის წინამორბედიაო – აჭარის მოსახლეობისათვის დიდ ნუგეშად იქცა.

უწმიდესი და უნეტარესი 1990–2007 წლებში არაერთხელ ეწვია აჭარას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 2003 წელი, როდესაც მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-თან ერთად იმოგზაურა აჭარაში. უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა განცვიფრება ვერ დამალა, იმდენად დიდი იყო სხვაობა მისი პირველი ვიზიტის შემდეგ. უწმიდესისა Uდა უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, აჭარაში 1726 წელს ქრისტეს რწმენის ერთგულებისათვის მუსლიმანი თურქების მიერ წამებული ქართველნი წმინდანებად შეირაცხნენ. წმინდანთა დასს შეემატა აგრეთვე აბუსერიძე ტბელი.

აჭარამ ბევრ განსაცდელს გაუძლო და დედასამშობლოს, ქრისტიანული რწმენის დარაჯად დარჩა.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს ისტორიული საქართველოს იმ ნაწილის ცხოვრებას, რომელიც დღეს თურქეთის საქართველოდ – ტაო–კლარჯეთ–ლაზეთად არის ცნობილი. შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ–სულიერი და კულტურულ–საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებულია ტაო–კლარჯეთის როლი. თითოეულმა წიგნიერმა ქართველმა იცის არტანუჯის,ოპიზის,ხანძთის,შატბერდის,პარეხის,ბერთას,წყაროსთავის, ანჩის, ოშკის, იშხანის, ხახულის, ბანას ეკლესია–მონასტრები, პატივს სცემს იქ მოღვაწე

სასულიერო პირებს,რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. ტაო–კლარჯეთის ეკლესია–მონასტრების, წმიდა ხატების, უნიკალური საეკლესიო წიგნების გარეშე ხომ წარმოუდგენელია საქართველოს ისტორია. ტაო–კლარჯეთის ტერიტორიაზე იყო 14 საეპისკოპოსო: მაწყვერელის,კუმურდოელის,იშხნელის,ანჩელის, მტბევარის, წურწყაბელის, ერუშნელის, ვალაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელის და დადეშნელის, არზრუმელის... XVII საუკუნის 60–იან წლებში ეს საეპისკოპოსოები გააუქმეს ოსმალებმა. „ეპისკოპოსნი იელტოდიან კეალადცა, რომელთა არა ინებეს გამაჰმადიანება: ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს“,[107] – დანანებით წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.

XIX საუკუნეში ისტორიული ტაო–კლარჯეთის ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს... 1921 წელს კი, საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტური თურქეთის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებით, ტაო–კლარჯეთი და ლაზეთი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადავიდა...

საბჭოთა იმპერიის პერიოდში ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირება თითქმის წარმოუდგენელი იყო. გასული საუკუნის 70–იან წლებში კინოოპერატორებმა გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა ნახევრად არალეგალურად მაინც მოახერხეს ტაო–კლარჯეთის სიწმინდეთა გადაღება. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის ლოცვა-კურთხევით წმიდა სინოდმა 1978 წელს მიიღო გადაწყვეტილება,რომ მაწყვერელის ეპარქიის ნაცვლად შექმნილიყო ახალციხისა და სამცხე–ჯავახეთის ეპარქია, ხოლო წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, ახალციხის ეპისკოპოსის სამწყსოს დაემატა ტაო–კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია,რომელიც აერთიანებს ამ ტერიტორიაზე ისტორიულად არსებულ 14 საეპისკოპოსოს. სინოდის ამ განჩინებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქცია განიერცო ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოსა და თურქეთს შორის დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში შესაძლებელი გახდა ტურისტულ ჯგუფებში გაერთიანებულ მომლოცველთ მოელოცათ ტაო–კლარჯეთის ქართული სიწმინდენი, შეხვედროდნენ თურქეთის ქართველობას.

2003 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სინოდის წევრებთან ერთად ესტუმრა ტაო–კლარჯეთს, მოილოცა ხახულის, ოშკის, იშხნის მონასტრები. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I–თან,ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ პეტრე VII–სთან ერთად იმყოფებოდა ისტორიულ კაბადოკიაში. პირველად,მრავალი საუკუნის შემდეგ, წირვა–ლოცვა აღელენინა წმიდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ტაძარში. წირვას უმეტესად ქართველი მრეველი ესწრებოდა. ყველანი გრძნობდნენ ისტორიული მომენტის სიდიადეს. აღელვებული იყო უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ც. „წმიდა მამები ამბობენ, რომ არსებობს სულთა კავშირი,– ბრძანა მან,– და ჩვენ გეწამს, რომ დღეს, ჩვენთან ერთად, აქ იმყოფებიან წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ბასილი დიდისა და სხვათა, კაბადოკიელ მამათა და დედათა სულები. აღვაღენთ ლოცვებს, რომ მშვიდობა, სიხარული, სიყვარული სუფევდეს ჩვენს შორის.“[108]

მსოფლიოს ასამდე ტელევიზია იღებდა ლიტურგიის მსახურებას, მილიონობით ადამიანი უყურებდა ამ ეკლესია–მონასტრების ისტორიულ პატრონებს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქსა და იმ ქართველებს, რომლებიც მას ახლდნენ. თურქეთის ქართველობას დედასამშობლოსთან სიახლოვის, ქართველობით გამოწვეული სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაუმაგრდა. Uუწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, საქართველოში გაიმართა თურქეთში მცხოვრები ქართველების (ჩვენებურების) ხალსური სიმღერისა და ცეკვის კონცერტი. თურქეთის ქართველობა დედასამშობლოს, წინაპართა მიწის ყივილს გრძნობს... უწმიდესი და უნეტარესი ილია II არასოდეს არ ივიწყებს მათ: „განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძნობებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო,ჩვენ სისხლითა და ხორცით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ,

რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმიდა მიწაში; ნუ დაივიწყებთ, ვინა ხართ, გახსოვდეთ ღვთისგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებული წმინდა ქართული ტრადიციები... ჩვენ მარად გვახსოვხართ და დღედაღამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის გამთლიანებისთვის."[109]

ისტორიული უკუღმართობით 1921 წლიდან აღმოსავლეთ კახეთის ნაწილი – ჰერეთი (საინგილო) – საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა. ეს კუთხე საქართველოს ისტორიაში ცნობილი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებითა და ჩრდილო კავკასიაში წარმოებული მისიონერული საქმიანობით. აქ მოქმედი ქურმუხისა და გიშის საეპისკოპოსოები დიდ როლს ასრულებდნენ ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში. XVI საუკუნეში ირანელთა მხარდაჭერით ამ ტერიტორიაზე მძლავრობენ ლეკები, „ლეკიანობასთან" ბრძოლა გაგრძელდა XVIII–XIX საუკუნეებშიც.

1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ისტორიული ჰერეთის – საინგილოს სამწყსო ბოდბელის ეპარქიაში შედიოდა. 1921 წლიდან, აგრესიული ათეიზმის ხანაში, აზერბაიჯანის კომუნისტურმა ხელისუფლებამ არაერთი ეკლესია–მონასტერი დაანგრია საინგილოში, დახოცეს სასულიერო პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინგილოთა ნაწილი მაჰმადიანია, ისინი თავიანთ თავს ქართველებად თვლიან და იმედის თვალი საქართველოსკენ აქვთ მოპყრობილი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საინგილოში სამოღვაწეოდ გაუშვა სასულიერო პირები, ხოლო 1997 და 2005 წლებში კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარის შეიხ ალ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს მიწვევით ორჯერ იმოგზაურა საინგილოში. უწმიდესმა და უნეტარესმა მოილოცა კახის, ბელაქნის, ზაქათალის რაიონებში არსებული ქართული ეკლესია–მონასტრები, შეხვდა და ესაუბრა მოსახლეობას, გადასცა მათ საეკლესიო წიგნები, ხატები. უწმიდესი და უნეტარესი ასე აღწერდა საინგილოში სტუმრობას: „ყველა სოფელში, სადაც კი მივედით, ხალხი ანთებული გულებით, ანთებული სანთლებითა და პურ–მარილით გვხვდებოდა. ბევრი მათგანი სიხარულისგან ტიროდა. მთავარი ის იყო, რომ დედასამშობლოს მოწყვეტილმა იქაურმა ქართველებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო ახლა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, იგრძნეს, რომ ისინი უპატრონონი არ არიან... ხშირად მესმოდა, როგორ ამბობდნენ: ჩვენ არაფერი არ გვინდა, ჩვენ მხოლოდ გვინდოდა დაგვენახა საქართველოს პატრიარქიო. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რამ სჭირდებათ, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ჩვენს ყურადღებასა და გულის სითბოს საჭიროებენ."[110]

პატრიარქის გადაწყვეტილებით, 2002 წლის 17 ოქტომბერს შეიქმნა ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია, რომელიც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიასაც მოიცავს.

2001 წელს ირანის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის მიწვევით ირანში ვიზიტისას მისმა უწმიდესობამ მოინახულა ფერეიდანი, შეხვდა იქაურ ქართველობას და გაამხნევა ისინი. პატრიარქის ფერეიდნიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოაშურა არაერთმა იქაურმა ქართველმა. სამშობლოში ჩამოსული ფერეიდნელების პატრონი და მასპინძელია მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. ფერეიდნელი ქართველები მის უწმიდესობას ოცნების საქართველოდან ჩამოსულს უწოდებენ. მისი უწმიდესობა ხშირად იმეორებს ფერეიდნელთა საოცარ ლოცვას – „ღმერთს ებარებოდეთ".

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობდა მესხეთის პრობლემებზე. XX საუკუნის 70–იან წლებში ამ კუთხეში წირვა–ლოცვები აღესრულებოდა სომხურ მონოფიზიტურ და კათოლიკურ ეკლესიებში, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია საერთოდ არ ფუნქციონირებდა. მესხეთ–ჯავახეთი, როგორც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო ზონა, მოწყვეტილი იყო დანარჩენ საქართველოს. აწყურის იქით გადასვლა სპეციალური საშვის გარეშე შეუძლებელი იყო. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში ჩაეწერა, რათა დაუბრკოლებლად გადასულიყო სამცხე–ჯავახეთში. მისი ძალისხმევით მოხერხდა წმიდა მარინეს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის ამოქმედება ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში. 1988 წლის ივლისში პატრიარქმა სასულიერო და

საერო პირებთან ერთად იმოგზაურა სამცხე–ჯავახეთში. თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი მესხეთი, კარგად ჩანს მისი უწმიდესობის სიტყვიდან: „ჩვენს პერიოდში გაუგებრობითა და წარსული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით, რაც მტრებს გადაურჩა, ჩვენ გავანადგურეთ. ფაქტია, რომ დღევანდლამდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახალციხეში უკანასკნელ პერიოდში ეპარქიის აღდგენას, ამ უძველეს კულტურულ სამყაროში ერთი ეკლესიაც არ მოქმედებდა... საქართველო იქაა, სადაც ღმერთს ქართულ ენაზე ადიდებენ. ასე რომ,ჩვენ გვაქვს საერთო საზრუნავი: სამშობლოს ბედნიერება, ხალხის კეთილდღეობა. ამაში ეკლესიას ძალიან ბევრი შეუძლია.“[111]

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამცხე–ჯავახეთის ყველა ეკლესია–მონასტერი მოილოცა, შეხედა ქართველ კათოლიკეებს, მონოფიზიტ სომხებს. მან ამ სიტყვებით მიმართა ქართველებს: „ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ეს მიწა–წყალი თქვენი საპატრონოა, რადგან იგი თქვენი იყო და არის. თქვენ ცხოვრობთ იქ, სადაც დაიწყო ჩვენი ქრისტიანობა,ქართული კულტურა... უნდა გახსოვდეთ ისიც,რომ რწმენა,რომელიც გადმოგცეს წინაპრებმა,არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ. ამ რწმენამ გადაგარჩინათ თქვენ და მთლიანად საქართველო. ამიტომ გარჯა, მოვლა–პატრონობა და თვალისჩინივით გაფრთხილება სჭირდება ყველაფერს. ვინც ეს დაივიწყა და მიატოვა მამა–პაპის კერა, ნაანდერძევი სარწმუნოება, ის გადაგვარდა; რწმენის დაკარგვას ეროვნების დაკარგვა მოსდევს.“[112]

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ ფარავნის ტბასთან, იქ, საიდანაც მოციქულთა სწორი წმიდა ნინო წამოვიდა ეახის ჯვრით მცხეთაში, დაეფუძნებინა მონასტერი. იმ დროს ეს გადაწყვეტილება ოცნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას, მაგრამ, ღვთის შეწევნით, მოხერხდა როგორც მამათა, ასევე დედათა მონასტრების დაფუძნება. უწმიდესი და უნეტარესი იხსენებს: „1988 წლის ივლისში სამცხე–ჯავახეთში ვიმოგზაურე და წმიდა ადგილები და ტაძრები დავათვალიერე,გადავწყვიტე,რომ ამ მხარეში რამდენიმე ტაძარი და მონასტერი უნდა აშენდეს, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება ფარავნის ტბამ მიიპყრო, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა წმიდა ნინოს ძალა და მადლი. საერო ხელისუფლებისაგან მივიღე ნებართვა იმის თაობაზე,რომ ტბის იმ ნაპირზე,სადაც წმიდა ნინო ბრძანდებოდა, საეკლესიო ცენტრი აშენდეს. აქვეა სოფელი ფოკა, რომელშიც მე-11 საუკუნეში აგებული წმიდა ნინოს სახელობის მშვენიერი ბაზილიკა დგას, ნახევრად დანგრეული, ქართული ასომთავრული წარწერებით დამშვენებული. სამწუხაროდ, სოფელში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, რომ ამ წმიდა ეკლესიაში სანთელი მაინც აანთოს. წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესასწაული, რომელიც პირველ იენისს დაწესდა, ყოველ წელს ზეიმით უნდა ჩავატაროთ ფარავნის ტბასთან.“[113]

ჯავახეთის ძირძველ მიწაზე ქართული წირვა–ლოცვა აღდგა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 2007 წლის ივლისში კვლავ იმყოფებოდა სამცხე–ჯავახეთში, მოილოცა იქაური სიწმინდენი და კმაყოფილი დარჩა იქაური ეკლესია–მონასტრების საქმიანობით. ქართველი მორწმუნენი ყოველწლიურად მოგზაურობენ წმიდა ნინოს გზაზე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხშირად სტუმრობს იმერეთს, რაჭა–ლეჩხუმს, სვანეთს. ქუთაისი, ცაგერი, მესტია და ამბროლაური სიყვარულითა და მოწიწებით ეგებება თავის სულიერ წინამძღოლს. პატრიარქის სიტყვა, მისი მოწოდება რწმენის სიდიადის, სამშობლოს სიყვარულის, წინაპართა ტრადიციების დაცვის თაობაზე ძვირფასია თითოეული ქართველისათვის. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით, მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სვეტიცხოველობას სრულდება დიდი ნათლობა, ინათლება ათასობით ქართველი. „ნათლობით ადამიანი ხელახლა იბადება, ეკლესიის წევრი და ქრისტეს ნაწილი ხდება,თავისუფლდება როგორც ადამისმიერი პირველქმნილი შეცოდებისაგან, ისე – ყველა სხვა ცოდვისაგან, აღსდგება მასში ხატება ღვთისა, ენიჭება სულიწმიდის მადლი და ყველა სიკეთე მისი“.[114]

პატრიარქი წარმოშობით მთის შვილია, მთები და აქაფებული თერგი თავისკენ

იზიდავს მას. როდესაც საქმე ხევში წასვლას ეხება, მისთვის არ არსებობს დაღლა და მოუცლელობა. ხევში არ არის სოფელი, სალოცავი, სადაც პატრიარქის ღვაწლით წირვა–ლოცვა არ აღესრულებოდეს. დარიალის ხეობაში, რუსეთ–საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს, უწმიდესის ლოცვა–კურთხევით შენდება წმიდა მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის – სახელობის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც თავისი დანიშნულებით მრავალმხრივი დატვირთვის იქნება: იგი იქცევა კარიბჭედ და, ამავე დროს, პირველ მასპინძლად ჩრდილოეთიდან საქართველოში შემოსულთათვის და ყველა თავიდანვე იგრძნობს, რომ ისინი ქრისტიანულ ქვეყანას ესტუმრნენ.

უწმიდესი და უნეტარესი აუცილებლად შეიელის ხოლმე სოფელ სნოში, საგვარეულო სასაფლაოზე სანთლებს აანთებს, პარაკლისს გადაიხდის, დიდი წინაპრის – შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრში შეხვდება სოფლის მცხოვრებთ, მოილოცავს გერგეთის სამებას, მონასტრის ეზოდან თვალს მოავლებს მარადიული თოვლით დაფარულ მყინვარწვერს, სტეფანწმიდას, დარიალის ხეობაში ხმაურით მიმავალ თერგს, გაიხსენებს დიდ თერგდალეულთ და ახალი ენერგიით აღვსილი გამოეშურება სატახტო ქალაქისაკენ. 2007 წლის ოქტომბერში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ხევში აკურთხა წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ახლადაშენებული ეკლესია, ისაუბრა სახელოვანი წინაპრის დიდ ღვაწლზე. იგი 2011 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა. უწმიდესმა და უნეტარესმა ბრძანა: „აქ შემოსული თითოეული სტუმარი მიხვდება, რომ მართლმადიდებელ მშვიდობიან ქვეყანაში შემოვიდა; უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: კლდესა ამასა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისა ვერ ერეოდიან მას. ასეთი ტაძარი აშენდა „კლდესა ზედა“ და დარწმუნებული ვართ, რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერ მოერევიან მას. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით, საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ მახათას მთაზე 2012 წლის 17 აპრილს დაიწყო იერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მშენებლობა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სულიერად, ზნეობრივად განსპეტაკებული ძლიერი საქართველოს სიმბოლოა. ორმოცი წელია იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელია. ურთულესი, უმძიმესი ორმოცი წლის მანძილზე პატრიარქი ერთგულად ემსახურება იმ იდეალებს, რომლებიც წმიდა ილია მართალმა „მამულის, ენის და სარწმუნოების“ დროშით გააერთიანა. XX საუკუნის მიწურულს, 1991 წელს, საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გახდა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. დღის წესრიგში დადგა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის – ნატოს – წევრობა, კიდევ უფრო დაჩქარდა ქვეყნის ევროპიზაცია და ამერიკანიზაცია. საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო გლობალურ პროექტებში, გლობალიზაცია კი დღის წესრიგში აყენებს ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ღირებულებებთან. ასეთ ვითარებაში სულ უფრო მძლავრობს ეროვნული ღირებულებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ვინაიდან ნიჰილისტები და კოსმოპოლიტები მიიჩნევენ, რომ, რაც მალე განთავისუფლდება ქართველი საზოგადოება ტრადიციული ეროვნული ფასეულობებისაგან, მით უფრო გაგვიადვილდება ევრო–ამერიკულ სივრცეში ინტეგრაცია. ამის დასტურია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლების ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებშიც ყურადღება მახვილდება მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. ქართული ენის სამოქმედო არეალის თანდათან შემცირება, ფუნდამენტური მეცნიერებების დაყენა მხოლოდ ტურისტულ–საექსკურსიო მომსახურეობის განათლების დონემდე, საეალალო შედეგებს გამოიღებს. გლობალიზაციის პირობებში ჩვენ თავს ვერც ძლიერი ეკონომიკით, ვერც სამხედრო შესაძლებლობებითა თუ მრავალრიცხოვნებით ვერ დავიმკვიდრებთ. მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლობის, საქართველოს

ისტორიის, ქართული ლიტერატურის, უნიკალური ქართული ტრადიციების ერთგულება და პატივისცემა არის ჩვენი ეროვნული გადარჩენის საფუძველი. ეს კარგად ესმის სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პაატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს. იგი ეკლესიის დანგრევის და მასში რეფორმატორული იდეების მქადაგებელ კოსმოპოლიტებს შეახსენებს: „სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი, სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო,მისი მისწრაფებანი. სამშობლოს გაფრთხილება სჭირდება.“[115] XXI საუკუნის დასაწყისში მრავალრიცხოვან გამოწვევათა შორის ერთ-ერთია ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და ეკლესიური ცნობიერებისათვის ბრძოლა. სამწუხაროდ არცთუ იშვიათად კუთხური პატრიოტიზმი ენაცვლება ერთიან სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რაც მძიმე შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ამ პრობლემას სერიოზულობას ბევრი ვერ აცნობიერებს. უწმიდესი და უნეტარესი ხშირად ბრძანებს: „ეშმაკი ყოფს, ღმერთი აერთიანებს“. ამ ერთიანობის იდეას ემსახურებოდა, როდესაც 2009 წლის 14 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა სვეტიცხოველობის დღესასწაულის საღმრთო ლიტურგიის შემდეგ გამოაცხადა „ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატის“ შექმნის შესახებ. „ერს უნდა ახსოვდეს, თუ რამ გადაარჩინა. ჩვენ გადაგვარჩინა ერთობამ, ერთსულოვნებამ, ჩვენ ვით სისხლი დავით წინასწარმეტყველისა, თამარ მეფისა და სხვა ჩვენი წინაპრებისა. ჩვენ გვიცავს ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ინტელექტუალური ფასეულობა. დღეს ჩვენ კიდეე ერთხელ უნდა გამოვხატოთ, რომ ვართ ერთი სისხლი და ხორცი და მუდამ ერთად ვიქნებით“. სვეტიცხოველის ეზოში წირვის დამთავრების შემდეგ, ათასობით დამსწრეს საშუალება ჰქონდა ხელი მოეწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებაზე (მსგავსად 200 წლის წინ (1790 წ.) შემუშავებული „ივერიელთა ერთობის ტრაქტატისა“).

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად ქრისტიანული სარწმუნოების დაცვასთან ერთად ბევრს აკეთებდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის. IV საუკუნიდან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში არსებობდა თეოლოგიურ–ფილოსოფიური და მთარგმნელობითი სკოლები. ეკლესია–მონასტრების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სამონასტრო სკოლების რაოდენობაც. IV–XI საუკუნეებში ეკლესია–მონასტრებთან არსებულ სკოლებს XII–XIII საუკუნეებში დაემატა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ გელათში დაარსებული და „სხვა ათინად და მეორე იერუსალიმად“ წოდებული გელათის აკადემია. საგანმანათლებლო კერები იყო იყალთოში, გრემში, შიომღვიმეში. XVIII საუკუნეში ვახტანგ VI–ის მიერ შექმნილ „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრთა უმრავლესობა სასულიერო პირი იყო. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ანტონ I სამართლიანად ითვლება დიდ ენციკლოპედისტად, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული განათლების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა, თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიების დაარსება. მოქმედ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში სასულიერო პირები ასწავლიდნენ საერო და სასულიერო განათლების საფუძვლებს. საქართველოს პროვინციებში სასულიერო პირთა ოჯახებში იყო წიგნები, ჟურნალ–გაზეთები.

XIX საუკუნეში, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართველი სამღვდელოება კვლავ აგრძელებდა მისიონერულ–საგანმანათლებლო საქმიანობას. ნიჭიერი ახალგაზრდები ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიას ამთავრებდნენ, შემდეგ კი სასულიერო განათლების გასაღრმავებლად მიეშურებოდნენ ყაზანის, კიევის, პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში. XIX–XX საუკუნეების ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა სასულიერო აკადემიადამთავრებული იყო და გამოირჩეოდა ღრმა სულიერებითა და ინტელექტით. საკმარისია გავიხსენოთ ეპისკოპოსები: გაბრიელი (ქიქოძე), ალექსანდრე (ოქროპირიძე), ანტონი (გიორგაძე), პეტრე (კონჭოშვილი), დავითი (კაჭახიძე); კათოლიკოს–პატრიარქნი: კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე III, კალისტრატე, მელქისედეკი, ეფრემ II, რომელთაც მართლმადიდებლურ სამყაროში იცნობდნენ, როგორც გამოჩენილ თეოლოგ–მეცნიერებს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათოლიკოს–პატრიარქები – კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე და მელქისედეკი – ცდილობდნენ, მცხეთაში ან თბილისში სასულიერო სემინარია გაეხსნათ, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების უარყოფითი პოზიციის გამო ეს ვერ მოხერხდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საზოგადოების თვალში ეკლესია მხოლოდ ნათლობასთან ან მიცვალებულის წესის აგებასთან გაიგივებულიყო და საზოგადოებისაგან სრულ იზოლაციაში ყოფილიყო.

1963 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ეფრემ II-ის ძალისხმევით მცხეთაში გახსნილი საღვთისმეტყველო სასწავლებელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდ წარმატებად შეფასდა. რამდენიმე წელიწადში მისი ხელმძღვანელის, შემოქმედელი ეპისკოპოსის – ილიას ღვაწლით სასწავლებელი სემინარიად გადაკეთდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქად აღსაყდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვას. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილი ვითარებით, არაერთხელ შეხვდა როგორც პრაქტიკოს მასწავლებლებს, ასევე – პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის დარგის მეცნიერებს. უწმიდესმა აღნიშნა, რომ 70–90–იანი წლების სკოლებში ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ამა თუ იმ საგანში ფაქტოლოგიური მასალის მექანიკურ დაზეპირებაზე, არადა აუცილებელია ღრმა აზროვნების სწავლება: „ღრმა აზროვნებასთან

ზიარება ბავშვს გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით განათლებულ ახალგაზრდებს,რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით, და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას“.[116]

უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს,რომ მოსწავლეებთან მასწავლებლის ურთიერთობის წარმატება დამოკიდებულია სიყვარულითა და რწმენით აღზრდაზე. პატრიარქი მოითხოვდა საბჭოთა სკოლის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სერიოზულ გადამუშავებას, ხოლო პედაგოგებისთვის — მეტი თავისუფლების მიცემას, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ, სრულად და შემოქმედებითად გამოეყენებინათ თავიანთი შესაძლებლობები, ვინაიდან დათრგუნული, შეშინებული პედაგოგი თავისუფალ, ლაღ თაობას ვერასოდეს აღზრდის. თუმცა, მისი უწმიდესობის აზრით, სკოლა ვერასოდეს შეძლებს იმის შეცვლებას,რაც ახალგაზრდას ოჯახმა უნდა მისცეს. მაღალი ზნეობრიობა, მიმტევებლობა,მოყვასის სიყვარული,სამართლიანობა – ეს ყველაფერი მოზარდმა ოჯახში უნდა შეითვისოს და, თუ მშობელნი პირადი მაგალითით არ გამოირჩევიან, ყოველგვარი მცდელობა ამაო იქნება. ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის სურვილითაა ნაკანახევი მისი უწმიდესობის მოწოდება მშობლებისა და პედაგოგებისადმი: „საქართველომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეითვისა მაღალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახალი არ იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განღმრთობისა სარწმუნოებისა და სიყვარულის საშუალებით.“[117] უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ საქართველოს კარგი მომავალი საზოგადოების განათლებასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. იმ ადამიანების გასაგონად, რომელნიც ცოდნასა და რწმენას ერთმანეთს უპირისპირებენ, იგი მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით პასუხობს: „ცოდნა,ღვთის შიშისაგან აულაგმავი, შობს ქედმაღლობას“.

XX საუკუნის საგანმანათლებლო სისტემა ძირითადად საბჭოურ იდეოლოგიურ დოგმებზე იყო დაფუძნებული, პოლიტიზირებული იყო ყველა სასწავლო დისციპლინა. საქართველოსა და საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სასწავლო საგნების ნუსხასა და სწავლების შინაარსს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრო. ოფიციალური ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობდა ეროვნული ცნობიერების მოსპობის გზით ახალი საბჭოთა ხალხის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, იდევნებოდა ის სასწავლო საგნები, რომელთა სწავლება ეროვნულ სულისკვეთებას აამაღლებდა ახალგაზრდობაში. საქართველოში შეზღუდული იყო ქართული აგიოგრაფიის სწავლება. სასკოლო პროგრამიდან რამდენჯერმე ამოიღეს იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“. სამაგიეროდ, შეიტანეს საქართველოს საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ნაწარმოები — კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების სწავლებისას მასწავლებლებს მითითება ეძლეოდათ, ყურადღება გაემახვილებინათ არა ნაწარმოების ღირებულებებზე, არამედ — იდეურ მხარეზე. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ფაქტობრივად აღარ ისწავლებოდა (დასწრება არ იყო სავალდებულო), მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის ისტორიას IV კლასიდან X კლასის ჩათვლით 500 საათი ჰქონდა დათმობილი.

ისტორია მომავლის წინასწარმეტყველებაა წარსულით. გარდასულ გმირთა სიდიადის, ზნეობრივი მაგალითების, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადების ჩვენება მომავალი თაობების სულიერი განსპეტაკების საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, სამშობლოს ისტორიის სწავლებით ახალგაზრდობა დიდ წინაპართა საქმეების დამფასებელი და გამგრძელებელი ხდება. უწმიდესი და უნეტარესი გრძნობდა საბჭოთა განათლების სისტემის ხარვეზებს და ცდილობდა, აღმოეფხვრა საბჭოთა პერიოდში სკოლასა და ეკლესიას შორის საგანგებოდ შექმნილი გაუცხოება. საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა სასწავლო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი. სასწავლო

კომიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი, პერსპექტიული და მორწმუნე სპეციალისტები, რომელთაც მიზნად დაისახეს შეემუშავებინათ ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის.

ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პარალელურად საზოგადოებაში თანდათან იმსხვრეოდა საბჭოთა იდეოლოგიური დოგმები. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტურმა იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა. დეენილი საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა ახალი სიდიადით გაბრწყინდა. ხელოვნურად შექმნილმა გმირებმა (სინამდვილეში ანტიგმირებმა) დატოვეს ისტორიის ასპარეზი და მათი ადგილი დაიკავეს ჭეშმარიტმა გმირებმა. ისევ დაუბრუნდა ქართველთა მეხსიერებას აბო ტფილელის, იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდლების, დოსითეოს ქუთათელის, ექვთიმე გაენათელის, ფილადელფოს კიკნაძის, იმერთა მეფე სოლომონ II-ის, სოლომონ ლიონიძის, 1918–1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოსათვის თავდადებულთა სახეები, ახალი სიდიადით გამობრწყინდა ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან „ანტისაბჭოელად, ხალხის მტრებად“ მონათლული უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის სახეები. საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ–ლენინიზმის საფუძვლების სწავლება შეიცვალა რელიგიათა ისტორიის სწავლებით, რომლის პროგრამები და სახელმძღვანელოები მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძვლებზე იყო აგებული. ახალგაზრდობა დაეწაფა ქრისტიანულ ფასეულობათა შესწავლას, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა სამლოცველო სახლები, აშენდა ეკლესიები, საპატრიარქოს ეგიდით გაიხსნა გიმნაზიები, ლიცეუმები. განათლების სისტემა ეროვნულ ტრადიციებზე გადავიდა.

XXI საუკუნის დასაწყისში ვითარება კვლავ შეიცვალა. ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით დაიწყო განათლების სფეროში ეკლესიის როლის კრიტიკა, ხოლო 2004 წელს დამტკიცებული განათლების ახალი კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუქმდა სამლოცველო ოთახები, რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და რელიგიური გრძნობების დაცვის საბაბით შეწყდა რელიგიათა ისტორიის სწავლება, საქართველოს ისტორია ინტეგრირებულ იქნა მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიასთან. ახალი კანონი მოითხოვს თავის შეკავებას ეროვნული ღირებულებების წარმოჩენისაგან. ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ მონიტორინგს ატარებს საქართველოს ისტორიის სწავლებაზე, რათა არსად აღმოჩნდეს ფრაზა ან წინადადება, რომელიც მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს ეროვნული უმცირესობებისათვის.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ინტელიგენციის, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ინტელიგენცია ხალხს უნდა დაეხმაროს ჭეშმარიტების შეცნობაში; მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მოწყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს – ეკლესიას? ... ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ ნაწილად, რომელიც ვითარცა ანთებული სანთელი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუნათებს.“[118] მიუხედავად ამისა, მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც სჯერათ, რომ რწმენა და მეცნიერება შეუთავსებელია. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: „განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე – სულიერს?! ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია, იგი ადამიანის ინტელექტის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა.“[119]

საქართველოს უახლეს ისტორიაში სამარცხვინო ფურცლად დარჩება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქისათვის გაგზავნილი ერთი ტენდენციური წერილი, რომელშიც ჩანს საოცარი უმადურობა, ურწმუნოება და მკრეხელური რეკომენდაციები, თუ რა უნდა აკეთოს

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ. მიმართვა იმდენად გამომწვევი და მიუღებელი ტონით იყო შედგენილი, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა 2003 წლის 27 ივლისს სამების საკათედრო ტაძრიდან უპასუხა წერილის ავტორებს და მათი სახით – ყველა იმ ადამიანს, ვისაც არ ესმის ან არ უნდა გაიგოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი და დანიშნულება ჩვენი ერის ცხოვრებაში. მიმტევებელი და შემწყნარებელი სულიერი მამა საოცრად პირდაპირი და შეუვალია თავის პასუხში: „ადამიანის ცხოვრება რთულია, ეს არის განსაცდელითა და სხვადასხვა გამოცდით საესე გზა. ბედნიერია ის, ვინც შეძლებს ამ გზაზე მსვლელობისას ნათლად გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად – ბოროტი, სად არის თეთრი და სად – შავი... ხშირია შემთხვევა, როცა ბოროტება ინიღბება, ფარავს თავის ნამდვილ სახეს და ცდილობს, კეთილად წარმოჩინდეს... ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა აღრეულია ყველაფრისა, როცა ბევრ რამეს ფული განსაზღვრავს, როცა უფროსი და უმცროსიც კი ვერ ცნობენ ერთმანეთს და დაპირისპირებულია თვით მშობლებსა და შვილებს შორის. ასეთ პირობებში ერთადერთ საყრდენად და ნავთსაყუდელად რჩება ეკლესია, მართლმადიდებელი, ჭეშმარიტი, სამოციქულო; მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ამ ბოლო დროს არაეკლესიური ადამიანები ცდილობენ აქაც შფოთი შემოიტანონ. ისეთი პიროვნებანი, რომელნიც არა მარტო არაეკლესიურნი, არამედ ურწმუნონიც არიან, რაღაც რეკომენდაციებსა და რჩევებს აძლევენ ეკლესიას პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, საიდან მოდის ეს. ვიცით კიდეც– მე გული მტკივა, რომ მტერი როგორც ადრე, ახლაც თავისი მიზნებისათვის ქართველ ადამიანებს იყენებს... მივმართავ სრულიად საქართველოს, მტკიცედ იდგნენ ჭეშმარიტების გზაზე."[120]

ქართველმა ინტელიგენციამ,საზოგადოებამ გამოხატა თავისი პოზიცია ამ სამარცხვინო მიმართვის მიმართ. „მოძრაობა სულიერი და ზნეობრივი საქართველოსათვის" სახელით შედგენილ პასუხში ნათქვამია: „ქრისტიანი თუნდაც იმით განსხვავდება არაქრისტიანისაგან, რომ მისი ზნეობა არასოდეს გამიჯვნია ეროვნულობას. თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ საზოგადოების სახელით ლაპარაკის უფლება ყველას არ უნდა ჰქონდეს– როდესაც არის მცდელობა, ეკლესიას გადააბრალო ქვეყნის გასაჭირი და უბედურება, ხელი შეახოცო მას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი საზღვრების დაკარგვის მომასწავებელია, ეს ეროვნული სახის გაუფერულებას ნიშნავს, ან კიდევ განზრახვას საზოგადოების თვალში ეკლესიის მიმართ უნდობლობის დამკვიდრებისა. ერთადერთი სიწმიდე, ერის სულიერი პოტენციალის სახით, ქვეყნის გარდაქმნის მძიმე პროცესს არ უნდა შეეწიროს. ქვეყნის მიწიერი პრობლემების მოგვარება სულიერების დაკარგვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ერის სულიერი წვრთნითა და ზნეობრივი სრულყოფით ეკლესიამ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის სანუკვარი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს.[121]

უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქობის პირველივე წლებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისა და ინტელიგენციის ურთიერთობას. მისი აზრით, საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური აღორძინება სულიერებით უნდა დაიწყოს. მეცნიერებისა და ინტელიგენციის სულიერება იქნება ჩვენი ქვეყნის განახლების სათავე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიიჩნევს, რომ „ინტელიგენციის და, საერთოდ, გაელენიან პიროვნებათა ბედნიერებაც და უბედურებაც იმაშია, რომ მათ თავიანთი მრწამსით, თავიანთი ცხოვრებით შეიძლება სულიერად გადაარჩინონ ან დაღუპონ არა მარტო საკუთარი თავი,არამედ – გარშემო მყოფნი და სხვა მრავალნიც",[122] ამიტომ მათი ნაბიჯები და ქმედება დიდ სიფრთხილესა და მოკრძალებას მოითხოვს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1977 წლიდან ოფიციალური ხელისუფლების წინაშე სვამდა საკითხს სასულიერო აკადემიის გახსნის აუცილებლობის შესახებ. რუსეთის ეკლესიას ორი, სომხეთის სამოციქულო ეკლესიას კი ერთი აკადემია ჰქონდა, და რატომ არ უნდა ჰქონოდა უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი საქართველოს ავტოკეფალიურ სამოციქულო ეკლესიას?! როგორც

უწმიდესი და უნეტარესი იხსენებს, ხელისუფლების წარმომადგენლები პატრიარქის შესახებ, რომელიც ასე დაბეჯითებით ითხოვდა სასულიერო აკადემიის გახსნას, გაკვირვებით ამბობდნენ – ჩვენი პატრიარქი, როგორც ჩანს, რეალობას მოწყვეტილია, რა დროს აკადემიის გახსნა ან ახალი ეკლესიების ამოქმედებაა საყოველთაო ათეიზმის ქვეყანაშიო. საქართველოს მთავრობა მოსკოვის უარს იმიზეზებდა, მოსკოვის ცენტრალური მთავრობა კი აცხადებდა, საქართველოს მთავრობაა წინააღმდეგიო. ამ ვითარებაში პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ბატონმა ანზორ წიკლაურმა, რომელმაც მოსკოვში ცენტრალურ მთავრობას შეატყობინა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო, დაფუძნებულიყო თბილისის სასულიერო აკადემია, ხოლო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნ. ჭითანავას მოახსენა, რომ მოსკოვი წინააღმდეგი არ იყო, რომ აკადემია გახსნილიყო თბილისში.

მისმა უწმიდესობამ თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნის თაობაზე ოფიციალური განცხადება 1987 წლის 25 დეკემბერს გამართულ წმიდა სინოდის სხდომაზე გააკეთა. უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის მოსამზადებელი მუშაობა თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1988 წლის 14 ოქტომბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძრის პირდაპირ, სამსართულიან ისტორიულ შენობაში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. აკადემიის გახსნაში უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ილია II–სა და წმიდა სინოდის წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის სასულიერო აკადემია გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიათა დიდი ტრადიციების გამგრძელებლად გამოაცხადა და აღნიშნა: „აკადემიაში უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მომავალი განათლებული სასულიერო პირების მომზადება, არამედ სასწავლებელი უნდა იქცეს კვლევის ცენტრად, რომელთანაც დაკავშირებულნი იქნებიან როგორც ჩვენი სასულიერო პირნი, ისე – მეცნიერები, კავშირი გვექნება როგორც უმაღლეს სასწავლებლებთან, ისე – მართლმადიდებლურ და, საერთოდ, ქრისტიანულ უმაღლეს ცენტრებთან.“[123] აკადემიის გახსნის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს: აკადემიის რექტორმა, წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი), რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილემ ილია რურუამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ნოდარ ამაღლობელმა, სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, პროფესორმა გიორგი ცინცაძემ და სხვებმა.

აკადემიასთან ერთად თბილისში გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარია. აკადემიის პირველ ნაკადში ჩაირიცხა 15 სტუდენტი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკადემიაში ლექციების წასაკითხად მიიწვია საერო უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები. პირველ წლებში იყო სიძნელეები, საერო მეცნიერებს არ ჰქონდათ სასულიერო სასწავლებელში მუშაობის გამოცდილება. რთული იყო სასულიერო საგნების – პატროლოგია, დოგმატური ღვთისმეტყველება, საეკლესიო სამართალი, რელიგიათა ისტორია – წაკითხვა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდა. 1998 წელს, სასულიერო აკადემიის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომაზე სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ჭიათურის მთავარეპისკოპოსმა აბრაამმა აღნიშნა, რომ ათი წლის განმავლობაში სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სტუდენტთა რაოდენობა 30–დან გაიზარდა 200–მდე.

1990 წელს აკადემიაში შეიქმნა ქრისტიანული ხელოვნებისა და ქრისტიანული ანთროპოლოგიის სპეციალობები, ხოლო 1994 წლიდან მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. 1993 წელს დაარსდა საქართველოს ისტორიის კათედრა (გამგე პროფესორი სერგო ვარდოსანიძე), 1998 წელს – ღვთისმეტყველების კათედრა (გამგე პროფესორი ედიშერ ჭელიძე), იმავე წელს შეიქმნა ქრისტიანული ხელოვნების კათედრა (გამგე პროფესორი ზაზა სხირტლაძე). არსებულ კათედრებს 1999–2007

წლებში შეემატა ქართული ენისა და ლიტერატურის (გამგე პროფესორი გრიგერ ფარულავა), უცხო ენების (გამგე პროფესორი იური მოსიძე), რელიგიათმცოდნეობის (გამგე პროფესორი ლელა ხაჩიძე) კათედრები. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ლექციებს კითხულობენ: მარიამ ლორთქიფანიძე, გრიგერ ფარულავა, რევაზ ბარამიძე, რევაზ სირაძე, სერგო ვარდოსანიძე, გურამ კაციტაძე, ლელა ხაჩიძე, ციალა ქურციკიძე, ზაზა სხირტლაძე, დიმიტრი თუმანიშვილი, ლამარა ქაჯაია, ბეჟან ჯავახია, ელდარ ბუბულაშვილი, მერი ჭელიძე, რუსუდან წიქვაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გურამ ბედოშვილი, ნანა გელოვანი, ჯული შოშიაშვილი, გვანცა კოპლატაძე.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა–კურთხევით, სასულიერო აკადემია–სემინარიასა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტს დაემატა ხალხური სიმღერების უმაღლესი სკოლა (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი), მოწყალების დების ინსტიტუტი (დეკანი მამა ადამი), მხატვარ–რესტავრატორობისა და ჭედური ხელოვნების ფაკულტეტი (დეკანი მამა იოსები), დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი (დეკანი ზურაბ შევარდნაძე). თუ 1988 წელს აკადემიასა და სემინარიაში მხოლოდ 30 სტუდენტი იყო, ამჟამად აღნიშნულ სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა 2000–ს აღემატება.

თბილისის სასულიერო აკადემიას და სემინარიას 1988-2009 წლებში ხელმძღვანელობდნენ: მიტროპოლიტი ზოსიმე, პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), მიტროპოლიტი აბრაამი, მიტროპოლიტი თეოდორე, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. 2009 წლის 2 ნოემბრიდან სასულიერო აკადემიის რექტორია პროტოპრესვიტერი მამა გიორგი ზვიადაძე, რომლის ძალისხმევით სასწავლებელმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. ამჟამად თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია არის სამსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო კერა (ბაკალავრიატი – სემინარია, მაგისტრატურა-აკადემია–დოქტორანტურა). აქ ფუნქციონირებს ფაკულტეტები: ფსიქოლოგიის და რელიგიათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის და რელიგიათმცოდნეობის, საეკლესიო არქიტექტურის, ხატწერის, სემინარია, აკადემია. კათედრები: პატრისტიკისა და დოგმატიკის (პროფესორი ედიშერ ჭელიძე), ბიბლეისტიკის (პროფესორი გიორგი გუგუშვილი), ლიტურგიკის და სამოძღვრო ღვთისმეტყველების (პროფესორი დემეტრე დავითაშვილი), ეკლესიის ისტორიის, კანონიკური სამართლის და ასკეტიკის (დოქტორი მაქსიმე ჭანტურია), საქართველოს ისტორიის (პროფესორი სერგო ვარდოსანიძე), ქართული ენისა და ლიტერატურის (პროფესორი გრიგერ ფარულავა), ქრისტიანული ხელოვნების (რუსუდან ვაშალომიძე), რელიგიათმცოდნეობის (პროფესორი ლელა ხაჩიძე), უცხო ენების (პროფესორი იური მოსიძე). 2013 წლის 15 იანვარს საქართველოს საპატრიარქოში უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით შედგა ერთჯერადი დაცვა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო საბჭოს წევრების იყვნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. სადისერტაციო საბჭომ ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი მიანიჭა: ფილოლოგიის დოქტორს პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, მიტროპოლიტ იოანე გამრეკელს, ფილოლოგიის დოქტორს დეკანოზ ბიძინა გუნიას, ისტორიის დოქტორს დეკანოზ გიორგი გუგუშვილს, ფილოლოგიის დოქტოს დეკანოზ მიქაელ გალდავას, ფილოლოოგიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ედიშერ ჭელიძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს, არქიდიაკონ დემეტრე დავითაშვილს, გიორგი ანდრიაძეს, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავმჯდომარეობით სასულიერო აკადემიაში შეიქმნა სადისერტაციო საბჭო.

თბილისის სასულიერო აკადემიამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

1995 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის ლოცვა–კურთხევით ქუთაისში დაარსდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია, აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, რომლის რექტორად დაინიშნა ქუთაისელ–გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე

(მარგალიტაშვილი). გელათის სასულიერო აკადემია დაფუძნდა გელათის სამონასტრო კომპლექსთან. აკადემიაშილექციებს კითხულობენთბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ–მასწავლებლები, ადგილობრივი სწავლულები. მისი უწმიდესობა მიიჩნეოდა, რომ გელათის აკადემია, რომელიც „მეორედ იერუსალიმად და სხუად ათინად“ დაფუძნდა, მიზნად ისახავდა უმაღლესი საღვთისმეტყველო–ფილოსოფიური სკოლის ჩამოყალიბებას, სადაც უნდა მომხდარიყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თეოლოგიური შრომების თარგმნა–კომენტირება. ამ სკოლის ფილოსოფიური მიმართულება იმითაც წარმოჩნდა, რომ ითარგმნა წარმართი ფილოსოფოსის, ამონიო ერმისის ცნობილი ლოგიკური შრომები. რაც შეეხება გელათის აკადემიის საღვთისმეტყველო სიმაღლეს, იკმარებდა თუნდაც იმაზე მითითება, რომ სწორედ ამ აკადემიაში ითარგმნა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ურთულესი ტერმინოლოგიური ნაშრომები. აქვე განხორციელდა კატენებიანი ბიბლიის თარგმნა, რასაც გელათის ბიბლია ეწოდება და რაც უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ამიტომ იყო აუცილებელი ქუთაისისა და გელათის ისტორიული ფუნქციის სრულად აღდგენისათვის ისეთი სამეცნიერო დაწესებულების შექმნა, რომელიც საერო და სასულიერო მეცნიერების გამაერთიანებელი იქნებოდა. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას 1995 წლიდან 2010 წლის თებერვალამდე ხელმძღვანელობდა ქუთათელ–გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე, 2010–2013 წლებში – ფილოლოგიის დოქტორი, დეკანოზი მიქაელი (გალდავა), 2013 წლის ნოემბრიდან – დეკანოზი ირაკლი (ახალაძე). 2013 წელს გელათის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია.

2005-2008 წლებში განათლების სფეროში დაწყებული „რეფორმების“ შედეგად საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა ქუჩაში დარჩა– განადგურდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტები. ცოდნისა და რწმენის სანთელი, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-ემ ივანე ჯავახიშვილთან ერთად ანთო თბილისის უნივერსიტეტში საფრთხის წინაშე დადგა. ასეთ რთულ ვითარებაში უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიიღო გადაწყვეტილება საპატრიარქოს წიაღში დაეფუძნებინა საერო უნივერსიტეტი,რომელიც გააგრძელებდა იმ ტრადიციებს, რაც თავიდანვე გაცხადებული იყო 1918 წლის 26 იანვარს დაფუძნებულ ქართულ უნივერსიტეტში.

2008 წლის 12 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნაზე პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ: „ჩვენს ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც აღემატება დღევანდელობას. ასეთი მოვლენის წინაშე ვდგავართ დღეს. ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც იხსნებოდა გელათის, იყალთოს აკადემიები, ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის ოცნებას, რომ გელათის აცადემია უნდა ყოფილიყო მეორე იერუსალიმი თავისი სულიერებითა და მოღვაწეობით და „ახალი ათინა“ თავისი დიდი მეცნიერებით და აი, დღეს იხსნება საეკლესიო უნივერსიტეტი, რომელიც არის მემკვიდრე გელათის აკადემიისა. საკითხი ურთიერთობის ცოდნისა ანუ მეცნიერებისა და სარწმუნოებისა, ეს არის უძველესი თემა. ეს თემა ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში იყო აქტუალური, ამაზე მსჯელობდნენ და ფიქრობდნენ დიდი მეცნიერები და განსაკუთრებით ისეთი ცნობილი და დიდი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ალექსანდრია იყო ცენტრი მეცნიერებისა, იქ მოღვაწეობდნენ უდიდესი ფილოსოფოსები. ცნობილი იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, სკოლა. კლიმენტი ალექსანდრიელი თავის ისტორიულ ნაშრომში წერს, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია ცოდნა და რწმენა. იგი ამბობს, რომ პირველადი არის რწმენა და ზედ დაშენებულია ცოდნა, ბოლოს კი აკეთებს ასეთ დასკვნას, რომ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი კი მეგობარი ღვთისა – აი, ასეთ საფეხურზე აჰყავს კლიმენტი ალექსანდრიელს ადამიანი.

თქვენ ასევე იცით, რომ ქართველი ადამიანი მუდამ ცდილობდა ცოდნის შეძენას, იგი მუდამ ეწაფებოდა მეცნიერებას, მის გონებაში არასოდეს იყო წინააღმდეგობა ცოდნასა და რწმენას შორის, გავიხსენოთ თუნდაც პეტრიწონის მონასტერჯუ, სადაც სატრაპეზოს კედლები იყო მოხატული ანტიკური ფილოსოფოსების პორტრეტებით, მუდამ იყო საფუძველი დიდი ღვთისმეტყველებისა და გამოთქმული იყო ასეთი სიტყვები, რომ ფილოსოფია არის მსახური თეოლოგიისა.

დღეს ბედნიერი დღეა, იხსნება წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებიც არსებობდა ჩვენს ისტორიულ წარსულში. მე მინდა მივულოცო მთელ საქართველოს ეს მოვლენა. მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მხარდაჭერა მივიღეთ ჩვენი ხელისუფლებისაგან. დღეს არის ზეიმი ქართველი ადამიანის გონებაში, გულში. ამ ისტორიულ დღეს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს გახსნილად ვაცხადებ".

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ინტერესით დაათვალიერა უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და განაცხადა: „ასე მოწყობილი უნივერსიტეტი არც ერთი არ არის საქართველოში. ახლა მთავარია პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ თავიანთ სიმაღლეზე, სტუდენტებმა იგრძნონ თავისი წილი პასუხისმგებლობისა. მე ხუმრობით ვთქვი კიდეც: ახალგაზრდა რომ ვიყო, ამ უნივერსიტეტში ვისწავლიდი სიხარულით". პირველი მიღება ძირითადად მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში განხორციელდა. 2010 წელს ბაკალავრიატში მიღებულ იქნა 20 სტუდენტი ისტორიის სპეციალობით. შეიქმნა ენების ცენტრი, თარჯიმანთა სკოლა, დაიწყო მუშაობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სრულყოფისათვის. უნივერსიტეტის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთან მიტროპოლიტ იონასთან ერთად კვლავ ესტუმრა ქართულ უნივერსიტეტს. პატრიარქმა ერთგვარად შეაჯამა უნივერსიტეტის ერთწლიანი მუშაობის შედეგი და ბრძანა: „მახსენდება დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი!" მართლაც დიდია უფალი და ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება მის სიბრძნეს. ჩვენ სასოებითა და სიყვარულით უნდა მივიღოთ ის, რასაც უფალი გვაბძანებს. რამდენიმე წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ეკლესიას ექნებოდა ორი სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარიები, სასწავლებლები, გიმნაზიები და ბოლოს უნივერსიტეტი. ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ეკლესიას გელათის მეცნიერებათა აკადემია ექნებოდა... მაგრამ უფალი მოწყალეა და სახარებაში წერია — „ითხოვდე და მოგეცეს შენ". ჩვენც ვითხოვდით და უფალმა წყალობით მოგვხედა და მოგვცა. მოგვცა არა იმისათვის, რომ ვიამაყოთ, არამედ მისთვის, რომ ერს სიკეთე მოვუტანოთ".

2012 წლის 10 ოქტომბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრნენ: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რამდენიმე მღვდელმთავარი და მთავრობის წევრები. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „ჩვენ ვიმყოფებით უნივერსიტეტში და მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პატრიარქები, ქვეყნისა და ეკლესიისათვის მოწამე და თავდადებული მოღვაწენი, ვერც კი იოცნებებდნენ, რომ საპატრიარქოს ჰქონოდა თავისი უნივერსიტეტი! დღეს კი დადგა ასეთი დრო და ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის! აქ ითქვა, რომ საჭიროა კავშირი თაობათა შორის. მინდა გითხრათ, ასეთი კავშირი საჭირო კი არა, აუცილებელია. ამგვარი კავშირის თაობაზე მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. დიდი ცნობილი ფილოსოფოსი კონფუცი ერთხელ თავის მოწაფეებთან ერთად ეტლით მგზავრობდა. მათ გზაზე შემოხვდათ ადამიანი, რომელიც თავს იმით ირჩენდა, რომ ჩიტებს იჭერდა და ყიდდა. კონფუციმ ეტლის გაჩერება ბრძანა დ აიმ კაცისაკენ გაემართა. მისი მოწაფეები კვალდაკვალ მიჰყვნენ. როცა ბადეებს მიუახლოვდა, დაინახა რომ უკვე რამდენიმე ჩიტი გაბმულიყო მახეში. კონფუციმ შენიშნა, რომ ეს ჩიტები ყველანიო მომცრონი, თითქმის ბარტყები იყვნენ.

მაშინ იგი დაინტერესდა, რატომ არ იჭერდა ეს კაცი მოზრდილ ჩიტებს და ასეთი პასუხი მიიღო: მათ ვერ ვიჭერ, რადგან დიდი გამოცდილება აქვთ და მახეში ძნელად ებმებიანო. კონფუციმ გადახედა თავის მოწაფეებს და უთხრა: „დაიმახსოვრეთ ეს, სიბრძნე უფროსისაგან, შენზე მეტად გამოცდილისაგან უნდა ისწავლოო“. უფროს თაობას შესაძლოა კომპიუტერი და ახალი თანამედროვე ტექნიკა არ ესმის, მაგრამ მას აქვს სიბრძნე და გამოცდილება, რომელიც ძალზე ძვირფასია და რომლის გაზიარებაც მათ შეუძლიათ ახალგაზრდებისათვის. თქვენთან საუბარში ახლა, უცებ ასეთი აზრი მომივიდა, რომ ყოველ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს თავისი იდეა, თავისი დევიზი, თავისი მოწოდება. ისეთივე, როგორც, მაგალითად, ქართული იდეა. და აი, ჩვენი უნივერსიტეტი გახდება პირველი, რომელიც გამოაცხადებს თავის იდეას; ამ მიზნისათვის მე ავარჩიე ერთი გამოთქმა: Nosce Te Ipsum, რაც ლათინურად თარგმანში ნიშნავს — შეიცან თავი შენი. ეფიქრობ, ეს უნდა დავაწეროთ დიდი ასოებით უნივერსიტეტის ფასადზე. იმედია, სხვა უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლებიც ასევე იფიქრებენ თავიანთ მთავარ იდეაზე. მეტად რთული დროა დღეს და ჩვენი დამოკიდებულებითა და ნააზრევით კიდევ უფრო მეტად არ უნდა დავამძიმოთ იგი, არ უნდა ჩავვარდეთ არც ერთ უკიდურესობაში. იმას ვგულისხმობ, რომ არც უხეში ლიბერალიზმია საჭირო და არც ფანტაზიაა მისაღები.

ქართველი ადამიანი მუდამ ზომიერი იყო საქმეში, ცხოვრებაში, სარწმუნოებაში. უხეშმა ლიბერალიზმმა, რომელიც ევროპაში წარმოიშვა, კაცობრიობა კომუნისტურ იდეებამდე და ათეიზმამდე მიიყვანა. ამიტომაა აუცილებელი ზომიერების დაცვა, საჭიროა რწმენა და მასზე დაყრდნობილი ცოდნა“. 2008-2010 წლებში უნივერსიტეტის რექტორები იყვნენ: პროფესორი პარმენ მარგველაშვილი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

2010 წლის 10 ოქტომბერს უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის ახალი დებულების შესაბამისად შეიქმნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის აკადემიური ნაწილის მართვის კოლექტიური ორგანო პატრიარქის სრულუფლებიან წარმომადგენლად უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ და რექტორად აირჩიეს პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომელსაც 2011 წელს ერთი წლით, ხოლო 2012 წლის 2 ივლისს, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით, მოქმედი აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ამოწურვამდე გაუგრძელდა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის უფლებამოსილება. 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში ქართულ უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიური საბჭოს არჩევნები. 11 სექტემბერს ახლადარჩეული აკადემიური საბჭოს წევრები მიიღო და დალოცა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, განელილი ოთხი წლის მუშაობის შესახებ ისაუბრეს პატრიარქის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ქართულ უნივერსიტეტში მეუფე იაკობმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, პროფესორმა ვახტანგ სართანიამ. იმავე დღეს უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის არჩევნები. საბჭომ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ, რექტორად კვლავ აირჩია პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

2010-2015 წლებში უნივერსიტეტში დასრულდა ფაკულტეტების, მიმართულებათ და ადმინისტრაციული სტრუქტურების ფორმირება. დაინიშნა უნივერსიტეტის კანცლერი თამაზ ვაჩაძე, შეიქმნა 4 ფაკულტეტი: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (დეკანი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი ვახტანგ გურული); 2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი ვახტანგ სართანია); 3. ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი ივანე წერეთელი); 4. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი). უნივერსიტეტში ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლობს 1700-ზე მეტი სტუდენტი.

2010 წლის 15 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 33 წლისთავთან დაკავშირებით ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქი ილია II, პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქართულ უნივერსიტეტში მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიდი მადლობა მოახსენა საზოგადოებას ამ ლამაზი და საინტერესო ღონისძიებისათვის და ბრძანა: „ყოველადსამღვდელონო მღვდელმთავრებო, ბატონო რექტორო, პროფესორ-მასწავლებლებო, სტუდენტებო, ქალბატონებო და ბატონებო, მინდა გითხრათ ერთი რამ, – დიდგორის ომი გრძელდება, დიდგორის ომი არ დამთავრებულა, დიდგორის ომი ჩვენ ცხოვრებაშია, ჩვენს კულტურაშია, ენაში და ლიტერატურაში,ეკლესიაში და მე დარწმუნებული ვარ,რომ დიდგორის ომი გამარჯვებით დამთავრდება. მე ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენ უნივერსიტეტს აწერია „Nosce Te Ipsum“ „შეიცანთავი შენი“, მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ვიწყებთ ამ შეცნობას, თუ ადამიანი შეიცნობს თავს, ის აუცილებლად გათავისუფლდება ბოროტისაგან. განსაკუთრებით მივესალმები იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრებოდნენ ჩემს ინტრონიზაციას, ქალბატონ ვიქტორია სირაძეს, ქალბატონ ნათელა ვასაძეს, ქალბატონ მერი კანდელაკს და სხვებს. ეს იყო უმძიმესი წლები, საკავშირო ხელისუფლებაში, კრემლში იყო ასეთი შეხედულება – „რაც უფრო ცუდი იქნება მდგომარეობა ეკლესიისა,მით უკეთესი“. აი,ასეთ პირობებში ვიყავი არჩეული. მე იმედით ვუყურებ მომავალს, თვითონ არასდროს ვკარგავ იმედს, უპირველეს ყოვლისა, იმედს ღვთისას. ჩვენ უნდა გვქონდეს იმედი ადამიანისა, ძალიან ძნელია დღეს ერთგული ადამიანის პოვნა, მაგრამ მაინც არიან, ბევრნი არიან. ბევრია კარგი ადამიანი საქართველოში, ღმერთმა დაგვაჯილდოვა ჩვენ თავისი თვისებით, სიყვარულით,არცერთ ერს არ გააჩნია ისეთი სიტყვები როგორიცაა: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“.ესე იგი მე შეგცვლი,ჭირს ღებულობს ადამიანი თავის თავზე,რომ დაეხმაროს თავის მეგობარს. ასე რომ, იმედი არ უნდა დაკარგოთ და ყველაფერი კარგად იქნება. დიდი იმედით ვუყურებ ჩვენს მომავალს. ბატონმა ლევან ვასაძემ გაიხსენა ჩემი სიტყვები – „არ წავალ ამ ქვეყნიდან, სანამ არ ვნახავ გამთლიანებულ საქართველოს“. ინებოს ღმერთმა, მალე მოხდეს ეს გამთლიანება. მინდა კიდევ გავიხსენო ჩვენი მეცნიერები, ჩვენი სტუდენტები; იმ პერიოდში ჩვენ გვეკრძალებოდა შესვლა უნივერსიტეტებში და სხვა სასწავლებლებში. ყოველ ხუთშაბათს მე მქონდა შეხვედრა მეცნიერებთან და გარკვეულ თემას ვამუშავებდით,ვეკითხულობდით,ვეცნობოდით,და მერე პროფესორები, პროფესორ-მასწავლებლები მიდიოდნენ სასწავლებლებში და უამბობდნენ სტუდენტებს იმის შესახებ, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ღმერთმა ინება, რომ მთელი ხალხი, თითქმის მთელი ხალხი მოექცა; მინდა ბოლოს ვთქვა,რომ უცხოეთიდან ჩამოდიან პატრიარქები, სხვა მაღალი სასულიერო წოდების პირები და ამბობენ,რომ ასეთი ერი,მოსიყვარულე, ასეთი მორწმუნე ხალხი ჩვენ მსოფლიოში სხვაგან არსად გვინახავს; დიდება და მადლობა უფალს,გახარებული იყავით,გმადლობთ“. უწმიდესი და უნეტარესი,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართულ უნივერსიტეტს არაერთხელ სტუმრობს უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2010 წლის 12 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტში სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის დაარსებიდან 1700 და განახლებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც უწმიდეს და უნეტარეს ილია II-სთან ერთად ესტუმრნენ ალბანეთის ეკლესიის მეთაური, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი ანასტასიოსი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაური, პრაღის მთავარეპისკოპოსი უნეტარესი ქრისტეფორე. იმავე წლის 27 ნოემბერს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრა ცნობილი ოსი მეცნიერის პროფესორ იზმაილ ხუზმიევის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

2011 წლის 9 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ამბროსი ხელაიას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მან შეაჯამა რა კონფერენციის მუშაობა აღნიშნა – ყველა პატრიარქის მოვალეობაა არასოდეს დააყენოს თავისი ქვეყანა და ეკლესია დარტყმის ქვეშ, არამედ მან თავის თავზე უნდა მიიღოს ეს დარტყმა. ასეთები იყვნენ ჩვენი პატრიარქები და ასეთი იყო წმიდა ამბროსი აღმსარებელი.

2012-2013 წლებში საიუბილეო თარიღი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის. 2012 წლის 25 დეკემბერს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს აღსაყდრებიდან 35,2013 წლის 4 იანვარს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. 2012 წლის 4 მაისს უნივერსიტეტში მოეწყო უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა. ნოემბერში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, დაიბეჭდა პატრიარქისადმი მიძღვნილი წიგნი „მწყემსი საქართველოსი“. 2013 წლის 11 იანვარს ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან ერთად ესტუმრნენ ყოელადუწმიდესი ბართოლომეოსი – მსოფლიო პატრიარქი, უწმიდესი ირინეოსი – სერბეთის პატრიარქი, უნეტარესი ქრისტეფორე – ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი სერაფიმე – ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი კირილე – ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა სფეროში მიხეილ შვიდკოი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე მიესალმა სტუმრებს და ბრძანა: „თქვენო ყოელადუწმიდესობავ მსოფლიო პატრიარქო, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურნო, დელეგაციეს ხელმძღვანელებო, თქვენო აღმატებულებავ ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეე, ბატონებო! დღეევანდელი დღე ისტორიულია ჩვენი უნივერსიტეტისათვის, დღეს ჩვენ ვმასპინძლობთა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს, უსაზღვროა ჩვენი სიხარული, უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში იმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება ჩვენი დიდი პატრიარქის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავს. დღეევანდელი დღე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მისი უწმიდესობა ილია II საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოსილია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. XX-XXI საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიაში სამი დიდი პატრიარქის ღვაწლი განუზომელია. მათგან ორნი, უწმიდესნი და უნეტარესნი კირიონი და ამბროსი მოწამეობრივად აღესრულნენ, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბოლო 35 წლის მანძილზე ჩვენს მუშფოთვარე, წინააღმდეგობებით და პრობლემებით დახუნძლულ საქართველოში ქართველი ხალხის ცხოვრებით, ჭირითა და ლხინით ცხოვრობს. იგი თითოეული ქართველისათვის ბრძენი, ყურადღებიანი დიდი სულიერი მოღვაწეა. მისი სჯერათ, ის უყვართ, ყველა ცდილობს რაღაცით გამოხატოს მისადმი უდიდესი პატივისცემა. ჩვენმა დიდმა პატრიარქმა სიცოცხლეშივე უკვდავებაში შეაბიჯა“.

2013 წლის სექტემბერში უწმიდესი და უნეტარესი კვლავ ეწვია ქართულ უნივერსიტეტს, შეხვდა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება. უწმიდესის და უნეტარესის მიერ დაარსებული ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები გრძნობენ იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ აკისრიათ ქვეყნისა და ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლის წინაშე და ყველაფერს აკეთებენ, რათა გაამართლონ პატრიარქის იმედები.

2013 წლის 6 იანვარს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე დაჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმიდა გიორგის ოქროს ორდენით თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და ქართული უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ეს ჯილდო საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის აღიარებაა. 2008 წლის 16 აპრილს მთიან აჭარაში შეიქმნა წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი. მისი მიზანია ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობისა და სულიერების ამაღლების მიზნით განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. უნივერსიტეტი მთიანი აჭარის ახალგაზრდობას საშუალებას აძლევს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი გრანტის საფუძველზე მიიღოს უფასო უმაღლესი განათლება. უნივერსიტეტის რექტორია სხალთელი მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე). უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებია: ფილოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, განათლება, ჟურნალისტიკა, საჯარო მმართველობა, ბიზნესი და ადმინისტრირება, სამართალმცოდნეობა, აგრარული, მედდის საქმე. სამაგისტრო – ისტორია, ფილოლოგია, განათლება, ჟურნალისტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, აგრარული, არქეოლოგია. 2013 წლის 17 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ესტუმრა აბუსერიძე ტბელის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტს, დალოცა უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მოიწონა უნივერსიტეტის რექტორის მეუფე სპირიდონის საქმიანობა. 2009 წლის 12 მარტს თბილისში გაიხსნა წმ. თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც 2011 წელს გადაკეთდა სასწავლო უნივერსიტეტად; მისი რექტორია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე). დეკორატიული მებაღეობის ინსტიტუტი 2012 წლიდან გადაკეთდა საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯად, რომელსაც ხელმძღვანელობენ ზურაბ შევარდნაძე (დირექტორი), მოადგილე დედა თეკლე (სიხარულიძე). 2012 წლიდან სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებული ხალხური სიმღერებისა და გალობის უმაღლესი სკოლა გადაკეთდა საქართველოს საპატრიარქოს გიორგი მთაწმიდელის სახ. სასწავლო უნივერსიტეტად, რომლის რექტორია არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე). უნივერსიტეტი მოამზადებს საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერების სპეციალისტებს, იზრუნებს ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვა-გადარჩენისათვის. 2012 წლის 14 მაისს ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა ლონდონში დააფუძნა ფონდი „ქართული გალობა“, რომელიც ყოველწლიურად გამოყოფს 20 000 ლარს საუკეთესო შემსრულებლების წახალისებისათვის. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ყოველი წლის 14 მაისს, წმ. თამარ მეფის ხსენების დღეს, აღინიშნება ქართული გალობისა და სიმღერების დღესასწაული. ამ დღეს დაჯილდოვდებიან თბილისისა და საქართველოს რეგიონებში მოღვაწე მუსიკალური კოლექტივები. უწმიდესმა და უნეტარესმა, 2012 წლის 17 ივნისს საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა: „მადლობა ღმერთს, რომ ეცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ეკლესიას აქვს ორი სასულიერო აკადემია, 4 სასულიერო სემინარია, საპატრიარქოს უნივერსიტეტი, გელათის მეცნიერებათა აკადემია, 40-ზე მეტი სკოლა და გიმნაზია. ამ სასწავლებლებმა გამოიღეს კეთილი ნაყოფი, მათ აქვთ ძალიან კარგი შედეგები და ჩვენ ვმადლობთ უფალს ასეთი დიდი წყალობისათვის! ჩვენს ეკლესიაში წინა პატრიარქების მმართველობის ეპოქაში ამდენი სასწავლებლის ეკლესიის ეგიდის ქვეშ ყოფნა წარმოუდგენელი იყო“. ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო სემინარიები აქვს: ახალციხეში – წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის (რექტორი მიტროპოლიტი თეოდორე), ბათუმში – წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის

(რექტორი დეკანოზი ბასილ ბერიძე). 1995 წლის 25 მაისს საქართველოს სახელმწიფო მეთაურისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთობლივი ბრძანებით, „ქართული ენისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარების მიზნით“, ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. ამით აღდგა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიცია. გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტები იყვნენ: პროფესორი მაგალი თოდუა, პროფესორი მიხეილ ქურდიანი. ამჟამად გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია რუსთავის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი). აკადემია გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო ჟურნალს, რომელშიც იბეჭდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ძველი ქართული ენის, ლიტერატურის, ქრისტიანული ხელოვნების მნიშვნელოვან პრობლემებზე. სასულიერო სასწავლებლები ფუნქციონირებს ახალციხეში, გორში, ფოთში, ბათუმსა და ნეკრესში. ყველა მოქმედ ეპარქიაშია სასულიერო გიმნაზიები, პროფილური სკოლები.

2011 წლის 2 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სოფ. დიღომში გაიხსნა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის საპატრიარქოს პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი, რომელსაც მეთვალყურეობას უწევს მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), კოლეჯის დირექტორია რევაზ შარაბიძე. კათოლიკოს-პატრიარქი ღირსეულად აგრძელებს საქართველოს საერო უნივერსიტეტებთან ურთიერთობის იმ ტრადიციას, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ. უწმიდესი და უნეტარესი არჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

კათოლიკოს-პატრიარქი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პოლიტიზირებული ძალა არ უნდა გახდეს, რადგან ეკლესია მოწოდებულია იმისათვის, რომ მთელ ერს ამთლიანებდეს. სასულიერო სასწავლებლები – აკადემია, სემინარია, გიმნაზია – მაგალითი უნდა იყოს საერო სასწავლებლებისთვისაც. საქართველოში სასულიერო განათლების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სასწავლებლებთან კონტაქტებს, მათი გამოცდილება და მიღწევათა სწორად გააზრება დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სასწავლებლებს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი წარჩინებული სტუდენტები გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სწავლას აგრძელებენ მოსკოვისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში, საერო უნივერსიტეტებში, აგრეთვე საბერძნეთში, ჩეხეთში, კვიპროსზე, გერმანიაში, რომში, ინგლისში. საქართველოს ეკლესიის მეთაური ზრუნავს არა მარტო სასულიერო განათლების პრობლემებზე, არამედ ზოგადად საბუნებისმეტყველო-ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაზეც. პატრიარქთან ხშირად იკრიბებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, 2005 წლის 8 თებერვალს, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი – „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება“. ფონდის თავმჯდომარეა უწმიდესი და უნეტარესი ილია II, აღმასრულებელი მდივანი – პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. ფონდის პრეზენტაციაზე საქართველოს პატრიარქმა ასე განსაზღვრა ფონდის სამოქმედო გეგმა: „ეს ფონდი იზრუნებს არამარტო სულიერების განმტკიცებისთვის, არამედ კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარებისთვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის. ამიტომ, ჩვენ გვექნება ძალიან მჭიდრო კავშირი ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენს უნივერსიტეტებთან და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დახმარების ხელი გაეუწოდოთ მეცნიერებს, მაგრამ მთავარი მაინც

ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნება განმტკიცებაა“. ფონდის მმართველ საბჭოში შედიან თვალსაჩინო ადამიანები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ფონდის მიზანია დააფინანსოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტები. ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით აღდგა ქართული ჟურნალების: „ცისკარის“, „მნათობისა“ და „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოცემა; დაფინანსდა მრავალი სამეცნიერო,ლიტერატურული,ისტორიული,სასწავლო-შემეცნებითი თუ ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი და გამოცემა. ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კულტურული თანამშრომლობა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. პატრიარქის ფონდი ყოველწლიურად ატარებს მაშტაბურ საერთაშორისო ფესტივალს – „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რომლის მიზანია ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული და მსოფლიო კლასიკური ხელოვნებით, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა და ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელ შემსრულებულთა შემოქმედების პოპულარიზაციით საქართველოში.

2006 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქის ფონდთან დაარსდა ქართული საგალობლისა და ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ლოტბარების მომზადება,სამგალობლო სასწავლებლებისა და ფოლკლორული ცენტრების დაარსება და ქართული კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. ფონდი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ფონდი აქტიურად მუშაობს დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ეროვნული პროგრამის შექმნაზე. პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2008 წლის დასაწყისისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ფონდში, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქთან, ხშირად იკრიბებიან ქართველი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, საზოგადოების წარმომდგენლები, სადაც მსჯელობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თემას და იმ გზების ძიებას, რომელიც აღადგენს ჩვენი ხალხების მშვიდობიან თანაცხოვრებას ერთიან სახელმწიფოში. უწმიდესმა და უნეტარესმა აღორძინებული „მნათობის“ პრეზენტაციაზე საზგასმით აღნიშნა: „მწერლობა, ლიტერატურა არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს პროზა და პოეზია ჩვენს სულში... რა იქნებოდა, რომ არა გვქონოდა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა? ვერ აღორძინდებოდა ის საერო ლიტერატურა, რომელსაც ასე ვეთაყვანებით და რომლითაც ასე ვამაყობთ. ქართული ლიტერატურა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი“.

1995 წლის 25 მაისს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის,ედუარდ შევარდნაძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ერთობლივი ბრძანებით, „ქართული ენისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარების მიზნით,“ ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. ამით აღდგა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიცია. გელათის აკადემიაში ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ თვალსაჩინო მეცნიერები (სულ 21 წევრი). აკადემიის პრეზიდენტი 1995–2007 წლებში იყო ცნობილი ფილოლოგი მაგალი თოდუა. 2007-2013 წლებში აკადემიის პრეზიდენტია პროფესორი მიხეილ ქურდიანი, 2013 წლიდან მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი). აკადემია გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო ჟურნალს, რომელშიც იბეჭდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ძველი ქართული ენის,ლიტერატურის,ქრისტიანული ხელოვნების მნიშვნელოვან პრობლემებზე. გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიის აღდგენით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში სასულიერო განათლების სრული რეაბილიტაცია–აღორძინება მოახდინა. სასულიერო სემინარიები ფუნქციონირებს ახალციხეში, გორში, ფოთსა და ბათუმში. ყველა მოქმედ ეპარქიაშია სასულიერო გიმნაზიები, პროფილური სკოლები. სულ ამ ტიპის სასწავლებელთა რიცხვი 50–ზე მეტია. ბოლო

პერიოდში შეიმჩნევა განათლების სამინისტროს მესვეურთა მიერ ერთგვარი სურვილი ამ სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კორექტირება–ოპტიმიზაციისა, რაც შეასუსტებს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში სასულიერო ტრადიციებს, მაგრამ, ღვთის შეწევნით, სკოლები ინარჩუნებენ იმ მიმართულების ერთგულებას, რომელიც ქრისტიანული პედაგოგიკის მართლმადიდებლურ მრწამსს უკავშირდება.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II ღირსეულად აგრძელებს საქართველოს საერო უნივერსიტეტებთან ურთიერთობის იმ ტრადიციას, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II–მ. არ დარჩენილა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მისი უწმიდესობა არ შეხვედროდა პროფესორ–მასწავლებლებს, სტუდენტებს. უწმიდესი და უნეტარესი არჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან–საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში 2005წლამდე იკითხებოდა რელიგიის ისტორიის (მართლმადიდებლობის) მოკლე კურსები, ფუნქციონირებდა რელიგიათმცოდნეობის კათედრები.

2005 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. მისმა უწმიდესობამ აკადემიის წევრებს მიმართა: „მე თავს ვიხრი ჩვენი მეცნიერების წინაშე. დიდია თქვენი ღვაწლი, თქვენი წვლილი ერისა და ეკლესიის წინაშე... მე ვიტყოდი, რომ ის, რაც აქ ხდება, ისტორიული აქტია, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული... საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დღეს მძლავრი სამეცნიერო ცენტრია, რომელსაც უნდა გაეუფრთხილდეთ და, ამასთან ერთად, უნდა ვიზრუნოთ მის გაძლიერებაზე. აღმასვლის პროცესი უწყვეტი უნდა იყოს“.124

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პოლიტიზირებული ძალა არ უნდა გახდეს,რადგან ეკლესია მოწოდებულია იმისათვის,რომ მთელ ერს ამთლიანებდეს. სასულიერო სასწავლებლები – აკადემია, სემინარია, გიმნაზია – მაგალითი უნდა იყოს საერო სასწავლებლებისთვისაც.

საქართველოში სასულიერო განათლების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სასწავლებლებთან კონტაქტებს, მათი გამოცდილება და მიღწევათა სწორად გააზრება დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სასწავლებლებს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, ჩვენი წარჩინებული სტუდენტები გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სწავლას აგრძელებენ მოსკოვისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში,აგრეთვე საბერძნეთში,ჩეხეთში,კვიპროსზე,გერმანიაში,რომში. საქართველოს ეკლესიის მეთაური ზრუნავს არა მარტო სასულიერო განათლების პრობლემებზე, არამედ ზოგადად საბუნებისმეტყველო–ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაზეც. პატრიარქთან ხშირად იკრიბებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, 2005 წლის 8 თებერვალს, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს,დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი – „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება“. ფონდის თავმჯდომარეა უწმიდესი და უნეტარესი ილია II,აღმასრულებელი მდივანი – დეკანოზი გიორგი ზვიადაძე. ფონდის პრეზენტაციაზე მისმა უწმიდესობამ ასე განსაზღვრა ფონდის სამოქმედო გეგმა: „ ეს ფონდი იზრუნებს არამარტო სულიერების განმტკიცებისთვის, არამედ კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარებისთვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის. ამიტომ, ჩვენ გვექნება ძალიან მჭიდრო კავშირი ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენს უნივერსიტეტებთან და ყველაფერს გავაკეთებთ

იმისათვის, რომ დახმარების ხელი გავუწოდოთ მეცნიერებს, მაგრამ მთავარი მაინც ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნება განმტკიცებაა."[125]

უწმიდესმა და უნეტარესმა აღორძინებული „მნათობის" პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღნიშნა: „მწერლობა, ლიტერატურა არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს პროზა და პოეზია ჩვენს სულში... რა იქნებოდა, რომ არა გექონოდა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა? ვერ აღორძინდებოდა ის საერო ლიტერატურა, რომელსაც ასე ვეთაყვანებით და რომლითაც ასე ვამაყობთ. ქართული ლიტერატურა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი".[126]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XXI საუკუნის დასაწყისში ეროვნული მეცნიერული და ინტელექტუალური ღირებულებების მოწინააღმდეგეთა პასუხად მტკიცე ქომაგად დაუდგა ქართულ მეცნიერულ–ინტელექტუალურ ძალას. 2005 წლის 7–9 ნოემბერს სტამბულში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „მშვიდობა და შემწყნარებლობა" პატრიარქი კვლავ შეეხო თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას – ცივილიზაციათა დიალოგის საკითხებს – და აღნიშნა, რომ კვლავ აქტუალურია ცივილიზაციათა დიალოგის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ხალხებს საშუალებას მისცემს, გააერთიანონ ძალები გლობალური და ლოკალური საკითხების გადასაჭრელად. საზოგადოება უნდა დაფიქრდეს ერის სულიერი წინამძღოლის მინიშნებაზე, რომ თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ყოფს და აპირისპირებს, ღმერთი აერთიანებს და არიგებს. პატრიარქი შეახსენებს ყველას, ვისთვისაც მეცნიერება, ერის ინტელექტუალური პოტენციალი მეორეხარისხოვანია, რომ „ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია... მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს. მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ქვეყანამ არ გამოიყენოს ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია".[127] ქართველი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები შექმნილ რთულ ვითარებაში ერის ინტელექტუალური პოტენციალის მფარველად და გადამრჩენლად სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მიიჩნევენ.

XIX საუკუნემდე საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ორიგინალური თუ ნათარგმნი საღვთისმეტყველო ლიტერატურის პრობლემა არ არსებობდა. V საუკუნიდან ქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილის ცალკეული წიგნები, აქედანვე იღებს სათავეს ორიგინალური სასულიერო მწერლობა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებას. ამ მიზნით დიდი სამუშაოები სრულდებოდა როგორც საქართველოში, ასევე – საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში. ათონის ივერთა მონასტერი გამორჩეული იყო შუა საუკუნეებში როგორც ორიგინალური სასულიერო ლიტერატურის შექმნის, ასევე მთარგმნელობითი თვალსაზრისით. ამ დიდმა ტრადიციებმა, XV-XVIII საუკუნეების რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, მაინც მოაღწია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ანტონ I-ის მოღვაწეობის დრომდე. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარება, ქართულ ენაზე წმიდა წიგნების გამოცემა საქართველოში დამკვიდრებული რუსი ეგზარქოსებისათვის მიუღებელი გახდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში მაინც მოხერხდა აუცილებელი სასულიერო წიგნების გამოცემა ქართულ ენაზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით, დაიწყო საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალის „სვეტიცხოვლის" გამოცემა,

რომელშიც უნდა ასახულიყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა. ჟურნალის რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა. სამწუხაროდ, ექვსი ნომრის მეტი ვერ გამოიცა.

1918 წელს მღვდელ ქრისტეფორე ციცქიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ახალი სიტყვა“,რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, საკათოლიკოსო საბჭოს, კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II–ის მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიათა უმრავლესობას პოლემიკური ხასიათი ჰქონდა. გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ 9 ნომერი.

1918 წელს კათოლიკოს–პატრიარქ კირიონ II–ის ლოცვა–კურთხევით დაიბეჭდა საეკლესიო კალენდარი, რომლის არც ერთ ეგზემპლარს ჩვენამდე არ მოუღწევია.

1921 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სურდა გამოეცა საპატრიარქოს უწყებანი, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. 1927 წლიდან ყოველწლიურად უნდა გამოცემულიყო „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“,მაგრამ გამოიცა მხოლოდ 1927 და 1928 წლებისა.

გასული საუკუნის 40–იან წლებში უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ აღადგინა საეკლესიო კალენდრის გამოცემა. განსაკუთრებული მოვლენა გახდა 1963 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ეფრემ II–ის ლოცვა–კურთხევით „ახალი აღთქმის“ გამოცემა. მართალია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა,კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი მეცნიერული კომენტარებით აქვეყნებდა ბიბლიის ტექსტებს, წმინდანთა ცხოერებას, მაგრამ ეკლესია მართლმადიდებლური წიგნების ნაკლებობას განიცდიდა; ამიტომ ეს მაინც დიდი მოვლენა იყო.

უწმიდესისა და უნეტარესის კათოლიკოს–პატრიარქ დავით V–ს დროს მოხერხდა საქართველოს ეკლესიის კალენდრის (1976, 1977 წლების) ცალკე წიგნებად გამოქვეყნება, რომელთა შინაარსიც, საეკლესიო დღესასწაულების გარდა, ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოიცავდა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა თუ მართლმადიდებლური დოგმატიკის საკითხების შესახებ. საეკლესიო კალენდარმა ოფიციალური ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია.

1977 წლის 25 დეკემბერს ახლადარჩეულმა პატრიარქმა ილია II–მ კომპეტენტური, მცოდნე კადრების ნაკლებობის გამო თავის თავზე აიღო 1978 წლის საეკლესიო კალენდრის შემდგენელ–რედაქტორობა და კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა წინა წლების კალენდრებში არსებული მასალები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყოველწლიური კალენდარი თავისი მეცნიერული დონით, დამწყები მორწმუნეთათვის აუცილებელი ლოცვებით, საეკლესიო დღესასწაულების მოკლე მიმოხილვით საზოგადოებისათვის სასურველ გამოცემად იქცა. 1977–1986 წლებში მისი ტირაჟი შეზღუდული იყო,მაგრამ ხალხი მაინც ახერხებდა საეკლესიო კალენდარში არსებული აუცილებელი მასალის გადაწერასა და გამრავლებას. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით, 1980–1982 წლებში კალენდრებში დაიბეჭდა „ფსალმუნნი დავითისი“, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ცალკეული თავები. უწმიდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ლოცვა–კურთხევით,ყოველწლიურ სქელტანიან საეკლესიო კალენდარს დაემატა მცირე ფორმატის „ჯვიბის კალენდარი“ (1979 წლიდან) და კედლის კალენდარი. ამჟამად გამოდის როგორც საპატრიარქოს ოფიციალური კალენდარი, ასევე იბეჭდება ეპარქიების მიერ მომზადებული კალენდრებიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1978 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის ლოცვა–კურთხევით გამოვიდა საქართველოს საპატრიაქოს ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელიც თავისი მრვალფეროვანი შინაარსით, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყოველდღიური საქმიანობის მიმოხილვით საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი ოცდაათწლიანი ისტორიის ყველაზე სანდო წყაროდ იქცა. ჟურნალი ემსახურება მისი უწმიდესობის მიზანს – სრულიად საქართველოს სულიერ გამთლიანებას. ჟურნალის

საგანგებო ნომრები – „ტაო-კლარჯეთ-მესხეთი“, „საინგილო“, „აფხაზეთი“, „აჭარა“, „ახახეთი“,„იმერეთი“,„რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი“,„სამეგრელო“,„გურია“,„შიდა ქართლი“ – ქართველობას აცნობს ამ რეგიონებში არსებულ პრობლემებს და ცდილობს დააფიქროს საზოგადოება მათი მოგვარების გზებზე.

1978–1990 წლებში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მცირე ტირაჟით გამოდიოდა „საღვთისმეტყველო კრებული“,რომელშიც იბეჭდებოდა თეოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული ხასიათის გამოკვლევები და თარგმანები.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიის სრული ტექსტის დაბეჭდვას. უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ბიბლიის მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამომცემელთა ჯგუფი, რომლის მრავალწლიანი შრომის შემდეგ 1989 წელს დაიბეჭდა ბიბლიის სრული ტექსტი ახალ ქართულ ენაზე. ამას მოჰყვა ბიბლიის ძველ ქართულ ენაზე დაბეჭდვაც. მართალია, ტირაჟი მცირე იყო, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება, რომ გამოცემა რამდენჯერმე განმეორდა. საპატრიარქოს შეკვეთით, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტმა მილიონობით ტირაჟით გამოსცა „ახალი აღთქმა და ფსალმუნნი“.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1989 წლიდან დაიწყო გაზეთ „მაძლის“ გამოცემა. 1999 წლის 7 იანვრიდან გამოდის „საპატრიარქოს უწყებანი“, რომელიც თავისი შინაარსით მრავალფეროვანია და მოიცავს საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროს. საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით გამოდის ჟურნალები: „ქარიბჭე“ და „კრიალოსანი“. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყველა ეპარქიას აქვს თავისი გაზეთები და ჟურნალები: „ხვამლი“, „თაბორი“, „ფუძე“, „დედაეკლესია“, „სამრეკლო“, „კანდელი“, „მრევლი“. საპატრიარქოში არსებობს საღვთისმეტყველო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია (თავმჯდომარე ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)),გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი (თავმჯდომარე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)), საინფორმაციო სამსახური – პრესცენტრი (თავმჯდომარე ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)), საგამომცემლო განყოფილება (თავმჯდომარე პროფესორი გვანცა კოპლატაძე). საპატრიარქოს აქვს თეოლოგიური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა. საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს საპატრიარქოს არქივში (უფროსი მზია კაცაძე),დამუშავდა უნიკალური ფონდები. პატრიარქის აღსაყდრების 30-ე წლისთავს ეძღვნება საპატრიარქოს არქივის მასალებზე დაყრდნობით გამოცემული შესანიშნავი წიგნი-ალბომი „პატრიარქი“ , რომელიც შეადგინა ქალბატონმა მზია კაცაძემ.

საპატრიარქოს რადიო „ივერია“ თავისი ეროვნული შინაარსის გადაცემებით განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში.

2008 წლის 23 ნოემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევითა და ლოცვაკურთხევით დაარსდა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, რომელსაც 2017 წლის 10 მარტამდე ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), ხოლო 10 მარტიდან დეკანოზი მიქაელი (ფოფხაძე). ტელეკომპანია „ერთსულოვნება“ ემსახურება საზოგადოებაში მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების დანერგვას, ქართული ეროვნული სულისა და უფლისმიერი სიყვარულის გაღვივებას. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას თითქმის ყველა ეპარქიაში აქვს სასულიერო და საერო პროფილის გიმნაზიები, სასწავლებლები.

უკვდავებაში გარდასულ სახეთა არდაგიწყება

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვცემდეთ პატივს ჩვენს დიდ წინაპართა სახელებს, მათ ხსოვნას. უწმიდესი და უნეტარესი წმინდანებად შერაცხულ ქართველ მეფეთაგან განსაკუთრებით გამოარჩევს წმიდა მირიანს, წმიდა ვახტანგ გორგასალს, წმიდა არჩილს, წმიდა დავით აღმაშენებელს, წმიდა თამარს, ლუარსაბ წამებულს, წმიდა ქეთევან დედოფალს... საეკლესიო კალენდრის მიხედვით მათი ხსენების დღეებში წირვის შემდეგ პატრიარქი მრევლს არაერთხელ ესაუბრა მათ სულიერ სიმაღლეზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე. უწმიდესი ხშირად სტუმრობს გელათის მონასტერს. დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მის დიად საქმეთა შეხსენებით ქართველობას განუმტკიცებს წარსული ისტორიით აწმყოსა და მომავლის რწმენას. პატრიარქი ხშირად იხსენებს ქართლ–კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მიერ სამშობლოსათვის თავგანწირვას, კრწანისის ბრძოლას, სადაც 75 წლის მოხუცი მეფე უკანასკნელად გავიდა ბრძოლის ველზე. უწმიდესმა და უნეტარესმა 300 არაგველის ბაღში არაერთხელ გადაიხადა პარაკლისი აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მეომართა სულების მოსახსენებლად. მანვე გადაარჩინა 300 არაგველის ბაღი გასხეისებას. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა 1987 წლის 20 ივლისს, წმიდა სინოდის თანხმობით, დიდი ქართველი მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული მეთაური ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. წმიდა ილია მართალი XX საუკუნის დასაწყისში სოციალ–დემოკრატების მსხვერპლი გახდა, მისი სახელი იდევნებოდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში, ხოლო 40–70–იან წლებში ხან რევოლუციონერ–დემოკრატად, ხან კი განმანათლებლად იწოდებოდა. წმინდანად შერაცხვის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ქართველი ერის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. პატრიარქმა აღასრულა ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის – აკაკი წერეთლის წინასწარმეტყველება: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც უკვდავი იქნებიო. წმიდა ილია მართლის უკვდავება 1987 წლიდან დაიწყო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამართლიანად თვლიდა, რომ ცოტნე დადიანის გმირობა და მოყვასისათვის თავდადება საკმარისი იყო მისი წმინდანად კანონიზაციისათვის. 1999 წლის 26 ოქტომბერს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეროვნული გმირი ცოტნე დადიანი წმინდანად შეირაცხა. პატრიარქმა ასევე უკვდავყო XVII–XVIII საუკუნეებში სპარსეთში დაღუპულნი „წმიდა მოწამენი ქართველნი“, სარწმუნოებისათვის თავდადებულნი ლაზნი, საქართველოს მეფე ვახტანგ III, რომელიც აღესრულა 1303 წელს. დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ყველა ინტელექტუალისათვის ცნობილია. მისი დაუღალავი საქმიანობით XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე შესაძლებელი გახდა მრავალი უცნობი ხელნაწერისა და საისტორიო საბუთის მოძიება და გადარჩენა. ფასდაუდებელი იყო მეცნიერის მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე – თურქეთის საქართველოში, ისტორიულ ტაო–კლარჯეთში. ექვთიმე თაყაიშვილი პატრონობდა 1921 წელს ემიგრაციაში წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატანილ ქართულ სიწმინდეებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ დიდმა ადამიანმა ბოლშევიკური ხელისუფლებისგან დამცირება, შეურაცხყოფა, ცილისწამება და მრავალი უსიამოვნება გადაიტანა. იგი აღესრულა 1953 წელს. ქართველი საზოგადოება სინანულით იხსენებს მეცნიერის სამშობლოში ცხოვრების ბოლო წლებს. მრავალი წიგნი და სამადლობელი წერილი მიეძღვნა მის ხსოვნას, მაგრამ ყოველივე ეს მის დამსახურებასთან შედარებით ზღვაში წვეთი იყო. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II-მ 2002 წლის 18 ოქტომბრის სინოდის სხდომაზე ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მოწამებრივად

აღსრულებული ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და მას წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეს ისტორიული გადაწყვეტილება დიდი ადამიანის უკვდავებისა და შთამომავლობის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების უბადლო მაგალითია.

საუკუნეთა მანძილზე ქართველ წმინდანთა შესახებ ცნობები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ბევრი წყარო დაიკარგა, ბევრი ღირსეული მოღვაწე თაყის დროზე ვერ იქნა სათანადოდ დაფასებული. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში შექმნილ წმინდანთა კანონიზაციის კომისიას (ხელმძღვანელი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი) დაავალა, მოეძია მასალები საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებებზე, რათა წმიდა სინოდის სხდომებზე მოეხდინათ მათი წმინდანებად შერაცხვა. 1996 წლის 23 დეკემბერს წმინდანებად შეირაცხნენ წმიდა ნინოს მშობლები – ზაბილონი და სუსანა, 2002 წლის 18 ოქტომბერს – ქართლის პირველი კათოლიკოსი პეტრე I, კათოლიკოსი სამოელ I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I, XVI საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ზოსიმე კუმურდოელი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოსების: გაბრიელის, ალექსანდრეს, მიტროპოლიტ ნაზარისა და სამღვდელო კრებულის, მღვდელ-მონაზონ ალექსი შუშანიას, ილარიონ ყანჩაველის, გრიგოლ ფერაძის, ექვთიმე კერესელიძის, იოანე მაისურაძის, გიორგი მხეიძის, მიტროპოლიტების: დოსითეოზისა და ექვთიმეს წმინდანებად შერაცხვით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა.

1995 წლის 18–19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანად შერაცხა. როდესაც პატრიარქმა ეს გადაწყვეტილება ამცნო კრების მონაწილეებს, ცრემლი ვერ შეიკავა. ეს იყო სინანული იმ ადამიანთა ნაცვლად, რომელთაც ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეკლესიური თავისუფლებისათვის მებრძოლ კათოლიკოს ამბროსის მრავალი უსიამოვნება მიაყენეს, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი სამშობლოს ღალატის ბრალდებით ციხეშიც კი გამოკეტეს. კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ თავის სასამართლო პროცესზე ქრისტეს სიტყვებით მიმართა მრევლს: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემდა, არამედ იტირეთ თავთა თქვენთა და შვილთა თქვენთა“. წმიდა ამბროსი აღმსარებელი ახლად შერაცხულ წმინდანთა დასში გამორჩეულად ბრწყინავს.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეცნიერ ისტორიკოსებთან მრავალწლიანი კონსულტაციების შემდეგ კიდევ უფრო სრულად გააანალიზა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ავტოკეფალიური მოძრაობის მეთაურის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ღვაწლი. კირიონ II-მ მრავალი დაბრკოლება, ცილისწამება, დევნა-გადახსნილება გადაიტანა, მაგრამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან აღასრულა თავისი სიტყვები: „მამული შვილობის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდიაო“ და 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოწამეობრივად აღესრულა. ქართველ მეცნიერთა და სასულიერო წრეებში ოთხმოც წელზე მეტ ხანს არ შეწყვეტილა დავა და აზრთა ურთიერთჭიდილი, თუ რა მოხდა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის წმინდანად შერაცხვით ღირსეულად დააფასა დიდი წინამორბედის ღვაწლი ქართველი ერისა და დედაეკლესიის წინაშე.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ასეთივე პატივი მიაგო სამშობლოდან უსამართლოდ დევნილი ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წარმომადგენლის, 1815 წელს ტრაპიზონში აღსრულებული იმერთა მეფის სოლომონ II-ის ხსოვნას: 1990 წელს პანაშვიდები გადაუხადა სიონისა და სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრებში, ხოლო 2005 წლის 27 ივნისს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი თავდადებული მეფე

წმინდანად შერაცხა. პატრიარქმა ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულ პატივს მოაგებს დიდ წინაპართა ხსოვნას. 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანთა დასში შერაცხა: გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III, იმერთა მეფე სოლომონ I, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ წინამორბედთა საქმის ღირსეული გამგრძელებელი და, ამავე დროს, მათი ღვაწლის საოცარი დამფასებელია. იგი არაერთხელ შეხებია 1927–1932 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობას და აღუნიშნავს პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ალღო და მოქნილობა, ახალ საბჭოთა ხელისუფლებასთან დიალოგი და თანამშრომლობა, რომლითაც მან სრული განადგურებისგან იხსნა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ 1979 წელს საპატრიარქოში შექმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც უნდა მოეძია მასალები უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს შესახებ. შეიკრიბა უწმიდესი კალისტრატეს თანამედროვეთა მოგონებები, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა დიდი პატრიარქის ღვაწლი და დამსახურება. Mმისი უწმიდესობა ილია II სტუდენტობის პერიოდში არაერთხელ შეხვედრია უწმიდეს და უნეტარეს მელქისედეკ III–ს. უწმიდესსა და უნეტარესს მისალოც ბარათებში ლაკონურად, მაგრამ სრულად წარმოუჩენია უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს–პატრიარქების: ეფრემ II–ისა და დავით V–ის ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე.

პატრიარქი ერთნაირად ყურადღებიანია მღვდელმთავრებისა და რიგითი სასულიერო პირების მიმართ. მან პატივი მიაგო სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერს – პახუმ ობოლაძეს,მიტროპოლიტებს: გიორგის (ლონღაძე),ზინობს (მაჟუგა),ტრიგოლს (ცერცვაძე), კონსტანტინეს (მელიქიძე), ელისეს (ჯოხაძე). უწმიდესის ლოცვა-კურთხევით სიონის საკათედრო ტაძრის გალავანში დაკრძალეს მიტროპოლიტები ათანასე (ჩახვაშვილი) და თადეოზი (იორამაშვილი).

უწმიდესი და უნეტარესი საოცრად მიმტევებელია. ამის დასტურია პატრიარქის პატივისცემა ბათუმ–შემოქმედელი მიტროპოლიტების – რომანოზისა (პეტრიაშვილი) და შიოს (ავალიშვილი) მიმართ,რომელნიც თავის დროზე მისი უწმიდესობის შეურიგებელი ოპონენტები იყვნენ. ისინი, პატრიარქის გადაწყვეტილებით, სიონის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. ხოლო როდესაც გარდაიცვალა ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსყოფილი იოანე (ანანიაშვილი), უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ მიიღო გადაწყვეტილება მისი სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალვის შესახებ.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II–მ დიდი პატივი მიაგო მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის, გიორგი ჭანტურიას, აკაკი ბაქრაძის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნას. 2007 წელს გროზნოდან საქართველოში გადმოასვენეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ნეშტი. ქართველი ხალხი თვალცრემლიანი მიაცილებდა მრავალტანჯული ადამიანის ცხედარს სვეტიცხოველის ტაძრიდან მთაწმინდისაკენ. Uუწმიდესმა და უნეტარესმა თვითონ გადაუხადა პანაშვიდი განსვენებულ პრეზიდენტს.

მისი უწმიდესობა განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წარმომადგენლებს, მიიჩნევს, რომ ბაგრატიონებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი საქართველოსათვის. იგი არ გამორიცხავს საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის ისეთი სახით აღდგენის შესაძლებლობას, როცა მეფე მეფობს,მაგრამ არ მართავს. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით,XX საუკუნის 90–იან წლებიდან განახლდა ბაგრატიონთა სამეფოს სახლის გარდაცვლილ წევრთა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში დაკრძალვის პროცესი.

სიონის საპატრიარქო ტაძარში შაბათობით შავოსანი ადამიანები იკრიბებიან. მათ სახეზე უდიდესი ტკივილი და მწუხარებაა აღბეჭდილი. უმრავლესობას ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დაატყდა თავს – ისინი შვილგარდაცვლილი დედები არიან. თუ არა ეკლესია, უწმიდესი და უნეტარესი ილია II–ის ყურადღება, მათი ცხოვრება მაშინ

დამთავრდებოდა, როდესაც საკუთარ შვილებს გამოეთხოვნენ. პატრიარქმა მათ უჩვენა სულიერი ცხოვრების გზა ხსნისა.

„ვცხოვრობდი წუთისოფლის ორომტრიალში ყოველდღიური საზრუნავით ჩემს ოჯახთან ერთად, ღმერთი კი რატომღაც არ გვახსოვდა. მაგრამ ღმერთმა თვითონ გაგვახსენა თავისი არსებობა. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედის მიერ ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა ჩემი უფროსი ვაჟი – 21 წლის კახაბერი. დრო თითქოს გაჩერდა, შიშმა შემიპყრო, მომავალს ველარ ვხედავდი. ერთ დღეს მომინახულა შვილგარდაცვლილმა დედამ. იგი თურმე სიონში არსებული შვილგარდაცვლილი დედების ჯგუფში იყო და უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ლოცვა–კურთხევით, გარდაცვლილი შვილებისათვის შეკეთილ წირვებს ესწრებოდა. მან ეკლესიაში წამიყვანა და იქიდან დაიწყო ჩემი ეკლესიური ცხოვრება. დავდიოდი წირვა–ლოცვებზე, ვისმენდი მოძღვრისა და თვით უწმიდესისა და უნეტარესის ქადაგებებს. ვგრძნობდი, რომ ჩემი გონება უკვე სხვაგვარად აზროვნებდა. მივხვდი, რომ რწმენის გარეშე სიცოცხლე ბნელი, შიშისმომგვრელი და გაუმართლებელი იყო. ახლა კი არის წუთები, როდესაც გული სიხარულით მევსება და ეს მომავალ ცხოვრებაში შვილთან შეხვედრის სიხარულია, რომელიც ადრე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა; მაგრამ წინ დიდი გზაა განსაცდელებით სავსე წუთისოფლისა და მის გაკაფვაში მისი უწმიდესობა დიდად გვეხმარება. პატარა ბავშვივით გულში გვისუტებს და გვეფერება, ჩვენი განცდა გულთან მიაქვს და გვარიგებს, რომ უსაზღვრო გლოვა და გოდება, ტირილი ამძიმებს ჩვენი შვილების უკედავ სულებს და ვამძიმებთ ოჯახურ ცხოვრებასაც... მადლობა უფალს და მის უწმიდესობას, რომ გვიხსნა სულიერი სიბრმავისაგან, აგვაცილა იმ განსაცდელს, რომელიც ჩვენი წარსული ურწმუნოებითი ცხოვრების მიხედვით საუკუნო ცხოვრებაში გველოდებოდა“,[128] – წერს ლიანა ბარნოვა.

უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, შვილგარდაცვლილი დედები მრავალი კეთილი საქმის აღმსრულებელნი არიან. მათთვის მისი უწმიდესობა რწმენის, იმედის, სიხარულისა და სიყვარულის ხატებაა. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ იმ მრავალრიცხოვან სამადლობელ ბარათებს, რომლებიც შვილგარდაცვლილმა დედებმა მის უწმიდესობას გაუგზავნეს. საპატრიარქოს არქივის გამგემ, ქალბატონმა მზია კაცაძემ 1987 წლის 6 დეკემბერს ორი შვილი – მიხეილი და მაიკო დაკარგა. „მყავს ორი შვილი მიხეილი და მაიკო, ამჟამად მკვიდრნი ზეციური სამყაროსნი, – წერს ქალბატონი მზია,– როგორც ყველა დედა, იმდენად ვიყავი ჩემი შვილების სიყვარულით დაბრმავებული, რომ თვით ღმერთიც კი არ მახსოვდა. არაფერი მინდოდა ამქვეყნად გარდა იმისა, რომ ისინი კარგ მამულიშვილებად აღმეზარდა. შედეგითაც არ ვიყავი უკმაყოფილო. მშობელთა კრებებიდან სიხარულისგან თავბრუდახვეული ვბრუნდებოდი. რა თქმა უნდა, ჩემს შვილებს წამით გვერდიდან არ ვიშორებდი, მაგრამ იმ საღამოს, მეც არ ვიცი, როგორ, ახლობლების დაჟინებული თხოვნით, მე და ჩემმა მეუღლემ ისინი მარტო დავტოვეთ და მეგობრის ქორწილში წავედით. რამდენიმე საათში უკან მობრუნებულებს ჩვენი სახლის წინ სახანძრო მანქანები და უამრავი ხალხი დაგვხვდა. ჩემი სახლ–კარი ცეცხლის ალში იყო გახვეული და ჩემი ორი შვილიც შიგნით იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით მე და ჩემი მეუღლე. ბოლომდე არ მინდოდა დამეჯერებინა, რაც შემდგომ მოხდა. სიმართლის თქმას ვერავინ მიბედავდა. მე თვითონ მივხვდი ყველაფერს, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა... დარჩა მხოლოდ ერთადერთი გზა – მე და ჩემს მეუღლეს შვილების დასაფლავების შემდეგ თავი მოგვეკლა, მაგრამ, სანამ ამას ჩავიდენდით, მივესულიყავით საქართველოს პატრიარქთან და გვეკითხა, თუ ღმერთი მართლა არსებობს, ასე რატომ გაგვიმეტა.

ამ დროს ოჯახის ახლობელმა შეგვატყობინა, რომ ჩვენთან ოჯახში სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II მობრძანდებოდა. ოთახში კათოლიკოსის შემობრძანებისთანავე რამდენიმე წუთის წინ სიგიჟის ზღვარზე მისული გააფთრებული დედა, ახლა უკვე გაწონასწორებული, წამოვდექი, სწრაფი ნაბიჯებით გავეშურე მისი

უწმიდესობის კენ, დავემხე მის მუხლებთან, მჭიდროდ შემოვხვიე ხელები, გულში ჩავიკარი და შველა ვთხოვე. მან ფრთხილად წამომაყენა და მოძღვარს თვალით ანიშნა, რომ პანაშვიდი დაეწყო. საეკლესიო წესის შესრულების შემდგომ პატრიარქმა ბრძანა: „თქვენ ბედნიერი მშობლები ხართ, თქვენი შვილები ანგელოზები არიან, ღმერთი ასეთ უბედურებას დედამიწაზე არ მოაწვედა, მაგრამ ეტყობა ძალიან დასჭირდა თქვენი შვილები და ისინი არა მარტო თქვენ, ბევრ სხვასაც გადაარჩენენო“.

მე და ბედნიერი?, – ვიფიქრე გონებით, მაგრამ გულით კი ყველაფერი ვიწამე და დამეუფლა საოცარი სიმშვიდე. ეს რამდენიმე წინადადება იქცა ჩემი შემდგომი ცხოვრების სულიერ საზრდოდ. წაბრძანების წინ მისმა უწმიდესობამ მთხოვა, ცრემლებით არ დამემძიმებინა მათი სულები, ფსალმუნები მეკითხა, ეკლესიაში მევლო, საპატრიარქოს კარები მუდამ ღია იქნებოდა ჩემთვის. გადმომცა სანთლები, ხატები, ჯვრები ჩემი შვილებისათვის, შემდეგ გულში თბილად ჩამიკრა და გამომემშვიდობა. იმ დღიდან ჩემი ცხოვრების წესი რადიკალურად შეიცვალა... დაერწმუნდი, რომ სული უკვდავია, რომ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, არამედ აღდგომითა და ამაღლებით გრძელდება და რომ არსებობს გარდაცვალება და არა სიკვდილი. და რომ გარდაცვალება არის მარადიულობის საწყისი.

თბილისში შვილგარდაცვლილ დედათა რაოდენობამ 600-ს გადააჭარბა. დიდმა ტკივილმა გააერთიანა ისინი. როგორც მისმა უწმიდესობამ ბრძანა, ასეთი ერთობა შვილგარდაცვლილი დედებისა ერთადერთია ქრისტიანობის ოცსაუკუნოვან მსოფლიო ისტორიაში. დედების ერთად ყოფნა ხომ მართლმადიდებლობის უსიტყვო ქადაგებაა“.[129]

შვილგარდაცვლილი დედები მრავალ სასიკეთო საქმეთა ინიციატორები არიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი საქმიანობა საპატრიარქოსთან არსებულ მოწყალების სახლში, რომელიც დაარსდა 1994 წელს და სადაც ასობით უპოვარ ადამიანს ყოველდღიურად უმზადებენ სადილებს, უტარებენ უფასო სამედიცინო შემოწმებას. „ჩვენმა ერთობამ, – აღნიშნავს ქალბატონი მზია, – მრავალი მშობელი გადაარჩინა იმ საშინელი ცოდვის ჩადენას, რომელსაც თვითმკვლელობა ჰქვია. ახლად შვილგარდაცვლილ მშობლებს, რომლებიც განადგურებულები, მძიდდაკარგულები მოდიან სიონში შაბათის წირვაზე, სადაც ისინი ნუგეშინისცემულნი არიან საღვთო მადლით, სითბოთი და სიყვარულით. ბევრ მათგანს თავიდან არც ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წირვა-ლოცვაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ღვთის წყალობით ისინი თანდათანობით თავადაც იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას.“[130]

უწმიდესმა და უნეტარესმა უმძიმესი პირადი ტრაგედიით სულშეძრულ და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ არაერთი ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების სურვილი. მრავალრიცხოვანი სამადლობელი წერილებიდან მსახიობ გოგი ხარაბაძის წერილი უწმიდესისა და უნეტარესისადმი მკაფიოდ აჩვენებს შვილგარდაცვლილ მშობელთა საოცარ სითბოსა და მადლიერებას ერის სულიერი წინამძღოლისადმი: „ისეთი საოცარი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი იმ საღამოს სიონის საკათედრო ტაძარში, რომ ყველაზე ურწმუნო თომაც კი აღიარებდა ღმერთის არსებობას. 7 აპრილს, ხარებას, თქვენო უწმიდესობავ, კიდევ ერთხელ მაგრძნობინეთ, რა არაჩვეულებრივი ქვეყნის შვილი ვარ, ქვეყნისა, რომლის სულიერი მამაც თქვენ ბრძანდებით. გმადლობთ რწმენისათვის. გმადლობთ ადამიანური თანადგომისათვის.“[131]

აფხაზეთში დაღუპული ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას დედა, ქალბატონი ნინო (ფენია) დარასელია-შარტავა უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ სამადლობელ წერილში აღნიშნავს: „ხალხის მსახურების გზა ეკლიანია, მაგრამ ამდენად შეუფასებელია საქართველოს პატრიარქის ღვაწლი სრულიად საქართველოსა და პირადად ჩვენი ოჯახის წინაშე. დღეს, მართალია, ფიზიკურად დაუძლურებულნი, მაგრამ სულიერად გაძლიერებულნი, ვავედრებთ უფალს საქართველოს და მის საჭეთმპყრობელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, მადლობა უფალს, მადლობა პატრიარქს ყველაფრისათვის! უფალმა დიდხანს აცოცხლოს ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ერის მამა, ერის იმედი, უწმიდესი და უნეტარესი ჩვენი

პატრიარქი“.[132]

უწმიდესი და უნეტარესი საოცარ ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს თანაბრად უნაწილებს ყველას, მათ შორის უძღებ შვილებსაც, და ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს აძლევს საზოგადოებას. იგი სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებს მათ და აფრთხილებს: „იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და მუდამ გახსოვდეთ, ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება: მასზე ძვირფასი არა არის რა კაცისათვის. იგი განსაზღვრავს ჩვენი მარადიული სიკეთილ–სიცოცხლის საკითხს.“[133]

„მკაცრი ი შვიათად ვარ, მაგრამ, თუ ეს შეეხება სამშობლოსა და ეკლესიის ბედს, შეუვალი ვხდები. ღვთისა და ერის მოღალატეს მკაცრი სასჯელი შემიძლია დავადო, ამავე დროს, სულ ველოდები მისგან სინანულს და, თუ მოინანიებს, მზად ვარ ყველაფერი ვაპატიო",[134] — ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მძიმე და საპასუხისმგებლოა ერის სულიერი წინამძღოლობა. ადამიანების უმრავლესობა გარედან ხედავს პატრიარქის საქმიანობას. პატრიარქი ლოცვაზეა, პატრიარქი წირავს, ტაძარში საზეიმოდ იმოსება, ზოგიერთს აინტერესებს, ოქროსია თუ არა პატრიარქის მიტრა, კვერთხი... უწმიდესი გრძნობს ამას და გვაფრთხილებს: „როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და ზოგჯერ ღვთისმეტყველნიც ეკლესიაზე წერენ, უფრო ხშირად მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას ან წარსულის მიხედვით აფასებენ მის როლს. ეკლესია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია".[135]

მისი უწმიდესობის პატრიარქობის ოცდაათწლიანი ხანა, ესაა ხილული და უხილავი წინააღმდეგობების დაძლევის პერიოდი. 1977 წლის 25 დეკემბრიდან, როდესაც მისმა უწმიდესობამ სეეტიცხოველში განაცხადა, რომ შეგნებული ჰქონდა ის საპატიო მოვალეობა, რომელიც დააკისრა წმიდა ტაძრის თაღებქვეშ მაღალმა ღმერთმა, პატრიარქს ერთი დღეც არ ჰქონია მშვიდი ცხოვრება. საბჭოთა იმპერიის მესვეურნი ცდილობდნენ ეკლესია ხალხისგან მოწყვეტილი ყოფილიყო. სათქმელად ადვილია, სიონის საპატრიარქო ტაძარს მრევლი მოაწყდაო, მაგრამ ამ ძიების პროცესში მყოფ ადამიანებს მოფერება, გაფრთხილება და ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ღირებულებებთან ზიარება სჭირდებოდათ. ხელისუფლებას აღიზიანებდა ხალხის ეკლესიისაკენ შემობრუნება. როგორც მისმა უწმიდესობამ გაიხსენა, მას პირდაპირ უთხრეს, რომ იქნებ უმჯობესი ყოფილიყო მხოლოდ დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს ეწირა სიონში. პატრიარქი არ დასთანხმდა ამ წინადადებას. მისთვის ყველაზე რთული იყო 1977 წლის 9 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე პერიოდი. როგორი სისასტიკით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. უწმიდესსა და უნეტარესს საყვედურიც კი არ უთქვამს იმ ადამიანებისათვის, რომელთაც უსამართლო ცილისწამებით გული ატკინეს მას; მაგრამ პატრიარქობის პირველივე დღეებიდანვე იგი მტკიცე და შეუვალი იყო ეროვნული და საეკლესიო ინტერესების დაცვაში.

XX საუკუნის 90-იანი წლების ახალგაზრდობა, ვერც მომდევნო თაობა სიღრმისეულად ვერ გაიაზრებს 60-80-იანი წლების საბჭოთა პოლიტიკური სისტემის რეალობას. ამ დროს ბეწვის ხიდზე უნდა გევლო, რათა შეგენარჩუნებინა შენი მრწამსი, გებრძოლა მრევლთან მისასვლელ გზებზე ხელისუფლებისაგან შექმნილ დაბრკოლებათა გადასალახავად.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მზარდმა ავტორიტეტმა ოფიციალური ხელისუფლება შეაშფოთა. მათ დაიწყეს ეკლესიის შიგნით დასაყრდენი ძალის ძიება, რათა შიდასაეკლესიო არეულობით ეკლესიის მიმართ საზოგადოების უნდობლობა გამოეწვიათ. ამას ემსახურებოდა 1982-1983 წლების საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მოვლენები, როდესაც არნახული შეტევა დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მიერ მიღებული დადგენილება „მაუნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა" ფაქტობრივად ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ბრძოლას შეეწირა რამდენიმე მაღალი იერარქიც.

პატრიარქი ჩვეული სიბრძნითა და შეუპოვრობით ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდიდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტს. ოფიციალური ხელისუფლების სურვილი — საქართველოს ეკლესია თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის

გამოეყენებინა — უშედეგოდ დამთავრდა.

1983 წელს, მოსკოვის მიტითების შესაბამისად, საქართველოში დიდი ზეიმით უნდა აღენიშნათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ პატრიარქს მოსთხოვა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც გამოსმაურებოდა ამ მნიშვნელოვან თარიღს. მაშინ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო გადაწყვეტილება, აღენიშნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 1500, ავტოკეფალიის აღდგენიდან 65 და თავისი პატრიარქად აღსაყდრებიდან 5 წლისთავი. საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთი პიროვნება კი ამტკიცებდა, თითქოს მისი უწმიდესობა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ერიდებოდა ოფიციალურ საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. კონფრონტაცია-დაპირისპირება არ არის მისი უწმიდესობის ცხოვრების წესი, მაგრამ 1980 წლის დასაწყისში უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ზურაბ პატარიძისადმი, ბევრ კითხვას სცემს პასუხს. საქმე ეხება საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საკონცერტო ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

„ჩვენთვის გაუგებარია,— წერდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II,— რატომ ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ შიომღვიმის მონასტერი მოქმედი მონასტერია, ამ მონასტერს ჰყავს წინამძღვარი და აქ ღვთისმსახურება არ შეწყვეტილა; ხომ საკითხავია, რა უნდა ქართულ მონასტერში ორღანს?.. გადავავალოთ თვალი სხვა ტაძრების მდგომარეობასაც. მეტეხის ტაძარში, სადაც დაკრძალულია წმიდა დიდმოწამე შუშანიკი, ახალგაზრდული თეატრია, სპექტაკლები და ცეკვები იმართება; ბიჭვინთის დიდებულ ტაძარში, სადაც იყო კათედრა დასაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა, ამჟამად ორღანია და კონცერტები იმართება; თბილისში წმიდა ნიკოლოზის ეკლესია საკონცერტო დარბაზადაა ქცეული; ანჩისხატის საპატრიარქო ტაძარში სახელოსნოა, ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში აბანოა, წყნეთის ეკლესიაში — პურის საცხობი. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მრავალი მონასტერი, ეკლესია გადაქცეულია საწყობებად, სახალხო გართობისა და დასასვენებელ ადგილებად. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ასე უპატივცემულოდ ეპყრობიან უძველეს სიწმიდეებს. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ეკლესია-მონასტრები ჩვენმა წინაპრებმა სალოცავად ააშენეს და არა გასართობ ადგილებად... ჩვენ სინანულით მივსტირით ათონის ივერთა მონასტერს, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს იმ დროს, როდესაც საქართველოში არსებულ ტაძრებსა და მონასტრებს უდიერად ვექცევით... მე, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ვალდებული ვარ ღვთისა და ერის წინაშე, ვთქვა გულწრფელი, გულმართალი სიტყვა ამ უაღრესად დიდი და სულიერად ფაქიზი საქმის შესახებ“.[136]

1983 წლის 18 ნოემბერს ქართველ ახალგაზრდებს (სოსო წერეთელს, ძმებ ივერიელებს, გეგა კობახიძეს, დავით მიქაბერიძეს), რომელთაც საბჭოთა სინამდვილისადმი პროტესტის ნიშნად თბილისის აეროპორტიდან სცადეს თვითმფრინავის გატაცება და უცხოეთში გაქცევა, საბჭოთა სასამართლომ ულმობელი განაჩენი გამოუტანა — ისინი უნდა დაეხვრიტათ, მათ შორის — ბეთანიის მონასტრის მღვდელი თეიმურაზ ჩიხლაძე, რომელიც იმ თვითმფრინავში არ იმყოფებოდა. ოფიციალური ხელისუფლება საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით შეეცადა საზოგადოებრივი აზრის შექმნას დახვრეტის მუხლს მხარდასაჭერად, მაგრამ მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება ახალგაზრდების დასაცავად. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1984 წლის 14 აგვისტოს საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გილაშვილს: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდისა და ჩემი სახელით, მოგმართავთ თხოვნით თქვენ და პრეზიდიუმის წევრებს, შეიწყალოთ და სიცოცხლე შეუნარჩუნოთ მათ, ვინც დაკავშირებულნი არიან თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან“;[137] მაგრამ ხელისუფლებას საზოგადოების

დაშინების მიზნით მათი დახვრეტა გადაწყვეტილი ჰქონდა და სასწრაფო წესით აღასრულა განაჩენი.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II შეუვალი და მტკიცე იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების აღორძინების, ახალი მღვდელთავრების კურთხევის საქმეში და არ ითვალისწინებდა ოფიციალური ხელისუფლების „რეკომენდაციებს“.

დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, მაგრამ ეს იოლად არ მომხდარა. 1977-1990 წლებში სტამბულსა და თბილისში არაერთი დაძაბული მოლაპარაკება გაიმართა. მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბერძენმა მღვდელმთავრებმა განაცხადეს, რომ წმიდა მირონს თავიანთი ხარჯებით გამოგზავნიდნენ ხოლმე. პატრიარქი წამოდგა, მისი სახე შეუვალი გახდა. – ქართველი ხალხი ასეთ აღიარებას არ მიიღებს, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას, რომ ავტოკეფალიური ეკლესია მირონს კონსტანტინოპოლიდან იღებს, ვერავინ იკისრებს,– განაცხადა მან.

პატრიარქი დაემშვიდობა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს... შეთანხმება ვერ შედგა. ბერძნები წავიდნენ, აეროპორტიდან დარეკეს მსოფლიო საპატრიარქოში და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის პოზიციის შესახებ მოახსენეს. მსოფლიო საპატრიარქო იძულებული გახდა დაეთმო და მიეღო საქართველოს ეკლესიის მიერ წამოყენებული პირობები.

XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ დიდი გამოცდა მოუწყო როგორც მთელ ერს, ასევე საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. 1989 წლის 9 აპრილს საქართველო იყო ერთიანი და დიადი. მართალია, მთავრობის სასახლესთან სისხლი დაიღვარა, მაგრამ ზნეობრივად ამაღლებულმა ქართველმა ერმა დაამარცხა საბჭოთა იმპერია. ვერც კომენდანტის საათი და ვერც თბილისის ქუჩებში მოგრიალე ტანკები ვეღარ შეაჩერებდნენ ქართველი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

სამწუხაროდ, ქართველთა ეს ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. თავი იჩინა პირადმა ამბიციებმა, შექმნილი ვითარების რეალურად შეუფასებლობის ტენდენციებმა, გაჩნდა უამრავი პოლიტიკური პარტია თავისი ლიდერებით, დროშებითა და ჰიმნებით. თითოეული მათგანი ქართველ ხალხს ჰპირდებოდა სანუკვარ თავისუფლებას, ეკონომიკურ სასწაულებს, ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის მრავალფეროვან მოდელებს. პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას. პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები ხვდებოდნენ უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, საკუთარ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდნენ უწმიდესთან გადაღებულ ფოტოებს და ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ იმაში, რომ უწმიდესი და უნეტარესი იწონებდა მათ პროგრამას. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მამაშვილურად განუმარტავდა მათ, რომ საქართველოში ადგილი არ უნდა ჰქონოდა დაპირისპირებას, რომ პარტიებად ქვეყნის დაყოფას კარგად გამოიყენებდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის მტრები, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა ეყრდნობოდეს მაღალზნეობას და არა ურთიერთუპატივცემულობასა და ცილისწამებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არის არა ცალკეული პარტიებისა და პიროვნებების ინტერესების გამომხატველი, არამედ იგი უნდა დარჩეს ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობის სიმბოლოდ, რომ ეკლესია არასოდეს არ უნდა ჩაერიოს წვრილმან პარტიულ დაპირისპირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ უწმიდესისა და უნეტარესის ამ მკაფიო, მართალმა პოზიციამ პოლიტიკური პარტიის ბევრი ლიდერის გაღიზიანება გამოიწვია, დრომ დაამტკიცა მისი მართებულობა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არაერთხელ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს ურთიერთპატივისცემისა და შერიგებისაკენ,

გამოთქვა მზადყოფნა მათ შორის მოლაპარაკებების საპატრიარქოში ჩატარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო 1991-1992 წლებში შიდადაპირისპირებათა და გარე ძალების მეშვეობით სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია. „ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არ არის, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასთვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით... ერი დაიყო ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში, ოჯახებში... მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება გამოვლინდა ეკლესიის მიმართაც. იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე ჟამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის აღევლინათ გულმხურვალე ლოცვა ღვთისადმი, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს. განა შეიძლება ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად!“.[138]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მტკიცე, შეუვალი და პრინციპული იყო რუსეთის რეაქციული ძალების მიერ აფხაზეთსა და შიდა ქართლში ინსპირირებული კონფლიქტების შეფასებაში. იმ დროს, როდესაც საერო ხელისუფლება იარაღის ძალით იქნა დამხობილი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იყო ერთადერთი, რომელიც გამოხატავდა ქართველი ერის სულიერ და პოლიტიკურ ინტერესებს. პატრიარქმა საგანგებო წერილით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, მსოფლიო პატრიარქს, რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის პატრიარქს. მან დაუფარავად მიანიშნა რუსეთის აგრესიაზე ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ და, როგორც 1922 წელს – უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას, დახმარებოდნენ საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში დატრიალებული მოვლენებით შეძრწუნებულ თანამემამულეებს ამ სიტყვებით მიმართა: „ჩვენს სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაპირისპირებულ დროში კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, რომ ეკლესია არის ის ერთადერთი გადამრჩენელი ხომალდი, რომელსაც შესწევს ძალა, გადალახოს ცხოვრების გზის აბობოქრებული ტალღები და ნაპირზე მშვიდობით მიგვიყვანოს“.[139]

2016 წლებში კვლავ იმოგზაურა საქართველოს ყველა კუთხეში, შეხვდა მოსახლეობას, ადგილობრივ ინტელიგენციას, სასულიერო პირებს და მოუწოდა მათ, რომ არც ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რაგინდ მიმზიდველი პროგრამაც უნდა ჰქონოდა, არ დაეყენებინათ ქართველი ერის ერთიანობის ინტერესებზე მაღლა, რომ ის გამოცდა, რომლის წინაშეც უფალმა ქართველი ხალხი დააყენა, დაფიქრებისა და სულიერი ამაღლების საფუძველი უნდა გამხდარიყო...

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში მრავლად არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა აშკარად, დაუფარავად გაილაშქრა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციათა მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას აფერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც, მათი აზრით, შუასაუკუნოებრივი ტრადიციების დამცველი იყო. ამ ორგანიზაციებმა შეადგინეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გათანამედროვეობის მრავალი პროექტი, სცადეს ეკლესიის შიგნით დასაყრდენის მოპოვება, დაიწყეს ეროვნული ღირებულებების გამოცხადება ჩამორჩენილ აზროვნებად. ისინი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს ლიბერალიზაციას მოითხოვდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პასუხი ამ გამოწვევებზე კარგად ჩანს უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის საახალწლო, სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეებში, საკვირაო ქადაგებებში. ვინც გულდასმით გაეცნობა მათ, დაინახავს 1990-2016 წლების საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების

ობიექტურ სურათს. „ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ დადგენილი ქრისტიანული ღირებულებანი დროის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ასეთი ადამიანები სულიერებაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სარწმუნოებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსგავსად განიხილავენ. მათ არ ესმით, რომ მართლმადიდებლობა ეს არის ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე, ქრისტეს ეკლესია კი არის სულიწმიდის მადლით განახლებული სიცოცხლე ქრისტესთან და ქრისტეში“,[140] – წერდა მისი უწმიდესობა.

გასაოცარი იყო ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა აქტიურობა 2002-2004 წლებში, განსაკუთრებით – სამების საკათედრო ტაძრის გახსნის წინ. მავანნი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკურად შეჭირვებულ საქართველოში მიზანშეუწონელი იყო ასეთი გრანდიოზული მასშტაბის ტაძრის მშენებლობა. ცნობისმოყვარე ჟურნალისტები პატრიარქს სთხოვდნენ, გამოეთქვა თავისი აზრი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირთა შესახებ. პატრიარქმა მშვიდად, ღიმილით უპასუხა მათ – სამების საკათედრო ტაძრის გახსნა ყველა კითხვაზე პასუხს გასცემსო. იგი არც შემცდარა. 2004 წლის 23 ნოემბერს, წმიდა გიორგობის დღესასწაულზე, საოცარი სანახავი იყო საქართველოს დედაქალაქი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყველა მოქმედი ეპარქიიდან ათასობით მორწმუნე, ეპარქიის მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების თანხლებით, წმიდა ხატებითა და საეკლესიო დროშებით ელიას მთაზე წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნაზე მიიჩქაროდა. მრავალრიცხოვანი მორწმუნენი იყვნენ მცხეთა-თბილისის ეპარქიის ეკლესიებიდანაც. სამების საკათედრო ტაძრის ეზოსა და შემოგარენში ასი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ეს იყო საუკეთესო პასუხი ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა მიმართ.

უწმიდესი და უნეტარესი თავისუფალი აზროვნებითა და ქცევით გატაცებულებს შეახსენებს: „სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსებითა და პასუხისმგებლობით ხასიათდება. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჯობინებდეს, შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე და მან შექმნას რაიმე ღირებული; შეუძლებელია, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა და ააშენოს სრულფასოვანი სახელმწიფო“.[141] უღირსებო ერის დამონება ყველაზე ადვილია. საუკუნეთა მანძილზე მტრები ყოველთვის ცდილობდნენ, ქართველ ხალხში ჩაეკლათ ეროვნული ღირსების გრძნობა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ. უკიდურესი განსაცდელის ჟამს ერის წიაღიდან ამოიზარდნენ ზნეობრივად და სულიერად გაუტეხელი გმირები წმიდა შუშანიკის, წმიდა მეფე არჩილის, წმიდა აშოტ კურაპალატის, წმიდა დემეტრე თავდადებულის, წმიდა ცოტნე დადიანის, წმიდა ბერი თევდორეს, წმიდა ლუარსაბ II-ის, წმიდა ქეთევან დედოფლის, წმიდა ილია მართლის, წმიდა კირიონის, წმიდა ამბროსი ალმსარებლისა და სხვათა სახით, რომელთა მოწამებრივი ცხოვრება იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვისა და სულიერი სიმტკიცის დიადი მაგალითი.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოსათვის აქტუალურია საკითხი, როგორ იპოვოს თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. უწმიდესი და უნეტარესი აფრთხილებს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც უყვარს საკუთარის უარყოფის ხარჯზე სხვისი მიბაძვა: „პოსტიმპერიულ საზოგადოებაში ხშირ შემთხვევაში უწინდებათ არასრულფასოვნების განცდა, რაც მათ დამოუკიდებლობის მოპოვების ნაცვლად ხშირად ახალი „კეთილი ბატონის“ ძიებისაკენ უბიძგებს. ამას შეიძლება პირობითად პროვინციალიზმი ვუწოდოთ, როცა არასრულფასოვნების განცდის გამო ხდება უპირობო აღიარება სხვისი პრიმატისა, მაქსიმალური დამსგავსება და მონური ლტოლვა მისადმი, საკუთარი ფასეულობების უგულებელყოფის ხარჯზე“.[142] სამწუხაროა, მაგრამ ამ საშიშროების წინაშე რეალურად აღმოჩნდა ქართველი საზოგადოება. პატრიარქი ღიად აცხადებს: „თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს

არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისაკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს საზოგადოებრივი ცხოვრებისას".[143]

ჩვენი საზოგადოება იმდენად გაიტაცა ევროამერიკულ პროცესებში ინტეგრაციის პროპაგანდამ, რომ, ჩვენდა სამარცხვინოდ, დაგვავიწყდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო თარიღები. არც მარაბდობა, არც დიდგორობა, არც კრწანისობა გვახსოვს. სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან თანდათან ქრება სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების მქონე მასალა, რომელიც ეროვნულ სიამაყესა და ქართველობას აღვივებდა ახალგაზრდობაში. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობლებისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია იმას ეფუძნება, რის დავიწყებასაც ჩვენ ვცდილობთ. უწმიდესი და უნეტარესი ილია II გვაფრთხილებს: „როგორც ადამიანისათვის მიწიერი სურვილებით გატაცება არის დიდი ცოდვა და უაზრობა, ასევე უაზრობაა სახელმწიფო ინტერესების შემოფარგლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით. თუ ხელისუფლებას სურს, არ ჩაეფლოს ამაოების ჭაობში და არ უნდა, საზოგადოების წევრები გაწიროს უმიზნო ყოფისათვის, მას ყოველთვის და ყოველ საქმეში ცათა სასუფეველი უნდა ჰქონდეს და ყველგან და ყველაფერში ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას უნდა ცდილობდეს. ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი, სულით ძლიერი და გაუტეხელი. აუცილებელია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, იხელმძღვანელოს ქრისტიანული ეთიკით და ააშენოს ეროვნული სახელმწიფო ჩვენს ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით".[144]

ეროვნული სახელმწიფოს აშენება, ეროვნულობის, ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრდება გარეგნულ ეფექტებს გამოდევნებით შეუძლებელია. ყველაფერ ამას დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმაღლე სჭირდება. საზოგადოების არც ერთი წევრი თაეს დამცირებულად, უსასოდ არ უნდა გრძნობდეს. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: „იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულია, უფრო მეტად, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის გადაგვარება, ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს".[145] პატრიარქი იმ ადამიანთა საყურადღებოდ, ვისაც საქართველოს ეკლესიის დაშლა-დანაწევრება სურთ, აცხადებს, რომ ეკლესია შეუვალია და ამაოა მათი იმედები, ვინც ამაზე ოცნებობს.

ეროვნულ- სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ინტერესები ერის სულიერი წინამძღოლის დიდ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძენი წინამძღოლია. ყველა ქართველმა უნდა დაიმახსოვროს მისი სიტყვები: „მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანები, ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს. მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვინ იქნება".[146]

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, აფხაზები, ოსები, ასირიელები, უკრაინელები. ჩვენ ისტორიაში არ ყოფილა შემტხვევა ეროვნული და სარწმუნოებრივი ნიშნით მათი შევიწროებისა. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მართლმადიდებელი ეკლესიების გარდა იყო მათი სალოცავები. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართული ეროვნული ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებში ყოველთვის ხაზგასმით ულოცავს ამ

დიდ დღესასწაულებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერების წარმომადგენლებს, საპატრიარქოში ხვდება მათ, ინტერესდება მათი პრობლემებით და ეხმარება მათ გადაწყვეტაში. ერის სულიერი წინამძღოლის ყურადღების მიღმა არ რჩება არცერთი საკითხი. მაგალითისთვის მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: ისტორიული ალბანელების შტამომავლები უდინები ცხოვრობდნენ აზერბაიჯანსა და საქართველოს ორ სოფელში, სულ 1000-მდე ადამიანი. აქედან საქართველოში, ყვარლის რაიონ სოფელ ზინობიანში – 500-მდე. პატრიარქი ზრუნავს იმისათვის, რომ აქ მცხოვრებმა უდინებმა შეინარჩუნონ თავიანთი ენა, ტრადიციები; უწმიდესის ლოცვა-კურთხევით სოფელში შენდება ეკლესია, ეწყობა ფოლკლორული საღამოები.

2011 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა საპატრიარქო რეზიდენციაში უმასპინძლა მსოფლიო იეზიდთა მთავარს, პრინც მირ თაჰსინ ბეგს და მსოფლიო იეზიდთა სულიერ მოძღვარს, შეიხ ახტირე მარგაჰეცს. სტუმრებმა დიდი მადლობა მოახსენეს მის უწმიდესობას და უნეტარესობას საქართველოში მცხოვრები იეზიდებისათვის გაწეული დახმარებისა და ყურადღებისათვის.

ასეთი მაგალითები კიდევ მრავლად შეიძლება გავიხსენოთ. სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც დაიწყეს მიზანმიმართული კამპანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რომ თითქოს საქართველოში არამართლმადიდებელი კონფესიები შევიწროებულნი არიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. ამ ჯგუფებმა მკაცრად გააკრიტიკეს 2002 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) და მოითხოვეს მისი გაუქმება ან სხვა რელიგიური მიმდინარეობებისათვისაც ანალოგიური კანონის მიღება. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გასაფორმებელი დოკუმენტის განხილვა თითქმის ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. განხილვაში მონაწილეობდნენ არა მარტო პარლამენტის წევრები, არამედ საქართველოში მოქმედი რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები. ორწლიანი დებატების შემდეგ შეჯერებულ ვარიანტს მოეწერა ხელი 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს სამსახურები

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, შეიქმნა საკათოლიკოსო საბჭო, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით ყოველკვირეულ სხდომებზე იხილავდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭირბოროტო საკითხებს. საკათოლიკოსო საბჭოს წევრები (სულ 11 კაცი) იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. საკათოლიკოსო საბჭოს გარდა მუშაობდა საკათოლიკოსო სასამართლო, რომელსაც, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობითა და საერო და საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი. საპატრიარქოში იყო საკათოლიკოსო კანცელარია, ჟურნალ „სვეტიცხოველის“ რედაქცია.

საქართველოს საპატრიარქოს სამსახურების საქმიანობა შეიზღუდა 1921 წლის შემდეგ. 1923 წელს საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვა საპატრიარქო რეზიდენცია. ამ დროს საქართველოს ეკლესიას ასევე ჩამორთმეული ჰქონდა იურიდიული პირის სტატუსი. 1927 წლიდან გაუქმდა საკათოლიკოსო საბჭო, უფრო ადრე – საკათოლიკოსო სასამართლო. საპატრიარქოში შეიქმნა პატრიარქის სამეურნეო-საფინანსო თანაშემწის – ქორეპისკოპოსის – სამსახური. საკათოლიკოსო საბჭო შეცვალა სასინოდო პლენუმმა, რომელიც 1932 წლიდან კათოლიკოსის თანაი სინოდად გარდაიქმნა, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან კი მას წმიდა სინოდი ეწოდა. საქართველოს საპატრიარქოში აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი სამსახური. ხელისუფლებამ მოახერხა ეკლესიის საზოგადოებისაგან იზოლაცია. საპატრიარქო დარჩა კათოლიკოს-პატრიარქის, მისი თანაშემწისა და ქორეპისკოპოსის ამარა. XX საუკუნის 70-იან წლებში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო-საფინანსო სტრუქტურების საგადასახადო პოლიტიკის წყალობით ყველა სამსახური უპატრონოდ დარჩა და ისე ჩანს, საქართველოს საპატრიარქოს ლიკვიდაციამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩაო.

1977 წელს, როდესაც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახდა, მან მიზნად დაისახა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებოდა მორწმუნე და პროფესიონალი ადამიანებით. 1979 წელს საპატრიარქოში ფუნქციონირებდა: 1. საგარეო საქმეთა სამმართველო, 2. საშინაო საქმეთა სამმართველო, 3. სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველო, 4. საეკლესიო ნაგებობათა, არქიტექტურულ-სარემონტო და ბუნების დაცვის განყოფილებები.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საპატრიარქოს საგარეო განყოფილებას. ამ განყოფილებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა ქართველ მეცნიერებთან, უნდა მოეგვარებინა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა საქართველოში ვიზიტების დეტალები, შეედგინა კათოლიკოს-პატრიარქის უცხოეთში ვიზიტის სამუშაო გრაფიკი. 1977-2007 წლებში საპატრიარქოს საგარეო განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ: მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ამჟამად განყოფილების ხელმძღვანელია მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს საპატრიარქოს სახელით ყოველწლიურად იბეჭდებოდა მხოლოდ საეკლესიო კალენდარი, მაგრამ, უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, შესაძლებელი გახდა საეკლესიო ჟურნალის, სალვთისმსახურო და საეკლესიო წიგნების ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით მომზადება და გამოცემა, სხვადასხვა ენიდან აუცილებელი სასულიერო ლიტერატურის თარგმნა. ყოველივე

ეს დიდ მუშაობას მოითხოვდა. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოში ფუნქციონირებს საგამომცემლო განყოფილება (გამგე პროფესორი გვანცა კოპლატაძე), საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია (თავმჯდომარე მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)), გამომცემლობისა და საღვთისმეტყველო წიგნების რეცენზირების დეპარტამენტი (თავმჯდომარე მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)). საპატრიარქოს ეგიდით იბეჭდება მრავალფეროვანი სასულიერო ლიტერატურა დოგმატიკის, საეკლესიო კანონიკის, ღვთისმეტყველების, საეკლესიო სამართლის საკითხებზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სასულიერო პირთა და მეცნიერთა ჯგუფმა შეადგინა წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის მარშრუტი ფარავნის ტბიდან მცხეთამდე. ამ მარშრუტით მომლოცველებმა დაიწყეს მოგზაურობა. ისინი სასულიერო პირებთან ერთად ხვდებიან ნინოწმიდის,ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის რაიონების მოსახლეობას, ესაუბრებიან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე, წმიდა ნინოს მოციქულებრივ ღვაწლზე. მათი მეშვეობით მრავალი ადამიანი მოინათლა, დაუბრუნდა დედაეკლესიას. უწმიდესი და უნეტარესი მომლოცველებს სვეტიცხოველში ხვდება 1 ივნისს და მათ სამახსოვრო საჩუქრებით აჯილდოებს. მომლოცველები ასევე მოგზაურობენ წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზაზე დიდაჭარიდან აწყურამდე. საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში შექმნილი მომლოცველობის სამსახური (გამგე არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი) აწყობს ქართველ მორწმუნეთა ორგანიზებულ გასვლებს საზღვარგარეთის ქართულ სიწმიდეთა მოსალოცად.

1987-2016 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა არაერთი გამოჩენილი საეკლესიო და საერო მოღვაწე. წმინდანად ამა თუ იმ პიროვნების შერაცხვას წინ დიდი სამუშაოები უძღვის. წყაროების, ლიტერატურის, საეკლესიო კანონიკის შეჯერების საფუძველზე თავიდან იწერება მისი ბიოგრაფია,რომელშიც მკაფიოდ უნდა ჩანდეს პიროვნების დამსახურება ეკლესიისა და ერის წინაშე, მისი სულიერი ცხოვრების დეტალები. ყოველივე ამას წარმატებით ასრულებს საპატრიარქოს წმინდანთა კანონიზაციის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის მიზნით საქართველოში ფუნქციონირებდა ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ირაკლი ციციშვილი. ამ კომიტეტმა არაერთი მონასტრის რესტავრაცია შეძლო,მაგრამ ოფიციალური ხელისუფლებისათვის ეკლესია-მონასტრებს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ჰქონდა და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა აღდგენილ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების ჩატარებას. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკლესია-მონასტრების საპატრიარქოსათვის დაბრუნების რთული პროცესი, შეუდგნენ ახალი ეკლესიების მშენებლობას. შექმნილი ვითარება მოითხოვდა საპატრიარქოსთან ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის შექმნას, რომელიც საეკლესიო კანონიკის დაცვით წარმართავდა ამ პროცესს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). ჯერ კიდევ 1957 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ისადმი გამოგზავნილ წერილში ზაგორსკის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი ილია შიოლაშვილი საჭიროდ მიიჩნევდა ხალხში გაბნეული საეკლესიო სიწმიდეების შეგროვებას და, საეკლესიო მუზეუმის შექმნას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში შექმნა სიწმიდეების მოძიებისა და დაცვის

განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი).

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალსაუკუნოვანი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის, დაცვისა და ღვთისმსახურების დროს მისი გამოყენების საკითხებს. 1977 წლიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში აღდგა ქართული ტრადიციული გალობა. უწმიდესი და უნეტარესი არაერთი ქართული საგალობლის ავტორია. საპატრიარქოში ფუნქციონირებს სამგალობლო ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). პატრიარქის ლოცება-კურთხევით, 2006 წლიდან ამოქმედდა გალობის უმაღლესი სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი. ბოლო ხანს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სასულიერო და საერო პირთა ერთმა ჯგუფმა სცადა ბერძნულ ერთხმიან სამგალობლო მელოდიებზე აგებული ქართული გალობის შემოტანა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა ამგვარი ექსპერიმენტი მიუღებლად მიიჩნია. უწმიდესმა და უნეტარესმა ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ ეს არის შეურაცხყოფა ქართული გალობისა და ქართული ტრადიციებისა, მამებისა და ჩვენი წარსულისა. მისმა უწმიდესობამ 2003 წლის 14 თებერვალს ბერძენ მუსიკათმცოდნე გრიგორიუს სტათისთან შეხვედრაზე აღნიშნა: "ვფიქრობ, რომ ბერძნული მუსიკის ქართულ სიტყვებზე გალობა ცოტა უხერხულია. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ საერთოდ ბიზანტიურ მუსიკას, მაგრამ ყველა ერს თავისი გალობა და თავისი ტრადიციები აქვს."

მრავალხმიანი უნიკალური ქართული გალობის შენარჩუნება და განვითარება უწმიდესისა და უნეტარესის სახელთანაა დაკავშირებული.

საპატრიარქოში ფუნქციონირებს გამწვანებისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია). საპატრიარქოში ფუნქციონირებს აგრეთვე აგროსამრეწველო დეპარტამენტი, რომელსაც არქიმანდრიტი მიქაელ გაბრიჭიძე ხელმძღვანელობს. საპატრიარქოს აღნიშნულ სამსახურებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან. ეკლესია ზრუნავს საქართველოს უნიკალური ფლორისა და ფაუნის დასაცავად.

საქართველოს საპატრიარქოს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება (ხელმძღვანელი დეკანოზი დეკანოზი იაკობ ჩოჩნიძე) კოორდინაციას უწევს შეიარაღებულ ძალებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერი შვილების ქრისტიანულ ცხოვრებას, შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებში სასულიერო პირთა საქმიანობას. მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილება, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ხელმძღვანელობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან აგზავნის სასულიერო პირებს აღსარებისა და ზიარების მოსურნეთა სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უწმიდესი და უნეტარესი თვითონაც სისტემატურად დაბრძანდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ხვდება მსჯავრდებულებს. მას მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების ადგილებში ისეთი პირობები უნდა იყოს, რომ მსჯავრდებულს საშუალება მიეცეს, დაუფიქრდეს ჩადენილ დანაშაულს, მოინანიოს და იფიქროს გამოსწორებაზე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II თვლის, რომ ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული დაავადება – ნარკომანია – ადამიანში ცხოვრების სიძნელეების შიშითა და ამქვეყნიური პრობლემებისაგან განრიდების სურვილით არის გამოწვეული. პატრიარქის ინიციატივით, საპატრიარქოში არაერთი შეხვედრა გაიმართა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე.

საპატრიარქოში ფუნქციონირებს საფინანსო-ეკონომიური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი (ხელმძღვანელი მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი), ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (ხელმძღვანელი მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი), საღვთისმსახურო წიგნების

რედაქტირების კომისია (ხელმძღვანელი მიტროპოლიტი იობ აქიაშვილი), გამწვანებისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი დავით ჭინჭარაული), აგროსამრეწველო დეპარტამენტი (ხელმძღვანელი კახაბერ მახათაძე), ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი (თავმჯდომარე არქიმანდრიტი ადამ ახალაძე), სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი ზურაბ ვარაზი), ხალხური რეწვის განყოფილება (უფროსი ელისო არაბული), საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ (ხელმძღვანელი დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე), საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერია“ (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ილია ნასიძე), მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისია (ხელმძღვანელი მზექალა ქარსელაძე), ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“ და „დავითიანი“ (ხელმძღვანელები კონსტანტინე სვანიძე, გიორგი მიქანაძე), საპატრიარქოს არქივი (დირექტორი მზია კაცაძე).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსები არიან: მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანია დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტია შორენა თეთრუაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელია დეკანოზი დავით შარაშენიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარიის უფროსია იოანე გოგუა.

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს თავისი სასულიერო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში საინტერესო შეხვედრები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რელიგიურ ლიდერებთან. 1977 წელს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია დელიში შეხვდა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს — შრი ფახრუდან ალი ახმედს და პრემიერ-მინისტრს — ინდირა განდის. ამ შეხვედრაზე ინდოეთის ხელმძღვანელობამ პირველად მიიღო ვრცელი ინფორმაცია საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის — საქართველოს, მისი ისტორიის, კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის შესახებ.

1988 წლის აპრილში საქართველოში სტუმრად მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა სურვილი გამოთქვა, შეხვედროდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. სიონის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობა გულთბილად მიესალმა საპატიო სტუმარს, განუმარტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. თავის მხრივ, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: „ის მიზნობრივი როლი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ შეასრულა ქართული კულტურის, ენისა და სულის ამაღლებასა და განმტკიცებაში, ნამდვილად შთამბეჭდავია.“[147]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1991 წელს თბილისში შეხვდა და ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს, 1995 წელს შეხვდა რუმინეთის პრეზიდენტს იონ ილიესკუს, 1996 წელს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს რომან ჰერცოგს. მისი უწმიდესობა 1993 წელს თბილისში შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, ხოლო 2005-2015 წლებში მოსკოვში — პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. რუსეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს მისი უწმიდესობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემასა და ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებას. 1995 წელს პატრიარქმა თავის რეზიდენციაში უმასპინძლა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას, ხოლო 2006 წელს — პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს. უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვედრია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტებს: ჰეიდარ ალიევსა და ილხამ ალიევს.

1995 წელს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს შეხვედრა ჰქონდა საბერძნეთის მეფე კონსტანტინესთან. პატრიარქმა ამ შეხვედრას ისტორიული უწოდა: „თითქოს აღდგა 1000 წლის წინანდელი ტრადიცია, როცა ბიზანტიის იმპერატორები ეწვეოდნენ ხოლმე საქართველოს და ჩვენი მეფეები ჩადიოდნენ საბერძნეთში. თქვენს ვიზიტში ჩვენ ვხედავთ ნიშანს ღვთის დიდი განგებისა და ამიტომაც ფსალმუნის სიტყვებით ვამბობთ: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა“. თქვენმა ჩამობრძანებამ საქართველოს მიწაზე წარსულ საუკუნეთა სუნთქვა მოიტანა და გაგვახსენა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებთან დაკავშირებული მოვლენები.“[148]

უწმიდესი და უნეტარესი ერევანსა და თბილისში არაერთხელ შეხვდა სომხეთის პარლამენტის სპიკერს კარენ დემირჭიანს, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებს: ლეონ ტერ-პეტროსიანსა და რობერტ ქოჩარიანს. ამ შეხვედრებზე განხილული იყო ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხები.

უწმიდესი და უნეტარესი 2000 წლის დეკემბერში, წმიდა მიწაზე ქრისტეშობის დღესასწაულის აღნიშვნის დროს, შეხვდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარეს იასირ არაფატს. 2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ მუჰამედ ხათამთან შეხვედრისას მისმა უწმიდესობამ აღნიშნა: „საქართველო-ირანის ურთიერთობის ფესვები ძველი წელთაღრიცხვის შორეული წარსულიდან იწყება. იმ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე არ დამცხრალა დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის. ირანი იყო სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის სურდა, თავის მფლობელობაში

ჰქონოდა ჩვენი მიწა-წყალი და ამ მიზნის მისაღწევად მკვეთრ ნაბიჯებს დგამდა. მიუხედავად ურიცხვი შემოსევისა, ქართველი ხალხი ბოლომდე არ გამტყდარა და მრავალგზის დარბეული და განადგურებული, შემდეგ კი ფენიქსივით აღმდგარი, კვლავ იწყებდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის".[149] უწმიდესმა და უნეტარესმა გამოთქვა რწმენა, რომ XXI საუკუნეში ორ განსხვავებული პოლიტიკური და რელიგიური სისტემის ქვეყანას შორის შესაძლებელი გახდებოდა ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა.

2001 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახალი იუსტინიანესა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსის მიწვევით იმყოფებოდა კვიპროსში და შეხვდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს. უწმიდესი და უნეტარესი ქართველი ხალხის სახელით მიესალმა მას და ბრძანა: „ჩვენ დიდი სიყვარულით ჩამოვედით თქვენს ბრწყინვალე ქვეყანაში და გვაქვს სურვილი, გავაგრძელოთ საუკუნეთა მანძილზე არსებული ძმური ურთიერთობა. კვიპროსის სიწმიდეებსა და ეკლესია-მონასტრებს დიდ პატივს სცემდნენ ჩვენი მეფეები და დიდებულები, ამიტომაც ხშირად ეხმარებოდნენ. ამასთან, ქართველებიც მრავლად ცხოვრობდნენ აქ. მათ კოლონია ჰქონდათ ნიკოზიაში, რამდენიმე მონასტერი – ალამანის რაიონში, მათ შორის – ღალიას, იგივე ჯალიას ეკლესია, რომელიც განამშვენა და შეამკო თამარ მეფემ. ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კიკოს მონასტერს. აქ დღესაც დაცულია დიდებულთაგან შეწირული საეკლესიო ნივთები, მათ შორის – ერეკლე მეფისეული ცნობილი დაფარნა, რომელიც სახეს უფარავდა ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ლუკა მახარებლისეულ ხატს".[150]

უწმიდესსა და უნეტარეს შეხვედრები ჰქონდა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრ ფრანსუა ფისკარ დე სტენთან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ კლარუს კინკელთან, ევროგაერთიანების კომისარ ტორბენ ხოლიოსთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩებთან. ამ შეხვედრების დროს უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის, მსოფლიო გლობალური პოლიტიკის პრობლემებს იხილავდა. მისი უწმიდესობის დახვეწილ დიპლომატიას, მოვლენების სწორ ხედვას ერთხმად აღნიშნავდნენ ხოლმე შეხვედრიდან გამოსული სტუმრები.

პატრიარქობის ორმოცი წლის მანძილზე უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მმართველ პოლიტელიტასთან. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, იმართებოდა მოსკოვის მიერ დანიშნული ადგილობრივი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნების მეშვეობით. 1972-1985 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე. იმ დროს საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიზანად ჰქონდა დასახული, რომ საქართველო გადაექცია საყოველთაო ათეიზმის ქვეყნად. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ახლადარჩეულ პატრიარქსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შორის ურთიერთობა საკმაოდ რთული იქნებოდა. ე. შევარდნაძე ისე გადაიყვანეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, რომ ერთხელაც არ შეხვედრია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

1978 წლის ოქტომბერში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა წმიდა შუშანიკის წამების დაწერიდან 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომის პრეზიდიუმში მიწვეულ იყვნენ პარტიისა და საბჭოთა ორგანოების მაშინდელი ხელმძღვანელები, მეცნიერები. სხდომას ესწრებოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეს იყო მისი ეპიზოდური შეხვედრა ე. შევარდნაძესთან. 1986 წელს მოსკოვის აეროპორტში ე. შევარდნაძე შემთხვევით შეხვდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, ხელი ჩამოართვა და ამ სიტყვებით მიმართა: „მე ვამაყობ თქვენით". თავის

მხრივ, უწმიდესმა და უნეტარესმა წარმატება უსურვა მას და შეახსენა, საკუთარი სამშობლო არასოდეს დაგავიწყდესო.

1985-1989 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ჯუმბერ პატიაშვილი. დროის ეს მონაკვეთი საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ ანუ გარდაქმნებისა და რეფორმების ხანადაა ცნობილი. ძირგამომპალი საბჭოთა სისტემის გადარჩენის მცდელობა იყო კომუნისტური პარტიის მიერ XX საუკუნის 20-70-იან წლებში ჩადენილ დანაშაულთა მონანიების, თავისუფალი, დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებისაკენ გადადგმული ნაბიჯები. ოფიციალურმა ხელისუფლებამ აღიარა ეკლესიასთან დამოკიდებულებაში დაშვებული შეცდომები და სინდისის თავისუფლების დეკლარირებული აღიარებიდან მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა. გამარტივდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ოფიციალური რეგისტრაცია და ამოქმედება. ასეთ ვითარებაში საპატრიარქოსა და საერო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა კონსტრუქციული გახდა. ხელისუფლებამ ნება დართო საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, გაეხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. ჯუმბერ პატიაშვილი რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

1989-1990 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო გივი გუმბარიძე. 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა – ერთი მხრივ, არსებობდა ოფიციალური ხელისუფლება, რომელსაც ხალხში არანაირი ავტორიტეტი აღარ ჰქონდა, და, მეორე მხრივ,– ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც რეალურ ძალას ფლობდა და აკონტროლებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. გივი გუმბარიძის მმართველობის დროს საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა ის ისტორიული შენობა, რომელიც 1923 წელს ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოართვა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ დაემხო კომუნისტური მმართველობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდია მორწმუნე პიროვნება იყო. იგი ჯერ კიდევ 1972 წელს უგზერდა მხარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურას და მას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ყველაზე გამორჩეულ, ნათელ პიროვნებად მიიჩნევდა.

1979 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა პატრიარქს: „უწმიდესო და უნეტარესო! დღეს, როდესაც აღსრულდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება და თქვენ მოელენით მამამთავრად იერიის წმიდა სამოციქულო ეკლესიას, ყოველი ქართველის უწმიდესი მოვალეობაა, ამოგიდგეთ მხარში და თავისი თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს ჩვენი ეკლესიის აღორძინების დიდ საქმეში. ჭეშმარიტად დიდი და სასიხარულო ცვლილებებია ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში, თქვენი მადლიანი ხელი დაეტყო ყოველივეს, ჭეშმარიტად არ ყოფილა განწირული წმიდა ივერია, მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულის ზოგიერთი მანკიერება ჯერაც არ აღმოფხვრილა და ბევრი რამ მოითხოვს ყურადღებას“.[151]

ზვიად გამსახურდია 1979-1989 წლებში სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი იყო, ესწრებოდა წირვა-ლოცვებს, ცდილობდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედებას, მონაწილეობდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის ღონისძიებებში, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიას 1990 წლის 14 ნოემბერს, დალოცა სესიის მონაწილეები, ზვიად გამსახურდიას მიულოცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვა საქმიანობაში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ეროვნული მთავრობის გვერდით იდგა და ცდილობდა ეროვნული თანხმობის შენარჩუნებას, რომლის გარეშეც ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყანას გაუჭირდებოდა საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან თავის დაღწევა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წლის 9 აპრილს, მიუხედავად ზეიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. უწმიდესი და უნეტარესი თქვიდა, რომ ეკლესია პირდაპირ არასოდეს არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში, რომ მისთვის ძნელია არჩევანის გაკეთება თანამემამულეთა შორის პარტიული ნიშნის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა ეკლესიის პოლიტიზაციისა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არ დაუშვა მოელენების ასეთი განვითარება. 1991 წლის შემოდგომაზე საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების განმუხტვის მიზნით საქართველოს საპატრიარქომ სცადა საპატრიარქოში მოლაპარაკებები გაემართა ხელისუფლებასა და საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან. უწმიდესმა და უნეტარესმა საგანგებო წერილებით მიმართა ზვიად გამსახურდიას, აკაკი ასათიანს, ბესარიონ გუგუშვილს, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, ოპოზიციას. „საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია, – ნათქვამი იყო წერილში, – ქართველი ქართველს დაუპირისპირდა, მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლისღვრა, არ უნდა მოხდეს ეს სამარცხვინო ფაქტი. ნნუ ჩავიდენთ საშინელ ცოდვას ღვთისა და ერის წინაშე. მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი თქვენს შორის და მშვიდობიან ვითარებაში გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. თუ იქნება თქვენი სურვილი, მზად ვარ მონაწილეობა მივიღო ამ დიალოგში".[12]

სამწუხაროდ, არც ხელისუფლებასა და არც ოპოზიციას არ ეყო გონიერება, და საქართველოში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება. ზ. გამსახურდია იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო. მისი მომხრეები გაღიზიანებული იყვნენ საქართველოს ეკლესიაზე, მაგრამ, დროთა ვითარებაში, მოელენების ობიექტური შეფასების შემდეგ, მიხვდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არჩევანს ვერ გააკეთებდა უღირს და ღირსეულ შვილებს შორის. ის, რაც მოხდა, იყო უბედურება, მაგრამ ეკლესია უნდა დარჩენილიყო ქართველი ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ.

რთული იყო უწმიდესისა და უნეტარესის ურთიერთობა სამხედრო საბჭოსთან იმ დროს, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი, ეკონომიკური სიძნელეები და პოლიტიკური კრიზისი გრძელდებოდა. სამხედრო საბჭო, თ. სიგუას, თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის სახით, გადაულახავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში 1992 წლის 7 მარტს მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჯერ – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ – სახელმწიფოს მეთაურად, ხოლო 1995 წლიდან საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული.

თბილისში დაბრუნებული ე. შევარდნაძე პირველად სიონის საპატრიარქო ტაძარში მივიდა და ამით ყველას მიანიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს გაუჭირდებოდა მრავალრიცხოვანი სერიოზული პრობლემების მოგვარება. უწმიდესი და უნეტარესი ილია II თვლიდა, რომ უმძიმესი ვითარებიდან საქართველოს გამოსაყვანად აუცილებელი იყო ე. შევარდნაძისათვის მხარდაჭერა და არა პარტიულ-ნომენკლატურული წარსულის გამო მისი კრიტიკა. უწმიდესმა და უნეტარესმა არაერთხელ დააფიქსირა მისადმი მხარდაჭერა. 1993 წელს, როდესაც რუსეთის რეაქციული ძალების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ უფრო გამძაფრდა დაპირისპირება, პატრიარქმა საგანგებო წერილებით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, მსოფლიო პატრიარქს, რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს, რუსეთის პრეზიდენტსა და პატრიარქს და მოუწოდა სწორად შეეფასებინათ აფხაზეთში დატრიალებული მოვლენები და

სასწრაფოდ მიეღოთ ზომები სისხლისღვრის შესაწყვეტად.

1993 წლის 31 დეკემბერს ე. შევარდნაძემ ამ სიტყვებით მიულოცა ახალი წელი მის უწმიდესობას: „ძვირფასო ბატონო ილია, აფხაზეთში გამგზავრების წინ გადავწყვიტე ორიოდე სიტყვით შეგეხმიანოთ და ახალი წელი მოგილოცოთ, თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ვუსურვოროთ ასეთი მძიმე წელი აღარ განმეორებულიყოს საქართველოს მომავალ ისტორიაში. პირადად თქვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის, თქვენი ლოცვა-კურთხევისათვის, რომელიც რწმენას, ძალასა და ენერგიას მატებს ჩვენს მრავალტანჯულ ხალხს. გილოცავთ ახალ წელს".[153]

1996 წელს ელიას მთაზე საფუძველი ჩაეყარა წმიდა სამების საკათედრო ტაძარს. პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ტაძრის მშენებლობას. 1997 წლის 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრებიდან 20 წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მისი უწმიდესობა დაჯილდოდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – „წმიდა დავით აღმაშენებლის ორდენით". დაჯილდოების დროს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა: „ძნელია ეს გზა, ერისა და ყოველი ჩვენგანის სულიერი განწმენდის გზა, მაგრამ თქვენი ლოცვა-კურთხევითა და შეგონებით მჯერა, საქართველო ამ გზას გაიელის. მე ვიცი, თქვენ არ გსურდათ ხმაურიანი ყოფილიყო თქვენი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მაგრამ ერი ცხოვრობს ამ თარიღებით, ფიქრობს და ლოცულობს თქვენთან ერთად, რადგან თქვენ ერის, დროისა და ისტორიის კუთვნილება ხართ".[154] 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ სამოციქულო ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება-კონკორდატი პრეზიდენტისა და პატრიარქის სერიოზული თანამშრომლობის შედეგია.

ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი შეეცადა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ეროვნული სიწმიდეები უცხოეთში გამოფენაზე გაეტანა. ეკლესიისა და ხალხის კატეგორიული მოთხოვნით ეს მცდელობა ჩაიშალა. ე. შევარდნაძეს მიმართეს საპროტესტო წერილით, რომელსაც 100 000-ზე მეტი ადამიანი აწერდა ხელს: "ბატონო პრეზიდენტო, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტენსიური სულიერი ექსპანსიის დროს, დაუშვებლად მიგვაჩნია, საქართველო მაცხოვრის შობის 2000 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს ეროვნულ სიწმიდეთა გარეშე შეხვდეს. კეთილმორწმუნე ქართველი ერი უმორჩილესად გთხოვთ, არ დაუშვათ ეროვნულ სიწმიდეთა საზღვარგარეთ გამგზავრება".[155]

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის" დროს ე. შევარდნაძე გადადგა საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მის ამ ნაბიჯს მამაცური და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გამომხატველი უწოდა. უწმიდესი და უნეტარესი ქრისტიანული სიყვარულითა და პატივისცემით მოიკითხავს ხოლმე ექსპრეზიდენტს. 2005 წლის 30 აპრილს ე. შევარდნაძემ ასე შეაფასა საქართველოს სულიერ წინამძღოლთან თავისი მრავალწლიანი ურთიერთობა: „ვამაყობ იმით, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ თანამოაზრენი და საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლნი ვართ. რამდენად დალხინებული ვართ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ უფლისა და ჩვენი ხალხის წინაშე პირნათელნი ვართ. რომ არა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და თქვენი უწმიდესობის დიდი ღვაწლი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო დიდ სიძნელეებთან და მსხვერპლთან იქნებოდა დაკავშირებული. ყველაფრისათვის დიდი მადლობა".[156]

2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი. ახალგაზრდა პრეზიდენტის ინაუგურაცია-კურთხევა შესრულდა გელათში, წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავთან. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს: „თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო! ყველაფერი ამქვეყნად ღვთის განგებით ხდება. განგებამ უფლისამ დაგადგინათ დღეს თქვენ ამ დიდებულ ტაძარში, რათა მოგენიჭოთ

მადლი ღვთისა ჩვენი ქვეყნის წარსამართებლად. ეს არის წმიდა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ის სავანე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო სიმბოლო ქართველი ერის სიბრძნისა და გონიერებისა, რწმენისა და სულიერი სიმაღლისა; ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც დაღვრილია მრავალი ცრემლი და აღვლენილია მრავალი ლოცვა უფლის წინაშე საქართველოს მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის. თქვენი წარმატების დიდი გარანტი არის ხალხის ნდობა. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ და მას გაფრთხილება უნდა. არიან ხელისუფალნი, რომელნიც სათნოეყოფიან კაცთა და მხოლოდ მიწიერი საზრუნავით მოცულნი ცდილობენ დროის შესაბამისად იმოქმედონ. ასეთი ადამიანები ვერ ქმნიან სახეს ისტორიისას. არიან ხელისუფალნი, რომელნიც თავისი ქმედებებით, უპირველეს ყოვლისა, სათნოეყოფიან უფალს და ჯილდოდ მიწიერ დიდებასაც იღებენ. როგორც წესი, მათი სახელი საუკუნეებს ახსოვთ. არჩევანი თქვენზეა. აქ, ამ ტაძრიდან იწყება თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, მოღვაწეობის პირველი დღე. ინებოს ღმერთმა, რომ ეს გზა იყოს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და კეთილწარმატების მომტანი გელათში, წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება სიმბოლურია და დიდად საპასუხისმგებლო, ვინაიდან აქ არა მარტო დღევანდელი, არამედ მთელი ზეციური საქართველო დგას და თქვენგან „ჩუეულებისაებრ მამულისა სელას“ მოითხოვს“.[157]

2004-2010 წლებში პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ეკონომიკური რეფორმები. საქართველომ ივალდებულა შეიარაღებული ძალების გადაყვანა ნატოს სტანდარტებზე. ჩატარდა სასამართლო და პოლიციის სისტემების რეორგანიზაცია, გადაიდგა ნაბიჯები სამოქალაქო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისაკენ, მაგრამ ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების გაუფასურების ტენდენციაც აშკარაა. მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები ღიად უპირისპირდებიან საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და მის მეთაურს. არის მცდელობა, გადასინჯულ იქნეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატი, რომელიც, ფაქტობრივად, არ მუშაობს. სამწუხარო გაუგებრობა მოხდა 2007 წელს აჭარაში, ფერიის მთაზე, სადაც დაანგრიეს მშენებარე ეკლესია. უწმიდესი და უნეტარესი ასე ახასიათებს შექმნილ ვითარებას: „მიმდინარეობს საეკლესიო საკითხებზე არაკორექტული, ხშირ შემთხვევაში კი შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური მსჯელობები. ყველაფერ ამას ერთგვარი ორგანიზებული სახე აქვს და მასში მონაწილეობას იღებენ როგორც ეკლესიის წევრები, ისე მის გარეთ მყოფი პირები. ჩვენთვის გაუგებარია აღნიშნულ პროცესებში იმ ადამიანთა მონაწილეობა, რომელთაც ეკლესიასთან კავშირი არა აქვთ, ვინაიდან მათ ამის არც ცოდნა, არც მორალური და იურიდიული უფლება არა აქვთ; ხოლო ისინი კი, რომელნიც ეკლესიის წევრად მიიჩნევენ თავს და ეკლესიასა და მის იერარქს კი საჯაროდ განიკითხავენ, არღვევენ უძველეს საეკლესიო წესსა და ტრადიციას, რომლის უგულებელყოფაც ნებისმიერი მოტივით სრულიად გაუმართლებელია პრობლემები ყველა საზოგადოებასა და ყველა დროში იყო, არის და იქნება, ისევე – როგორც ეკლესიაში, ოღონდ მათდამი მიდგომა და შესაბამისი ქმედებაა ორგვარი. ერთის საფუძველი სიძულვილი, მიზანი კი ზიანის მოტანაა, მეორისა – სიყვარული და გამოსწორების სურვილი. ორიენ დამოკიდებულება ადვილად იცნობა. ეკლესიასთან დაკავშირებით დღეს მიმდინარე პროცესებიც ნათლად აჩვენებს, თუ სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე“.[158]

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, არაერთხელ აღუნიშნავს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. 2007 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების სრული მხარდაჭერა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, მისი უწმიდესობის მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავის იუბილე გახდება ჩვენი ეკლესიის სიდიადის წარმოჩენის საუკუთესო საშუალება. 2012 წლის საპარლამენტო

არჩევნების შემდეგ ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“ მოვიდა, მაგრამ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში კვლავ არსებობს სირთულეები.

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს სასულიერო პირად ყოფნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან, არაქრისტიანული დენომინაციების სულიერ ლიდერებთან. უწმიდესი და უნეტარესი კარგად იცნობდა რუსეთის პატრიარქებს: ალექსი I-ს, პიმენს. 1997 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სთან ერთად სერგი რადონეჟელის ლავრაში საღმრთო ლიტურგიაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „სწორედ აქ, ამ ლავრაში, წმიდა სერგის მფარველობითა და კურთხევით, ავირჩიე ჩემი ცხოვრების გზა – ბერობა. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა სწორედ აქ, წმიდა სერგის ტაძარში დამასხა ხელი მღვდელმონაზვნად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებიდან უკვე მრავალი წელი გავიდა, ლავრასა და მის დამფუძნებლებთან სულიერსა და ლოცვით კავშირს მუდმივად ვგრძნობ“.[159]

უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს: უწმიდეს დიმიტრიოს I-სა და ბართოლომეოს I-ს. 1992 წელს უწმიდეს ბართოლომეოს I-თან შეხვედრის დროს მან აღნიშნა: „ჩვენ ფრიად ვიწონებთ და მეტად ვაფასებთ მსოფლიო საპატრიარქოს ღვაწლსა და შრომას მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთსულოვნებისა და მსოფლიოში მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის“.[160]

განსაკუთრებით თბილი, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ უნეტარეს ნიკოლოზ VI-სთან. უნეტარესი ნიკოლოზ VI განცვიფრებული და აღფრთოვანებული იყო უწმიდესისა და უნეტარესის პიროვნებით, მისი ყურადღებით და ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში. ერთხელ მან ისურვა პატრიარქის მშობლიური კუთხის, ხევის, ნახვა. როგორც თვითონ ბრძანებდა, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველი ახალიDჩამოსელა მას განუმტკიცებდა იმ აზრს, რომ ქართველი ადამიანისათვის სტუმარი ღვთის წყალობად არის მიჩნეული.

უნეტარესი ნიკოლოზ VI-ის გზა განაგრძეს უნეტარესმა პართენიოსმა და პეტრე VII-მ და თეოდორე III-ემ.

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა იერუსალიმის პატრიარქებთან: უწმიდეს ბენედიქტე I-თან და დიოდოროსთან. 2000 წელს, მაცხოვრის შობის დღესასწაულზე, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები ეწვივნენ წმიდა ქალაქ იერუსალიმს, შეხვდნენ და ესაუბრნენ უწმიდეს დიოდოროსს.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ შეხვდა რუმინეთის პატრიარქ თეოკტისტეს, ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს, სრულიად კვიპროსის ეკლესიის მეთაურს, მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს, მიტროპოლიტებს: თეოდოსს, ჰერმანეს. 1999 წელს ვაშინგტონში, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, საღმრთო ლიტურგიის შემდეგ, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა უნეტარეს თეოდოსს: „თქვენი უნეტარესობის მოწვევით, სიხარულით ვესტუმრეთ აშშ-ს. ეს არის ჩემი მეოთხე ვიზიტი თქვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულია იმით, რომ ამჟამად აქ ჩამოვედით დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოდან. ჩვენი მიზანია, განმტკიცდეს ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიებისა და გაღრმავდეს თანამშრომლობა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის“.[161]

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ელადის ეკლესიის მეთაურ უნეტარეს ქრისტოდულოსთან, სერბეთის ეკლესიის მეთაურ უწმიდეს პავლესთან. 1996 წლის აგვისტოში უწმიდეს პავლესთან შეხვედრისას მისმა უწმიდესობამ აღნიშნა: „სერბი და ქართველი ხალხის ისტორია აღსავსეა მძიმე განსაცდელებითა

და ტრაგიკული მოვლენებით. ჩვენი ხალხები მუდამ მედგრად იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს უცხო დამპყრობელთაგან, იცავდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ენასა და კულტურას. განსაცდელის დროს ჩვენი ეკლესიები მუდამ ჩვენი ერების გვერდით იდგნენ და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარენი იყვნენ".[162]

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების ლიდერებთან: რომის პაპთან, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურთან, აღმოსავლეთის კოპტურ-მონოფიზიტური ეკლესიების მეთაურებთან. უწმიდესი და უნეტარესი ბევრჯერ შეხვდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსებს: ვაზგენ I-ს, გარეგინ I-ს, გარეგინ II-ს. გულითადი მეგობრობა აკავშირებს მას კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარესთან შეიხ ალახ შუქურ ფაშა ზადესთან.

მის უწმიდესობას ასეთიეე მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოში არსებულ არამართლმადიდებლური კონფესიების ხელმძღვანელებთან. 2002 წლის 11 სექტემბერს თბილისში გარდაიცვალა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლი, მთავარეპისკოპოსი გევორქ სერაიდარიანი, რომელიც 30 წელი მსახურობდა თბილისში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო მის დაკრძალვას, დაეხმარა სომხური ეპარქიის წარმომადგენლობას, რათა განსვენებული მთავარეპისკოპოსის ნეშტი დაეკრძალათ წმიდა გიორგის სახელობის სომხური ეკლესიის ეზოში.

პატრიარქთან ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები და გამოხატაენ თავიანთ პატივისცემასა და მადლიერებას მისადმი.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართული სულისა და ქართული ხასიათის მქონე პიროვნებაა. მას არაერთხელ აღუნიშნავს: „მიუხედავად მრავალეროვანი მოსახლეობისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ნიშნით დევნას, ამიტომაც არის, რომ აქ გვერდიგვერდ საუკუნეებია მშვიდობიანად მკვიდრობენ მუსლიმები, იუდეველები, ქრისტიანები და სხვა რელიგიების მიმდევარნი. მაშინაც კი, როდესაც მწვავდებოდა ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, საქართველოში მცხოვრები ამ ქვეყნის წარმომადგენლებისადმი დამოკიდებულება კვლავ შემწყნარებლური რჩებოდა. ურთიერთობის ეს წესი არ შეცვლილა ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც. მოყვასისადმი ასეთი მიდგომა ქართველ ადამიანში მართლმადიდებლური სარწმუნოების დიდი პატივისცემიდან და სიყვარულიდან მომდინარეობს".[163]

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდა 1989 წელს თბილისში ჩამოსულ დედა ტერეზას, იუნესკოს გენერალურ მდივანს ფრედერიკო მაიორს. უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვედრია დიდ გერმანელ დრამატურგს ჰერმან ვედეკინდს.

აი, რას წერდა პოლონელი დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი: „უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს პირველად 1995 წელს შევხვდი, საოცარი ადამიანია, ხშირად მასთან ურთიერთობისას თუ საუბრისას მიგრძვნია, რომ ეს არ არის უბრალო ადამიანი, იგი ზეციური სტუმარია დედამიწაზე ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს, რამეთუ მას გადაშენება არ უწერია".[164]

პატრიარქი, როგორც დიდი თეოლოგი, მეცნიერი და შემოქმედი პიროვნება, ქართველი მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების მეგობარი და ხელისშემწყობია. უწმიდესმა და უნეტარესმა 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გაიხსენა ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან თავისი ურთიერთობის პირველი წლები: „მსურს ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვნიშნო, რომ საქართველოში ინტელიგენტთა შორის თითქმის არ ყოფილან მებრძოლი ათეისტები. მართალია, უმრავლესობამ კომუნისტურ პერიოდში ეკლესიურობა დაკარგა, მაგრამ ღვთისადმი შინაგანი რწმენა შეინარჩუნა და ამ გრძნობას ბოლომდე თან ატარებდა. ამიტომაც იყო, რომ 1977 წელს, როდესაც, ღვთის განგებით, საპატრიარქო ტახტზე ამირჩიეს, ეკლესიის დასახმარებლად პირველად ინტელიგენცია და ახალგაზრდობა მოვიდა. დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო

ჭ-ნი ბაბო დადიანი,ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე,გურამ პატარაია,ლევან ცუცქირიძე, ლამარა და გრიგოლ აბაშიძეები, ირაკლი აბაშიძე, ერასტი და ელენე ვაჩნაძეები, ნანა ხატისკაცი, მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი, ლილი გეგელია, რეზო ჩხეიძე, მედეა ჩახავა, ზურაბ კიკნაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, გიორგი ცინცაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ბაჩანა ბრეგვაძე და სხვანი. მათ უთვალთვალებდნენ, ავიწროებდნენ, უშლიდნენ ჩვენთან სიახლოვეს, მაგრამ ისინი არ უშინდებოდნენ ზეწოლას. მინდა შევჩერდე ახალგაზრდებზეც, რომელთა ყოფნა ეკლესიაში მაშინ, ფაქტობრივად, თავგანწირვა იყო. რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, მაგალითად, ზურაბ ჭავჭავაძეს, რომ წლების განმავლობაში შეენარჩუნებინა თანამშრომლობა და კავშირი საპატრიარქოსთან. ეს გზა გაიარა კომუნისტური მმართველობის დროს ეკლესიაში მოსული ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა“.[165]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართველი ინტელიგენციის – მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის კომუნისტური მმართველობის ხანაში მომავლის იმედად იქცა. საპატრიარქოს კარი მუდამ ღია იყო მათთვის. ისინი ხვდებოდნენ ერის სულიერ წინამძღოლს და ამ შეხვედრებიდან გამოსულნი დიდხანს სიყვარულით უამბობდნენ ახლობლებს თავიანთი განცდების შესახებ. ინტელიგენციის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი წერილებიდან მოვიყვანთ ზოგიერთ ნაწყვეტს, მიძღვნილს უწმიდესისა და უნეტარესისადმი.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილიშვილი, ქალბატონი ბაბო დადიანი ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო. იგი სიონის საპატრიარქო ტაძარში უსმენდა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის, კალისტრატეს ქადაგებებს, 1977 წლიდან კი უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს წირვა-ლოცვებზე იდგა მრავალგანსაცდელგამოვლილი ეს არისტოკრატი ქალბატონი. იგი მუდამ გრძნობდა პატრიარქის სითბოსა და სიყვარულს. 1980 წლის 20 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „უწმიდესო და უნეტარესო, მუხლმოდრეკით, ჩემი თავის უმდაბლესად დახრით, უღრმესი მადლობის გრძნობით ვეამბორები თქვენს ხელს. ვერ აგიწერთ ჩემს ბედნიერებასა და სიხარულს, გამოწვეულს თქვენი ესოდენ დიდი წყალობითა და ყურადღებით ჩემდამი. ვეევედრები უფალს თქვენს ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენდა მფარველად“.[166]

პატრიარქისადმი სიყვარული, პატივისცემა და მოწიწებაა გამოხატული ცნობილი მეცნიერის კალისტრატე სალიას მიერ პარიზიდან გამოგზავნილ წერილში: „თქვენო უწმიდესობავ, უწინარეს ყოვლისა, მუხლმოდრეკით ვემთხვევი მარჯვენას თქვენსას. Lლოცვა-კურთხევის თქვენგან მიღება და საუბარი დაუვიწყარ მომენტად დარჩება სამშობლოს განშორებულ, ტანჯულ, მიწურულს მიმდგარ ჩემს ცხოვრებაში. თქვენო უწმიდესობავ, თქვენ ბრძანდებით წინამძღვარი ისტორიით დატვირთული ქართული ეკლესიისა,რომლის მეთაურთ თავს ხშირად ედგათ მოწამის გვირგვინი და აკეთრებდნენ სამყაროს შეუდრეკელობით, მხნეობით, გამძლეობით, თავგანწირვით სჯულისა და სამშობლოს დასაცავად. დიდება თქვენ და იმ წმიდა გვირგვინს, რომლის ტარება ბედმა და ქართველმა ერმა მოგანდოთ“.[167]

პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი 1987 წლის 31 ივლისს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ, ღირსმყავით, რათა უღრმესი მადლობა შემოგბედოთ დიდი ილიას წმინდანად შერაცხვისათვის“.[168]

უწმიდესისა და უნეტარესის ყურადღებით აღფრთოვანებული პოეტი მორის ფოცხიშვილი კი მას თავის გადამრჩენელს უწოდებდა. ასაკში შესულმა პოეტმა მხედველობა დაკარგა, დეპრესიაში ჩავარდა და თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და მოახსენეს, რომ მასთან შეხვედრა და საუბარი სურდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს. პოეტი მადლიერებით ამბობდა, რომ მისმა უწმიდესობამ მეორედ აჩუქა სიცოცხლე.

1983 წლის 9 მაისს ივანე ჯავახიშვილის შვილმა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა

პატრიარქს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომლის ღირსი გამხადეთ ჩემი დის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. თქვენი წმიდა სიტყვა უდიდესი ნუგეშია ამ მძიმე წუთებში ჩემთვის, მთელი ჩემი ოჯახისათვის". [168]

აკადემიკოსი როინ მეტრეველი მის უწმიდესობას მადლობას მოახსენებს ოქროს ჯვრით დაჯილდოების გამო.

აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე 1980 წლის 12 ივნისს, პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს გაცნობის შემდეგ, მისი უწმიდესობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „თქვენო უწმიდესობავ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ შესანიშნავი ეპისტოლესათვის. მასში მრავალი ფაქტია ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან, რომელთა ცოდნაც ბედნიერებაა. დიდი მნიშვნელობისაა თქვენი სწორი პოზიცია პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში". [169]

უწმიდესისა და უნეტარესის პიროვნებით აღფრთოვანებული ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი წერს: „თქვენო უწმიდესობავ, ის შთაბეჭდილებები და განსაკუთრებული შეხვედრები, რაც განვიცადე თქვენთან, არასოდეს დამავიწყდება". [170]

ქეთევან ბაგრატიონი იმ დროს, როდესაც თბილისის ქუჩებში ძმათამკვლელი ომი მძვინვარებდა, საქართველოს გადარჩენის ერთადერთ იმედად მის უწმიდესობას მიიჩნევდა და იტალიიდან 1992 წლის 2 იანვარს გამოგზავნილ წერილში წერდა: „იმედი მაქვს, რომ, თქვენი უსაზღვაკესი პიროვნების ლოცვა-კურთხევითა და ღვთის წყალობით, ისევ დაუდგება ჩვენს სამშობლოს მშვიდობიანი შობა და ჩვენი ერი, მისთვის ჩვეული სიბრძნით, კვლავ შეუდგება ღრმა იარების მოშუშებას". [171]

მწერალი გრიგოლ აბაშიძე უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ჩვენი ბობოქარი საუკუნის ძნელ გზებზე დიდხანს უძღოდეს და მხნეობას მატებდეს თქვენი ლოცვა-კურთხევა სარწმუნოების დიდი ტრადიციების მქონე ქართველ ხალხს, თქვენს წმიდა სამწყსოს". [172]

ინტელიგენციის განსაკუთრებული მადლიერება ერის სულიერი წინამძღოლისადმი კარგადაა გამოხატული წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: „გვეამაყება, რომ ხართ ნათელი მაგალითი კაცთმოყვარეობისა, რომლის ნიადაგზეც იზრდება ჩვენი აწმყო და მომავალი. საქმეთა დიდ დინებაში პოულობთ დროს, რათა პირადად გაუწოდოთ ხელი და უნაზესი მამობრივი სიყვარულით ჩაიხუტოთ ჩვენი სამშობლოს წარჩინებულნი, მხატვარი თუ მწერალი, მუსიკოსი თუ ისტორიკოსი, მსახიობი თუ სპორტსმენი არ მოჰკლებია თქვენი ლოცვა, დარიგება, საქართველოს მამაც-მოძღვარო". [173]

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიდან უწმიდესთან მეგობრობით ამაყობენ რამაზ ხუროძე, ლია სტურუა, რეზო ამაშუკელი, როინ მეტრეველი, ვახტანგ სართანია, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, ლიანა ისაკაძე, პაატა ბურჭულაძე, შოთა ნადირაშვილი, თამაზ გამყრელიძე, თამაზ წიფწიფაძე და სხვები.

უწმიდესი და უნეტარესი რომ არა, ბევრი ადამიანი საერთოდ გამოეთიშებოდა ცხოვრების დინებას. დიდი მწუხარების დროს მისი უწმიდესობა თითოეული ქართველის გვერდითაა და ანუგეშებს მათ. „დღეს განსაკუთრებით გვსურს მუხლმოდრეკით კაბის კალთაზე გემთხვიოთ და ათასი მადლობა გადაგიხადოთ. რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, ყოველივე უფერულია თქვენდამი უღრმესი პატივისცემისა და მადლიერების გამოსახატავად თქვენ შეძელით ჩვენში, შვილგარდაცვლილ დედებში, გაგველვიძებინათ სიცოცხლის სურვილი, აზრი ამქვეყნად ცხოვრებისა და თუ რომელიმე ჩვენგანი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია, ამას თქვენ უნდა გიმადლოდეთ, თქვენო უწმიდესობავ", [174] — წერს ქალბატონი მზია კაცაძე.

საქართველოს ისტორიაში ი'შვიათია შემთხვევა, დიდმა ადამიანმა სიცოცხლეშივე ასეთი აღიარება და საზოგადოების ყველა ფენის სიყვარული დაიმსახუროს. მისი უწმიდესობა, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მორწმუნე მრევლი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღესასწაულებს.

1978 წლის 24 დეკემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო წირვა აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ტაძარი საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული ხალხით გაივსო, ყველას სურდა უწმიდესისა და უნეტარესისათვის მიელოცა პატრიარქად აღსაყდრების დღე. საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე). ინტელიგენციას, მორწმუნე მრევლს უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების შესახებ.

1980 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების მესამე წლისთავს მიეძღვნა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი) მის უწმიდესობას მიმართა: „უკვე სამი წელი გვაშორებს იმ ღირშესანიშნავ 25 დეკემბრის თარიღს, როდესაც მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ღვთის განგებამ კათოლიკოს-პატრიარქის გვირგვინი დაადგა თავის რჩეულს თავზე. მე ვულოცავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და ქართველ მორწმუნე ხალხს ღვთისგან კურთხეულ ამ ახალ დასაწყისს ჩვენი სულიერი აღმავლობისას. ცნობილი ამბავია, რომ ადვილი როდია სულიერი ცხოვრების აღმავლობის გზაზე დაყენება... ღვთის მაღალი განგება დიდი ხნის წინათ გამზადებდათ თქვენ მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში მისასვლელად, იმ დიდი ნათლის წიაღში, რაც ღვთისგან რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. ხშირად გვეკითხებიან ხოლმე, რომ პატრიარქის გვირგვინი ოქროსია თუ არა? ჰოი, ადამიანურო სიმდაბლევ თუ ცნობისმოყვარეობავ!.. პატრიარქის გვირგვინი არც ოქროსია და არც ბრილიანტებით შემკული რაღაც– პატრიარქის გვირგვინი ღვთის მადლია, ნათლით მოსილი... პატრიარქის გვირგვინს ფასი არა აქვს, იგი არ იყიდება და არც ბრძოლით მოიპოვება... პატრიარქის გვირგვინი არ იწონება და არც იზომება, არც მხატვარია მისთვის ვინმე, არც ხელოვანი გამომჭედელი, თვალით ხილული... მას ჭედავს მხოლოდ უხილავი ღმერთის მარჯვენა... და მოგილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რომ თქვენი მოღვაწეობით დაიმსახურეთ ასეთი ხელთუქმნელი წმიდა გვირგვინი.

ყოველი დღე ჩვენი საეკლესიო შრომისა გვარწმუნებს იმაში, რომ ქართველ მორწმუნე ხალხს ღმერთთან სიახლოვე სწყურია, უყვარს ქრისტე და ქრისტიანობა... მაშასადამე, არა ცოდვებით დაღუპვა, არამედ მარადიულობა და უკვდავება სწყურია ჩვენს სულს... ჩვენი ლოცვა, ჩვენი მადლობა და თაყვანისცემა მაღალ ღმერთს იმისათვის, რომ თქვენი სახით მოგვივლინა დიდი მოძღვარი მარადიულობისა და უკვდავების გზის მასწავლებლად. ხომ ცნობილია, რომ მორწმუნე ერის სიყვარულსა და პატივისცემას ოქრო-ვერცხლით ვერ შეისყიდი, ვერც ბრძოლითა და ძალადობით მოიპოვებ... ხალხმა რომ გული გაგიხსნას და შეგიყვაროს, ამისათვის ღვთისგან რჩეული უნდა იყო და მადლით მოსილი. ღმერთი უნდა უძღოდეს წინ საქმეებს შენსას და მისი ტკბილი სიყვარული გზას გინათებდეს... ჩვენ გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ, რომ მაღალმა ღმერთმა მოგანიჭათ ეს დიდი ჯილდო, და ასე უანგაროდ უყვარხართ გულით კეთილ და პატიოსნებით საცსე მორწმუნე ქართველ ხალხს. ქრისტიანთათვის რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რისი მოწმენიც ჩვენ გახლავართ ამ დიდ ტაძარში. ანგელოზის დღეს – ორშაბათობით, საქართველოს ანგელოზები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, იკრიბებიან ხოლმე ამ ტაძარში და იესო ქრისტე ლოცავს ჩვენს შვილებს და ცამდე ასულნი აღტაცებით ვუყურებთ ხოლმე, თუ როგორ უპყრიათ ჩვენს მომავლებს სახარება წმიდა ხელებზე, და მაღლდება ზეცისაკენ სული ჩვენი

ერისა... გილოცავთ თქვენ, ჩვენო მამავ და მასწავლებელო, მთელ ამ სიკეთეს და ვულოცავთ ჩვენს მრევლსა და სამშობლოს ჩვენსას, რომ ჩვენი მომავალი უწმიდეს ხელებს უპყრიათ სახარების საღაღადებლად. ზოგჯერ დაჩოქება უმძიმს ხოლმე ახალგაზრდასაც, ჩემს მოხუც გულს კი უყვარს იგი და ემსუბუქება... მე მაჩოქებს ხოლმე ღვთის სიყვარული... და ვიჩოქებ ახლაც იმ გულითა და იმ სიხარულით, როგორითაც აქ დგანან ფრთებგაშლილი ჩვენი ბავშვები ორშაბათობით – ანგელოზის დღეს".[75]

1981 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ აღინიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების მეოთხე წლისთავი. უწმიდესსა და უნეტარესს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე). მისმა უწმიდესობამ მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და განაცხადა: საქმენი, რომელნიც საქართველოს ეკლესიაში კეთდება, უფლის ნებაა, ამიტომ ყველამ მადლობა უნდა შევსწიროთ უფალს წყალობისათვის.

მთავარეპისკოპოსმა თადეოზ იორამაშვილმა ლექსით მიულოცა მის უწმიდესობას აღსაყდრების დღე:

„მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელით,
შეჭიდებული უხილავ მტერთან,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა
უძღვი ცად მიმართ ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყავნ მაცნენი,
სიწმიდის მადლით და სასწაულით
მშობელთა ლოცვით აღმონაკვესნი
იმედმოსხმულან შენი დღეები,
სიყვარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია, შენი მამული
სამარადისოდ ნათლით ბრწყინავდეს,
თუ საქართველო წმიდა ჯვარია,
ნატრობ სამოთხის კართან იყოსო,
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ, კათოლიკოსო."

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 25დეკემბრის,პატრიარქის აღსაყდრების დღის, საზეიმოდ აღნიშნა ტრადიციად იქცა. თუ პირველ წლებში მხოლოდ სამღვდელოება და მორწმუნე მრევლი იკრიბებოდა, ხოლო მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მისალოცი წერილებით კმაყოფილდებოდნენ, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე ისინიც აქტიურად ჩაერთვნენ საყოველთაო საზეიმო დღეების აღნიშვნაში.

1987 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების ათი წლისთავი განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. საზოგადოების წარმომადგენლები სასულიერო პირებთან ერთად ცდილობდნენ, გამოეხატათ პატრიარქისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის განსაკუთრებულ დამსახურებას. პატრიარქმა მრავალმხრივ საინტერესო სიტყვით შეაჯამა საზეიმო სხდომა, მადლობა მოახსენა ყველას კეთილი სურვილებისათვის და აღნიშნა: „უკვე ათი წელი გავიდა, რაც პატრიარქის უღელს ვეწევი, რომელიც, მართალია, მეტად მძიმეა, მაგრამ, ამავე დროს, დიდია შეწევნაც ღვთისა. თუ ადამიანი მის ნებას ასრულებს, უფალი მას მისი წილხვედრი ჯვრის ზიდვას უადვილებს. არ მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ ამ ხნის მანძილზე რა გავაკეთე. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, გავაკეთე ის, რაც შეძელი, ხოლო უკეთესი სხვამ გააკეთოს. რაც გაკეთდა,

იმ საქმეთა აღმსრულებელი უფალი, ყოველადწმიდა სამებაა, ხოლო ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ მის ნებას ხანდახან მაინც ვასრულებდით... მინდა მადლობა მოვახსენო ჩვენს მღვდელმთავრებს, რომელნიც ბევრს აკეთებენ ჩვენი ეკლესიისა და ხალხისათვის. ხშირად მორწმუნეთათვის შეუმჩნეველი რჩება ის დიდი ჯაფა, რომელსაც ეპისკოპოსები ეწევიან, მაგრამ ეს ალბათ ასეც უნდა იყოს, რადგან მთავარი ისაა, ღვთის საქმე გაკეთდეს. მინდა ასევე დაველოცო და მადლობა მოვახსენო ჩვენს მოძღვრებს, ბერ-მონაზვნებს, დიაკვნებს, მგალობლებს იმ დიდი სულიერი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ისინი მრევლისათვის ეწევიან, მადლობა მოგახსენოთ თქვენ და მთელ ქართველ ერს იმ დიდი სიყვარულისათვის, რომელსაც იჩენთ".[176]

კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა მარტოოდენ საზეიმო მილოცვებითა და სურვილებით არ მთავრდებოდა. უწმიდესი და უნეტარესი თავის შემაჯამებელ სიტყვაში პირუთვნელად აფასებდა განვლილი წლების საქმიანობას და, ამავე დროს, სამომავლო გეგმებზეც საუბრობდა. 1992 წლის დეკემბერში, როდესაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების 15 წელი შესრულდა, საქართველოში როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ურთულესი ვითარება იყო. სამოქალაქო დაპირისპირება ჯერ არ ჩამცხრალიყო, დაძაბულობა იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მიუხედავად ამ ურთულესი ვითარებისა, საპატრიარქოს ისტორიულ რეზიდენციაში, სადაც 1991 წლიდან სამუშაოდ გადავიდა მისი უწმიდესობა, ჩატარდა საზეიმო შეხვედრა, მანამდე კი სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა. იყო მილოცვები, კეთილი სურვილები. პატრიარქმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და საგულისხმო სიტყვით მიმართა საზოგადოებას:

„მართლაც დიდია და ისტორიული დღევანდელი დღე, მაგრამ არა იმიტომ, რომ დღეს თხუთმეტი წელი შესრულდა ჩემი ინტრონიზაციიდან, არამედ დიდია იგი იმ მოვლენების მნიშვნელობით, რომლებიც ამ 15 წლის მანძილზე მოხდა ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში. განვლო წამების თხუთმეტმა წელმა. იმდენად მძიმეა ჯვარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რომ XX საუკუნეში მხოლოდ უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გაუძლო მის ტარებას ოცი წლის მანძილზე. მეტად მძიმე იყო ჩემი აღსაყდრების დრო, როცა ოფიციალურად თითქმის თავისუფალი იყო ეკლესია, სინამდვილეში კი იდევნებოდა; მაგრამ უფრო მძიმე წლებიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, უფრო მეტად ყოფილა იგი შეევიწროებული. მაგალითად, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია დააპატიმრეს და დახვრეტაც კი მიუსაჯეს. ისეთი პერიოდიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, როდესაც კათოლიკოსო საბჭოს (სინოდის) მთელი შემადგენლობა ციხეში იჯდა და მის შენობაში, რომელიც დღეს ისევ საპატრიარქო რეზიდენციას წარმოადგენს, მხოლოდ მდივანი დარჩა — ეს იყო მღდელმონაზონი ეფრემი, რომელიც შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში არსებული 1500 ეკლესიიდან მხოლოდ ორმოცდაათიღა დარჩა მოქმედი.

აი, ასეთ მძიმე დროს მომიხდა მე ღვთის განგებით კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრება... ამგვარ პირობებში, როცა მოქმედებდა არაოფიციალური დევიზი, რაც უფრო ბევრი ცუდი იქნება ეკლესიაში, მით უფრო კარგია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხისადმი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მე, როგორც იმდროინდელი რეჟიმისათვის საშიშ პიროვნებას, ისე მიყურებდნენ, მაგრამ ღვთის განგებას წინ ვერავინ დაუდგება და აი, 1977 წლის 25 დეკემბერს ამ ტაძარში შედგა ჩემი აღსაყდრება.

როგორც პატრიარქმა, პირველ რიგში, ჩემს უმთავრეს მოვალეობად ერისა და ეკლესიის გაერთიანება მივიჩნიე. ეკლესია თითქოს მოწყვეტილი იყო ერისგან, განსაკუთრებით მთავრობასა და ინტელიგენციას იყო დაშორებული. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს ყველა სფეროში. ჩვენდა სასიხარულოდ, მათაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ეკლესიის მიმართ. ურთიერთშეხვედრებმა საოცარი შედეგი გამოიღო, უფალი მივიდა ყველასთან.

თვით ისინიც კი, რომელთაც თავიანთი თავი ათეისტებად მიაჩნდათ, აღიარებდნენ, რომ საპატრიარქოს რეზიდენციაში სტუმრობისას სულიერი სიმშვიდე ეუფლებოდათ. ამ დროს მათზე გადმოდიოდა მადლი, რომელიც მიზეზი ხდებოდა ჭეშმარიტი რწმენის დაბადებისა. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მამამთავარი და მოძღვარი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ ადამიანებისა, რომელნიც ყოველდღიურად მოდიან ეკლესიაში, არამედ ყოველი ქართველისა, და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ყოველი მკვიდრისა. კათოლიკოს-პატრიარქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, ვისაც არ შეუძლია ან სულიერი ძალა არ ჰყოფნის ეკლესიაში მოსასვლელად. ასეთ კაცთან იგი თვითონ უნდა მივიდეს, მხრებით იტვირთოს და ისე მიიყვანოს უფალთან... და ბოლოს, იმ საოცრებასაც მოვესწარი, რომ საქართველო ორასი წლის შემდეგ ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. თუმცა სიძნელე ისევ მრავალია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ერს იმის შეგნება სჭირდება, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ყოველი ჩვენგანის შინაგანი განთავისუფლებით უნდა დაიწყოს... ასე გავიდა თხუთმეტი წელი, რომელიც, როგორც ვთქვი, წამების წლები იყო, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მუდამ ვგრძნობდით სიახლოვეს უფლისას, ვგრძნობდით, რომ ჩვენთან იყო ღმერთი; და, რადგანაც ჩვენთან არს ღმერთი, ვერავითარი მტერი, ვერც ხილული და ვერც უხილავი, ვერას დააკლებს ვერც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და ვერც სახელმწიფოს."[177]

უწმიდესისა და უნეტარესის ეს სიტყვა მრავალმხრივ საყურადღებოა ისტორიკოსებისათვის. მასში ნაჩვენებია ის ძირითადი მიმართულებანი, თუ როგორ უნდა დაიწეროს საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია.

1997 წლის დეკემბერში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებულად აღნიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 20 წლისთავი. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული უწმიდესისა და უნეტარესის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ სტრიქონების ავტორმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ოცი წელი გვაშორებს იმ ღირშესანიშნავ დღეს, რაც საქართველოს საპატრიარქო ტახტზე მოხდა თქვენი აღსაყდრება. მოგესალმებით სიონის საპატრიარქო ტაძრის 70-იანი წლების იმ მრევლის სახელით, რომელიც თქვენ შეიშენით საქართველოს ეკლესიაში და რომელიც მანამდე, სამწუხაროდ, არ არსებობდა. 1977 წლის ნოემბერში, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V, მის მოსახსენებელ პანაშვიდებს წესის მიხედვით აღასრულებდნენ ქართველი მღვდელმთავრები. მათი უმრავლესობა ხანდაზმული იყო. როდესაც თქვენ შემობრძანდით ტაძარში, საზოგადოების ის ნაწილი, ვინც არ გიცნობდათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ქართველი მღვდელმთავარი შეიძლება ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა და გამორჩეული. ბევრს უცხოეთიდან ჩამობრძანებული სტუმარი ეგონეთ.

თუ რა სავალალო მდგომარეობა იყო საქართველოს ეკლესიაში, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებით: თეორიულად მოქმედი 15 ეპარქიიდან რეალურად 4-5 ეპარქიას ჰყავდა საკუთარი მღვდელმთავარი და ჰქონდა მოქმედი ეკლესიები... ექვსი პატრიარქი აირჩია საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მაგრამ არც ერთი პატრიარქის კურთხევაზე ასეთი მრავალრიცხოვანი საზოგადოება არ შეკრებილა. ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. ამას ალბათ ხელისუფლებაც გრძნობდა და მაქსიმალურად ცდილობდა ეკლესიის იზოლაციასა და შეზღუდვას. საბედნიეროდ, თქვენი ბრძნული, მწყემსმთავრული მოღვაწეობის გამო ამას ვერ ახერხებდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ XX საუკუნის 70-იან წლებში გადადგა, იყო მრევლის შემოკრება და თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, იყავით პირველი მასწავლებელი სიონის მრევლისა, იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც მოვდიოდით ეკლესიაში, მაგრამ მცირეოდენი ეკლესიური განათლებაც არ გექონდა, არ ვიცოდით ტაძარში დგომის წესი, ლოცვა, სასულიერო იერარქისათვის მიმართვის

ფორმები. თქვენ ყველაფერს გვასწავლიდით.

პირველ ხანებში გვიჭირდა ტაძარში დიდხანს დგომა, მაგრამ თქვენ გვამხნევებდით და გვიხსნიდით წირვა-ლოცვაზე დასწრების მნიშვნელობას. თქვენი განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ წარმართთა თავშესაფრად გადაქცეული საქართველოს უდიდესი ეკლესია-მონასტრები კვლავ აღორძინდა; ალავერდობა, თელეთობა, სვეტიცხოველობა, ლომისობა კვლავ დიდ ქრისტიანულ ღვესასწაულებად იქცა... დღეს ძალიან ადვილია ლაპარაკი აღორძინებული, გამშვენიერებული, გაძლიერებული ეპარქიების საქმიანობის შესახებ, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული თეორიულად არსებული ეპარქიების პრაქტიკულად ამოქმედება... საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია უკვე იწერება... თქვენ სიცოცხლეშივე უკვდავების ბინადარი გახდით... ველავ, საოცრად ველავ და არ ვიცი, როგორ გამოვხატო ის განსაკუთრებული სითბო, სიყვარული და პატივისცემა, რასაც თქვენ იმსახურებთ ქართველი ხალხისაგან, ქართველი მრევლისაგან. საქართველოში საერთოდ ასე იციან: დიდ ადამიანს ძალიან გაუშინაურდებიან ხოლმე. დრო, დისტანცია არის საჭირო, რომ ეს სიდიადე სრულად აღიქვა. განსხვავებული აზრის მოტრფიალე ქართველობა ერთსულოვანია თქვენს შეფასებაში. საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალზე ფიქრში გატარებული უძილო ღამეების, უმრავლესობისათვის დაფარული დიდი ღვაწლის დაფასებაა ერის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი.“

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო სხდომა გაიმართა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. უწმიდესსა და უნეტარესს მიესალმნენ მეცნიერების, ხელოვნების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გაიხსენა ოცი წლის წინა მოვლენები, ის დაძაბული ვითარება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შეიქმნა ახალი პატრიარქის არჩევის წინ. რაოდენ დიდი იყო ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის სურვილი, საპატრიარქო ტახტზე ეხილათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პირველი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, ვინც წმიდა დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოვდებოდა, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II იყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა ქართველ ერს: „ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისგან მისი სულიერი ამაღლებისათვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ, ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოთ მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი... ქართველნო, ერთად — ღვთისაკენ.“[17]

2003 წლის დეკემბერში საქართველომ აღნიშნა თავისი დიდი სულიერი წინამძღოლის აღსაყდრების 25 წლისთავი. „დროის უსასრულო მდინარებაში წუთიც კი არ არის 25, თუნდაც 70 წელი, მაგრამ ამქვეყნიური სათვალავით იგი ცოტა არაა. სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი, ღვთიური ნათლით შთაგონებული აღზევდით თქვენ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე... თქვენი პატრიარქობის პირველი დღეებიდანვე დაიწყო და თითქმის მთლიანად მოწესრიგდა საქართველოს ეკლესიური ცხოვრება. უანგარო ღვაწლი, რომელსაც თქვენი წინამორბედი პატრიარქები ეწეოდნენ მათთვის მძიმე მოღვაწეობის პერიოდში, თქვენ განამრავლეთ. ქართული ეკლესიის ნამდვილი გამოღვიძების მისია თქვენ გხვდათ წილად... წლების მანძილზე უმღვდლებოდ დარჩენილ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ, ან უბრუნდებათ თავიანთი სახე... გელათის, იყალთოს, ტბეთის უძველესი, ოდესღაც ელადის სიმაღლეზე მდგარი, მაგრამ მტრისგან იავარქმნილი აკადემიების ნაფუძარზე კვლავ გაიღვიძა სიცოცხლემ... თქვენი

მუდმივი საზრუნავი იყო და არის, ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ ჩვენს შორის, სუფევდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული. თქვენ ერის ყველა შვილს მოუწოდებთ რწმენისა და სიკეთისაკენ... ღვთისგან განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევით ხელდასხმული ბრძანდებით... იყავით დღეგრძელი. დიდხანს მშვიდობიანად გემართოთ წმიდა საჭე ქართული ეკლესიისა“,179 – ამ სიტყვებით მიულოცა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისა“ მის უწმიდესობას საიუბილეო თარიღი.

2007 წელს შესრულდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 75, ბერად აღკვეციდან 50, მღვდელთმთავრად დადგინების 44 და პატრიარქად აღსაყდრებიდან 30 წელი. ქართველი ხალხი განსაკუთრებულად ემზადებოდა მისი უწმიდესობის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად.

2007 წლის 12 ოქტომბერს დაიწყო მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავისა და მცხეთის ჯვრის მონასტრის 1400 წლის საიუბილეო დღესასწაულის ოფიციალური ნაწილი. საქართველოში სტუმრად ჩამობრძანდნენ: კონსტანტინოპოლისა და ახლისა რომისა მსოფლიო პატრიარქი,ყოველადუწმიდესი ბართოლომეოს I; კვიპროსის ეკლესიის მეთაური, მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II; ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური,მიტროპოლიტი ქრისტეფორე; უკრაინის ეგზარქოსი,მიტროპოლიტი ვლადიმერი; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსი ნიფონი; იერუსალიმის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი თეოფილე, რუსეთის ეკლესიის ორენბურგის მიტროპოლიტი ვალენტინი, სერბეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი ამფილოქი, რუმინეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იოსები, ბულგარეთის ეკლესიის მიტროპოლიტი დომეტიანი, ელადის ეკლესიის მიტროპოლიტი ამბროსი, ალბანეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იგნატიოსი, პოლონეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი სიმონი, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი ირინეოსი. სტუმრებს საზეიმო მიღება მოუწყვეს საპატრიარქო რეზიდენციაში, სადაც სიტყვა წარმოთქვა ყოველადუწმიდესმა ბართოლომეოს I-მა: „დიდია ჩვენი სიხარული, ვინაიდან თქვენთან ერთად ვიმყოფებით, უნეტარესო და უსაყვარლესო ძმაო, თქვენს სტუმართმოყვარე და ისტორიულ ქვეყანაში, საქართველოში, რომელთანაც ჩვენს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მჯიდრო, საუკეთესო სულიერი და, ამასთანავე, კანონიკური ურთიერთობა აკავშირებს თავი მოვიყარეთ დღეს აქ, რათა ერთად აღვნიშნოთ მისი უწმიდესობის აღსაყდრებიდან 30 წლისთავი თქვენ ისეთ მდგომარეობას გაუძელით, რომ ჩვენთვის, ვისაც ის უშუალოდ არ განგეცდია, მისი აღქმაც კი არ ძალგვიძს, მაგრამ, ამავე დროს, თქვენ გადმოგეცათ სამწყსო, მოწყურებული ღვთისა და ღვაებრივ სიყვარულს,და,მიუხედავად იმისა,რომ ხალხს მეტად უჭირდა,თქვენ დიდი გამოცდილება და თავგანწირვის გრძნობა შეგძინათ მოხარულნი ვართ, აღორძინების სულს რომ ეგრძნობთ. ეს არის სული ნუგეშინისმცემელი უფლისა ჩვენისა, რომელიც მსჭვალავს მოციქულთა ოფლით გაჟღენთილ და მოწამეთა სისხლით განბანილ ამ ქვეყანას. ეკლესიის ეს აღორძინება,მისი წინსვლა არ მოხდებოდა,თუკი 1977 წელს საპატრიარქო ტახტზე ესოდენ ღირსეული პიროვნება არ ასულიყო, არ იქნებოდა წინსვლა, თუკი ქვეყანას არ ეყოლებოდა ესოდენ ზნეობრივი, მშრომელი, შორსმჭვრეტელი, სიბრძნითა და მოთმინებით მმართველი პატრიარქი, რომელიც თავის ხალხს მეორე სულიერი დაბადებით მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში და მის ძიებაში დააბრუნებდა“.180

13 ოქტომბერს თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ წარმოგზავნილ მღვდელმთავრებთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან ერთად საზეიმო ლოცვა აღავლინა. უკრაინის დელეგაციამ წაიკითხა უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს, მისალმება და გადაწყვეტილება, მისი უწმიდესობის ილია II-ის უკრაინის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – თავად მიროსლავ ბრძენის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

14 ოქტომბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარი, მისი შემოგარენი ხალხს ვერ იტევდა. ტაძარში მობრძანდნენ: მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I, მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავის მისალოცად მობრძანდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიესალმა სტუმრებს, მადლობა მოახსენა ჩამობრძანებისათვის და აღნიშნა: „ეს 30 წელი, რომელიც საქართველომ განვლო, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს ეკლესია მუდამ გზას უჩვენებდა ქართველ ერს. მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო და იქნება ჩვენი ერისა და ჩვენს სულიერების განმამტკიცებელი, შემაერთებელი, შემდუღებელი. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს ერთობა არ იყოს დარღვეული. ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი გაკეთებულია. მახსენდება სიტყვები წმიდისა მეფისა დავით წინასწარმეტყველისა: „უფალი მეფობს“. როდესაც მეფე დავითს ხალხი აქებდა და ამბობდა, რომ მან გაამთლიანა ისრაელი, მეფემ გააჩუმა ისინი და უთხრა: „უფალი მეფობს“. უფალი მეფობს, უფალი ქმნის, უფალი ამთლიანებს, ხოლო ბოროტი ძალა ანაწევრებს“.[181]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით მის უწმიდესობას მიესალმა მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რომელმაც აღნიშნა: „მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმიდესობამ ამ 30 წლის წინ ჩაიბარა უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით. და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმატებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ ათასწლეულს თქვენი ყოველდღიური საქმითა და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ — ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეტიკისა. ყველა ჩვენგანმა ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა? 30 წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი და თქვენი მორიდებით და კრძალვით ვერავინ იკადრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას“.[182]

15 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ: საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრები, სამღვდელოება, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. უწმიდესსა და უნეტარესს საიუბილეო თარიღები მიულოცეს: მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა იოსებმა, ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელმა, ეპისკოპოსმა ნიფონმა, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქის სახელით უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს პანაღია მიართვა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ბ-მა ჯონ ტეფტმა წაიკითხა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მილოცვის ტექსტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-

სადმი: „თქვენო უწმიდესობავ, ამერიკელი ხალხის სახელით, გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად აღსაყდრების 30 წლისთავს. თქვენი ხელმძღვანელობით ეკლესია გაძლიერდა. ვიცი, რაოდენ გაფასებთ ქართველი ხალხი თქვენ და ყველა თქვენს მიღწევას. გისურვებთ საუკეთესო ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს".[183]

მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა გაკეირვება და აღტაცება ვერ დამალა იმ საერთო ეროვნული ზეიმის მასშტაბებისა და მისი უწმიდესობის მიმართ ქართველი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო და აღნიშნა: „ვხარობთ გამოუთქმელი და კეთილი სიხარულით, რამეთუ ახლოდან დავინახეთ მადლი უფლისა, გარდამოსული მსხმოიარე ვენახსა ზედა საქართველოს ეკლესიისა ვხარობთ უთვალავი დიდებული ტაძრის მშენებლობის ხილვით, პატიოსანი მონასტრებიდან გამომავალი ასკეტური ცხოვრების ძლიერი მაჯისცემით, ვხარობთ ყოველივე იმით, რასაც თვალით ვხედავთ, გონებით ვწვდებით და ყურით ვისმენთ. მთელი გულით გისურვებთ, რომ უფალმა ღმერთმა სამარადისოდ დაგიცვათ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რათა არ დაინთქათ ამქვეყნიური ცხოვრების ბობოქარი და შემმუსერელი ზღვის ტალღებში".184

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო დღეებმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, ქართველი ერის წინაშე. ქართველმა ხალხმა თავისი სულიერი წინამძღოლის მიმართ კიდევ ერთხელ გამოხატა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ღვთისგან დაჯილდოებულია მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით. მისი ხელნაწერები ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშია. გასაოცარია, როგორ მოახერხა მისმა უწმიდესობამ ასეთი დახვეწილი, ლამაზი კალიგრაფიის შენარჩუნება, მით უმეტეს, რომ სტუდენტობისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მოღვაწეობის დროს ძირითადად რუსულ ენაზე უხდებოდა მუშაობა. პატრიარქი გრძნობს უნიკალური ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის სიდიადეს და მას თავისი ხელწერით კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოაჩენს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფერწერით გატაცების შესახებ ძალიან ცოტამ იცოდა. პირველად საზოგადოებამ ამის შესახებ შეიტყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვის დროს, 1978-1979 წლებში. დიდუბის ეკლესიის მოხატვაზე მუშაობდა ცნობილი მხატვარი ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე. მორწმუნენი ხედავდნენ, რომ უწმიდესი და უნეტარესი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ტაძარში. დიდუბის ეკლესიაში, ისტორიული გადმოცემების თანახმად, ჯვარი დაუწერია წმიდა მეფე თამარს. უწმიდესმა და უნეტარესმა დიდუბის ეკლესიის კედელზე თამარ მეფის ხატი შექმნა. წმიდა მეფე თამარის ოთხ ფრესკას, ეკლესიის კედელზე გამოსახულს, მიემატა მეხუთე – უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიერ შესრულებული.

საქართველოს ძველ საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაწერა წმიდა დიდმოწამე გიორგის ხატი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედებაში. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის პორტრეტი იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში ყოფილა, რომელიც, სამწუხაროდ, დროთა ვითარებაში დაიკარგა. უწმიდესმა და უნეტარესმა შექმნა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ხატი, რომელიც ხელოვნების, ხატწერის ბრწყინვალე ნიმუშია. ახოვან მეფეს ერთ ხელში დროშა უჭირავს, მეორეში – ეტრატი. უყურებ ამ შთამბეჭდავ პორტრეტს და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი დიდი მეფის შეუდრეკელი ხასიათი და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადება. უწმიდესისა და უნეტარესის მიერ არის შესრულებული წმიდა სამების

ხატი, რომელზეც ამოტვიფრულია პატრიარქის მიერ შექმნილი ლოცვა: „სამებაო დაუსაბამოო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, დიდება შენდა! ყოველადწმიდაო სამებაო, შემოქმედო ცათა და ქვეყნისაო, სიმართლითა და მოწყალებითა განმგებელო ყოველთა დაბადებულთაო, მადლობა შენდა! შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ და მარადის თაყვანს გცემთ შენ, სამწმიდაო, ერთარსებაო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, უფალო უფლებათაო, ღმერთო ძალთაო, და გეუედრებით შენ, სიყვარულო და სასოებაო ჩვენო, გარდამოიხილე ზეცით და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას, და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან, ამინ“.[88]

საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. დედა ღვთისა მფარველობს და იცავს ჩვენს სალხს. ღვთისმშობლის სახელობის მრავალი ეკლესია-მონასტერია საქართველოში, ჩვენმა წინაპრებმა ღვთისმშობლის არაერთი ხატი შექმნეს. „შენ ხარ ვენახიც“ ხომ ღვთისმშობლის სადიდებელი ჰიმნია. უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედებაში ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი გამორჩეულია. პატრიარქმა საგანგებოდ შექმნა ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა: „დედაო ღვთისაჲ, გარდამოიხილე ჩვენზე და გვაცხოვნე ჩვენ! ყოველადწმიდაო ღვთისმშობელო, პატრონო იერიისაო, ბრწყინვალეჲ ვარსკვლავო ცისკრისაო, მზეო ქვეყნისაო, აღმატებულო ანგელოზთაო, შემწეო ყოველთა დავრდომილთა და შეჭირვებულთაო, მამისგან უფლის დედად გამორჩეულო და მფარველო ორთავე სოფლისაო, მოწყალე თვალით გარდამოიხილე შენს წილხვედრ ქვეყანას – საქართველოს და ურიცხვთა ცოდვათა ჩვენთა შენდობაი შესთხოვე ყოველადწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. წყალობითა შენითა კვალად აღგვადგინე, მშიერნი დააპურე, შიშველნი შემოსე, საპყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიმართლის გზაზე დააყენე, უძლურნი განკურნენ, მტირალთ ნუგეშიეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილდღეობით გაახარე.

დედაო მოწყალეო, მოგვეც სიმტკიცე ჭეშმარიტი რწმენისა, სასოება, შიში ღვთისა და შეუორგულებელი სიყვარული ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა; მოგვმადლე გული წმიდა და სული წრფელი, გონება მახვილი და ღრმა, სხეული ჯანსაღი და უვნებელი; განამტკიცე ოჯახები ქართველთა და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა, აღავსე ბედნიერნი ჩვენნი პურითა და ვენახები ჩვენნი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პირუტყვთა.

ღვთისმშობელო დედაო, შეცთომილნი ძენი და ასულნი იერიისანი ჭეშმარიტების გზაზე დააყენე, უცხოეთში მყოფნი ქართველნი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, მტრადმოსულნი უცხო ტომნი ჩვენს უვნებლად თეისავ ქვეყანასა შინა განაწესე, ხოლო ჩვენ, მკვიდრთა საქართველოისათა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევეწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვიხაროდეთ.

დედაო მარიამ, ერი ქართველთა, მთაერობა და ეკლესია ჩვენი სულიერად შეკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისად დაადგინე; ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უხილავ მტერთაგან კეთილსურნელ იათა მახვილითავე მარად დაიცევ. მერმეცა გეუედრები, რათა შეუწიო მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი შენის მეოხებით სავანესა მართალსა დააწესე. განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელო დედაო, დიდებასა და მადლობას გწირავთ შენ, მეოხო ჩვენო, შენს ფერხთა ქვეშ განვაფენთ გულთა ჩვენთა და კანდელად აღგინთებთ ლოცვასა ჩვენსა, ზეცისა სასუფევლიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანდაზსა დაგიფენთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელისა ქვეყნის ყვავილებით განვამშვენებთ მას. მუხლმოდრეკით შეგთხოვთ, არ განგვშორდე არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, მამასა, ძესა და წმიდასა სულსა

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.“[186]

თეითონ უნდა იყო დიდი თეოლოგი, რომ სრულად შეაფასო უწმიდესისა და უნეტარესის მიერ შექმნილი ლოცვები– დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ერთხელ აღმოხდა – ჰომეროსის ენა უნდა გქონდეს, რომ ამ დიდი მეფის „დიდნი საქმენი“ სრულყოფილად აღწეროო. ალბათ მსგავსი განცდა დაეუფლება ნებისმიერ ადამიანს, ვინც მოინდომებს სრულად წარმოაჩინოს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრება და მოღვაწეობა.

უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დიდი სიყვარულითაა დაწერილი წმიდა მეფეების – დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონის – ხატები. მისი უწმიდესობის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სახელოვან წინაპრებს. შიოლა ღუდუშაურს მიუძღვნა მან როგორც სკულპტურული ნამუშევარი, ასევე ფერწერული ტილოც. უწმიდესისა და უნეტარესის მშობლების – ნატალია კობაიძისა და გიორგი შიოლაშვილის – პორტრეტებიდან შემოგვცქერიან ღრმად მორწმუნე, ქრისტიანი ადამიანები.

XX საუკუნეში არაერთი გამოჩენილი მხატვარი მოღვაწეობდა საქართველოში,მაგრამ კანონიკური ხატწერის დიდი ტრადიცია თითქმის დავიწყებული იყო. უწმიდესი და უნეტარესი ილია II XX საუკუნეში ქართული კანონიკური ხატწერის ფუძემდებელია. მის უწმიდესობას სურდა, რომ საქართველოში კვლავ აღორძინებულიყო ტიხრული მინანქრის, ჭედური ხელოვნების ისტორიული ტრადიცია. ერთი შეხედვით, ეს განუხორციელებელ კეთილ სურვილად ჩანდა,მაგრამ,თუ დღეს ამ მხრივ წარმატებები გვაქვს, ეს მისი უწმიდესობის დამსახურებაა. ფოკის დედათა მონასტრის ტიხრული მინანქრის სკოლით, დედათა მიერ შესრულებული ნამუშევრებით ნებისმიერი ერი იამაყებს.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ XIX-XX საუკუნეებში ურთულესი პერიოდები გაიარა. ავტოკეფალიის გაუქმებისა და ეგზარქოსობის ხანაში ქართული წირვა-ლოცვა, გალობა რუსულმა შეცვალა. ერთეული ადამიანების თავგანწირვის წყალობით გადარჩა ქართული საგალობლების ნოტები, მაგრამ მუსიკათმცოდნეები მათ,როგორც ისტორიულს,ისე აღიქვამდნენ და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს უნიკალური ქართული საგალობლები კვლავ გამოეყენებინა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქად აღსაყდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ქართულ საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვას. ამ საქმეში მას დაეხმარა დიდი მუსიკალური ნიჭი და გატაცება. მისი უწმიდესობა აღნიშნავს: „მუსიკა ბავშვობიდანვე მიყვარდა, როგორც ამბობდნენ, საუკეთესო სმენა მქონდა. რა თქმა უნდა, ყველაზე საამო ჩემთვის ქართული საგალობლების მოსმენაა. ამასთანავე, საათობით შემიძლია ვიჯდე და ვუსმინო კლასიკურ მუსიკას. გამორჩეულად მიყვარს მოცარტი,ფალიაშვილი. ღმერთმა ყველა ერს მისცა სიყვარულის მადლი, მათ შორის – ჩვენც, ქართველებს, რომელიც,პირველ რიგში,ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობაში ჩანს. ქართული გალობა არის სიყვარული უფლისადმი, ხოლო ქართული სიმღერა – სიყვარული მოყვასისადმი, მუსიკაში აღმერებული და გადმოცემული“.[187]

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ძველი ქართული საგალობლების შესრულება დაიწყო ჯერ სიონის,შემდეგ – ანჩისხატის ტაძრებში. ამჟამად საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში აღდგა ძველი ქართული საგალობლების თანხლებით წირვა-ლოცვა. უწმიდესსა და უნეტარეს ეკუთვნის ბრწყინვალე საგალობლები: „გიხაროდენ, ფრიად მშვენიერო“, „მოდი ჩემთან, უფალო“, „უფალო იესო ქრისტე“, „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“, „დიპტიქი“, „მიცვალებულთა კვერექსი“, „ჩემი ვედრება“.

2007 წლის 4 მარტს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს მაცხოვრის საკათედრო ტაძარში სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა შეასრულა „კირიეელეისონ“. რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი II-მ სთხოვა მის უწმიდესობას,იქნებ ამ უძველესი და ულამაზესი საგალობლის ნოტები გვიშოვოთო. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც შეიტყო, რომ ამ

საგალობლის ავტორი უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ა.

ქართული მრავალხმიანი საგალობლების დაცვასა და განვითარებას ემსახურება მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით სამების საკათედრო ტაძართან შექმნილი ქართული საგალობლების უმაღლესი სკოლა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ღრმად დაეუფლონ ქართულ გალობას.

უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედების შესწავლა მომავალში სპეციალისტების საქმეა, მაგრამ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ აღვნიშნოთ მისი საოცრად ჰარმონიული დამოკიდებულება ბუნებასთან. პატრიარქს უყვარს ბუნების შვილები – ცხოველები, ფრინველები... განსაკუთრებით გატაცებულია მცენარეებით. იგი ყველას არიგებს, რომ უნდა შეეძლოთ ბუნების სილამაზის აღქმა და მისით ტკბობა. მის უწმიდესობას უყვარს ბუნებაში განმარტოება, რადგან ღრმად სწამს, რომ „ზოგჯერ განმარტოებითაც უნდა დავტკბეთ, რათა ყურადღება შინაგან ცხოვრებაზე გადავიტანოთ და უმაღლესი რეალობის არსებობა ვიგრძნოთ. სწორედ საკუთარ თავთან განმარტოებისასაა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ღმერთთან, სწორედ ამგვარი მარტოობისას იბადება დიდი იდეები".[188]

პატრიარქის სახით საქმე გვაქვს უნივერსალურ პიროვნებასთან, რომელიც ჩვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, მისი საოცარი უბრალოებისა და მოკრძალების გამო ჩვენნაირი გვგონია. ალბათ ესეც არ არის შემთხვევითი, რადგან უბრალოებაში არის სიდიადე.

***

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი ცნობიერება იყო ის ძალა, რომელიც განსაზღვრავდა ჩვენს მეობას, სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულს. „სამშობლო – ესაა ენა ქართული, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმიდა მოწამისა, მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა; ესაა ჩვენი უთვალავი ტაძარი და მონასტერი, ჩვენი სიწმიდენი, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, ესაა ჩვენი ხასიათი და აზროვნების წესი, ესაა ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისადმი გრძნობა ისევე ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისადმი",[189] – ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მაგრამ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობისათვის უცხოა საქართველოს წარსულისადმი ადეოკატურ-გამოსარჩლებითი მიდგომა, ვინაიდან კარგად იცის, რომ, თუ ერი მარტო წარსულით ცხოვრობს, მას აწმყო და მომავალი არ აქვს; ამიტომ იგი აფრთხილებს თავის სამწყსოს: „საერთოდ, ძველ კულტურულ ქვეყნებს, ერებსა და ხალხებს წარსულით სიამაყე ახასიათებთ. გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, თუ რა გააკეთეს ჩვენმა წინაპრებმა და ეს გვახარებს. რა თქმა უნდა, ეს სიამაყე სამართლიანია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რას ვაკეთებთ, ან ჩვენი მომავალი თაობა რას გააკეთებს."[190]

როგორც XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძეს აინტერესებდა, რა იყო ის ძალა, რამაც ურიცხვი მტრებით გარშემორტყმულ ერთ მუჭა ქართველობას შეაძლებინა მოეღწია XIX საუკუნემდე, მაშინ, როდესაც დიდი ქვეყნები – ურარტუ, ასურეთი, ბაბილონი, ეგვიპტე და სხვა იმპერიები – გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ც დაახლოებით ამგვარად სვამს კითხვას და თვითონვე არგუმენტირებულად პასუხობს: „ჩვენ ხშირად გვსვამთ საკუთარ თავს კითხვას, როგორ შეძლო ქართველმა ერმა, რომელსაც გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა თავის დასაცავად, ამგვარი დიდებული კულტურა შეექმნა? როდის მოიცალა ჯვრისა და სვეტიცხოველის, სიონისა და გელათის აშენებისათვის? როდის მონახა დრო, შეექმნა ისეთი ხატები, როგორიცაა ხახულის ღვთისმშობელი, ან ისეთი მხატვრობა, როგორიც ატენის, ყინწვისის თუ უბისის ტაძრებს ამშვენებს? როდის შექმნა ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა? ყველაფერი

ეს იყო ღვთის წყალობისა და ქართველი კაცის შემოქმედებითი გენიის შედეგი."[191]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული მოკრძალებითა და მოწიწებით მოიხსენიებს წმიდა მეფე მირიანის, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებელის, წმიდა თამარის ღვაწლს. დავით აღმაშენებელს ქრისტეს მხედარს უწოდებს, რომელმაც „თავისი ცხოერებით, თავისი მოღვაწეობით სრულყოფის კიბის მაღალ საფეხურს მიაღწია. მან იცოდა, რომ ადამიანი გულსავსე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ მისი გული გახდება ტაძარი ღვთისა, ტაძარი სულისა წმიდისა, რაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ პიროვნება იგრძნობს, რომ მიუახლოვდა ღმერთს".[192]

უწმიდესსა და უნეტარესს დავით აღმაშენებლის სახელი მარტო წარსულის გახსენებისათვის კი არ სჭირდება, არამედ – აწმყოსა და მომავლისათვის. პატრიარქი თვლის, რომ „ყოველი ერი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთი გარკვეული იდეის განხორციელებას ემსახურება... ქართული იდეა ისტორიის მანძილზე და მომავალშიც სიყვარულის სამსახურია... სწორედ სიყვარულის სამსახურმა გადაარჩინა ჩვენი ერი და ქეყანა... მივმართავ ჩვენს ხელისუფლებას, მთავრობას, პარლამენტს, ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, რაც უნდა განსხვავებული აზრისა და შეხედულებებისა იყოთ, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულის გამო, ამოუდექით ერთმანეთს მხარში".[193]

საქართველომ 1977 წლიდან დღემდე მრავალი განსაცდელი გადაიტანა. 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად პირველი არასანქცირებული დემონსტრაცია გაიმართა რუსთაველის გამზირზე. 1980-იანი წლებიდან რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა. დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუ მანამდე საზოგადოება პოლიტიკური საკითხების მიმართ ინდიფერენტული იყო, ახლა უკვე პოლიტიზებული გახდა. ეროვნული და პოლიტიკური ლოზუნგები ერთმანეთს ენაცვლებოდა, მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ლამაზი ფერებით იყო დახატული საქართველოს მომავალი, მაგრამ რეალური ცხოვრება უფრო მკაცრი და მძიმე აღმოჩნდა. 9 აპრილი, სამოქალაქო დაპირისპირება, ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა – ყოველივე ამან საზოგადოებაში ეროვნული შესაძლებლობებისადმი ერთგვარი ნიჰილიზმი და მომავლისადმი პესიმისტური განწყობილება გამოიწვია.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქართველ ერს მოთმინებისა და განელილი ცხოერების გონების თვალით შეფასებისაკენ მოუწოდებს. „ყველა გონიერ ადამიანს აღელვებს და აინტერესებს არა მარტო საკუთარი ბედ-იღბალი, არამედ თავისი ხალხის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს აწმყო და მომავალი,– აღნიშნავს მისი უწმიდესობა,– როდესაც უყურებ მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ გულგატეხილობა გეუფლება, გეჩვენება, თითქოს კაცობრიობა სადღაც უძირო უფსკრულისაკენ მიექანება და აღარ არსებობს ძალა, რომელიც მოახლოებულ ტრაგედიას შეაჩერებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის არის შესაძლებელი. ოღონდ მთავარია, სწორ გზაზე ვიდგეთ და სწორად ვიცხოვროთ."[194]

უწმიდესი და უნეტარესი ამხნევებს თავის სამწყსოს და აცხადებს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი და შესწევს უნარი, დააღწიოს თავი სიბნელის წყვდიადს და აღადგინოს გაწყვეტილი კავშირი ღმერთთან.

როდესაც ეცნობი პატრიარქის მოსაზრებებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ხვდები, რომ მისი აზროვნება დროს ყოველთვის უსწრებს, იგი კარგად იცნობს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს. უწმიდესის მართებული შეფასებით, „სამწუხაროდ, მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის ინდივიდუალური სახის დაკარგვა, უფასურდება სიცოცხლე, იქმნება ისეთი მექანიზმები, რომლებიც თითქოს აღარ ემორჩილება ადამიანის კონტროლს და, ფაქტობრივად, მისთვის მტრულ

ძალად შეიძლება იქცეს. ყოველივე ამის პარალელურად კაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად სისტემას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანები, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ".[195]

უწმიდესი და უნეტარესი გულისტკივილს გამოთქვამს თანამედროვე ყოფის რეალობაზე – ღირსება დაიკარგაგული გაქვავდა,სიცოცხლე გაუფასურდა. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ეძიებს თავის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. პატრიარქი გვაფრთხილებს,რომ წარსულისა და აწმყოს გათვალისწინებით საქართველომ მომავალზე სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს. „საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და, ბუნებრივია, განიცდის მის გავლენას; მაგრამ ჩვენი ღირსება სწორედ ის იქნება, თუ ჭეშმარიტ რწმენასა და ეროვნულ ღირებულებებს შევინარჩუნებთ, სხვათა გამოცდილებას გავითვალისწინებთ და ამ ყოველივეს დროის მოთხოვნილებებს შევუსაბამებთ."[196]

უწმიდესი და უნეტარესი მოგვიწოდებს – ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი არ შეიძლება იქ, სადაც ზნეობრივ ცხოვრებაზე უარს ამბობენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში ფიქრობდა,რა უნდა მოემოქმედა,რომ ქართველი ხალხი ღირსეულად შეხვედროდა ქრისტეშობის 2000 წლისთავს. იგი ხვდებოდა მეცნიერებს, კულტურის წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, აინტერესებდა, რას შესთავაზებდნენ ისინი. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მისმა უწმიდესობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აშენების შესახებ. დაიწყო ადგილის ძებნა. გამოითქვა მოსაზრება, ტაძარი ვაკეში, ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიაზე, აშენებულიყო, მაგრამ მისმა უწმიდესობამ დაარწმუნა ყველა, რომ საკათედრო ტაძრის აშენება ავლაბარში, წმიდა ელიას მთაზე ყველაზე სწორი იქნებოდა.

1988 წლის 5 თებერვალს შეიქმნა საკონკურსო კომისია მისი უწმიდესობის ილია II-ის თავმჯდომარეობით, ხოლო კონკურსი მომავალი ტაძრის პროექტზე გამოცხადდა 1989 წელს. საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია საკონკურსოდ წარმოდგენილმა პროექტებმა. როგორც მისი უწმიდესობა აღნიშნავდა, კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები იყო გამოხატულება ჩვენი საზოგადოების მრწამსის, აზროვნებისა და კულტურისა. კონკურსზე გამარჯვებულად გამოაცხადეს არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის მიერ შესრულებული პროექტი. 1997 წლის 9 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს მოსახლეობას მიმართა: „ქრისტეს მიერ საყვარელო ჩვენო სულიერო შვილებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, თბილისში, მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, შენდება წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, რომელიც აღიმართება სადიდებლად ღვთისა და ჩვენი ერის სულიერი გაძლიერებისა და განმთლიანებისათვის. ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სრულიად საქართველომ, ყოველმა ქართველმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა".[197]

უწმიდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ერთობლივი გადაწყვეტილებით, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი ირაკლი ანდრიაძე. განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ათასობით მორწმუნის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის, წმიდა სინოდის, სამღვდელოების, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, მეცნიერების,კულტურის მოღვაწეების თანდასწრებით,საზეიმოდ აკურთხეს ის ადგილი, სადაც ტაძრის საძირკველი უნდა გაეჭრათ. კურთხევის შემდეგ გაიჭრა საძირკვლის ადგილი, სადაც უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ჩააწყვეს შემდეგი სიწმიდენი: „ქვა სინას მთიდან, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს გადასცა ათი

მცნება; ქვა იორდანედან, სადაც ნათელ იღო უფალმა; ქვა ნაზარეთიდან, სადაც ეხარა დედა ღვთისმშობელს მაცხოვრის შობა; ქვა იერუსალიმიდან, სადაც დაკრძალული იყო ღვთისმშობელი; მიწა იერუსალიმის ჯვერის ქართველთა მონასტრიდან, აჭარიდან, გონიოდან, საიდანაც შემოვიდა მოციქული ანდრია; ქვა ფარავნის ტბიდან, საიდანაც შემობრძანდა წმიდა ნინო; სიწმიდეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ეკლესია-მონასტრებიდან"198 როგორც მისმა უწმიდესობამ განაცხადა: „წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. ტაძარი საქართველოში მუდამ იყო ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გამომხატველი. იგი უმსუბუქებდა მძიმე ჯვრის მტვირთველობას ქართველ ერს და განამტკიცებდა მასში მომავლის რწმენას."[199]

საქართველოში იმ დროისთვის არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ამ გრანდიოზული მასშტაბის ტაძრის აშენებისათვის შეუფერებელი დრო იყო და ვერც მოხერხდებოდა მისი აშენება. ასეთი აზრები არა მარტო ეკლესიის არაკეთილმოსურნეებს ჰქონდათ, არამედ — გულწრფელ პატივისმცემლებსაც. როგორც მსახიობი გოგი ხარაბაძე იხსენებს, როდესაც ვეებერთელა ღრმული დაეინახე, ვიფიქრე, ამის აშენებას მე ვერ მოვესწრები-მეთქი, მაგრამ მისი უწმიდესობა ყველას აოცებდა თავისი ოპტმიზმით და ეს ოპტიმიზმი ხალხზეც გადადიოდა. იგი ყველას გასაგონად ამბობდა: „კაცობრიობა იმყოფება მსოფლიოში ისტორიის მეორე და მესამე ათასწლეულთა მიჯნაზე და ამიტომაც ქრისტეშობის 2000 წლისთავის, საქართველოს ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობისა და სამიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავად არ მოიძებნება უფრო დიდი და ყოელისმომცველი სულიერი და კულტურული მოელენა, ვიდრე ეპოქალური ტაძრის აგებაა".[200]

ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილი შეჰქონდა მთელ საქართველოს. ყველა ადამიანი ცდილობდა,გულით შეეწირა თუნდაც მცირედი თანხა. ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე აიღო ტაძრის მშენებლობის ძირითადი დაფინანსება. უწმიდესი და უნეტარესი თავის სამუშაო დღეს სამების მშენებარე ტაძრის მონახულებით იწყებდა, ხვდებოდა მუშებს, მშენებლებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა ეზოს კეთილმოწყობა და სულ რაღაც 8 წელიწადში წმიდა ელიას მთაზე წამოიმართა გრანდიოზული კომპლექსი, რომელიც თბილისის ყველა კუთხიდან მკაფიოდ ჩანს.

2004 წლის 23 ნოემბერს,გიორგობის დღესასწაულზე,მოხდა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საზეიმო კურთხევა. ათასობით მორწმუნე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი, სამღდელოება საგანგებოდ შეიკრიბა წმიდა სამების საკათედრო ტაძარში. დაიგუგუნა წმიდა სამების ზარებმა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ტაძარში შებრძანდა. თითქოს მღელვარებამ მოიცვა იგი, მაგრამ მაინც მტკიცე ნაბიჯით გაემართა საკურთხევლისაკენ. პატრიარქი საზეიმო წირვისათვის შეიმოსა, თავზე ის გვირგვინი დაიდგა, რომელიც თავის დროზე ეხურათ უწმიდესსა და უნეტარეს კირიონს, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკს, ეფრემსა და დავითს. პატრიარქის ეს ოქროს გვირგვინი (მიტრა) ხომ მოწმე იყო XVII-XX საუკუნეების საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყველა წარმატებისა და წარუმატებლობისა.

უწმიდესმა და უნეტარესმა საზეიმო წირვის შემდეგ საზოგადოებას მიმართა: „თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ყოველადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ძმანო და დანო. წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი". ჩვენ ვართ მომსწრენი ღვთის ერთი საოცრებისა: შეჯირვების ჟამს ქართველმა ხალხმა შეძლო აღეშენებინა დიდებული ტაძარი ესე წმიდისა სამებისა, სადიდებლად ღვთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა; მაგრამ, მოწყალე ღმერთო, ჩვენ ვიყავით ოდენ მდაბალნი მუშაკნი შენნი. ეს შენ მოგვეც გულისხმისყოფა და ძალა, რათა შენს სადიდებლად და ჩვენდა ნუგეშად მოგვერთმია ეს შესაწირი. აქ დაიღვრება მრავალი ცრემლი სინანულისა

და განელდებიან გულნი ჩვენნი ცოდვათაგან მომყმარნი, განიწმიდება სული ჩვენი და აღდგება საქართველოც მკვდრეთით, ვითარცა ლაზარე. ივერიელნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა, ისმინეთ სიტყვანი უფლისანი: „ჰა, ესერა მომიცემია წინაშე კარი განღებული, რომლისა დახშად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამ. 3,8). მაშ, შევიდეთ კარითა ამით, რათა ღირს ვიქნეთ სასუფეველისა. სცანით წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

წმიდანო მეფენო, დედოფალნო, მამამთავარნო და კათოლიკოს-პატრიარქნო საქართველოისანო, მღვდელმთავარნო, მოწამენო, ღირსნო მამანო და დედანო, იხარეთ სავანეთსა მართალთასა და თქვენი ლოცვით მეოხგვეყავით წინაშე ღვთისა, რათა განმტკიცდეს ჩვენში მართლმადიდებლური სარწმუნოება, სიყვარული და სასოება, რათა უფალმა მოგვანიჭოს მშვიდობა, ერთობა, სულთა ჩვენთა ცხოვნება და დიდი წყალობა.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მაცხოვრის შობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი და ჩვენი ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული ისტორიის სიმბოლურად გამომხატველი წმიდა ტაძრის კუთხევა შედგა საქართველოს განსაკუთრებული მფარველის – წმიდა გიორგის ხსენების დღეს, შედგა იმ წელს, როცა შესრულდა 1700 წელი მისი წამებიდან. შევთხოვთ ღმერთს, ყოველადწმიდა ღვთისმშობელს, დიდმოწამე გიორგის, დალოცონ ყოველი ადამიანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ამ წმიდა ტაძრის მშენებლობაში. წმიდა სამებამ დალოცოს, გააძლიეროს ისინი და მათი ოჯახები. ღვთივკურთხეულნო ივერნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოისანო, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, ღმერთს ებარებოდეთ. იხარეთ ორსაეე სოფელსა შინა“.[201]

წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, უწმიდესის სიტყვით, „სიმბოლურად არის გამაერთიანებელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხისა. მთავარი ის არის, რომ ქართველმა ერმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი და ყველას უჩვენა, თუ შინაგანად როგორი ძლიერი ყოფილა. ეს დაფარული იყო ჩვენში და გამოვლინდა... ამ ტაძარმა ჩვენს ხალხს თავისი თავის რწმენა და იმედი შესძინა“.[202]

მსოფლიოს ქრისტიანულ ქვეყნებში ქრისტეშობის 2000 წლისთავთან დაკავშირებით არაერთი ტაძარი აშენდა, მაგრამ წმიდა სამება მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. მის მნახველ უცხოელებს პირველად ასეთი კითხვა უჩნდებათ – საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობის პირობებში როგორ შეძლო ქართველმა ხალხმა, მისმა სულიერმა წინამძღოლმა ისეთი ტაძრის აშენება, რომელიც ეყრდნობა მრავალსაუკუნოვან ქართულ ტრადიციებს და მასშტაბებით ნამდვილად გრანდიოზულია.

როდესაც ტაძარი მოილოცა მსოფლიო პატრიარქმა, უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა, განაცხადა, რომ ეს ტაძარი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის გვირგვინია.

ამჟამად უწმიდესისა და უნეტარესის ყოველდღიური მზრუნველობითა და ყურადღებით მიმდინარეობს ტაძრის მოწესრიგების შიდა სამუშაოები. ტაძრის საკურთხეველში, სადაც პატრიარქის ტახტი უნდა იყოს, წმიდა სამების ტახტია, პატრიარქის სავარძელი უფრო დაბლაა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II განმარტავს, „ასეთი ტახტი მხოლოდ სინას მთაზე დგას. იქ მაღალდასაჯდომელი საკურთხეველში აღმოსავლეთის მხარეს არის და მასზე არავინ ჯდება, არც ერთი პატრიარქი... ასეთი ტრადიცია, სინას მთის გარდა, არსად არ არის. ასე რომ, სინას მთის ტრადიცია დამკვიდრდება წმიდა სამების დიდ ტაძარში“.[203]

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის მოხატვა...

წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ჩვენი დროის ქართველების სავიზიტო ბარათი იქნება მომავალი თაობებისათვის. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „ძალიან ხშირად მეკითხებიან, რა იყო მნიშვნელოვანი ჩემი პატრიარქობის პერიოდში ჩემი პატრიარქობის დრო იყო მზიანი ღამე. მზიანი ღამე ისეე გრძელდება და მალე გათენდება“.[204]

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთ-ერთ

საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: „სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლმოსილ პიროვნებათა წყალობით, შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს, აღამაღლებს მას. ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია. არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“.[285]

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ის პიროვნება, რომელიც სასულიერო პირად ყოფნის 60 და პატრიარქობის 40 წლის მანძილზე, საქართველოს ისტორიის უმძიმეს და ურთულეს პერიოდში, ჭეშმარიტებისაკენ მიუძღვით ჩვენს ერს. თქვენში აისახება ყველა ის განსაცდელი და წარმატება, რომელიც გადაიტანა ჩვენმა მრავალჭირნახულმა ხალხმა. ჩვენ დიდი წყალობა მოგვანიჭა უფალმა ღმერთმა, მოგვცა შესაძლებლობა, თქვენი დიდი სიწმიდისა და სიყვარულის ფრთებქვეშ შეხიზნულებმა გადავიტანოთ ეპოქის ყველა სირთულე და იმედით ვიყოთ განწყობილი მომავლისადმი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 32-ე, 33-ე, 34-ე, წლები საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სრულიად საქართველოში. განსაკუთრებით საინტერესო იყო პატრიარქის აღსაყდრების 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტსა და საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. 2012 წლის 25 დეკემბერს სამების საკათედრო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები. წირვის დასასრულს ბოლნელი ეპისკოპოსი ეფრემი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით მიესალმა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს და უსურვა მრავალჟამიერი სიცოცხლე. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა: „მადლობა უფალს, იმ დღეებისათვის, იმ განელილი წლებისათვის, რომელიც მე განვლე საქართველოს ეკლესიაში. ეს იყო 35 წელი, წლები განსაცდელისა, სიხარულისა და მწუხარებისა. ძალიან ხშირად მე მეკითხებიან, როგორ შეიძლება დავახასიათო ეს 35 წელი. მე მას ვუწოდე „მზიანი ღამე“, მაგრამ უფლის მადლი მაინც გვინათებდა. ხშირად მეკითხებიან – ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო? ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ლოცვა, ვედრება, ხალხის ერთსულოვნება. ჩვენ ვაშენებდით და ვაშენებთ ტაძრებს, მონასტრებს. ეს არ არის მთავარი, მთავარი არის ის, რომ ჩვენ ავაშენეთ კიბე მიწიდან ზეცისაკენ და ქართველი ხალხი ადის ამ კიბით. მინდა გავიხსენო ჩემი სიტყვა 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოველში თქმული: „მე თავს ვხრი უფლისა და ჩემი ერის წინაშე“; პატრიარქობის 35 წლის მანძილზე მჭონია შეცდომებიც, მაგრამ ღვთისა და თქვენი სიყვარული მფარველობდა მე. ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ გავაგრძელოთ ჩვენი გზა სასუფევლისაკენ“.

2012 წლის 25 დეკემბრიდან 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით სრულიად საქართველომ დიდი პატივისცემით აღნიშნა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადების 80 და პატრიარქად აღსაყდრების 35 წლისთავი. სამთავრობო კომისიას ხელმძღვანელობდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. უწმიდესსა და უნეტარესთან საიუბილეო თარიღების მისალოცად თბილისში ჩამობრძანდნენ ყოველადუწმიდესი მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I, ალექსანდრიის საპატრიარქოდან აქსუმის მთავარეპისკოპოსი პეტრე (ჯაკუმედოსი), ანტიოქიის საპატრიარქოდან არქადის მიტროპოლიტი ბასილიოსი, მოსკოვის საპატრიარქოდან მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე მიტროპოლიტი ილარიონი, სერბეთის საპატრიარქოდან უწმიდესი ირინეოსი – სერბეთის ეკლესიის მეთაური, საბერძნეთის ეკლესიიდან – მარათონის ეპისკოპოსი მელიტონი,

ბულგარეთის ეკლესიიდან – პატრიარქის მოსაყდრე ვარნის მიტროპოლიტი კირილე, კვიპროსის ეკლესიიდან მიტროპოლიტი გრიგორიოსი, ალბანეთის ეკლესიიდან მიტროპოლიტი დიმიტრიოსი, პოლონეთის ეკლესიიდან – ეპისკოპოსი პაისი, ჩეხეთის ეკლესიიდან – ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაური უნეტარესი ქრისტეფორე, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი მიხეილ შვიდკოი. 11 იანვარს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრებთან ერთად დაესწრო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას. საზეიმო ღონისძიების დასკვნითი დღე 13 იანვარს წმიდა სამების საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგიით დაიწყო. წირვის დასრულების შემდეგ მის უწმიდესობას სიტყვით მიმართა ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოსმა: „თქვენო უწმიდესობავ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო, მეუფე ილია, მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელნო, მაღალყოვლადუსამღვდელოესო და ყოვლადუსამღვდელოესო მეუფენო, ხელისუფლების წარმომადგენელნო, მამანო, ძმანო და დანო, სულიერო შვილებო! დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა დღეს აღვლენილი საღმრთო ლიტურგიისთვის და ზიარებისთვის პატიოსანთა სისხლთა და ხორცთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ყოვლადწმიდა სამების ამ ტაძარში! „ეს არის მადლი, სულის მაცხოვნებელი, რომელიც დაგეიცავს ღვთის სამართლიან სამსჯავროზე“ – ამბობდა წმიდა მამა თეოდორე სტუდიელი. ყოველ წირვაზე ემონაწილეობთ წმიდა ზიარების საიდუმლოში; იგი გვაერთებს ჩვენს ჯვარცმულ და აღდგომილ უფალთან იესო ქრისტესთან, რომელიც განკაცდა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ჩვენისა ცხონებისათვის! ძმანო და სულიერო შვილნო, აქ ჩამოსვლისას არავითარი სხვა მიზანი არ გვამოძრავებდა, გარდა ერთი სურვილისა, რომ დღეს თქვენთან ერთად ვყოფილიყავით და გაგვეზიარებინა საქართველოს ეკლესიის სიხარული, რომ გაგვეზიარებინა პირადად თქვენი სულიერი ზეიმი, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საყვარელო ქრისტესმიერო ძმაო, საქართველოს პატრიარქო, მეუფე ილია! გვსურდა, თქვენთან ერთად გვეზეიმა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრების 35 წლისთავი, რომელსაც თქვენი დაბადების 80 წლისთავიც დაემთხვა. ეს სიხარული ასევე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სიხარული და დღესასწაულიცაა, რადგან „თუ ევნებიან ერთსა ასოსა, მის თანა ელშინ ყოველთა ასოთა და თუ იდიდებინ ერთი ასოი, მის თანა იხარებდენ ყოველნი ასონი!“ ჩამოვედით, რათა თქვენთან ერთად პატივი მივაგოთ საქართველოსთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ქართველი სამღვდელოებისა და ერისთვის ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ მოვლენას და დღეს, ყველანი ერთად – სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, უბრალო მორწმუნე ერი, ვუფასებთ მეუფე ილიას იმ დიდ ღვაწლს, რომელიც თავისი მართალი გონებითა და მართალი სიტყვის ძალით მოიმუშაკა. ამ ძალას იგი იღებს ჩვენი სათნომყოფელი ღვთისგან, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან, თავისი პატიოსანი მსახურებით ღვთისა და ერის წინაშე. პატრიარქი ილია იღწვის მსგავსად იმ წმიდანებისა, რომლებიც ძნელ და ავბედით წლებში თავისი თავდადებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მისაბაძ მაგალითად იქცნენ, რადგან ქრისტეს ერთგულები დარჩნენ და შეიქნენ ჭეშმარიტი აღმსარებელნი მართლისა სარწმუნოებისა, რომლებიც დღენიადაგ თავს განსაცდელში იგდებდნენ და მთელ თავის ძალისხმევასა და სიცოცხლეს უფასოს სწირავდნენ. უწმიდესო და უნეტარესო მეუფე, თქვენ, ვინც მოთმინებასა და გონიერებას უფლისაგან იღებთ, შეძელით ნათლად დაგენახათ რწმენას მოწყვეტილი ადამიანების სისუსტე და ვითარცა იესო ქრისტეს ჭეშმარიტმა მოწაფემ, უფლის სიტყვის ქადაგება დაიწყეთ.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, თქვენ აღასრულეთ სიტყვები წმინდა წერილისა: „ამით გცნან ყოველთა, რომ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“. სიყვარულის მაგალითს აჩვენებთ, სიყვარულს ჰქადაგებთ და სიყვარულით ცხოვრობთ, ლოცვებს აღავლენთ და სიბრძნეს ღვთისას მოუხმობთ, რომელიც სწორედ სიბრძნესა

და სიყვარულს უქადაგებს ეკლესიასა და მორწმუნე ერს. შიშითა ღვთისაითა შემოსილმა კარგად იცით, რომ უფალი, შობილი უწინარეს ყოვლისა ჟამისა, არის მცოდნე ადამიანური ლოგიკისა და მიზეზი ყოველისა სიკეთისა. მიუხედავად ადამიანური სისუსტისა და წარმავლობისა, ყოველიე რაც თქვენ აკეთეთ, — აკეთეთ რწმენით, იმედითა და მოთმინებით. ამიტომ ღრმად პატივცემულო უწმინდესო და უნეტარესო პატრიარქო და ქრისტესმიერო ძმაო, ილია, გვაგონდება პოეტ კონსტანტინოს კავასისის ლექსი: „მოღალატე ბოლოს გამოჩნდება, საბოლოოდ მიდიელები (მტრები) უკუიქცევიან“. დღეს თქვენს მფარველ წმინდანთან ერთად გეტყვით: „ცოცხალია ღმერთი, უფალი ძალთაი“, ღმერთი ისრაელისა და საქართველოსა, წმინდათა წმინდა! ხოლო სადაც ღმერთია, იქ სასუფეველია და ყოველი იშვებს და ხარობს. და ვისაც ღმერთი სწამს და ადამიანს ღვთის სიყვარულით ემსახურება, მოყვასს უსამართლოდ არასოდეს მოექცევა, მას სული მამაცი და ღვთის მოყვარე აქვს! უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო ილია, თქვენ მორწმუნე და სულიერი ადამიანი ხართ; და ღვთის სამსახური, რომელიც თქვენს ეკლესიასა და ხალხს გაუწიეთ, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია! თქვენი ღვაწლი შორსაა იმ დიდებისა და პატივისაგან, რასაც პატრიარქის ტიტული მოიცავს; თქვენ შემოიფარგლეთ მხოლოდ ლოცვით, მარხვით, ეკლესიის აღორძინებით, ერში იმედის გაღვივებით, ხატწერის აღორძინებით, სამშრომ საიდუმლოთა აღსრულებით, წმიდა ძღვნის შეწირვითა და თქვენი მრავალტანჯული ერის ნუგეშისცემითა და ტკივილის დაამებით! თქვენი პატრიარქობის ჟამს გამრავლდა თქვენი სულიერი შვილების რიცხვიც და ხარისხიც, რაც ძალიან გვახარებს. კიდევ უფრო მეტად ვხარობთ, როდესაც ვხედავთ, რომ თქვენი შვილი შვილები მოგართმევენ თქვენივე კეთილი შრომის ნაყოფს, რომელსაც თქვენ კვლავ ქრისტეს სწირავთ! ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია. მას მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში. მადლობას მოგახსენებთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, იმ შესანიშნავი და ურიცხვი ღონისძიებებისთვის, რომლებსაც ჩვენი საქართველოში ჩამოსვლისას მუდამ აწყობთ. გმადლობთ იმ თბილი და სიყვარულით სავსე სიტყვებისათვის, რომლებსაც ჩვენი მისამართით გამოთქვამთ ხოლმე და რაც ჩვენი პირველსაყდრის, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიმართ თქვენი კეთილგანწყობის უეჭველი დასტურია. ჩვენს ორ ეკლესიას შორის მუდამ კეთილი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა და იგი დღესაც გრძელდება. ორივე ეკლესია ამას თვალისჩინივით უფრთხილდება. ამასთან, ჩვენს ორ საპატრიარქოს აერთიანებს წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელმაც ქრისტიანობა იქადაგა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, კავკასიის უფრო ერცელ რეგიონში. ჩვენი ორი ეკლესია ასევე დაფუძნებულია იმ მტკიცე და შეუმუსრელ კლდეზე, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამ ერთობის ურყევი დადასტურება იყო ჩვენი წინამორბედი პატრიარქის, დიმიტრიოსის მიერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიისა და მისი საჭეთმპყრობლის საპატრიარქო ტიტულის აღიარება. ეს იმისთვის მოხდა, რომ საქართველო ამჟამინდელმა და მომავალმა პატრიარქებმა ახალი შემართებით და განახლებული ენერგიით იღვაწონ მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად ქვეყანასა ზედა! უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ღვთის მოწოდება უცვლელია საუკუნეების განმავლობაში. ამიტომაა, რომ რწმენის შესუსტებისა თუ მერყეობის წუთებში, განსაცდელისა და ძნელბედობის ჟამს თქვენ ერთი წამითაც არ გადაგიხვევიათ ამ მოწოდებისგან და მთელი ამ 35 წლის განმავლობაში მედგრად იცავდით უფლის სიტყვას! ჩვენ მოვალენი ვართ, რომ მორწმუნე ერს მივცეთ მოწმობა რწმენისა და თავდადებისა, რისი მაგალითიც თქვენ გვიჩვენეთ, უწმიდესო და უნეტარესო ძმაო! თუმცა ჯვარი უფლისა, რომელსაც თქვენ ამ 35 წლის განმავლობაში ტვირთულობთ, აღმოჩნდა ტკბილი, საამო, სულის განმწმენდელი და სიცოცხლის მომნიჭებელი! მაშ, განვაგრძოთ საკუთარი ჯვრების ტვირთვა ისეთივე შემართებით, როგორც ეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა — კონსტანტინოპოლისა და

საქართველოს ეკლესიების წმინდანებმა შეძლეს საუკუნეების განმავლობაში. გეზის მიმცემი კი უნდა იყოს ჩვენივე ეკლესიაში დაფუძნებული ტრადიციები, ურიცხვი წმინდანებისა და მოწამეების დასი – საქართველოს განმანათლებელი წმინდა მოციქულთასწორი ნინო, წმინდა დავით გარეჯელი, წმინდა დიდმოწამე ქეთევანი და სხვა უთვალავი წმინდანები, ღირსნი მამანი და დედანი, რომლებმაც თავისი ლოცვითა და სისხლით სიკვდილი დასთრგუნეს და მარადიულობაში გადავიდნენ. უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, რაც ახლა მოგახსენეთ, ეს ყოველივე თქვენმა საიუბილეო თარიღებმა გაგვახსენა; ეს სიტყვები შთაგვაგონა თქვენმა ხანგრძლივმა და ენერგიულმა საეკლესიო, სამწყემსმთავრო, საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, ასევე თქვენმა სწრაფვამ მართლმადიდებელთა შორის მშვიდობიანობისა და ერთიანობისკენ!

თქვენო უნეტარესობავ, თქვენი ნაღვაწი იმის დასტურია, რომ ღმერთი მუდამ თქვენთან არის. ხოლო თუკი ჩვენ შორის სიყვარული და ღმერთია, არაფერმა არ უნდა შეგვაშინოს. ძალა გვეძლევა, რომ დავძლიოთ ყოველივე, თუნდაც ის ჩვენი სულისა და ხორცისთვის მტკივნეული იყოს. თქვენ აღმოჩნდით მამაცი მებრძოლი ყველა ამ სფეროში. ვაქებთ, ვადიდებთ და ვმადლობთ უფალს ყველა იმ წყალობისათვის, რაც თქვენ გიბოძათ და ვევედრებით ამ წმინდა ჟამისწირვით, რომ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მიანიჭოს თქვენს უნეტარესობას, რათა განაგრძოთ თქვენი კეთილი და დიდი საქმეკამინ. მოგართმევთ მცირე ძღვენს. ეს არის სანაწილე ხატი და საცეცხლური“. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს: „ჩემო საყვარელო ხალხო! ჩვენ დღეს გულწრფელად ვზეიმობთ ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან მე-80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს. უწმიდესმა და უნეტარესმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. იმ ჟამს, როდესაც ქრისტიანულ სამყაროში და განსაკუთრებით საქართველოში ათეისტური და ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ძალები მძლავრობდნენ, მისმა უწმიდესობამ ქართველ ერს გზა რომ არ დაბნეოდა, სწორი გეზი მისცა. უახლოეს წლებსაც თუ გავიხსენებთ, როდესაც გაურკვეველი ძალები კვლავ მძლავრობდნენ ჩვენს ქვეყანაში და უტევდნენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენმა პატრიარქმა ბრძნულად მოუწოდა ერს, ეროვნული ტრადიციების გაფრთხილებისა და შენარჩუნებისკენ. ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენი კულტურის უდიდესი ნაწილია, ჩვენთვის ქრისტიანობა არ არის მხოლოდ აღმსარებლობა. ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რომ ასეთი სულიერი მამა გვყავს მისი უწმიდესობის, ჩვენი საყვარელი პატრიარქის, ილია II-ის სახით. ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღებს და ვუსურვებთ მტკიცე ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ!

მინდა მადლობა გადავუხადო მის ყოვლადუწმიდესობას, მსოფლიო პატრიარქს, რომელმაც პატივი დაგვდო და ჩვენს პატრიარქს საიუბილეო თარიღები მიულოცა. დღეს ჩვენი პატრიარქის იუბილეს ზეიმობს მთელი ქართველი ერი, ზეიმობს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ქრისტიანობა! დღეს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ულოცავს ჩვენს საყვარელ პატრიარქს დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს. მინდა ყველა სტუმარს დიდი მადლობა მოვახსენო იმისათვის, რომ ასეთი პატივი დასდეს ჩვენს ქვეყანას და ასე დააფასეს ჩვენი საყვარელი პატრიარქი. კიდევ ერთხელ გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს! გილოცავთ ყველას, ვულოცავ მთელ საქართველოს!

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ღირსებით აღსავსენო მამანო, ძმანო და დანო! მრავალჟამიერ!“

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამადლობელ სიტყვაში ბრძანა: „თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსო და მსოფლიო პატრიარქო, სრულიად სერბეთის პატრიარქო, პეჩის მთავარეპისკოპოსო და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტო ირინეოს, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ძმანო და დანო! დღეს არის ხსენება წმიდა დავით წინასწარმეტყველისა. შევთხოვთ მას, რომ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს საქართველოში და

მსოფლიოში. დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. და დღეს ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეკლესიის აღმავლობას,ჩვენი ეკლესიის დიდებას უფლის ძალითა და უფლის მადლით. როდესაც დავით წინასწარმეტყველმა ისრაელი გაამთლიანა და ზეიმით შედიოდა იერუსალიმში, მთელი ერი აქებდა მას. მაშინ დავითმა შეაჩერა მსვლელობა და უთხრა ხალხსა: „უფალი მეფობს! ეს მე კი არ ვმეფობ,უფალი მეფობს!“ და აი,დღეს,როცა აღინიშნება ჩემი საიუბილეო თარიღები და ამბობენ, თითქოს მე რაღაც გავაკეთე, დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს ვიმეორებ: „უფალი მეფობს და უფალი აკეთებს ყოველივეს!“ მადლობელი ვარ, რომ თქვენ ჩამობრძანდით და მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს ზეიმში. ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული, ამინ. თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, მინდა გითხრათ: ჩვენ გეეამაყება, რომ თქვენ ბრძანდებით კონსტანტინოპოლის პატრიარქი და დიდია თქვენი დამსახურება ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. ნიშნად ჩვენი პატივისცემისა და სიყვარულისა, მოგართმევეთ დავით წინასწარმეტყველის ხატს, რომლის დღესასწაულიც დღესაა. ეს არის მინანქარში შესრულებული ხატი. ჩვენთან არს ღმერთი!“

2017 წელი საიუბილეოა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. 25 მარტს შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი. სრულდება უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 85, პატრიარქად აღსაყდრების 40 წლისთავი.



2007 წლის 25 დეკემბერი.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 370
2. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 375
3. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 14
4. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 8265
5. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ფონდი, 2718
6. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1264, 826
7. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1264, 826, 8
8. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1264, 826, 10
9. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი, 1264, 2265
10. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი, 1264, 8265
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 29
12. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი, 1264, 8265
13. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, XII სასულიერო კრების მასალები, 2, 1229
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 310, 8-9
15. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი, 1263, 2266
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 310, 10-11
17. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 310, 10-11
18. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 298, 2449
19. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 298, 295
20. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 298, 295
21. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1229, 52
22. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, XII სასულიერო კრების მასალები, 2, 1429
23. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2, 1429
24. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2, 1429
25. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2, 1429, 9
26. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი, 1264, 8265
27. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 111
28. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2, 1004
29. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 337-338
30. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 343
31. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 47
32. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 48
33. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2254

34. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 382, 2
35. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 551, 1-5
36. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1880, 1, 551, 5-6
37. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1200, 7720
38. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 16420
39. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 110
40. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1978, 12
41. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 234
42. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 237
43. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 421-422
44. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 424
45. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მოსკოვში ვიზიტის მასალები, 18-19
46. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მოსკოვში ვიზიტის მასალები, 35
47. სერგო ვარდოსანიძე,„საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, თბილისი, 2001, 206
48. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 3797
49. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1979, 2, 12-13
50. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1979, 2, 11
51. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 10417
52. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1374, 8701
53. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 8701
54. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1990, 3, 5-8
55. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1990, 3, 4
56. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2003, 38
57. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2003, 38
58. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1981, 2, 9.
59. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1981, 2, 13.
60. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1984, 2, 12.
61. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1980, 1, 10.
62. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1981, 2, 17.
63. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2585
64. სერგო ვარდოსანიძე,„საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, თბილისი, 2001, 209
65. სერგო ვარდოსანიძე,„საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, თბილისი, 2001, 209
66. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 145, 1839
67. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 16469
68. ჟურნ. „რელიგია“, თბილისი, 2002, №7-8-9, 49
69. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1978, 1, 15
70. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2217
71. ჟურნ. „რელიგია“, თბილისი, 2002, №7-8-9, 45
72. ჟურნ. „რელიგია“, თბილისი, 2002, №7-8-9, 49

73. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 8441
74. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 526
75. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 286
76. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1937, 158
77. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1988
78. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 5344
79. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 11880
80. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 3203
81. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1978, 2, 13
82. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2335
83. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1560
84. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 10106
85. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 11375, 135
86. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1669, 10639
87. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 2006, 206-208
88. „საქართველოს ისტორია. XX საუკუნე“,პროფ. ვ. გურულის რედაქციით,თბილისი, 2003, 183
89. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 112
90. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2547
91. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1989, 2, 6
92. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 113
93. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 115
94. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 429
95. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 429
96. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 429
97. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 114
98. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 114
99. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 6605
100. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 275
101. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 425
102. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 429
103. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1995, 1, 102
104. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 141
105. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 427
106. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1998, 1, 60
107. შოთა ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, თბილისი, 1975, 287
108. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 2005, 2, 14
109. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 406
110. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1988, 4, 24
111. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1988, 4, 41-42

112. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 275-276
113. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 97
114. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 117
115. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 191
116. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 117
117. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 144
118. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 278
119. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 373
120. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2003, 4-10 აგვისტო
121. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 15764
122. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 132
123. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1988, 4, 7
124. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 184
125. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 183
126. ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 2006, №2
127. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „სააღდგომო ეპისტოლე“, თბილისი, 2006, 11
128. „წერილები პატრიარქს“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2007, 54-55
129. „წერილები პატრიარქს“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2007, 9-11
130. „წერილები პატრიარქს“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2007, 13
131. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 10486
132. „წერილები პატრიარქს“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2007, 20
133. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 367
134. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 379
135. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 436
136. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 6578
137. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 10708
138. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 275
139. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 437
140. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 435
141. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 227
142. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 427
143. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 426
144. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 426
145. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 431
146. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 435
147. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1988, 22, 17
148. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 354
149. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 286
150. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 253
151. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 15585
152. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 6870
153. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 7191

154. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 16459
155. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 2203, 14537
156. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 16458
157. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 15764
158. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 583
159. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 243
160. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 213
161. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 14221
162. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 4662
163. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 363
164. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 15769
165. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 804
166. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 792
167. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1846
168. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 963
169. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1823
170. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 9695
171. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 6291
172. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 732
173. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1341
174. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 14414
175. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1980, 2, 45
176. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 68-97
177. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 93-96
178. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 439
179. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 2005, 1, 5-6
180. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2007, 32, 10
181. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2007, 32, 4
182. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2007, 32, 4-5
183. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2007, 32, 15
184. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი, 2007, 32, 13
185. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 398
186. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 399
187. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 380
188. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 375
189. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 225-226
190. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 71
191. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 161
192. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 286
193. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, II, 97-98
194. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 439
195. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 558
196. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 575
197. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 10789
198. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 1535

199. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 188
200. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 190
201. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 201
202. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006, 202
203. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006, 198
204. ჟურნ. „იერიელნი“, თბილისი, 2007, №3, 11
205. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997, I, 284

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრები (1917-2017)

1917-2017 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები იცვლებოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულების შესაბამისად

1917 წელი:

1. მცხეთის ეპარქია
2. თბილისის ეპარქია
3. ალავერდის ეპარქია
4. ბოდბის ეპარქია
5. ურბნისის ეპარქია
6. აწყურის ეპარქია
7. ქუთაისის ეპარქია
8. გენათის ეპარქია
9. ნიკორწმინდის ეპარქია
10. ცაგერის ეპარქია
11. ჭყონდიდის ეპარქია
12. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია
13. ცხუმ-ბედიის ეპარქია

1920 წელი:

1. მცხეთა-თფილისის ეპარქია
2. ალავერდის ეპარქია
3. ბოდბის ეპარქია
4. ურბნისის ეპარქია
5. აწყურის ეპარქია
6. ქუთაისის ეპარქია
7. გენათის ეპარქია
8. ნიკორწმინდის ეპარქია
9. ცაგერის ეპარქია
10. ჭყონდიდის ეპარქია
11. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია
12. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

1927 წელი:

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია
2. წილკნის ეპარქია
3. მანგლისის ეპარქია
4. აგარაკ-წალკის ეპარქია
5. ალავერდის ეპარქია
6. ბოდბის ეპარქია

7. ურბნისის ეპარქია
8. აწყურის ეპარქია
9. მარგვეთის ეპარქია
10. ქუთაის-გაენათის ეპარქია
11. ნიკორწმინდის ეპარქია
12. ცაგერის ეპარქია
13. ჭყონდიდის ეპარქია
14. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია
15. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

1937 წელი:

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია
2. აგარაკ-წალკის ეპარქია
3. ალავერდის ეპარქია
4. აწყურის ეპარქია
5. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია
6. ბოდბის ეპარქია
7. მარგვეთის ეპარქია
8. მანგლისის ეპარქია
9. ნიკორწმინდის ეპარქია
10. ურბნისის ეპარქია
11. ქუთაის-გაენათის ეპარქია
12. ცაგერის ეპარქია
13. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია
14. წილკნის ეპარქია
15. ჭყონდიდის ეპარქია

1995 წელი:

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია
2. ალავერდის ეპარქია
3. ახალციხის ეპარქია
4. ბათუმისა და სხალთის ეპარქია
5. ბოდბის ეპარქია
6. ბოლნისისა და დმანისის ეპარქია
7. ბორჯომისა და ახალციხის ეპარქია
8. ვანისა და ბაღდათის ეპარქია
9. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია
10. მანგლისისა და წალკის ეპარქია
11. მარგვეთის ეპარქია
12. ნეკრესის ეპარქია
13. ნიკორწმინდის ეპარქია
14. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია
15. რუსთავის ეპარქია
16. სამთავისისა და გორის ეპარქია
17. საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქია
18. ურბნისისა და რუისის ეპარქია

19. ფოთის ეპარქია
20. ქუთაის-გაენათის ეპარქია
21. შემოქმედის ეპარქია
22. ცაგერისა და სვანეთის ეპარქია
23. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია
24. წილკნის ეპარქია
25. ჭიათურის ეპარქია
26. ჭყონდიდის ეპარქია
27. ხონის ეპარქია

2017 წელი:

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია
2. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია
3. ქუთაის-გაენათის ეპარქია
4. საჩხერისა და ჭიათურის ეპარქია
5. დასავლეთ ევროპის ეპარქია
6. მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია
7. წილკნისა და დუშეთის ეპარქია
8. ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია
9. მროვ-ურბნისის ეპარქია
10. ალავერდის ეპარქია
11. ნეკრესის ეპარქია
12. შემოქმედის ეპარქია
13. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია
14. ფოთისა და ხობის ეპარქია
15. ახალციხისა და კუმურდოს ეპარქია
16. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია
17. ხონისა და სამტრედიის ეპარქია
18. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია
19. ვანისა და ბაღდათის ეპარქია
20. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია
21. გორისა და ატენის ეპარქია
22. გერმანიისა და ავსტრიის ეპარქია
23. ჭყონდიდის ეპარქია
24. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია
25. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია
26. სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ეპარქია
27. რუსთავის ეპარქია
28. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია
29. საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპარქია
30. დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ეპარქია
31. სტეფანწმინდის და ხევის ეპარქია
32. სხალთის ეპარქია
33. ბოლნისის ეპარქია
34. მარგვეთისა და უბისის ეპარქია
35. ბოდბის ეპარქია
36. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია

37. ხორნაბუჯის ეპარქია
38. სამთავისისა და კასპის ეპარქია
39. სურამისა და ხაშურის ეპარქია
40. მარწყუელისა და ჰუკაბის ეპარქია
41. გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქია
42. წალკის ეპარქია
43. ხორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია
44. ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია
45. ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია
46. ნიკორწმინდის ეპარქია

† მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე)



მთავარეპისკოპოსი დიმიტრი, ერისკაცობაში დავით ილიას ძე აბაშიძე დაიბადა 1867 წლის 12 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში. ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გაეშურა ოდესაში, ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1891 წელს, 1892 წელს სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, იმავე წელს აღიკვეცა ბერად დიმიტრი როსტოველის ხსენების დღეს (21 ოქტომბერს) და უწოდეს სახელად დიმიტრი. 1896 წელს კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მას სხვა ქართველი სასულიერო პირებისაგან განსხვავებით ენდობოდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება, როგორც იმპერიის იდეოლოგიის ერთგულ დამცველს და სამშობლოს მიმართ ინდიფერენტულად განწყობილ კაცს. ამიტომ 1879 წელს იგი დანიშნეს ქუთაისის სემინარიის, 1898 წელს კი თბილისის სემინარიის ინსპექტორად. დაუზუსტებელი ინფორმაციით, იგი ერთხანს მფარველობდა სემინარიელ იოსებ ჯუღაშვილს და ცდილობდა იგი რუსეთის თვითმპყრობელობის ერთგულების სულით აღეზარდა. სემინარიაში ებრძოდა ქართულ ენას და ეროვნული სულისკვეთების უმცირეს გამოვლინებასაც. 1900 წელს მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი და დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. იმ დროს, როდესაც სემინარიიდან აძევებდნენ ქართველ მასწავლებლებს, დევნიდნენ ქართველ სტუდენტებს, ქართული წარმომავლობის სასულიერო პირის რექტორად დანიშვნა მრავალისმეტყველი ფაქტი იყო. 1902 წლის 16 მარტს რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით და იმპერატორ ნიკოლოზ IIის თანხმობით არქიმანდრიტი დიმიტრი გამორჩეულ იქნა ეპისკოპოსად. მისი ეპისკოპოსად კურთხევის წესი შეასრულა საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) 1902 წლის 23 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში.

1902 წელს ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად

1905 წელს ეპისკოპოსი დიმიტრი, მისი ანტიქართული პოლიტიკის გამო, იძულებული გახდა ჩოხაში გადაცმული გასცლოდა მისგანვე უარყოფილ სამშობლოს. საქართველოდ გადახვეწილი ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთის სინოდმა ბალტიის ეპისკოპოსად განაწესა, სადაც მხოლოდ ერთი წელი დაჰყო, 1906 წლის იანვრიდან თურქმენეთისა და ტაშკენტის ეპისკოპოსია, სადაც ნაყოფიერ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა.

1905-1906 წლებში ქართველმა სამღვდელოებამ მტკიცედ მოითხოვა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მეცნიერული პოლემიკას არ გასცლებოდა. 1906 წელს პეტერბურგში დაინიშნა რუსეთის სინოდის სხდომა, სადაც განსახილველად გატანილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზანშეწონილების საკითხი. სხდომაზე სიტყვა ითხოვა თურქმენეთისა და ტაშკენტის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, რომელმაც დაგმო ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნა და მათ ნაციონალისტები და სეპარატისტები უწოდა. დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია აღარავის არ გაახსენდებაო,— ასე დაასრულა თავისი გამოსვლა მან.

1912 წლის 25 ივნისიდან იგი იმპერატორის ბრძანებით დაინიშნა ტავრიისა და სიმფეროპოლის ეპარქიის მმართველად, სადაც ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას,

აქ მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სექტანტებთან ბრძოლაში. 1913 წლის 13 მაისს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ეპისკოპოსი დიმიტრი ძვირფას თვლებიანი პანაღიით დააჯილდოვა და აიყვანა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი სურვილით შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთ ხომალდზე საშტატო მღვდლის მოვალეობას ასრულებდა. 1917 წლის აგვისტოში მოსკოვში კრემლის მიძინების ტაძარში გაიხსნა რუსეთის საეკლესიო კრება,რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საპატრიარქო მმართველობის აღდგენა. მთავარეპისკოპოსი დიმიტრი, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე, დაინიშნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის შესახებ საეკლესიო კომისიის“ თავმჯდომარედ. 1919 წელს იგი მცირე ხნით განერიდა სამოქალაქო ომით გაწამებულ რუსეთს. უკან დაბრუნებული საბჭოთა ხელისუფლებამ არასაიმედო სასულიერო იერარქად მიიჩნია,რამდენჯერმე დააპატიმრა კიდეც. იყო მისი დახვრეტის საშიშროებაც, მაგრამ როგორც ფიქრობენ, იოსებ სტალინმა შეიწყალა თავისი ყოფილი სემინარიელი მასწავლებელი. 1923 წლიდან კიევ-პეჩორის ლავრაში იჯო, 1928 წელს შეიმოსა დიდი სქემა და ეწოდა ანტონი. მას დიდ პატივს სცემდნენ რუსეთში, რასაც სამწუხაროდ ვერ ეიტყვით მის სამშობლოზე. საქართველოსთან მხოლოდ ნათესავები აკავშირებდა, რომელთაც თბილი წერილებით მოიკითხავდა. აღესრულა 1942 წლის 19 ოქტომბერს. დაკრძალეს კიევ-პეჩორის ლავრაში. საფლავის ქვას ასეთი წარწერა ჰქონდა: „მამაო, ცად მიმართ და წინაშე შენისა, არღარა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.“

† ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი)



ეპისკოპოსი ექვთიმე,ერისკაცობაში ესტატე პლატონის ძე ელიაშვილი დაიბადა 1845 წელს თბილისში. 1861-1864 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1865 წელს დანიშნეს სემინარიის მასწავლებლად, სადაც მოღვაწეობდა 1873 წლამდე. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ნაკლებად ენდობოდა ქართველებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ესტატე ელიაშვილში მათ დაინახეს რუსეთის ერთგული ადგილობრივი წარმოშობის „ინოროდცი“, ამიტომ 1873 წელს დანიშნეს სემინარიის ზედამხედველის თანაშემწედ და აკურთხეს მღვდლად. ამავე დროს იგი განაწესეს თბილისის წმიდა მარინეს ეკლესიის დეკანოზის თანაშემწედ. (წმიდა მარინეს ეკლესია მოქმედი იყო 1938 წლამდე და მდებარეობდა ე.წ. კომუნარების ბაღში. იგი დაანგრიეს 1938 წელს ს.ვ.).

1873–1880 წლებში მამა ესტატე საღვთო სჯულს ასწავლიდა წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში, 1880-1891 წლებში თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში საღვთო სჯულსა და საეკლესიო ისტორიას.

1884 წლიდან სიონის ტაძრის დეკანოზია, საიდანაც 1902 წელს გადაყვანილ იქნა ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად. ამ დროს ქაშუეთის ძველი ეკლესია დაანგრიეს და აშენდა დროებითი ეკლესია. 1903 წლის 23 ნოემბერს დეკანოზმა ესტატე ელიაშვილმა მოახერხა ეგზარქოსის დარწმუნება ახალი დიდი ეკლესიის აშენების აუცილებლობაში, აიღო სესხი, გაათხრევინა საძირკველი და შეუდგა ახალი ტაძრის მშენებლობას. 1903 წლის ოქტომბერში დეკანოზი ესტატე ბერად აღიკვეცა და უწოდეს სახელი ექვთიმე, იმავე წლის ნოემბერში აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად. 1905 წელს ეპისკოპოსი ექვთიმე გადაყვანილ იქნა გორის ეპარქიის მართველად. 1905 წლის 16 ნოემბერს იმპერატორს წარუდგინეს დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ეპისკოპოსები: პეტრე (კონჭოშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), გიორგი (ალადაშვილი), ექვთიმე (ელიაშვილი). ბუნებრივია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და დაიწყო ზეწოლა ხელისმომწერებზე. ეპისკოპოსმა ექვთიმემ რუსეთის ხელისუფლების წინაშე აღიარა თავისი შეცდომა და გაემიჯნა ავტოკეფალურ მოძრაობას.

მას თავისი ასეთი საქციელის გამო საქართველოში აღარ ჩამოესვლებოდა. 1906 წლის 8 ნოემბერს თხოვნა შეიტანა იმპერატორის სახელზე გადაეყვანათ რუსეთის შიდა გუბერნიის ნებისმიერ ეპარქიაში, 10 ნოემბერს დააკმაყოფილეს მისი თხოვნა და გადაიყვანეს ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის ბალახნინის ეპისკოპოსად.

1909 წლის 29 მაისს იგი გადადგა ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან და დაინიშნა მოსკოვის ზაიკონოსპასკის მონასტრის წინამძღვრად. გარდაიცვალა 1918 წელს და დაიკრძალა იქვე. „იყო კაცი ფრიად ნიჭიერი, მშვენიერი მწერალ-მლოცველი, საეკლესიო წიგნების საოცარი მკითხველი და ჩინებული მქადაგებელი, მაგრამ მეტისმეტად მფრთხალი“ (უწმიდესი კალისტრატე).

† ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი)



ეპისკოპოსი პეტრე, ერისკაცობაში პეტრე დავითის ძე კონჭოშვილი დაიბადა 1863 წელს თბილისის გუბერნიის, თელავის სოფელ საბუეში. პირველდაწყებითი განთლება ოჯახში მიიღო. (მამა მღვდელი ჰყავდა, ძმა მედავითნე). ამის შემდეგ იგი სწავლის გასაღრმავებლად ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ამ დროს მკაცრად დევნიდნენ ქართულ ცნობიერებას და ქართულ კულტურას. სემინარიის დამთავრების შემდეგ პეტრე მალე აკურთხეს მღვდლად და საინგილოში განაწესეს. რთულ პირობებში უხდებოდა მამა პეტრეს მოღვაწეობა, დიდი იყო მაჰმადიანობის გავლენა, მუქარა, შეეიწროებანი, მაგრამ მამა პეტრე დაუღალავად იღწვოდა ინგილოებში ქრისტიანობისა და ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად.

1865 წლიდან 1873 წლამდე მამა პეტრე სასულიერო სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა ჯაეაში, საიდანაც გადმოყვანილ იქნა თბილისში და განწესებულ იქნა საქალებო ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლად. 1885 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა ოქროს ჯვრითა და საეკლესიო ორდენით. 1894 წელს მამა პეტრეს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაავალა ბიბლიის თარგმანთა შესწორება. 1899 წელს პეტრე კონჭოშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში. სამშობლოში დაბრუნებულმა გამოაქვეყნა „მოგზაურობა“ 1901 წელს, რომელშიც აღწერილია იერუსალიმის ქართული სიძველენი. „მოგზაურობას“ არაერთი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში. 1908 წელს მამა პეტრეს რედაქტორობით გამოიცა სამღვდელმთავრო კონდაკი. 1905 წლის 26 აგვისტოს პეტრე კონჭოშვილი ეპისკოპოსად აკურთხეს. 1906 წლის იანვარში ეპისკოპოსი პეტრე იმერეთის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, 1907 წლის აპრილში ეპისკოპოსი პეტრე გორის ეპარქიის მმართველად გადმოიყვანეს. 1907 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს იმ კომისიის თავმჯდომარედ რომელსაც ევალებოდა ბიბლიის ქართულად გამოცემა, ხოლო 8 ნოემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად.

1909 წლის 5 თებერვალს იგი გარდაიცვალა. 8 თებერვალს სიონის ტაძარში იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) და დავითმა (კაჭახიძემ) გადაიხადეს წირვა გორის ეპისკოპოსის პეტრე კონჭოშვილის სულის მოსახსენებლად. განსვენებულის ღვაწლზე ვრცლად ისაუბრა დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ. მისი ანდერძისამებრ ნეშტი დაიკრძალა ალავერდის ტაძარში. ანდერძის თანახმად მის მიერ დატოვებული თანხა გადანაწილდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების,“ „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების,“ ეკონომიურად შეჭირვებული ნიჭიერი მოსწავლეების, საეკლესიო მუზეუმის საჭიროებისათვის. ეპისკოპოსი პეტრე იყო გულანთებული ქართველი. იგი თანამემამულეებს სიფხიზლისკენ მოუწოდებდა: „სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს მიწა-წყალი გადავა სხვათა ტომთა ხელში და ჩვენი ერი კი დარჩება ბოგანოდ... უკეთუ ჩვენმა ერმა დაიცვა თავისი არსებობა აქამდის, ეს სხვათა მიზეზთა შორის იმისათვისაც, რომ თავის მამულზედა, მის წინაპართა სისხლით მორწყულზედა, იყო მტკიცედ დამკვიდრებული“. — წერდა იგი.

† ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე)



ეპისკოპოსი პიროსი, ერისკაცობაში მათე იოანეს ძე ოქროპირიძე, დაიბადა 1874 წლის ნოემბერს სოფელ დისეეში (გორის მაზრა). 7 წლის ასაკში მამამ მიაბარა ალავერდის მონასტერს, სადაც მიიღო დაწყებითი სასულიერო განათლება თავისი პაპის მღვდელ-მონაზონ სილეესტერის მიერ (ცნობილი თავისი მკაცრი ცხოვრებით), რომელიც იყო ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმა. მალე ის შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში,ხოლო კურსის დასრულების შემდეგ,1890 წელს, გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში; 1893-94 სასწაელო წლებში გადავიდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში და დაამთაერა 1896 წელს სემინარიის სტუდენტის ხარისხით, იმავე წელს შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში, 1900 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, 1900 წლის სექტემბერში აღიკეეცა ბერად და ეწოდა სახელად პიროსი, ამავე დროს აკურთხეს ჯერ იერო-დიაკნად, შემდეგ – მღვდელმონაზნად; 1900 წლის 14 ნოემბერს დაინიშნა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლის ინსპექტორად,1902 წლის 10-17 მაისს სინოდის დადგენილებით დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლების უფროსის თანაშემწედ, 1905 წლის 9 ივლისს – მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად, 1907 წელს აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში, 1909 წლის 29 მაისის წმ. სინოდის დადგენილებით დაინიშნა საქართველოს-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დავითგარეჯის უდაბნოს წინამძღვრად; 1915 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოსად, 1916 წლის 15 იანვარს მოხდა კურთხევა ეპისკოპოსად პეტროგრადის წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში ალავერდის ეპისკოპოსად,

მსახურობდა იმერეთის ეპარქიაშიც, დაინიშნა მონასტრების კეთილმოწესედ და იმ პირთა გამოსაცდელი კომისიის თავმჯდომარედ,რომელთაც ეკავათ მღვდელმსახურებისა და მედავითნეთა ადგილები, ხოლო საქართველოს ეპარქიაში გადასვლის შემდეგ სხვადასხვა დროს ეკავა შემდეგი თანამდებობები: საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარის ამხანაგის და ქართულ ენაზე საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნების გამოცემის კომიტეტის თავმჯდომარე, სინოდალურ კრებასთან არსებული ღვთისმშობლის საძმოს თავმჯდომარე „საქართველოს საეგზარხოსოს მოამბის“ რედაქტორი და სხვა. 1916 წლის 24 მარტს დაინიშნა საქართველოს ეპარქიაში მესამე ქორეპისკოპოსად; 1917 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ აირჩია ალავერდის საეპარქიო კათედრაზე სახელწოდებით „ალავერდელი“. 1922 წლის 23 აპრილს დაემართა დამბლა. გარდაიცვალა 1922 წლის 28 აპრილს თელავში, დაკრძალეს 30 აპრილს ალავერდის საკათედრო ტაძარში, ეპისკოპოს პეტრეს საფლავის მარცხნივ, წესი აუგო ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ,რომელიც ალავერდში სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით იქნა გაგზავნილი.

† მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი)



მიტროპოლიტი გიორგი იერისკაცობაში დავით გიორგის ძე ალადაშვილი, დაიბადა 1848 წლის 8 დეკემბერს ქიზიყის სოფელ არბოშიკში. პირველდაწყებითი განათლების მისაღებად პატარა დავითი ნათესავის შემწეობით ქ. ნუხაში იქაურ საქალაქო სასწავლებელში მიაბარეს. ერთი წლის შემდეგ გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1869-1875 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში უმაღლესი განყოფილების მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად. 1876 წლის 9 იანვარს დაინიშნა მართლწერის გაკვეთილების მასწავლებლად. 1876 წლის 2 მარტს სასწავლებლის ზედამხედველად. 1877 წლიდან დავით ალადაშვილი იმავე სასწავლებელში გეოგრაფიას და არითმეტიკას ასწავლიდა, იმავე წლის 15 ნოემბრიდან დაინიშნა სასწავლებლის ეკონომოსად. ორი წლის შემდეგ პირადი განცხადებით დატოვა ყველა თან. მდებობა და სწავლის გასაგრძელებლად გაეშურა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღეთისმეტყველების მაგისტრის წოდებით დაამთავრა 1883 წელს და დაბრუნდა ს ქ რთველოში. 1884 წლის მარტიდან იგი მუშაობდა ოზურგეთის სასწავლებლის ზედ მხედველად და ქართული ენის მასწავლებლად. 1885 წლის 5 სექტემბერს იგი გადაყვანილ იქნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ. 1898 წლის 22 აპრილს მიენიჭა „სტატსკი სოვეტნიკის“ წოდება. 1898 წლის 5 ივლისს დაინიშნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დროებით ზედამხედველად. 1899 წლის 3 თებერვალს პედაგოგიური მოღვაწეობის 14 წლისთავზე წმიდა ანას III ხარისხის კავალერის ორდენით დაჯილდოვეს. 1899 წლის 25 სექტემბერს დავით ალადაშვილი ბერად აღიკეცა და სახელად გიორგი ეწოდა. მეორე დღეს აკურთხეს დიაკვნად, 1 ოქტომბერს – მღვდლად, 3 ოქტომბერს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1900 წლის 20 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით თეკლითის დედათა მონასტერში მშენებარე ქალთა სამრევლო-საეკლესიო სკოლის მშენებლობის მეთვალყურეობა დაევალა. 1902 წლის 16 მარტს რუსეთის სინოდის განკარგულებით არჩეულ იქნა იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დაინიშნა დავით გარეჯის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1902 წლის 6 მაისს წმიდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, იმავე წლის 7 ივლისს სინოდალური კანტორის შენობის სარემონტო კომისიას ხელმძღვანელობდა, 27 ივნისს სასულიერო ჟურნალ „მწყემსის“ ცენზორად, ხოლო 24 აგვისტოს ქართული „მარხვანის“ შესწორებული კომისიის ჯგუფში კორექტორად დანიშნეს. 1903 წლის 4 მარტს თბილისის სასულიერო სემინარიის ახალი შენობის აშენების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს, არქიმანდრიტი გიორგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს საეგზარქოსოს სამხარეო სასწავლებლების კომიტეტის წევრად, საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარედ. 1905 წლის 6 მაისს წმიდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს. 1905 წლის 29 აგვისტოს რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი გიორგი გამორჩეულ იქნა ეპისკოპოსად. 25 სექტემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მისი კურთხევა. ეპისკოპოსმა გიორგიმ გურია-სამეგრელოს ეპარქია ჩაიბარა.

1908 წლის 1 თებერვალს მეუფე გიორგი იმერეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1912 წლის 11 აპრილიდან იგი შეთავსებით გელათის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის

სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება აფასებდა ეპისკოპოს გიორგის ღვაწლს. ამიტომ იგი დაჯილდოვდა წმიდა ანას I და II ხარისხის ორდენებით. ეპისკოპოსი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში. საქმიანი მიმოწერა ჰქონდა აკაკი წერეთელთან,გრიგოლ რობაქიძესთან,ივანე ჯავახიშვილთან. 1905წლის საეკლესიო საკითხების განხილვის დროს. ეპარქიის სამღვდელოება თავისი მღვდელმთავრისაგან მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში მეტ აქტიურობას. ეპისკოპოსი გიორგი იძულებული გახდა შეერთებოდა ეპისკოპოსების პეტრე, ლეონიდეს, ექვთიმეს ხელმოწერით რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სადმი გასაგზავნი წერილის სულისკვეთებას, მაგრამ ავტოკეფალიის საკითხში მაინც ყოყმანობდა. 1917 წლის 12(25) მარტს მართალია მცხეთაში ჩავიდა, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში დაესწრო საგანგებო წირვას, ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტს, მაგრამ იქიდან პირდაპირ ეგზარქოსის სასახლისაკენ გასწია და მოახსენა სხვა გამოსავალი არ მქონდაო. მისმა ასეთმა ნაბიჯმა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა და მორწმუნეთა განრისხება გამოიწვია, საქმე იქამდე მოვიდა, რომ ეპარქიამ სრული უნდობლობა გამოუცხადა მას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მას მღვდელმთავრობა შეუჩერა, ხოლო 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულმა I საეკლესიო კრებამ გადააყენა იმერეთის ეპისკოპოსის თანამდებობიდან. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის ტრაგიკულად აღსრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ 1918 წლის 1 აგვისტოდან წილკნის ეპარქიის მმართველად დაადგინა, მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაერთიანების შემდეგ (1919 წ.) 1920 წლიდან ჭყონდიდისა და ბათუმშემოქმედის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. ეპისკოპოსი გიორგი გახდა მიტროპოლიტი. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების შემოსვლამ კიდევ უფრო დაამძიმა მიტროპოლიტი გიორგი. მან 20 სექტემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს, გაეთავისუფლებინათ ეპარქიის წინამძღოლობიდან და გაეშვათ პენსიაზე. 1922 წლის 17 ოქტომბერს ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1922 წლის 14 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 1924 წელს დაარბიეს ხირსის მონასტერი. მიტროპოლიტი გიორგი იძულებული გახდა თავის სოფელ არბოშიკში ნათესავებთან გადასულიყო. 1925 წლის 28 თებერვალს იგი გარდაიცვალა,დაკრძალეს სოფელ არბოშიკის ეკლესიის გალავანში, მეუფე გიორგი იყო ფრთხილი, გაწონასწორებული კაცი, ახლობლებში „ქართველი ფუშე“.

† მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე)



„ერთ დროს იქნება ვინმემ დაიწყოს ქექვა სინოდის საქმეებში და გადაფურცლოს ჩემი ნაწერებიც და ეიქნე მის თვალში გაშაებული“ (მიტროპოლიტი დავითი. 1928 წ. 11 იანვარი). როგორც ჩანს მას სერიოზულად აწუხებდა ფიქრი „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.“ და ეს არც იყო გასაკვირი. მიტროპოლიტ დავითის (კაჭახიძე) პიროვნების პირუთვნელად შეფასების გარეშე. XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლებელია.

მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში ექვთიმე ოქროპირის ძე კაჭახიძედაიბადა 1872 წლის 15ოქტომბერს ქ. ქუთაისში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1899 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. 1898 წლის 8 მაისს ეკურთხა მღვდელ-მონაზონად. 1899 წელს დაინიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი ს ზოგადოების მასწავლებლად. 1902 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეა. 1903 წლიდან სოლოკამსკის, ხოლო შემდეგ პოლოცკის ს სულიერო სასწაელებლის ზედამხედველია, 1905 წელს დონის სემინარიის რექტორია. 1907 წლის 4 ნოემბერს დავით კაჭახიძე საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა ალაევრდელ ეპისკოპოსად აკურთხა. 1907 წლიდან იგი ეგზარქოსის სინოდალური კანტორის წევრი იყო. ეგზარქოსი ინოკენტი შეეცადა გურია-სამეგრელოსა და იმერეთის ეპისკოპოსის უფლებების შემცირებას, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ეპისკოპოსი დავითი გამოეიდა მათ დამცველად. განრისხებულმა ეგზარქოსმა იგი პიატიგორსკში გადაიყვანა 1912 წელს, სადაც მან გამოსცა ბროშურები, რომელშიც აკრიტიკებდა ინოკენტის პროექტს, რომელსაც „საქართველოს ეკლესიის დამცირების მიზნით გაკეთებულ ოინებს უწოდებდა.“ (5, 87). 1914 წლიდან 1917 წლამდე იგი ვინიცის ეპისკოპოსი იყო. საქართველოს მართლმადიდებლი სამოციქულო ეკლესიის აეტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წელს, იგი დაბრუნდა საქართველოში. პირველი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ეპისკოპოსი დავითი დაინიშნა ურბნისის ეპისკოპოსად,1921 წლიდან 1923 წლამდე იყო ჭყონდიდელი, 1923 წელს ბათუმ-შემოქმედელი, 1924 წელს მცირე ხნით ალაევრდელი, ხოლო ქუთათელგაეანათელი. მიტროპოლიტ ნაზარის ტრაგიკული აღსრულების შემდეგ გახდა ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი. 1923 წლის 2 სექტემბერს საეკლესიო რეფორმების ჯგუფის მოწოდებით შედგა სამღვდელოების კრება ქუთაისში, რომელიც გახსნა ეპისკოპოსმა დავითმა. მისი აზრით,აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიაში შესულიყო ცვლილებები თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. ეპისკოპოსი დავითი და დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილი (მიტროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლ'ში გადამალული სინონის საპატრიარქო ტაძრის განძეულობის ადგილსამყოფელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა შეატყობინა და მათი ნდობაც დაიმსახურა ს.ვ.) თბილისში დაუბრკოლებლად შეეიდნენ მეტეხის ციხეში და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მოსთხოვეს გადადგომა. უწმიდესმა ამბროსიმ ყურადღებით მოუსმინა მათ და უპასუხა: „თუ ჩვენი ეკლესიისათვის საჭიროა, მაშინ იძულებით უნდა ვიქნე გადაყენებული,“ ჩემი ნებით მე არ გადავდგები.“ (30, 1523, 17).

1925წლის მარტში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები პატიმრობიდან გაათავისუფლეს. უწმიდესმა ამბროსიმ შექმნა კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებინა ეპისკოპოს დავითის საქმიანობის კანონიერება. საკათალიკოსო საბჭოს დავალებით კომისიის სათავეში ჩაუდგა ალაევრდელი

ეპისკოპოსი მელქისედეკი (ფხალაძე). 1926 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ეპისკოპოსი დავითი გადაყვანილ იქნა მაწყვერელის კათედრაზე. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ეპისკოპოსს დავითის პროტესტი საკათალიკოსო საბჭოსადმი.ქუთათელი ეპისკოპოსი დავითი, რომელსაც ოფიციალური საერო ხელისუფლებისაგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა, წავიდა კიდევ უფრო დიდ კონფრონტაციაზე, მან 1926 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელობას სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

1926 წლის 25-28 დეკემბერს ქუთაისში მიმდინარე საეკლესიო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი ეპისკოპოსი დავითი იყო. მისი ვიწრო პიროვნული შეუთავსებლობა საკათოლიკოსო საბჭოსთან, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთან, კარგად გამოიყენა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ და შექმნა ორხელისუფლებიანობა ეკლესიაში. ეპისკოპოსი დავითი IV საეკლესიო კრების მიერ მიტროპოლიტად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა?!. ახლა უკვე იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა მისი ქმედებანი, რომ 1928 წლის 22 სექტემბერს საკათოლიკოსო სინოდმა გამოუცხადა საყვედური,რომელსაც ხელს აწერდნენ: უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III, ეპისკოპოსები: სიმეონი, პავლე, სტეფანე, ვარლამი, ეფრემი, მელქისედეკი,იოანე. ამ შენიშვნამ მიტროპოლიტი დავითი ახალი შფოთისათვის აღანთო. მან ახლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უნეტარეს ქრისტეფორე III-ს შეუტია და როგორც კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ მოითხოვა სინოდის საგანგებო სხდომის ჩატარება. 1930 წლის 12 თებერვალს შედგა საკათოლიკოსო სინოდი, მიტროპოლიტ დავითის მოსაწონი არაფინ დარჩა საქართველოს ეკლესიაში, საკათოლიკოსო სინოდმა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და გადაწყვიტა მისი პენსიაზე გაშვება,მაგრამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ქრისტეფორე III-ს განკარგულებით გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედელად. ახლა იქ დაიწყო დაპირისპირებანი... იგი 1935 წლის 19 მარტს გარდაიცვალა ბათუმში, დაიკრძალა ქუთაისში, პეტრე-პაველეს ეკლესიაში.

† მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე)



მიტროპოლიტი ანტონი,ერისკაცობაში ალექსი ლუკას ძე გიორგაძე, დაიბადა 1866 წლის 17 მარტს ქუთაისში. ხელმოკლე ოჯახში. მისი მშობლები: დედა — ნატალია დიასახლისი იყო, მამა — ლუკა, ქუთაისის ერთ-ერთი ეკლესიის მედავითნე. ოჯახი მართლმადიდებლური ცხოვრებისწესით ცხოვრობდა.პატარაალექსიმშობლებმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1882 წელს ამ სასწაულებლის დამთავრების შემდეგ ალექსი გიორგაძე მეუფე გაბრიელის რეკომენდაციით სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1888 წელს მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა სემინარია და დაბრუნდა ქუთაისში, დაოჯახდა. 1889 წლის 12 თებერვალს ეპისკოპოსმა გაბრიელმა ჯერ დიაკვნად, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მღვდლად აკურთხა და განაწესა ქუთაისის მთავარანგელოზის ს ხელობის ეკლესიის მღვდელმსახურად. 1889 წლის 25 ივნისს ქუთაისის ქალთა ს სწავლებელში არსებული ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1889 წლის 2 ნოემბერს მას დაეკალა ქუთაისის სასულიერო სასწაულებელში საეკლესიო სლავური გალობის მ სწავლებლობა. 1892 წლის 15 იანვარს ეპისკოპოსმა გაბრიელმა საგვერდულით დაჯილდოვა. 1892 წლის 12 თებერვალს ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ს ს ფლაოს ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. ამავე წლის 6 ოქტომბერს ქუთაისის ქ ლთა წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში არსებული ეკლესიის წინამძღვრად და ს ღვთო სჯულის პედაგოგად განაწესეს. 1893 წლის 9 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიალურ სასწაულებელში გალობის მასწაულებლად დაინიშნა. პარალელურად იგი მუშაობდა სასულიერო გამომძიებლად,იმერეთის საეპარქიო საბჭოს წევრად და მისი განყოფილების თავმჯდომარედ. 1896 წლის 6 მაისს დაჯილდოვდა სკუფიით, 1900 წლის 15 მაისს უბოძეს კამილავკა.

1903 წელს გარდაეცვალა მეუღლე და ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა. ამის მიუხედავად მაინც ჩაბარა კიევის სასულიერო აკადემიაში, საიდანაც 1904 წელს სწაელა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, პარალელურად ჩაირიცხა საიმპერატორო არქეოლოგიის ინსტიტუტშიც. 1906 წელს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ანტონი. 1907 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემია და მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. 1907 წლის ივლისიდან მოღვაწეობდა ვიატკის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანამდებობაზე. ვიატკაში მრავლად იყვნენ საქართველოდან გადასახლებული ქართველები,რომელთა ერთადერთ ნუგეშად და შემწედ მამა ანტონი იყო. 1907 წლის 10 ნოემბერს გადაყვანილ იქნა სმოლენსკის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად,1909 წლის 6 მაისს იგი დაჯილდოვდა სამკერდე ოქროს ჯვრით. 1910 წლის იანვრიდან მამა ანტონი დაინიშნა დავით გარეჯის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. იმავე წლის 17 თებერვალს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და გამოემგზავრა საქართველოში. 1910 წლის 24 თებერვალს დაინიშნა ქართლ-კახეთის მონასტრების მთავარხუცესად. 1910 წლის 7 ივნისიდან 7 დეკემბრამდე დროებით შეუთავსეს რუსული მონასტრების მთავარხუცესობაც და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობაც. 1911 წლის 7 ივნისს გადმოიყვანეს თბილისის ფერიცვალების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1911 წლის 19 დეკემბერს რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი ანტონი ეპისკოპოსად გამოარჩიეს. 1912 წლის 15 იანვარს პეტერბურგის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ლაერაში გორის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და საქართველოს ეგზარქოსის მესამე

ქორეპისკოპოსად დანიშნეს. 26 იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს. 1914 წლის 6 მაისს წმიდა ვლადიმირის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ამავე წელს აირჩიეს სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის რესტავრაციის კომიტეტისა და საეკლესიო მუზეუმის წევრად. 1916 წლის 7 აპრილს წმიდა ანას I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მისი ინიციატივით 1917 წლის 8 მარტს ფერიცვალების მონასტერში, სადაც იგი ცხოვრობდა, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, სოსიკო მერკვილაძე, იპოლიტე ვართაგავა, ალექსანდრე ლომთაძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში აღსრულებულიყო რუსეთის იმპერიაში მშვიდობისათვის პარაკლისი. დაიგზავნა მოსაწვევები პროვინციებში, ზღვა ხალხი შეიკრიბა სვეტიცხოველში. 12 საათზე გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა ეპისკოპოს ანტონის მიერ შედგენილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი.“ ეპისკოპოსი ანტონი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების შემუშავებაში. მისი დაჟინებული თხოვნით ეპისკოპოსმა კირიონმა იყარა კენჭი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში და გაიმარჯვა. ეპისკოპოსი ანტონი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციას, რომელმაც დაძაბული მოლაპარაკებები აწარმოა 1917 წლის ივნის-აგვისტოში პეტერბურგში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მიაღებინა კიდეც დროებით მთავრობას საგანგებო დოკუმენტი ამ საკითხზე.

1917 წლის 16 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე იგი დადგენილ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად. ქუთაისში მცირე ხნით მოღვაწეობის დროსაც მან მოახერხა თავისი ხელი დაემჩნია ეპარქიისათვის. სამწუხაროდ მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე „უეცრად“ გარდაიცვალა 1918 წლის 18 სექტემბერს, როგორც პათანატომიურმა გამოკვლევამ დაადგინა მიტროპოლიტი ანტონი მოწამლა მისმა სიძემ გვარად რედიგერმა, რომელმაც საჭმელში ვერცხლისწყალი შეურია. რედიგერმა შეასრულა იმ ძალების დაკვეთა, ვინც უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მოჰკლა. მიტროპოლიტი ანტონი დიდი პატივით დაკრძალეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რომელიც 1924 წელს ბოლშევიკებმა დაანგრიეს და სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

† მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა)



მიტროპოლიტი ნაზარი, ერისკაცობაში იოსებ ანდრიას ძე ლეჟავა, დაიბადა 1872 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიდ ჯიხაიშში, სასულიერო პირის ოჯახში. პატარა იოსები მამამ ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1892 წელს წარჩინებით დაამთავრა სემინარია და დაიწყო სამღვდელმსახურო საქმიანობა დიაკვნის ხარისხში, 1893 წლის 22 თებერვალს მამა იოსები ხონის ფერისცვალების ეკლესიაში აკურთხეს მღვდლად. 1894 წელს დაჯილდოვდა საგვერდულით, 1897 წლის 14 მაისს სკუფიით. ამ დროს მას ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს, გარდაეცვალა მეუღლე და შვილები. 1900 წელს მამა იოსები ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც გაიცნო თავისი თანამემამულენი: კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე. 1904 წლის 1 იანვარს მამა იოსები ბერად აღიკეცა და ეწოდა სახელად „ნაზარი“ (ღვთისათვის შეწირული). 1905 წელს მან დაამთავრა სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო „კაბადოკიური საღვთისმეტყველო სკოლა.“ 1905 წლის 8 ნოემბერს მღვდელ-მონაზონი ნაზარი დაინიშნა ველინსკის სასწავლებლის ჰომილეტიკის პედაგოგად, ხოლო 1907 წლის 7 ოქტომბერს გადაყვანილი იქნა კლეჟანსკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

1910 წელს მღვდელ-მონაზონი ნაზარი აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. 1911 წელს იგი იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად დაინიშნა. იმავე წლის 1 დეკემბერს დადგენილ იქნა არქიმანდრიტად და ქართლ-კახეთის კეთილმოწესედ. 1912 წლის 12 მაისს ნაზარი არჩეულ იქნა საქართველოს ეპარქიების მუზეუმების კომიტეტის წევრად. 1913 წელს არქიმანდრიტი ნაზარი დაჯილდოებულ იქნა წმიდა ანას I ხარისხის ორდენით. 1916 წლის 19 იანვარს საქართველოს ეგზარქოსის პლატონის წარდგინებით დაინიშნა სინოდის კანტორის წევრად. არქიმანდრიტი ნაზარი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის 12(25) მარტიდან 1917 წლის 17 სექტემბრამდე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში, პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. 1918 წლის 17 ნოემბერს არქიმანდრიტი ნაზარი აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დადგენილ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოვიდნენ, მანამდე ორი დღით ადრე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭომ საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება საეკლესიო სიწმიდეთა ქუთაისში გადატანის შესახებ, რომელიც ქუთაისში მიტროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლის სარდაფში დამალეს. 1923 წლის 25 აპრილს შედგენილი აქტით, რომელსაც ხელს აწერდნენ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე, პასუხისმგებელი მდივანი ბახტაძე, პოლიტბიუროს უფროსი კუჭუხიძე, რწმუნებულები: ცირეკიძე, კეთილაძე, თოდუა ქუთაისში ნაზარ მიტროპოლიტის სახლის სარდაფიდან დღის 12 საათზე ამოიღეს საეკლესიო განძი.

27 აგვისტოს მიტროპოლიტ ნაზარს სოფელ როდინოულიდან ეწვია დელეგაცია თხოვნით ეკურთხებინა სოფლის ეკლესია. მიტროპოლიტი ნაზარი სასულიერო პირებთან ერთად ჩავიდა სოფელში 28 აგვისტოს და აკურთხა ეკლესია. იმ დამით დარჩნენ მღვდელ პოლიევექტოს ვარდოსანიძის ოჯახში, სადაც მათ მიაკითხეს ადგილობრივი მილიციის უფროსმა მაღლაკელიძემ და როდინაულის თემსაბჭოს თავმჯდომარემ სერაპიონ ხაჭაპურიძემ და დააპატიმრეს ისინი. მიტროპოლიტი ნაზარი საბჭოთა ხელისუფლების

წინააღმდეგ კონტრევოლუციური საქმიანოის ბრალდებით „განსაკუთრებული სამეულის“ გადაწყვეტილებით დაპატიმრებულნი გამოიყვანეს საფიიჩხის ტყეში და დახვრიტეს..“ 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ღვთისა და ერის წინაშე მოწამებრივი ღვაწლისათვის მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად მღვდელნი: სიმონ მჭედლიძე, გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და საბჭოთა რეჟიმის დროს ყოველნი უღმერთოთგან წამეულნი წმინდანებად შერაცხა.

† მიტროპოლიტი იოანე (მარღიშვილი)



მიტროპოლიტი იოანე, ერისკაცობაში ნიკოლოზ გიორგის ძე მარღიშვილი, დაიბადა 1874 წელს გორში. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1893-1899 წლებში მუშაობდა ჯერ გორის,შემდეგ ყიზლარის ტაძრების საეკლესიო-სამრეველო სასწავლებლებში.

1900 წლის 28 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად, ეწოდა სახელად იოანე. 1901 წლის 28 იანვარს ხელდასხმული იქნა მღვდელმონაზვნად. 1904 წელს გადაიყვანეს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. იქიდან,როგორც წარჩინებული სტუდენტი, გადაყვანილ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1905 წელს. 1910-1914 წლებში იოანე სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1914 წლის 2 სექტემბერს დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწაელებლის ზედამხედველად, 1915 წლის 10 აგვისტოდან მუშაობდა გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1915 წლის 29 აგვისტოს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

1917 წლის 21 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. 1919 წელს არქიმანდრიტი იოანე სოხუმში მოღვაწეობდა. სულ მალე არქიმანდრიტი იოანე დაინიშნა ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტის ამბროსის მოადგილედ. 1920 წლის 1 სექტემბრიდან გურჯაანის სასწავლებლის ინსპექტორია, ხოლო 1921 წლის 15 ოქტომბერს არქიმანდრიტი იოანე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. 1925 წლის 7 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით მიტროპოლიტი იოანე განთავისუფლდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან და დაინიშნა ალავერდის ეპარქიის დროებით მმართველად, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო უჭირდა ეპარქიის მართვა, მას სერიოზული მკურნალობა სჭირდებოდა. 1925 წლის 15 ოქტომბერს მიტროპოლიტმა იოანემ განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის „ვინაიდან რუსეთში ჩემი გამგზავრება პირად გარემოებათა გამო ჩემთვის ამჟამად წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, გთხოვთ ერთი თვით შვებულებას.“ საკათოლიკოსო საბჭომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი დანიშნეს ურბნისის ეპარქიის მმართველად. მიტროპოლიტი იოანე ვერ ახერხებდა ეპარქიაში ყოფნას ჯანმრთელობის გაუარესების გამო და მაგრამ თბილისიდან მართავდა ეპარქიას.

1926 წლის 14 იანვარს მიტროპოლიტმა იოანემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს განსახილველად წარუდგინა თავისი სამაგისტრო დისერტაცია. მაგრამ საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით მიტროპოლიტ იოანეს არ მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი.

1926 წლის 1 ივნისს მიტროპოლიტმა იოანემ განცხადებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს,გაეთავისუფლებინათ ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან. 20 ოქტომბერს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს,3 ნოემბერს კი დანიშნეს ბათუმ-შუმოქმედის ეპარქიის მმართველად. მიტროპოლიტ იოანეს ახალი უსიამოვნებანი ახალ ეპარქიაშიც თან სდევდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოსთხოვა ბათუმის დატოვება. მიტროპოლიტმა იოანემ 18 დეკემბერს კვლავ განცხადებით მიმართა საკათოლიკოსო საბჭოს და ითხოვა სამსახურიდან

განთავისუფლება. 1927 წლის 20 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ (ეს ორგანო უკანონოდ შეიქმნა 1926 დეკემბერში ქუთაისში ჩატარებული სამღვდელოების ყრილობის

შემდეგ ს.ვ.) გამოიტანა შემდეგი განჩინება: „ეთხოვოს მიტროპოლიტ იოანეს დარჩეს თავის ეპარქიაში და დაესწროს აგრეთვე დროებითი მმართველობის მიერ დანიშნულ სხდომებს.“ მაგრამ ამ პირობების შეუსრულებლობის გამო იგი 1927 წლის 3 მარტს გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მიტროპოლიტი იოანე ორი თვით რუსეთში გაემგზავრა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. საქართველოს ეკლესიას უკვე ახალი პატრიარქი ჰყავდა – უნეტარესი ქრისტეფორე, რომელიც განაწყენებული იყო მიტროპოლიტ იოანეზე, ვინაიდან ყველაზე გადამწყვეტ მომენტში იგი განერიდა საქართველოს. „უკანასკნელი დროის ჩვენი საეკლესიო ცხოვრება მქუხარე ზღვას დაემსგავსა, ბედმა მომაქცია ორ მებრძოლ ბანაკთა შორის, ხან ერთი მირტყავდა თავში ხან მეორე“ – გულისტკივილით წერდა იგი. საკათოლიკოსო სინოდმა უარი უთხრა მას დახმარებაზე და წინადადება მისცა წასულიყო რომელიმე მონასტერში, 1928 წლის 20 ოქტომბერს მიტროპოლიტი იოანე დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. ამ დროს ეპარქიაში 42 ეკლესია იყო მოქმედი, მაგრამ სასულიერო პირები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ბევრი მათგანი საერთოდ აღარ ატარებდა ღვთისმსახურებას, მიტროპოლიტ იოანეს ეპარქიაში ბინაც არ ჰქონდა. ამდენმა პრობლემებმა სულ დააუძლურა იგი. 1929 წლის 13 ნოემბერს მიტროპოლიტი იოანე 55 წლის ასაკში გარდაიცვალა. 17 ნოემბერს დაიკრძალა თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში, განსვენებულს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნეტარესმა ქრისტეფორე III-მ. საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა აქვს: „ამ ლოდს ქვეშე განისვენებს კეთილი მწყემსის მსახური ღვთისმეტყველების მაღისტრი, მიტროპოლიტი იოანე გიორგის ძე მარღიშვილი, რომელიც თვისთათანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს. 18741924 წ.წ. ბედით ჩაგრულო მეუფეო და ძმაო გიძღვენ ამ ძეგლს შენის მოულოდნელის სიკვდილით გაოცებული და დამწუხრებული შენი და ნინო. ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.“ (მათე. 5.10).

† მიტროპოლიტი სვიმეონი (ჭელიძე)



მიტროპოლიტი სვიმეონი, ერისკაცობაში სიმონ სპირიდონის ძე ჭელიძე, დაიბადა 1875 წელს რაჭის მაზრის სოფელ ბუგეულში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფ. ბუგეულის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. ახალგაზრდა სიმონმა 1893 წელს მიიღო გადაწყვეტილება სასწავლებლად გადასულიყო სტაეროპოლის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დასრულების შემდეგ 1898 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში, სადაც აკურთხეს მღვდლად. 1900 წელს იგი დაინიშნა რაჭის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ და კეთილმოწესედ. 1923 წლის ნოემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) სვიმეონი აკურთხა ეპისკოპოსად. ეპისკოპოსმა სვიმეონმა 1924 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსადმი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით გაგზავნილ მიმართვაში დაპატიმრებას გადარჩენილ სხვა მღვდელმთავრებთან ერთად (ეპისკოპოსი ქრისტეფორე, დავითი, ნესტორი) საბჭოთა ხელისუფლებას აღუთქვა ლოიალობა და თანამშრომლობა. 1926 წელს საკათალიკოსო საბჭომ უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ლოცვა-კურთხევით მიიღო გადაწყვეტილება ქუთათელი ეპისკოპოსის დავითის მაწყვერელად გადაყვანისა და ქუთათელად ეპისკოპოს სვიმეონის დანიშვნის შესახებ, თუმცა მეუფე დავითი არ დაეთანხმა საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებას. ეპისკოპოს სვიმეონს ვიღაცამ შეატყობინა, რომ შენი ქუთათელობა არ უნდათო და მანაც უსაბუთოდ დაიჯერა ეს ჭორი. გულმოსულმა თბილისში დეპეშა აფრინა – ეწყვეტ საკათოლიკოსო საბჭოსთან ურთიერთობასო. ეპისკოპოს სვიმეონის შეცდომა იყო ქუთაისის საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება და დროებითი მმართველობის წევრად თანხმობის მიცემა. 1927 წელს ეპისკოპოსი სვიმეონი დაინიშნა ურბნისის ეპარქიის მმართველად. 1930 წელს ქუთაისის ეპარქია ჩააბარეს ეპისკოპოს სვიმეონს, რომელიც ამავდროულად აყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში.

1935 წლის 13 ნოემბერს მძიმე ოპერაციის დროს გარდაიცვალა მიტროპოლიტი სვიმეონი, რომელიც დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში. განსვენებულს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ. მიტროპოლიტი სვიმეონი რელიგიურ საკითხებზე ბეჭდავდა წერილებს „მწყემსში“, „შინაურ საქმეებში“, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში.“

† ეპისკოპოსი პავლე (ჯაფარიძე)




ეპისკოპოსი პავლე, ერისკაცობაში პახუმ პლატონის ძე ჯაფარიძე, დაიბადა 1888 წლის 1 მაისს იმერეთის სოფელ ხრეითში (შორაპნის მაზრა). იგი ბავშობიდანვე გატაცებული იყო სასულიერო წიგნებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობის სურვილით, სხვადასხვა მონასტრებში იყო მორჩილი, წიგნის მკითხველი. ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1906 წელს, გაემგზავრა ათონზე, სადაც 1907 წლის 18 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად პავლე. 1910 წელს დაბრუნდა საქართველოში, სადაც გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ ხელი დაასხა მღვდელმონაზვნად შიომღვიმის მონასტერში. 1918 წლის 26 იანვარს წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს თბილისში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. ახალგაზრდა მღვდელმონაზონმა პავლემ საბუთები შეიტანა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოვიდნენ, საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ბოლშევიკებმა დაიწყეს ეკლესია-მონასტრების ნგრევა, საეკლესიო სიწმიდეების შეურაცხყოფა. მღვდელმონაზონმა პავლემ მიატოვა უნივერსიტეტი და სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში წინამძღვრის მოადგილედ დაბრუნდა. იგი ამხნევებდა მრევლს და ცდილობდა მათში სამშობლოსა და სარწმუნოების კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ არქიმანდრიტ პავლეს და ეპისკოპოს დავითს (კაჭახიძე) დაავალა ქუთაისში გაჰყოლოდნენ განძს და დაებინაებინათ იგი ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის საეპარქიო სახლის სარდაფში. არქიმანდრიტი პავლე 1924 წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად გასამართლებულ იქნა. ბრალდების შინაარსი ასეთი იყო – რატომ არ აცნობა მან საბჭოთა ხელისუფლებას განძეულის ადგილსამყოფელის შესახებ. სასამართლომ მას პირობითი სასჯელი შეუფარდა.

1924 წლის 18 აპრილს შეიკრიბა დაპატიმრებს გადარჩენილი საკათალიკოსო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველი,ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე. ესწრებოდნენ ეპისკოპოსები: დავითი (კაჭახიძე), ნესტორი (ყუბანეიშვილი), სიმეონი (ჭელიძე), მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა). მსჯელობის შემდეგ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება არქიმანდრიტი პავლეს ეპისკოპოსად გამორჩევის შესახებ. მას ჩაბარდა წილკნის ეპარქია. ეპისკოპოსი პავლე არაერთხელ დაასახელეს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მოვალეობის შემსრულებლად,მაგრამ ხშირი ავადმყოფობის გამო მას არ შეეძლო ამ დიდი ტვირთვის ზიდვა.

1928 წლის 26 მარტს საკათოლიკოსო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოსის პავლეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად გამწესების შესახებ. სოხუმის ნოტიო ჰავამ უარყოფითად იმოქმედა მასზე.

მართალია, ეპისკოპოსი პავლე დაბრუნდა სვეტიცხოველში, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1929 წლის თებერვალ'ში იგი სამკურნალოდ ალექსანდრეს საავადმყოფოში მოათავსეს,სადაც 1929 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა. 1929 წლის 10 ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორე III-მ წესი აუგო განსვენებულ ეპისკოპოს პავლეს, რომელიც დაიკრძალა სვეტიცხოველის ეზოში.

† ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი)



ეპისკოპოსი ნესტორი, ერისკაცობაში ნესტორ დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი, დაიბადა 1853 წლის 5 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის სოფელ მუხაყრუაში, მღვდლის ოჯახში. 1871 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 1877 წელს თბილისის სასულიერო სემინარია. 1877 წელს 10 სექტემბრიდან მუშაობდა მასწავლებლად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში — ასწავლიდა ძველ და ახალ აღთქმას, კატეხიზმოს, საეკლესიო ტიპიკონსა და არითმეტიკას. 1882 წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია. 1883 წლის 15 ივნისს ეპისკოპოს გაბრიელის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად ბარსაჯავახოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. იმავე წლის 19 ივნისს აკურთხეს მღვდლად და კეთილმოწესედ, 1884 წლის 7 დეკემბერს მან ბარსაჯავახოს ეკლესიასთან დააფუძნა საეკლესიო სამრევლო სკოლა, სადაც ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1887 წლის 28 სექტემბრიდან ქუთაისის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურია, ხოლო 23 დეკემბერს გადაყვანილ იქნა ქუთაისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. 1888 წლის მარტში იგი წმიდა გიორგის ეკლესიის სამშენებლო კომიტეტის წევრად აირჩიეს. მ[illegible] ნესტორმა წმიდა გიორგის ეკლესიასთან დააფუძნა საეკლესიო სამრევლო სკოლა, ს[illegible]დც ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1889 წლის 19 ივნისს დაინიშნა ჩუნეშის ოლქის კეთილმოწესედ, 1890 წლის 14 ივნისიდან ქუთაისის ეკლესიების კეთილმოწესეა. 1896 წლის 14 აგვისტოს დაინიშნა გოჭოურის სასაფლაოს ეკლესიის განახლების კომიტეტის თავმჯდომარედ, 1906 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში, 1906-1909 წლებში მსახურობდა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში. 1910 წელს აღიკვეცა ბერად. 1910-1912 წლებში მოწამეთას ეკლესიის წინამძღვარია. 1912-1915 წლებში მსახურობდა შუამთის, ალავერდის და თეთრი გიორგის ეკლესიებში. 1917 წელს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1915-1917 წლებში კვლავ მოწამეთას მონასტერშია. 1918-1923 წლებში არქიმანდრიტი ნესტორი გელათის მონასტრის წინამძღვარია. 1924 წლის 18 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველის ეპისკოპოს ქრისტეფორეს მიერ ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად. 1926 წელს გადაყვანილ იქნა ჭყონდიდელად. ეპისკოპოსი ნესტორი მონაწილეობდა 1926 წლის დეკემბერში ქუთაისის საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელიც მიმართული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის წინააღმდეგ. 1928 წლის 24 მარტს გადაყვანილ იქნა ცაგერელ ეპისკოპოსად, 1929 წლის 19 ნოემბრიდან წილკნელია. 1930 წლის 29 ივლისს ითხოვა პენსიაზე გასვლა, თხოვნა დააკმაყოფილა უწმიდესმა და უნეტარესმა ქრისტეფორე III-მ. მეუფე ნესტორი გარდაიცვალა 1938 წლის 15 ივნისს. დაკრძალულია საფიჩხიის (ქუთაისი) სამების ეკლესიის გალავანში. ეპისკოპოს ნესტორს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წიგნები: „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად,“ „შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია“, „ახსნითი ლოცვანი“, „ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა“, „საიდუმლოების ახსნა“, „ქრისტეს სწავლის გავრცელება“, „ღირსი მამა დავით გარეჯელი“, „ცოლქმრობა“, „გზა ცხოვრებისა.“

† ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი)



ეპისკოპოსი სტეფანე,ერისკაცობაში ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი,დაიბადა 1853 წლის 1 იანვარს გორის მაზრის სოფელ ქვემოჭალაში მღვდლის ოჯახში. მამა – გრიგოლი ქართული საეკლესიო გალობის ჩინებული მცოდნე და შემსრულებელი იყო. ვასილმა და მისმა ძმებმა ბავშობიდანვე ოჯახში შეისწავლეს ქართული სასულიერო გალობის ქართლ-კახური კილო. ექვსი წლის ასაკში დედამ დააწყებინა „დავითნის“ კითხვა. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ ვასილი სწავლის გასაგრძელებლად გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მკაცრი რეჟიმი იყო გაბატონებული. მოსწავლეთა ცემა-ტყეპა, დამცირება პედაგოგიური აღზრდის საუკეთესო მეთოდად იყო აღიარებული. 1864 წელს ვასილი თავის ძმებთან – ანდროსა და პოლიევექტოსთან ერთად პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე ხალხური სიმღერების რეპერტუარით და ყველას მოწონება დაიმსახურა. 1867 წელს ვასილი ძმებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად და ჩაირიცხა სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში, პარალელურად 1879 წლიდან სწავლობდა თბილისის მუსიკალურ სკოლაში.

ვასილ კარბელაშვილმა 1881 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია; 1881 წლის 16 ივნისს დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში; 1882 წლის 1 ივლისს დატოვა სამსახური და შევიდა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც პროფესორ კოშკინთან ეუფლებოდა სამუსიკო ხელოვნებას. 1883 წ. 16 ოქტომბერს აკურთხეს თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის მღვდლად, ამავე დროს ასრულებდა მღვდლის მოვალეობას თბილისის 1 სამხედრო ჰოსპიტალში; 1884-1885 წლებში ასწავლიდა სჯულის კანონს ნავთლუღის სახალხო სასწავლებელში. 1885 წლის მაისიდან თავისივე თხოვნით გადაიყვანეს ნუხის 3 კლასიან საქალაქო სასწავლებელში, ამავე დროიდან არის ნუხის სამწმიდათა ეკლესიის წინამძღვარი. 1885 წლის სექტემბრიდან 1887 წლის დეკემბრამდე ნუხის საქალაქო სასწავლებელში ასწავლიდა მუსიკასა და გალობას. 1888-1890 წლებში ეგზარქოს პალადის განკარგულებით გადმოიყვანეს თბილისის მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში, ამავე დროს საავადმყოფოს საფერშლო სკოლაში ასწავლიდა სჯულის კანონს და ქართულ ენას. 1888 წელს ეგზარქოსის კურთხევით საავადმყოფოს თანამშრომელთა შვილებისათვის დააარსა საეკლესიო-სამრევლო სკოლა და ავადმყოფთათვის ბიბლიოთეკა. თბილისის სამღვდელოების გადაწყვეტილებით და ეგზარქოსის დადგენილებით 1890 წლის თებერვლიდან თბილისის მედავითნეებს ასწავლიდა ქართულ გალობას. 1890 წლის თებერვლიდან გადაიყვანეს ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვრად. წმ. ბარბარეს ეკლესიას ჩაუტარა რესტავრაცია, გარდა ამისა, დააარსა მოსასვენებელი სახლი შორიდან მოსულ მლოცველთათვის. წმ. ბარბარეს ეკლესიასთან გახსნილი ჰქონდა საეკლესიო-სამრევლო სკოლა 40 ბაეშვისათვის, რომლისთვისაც გამოყოფილი ჰქონდა 2 ოთახი საკუთარი ბინიდან და ინახავდა საკუთარი ხარჯით. 1891 წლის 10 ოქტომბრამდე ყველა საგანს უსასყიდლოდ ასწავლიდა თავის მეუღლესთან – მარიასთან ერთად.

1890-91 წლებში იყო სჯულის მასწავლებელი ნავთლუღის სახალხო სასწავლებელში.

1891 წლის ოქტომბერში თავისივე თხოვნით დაბრუნდა მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში.

1893-99 წლებში იყო მასწავლებელთა საზოგადოების სკოლის სჯულის მასწავლებელი

და სახალხო სასწავლებელთა დირექციის წევრი.

1899 წელს აირჩიეს საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრკორესპონდენტად.

1903წლის თებერვლიდან გადაიყვანეს ქ. შემახიის ეკლესიაში; 1903-1904 წლებში ტაძრის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში ხელმძღვანელობდა საღვთო სჯულისა და გალობის სწავლებას; ამავე პერიოდში შემახიის 4 კლასიან სასწავლებელში ასწავლიდა სჯულის კანონს.

1904 წელს გადაიყვანეს გორის ტაძრის მეორე მღვდლის ადგილზე, ამავე დროს ასრულებდა სანთლის ქარხნის მმართველის მოვალეობას.

1904-1906 წწ. განაგებდა საეკლესიო ნივთების მაღაზიას და ზრუნავდა მის შენობასა და საეკლესიო ნივთების საწყობზე.

1905წლის ივნისში თავისიენ თხოვნით ეგზარქოსმა ალექსიმ დანიშნა თბილისის სამების ტაძრის წინამძღვრად. ტაძრის სამრევლო სკოლაში უსასყიდლოდ ასწავლიდა საღვთო სჯულს და რუსულ-ქართულ გალობას. 1917 წლის 4 სექტემბერს დაქვრივდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის I, II, III, IV საეკლესიო კრების მუშაობაში. 1919 წელს აიყვანეს დეკანოზის ხარისხში 1921-1922 წლებში იყო თელავის ტაძრის წინამძღვარი. 1922 წლის 24 ივნისს გადაიყვანეს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში.

1925 წელს აღიკვეცა ბერად სტეფანეს სახელით. 1925 წლის 25 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით აკურთხეს ბოდბის ეპისკოპოსად. იგი განაწყენებული იყო მიტროპოლიტ ქრისტეფორეს საეკლესიო პოლიტიკით. ამ წყენას არ მალავდა არც შემდეგ,როდესაც მიტროპოლიტი ქრისტეფორე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

1928 წლის 24 თებერვალს გაათავისუფლეს ბოდბის ეპისკოპოსობიდან და გადაიყვანეს ალავერდელად. 1929 წელს გაათავისუფლეს ალავერდის ეპისკოპოსობიდან; 1930 წლის 1 იანვარს დროებით დაინიშნა კარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად; 1934 წლის 6 აგვისტოს პირადი თხოვნის საფუძველზე ავადმყოფობის გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა კალისტრატემ გაათავისუფლა კარის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრობიდან.

დაჯილდოებული იყო ეგზარქოს პალადის მიერ გულითადი შრომისათვის საგვერდულით; 1890 წლის მარტში სააეადმყოფოს საეკლესიო-სამრევლო სკოლაში გულითადი მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა. 1892 წელს ქოლერის მძვინვარების პერიოდში გულითადი და სასარგებლო შრომისათვის დაჯილდოვეს ოისფერი სკუფიით.

1893 წელს საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს დადგენილებით, სკოლაში მუშაობისათვის და სასწავლო საქმის წარმატებით წარმოებისათვის გამოეცხადა მადლობა. 1897 წელს გულითადი და სასარგებლო შრომისათვის დაჯილდოვდა კამილავკიით. 1911 წ. მიღებული ჰქონდა მედალი იმპერატორ ალექსანდრე III-ის ხსოვნისათვის.

გარდაიცვალა 1936 წლის 8 აპრილს, დაკრძალულია წმიდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი: „ქართლ-კახური გალობა“, „კარბელაანთ კილო“ (I ნაწ. „მწყემსი“ 1897 და II ნაწ. „ცისკარი“ 1898 წ.), ამ კრებულებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

2011 წლის 20 დეკემბრის წმიდა სინოდის განჩინებით ეპისკოპოსი სტეფანე წმინდანად შეირაცხა.

† ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია)



ეპისკოპოსი ალექსი, ერისკაცობაში ალექსანდრე ილარიონის ძე გერსამია დაიბადა 1865 წლის 14 აპრილს ქუთაისის გუბერნიის სოფელ გადიდში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველ დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში,რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ 1888 წელს დანიშნულ იქნა მესტიის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად. 1890 წელს ფოთის საკათედრო ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ალექსანდრე გერსამია დიაკვნად აკურთხა. 1891 წელს იგი აკურთხეს მღვდლად და განაწესეს ღალაშის ეკლესიაში. 1893 წელს მამა ალექსანდრე დაინიშნა ლეჩხუმ-სვანეთის საეკლესიო სამრევლო სკოლების კეთილმოწესედ და ცაგერის ტაძრის წინამძღვრად. 1906-1925 წლებში მამა ალექსი იყო ქუთაისის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი,ქუთაისის პროგიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი. მამა ალექსი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის I,II,III საეკლესიო კრებების მუშაობაში,მხარს უჭერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქს,უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის, 1925 წლის 8 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ მამა ალექსი ეპისკოპოსად აკურთხა და ჩააბარა ცაგერის ეპარქია. 1928 წლის 2 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის ლოცვაკურთხევით გადაყვანილ იქნა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად, 1930 წლის 1 სექტემბერს გადაყვანილ იქნა წილკნის ეპარქიის მმართველად. ვინაიდან ამ დროს წილკნის საკათედრო ტაძარი ადმინისტრაციული წესით იყო დახურული მეუფე ალექსი სვეტიცხოველში წირავდა. ყოფილა ისეთი დღეებიც, როდესაც მას თვითონ უხდებოდა წირვის დროს წიგნის მკითხველის, მგალობლის,დიაკვნისა და მღვდლის მოვალეობის შესრულებაც... ეპისკოპოსი ალექსი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1938 წლის 7 თებერვალს თბილისში №1 საავადმყოფოში. განსვენებულს წესი აუგო უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ, იგი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

† მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე)



მიტროპოლიტი ვარლამი, ერისკაცობაში ვარლამ მელიტონის ძე მახარაძე, დაიბადა 1873 წლის 26 მარტს მედავითნის ოჯახში. 1895 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1895-1897 წლებში მედავითნედ მსახურობდა თბილისის ღვთისმშობლის სახელობის დიდუბის ეკლესიაში, იქვე სამრევლოსაეკლესიო სკოლაში ასწავლიდა საღვთისმეტყველო საგნებს. 1897 წლის მაისში იგი აკურთხეს მღვდლად და 7 იენისს გამწესებულ იქნა სოფელ კავთისხევში ეკლესიის წინამძღვრად. 1899 წლის 1 სექტემბერიდან 1914 წლის 20 ოქტომბრამდე მსახურობდა ფოთის საკათედრო ტაძარში, სადაც დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა ეპისკოპოს დიმიტრისთან (აბაშიძე), რომელიც გამოირჩეოდა თავისი ანტიქართული საქმიანობით. 1914 წლიდან საქართველოს ეგზარქოსის მიერ გადაყვანილ იქნა ერევნის საოსტატო სემინარიისა და ქალთა მეორე გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებლად და სემინარიის კარის ეკლესიის მღვდლად. 1915 წლის 12 მაისიდან ყარსის სამხედრო ჰოსპიტლის მღვდელია. 1916 წლის 28 ოქტომბრიდან ერევნის ჰოსპიტლის მღვდელმსახურია. 1918 წლის 18 ოქტომბერს დაინიშნა თბილისის №1 საქალებო გიმნაზიისა და ვაჟთა №7 გიმნაზიის პედაგოგად.

1919 წლის 1 თებერვალს დაინიშნა ოზურგეთის ვაჟთა პროგიმნაზიის მათემატიკისა და უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად. 1919 წლის 12 აპრილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებაში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის მომხრეები და „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრები, 1926 წლის 7 მარტს უწმიდესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით ვარლამი აღყვანილ იქნა მარგვეთის ეპისკოპოსის ხარისხში. მეუფე ვარლაამი უყოყმანოდ დადგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის გვერდით... 1929 წლის 12 თებერვალს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის ქრისტეფორე III-ის ლოცვა-კურთხევით გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად, 1930 წლის 25 ოქტომბერს მიენიჭა მიტროპოლიტის წოდება. მეუფე ვარლამს ურთულეს ეპოქაში და ურთულეს ეპარქიაში მოუწია მღვდელმთავრობამ. ეკლესიების უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დახურეს. 1934-1937 წლებში იგი საერთოდ გამოაძევეს ეპარქიიდან.

1937 წლის 7 იელისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულმა ტერორმა, დასმენებმა თავისი გაიტანა... მიტროპოლიტი ვარლამი დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა 1943 წელს, მისი საფლავი დაკარგულია.

† ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი)



ეპისკოპოსი იეროთეოზი, ერისკაცობაში იეროთე მოსეს ძე აიუაზაშვილი,დაიბადა 1862 წლის 6 ნოემბერს თელავის მაზრის სოფელ ყვარელში მედავითნის ოჯახში. თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1886 წელს სემინარიელ იოსებ ლაღიაშვილის მიერ რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის შემდეგ სემინარიაში დაიწყო ქართველი სტუდენტებისა და მასწავლებლების სასტიკი დევნა-შეეწროება,მაგრამ იეროთე აივაზაშვილმა მოახერხა უხიფათოდ დაესრულებინა სასწავლებელი 1888 წელს. იმავე წლის 14 ნოემბერს ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ეკლესიაში, 1889 წლის 24 აპრილს ხელდასხმულ იქნა მღვდლად თელავის მაზრის სოფელ შილდაში. 1889-1890 წლებში მ სწავლებლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1901 წლის 19 მარტიდან გამწესებულ იქნა თბილისის ჯამბაკურ-ორბელიანის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, 1903 წლის 3 მარტს გადაყვანილ იქნა წმიდა ეკატერინეს ეკლესიაში, 1907 წლის 20 სექტემბერს გადაყვანილ იქნა ხარფუხის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, 1916 წლის 8 დეკემბრიდან თბილისის სამების ეკლესიის წინამძღვარი. ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის 1897 წელს დაჯილდოდა საგვერდულით, 1902 წელს – სკუფიით, 1913 წელს – კამილავკით, 1918 წელს – ოქროს ჯვრით, 1919 წელს აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში,1920 წელს დაჯილდოდა ენქერით. 1928 წლის 16 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის ლოცვა-კურთხევით აკურთხეს ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. მის ეპისკოპოსად კურთხევას მხარი დაუჭირეს მიტროპოლიტებმა: დავითმა (კაჭახიძე), კალისტრატემ (ცინცაძე), იოანემ (მარღიშვილი),ეპისკოპოსებმა: პავლემ (ჯაფარიძე),სიმეონმა (ჭელიძე),ეარლაამმა (მახარაძე). წინააღმდეგი იყო ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი). 16 დეკემბერს სვეტიცხოველში შესრულდა მისი კურთხევა და იგი დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად, 1929 წლიდან დროებით განაგებდა ბოდბის ეპარქიასაც. ეპისკოპოსი იეროთეოზი იყო მოკრძალებული კაცი, თითქმის შეუმჩნეველი. უმძიმეს ვითარებაში მოუხდა მას მღვდელმთავრობა. ბოლშევიკური ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა სასულიერო პირებს,უწესებდა აუტანელ გადასახადებს და გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით ხურავდა ეკლესიებს. ასე დაიხურა მრავალი ეკლესია-მონასტერი ნინოწმინდის ეპარქიაშიც. 1941 წლის 1 სექტემბერს ეპისკოპოსმა იეროთეოზმა განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. იგი მძიმედ იყო ავად. 1942 წლის 28 ოქტომბერს ეპისკოპოსი იეროთეოზი გარდაიცვალა თბილისში. იგი დაიკრძალა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

† ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი)



ეპისკოპოსი ტარასი, ერისკაცობაში იაკობ გიორგის ძე კანდელაკი, დაიბადა 1871 წელს გორის მაზრის სოფელ კოხტისხევში. ყმაწვილი იაკობი მშობლებმა თბილისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც 1890 წელს დაასრულა, შემდეგ სწავლობდა ქვათახევის სამონასტრო სკოლაში. 1891 წლის 4 აგვისტოდან ამავე მონასტრის მედავითნეა. 1899 წლის 6 აპრილიდან პირადი თხოვნით გადაყვანილ იქნა ჰერეტის ოლქის სამრეველოში სოფელ ქოთუჭალის ეკლესიის მედავითნედ. ახალგაზრდა იაკობი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ინგილოთა შორის, ეხმარებოდა მათ.

1900 წლის თებერვლიდან იაკობ კანდელაკი გადმოყვანილ იქნა ალავერდის ეპარქიაში, იმავე წლის 4 მაისს ალავერდელმა ეპისკოპოსმა კირიონმა ბერად აღკვეცა ალავერდის მონასტერში და უწოდა სახელად ტარასი, 16 მაისს ყოელად უსამღვდელოესმა კირიონმა შუამთის მონასტერში აკურთხა იეროდიაკვნად, 17 მაისს — მღვდელმონაზვნად და დაინიშნა შუამთის მონასტრის იკონომოსად. 1902 წელს დაჯილდოებულ იქნა საგვერდულით. 1900 წლის 22 ივლისიდან არქიმანდრიტი ტარასი დაინიშნა ალავერდისა და თეთრი გიორგის ეკლესიების იკონომოსად. 1902 წლის 25 ოქტომბრიდან იგი გადაყვანილ იქნა წმიდა სტეფანეს სახელობის მონასტრის წინამძღვრად ხირსაში. არქიმანდრიტი ტარასი იყო ეპისკოპოს კირიონის ერთგული თანაშემწე და თანამებრძოლი. 1903 წლის 4 სექტემბრიდან, როდესაც ეპისკოპოსი კირიონი გადაყვანილ იქნა ხერონისა და ოდესის ეპარქიაში, არქიმანდრიტი ტარასი თან გაჰყვა მეუფეს და ასრულებდა აღნიშნული ეპარქიის ხაზინადარის მოვალეობას. 1904 წლის 10ივნისიდან ორიოლის ეპარქიის იკონომოსია, 1904 წლის 30 ივლისიდან შეთავსებით მუშაობდა ორიოლის საეკლესიო არქეოლოგიური მუზეუმის გამგედ. 1906 წელს არქიმანდრიტი ტარასი ეპისკოპოს კირიონთან ერთად მოღვაწეობდა სოხუმის ეპარქიაში. იგი ეპარქიის ქართველ მოღვაწეთა,დიაკონთა და მედავითნეთა კურთხევის კომისიას ხელმძღვანელობდა,ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდა უპოვარ ადამიანებს, ქვრივ-ობლებს.

არქიმანდრიტი ტარასი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში გამართულ პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. 20 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის მიერ დანიშნულ იქნა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად. 1918 წლის 26 ივნისს,დილის 5 საათზე არქიმანდრიტი ტარასი უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-სთან ერთად გაემგზავრა მარტყოფის მონასტერში, 11 საათზე ჩაიდნენ მარტყოფში, მცირედ დაისვენეს, პატრიარქი შეუდგა მუშაობას (ამ დროს იგი „საქართველოს კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“-ს ქართულ ვარიანტს ასწორებდა). გათენდა 27 ივნისი. უწმიდესი პატრიარქი წესისამებრ დილის 5 საათზე დგებოდა, გახდა 6 საათი, პატრიარქის ოთახიდან არავითარი ხმა არ ისმოდა... შეაღეს მისი საძინებლის კარები... პატრიარქი კირიონ II სისხლში ცურავდა. იქვე ეგდო მისი ბრაუნინგი... ყველას თავზარი დაეცა, ვინ შეეძლო მალულად პატრიარქის ოთახში ისე, რომ წინა ოთახში მყოფმა არქიმანდრიტმა ტარასიმ და მისმა თანმხლებმა ვასილ კბილაშვილმა ვერ გაიგეს ბრაუნინგის გასროლის ხმა? ეს კითხვები პასუხგაუცემელ კითხვებად დარჩა. არქიმანდრიტი ტარასი დაუყოვნებლივ თბილისში გამოემგზავრა

და მომხდარი ტრაგედიის შესახებ შეატყობინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს.

1925 წლის 25 ოქტომბერს არქიმანდრიტი ტარასი ეპისკოპოს იოანეს (მარღიშვილი) მიერ დაინიშნა სოფელ საქობიოს წმიდა სტეფანეს ეკლესიის წინამძღვრად. ბოდბელ ეპისკოპოსად სტეფანეს (კარბელაშვილი) დადგენის შემდეგ ურთიერთობა ახალ მღვდელმთავარსა და არქიმანდრიტ ტარასის შორის დაიძაბა. იგი არ ემორჩილებოდა მღვდელმთავარს. დაპირისპირების გაღრმავების თავიდან ასაცილებლად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტფორე III-მ, რომელიც 1918 წლის შემდეგ დაუახლოვდა არქიმანდრიტ ტარასის, იგი გადმოიყვანა თბილისის კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის წინამძღვრად, ხოლო 1931 წლის 29 ნოემბერს გადაიყვანა ქ. ორჯონიკიძის (ვლადიკავკაზის) წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვრად. ვლადიკავკაზის ქართველობისათვის ეს ეკლესია ქართულ სკოლასთან ერთად დედა სამშობლოსთან სულიერი კავშირის საშუალება იყო.

არქიმანდრიტი ტარასი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას. მაგრამ წინააღმდეგობები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1933 წელს არქიმანდრიტი ტარასი შექმნილი პრობლემების შესახებ დაწერილებით წერდა უწმიდეს კალისტრატესადმი გამოგზავნილ წერილში, – გვავიწროებენ, უნდათ ქალაქის განაპირა ადგილზე გაგვყარონო. 1933 წლის 25 ივლისს ვლადიკავკაზის ქართველობა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატესადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდნენ: „გვართმევენ შენობას, ქუჩაში გვერეკებიან, დაგვანებონ თავი, თუ არა დავიფანტებით აქაური ქართველობა უცხო მხარეში და მთლად რჯულზედ აგვაღებინებენ ხელს. ისედაც გულშეწუხებულთ და გადარჯულებულთ. თვით ჩვენი მღვდელიც არქიმანდრიტი ტარასი აღარ დადგება აქ და სხვა მღვდელს ვერ მოვითხოვთ და რომ მოვითხოვთ კიდეც სად წავიყვანოთ, თუკი ეკლესია აღარ გვექნება.“

1933 წლის იანვარში არქიმანდრიტმა ტარასი კანდელაკმა ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში მონათლა პატარა ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი. ჭაბუკის ნათლია იყო მონაზონი ზოილე დვალიშვილი... 1938 წლის 24 თებერვალს, როცა მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, გააუქმეს ვლადიკავკაზის ქართული ეკლესია, არქიმანდრიტი ტარასი დაბრუნდა სამშობლოში. თუმცა არც აქ იყო მშვიდობა, ქალაქ თბილისის ფინგანის გამგე უწმიდეს კალისტრატეს წერდა, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ დაებეგრათ არქიმანდრიტი ტარასი. 1938 წლის 27 მარტს არქიმანდრიტი ტარასი დაინიშნა სვეტიცხოველის მონასტრის წინამძღვრის მოადგილედ. იგი 1939 წლის 19 მარტს აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩაბარდა წილკნის ეპარქია. ეპისკოპოსი ტარასი წირავდა სვეტიცხოველის ტაძარში. 1945 წლის 10 ოქტომბერს დაჯილდოვდა კუნკულ-ბარტყულზე თელიანი ჯვრით. რაც უფრო ემატებოდა ასაკი, ჯანმრთელობას უჩიოდა, ხშირად ავადმყოფობდა. გარდაიცვალა 1951 წელს, დაკრძალეს სვეტიცხოველის ტაძრის გალავანში.

† ეპისკოპოსი დიმიტრი (ლაზარიშვილი)



ეპისკოპოსი დიმიტრი, ერისკაცობაში დიმიტრი ივანეს ძე ლაზარიშვილი, დაიბადა 1870 წლის 16 სექტემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ ჯიმითში. 1889 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ საქართველოს ეგზარქოსის პალადის წინადადებით გამოეიდა სემინარიიდან და 1890 წლის 21 იანვარს იგი აკურთხეს დიაკვნად და სიონის ეკლესიის წიგნის მკითხველად, 1897 წლის 28 მაისიდან ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვანია. 1904 წლის 29 თებერვალს ხელდასხმულ იქნა მღედლად დიაკვნის ადგილზე ქაშუეთში. 1907 წლიდან იმავე ეკლესიის შტატის მღედელია. 1906-1907 წლებში მუშაობდა საქართველოს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად და ხაზინადარად. 1908-1912 წლებში პარალელურად მუშაობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის ეკლესიების შემოსავალ-გასავლის წიგნების შემმოწმებელი კომისიის წევრად. 1914 წლის 24 იელისს დაინიშნა მღედელმსახურად საველე მოძრაე ჰოსპიტალში №481 – ბრძოლის ველზე (დასავლეთის ფრონტზე). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის აეტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1918-1920 წლებში, თბილისის საოლქო კრების არჩევით ასრულებდა თბილისის საეპარქიო საბჭოს წევრის მოვალეობას. 1919 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1919-1923 წლებში მუშაობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სამეურნეო ნაწილის გამგედ. 1923 წლის 13 იანვარს დეკანოზი დიმიტრი ლაზარიშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა. იგი გაასამართლეს და მიუსაჯეს 5 წლიანი პატიმრობა, მაგრამ გაათავისუფლეს ამინისტიის საფუძველზე 1 წლისა და ორი თვის შემდეგ. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ დაუბრუნდა ქაშუეთის ეკლესიას. 1925 წლის 17 იენისს დაინიშნა თბილისის ოლქის მთავარსუცესის თანაშემწედ, 1926 წლის 17 თებერვალს – საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს სამეურნეო ნაწილის გამგედ. 1927 წლის 26 ივნისიდან დეკანოზი დიმიტრი ლაზარიშვილი საკათოლიკოსო სინოდის წევრია. 1930 წელს დაინიშნა ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად. ამ თანამდებობაზე იყო 1943 წლის მაისამდე.

1943 წლის 23 მაისს დიმიტრი ლაზარიშვილი ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. ეპისკოპოსი დიმიტრი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. მეუფე დიმიტრი მართალია იწოდებოდა ნინოწმინ-დელად, მაგრამ შექმნილი რთული ვითარების გამო (ეპარქიაში არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია ს.ე.) წირავდა ქაშუეთის ეკლესიაში. 1947 წლის 8 ნოემბერს იგი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის ქაშუეთის ეკლესიაში.

† მიტროპოლიტი ანტონი (გიგინეიშვილი)



მიტროპოლიტი ანტონი, ერისკაცობაში სიმონ შევარდენის ძე გიგინეიშვილი, დაიბადა 1882 წელს ქ. სოხუმში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოხუმის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა მასწავლებლად გუდაუთის სკოლაში. ამ ფაქტმა წონასწორობა დააკარგვინა დეკანოზ ივანე ეოსტორგოვს, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ამ ფაქტს, ვინაიდან მისი აზრით ქართველ მასწავლებელს შეეძლო აფხაზების გაქართველება. 1914 წელს სიმონ გიგინეიშვილი ხელდასხმულ იქნა მღვდლად და მსახურობდა სამხედრო პოლკში. პირველი მსოფლიო ომის დროს სასულიერო საქმიანობას ეწეოდა სტავროპოლის ეპარქიაში. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის ლოცვაკურთხევით 1922 წელს დაინიშნა სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად. ურთულეს პირობებში უხდებოდა მას სოხუმში მოღვაწეობა, მაგრამ იგი მოთმინებითა და დიდი ტაქტით ახერხებდა არსებული პრობლემების მოგვარებას. 1952 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს წინადადებით მღვდელი სიმონ გიგინეიშვილი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ანტონი. იგი იმავე წელს ხელდასხმულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1954 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

მიტროპოლიტი ანტონ გიგინეიშვილი გარდაიცვალა 1956 წლის 24 ნოემბერს 74 წლის ასაკში. განსვენებულს წესი აუგო ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძემ), რომელმაც მიტროპოლიტი ანტონი დაახასიათა როგორც ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო პირი, რომელიც იყო თავმდაბალი, ტაქტიანი განათლებული და პატრიოტი და რომლის გარდაცვალება იყო დიდი დანაკლისი ქართული ეკლესიისათვის. იგი დაიკრძალა სოხუმში.

† მიტროპოლიტი გაბრიელი (ჩაჩანიძე)



მიტროპოლიტი გაბრიელი, ერისკაცობაში გაბრიელ ზაქარიას ძე ჩაჩანიძე, დაიბადა 1901 წლის 1 იანვარს გორის მაზრის სოფელ ერთაწმინდაში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისის ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, 1913 წელს სწვლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ისტორიის სპეციალობით. მისი მასწავლებლები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, გრიგოლ წერეთელი. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად იგი მუშაობდა ძველი ქართული ხელნაწერების განყოფილებაში, ისტორიას ასწავლიდა სკოლაში. 1929 წლის 18 აპრილს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე ასპირანტად, რომელიც დაამთავრა 1933 წელს, 1930 წელს გაბრიელ ჩაჩანიძე დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის ლექტორად,ამავე დროს იგი კითხულობდა ისტორიის სწავლების მეთოდიკის კურსს. 1935 წლიდან იგი გადაყვანილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კურსებს. 1936 წელს გაბრიელ ჩაჩანიძე დაინიშნა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგედ, 1939-1942 წლებში შეთავსებით მუშაობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგედ. 1942 წლის 20 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ალექსანდრე მაკედონელის იბერიაში ლაშქრობის საკითხისათვის.“ საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი,ორი წლის შემდეგ გაბრიელ ჩაჩანიძეს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში გაწეული წვლილისათვის გაბრიელ ჩაჩანიძე დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის 1941-1945 წლებში.“ მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც მსოფლიო ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, საერო ცხოვრების ასპარეზზე კიდევ უფრო წინსვლა ელოდა. 1948 წლის აგვისტოში გაბრიელ ჩაჩანიძემ განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს და ითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამსახურში მიღება. მისი ეს გადაწყვეტილება იყო შოკის მომგვრელი იმ მეცნიერული საზოგადოებისათვის, სადაც გაბრიელ ჩაჩანიძე მოღვაწეობდა. ბევრი კიცხავდა მას, იყვნენ ისეთებიც, ვინც ათასგვარ ცილისწამებას აერცელებდა მასზე, ზოგიერთი უწმიდეს კალისტრატეს ურჩევდა,არ მიეღო სამსახურში,თორემ გაბრიელ ჩაჩანიძე მას პატრიარქობას წაართმევდა.

1948 წლის 15 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გაბრიელ ჩაჩანიძე აკურთხა დიაკვნად. 19 აგვისტოს – მღვდლად სიონის საკათედრო ტაძარში და დაინიშნა სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად.

1949 წლის 7 იანვარს იგი აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და გადმოყვანილ იქნა სიონის საკათედრო ტაძარში, ამავე დროს ასრულებდა კათოლიკოსპატრიარქის

მდივნის თანაშემწის მოვალეობას. 1949 წლის 20 დეკემბერს,საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით,სოხუმის საკათედრო ტაძარში დეკანოზი გაბრიელი ბერად აღკვეცეს. 1951 წლის 15 თებერვალს იგი აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ალავერდის ეპარქიის მმართველად. 1953 წლის დასაწყისში ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპისკოპოსია, 1953 წლის 29 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ქუთათელ-გაენათელად,მიენიჭა მიტროპოლიტობა. ქუთაისში პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი წამყვანი პროფესორი დაბრუნდა როგორც ეპარქიის მღვდელმთავარი. მიტროპოლიტ გაბრიელს რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I სთავაზობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ისტორიის კურსის ხელმძღვანელობას. მას,როგორც განათლებულ და დახვეწილ სასულიერო მაღალ იერარქს, ჰქონდა დიდი მომავალი, მაგრამ იგი 1956 წლის 3 ივლისს უეცრად გარდაიცვალა... მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავალი ვერსია იყო... თუმცა რა მოხდა ზუსტად არავინ არ იცის... მეუფე გაბრიელს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ. იგი დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძრის გალავანში.

† ეპისკოპოსი გობრონი (წკრიალაშვილი)

ეპისკოპოსი გობრონი, ერისკაცობაში მიხეილ ეფრემის ძე წკრიალაშვილი, დაიბადა 1899 წლის 21 ნოემბერს თბილისში. მამა ეფრემი წარმოშობით გორის მაზრის სოფელ შავშვებიდან იყო. 1907-1912 წლებში სწავლობდა კუკიის პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო ოთხწლიან სკოლაში. 1912-1916 წლებში თბილისის სახელოსნო ოთხწლიან სამოქალაქო სასწავლებელში, 1916-1918 წლებში ინტენსიურად ემზადებოდა სწავლის გასაგრძელებლად. 1918 წლის იანვარში ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, აკაკი შანიძის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის ლექციებს. 1918 წლის 4 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით აღიკეცა ბერად და მიწერილ იქნა საკათალიკოსო სასახლის კარის ეკლესიაზე. 1919 წლის 28 ივნისს უწმიდესისა და უნეტარესი ლეონიდეს მიერ ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად სიონის საპატრიარქო ტაძარში. 1919 წლის 20 დეკემბერს ყოვლადსამღვდელო ალაქერდელი ეპისკოპოსის პიროსის განკარგულებით დაინიშნა ბოდბის დედათა მონასტრის იეროდიაკვნად. 1921 წლის 25 დეკემბერს აღყვანილ იქნა მთავარდიაკვნის ხარისხში. ამავე დროს ასრულებდა საქმის მწარმოებლის მოვალეობას ალავერდის ეპარქიაში. მამა გობრონის თვალწინ გაიარა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების საშინელმა რეპრესიებმა, სასულიერო პირების დევნა-შევიწროებამ, ალავერდელი ეპისკოპოსის პიროსის (ოქროპირიძე) მძიმე მდგომარეობამ. 1925 წლის 25 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოს ქრისტეფორეს მიერ იგი განთავისუფლებულ იქნა ხსენებული თანამდებობიდან და გაემგზავრა სომხეთში, სადაც 1930-1935 წლებში სწავლობდა ერევნის სამედიცინო ინსტიტუტში, ვეტერინარიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა ცხინვალის რაიონში ვეტექიმად. 1935-1941 წლებში მუშაობდა ზემო აჭყალის მცირეწლოვანთა კოლონიის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგედ.

1941-1945 წლებში წალკის რაიონის მთავარი ექიმია. 1945-1946 წლებში გორის რაიონის მთავარი ექიმია.

1946-1950 წლებში მუშაობდა მარნეულის რაიონის მთავარ ექიმად. გობრონ წკრიალაშვილმა 51 წლის ასაკში კვლავ მშობელ ეკლესიას მიაშურა. მან ერცელი წერილით მიმართა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ეფრემს (სიდამონიძე) და ითხოვა სასულიერო ხარისხში აღდგენა. მეუფე ეფრემმა ამის შესახებ მოახსენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდეს კალისტრატეს, რომელმაც დართო ამის ნება. 1950 წლის 27 იანვარს გობრონი აღდგენილ იქნა იეროდიაკვნის ხარისხში, 28 იანვარს ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძარში და იქვე დაინიშნა მესამე მღვდლის ადგილზე. 1950 წლის 8 თებერვალს გადაიყვანეს სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმონაზვნად და სოხუმის ოლქის კეთილმოწესედ. 1951 წლის 21 აპრილიდან თბილისის კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაშია. 1951 წლის 10 ოქტომბრიდან მღვდელმონაზონი გობრონი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და სვეტიცხოვლის წინამძღვრის მოადგილედ დაადგინეს. სვეტიცხოველში მსახურების დროს ბერძენი ტურისტები შემოსულან ტაძარში. არქიმანდრიტი გობრონი გამოლაპარაკებია და ბერძნულ ენაზე მეგზურობა გაუწევია მათთვის. მან ასევე ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული, რუსული და სომხური ენები. 1954 წლის 2 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით მძიმედ დასნეულებული არქიმანდრიტი გობრონი გამოცხადდა წილკნის ეპისკოპოსად. 3 იანვარს იგი ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად სიონის საპატრიარქო ტაძარში. „ვიცი, მომაკვდავი ვარ, – აღნიშნა მან, – მაგრამ ისეთი მადლი გადმოდის ეპისკოპოსად კურთხევის დროს კურთხეველზე, რომ ვინ იცის, იქნებ ღმერთმა ინებოს და გამომაჯანმრთელოს და მეც შევძლო ეპისკოპოსად მოღვაწეობა.“ ზუსტად 48 დღე იყო მეუფე გობრონი წილკნის ეპისკოპოსი, ისე გარდაიცვალა, სამღვდელმთავრო წირვა-ლოცვა ვერ აღასრულა. დაკრძალეს სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის გალავანში.

† მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა)



მიტროპოლიტი ზინობი, ერისკაცობაში ზაქარია აკიმის ძე მაჟუგა, დაიბადა 1896 წლის 14 სექტემბერს ჩერნოგოვის გუბერნიის ქ. გლუხოვოში. სამი წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა, 11 წლისას – მამა. ბავშვობიდან იგი გლინის უდაბნოს სავანეს მიეკედლა, სადაც სამკერვალო სახელოსნოში მოწაფედ მიებარა. 1912 წლიდან გლინის უდაბნოს მორჩილია. გლინის უდაბნოს წესდებით, რა ასაკისა და განათლებისაც არ უნდა ყოფილიყო ახლადდამწყები, მორჩილების განსაკუთრებული საფეხურები უნდა გაევლო: სასტუმროში (6 თვე), სამრეცხაოში (1 ან 2 წელი) თუ მორჩილი მონასტრული ცხოვრებისათვის გამოდგებოდა, მას სხვა მორჩილებას აძლევდნენ,რომელიც სპეციალურ ჩვევას ითხოვდა: სამზარეულოში,საცხობში,სამკერვალო სახელოსნოში. 1916 წელს მორჩილი ზაქ რია მაჟუგა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, საიდანაც ფრონტის ხაზზე რიგით ჯარისკაცად იმ ნაწილში მოხვდა, რომელსაც ნიკოლოზ II-ის ბიძა მიხეილ ხელმძღვანელობდა. 1917 წელს ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს. იგი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღეს გლინის სავანეში აღიკვეცა ბერად და მღვდელმოწამე ზინობ ეგესელის პატივსაცემად უწოდეს სახელი ზინობი. 1922 წელს საქართველოში დრანდის მონასტერში იწყებს მთაავრდიაკვნობას. 1925 წლის 18 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდის ავლით რუსული ეკლესიის ეპისკოპოსმა ნიკონმა მამა ზინობი მღვდელმონაზვნად აკურთხა. 1927 წლიდან მამა ზინობი სოხუმის ეპარქიაში წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარია, 1925-1930 წლებში სოხუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძარშია, 1930-1936 წლებში როსტოვის სოფიის ტაძარში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ მამა ზინობი მცხეთის წმიდა ოლღას სახელობის მონასტრის მღვდელმსახურია. 1944-1945 წლებში თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარშია. 1945-1947 წლებში მამა ზინობი სომხეთის რესპუბლიკის სოფელ კიროვოს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. 1947-1950 იყო წლებში იგი ბათუმის სასაფლაოს სულიწმიდის ტაძრის წინამძღვარი. მის დროს ტაძარი მთლიანად აღსდგა და მრავალი ხატით შეიესო. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს მიერ 1950 წელს იგი აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვრად, ამავდროულად იგი ასრულებდა საქართველოსა და სომხეთში არსებული რუსული მრევლის კეთილმოწესის მოვალეობასაც. 1952 წლის 11 ივნისიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრია. 1953 წელს დაჯილდოვდა მეორე გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლებით, 1954 წელს – არქიმანდრიტის კვერთხით. 1956 წლის 29 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის გადაწყვეტილებით (სინოდის წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო) არქიმანდრიტი ზინობი ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად. 1957 წლის 6 მარტს ეპისკოპოსი ზინობი დაინიშნა უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III-ის მეორე ქორეპისკოპოსად წოდებით „ეპისკოპოსი სტეფანოვანისა.“ 1960 წლიდან კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ II-ის გადაწყვეტილებით მეუფე ზინობს ეწოდა თეთრიწყაროელი ეპისკოპოსი, ამავე დროს იგი რჩებოდა თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვრად.

ეპისკოპოსმა ზინობმა 1957 წლის 16 აპრილს სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში ბერად აღკვეცა ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი და უწოდა სახელი ილია.

1958 წლის ნოემბერში მეუფე ზინობი დაჯილდოვდა სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით. 1972 წლის 8 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ დავითის (დევდარიანი) მიერ მიებოძა მიტროპოლიტობა. მიტროპოლიტი ზინობი დაჯილდოებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულთასწორის ნინოს I და II ხარისხის ორდენებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულთასწორის დიდი თავად ელადიმერის I და II ხარისხის ორდენებით და ჩეხეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულთა სწორთა კირილესა და მეთოდეს II ხარისხის ორდენებით.

1977 წლის 24 დეკემბერს მიტროპოლიტი ზინობი თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში შეხვდა და მიესალმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ პატრიარქს პიმენს. მიტროპოლიტი ზინობი ახლდა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს 1978 წლის მარტში მოსკოვში ვიზიტის დროს. 35 წლის მანძილზე მიტროპოლიტი ზინობი ტაძრის გვერდით მოკრძალებულ სენაკში ცხოვრობდა. ეს პატარა ოთახი იყო მისი კაბინეტიც და საძინებელიც. 1984 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს), ღირსი სერაფიმე საროველის ხსენების დღეს, მეუფე ზინობმა ლიტურგია აღასრულა, ფეხების სისუსტე იგრძნო და მას შემდეგ უკვე თავის სენაკს მიეჯაჭვა, რადგან სიარული გაუძნელდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა. მაგრამ იმავე წლის 19 დეკემბერს წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ანაფორა ჩაიცვა, თავად წავიდა ტაძარში და ლიტურგიის შემდეგ ლოცვაზეც კი გამოვიდა. ამ დღიდან გარდაცვალებამდე მას აღარ დაუტოვებია სენაკი.

1985 წლის 8 მარტს მიტროპოლიტი ზინობი გარდაიცვალა, 14 მარტს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სიონდის წევრებთან. 1950 წლიდან 35 წლის განმავლობაში იგი მწყემსავდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის მრევლს. მიტროპოლიტი დაიკრძალა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში.

† მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე)



მიტროპოლიტი ნაუმი, ერისკაცობაში ნაომ გრიგოლის ძე შავიანიძე, დაიბადა 1889 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ოხომირაში, სასულიერო პირის ოჯახში. მამა გაბრიელ შავიანიძე იყო დეკანოზი. 1904 წელს ნაომ შავიანიძემ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. მისი გიმნაზიელი მეგობარი იყო შემდგომში ცნობილი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე, რომელთანაც კონტაქტი არასდროს არ გაუწყვეტია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა სოფელ ცუცხვათის ეკლესიის მედავითნედ. 1905 წელს სოფელ ოხომირაში დააარსა საკუთარი სკოლა, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდა გლეხის შვილებს. 1916 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ხელი დაასხა ქუთაისის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკვნად. 1918 წლის დასაწყისში ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) მიერ იკურთხა მღვდლად და გამწესებულ იქნა ოხამირას მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში. 1921 წელს მამა ნაომი შეთავსებით ქუთაისის სამრეკლო სკოლების განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელიც ჩატარდა 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში და მხარს უჭერდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) კანდიდატურას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე. 1924-1929 წლებში ჭოგნარის მაცხოვრის ეკლესიის წინამძღვარია.

1929 წელს მამა ნაომი დაინიშნა ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიის წინამძღვრად. ამ ეკლესიაში მსახურობდა იგი 1941 წლამდე, ვიდრე ხელისუფლებამ 1941 წელს ადმინისტრაციული წესით არ დაკეტა იგი. 1943 წელს იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ თბილისის სიონის ტაძრის მოძღვრად გადაიყვანა, იმავდროულად იგი ასრულებდა სინოდის მდივნის მოვალეობას.

მამა ნაომი მონაწილეობდა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიებს შორის მოლაპარაკებაში, რომელიც 1943 წელს გაიმართა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია.

1945 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე იმყოფებოდა მოსკოვში რუსეთის პატრიარქის ალექსი I-ის აღსაყდრებაზე მას თან ახლდა სიონის ტაძრის დეკანოზი ნაომი. ამის შემდეგ იგი არაერთხელ ყოფილა მოსკოვში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში. 1955 წელს ეჩმიაწინში მამა ნაომი ესწრებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის ვაზგენ I-ის აღსაყდრებას. 1947 წელს დეკანოზი ნაომი დაჯილდოვდა მიტრით და დაუბრუნდა ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიას. 1956 წლის 3 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი გაბრიელი (ჩაჩანიძე). უწმიდესისა და უნეტარესის, მელქისედეკ III-ს ბრძანებით დეკანოზი ნაომი დაინიშნა ეპარქიის მთავარხუცესად. 1957 წლის 7 იანვარს იგი აკურთხეს ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსად.

1958 წელს მეუფე ნაომი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით. მეუფე ნაუმის თავმდაბლობა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა 1959 წელს, როდესაც იგი თბილისში დაიბარა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ და სთხოვა დათანხმებულიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქის მოსაყდრეობას,მაგრამ მეუფე ნაომმა თავაზიანად მიანიშნა პატრიარქს,რომ მოსაყდრეობისათვის ყველაზე ღირსეული მიტროპოლიტი იყო ეფრემი (სიდამონიძე). მისმა პოზიციამ ბოდბელ დიმიტრისთან (იაშვილი) ერთად გადაწყვიტა მე-10 საეკლესიო კრებაზე მიტროპოლიტ ეფრემის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის საკითხი. 1964 წელს ეპისკოპოსი ნაომი წმიდა ნინოს ორდენით დაჯილდოვდა, 1967 წელს მას მიტროპოლიტობა ებოძა.

1969 წლის 3 მარტს იგი გარდაიცვალა ქუთაისში. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ასეთი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: „ჩემი უძვირფასესი ნაომის გარდაცვალების გამო ვერ მოგახსენებთ სამძიმარს,რადგან ყველამ მე უნდა მითხრას სამძიმარი ყველაზე მძიმე დანაკლისით შეწუხებულს.“. განსვენებულს წესი აუგეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ (შიოლაშვილი). მიტროპოლიტი ნაომი დაიკრძალა ქუთაისში, პეტრე-პაელეს ეკლესიაში.

† მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი)



მიტროპოლიტი დიმიტრი, ერისკაცობაში დავით ილარიონის ძე იაშვილი,დაიბადა 1872 წლის 15 დეკემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1888-1896 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლის პერიოდი დაემთხვა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ ქართველი მასწავლებლებისა და მოსწავლეების დევნა-შევიწროების გაძლიერების ხანას. ამ ნიადაგზე სემინარიაში არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება და შფოთი. სემინარიიდან გარიცხული მოსწავლეების უმრავლესობამ ახლადშექმნილ მარქსისტულ ჯგუფებში გადაინაცვლა. ახალგაზრდა დავით იაშვილმა შეინარჩუნა სულიერი სიმშვიდე და არჩეული გზის ერთგულება. სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი 1896-1898 წლებში მსახურობდა მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყებათა სკოლების მასწავლებლად. 1898 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა საქობის ეკლესიის წინამძღვრად. ამავე დროს ასრულებდა სიღნაღის ეპარქიალური სასწელებლის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

1912 წელს მამა დავითი გადმოყვანილ იქნა თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვრად,აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. ამის შემდეგ იგი ძირითადად თბილისის ეკლესიებში მსახურობდა. მამა დავითი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, ქრისტიანული მოკრძალებითა და პირდაპირობით. 1952 წელს სრულაიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III-ის წინადადებით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დიმიტრი. სულ მალე 80 წლის ასაკში იგი ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. 1958 წლიდან მეუფე დიმიტრი გახდა მიტროპოლიტი ბოდბისა და ალავერდისა. მიტროპოლიტი დიმიტრი იყო საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე, თვითონაც წერდა ისტორიული ჟანრის მოთხრობებს,ნოველებს,რომელთა უმრავლესობა დაცულია იოსებ გრიშაშვილის არქივსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში. მიტროპოლიტი დიმიტრი გარდაიცვალა 1961 წლის 22 ივლისს 89 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში. განსვენებულ მიტროპოლიტს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ, რომელმაც მიტროპოლიტი დიმიტრი დაახასიათა, როგორც მშვენიერი მქადაგებელი და ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო მოღვაწე, რომლის სახელს არასოდეს დაიეწყებს ქართველი ერი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

† ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია)



მიტროპოლიტი ლეონიდე, ერისკაცობაში ლავრენტი ტიმოთეს ძე ჟვანია, დაიბადა 1885 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდის მაზრის სოფელ ლეჯიქეთში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიუღია სენაკის სასულიერო სასწავლებელში. 1903-1907 წლებში სწავლობდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, 1907-1911 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1911-1957 წლებში საერო სამსახურშია, როგორც კვალიფიციური სამართალმცოდნე, იურისტი. 1957 წლის 1 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში აღიკვეცა ბერად. 3 თებერვალს სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად. 4 თებერვალს დიდუბის ეკლესიაში ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. 1957 წლის 15 თებერვალს, მირქმის დღესასწაულზე სრულიად საქ რთველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ სინოდის წევრთა თანამწირველობით აკურთხა ცხუმაფხაზეთის ეპისკოპოსად.

1958-1959 წლებში ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია) ასრულებდა საქართველოს კათოლიკოსთან არსებული სინოდის რწმუნებულის მოვალეობას. ეპისკოპოს ლეონიდეს ურთულეს ეპარქიაში უხდებოდა მოღვაწეობა, როგორც უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II აღნიშნავდა – მეუფე ლეონიდეს გაწონასწორებული პოლიტიკა, საერო და საეკლესიო კანონების ზედმიწევნით ცოდნა იყო მის ეპარქიაში წარმატების საფუძველი. ეპისკოპოსი ლეონიდე დაჯილდოებული იყო: „რომანოვების სამასი წლის დინასტიის მეფობის მედლით“ (1913 წ.). მედლით „1941-1945 წლებში ომში მამაცური შრომისათვის,“ ხოლო 1958 წელს უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III-ის მიერ კუნკულ-ბარტყულზე თვლებიანი ჯვრით, 1964 წელს წმიდა ნინოს – ორდენით.

1964 წლის 14 დეკემბერს ეპისკოპოსი ლეონიდე გარდაიცვალა სოხუმში. დაკრძალეს 20 დეკემბერს ქუთაისში, არქიელის გორაზე, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, საღვთო ლიტურგია და ანდერძი აუგეს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ, მღვდელმთავარებმა და სამღვდელოებამ. მეუფე ლეონიდე დაიკრძალა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. მის საფლავის ქვას ასეთი წარწერა აქვს: „45 წელი პირნათლად ვემსახურე ამ მიწიერ ქვეყანას მართლმსაჯულების დარგში, ამიერიდან შევუდეგ ქრისტეს, უფალმა მწყოს, გთხოვთ შენდობას.“

† ეპისკოპოსი დავითი (ბურდულაძე)



ეპისკოპოსი დავითი, ერისკაცობაში დავით აღათონის ძე ბურდილაძე, დაიბადა 1877 წლის 12 მარტს სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირში, მედავითნის ოჯახში. სიღნაღის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეხმარებოდა მამას ეკლესიაში. 18931898 წლებში სიონის საკათედრო ტაძრის მორჩილია. 1898 წელს ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ გამწესებულ იქნა თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ასწავლიდა საღვთო სჯულსა და საეკლესიო გალობას.

1915 წელს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ხელი დაასხა მღვდლად. 1918 წელს ალავერდელი ეპისკოპოსის პიროსის მიერ გამწესებულ იქნა ვაჩნაძიანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში. 1925 წელს მიტროპოლიტ იოანეს (მარღიშვილი) მიერ დადგენილ იქნა თელავის მაზრის სოფელ შილდის მღვდლად. 1929 წელს იგი აიძულეს თავი დაენებებინა სასულიერო საქმიანობისათვის.

1944 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ იგი აღადგინა მღვდლის ხარისხში და გაგზავნა ახმეტაში, 1952 წლიდან დეკანოზი და ალავერდის ეპარქიის მთავარუხუცესია. 1958 წლის 8 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად, 9 ოქტომბერს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1958 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად. 1962 წლის 7 ოქტომბერს მეუფე დავითი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს. „ალავერდობის დღესასწაულზე წირვის დროს ტაძარში შემოვიდნენ ახმეტის აღმასკომის თავმჯდომარე მაღლაკელიძე მილიციელების თანხლებით და შეტევით მომმართა: როგორ გაბედე ალავერდში ჩამოსვლა და ტაძარში შემოსვლა. მე ვუპასუხე, მე ალავერდის ეპისკოპოსი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს ამ ტაძარში საღმრთო ვედრების შესრულებათქო... მათ უნდოდათ წირვა შემეწყვიტა და გავსულიყავი ტაძრიდან, მაგრამ როდესაც დაინახეს, მაგრად დავუდექი და წირვის შეწყვეტას არ ვაპირებდი, ბოლოს მაღლაკელიძემ მითხრა, შენს მოხუცებულობას ვცემთ პატივს და არ გაპატიებთ, მაგრამ როცა წირვას დაამთავრებთ დაუყოვნებლივ დატოვე ალავერდის ტაძარიო“. ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა მას თავისი მღვდელმთავრული მოვალეობის აღსრულება. ეპისკოპოსი დავითი გარდაიცვალა 1963 წლის აპრილში, 86 წლის ასაკში. დაიკრძალა თელავის საერო სასაფლაოზე, საიდანაც 1995 წელს ამბა-ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის ლოცვა-კურთხევით გადასვენებულ იქნა ალავერდის საკათედრო ტაძარში.

† მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი)



მიტროპოლიტი რომანოზი, ერისკაცობაში რომან გრიგოლის ძე პეტრიაშვილი, დაიბადა 1887 წლის 1 ოქტომბერს მღვდლის ოჯახში. მისი წინაპრები სიონის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურნი იყვნენ. ოჯახი განათლებული და ინტელექტუალური იყო. ბიძა – ვასილ პეტრიაშვილი – ცნობილი ბუნებისმეტყველი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი. რომან პეტრიაშვილი 1895-1908 წლებში სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1909-1910 წლებში სამხედრო სამსახურშია. 1910 წელს ჩაირიცხა ქ. დორპატის უნივერსიტეტის ეტერინარულ ფაკულტეტზე, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918-1921 წლებში მუშაობდა ლტოლვილთა კომიტეტის განყოფილებაში. 1921-1924 წლებში – პატიმართა დამხმარე კომიტეტში. 1924-1944 წლებში – კოოპერაციულ განყოფილებაში. 1949 წელს თავი დაანება სამოქალაქო სამსახურს და განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს, რომ სურვილი ჰქონდა ემსახურა საქართველოს ეკლესიაში. იმავე წლის 6 მარტს უწმიდესმა კალისტრატემ აკურთხა დიაკვნად, 13 მარტს – მღვდლად. დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ასევე დაევალა საპატრიარქოს კანცელარიის მდივნის თანაშემწეობა.

1952 წლის 12 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ აიყვანა დეკანოზის ხარისხში. 1954 წლის 17 მაისს სიონის ეკლესიიდან გადაყვანილ იქნა კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში. 1955-1959 წლებში იყო თბილისის სამების ეკლესიის წინამძღვარი. 1960 წლიდან 1967 წლამდე იყო თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის დეკანოზი. 1962 წელს მოსკოვში ახლდა უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს, დაესწრნენ მიტრით. 1965 წ. აკურთხეს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1967 წლის 28 აგვისტოდან 1971 წლამდე განაგებდა ალავერდისა და ბოდბის ეპარქიებს. 1971 წლის 7 ოქტომბერს დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად.

1972 წლის 8 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ დავითის (დევდარიანი) მიერ მიებოძა მიტროპოლიტობა, 1973 წლის 12 ოქტომბერს დაჯილდოვდა მეორე პანაღიით.

1977 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ. მიტროპოლიტ რომანოზს მისცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის.

1977 წლის 9 ნოემბერს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტმა რომანოზმა, როგორც უხუცესმა (90 წლის) მღვდელმთავარმა, მოითხოვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობა. სინოდის წევრთა უმრავლესობამ მოსაყდრედ აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის არჩევის შემდეგ მიტროპოლიტი რომანოზი გაეიდა პენსიაზე. გარდაიცვალა 92 წლის ასაკში 1979 წლის მარტს. 25 მარტს განსვენებულს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მისივე გადაწყვეტილებით მიტროპოლიტი რომანოზი დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძრის გალავანში.

† მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი)



მიტროპოლიტი გაიოზი,ერისკაცობაში ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი, დაიბადა 1945 წლის 24 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში. 1963 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა, რის შემდეგ ჩაირიცხა და სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე,ხოლო მანამდე თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს,სასულიერო განათლების მისაღებად ჩაერიცხათ მცხეთის ახალგახსნილ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ პატრიარქის კანცელარიამ სამხედრო ბეგარის მოუხდელობის გამო უარი უთხრა საბუთების მიღებაზე. 1965 საჯარდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ აღდგენილ იქნა თბილისის უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად მუშაობდა ჯერ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის, შემდეგ – პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად. ახალგაზრდობიდანვე რაიონული და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ხასიათის სამეცნიერო წერილებს, სტატიებს. ბიძინა კერატიშვილი ახლოს იცნობდა საგარეჯოს წმიდა დიდს ეკლესიის წინამძღვარ, არქიმანდრიტ ევაგრე დიასამიძეს, რომელიც 1903 წლიდან იყო შემოსილი. მამა ევაგრე საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოცხალი მატიანე იყო, მას ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობდა ბიძინა კერატიშვილი. ევაგრე დიასამიძემ დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ფორმირებაში, მისი რეკომენდაციით წარსდგა იგი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის წინაშე.

1969 წელს უწმიდესი ეფრემ II-ის რჩევით ბიძინა კერატიშვილმა დატოვა საერო სამსახური და ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, ერთი წლის შემდეგ პატრიარქის კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოში საქმის მწარმოებლად. 1971 წლის 14 დეკემბერს ეფრემ II-მ ბიძინა კერატიშვილი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად გაიოზი. 17 დეკემბერს ბარბარეს სახელობის ეკლესიაში აკურთხა დიაკვნად, 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას, საკათედრო ტაძრის დღესასწაულზე ხელი დაასხა მღვდლად. მღვდელმონაზონი გაიოზი აგრძელებდა საპატრიარქოს კანცელარიაში საქმიანობას, ამავე დროს მას ევალებოდა ყოველდღიური ღვთისმსახურება სიონის საპატრიარქო ტაძარში. 1972 წლის მარტში კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებს დაუგზავნა შეტყობინება მღვდელმონაზონ გაიოზის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანის შესახებ და გამოითხოვა წერილობითი პასუხი. 1972 წლის 24 მარტს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა,სინოდმა წილკნელ ეპისკოპოსად გამოარჩია მღვდელმონაზონი გაიოზი. 26 მარტს,სიონის საპატრიარქო ტაძარში მოხდა მისი წილკნელ ეპისკოპოსად კურთხევა, რომელსაც ესწრებოდა ყველა მოქმედი მღვდელმთავარი. 1972 წლის 26 მარტიდან წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

უწმიდესმა დავით V-მ ეპისკოპოსი გაიოზი მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად და სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა. სემინარიაში იგი კითხულობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ჰომილეტიკას, საეკლესიო სამართალს.

1977 წლის 4 ივნისს, უნეტარესმა დავით V-მ ეპისკოპოსი გაიოზი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. მიტროპოლიტი გაიოზი დაჯილდოებული იყო საქართველოსა და

ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ორდენებით. 1977 წლის 9 ნოემბერს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V, მიტროპოლიტმა გაიოზმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ასარჩევად მხარი დაუჭირა ბათუმ-შემოქმედელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ რომანოზს (პეტრიაშვილი) და ამ პოზიციაზე ურყევად იდგა 1977 წლის 20 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, მან 23 დეკემბერს სიონში გამართულ XII საეკლესიო კრებაზე ხმა მისცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. უწმიდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მიტროპოლიტი გაიოზი გადაყვანილ იქნა ურბნისის ეპარქიის მმართველად და ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად. 1978 წლის 25 მაისს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მიტროპოლიტი გაიოზი დაპატიმრებულ იქნა საეკლესიო ქონების მითვისების ბრალდებით. 1979 წლის სინოდის განჩინებით ჩამოერთვა მღვდელმთავრის ხარისხი. გასამართლების შემდეგ სასჯელის მოსახდელად გადაგზავნილ იქნა დაღესტანში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა 11 წლიანი პატიმრობის შემდეგ. მიტროპოლიტი გაიოზი გარდაიცვალა 2016 წლის 19 მარტს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 22 მარტს დაიკრძალა საგარეჯოს ნინოწმიდის საკათედრო ტაძრის გალავანში.

† მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე)



მიტროპოლიტი გიორგი, ერისკაცობაში გიორგი ნესტორის ძე ღონღაძე, დაიბადა 1894 წლის 7 ივლისს შორაპნის მაზრის სოფელ ჩრდილში. 1909 წელს დაასრულა სკოლა. 1910-1914 წლებში მუშაობდა რკინიგზაში ტელეგრაფისტად. 1913 წელს გელათის მონასტერში სწავლობდა მედავითნეობის კურსებზე, შემდეგ გადაიდა თბილისში ფერისცვალების მონასტერში გორის ეპისკოპოს ანტონთან (გიორგაძე), საიდანაც გაიგზავნა 1914 წელს მედავითნედ დუშეთის მაზრის სოფელ გრემისხევში. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად და გაიგზავნა გორის მაზრის სოფელ ატოცში, სადაც მსახურობდა 1923 წლამდე. ქვეყანაში შექმნილი ანტირელიგიური ისტერიის პირობებში 1923 წელს იგი აიძულეს თავი დაენებებინა სასულიერო საქმიანობისთვის. 1924-1949 წლებში საერო სამსახურშია, მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებაში. 1949 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს სახელზე წერს თხოვნას, აღადგინონ სასულიერო სამსახურში. უწმიდესმა კალისტრატემ აკურთხა მღვდლად და გაგზავნა თელავის რაიონის სოფელ აწყურში თეთრი გიორგის ეკლესიაში. 1952-1954 წლებში ღვთისმსახურებას ეწეოდა სოფელ ალვანსა და ფშაველში. 1955 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ გადმოიყვანა დიდუბის ეკლესიაში და აიყვანა დეკანოზის ხარისხში. 1974 წლის 13 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა დავით V-მ მიტროპოლიტების ილიას, რომანოზისა და ზინობის თანამწირველობით აკურთხა მანგლისის ეპისკოპოსად. 1976 წლის 11 ივნისს დაჯილდოვდა კუნკულ-ბარტყულზე ჯვრის ტარების უფლებით. ეპისკოპოსი გიორგი 1977 წლის ნოემბერ-დეკემბერში უყოყმანოდ დადგა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას გვერდით და მხარს უჭერდა მის კანდიდატურის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. ეპისკოპოსი გიორგი მონაწილეობდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებისადმი მიძღვნილ საღმრთო ლიტურგიაში. მან ალაპარაკებულ ეპისკოპოს გრიგოლთან ერთად მიართვა ახლადარჩეულ პატრიარქს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ისტორიული მიტრა და ჯვარ-პანაღიები, კუნკულ-ბარტყულა. 1978 წლის 4 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1980 წელს დაინიშნა წილკნის მიტროპოლიტად. (თუმცა ამ დროს წილკნის ეპარქიაში არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია, ამიტომ იგი პატრიარქის ნებართვით წირავდა თბილისის დიდუბის ეკლესიაში ს.ვ.). 1980 წლის 15 ოქტომბერს მიტროპოლიტი გიორგი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრით, აგრეთვე ორი პანაღიის ტარების უფლებით, წმიდა ნინოსა და წმინდა გიორგის ორდენებით.

1982 წლის 22 ივნისს მიტროპოლიტი გიორგი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. 26 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქმა ილია II-მ განსვენებულ მიტროპოლიტს წესი აუგო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაკრძალულია დიდუბის ეკლესიაში.

† მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე)



მიტროპოლიტი გრიგოლი, ერისკაცობაში გიორგი ალექსანდრეს ძე ცერცვაძე, დაიბადა 1910 წლის 18 მაისს თელავის მაზრის სოფელ ვაზისუბანში. მისი წინაპრები XIX საუკუნის დასაწყისში შორაპნის მაზრის სოფელ ხრეითიდან გადასულან კახეთში. გურჯაანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1928 წლიდან, იგი მუშაობდა ვაზისუბნის კოლმეურნეობაში. 1933-1935 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, რომლის დამთავრების შემდეგ 1950 წლამდე სწავლობდა შუამთის სამონასტრო სკოლაში, იმყოფებოდა ბერმონაზვნებთან, ამავე დროს მედავითნეობდა თელავის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

1948 წლის 18 თებერვალს წმიდა მოწამე თეოდორე ტირონის ხსენების დღეს, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წლის 24 თებერვალს თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, წმიდა იოანე ნათლისმცემელის ხსენების დღეს, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად და განწესდა ქ. თელავის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. 1954 წლის 1 იანვრიდან მღვდელმსახურია თელავის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში. 1971 წლის დასაწყისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით მიენიჭა დეკანოზის ხარისხი.

1976 წლის 21 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის ლოცვა-კურთხევით იგი აღიკვეცა ბერად და უწოდეს სახელი გრიგოლი. იმავე წლის 22 მაისს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტი გრიგოლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ თეთრიწყაროელი მიტროპოლიტის ზინობის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის, წილკნელი ეპისკოპოსის გაიოზის, მანგლელი ეპისკოპოსის გიორგის თანამწირეელობით აკურთხა ალავერდის ეპისკოპოსად. ეპისკოპოსმა გრიგოლმა უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ მტკიცედ დაუჭირა მხარი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ არჩევას.

ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა XII საეკლესიო კრებაზე წმიდა სინოდის სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ასარჩევად წამოაყენა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილიას კანდიდატურა. 1977 წლის 25 დეკემბერს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პატრიარქის კურთხევის ცერემონიალში, მიართვა საქართველოს ეკლესიის ახლად აღსაყდრებულ საჭეთმპყრობელს საპატრიარქო მიტრა, კუნკულ-ბარტყულა და კვერთხი, მიმართა მისასალმებელი სიტყვით.

1978 წლის 4 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოს გრიგოლს მიტროპოლიტობა მიუბოძა. 1980 წლის 15 ოქტომბერს მეუფე გრიგოლი დაჯილდოვდა სუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით და მეორე პანაღიის ტარების უფლებით. მიტროპოლიტი გრიგოლი გარდაიცვალა 1991 წლის თებერვალში. ამ დროს ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ქაოსი და ანარქია იყო ყველგან. 6 თებერვალს ალავერდის საკათედრო ტაძარში მიტროპოლიტ გრიგოლს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მიტროპოლიტი გრიგოლი დაიკრძალა ალავერდის საკათედრო ტაძარში.

† ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე)



ეპისკოპოსი ილარიონი, ერისკაცობაში ავთანდილ ერასტის ძე სამხარაძე, დაიბადა 1937 წლის 21 ნოემბერს თბილისში. ბავშვობა და ყრმობა გაატარა დედულეთში: კასპის რაიონის სოფელ ფავნისში. 1945-1953 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა №32-ე სკოლაში. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1953 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის მეტალურგიულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. 1958-1964 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო ინჟინრის სპეციალობაზე. 1953-1969 წლებში სხვადასხვა სამსახურში. 1963-1964 წლებში შეთავსებით სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1957-1959 წლებში მუშაობდა „თბილმშენში“. 1959-1964 წლებში მუშაობდა „თბილწყალსადენში“. 1964-1968 წლებში იყო სკკპ წევრი. 1964-1968 წლებში მუშაობდა გეოლოგიურ პარტიაში.

1969 წლის 1 სექტემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდლად და მედავითნედ. 1973 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის დავით V-ის ლოცვა-კურთხევით ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში საიდანაც საბუთები გადაიტანა მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო სემინარიაში დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1976 წელს. 1969 წლიდან იგი სხვადასხვა ინსტანციებში აგზავნიდა განცხადება-შეტყობინებებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ვითარების გამო. 1972 წლის 7 აპრილს,როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევდარიანი), ავთანდილ სამხარაძემ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მიტროპოლიტ დავითის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავდა, მიტროპოლიტ დავითს არ აქვს უმაღლესი განათლება და არ შეიძლება მისი პატრიარქად არჩევაო. ავთანდილ სამხარაძე დაუკავშირდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვალენტინა ფაილოძეს და დაიწყო ბრძოლა კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის წინააღმდეგ. 1973 წლის 19 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა დავით V-მ მედავითნე ავთანდილ სამხარაძე აკურთხა დიაკვნად, 1974 წლის 7 იანვარს – მღვდლად. 1974 წლის 1 სექტემბრიდან 1975 წლის 1 აგვისტომდე ავთანდილ სამხარაძე იყო სამების ეკლესიის წინამძღვარი.

1975 წლის 1 აგვისტოდან 1976 წლის 10 მაისამდე თბილისის წმიდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარია.

1975 წლის 12 მაის გამორჩეულ იქნა ბოდბის ეპისკოპოსად, 22 მაისს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ილარიონი. 24 მაისს აკურთხეს ეპისკოპოსად. კურთხევას ესწრებოდნენ მიტროპოლიტები: ილია (შიოლაშვილი), რომანოზი (პეტრიაშვილი), ეპისკოპოსი გაიოზი (კერატიშვილი).

1977 წლის 9 ნოემბერს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი დავით V, ეპისკოპოსი ილარიონი დაუპირისპირდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ არჩევის წინადადებას და მოსაყდრეობის სასურველ კანდიდატად მიიჩნია ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი. როდესაც მისი წინადადება არ გავიდა სინოდის სხდომაზე, იგი პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდა,დაიწყო საჩივრების წერა სხვადასხვა ინსტანციებში. 1977 წლის

18 დეკემბერს ეპისკოპოსი ილარიონი თავის მომხრეებთან ერთად შეიჭრა საპატრიარქო რეზიდენციაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ილიას არჩევის შემდეგ ეპისკოპოსი ილარიონი კიდევ უფრო გაღიზიანდა. მართალია, იგი ბოდბელად იწოდებოდა, მაგრამ წირავდა პატარა სამების ეკლესიაში, გახშირდა მის მიერ მორწმუნეთა მიმართ აგრესიული გამოსვლები, რამაც სკანდალების სახე მიიღო. 1978 წლის ივლისში წმიდა სინოდმა ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლს (ცერცვაძე) დაავალა შეესწავლა ეპისკოპოს ილარიონის საქმე. მეუფე გრიგოლმა დაწვრილებით შეისწავლა საქმე და წმიდა სინოდს წარუდგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც 1978 წლის 27 ივლისს წმინდა სინოდმა ასეთი დადგენილება გამოიტანა: „ფსიქიკური ავადმყოფობის გამო ეპისკოპოსი ილარიონი მღვდელმთავრის ხარისხის შენარჩუნებით განთავისუფლებულ იქნას ბოდბის ეპარქიის მმართველობიდან და გამოყვანილ იქნას წმიდა სინოდის შემადგენლობიდან... წმიდა სინოდი თვლის, რომ მისთვის აუცილებელია მკურნალობა“. 1982 წელს იგი მკურნალობდა. 1984 წლის ნოემბერ-დეკემბერში შედგენილ ერთ წერილში თავის თავს „უფალი იესუ ქრისტე ივერიელ ღმერთკაცს“ უწოდებს. 1985 წლის 7 მარტს მეუფე ილარიონმა მსოფლიოს საერთაშორისო ეკლესიის შექმნის ზოგადი მოსაზრებანი და დასკვნები წარუდგინა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილეს რატი ტატიშვილს და თავი ამ ახალი ეკლესიის მეთაურად გამოაცხადა. მეუფე ილარიონმა 2011-2016 წლებში დაიწყო ხალხში ქადაგება...

გარდაიცვალა 2016 წლის 5 დეკემბერს,8 დეკემბერს იგი უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიკრძალა მცხეთაში დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის გალავანში.

† მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე)



მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ერისკაცობაში ხუტა ღენტორის ძე მახარაძე, დაიბადა 1932 წლის 28 ივნისს ქუთაისში. ქუთაისის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1954 წელს სწავლა განაგრძო ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული და ინგლისური ენების სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1959 წელს. 1959-1971 წლებში მუშაობდა იმავე ინსტიტუტში ინგლისური და რუსული ენების ლექტორად.

1972 წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს და სემინარიაში დაიწყო მუშაობა ჰომილეტიკისა და ეკლესიის ზოგადი ისტორიის ლექტორად. 1977 წლის იანვარში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ აკურთხა ჯერ დიაკვნად და შემდეგ მღვდლად განაწესა სოხუმის საკათედრო ტაძარში. 1977 წლის მაისში აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. არქიმანდრიტი ნიკოლოზი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრების მუშაობაში. მან 23 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში კრების მონაწილეთათვის წაიკითხა მოხსენება „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, წარსული, აწმყო და მომავალი.“

1978 წლის 8 თებერვალს წმიდა დავით აღმაშენებელს ხსენების დღეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის წინადადებით გამორჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 19 თებერვალს სიონის საპატრიარქო ტაძარში საღამოს ლოცვაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, მანგლელი მიტროპოლიტი გიორგი, ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი. შესრულდა არქიმანდრიტ ნიკოლოზის ეპისკოპოსად ხელდასხმა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიულოცა ეპისკოპოსად ხელდასხმა და შეახსენა იმ სირთულეებისა და პრობლემების შესახებ, რომელნიც მრავალად შეხვდებოდა ცხოვრების გზაზე, განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. ეპისკოპოსი ნიკოლოზი დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარედ. 1978 წლის ოქტომბერში მეუფე ნიკოლოზი, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი, იმყოფებოდა რომში პაპის – იოანე პაველ I-ის დაკრძალვაზე და შემდეგ ახალი პაპის იოანე პაველ II-ის აღსაყდრებაზე. ახალი პაპი საბჭოთა უშიშროების კომიტეტისათვის მიუღებელი პერსონა იყო. კარგი დღე არც იმ მღვდელმთავრებს დაადგათ, ვინც პაპს შეხვდნენ, მიტროპოლიტი იუვენალი გადაყენებულ იქნა რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეობიდან, არქიეპისკოპოსი კომიტასი უეცრად გარდაიცვალა სომხეთში, ეპისკოპოსი ნიკოლოზი შევიწროებას განიცდიდა ცხუმ-აფხაზეთში რელიგიის საქმეთა რწმუნებულის, გააფხაზებული ქართველის, ა. ლაგვილავას მიერ. 1978 წლის 14 დეკემბერს მეუფე ნიკოლოზი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, 1979 წლის 7 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დაჯილდოვა წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენით. მეუფე ნიკოლოზი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, იერუსალიმში, ბულგარეთში, მოსკოვში. მან უმასპინძლა ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის, სომხეთის ეკლესიების მეთაურებს

საქართველოში. 1981 წლის დასაწყისში მას მიეცა მიტროპოლიტობა, 1981 წლის 9 სექტემბერს იგი გადაყვანილ იქნა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად,რამაც ყოფილი ქუთათელის – მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი) განრისხება გამოიწვია. მან ჯერ უარი განაცხადა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში გადასვლაზე, შემდეგ კი დაიწყო საჩივრების წერა საერო ხელისუფლებაში... წერილებში განსაკუთრებით მძაფრად აკრიტიკებდა მიტროპოლიტ ნიკოლოზს... 1983 წელს მიტროპოლიტი ნიკოლოზი განთავისუფლდა ქუთათელ-გაენათელობიდან და დაყვანილ იქნა ბერობის ხარისხზე... გადაიტანა ინფაქტი... მკურნალობდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. გამოჯანმრთელებისთანავე ხან ზედაზენზე და ხან ჩულურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში მედავითნეობდა, გარდაიცვალა 2008 წლის 5 ივლისს, თბილისში, 8 ივლისს დაიკრძალა ჩულურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

† მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი)



მთავარეპისკოპოსი იოანე, ერისკაცობაში ცეზარ ნიკოლოზის ძე ანანიაშვილი, დაიბადა 1948 წლის 5 იანვარს გორის რაიონ სოფელ კირბალში. 1955-1962 წლებში სწავლობდა თბილისის 14-ე საშუალო სკოლაში. 1963-1967 წლებში სწავლობდა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. 1967-1968 წლებში მუშაობდა ქარხანა „მაგნიტოფონში." 1968-1970 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1971 წლის იანვრიდან აგვისტომდე კელავ ქარხანაში აგრძელებდა შრომით საქმიანობას. 1971-1973 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1973 წლის ივნისში ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის (პატრიაშვილი) ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სენაკის მთავარანგელოზის ეკლესიის მედავითნედ. 1973 წლის 12 ოქტომბერს მიტროპოლიტ რომანოზის ლოცვაკურთხევით არქიმანდრიტმა კონსტანტინე ქვარიამ სენაკის დედათა მონასტერში ცეზარ ანანიაშვილი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად იოანე.

1973 წლის 26 ოატომბერს მიტროპოლიტმა რომანოზმა აკურთხა ფოთის ეკლესიაში იეროდიაკვნად, 25 ნოემბერს ბათუმის ეკლესიაში – მღვდელმონაზონად. 1974 წელს მიტროპოლიტმა რომანოზმა დააჯილდოვა საგვერდულით. 1975 წელს აღყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1976 წელს არქიმანდრიტის ხარისხში.

1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი დავით V, არქიმანდრიტი იოანე უყოყმანოდ დადგა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) გვერდით. XII საეკლესიო კრებაზე, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიაარქიმანდრიტი იოანე იყო ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც პირველმა გამოაცხადა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი: „მოსაყდრე ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად" და მიულოცა მის უწმიდესობას ამ მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევა. 1978 წლის 1 იანვრიდან, როდესაც მიტროპოლიტი რომანოზი პენსიაზე გავიდა და განთავისუფლდა ეპარქიის წინამძღოლის მოვალეობისაგან, არქიმანდრიტი იოანე დაინიშნა ჭყონდიდის ეპარქიის დროებით მმართველად. 1978 წლის 24 თებერვალს არქიმანდრიტი იოანე გამორჩეულ იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად. 25 თებერვალს მოხდა მისი კურთხევა.

1979 წელს იგი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და შეთავსებით დაინიშნა ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიის მმართველად. 1981 წლის აგვისტოში მთავარეპისკოპოსმა იოანემ იმოგზაურა სვანეთში. მთავარეპისკოპოსი იოანე არაერთხელ იმყოფებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორც საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ხელმძღვანელი. 1982 წლის ნოემბერში ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა ავტოკეფალიის მიღებიდან 30 წლისთავი.

მთავარეპისკოპოსი იოანე ანანიაშვილი დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნა 1983 წლის დასაწყისში. იმავე წლის 15 დეკემბერს მაშინდელი ცხაკაიას (სენაკის) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოგონილი ბრალდებით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით განთავისუფლდა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველობიდან, დარჩა ბერმონაზვნად... 90-იანი წლებიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის, წმიდა სინოდის სახელზე წერდა თხოვნებს, ითხოვდა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენას... გარდაიცვალა 1998 წლის 31 ივლისს. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხეით 4 აგვისტოს დაიკრძალა სამთავროს დედათა მონასტრის გალავანში.

† მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)



მიტროპოლიტი კონსტანტინე, ერისკაცობაში დიმიტრი სიმონის ძე მელიქიძე, დაიბადა 1925 წლის 19 თებერვალს ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთაში. პატარა დიმიტრი სწავლობდა ჯერ ბალანთის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ბაკურიანის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში. 1961-1966 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა მეტყევე-ინჟინრის კვალიფიკაციით. დიმიტრი მელიქიძე 1950-იანი წლებიდან მუშაობდა ჯერ ქ. ქლუხორის რაიონის სატყეო მეურნეობაში, შემდეგ – ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში. საბჭოური ათეისტური პროპაგანდის მიუხედავად, ბავშვობიდან სწავლობდა საღვთო წიგნებს. 1972 წლის 3 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის ლოცვაკურთხევით სიონის საპატრიარქო ტაძარში აკურთხეს დიაკვნად, 1973 წლის 21 ოქტომბერს იგი აკურთხეს მღვდლად და დაინიშნა რუის-ურბნისის ეპარქიის სოფელ ატოცის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1974-1978 წლებში მამა დიმიტრი მსახურობდა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრად. 1978 წლის 20 ოქტომბერს იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად კონსტანტინე, 22 ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და გამორჩეულ იქნა ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსად. არქიმანდრიტ კონსტანტინეს ეპისკოპოსად ხელდასხმა შესრულდა 1978 წლის 29 ოქტომბერს.

მეუფე კონსტანტინე 1979 წლიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარედ. 1980 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვაკურთხევით აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის 1984 წელს მას მიებოძა მიტროპოლიტობა. 1985-1995 წლებში მიტროპოლიტი კონსტანტინე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველია. ამ დროს საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, აჭარაში დაიწყო მოსახლეობის უმრავლესობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნების რთული,მაგრამ შეუქცეადი პროცესი.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს მიტროპოლიტი კონსტანტინე გამოეხმაურა წერილით „საქართველო გადარჩება.“

1995 წლიდან 2000 წლამდე მიტროპოლიტი კონსტანტინე განაგებდა მარგვეთის ეპარქიას. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების, მეორე პანაღიის ტარების უფლება.

მეუფე კონსტანტინე აღესრულა 2000 წლის 20 ივლისს. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტ კონსტანტინეს ნეშტი გადმოსვენებულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში,სადაც 22 ივლისს წესი აუგო უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძრის გალავანში.

† მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)




მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში გრიგოლ ივანეს ძე ჭკადუა, დაიბადა 1926 წლის 22 მარტს ქ. თბილისში, სასულიერო პირის ოჯახში. მამა – ივანე ჭკადუა თბილისის ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი იყო. 1955 წელს მან დაამთავრა პიატიგორსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. 1956-1978 წლებში მუშაობდა სტომატოლოგიური კაბინეტის გამგედ. 1978 წლის 13 აგვისტოს ეკურთხა მღვდლად და დაინიშნა მარტყოფის ღვთაების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად.

1978 წლის 20 ოქტომბერს გრიგოლ ჭკადუა მცხეთის სამთავროს მონასტერში აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დავითი, 15 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად.

1980 წლის 14 ოქტომბერს მეუფე დავითი აღყვანილ იქნა მთაწმინდის სიონის ტაძრის ეზოში. 1981 წლის 8 სექტემბერს მეუფე დავითი გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. 1984 წლიდან იგი სქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების ხელმძღვანელია დ მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ მოწყობილ ფორუმებში,როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი. 1983 წლის 26 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მეუფე დავითი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. მიტროპოლიტი დავითი დაჯილდოებული იყო მეორე პანაღიისა და სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუსეთის საპატრიარქოს ორდენებით.

1990 წელს მიტროპოლიტი დავითი შედიოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმდელეგაციის შემადგენლობაშირომელმაც კონსტანტინოპოლიდანჩამოიტანა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მტკიცებულების სიგელი. მეუფე დავითი ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი მოთხოვნილების კრებული „რწმენა“ გამოიცა 1992 წელს და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. მეუფე დავითს რთულ ეპარქიაში მოუხდა მოღვაწეობა, აფხაზებსა და ქართველებს შორის გარე ძალების ინსპირირებით ადგილი ჰქონდა დაპირისპირებებს, რომელიც 1992 წელს შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. რუსეთის რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს გაგრა, გუდაუთა და შემოუტიეს სოხუმს. მეუფე დავითი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა სოხუმში ქართველობის მრავალათასიან მიტინგზე... 1992 წლის 7 ოქტომბერს მიტროპოლიტი დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა,განსვენებულს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. იგი დაიკრძალა სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

† მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი)



მიტროპოლიტი შიო, ერისკაცობაში ვარლამ აპოლონის ძე ავალიშვილი, დაიბადა 1909 წლის 17 სექტემბერს შორაპნის მაზრის სოფელ ხორითში. 1917-1923 წლებში სწავლობდა ხარაგაულის რაიონის სოფელ ლაშის სკოლაში, 1924-1925 წლებში – ზესტაფონის საშუალო სკოლაში, 1925-1928 წლებში – თბილისის მე-9 საშუალო სკოლაში. 1929 წელს იგი პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და გადაასახლეს საქართველოდან. საშობლოში დაბრუნდა 1932 წელს და 1936 წლამდე მუშაობდა ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევის კოოპერატივის ბუღალტრად, 1936-1948 წლებში მუშაობდა თბილისში საქკოოპრნკაეშირის მთავარ ბუღალტრად, 1960-1968 წლებში მუშაობდა ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქში საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატის დირექტორად. 1968-1975 წლებში – კუსტანაის ოლქში უალკოჰოლო სასმელის საამქროს უფროსად.

1975-1977 წლებში იყო მორჩილი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. 1978 წლის 23 აპრილს აღიკვეცა ბერად, 27 აპრილს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 22 ივლისს – მღვდელმონაზონად, 28 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა მაწყვერელ-ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად. ეპისკოპოსი შიო იმავდროულად დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1978 წლის 14 დეკემბერს აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და გადაყვანილ იქნა ქუთათელ-გაენათელად. მეუფე შიომ ვერ გაუძლო სიმაღლეს და წყალობას, რომელიც მან ასე უხვად მიიღო. 1981 წლის 9 სექტემბერს, როდესაც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით მიტროპოლიტი შიო გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად.

1986 წლის 24 ივნისს წმიდა სინოდმა ანტიეკლესიური ქმედებებისათვის მიტროპოლიტ შიოს ჩამოართვა ეპარქია და გაუშვა პენსიაზე.

1991 წლის 25 მარტს მიტროპოლიტი შიო გარდაიცვალა, მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ სიონის საპატრიარქო ტაძარში 30 მარტს წესი აუგო განსვენებულს, იგი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

† სქემ მიტროპოლიტი ეფრემი (ჩახვაშვილი)



სქემ მიტროპოლიტი ეფრემი ერისკაცობაში ანზორ იორამის ძე ჩახვაშვილი, დაიბადა 1936 წლის 4 თებერვალს გურჯაანის რაიონ სოფელ კარდენახში. არასრული განათლება მიიღო კარდენახში, ხოლო 1953 წელს დაამთავრა სიღნაღის საშუალო სკოლა. მისი ბავშვობა დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის პერიოდს. გაჭირვება, ეკლესია-მონასტრების შეეწროება ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი ნორმა იყო. იგი ბავშვობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. 16 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფი მიიყვანეს სიღნაღში ცნობილ ექიმ ვახტანგ მათიაშვილთან, ექიმმა ყურადღებით გასინჯა და უჩვეულო რამ უთხრა მას: „შენ ხარ ანგელოზის ავადმყოფი, შესაწირი შესწირე, ილოცე და მონასტრებში სანთელი დაუნთე უფალს, მალე გამოკეთდებიო.“ ახალგაზრდა ანზორ ჩახვაშვილმა ანაგის მონასტერს მიაშურა, სადაც შეხვდა და დაუახლოვდა ღრმადმორწმუნე კაცს გიორგი ნადირაშვილს, რომელმაც ასწავლა ხუცური ანბანი, მისცა სასულიერო წიგნები. მეუფე ათანასე დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებს დედულეთს, ტატელოშვილების ოჯახს, სადაც სითბო და სიყვარული არ მოკლებია ახალგაზრდაში. 1953-1957 წლებში ანზორ ჩახვაშვილი შრომით საქმიანობას ეწეოდა კარდენახის კოლმეურნეობაში, 1957-1959 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1959-1962 წლებში სწავლობდა სიღნაღის ზოოვეტრინარულ ტექნიკუმში.

1965 წელს ანზორ ჩახვაშვილი ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1967 წელს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის მიერ იკურთხა დიაკვნის ხარისხში, ეწოდა სახელი ანდრია და განაწესეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. 1968 წელს ალავერდელი ეპისკოპოსის რომანოზის (პეტრიაშვილი) წერილობითი თხოვნის საფუძველზე გაიწვიეს ალავერდის ეპარქიაში. მეუფე რომანოზმა აკურთხა მღვდლად და განწესებულ იქნა ბოდბის წმიდა ნინოს ეკლესიაში მეორე მღვდლად. 1969-1970 წლებში მსახურობდა თელავის ღვთაების ეკლესიაში, ხოლო 1971-1979 წლებში გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. 1978 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა წმიდა სინოდის სხდომა, სადაც ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსად გამორჩეულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ანდრია ჩახვაშვილი. 15 დეკემბერს მამა ანდრია აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელი ათანასე, 17 დეკემბერს იგი აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, 24 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აკურთხეს ბოდბელ ეპისკოპოსად.


საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის მეუფე ათანასე უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1982 წლის 1 ივნისს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 1989 წელს – მიტროპოლიტის ხარისხში. 1992 წლის 12 მაისს იგი გადაყვანილ იქნა ალავერდელ მიტროპოლიტად. 1993 წლის 1 სექტემბერს დაბრუნდა ბოდბის კათედრაზე, საიდანაც 1996 წლის 21 ოქტომბერს დადგინდა რუსთველ მიტროპოლიტად. 2002 წლის 17 ოქტომბერს რუსთავის ეპარქიას ეწოდა რუსთავისა და მარნეულის ეპარქია. რელიგიურ-კონფენსიური და ეთნიკური თვალსაზრისით ფრიად რთული ეპარქიაა რუსთავისა და მერნეულის ეპარქია, აქ მართლმადიდებლებთან ერთად ცხოვრობენ მაჰმადიანი აზერბაიჯანელები, მონოფიზიტი სომხები, საჭიროა ფრთხილი და გაწონასწორებული პოლიტიკა, რათა არ მოხდეს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირება.

მეუფე ათანასე ყველაფერს აკეთებს, რათა იყოს ქართული სახელმწიფოებრიეი და ეკლესიური ისტორიული ტრადიციების ღირსეული გამაგრძელებელი. მისი ღვაწლით ახალ ეპარქიაში, სადაც არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია, გაიხსნა რუსთავში წმიდა ვახტანგ გორგასლის, ღვთისმშობლის ხარების, წმიდა მოციქულთა პეტრესი და პაველესი, მიქაელ მთავარანგელოზის, გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესიები. წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის, წმიდა ნინოს, ცამეტი ასურელი მამის, გრიგოლ ხანძთელის, ალექსი შუშანის სამლოცველო სახელები. შენდება წმიდა ამაღლების, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. მარნეულის ცენტრში გაიხსნა მართლმადიდებელი ეკლესია.

მიტროპოლიტი ათანასე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის უპირატესი მღვდელმთავარია, იგი დაჯილდოებულია წმიდა გიორგის, წმიდა ნინოს ორდენებით. მინიჭებული აქვს სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. 2009 წლის 1 ნოემბრიდან პენსიაში გავიდა. გარდაიცვალა 212 წლის 9 აგვისტოს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიკრძალა 14 აგვისტოს, სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, მძიმე ავადმყოფი მიტროპოლიტი ათანასე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დიდი სქემით შემოსეს. აღკვეცისას მიტროპოლიტ ათანასეს სახელად ეფრემი ეწოდა, წოდება კი შემდეგნაირად შეიცვალა: სქემ-მიტროპოლიტი ეფრემი.

† მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი)



მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ერისკაცობაში მირიან გაიოზის ძე იორამაშვილი, დაიბადა 1946 წლის 12 ოქტომბერს გორის რაიონ სოფელ ფლავში. 1966 წელს დაამთავრა გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლა. 1968-1973 წლებში სწავლობდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1973-1974 წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლაში. 1974-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. სკოლის ახალგაზრდა პედაგოგის მცხეთის სასულიერო სემინარიაში წასვლა მტკივნეულად აღითქვა მაშინდელმა ხელისუფლებამ. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ არაერთი წერილი მიუძღვნა ამ ფაქტს და მკაცრად გააკრიტიკა როგორც გორის ბარათაშვილის სახელობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, ასევე სოფლის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სადაც გაზეთის აზრით იდეოლოგიური მუშაობა არ იყო სათანადო დონეზე. 1977 წლის 2 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის დავით V-ის ლოცვა-კურთხევით ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა 31 წლის მირიან იორამაშვილი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად თადეოზი. 1977 წლის 7 აპრილიდან დიაკონია, 1 მაისიდან – მღვდელმონაზონი, 1 ივნისიდან უწმიდესი დავით V-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ალავერდის საკათედრო ტაძრის მღვდლად.

წლის 1 აგვისტოს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით გამორჩეულ იქნა ეპისკოპოსად. 2 აგვისტოს მოხდა მისი კურთხევა. ეპისკოპოსი თადეოზი დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად, 1978 წლის 24 დეკემბრიდან გადმოყვანილ იქნა წილკნელად. 1979 წლის 20 სექტემბრიდან 1980 წლის 1 ოქტომბრამდე ეპისკოპოსი თადეოზი მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორია, 1981 წელს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 1979-1983 წლებში განაგებდა მანგლისის ეპარქიას, 1984-1993 წლებში აგარაკ-წალკის, 1993-1995 წლებში – ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიას, 19952003 წლებში – ბოლნისისა და დმანისის ეპარქიებს, 2005 წლის აპრილიდან მთავარეპისკოპოსი თადეოზი თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მმართველია. მეუფე თადეოზი არის შესანიშნავი პოეტი. არაერთი პოეტური კრებულის ავტორი.

2007 წლის 25 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მთავარეპისკოპოსი თადეოზი დააჯილდოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმიდა გიორგის ორდენით.

2010 წლის 2 აგვისტოს მთავარეპისკოპოს თადეოზს ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი. 2013 წლიდან იყო პენსიაზე და ეწოდა მარაბდელი მიტროპოლიტი.

მიტროპოლიტი თადეოზი გარდაიცვალა 2015 წლის 19 იანვარს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაიკრძალა 22 იანვარს, სიონის საკათედრო ტაძრის გალავანში.

† მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)



მთავარეპისკოპოსი ამბროსი,ერისკაცობაში ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძე, დაიბადა 1942 წლის 22 იელისს ტყიბულის რაიონ მენჯიორში (ახალსოფელი) მუშის ოჯახში. ქუთაისში დაამთავრა საშუალო სკოლა, რის შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1964 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ დირექტორის – შემოქმედელი ეპისკოპოსის ილიას რეკომენდაციით, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით ჩაირიცხა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. 1966 წელს დაინიშნა მედავითნედ ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. 1969 წლის იელისში გახმაურებული ინციდენტი მოხდა საქართველოს ეკლესიაში, როდესაც რამდენიმე სასულიერო პირმა თავი მღვდელმთავრად იკურთხა ბოდბეში და დაუპირისპირდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს. სამწუხაროდ, ამ ინციდენტში ჩართული აღმოჩნდა მედავითნე ალექსანდრე ქათამაძეც,რომელმაც 1970 წლის 23 თებერვალს მოინანია ჩადენილი შეცდომა. 1971 წელს ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (დევდარიანი) ალექსანდრე ქათამაძე აკურთხა მთავარდიაკვნად. 1973 წელს ქუთათელ-გაენათელმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა (პეტრიაშვილი) აკურთხა მღვდლად და იგი დაინიშნა მოწამეთას ეკლესიაში. 1974 წელს ქუთაისის წმიდა გიორგის ტაძრის მღვდელია, 1975 წლიდან – წინამძღვარი. 1974 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ დააჯილდოვა იისფერი სკუფიით, 1975 წელს – ენქერით. მღვდელი ალექსანდრე ქათამაძე მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XII საეკლესიო კრების მუშაობაში,რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. 1978 წლის 3 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს ეკლესიაში თავდადებული საქმიანობისათვის დააჯილდოვა ოქროს ჯვრით, 1977 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1980 წელს. 1978 წლის აპრილიდან ქუთაისის წმიდა პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრის მღვდელია, იმავე წელს დაინიშნა რაჭაში ახალგახსნილ ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად. 1979 წლის მაისში ალექსანდრე ქათამაძე დაინიშნა სიონის სააპტრიარქო ტაძრის დეკანოზად. იმავე წლის 10 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ამბროსი, 11 აგვისტოს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის, 13 აგვისტოს – ეპისკოპოსის ხარისხში.

მეუფე ამბროსი მოღვაწეობას შეუდგა ნიკორწმინდის ეპარქიაში, მას შეთავსებით ჩააბარეს მარგვეთის ეპარქიაც. 1980 წელს იგი გადაყვანილ იქნა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველად. ურთულესი ვითარება იყო ამ დროს ისტორიულ მაწყვერელის ეპარქიაში. არცერთი მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესია არ ფუნქციონირებდა, მაშინ, როდესაც სომხურ-მონოფიზიტურ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს ფრთები ჰქონდათ გაშლილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლით 1980 წლის 9 ნოემბერს ახალციხეში, რაბათში გაიხსნა წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია. ტაძრის საზეიმო გახსნაზე პარაკლისი გადაიხადა ეპისკოპოსმა ამბროსიმ და სიტყვით მიმართა მრევლს. 1981 წლიდან 1992 წლის დასაწყისამდე მეუფე ამბროსი კვლავ ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველია. მეუფე ამბროსი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ქრისტიანულ ფორუმებში – რუსეთში, ფინეთში, ბულგარეთში, ავსტრალიაში, ჩეხოსლოვაკიაში_ მეუფე ამბროსი მიტროპოლიტ შიო ავალიშვილთან

ერთად აკრიტიკებდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და მოითხოვდა პატრიარქის გადადგომას 1982-1986 წლებში... 1990 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იგი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. მეუფე ამბროსი აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-

განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მონაწილეობდა ყველა საპროტესტო აქციაში, რომელიც საქართველოს დედაქალაქში იმართებოდა. 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის დროს მხარს უჭერდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომლის გადადგომის შემდეგ იძულებული გახდა განრიდებოდა საქართველოს. 1993 წლის თებერვალში გროზნოში მღვდელ კონსტანტინე კოღუაშვილთან ერთად წესი აუგო საქართველოს პირველ პრეზიდენტს. 1992-2005 წლებში რუსეთში იმყოფებოდა. 1998 წლის 8 ოქტომბერს გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა „მოისმინა ინფორმაცია მთავარეპისკოპოსის ამბროსის (ქათამაძე) ანტიკანონიკური მოქმედების შესახებ, რომელმაც 1992 წლის იანვარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის ნებართვის გარეშე დატოვა ნიკორწმინდის ეპარქია, წავიდა რუსეთში და ეწეოდა ანტიეკლესიურ საქმიანობას. ამის გამო 1992 წლის 12 მაისს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით მთავარეპისკოპოსი ამბროსი განთ◌ეისუფლდა ეპარქიის მმართველობიდან, წმიდა სინოდის წევრობიდან და აეკრძალა მღვდელმოქმედება. სამწუხაროდ, მან არ შეწყვიტა თავისი უკანონო მოქმედება, პირიქით, იგი დაუკავშირდა რუსეთის ავტოკეფალურ ეკლესიასთან დაპირისპირებული და◌გუფების ე.წ. „რუსეთის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიას," თავი გამოაცხადა კრუტიცკელ მიტროპოლიტად და მიუხედავად იმისა, რომ იმყოფება საეკლესიო კანონიკური სასჯელის ქვეშ, კარგა ხანი ასრულებდა მღვდელმოქმედებას.

2005 წლის გაზაფხულზე ამბროსი ქათამაძე დაბრუნდა საქართველოში. მან ორჯერ წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს და იმედი ჰქონდა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენისა. წმიდა სინოდმა 2005 წლის 27 ივნისს მოისმინა ყოფილი ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსის ამბროსის თხოვნა შეწყალების შესახებ და განუჩინა სინანული საბერო მოწესის მდგომარეობაში და დაუნიშნა პენსია, მას მიეცა კურთხევა წასულიყო შიომღვიმის მონასტერში. 2006 წლის დეკემბერში წმიდა სინოდმა მას კიდევ ერთხელ მოუწოდა სინანულისა და მორჩილებისაკენ. იგი ძალიან განიცდიდა თავის მდგომარეობას, ნერვიულობდა... 2008 წლის 27 ნოემბერს იგი უეცრად გარდაიცვალა... განსვენებულის ნეშტი დასვენებულ იქნა სამების წმიდა ილია თეზბიტელის ეკლესიაში. 2 დეკემბერს დაიკრძალა შიომღვიმის მონასტერში.

ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე)



ეპისკოპოსი ქრისტეფორე ერისკაცობაში ომარ იასონის ძე წამალაიძე დაიბადა 1943 წლის 17 აგვისტოს ყაზბეგის რაიონ სოფელ სიონში მოსამსახურის ოჯახში. 1958 წელს დაამთავრა სოფელ სიონის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, რომელიც დაასრულა 1962 წელს. 1966–1974 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე.

1962–1964 წლებში მშობლების მძიმე ავადმყოფობის გამო თავის მშობლიურ სოფელ სიონშია და მუშაობს სოფლის მეურნეობაში.


1964–1965 წლებში მუშაობდა საქართველოს სამხედრო გზის საექსპლოატაციო განყოფილებაში, 1965–1968 წლებში – უფროს ოსტატად სამხედრო გზის განყოფილებაში. 1969–1971 წლებში თბილისის ელექტრომშრომელებელ ქარხანაში საწყობის გამგედ, 1971–1972 წლებში ამავე ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, 1972–1973 წლებში – ქარხნის უფროს ეკონომისტად, 1973–1975 წლებში ეკონომიკური ჯგუფის უფროსად, 1975–1977 წლებში „ცეკავშირის“ ფინანსურ-ეკონომიკური დაგეგმარების განყოფილებაშია, 1977–1978 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური განყოფილების უფროსის მოადგილეა.

1978 წლის აპრილიდან დეკემბრამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს სამეურნეო განყოფილების უფროსია.

1978 წლის დეკემბერში ომარ წამალაიძე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. 1979 წლის იანვარში – მღვდლად. 1979 წლის აგვისტოში აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ქრისტეფორე, მიიღო არქიმანდრიტის წოდება. 19 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დადგენილ იქნა მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის მმართველად. 20 აგვისტოს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა არქიმანდრიტ ქრისტეფორეს ეპისკოპოსად კურთხევა. ეპისკოპოსი ქრისტეფორე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დანიშნა ქორეპისკოპოსად. 1980 წლიდან იგი განაგებდა ნიკორწმინდის ეპარქიას, ხოლო 1981 წლიდან 1992 წლამდე მარგვეთის ეპარქიას. ეპისკოპოსი ქრისტეფორე აქტიურად მონაწილეობდა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო ყველა საპროტესტო გამოსვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მიტინგებზე მგზნებარე დეკლამატორი. 1992–1995 წლებში განაგებდა აგარაკ-წალკის ეპარქიას. 1995 წლის 5 აპრილიდან ეპისკოპოსი ქრისტეფორე განაგებდა ურბნისისა და რუისის ეპარქიას, სადაც მოხდა სერიოზული დაპირისპირება მრევლსა და მმართველ მღვდელმთავარს შორის. 1995 წლის 31 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ურბნისისა და რუისის სამღვდელოებისა და მრევლის საჩივარი მმართველი ეპისკოპოსის ქრისტეფორეს (წამალაიძე) დარღვევათა შესახებ და განაჩინა: ეპისკოპოს ქრისტეფორეს მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება, რათა მისი მოქმედებანი არ იყოს დამაბრკოლებელი მართლმადიდებელი მრევლისათვის, განთავისუფლდეს ურბნისისა და რუისის ეპარქიიდან და გადაყვანილ იქნას ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის მმართველად. 1995 წლის 17 სექტემბერს წმიდა სინოდი კვლავ დაუბრუნდა ეპისკოპოს ქრისტეფორეს საკითხს და დაადგინა: „წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების სისტემატური

დარღვევის გამო წმიდა სინოდის მიერ გამოცხადებული უკანასკნელი გაფრთხილების უგულებელყოფისათვის, ეპარქიის უნებართვოდ მიტოვებისათვის და საქართველოდან უცხოეთში თვითნებურად გამგზავრებისათვის ბოლნისისა და დმანისის ეპისკოპოსი ქრისტეფორე გამოყვანილ იქნა წმიდა სინოდის შემადგენლობიდან,ჩამოერთვა ეპარქიის მმართველობა და აეკრძალა მღვდელმოქმედება.“. მოუნანიებლობის შემთხვევაში წმიდა სინოდი დაემუქრა განკვეთით. 2000 წლის 14 დეკემბერს წმიდა სინოდმა კიდევ ერთხელ განიხილა მღვდელმოქმედება აკრძალულ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძე) წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდისადმი და პასუხები სინოდის მიერ დანიშნული კომისიის თავმჯდომარის, აწ გარდაცვლილ მარგველ მიტროპოლიტ კონსტანტინეს მიერ მისთვის დასმულ კითხვებზე. ვინაიდან პასუხები შეუსაბამოდ და არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული, წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე) დარჩეს მღვდელმოქმედების აკრძალვაში და მიეცეს საბოლოო გაფრთხილება,რომ თუ იგი არ შეწყვეტს მღვდელმოქმედებას განიკვეთა სამღვდელო ხარისხიდან.“

მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)



მიტროპოლიტი კალისტრატე, ერისკაცობაში შოთა ილიას ძე მარგალიტაშვილი, დაიბადა 1938 წლის 20 ოქტომბერს, თელავის რაიონ სოფელ ვარდისუბანში,

1956 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ძირითადად სამშენებლო უბნებზე.

1967 წელს დაამთავრა ქ. ვორონეჟის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტო-საინჟინრო ფაკულტეტი, 1975 წელს ჩაირიცხა თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს.

1983 წლიდან ბეთანიის მონასტრის მორჩილია, იმავე წელს აღიკვეცა ბერად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე (7 აპრილს) აკურთხეს დიაკვნად.

1983წლიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს მშენებლობამომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად. 20 ივლისს (2 აგვისტოს) აკურთხეს მღვდელმონაზვნად, შემდეგ აიყვანეს იღუმენის ხარისხში.

1983 წლის აპრილიდან თელავის ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარია. 12(25) სექტემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 12(25) დეკემბერს აკურთხეს ეპისკოპოსად და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად.

1989 წელს ეპისკოპოსი კალისტრატე აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 1992 წელს – მიტროპოლიტის ხარისხში. მეუფე კალისტრატეს ძალისხმევითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1990 წლის 21 სექტემბერს აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, რომლის რექტორი მეუფე კალისტრატეა.

1990 1995 წლის 8 ივნისს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით ქუთაისში გაიხსნა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია, ხოლო 2001 წლის 16 ივლისიდან – წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, 2002 წლის 3 ივნისიდან დავით აღმაშენებლის სახელობის ინსტიტუტთან გაიხსნა სამედიცინო და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები, 2008 წლის სექტემბერში წყალტუბოში გაიხსნა სასულიერო გიმნაზია. მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დასავლეთ საქართველოში, ახლანდელ ვანისა და ბაღდადის, ხონისა და სამტრედიის, ტყიბულისა და თერჯოლის, ლეჩხუმისა და სვანეთის ეპარქიებში, რომელნიც 1995 წლამდე ქუთაისგაენათის ეპარქიაში შედიოდნენ, აღდგენილ იქნა 300-მდე ეკლესია-მონასტერი.

1986 წლის აპრილში, როდესაც უკრაინაში ჩერნობილის დიდი ტრაგედია მოხდა, იმ ძნელბედობის ჟამს მთელი მსოფლიოდან პირველი მოძღვარი მეუფე კალისტრატე უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩავიდა ჩერნობილში და ორი კვირის მანძილზე ლოცვითა და ქადაგებებით ანუგეშებდა მრევლს.

წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიამ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავდადებული ღვაწლით მიაღწია იმას, რომ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია. დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც მთავარეპისკოპოსი კალისტრატე შედიოდა, კონსტანტინოპოლიდან საქართველოში

ჩამოიტანა ეს ისტორიული დოკუმენტები. 1990 წლის ნოემბერში მეუფე კალისტრატეს დიდი ძალისხმევითა და თანადგომით ტრაპიზონიდან გელათში გადმოსვენებულ იქნა იმერთა მეფის სოლომონ II-ის ნეშტი, ასევე მეუფის დიდი შრომითა და ძალისხმევით 2005 წელს მოხდა მიტროპოლიტ ექვთიმეს (შარავაშიძე) პეტერბურგიდან გელათში გადმოსვენება.

1993 წლის სექტემბერში, საქართველოსათვის მძიმე დღეებში, აფხაზეთის ომის დროს ქართველ მეომართა, მებრძოლთა და მთავრობის გასამხნევებლად მეუფე კალისტრატე იმყოფებოდა სოხუმში. მიტროპოლიტი კალისტრატე დაჯილდოებულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდა დანიელის ორდენით, ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდა კირილეს და მეთოდეს სახელობის ორდენებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაჯილდოვდა წმიდა გიორგის უმაღლესი ორდენით, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ანთიმ იველრიელის დიპლომით,საქართველოს საერო ხელისუფლების მიერ ღირსების ორდენით.

2000 წლის 21 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვაკურთხევით ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე დაჯილდოდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

2000 წლის 21 სექტემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2012 წლის 26 მაისს ქუთაისში საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე.

2012 წლის 24 ივლისს ქათათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ შეასრულა ბაგრატის ტაძრის გუმბათის ჯვრის კურთხევა, ხოლო ამავე წლის 17 აგვისტოს ჯვარი საზეიმო ვითარებაში აღიმართა ტაძრის გუმბათზე.

2012 წლის 16 ოქტომბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ საზეიმოდ აკურთხა ბაგრატის ტაძარი.

მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)



მიტროპოლიტი დანიელი, ერისკაცობაში დავით გრიგოლის ძე დათუაშვილი, დაიბადა 1955 წლის 29 მაისს ქ. თბილისში.

1963-1972 წლებში სწავლობდა თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში,

1972-1977 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტზე.

1978-79 წლებში გადიოდა სტაჟირებას მოსკოვის კინოს თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს კინოკომიტეტის საგამომცემლო განყოფილებაში, სადაც მუშაობდა 1981 წლამდე. იგი იმ მცირერიცხოვან ახალგაზრდობის ჯგუფის წარმომადგენელია, რომელთაც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ თავიანთი მომავალი საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას დაუკავშირეს.

1981 წლიდან დავით დათუაშვილმა მუშაობა დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებაში. ამავე წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. II კურსიდან მან სწავლა გააგრძელა ქ. საგორსკის სემინარიაში დაუსწრებლად.

1983 წლის 4 ივნისს, წმიდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დავით დათუაშვილი მამადავითის ეკლესიაში დიაკვნად აკურთხა.

1985 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, დიაკვანი დავითი უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში აკურთხა მღვდლად.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1989 წლის 1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად წირვა ჩაატარა ფოკაში, ფარავნის ტბასთან და დალოცა წმიდა ნინოს ნაკვალევზე წამომსვლელი 33 მლოცველი. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მამა დავით დათუაშვილი...

1991წელს მამა დავით დათუაშვილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. ამავე პერიოდში იგი დაინიშნა სვეტიცხოველის ტაძრის წინამძღვრად, ხოლო შემდეგ – სხალთის მამათა მონასტრის წინამძღვრად და ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად. პარალელურად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სასულიერო აკადემიასა სემინარიაში.

1992 წლის 31 ოქტომბერს დეკანოზი დავით დათუაშვილი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დანიელი. იმავე წელს მიენიჭა არქიმანდრიტობა.

1991 წლის ივლისიდან იგი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარეა.

1992 წლის 22 მაისს არქიმანდრიტი დანიელი აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად.

1993წლის 17 ოქტომბრიდან მეუფე დანიელი გადაყვანილ იქნა ბოდბის ეპარქიიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად, ხოლო იმავე წლის 22 დეკემბრიდან ოფიციალურად დადგინდა ცხუმ-აფხაზეთის მმართველ მღვდელმთავრად.

1994 წლის 14 ოქტომბერს მეუფე დანიელი მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს მიტროპოლიტის პატივში იქნა აღყვანილი.

1995წელს შეთავსებით დაინიშნა ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსად. 2002 წლიდან მეუფე დანიელი შეთავსებით იყო ჯვერ მარგველი, ხოლო ამჟამად ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მმართველია. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მეუფე დანიელი ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციას სხვადასხვა ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ შეკრებებზე. მისი ხელმძღვანელობით სამჯერ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ქრისტიანული ეკლესიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემებზე. 2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2010 წლის 19 აგვისტოს მეუფე დანიელს მიებოძა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია)



მიტროპოლიტი აბრაამი, ერისკაცობაში ამირან მამიას ძე გარმელია,დაიბადა 1948 წლის 15 ნოემბერს ქ. სოხუმში.

1953 წლიდან მისი ოჯახი ცხოერობს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1971 წელს. სხვადასხვა დროს ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

1986 წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1988 წელს.

1988 წლის 3 იანვარს წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი) აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად აბრაამი. იმავე წლის 3 აპრილს მის მიერვე ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად.

1988 წლის 29 მაისს,სულთმოფენობის დღესასწაულზე, თბილისის ანჩისხატის ტაძრის კურთხეის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა მღვდელმონაზვნად. მსახურობდა ჯერ დმანისის სიონის, ხოლო შემდეგ გელათის მონასტრის წინამძღვრად.

1989 წლის მაისიდან 1990 წლის იულისამდე იმყოფებოდა ქ. რეგენსბურგის (გერმანია) აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტში.

1990 წლის 1 სექტემბრიდან 1991 წლის 30 ოქტომბრამდე მსახურობდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

1990 წლის სექტემბრიდან თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში კითხულობდა ლექციებს ძველ აღთქმაში.

1991წლის 21 ოქტომბერს, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო 30 ოქტომბრიდან დაინიშნა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად.

1992 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით დადგენილ,ხოლო 25 დეკემბერს ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად.

1993წლის 19 ივლისს ეპისკოპოსი აბრაამი დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად. მეუფე აბრაამის ძალისხმევით 1994 წლიდან ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობისა და ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტების ბაზაზე შეიქმნა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი.

1994-2000 წლებში გაიხსნა საქართველოს ისტორიის, ღვთისმეტყველების, ხელოვნებათმცოდნეობის,ქართული ენისა და ლიტერატურის,უცხო ენების კათედრები. რექტორის ინიციატივით დაარსდა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“

მეუფე აბრაამმა დიდი ღვაწლი დასდო 1996-1998 წლებში გურჯაანისა და საგარეჯოს, 1998-2002 წლებში ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიებს. მეუფე აბრაამი 1995 წლის 20 ივნისიდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილებას.

1996 წლის 25 დეკემბერს იგი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს – მიტროპოლიტის ხარისხში.

2002 წლის 17 ოქტომბრიდან მეუფე აბრაამი დასავლეთ ევროპის ეპარქიის მართველია.


2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი

ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2008 წლის 16 ნოემბერს მიტროპოლიტი აბრაამი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

2014 წლის 3 ივნისს გაიმართა წმიდა სინოდის სხდომა, რომლის განჩინებითაც დასავლეთ ევროპის ეპარქიას გამოეყო გერმანიის,ავსტრიის და ბენილუქსის ქვეყნების სამრეველოები. დასავლეთ ევროპის ეპარქიაში დარჩა: საფრანგეთის, შვეიცარიის, მალტის, ესპანეთის, პორტუგალიის და იტალიის სამრეველოები.

მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია)



მიტროპოლიტი ისაია, ერისკაცობაში ზურაბ მირდატის ძე ჭანტურია, დაიბადა 1961 წლის 12 აპრილს ქ. წალენჯიხაში. როგორც თავის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში გვამცნობს: „ მე-4 კლასამდე ვსწავლობდი წალენჯიხის სკოლა-ინტერნატში, მე-5 კლასიდან – წალენჯიხის პირველ საშუალო სკოლაში. “ რვა კლასის დამთავრების შემდეგ ზურაბ ჭანტურიამ სწავლა განაგრძო მოხე თოთხის სახელობის პროფესიულ ტექნიკუმში. 1982 წელს ბარებდა სამხატვრო აკადემიაში. შემდეგ ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში... როგორც მეუფე ისაია იხსენებს, „1986 წელს შეიძლება ითქვას, ბათონი გელას პირადი მონდომების წყალობით, ნაციონალურ ინსტიტუტში და გავხდი კინოფაკულტეტის სტუდენტი. ამავე დროს დაემთხვა ეროვნულ-

1993 წელს ზურაბ ჭანტურია შეიმოსა მთრწილის კაბით ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის დანიელის ლოცვა-კურთხევით, მაგრამ სულ მალე იქ განვითარებული მოვლენების შემდეგ (ომი, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია) ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის სამღვდელოებასთან. დევნილ მოსახლეობასთან ერთად გადაადახა საკუნი-ქუბერის უღელტეხილი. 15 სექტემბრიდან იგი ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელოებასთან ერთად დაემკვიდრა მარტყოფის მონასტერში.

1994 წლის 11 აპრილს მაღალყოვლადუსამღვდელესმა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა მორჩილი ზურაბი-ილია სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში აღკვეცა ბერად და სახელად ისაია უწოდა. იმავე წლის 24 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერი ისაია აკურთხა ბერ-დიაკვნად, მალევე ბერ-დიაკონი ისაია მცხეთის წმიდა ოლღას დედათა მონასტერში ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად.

1994-1995 წლებში მღვდელმონაზონი ისაია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ასრულებდა მარტყოფის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას. 1995 წლის თებერვალში მღვდელ-მონაზონ ისაიას ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მიენიჭა იღუმენის წოდება.

1995 წლის 5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – აღსდგა უძველესი ეპარქია ნიქოზისა და ცხინვალისა, წმიდა სინოდმა იღუმენი ისაია გამოარჩია ახლადაღდგენილი ეპარქიის საჭეთმპყრობლად.

1995 წლის 9 აპრილს, ღირსი მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღეს, წმიდა სინოდის განჩინების თანახმად, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა სინოდის წევრი მღვდელმთავრების თანამსახურებით აღასრულა იღუმენ ისაიას ეპისკოპოსად კურთხევის წესი.

2000 წლის 28 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ეპისკოპოს ისაიას მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2006 წელს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2017 წლის 21 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ მეუფე ისაია დააჯილდოვა სუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)



მიტროპოლიტი ანანია, ერისკაცობაში თენგიზ ანატოლის ძე ჯაფარიძე, დაიბადა 1949 წლის 20 აგვისტოს ტყიბულში, ინჟინერ-ტექნიკოსის ოჯახში.

1966 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1974 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „მართვის ავტომატური საშუალებების“ სპეციალობით.

1978-1980 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1979 წლის 14 თებერვალს იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის მედავითნედ დაინიშნა, ხოლო 2 აპრილს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღიკეცა ბერად და ეწოდა სახელი ანანია.

1979 წლის 4 აპრილს პატრიარქმა იგი აკურთხა დიაკვნად, 27 სექტემბერს – მღვდლად და დაინიშნა თბილისის სამების ეკლესიის წინამძღვრად.

1980 წლის 27 აპრილს ალავერდის მონასტერში აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, ხოლო 1981 წლის 8 მარტს მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი.

1980 წლის 15 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით არქიმანდრიტი ანანია აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. 17 მარტს მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა არქიმანდრიტ ანანიას ეპისკოპოსად კურთხევა.

იგი ჯერ ნიკორწმინდის, ხოლო 1981 წლის 29 აპრილიდან 1992 წლის 25 დეკემბრამდე ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსია. მეუფემ გადაწყვიტა შეუდგებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის მრავალტომეულის შექმნას, რომელშიც საფუძვლიანად გაანალიზდებოდა წარსული, აწმყო და მომავალი.

1996-2003 წლებში გამოიცა მისი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ოთხი ტომი), 2003 წელს „საქართველოს საეკლესიო კრებები“ სამ წიგნად. გარდა აღნიშნული ნაშრომებისა,მეუფე ანანიას ეკუთვნის „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“ (1994 წ.) „მესხეთი ქართველთა გამაჰმადიანება“ (1998 წ.), „საინგილო ქართველთა გალეკება“ (1998წ.)„ლაზეთ-თრიალეთი ქართველთა გაბერძნება“ (1999 წ.) „ქართლ-კახეთი ქართველთა გასომხება“ (1999 წ.) „აფხაზეთი ქართველთა გააფხაზება“ (2001 წ.) „რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას“ (2002 წ.), „პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“ (2002 წ.), „ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის“ (2002 წ.) „დედა ეკლესია“ (1996 წ.) „ღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა,“ 2008. 2009 წ. გამოიცა მისი 1300 გვერდიანი ნაშრომი „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია“.

1992 წლის 25 დეკემბრიდან მეუფე ანანია მანგლისის, 1995 წლის იენისიდან – მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსია. 2002 წელს მას მიენიჭა მიტროპოლიტობა. ამჟამად მეუფე ანანია განაგებს მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიას.

1991 წელს მისი თაოსნობით ახალციხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომლის რექტორიც იყო 1992 წლამდე. მეუფე ანანიამ 1999 წლის 2 იელისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია

თემაზე „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შუა საუკუნეებში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2002 წლის სექტემბრიდან მეუფე ანანია განაგებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრას, 2003 წლის 11 აპრილს მიენიჭა პროფესორის წოდება.


მეუფე ანანია 1992 წლიდან ლექციებს კითხულობს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

2005 წელს მიტროპოლიტი ანანია გახდა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, მეუფე ანანია 2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით, აგრეთვე ალექსანდრიის საპატრიარქოს წმიდა მარკოზის ორდენით. მწერალთა გაერთიანებამ (ეროვნული ცნობიერების ანალიტიკური ცენტრი) მიანიჭა პრემია „თვალსაჩინო საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეობისათვის“. მიღებული აქვს გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

2009 წლის 18 აგვისტოს მიტროპოლიტი ანანია დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით.

2013 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მიტროპოლიტი ვახტანგი (ახვლედიანი)



მიტროპოლიტი ვახტანგი,ერისკაცობაში ბადრი რუბენის ძე ახვლედიანი,დაიბადა 1953 წლის 25 ოქტომბერს ცაგერის რაიონ სოფელ ლასურიაში.

1970 წელს მან დაამთავრა ქ. ქუთაისის №1 საშუალო სკოლა და შემდეგ სწავლობდა და მსახურობდა კიევის უმაღლეს სამხედრო-საინჟინრო საავიაციო სასწავლებლის სამხედრო სპაერო ძალებში. სასწავლებელში კოსმონავტიკის საკითხების შესწავლამ განუმტკიცა მას ღვთის რწმენა და მიეიდა იმ შეხედულებამდე,რომ ყველაზე დიდი მეცნიერება ამ ქვეყნად არის ღვთის შემეცნება. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ბადრი ახვლედიანს სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში,მაგრამ მოულოდნელად შეცვალა გადაწყვეტილება და 1975 წელს ხაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1977 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ ბადრი ახვლედიანი აკურთხა დიაკვნად, უწოდა სახელად ბენიამინი და დაადგინა თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურად.

1978 წელს მან დაამთავრა სასულიერო სემინარია. ბენიამინ ახვლედიანი იყო მთავარდიაკონი 1977 წლის 23-25 დეკემბერს სიონისა და სვეტიცხოელის საპატრიარქო ტაძრებში, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა მიმდინარეობდა.

1978 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დიაკონი ბენიამინი აკურთხა მღვდლად და დანიშნა თბილისის ყოვლადწმიდა სამების ტაძრის წინამძღვრად,შემდეგ მთაწმინდის მამა დავითის ტაძრის მღვდელმსახურია. 1980 წლის 15 ოქტომბერს მას დეკანოზის ხარისხი მიენიჭა.

198[illegible] წლის 1 აგვისტოს იგი აღიკეცეა ბერად,ეწოდა სახელად ვახტანგი და აყვანილ იქნა [illegible]ქიმანდრიტის ხარისხში.

198[illegible] წლის 2 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრების თანამწირველობით არქიმანდრიტი ვახტანგი აკურთხა ეპისკოპოსად.

7 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აგარაკ-წალკის ეპარქიაში თვითონ წარადგინა ახლადდადგენილი მღვდელმთავარი დალოცა მრევლი და მეუფე ვახტანგს უსურვა წარმატებანი.

1984 წლიდან მეუფე ვახტანგი განაგებდა ჭყონდიდის ეპარქიას, 1988 წლიდან – ურბნისის ეპარქიას, 1992 წელს იგი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, 1995 წლის 5 აპრილიდან სამთავისისა და გორის ეპარქიის მმართველია.

2001 წელს დაინიშნა საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის მმართველად, ხოლო 2002 წლის 17 აგვისტოდან განაგებს მარგვეთისა და უბისის ეპარქიას.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2009 წლის 2 აგვისტოს აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

2013 წლის 11 ოქტომბრიდან მეუფე ვახტანგი ცურტაველი (ტიტულარული) მიტროპოლიტია.

მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოშვილი)



მიტროპოლიტი ზოსიმეერისკაცობაში შოთა გიორგის ძე შიოშვილი დაიბადა 1951 წლის 3 აგვისტოს თბილისში. მისი წინაპრები წარმოშობით გარე კახეთის სოფელ ჯიმითიდან ყოფილან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1969 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სატრანსპორტო ფაკულტეტზე.

1972-1974 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა თავისი ცხოვრება დაეკავშირებინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, 1974 წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1975 წლის 21 იელისს, სემინარიის II კურსზე ყოფნის დროს, იგი აკურთხეს დიაკვნად, ხოლო 1977 წლის 12 იელისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის ლოცვა-კურთხევით აკურთხეს მღვდლად და უწოდეს სახელად ანტონი დაინიშნა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში, პარალელურად ასრულებდა მცხეთის სასულიერო სემინარიის სასწავლო ინსპექტორის მოვალეობას. 1979 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

1978 წლის 1 სექტემბრიდან 1980 წლის 1 ოქტომბრამდე იგი მსახურობდა თბილისის მამა დავითის ეკლესიაში (მთაწმინდა).

1980 წლის 13 ოქტომბერს მამა ანტონი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ზოსიმე. ამ დროს იგი ასრულებდა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის მოვალეობას, კითხულობდა ლექციებს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პრაქტიკას.

1980 წლის 14 ოქტომბერს – აყვანილ იქნა არქიმანდრიტის, ხოლო 1983 წლის 14 ოქტომბერს ეპისკოპოსის ხარისხში.

ეპისკოპოსი ზოსიმე დაინიშნა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად.

1984 წლის იანვრიდან ეპისკოპოსი ზოსიმე დაინიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად.

1984 წლიდან ეპისკოპოსი ზოსიმე გადაყვანილ იქნა წილკნის ეპარქიის მმართველად, 1985-1988 წლებში შეთავსებით მართავდა ურბნისის ეპარქიასაც.

19841992 წლებში მეუფე ზოსიმე იყო საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე.

1984-1992 წლებში მეუფე ზოსიმე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციასთან ერთად არაერთხელ იმყოფებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში: ათონის მთაზე, იერუსალიმში, კვიპროსზე, მონაწილეობდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის მუშაობაში შოტლანდიაში, რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

1988 წლის 1 ოქტომბერს თბილისში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლითა და ლოცვაკურთხევით გაიხსნა სასულიერო აკადემია. თბილისშივე გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაც, ეპისკოპოსი ზოსიმე დაინიშნა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად. მეუფე ზოსიმე 1989 წლის თებერვალიდან პირადი განცხადების თანახმად განთავისუფლდა სასულიერო აკადემიის რექტორობიდან.

1988 წლის 20 ნოემბერს დიდი ხნის იძულებითი დუმილის შემდეგ კვლავ აღდგა წირვა-ლოცვა წილკნის ეკლესიაში.

1998 წელს აიგო ახალი ტაძრები დუშეთის რაიონის სოფელ აშში, 1999 წელს – სოფელ ბიწშენდში, ციხისძირში, ახალუბანში.

1997 წლის 25 დეკემბერს მეუფე ზოსიმე აღჟანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2009 წლის 26 სექტემბერს მიებოძა მიტროპოლიტობა.

მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე)



მიტროპოლიტი გიორგი, ერისკაცობაში გური კორფილეს ძე შალამბერიძე,დაიბადა 1940 წლის 25 თებერვალს ბაღდადის რაიონ სოფელ ფერსათში. საშუალო სკოლა დაამთავრა ფერსათში, შემდეგ თავისი ძმის – ცნობილი სასულიერო პირის ვიქტორ შალამბერიძის – რჩევითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის, ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით სწავლა განაგრძო ლენინგრადის (პეტერბურგი) სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს.

1971 წლის 23 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ იგი აკურთხა მღვდლად და დანიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგად. სემინარიაში იგი კითხულობდა ღვთისმეტყველების საგნებს.

1971-1974 წლებში ღვთისმსახურებას აღსრულებდა თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში.

1974-1978 წლებში – ქუთაისის პეტრე-პაველეს სახელობის ეკლესიაში. მამა გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრების მუშაობაში და მხარს უჭერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს – ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

1978 წლის 16 მარტს იგი დაინიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ.

1980 წლის იანვრიდან 1988 წლის ოქტომბრამდე იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი.

1988 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამორჩეული იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად. მეუფე გიორგის ღვაწლით ეპარქიაში ამოქმედდა სუჯუნის,სეფიეთის,ტყვირის,მაიდანის,მარანის,აბაშის ეკლესიები. 1992 წლის 21 დეკემბერს ეპისკოპოს გიორგის ებოძა მთავარეპისკოპოსობა, 2000 წლის 28 ნოემბერს მიტროპოლიტობა.

2007 წლის 21 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი გიორგი დადგენილ იქნა ახლადშექმნილი თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მმართველად. ახალი ეპარქია ისტორიული გაენათის ეპარქიის ნაწილს მოიცავს. მიტროპოლიტი გიორგი არის ღვთისმეტყველების დოქტორი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მღვდელმთავარი.

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)



მიტროპოლიტი იობი, ერისკაცობაში ელგუჯა ზურაბის ძე აქიაშვილი, დაიბადა 1960 წლის 29 მაისს ყაზბეგის რაიონ სოფელ სნოში. აქიაშვილთა გვარი ღუდუშაურთა განთქმული საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოებაა. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა ქრისტიანული სარწმუნოების მადლს, ოჯახი ღვთისმოშიში და მორწმუნე იყო.

1977 წელს ელგუჯა აქიაშვილმა დაამთავრა სოფელ სნოს საშუალო სკოლა, 1978 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში იგი იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი.

1982 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოში ეკონომისტად.

1983 წლიდან ელგუჯა აქიაშვილი საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილეა.

1984 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. დაბრუნების შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს საპატრიარქოში არქივარიუსად.

1985 წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1988 წლის 3 იანვარს სამთაეროს მონასტერში წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი) ელგუჯა აქიაშვილი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელი იობი. იმავე წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბერი იობი აკურთხა დიაკვნად, ხოლო 28 მარტს – მღვდლად.

1988 წლის 22 ივნისს მღვდელმონაზონი იობი დაინიშნა მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვრად.

1989 წლის ზაფხულში მღვდელმონაზონი იობი მონაწილეობდა აჭარაში მოწყობილ მისიონერულ მოგზაურობაში.

1989 წლის 3 სექტემბერს იგი აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, იმავე წლის ოქტომბერში უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაყვანილ იქნა აჭარაში სხალთის ახლადგახსნილ მამათა მონასტერში.

1990 წლის 28 აგვისტოს ვარძიაში წირვის დამთავრების შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იღუმენი იობი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა.

1990 წლის სექტემბერში არქიმანდრიტი იობი გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, კომანის მონასტერში, მაგრამ ელემენტარული საცხოვრებელი პირობების არქონის გამო იძულებული გახდა დროებით კვლავ თბილისში დაბრუნებულიყო.

1990 წლის იულისიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს ახლადჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის განყოფილების თავმჯდომარედ, იმავდროულად ასრულებდა მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვრის მოვალეობასაც.

1992 წლის მაისში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი იობი გამორჩეულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად. 17 მაისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მისი ეპისკოპოსად კურთხევის წესი.

1992 წლის სექტემბრიდან ეპისკოპოსი იობი დაინიშნა სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის პრორექტორად.

1993წლის 25 დეკემბერს მეუფე იობი გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად და ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად.

1994 წლის გაზაფხულზე წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის შემდეგ ეპისკოპოსი იობი დაინიშნა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად.

1995წლის 21 ოქტომბრიდან დაინიშნა ურბნისისა და რუისის ეპარქიის მმართველად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

1996 წლის 25 დეკემბერს აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, 2000 წლის დეკემბერში მიტროპოლიტის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2003 წელს პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა ქორეპისკოპოსის თანამდებობიდან და სათავეში ჩაუდგა საპატრიარქოს საღვთისმეტყველო და ლიტურგიკულ კომისიებს.

2013 წლის 11 ოქტომბერს,წმიდა სინოდის განჩინებით ურბნისისა და რუისის ეპარქიას გამოეყო სურამისა და ხაშურის ეპარქია.

მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე)



აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი,ერისკაცობაში ირაკლი რომანის ძე მახარაძე, დაიბადა 1960 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისში.

1976 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1981 წელს.

1981-1983 წლებში,როგორც არქიტექტორ-რესტავრატორი, მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოში, „ქართულ ფილმში“, არქეოლოგიურ ექსპედიციებში და სხვა.

1984 წლიდან ირაკლი მახარაძე გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის უფროსი მეცნიერთანამშრომელია.

1986-88 წ.წ. ჯერ კიდევ ერისკაც ირაკლი მახარაძის გარშემო შეიკრიბა ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც დავით გარეჯის ლავრის ტერიტორიაზე აღადგინეს ტერასები, გაწმინდეს წყალსაცავები და მოაწყვეს შიდა ეზო. ეს იყო სტუდენტთა ჯგუფი, რომელთა აქტიურობითაც გახმაურდა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა გარეჯის უდაბნოში საბჭოთა სამხედრო ძალების საწყობისა და პოლიგონის დამანგრეველი მოქმედებების შესახებ, რასაც შემდგომში პოლიგონის გაუქმება მოჰყვა.

1986-87 წ.წ. ვაშინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწყო სახარების (1.5 მX80 სმ) გადაწერა ნუსხურად ტერატზე (ხბოს ტყავზე). დღეს თბილისის სამების საპატრიარქო ტაძარში დაბრძანებულია ოქროჭედური ოთხთავი, რომელშიც მათეს სახარება და მარკოზის სახარების ნაწილი მეუფე დავითის მიერ გარეჯაში გადაწერილი ხელნაწერია.

1988 წლის 23 ნოემბერს ირაკლი მახარაძე დიაკვნად აკურთხეს, ამავე წლის 25 დეკემბერს კი – მღვდლად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით (ბრძ. N 781) იგი გარეჯის მონასტრისა და ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

1991წ. 28 ოქტომბერს მამა ირაკლი სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა დავითის სახელით. აღკვეცის საიდუმლო სხალთის მამათა მონასტერში შესრულდა.

1992 წლის 24 მაისს დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი დავითი (მახარაძე) წმინდა სინოდის განჩინებით ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად.

24 მაისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა იღუმენ დავითის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად კურთხევა. წლის 21 დეკემბერს წმინდა სინოდის განჩინებით ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი დავითი (მახარაძე) გადაიყვანეს ბოდბის ეპარქიაში, რომელსაც განაგებდა 1993 წლის 28 აგვისტომდე.

1992-1993 წლებში მეუფე დავითი ხელმძღვანელობდა საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებას.

1992 წლის სექტემბრიდან ეპისკოპოსი დავითი ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს.

1996 წლის 25 დეკემბერს ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის მაღალი სამღვდელმთავრო წოდება მიენიჭა.

1988 წლიდან მეუფე დავითი საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს თავმჯდომარეა.

2003 წლის თებერვლიდან კი შეიქმნა საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების,ხელოვნებისა

და რესტავრაციის ცენტრი,რომლის თავმჯდომარეა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქი ილია II, თავმჯდომარის მოადგილე კი – მეუფე დავითი.

2007 წლის 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აბბა ალაევრდელი მიტროპოლიტი დავითი წმინდა სინოდის სხვა წევრებთან ერთად წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. წლების მანძილზე ალაევრდელი მიტროპოლიტი დავითი არის საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, 2006 წლიდან კი გალობის ცენტრის თავმჯდომარეა.

მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი)



მიტროპოლიტი სერგი ერისკაცობაში ზურაბ ნიკოლოზის ძე ჩეკურიშვილი, დაიბადა 1959 წლის 13 აპრილს ქ. რუსთავში.

1975 წელს დაამთავრა რუსთავის №6 საშუალო სკოლა, გატაცებული იყო სპორტით. იყო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი.

1979-1981 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1981 წლიდან ზურაბ ჩეკურიშვილი სწავლობდა ხარკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი სერიოზულად დაინტერესდა მართლმადიდებლური სარწმუნოებით.

1985 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ზურაბ ჩეკურიშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, 1986 წლიდან იგი მორჩილად გადავიდა მოსკოვის წმიდა სამების სერგის ლავრაში.

1987 წლის 13 აპრილს მორჩილი ზურაბი აღკვეცეს ბერად და წმიდა სერგი რადონეჟელის საპატივცემულოდ უწოდეს სახელი სერგი. სულ მალე იგი ჯერ ბერდიაკნად, ხოლო 1988 წელს მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა საფარის მონასტრის წინამძღვრად. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით იგი აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1991 წ.), ხოლო 1992 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა არქიმანდრიტი სერგი ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსად ირჩია. 25 დეკემბერს, კვირას სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა.

1992 წელს მეუფე სერგი დაინიშნა წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ახალციხის სემინარიის რექტორად.

1996 წელს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის იგი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 1997 წლის 14 ნოემბრიდან მთავარეპისკოპოსი სერგი გადაყვანილ იქნა ნეკრესის ეპარქიის მმართველად. 2009 წლის სექტემბრიდან ეპარქიაში იხსნება წმიდა აბიბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია.

2000 წლის 28 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მეუფე სერგის მიებოძა მიტროპოლიტობა, ხოლო 2007 წლის 25 დეკემბერს იგი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2013 წელს სასულიერო სემინარიამ შეიცვალა სახელი და გახდა უმაღლესი საღვთისმეტყველო-საგანმანათლებლო დაწესებულება, ა(ა)იპ ა(ა)იპ „საქსრთველოს საპატრიარქო გრების სასულიერო სემინარია“, რომელიც გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ბაკალავრის დიპლომს.

მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე)



მიტროპოლიტი იოსები, ერისკაცობაში გიორგი მიქელის ძე კიკვაძე, დაიბადა 1959 წლის 17 სექტემბერს ხიხატაურის რაიონ სოფელ ზედა ფარცხმაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1978 წელს.

1978-1979 წლებში მუშაობდა ხიხატაურის რაიონის სოფელ ნასუბნის საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად.

1979-1981 იყო წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში, შემდეგ 1981-1985 წლებში ასწავლიდა ქანდაკების, გრაფიკის და ფერწერის ხიხატაურის სამხატვრო სკოლაში.

1985-1990 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

1986 წლიდან გიორგი კიკვაძე თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლია, პარალელურად მსახურობდა სტიქაროსნად მცხეთაში, წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში.

1990 წელს წავიდა საფარის მამათა მონასტერში, სადაც აკურთხეს მთრმილად, იმავე წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხაირიცხა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1991 წლის 16 მაისს, ამაღლების დღესასწაულზე, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღკვეცა ბერად სვეტიცხოველში და უწოდა სახელად იოსები.

1991 წლის 23 მაისს პატრიარქმა მამა იოსები დავით-გარეჯის მონასტერში აკურთხა დიაკვნად. 1991 წლის 3 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერ-დიაკონი იოსები სიონის საპატრიარქო ტაძარში აკურთხა მღვდელ-მონაზვნად და განაწესა სვეტიცხოველისა და წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მწირველ მღვდლად.

1992-1993 წლებში იგი მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვარია.

1993 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ.

1995 წლის 7 აპრილს წმიდა სინოდის განჩინებით წმიდა ხარების დღესასწაულზე ეკურთხა შემოქმედელ ეპისკოპოსად.

2000 წლის 28 ნოემბერს მეუფე იოსებს მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2007 წლის 3 ივნისს მიტროპოლიტის პატივი მიებოძა.

2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი იოსები დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა)



მიტროპოლიტი სერაფიმე, ერისკაცობაში თამაზ ილიას ძე ჯოჯუა,დაიბადა 1961 წლის 15 თებერვალს ქ. სოხუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე.

1991-1992 წლებში თამაზ ჯოჯუა იმყოფებოდა მარტყოფის მამათა მონასტერში მორჩილებაში.

1992 წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დღესასწაულზე ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა (დათუაშვილი) მორჩილი აკაკი ვარძიაში ბერად აღკვეცა და წმიდა სერაფიმ საროველის პატივსაცემად უწოდა სახელი სერაფიმე და დაადგინა ფოკას მამათა მონასტრის წინამძღვრად,ოქტომბრის თვეში ფოკას მონასტერში აკურთხა ბერ-დიაკვნად.

1992 წლის 26 ნოემბერს,უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერ-დიაკონი სერაფიმე სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდელ-მონაზნად აკურთხა. წლის აგვისტოში მღვდელ-მონაზონ სერაფიმეს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის იღუმენის წოდება მიენიჭა.

1995წლის 5აპრილს,უწმიდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით დაარსდა ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქია. აღდგენილ-დაარსებული ეპარქიის ეპისკოპოსად სინოდის წევრმა მღვდელმთავრებმა არსენიეს იღუმენი სერაფიმე.

1994 წლის 20 აპრილს,დიდ ხუთშაბათს,მირონის კურთხევის დღეს,უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველ მღვდელმთავართა თანამწირეველობით,იღუმენი სერაფიმე სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხა.

2002 წლის 17 ნოემბრამდე მეუფე სერაფიმე ხელმძღვანელობდა ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქიას, ხოლო ამის შემდეგ ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიას. მისი ინიციატივით 2001 წელს ახალქალაქსა და ნინოწმიდაში დაფუძნდა პირველი საეპისკოპოსო რეზიდენცია, იკურთხა ეკლესიები, ამოქმედდა მონასტრები.


2000 წლის 28 ნოემბერს მეუფე სერაფიმე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2009 წლის 18 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი სერაფიმე აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

2016 წლის 24 აპრილიდან მიტროპოლიტი სერაფიმე,პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლდა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მმართველობიდან. ამჟამად იგი ტიტულარული მიტროპოლიტია.

† მიტროპოლიტი ელისე (ჯოხაძე)



მიტროპოლიტი ელისე, ერისკაცობაში ელდარ რაჟდენის ძე ჯოხაძე,დაიბადა 1949 წლის 16 თებერვალს ონის რაიონის სოფელ შქმერში.

1951 წელს ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. პატარა ელდარი სკოლის ასაკში მოინათლა სიონის საკათედრო ტაძარში, ნათლობის საიდუმლო შეასრულა მღვდელმა (შემდეგში პროტოპრესვიტერმა) პახუმ ობოლაძემ. ელდარ ჯოხაძემ 1966 წელს დაამთავრა თბილისის მე-4 საშუალო სკოლა, შემდეგ 51-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

1966 წლიდან მუშაობდა ქარხანა „პლასტმასში“ ელექტროსვინკლად,1968-1969 წლებში – სოფელ შქმერის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებლად.

1970 წელს სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების ელექტრომძრავ მანქანათა და საწარმოო დანადგართა ავტომატიზაციის სპეციალობით, რომლის სრული კურსი 1976 წელს დაამთავრა. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი მუშაობდა თბილისის ელექტრონაკეთობათა სამმართველოში, „თელასი“-ს სადისპეჩერო განყოფილებაში, თბილისის „რადიოქარხანაში“ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ამავე საწარმოს ენერგეტიკულ განყოფილებაში ინჟინრად.

1976 წლიდან მუშაობდა გარდაბნის რაიონის ლითონკონსტრუქციების ქარხნის თბილისის ფილიალში საამქროს უფროსად, შემდეგ კი საქართველოს სამხატვრო ფონდში,სადაც ასრულებდა ჯერ ტექნიკური ზედამხედველის,შემდეგ მთავარი ინჟინრის მოვალეობას, აქ მას მიენიჭა ხალხური ოსტატის წოდება.

1980 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს მშენებლობისა და რესტავრაციის განყოფილების ინჟინრად. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი მონაწილეობდა სიონის საკათედრო ტაძრის,დიდუბის ეკლესიის, მარტყოფისა და მანგლისის საპატრიარქო რეზიდენციების რესტავრაციასა და მშენებლობაში. 1982 წლიდან იგი საქართველოს საპატრიარქოს სასაწყობო მეურნეობის გამგე და ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მნათე.

1983 წლის 19 ივნისს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად და სახელად ეწოდა ელისე. იმავე წლის სექტემბერში დიაკვანი ელისე ხელდასხმულ იქნა მღვდლად და გაიგზავნა წალკის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად.

1983 წელს მღვდელი ელისე ჯოხაძე ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1983-1996 წლებში მამა ელისე ჯოხაძე ღვთისმსახურებას აღასრულებდა წალკის, ნიკორწმიდის,გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის,მცხეთის სვეტიცხოველის,ანანურის ყოვლადწიდა ღვთისმშობლის, თბილისის წმიდა პანტელეიმონ მკურნალის, დიდუბის ყოვლადწმიდა

1995 წლის 14 მარტს უწმიდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა,თბილისის მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ელისე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გამოარჩია. იგი აღიკვეცა ბერად, აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

1996 წლის 17 მარტს, არქიმანდრიტი ელისე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სინოდის წევრების, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის წარმომადგენელ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს თანდასწრებით აკურთხა ეპისკოპოსად.

2000 წლის ნოემბერში მეუფე ელისე აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმიდა გიორგის ოქროს ორდენით. ხოლო 2008 წლის 27 ივნისს წმიდა წინასწარმეტყველ ელისეს ხსენების დღესმიებოძა მიტროპოლიტობა. მეუფე ელისე საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

2015 წლის 16 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია ონის რაიონში, თაეის მშობლიურ სოფელ შქმერში, მის მიერ აგებულ ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში.

მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)



მიტროპოლიტი გრიგოლი, ერისკაცობაში გურამ გრიგოლის ძე ბერბიჭაშვილი დაიბადა 1956 წლის 18 ივლისს თბილისში.

1964-1973 წლებში სწავლობდა 134-ე საშუალო სკოლაში.

1986-1987 წლებში გურამ ბერბიჭაშვილი მსახურობდა თბილისის დიდმოწამე ბარბარეს (ქეჟმო) ეკლესიაში ჯერ სტიქაროსნად, შემდეგ მნათედ.

1988-1991 წლებში გურამ ბერბიჭაშვილი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში,1991-1994 წლებში – თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1989 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოველობას, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ბათუმშემოქმედელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ (მელიქიძე) გურამ ბერბიჭაშვილი აკურთხა დიაკვნად, იგი განწესებულ იქნა ბათუმის საკათედრო ტაძარში.

1990 წლის 24 მარტს, მიტროპოლიტმა კონსტანტინემ ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში დიაკონი გურამი აკურთხა მღვდლად და დაადგინა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვრად, 1991 წლის 6 მაისიდან პარალელურად ახალადამოქმედებული აჭის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. მამა გურამმა ლიხაურისა და აჭის ეკლესიების წინამძღვრობის დროს გამოსცა არაერთი საეკლესიო წიგნი, დააფუძნა ყოველთვიური ჟურნალი „წყარო“

1993 წლის 15 ივლისს იგი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით, 1994 წლის 2 თებერვალს მას მიენიჭა დეკანოზის წოდება.

1996 წლის 21 მარტს შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარში დეკანოზი გურამ ბერბიჭაშვილი ეპისკოპოს იობის მიერ აღკვეცილ იქნა ბერად და ეწოდა სახელად გრიგოლი, 23 მარტს მას მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება და დაჯილდოვდა მიტრისა და გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლებით.

1996 წლის 24 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავართა თანამწირველობით არქიმანდრიტი გრიგოლი ფოთის ეპისკოპოსად აკურთხა. მეუფე გრიგოლი ჩვეული შემართებით შეუდგა მოღვაწეობას ახლად დაფუძნებულ ეპარქიაში.

1996 წელს ფოთში გაიხსნა საღვთისმეტყველო-კატეხიზატორული სკოლა, შემდეგ ხობის მონასტრის ბაზაზე ამოქმედდა სასულიერო სასწავლებელი.

2002 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა ზემო თეკლათის დედადათა მონასტერში წმიდა ნინოს გიმნაზია-პანსიონი,ფოტში წმიდა ნიკოლოზის სახელობის დაწყებითი გიმნაზია.

2005 წლის 18 ნოემბერს მეუფე გრიგოლის ძალისხმევით ფოთისა და ხობის ეპარქიას დაუბრუნდა XX-ე საუკუნის დასაწყისში აშენებული საკათედრო ტაძარი, რომელიც შრომატევადი რესტავრაციის შემდეგ ოფიციალურად ხელახლა იკურთხა, კვირაცხოველობის დღესასწაულზე 2013 წლის 12 მაისს.

2000 წლიდან მეუფე გრიგოლი ხელმძღვანელობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზიის დეპარტამენტს. მისი ხელმძღვანელობით იბეჭდება „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“.

2000 წლის 7 სექტემბერში მეუფე გრიგოლი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2007 წლის 3 ივნისს მას მიებოძა მიტროპოლიტობა.

2007 წლის 24 დეკემბერს იგი დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

მეუფე გრიგოლი 2008 წელს დაჯილდოვდა ეახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

2010 წლის 9 ნოემბრიდან არის საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალ „უფლისციხის“ მთავარი რედაქტორი.

მიტროპოლიტი გრიგოლი 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

2013 წელს მისი მაღალყოველადუსამღვდელოესობა დაჯილდოებული იქნა წმიდა ნიკოლოზის ორდენით.

მეუფე გრიგოლის ძალისხმევით 2012 წელს ფოთში გაიხსნა „ახალი საქართველოს უნივერსიტეტი“,რომელიც 2015 წლის 14 დეკემბერს წარმატებით გაიარა ავტორიზაციას, ბაკალავრიატში „თეოლოგიის“,მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში „ქრისტიანული ფილოსოფიის“ სპეციალობაზე.

2017 წლის 31 მაისს მეუფე გრიგოლმა გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)



მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ერისკაცობაში პაატა ვიქტორის ძე ფაჩუაშვილი, დაიბადა 1961 წლის 10 თებერვალს თბილისში.

1968-1978 წლებში სწავლობდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე.

1981-1985 წლებში იგი სწავლობდა მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1987-1988 წლებში – თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

1988 წელს პაატა ფაჩუაშვილი ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სასულიერო აკადემიაში. პაატა ფაჩუაშვილი ერთხანს მუშაობდა კინოსტუდია ქართულ ფილმში (1986 წ.), 150-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად (1987 წ.), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ქრისტიანული რელიგიის კათედრაზე მასწავლებლად.

1990 წელს უწმიდესმა, და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იგი აკურთხა დიაკვნად.

1991 წელს – მღვდლად, უწოდა სახელად პავლე და დაადგინა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის მოძღვრად, 1991 წელს მამა პავლე დაინიშნა თბილისის ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვრად, 1992 წელს – მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრად, 1996 წელს თბილისის ფერისცვალების ტაძრის წინამძღვრად.

1991 წელს მამა პავლე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ, 1995 წელს – საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმიდა ნინოს სახელობის მისიონერული სკოლის დირექტორად. წმიდა ნინოს გზაზე ფეხით სამგზის მოგზაურობისათვის მიენიჭა წმიდა ნინოს მორჩილის წოდება. 1993 წელს მიენიჭა დეკანოზის წოდება, დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

1996 წელს აღიკვეცა ბერად ეწოდა სახელი ნიკოლოზი, იმავე წელს აქვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

1997 წლის 29 მარტს წმიდა სინოდმა გამოარჩია ეპისკოპოსად. 1996 წლის თებერვლიდან 1998 წლის ნოემბრამდე მეუფე ნიკოლოზი იყო ცაგერისა და სვანეთის ეპარქიის მმართველი, 1998 წლის ნოემბრიდან 1999 წლის ნოემბრამდე – ახალციხის, 1999-2001 წლებში – ბოდბის, 2001-2002 წლებში – ცაგერისა და ქვემო სვანეთის, 2002 წლის 17 ოქტომბრიდან ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მმართველია.

2000 წლის 8 ნოემბერს ეპისკოპოს ნიკოლოზს ეკლესიაში ერთგული და ხანგრძლივი სამსახურისათვის მიენიჭა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2007 წლის ივლისში – მიტროპოლიტის წოდება.

2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი ნიკოლოზი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)



მიტროპოლიტი თეოდორე ერისკაცობაში დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჭუაძე, დაიბადა 1967 წლის 11 აპრილს ქ. სიღნაღში.

1974 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქ. თელავში.

1984 წელს მან დაამთავრა თელავის №4-ს საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

1986-1988 წლებში იგი მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1990 წელს ჩაირიცხა ახალციხის სასულიერო სემინარიაში.

1991 წლის 22 თებერვალს საფარის წმიდა საბა განწმენდილის მონასტრის წინამძღვარმა სერგიმ (ამჟამად მიტროპოლიტი) მორჩილი დიმიტრი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად თეოდორე.

1991 წლის 2 ივნისს, სიონის საკათედრო ტაძარში, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერი თეოდორე აკურთხა ბერ-დიაკვნად, ხოლო 1991 წლის 8 სექტემბერს – მღვდელ-მონაზვნად.

1992 წელს დაინიშნა საფარის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

1993 წლის 12 ივლისს მღვდელ-მონაზონ თეოდორეს მიენიჭა იღუმენის, ხოლო 1996 წლის 26 ოქტომბერს – არქიმანდრიტის წოდება.

1996 წლის 27 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმიდა სინოდის წევრების თანამწირველობით არქიმანდრიტი თეოდორე ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხა.

1997 წლის ნოემბრიდან მეუფე თეოდორე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მმართველია.


2003 წლის მარტიდან 2004 წლის 4 იანვრამდე ეპისკოპოსი თეოდორე საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. 2004 წლის 4 იანვრიდან 2005 წლის თებერვლამდე თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორია.

2004 წლის 30 ივნისს, წმ. შალვა ახალციხელის ხსენების დღეს, ახალციხობის სახალხო დღესასწაულზე, მეუფე თეოდორეს ახალციხის საკრებულოს გადაწყვეტილებით ახალციხის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

2005 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსია.

2003 წლის დეკემბერში ეპისკოპოს თეოდორეს ეკლესიაში ერთგული და ხანგრძლივი სამსახურისათვის მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2006 წელს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. 2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი თეოდორე დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მეუფე თეოდორე მონაწილეობს საერთაშორისო ქრისტიანულ ფორუმებში.

მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია)



მიტროპოლიტი საბა, ერისკაცობაში ზაზა როინის ძე გიგიბერია, დაიბადა 1966 წლის 28 სექტემბერს სენაკის რაიონ სოფელ ძველ სენაკში.

1983 წელს დაამთავრა ძველი სენაკის საშუალო სკოლა. ეს სკოლა 1884 წელს დაუარსებია ილია ჭავჭავაძეს. იქ არაერთი სახელოვანი მწერალი, მეცნიერი და სასულიერო პირი აღიზარდა.

1984 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.ინსტიტუტიდან გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იმსახურა 2 წელი, 1991 წელს დაამთავრა ინსტიტუტი.

1991 წლის 14 ივნისს იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად საბა,1992 წლის 12 იანვარს აკურთხეს დიაკვნად. 1993 წლის 4 ოქტომბერს – მღვდლად და მსახურობდა საფარის მონასტერში, იყო მონასტრის ეკონომოსი.

1990-1992 წლებში სწაელობდა ახალციხის სასულიერო სემინარიაში.

1993წლის 5 ნოემბერს წირვალოცვა აღსდგა ტიმოთესუბნის მონასტერში და იღუმენი საბა დაინიშნა მონასტრის წინამძღვრად.

1996 წლის 22-23 ოქტომბერს გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომამ იღუმენი საბა გამოარჩია საეპისკოპოსო კანდიდატად. 26 ოქტომბერს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და 1996 წლის 3 ნოემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში აკურთხეს ხონის ეპისკოპოსად.

2003 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსი საბა აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, 2008 წლის 24 აპრილს დიდ ხუთშაბათს მიიღო მიტროპოლიტის წოდება.

1997 წლიდან მუშაობდა საპატრიარქოს საფინანსო ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარედ,2004 წლის მაისიდან 2006 წლის იანვრამდე ეკოლოგიისა და ვამწყანების დეპარტამენტის თავმჯდომარედ, 2006 წლის იანვრიდან მომლოცველთა სამსახურის (ტურიზმის დეპარტამენტი) უფროსია.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2008 წლის 24 აპრილს ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი.

2011 წლის 13 ნოემბერს ქ. სამტრედიაში გაიხსნა წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი. პირველი საღმრთო ლიტურგია წმიდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლინა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)



მიტროპოლიტი დიმიტრი,ერისკაცობაში ნოდარ (ჭაბუკა) შოთას ძე შიოლაშვილი, დაიბადა 1961 წლის 16 თებერვალს მცხეთაში. წარმომაელობით შიოლაშვილები ხევის ერთ-ერთ პატარა ლამაზ სოფელ სნოდან არიან. გვარი ხევში გამორჩეულ შიოლა ღუდუშაურიდან მოდის. ყმაწვილობიდან იგი იზრდებოდა ბიძის, იმხანად მეუფე ილიას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მეოვალყურეობით.

1979 წელს ნოდარ შიოლაშვილმა დაამთავრა მცხეთის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში.

1986 წელს დაიცვა დისერტაცია საეკლესიო ისტორიაში და დაბრუნდა საქართველოში. მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1985წლის 28 ივლისს დიაკვნად,1986 წლის 12 იანვარს მღვდლად აკურთხა და განაწესა ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძარში მღვდელმსახურად.

1987-1988 წლებში მსახურობდა ალავერდის ტაძარში, 1988-1989 წლებში – თბილისის ანისისაენის საკათოლიკოსო ტაძარში, იმავდროულად ლექციებს კითხულობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1989 წლის 13 მაისს აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და დაინიშნა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად.

1991 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში დაარსდა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია და მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დეკანოზი დავით შიოლაშვილი მის პირველ რექტორად დაინიშნა. 1993 წელს გაიხსნა წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და წლების მანძილზე მისი რექტორი იყო დეკანოზი დავითი.

1994 წელს ამოქმედდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე, მოხუცებულთა და ინვალიდთა თავშესაფარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დეკანოზი დავითი.

1996 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა დეკანოზი დავითი ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად გამოარჩია. 7 ნოემბერს, (ძვ. სტილით 26 ოქტომბერი) წმიდა დიდმოწამე დიმიტრის ხსენების დღეს, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქნა ბათუმისა და სხლათის ეპისკოპოსად და ეწოდა სახელად დიმიტრი.

2003 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსი დიმიტრი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, 2007 წლის 3 ივნისს – მიტროპოლიტის ხარისხში.

2007 წლის 24 დეკემბერს მეუფე დიმიტრი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით.

2007 წლის 21 დეკემბერს გაიყო ახალციხის,ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია და ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიას დაემატა ლაზეთი. მიტროპოლიტი დიმიტრი დადგინდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველად.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

მეუფე დიმიტრი არის „წმიდა მიწის“ შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე. ეპარქიის წინამძღოლობის პარალელურად მეუფე დიმიტრი

ხელმძღვანელობს საქართველოს საპატრიარქოს საინფორმაციო სამსახურს.

2009 წლის 9 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის მიენდო ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ქართული სამრევლოების წინამძღოლობა.2014 წლის 3 ივნისამდე, სანამ წმიდა სინოდის განჩინებით ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მმართველად დადგინდებოდა მეუფე საბა (ინწკირველი).

მიტროპოლიტი ანტონი (ბულუხია)



მიტროპოლიტი ანტონი, ერისკაცობაში მარკოზ სოლომონის ძე ბულუხია, დაიბადა 1956 წლის 7 მაისს ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში.

1973 წელს მარკოზ ბულუხიამ დაამთავრა ქუთაისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატი.

1974-1976 წლებში იგი იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1976-1982 წლებში მარკოზ ბულუხია ცხოერობდა მოსკოვში, სწავლობდა მიწათმოქმედების ინსტიტუტში, 1980-1982 წლებში – საკავშირო იურიდიულ ინსტიტუტში, ხოლო 19871990 წლებში – მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1989 წლის 16 მარტს ჰყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა გიორგიმ (შალამბერიძე) მარტვილის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში მარკოზ ბულუხიას ხელი დაასხა დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 26 აპრილს – მღვდლად და დაადგინა სუჯუნის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

1996 წლის მაისში მამა მარკოზი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში, ხოლო იმავე წლის 13 ივლისს დაჯილდოებული იქნა მიტრისა და გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლებით.

1996 წლის 25 ოქტომბერს მამა მარკოზ ბულუხია რუისისა და ურბნისის მთავარეპისკოპოსმა იობმა ბერად აღკეცა და უწოდა სახელად ანტონი.

1996 წლის 26 ოქტომბერს იგი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1998 წლის 10 ნოემბერს მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არქიმანდრიტი ანტონი ეპისკოპოსად აკურთხა, მას ჩაბარდა ვანისა და ბაღდადის ეპარქია. გთავაზობთ ეპისკოპოსად კურთხევისას წარმოთქმულ მის სიტყვას:

„თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ მაღალყოველადუსამღვდელოესნო და ყოველადუსამღვდელოესნო მეუფენო, მამანო, ძმანო და დანო, მიმძიმს რაიმე ეთქვა ამ წუთებში, არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, არამედ, პირიქით, იმიტომ რომ სათქმელი ძალიან ბევრია. ამ წუთებში ჩემი გონება და გული მოცულია სიხარულითა და მღელვარებით. სიხარული გამოწვეულია იმ პატივით, რომლის ღირსიც წმიდა სინოდის დადგენილებით გავხდი, მღელვარება კი – იმ პასუხისმგებლობით, რომელიც ამ პატივს თან ახლავს.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ გადავხედე და გავიაზრე ჩემს მიერ განვლილი ცხოერების გზა, როგორც ერში, ასევე ეკლესიაში სამსახურისას. ეს გზა სავსე იყო სირთულეებით, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი როგორ მწყალობდა, როგორ მიფარავდა და როგორ განმამტკიცებდა უფალი ღმერთი ჩვენი. ვარდებით მოფენილ გზას არც ახლა ველოდები, მაგრამ მჯერა, რომ შეწევნა, წყალობა და მფარველობა კელავაც არ მომაკლდება მისგან, ვინც აქამდე მწყალობდა და მიფარავდა.

როგორც წმიდა ბასილი დიდი ბრძანებდა, ორიენ მხარეს ჯაჭვით მიბმული ნავი ზღვაზე ატეხილ ქარიშხალსა და აღელვებულ ტალღებს უშიშრად ხვდება ღვთის შეწევნითა და თქვენი თანადგომით, შეიძლება მეც გავუძლო იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს, რომელიც წინ მელოდება.

დღეს აქ მოვიდნენ ადამიანები, რომლებთანაც ერთად მე, როგორც მოძღვარმა, ჩემი

სულიერი ცხოვრების გზა დავიწყე და რომელთა წინაშეც პასუხისმგებლობას ახლაც ვგრძნობ.

რვა წელი ვიმსახურე აბაშის რაიონში და საერთოდ ჭყონდიდის ეპარქიაში. ცნობილი მოვლენების ჟამს ჩვენ ბევრი რამ გადავიტანეთ ერთად. სამოცდაათწლიანი სულიერი მიძინების შემდეგ ერთად დავიწყეთ მამაპაპური მართლმადიდებლური სარწმუნოების ანისა და ბანის შესწავლა. ვიცით, რომ მათ ახარებთ დღევანდელი დღე და ისიც ვიცით, რომ დამწუხრებულნიც არიან განშორების გამო.

ჩვენი სასოება ყოველთვის იყო და იქნება უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ვრჩებით რა მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში, ჩვენი სულიერი ურთიერთობაც განუყოფელია ზეციური საკურთხეველის წინაშე. ნუ განეშორებით დედა ეკლესიას, რომელსაც თქვენთან სუჯუნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია წარმოადგენს. გეახსოვდეს, ეკლესიამ შეიძლება რიცხობრივად დაკარგოს მორწმუნეთა რაოდენობა, მაგრამ იგი იძენს ხარისხს. მჯერა რომ, თქვენ დედა ეკლესიის ღირსეული შვილები ხართ. თანამედროვე ქრისტიანები სიამაყით ვიხსენებთ ეკლესიის ისტორიას და იმედის თვალით ვუყურებთ მომავალს, აწმყოს კი უმეტესად ოცნებებს ვუთმობთ. დღევანდელი ეკლესიის ისტორია ჩვენი ცხოვრების ისტორიაა, და თუ როგორი იქნება იგი, ეს დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მრწამსზე, ჩვენს ერთგულებასა და სიმტკიცეზე, იმ ღვაწლზე, რომლის აღსრულებაც დედა ეკლესიის მორჩილებით გვმართებს.

უფალი ბრძანებს: – „არარაი არს დაფარული, რომელი არა განცხადდეს და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს“ (ლუკა, 12,2).

ეს დღე დადგება ჩვენთვისაც. იმ დაფარულთა შორის, რაც აუცილებლად განცხადდება, მინდა განცხადებულ იქნას ჩემი, როგორც მართლმადიდებელი იერარქიის, სარწმუნოებისა და მამულის სიყვარული, სიყვარული ჩემი მშობელი ხალხისა, გამართლება იმ ნდობისა, რომელიც თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ და წმიდა სინოდმა გამომიცხადეთ.

მე კარგად მესმის ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი; მესმის, რომ დღეიდან ჩემთვის განუყოფელია საქვეყნო და პირადული, საკუთარი და ეროვნული სატკივარი.

„და მომეც მე უფალო, ერთითა პირითა და ერთითა გულითა, დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა და დიდად შვენიერსა სახელსა შენსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“ (61,1998,11).

2004 წლის 4 იანვარს ეპისკოპოსი ანტონი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2010 წლის 2 ივნისს მიებოძა მიტროპოლიტობა.

მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე)



მიტროპოლიტი გერასიმე, ერისკაცობაში გიორგი რევაზის ძე შარაშენიძე, დაიბადა 1958 წლის 20 მაისს თბილისში. 1965-1975 წლებში სწავლობდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში,

1975-1980 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროკავშირგაბმულობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1980-1992 წლებში, სპეციალობის მიხედვით მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თბილისსა და მოსკოვში.

1992-1997 წლებში გიორგი შარაშანიძე სტიქაროსნად მსახურობდა მოსკოვის აღდგომის, შემდეგ კი წმიდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში.

1997 წლის მარტში, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით იგი ჩამოვიდა საქართველოში და სულიერი მოძღვრის მორჩილად განწესებულ იქნა რუისისა და ურბნისის ეპარქიაში.

1997 წლის 27 ივნისს მორჩილი გიორგი შარაშენიძე ურბნისისა და რუისის ეპისკოპოსმა იობმა აღკვეცა ბერად და უწოდა სახელი გერასიმე. იმავე წლის 20 ივლისს ბერი გერასიმე იეროდიაკვნად. 10 აგვისტოს მღვდელმონაზვნად აკურთხეს და დააჯილდოეს შრომის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად.

1998 წლის 17 იანვარს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მღვდელ-მონაზონი გერასიმე დაინიშნა საგარეჯო-გურჯაანის ეპარქიის სოფელ პატარძლეულის ეკლესიის მოძღვრად. იმავე წლის 18 თებერვალს საგარეჯოსა და გურჯაანის მთავარეპისკოპოსმა აბრაამმა დაადგინა საეპარქიო საბჭოს მდივნად.

1998 წლის 29 მარტს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის უწმიდესმა ილია II-მ სიონის საკათედრო ტაძარში მღვდელმონაზონ გერასიმეს მიანიჭა იღუმენის წოდება და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

1998 წლის 8 ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იღუმენი გერასიმე გამოარჩია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად.

2002 წლის 9 ივნისს მეუფე გერასიმე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 2003 წლის იელისიდან 2005 წლის იანვრამდე ასრულებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის მოვალეობას.

2003 წლიდან მეუფე გერასიმე საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარეა.


2004 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთგული და ხანგრძლივი სამსახურისათვის აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2007 წლის 3 ივნისს აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს მეუფე გერასიმე დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2017 წლის 9 თებერვლიდან, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტი გერასიმე დადგენილ იქნა გერმანიისა და ავსტრიის სამრევლოების დროებით მართველად.

მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა)



მიტროპოლიტი ანდრია, ერისკაცობაში ამირან გვაზავა, დაიბადა 1968 წლის 24 აპრილს, ქალაქ სოხუმში პედაგოგების,ანატოლი გვაზავასა და ნინო არაბამიას ღვთისმოსავ ოჯახში.

სოხუმის XI საშუალო სკოლის დამთავრების შემდგომ მან სწავლა სამხედრო სასწავლებელში, ხარკოვის საავიაციო-საინჟინრო ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც ჯანმრთელობის გამო ვერ დაასრულა და 1988 სოხუმში დაბრუნდა, სადაც სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა და დაასრულა 1994 წელს.

მის მიერ ეკლესიის სწავლების გაცნობა და ეკლესიური ცხოვრების დაწყება 1988-1989 წლებიდან იწყება,რაც ასევე ოჯახის წევრების,ძმის მეუღლის – მარინა ამაღლობელის დახმარებით მოხდა. განსაკუთრებული გავლენა მასზე მღვდელ-მოწამენ სერაფიმე როუზისა და წმ. მღვდელმთავარ ეგნატე ბრიანჩანინოვის ნაშრომმა მოახდინა.

ამავე პერიოდში ხშირად დადიოდა სიწმინდეების მოსალოცად როგორც საქართველოში, ასევე უკრაინასა და რუსეთში: წმ. სვიმონ კანანელის საფლავი; წმ. ვასილისკოს აღსრულების ადგილი და მისი წყარო; წმ. იოანე ოქროპირის მიცვალების და წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის ადგილები კომანში; ახალი ათონის მონასტერი; კიევ-პეჩორის ლავრა; წმ. სერაფიმე საროველის ნაწილების აღმოჩენამ და 1991 წელს დივეევოს მონასტერში მათ გადასვენებაში მონაწილეობამ ახალგაზრდა კაცში განსაკუთრებული სულიერი გარდატეხა მოახდინა. ამ პერიოდში მოილოცა ოპტის უდაბნოს მონასტერი, რამაც კიდევ უფრო გაუღრმავა ბერ-მონაზვნული ცხოვრების სურვილი. ის უკვე იმყოფებოდა ოპტის უდაბნოში, სადაც აპირებდა ბერმონაზვნული ცხოვრების შედგომას,მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მშობლიურ ქალაქში დაბრუნების გადაწყვეტილება მიაღებინა.

აფხაზეთში საომარი ოპერაციების დროს მონაწილეობდა სხვადასხვა ჰუმანიტარულ მისიებში და საომარ მოქმედებებში. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ცხუმაფსხაზეთის მღვდელმთავარს, ეპისკოპოს დანიელს (დათუაშვილი), რომლის სოხუმიდან იძულებით წამოსვლის შემდგომ,მეუფე დანიელისადმი დაქვემდებარებულ მარტყოფის მონასტერში დაიწყო მომავალმა მღვდელმთავარმა სასულიერო მოღვაწეობა.

1994 წელს სვეტიცხოველის ტაძარში მორჩილად, ლაზარეს შაბათს კი ბერად აღკვეცეს და სახელად ანდრია უწოდეს.

1995-1996 წლებში მოღვაწეობა ახლად დაარსებულ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში, სოფ. კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების ისტორიულ მონასტერში განაგრძო.

1996 წლის 17 სექტემბერს მთავარეპისკოპოსმა დანიელმა ქ. ზუგდიდის საკათედრო ტაძარში ბერ ანდრიას დიაკვნად დაასხა ხელი, ხოლო იმავე წლის 13 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ, ქ. რუსთავის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქნა მღვდლად. მსახურობდა ქ. თბილისის სამხედრო აკადემიის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

1997 წელს დაინიშნა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი სამონასტრო კომპლექსის, დავით გარეჯელის ლავრის წინამძღვრად და აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში.

1998წლის 18 ოქტომბერს, წმ. გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღეს, წმიდა სინოდის

განჩინების შესაბამისად ხელდასხმულია საგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოსად.

2001 წლის 14 ოქტომბერს წმ. სინოდის გადაწყვეტილებით მღვდელმთავარი ანდრია დადგინდა სამთავისისა და გორის ეპარქიის მმართველად.

2006 წლის 16 ნოემბერს, გორში მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად ეპისკოპოს ანდრიას მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მღვდელმთავარი ანდრია ერთადერთი უმაღლესი ოფიციალური პირი იყო, რომელმაც არ დატოვა ქალაქი და ბოლომდე ცდილობდა დარჩენილი მოსახლეობის გამხნევებას. ის პირველი ჩაუდგა სათავეში და პირადად ხელმძღვანელობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარულ მისიების განხორციელებას. აქტიურად იყო ჩართული ტყვეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების და დაღუპული მეომრების გადმოსვენების საქმეში, რისთვისაც 2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო წმ. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი ებოძა.

2010 წლის 25მაისს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მიებოძა მიტროპოლიტობა.

მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა)



მიტროპოლიტი პეტრე, ერისკაცობაში პაატა რევაზის ძე ცაავა, დაიბადა 1970 წლის 7 აპრილს ქალაქ სენაკში. 1987 წელს დაამთავრა სენაკის VII საშუალო სკოლა; ხოლო – 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი.

1997-2000 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და ამავე დროს ცხოვრობდა და აღასრულებდა მორჩილების საქართველოს საპატრიარქოში რეზიდენციაში.

2000 წლის იანვრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მორჩილი პაატა (ცაავა) გაიგზავნა ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში – სულიერებისა და კულტურის ცენტრის დასაარსებლად.

2000 წლის 27 აგვისტოს ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბერად აღკვეცა ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს წმ. გიორგის სახელობის ტაძარში და უწოდა სახელი პეტრე. მისი მფარველია წმიდა პეტრე მოციქული; ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ იმავე წლის 28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, გერგეტის წმ. სამების სახელობის ტაძარში ბერ-დიაკვნად დაასახა ხელი.

2000 წლის 3 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარში ბერ-დიაკონ პეტრეს მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი. მას დაევალა მღვდელმსახურება ყაზბეგის რაიონში, სნოს ხეობის სოფლებში. ამავე დროს მღვდელ-მონაზონი პეტრე განაგრძობს საქართველოს საპატრიარქოს სოფელ სნოს შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას.

2002 წლის 16 ივლისს, გერგეტობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელმონაზონი პეტრე დააჯილდოვა ოქროს ჯვრით და აღიყვანა იღუმენის ხარისხში.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წილკნის ეპარქიას გამოეყო ყაზბეგის რაიონი და ახალი საეკლესიო ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით მას სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია ეწოდა. ამ ეპარქიის ეპისკოპოსად წმინდა სინოდმა გამოარჩია იღუმენი პეტრე (ცაავა).

2002 წლის 27 ოქტომბერს სტეფანწმიდისა და ხევის ეპისკოპოსმა პეტრემ პირველი სამღვდელმთავრო წირვა აღავლინა დაბა ყაზბეგის (დღევანდელი სტეფანწმინდის) საკათედრო ტაძარში.

2006 წლის 23 დეკემბერს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი პეტრე ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმთავრად დადგინდა, 2007 წლის 5 იანვარს იგი ჭყონდიდის ეპარქიაში წარადგინეს წლის 23 იანვარს წმ. სამების ტაძარში საქართველოს კათოლიკოსპატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ჭყონდიდელი ეპისკოპოსი პეტრე მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა.

2007 წლის 25 დეკემბერს მეუფე პეტრე დაჯილდოვდა წმ. გიორგის ოქროს ორდენით.


2007 წლიდან განსაკუთრებულად იდღესასწაულება წმ. გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღე „ჭყონდიდობა“. ასევე დაწესდა სულთმოფენობის მეორე დღის –

ორშაბათის,ანუ მარტვილიის – მატვილობის დღესასწაულის განსაკუთრებული ზეიმით აღნიშვნა.

2008 წლის 23 ნოემბრიდან 2017 წლის 10 მარტამდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქო ტელევიზია „ერთსულოვნებას.“

2010 წლის 2 აგვისტოს მიებოძა მიტროპოლიტობა.

მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი)



მიტროპოლიტი ილარიონი, ერისკაცობაში დავით ნოდარის ძე ქიტიაშვილი, დაიბადა 1957 წლის 22 ნოემბერს ქ. ხაშურში. მამა – ნოდარ იოსების ძე ქიტიაშვილი იყო ხაშურის სავაგონო დეპოს ხელოსანი (ხარატი). დედა – ანა მიხეილის ასული ლომიძე – პურ-კომბინატის მოსამსახურე. მოინათლა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის სახ. საკათედრო ტაძარში მეორმოცე დღეს. ნათლობა შეასრულა მღვდელმა დავითმა. ნათლია იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი დავით V დეკდარიანი, იმ დროს ურბნელი მიტროპოლიტი. დედმამიშვილები არ ჰყოლია. დაამთავრა ხაშურის რკინიგზის №3 საშუალო სკოლა 1974 წელს. ამავე წელს მუშაობა დაიწყო ხაშურის რკინიგზის სავაგონო დეპოში მუშა მოსამსახურედ.

1976 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომელიც მოიხადა 1978 წელს. მუშაობა გააგრძელა ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებაში.

1980 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკულ ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1985 წელს. განაწილებით მიავლინეს ქ. ქუთაისის ქარხანა „აეანგარდში“ საამქროს ოსტატად, სადაც მსახურობდა 1986 წლამდე. შემდგომ სამსახური გააგრძელა ხაშურის მინის ტარის ქარხანაში სპეციალობით, საამქროს უფროსად.

1987 წლიდან დანიშნეს ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის გამოთელითი ცენტრის უფროსად.

1988 წელს დაოჯახდა, ჰყავს ქალ-ვაჟი. ამჟამად ყოფილი მეუღლე მსახუროზს ხაშურის საკათედრო ტაძარში მთავარ მედავითნედ და მგალობლად. ეკლესიური ცხოვრება დაიწყო 1996 წლის დასაწყისიდან. იყო სტიქაროსანი ხაშურის წმიდა მარინეს სახელობის ტაძარში, სადაც შეისწავლა მედავითნეობა. როგორც მეუფე აღნიშნავს, „1998 წლის 4 ნოემბერს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში მაკურთხა დიაკვნად. მანამდე რა თქმა უნდა, გაეიარე ყველა საფეხური წიგნის მკითხველიდან დაწყებული.

1999 წლის 15 თებერვალს კი მღვდლად დამასხა ხელი და დამადგინა სურამის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად. თეთრ სამღვდელოებაში ვიმსახურე ორი წელი 2000 წლის 4 დეკემბერს ქოზიფის მამათა მონასტერში მიტროპოლიტმა იობმა აღმკვეცა ბერად და მიწოდა სახელი ილარიონი“.

ამავე წელს დაინიშნა წრომის ამაღლების სახელობის ტაძრის, ხცისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის, ხცისის იოანე ნათლისმცემლის შობის სახ. მამათა მონასტრის და ახალსოფლის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრების წინამძღვრად.

2001 წლის 4 დეკემბერს მიენიჭა იღუმენის ხარისხი.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით გამორჩეულ იქნა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსად. იგი ეპარქიაში ჩაევიდა 2002 წლის 7 ნოემბერს, წარდგინება მოხდა მიტროპოლიტ იობის მიერ.

2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი ილარიონი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით. მთაწმინდის ეპისკოპოსობა ებოძა 2011 წლის 14 ნოემბერს, მიტროპოლიტობა 2013 წლის 1 სექტემბერს.

მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)



მიტროპოლიტი შიო, ერისკაცობაში ელიზბარ თეიმურაზის ძე მუჯირი, დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს თბილისში. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (პარალელურად სწავლობდა სამუსიკო სასწავლებელში), 1988 წლიდან, ელიზბარ მუჯირმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვიოლონჩელოს კლასში. კონსერვატორიის პირველ კურსზე მან გაიმარჯვა ვიოლონჩელისტების პირველ რესპუბლიკურ კონკურსზე (გაიგიდა პირველ ადგილზე).

1991 წელს ელიზბარ მუჯირი მორჩილად დაემკვიდრა შიომღვიმის მონასტერში.

1993 წელს, 5 თებერვალს, მორჩილი ელიზბარი აღკვეცეს ბერად და უწოდეს სახელად შიო. იგი დადგენილ იქნა მონასტრის ტრაპეზრად, შემდეგ – ეკონომოსად.

1995 წელს ბერი შიო დიაკვნად აკურთხეს, 1996 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერდიაკონი შიო მღვდლად აკურთხა.

1997 წელს მღვდელმონაზონი შიო დაინიშნა თბილისის კლდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

1998 წელს მან დაამთავრა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიის დაუსწრებელ განყოფილებაზე გააგრძელა.

1998 წლის 3 აპრილს მღვდელმონაზონ შიოს მიენიჭა იღუმენის წოდება ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დაადგინეს ილია წინასწარმეტყველის ტაძრის წინამძღვრად.

1999 წლის 6 მარტიდან იღუმენი შიო თბილისის ანჩისხატის ტაძრის ღვთისმსახურია. იმავე წლის 20 სექტემბრიდან ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარია. 2001 წლის ოქტომბრიდან იგი მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის წმიდა ტიხონის სახელმწიფო ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში.

2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა (ურბნისი) იღუმენი შიო გამოარჩია ახლადშექმნილი სენაკისა და ჩხოროწყუის ეპარქიის წინამძღოლად.

2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი შიო დაჯილდოდა წმიდა გიორგის ორდენით. 2009 წლის 20 სექტემბერს ეპისკოპოსი შიო აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, ხოლო 2010 წლის 2 აგვისტოს მიებოძა მიტროპოლიტობა. მეუფე შიო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსია.

2015 წლის 16 დეკემბერს მიტროპოლიტმა შიომ დაიცვა დისერტაცია მოსკოვის წმ. ტიხონის მართლმადიდებლურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, თემაზე: „ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია) მისი ცხოვრების ისტორიული კონტექსტი და სულიერ-სამოძღვრო მემკვიდრეობა“ და მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი.

მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)



მიტროპოლიტი იოანე, ერისკაცობაში გიორგი ვახტანგის ძე გამრეკელი, დაიბადა 1946 წლის 28 ოქტომბერს.თბილისში.ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსის ოჯახში.

1963 წელს დაამთავრა თბილისის №41-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიის ფაკულტეტზე,შემდეგ სწავლა განაგრძო ნოეოწერკასკის გეოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1970-1975 წლებში მუშაობდა ვალეს გეოლოგიურ ჯგუფში, 1975-1985 წლებში მუშაობდა თბილისის გეოლოგიურ სამმართველოში. 1983 წლიდან იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის სტაქაროსანია.

1985-1988 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, 1987 წელს აკურთხეს დიაკვნად.

1988 წელს, მენელსაცხებელთა კვირას, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა მღვდლად.

1988 წლიდან მსახურობდა ანჩისხატის ეკლესიაში. 1989 წლის იანვრიდან სიონის საპატრიარქო ტაძარში.

198 წლის 8 თებერვალს დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერად და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად. მამა გიორგიმ უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად მთავრობის სასახლესთან გაატარა 1989 წლის 9 აპრილს დილა, როდესაც საბჭოთა არმიის ნაწილებმა მოაწყვეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა რბევა და ხოცვა-ულეტა.

1993 წლის 19 იელისიდან პროტოპრესვიტერი გიორგი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით განთავისუფლდა აკადემიის რექტორობიდან და დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1995 წელს პროტოპრესვიტერი გიორგი არჩეულ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მამა გიორგი ხელმძღვანელობს წმიდა წერილის ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფს. ჟურნალ „რწმენა და ცოდნას.“ კითხულობს ლექციებს სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2005 წლიდან უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად.

2007 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2008 წლის 27 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით გამორჩეულ იქნა ცურტავის ეპისკოპოსად. 11 სექტემბერს სამების საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტმა ილიამ (ნასიძე) აღკვეცა ბერად და უწოდა სახელი იოანე. 14 სექტემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ შესრულდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა.


2009 წლის 1 ნოემბრიდან ეპისკოპოსი იოანე გადაყვანილ იქნა რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის მმართველად, 2010 წლის 27 ივნისს აღყვანილს იქნა

მთაწარეპისკოპოსის ხარისხში,ხოლო 2011 წლის 29 აგვისტოს მიებოძა მიტროპოლიტობა.

2011 წელს მეუფე იოანე არჩეულ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

2013 წლის 11 ოქტომბრიდან რუსთველი მიტროპოლიტია.

მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი)



მიტროპოლიტი სტეფანე, ერისკაცობაში სტეფანე გრიგოლის ძე კალაიჯიშვილი, დაიბადა 1959 წლის 9 თებერვალს ქ. ახალციხეში. 1976 წელს დაამთავრა ახალციხის №2 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1981 წელს. შემდეგ მუშაობდა თბილისის რადიო ქარხნის ადიგენის ფილიალში ინჟინერ-გამმართველად, 1983 წლიდან – ახალციხის ელექტროქსელებში ესპლოატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინრად, ხოლო შემდეგ – ახალციხის საქსელო რაიონის უფროსად.

1988 წლიდან არის საფარის მონასტრის მრევლი. მისი პირველი მოძღვარი იყო მღვდელმონაზონი სერგი (ჩეკურიშვილი). იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში...

1990 წელს მუშაობდა მესხეთის სახელმწიფო თეატრის ინჟინრად.

1991წელს სტეფანე კალაიჯიშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1997 წელს.

1991 წლიდან პარალელურად სწავლობდა ახალციხის სასულიერო სემინარიაში.

1990 წლიდან მუშაობდა ახალციხის №2 საშუალო სკოლაში ისტორიისა და რელიგიის ისტორიის მასწავლებლად,1993 წლიდან ახალციხის სასულიერო სემინარიაში ისტორიის ლექტორად.

1994-99 წლებში იყო გაზეთ „საფარას“ რედაქტორი.

1994 წლის 27 ნოემბერს ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) ხელი დაასხა დიაკვნად.

1994 წლიდან 1999 წლამდე მუშაობდა ახალციხის სასულიერო სემინარიის პრორექტორად. 1996 წელს აღიკვეცა ბერად საფარის მონასტერში, ხოლო შემდეგ ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა სერგიმ ხელი დაასხა მღვდელ-მონაზვნად. იმავე წელს დაინიშნა საფარის მონასტრის აბასთუმნის წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვრად.

1999 წელს დაადგინეს ჰულევის მონასტრის წინამძღვრად.

2002 წელს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის,2002 წლის 27 ოქტომბერს ხელი დაასხეს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსად.

2002 წლიდან ეპარქიაში გამოიცემა გაზეთი „აღმსარებელი“, ხოლო 2003 წლიდან ჟურნალი „ხვამლი“.

2003 წელს ეპარქიაში გაიხსნა ცაგერის წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია.

2006 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ეპისკოპოსი სტეფანე.

2007 წლიდან ცენტრი ფუნქციონირებს სამების საკათედრო ტაძარში.

მეუფე სტეფანეს ინიციატივით მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და მოღვაწეობაზე. ამ დიდი წმინდანის საფლავი ხომ

ცაგერთან ახლოს მდებარეობს.

2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი სტეფანე დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2010 წლის 9 სექტემბერს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. მიტროპოლიტობა ებოძა 2015 წლის 1 ნოემბერს.

მთავარეპისკოპოსი დავითი (ტიკარაძე)



მთავარეპისკოპოსი დავითი, ერისკაცობაში გიორგი ტიკარაძე, დაიბადა 1963 წლის 1 მაისს ლანჩხუთის რაიონ სოფელ სუფსაში.

1969-1980 წლებში სწავლობდა სუფსის საშუალო სკოლაში. 1982-1989 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააეტომობილო საგზაო ფაკულტეტზე.

1983-1985 წლებში გიორგი ტიკარაძემ იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი დაბრუნდა სოფელ სუფსაში, სადაც საქმიანობდა 1994 წლამდე.

1994 წელს გიორგი ტიკარაძე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის საეპისკოპოსო რეზიდენციაში ცხოვრობდა სულიერი მოძღვრის მორჩილებაში.

1995 წლის 18 დეკემბერს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა იობმა მორჩილი გიორგი აღკვეცა ბერად და უწოდა სახელად დავითი.

1996 წლის 14 იანვარს მეუფე იობმა ბერი დავითი აკურთხა დიაკვნად. 19 იანვარს – იეროდიაკვნად. ხოლო 6 მაისს – მღვდელ-მონაზვნად და დაადგინა ბათუმის წმიდა იობ მრავალვნებულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

1997 წლის 20 იანვრიდან მღვდელ-მონაზონი დავითი მსახურობდა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, ხოლო იმავე წლის 22 მაისს დაინიშნა ქარელის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ტაძრის წინამძღვრად, იმავე დროს ასრულებდა სამწყობის მთავარანგელოზთა სახელობის და სამწყობის ცხოველმყოფელი ჯვრის სახელობის, სოფელ ღილევიას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრების წინამძღვრის მოვალეობას.

1997 წლის 17 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელ-მონაზონ დავითს მიანიჭა იღუმენის წოდება და ოქროს ჯვრის ტარების უფლება.

1998 წლის 8 ოქტომბერს იგი გამორჩეულ იქნა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსად.

1998 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოველის დღესასწაულზე, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველ მღვდელმთავართა თანამწირველობით სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში იღუმენი დავითი აკურთხა ეპისკოპოსად.

2001 წლის 12 ოქტომბრიდან ეპისკოპოსი დავითი გადაყვანილ იქნა ბოდბის ეპარქიის მმართველად.

2006 წლის 1 ივნისს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვაკურთხევით მეუფე დავითი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2013 წლის 11 ოქტომბრიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეების მოძიებისა და დაცვის კომისიის წევრად და ეწოდა ადიშელი მთავარეპისკოპოსი (ტიტულოვანი მღვდელმთავარია).

მთავარეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა)



მთავარეპისკოპოსი ექვთიმე, ერისკაცობაში თეიმურაზ გიორგის ძე ლეჟავა, დაიბადა 1953 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში. თეიმურაზ ლეჟავამ 1969 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა.

1969-1975 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ჰაკულტეტზე. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს „კურორტ პროექტის" საპროექტო სამმართველოში და საქართველოს სამხატვრო ფონდში. 1989 წლიდან თეიმურაზ ლეჟავა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაშია, ბეთანიის მონასტერში სულიერი მოძღვრის მორჩილებაში.

1990 წლის მარტში მორჩილი თეიმურაზი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ექვთიმე. 1991 წელს მარტყოფის მამათა მონასტერში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერი ექვთიმე აკურთხა ბერ-დიაკვნად, ხოლო 1992 წელს – ხუდახნის მამათა მონასტერში მღვდელ-მონაზონად.

1993 წელს მღვდელმონაზონ ექვთიმეს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. არქიმანდრიტი ექვთიმე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა სხალთის, შიომღვიმის, ზედაზნისა და დავით გარეჯის მონასტრებში.

2000 წლის 27 ივნისს არქიმანდრიტი ექვთიმე დაინიშნა თბილისის ყოვლადწმიდა სიონის მშენებარე საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად.

2003 წლის 18 აგვისტოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი ექვთიმე გამორჩეულ იქნა გურჯაანისა და ეელისციხის ეპარქიის მმართველად.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მეუფე ექვთიმე ეპარქიაში წარადგინეს ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე), გორისა და სამთავისის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა).

2007 წლის 25 დეკემბერს მეუფე ექვთიმე დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2011 წლის 16 ნოემბერს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

მთავარეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე)



მთავარეპისკოპოსი ლუკა, ერისკაცობაში ვაჟა ფარნაოზის ძე ლომიძე, დაიბადა 1965 წლის 14 სექტემბერს თბილისში.

1982 წელს ვაჟა ლომიძემ დაამთავრა თბილისის N51-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში, 1984-1986 წლებში, იგი მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მან ინსტიტუტი დაამთავრა 1992 წელს.

1995 წლიდან ვაჟა ლომიძე ზედაზნის მამათა მონასტრის მორჩილია.

1997 წლის 16 მარტს დიდმარხვის პირველ კვირას მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ექვთიმემ მორჩილი ვაჟა ლომიძე ბერად აღკვეცა და უწოდა სახელად ლუკა.

1998 წლის 13 ივლისს, სვეტიცხოველობას, უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერი ლუკა დიაკვნად, ხოლო იმავე წლის ნოემბერში სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად აკურთხა. მღვდელმონაზონი ლუკა დაეთ გარეჯის ლავრის წინამძღვრად დაადგინეს.

1999 წელს დავით გარეჯობის დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მღვდელმონაზონ ლუკას იღუმენის, ხოლო ერთი წლის შემდეგ არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა.

2003 წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე,28 აგვისტოს,უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან – ამბა ალაევრდელ [illegible]როპოლიტ დავითთან (მახარაძე), სამთავისისა და გორის ეპისკოპოს ანდრიასთან ([illegible]ასავა) და გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმესთან (ლეჟავა) ერთად სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხა არქიმანდრიტი ლუკა.

2007 წლის 25 დეკემბერს მეუფე ლუკა დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით.

2011 წლის 14 სექტემბერს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული)



მთავარეპისკოპოსი ზენონი, ერისკაცობაში იმედა შოთას ძე იარაჯული, დაიბადა 1972 წლის 17 მარტს ქ. თბილისში.

1979-1989 წლებში სწავლობდა თბილისის საშუალო სკოლაში, 1989-1992 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1993 წლის 14 აგვისტოს იმედა იარაჯული ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა აღკვეცა ბერად და სახელად უწოდა ზენონი.

1993 წლის 19 აგვისტოს ბერი ზენონი სამთაეროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ეკლესიაში აკურთხეს იეროდიაკვნად, ხოლო 25 ოქტომბერს მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტერში – მოძღვრად.

1994 წლის 25 თებერვლიდან უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მღვდელმონაზონი ზენონი ხელმძღვანელობდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელს.

1994 წლის 10 ნოემბერს მას მიენიჭა იღუმენის წოდება, ხოლო 1995 წლის 2 აგვისტოს დაჯილდოვდა გამოჩენილი ჯვრის ტარების უფლებით.

1995 წლის 1 ნოემბრიდან იღუმენი ზენონი მსახურობდა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში რექტორის მოადგილედ (სასწავლებლის პანსიონის ხელმძღვანელად და სულიერ მოძღვრად) და ზეობრივი ღვთისმეტყველების პედაგოგად.

1996-1997 წლებში იღუმენი ზენონი სწავლობდა რომის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1998 წლის 14 მარტს იღუმენი ზენონი დაინიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მდივნად, ხოლო მოგვიანებით საქართველოს საპატრიარქოს საფინანსოეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარედ. ამავდროულად, იგი მსახურობდა გაერთიანებული სამხედრო აკადემიის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვრად, შემდეგ ლურჯი მონასტრის, ხოლო 2000 წლის 14 მარტიდან – მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის წინამძღვრად.

2001 წლის 16 ივნისს, იღუმენ ზენონს ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება და დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ.

2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე გადაწყდა დმანისის ძველი ეპარქიის აღდგენა. ეპარქიის მღვდელმთავრად სინოდმა არქიმანდრიტი ზენონი გამოარჩია. 2003 წლის 30 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმიდა სინოდის წევრ მღვდელმთავართა თანამსახურებით არქიმანდრიტი ზენონი ეპისკოპოსად აკურთხა.

მეუფე ზენონმა დმანისისა და ლორე-ტაშირის ისტორიულ ეპარქიას მიუძღვნა ფუნდამენტური გამოკვლევა „სამხრეთის კარიბჭე“ (თბილისი, 2005 წ.).

2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი ზენონი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2011 წლის 6 თებერვალს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე)



მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი, ერისკაცობაში გოჩა ბენიამინის ძე ტაბატაძე, დაიბადა 1964 წლის 30 იანვარს სამხერის რაიონ სოფელ ზემო ბერეთისაში.

1971-1976 წლებში სწავლობდა იმავე სოფლის სკოლაში.

1976 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში. გოჩა ტაბატაძემ სწავლა განაგრძო საგურამოს საშუალო სკოლაში. სკოლაში სწავლის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სპორტულ შეჯიბრებებში, ჰქონდა წარმატებები. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამეცნიერო კელევით ინსტიტუტთან არსებულ №79-ე ერთწლიან ტექნიკურ სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, 1982-1984 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საგურამოს სასათბურე მეურნეობის მშენებელ მუშად, დაბა ზაჰეში ელექტროზეინკლად.

1987 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1992 წელს. მონაწილეობდა სამაჩაბლოს სამშვიდობო ოპერაციაში.

1994 წლის 30 იანვარს, პირველად ეზიარა წმიდა საიდუმლოს და გადაწყვიტა ზედაზნის მონასტერში დარჩენა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ზედაზნის მონასტრის მოძღვარი და საძმო გადაყვანილ იქნა მცხეთის ჯვრის მონასტერში. ეს იყო 1994 წლის დიდი მარხვის პერიოდი. იმავე წლის შობის მარხვაში მორჩილი გოჩა ტაბატაძე აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად იეგუდიელი.

1995 წლის 29 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში აკურთხა ბერდიაკვნად, იმავე წელს, ლაზარეს, შაბათს მისმა უწმიდესობამ ხელი დაასხა მღვდელ-მონაზვნად. პირველი სამღვდელო მსახურება შეასრულა ქვათაღვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში. შვიდი თვის შემდეგ უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაყვანილ იქნა ყაზბეგის რაიონის სოფელ აჩხოტის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერში.

2000 წლის 16 ივლისს გერგეტის წმ. სამების სახელობის ტაძარში სიყვარულის დღესასწაულზე მისმა უწმიდესობამ ილია II-მ აიყვანა იღუმენის ხარისხში, ხოლო ორი წლის შემდეგ, 2002 წლის 16 ივლისს, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

2003 წლის 18 აგვისტოს წმიდა სინოდის სხდომაზე, რომელიც რუის-ურბნისის ეპარქიაში შედგა, გამოარჩია საეპისკოპოსო კანდიდატად. იმავე წლის 2 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის წევრებთან ერთად ხელი დაასხა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსად.

2003 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსმა იეგუდიელმა ჩაატარა პირველი სამღვდელმთავრო წირვა ახლად შექმნილ ეპარქიაში. 2004 წლის 27 ივნისს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნა ბოლნისის ეპარქიის მმართველად.

2006 წლის დეკემბრიდან ხელმძღვანელობს სტეფანწმიდისა და ხევის ეპარქიას.

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2009 წლის 24 ნოემბერს ეპისკოპოსი იეგუდიელი აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)



მთავარეპისკოპოსი სპირიდონი, ერისკაცობაში გოჩა ოთარის ძე აბულაძე, დაიბადა 1950 წლის 14 ივნისს ქ. ზესტაფონში.

1967 წელს გოჩა აბულაძემ დაამთავრა ზესტაფონის №4-ე საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1967-1972 წლებში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტზე, ხოლო 1972-1976 წლებში უნივერსიტეტის ასპირანტურაში კიბერნეტიკი სპეციალობით.

1975 წლიდან ასპირანტი გოჩა აბულაძე აკადემიკოს ვ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა კათედრაზე, 1976 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრაზე.

1978-1979 წლებში გოჩა აბულაძე ქირურგიის ინსტიტუტის, ხოლო 1979 წლიდან სახალხო მეურნეობის მართვის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი იყო. აქ იგი ლექციებს უკითხავდა საქართველოს მთავრობის კაბინეტის თანამშრომლებს მართვის სისტემების მიმართულებით.

1990 წლის 21 სექტემბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ (მელიქიძე), ბათუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში გოჩა აბულაძე აკურთხა დიაკვნად და სახელად უწოდა გრიგოლი. იგი განწესებულ იქნა ბათუმის საკათედრო ტაძარში.

1990 წლის 4 დეკემბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად შიყვანების დღესასწაულზე, მიტროპოლიტმა კონსტანტინემ, დიაკონი გრიგოლი ჯიხეთის მონასტერში მღვდლად აკურთხა და სხალთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა.

1991 წლის დასაწყისში ხულოში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაევალა მამა გრიგოლ აბულაძეს.

1991 წლის 25 ნოემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მღვდელი გრიგოლი დაინიშნა ბოდბის ეპარქიის წმიდა ნინოს მონასტერთან არსებული წმიდა ნინოს სახელობის და ხირსის წმიდა სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებული წმიდა სტეფანე ხირსელის სახელობის სასულიერო სასწავლებლის რექტორად. მღვდელი გრიგოლი იმ დროიდან მსახურობდა წმიდა სტეფანე ხირსელის მონასტრის წინამძღვრად და ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის ღვთისმსახურად.

1994 წლის იანვარში ქ. ზესტაფონში გაიხსნა წმიდა ნიკოლოზის სახელობის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს და მოწყალების დებს. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისილია II-ის ლოცვა-კურთხევით მამა გრიგოლი დაინიშნა ამ სასწავლებლის რექტორად.

1994 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიაII-მ სიონის საკათედრო ტაძარში მღვდელ გრიგოლს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება და მიტრის ტარების უფლება მიანიჭა.

2006 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა დეკანოზი გრიგოლი ახლად შექმნილი სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრად გამოარჩია.

2006 წლის 22 დეკემბერს, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ლავრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ტაძარში დეკანოზი გრიგოლი ბერად აღკვეცეს და სახელად სპირიდონი უწოდეს. 23 დეკემბერს მღვდელმონაზონ სპირიდონს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. 24 დეკემბერს არქიმანდრიტი სპირიდონი უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოსად აკურთხა.

2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი სპირიდონი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

2008 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მეუფე სპირიდონის ძალისხმევით სხალთის ეპარქიაში დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერის ძის სახელობის უნივერსიტეტი

2013 წლის 17 ივნისს მეუფე სპირიდონი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე)



მთავარეპისკოპოსი ეფრემი, ერისკაცობაში დავით მირიანის ძე გამრეკელიძე, დაიბადა 1975 წლის 24 ოქტომბერს ქ. ბათუმში.

1991 წელს დაამთავრა ბათუმის №2 საშუალო სკოლა.

1991-1996 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

1994 წლიდან იყო ბათუმის საკათედრო ტაძრის მსახური-სტიქაროსანი და მედავითნე. 1996 წლის 8 აპრილს აღიკვეცა ბერად.6 მაისს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა იობმა ხელი დაასხა დიაკვნად.

1996 წლის ნოემბრის თვიდან მსახურობდა ურბნისისა და რუისის ეპარქიაში, 1997 წლის 7 აპრილს რუისისა და ურბნისის მთავარეპისკოპოსმა იობმა ხელი დაასხა მღვდლად.

1997-1998 წლებში მსახურობდა იტრიის მიძინების მონასტერში, 1998-2004 წლებში იყო ქარელის ხარების ტაძრის ღვთისმსახური.

2000 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში და დაჯილდოდა ოქროს ჯვრით.

2001-2004 წლებში იყო ქარელის წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორი.

2004-2006 წლებში იყო ქოზიფას მამათა მონასტრის წინამძღვარი.


2006 წლის 10 ნოემბერს დაჯილდოვდა გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლებით.

2006 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით გამორჩეულ იქნა ბოლნელ ეპისკოპოსად.

31 დეკემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავრების თანამწირველობით ეპისკოპოსად აკურთხა არქიმანდრიტი ეფრემი

2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთიწმიდა გიორგის ოქროს ორდენით. 2013 წლის 6 სექტემბერს აღყვანილ იქნა მთავარესპიკოპოსის ხარისხში.

ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე)



ეპისკოპოსი მელქისედეკი, ერისკაცობაში არკადი აბესალომის ძე ხაჩიძე, დაიბადა 1975 წლის 25 აპრილს ქ. ხაშურში.

1992 წელს დაამთავრა ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1995 წელს სწავლა გააგრძელა გელათის სასულიერო აკადემიაში, ხოლო პირველი კურსის დახურვის შემდეგ სასწავლებლად გადავიდა ქ. თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1998 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და იმ დროს თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორის, ამჟამად დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) შუამდგომლობით, სწავლა გააგრძელა საბერძნეთში, ქ. ათენის უნივერსიტეტში – ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2003 წელს და ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

2004 წლის 3 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, აკურთხეს დიაკვნად და ეწოდა სახელი-მელქისედეკი, ხოლო იმავე წლის 12 აპრილს აკურთხეს მღვდლად. ორივე ხელდასხმა საბერძნეთში, ქ. ტრიკალაში, წმ. ბესარიონის სახელობის მონასტერში, შესრულა დიაველიის ეპისკოპოსმა დამასკინოსმა.

2005 წლის 31 აგვისტოს, თბილისში, ფერისცვალების მამათა მონასტერში, ბერად აღკვეცა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა აბრაამმა, ხოლო იმავე წლის 11 სექტემბერს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, აიყვანა იღუმენის ხარისხში.

2007 წელს, ქ. ათენის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, იმავე წელს ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამაზე. ათენში ყოფნის პერიოდში მსახურობდა სხვადასხვა ტაძრებში.

2008 წლის თებერვლიდან – იელისამდე, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის აბრაამის კურთხევით, მოღვაწეობა გააგრძელა ესპანეთში, ქ. არნედოს წმიდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში. ხოლო იელისიდან, უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვაკურთხევით, გადაიყვანეს თბილისში, ყოველადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად.

2008 წ. 21 დეკემბერს, აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო 2009 წლის 30 აპრილს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა გამოარჩია ჰერეთის ეპისკოპოსად. ხელდასხმა შესრულდა ამავე წლის 3 მაისს, მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში.

დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპარქიაში ახალი მღვდელმთავრის წარდგინება მოხდა 2009 წლის 20 აგვისტოს.

2015 წლის იანვრიდან მეუფე მელქისედეკი მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მმართველია.

ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი)



ეპისკოპოსი იაკობი ერისკაცობაში კონსტანტინე იაკობიშვილი, დაიბადა 1962 წლის 1 მარტს თბილისში.

1979 წელს დაამთავრა ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა და ამავე წელს ჩაებარა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1985-2003 წლებში საერო სამსახურშია.

2003 წლის 15 მარტს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად იაკობი.

2010 წლის 7 მაისი – წმინდა სინოდმა სტეფანწმინდისა და ხეცის ეპარქიაში მოღვაწე არქიმანდრიტი იაკობი დაადგინა ცურტაველ ეპისკოპოსად და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად;

ცურტავის ეპისკოპოს იაკობის სიტყვა მღვდელმთავრად წარდგინებისას, სამების საპატრიარქო ტაძარი, 8 მაისი 2010 წ.

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, მაღალყოვლადუსამღვდელოესნო და ყოვლადუსამღვდელოესნო მეუფენო, მამანო, ძმანო, დეკანო და დანო!

დიდება და მადლობა ღმერთს!

„დიდ არს უფალი და საკეირველ არიან საქმენი მისნი“

დიდმა სიხარულმა და მღელვარებამ მოიცვა ჩემი სული. „შიში და ძრწოლაი მომიხდა მე“ (ფს. 54,5), რამეთუ დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება ღვთის, ერის, დედა ეკლესიისა და თქვენს წინაშე.

ამ მსახურების მასწავლებელი და მაგალითის მომცემი ჩვენთვის უფალი იესო ქრისტეა, რომელიც სწამებს: „რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაი იყოს იგი თქუენ და მონა. ვითარცა ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემდ სულთ ვისი სახსრად მრავალთათვის“ ეს არის ცხოვრება სხვებისთვის. ეს არის მუდმივიზრუნვა სხვათა გახარებისათვის, ეს არის თავდაუზოგავი ღვაწლი, ეს არის დიდი და მძიმე ჯვარი. ეს არის საკუთარი თავის უარყოფა.

ვაცნობიერებ ჩემს უძლურებას, უღირსებას, საკუთარი ძალების სიმწირეს, მრა-ვალ სხვა ნაკლულევანობას, წარდგინებული მღვდელმთაერის უმაღლეს წოდებაზე, შევთხოვ სახიერ უფალს დაყოვლადწმინდა ღვთისმშობელს შემწეობას და დახმარებას.

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენო უწმინდესობავ თქვენ და წმინდა სინოდის წევრებს ამ დიდი ნდობის გამოცხადებისათვის და უმორჩილესად გთხოეთ ლოცვასა და თანადგომას ამ რთულ და საპატიო ღვაწლში.

დიდი მადლობა თქვენო უწმინდესობავ, იმ თანადგომისათვის, რომელიც არასდროს მომკლებია თქვენგან.

მადლობა უფალს ყველაფრისათვის და შეეთხოვ ყოვლად წმიდა სამებას თქვენი ლოცვი-თა და წინამძღოლობით გაამთლიანოს და გააბრწყინოს სრულიად საქართველო. ამინ.“ 2010 წლის 9 მაისს მცხეთაში, სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

2010 წლის ოქტომბრიდან მეუფე იაკობი დაინიშნა პატრიარქის სრულუფლებიან

წარმომადგენლად საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

2010 წლის 21 დეკემბერს ცურტაველის ეპისკოპოსი იაკობი დაინიშნა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსად.

2013 წლის 23 აპრილიდან ხელმძღვანელობს ბოდბის ეპარქიას.

ეპისკოპოსი მიქაელი (გაბრიჭიძე)



ეპისკოპოსი მიქაელი, ერისკაცობაში მამუკა გაბრიჭიძე დაიბადა 1966 წლის 25 იანვარს ქ. ჭიათურაში გიგი სვეტრიანის ძე გაბრიჭიძისა და მართა სერგოს ასულ ცერცვაძის ოჯახში.

1983 წელს დაასრულა ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლა.

1986 წელს დაამთავრა ქ.თბილისის კავშირგაბმულობის პროფესიული ტექნიკუმი.

1986 წელს ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე.

1987 წლიდან ეკლესიის მრევლია.

1993 წელს ქ. სოხუმში ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა (დათუაშვილი) მორჩილის კაბით შემოსა.

1993 წლის ოქტომბრიდან მარტყოფის ღვთაების სახელობის მამათა მონასტრის მორჩილია.

1994 წლის 2 აპრილს მცხეთაში, სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა ბერად აღკვეცა და სახელად მიქაელი უწოდა.

1994 წლის მაისში ფოკის წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტრის საძმოში განამწესეს. მასვე დაეკალა ფოკაში არსებული მამათა და დედათა მონასტრების სამეურნეო საქმეების მეურვეობა.

1994 წლის 1 ივნისს ფოკის წმიდა ნინოს სახელობის ღია ტრაპეზზე ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა დიაკვნად აკურთხა.

1994 წლის 13 ნოემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და ფოკის ღვთაება მონასტრის სულიერ მოძღვრად დანიშნა.

1996 წლის 1 ივნისს ოქროს ჯვრითა და ენქერით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა.

1995 წლის 20 აპრილიდან ფოკის მამათა მონასტრის წინამძღვარია.

1997 წლის 23 მაისს მიენიჭა არქიმანდრიტობა და დაადგინეს შიომღვიმის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1997 წლის ივნისიდან 2007 წლის 1 ნოემბრამდე სამთაეროს წმიდა ნინოსა და ანტიოქიის წმიდა სტეფანე პირველდიაკვნის სახელობის დედათა მონასტრების სულიერი მოძღვარია.

2001 წლის 5 მარტიდან 2007 წლის 15 ნოემბრამდე საქართველოს საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეა.

2011 წლის 13 ნოემბერს მეორე გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა.

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსად გამოარჩიეს.

2013წლის 20 ოქტომბერს მცხეთაში,სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირეელობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე)



ეპისკოპოსი დიმიტრი, ერისკაცობაში რამაზ კაპანაძე, დაიბადა 1975 წლის 16 ივნისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ხორითში, ეანგერ ეარლამის ძე კაპანაძისა და ნელი ალექსანდრეს ასულ კალანდაძის ოჯახში.

1982-1992 წლებში ქ. ახალციხის საშუალო სკოლაში სწავლობდა.

1993 წელს ჩაირიცხა ქ. ახალციხის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც მოგვიანებით, 2005 წელს დაამთავრა

1992 ლიდან ეკლესიის მრევლია, მოძღვარი დეკანოზი ზაქარია ფერაძე.

1992-1995 წლებში ქ. ახალციხის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

პარალელურად, 1993 წლიდან საფარის წმიდა საბა განმწმედელის სახელობის მამათა მონასტრის საბერო მორჩილია.

1994 წლის ოქტომბერში მორჩილის კაბით შემოსეს.

1995 წლის 16 დეკემბერს იღუმენმა თეოდორემ (ჭუაძე) ბერად აღკვეცა და სახელად დიმიტრი უწოდა.

1996 წლის 10 მარტს ახალციხის წმიდა დიდმოწამე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის მთავარეპისკოპოსმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) დიაკვნად აკურთხა.

1996 წლის ნოემბერში ბოდბის ეპარქიაში გადაიყვანეს.

1997 წლის 12 იანვარს ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი და სიღნაღის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა.

1997-1998 წლებში ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიასა და ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტერში მსახურობდა.

1998 წლის 4 აპრილს ახალციხის ეპარქიაში გადაიყვანეს და აბასთუმნის წმიდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტრის სულიერ მოძღვრად დანიშნეს.

1998 წლიდან ქ. ახალციხის სასულიერო სემინარიაში პედაგოგად მუშაობდა.

2002 წლის 11 ნოემბერს ოქროს ჯვრითა და ენქერით დააჯილდოვეს და იღუმენის წოდება მიანიჭეს.

2002 წლიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავის საჯარო სკოლაში რელიგიის ისტორიასა და კულტურას ასწავლიდა.

2002 წლის 11 ნოემბერს ჭულეევის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

2008 წლის 30 ივნისს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება.

2013 წლის 11 ოქტომბერს წმიდა სინოდის სხდომაზე მარგველთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსად გამოარჩიეს.

2013 წლის 27 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

2015 წლის იანვრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დაინიშნა ყოვლადწმინდესი ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე)

ეპისკოპოსი დამიანე (ხუფენია)



ეპისკოპოსი დამიანე, ერისკაცობაში მამუკა (ომარ) ხუფენია დაიბადა 1959 წლის 6 აგვისტოს ქ. სოხუმში, კონსტანტინე ჯარგის ძე ხუფენიასა და ნელი ანდრიას ასულ ყურაშვილის ოჯახში.

1976 წელს დაამთავრა ქ.სოხუმის მე-16 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. სოხუმის თამბაქოს ქარხანაში.

1992-1993 წლებში იბრძოდა აფხაზეთში. იყო 23-ე ბრიგადა „სკორპიონის“ ქვედანაყოფში. არის ომის ვეტერანი.

1999 წლიდან იყოსაგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) მორჩილებაში.

2002 წლიდან სამთავისისა და გორის ეპარქიაში განაგრძო მოღვაწეობა.

2004 წლის 2 იანვარს სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) ბერად აღკვეცა და სახელად დამიანე უწოდა.

2004 წლის 4 სექტემბერს გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ დიაკვნად აკურთხა.

2005 წლის 28 აგვისტოს გორის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი და ქვეითახეთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნა.

2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის №611 განკარგულებით, 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის დროს გამოჩენილი სამოქალაქო გმირობისთვის ღირსების მედალი გადაეცა.

2008 წლის 21 სექტემბერს ოქროს ჯვრითა და ენკქრით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა.

2013 წლის 11 ოქტომბერს წმიდა სინოდის სხდომაზე ახლად შექმნილი სამთავისისა და კასპის ეპარქიის ეპისკოპოსად გამოარჩიეს.

2013 წლის 2 ნოემბერს მცხეთაში, სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

ეპისკოპოსი სვიმეონი (ცაკაშვილი)



ეპისკოპოსი სვიმეონი, ერისკაცობაში თეიმურაზ ცაკაშვილი დაიბადა 1982 წლის 9 აგვისტოს ქალაქ სიღნაღში, თამაზ ცაკაშვილისა და ლალი მარტყოფლიშვილის ოჯახში.

1999 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 101-ე საჯარო სკოლა.

1999-2003 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხის დამუშავების საწარმოთა მოწყობილობა და ტექნოლოგიის სპეციალობაზე.

რამდენიმე წელი ნინო რამიშვილის საავტორო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა.

1999 წლიდან ქ. თბილისის მამა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის მრევლი და მგალობელია. ასევე პერიოდულად გალობდა სვეტიცხოველისა და სიონის საპატრიარქო ტაძრებში. ამავე წლებში ბოდბის ეპარქიაში რამდენიმე ტაძრის რესტავრაციას ხელმძღვანელობდა.

2004 წლიდან რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტის იობის (აქიაშვილი) პირად მორჩილებაშია.

2005 წლიდან ძამის ხეობაში, ტბეთის მთავარანგელოზთა სახელობის მონასტრის მორჩილია.

2005 წლის 19 აგვისტოს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიმა იობმა ბერად აღკვეცა და სახელად სტეფანე უწოდა.

2005 წლის 4 დეკემბერს რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა დიაკვნად აკურთხა.

2006 წლის 25 მარტს მიტროპოლიტმა იობმა სქემაში აღკვეცა და სახელად სვიმეონი უწოდა.

2006 წლის 2 აპრილს მიტროპოლიტმა იობმა მღვდლად დაასხა ხელი და ტბეთის მონასტერში დანიშნა მღვდელმსახურად.

2006 წლის 8 მაისს სურამის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებულ წმიდა იობ მრავალენებულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

2007 წლის 15 აპრილს ურბნისის წმიდა სტეფანე პირველდიაკვნის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარია.

2008 წლის 22 მაისს დაადგინეს ყინწვისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

2009 წლის 19 მაის ოქროს ჯვრითა და ენქერით დააჯილდოვეს და იღუმენის წოდება მიანიჭეს.

2010 წლიდან ყორანქედის წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარია.


2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე ახლად შექმნილი სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსად გამოირჩიეს.

2013 წლის 10 ნოემბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით

ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

2014 წლის სექტემბრიდან ყოვლადუსამღვდელოესი სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სეიმეონი (ცაკაშვილი), ქ. ხაშურში უძღვება საპატრიარქოს წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონს.

ეპისკოპოსი იოანე (შომახია)



ეპისკოპოსი იოანე, ერისკაცობაში ნიკოლოზ შომახია, დაიბადა 1971 წლის 13 აგვისტოს ქ. თბილისში, თამაზ ნიკოლოზის ძე შომახიას და ნინო შალვას ასულ ვარძუკაშვილის ოჯახში.

1988 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-100 საშუალო სკოლა.

1989-1995 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამთო ელექტრომექანიკა-ავტომატიკის სპეციალობაზე. მიენიჭა სამთო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

2006 წლიდან სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის აწხოტის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილია.

2008 წლის 15 მარტს აწხოტის მონასტერში სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძე) ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა იოანე.

2008 წლის 22 ივნისს ეპისკოპოსმა იეგუდიელმა დიაკვნად აკურთხა.

2010 წლის 16 ივლისს გერგეტის ყოელადწმიდა სამების სახელობის ეკლესიაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი. 2010 წლის ოქტომბერში მცხეთა-თბილისის ეპარქიაში გადაიყვანეს და სხვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის მამათა მონასტრის საძმოში განაამწესეს.


2011 წლის 18 ივლისს ფოკის წმიდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე, ახლად შექმნილი აგარაკ-წალკის ეპარქიის, ეპისკოპოსად გამოარჩიეს.

2013 წლის 1 დეკემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

2015 წლის იანვრიდან მეუფე იოანე განაგებს გარდაბნის და მარტყოფის ეპარქიას.

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)



ეპისკოპოსი გრიგოლი, ერისკაცობაში- გიორგი ელადიმერის ძე კაცია დაიბადა 1972 წლის 26 აგვისტოს, ქ.სოხუმში, ელადიმერ გიორგის ძე კაციასა და ლუდმილა დავითის ასულ რუხაძის ოჯახში.

1982 წელს გიორგი კაცია მოინათლა სოხუმის საკათედრო ტაძარში. 1989 წელს დაამთავრა ქ. სარატოვის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. სარატოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც 1995 წელს დაამთავრა.

1997 წელს დაამტკიცა ორწლიანი კლინიკური ორდინატურა, სპეციალობით ზოგადი ქირურგია. იმავე წელს ქ. მოსკოვში ჩაირიცხა ასპირანტურაში სისხლძარღვთა და გულის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში.

2000 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გულის იშემიური დაავადების ქირურგიული მკურნალობა“.

იმავე წლიდან განაგრძო სამეცნიერო მუშაობა აკადემიურ დოქტორანტურაში.

2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მიოკარდის არტერიული რევასკულარიზაცია“.

2003-2005 წლებში მუშაობდა უფროს მეცნიერ-თანამშრომლად გულის კრიტიკული თანდაყოლილი მანკის განყოფილებასი რუსეთის სამედიცინო აკადემიის მეცნიერებათა ცენტრ

200 წლიდან გახდა ქ.მოსკოვის წმიდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის მრევლ მოძღვარი დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია.

2005- 010 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნ არესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემ ა'ში.

2010 წლის 26 აგვისტოს სიონის ყოელადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად გრიგოლი უწოდა.

2010 წლის 28 აგვისტოს ამავე ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა და თბილისის ყოელადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის ღვთისმსახურად დანიშნა.

2010 წლის 14 ნოემბერს თბილისის ყოელადწმი სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი და მცხეთის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის საძმოში განამწესა. ამავე წლის 19 ნოემბრიდან მღვდელ-მონაზონი გრიგოლი თბილისის მამა დავითის წმიდა დავით გარეჯელის სახელობის მამატა მონასტრის საძმოს წევრია.

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე, გარდაბნისა და მარტყოფნის ეპარქიის, ეპისკოპოსად გამოარჩიეს.

2013 წლის 4 დეკემბერს მცხეთაში,სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი)



ეპისკოპოსი ლაზარე, ერისკაცობაში დიმიტრი ნიკოლოზის ძე სამადბეგიშვილი დაიბადა 1955 წლის 20 აგვისტოს ქალაქ თბილისში.

1972 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლა.

1979-1982 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1981 წლის 7 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა დიაკვნად.

1982 წლის 21 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი და ამავე წლის 5 აპრილს დანიშნა ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში.

1984 წლის 11 სექტემბერს, გადაიყვანეს თბილისის მოციქულთა თაყოა პეტრესა და პაველეს სახელობის ტაძრის წინამძღვრად,

1984 წლის 17 სექტემბრიდან სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურია.

1985 წლის 20 ივნისს ისევ ქაშუეთის ტაძარში დაადგინეს.

1990 წლის დეკემბრიდან 1995 წლის 3 აგვისტომდე მოსკოვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია.

1995 წლის სექტემბერში დაინიშნა ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრად.

1995-97 წლებში ბათუმის სასულიერო სემინარიის რექტორია, ამავე პერიოდში იყო ბათუმის წმიდა ბარბარეს ტაძრის წინამძღვარიც.

1997 წლის 19 აპრილს ბათუმისა და ლაზეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა ლაზარე.

1997 წლის 16 ოქტომბრიდან მცხეთა-თბილისის ეპარქიაში გადაიყვანეს და თბილისის წმიდა ქეთევან დედოფლის ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს.

1999 წელს განამწესეს თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძრის (პატარა სამების) მღვდელმსახურად.

2000 წლის 19 ივნისს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება.

2001 წლის 4 ივნისს დაინიშნა თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძრის (პატარა სამების) წინამძღვრად.

2004 წლის 1 იანვრიდან გადაიყვანეს დასავლეთ ევროპის ეპარქიაში და დაინიშნა რეგენსბურგის ქართულ სამრევლოში.

2004 წლის ოქტომბრიდან ბელგიის ქართულ სამრევლოშია.

2009 წლის 14 მაისს მიიღო მეორე გამშვენებული ჯვარი.

2014 წლის 3 ივნისის წმიდა სინოდის სხდომაზე გამოარჩიეს ახლადშექმნილი გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიის მღვდელმთავრად,

2014 წლის 11 ივნისს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხა ხელი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით,

2017 წლის 2 იანვარს ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი) გადმოყვანილ იქნა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად.

ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე)



ეპისკოპოსი დოსითეოსი, ერისკაცობაში - დიმიტრი სურაბის ძე ბოგვერაძე დაიბადა 1964 წლის 29 დეკემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ იგორეთში.

1970-1981 წლებში სოფელ კიცხის საშალო სკოლაში სწავლობდა.

1981-1986 წლებში მუშაობდა ქ.ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში, მუსიკალურ ნაწილში, იყო ხმის ოპერატორი, რეჟისორის თანაშემწედ.

1987-1990 წლებშუ ხარაგაულის რაიონის კულტურის განყოფილებაში, სახალხო თეატრის რეჟისორია.

1988-1993 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე.

1990 წლის 19 იანვარს მოინათლა თბილისის თაეთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში.

1990-1993 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1993-1997 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1997-2002 წლებში იყო თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანი, სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ახალი აღთქმის,წმიდა წერილის და საეკლესიო სამართლის პედაგოგი.

1998-2004 წლებში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს საეკლესიო სამართალში.

1999 წელს სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სიგელით.

2001 წლიდან არის თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მაძიებელი.

2001-2002 წლებში სწავლობდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, შვეიცარიის სახელმწიფო ინსტიტუტში, ქ. შამბეზეში. კვალიფიკაცია: საეკლესიო სამართლის სპეციალისტი, დიპლომანტი.

2004 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანად.

2004 წლის 13 მარტს დაეით გარეჯის მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა დოსითე.

2004 წელის 4 ივლისს სიონის ყოელადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღედლად დაასხა ხელი და დაადგინა თბილისის წმ. ილია თეზბიტელის ტაძარში.

2004 წლის 1 აგვისტოს გადაიყვანეს თბილისის თემქის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

2005 წლის 6 თებერვლიდან ყოელადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის მღედელმსახურია.

2005 წლის 27 სექტემბერს მიენიჭა იღუმენის წოდება და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრითა და ენქერით.

2007 წლის იანვრიდან დასავლეთ ევროპის ეპარქიის, ბელგიისა და ქ.ბრიუსელის წმ. თამარ მეფის სახელობის ქართული სამრევლოს წინამძღვარია.

2009 წლის 14 მაისს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება.

2012 წლის 21 მაისს მეორე გამშვენებული ჯვარი მიიღო.

2014 წლის 3 ივნისს წმ. სინოდის სხდომაზე გამოარჩიეს ახლად შექმნილი ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის მღვდელმთავრად.

2014 წლის 15 ივნისს სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმიდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირეველობით მას ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი)



ეპისკოპოსი საბა, ერისკაცობაში ლაშა ანდრიას ძე ინწკირველი დაიბადა 1981 წლის 22 ივნისს ოზურგეთის რაიონში.

1996 წელს შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსების ლოცვა- კურთხევით მან ჩააბარა ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიაში. სტუდენტობის პერიოდში ის დაინტერესდა მონასტრული ცხოვრებით და მორჩილებას გადიოდა მახერას მამათა მონასტერში, კვიპროსზე.

2000 წელს სასულიერო სასწავლებელის დაასრულების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად კათოლიკოს- პატრიარქის ილია II და მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა- კურთხევით ის სერბეთში გაემგზავრა

2001-2007 წლებში სწავლობდა ბელგრადის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის უნივერსიტეტში, საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე.

2008წელს საქართველოში დაბრუნდა. მიტროპოლიტმა დიმიტრიმ ის მორჩილად აკურთხა. უწოდა სახელი ლაშა-გიორგი და ასევე დანიშნა ეპარქიის მღვინად.

2009 წლის 29 ივნისს მორჩილი ლაშა-გიორგი ბათუმის ყოელადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში, მუუე დიმიმტრის ლოცვა-კურთხევით, არქიმანდრიტმა ანდრიამ (კბილაშვილი) ბერად აღკეცა და უწოდა სახელი საბა.

2009 წლის 5 იელისს, მიტროპოლიტმა დიმიტრიმ ბერი საბა აკურთხა ბერ-დიაკვნად.

2010 წელს უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორეს ლოცვა -კურთხევით ბერ-დიაკონ საბა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

2010 წლის 26 ოქტომბერს მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) ის აკურთხა მღვდელ-მონაზვნად და ჩააბარა პანოვერის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერი და წმინდა გიორგის სახელობის სამრეველო პენსილვანიის შტატში.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ის პირველი ქართველი სასულიერო პირია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე იქნა ხელდასხმული.

2011 წელს 22 მაისს, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის, მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მღვდელ-მონოზონ საბას მიანიჭა იღუმენობა.

2013 წელს მიტროპოლიტმა დიმიტრიმ ის დანიშნა ბრუკლინში ღვთისმშობლის შობის სახელობის ქართული სამრეველო წინამძღვრად.

2013 წელის 9 თებერვალს მამა საბა აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

2013 წელის 13 ოქტომბერს მას მიენიჭა მანტიისა და კვერთხის ტარების უფლება.

2014 წლის 3 ივნისს, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით არქიმანდრიტი საბა გამორჩეულ იქნა ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსად.

2014 წლის 22 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ილია II-სა და წმინდა სინოდის წევრების მიერ, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტი საბა ეპისკოპოსად იკურთხა.

2014 წლის 3 ივნისს არქიმანდრიტი საბა გამორჩეულ იქნა ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსად.

2014 წლის 22 ივნისს მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტმა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია II-მ, წმიდა სინოდის წევრების თანამწირველობით.

ეპისკოპოსი გიორგი (ჯამდელიანი)



ეპისკოპოსი გიორგი, ერისკაცობაში ლერი ვალერის ძე ჯამდელიანი დაიბადა 1981 წლის 1 ოქტომბერს ქ. მესტიაში. 2006 წლის 27 აგვისტოს ბოლნისის მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა ბერად აღკვეცა და უწოდა სახელად გიორგი. ამავე წლის 4 დეკემბერს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა დიაკვნად აკურთხა. 2007 წლის 19 იანვარს, ხაშურის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხეს ხელი და ძამის ხეობაშიტბეთის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. 2008-2013 წლებში იყო ბოლნისის ეპარქიაში, სახუნდარის ღვთისმშობლის ხარების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარ. 2011 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა აღიყვანა იღუმენის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. 2013 წლის 11 ოქტომბერს წმიდა სინოდის განჩინებით იღუმენი გიორგი გამორჩეულ იქნა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსად. ამავე წლის 23 ნოემბერს იღუმენ გიორგის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, წმიდა სინოდის წევრებთან ერთად, ხელი დაასხა ეპისკოპოსად.

ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი)



ეპისკოპოსი ვახტანგი,ერისკაცობაში გიორგი ოთარის ძე ლიპარტელიანი, დაიბადა 1965 წლის 25 ოქტომბერს ქალაქ თბილისში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. 1982-1989 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1984-1986 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში).

1989-1999 წლებში ბიზნესშია.

1982 წლიდან ქაშუეთის სწმიდა გიორგის ეკლესიის მრევლია.

1999 წლიდან სტიქაროსანი.

2008 წლის 13 დეკემბერს აღიკეცა ბერად და სახელად ვახტანგი ეწოდა. 2009 წლის 8 მარტს ხელი დაასხეს დიაკენად და იმავე წლის 27 სექტემბერს მღვდლად აკურთხეს. 2009-2015 წლებში მოსკოვის წმიდა გიორგის ქართული ეკლესიის წინამძღვარია. მალევე აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. არქიმანდრიტი ვახტანგი 2015 წლის 25 მაისის წმინდა სინოდის სხდომაზე გამოირჩიეს ნიკორწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად.იმავე წლის 1 ივნისს მცხეთაში,სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, უწმიდესმა და უნეტარესმა,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II-მ, წმიდა სინოდის წევრებთან ერთად, არქიმანდრიტ ვახტანგს ხელი დაასხა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად.

„დალოცე სრულიად საქართველო, რათა უფრო გაძლიერდეთ და მადლი სულისა წმინდისა უხვად გადმოვიდეს საქართველოზე, მეუფე ვახტანგ, ეპისკოპოსო ნიკორწმინდელო, წმინდა ნიკოლოზი ამიერიდან განსაკუთრებული მფარველია შენი. ახოვე და მოგეცემა და დღეს მე გაძლევ შენ კვერთხს, როგორც ნიშანს ეპისკოპოსის კურთხევისა და მადლისა,დალოცე სრულიად საქართველო, რათა უფრო გაძლიერდეთ და მადლი სულისა წმინდისა უხვად გადმოვიდეს საქართველოზე, ამინ!“, – სვეტიცხოვლის ტაძარში ამ სიტყვებით დალოცა უწმიდესმა ახალნაკურთხი ნიკორწმინდელი მღვდელმთავარი ვახტანგი.

Sergo Vardosanidze


The Orthodox Church of Georgia in XIX-XXI cc

At the onset of the XIX century Russia annulled the 1783 Treaty of Georgievsk, annexed Georgia and abolished the autocephaly of the Orthodox Church of Georgia. The head of the Church, the Catholicos-Patriarch of All Georgia, Anton II was exiled to Russia. Within 1811-1917 the Church of Georgia was ruled by the exarches, who were subjected to the synod of the Russian Church. Russian authorities set about complete assimilation of the conquered country. This fuelled an acute response from the Georgian people. In the first half of the XIX century an anti-Russian uprising was staged in Georgia to be followed by the national liberating movement in the second half of the XIX century. With particular intensity the movement raised demand for the restoration of the state and church independence.


On 12 (25) March 1917 the Orthodox Church of Georgia managed to restore the autocephaly which it had illegitimately been deprived of 116 years earlier. From 1917 right to the 1997 the Orthodox Apostolic Church of Georgia under the leadership of the Catholicos-Patriarchs: Kirion II, Leonide, Ambrosi, Christephore III, Calistrate, Melkisedek III, Ephrem II, David II, went through innumerable tribulations. Owing to the effort of the atheist Bolshevik leaders, hundreds of churches were destroyed, thousands of clergymen were either killed or forcefully precluded from performing their ministry; churches and monasteries were closed down. Until the year 1921, 1450 churches and 25 monasteries had been functioning and there were 1600 clergymen in Georgia. By 1977 only 50 churches, 3 monasteries and about 80 clergyman remained.

After the Metropolitan of Tskhum-Abkhazia Ilia was elevated to the throne of Catholicos-Patriarch of All Georgia, a new era set in in the history of the Orthodox Apostolic Church of Georgia. Through the vigorous ministry of His Holiness and Beatitude Ilia II, Georgian community was reunited in the bosom of the Church. Close ties were established with circles of science and intelligentsia, the churches which had been closed down by the Soviet government, began to be functioning again, numerous new churches and monasteries were erected. The number of existing eparchies increased from 15 to 37 and that of the functioning churches to 1500. By the ministry of His Holiness and Beatitude Ilia II the Apostolic Church of Georgia reinstated its historic place and authority among the local orthodox churches. By the blessing of the Patriarch, the historical tradition of theological education was restored in the Georgian Church. Tbilisi Theological Academy was established and Gelati Theological Academy was restored. Numerous theological institutions and seminaries were opened. Theological books, newspapers and journals were published. By the blessing of His Holiness and Beatitude new saints were canonized. The Apostolic Church of Georgia restored ties with the Georgian monastic centers as well as the Georgians living abroad. The Orthodox Church of Georgia is a symbol of national and state self-awareness of the Georgian people. Patriarch Ilia II enjoys particular love in Georgia and he earned this love through his indefatigable ministry and purity. He completely dedicated his life to God, motherland and the Georgian people. At the initiative of the Georgian Orthodox Church, a constitutional agreement (concordant) between the Church and the State was concluded on 14 October 2002, through which the legal status, which the Church had been deprived of since 1921, was reinforced.

The Holy Trinity Cathedral in Tbilisi is the crown of the 30-year long ministry of His Holiness and Beatitude Ilia II, who continues his most important ministry to the benefit of the Orthodox Church of Georgia and the state.



1990 წლის 4 მარტი,
მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს საპატრიარქოს
ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების სიგელი.



თბილისი, სამების საკათედრო ტაძარი.

სარჩევი

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1917-1918 წ.წ.) . 5

2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.) . .80

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.) 119

4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932) 178

5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წლები). .248

6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III (1952-1960 წწ.) .293

7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წ.წ.) . 302

8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V (1972-1977 წწ.) . . 337

9. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 40 წლიანი მამამთავრობის ხანა . 352

10. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრები (1917-2017) . 515

11. Sergo Vardosanidze, The Orthodox Church of Georgia in XIX-XXI cc. . . 646